ეძღვნება

**გიორგი ჩიტაიასა**

და

**ვერა გარდაველიძის**

ნათელ ხსოვნას

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

НАЦИОНАЛЬНАЯ АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ
ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ ШОТА РУСТАВЕЛИ
ИНСТИТУТ НИКО БЕРДЗЕНИШВИЛИ

GEORGIAN NATIONAL AKADEMY OF SCIENCES
SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY
NIKO BERDZENISHVILI INSTITUTE

ВАХТАНГ ШАМИЛАДЗЕ ОТАР МИМИНОШВИЛИ

# ИСТОРИЯ ЭТНОЛОГИИ ГРУЗИИ

*ЧАСТЬ ПЕРВАЯ*

VAKHTANG SHAMILADZE OTAR MIMINOSHVILI

# HISTORY OF ETHNOLOGY OF GEORGIA

PART ONE

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

ვახტანგ შამილაძე  ოთარ მიმინოშვილი

# საქართველოს ეთნოლოგიის ისტორია

*ნაწილი პირველი*

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2009

UDC (უაკ) 39(=353.1)
შ – 204

ნაშრომში განხილულია საქართველოს ეთნოლოგიის განვითარების ძირითადი ეტაპები, მისი თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპები, ეთნოლოგიის ისტორიის ახალი პერიოდიზაცია. დახასიათებულია ძველი წინააზიური ცივილიზაციების, ანტიკური და ელინისტური ხანისა და ადრინდელი პერიოდის ქართული წერილობითი წყაროების მონაცემები, შუაფეოდალური ხანისა და აღორძინების ეპოქის მოგზაურ-მკვლევართა და მისიონერთა ცნობები. ეთნოგრაფიული აზროვნების განვითარების პროცესები დახასიათებულია ლეონტი მროველისა და ვახუშტი ბაგრატიონის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის, გვიანფეოდალური ხანისა (იოანე და თეიმურაზ ბაგრატიონები, დ. ფანასკერტელი-ციციშვილი) და ახალი პერიოდის (რ. ერისთავი, ნ. ხიზანაშვილი, პ. იოსელიანი და სხვ.) ქართველ მეცნიერთა და საზოგადიო მოღვაწეთა ნაშრომების შუქზე, რომელთაც საფუძველი მოუმზადეს ეთნოლოგიის ჩამოყალიბებას სამეცნიერო დარგად. ამავე ჭრილშია განხილული ქართველი მწერლების (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ვ. ფშაველა, ა. ყაზბეგი და სხვ.) ადგილი და როლი ქართული ეთნოლოგიის განვითარებაში, აგრეთვე, ახალი ქართული ისტორიოგრაფიის წარმომადგენელთა (ნ. მარი, ე. თაყაიშვილი, ივ. ჯავახიშვილი) და იმ მკვლევართა (თ. სახოკია, გ. ჩიტაია) ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა, რომელთა სახელებთანაცაა დაკავშირებული ეთნოლოგიური მეცნიერების საბოლოო ფორმირება და ჩამოყალიბება.

მონოგრაფიის შესაბამის თავებშია დახასიათებული კავკასიელ (ხან გირეი, შ. ნოგმოვი, ხ. აბოვიანი და სხვ.), რუს (ს. ბრონევსკი, ვ. კოლიუბაკინი, კ. სტალი, ვს. მილერი, მ. კოვალევსკი და სხვ.) და სხვა უცხოელ (მარკო პოლო, იოჰან შილტბერგერი, პიეტრო დელლა ვალე, ჟაკ ფრანსუა გამბა, დიუბუა დე მონპერე, და სხვ.) მოგზაურ-მკვლევართა და მისიონერთა ნაშრომები, არაბული, თურქული და ირანულენოვანი (იაკუთი, ზაქარია ალ ყაზვინი, ევლია ჩელები და სხვ.) წყაროები, პერიოდული პრესის მონაცემები, ცარიზმის ადმინისტრაციული აპარატის სტატისტიკურ-დემოგრაფიული რეესტრები და სხვა აღწერილობანი, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნიათ კავკასიელი ხალხების სოციალური და კულტურულ-ყოფითი თავისებურებების გაშუქების საქმეში.

დასასრულ, ნაშრომში საქართველოს ეთნოლოგიის ისტორიის ძირითადი ეტაპები გაშუქებულია ეთნოლოგიური მეცნიერების განვითარების ისტორიულ კანონზომიერებებთან კავშირში, დასავლეთის იმ მეცნიერთა (ლ. მორგანი, ე. ტეილორი, ა. ბასტიანი და სხვ.) მემკვიდრეობის ფონზე, რომელთა შემოქმედებაც განსაზღვრავდა ეთნოლოგიის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლებს.

წიგნი განკუთვნილია ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტთა საუნივერსიტეტო დამხმარე სახელმძღვანელოდ, აგრეთვე ისტორიკოსების, არქეოლოგების, ეთნოლოგებისა და მომიჯნავე დარგების სპეციალისტებისათვის.

**რედაქტორი:** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი *როინ მეტრეველი*

**რეცენზენტები:** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი *ლია მელიქიშვილი*

ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი *გურამ ჩაგანავა*

© ვ. შამილაძე, ო. მიმინოშვილი, 2009

გამომცემლობა „უნივერსალი", 2009

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-823-3

# შინაარსი


*შესავალი* 9
1. მიზანი, წყაროები, მეთოდოლოგია 9
2. ქრონოლოგია და პერიოდიზაცია 16
3. ისტორიოგრაფიული მიმოხილვა 21

*თავი პირველი* 36
ეთნოგრაფიული ცოდნის განვითარება საქართველოში 36
1. უძველესი ცივილიზაციების მონაცემები და ბიბლიური ვერსიები ადრეული პერიოდის ქართველ ტომთა შესახებ 36
2. ანტიკური და ელინისტური ხანის მოგზაურ-მკვლევართა ცნობები 40
3. ადრინდელი ხანის (V-XI სს.) ქართული წერილობითი წყაროები 53
4. შუაფეოდალური ხანისა და აღორძინების ეპოქის უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა და მისიონერთა ცნობები 58

*თავი მეორე* 92
ეთნოგრაფიული აზროვნების განვითარება და ეთნოლოგიური მეცნიერების ჩამოყალიბების წინაპირობები საქართველოში 92
1. ეთნოგრაფიული აზროვნების განვითარების ადრეული ეტაპი საქართველოში 92
   1.1. ლეონტი მროველის ეთნოგენეტიკური კონცეფცია კავკასიის ხალხების ერთიანი წარმომავლობის შესახებ 92
   1.2. ვახუშტი ბაგრატიონი ქართველი ხალხის კულტურულ-ყოფით თავისებურებების რეგიონალური ხასიათისა და მათი ზოგადქართული ბუნების შესახებ 96
2. საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში. სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება, მეცნიერება და კულტურა 100
3. გვიანფეოდალური ხანის ქართული ისტორიოგრაფია და საქართველოს ეთნოგრაფიის ფორმირების ადრეული ეტაპი 106
   3.1. იოანე და თეიმურაზ ბაგრატიონები და დავით ფანასკერტელი-ციციშვილი საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული პრობლემების კვლევა-ძიების სათავეებთან 106
4. უცხოელ მეცნიერთა და მოგზაურ-მკვლევართა პირველი ეთნოგრაფიული აღწერილობანი და ეთნოლოგიის განვითარების წინაპირობები საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში 114
5. ქართველი და კავკასიელი ხალხების ეთნო-კულტურული და სოციალური ორგანიზაციის პრობლემები XIX საუკუნის პირველი ნახევრის რუსული ადმინისტრაციის მოხელეთა და მეცნიერ-მკვლევართა ნაშრომებში 120

*თავი მესამე* 134
ეთნოლოგიური მეცნიერების ჩამოყალიბება XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში 134
1. ეთნოლოგიის ჩამოყალიბება დამოუკიდებელ სამეცნიერო დარგად ევროპის, ამერიკისა და რუსეთის სამეცნიერო ცენტრებში 134
2. ეთნოლოგიის ჩამოყალიბება დამოუკიდებელ სამეცნიერო დარგად საქართველოში 139
   2.1. XIX საუკუნის მეორე ნახევრის პერიოდული პრესა, ცარიზმის ადმინისტრაციული აპარატის მოხელე-მკვლევართა ნაშრომები, სტატისტიკურ-დემოგრაფიული კრებულები და რეესტრები ქართველი და კავკასიელი ხალხების სოციალური და კულტურულ-ყოფითი თავისებურებების შესახებ 139

2.2. პლატონ იოსელიანისა და დიმიტრი ბაქრაძის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა ახალი ქართული ისტორიოგრაფიის ფორმირების შუქზე 150
2.3. რაფიელ ერისთავი – სამუზეუმო, საველე-ეთნოგრაფიული და კამერალური კვლევა-ძიების პირველი ნაბიჯები. პირველი ეთნოგრაფიული პუბლიკაციები 157
2.4. ნიკოლოზ ხიზანაშვილი – ქართველ მთიელთა ადათობრივი სამართლის კვლევა ქართული სამართლის ძეგლების შუქზე 182
3. XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართველი მეცნიერ-მკვლევარები და საზოგადო მოღვაწეები საქართველოს ეთნოლოგიის სამსახურში 204
4. კავკასიათმცოდნეობითი ეთნოლოგიის ძირითად მიმართულებათა განსაზღვრისა და თეორიული და მეთოდოლოგიური განზოგადოების პირველი ცდები XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა ნაშრომებში 212

*თავი მეოთხე* 236
ქართული მწერლობა და საქართველოს ეთნოლოგია 236
1. ქართველი „სამოციანელები" და საქართველოს ეთნოლოგიის განვითარების ძირითადი მიმართულებები 236
1.1. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები 240
1.2. ქართველ და კავკასიელ მთიელთა ყოფა და კულტურა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში 268
1.3. აკაკი წერეთელი და საქართველოს ეთნოლოგია 296
1.4. ალ. ყაზბეგის მხატვრულ-პუბლიცისტური შემოქმედების ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული პარალელები 331
2. ახალი ქართული ლიტერატურა და საქართველოს ეთნოლოგია 360
2.1. დავით კლდიაშვილის მხატვრული შემოქმედების ეთნოგრაფიული სიუჟეტები 360
2.2. ვასილ ბარნოვის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ძიებანი 370

*თავი მეხუთე* 391
XX საუკუნის პირველი მეოთხედი და ქართული ეთნოლოგიური სკოლის ჩამოყალიბება 391
1. თედო სახოკია – პირველი ქართველი პროფესიონალი ეთნოგრაფი. ქართული ეთნოგრაფიული ნაშრომები დასავლეთის სამეცნიერო პუბლიკაციებში 393
2. ნიკო მარი და ქართულ-კავკასიური ეთნოლოგიის პრობლემები 399
3. ექვთიმე თაყაიშვილი და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების როლი ქართული ეთნოლოგიის ჩამოყალიბებაში 409
4. ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს ეთნოლოგია ახალი პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში 422
5. გიორგი ჩიტაია თანამედროვე ქართული ეთნოლოგიის სათავეებთან 438

**History of Ethnology of Georgia, I** 453
**История этнологии Грузии, I** 500

*საძიებლები და შემოკლებათა ახსნა* 551
1. სახელთა საძიებელი 552
2. ეთნიკურ სახელთა საძიებელი 568
3. გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი 572
4. საგანთა საძიებელი 577
5. შემოკლებათა ახსნა 591

# შესავალი

## *1. მიზანი, წყაროები, მეთოდოლოგია*

ქართული ეთნოგრაფიული აზროვნების ისტორია საუკუნეთა სიღრმეშია საძიებელი, თუმცა ეთნოგრაფიის ჩამოყალიბებას დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩაეყარა საფუძველი. რამდენადაც ეთნოგრაფია ხალხთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის, ტრადიციულ-ყოფითი კულტურის უმთავრესი სფეროების – მატერიალური და სულიერი კულტურის, სოციალური ურთიერთობის შესწავლას ისახავს მიზნად, წინამდებარე მონოგრაფიის კვლევა-ძიების ძირითადი ამოცანა საქართველოში ეთნოლოგიური მეცნიერების განვითარებისა და ჩამოყალიბების ისტორიული კანონზომიერების გამოვლენა- დადგენა და შესწავლა გახლავთ. გამომდინარე აქედან, ნაშრომის შესავალში კვლევის მიზნების, ამოცანებისა და წყაროთმცოდნეობითი ბაზის მიმოხილვასთან ერთად მოცემულია საქართველოში ეთნოგრაფიული ცოდნის განვითარების უმთავრესი ეტაპებისა და მიმართულებების მოკლე ექსკურსი.

მონოგრაფიის ამ საერთო მიზნების გათვალისწინებითაა დახასიათებული *ეთნოგრაფიული ცოდნის დაგროვებისა და ეთნოგრაფიული აზროვნების განვითარების* პერიოდებიც. ამათგან პირველი, *ანუ ეთნოგრაფიული ცოდნის დაგროვების ადრეული პერიოდი, ქრონოლოგიურად უძველესი ცივილიზაციების მონაცემებსა და ანტიკური და ელინისტური ხანის მოგზაურ-მკლევართა ცნობებთან ერთად ადრეულ ქართულ წერილობით წყაროებსაც მოიცავს*[1]. ამ მხრივ, ნაშრომში წარმოდგენილი მონაცემები გვიჩვენებენ, რომ სწორედ ამ პერიოდის, განსაკუთრებით კი ანტიკური და ელინისტური ხანის მრავალრიცხოვან ავტორთა ცნობებშია მოცემული ქართველი ხალხის ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის, ქართველ ტომთა ყოფისა და კლუტურის ძირეული თავისებურებების მიმოხილვა და შეფასებები, რაც შემდგომში წითელ ზოლად გასდევს ქართული ფეოდალური აზროვნების, მათ შორის ეთნოგრაფიული ცოდნის განვითარების ისტორიას.

მართალია, ადრინდელი ხანის ქართულ ლიტერატურულ წყაროებში ეს ტენდენციები ჯერ კიდევ სუსტადაა ასახული, მაგრამ საქართველოში ეთნოგრაფიული ცოდნის დაგროვების ამ ეტაპზე თანდათანობით იკვეთება ქართველი ხალხის, ქართული ეთნოსის კონსოლიდაციისა და ეროვნული ცნობიერების განვითარება-ჩამოყალიბების შეუქცევადი პროცესები. ამ მხრივ ყურადღებაა გამახვილებული *ადრეულ წერილობით წყაროებსა* და *ქართლის ცხოვრების ქრონიკებზე,* მისი ერთერთი ფუძემდებლის *ლეონტი მროველის ეთნოგენეტიკურ კონცეფციაზე,* აგრეთვე, გამოჩენილი ქართველი გეოგრაფისა და ისტორიკოსის *ვახუშტი ბაგრატიონის შემოქმედებაზე,* რომელთა თხზულებებში დასმული და გაანალიზებულია შესაბამისი ეპოქების ქართული ეთნოგრაფიული აზროვნების განვითარების უმთავრესი ფაქტორები.

ამ ქრონოლოგიური ვრცელი და მრავალფეროვანი პერიოდის მიმოხილვიდან ჩანს, რომ ანტიკური და ფეოდალური ხანის ეთნოგრაფიული ცოდნისა და შესაბამისი აზროვნების განვითარების ტენდენციებმა, შემდგომში არსებითი

გავლენა მოახდინეს საქართველოში ეთნოგრაფიული მეცნიერების დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბების პროცესებზე და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრეს მისი მტკიცე კავშირი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჰუმანისტურ პრინციპებთან.

მონოგრაფიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა *ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების ჩამოყალიბების უშუალო წინაპირობებს.* მოცემულია *იოანე ბაგრატიონის* (1768-1830 წწ), *თეიმურაზ ბატონიშვილისა* (1782-1846 წწ.) და *დავით ციციშვილი-ფანასკერტელის (XIX ს. I ნახ.)* თხზულებების ზოგადი მიმოხილვა, რომლებიც, სამწუხაროდ, თავიანთი მეცნიერული დონითა და ღირებულებებით ვერ უტოლდებიან ვახუშტი ბაგრატიონის ეთნოგრაფიულ მემკვიდრეობას.

ისევე როგორც ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო ცენტრებში, საქართველოშიც ეთნოგრაფიის ფორმირების პროცესებს მარტოოდენ შინაგანი ფაქტორები როდი განსაზღვრავდა. XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში ეთნოგრაფიული აზროვნების განვითრაება-ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინეს რუს და სხვა უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა ნაშრომებმა, რომლებშიც ასე თუ ისე, ასახული იყო თანამედროვე მეცნიერების შეფასებები და შეხედულებები. ამ პერიოდის ევროპელ მოგზაურ-მკვლევართა შორის ქართველი და კავკასიელი ხალხების ყოფისა და კულტურის შესახებ უაღრესად საინტერესო ცნობებს ვხვდებით *ჟაკ ფრანსუა გამბას (1763-1833 წწ.), დიუბუა დე მომპერეს (1798-1850 წწ.), ავგუსტ ჰაქსტჰაუზენისა (1792-1866 წწ.)* და სხვ. შრომებში.

კავკასიის გეოპოლიტიკურ სივრცეში გაბატონებისათვის რუსეთისა და დასავლეთის ქვეყნების მძაფრი მეტოქეობის ხანაში მოუხდათ კავკასიაში მოღვაწეობა ცნობილ გერმანელ მეცნიერს *კარლ კოხსა (1809-1879 წწ.) და ინგლისელ ჟურნალისტს ედმუნდ სპენსერს (XIX ს. I ნახ), რუს და რუსეთის სამსახურში მყოფ ევროპელ მოხელეებს ექვთიმე ბოლხოვიტინოვს (1767-1837 წწ.), სიმონ ბრონევსკის (1763-1830 წწ.), თევდორე ბართოლომეის (1800-1862 წწ.), გრიგოლ გორდეევსა (1791-1862 წწ.)* და სხვ.

მანიშნებელია, რომ საქართველოსა და კავკასიის სხვა მეზობელი ქვეყნების მოსახლეობის შესახებ აღნიშნულ ავტორთა მიერ აღწერილი და გადმოცემული მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული მონაცემები, მათი ანალიზისა და ინტერპრეტაციის პირველადი ცდები, დიდ ინტერესს იწვევდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ყოფისა და კულტურის შემდგომი კვლევა-ძიების თვალსაზრისით, რასაც ამ პერიოდში ადგილობრივი ინტელიგენციის წრიდან გამოსული სამეცნიერო მოღვაწეობით დაინტერესებული პირები ჩაუდგნენ სათავეში. მართლაც, XIX საუკუნის პირველ ნახევარში საზოგადოებრივ სარბიელზე პირველად გამოჩნდნენ საქართველოსა და კავკასიის სხვა კუთხეებში მცხოვრები ადგილობრივი, მკვიდრი მოღვაწეები: *იაგორ ჭილაძე-ჭილაშვილი (1796-1838 წწ.), ნიკოლოზ ფალავანდიშვილი (გარდ. 1855 წ.), ვასილ და იოსებ ცისკაროვები-ცისკარიშვილები ( XIX ს. I ნახ.), ხან გირეი (1808-1842 წწ.), შორა ნოგმოვი (1796-1844 წწ.), ხაჩატურ აბოვიანი (1804-1848 წწ.)* და სხვ.

ყველა ამ ავტორის ეთნოგრაფიული ჩანაწერები, რომელთა ზოგადი მიმოხილვა ნაშრომის შესაბამის თავებშია მოცემული, ბუნებრივია, უშუალო ზე-

გავლენას ახდენდა საქართველოში ეთნოგრაფიული მეცნიერების ჩამოყალიბების წინაპირობებზე, მის დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად ფორმირების პროცესებზე.

და მაინც, იმდენად, რამდენადაც ეთნოგრაფიული აზროვნების განვითარება უშუალო კავშირში იყო ქართველი ხალხის წარმომავლობის, მისი ისტორიული წარსულის, აწმყოსა და მომავლის პერსპექტივების გააზრებასთან, ეროვნული, ტრადიციულ-ყოფითი კულტურის ღირებულებათა აღქმა-შეცნობის ინტენსიურ პროცესებთან, ქართული ეთნოგრაფიის განვითარების ტემპები XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში შექმნილი მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებით გამოწვეულ ეროვნული ცნობიერების გამოღვიძებისა და აქტიურობის დონით განისაზღვრა. მანიშნებელია, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, ქართული ეროვნული ცნობიერების გააქტიურება ქართველი ხალხის საზოგადოებრივ აზროვნებაზე ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გავლენების ფენომენთანაა დაკავშირებული. მონოგრაფიის ამ ნაწილში ხაზგასმულია, რომ ამიერიდან საქართველოში ეთნოგრაფიული აზროვნება არსებითად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უშუალო შემადგენელ ნაწილად იქცა და მასთან ერთად ვითარდება. მართლაც, ცარიზმის კოლონიალური რეჟიმის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გაჩაღებულ სახალხო აჯანყებებისა თუ საზოგადოების მაღალი ფენის წარმომადგენელთა შეთქმულებებისა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისას (1832 წლის შეთქმულება), ქართველი ხალხის ეთნიკური თვითშეგნებისა და ეროვნული ცნობიერების პრობლემა ყოველთვის გამოდიოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად.

შესასწავლი ეპოქის სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ნაშრომში სწორედ ამ ფონზეა გაშლილი და ძირითადი აქცენტიც ეროვნულ მოტივებზე – ქართველი ხალხის მდიდარ ეთნიკურ ისტორიაზე, წარსულის მრავალფეროვან კულტურულ მემკვიდრეობაზე და მასზე დაფუძნებულ აწყმოსა და მომავლის პერსპექტივებზეა გადატანილი.

ნაშრომის ძირითადი ქრონოლოგიური ჩარჩოს მნიშვნელოვანი ეტაპია XIX საუკუნის მეორე ნახევარი და XX საუკუნის დასაწყისი. იგი ხასიათდებოდა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ახალი აღმავლობით და ხელს უწყობდა ქართული კულტურისა და ეროვნული თვითშეგნების შემდგომ განვითარებასა და ამაღლებას. ამ პროცესზე უდიდეს გავლენას ახდენდა საქართველოში ევროპეიზაციის საწყისები – ევროპის მოწინავე ქვეყნების კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეთა გაცნობა და რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების პროგრესული წარმომადგენლების (*ა. გერცენი, ბ. ბელინსკი, ნ. დობროლიუბოვი, ნ. ჩერნიშევსკი* და სხვა) იდეები, მათი მსოფლმხედველობა. ამ პერიოდში ეყრება საფუძველი ეთნოგრაფიის დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბებას საქართველოში, ესე იგი, მაშინ, როდესაც დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში ეთნოგრაფია დამოუკიდებელი მეცნიერების სახეს იღებს. ამ დროისათვის ევროპის მოწინავე ქვეყნებში და ამერიკაში ყალიბდება სხვადასხვა იდეური მიმდინარეობანი და სკოლები, სადაც საველე-პრაქტიკულ და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას სპეციალურად შემუშავებული მეთოდი-

კით წარმართავენ. *ევოლუციონიზმის, დიფუზიონიზმის, ინგლისური ფუნქციონალური, ფრანგული სოციოლოგიური თუ ამერიკული ეთნოფსიქოლოგიური სკოლების* პროგრესულ წარმომადგენელთა შრომებში ჩამოყალიბდა და განისაზღვრა ეთნოგრაფიის ობიექტი და საგანი, მისი წყაროთმცოდნეობითი ბაზა, მეთოდოლოგიური საფუძვლები. ადრეული პერიოდის ქართველ მოღვაწეთა და მკვლევართა ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება სწორედ, ამ პერიოდის მოწინავე მიმართულებების წარმომადგენელთა მსოფლმხედველობასთან მჭიდრო კავშირში მიმდინარეობდა, რამაც განსაზღვრა კიდეც ამ ეპოქის ქართული ეთნოგრაფიული სკოლის თეორიული და მეთოდოლოგიური პინციპების ხასიათი და რაობა. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დასავლეთის ეთნოლოგიაში ანტიკური და ფეოდალური ხანიდან მომდინარე, ჯერ კიდევ ეთნოგრაფიული ცოდნის დაგროვების პროცესში გამოყენებული *შედარებით-ისტორიული მეთოდი,* რომელსაც ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად *ვახუშტი ბაგრატონთან* ვხვდებით. მანიშნებელია, რომ ქართველმა მეცნიერმა თავის შემოქმედებაში ეს მეთოდი დასავლეთის მეცნიერებისაგან რამდენადმე ადრე და ე.ი. დამოუკიდებლად გამოიყენა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეპოქალურ სიახლეებთან ერთად ქართულ ეთნოლოგიაში ფართო ასახვა ჰპოვა *ისტორიულ-მატერიალისტურმა, რეტროსპექტრული რეკონსტრუქციის, სტრუქტურულ-ანალიტიკურმა* თუ სისტემური კვლევების სხვა მიდგომებმა. ამასთან, ქართულმა ეთნოგრაფიულმა სკოლამ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა საველე კვლევა-ძიების *კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდის* შემუშავებაში, რომელმაც თავის დროზე ფართო აღიარება ჰპოვა საბჭოთა ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში და დღესაც წარმატებით გამოიყენება საველე – კვლევა ძიების პროცესში.

XIX-XX საუკუნეების ქრონოლოგიურად გარდამავალ და შინაარსობრივად რთულ პერიოდში, ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების ფონზე, ეროვნული კულტურის აღმავლობისა და ერთიანი ეროვნული ცნობიერების განსამტკიცებლად, ეთნოგრაფიის სამსახურში ჩადგნენ მოწინავე ქართველი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, მეცნიერ-მკვლევარები, კულტურის და ხელოვნების წარმომადგენლები. მონოგრაფიის ამ ნაწილში თანმიმდევრობითაა ნაჩვენები ქართული საზოგადოების განუხრელი ბრძოლა კულტურ-საგანმანათლებლო საქმიანობის გააქტიურების სფეროში, რასაც მოჰყვა ცარიზმის ადმინისტრაციის მიერ თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში სკოლებისა და გიმნაზიების გახსნა, კავკასიის მუზეუმის, ქართული თეატრისა და პრესის ორგანოთა დაარსება, სხვადასხვა საზოგადოებების ჩამოყალიბება და ა.შ.

ნაშრომის ამ ნაწილში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა XIX საუკნის მეორე ნახევრის იმ უცხოელ მოგზაურ-მკლევევართა წერილებსა და ჩანაწერებს, რომლებშიც კავკასიის ხალხთა ტრადიციული ყოფისა და კულტურის არაერთი მნიშვნელოვანი მხარე, ევროპელი ეთნოლოგიური ცოდნის განვითარებისა და პროგრესის კვალდაკვალ, ახალი მეცნიერული დებულებებით შეივსო და გამდიდრდა. ამ თვალსაზრისითაა მიმოხილული *ნიკოლოზ კოლიუბაკინის (1810-1868 წწ.), კარლ სტალის (დაიბ. 1817 წ), ოსიპ კონსტანტინოვის (1813-1856 წწ.), პეტრე უსლარის (1816-1875 წწ.), ბერნჰარდ დორნის (1805-1881 წწ.), ვსევოლოდ მილერის (1848-1913 წწ.), გუსტავ რადეს (1831-1903 წწ.), მაქსიმე კო-*

*ვალევსკის (1851-1916 წწ.), ადოლფ ბერჟეს (1828-1870 წწ.), ევგენი ვეიდენბაუმის (1845-1918 წწ.), კარლ ჰანისა (1848-1925 წწ.),* და ხსვ. ნაშრომები და წერლები, რომელთაც არსებითი გავლენა მოახდინეს ქართული ეთნოგრაფიული სკოლის თეორიული და მეცნიერული პრინციპების ჩამოყალიბებაზე.

XIX საუკნის 50-იანი წლებიდან საქართველოში მეცნიერების, განათლებისა და კულტურის, საერთოდ საზოგადოებრივი აზრის აღმავლობისა და განვითარების საქმეში დიდი როლი შეასრულა რუსეთის საიმპერატორო საზოგადოებების კავკასიური განყოფილებებისა და ფილიალების ჩამოყალიბებამ და პერიოდული პრესის შესაბამისი ორგანოების დაარსებამ. პრესის და პერიოდიკის მრავალფეროვანი სპექტრიდან ეთნოგრაფიული აზროვნების განვითარება ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა *რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ჩანაწერებს (1852-1916 წწ.), რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მოამბეს (1872-1917 წწ.), ცნობათა კრებულს კავკასიის მთიელთა შესახებ (1868-1881 წწ)* და *მასალების კრებულს კავკასიის ადგილთა და ტომთა აღწერისათვის (1881-1927 წწ.),* რომლებშიც სისტემატურად ქვეყნდებოდა ანალიტიკური და განმაზოგადოებელი ხასიათის ეთნოგრაფიული ნაშრომები ქართველი და კავკასიელი ხალხების ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის, ყოფისა და კულტურის საკითხებზე.

ამავე თვალსაზრისით, არანაკლებ მნიშვნელოვანი გახლდათ სოფლის მეურნეობის საიმპერატორო საზოგადოებების ჟურნალები: *კავკასიის სოფლის მეურნეობა (1983-1913 წწ.), კავკასიის სოფლის მეურნეობის ჩანაწერები (1893-1909 წწ), კავკასიის სოფლის მეურნეობის განყოფილების შრომები (1885-1893 წწ), კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების კრებული (1878-1894 წწ),* აგრეთვე სოფლის მეურნეობის საკითხებზე შექმნილი ფუნდამენტური მრავალტომეულები: *მასალები ამიერკავკასიის სახელმწიფო გლეხების ეკონომიკური ყოფის შესწავლისათვის, ტტ. I-VII, (1885-1887 წწ); მასალების კრებული ამიერკავკასიის სახელწიფო გლეხების ეკონომიკური ყოფის შესწავლისათვის, ტტ. I-V, (1887-1888 წწ.), მასალები კავკასიაში სახაზინო საზაფხულო და საზამთრო საძოვრების მოწყობისა და მესაქონლეობის შესწავლისათვის, ტტ. I-IV, (1887-1895 წწ)* და სხვ.

აღსანიშნავია, აგრეთვე, თბილისში გამომავალი კავკასიური საგაზეთო მედიის ფლაგმანები: *ტფილისის უწყებანი (1828-1833 წწ.), ამიერკავკასიის მოამბე (1836-1864 წწ.), კავკასიის კალენდარი (1846-1917 წწ.), კავკაზი (1856-1918 წწ.), კავკასიის სიძველეები (1872-1873 წწ.), კავკასიის არქეოლოგიური კომისიის აქტები (1866-1904 წწ.)* და სხვ., რომლებშიც მოღვაწეობდნენ და პირველ ეთნოგრაფიულ ნაშრომებს, სტატიებსა და წერილებს აქვეყნებდნენ ზემოთ დასახელებული ქართველი და უცხოელი მოგზაურ-მკვლევარები და საზოგადო მოღვაწეები.

მოვლენათა განვითარების ამ ფონზეა გაშლილი ახალი პერიოდის ქართული მეცნიერებისა და, მათ შორის, ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარება-ჩამოყალიბების პროცესები, რაც, სამეცნიერო-ორგანიზაციული თვალსაზრისით, დაკავშირებული იყო კავკასიის მუზეუმში ეთნოგრაფიის განყოფილების გახსნასა და მისი პირველი კურატორის – ცნობილი ქართველი მწერლისა და

საზოგადო მოღვაწის *რაფიელ ერისთავის* საქმიანობასთან. აღნიშნული პერიოდის გამოჩენილ მოღვაწეთა მრავალმხრივი შემოქმედებიდან ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის შესწავლა წინამდებარე ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს. ამ მხრივ მონოგრაფიის ამ ნაწილში მიმოხილულია XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ მეცნიერ-მკვლევართა, კერძოდ *დიმიტრი ბაქრაძის (1826-1890 წწ.), პლატონ იოსელიანის (1810-1875 წწ.), ნიკო ხიზანაშვილის (1851-1906 წწ.), ბესარიონ ნიჟარაძის (1852-1919 წწ.), მარი ბროსეს (1802-1880 წწ.), პეტრე უმიკაშვილის (1838-1904 წწ.), ალექსანდრე ხახანაშვილის (1864-1914 წწ.), ნიკოლოზ ბერძენიშვილის (1820-1874 წწ.), იონა მეუნარგიას (1852-1919 წწ.), დიმიტრი ჯანაშვილის (1840-1905 წწ.), ნიკო ჯანაშიას (1872-1918 წწ.), მოსე ჯანაშვილისა (1885-1934 წწ.)* და სხვ. ძირითადი ეთნოგრაფიული პუბლიკაციები – წერილები, სტატიები, შრომები,მონოგრაფიები, მათი სპეციფიკური ეთნოგრაფიული საქმიანობა.

მანიშნებელია, რომ *რაფიელ ერისთავმა* და მის გვერდით მოღვაწე აღნიშნულმა მეცნიერ-მკვლევარებმა, განსხვავებით უცხოელ ავტორთაგან, პირველებმა უარყვეს მანამდე ეთნოგრაფიული მასალების შეკრებისას გამოყენებული ე.წ. *რარიტეტული მეთოდი* და სამუზეუმო და საველე-ეთნოგრაფიული საქმიანობა სპეციალურად შედგენილი პროგრამებისა და კითხვარების მიხედვით წარმართეს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ქართველ მკვლევართა პირველსავე ეთნოგრაფიულ ნაშრომებში დაძლეული იქნა დასაველთის ავტორთათვის ჯერ კიდევ დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებიდან მომდინარე ე.წ. *კურიოზული ლიტერატურის* პრეცენდენტები და ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ამსახველი სიუჟეტები თუ სამუზეუმო კოლექციები მათ ნაშრომებში პირველად შეფასდა რეალისტური მსოფლმხედველობის თვალთახედვით.

საქართველოში ეთნოგრაფიული მეცნიერების თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპების განსაზღვრა-ჩამოყალიბების საქმეში რაფიელ ერისთავთან ერთად უდიდესი როლი შეასრულეს თერგდალეულთა პლეადის გამოჩენილმა ქართველმა მწერლებმა: *ილია ჭავჭავაძემ (1837-1907 წწ.), აკაკი წერეთელმა (1840-1915 წწ.), ვაჟა – ფშაველამ (1861-1915 წწ.), ალექსანდრე ყაზბეგმა (1848-1893 წწ.),* რამდენადმე მოგვიანებით კი *იაკობ გოგებაშვილმა (1840-1912 წწ.), დავით კლდიაშვილმა (1862-1931 წწ.), ვასილ ბარნოვმა (1856 - 1934 წწ.),* და სხვ. წინამდებარე ნაშრომში აღნიშნულ მწერალთა შემოქმედებას ცალკე თავი დაეთმო, რომლის შესავალშიც ხაზგასმულია, რომ თავიანთ მხატვრულ შემოქმედებაში ქართველი ხალხის ტრადიციულ – ყოფით კულტურის ელემენტებს ისინი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ეთნიკური თვითშეგნებისა და ეროვნული ცნობიერების აქტიურობის თვალთახედვით აფასებდნენ. ამ ამოცანის შესასრულებლად ისინი ფართოდ იყენებდნენ ქართველი ხალხის მიერ საუკუნეების განმავლობაში შექმნილი სამეურნეო-კულტურული მიღწევების, მატერიალური და სულიერი კულტურის მაღალმხატვრული ნიმუშების, სოციალური ურთიერთობის სფეროში ჩამოყალიბებული იმ ღირებულებების მხატვრულ-ესთეტიკურ ანალიზსა და განზოგადოებას, რომლითაც, ზემოთ დასახელებულ თუ ადრეული პერიოდის უცხოელ – მკვლე-

ვართა არაერთგზის შეფასებით, ქართველ ხალხს ღირსეული წვლილი აქვს შეტანილი მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში.

საქართველოში ეთნოგრაფიული მეცნიერების ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვანი ეტაპი გახლდათ XIX-XX საუკუნეების მიჯნა და XX საუკუნის პირველი მეოთხედი, მაშინ, როდესაც ქართულ ისტორიოგრაფიაში მოვიდნენ უახლესი პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ბრწყინვალე წარმომადგენლები – *ნიკო მარი (1864-834 წწ.), ივანე ჯავახიშვილი (1876-1940 წწ.) და ექვთიმე თაყაიშვილი (1863-1953 წწ.).* ნაშრომის ამ ნაწილში გამორჩეულადაა ხაზგასმული მათი დამსახურება ქართველი და კავკასიელი ხალხების ისტორიისა და ეთნოგრაფიიის პრობლემური მიმართულებების დასმისა და გადაწყვეტის საქმეში.

ამავე პერიოდში უშუალოდ ეთნოგრაფიული ჩანაწერების, საველე მასალის პირველადი ინტერპრეტაციისა და განზოგადოების შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს *თედო სახოკიას (1868-1956 წწ.)* მოღვაწეობა, რომელიც სათანადო ევროპული განათლების მიღების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და საუკუნის დასაწყისიდანვე პირველხარისხოვანი ეთნოგრაფიული ნაშრომებითა და მონოგრაფიებით გაამდიდრა ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერება.

და ბოლოს, საქართველოში ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების მიზნებისა და ამოცანების, მისი მეთოდოლოგიური საფუძვლებისა და წყაროთმცოდნეობითი ბაზის განსაზღვრის, ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებაში ახალი მიმართულებების შემოტანისა და დამკვიდრების კეთილშობილურ საქმეს, XX საუკუნის 20-იანი წლებიდან, დიდი ამაგი დასდო *გ. ჩიტაიამ (1890-1986 წწ.),* რომელიც კანონიერად ითვლება ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიული სკოლის მამამთავრად.

ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიული სკოლის განვითარება-ჩამოყალიბების რთული და მრავალმხრივი პროცესები, რომელთა წარმატებებით დაძლევამ და გადაწყვეტამ უახლესი პერიოდის ქართულ ეთნოგრაფიას მსოფლიო აღიარება მოუპოვა, ჩვენი ნაშრომის მეორე ნაწილში იქნება წარმოდგენილი.

## 2. ქრონოლოგია და პერიოდიზაცია

ეთნოგრაფიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის ისტორიის შესწავლას, ჩვენშიც და საზღვარგარეთის ქვეყნებშიც შედარებით გვიან ჩაეყარა საფუძველი. ბუნებრივია, ამას თავისი მიზეზები გააჩნდა. ნებისმიერი სამეცნიერო დარგის ისტორიის შესწავლა მიზნად ისახავს თვალი გაადევნოს ამ მეცნიერების საწყისებს, მისი ჩამოყალიბებისა და ფორმირების პროცესებს, და არა მხოლოდ იმას, თუ როდის ჩამოყალიბდა იგი დამოუკიდებელ მეცნიერებად. ეთნოგრაფიის განვითარების ამ ხანგრძლივ და რთულ გზაზე კი მრავალი ფაქტი და მოვლენა იყრის თავს, რომლის ირგვლივ დავა და კამათი დღესაც გრძელდება. ერთ-ერთ ასეთ საკამათო საკითხს ეთნოგრაფიის საგნობრივი სფეროს გამიჯნვა და განსაზღვრა წარმოადგენს.

წყაროთმცოდნეობითი ბაზის სპეციფიკის გამო *ეთნოგრაფია განვითარების ადრეული ეტაპიდანვე ინტეგრირებული იყო არა მარტო საზოგადოებათმცოდნეობით, არამედ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთანაც.* ადრე ეთნოგრაფიის დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბებამდე, საზოგადოებრივი მეცნიერების *ამ დარგის ისტორია ზოგადად სამოქალაქო ისტორიის შემადგენელ ნაწილად განიხილებოდა.* ზეპირსიტყვიერი წყაროების მნიშვნელობიდან გამომდინარე,ზოგჯერ ეთნოგრაფიას *ხალხური ზეპირსიტყვიერების ანუ ფოლკლორისტიკის ნაწილადაც მიიჩნევდნენ*[1]. იმის გამო, რომ ეთნოგრაფიას შეხების წერტილები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთანაც გააჩნდა, ადრე და XX საუკუნის 40-იან წლებამდეც კი, იგი საბუნებისმეტყველო მეცნიერების დარგადაც იყო აღიარებული[2]. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში ეთნოგრაფიის ისტორიაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ისტორიასთან ერთად განიხილებოდა.

სხვა, პრინციპულად განსხვავებული შეხედულებებიც, ეთნოგრაფიის საგნისა და ობიექტის საკითხთან იყო დაკავშირებული. კერძოდ, ნაწილი მეცნიერებისა თვლიდა, რომ ეთნოგრაფიას მხოლოდ დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდგომ მსოფლიო ისტორიის თვალსაწიერში შემოსული „ჩამორჩენილი“ ხალხები უნდა შეესწავლა[3]. სხვების აზრით, ეთნოგრაფიის საგანს მსოფლიოს ყველა, და მათ შორის, საკუთარი ხალხების ტრადიციულ-ყოფითი კულტურის შესწავლა წარმოადგენდა[4].

აზრთა სხვადასხვაობა იყო მეთოდოლოგიური მიდგომის თვასაზრისითაც. ისევე როგორც მეცნიერების სხვა დარგებში, *ეთნოგრაფიის ისტორიაც ორ ნაწილად განიხილებოდა: ფაქტოლოგიური მონაცემების დაგროვების ისტორია და შეხედულებათა განვითარების ისტორია, ანუ დაგროვილი მასალის გააზრება და განზოგადება*[5].

ეთნოგრაფიული ცოდნის დაგროვებისა და მისი გააზრების თავისთავად სწორმა კლასიფიკაციამ, არასწორი ინტერპრეტაცია მიიღო მცდელობაში – ასეთი დაყოფა მეცნიერების ამ დარგის სახელწოდებაშიც ასახულიყო. ამ შემთხვევაში, ტერმინი ეთნოგრაფია მასალის აღწერის, ცოდნის დაგროვების აღსანიშნავად იგულისხმებოდა, ხოლო მოძიებული მასალის კვლევა და თეორიული ანალიზი, თითქოსდა, ეთნოლოგიის საქმეს წარმოადგენდა.

აღნიშნულ საკითხებს ვრცლად ქვემოთ, ნაშრომის შესაბამის თავში შეეხებით, მაგრამ ეთნოგრაფიის ისტორიის გააზრების თვალთახედვით, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დარგისა და მისი ისტორიის დაყოფა აღწერილობით და თეორიულ, განმაზოგადოებელ ნაწილებად, თავიდანვე არასწორ პოზიციად იქნა მიჩნეული[6].

მეცნიერების ნებისმიერი დარგის ისტორია, პირველ რიგში, მისი ჩასახვისა და განვითარების დღიდან თანამედროვეობამდე, გარკვეული საკლასიფიკაციო პრინციპებით განსაზღვრულ პერიოდიზაციას გულისხმობს. ასეთი პერიოდიზაცია ეთნოგრაფიის ისტორიასაც გააჩნია.

თანამედროვე მეცნიერებაში ზოგადი ეთნოგრაფიის ისტორიის პერიოდიზაციაზე განსხვავებული შეხედულებები არსებობს (ჯ. კოკიარა, ჰ. ფიშერი, ს. ლურიე, ს. ტოკარევი და სხვ.). აანალიზებდა რა დასავლეთის მეცნიერების მონაცემებს ეთნოგრაფიული ცოდნის დაგროვებისა და ეთნოგრაფიის დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბების თვალთახედვით, გიორგი ჩიტაია ეთნოგრაფიული მეცნიერების ისტორიის შესავლის ზოგად სალექციო კურსში მეცნიერების ამ დარგის ისტორიას ხუთ დამოუკიდებელ პერიოდად ყოფდა. აღნიშნული პერიოდიზაციის მიხედვით, *ეთნოგრაფიის ისტორიის პირველი პერიოდი იწყება ძველი წელთაღრიცხვით 2000 წელს და გრძელდება ახალი წელთაღრიცხვით V საუკუნემდე; მეორე პერიოდი გრძელდება ჩვენი წელთაღრიცხვით V საუკნიდან ვიდრე XVIII საუკუნის ბოლომდე; მესამე პერიოდი – XIX საუკუნის დასაწყისიდან ამავე საუკუნის შუა ხანებამდე; მეოთხე – XIX საუკნის შუა ხანებიდან 1917 წლამდე, ხოლო მეხუთე მოიცავს 1917 წლის შემდგომ პერიოდს*[7].

თავის დროზე დასაველთის მეცნიერებაში ეთნოგრაფიის ისტორიის ანალოგიური პერიოდიზაცია საკამათოდ იყო მიჩნეული. *ამერიკელი და ევროპელი მეცნიერები ეთნოგრაფიის ისტორიას ძვ. წელთაღრიცხვით VIII საუკუნიდან – საბერძნეთის ისტორიით იწყებდნენ*[8].

მართალია წერილობითი წყაროები სისტემატიურ ხასიათს სწორედ ბერძნული ცივილიზაციიდან იღებენ, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, *ეთნოგრაფიის ისტორიის მილმა რჩება უძველესი ცივილიზაციის ცენტრების მონაცემები. შუმერულ-ბაბილონური და ეგვიპტური ცივილიზაციის მონაცემებს კი იეროგლიფური, ლურსმული, ფინიკიური თუ ებრაული ძეგლების სახით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ისტორიულ ეთნოგრაფიაში*[9]. ამის ნათელი მაგალითია *ლეგენდა წარღვნის შესახებ, გილგამეშის ეპოსი*, განსაკუთრებით კი *ძვ. წ. IX საუკუნის ებრაული დაბადება*, სადაც სხვა უამრავ ეთნოგრაფიულ ცნობებთან ერთად მოცემულია მსოფლიოს ხალხათა წარმოშობისა და გენეალოგიის პირველი ცდები[10].

ჩვენ არ შევუდგებით აღნიშნული საკლასიფიკაციო სისტემის ყოველი ცალკეული პერიოდის მიმოხილვას. ქრონოლოგიის ზედაპირული გაცნობიდანაც კარგად ჩანს, რომ ეთნოგრაფიის ისტორიის აქ წარმოდგენილი პერიოდიზაცია თანმიმდევრობით მოიცავს მსოფლიო ისტორიის ისეთ უმნიშვნელოვანეს ფაქტებსა და მოვლენებს, როგორიცაა: ანტიკური და ელინისტური ხანის ლაშქრობები და აღნიშნული ეპოქის მოგზაურ-მკვლევართა ისტორიული მემკვიდრეობა, მსოფლიო რელიგიების აღმოცენება-განვითარება, ხალხთა გადასახლებები და მისიონერული მოღვაწეობა, არაბულ-თურქული და მონღო-

ლური ექსპანსიები თუ ევროპის სახელმწიფოთა სწრაფვა წინა, შუა და შორეული აღმოსავლეთის სავაჭრო ცენტრებისაკენ და მასთან დაკავშირებული ისტორიულ-გეოგრაფიული მემკვიდრეობა, დიდი გეორგაფიული აღმოჩენები და მსოფლიო ისტორიული განვითარების კანონზომიერების ახლებური ინტერპრეტაციების ცდები, ბურჟუაზიული ეპოქის სამეცნიერო-ტექნიკური გადატრიალებანი და ახალი პერიოდის საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების ჩამოყალიბება და ა.შ.

საქმე იმაში გახლდათ, რომ მსოფლიო ისტორიული განვითარების ეს პროცესები და მასთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული მეცნიერების ფორმირების რთული პრობლემები, სხვადასხვა კონტინენტებსა და სხვადასხვა ქვეყნებში, მეტნაკლებად, სხვადასხვა დროსა და ვითარებაში მიმდინაროებდა. აქედან გამომდინარე, ამა თუ იმ ქვეყნის კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების, შესაბამისად, კი საზოგადოებრივი შეხედულებების ფორმირებასთან ერთად, ისტორიის განვითარების ეტაპები ამ ქვეყნებში ხშირად განსხვავებულ სურათსაც იძლეოდა. ამის ნათელი მაგალითია *რევოლუციამდელი რუსული ეთნოგრაფიის ისტორიის ტოკარევისეული პერიოდიზაცია, რომელიც შუაფეოდალური ხანიდან, კერძოდ, XI საუკუნიდან იწყება და 1917 წლამდე 8 პერიოდს მოიცავს*[11].

გ. ჩიტაიას ზემოთაღნიშნული ნაშრომი, ზოგადი ეთნოგრაფიის ისტორიის შესახებ არსებული ერთადერთი ქართული წყაროა, რომელშიც ასევე პირველადაა შეფასებული საქართველოში ეთნოგრაფიული აზროვნების განვითარებისა და ეთნოგრაფიის დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი ფაქტორები. სამწუხაროდ, გ. ჩიტაიას არ მოუცია ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების პერიოდიზაციის გარკვეული სქემა, თუმცა მის მრავალრიცხოვან ნაშრომებსა და ანგარიშებში არაერთხელაა საუბარი საქართველოს ეთნოგრაფიის ამა თუ იმ პერიოდის შესახებ.

საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიას ზოგადად მიმოიხილავს ალ. რობაქიძეც, რომელიც თავის ცნობილ ნაშრომებში[12] ქართული ეთნოგრაფიული აზროვნების ისტორიის კონკრეტულ მიჯნებს არ ასახელებს.

თანამედროვე ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ეთნოგრაფიის ისტორიის პერიოდიზაციის საკითხს უშუალოდ შეეხო, ვ. ითონიშვილი. 1989 წელს გამოცემული *ქართული ეთნოგრაფიის ნარკვევების*[13] შესავალში იგი ვრცლად ჩერდება საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიის საკითხებზე და სამართლიანად მიუთითებს, რომ დარგის განვითარების სრულყოფილი შესწავლა გულისხმობს წყაროების მიმოხილვასაც. ამის შესაბამისად ქართული ენთოგაფიის ისტორიას იგი ორი ძირითადი საფეხურის სახით წარმოადგენს: *1. ფაქტობრივი მონაცემების დაგროვებისა და წყაროებში მისი ასახვის პერიოდი და 2. მასალების შემდგომი შეგროვებისა და შესწავლა-გაანალიზების საფუძველზე ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარება-ჩამოყალიბების ეპოქა*[14].

ზოგადი ეთნოგრაფიის მონაცემების გათვალისწინებით, ვ. ითონიშვილი ქართული ეთნოგრაფიის განვითარების პირველ საფეხურს სწორედ უძველესი ცივილიზაციის ცენტრებიდან იწყებს და მიიჩნევს, რომ ქართულ ნარატიულ და დოკუმენტურ წყაროებთან, სამართლის წიგნებსა თუ ლიტერატურულ ძეგლებში წარმოდგენილ მონაცემებთან ერთად ეთნოგრაფიული თვალსაზრისით

შესწავლას მოითხოვენ ძველი აღმოსავლეთის, ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაული, შუა საუკუნეების ევროპული და აღმოსავლური წერილობითი წყაროები, უცხოელ დამკვირვებელთა, მოგზაურთა და მისიონერთა ნაწერები, სომეხ ისტორიკოსთა ცნობები, რუს მკვლევართა და მოხელეთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული აღწერა- გამოკვლევები და ა.შ.[15]

ვ. ითონიშვილი ასევე სამართლიანად აკრიტიკებს მოსაზრებებს იმის შესახებ, თითქოსდა, საქართველოში ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების დაწყება მხოლოდ საბჭოთა პერიოდს უნდა უკავშირებოდეს[16]. მისივე შენიშვნით, მართალია, ჩვენ ვერ მოვთხოვთ ფეოდალური ხანის ავტორებს ეთნოგრაფიული მეცნიერების ცოდნას, მისი მიზნებისა და ამოცანების რამდენადმე სწორ და გამართულ ინტერპრეტაციას, მაგრამ, ცხადია, რომ ამ ეპოქის ზოგიერთი ავტორი გასცდა ფაქტების უბრალო ფიქსაციის დონეს და კვლევისა და ანალიზის გარკვეულ საფეხურზე ავიდა. ვ. ითონიშვილს ასეთ ავტორებად მიაჩნდა ქართული ისტორიული აზროვნების ისეთ წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ: ლეონტი მროველი, განსაკუთრებით კი, ვახუშტი ბაგრატიონი. იგი მათ გვერდით ასახელებს აგრეთვე გამოჩენილ ქართველ მწერალსა და ლექსიკოგრაფს სულხან საბა ორბელიანს, რომელმაც უმდიდრეს ეთნოგრაფიულ მასალებს მოუყარა თავი როგორც თავის მხატვრულ შემოქმედებაში, ასევე კარგად ცნობილ ქართულ ლექსიკონში[17].

საქართველოს ეთნოგრაფიის, ქართული ეთნოგრაფიული აზროვნების განვითარების ასეთი სწორი შეფასების შემდეგ, ვ. ითონიშვილი ასკვნის, რომ „საქართველოს ისტორიასთან ერთად ვახუშტიმ ბრწყინვალედ შეისწავლა ქართველი ხალხის ყოფითი კულტურა და ტრადიციები, რითაც საფუძველი შეუმზადა ქართულ ეთნოგრაფიულ მეცნიერებას. ამიტომ, ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების ისტორია ვახუშტის მოღვაწეობის შეფასებით უნდა დავიწყოთ“[18].

ვფიქრობთ, მკვლევარის პირველი შენიშვნა, საქართველოში ეთნოგრაფიული აზროვნების განვითარების შესახებ, ზედმიწევნით სიზუსტით ასახავს რეალურ სინამდვილეს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მეცნიერების ნებისმიერი დარგი, და მათ შორის ეთნოგრაფიაც, მხოლოდ იმის შემდეგ იწყებს დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის სახით არსებობას, როდესაც ირკვევა მისი საგნობრივი სფერო, განისაზღვრება საკუთარი წყაროები და კვლევა-ძიების სპეციფიკური მეთოდი, მაშინ ცხადია ეთნოგრაფიამ ასეთ თეორიულ და მეთოდოლოგიურ სრულყოფას, ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო ცენტრების კვალდაკვალ, XIX საუკუნის მეორე ნახევარში მიაღწია. ასეთ ვითარებაში ვახუშტი ბაგრატიონის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობაც ქართული ეთნოგრაფიული აზროვნების მაღალი რანგის ნიმუშად უნდა ვაღიაროთ და დავეთანხმოთ ვ. ითონიშვილს, რომ გამოჩენილი გეოგრაფისა და ისტორიკოსის შემოქმედებამ, მართლაც რომ სერიოზული საფუძველი მოუმზადა ქართულ ეთნოგრაფიულ მეცნიერებას. რაც შეეხება საკუთრივ დარგის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის ისტორიას, რომელიც მჭიდრო კავშირში იყო ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძერებთან, ამ პერიოდში აღმოცენებულ ფილოსოფიურ აზროვნებასთან და, შესაბამისად, საზოგადოებრივი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების ფორმირება-

ჩამოყალიბების პროცესებთან, იგი, ბუნებრივია, XIX საუკნის მეორე ნახევრიდან უნდა დავიწყოთ.

ამრიგად, განხილული მონაცემები გვიჩვენებენ, რომ საქართველოს ეთნოგრაფიის განვითარების საფეხურები ზოგადეთნოგრაფიული პერიოდიზაციის მონაცემთა გათვალისწინებით შეიძლება შემდეგ პერიოდებად დავყოთ:

1. *უძველესი ცივილიზაციებისა და ანტიკური ხანის პერიოდი ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნემდე,* რაც თუ მხედველობაში არ მივიღებთ მომიჯნავე მეცნიერების – არქეოლოგიის მონაცემებს, ძირითადად საქართველოს ეთნოგრაფიის შესახებ არსებულ უცხოურ წყაროებს მოიცავს;

2. *V-XI საუკუნეების ქართული ჰაგიორგაფიული ლიტერატურის ძეგლები,* რომლებშიც ძირითადად ქართელი ხალხის ყოფისა და კულტურის მნიშვნელოვანი თავისებურებანია ასახული;

3. *XI-XVIII საუკუნეების ქართული ეთნოგრაფიული აზროვნების გამოჩენილი წარმომადგენლების ლეონტი მროველისა და ვახუშტი ბაგრატიონის აღწერილობით-ანალიტიკური მემკვიდრეობა;*

4. *XIX საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკნის შუა ხანებამდე, ეთნოგრაფიის დამოუკიდებელ სამეცნიერო დარგად ფორმირების უშუალო წინაპირობები;*

5. *XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან 1925 წლამდე, ეთნოგრაფიის ჩამოყალიბება დამოუკიდებელ სამეცნიერო დარგად;*

6. *1925-1990 წლები ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიული სკოლის ჩამოყალიბება და განვითარება;*

7. *1991 წლიდან დღემდე ეთნოგრაფიის განვითარება დამოუკიდებელ, სუვერენულ საქართველოში.*

საქართველოში ეთნოგრაფიული ცოდნის დაგროვებისა და ეთნოგრაფიის განვითარების ისტორიის აქ წარმოდგენილი საკლასიფიკაციო სისტემა, საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიის პერიოდიზაციის ერთ-ერთ პირველ ცდას წარმოადგენს. ბუნებრივია, იგი არ იქნება დაზღვეული გარკვეული უზუსტობისაგან, რაც პირველ რიგში ცალკეული პერიოდების ქრონოლოგიური ჩარჩოების შემდგომ დახვეწა – სრულყოფასთან იქნება დაკავშირებული.

## 3. ისტორიოგრაფიული მიმოხილვა

საქართველოში ეთნოგრაფიის ისტორიის შესწავლას ბოლო დრომდე სისტემატიური ხასიათი არ მიუღია, თუმცა ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიული სკოლის წარმომადგენლებმა ამ პრობლემასაც არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა მიუძღვნეს. რევოლუციამდელ მკვლევართა შორის ამ მიმართებით შეიძლება *ვს. მილერის*[1], *ა.ხახანაშვილის*[2], *გ.ჟორდანიასა*[3] და *დ.არაყიშვილის*[4] წერილები დავასახელოთ, რომლებიც დაბეჭდილია მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საიმპერატორო საზოგადოების განყოფილების მიერ 1908 წლის 12 მარტს, ი.ჭავჭავაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სესიის მოხსენებათა სახით. მართალია, აღნიშნულ მოხსენებებში პირველადაა შეფასებული გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ავტორთა უმრავლესობა ჯერ კიდევ შორსა დგას საქართველოში ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარება-ჩამოყალიბების საქმეში, ილია ჭავჭავაძის უდიდესი დამსახურების სრულყოფილი აღნუსხვისაგან.

საქართველოს ეთნოგრაფიისა და ფოლკლორისტიკის ისტორიის რიგი საკითხებია გაშუქებული აგრეთვე, *ა. ხახანაშვილის* ორტომიან მონოგრაფიაში ქართული სიტყვიერების ისტორიის შესახებ[5].

ცალკე აღნიშვნის ღირსია XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართველ ეთნოგრაფთა, ისტორიკოსთა და საზოგადო მოღვაწეთა ეთნოგრაფიული მემკვიდრეობისადმი, აგრეთვე ბიო-ბიბლიოგრაფიული შეფასებისადმი მიძღვნილი წერილები[6], რომლებშიც, ამ პრობლემების მიმოხილვასთან ერთად მოცემულია, ამ პერიოდის საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიის ცალკეული ეტაპების დახასიათებაც.

საყურადღებო ისტორიოგრაფიული ხასიათის შენიშვნებია გამოთქმული *ლ. მელიქსეთ-ბეგის* ნაშრომშიც[7], რომელშიც ქართული ეთნოგრაფიის ისტორიის საკითხები ძველსომხური და ქართული ლიტერატურული ძეგლების მიმოხილვის ფონზეა მოცემული.

საქარველოს ეთნოგრაფიის ისტორიის შესწავლას გეგმაზომიერი, სისტემატური ხასიათი არც ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ჩამოყალიბება-განვითარების პირველ წლებში მიუღია, თუმცა ამ თვალთახედვით, გ.ჩიტაიას პირველსავე წერილებში არაერთი სახელმძღვანელო დებულებებია ჩამოყალიბებული. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების *„მიმომხილველში"* დაბეჭდილი წერილი-*„ქართული ეთნოლოგია"*[8], რომელიც თავისი თეორიული და მეთოდოლოგიური გააზრებით, ქართული ეთნოლოგიის წარსულის, თანამედროვეობისა და პერსპექტიული მიმართულებების კვლევისა და ანალიზის მნიშვნელობით, ახალი პერიოდის ქართული ეთნოგრაფიული სკოლის უპირველეს ფუძემდებლურ ნაშრომად ითვლება. მანიშნებელია, რომ ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის ისტორიაც, ჩვეულებრივ, ამ წერილის პუბლიკაციით იწყება.

მართალია, აღნიშნულ წერილში საქართველოს ეთნოგრაფიის განვითარება ცალკეული ეტაპების მიხედვით არაა განხილული, მაგრამ აქ მოტანილი

ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების შეფასებები უდაოდ ნათელს ფენს ქართული ეთნოგრაფიის ისტორიის არაერთ პრობლემურ საკითხს. აქვეა გაკეთებული მეტად მეტყველი მინიშნებები საერთოკავკასიური თუ დასავლური ეთნოლოგიის ისტორიასა და მის პარალელებზე ქართულ მონაცემებთან, რაც კიდევ უფრო ზრდის ნაშრომის ისტორიოგრაფიულ ღირებულებას.

საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, შევეხებით რამდენიმე მათგანს.

ახასიათებს რა XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული ეთნოგრაფიის წყაროთმცოდნეობით ბაზას, მკვლევარი გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებს პირველხარისხოვან უტყუარ ფაქტებს, რომელთა მოძიება-შეგროვების საქმე აღნიშნულ პერიოდში, მისივე მართებული შენიშვნით, ჯერ კიდევ ყოველგვარ სისტემურობას მოკლებულ, შემთხვევით ხასიათს ატარებდა. ბუნებრივია, გამორიცხული იყო ეთნოგრაფიული მასალის შეგროვების ყველაზე სანდო და ნაყოფიერი-სტაციონალური მუშაობის პრაქტიკა. გ. ჩიტაია აღნიშნულ ნაკლს ამჩნევდა ისეთი, საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერების ნაშრომებსაც კი, როგორებიც იყვნენ *ა.სენ-მარტენი, მ.კოვალევსკი, კ. ინოსტრანცევი* და სხვ.[9] რევოლუციამდელი და შემდგომდროინდელი პერიოდის კავკასიათმცოდნეობაში პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი და კავკასიელი ხალხების ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების პროცესში იმ მეთოდების დაძლევას, რომელსაც ევროპულ ეთნოლოგიაში პირველყოფილი ხალხების შესწავლისას იყენებდნენ. გამომდინარე იქედან, რომ კავკასიაში არ არსებობენ პირველყოფილი ხალხები, და, რომ აქ მხოლოდ პირველყოფილობის რელიქტური მოვლენებია შემონახული, გ.ჩიტაია კატეგორიულად მოითხოვდა ამ მეთოდების უარყოფას კავკასიოლოგიურ კვლევებში[10]. ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული სამყაროს შესწავლისათვის გ.ჩიტაია მოითხოვდა ორმაგი: ეთნოლოგიური და ისტორიულ-კულტურული მეთოდების გამოყენებას, რაც დაკავშირებული იქნებოდა შესაბამისი ეთნოგრაფიული მასალების შეგროვებასთან. სწორედ მეთოდოლოგიური პრინციპების, კერძოდ კვლევის კომპლექსური მეთოდის უარყოფასთან იყო დაკავშირებული *გ. ჩურსინის, ა.ბიჰანისა* და სხვ. ნაშრომების ნაკლი, რომლებშიც მკვლევარის აზრით მატერიალური და სულიერი კულტურისა თუ სოციალური ურთიერთობის პრობლემათა გაშუქების პროცესში გამოყენებული იყო წინასწარ შემუშავებული ნორმების მორგება, ისტორიულ-არქეოლოგიური მასალების იგნორირება, სხვა (ანთროპოლოგიური, ლინგვისტური და ა.შ.) მეცნიერებათა საკლასიფიკაციო პრინციპების უკრიტიკოდ გადმოტანა ეთნოლოგიაში და ა.შ.[11]

ზოგადი და ქართული ეთნოგრაფიის ისტორიის ცალკეულ ეტაპებთანაა დაკავშირებული *მაქს ტილკეს, პაულ ლე ზერის, აქსელ ოლრიკის, ოტო ფონ-ვეზენდოკის, მიხაკო წერეთელის, ივანე ჯავახიშვილისა* და სხვ. ნაშრომების კრიტიკული მიმოხილვებიც[12]. დაბოლოს, *გ. ჩიტაია* ეხება გვაროვნული წეს-წყობილების პრობლემას საქართველოში, რაც მთელს XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ იდგა ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების დღის წესრიგში. მკვლევარის მართებული შენიშვნით საქართველოსა და კავკასიის მთიანეთში შემორჩენილი *ე.წ. გვაროვნული წყობილების* ნაშთები უკუქცევითი პროცესის შედეგია, მეორადი მოვლენაა და მათი გამოყენება უძველესი ხანის

ქართლის სოციალური ცხოვრების აღსადგენად დაუშვებელი და შეუძლებელია[13]. შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურეს, რომ გ.ჩიტაიას ამ შეფასებას კავკასიათმცოდნეობის ეთნოლოგიის ისტორიოგრაფიაში საეტაპო მნიშვნელობა გააჩნდა, რომლის საფუძველზეც ქართულ საბჭოთა ეთნოგრაფების მრავალწლიანი კვლევა-ძიების შედეგად, დასავლეთის მეცნიერებაში კავკასიის მთიელთა მიმართ შემუშავებული ეს სტერეოტიპი საბოლოოდ იქნა დაძლეული.

ზოგადი და საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიის მეცნიერული მიმოხილვის ერთ-ერთ პირველ ცდას გ.ჩიტაიას მიერ გასული საუკუნის 50-იან წლებში ე.წ. *„სვეტების“* სახით დაწერილი სალექციო კურსი წარმოადგენს[14]. ამ ნაშრომში ავტორს მოცემული აქვს ეთნოგრაფიული მეცნიერების ისტორია უძველესი ცივილიზაციების პერიოდიდან ვიდრე ოქტომბრის რევოლუციამდე, რომელშიც თხრობა მის მიერვე კრიტიკული თვალთახედვით მიმოხილული პერიოდიზაციის ფონზე იშლება. ჩვენთვის მთავარი ის გახლავთ, რომ ზოგადი ეთნოგრაფიის ისტორიის ხუთი ძირითადი პერიოდის ფარგლებში ავტორი მეტნაკლები კორექტივებით ათავსებს საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიასაც.

გ.ჩიტაია აღნიშნულ ნაშრომში პირველად ქართულ ეთნოგრაფიაში იძლევა მეტად საყურადღებო და საინტერესო ექსკურსს საქართველოს ეთნოგრაფიის უძველეს პერიოდზე, კერძოდ, იგი მიმოიხილავს ძველაღმოსავლური და ეგვიპტური ცივილიზაციების, აგრეთვე ანტიკური ხანის მოგზაურ-მკვლევართა ეთნოგრაფიულ მონაცემებს ქართველი ტომების, უძველესი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანებების შესახებ. ჰეროდოტეს, ჰიპოკრატეს, ქსენოფონტეს, სტრაბონისა და ანტიკური და ელინისტური ხანის სხვა მოგზაურ-მკვლევართა ნაშრომებში ავტორი შესაშური ინტუიციით აგნებს და ახასიათებს ეთნოგრაფიულ სიუჟეტებს და მოხერხებულად იყენებს მათ ქართველ ტომთა ტრადიციული ყოფისა და კულტურის ურთულესი პრობლემების ასახსნელად[15].

ქართულ ეთნოგრაფიასთან კავშირში და მისი ინტერესებიდან გამომდინარეა გაშლილი თხრობა შუა საუკუნეების ეპოქალური მოვლენების ირგვლივ, კერძოდ ქრისტიანული და მუსლიმანური რელიგიების გავრცელების, ხალხთა დიდი გადასახლებებისა და მისიონერთა მოღვაწეობის შესახებ. ავტორი ჩვეული ყურადღებით მიმოიხილავს დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგებს, ეთნოგრაფიული მეცნიერების თვალთახედვით და მართებულად მიუთითებს მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე აღორძინებისა და შემდგომდროინდელი ეპოქების მეცნიერული აზროვნების განვითარებისა და ჩამოყალიბების საქმეში[16]. ნაშრომის ამ ნაწილში ნაჩვენებია შუა საუკუნეების ფეოდალურ-კლერიკალურ შეხედულებათა თანდათანობითი ტრანსფორმაციის პროცესები საზოგადოების განვითარების საქმეში ისტორიული კანონზომიერების აღიარების მიმართულებით, რამაც საფუძველი მოუმზადა ახალი პერიოდის ისტორიული აზროვნების ფორმირებას და შესაბამისად საზოგადოებრივი მეცნიერებების, მათ შორის, ეთნოგრაფიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის მეთოდოლოგიური პრინციპების ჩამოყალიბებას[17].

ეთნოგრაფიის ხანგრძლივი ისტორიის წინარე პერიოდების მონაცემებს გ. ჩიტაია ლოგიკურად უკავშირებს XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის მოვლენებს, მაშინ როდესაც კაცობრიობის განვითარების ზე-

მოთაღნიშნული პროგრესის ნიადაგზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში აღმოცენებული ევოლუციური შეხედულებანი საზოგადოებათმცოდნეობის დარგებში იქნა გადატანილი და აღნიშნული ფილოსოფიური მიმდინარეობის მამამთავრები *ე. ტეილორი, ა. ბასტიანი, ლ. მორგანი* და სხვები ერთდროულად ეთნოგრაფიული მეცნიერების ფუძემდებლებად წარმოგვიდგნენ. აქვე, ზოგად შტრიხებშია დახასიათებული *დიფუზიონიზმის, ფრანგული სოციოლოგიური, ვენის კულტურულ-ისტორიული და ამერიკის ისტორიული სკოლების* ძირითადი მიმართულებები, რომლებიც XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ხანმოკლე პერიოდში ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყნების ეთნოგრაფიული მეცნიერების თეორიულ მიმდინარეობებს წარმოადგენდნენ და განსაზღვრავდნენ მის მეთოდოლოგიურ პრინციპებს, საგნობრივ სფეროსა და ამოცანებს[18].

გ.ჩიტაიას ეთნოგრაფიული მეცნიერების ისტორიის ეს ნარკვევი, მასში განხილული რიგი ეპოქებისა და შესაბამისი პრობლემების სალექციო კურსისათვის ჩვეული სქემატური ხასიათის მიუხედავად, ზოგადი, ამ ფონზე კი საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიის გლობალური პროცესების მიმოხილვის ერთ-ერთ პირველ ცდას წარმოადგენს და მას თავისი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა დღემდე არ დაუკარგავს.

ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის ისტორიის მეტად მნიშვნელოვან პერიოდს მოიცავს გ.ჩიტაიას ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ნაშრომი *„ქართული საბჭოთა ეთნოგრაფია (1930-1968)“*, რომელიც სულ ახლახან გამოქვეყნდა მისივე შრომების მესამე ტომში[19]. საქართველოში ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარების ტრადიციული ქარგის მიხედვით, ნაშრომის შესავალში მოკლედაა დახასიათებული ეთნოგრაფიული აზროვნების განვითარების ისტორია უძველესი პერიოდიდან ვიდრე XX საუკუნის 30-იან წლებამდე. ნაშრომის ამ მონაკვეთში ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების მიმოხილვასთან ერთად ავტორი დიდ ყურადღებას აქცევს საკუთრივ ეთნოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიური პრინციპების ფორმირების პროცესს და საფუძვლიანად აშუქებს ეთნოგრაფიული კვლევის ახალი – *კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდის* უპირატესობას. სწორედ ამ ფონზეა დახასიათებული ქართველი საბჭოთა ეთნოგრაფების ის უდიდესი წარმატებები, რომელთა მეშვეობითაც საფუძველი დაედო და ჩამოყალიბდა შემდგომში კარგად ცნობილი ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიული სკოლა[20].

ავტორი თანმიმდევრობით მიმოიხილავს ქართული ეთნოგრაფიის მიღწევებს საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობისა და მიგრაციის, ქართველი ხალხის ისტორიის პერიოდიზაციის, ეთნოგენეზისა და კულტურულ-ისტორიული პრობლემების, სამეურნეო ყოფის, მატერიალური და სულიერი კულტურის, სოციალური ურთიერთობის, აგრეთვე ახალი სოციალური ყოფისა და კულტურის სფეროებში.[21] ნაშრომის დასკვნით ნაწილში ავტორი ახასიათებს საქართველოში ეთნოგრაფიული განათლებისა და კვლევა-ძიების ცენტრებს, მათ შორის აჭარის, აფხაზეთისა და ოსეთის, აგრეთვე სხვა რეგიონების სამეცნიერო დაწესებულებებისა და სამხარეთმცოდნეო მუზეუმების საქმიანობას. აქვეა დახასიათებული ქართველ ეთნოგრაფთა საერთაშორისო კავშირები და ფართომასშტაბიანი საგამომცემლო საქმიანობაც. მხცოვანი

მეცნიერი არ ივიწყებს ქართული ეთნოგრაფიის პერსპექტივებსაც და საყურადღებო მოსაზრებებს გამოთქვამს ამ მიმართულებითაც[22].

გ. ჩიტაიას დიდი წვლილი საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიაში არ იქნებოდა სრულყოფილი იმ ნაშრომების გათვალისწინების გარეშე, რომლებშიც, მართალია, არაპირდაპირ, მაგრამ უხვადაა გაბნეული ჩვენთვის საინტერესო პრობლემების ანალიზი, ფაქტებისა და მოვლენების თეორიული გააზრება. ასეთ ნაშრომთა რიგს მიეკუთვნება მკვლევარის ახლახან გამოცემულ შრომების შესავალ ნაწილში მოთავსებული პირველადი პუბლიკაციები, კერძოდ, საქართველოს ეთნოგრაფიის შესავალი, ქართველი ხალხის ეთნოგენეზი და სხვ.[23], რომელთა სათანადო კვლევა და შეფასება მომავალში ქართველ ეთნოგრაფთა და ისტორიკოსთა არაერთი თაობის საპატიო მისია იქნება.

დაბოლოს, გ.ჩიტაიას საქართველოს, განსაკუთრებით კი ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის ისტორიის საკითხებზე, არაერთი მოსაზრება აქვს გამოთქმული იმ მრავალრიცხოვან ანგარიშებში, რომლებიც გამოქვეყნებულია ქართულ და რუსულ ენებზე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით[24].

გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიის პრობლემებს სერიოზული ნაშრომები მიუძღვნა *ალექსი რობაქიძემ*. მართალია, მის მიერ 1983 და1986 წლებში რუსულ და ქართულ ენებზე გამოცემულ მონოგრაფიასა და ნაშრომში ძირითადად ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის ისტორიის საკითხებია განხილული, მაგრამ ერთსაც და მეორესაც თან ერთვის ვრცელი შესავალი ნაწილი, რომლებშიც საქართველოში ეთნოგრაფიული ცოდნის დაგროვებისა და ეთნოგრაფიული აზროვნების განვითარების ადრეული ეტაპები ზოგადადაა მიმოხილული.

მონოგრაფიაში *„Пути развития Грузинской Советской этнографии“*[25], ალ. რობაქიძე ეხება ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის უპირველეს ძეგლს – *„წამებაი წმინდისაჲ შუშანიკისი“*, ახასიათებს ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიის გამოჩენილ წარმომადგენლებს *ლეონტი მროველსა (XI ს.) და ვახუშტი ბაგრატიონს (XVII-XVIII სს.)* და შედარებით ვრცლად მიმოიხილავს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი მწერლების, საზოგადო მოღვაწეებისა და მეცნიერების – *ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ნ. ხიზანიშვილის, ბ. ნიჟარაძის, თ. სახოკიას* და სხვ. ეთნოგრაფიულ მემკვიდრეობას[26].

ალ. რობაქიძის სამართლიანი შენიშვნით ილია ჭავჭავაძის განსაკუთრებული დამსახურება საქართველოს ეთნოგარფიაში მარტოდმარტო მისი ამ პერიოდის ქართული ეროვნულ-განმათავუსუფლებელი მოძრაობის ლიდერის პოზიციით ვერ აიხსნება. ქართველი ხალხის კულტურულ-ისტორიულ მიღწევათა მაღალგანვითარებული ფორმების – ტრადიციების, ზნე-ჩვეულებების, ეკონომიკური და იურიდიული ცხოვრების თავისებურებების, ერის ინტელექტუალური შესაძლებლობების გამომჟღავნებას ილია მარტო პოეზიის დანიშნულებაში როდი ხედავდა. პოეტის ღრმა განსწავლულობას, ქართველი ხალხის წარსულის ხედვისა და მისი გმირული ისტორიის სიღრმეებში წვდომის ინტელექტუალურ შესაძლებლობას, ობიექტურად მიჰყავდა იგი ცხოვრების ქართული წესის მრავალწახნაგოვანი კვლევისა და ანალიზის აუცილებლობისაკენ. ამ ამოცანის განხორციელებაში მას გვერდში ედგა ეროვნულ-განმათავისუფ-

ლებელი ბრძოლების ქარცეცხლში ნაწრთობი თერგდალეულთა მოწინავე რაზმი[27].

საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიის ძირეული პრობლემების ილიასეული გააზრებიდან გამომდინარე, ალ.რობაქიძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გამოჩენილი ქართველი მწერლების ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის შეფასებას. შეიძლება ითქვას, რომ მონოგრაფიაში მათ შესახებ შეტანილ კვლევასა და სათანადო ანალიზს, კერძოდ, დებულებას საქართველოსა და კავკასიის მთიანეთში ყოფისა და კულტურის ტრადიციული ფორმების ადგილისა და როლის შესახებ, აღნიშნული პერიოდის ქართული ეთნოგრაფიის ისტორიისათვის ეპოქალური შეფასების მნიშვნელობა გააჩნია[28]. ალ.რობაქიძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის ისტორიოგრაფიის მიმოხილვას, რომელმაც, ავტორის მართებული შენიშვნით, კანონზომიერი აღიარება მოიპოვა არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მსოფლიოს მასშტაბითაც. ნაშრომის შესაბამის განყოფილებებში მიმოხილული და დახასიათებულია ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების ცალკეულ მიმართულებათა განვითარების თანმიმდევრული ეტაპები, ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ყველა არსებითი მხარის გათვალისწინებით. კერძოდ, მოცემულია მატერიალური კულტურის, სამეურნეო ყოფის, სოციალური ურთიერთობების, ხალხური ადათ-წესებისა და რწმენა-წარმოდგენების, ქართველი ხალხის სხვა მეზობელ ხალხებთან კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების ამსახველი ყველა, მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ნაშრომი და მათ ავტორთა დამსახურება ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის წინაშე. ავტორი განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების დახასათებას აფხაზეთში, აჭარასა და ოსეთში, რომელთა სააკადემიო კვლევა-ძიების ცენტრებმა განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს კავკასიათმცოდნეობის ეთნოგრაფიაში[29].

საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიისადმი მიძღვნილ ალ. რობაქიძის მეორე ნაშრომში – *„ქართული საბჭოთა ეთნოგრაფია“*[30], რომელიც ქართულ ენაზე 1986 წელს საბჭოთა საქართველოში ისტორიული მეცნიერების განვითარების პრობლემებისადმი მიძღვნილ კრებულში დაიბეჭდა, შედარებით ვრცლადაა დახასიათებული საქართველოში ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარება-ჩამოყალიბების ეტაპები. აღნიშნული ნაშრომის შესავალში ავტორი საგულდაგულოდ მსჯელობს ქართველ თერგდალეულთა და მათ მემკვიდრეთა განსაკუთრებულ დამსახურებაზე ქართული ეროვნული ცნობიერებისა და ეთნიკური თვითშეგნების გამოცოცხლება-აღორძინების საქმეში[31]. ალ. რობაქიძე დიდ ყურადღებას აქცევს აგრეთვე პირველ ქართველ ეთნოგრაფთა მოღვაწეობასა და მათი შემოქმედების შედეგებს, რამაც დიდი გავლენა იქონია ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების შემდგომ განვითარებაზე საქართველოში[32].

საქართველოს, კავკასიისა და ზოგადი ეთნოგრაფიის ისტორიის განვითარების საკითხებს ალ.რობაქიძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ცალკე წერილებსა და სტატიებში[33], აგრეთვე სპეციალურ მონოგრაფიაში[34], რომელიც ცხოვრების ქართულ წესსა და ტრადიციებს მიეძღვნა და, რომელშიც საქართველოს ეთნოგრაფიის არაერთი საკითხია მოკვლეული ისტორიული რეტროსპექტივის ჭრილში.

ახალი თაობის ქართველ ეთნოგრაფთა შორის საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიის საკითხებით ერთ-ერთი პირველი *ვალერიან ითონიშვილი* დაინტერესდა. 1963 წელს გამოცემულ თავის ცნობილ ნაშრომში *„ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეთნოგრაფია“*[35] იგი პირველად შეეხო ქართული ეთნოგრაფიის განვითარების გზებს, ხაზი გაუსვა ისტორიული ეთნოგრაფიის ძირითად პერიოდებს და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის ღვაწლზე ქართული ეთნოგრაფიის განვითარების საქმეში.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების კვლევისა და ანალიზის საფუძველზე მონოგრაფიაში ილია დახასიათებულია როგორც ეთნოგრაფიული მასალების ენთუზიასტი შემგროვებელი, ეთნოგრაფიული მეცნიერების ეპოქალური მიღწევების მცოდნე, გამჭრიახი მკვლევარი და მისი დიდი მოამაგე[36].

ილია ჭავჭავაძის პროზისა და პოეზიის, პუბლიცისტური ნაწერების საგულდაგულო მიმოხილვითა და შეფასებით ვ.ითონიშვილმა შეძლო დაესაბუთებინა, რომ ილია ჭავჭავაძის მიერ შედგენილმა პროგრამამ და მისივე უშუალო ხელმძღვანელობით გაშლილმა ინტენსიურმა მუშაობამ, რომელშიაც ჩაბმულნი იყვნენ მისივე თანამედროვე მოწინავე ქართველი მწერლები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები, საფუძველი მოუმზადეს ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების ჩამოყალიბებას დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად[37].

ვ. ითონიშვილი შემდგომშიც არაერთხელ დაუბრუნდა საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიის საკითხებს. სპეციალურ ნაშრომში *„ქართული ეთნოგრაფიის ნარკვევები“*[38], რომელიც მიეძღვნა XIX საუკუნის ცნობილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების რაფიელ ერისთავის, ილია ჭავჭავაძისა და ალქსანდრე ყაზბეგის ეთნოგრაფიულ მემკვიდრეობას, ავტორი შედარებით ვრცლად შეეხო საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიოგრაფიის პრობლემებს. ნარკვევების შესავალში მკვლევარი იძლევა ეთნოგრაფიის განვითარების მოკლე მიმოხილვას და ზოგადი ეთნოგრაფიის მონაცემებზე დაყრდნობით ეთნოგრაფიის ისტორიას საქართველოში უძველესი ცივილიზაციის პერიოდიდან იწყებს[39]. ვ. ითონიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ადრინდელ ქართულ წერილობით წყაროებსა და ფეოდალური ხანის ეთნოგრაფიის ისტორიას XI საუკუნემდე, მაშინ როდესაც ქართულ ეთნოგრაფიულ აზროვნებას სათავე დაუდო ფეოდალური ხანის ქართული ისტორიოგრაფიის ერთერთმა ფუძემდებელმა ლეონტი მროველმა. ავტორი ზოგად შტრიხებში მიმოიხილავს ლეონტი მროველისა და გამოჩენილი ქართველი გეოგრაფისა და ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონის შემოქმედებას, რომელსაც იგი ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების მამამთავრად მიიჩნევს[40].

ეხება რა რაფიელ ერისთავის, ილია ჭავჭავაძის და ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებას, ვ. ითონიშვილი სწორად აფასებს ეთნოგრაფიული მეცნიერების დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბების წინაპირობებს და სამართლიანად მიაჩნია, რომ ეს პროცესები საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში სწორედ მათი აქტიური ეთნოგრაფიული მოღვაწეობის შედეგად განვითარდა და ჩამოყალიბდა[41].

ნარკვევების შესავალსა და ძირითად ნაწილებში ამ პერიოდში მიმდინარე მოვლენები ავტორს განხილულია აქვს ქვეყნის რთული სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ვითარების ფონზე. საგულისხმოა ისიც, რომ ქართველი ხალხის ყოფითი კულტურისა და ტრადიციების შესწავლა და მეცნიერების ამ დარგის ფორმირება, ავტორის სამართლიანი შენიშვნით, ეროვნული თვითმყოფადობისა და ცხოვრების ქართული წესის შენარჩუნების ამოცანას ემსახურებოდა.

საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიის საკითხები მნიშვნელოვანწილად გაშუქებულია ს. ჭანტურიშვილის ნაშრომებში, რომლებიც ძირითადად ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიული ეთნოგრაფიის კვლევა-ძიებისადმია მიძღვნილი. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ავტორის მონოგრაფია *„ყოფა და კულტურა V-X საუკუნეების საქართველოში“*[42], რომელშიც გამოკვლეულია როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ისე კულტურული ყოფის საკითხები. ამ ვრცელი და მრავალპლანიანი მონოგრაფიიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მისი შესავალი ნაწილი და პირველი თავი, სადაც ამომწურავადაა მოცემული საკითხის ისტორიოგრაფია და წყაროები.

ისტორიული ეთნოგრაფიის, როგორც ეთნოგრაფიის სუბდისციპლინის განსაზღვრასთან ერთად, ავტორი იძლევა საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიის მის მიერ შერჩეული პერიოდის ქრონოლოგიური საზღვრების გამოჯნვადეფინიციას, აღნიშნული პერიოდის ეთნიკური ისტორიის ძირითადი მომენტებისა და მასთან დაკავშირებული ეთნოგრაფიის ისტორიის ცალკეული პრობლემების დახასიათებას. ავტორი მიმოიხილავს ფეოდალური ხანის ამ უმნიშვნელოვანესი პერიოდის მეურნეობასა და სამეურნეო ყოფას, ოჯახსა და საოჯახო ურთიერთობებს, აღზრდისა და სწავლა განათლების პრობლემებს, დაბადების, ნათლობის, გარდაცვალებისა და დაკრძალვის რიტუალებთან დაკავშირებულ საკითხებს, ქართველების კავშირურთიერთობებს მეზობელ ქვეყნებთან და ხალხებთან და ა.შ. ყველა ამ კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, ავტორი იძლევა ლიტერატურული წყაროების კრიტიკულ შეფასებასა და ანალიტიკური ხასიათის ისტორიოგრაფიულ წიაღსვლებს.[43] ასეთი ხასიათის მრავალპლანიანი გამოკვლევა ქართულ ისტორიულ ეთნოგრაფიაში იშვიათობას წარმოადგენს და მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფეოდალური ხანის ქართული ეთნოგრაფიის ისტორიის შესახებ დღემდე გამოქვეყნებულ გამოკვლევათა შორის.

გარდა ზემოთ აღნიშნული მონოგრაფიისა *ს. ჭანტურიშვილს* ეკუთვნის აგრეთვე 1989 და 1999 წლებში გამოცემული ორი ნაშრომი – *„ეთნოგრაფიული მეცნიერების მოკლე ისტორია“* და *„კავკასიის ხალხების ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის საკითხები“*[44], რომლებიც ძირითადად სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის განკუთვნილ სასწავლო-მეთოდოლოგიური ხასიათის დამხმარე სახელმძღვანელოებს წარმოადგენენ.

*„ეთნოგრაფიული მეცნიერების მოკლე ისტორიაში“* მოცემულია აღნიშნული სამეცნიერო დარგის განვითარების ისტორია უძველესი დროიდან დღემდე. აქვე ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ეთნოგრაფიის წყაროთმცოდნეობით ბაზას, საველე ეთნოგრაფიულ მასალებს, ლიტერატურულ წყაროებს, საგნობრივ ძეგლებს, ლინგვისტურ მონაცემებს. დახასიათებულია უძველესი ცივილიზაციების,

ანტიკური ხანის, შუა საუკუნეების, დიდი გეოფრაფიული აღმოჩენების მნიშვნელობა ეთნოგრაფიისათვის, ასევე მოკლედაა მიმოხილული კოლონიალიზმის, სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ეპოქები, ეთნოგრაფიის ჩამოყალიბება დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად, უმთავრესი მომდინარეობები ეთნოგრაფიაში, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება და საბჭოთა სკოლა ეთნოგრაფიაში, აგრეთვე ეთნოგრაფიის ქართული სკოლა და ა.შ.[45]

რაც შეეხება ს. ჭანტურიშვილის მეორე ნაშრომს – "*კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიური შესწავლისა და ეთნიკური ისტორიის ძირითადი საკითხები*", აქ ავტორი ზოგადად მიმოიხილავს კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიური შესწავლის ისტორიას, კერძოდ, ქართველ, კავკასიელ და უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა დამსახურებას ამ მიმართებით. ამასთან ერთად, ს.ჭანტურიშვილი კავკასიის ხალხების ეთნოლინგვისტური და ანთროპოლოგიური კლასიფიკაციების საფუძველზე იძლევა ქართველების, აფხაზების, სომხების, აზერბაიჯანლებისა და ჩრდილო და ამიერკავკასიის სხვა ხალხების ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის ძირითადი ეტაპების მოკლე დახასიათებას[46].

საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიის ზოგიერთი საკითხი შესულია *ს. ჭანტურიშვილის* ეთნოლოგიის სახელმძღვანელოს პირველ (1993 წ.) და მეორე (1999 წ.) გამოცემებში[47]. იმდენად, რამდენადაც აქ თითქმის უცვლელადაა განმეორებული ეთნოგრაფიული მეცნიერების მოკლე ისტორიისა და კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიური შესწავლისადმი მიძღვნილ ნაშრომებში განხილული საკითხები, ჩვენ მათზე დაწვრილებით აღარ შევჩერდებით.

ს.ჭანტურიშვილს ეკუთვნის აგრეთვე რამდენიმე ცალკე გამოქვეყნებული ისტორიული ეთნოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი ხასიათის წერილი,[48] რომლებშიც ასევე საყურადღებო მოსაზრებებია გამოთქმული საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიის საკითხებზე.

ქართული ეთნოლოგიის ისტორიის საკითხებს, კერძოდ ქართველ მწერალთა ეთნოგრაფიული შემოქმედების კვლევა-ძიებას მნიშვნელოვანი ნაშრომები მიუძღვნა ო. მიმინოშვილმა. რ. ერისთავის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის შესახებ ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომებს[49], მკვლევარმა ბოლო პერიოდში ცალკე წიგნად გამოცემული მონოგრაფიებიც დაუმატა, რომლებშიც ვრცლადაა მიმოხილული ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთელისა და აღ. ყაზბეგის მხატვრული შემოქმედების ეთნოგრაფიული თავისებურებები[50].

საქართველოს ეთნოლოგიის ცალკე სამეცნიერო დარგად ფორმირების პროცესებია ასახული ო. მიმინოშვილისა და ვ. შამილაძის ისტორიოგრაფიულ ნაშრომში, რომელიც ასევე ცალკე პუბლიკაციის სახითაა წარმოდგენილი[51].

ბოლო პერიოდში საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიის წყაროთმცოდნეობისა და ისტორიის საკითხებს საყურადღებო ნაშრომები მიუძღვნა *ვ. შამილაძემ.* მონოგრაფიაში *„ქართველ და უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა ეთნოლოგიური ცნობები კავკასიის ხალხების შესახებ"*[52], განხილულია ქართველი და უცხოელი მოგზაურ-მკვლევარების ჩანაწერები და ნაშრომები კავკასიის ხალხების შესახებ უძველესი დროიდან ვიდრე XIX საუკუნის დასასრულამდე. ავტორი მიმოიხილავს ასურულ-ურარტულ წყაროებსა და ბიბლიურ მონაცემებს, ანტიკური და ბიზანტიური ხანის მოგზაურ-მკვლევართა და მისიონერთა

ჩანაწერებს, ადრე, შუაფეოდალური ხანისა და აღორძინების ეპოქის ავტორთა ნაშრომებს.

ვ. შამილაძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს XVII-XIX საუკუნეების მოგზაურ-მკვლევართა ცნობებს, რომლებიც ასახავენ კავკასიის *„აღმოსავლური დიპლომატიის"* გლობალურ პროცესებში მოქცევასა და ამ რეგიონისადმი ევროპის წამყვანი სახელმწიფოებისა და რუსეთის იმპერიის გაძლიერებულ დაინტერესებას სამეურნეო-კულტურული, სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენების მოპოვების თვალსაზრისით[53]. ავტორისეული თხრობა ბიო-ბიბლიოგრაფიულ მონაცემებზე გაშლილია აღნიშნულ პერიოდში კავკასიაში მიმდინარე ისტორიული პროცესების განვითარების ფონზე, სადაც პირველ პლანზეა წამოწეული საქართველოსა და კავკასიაში ეთნოგრაფიული ცოდნის დაგროვების, ეთნოგრაფიული აზროვნების განვითარებისა და ეთნოგრაფიის დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად ფორმირება-ჩამოყალიბების პროცესები[54].

საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიის პრობლემათა კვლევის თვალთახედვით, ასევე მნიშვნელოვანია *ვ. შამილაძის* ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული ნაშრომი *„ლიტერატურული ტრადიციები კავკასიის ხალხთა ერთიანი წარმომავლობის შესახებ პალეოანთროპოლოგიური და ეთნოარქეოლოგიური მონაცემების შუქზე"*, რომელიც კავკასიის ხალხთა წარმოშობის ლეონტი მროველისეული ეთნოგენეტიკური კონცეფციის ანალიზზეა აგებული. ავტორი იძლევა ლეონტი მროველისეული კონცეფციის პერსპექტიულ მიმოხილვასაც და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ფეოდალური ხანის ეთნოგრაფიული აზროვნების ამ კლასიკურმა ნიმუშმა, მოგვიანებით, შესანიშნავი გაგრძელება ჰპოვა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის შემოქმედებაში[55].

ნაშრომის განსაკუთრებულ ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ, ფეოდალური ხანის ქართული ისტორიოგრაფიის ამ შესანიშნავი ძეგლის მაგალითზე, ავტორმა შედარებით-ისტორიული და რეტროსპექტიული რეკონსტრუქციის კვლევის მეთოდების გამოყენებით, შეძლო მოეცვა საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიის ხანგრძლივი პერიოდი პალეოანთროპოლოგიური და ეთნოარქეოლოგიური მონაცემებიდან ვიდრე თანამედროვე ეპოქამდე, დაესაბუთებინა *„კავკასიის ერთიანი კულტურული სამყაროს"* ადგილი და როლი ქართველი და კავკასიელი ხალხების ეთნოგენეტიკური და ეთნო-კულტურული ურთიერთობების ხანგრძლივ პროცესში[56].

საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიის უმნიშვნელოვანეს პერიოდებში ქართველ ეთნოგრაფთა მიღწევებზე და მომავლის პერსპექტივებზეა საუბარი ვ. შამილაძის გამოქვეყნებულ სპეციალურ წერილში ქართული ეთნოლოგიის მიღწევებისა და პერსპექტივების შესახებ[57]. წერილში ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის, სამეურნეო ყოფისა თუ სოციალური ურთიერთობის სფეროებში საუკუნეების განმავლობაში შექმნილი და ჩამოყალიბებული უნიკალური ძეგლები და ნიმუშები, რელიგიური და ერთაშორისი ურთიერთობების ტრადიციები ახსნილი და გაანალიზებულია ცხოვრების ქართული წესის განსაკუთრებული სიმტკიცისა და გამძლეობის, მისი ტოლერანტული, ჰუმანისტური ბუნებისა და რაობის ფონზე[58]; ნაჩვენებია, რომ ქართველი

ხალხის ეროვნული ცნობიერების ამ ფენომენის გამოვლენასა და შესწავლას ქართველ ეთნოლოგთა არაერთი თაობის ძალისხმევა მოუნდა. წარსულის მიღწევების გათვალისწინებითაა დასახული ქართული ეთნოლოგიის სადღეისოდ აუცილებელი პერსპექტივებიც[59].

ქართული ეთნოგრაფიის ისტორიოგრაფიის მიმოხილვა არ იქნებოდა სრულყოფილი ქართველ ეთნოგრაფთა იმ წერილებისა და ნაშრომების მითითების გარეშე, რომლებიც საერთოდ ზოგადი ეთნოგრაფიის საკითხებს მიეძღვნა და რომლებშიც მეტნაკლებად გაშუქებულია ჩვენთვის საინტერესო პერიოდის თეორიული შეხედულებები. ასეთ ნაშრომთა რიგს განეკუთვნება *გ. ჩიტაიას*[60], ა.რობაქიძის[61], მ.გეგეშიძის[62], ა.ლეკიაშვილის[63], ჯ.რუხაძისა და თ.ოჩიაურის,[64] ნ.ბრეგაძის,[65] ვ.შამილაძის,[66] ნ.ჩინჩალაძის,[67] ლ.ფრუიძის,[68] ლ.მელიქიშვილის,[69] პ.ყიფიანის,[70] ვ. ითონიშვილის,[71] ვახტანგ ითონიშვილისა[72] და სხვ. წერილები და მონოგრაფიები, რომლებიც გათვალისწინებული და გამოყენებულია წინამდებარე ნაშრომის შესაბამის თავებში.

მონოგრაფიის ისტორიოგრაფიული მიმოხილვის დასასრულს ზოგადად მივუთითებთ ისტორიის, ლიტერატურათმცოდნეობის, ფოლკლორისტიკისა და სხვა მომიჯნავე მეცნიერებათა დარგებში შესრულებულ იმ ნაშრომებსა და მონოგრაფიებს[73], რომლებშიც გაშუქებულია ქართველი მწერლების, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების ადგილი და როლი ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ჩამოყალიბებისა და ფორმირების საქმეში.

ასეთია ძირითადად საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიის შესწავლის სადღეისო მდგომარეობა. რევოლუციამდელი და ქართული საბჭოთა ეთნოგრაფების მიერ ამ მხრივ ჩატარებული კვლევა-ძიება ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესწავლის გარკვეულ დონეს ასახავს. მთლიანად საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიოგრაფია, განსაკუთრებით კი მისი რევოლუციამდელი ხანა, ჯერ კიდევ ცალკე აღებული, ხშირად იზოლირებული პერიოდებისა და კონკრეტული ავტორების, ან კიდევ ავტორთა ჯგუფების ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის შესწავლა-შეფასებით ამოიწურება და რიგ შემთხვევებში მოკლებულია სათანადო ანალიზსა და განზოგადოებას. ამ მხრივ კიდევ უფრო მეტი შეიძლება ითქვას ჩვენთვის საინტერესო პერიოდზე – XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ მეოთხედზე, რომელიც ფაქტობრივად ეთნოგრაფიული მეცნიერების ფორმირების უშუალო წინაპირობებს, მის ჩამოყალიბებას დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად და განვითარება-ფორმირების ურთულეს პროცესებს ეხება და ახლებურ კვლევასა და ანალიზს მოითხოვს.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიის მიმართულებით დღემდე ჩატარებული კვლევა-ძიება საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიოგრაფიის უდავოდ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს და, ბუნებრივია, იგი დიდ დახმარებას გაუწევს საქართველოს ეთნოლოგიის ისტორიით დაინტერესებულ პირებს.

შესავალი

1. *მიზანი, წყაროები, მეთოდოლოგია*

1. საქართველოს ეთნოლოგიის ისტორიის ცალკეული პერიოდების შესახებ არსებული ძირითადი წყაროები, მონოგრაფიები, სტატიები და წერილები მითითებულია წინამდებარე ნაშრომის მომდევნო თავებსა და პარაგრაფებში შესაბამისი პერიოდის წყაროებისა და ცალკეულ ავტორთა ნაშრომების მიმოხილვისას

2. *ქრონოლოგია და პერიოდიზაცია*

1. *Дж. Коккиара*, История фольклористики в Европе, М., 1960,6
2. *Дж. Коккиара*, დასახ. ნაშრომი, 6-7
3. *Основы Этнографии*. Под редакцией С.А. Токарева, М., 1968,5
4. *А.И. Бондарчик*, История белорусской этнографии второй половины XIX – начала XX в., Минск. 1966.14
5. *Свод этнографических понятий и терминов*. Этнография и смежные дисциплины, этнографические субдисциплины, школы и направления, методы, М., 1988, 21-22,40; 68-70; Fischer H., *Volkerkunde, Etnographie, Etnologie* (Kritische kontrolle der Fruhesten Belege), Zeitschrift fur ethnologie, Braunschweig, 1970, Bd., 95. H. 2
6. *С.А.Токарев*. История русской этнографии. М., 1966, 4
7. *გ. ჩიტაია*, „სვეტები", ზოგადი ეთნოგრაფიის კურსი, შრომები, IV, თბ., 2001, 12-52
8. *С.А. Токарев*, Истоки этнографической науки, М., 1978, 8; *П.Ф. Преображенский*. Курс этнологии, М., Л., 1929,32
9. *С.А.Токарев*, Истоки этнографической науки, 8-9
10. *გ. ჩიტაია*, დასახ. ნაშრომი, 13-14; *С.А.Токарев*, Истоки этнографиеской науки, 14
11. *С.А. Токарев*, История русской этнографии, 20-22
12. *А.И. Робакидзе*, Пути развития грузинской советской этнографии, Тб., 1984; *მისივე*, ქართული საბჭოთა ეთნოგრაფია, ისტორიული მეცნიერების განვითარება საქართველოში. თბ., 1986
13. *ვ. ითონიშვილი*, ქართული ეთნოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1989
14. *ვ.ითონიშვილი*, დასახ. ნაშრომი, 40
15. *იქვე*, 3-5
16. *ვ. ითონიშვილი*. დასახ. ნაშრომი, 6
17. *იქვე*, 6-7
18. *ვ. ითონიშვილი*, დასახ. ნაშრომი, 7

3. *ისტორიოგრაფიული მიმოხილვა*

1. *Вс.Миллер*, Памяти бытописателя Грузии князя Ильи Григорьевича Чавчавадзе, «Этнографическое обозрение» (ЭО), Москва, 1908, № 1-2
2. *А. Хаханов*, Князь И.Г. Чавчавадзе как этнограф, ЭО. 1908. № 1-2
3. *Г. Жордания*, Быт и нравы грузинского народа середины XIX века в литературных произведениях кн. И.Г. Чавчавадзе, ЭО. 1908, № 1-2
4. *Д. Аракчиев*, Кн. И.Г. Чавчавадзе и его стихотворения в грузинской народной песне, ЭО, 1908, № 1-2
5. *ალ.ბახტაძე*, ქართული სიტყვიერების ისტორია, 1-2, ტფილისი, 1904-1913
6. *გ. ჩიტაია*. წინასიტყვაობა ნ.ხიზანიშვილის წიგნზე – ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ.,1940; *მისივე*, წინასიტყვაობა თედო სახოკიას წიგნზე – მოგზაურობანი. გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი, თბ.,1950; *მისივე*, ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული ეთნოგრაფია. აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1966; *მისივე*, ივ. ჯავახიშვილი და საქართველოს ეთნოგრაფია, შრომები, .II, თბ., 2000; მისივე, აკად. ს.ჯანაშია და ქართველი ხალხის წარმოშობის პრობლემა, მიმომხილველი, I,

თბ.,1949; *გ. ჩაჩანიძე*, ქართული ეთნოგრაფიის ისტორიიდან, მიხეილ თუმანიშვილი, თბ.,1953; *ალ. რობაქიძე*, ბესარიონ ნიჟარაძე – ნიგნში ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ.,1962 და სხვ.

7. *Л. Меликсет-Бек*, Вопросы этнографии Грузии в древнсармянских источниках, Тб., 1952
8. *გ. ჩიტაია*, ქართული ეთნოლოგია (ლიტერატურული მიმოხილვა), მიმომხილველი, თბ.,1926. შემდგომში ვსარგებლობთ აღნიშნული ნაშრომის ბოლო გამოცემით, რომელიც დაიბეჭდა გ. ჩიტაიას შრომებში. იხ. *მისი*, შრომები, III, თბ., 2001
9. *გ. ჩიტაია.* ქართული ეთნოლოგია (1917-1926), შრომები, III, თბ., 2001, 21
10. *იქვე*, 22-23
11. *გ. ჩიტაია.*, დასახ. ნაშრომი, 24-25
12. *იქვე*, 27-30
13. *იქვე*, 31-32
14. *გ. ჩიტაია*, „სვეტები", ზოგადი ეთნოგრაფიის კურსი, შრომები, IV, თბ., 2001
15. *გ. ჩიტაია.*, დასახ. ნაშრომი, 12-21
16. *იქვე*. 21-31
17. *იქვე*, 30-31 და შმდ.
18. *იქვე*, 37-46.
19. *გ. ჩიტაია.* ქართული საბჭოთა ეთნოგრაფია (1930-1968), შრომები, III, თბ., 2002
20. *გ. ჩიტაია.*, დასახ. ნაშრომი, 57-58 და შმდ.
21. *იქვე*. 61-69.
22. *იქვე*. 70-73
23. *გ. ჩიტაია*, ქართველი ხალხის ეთნოგენეზი, შრომები, II, თბ., 2000
24. *Г.С. Читая*. Этнография Грузии за советский период, Советская этнография, СЭ, № 3, 1940; *მისივე*, Этнографические исследования в Грузинской ССР, Советская этнография, № 4, 1948, *ა.აფაქიძე, ე.ხოშტარია, გ.ჩიტაია*, ქართული საბჭოთა ისტორიული მეცნიერება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავზე, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, III, თბ., 1958 და სხვ.
25. *А.И. Робакидзе*, Пути развития Грузинской Советской этнографии. Тб., 1983
26. *А.И. Робакидзе*, დასახ ნაშრომი, 3-5
27. *იქვე*, 3-5, 10-11 და შმდ.
28. *იქვე*, 6
29. *А.И. Робакидзе*, დასახ. ნაშრომი, 12-20 და შმდ.
30. *ალ.რობაქიძე*, ქართული საბჭოთა ეთნოგრაფია, ისტორიული მეცნიერების განვითარება საბჭოთა საქართველოში, თბ., 1986
31. *იქვე*, 153-157
32. *იქვე*, 156-157
33. *А.И. Робакидзе*, Фредерик де Лагуна и некоторые вопросы объективности в этнографии. Кавказский этнографический сборник, КЭС. IV, Тб., 1971; *მისივე*, Кавказоведческие проблемы грузинской этнографии. КЭС, V, 1972; *მისივე*, ეთნოგრაფია და თანამედროვეობა, სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, V, თბ., 1977
34. *ალ.რობაქიძე*, ტრადიცია და ცხოვრების წესი, თბ.,1981
35. *ვ.ითონიშვილი*, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეთნოგრაფია, თბ., 1963
36. *ვ.ითონიშვილი.* დასახ. ნაშრომი, 8-11
37. *იქვე*, 11
38. *ვ.ითონიშვილი*, ქართული ეთნოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1989
39. *იქვე*, 3-4
40. *იქვე*, 6-8
41. ეს საკითხები ვ.ითონიშვილს განხილული აქვს რ.ერისთავის შემოქმედებისადმი მიძღვნილ ადრე გამოქვეყნებულ წერილებშიც (*იხ. მისი.* რაფიელ ერისთავი როგორც ეთნოგრაფი, ჟურნ. ცისკარი. 11, 1974; *მისივე.* რაფიელ ერისთავის ნაწარმოებების ეთნოგრაფიული წყაროები, ჟურნ. მნათობი, 10, 1974

42. *ს.ჯანტურიშვილი*, ყოფა და კულტურა V-X საუკუნეების საქართველოში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევის ცდა), თბ., 1984
43. *იქვე*. 3-28, 64-97, 140-153 და შმდ.
44. *ს. ჯანტურიშვილი*, ეთნოგრაფიული მეცნიერების მოკლე ისტორია, თბ., 1989; *მისივე*, კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიური შესწავლისა და ეთნიკური ისტორიის ძირითადი საკითხები (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 1977
45. *ს. ჯანტურიშვილი*, ეთნოგრაფიული მეცნიერების მოკლე ისტორია, 3-22, 24-41 და შმდ.
46. *ს. ჯანტურიშვილი*, კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიური შესწავლისა და ეთნიკური ისტორიის ძირითადი საკითხები, 4-25, 26-42 და შმდ.
47. *ს. ჯანტურიშვილი*, ეთნოლოგია, თბ., 1993; *მისივე*, ეთნოლოგიის საფუძვლები, თბ., 1999
48. *ს. ჯანტურიშვილი*, "შუშანიკის წამება" როგორც ისტორიული ეთნოგრაფიის წყარო, შუშანიკის წამება. გამოკვლევები და წერილები, თბ., 1978; *მისივე*, „ქართლის ცხოვრება" – კავკასიის ხალხთა ეთნიკური ისტორიის წყაროები, კრებ. „აია", თბ., 1991; *მისივე* Этнокультурные аспекты древних грузинских хроник. СЭ. № 6. 1987
49. *ო.მიმინოშვილი*, რაფიელ ერისთავი და საქართველოს ეთნოგრაფია, ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში, 1975, №1, 19-24; *მისივე*, ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფისა და კულტურის საკითხები რაფიელ ერისთავის ეთნოგრაფიულ ნაწერებში, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 165, ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, თბ., 1977, 199-206; *მისივე*, რაფიელ ერისთავის სამუზეუმო საქმიანობა, ძეგლის მეგობარი, 1978, № 1, 43-47; *მისივე*, რაფიელ ერისთავის ეთნოგრაფიული შრომები, ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა გეოგრაფია სკოლაში, 1984, № 4, 38-46
50. *ო. მიმინოშვილი*. ორი პოეტის ერთი თვალსაზრისი, თბ., 2000; *მისივე*, ალექსანდრე ყაზბეგის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის ქართულ-კავკასიური პარალელები, თბ., 2002; *მისივე*, ქართული მწერლობა და საქართველოს ეთნოლოგია, თბ., 2005
51. *ოთარ მიმინოშვილი, ვახტანგ შამილაძე*, ეთნოგრაფიის განვითარებისა და ჩამოყალიბების ზოგიერთი თავისებურებანი საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 2002
52. *ვ. შამილაძე*, ქართველ და უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა ეთნოლოგიური ცნობები კავკასიის ხალხების შესახებ. უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე, თბ., 2001
53. *იქვე*, 7
54. *იქვე*, 16-20, 22-50 და შმდ.
55. *ვ.შამილაძე*, ლიტერატურული ტრადიციები კავკასიის ხალხთა ერთიანი წარმომავლობის შესახებ პალეოანთროპოლოგიური და ეთნოარქეოლოგიური მონაცემების შუქზე, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXIV, თბ., 2001
56. *ვ. შამილაძე*, დასახ. ნაშრომი, 101-102
57. *ვ.შამილაძე*, ქართული ეთნოლოგიის მიღწევები და პერსპექტივები, ისტორია და თანამედროვეობა. ქართული ეთნოლოგია, I, თბ., 2005
58. *ვ.შამილაძე*, დასახ. ნაშრომი, 5, 17-18
59. *იქვე*, 20-22
60. *გ.ჩიტაია*, შენიშვნები ზოგადი ეთნოგრაფიის საკითხებზე, ცნება „კულტურა", მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. VII, 1955
61. *ა.რობაქიძე*, ტერმინ „ეთნოგრაფიული ჯგუფის" მნიშვნელობისათვის, მაცნე, 4, 1980
62. *მ.გეგეშიძე*, ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, თბ., 1978
63. *ა.ლეკიაშვილი*, კულტურის დიფუზია და კულტურულ-ისტორიული სკოლის მეთოდოლოგიური პრინციპები, ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა, თბ., 1964; მისივე, გადმონაშთების პრობლემა ეთნოგრაფიაში, მაცნე, 2, 1972
64. *ჯ.რუხაძე, თ.ოჩიაური*, ვერა ბარდაველიძე, ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1987
65. *ნ.ბერეჟაძე*, ვახუშტი ბაგრატიონი და ეთნოგრაფიული მეცნიერება, კრებ., ვახუშტი ბაგრატიონი ისტორიკოსი და ეთნოგრაფი, თბ., 1997
66. *ვ. შამილაძე*, ო. მიმინოშვილი, ეთნოგრაფიის განვითარებისა და ჩამოყალიბების ზოგიერთი თავისებურებანი საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 2002;

*Шамшадзе В.М.* Н.Я. Марр и грузинская этнология, Материалы международной научной конференции „Археология, этнология и фольклористика Кавказа", Ереван, 2003; *ვ.შამილაძე,* პლატონ იოსელიანი და დიმიტრი ბაქრაძე ახალი პერიოდის ქართული ეთნოგრაფიული აზროვნების სათავეებთან, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, V, ბათუმი 2007; *მისივე,* А.И. Робакидзе и кавказоведческие проблемы грузинской советской этнографии, ЭО, №4, 2008. (ლ.სოლოვიოვასთან თანაავტორობით) და სხვ.

67. *ნ.ჩინჩალაძე,* ინტერვიუ როგორც საველე-ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, თბ., 1982; *მისივე,* საველე-ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდიკის საკითხისათვის, საველე ეთნოგრაფიული ძიებანი, თბ., 1988
68. *ლ.ფრუიძე,* საქართველოს ეთნოგრაფია და ტრადიციები,თბ., 1977
69. *ლ.მელიქიშვილი,* ეთნოგრაფია თუ ეთნოლოგია, თბ., 2000
70. *პ.ყიფიანი,* ეთნოლოგიის პრობლემები, თბ., 1995
71. ვ. ითონიშვილი, ქართული ეთნოგრაფია ფეოდალიზმის ხანაში, მაცნე, № 3, 1991; *მისივე,* სიმონ ჯანაშიას ღვაწლი ქართულ ეთნოგრაფიაში, თბ., 1991 და სხვ.
72. *ვ.ითონიშვილი,* ქართველი ხალხის ეთნოსტრუქტურა მრუდე სარკეში, თბ.,1990
73. *გ.კიკნაძე,* ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბ., 1957; მ.ჩიქოვანი, აკაკი წერეთელი და ხალხური სიტყვიერება, თბ., 1958; *მისივე,* ილია ჭავჭავაძე და ხალხური შემოქმედება, თბ., 1989; *ს. ყუბანეიშვილი,* ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი, თბ., 1961; *შ. ვაშაყმაძე,* რაფიელ ერისთავი. ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება, თბ., 1962; *ზ. მებზევიშვილი,* პეტრე უმიკაშვილი პუბლიცისტი და კრიტიკოსი, თბ., 1967; თ. ჯაგოდნიშვილი, რაფიელ ერისთავი და ხალხური შემოქმედება, თბ., 1979; *მისივე,* ქართული ფოლკლორისტიკის სათავეებთან, თბ., 1986; *გ.ნადირაძე,* ნიკოლოზ ურბნელი-საქართველოს ისტორიის მკვლევარი, თბ., 1973; *ჯ. ლომაშვილი,* ვაჟა-ფშაველას საისტორიო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები, თბ., 1986; *ვ. აბაშმაძე,* ილია ჭავჭავაძე და სახელმწიფო და სამართლის პრობლემები, თბ., 1987; *ი. მეგრელიძე,* ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1989 და სხვ.

# თავი პირველი
## *ეთნოგრაფიული ცოდნის განვითარება საქართველოში*

### 1. უძველესი ცივილიზაციების მონაცემები და ბიბლიური ვერსიები ადრეული პერიოდის ქართველ ტომთა შესახებ

ქართველი ხალხის კულტურისა და ყოფის ეროვნული თავისებურებების ამსახველ ფაქტებსა და მოვლენებს უძველესი ცივილიზაციის პერიოდიდან ვხვდებით. ქართველ ტომთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური კულტურის ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესწავლის პროცესში თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიასა თუ ლინგვისტიკაში არაერთი თვალსაჩინო გამოკვლევა შეიქმნა, რომლებშიც მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ქართველი ხალხის უძველესი მითოლოგიური შეხედულებების, მატერიალური და სულიერი კულტურისა თუ სოციალური ურთიერთობის სხვადასხვა სფეროებში გამოვლენილი და დადგენილი პარალელების კვლევას წინააზიური და ანტიკური ცივილიზაციის მატარებელი ხალხების კულტურასა და ყოფასთან. სწორედ, ბოლო პერიოდის ინტენსიური პალეოანთროპოლოგიური[1], ეთნოარქეოლოგიური[2] და ლინგვისტური[3] კვლევების საფუძველზე გახდა შესაძლებელი ქართულ-კავკასიურ-წინააზიური ისტორიის ადრეული ეტაპების უმნიშვნელოვანესი პრობლემების გაშუქება. ამ მონაცემების, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელ ათწლეულებში ახალი პალეოანთროპოლოგიური აღმოჩენების მიხედვით, ამიერკავკასიურ-წინააზიური კულტურულ-ისტორიული სივრცე ინდოევროპული რასის წარმოშობისა და თავდაპირველი განსახლების კერად იქნა აღიარებული (თ. გამყრელიძე, გ. კლიმოვი და სხვ.)[4].

წინა აზიის უძველესი კულტურული ხალხების ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ და ლინგვისტურ სიუჟეტებში მრავალფეროვანი თქმულებები და ლეგენდები, ეთნონიმიკური გადმოცემებია ფიქსირებული, რომელთა მნიშვნელობა ქართველი და კავკასიელი ხალხების პრეისტორიის ჯერ კიდევ ბუნდოვან საკითხთა გარკვევაში განუზომლად დიდია. ამ მხრივ, საკმარისია დავასახელოთ ძველაღმოსავლური პოეზიის შედევრი-*გილგამეშის ეპოსი* და *მითი წარღვნის შესახებ,* რომლებშიც მეცნიერები არაერთ მნიშვნელოვან ქართულ-წინააზიურ პარალელებს გამოყოფენ. ასევე მნიშვნელოვანი თანხვედრებია აღნუსხული ენობრივ მონაცემებშიც.

და მაინც, საქართველოსა და მისი მეზობელი ხალხების შესახებ, ეთნოგრაფიული ცნობების დაგროვებისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის თვალსაზრისით, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა მხოლოდ წერილობით წყაროებს გააჩნია. აქ კი, პირველ რიგში, *ძვ.წ. XII-VIII საუკუნეების ასურულ-ურარტული წყაროები და ბიბლიური მონაცემები* უნდა განვიხილოთ.

ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულიდან ქართველ ტომთა უძველესი გაერთიანების – ნაირის მთიანი ქვეყნების, დიაოხისა და კოლხას სამეურნეო-კულტურული მდგომარეობის შესახებ მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული ცნობებია დაცული ძველასირიულ და ურარტულ წყაროებში[5].

ასურული წყაროების მიხედვით ასურეთის მეფე *ტიგლათფილესერ I (ძვ.წ. 1112 წ.)* ამ ქვეყნებში ლაშქრობისას ნადავლის სახით წაუყვანია ცხენების, ჯო-

რებისა და მინდვრის პირუტყვის მრავალრიცხოვანი ჯოგები. ასურეთის მეფეს ხარკი დაუდევს ნაირის ქვეყნების მეფისათვის, რომელიც 1200 ცხენითა და 2000 სული მსხვილფეხა საქონლით ყოფილა განსაზღვრული[6].

ტიგლათფილესერ I წარწერაში პირველადაა მოხსენიებული ნაირისა და დაიანას ქვეყნები, რომლებიც მას დაუპყრია ხაბხიდან დიდ ზღვამდე ლაშქრობისას. მასვე უგდია ხელთ ურმიელებისა და აბეშლას მიწები 4000-იანი მოსახლეობით, რომლებიც მიუერთებია კიდეც თავისი ქვეყნისათვის. ასურეთის მეფე *სალმანასარ III (ძვ.წ. 845 წ.)* და ურარტუს მეფე *მენუას (ძვ.წ. IX-VIII სს. მიჯნა)* სხვა ხარკთა და ტყვეთა შორის დიაოხის მეფისაგან ცხენის ჯოგებიც მიუღიათ[7].

უხვი ნადავლი, კერძოდ 41 მინა სუფთა ოქრო (მინა=505 გრ.), 37 მინა ვერცხლი, 10 ათასი მინა სპილენძი, 1104 ცხენი 35015 მსხვილფეხა და 1829 წვრილფეხა პირუტყვი მიუღია ურარტუს მეფე *არგიშთი I (ძვ.წ. 786-764 წწ.)* დიაოხისა და სხვა ქართული პროვინციების წინააღმდეგ გამართული დიდი ლაშქრობებისას[8]. სხვა წყაროს მიხედვით, ამავე ლაშქრობისას არგიშთი I წაუსხამს 4426 ცხენი, 10478 მსხვილფეხა და 73770 წვრილფეხა რქოსანი საქონელი. დამარცხებულ დიაოხთა მეფეს ხარკად უკისრია 1000 საჯდომი ცხენი, 300 სული მსხვილფეხა საქონელი, ხოლო ყოველწლიურად ოქრო-ვერცხლთან ერთად 100 ძროხა, 500 ცხვარი, 300 საჯდომი ცხენი და ა.შ.[9] დიაოხის მოკავშირე ქართველ ტომთა (ლუსა, ქათარზა, ვიტერუხი) ეკონომიური ძლიერების ნიშნები ასახულია ურარტულ ძეგლებშიც, რომელთა მიხედვითაც, ამ ქვეყნებში ერთ-ერთი ლაშქრობისას ურარტუს მეფეებს ხელთ უგდიათ მრავალი ასეული ცხენი, 13540 მსხვილფეხა და 20785 წვრილფეხა საქონელი და დიდძალი სხვა სახის ნადავლი. ბუნებრივია, ეს წარწერები მოწმობენ, რომ დიაოხი მდიდარი ქვეყანაა განვითარებული მეტალურგიითა და სხვა სამრეწველო დარგებით[10]. ქვეყანაში აღმავლობას განიცდის სოფლის მეურნეობაც, სადაც განსაკუთრებით დაწინაურებული ჩანს მსხვილფეხა და წვრილფეხა მესაქონლეობა, აგრეთვე მეცხენეობა.

ასურული წყაროები საყურადღებო ეთნოგრაფიულ მონაცემებს იძლევიან უძველესი ქართველი ტომების განსახლების შესახებაც. ასურული დოკუმენტების მიხედვით, რომლებიც ძვ.წ. XII საუკუნის ასურელ მეფეთა ლაშქრობებს ასახავენ, ვანის ტბის მიდამოებში – შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს აღმოსავლეთ ნაწილში, ტრაპეზუნტისა და სინოპის ახლოს მდინარე ჰალისამდე დასახელებულია მუშქების ტომი, რომელსაც პარალელი ებრაულ ბიბლიაში ნახსენებ მეშეხებთან (ეზეკიელი, 39, 1) უნდა ჰქონდეს. თავის მხრივ, მეშეხები VI საუკუნიდან ბერძნულ წყაროებში მოხსენიებული იგივე მოსხების ანუ მესხების ტომობრივი სახელია, რომელიც უძველეს ქართველ ტომთა კონსოლიდაციის პერიოდში ქართველი ხალხის შემადგენლობაში შევიდა და, გეოგრაფიული განსახლების მიხედვით, სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთ მთაგრეხილს – მესხეთის ქედის სახელწოდება შემოუნახა[11].

ბიბლიურ სიუჟეტებთანაა დაკავშირებული კავკასიის ხალხების შესახებ არსებული უძველესი წერილობითი ცნობებიც. ძვ.წ. IX საუკუნის ეს ებრაული წერილობითი ძეგლი დაინტერესებულია წარღვნისშემდგომი მსოფლიოს ხალხთა წარმოშობისა და განსახლების პრობლემით (*ცხოვრება, თავი 9,18-19*). სა-

მეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ტრადიციით, ბიბლიური გენეალოგია ნოეს 3 შვილს – სემს, ქამსა და იაფეტს უკავშირდება *(ცხოვრება, თავი 9,18-19)*, რომლებიც სემიტების, ქამიტებისა და იაფეტელების წარმოშობა – განსახლების მამამთავრებად ითვლებიან. ბუნებრივია, კავკასიის ხალხთა გენეალოგიის თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს იაფეტი და იაფეტელები, რომლებიც კავკასიის უძველეს მაცხოვრებლებად არიან მიჩნეული.

ბიბლიურ სიუჟეტებშია მოხსენებული ქართველთა ერთ-ერთი ადრინდელი ტომის თუბალების სახელწოდებაც. იაფეტის სხვა შვილებთან ერთად ბიბლიაში დასახელებული თობალი, მუშეხი, თირსენი და იოვანი შესაბამისად იბერთა, მესხთა, ეტრუსკთა და იონელთა ფუძემდებლად ითვლებიან. ვარაუდობენ, რომ ბიბლიური თუბალი იგივე ტიბარები ანუ ტიბარენებია, ხალხი, რომელთა შესახებაც ბერძენი მწერლები ძვ.წ. VI საუკუნიდან გვამცნობენ. ტიბარებს ანტიკური წყაროები, კერძოდ, ამაიანე მარცელინი უკანასკნელად IV საუკუნეში მოიხსენიებს, რაც მკვლევართ იმის საფუძველს აძლევს ისინი იოსებ ფლავიუსის (37-95 წწ.) მიერ მოხსენიებულ მის თანამედროვე იბერებს დაუკავშირონ, მით უმეტეს, რომ თვით ფლავიუსის აზრითაც, ბიბლიურ სიუჟეტებში იბერები თობალების სახელწოდებით ყოფილან ცნობილი.[12] თუ ქართველ ტომთა ისტორიული განვითარების რეკონსტრუქციის ამ გზას გავყვებით, მაშინ უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ თავად იბერები პირველად უფრო ადრე ძვ.წ. I საუკუნეში რომაელი მხედართმთავრის პომპეუსის ლაშქრობის აღწერისას არიან მოხსენიებულნი. იბერთა ტომობრივი სახელი არაერთხელაა მითითებული მომდევნო პერიოდის წყაროებშიც. მანიშნებელია, რომ რუსულ წყაროებში იბერები ივერთა სახელწოდებითაა *(„ივერთა მიწა")* მოხსენიებული[13], ხოლო იგივე ეთნონიმი ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეს – დასავლეთ საქართველოს დღევანდელ მოსახლეობას *იბერების – იმერლების* სახით შემორჩა.

პირველად ასურულ-ურარტულ წყაროებშია მოხსენიებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უძველესი სახელმწიფოებრივი გაერთიანებანი დიაუხი და კოლხაც (ძვ.წ. XI-VIII სს.). მართალია, ურარტულ ძეგლებში შედარებით მცირე ცნობებია დაცული კოლხას შესახებ, მაგრამ არსებული მონაცემებიდან ჩანს, რომ ქვეყანა განიცდიდა მძლავრ ეკონომიკურ აღმავლობას. კოლხას ქვეყანაში *სარდურ II* ორგზის (ძვ.წ. 750-748 და 747-742/1 წწ.) ლაშქრობისას ურარტუს მეფეს დიდძალი სიმდიდრე ჩაუგდია ხელთ. მარტო მეორე ლაშქრობისას სარდურ II კოლხას ქვეყნებიდან ურიცხვ ტყვეებთან ერთად გამოურეკია 1500 ცხენი, 173000 სული მსხვილფეხა და 316000 წვრილფეხა პირუტყვი და ა.შ.[14]

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში დიაუხი ბერძნულ-რომაულ და ბიზანტიურ წყაროებში არაერთხელ მოხსენიებულ ტაო//ტაოხებთანაა გაიგივებული. უფრო გვიან კი სამხრეთ საქართველოს ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე მესხებთან და სხვა ქართველ ტომებთან ერთად მათ, ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს მეთაურობით, საფუძველი ჩაუყარეს ფეოდალური ხანის ქართულ სახელმწიფოებრიობას, რომელმაც XI-XII საუკუნეებში დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქებში წინა აზიაში უძლიერესი სახელმწიფოს სახელი დაიმკვიდრა.

რაც შეეხება კოლხას სამეფოსა და მის მოსახლეობას კოლხებს, რომელთა შესახებაც ძვ.წ. V საუკუნიდან მოკიდებული არაერთგზისაა საუბარი ბერძენ-რომაელ ავტორთა თხზულებებში, საზღვარგარეთის ისტორიოგრაფიაში გამოთქმული არაერთგვაროვანი მოსაზრებების მიუხედავად, ქართველ მეცნიერთა მიერ ჩატარებული ფუნდამენტური კვლევების შედეგების მიხედვით, ისინი, სვანების შემდეგ, ერთიანი ქართული ფუძე ენიდან გამოყოფილი ზანურენოვანი ლაზური, ხოლო შემდგომ მეგრულ-ჭანური მოსახლეობის უშუალო წინაპრები უნდა ყოფილიყვნენ, რომელთა ადგილი და როლი ასევე განუსაზღვრელად მაღალია ქართული ეთნოსის ისტორიული განვითარების პროცესში.

ქართულ-კავკასიური ერთიანი კულტურული სამყაროს ცივილურ ღირებულებათა კიდევ უფრო მეტ დასაბუთებას იძლევიან ანტიკური ხანის მოგზაურ-მკვლევართა ცნობები. ანტიკური ხანის წერილობითი წყაროები კავკასიის ხალხებისა და ტომების შესახებ რეგულარულ ხასიათს იღებს ძვ.წ. VII-V საუკუნეებიდან მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ბერძენთა დიდი კოლონიზაციის ობიექტად იქცა. კავკასიის სანაპიროზე ბერძნული კოლონიები ჩნდება ძვ.წ. V საუკუნიდან: დიოსკურია – ახლანდელი სოხუმის ადგილას, პიტიუნტი – ბიჭვინთასთან, ფაზისი – მდ.რიონის შესართავთან და ა.შ. ბერძენ ლოგოგრაფოსთა პირველი წერილობითი წყაროები აქ მოსახლე ტომებისა და ხალხების ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესახებ, რომლებიც *ჰეკატე მილეთელსა (ძვ.წ. IVს.)*[1], და *ფსევდო სკილაქს კარიანდელს (ძვ.წ. IVს.)*[2] ეკუთვნით, ჩვენამდე მოგვიანო ხანის ავტორთა ჩანაწერების სახით მოაღწია.

V საუკუნეს განეკუთვნება გამოჩენილი ბერძენი ისტორიკოსის – *„ისტორიის მამის" – ჰეროდოტე ჰალიკარნასელის (484-406 წწ.)*[3] ცნობები, რომლებიც იმ დროისათვის იშვიათ პრობლემას – კოლხების ეთნოგენეზისა და ეთნოკულტურული ვითარების ამსახველ მასალებს შეიცავენ. საგულისხმოა, რომ იგი ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც ხალხთა, ამ შემთხვევაში კოლხებისა და ეგვიპტელების გენეტიკური ნათესაობის დასამტკიცებლად, რასობრივ მონაცემებთან (თმის მოყვანილობა და კანის ფერი) ერთად, სამეურნეო-კულტურული მიღწევებისა (სელის მოყვანა) და ადათ-წესების (წინდაცვეთის ჩვეულება) შემცველი ფაქტორებიც მოიშველია და შეეცადა კომპლექსურად გადაეწყვიტა ეს მეტად რთული პრობლემა. „ჩემი აზრი ავაგე იმაზე, რომ კოლხებს კანის ფერი მუქი და ხუჭუჭა თმები აქვთ. თუმცა ეს მიზეზი ნაკლებმნიშვნელოვანია, რამდენადაც არიან სხვა ხალხები, რომლებიც ამ ორი ნიშნით ჩამოგავან ურთიერთს, მაგრამ მე ვამტკიცებ ჩემს აზრს უფრო მნიშვნელოვან ფაქტზე. კოლხები, ეგვიპტელები და ეთიოპელები ერთადერთი ხალხია, რომლებიც მუდმივად მისდევენ წინდაცვეთის ჩვეულებას... აი კიდევ ერთი შენიშვნა კოლხებზე, რაც მიუთითებს მათ ეგვიპტელებთან მსგავსებაზე. ეგვიპტელები და კოლხები ერთადერთი ხალხია, რომლებიც სელს ერთნაირად ამუშავებენ" – წერს ჰეროდოტე *(Herod., 103-105).*

ბუნებრივია, ჰეროდოტეს ეს შეხედულებანი ისტორიული რეალობისაგან შორს დგას, მაგრამ რამდენადაც იგი ამ სფეროში ეთნოგრაფიული მონაცემებით დაინტერესების უპირველეს მაგალითს წარმოადგენს, მისი მნიშვნელობა ეთნო-გენეტიკური კვლევებისათვის უეჭველად დიდი მეთოდოლოგიური ღირებულების შემცველია.

მეტად მნიშვნელოვანია ჰეროდოტეს ცნობები ქართველი ტომების ყოფა-ცხოვრებაზე, რაც ქრონოლოგიურად მათ შესახებ ერთერთ უადრეს ინფორმაციას წარმოადგენს. ისტორიაში მოხსენიებული არიან კოლხები, სასპერები, ხალიბები, მაკრონები, მოსხები, ტიბარენები, მოსინიკები, მარები და სხვ... აქვე მოცემულია ზოგიერთ ამ ტომთა ლოკალიზაციაც. მეწამულ ზღვასა და ფაზისს შორის ჰეროდოტე ასახელებს სპარსელებს, მიდიელებს, სასპერებს, კოლხებს

*(Herod.,IV,37, 40)*, კოლხიდასა და მიდიას შორის – სასპერებს *(Herod.,I,104)*, ხოლო მისივე ცნობით მაკრონები სირიელებს ემეზობლებიან *(Herod.,II,104)*.

ჰეროდოტე დაინტერესებულია ქართველ ტომთა საქმიანობით, მეურნეობისა და შინახელოსნობის ფორმებით, საერთოდ ქართველთა ცხოვრების წესით. მისი ცნობით კავკასიონის მთებში ბევრი ტომი ცხოვრობს, რომლებიც იკვებებიან ტყის გარეული მცენარეებით. იგი ამავე მცენარეებისაგან აღწერს საღებავის დამზადების საინტერესო ტექნოლოგიას, ტანსაცმლის მოხატვას ამ საღებავით, რომელიც, მისივე შენიშვნით, იმდენად გამძლეა, რომ ნახატი მხოლოდ ტანსაცმლის გაცვეთასთან ერთად იშლება (*Herod.*, I,203) და ა.შ.

საყოველთაოდ ცნობილია ანტიკური ხანის ცნობილი ექიმისა და ბუნებისმეტყველის, ჰეროდოტეს უმცროსი თანამედროვის – *ჰიპოკრატეს (ძვ.წ.460-377წწ.)*[4] ცნობები იგივე კოლხეთის შესახებ. იგი დიდი გულმოდგინებით აღწერს კოლხეთის ბუნებრივ გარემოს, რომელიც მას ჭაობიან, თბილ და ნესტიან ქვეყნად მიაჩნია. წვიმის სახით აქ მოსული უხვი ნალექების გამო ქვეყნის დიდი ნაწილი წყლითაა დაფარული, რის გამოც თბილ ამინდებში იგი ორთქლის ბურუსშია გახვეული *(Hip., 13)*. სწორედ ამით ხსნის ჰიპოკრატე კოლხების კანის სიყვითლეს, რაც აქ მალარიის გავრცელების უტყუარ საბუთს უნდა წარმოადგენდეს, მით უმეტეს რომ ეს დაავადება კოლხეთში საუკუნეების განმავლობაში იყო ცნობილი და მხოლოდ XX საუკუნის შუა ხანებში გახდა შესაძლებელი მისი საბოლოოდ ლიკვიდაცია. ჰიპოკრატემ ერთერთმა პირველმა აღწერა კოლხებში გავრცელებული ერთ ხეში ამოღებული ე.წ. *ვარცლა ნაველი*, რომლითაც ისინი დაცურავდნენ მდ. ისტროსში და იჭერდნენ თევზს. ამ ნაველით მიდიოდნენ ისინი ქალაქსა და ემპორიონში, ზოგჯერ კი მეკობრეობდნენ კიდეც *(Hip., 14)*.

შედარებით უხვი ეთნოგრაფიული მასალებია დამოწმებული ბერძენი ფილოსოფოსისა და ისტორიკოსის *ქსენოფონტეს (ძვ.წ. 445-355 წწ.)*[5] ნაშრომში *„ანაბაზისი“*, რომელიც ბერძენთა სპარსეთში ლაშქრობის შემდეგ ათი ათასი ჯარისკაცით ამიერკავკასიაზე გავლით ბრუნდებოდა სამშობლოში. ქსენოფონტეს დაწვრილებით აქვს აღწერილი მის მიერ განვლილი გზა ბაბილონიდან შავი ზღვისაკენ. გზად ქსენოფონტემ საინტერესო ეთნოგრაფიული ცნობები შეაგროვა ქართველების წინაპარი ტომების – მოსინიკების, ტაოხების, კოლხების, კარდუხებისა და სხვ. შესახებ *(Anab.,IV, 1,2 და შმდ)*. კერძოდ, ბერძენი სარდალი ყურადღებას აქცევს ტაოხთა საცხოვრისს – მთის წვერზე გალავანშემოვლებულ გამაგრებულ ნაგებობებს, სადაც მტრის შემოსევისას თავს აფარებენ ოჯახით და მიერეკებიან პირუტყვსაც. ტაოხთა გამაგრებული ადგილის ხელში ჩაგდებისას ბერძნებს წაუგვრიათ ურიცხვი პირუტყვი, სახედრები, ცხვრები და ა.შ. *(Anab.,IV,7)*. ქსენოფონტეს არაერთხელ აქვს აღნიშნული აგრეთვე მესაქონლეობით და მეცხვარეობით მდიდარი მთიანი დრილების ტომები *(Anab.,V,2)*.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ქსენოფონტე ასევე არაერთხელ მიუთითებს ბარის სამეურნეო პროფილზეც და იქ ხაზგასმით აღნიშნავს მიწათმოქმედების, მებაღეობა-მევენახეობის, მეთევზეობისა და მეფუტკრეობის მაღალ დონეს *(Anab.,IV,8; V,2)*. მაშინ მარტო ამ ერთი ავტორის მონაცემებითაც

კარგად ჩანს კოლხეთის ბარისა და მთიანეთის სამეურნეო კომპლექსების, შესაბამისად კი ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკური და პოლიტიკური ერთიანობის ნათელი სურათი.

ერთ-ერთი ყველაზე რეალური საფუძველი ქსენოფონტეს აღწერაში კოლხეთში ხის კოშკების კულტურის ფართო გავრცელებას შეეხება, საიდანაც თვით ტომის ბელადებიც განაგებდნენ თავიანთ საქმეებს *(Anab.,V,4 და შმდ).* და თუმცა, ამ საკითხშიც ბევრი რამ რომანტიკოსი მოგზაურის თვალითაა დანახული და მოთხრობილი, მთავარი მაინც ისაა, რომ ძველ კოლხეთში ხის ჯარგვალური კოშკების მშენებლობის ტრადიცია არქეოლოგიური გათხრებითაც დასტურდება, რაც მატერიალური კულტურის ამ მნიშვნელოვანი ელემენტის რეკონსტრუქციის პროცესში ეთნო-არქეოლოგიური მონაცემების შეჯერებული კვლევის შესაძლებლობას იძლევა.

ქართველ ტომთა ზღვაოსნობის ისტორიისა და ეთნოგრაფიისათვის მეტად მნიშვნელოვანია ქსენოფონტეს ცნობა იმის შესახებ, სადაც იგი მოქირავნე ელინებთან 300 სამ კაციანი ნავით მისულ მოსინიკებს ასახელებს (*Anab.,V,4*).

მეტად შთამბეჭდავია ქსენოფონტეს მიერ აღწერილი ხალიბთა საბრძოლო აღჭურვილობა. „ხალიბები ატარებენ ლიანებისაგან დაგრეხილ ჯავშანს, რაც მათ მუცლამდე წვდებოდათ. ამ ჯავშანის ქვემო წელი შედგებოდა ხშირად დაწნული თამასებისაგან. გარდა ამისა, მათ გააჩნდათ აგრეთვე თეძოსაფარი და ჩაფხუტები. ქამარზე ეკიდათ ხანჯლები, დაახლოებით ისეთი ფორმისა, როგორიც სპარტანული მახვილია" (*Anab., IV, 7*).

დასავლეთ კავკასიის ტომთა შესახებ ანტიკური ხანის წერილობითი წყაროები ძვ.წ. VI-V საუკუნეებიდანაა ცნობილი, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ ტომთა ადრეული ისტორიის შესახებ *სტრაბონის (ძვ.წ.64/63-ახ.წ.23/24 წწ.)*[6] *„გეოგრაფიაში"* მოტანილ მონაცემებს უნდა მიენიჭოს. ამის მიზეზი იქნებ ისიც იყო, რომ დედამისი ჩამომავლობით ლაზი გახლდათ, თავად ცხოვრობდა ქ. ამასიაში, ხოლო ბიძამისს საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა იმდროინდელ საქართველოსა და კავკასიის სხვა ქვეყნებთან და სხვებთან შედარებით უკეთ იცნობდა აქ მოსახლე ხალხების ყოფა-ცხოვრებას.

სტრაბონის *„გეოგრაფიაში"* გამორჩეული ადგილი უჭირავს ცნობებს საქართველოსა და ქართველი ტომების შესახებ. სხვებთან ერთად აქ დასახელებული სვანები, რომლებიც სტრაბონთან *„სოანების"* სახელწოდებით მოიხსენიება, მრავალრიცხოვანი, მეომარი ხალხია. სოანების მორჩილებაში ყოფილან გარშემო მყოფი სხვა ხალხები, ხოლო მათ შეეძლოთ გამოეყვანათ 250 ათასიანი ჯარი, რაც დაახლოებით მილიონიანი მოსახლეობის შესაძლებლობას შეესაბამებოდა. სტრაბონი ასახელებს სოანთა მეფესა და უხუცესთა საბჭოს, რომელიც 300 კაცისაგან შედგებოდა *(Strabo.,XI,19).*

სოანებზე საუბრისას სტრაბონი ეხება მითს *ოქროს საწმისის* შესახებაც და აღნიშნავს, რომ „გადმოცემით მათ ქვეყანაში, მთის ნიაღვარს ჩამოაქვს ოქრო და ბარბაროსები აგროვებენ მას ცხავითა და ბანჯგვლიანი ტყავით. ამბობენ, რომ აქედან წარმოდგა მითი ოქროს საწმისის შესახებ" *(Strabo.,XI,19).*

ანტიკური ხანის ქართველ ტომთა სოციალური დიფერენციაციის შესახებ მეტად საყურადღებოა სტრაბონის მიერ იბერიის მოსახლეობაში გამოყოფილი ოთხი *გვარი ანუ გენე: სამეფო გვარი, ქურუმთა გვარი, მხედართა და მიწის-*

*მოქმედთა გვარი და მონები.* საერთოდ, სტრაბონის მიერ დანახული კოლხეთი და იბერია გამოკვეთილი მონათმფლობელური საზოგადოების ნიშნებით ხასიათდება და კულტურის საკმაოდ მაღალი დონე გააჩნია. იგი არწერს ქალაქებს, კერძოდ, მცხეთას, ვანს, უფლისციხესა და ა.შ., რომელთაც აქვთ საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობები – ბაზრები, აბანოები, საფუნდუკეები. შენობებს გააჩნიათ არქიტექტურული სტილი, გადახურულია კრამიტით და დამშვენებულია ხუროთმოძღვრული ჩუქურთმებით *(Strabo.,XI,6).*

არანაკლებ მნიშვნელოვანია სტრაბონის ცნობები კოლხეთის ერთერთი უმთავრესი ქალაქის დიოსკურიადას შესახებაც. "დიოსკურიადა არის....მეზობელი ხალხების საერთო სავაჭრო ცენტრი....ყოველ შემთხვევაში ამ ქალაქში თავს იყრის 70-მდე ეროვნების ხალხი (სხვათა მონაცემებით, რომლებიც საერთოდ არ ზრუნავენ სინამდვილეზე, 300-მდეც კი). ყველა ისინი ლაპარაკობენ სხვადასხვა ენაზე, რადგანაც თავიანთი ამაყი და ველური ბუნების გამო ცხოვრობენ გაფანტულად და ჩაკეტილად" *(Strabo.,XI,6).*

სტრაბონის ეს მონაცემები იბერიის ქალაქების კულტურულ-არქიტექტორული იერსახისა და სამეურნეო-ეკონომიკური თუ დემოგრაფიული ვითარების შესახებ შემდგომში აქ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებითაც დასტურდება.

ზოგადკავკასიური მასშტაბითაა მნიშვნელოვანი სტრაბონის ცნობები იბერიის მთისა და ბარის მოსახლეობის სამეურნეო-ყოფითი თავისებურებების შესახებაც. მისი შენიშვნით, „ქართლის სამეფოში დაბლობზე უფრო მიწათმოქმედნი ცხოვრობენ, რომლებიც მშვიდობიანად არიან განწყობილი და არმენიელთა და მიდიელთა მსგავსად ეწყობიან. უფრო დიდ ნაწილს, რომელიც მებრძოლი ბუნებისაა, მთიანი მხარე უჭირავს და ცხოვრობს სკვითებისა და სარმეტების ყაიდაზე" *(Strabo.,XI,3).* ამ ცნობის მიხედვით, არსებითად განსხვავებულია კავკასიის მომთაბარე და ბინადარი მოსახლეობის ცხოვრების წესი, სადაც მესაქონლეობის ექსტენსიური ფორმები შეპირისპირებულია სამიწათმოქმედო მეურნეობის ინტენსიურ ფორმებთან.

იმ პერიოდისათვის ერთადერთი და უტყუარია სტრაბონის ცნობა იბერიაში გავრცელებული რელიგიის – *მნათობთა თაყვანისცემის* შესახებაც, რომლის ტრადიციებზე საქართველოში არქეოლოგიურ მასალებთან ერთად შუა და გვიანფეოდალური ხანის წერილობითი წყაროები (ლეონტი მროველი და სხვ.), აგრეთვე თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაში ფიქსირებული მონაცემებიც მეტყველებენ.

ანტიკური ხანის წყაროთა შორის დასავლეთ ამიერკავკასიის, კერძოდ, კოლხეთსა და იქ განსახლებულ ქართველთა წინაპრების ყოფა-ცხოვრებაზე საყურადღებო ცნობებია შემონახული ძველბერძნულ მითში *„არგონავტების"* შესახებ. მართალია, თქმულება „არგონავტებზე", როგორც წერილობითი წყარო ჩვ.წ-მდე III საუკუნის ბერძენი მწერლის *აპოლონიოს როდოსელის*[7] (ძვ. წ. III ს.) ავტორობითაა ცნობილი, მაგრამ მითის ფოლკლორული ვერსიები თითქმის 1000 წლით ხნიერია როდოსელის თხზულებაზე და არსებითად ჰომეროსის პერიოდის ბერძნული სამყაროს სინამდვილეს ასახავს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ანტიკურ სამყაროში და შემდგომ პერიოდებშიც მითის როდოსისეული ვარიანტის სანდოობა თითქმის არავის დაუყენებია ეჭვქვეშ.

არგონავტიკაში და სხვა ბერძნულ წყაროებში მოცემულ ცნობებზე დაყრდნობით ქართველებისა და არაინდოევროპელი პელაზგების ნათესაობის, აგრეთვე პრომეთესა და ამირანის მიერ კაცობრიობის წინაშე კულტურულოგიური დამსახურების ახლო ანალოგიების გვერდით, ძველი ქართველი მოსახლეობის ადგილსამყოფელის გასარკვევად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ მითში მოხსენებული ტომების საცხოვრებელი ადგილის კონკრეტიზაციას. აპოლონიოს როდოსელის ცნობების შედარება ჰეროდოტეს, ქსენოფონტესა და ფსევდო არისტოტელეს მონაცემებთან გვიჩვენებს, რომ მითში მოთხრობილი ამბები სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში უნდა ხდებოდეს. კერძოდ, ჰეროდოტე სამხრეთ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ასახელებს სამ დიდ სახელმწიფოებრივ გაერთიანებას – დიოსკურიადან ფაზისამდე მცხოვრებ კოლხებს, მათ ქვემოთ სასპერებსა და უფრო ქვემოთ მიდიელებს. ამასთან, ჰეროდოტეს კოლხები ფართო ეთნიკური მნიშვნელობით აქვს ნახმარი. სხვა შემთხვევაში ჰეროდოტე კოლხებს ასახელებს ტრაპიზუნტის ზემოთ ვიდრე მდინარე აფსაროსის (ჭოროხი) შესართავამდე *(Argon.,II.320)*.

სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში სასპირიდების დიდი ტომობრივი გაერთიანება, აგრეთვე ხალიბები, ხალდები, სკვითინები, მაკრონები და კოლხები არაერთხელაა მოხსენებული *ქსენოფონტეს „ანაბაზისშიც"*. სწორედ ამ სამყაროშია მოცემული აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრები ქართველი ტომების დახასიათება არგონავტიკაში. თქმულებაში საყურადღებო ცნობებს ვხვდებით ხალიბების, ტიბარენების, მოსინიკების, ფილარების, მაკრონების, ბექირთა მრავალრიცხოვანი ტომების, სასპერებისა და მეომარი კოლხების ყოფა-ცხოვრების შესახებ. აქვეა მოტანილი აპოლონიოს როდოსელის ცნობა ხალიბებში რკინის მეტალურგიის მაღალი ხელოვნების შესახებ, რომელიც მძიმე შრომასა და გარჯასთანაა დაკავშირებული *(Argon.,II.370)*.

მეტად მნიშვნელოვანია არგონავტიკაში მოტანილი ცნობა მოსინიკებში ხის კოშკების მშენებლობის პრაქტიკის შესახებ. "გენტეს კონცხს გადაღმა ცხოვრობენ ცხვრით მდიდარი ტიბერები, მათ მეზობლად ტყიან ხმელეთსა და მთისწინეთში ერთიმეორეზე მიყოლებით მოსახლეობენ მოსინიკები, რომლებიც სახლებს იმართავენ ხის კოშკებში კარგად შეკრული ლოდებით. ამ კოშკებს ეძახიან *„მოსინებს"*, აქედანვე შეერქვათ მათ სახელი – მოსინიკები" – წერდა აპოლონიოს როდოსელი *(Argon.,II.1015)*.

ქსენოფონტეს ანაბაზისში აღწერილი რეალობის დადასტურებასთან ერთად, მითის ფოლკლორული ვერსიებით ხალხური ხუროთმოძღვრების ამ ტრადიციის არსებობა დოკუმენტურად სულ ცოტა ჰომეროსის ეპოქაშია გადატანილი. ასევე უაღრესად საინტერესოა ტიბარენებში აღწერილი ტრადიცია მამაკაცის მიერ მშობიარობის პროცესის სიმულაციის, მოსინიკებში სქესობრივი აქტის საჯაროდ შესრულების, კოლხების მიერ მიცვალებული მამაკაცების ე.წ. *„ჰაერზე დაკრძალვის"* და სხვათა შესახებ *(Argon.,II.1015, III, 198 და შმდ.)*. "კირიკონის ველზე მრავალად იყო ჩამწკრივებული ტირიკი და ძეწნა, რომელთა კენწეროებზე თოკებით მიკრული გვამები ეკიდა. კოლხებში ჯერ კიდევ ახლაც ცოდვად ითვლება მიცვალებული მამაკაცების ცეცხლით დაწვა. არც ის არის წესი, რომ მიწაში დაფლან და ზემოდან ტაგრუცი დააყარონ. მათ ხარის მოუთელავ ტყავებში ახვევენ და ქალაქიდან მოშორებით ხეებზე ჰკიდებენ. მაგრამ

ჰაერის თანაბრად მიწაც ღებულობს თავის წილს, რადგან ქალებს მიწაში მარხავენ" – წერდა აპოლონიოს როდოსელი *(Argon.,III,198).*

საგულისხმოა, რომ როდოსელის მიერ აღწერილი აღნიშნული წეს-ჩვეულება ცისა და მიწის გაღმერთების იდეასთან იყო დაკავშირებული. ძველ კოლხეთში ცისა და მიწის გაღმერთების გადმონაშთს უნდა წარმოადგენდეს თანამედროვე ქართულში ხმარებული გამოთქმები: „ცასა და მიწას ურჩევნია", „ცასა და მიწას ეფიცება" და ა.შ. ცისა და მიწის გაღმერთების მომენტია გადმოცემული, როცა ქალკიოპე შვილებს ავედრებს მედეას: „დაიფიცე დედამიწა და ზეცა, რომ რასაც გაუწყებ გულში შეინახავ". იგივე ჩანს მედეას პასუხშიც – „ვფიცავ კოლხთა უდიდეს საფიცარს, რომლის დამოწმებაც შენ მირჩიე დიად ზეცასა და მის ქვეშ მყოფ დედამიწას". გეა რომ კოლხთა მფარველი ღმერთია იქიდანაც ჩანს, რომ დედამიწამ აღმოაცენა იასონის მიერ დათესილი ურჩხულის კბილებიდან გიგანტები. თვით ოქროს საწმისის მცველი გველეშაპიც გეას ნაშობია. გველეშაპთან დაკავშირებით აღსანიშნავია საქართველოში გავრცელებული გველის კულტი. მედეას მიერ მოჯადოვებული გველეშაპი საოცრად მოგვაგონებს გველს: „როცა საზარელმა გველეშაპმა დაუძინარი თვალებით იხილა მომავალნი, გრძელი კისერი წინ წამოსწია და შემაძრწუნებლად მორთო შხივილი, ვით ცეცხლწაკიდებული ტყის თავზე იკლაკნება კვამლის ურიცხვი გრაგნილები, რომლებიც მრგვალ წრეებად შეკრული განუწყვეტლივ მიემართებიან ზემოთ ერთიმეორეზე მიყოლებით, ისე დაკლაკნა მაშინ ურჩხულმა გამხმარი ქერცლით მოფენილი უამრავი რგოლი" *(Argon.,IV,131).* ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ისიც, რომ გველი ძველ საქართველოში ფუძისა და ოჯახის მფარველად ითვლებოდა და კულტის საგნად იყო ქცეული.

*არგონავტიკაში* ხშირადაა მოხსენიებული ძველბერძნული ომის ღმერთი არესი. არესის მინდორზე ხდება იასონისა და ცეცხლისმფრქვეველი ხარების ჭიდილი. არესის ჭალაშია დავანებული ოქროს საწმისი გველეშაპითურთ და ა.შ. ჩანს კოლხეთში ფართოდ იყო გავრცელებული ომის ღმერთის კულტი *(Argon., II, 393, 235 და შმდ.).*

აპოლონიოს როდოსელს კოლხებში დამოწმებული აქვს სახალხო ყრილობაც. მისი ცნობით აიეტმა არგონავტებს დავალება მისცა „კოლხთა ყრილობა მოეწვიათ სასახლის გარეთ, სადაც უწინაც ჯდებოდა სათათბიროდ".

*არგონავტიკაში* მოტანილი ცნობები ყურადღებას იქცევს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქართველური ტომების ლოკალიზაციის თვალსაზრისითაც. როდოსელის მიხედვით არგონავტთა გზა გადიოდა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, რომელიც ზემოთ აღნიშნული ქართველური ტომებით ყოფილა დასახლებული. ისინი არ ექვემდებარებოდნენ აიეტის სამფლობელოს, მაგრამ დიდ სამეფოსთან გარკვეული ეკონომიკური კავშირი მაინც უნდა ჰქონოდათ. ამ მხრივ საკმარისია თუნდაც ხალიბთა მაგალითი, რომლებიც მხოლოდ მადნის მოპოვება-დამუშავებით ირჩენდნენ თავს და, ამიტომაც, იძულებულნი იყვნენ მადნეულის ნაწარმი კოლხთა სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე გაეცვალათ *(Argon.,370 და შმდ.)*

აპოლონიოს როდოსელის *არგონავტიკა* გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ქართველთა ეროვნული ხასიათის დასადგენადაც. აქ პირველ რიგში, აღსანიშნავია აიეტის კოლორიტული სახე, რომელსაც როდოსელი გარეგნულად

ომის ღმერთს – არესს ადარებს და რომლის პიროვნებაც დიდ სიმპათიას იწვევს მკითხველის თვალში. ბერძენი ავტორი არ უარყოფს, რომ აიეტს ადვილად შეეძლო გაენადგურებინა საწმისის მაძიებელი არგონავტები, მაგრამ მან ძალადობას გონის, მამაცობისა და მოხერხებულობის გამოცდა არჩია, რადგანაც მიიჩნია, რომ „უღირსი საქმე იქნება მამაცად შობილმა კაცმა უმდაბლეს კაცს დაუთმოს რამე“ *(Argon.,IV,101)*.

აიას სამეფო იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ არგონავტებმა, რომელთაც არაერთი ხიფათიანი მგზავრობა და ბრძოლა გადაეხადათ, კოლხებთან შებრძოლება ვერ გაბედეს. პირიქით, მთელს უკუსავალ გზაზე ისინი თავს არიდებდნენ კოლხთა საომარ ხომალდებს, რომლებიც არგონავტებს მედეას წასართმევად მოსდევდნენ.

შავიზღვისპირეთის კავკასიელი ტომების ეთნოგეოგრაფიის საკითხებზე მნიშვნელოვანი ცნობები აქვს დაცული რომაელ სახელმწიფო მოღვაწესა და მწერალს *პლინიუს სეკუნდს (23-79 წწ.)*[8]. მისი უზარმაზარი ნაშრომი *„ბუნების ისტორია“ – Historia Naturalies (HN)*, რომლის III, VI და VII თავები შესაბამისად გეოგრაფიას, ეთნოგრაფიასა და ანთროპოლოგიას უჭირავს, სტრაბონისა და პტოლომაიოსის თხზულებებთან ერთად მნიშვნელოვანი წყაროა შავიზღვისპირის აუზის ტომთა ადგილსამყოფელის განსაზღვრის თვალსაზრისით. იგი თანმიმდევრულად ჩამოთვლის შავი ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებზე მცხოვრებ ტომებს. პლინიუსის ცნობით მდინარე თერმოდონტეს აქეთ დასახლებულია ხალიბები, ტიბარენები, ტანმოხატული მასინები(მოსინიკები), მაკროკეფალები, ბეხირები, ბუქსერები და ა.შ., ცოტა ქვემოთ კი ჰენიოხები, ამპრევიტები, ლაზები და სხვ. ტრაპეზონის გადაღმა სეკუნდი ასახელებს არმენო-ხალიბების ტომს *(HN,VI,2,3,11)*. მითითებულია მდინარეები და ციხე ქალაქები მათ შორის მანძილთა ჩვენებით. ჩამოთვლილია მდინარეები – იაზონიონი, აკამპსეონი, ისისი, ბათისი, პონტოს ყველაზე სახელგანთქმული მდინარე ფაზისი. პლინიუსი დაწვრილებით აღწერს ფაზისის გარემო-შენაკადებს, ხეობათა დასახლებულ პუნქტებს *(HN,VI,13)*. მართალია, იგი ფაზისის სათავეებს მოსხებში მიუთითებს, მაგრამ სხვა მხრივ ამ მდინარესთან დაკავშირებით არაერთი მნიშვნელოვანი ცნობა აქვს ფიქსირებული. კერძოდ, მისი მონაცემებით ფაზისი 38500 ნაბიჯზე მოზრდილი ხომალდების სანაოსნოა, აქედან ზემოთ კი დაცურავენ პატარა ნავები. მდინარის სანაპირო ქალაქთაგან ასახელებს კინდარიდას, კირკეუმს, კიგნოსს, შესართავთან კი - ფაზისს. იგი ცალკე აღწერს სახელგანთქმულ ეას, რომელიც ზღვიდან 15000 ნაბიჯზე მდებარეობდა *(HN,VI,5)*.

პლინიუსი მოიხსენიებს მდ. ანთემუნტასთან მდებარე კოლხების ქალაქ დიოსკურიას და მოყავს *ტიმოსთენეს* (ძვ.წ.III ს.) ცნობა იმის შესახებ, რომ იქ, იმ პერიოდში 300 ენაზე მოლაპარაკე ხალხი იყრიდა თავს და, რომ ბერძნები და რომაელები მათთან 130 თარჯიმანის მეშვეობით აწარმობდნენ *მოლაპარაკებებს (HN,VI,5,1)*. მართალია, ეს ცნობა გადაჭარბებულია (მაგ., სტრაბონი 70-მდე ხალხს ასახელებს), მაგრამ ოდესღაც ეს აყვავებული ქალაქი პლინიუს სეკუნდის დროს სავაჭრო-ეკონომიკური და სხვა პარამეტრებით დაძაბუნებული ჩანს.

პლინიუს სეკუნდი გვაწვდის საყურადღებო ცნობას სომხების ლოკალიზაციის შესახებაც *(HN,VI,2,15,1 და შმდ.)*, კერძოდ, იგი ხაზს უსვამს მათ დაახლოებას შავ ზღვასთან (30 მილამდე), რაც ამ პერიოდში ქართველი ტომების – ხალიბების სომხეთის ფარგლებში მოქცევაზე, ან მათ შევიწროებაზე უნდა მიუთითებდეს.

პლინიუს სეკუნდს ეკუთვნის ცნობები მტკვრის ველზე განსახლებული ალბანებისა და იბერების ადგილსამყოფელის შესახებ, რომელთაც შუაზე კავკასიონის მთებიდან ჩამომავალი ოკაზანი (ალაზანი) ყოფს (*HN,VI,2)*. იგი ახსენებს თრიარის ანუ თრიალეთის მხარეს, ალბანეთისა (კაბლაკა) და იბერიის (ჰერმასტუსი, არმაზი) მთავარ ქალაქებს, *„კავკასიის კარს“*, რომელშიც ზოგი მკვლევარისაგან განსხვავებით, არა კასპიის კარი (დარუბანდი), არამედ *„სარმატთა კარი“* (Ptol.,Geor.V,8), ანუ დარიალი იგულისხმება *(HN,VI,2;12, 1)*.

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა პლინიუს სეკუნდის ცნობა კავკასიის კარიდან აქეთ გუსდინთა მთებში მცხოვრები მოუხეშავი ტომის სუავების (სვანების) შესახებ, რომლებიც ოქროს მადნის მოპოვებით ყოფილან სახელგანთქმულნი. იგი არაერთხელ მიუთითებს აგრეთვე კავკასიონის გადაღმა სკვითების, კიმერიელებისა და კისიანტების გვერდით ამაზონთა ტომსა და გეორგინებზე *(HN,VI,35)*, რომელიც, მკვლევართა აზრით, შემდგომში ქართველების საერთო სახელად მკვიდრდება.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში პლინიუსი აღწერს აგრეთვე კასპიისპირეთისა და შიდა ტერიტორიის ხალხებს, კერძოდ ალბანებსა და უდინებს *(HN,VI,39)*. ალბანთა მდინარეებიდან დასახელებულია კავკასიის მთებიდან ჩამომდინარე კაზუსი, ალბანუსი და კამბისი, შემდეგ კი კიაროსი (მტკვარი).

დაბოლოს, შეუძლებელია არ შევეხოთ ცნობას ქსენოფონტეს მიერ თავის დროზე აღნიშნული *(Anab.,IV,8,20)* მაკრონთა მათრობელა თაფლის შესახებ, რომელსაც პლინიუს სეკუნდის აზრით შეშლილობის გამოწვევის გამო გამაგიჟებელს ეძახიან. იგი ამის მიზეზად თვლის აქაურ ტყეებში უხვად არსებულ როდოდენდრის ყვავილს, თუმცა პლინიუსი განცვიფრებულია აქაური ცვილის მაღალი ხარისხით, რომელსაც იგი პუნიურ ცვილს ადარებს და საერთაშორისო ვაჭრობის საგნად ასახელებს. ცხადია ეს ცნობა აშკარად მიუთითებს ქართველ ტომებში მეფუტკრეობის განვითარების მაღალ დონეზე, თუმცა თავად თაფლი მისი მათრობელა თვისებების გამო ვაჭრობის საგნად არ ქცეულა. მხოლოდ პლინიუსი იძლევა ცნობას ზღაპრული აიეტის შთამომავალ კოლხთა მეფე სავლაკის შესახებ, რომელმაც მიიღო სამკვიდროდ ოქროთი და ვერცხლით მდიდარი მიწა ოქროს საწარმოებით სახელგანთქმულ ქვეყანაში. იგი ასახელებს სავლაკის ოქროს პალტებს, ვერცხლის კოჭებსა და სვეტებს და ა.შ. *(HN,XXXIII,15,2)*.

ანტიკური ხანის ჩრდილო-დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე განსახლებული კოლხების, კორაქსების, აბაზგების, აფშილების, სანიგების, ჰენიოხებისა და სხვ. შესახებ საინტერესო ცნობები აქვს დაცული *ფლავიუს არიანეს (90/95-175 წწ.)*[9]. მართალია, ეს ცნობები ძირითადად ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე ამ ტომების ლოკალიზაციის საკითხებს ეხება, მაგრამ მათზე დაყრდნობით არაერთი ვარაუდია გამოთქმული მათი ეთნიკური კუთვნილე-

ბის, საქმიანობის, ყოფა-ცხოვრების ძირითადი მომენტების, რწმენა-წარმოდგენებისა და სხვ. შესახებ.

ალექსანდრე მაკედონელის შესახებ მოტანილი ცნობების გარდა, არიანეს *„პერიპლიუსში“*, *„ინდოეთის ისტორიაში“* და სხვა ნაშრომებში არაერთი ცნობა აქვს დაცული კავკასიის სხვადასხვა ხალხების ისტორიისა და ეთნოლოგიის შესახებ. საგულისხმოა, რომ არიანეს დროს კოლხები მხოლოდ ტრაპეზუნდის მიდამოებში ჩანან ლოკალიზებული *(Peripl.,7,8,11)*, მაშინ როდესაც დასავლეთ საქართველოს ვრცელი ტერიტორია უკვე ლაზებს უჭირავთ *(Peripl.*,7,11). აქვე მდინარე აფსაროსიდან კოდორამდე ლაზებთან ერთად იგი აღწერს ზიდრიტებსა და აფსილებს, სანიგებს, კორაქსებს, მელანქლაინებს, მაქელონებსა და ტორეტებს *(Peripl., 16, 18,24)*. სხვათა შორის პროკოპი კესარიელს თავის თზულებაში – *„გოთებთან ომი“* დაცული აქვს არიანეს საინტერესო ცნობა ლაზიკის ლოკალიზაციისა და ქვეყანაში არსებული ციხე-ქალაქების შესახებ. „ამ მხარეს ჩამოუდის მდინარე, სახელად რეონი, სადაც კოლხებს ძველად აუგიათ ციხე... მაშინ ამ ციხეს ელინთა ენაზე კოტიაიონს უწოდებდნენ. ახლა კი მას ლაზები კოტაისს ეძახიან... ასე მოგვითხრობს ამას არიანე“ – წერს პროკოპი კესარიელი (BG, IV,14,47 და შმდ.)

შედარებით ისტორიული კვლევის თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა არიანეს ცნობები მომთაბარე და მიწის მხვნელი სკვითების შესახებ და მათ სამეურნეო საქმიანობის მიხედვით ორ ნაწილად – ევროპისა და აზიის სკვითებად ყოფს. იგი მიუთითებს მათ საცხოვრისზეც. ევროპის სკვითებს იგი მდ. ისტროსის შესართავთან *(Anab.,IV,1,1-3,15-1)*, ხოლო აზიის სკვითებს კასპიის ზღვის მიდამოებსა და შუა აზიაში გულისხმობს (*Anab.,IV,17 და შმდ.)*

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტომების შესახებ საყურადღებო ცნობებს ვხვდებით II საუკუნის ბერძენი პოეტისა და მეცნიერის *დიონისიოს პერიეგეტის (IIს., დაახლ. 124 წ.)*[10] თხზულებაში *„დედამიწის აღწერილობა“ – Orbis Descriptio (OD)*, რომლის მიხედვითაც მეოტები, ამაზონები და სავრომატები მდ. ტანაისის შესართავებში ცხოვრობენ *(OD,652)*. პერიეგეტი განსაკუთრებული გულისყურით აღწერს სავრომატთა ქვეყნის მკაცრ კლიმატს, რაც განაპირობებდა კიდეც მათი ცხოვრების წესს. „ამ ქვეყანაში ხშირია თოვლი და ძლიერი ყინვები. და მაშინ, როცა ზამთრის ქარების გამო იქ ძალიან ცივა, მათი ღია ცისქვეშ მდგომი ცხვრები, ჯორები და ცხენები იხოცებიან. აქაური ზამთრის ქარბუქს ადამიანებიც კი ვერ გადაურჩებოდნენ, მაგრამ ამ დროს ისინი ურმებზე დაბარგებულნი სხვა ქვეყანაში მიემგზავრებიან და თავიანთ მიწას ზამთრის ქარების ამარა ტოვებენ, რაც თავისი დამანგრეველი ძალით ნთქავს კიდეც მიწასა და ფიჭვის ტყით შემოსილ მთებს" *(OD,652)*.

პერიეგეტის ცნობით სინდები და კიმერიელები, აგრეთვე ზღვისპირა კერკეტები, ტორეტები და მეომარი ახეელები, რომლებიც მათ მეზობლად ცხოვრობენ, უფრო მჭიდროდ არიან დასახლებულნი (*OD,679*). რაც, ალბათ გარკვეულწილად უადვილებდა მათ სტიქიისა და გარშემო დასახლებული, მტრულად განწყობილი ტომების წინააღმდეგ ბრძოლას.

პერიეგეტი ეთნოლოგიური ხასიათის საყურადღებო ცნობებს გვაწვდის პონტოელი ტომების – ბიძერების, ბექირების, მაკრონების, ფილარების, მოსი-

ნიკების, ტიბარენებისა და ხალიბების შესახებაც. „პირქუშსა და მკაცრ მიწაწყალზე ცხოვრობენ ხალიბები, მძიმე რკინის დამუშავების მცოდნენი. ისინი დგანან მძიმედ ჟღერად გრდემლებთან და ჯაფისა და საშინელი გასაჭირის მიუხედავად არასოდეს ისვენებენ" – წერს იგი (*OD,762*).

პერიეგეტი ეხება ახეელთა, ჰენიოხთა და ზიხთა ეთნოგენეზის პრობლემას და თვლის, რომ ახეელები აქ საბერძნეთის ნახევარკუნძულიდან უნდა მოსულიყვნენ, ხოლო მათი მეზობლები ჰენიოხები და ზიხები ასევე პელაზგიური წარმოშობისანი არიან *(OD,679)*.

ბერძენი ავტორი ეხება კოლხთა საცხოვრისსაც და გვამცნობს, რომ ისინი ტინდარიტების ქვეყნის ახლოს პონტოს ბოლაზში ცხოვრობენ, თავის დროზე აქ ეგვიპტიდან არიან მოსულნი და კავკასიის მთაგრეხილის ძირას არიან დასახლებულნი. მისივე ცნობით, კოლხთა ჩრდილო-აღმოსავლეთით შავ და კასპიის ზღვებს შორის გადაჭიმულ მთაგრეხილის იქით ცხოვრობენ აღმოსავლეთის იბერები, რომლებიც აქ ოდესღაც დასავლეთიდან, კერძოდ, პირინეის ნახევარკუნძულიდან მოვიდნენ და ხანგრძლივი შეტაკებები უხდებოდათ კასპებთან *(OD,679)*.

ბუნებრივია, ახეელების, ჰენიოხების, კოლხებისა და ზიხების ეთნოგენეზის პერიეგეტისეული ახსნა ძალზე შორსაა რეალობისაგან, მაგრამ ჰეროდოტედან მოკიდებულმა ანტიკური ხანის ეთნოგენეტიკურმა კონცეფციებმა კავკასიის ხალხთა შესახებ, შუა საუკუნეებშიც შეინარჩუნეს არსებობის უფლება და შესამჩნევი გავლენა გვიანფეოდალურ ისტორიოგრაფიაზეც მოახდინეს.

გვიანანტიკური ხანის საქართველოსა და კავკასიის ხალხების ეთნოგრაფიული და დემოგრაფიული ვითარების შესახებ საყურადღებო ცნობები აქვს დაცული ბერძენ მწერალსა და მეცნიერს *კლავდიოს პტოლომაიოსს (გარდ.დაახლ. 168 წ.)*[11] მის მიერ შესრულებულ კარტოგრაფიულ რუკებსა და ჩანაწერებში აზიური სარმატია გადაჭიმულია ევქსინის პონტოდან ტანაისის შესართავამდე. სამხრეთით იგი შემოსაზღვრულია ევქსინის პონტით, აქედან მოკიდებული საზღვარი გადის კოლხეთის, იბერიისა და ალბანეთის განაპირა მიჯნებზე – თვით გერკამის ანუ კასპიის ზღვამდე. აღნიშნულ ტერიტორიაზე წარმოდგენილ მთაგრეხილებს კოლხეთის, იბერიისა და კასპიის ზღვის მიმართულებით ავტორი კავკასიის მთის სახელით მოიხსენიებს *(Georg.,VIII,7,11,14)*.

კასპიის ზღვის გასწვრივ პტოლომაიოსი ასახელებს უდინებს, ოლონდებს, ისონდებს და ჰერებს. ბოსპორის გასწვრივ კავკასიის მთაგრეხილის ორივე მხარეს ავტორი მოიხსენიებს ბოსპორანებს, ხოლო პონტოს გასწვრივ ახეელებს, კერკეტებს, ჰენიოხებს და სვანოკოლხებს, ალბანეთის იქით კი სანარებს *(Georg.,VIII,25)*.

შედარებით დაწვრილებით აქვს მიმოხილული პტოლომაიოსს კოლხეთის მდებარეობა, სადაც იგი ზღვის სანაპირო ნაწილში იხსენიებს დიოსკურიადას, ფაზისს, ნეაპოლს. აქვეა დასახელებული ლაზთა ტომი, რომელიც მანრალებთან ერთად ეკრეტიკეს (ეგრისის) ქვეყანაში არიან გაერთიანებულნი *(Georg.,IX,1,2,4,6)*. პტოლომაიოსის აზიის III რუკაზე ცალკეა მოცემული იბერიის მდებარეობის, აგრეთვე მისი ქალაქებისა და სოფლების აღწერა *(Georg.,X,1,2,3)*.

სტრაბონის მიერ აღწერილი ტერიტორიების რამდენადმე მოგვიანო ვარიაციებია მოტანილი ელინისტური ხანის ცნობილი ბიზანტიელი მწერლის *ამიანე მარცელინის (Vს.)*[2] ნაშრომში *„ისტორია" – Res Gestae(RG)*, სადაც შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროების მოსახლეობის აღწერისას განსაკუთრებული გულისყურითაა მოხსენიებული ხალიბები. მარცელინის ცნობით ხალიბებმა "პირველად მოიპოვეს და დაამუშავეს რკინა. მათ შემდეგ ვრცელი მიწები უჭირავთ ბიზერებს, საპირებს, ტიბარენებს, მოსინიკებს, მაკრონებს და ფილიარებს – ხალხებს, რომლებიც ჩვენთვის სრულიად უცნობნი არიან" *(RG.,XXII,21)* – წერს იგი. კოლხების საცხოვრისისა და კამარიტების ყოფა-ცხოვრების აღწერის შემდეგ *(RG, XII,24)*, ამაიანე მარცელინი საკმაოდ საინტერესო ცნობებს გვანვდის კიმერიის ბოსფორის ამაზონებსა და მეოტიდის ტბის გარშემო მცხოვრები მოსახლეობის შესახებაც. მისი მონაცემებით, მეოტიდის ტბის გარშემო "მრავალი ტომი ცხოვრობს განსხვავებული ენებისა და ჩვეულებათა ნაირფეროვნებით: იქსომატები, მეოტები, იაზიგები, როქსოლანები, ჰალანები, მელაქნელები და გელონებთან ერთად აგათირსები" *(RG,XXII,31)*. ამათგან არც თუ ისე შორს მარცელინი აღწერს ტავრებს "ღმერთებს რომ ადამიანებს სწირავენ მსხვერპლად და უცხოელებს სწირავენ დიანასაც... დახოცილთა თავებს ტაძრის კედლებზე ჰკიდებენ, როგორც მამაცურ საქმეთა სამარადისო ძეგლებს" *(RG ,,XXII,34)*.

ელინისტური ხანის ბიზანტიელ ავტორთა შორის *პროკოპი კესარიელი (VI ს.)*[3] თავის ცნობილ ნაშრომში *„იუსტინიანეს ომების ისტორია"*, ერთ-ერთი პირველთაგანი ეხება ვრცლად კავკასიის ხალხთა ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებს. კესარიელის თხზულება სამი ნაწილისაგან შედგება: 1. ომი სპარსელებთან – *De Bello Persico (BP-I-II)*, 2. ომი ვანდალებთან - *De Bello Vandalico (BV-I-II, საერთო რიგით III-IV)* და 3. ომი გუთებთან - *De Bello Gothico (BG-I-III, საერთო რიგით V-VII)*.

ომების ყველა ფრონტისადმია მიძღვნილი VIII წიგნი.

კესარიელი არაერთხელ აღწერს ლაზების, ჭანების, სანების, მესხების, იბერების, *(BP,I,12,15; BP,II,15,25; BG,VIII,1-2* და შმდ.), სომხების, ალანების, ჰუნების, აბაზგების, საბირებისა და სხვ. (*BG,VII,3,4* და შმდ.) ყოფა-ცხოვრების, წეს-ჩვეულებებისა და რწმენა-წარმოდგენების თავისებურებებს, მიმოიხილავს ლეგენდას ამაზონთა ტომის შესახებ და ცდილობს კავკასიის სინამდვილეში რეალური საფუძველი მოუნახოს მას *(BG,VIII,3)*.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ჩანაწერები ჭანებსა და ლაზებზე პროკოპი კესარიელის მეორე ნაშრომში *„შენობათა შესახებ" – De Aedificiis (DA)*. თხზულების ამ ნაწილში ვრცლადაა მიმოხილული ჭანების ტომი, რომელიც იმდროინდელი ბარბაროსული სამყაროდან არა თუ არ ემორჩილებოდა რომაელებს, არამედ რომაულ ახალშენებზე და მის მეზობლებზე მუდმივი თავდასხმის შიშით მათგან ოქროს განსაზღვრულ რაოდენობასაც იღებდა *(DA,VIII,6)*. მიუხედავად ამისა, კესარიელის ცნობით, ჭანებს ხშირად ავიწყდებოდათ პირობა, თავს ესხმოდნენ არმენიელებს და ზოგჯერ რომაელებზეც წაუცდებოდათ ხელი, თუმცა საბოლოოდ მაინც მოთვინიერებულან, რომაელთა ჯარში ჩაწერილან და ქრისტიანობაც მიუღიათ *(DA,VIII,6)*.

კესარიელის ცნობით ჭანები ზღვიდან მოშორებით ცხოვრობენ და ემეზობლებიან სომხებს *(BG,VIII,1)*. რაც შეეხება ლაზებს, იმდენად, რამდენადაც ისინი ფაზისის სანაპიროს გასწვრივ სახლობენ, კოლხების მემკვიდრეებს უნდა წარმოადგენდნენ და, ისე როგორც სხვა მრავალ ხალხებს ჩვენიათ, მხოლოდ სახელი კოლხი შეცვალეს ახალი სახელწოდებით *(BG,VIII,1)*.

კესარიელი მიუთითებს მდინარეებს ცხუმსა და კოდორს შუა მცხოვრებ აბაზგების გაქრისტიანებაზეც, რომელიც VI საუკუნის შუა ხანებში იმპერატორ იუსტინიანე I დროს უნდა მომხდარიყო. მიუხედავად ამისა, კესარიელის ცნობით აბაზგებში ამ დროს მაინც მძლავრობდა წარმართული რწმენის გადმონაშთები *(BG,VIII,3)*.

პროკოპი კესარიელის იუსტინიანეს ომების ისტორია გუთებთან, ვანდალებთან და სპარსეთთან, მარცელინის თხზულებათა შემდეგ, ერთერთი უმნიშვნელოვანესი და სანდო წყაროა ელინისტური ხანის დასავლეთ კავკასიის ტომთა ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესახებ.

პროკოფი კესარიელის ისტორიის უშუალო გამგრძელებლად მიაჩნიათ ცნობილი ბიზანტიელი პოეტი და ისტორიკოსი *აგათია სქოლასტიკოსი (536-582 წწ.)*.[14] რომლის მთავარი საისტორიო თხზულება *„იუსტინიანეს მეფობისათვის“* ხუთი წიგნისაგან შედგება. მასში თანმიმდევრულადაა გადმოცემული VI საუკუნის დასავლეთ საქართველოს – ლაზიკის ისტორიის უმთავრესი მომენტები და აღწერილია დაბა-ქალაქები და ციხე-სიმაგრეები, კერძოდ ქუთათისი, მუხურისი, ვარდციხე, ტოლები და ა.შ. - *Historici Great Minores (HGM,II,19)*. ლაზები აგათია სქოლასტიკოსსაც კოლხების შთამომავლებად მიაჩნია *(HGM, II, 18)*, რომლებსაც, თავის მხრივ, ჰეროდოტესა და სხვა ანტიკური მწერლების ანალოგიურად ეგვიპტიდან მოსულებად თვლის (*HGM,II,18,IV,15)*. მეტად მრავლისმეტყველია ლაზების აგათიასეული დახასიათება. აქ ზედმიწევნით კარგად ჩანს მათი ყოფითი კულტურის არაერთი მნიშვნელოვანი მხარე – ეროვნული ხასიათი, ტემპერამენტი, ნებისყოფა, ცხოვრების წესი. „ლაზები ძლიერი და მამაცი ტომია. ისინი ბატონობენ სხვა ძლიერ ტომებზე, ამაყობენ კოლხების ძველი სახელით და, შესაძლოა, თავიანთ თავს არც თუ ისე უსაფუძვლოდ ადიდებენ. სხვა ქვეყნების მორჩილებაში მყოფ ტომთა შორის, მე არ მინახავს სხვა ვინმე ისეთი გამოჩენილი და ძლიერი, როგორც თავისი სიმდიდრითა და ფუფუნებით, ასევე მრავალრიცხოვანი ქვეშევრდომებით, ისე როგორც ვრცელი ტერიტორიითა და უხვი მოსავლით, ასევე ზნეობრივი სილამაზითა და შეუპოვრობით... ისინი უკვე აღარ არიან ბარბაროსები და არც ეწევიან ბარბაროსული ცხოვრების წესს. რომაელებთან კავშირის მეშვეობით მათ თავიანთ ცხოვრებას სახელმწიფოებრივ-კანონიერი სახე მისცეს...“ – წერს აგათია სქოლასტიკოსი *(HGM,III,5)*.

საქართველოში, ეთნოგრაფიული ცოდნის განვითარების თვალთახედვით, მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვან ცნობებს ვხვდებით ანტიკური და ელინისტური ხანის სხვა მოგზაურ-მკვლევართა ნაშრომებშიც, მაგრამ, ვფიქრობთ, აქ მოტანილი წერილობითი წყაროები მეტნაკლებად სრულად ასახავენ აღნიშნული ეპოქების ისტორიული აზროვნების ძირითად ტენდენციებს. ანტიკური და ელინისტური ხანის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ცოდნის ეს უმდიდრესი მემკვიდრეობა საფუძვლად დაედო ფეოდალური ხანის ქართული ის-

ტორიოგრაფიის თეორიულ შეხედულებებს და არსებითად განსაზღვრა მისი ძირითადი მიმართულებები. თუ ადრეული ხანის ქართულ წერილობით წყაროებში (V-X სს.) ეს ტენდენციები ჯერ კიდევ სუსტად ჩანს, შუა და გვიანფეოდალური ხანის ქართული ისტორიოგრაფიის ფუძემდებელი მოღვაწეების შემოქმედებაში ქართველი ხალხის ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის საკითხების კვლევას, ეროვნული კულტურულ-ისტორიული ღირებულებების ანალიზსა და შეფასებას წითელ ზოლად გასდევს ბიბლიური, ანტიკური და ელინისტური ხანის ზემოთ დასახელებულ ავტორთა მრავალფეროვანი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემები. საკმარისია დავასახელოთ ლეონტი მროველისა და ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებები, რომლებშიც ქართველი და კავკასიელი ხალხების ეთნოგენეზი და ეთნიკური ისტორია, ბიბლიიდან და ჰეროდოტედან მოყოლებული, უმდიდრესი ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის შუქზეა განხილული და გაანალიზებული. საგულისხმოა, რომ ანტიკური ხანიდან მომდინარე დებულება ქართველების (იბერების) დასავლეთიდან, აპენინის ნახევარკუნძულიდან გადმოსახლების შესახებ, თანამედროვე ისტორიოგრაფიაშიც ინარჩუნებს მეცნიერულ ღირებულებას და ქართულ-ბასკური პარალელების შესწავლის სახით საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებადაა აღიარებული. იგივე შეიძლება ითქვას არგონავტიკის შესახებაც, რომელიც საფუძვლად უდევს ანტიკური და ფეოდალური ხანის კოლხეთის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ფუნდამენტურ მიმართულებათა კვლევებს.

ქართველ ტომთა კულტურული მიღწევების ასეთმა გლობალიზაციამ იმდროინდელ ცივილიზებულ სამყაროში, საქართველოში ისტორიული აზრის განვითარების ადრეული პერიოდიდანვე ჩაუყარა საფუძველი საკუთარი ხალხის კულტურისა და ყოფის თავისებურებებისადმი ინტერესს. საგულისხმოა, რომ ქართული ლიტერატურული ძეგლებიდან პირველსავე მხატვრულ-ისტორიულ ნაშრომში *„წამებაჲ წმინდისაჲ შუშანიკისი“* (V ს.)[1], მნიშვნელოვან ცნობებს ვხვდებით ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის სხვადასხვა მხარეებზე[2].

ჩვენამდე მოღწეულ ამ უძველეს ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში აღწერილია V ს. 70-იანი წლების ქართლის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა სპარსეთის ბატონობის პერიოდში. თხზულება მოგვითხრობს ქართლის გამაზდეანებული პიტიახშის – ვარსქენის მიერ თავისი ქრისტიანი მეუღლის შუშანიკის წამების ამბავს. *“წამება”* დაწერილია 476-483 წწ. შუშანიკის სულიერი მოძღვრისა და პიტიახშის სამეფო კარის ხუცესის – იაკობ ცურტაველის მიერ.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის სხვა მრავალფეროვან მონაცემებთან ერთად განსაკუთრებით საინტერესო და ფასეულია ამ ძეგლში დაცული უნიკალური ცნობები იმდროინდელი საქართველოს ოჯახსა და საოჯახო ყოფაზე, კერძოდ, ურთიერთობაზე ოჯახის წევრებს შორის, მათ შორის არსებულ ნათესაურ კავშირებზე და შესაბამის ტერმინებზე, ოჯახის შემადგენლობაზე და ა.შ.[3] შუშანიკის წამებაში პირველად ვხვდებით ცნობებს საქორწილო რიტუალების შესახებ. კერძოდ, აქ საუბარია ნიშნობის, ურვადისა და მზითევის, პურობის ძველქართული წესის შესახებ, რაც სუფრაზე ქალებისა და კაცების ცალ-ცალკე დასხდომას გულისხმობდა. ძეგლში საუბარია დაკრძალვის რიტუალებზე, მიცვალებულის კულტზე და სხვა ეთნოგრაფიული თვალსაზრისით საყურადღებო დეტალებზე.[4]

საყურადღებო ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობებს შეიცავენ მომდევნო ხანის ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის სხვა თხზულებებიც. ამ თვალსაზრისით იაკობ ცურტაველის შუშანიკის წამების გვერდით შეიძლება დავასახელოთ *„ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ (VI ს.),*[5] *იოანე საბანისძის „აბოს წამება“ (VIII ს.),*[6] *„აბიბოს ნეკრესელის მარტვილობა“ (IX ს.),*[7] *„ასურელ მამათა ცხოვრებანი“ (IX-XI სს.),*[8] *აგრეთვე გიორგი მერჩულეს „ცხოვრებაჲ გრიგოლ ხანძთელისა“ (X ს.),*[9] *ბასილ ზარზმელის „ცხოვრებაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ“*[10] და ა.შ., რომლებშიც არაერთხელაა საუბარი იმდროინდელი საქართველოს მოსახლეობის კულტურულ-ყოფით თავისებურებებზე.

ქრისტიანული სარწმუნოებისადმი ერთგულებისათვის წამებულ წმინდანთა ცხოვრებისადმი მიძღვნილ თხზულებათაგან *„აბოს წამებაში“* აღწერილია ქართველი ხალხის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების ამსახველი სიუჟეტები არაბთა ბატონობის ხანაში, მოცემულია საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების – ხაზარების, ოსებისა და აფხაზების სარწმუნოებრივი მდგომარეობა VIII საუკუნის მეორე ნახევარში. თხრობის ცენტრალური ქარგის – არაბი აბოს საქართველოში ჩამოსვლის, გაქრისტიანების და არაბების

მიერ მისი წამების აღწერის გვერდით, იოანე საბანისძის თხზულებაში არაერთხელაა მინიშნებული და ფიქსირებული ქართველი ხალხის ყოფითი დეტალები და კულტურულ-ისტორიული რეალიები, ეროვნული თვითშეგნებისა და ცნობიერების პრობლემები, ეთიკური და ზნეობრივი ღირებულებანი[11], რასაც იმ პერიოდის შესახებ არსებულ ძალზე მწირ ინფორმაციას შორის დიდი მნიშვნელობა აქვს ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც.

დასახელებულ ძეგლთა შორის *„ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში"* საინტერესო ეთნოგრაფიულ ცნობებს ვხვდებით VI საუკუნის ქართლში არსებული რელიგიური ვითარების, ქრისტიანული მოძღვრებისა და სხვადასხვა რელიგიურ მიმდინარეობათა შორის ატეხილი დავის შესახებ.[12] წმინდა ეთნოგრაფიული თვალსაზრისით უდაოდ მნიშვნელოვანია აღნიშნულ ძეგლში პირველად მოტანილი ცნობები ქართლში გავრცელებულ მეაქლემეობასა და მეჯვარეობაზე, ხელოსანთა გაერთიანებების მატერიალურ, მორალურ-ეთიკურსა და რელიგიურ ინტერესებზე და ა.შ.[13]

ანალოგიური ღირებულების ეთნოგრაფიული მონაცემების ამოკრება შეიძლება სხვა წმინდანთა, -კერძოდ, *„აბიბოს ნეკრესელის მარტვილობასა"* და *„ასურელ მამათა ცხოვრებანის"* აღწერებშიც.

გიორგი მერჩულესა და ბასილ ზარზმელის თხზულებებში, სამხრეთ საქართველოს სამონასტრო მშენებლობის ისტორიასთან ერთად, უმნიშვნელოვანესი ცნობებია დაცული აქაური მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობაზე და სოციალური ურთიერთობის ნორმებზე. ამ თვალსაზრისით უნიკალური მასალებია მოტანილი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, სამშენებლო პროცესების, მიწის დამუშავების, ნადირობა-მეთევზეობის, ოჯახისა და საოჯახო ყოფის, კერძოდ, ოჯახის წევრთა შორის ურთიერთობის, სტუმარმასპინძლობის წესისა(სტუმრის მიღება-გაცილება, მიწვევა-მიპატიჟება, გამოთხოვების ეტიკეტი) და სხვ. შესახებ.[14] საგულდაგულო აღნიშვნის ღირსია გიორგი მერჩულის თხზულებაში შეტანილი მონაცემები საქართველოში სწავლა-აღზრდისა და საერთოდ განათლების სისტემის შესახებ[15], რაც სრულ შესაბამისობაში ყოფილა იმდროინდელი ქრისტიანული კულტურის მოწინავე ქვეყნების (ბიზანტია, სირია) საგანმანათლებლო საქმიანობის პარამეტრებთან.

საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ძველი ისტორიის პრობლემებზე კიდევ უფრო სისტემური და მრავალფეროვანია შუაფეოდალური ხანის წყაროები. ამ პერიოდის საისტორიო წყაროებიდან პირველხარისხოვანი მნიშვნელობისაა *„მოქცევაჲ ქართლისაჲს"* ქრონიკა და ძველი ქართული საისტორიო წყაროების კრებული *„ქართლის ცხოვრება"*( VII-IX სს.)[16].

*„მოქცევაჲ ქართლისაჲს"* ქრონიკებს, რომელიც, მკვლევართა აზრით VII-IX საუკუნეებში უნდა იყოს შედგენილი, საფუძვლად უდევს მეფეთა, ერისთავთა და კათალიკოსთა ცხოვრების ნუსხა სააღმშენებლო-საისტორიო საქმიანობათა შესახებ მოკლე მინაწერებით. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნახევრადლეგენდარულ თქმულებებს ალექსანდრე მაკედონელის ქართლში მოსვლისა და აზოს შესახებ, რომელიც წინაქრისტიანული ხანის მონაკვეთშია ჩართული, ქრონიკის ძირითად ნაწილში საუბარია ქართლის მმართველთა მიერ საფოსტო და საფორტიფიკაციო ნაგებობათა მშენებლობის შესახებ. ამ თვალსაზრისით ქრონიკებში მიმოხილულია ქართლიდან მოტანილ *„კერპთა აღ-*

*მართვა*“ ანუ წარმართულ სამლოცველოთა აგება, არმაზციხის, მცხეთისა და სხვ. შენება და ა.შ. აქვე მოტანილია ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის არაერთი მნიშვნელოვანი ცნობა[17].

ბუნებრივია, „*მოქცევაჲ ქართლისაჲს*“ უმნიშვნელოვანესი ეთნოლოგიური წყაროთმცოდნეობითი ხასიათი განსაზღვრულია წმინდა ნინოს მოღვაწეობისა და ქართლში ქრისტიანობის შემოღება-დამკვიდრების ამსახველი ნეხევრადლეგენდარულ-რეალისტური ამბებით, სადაც დიდი ყურადღება ეთმობა ქართველთა წარმართული რელიგიის, სამეფო კარის ყოფითი რეალიების ამსახველ სიუჟეტებს.

საქართველოსა და კავკასიის ძველი ისტორიის კიდევ უფრო მნიშვნელოვან წყაროდაა მიჩნეული „*ქართლის ცხოვრების*“ კრებული, რომელშიც თანმიმდევრულადაა მოთხრობილი საქართველოს ისტორია უძველესი პერიოდიდან ვიდრე XII საუკუნის ჩათვლით, კერძოდ, დავით აღმაშენებლის ისტორიის მომცველი თხზულებებით. სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებული მოსაზრებით, „*ქართლის ცხოვრების*“ დასაწყისის ნაწილი დაწერილია ლეონტი მროველის მიერ. მას აგრძელებს ჯუანშერის თხზულება, რომელშიც თხრობა VIII საუკუნემდე მოდის. მომდევნო ნაწილი – უცნობი ავტორის თხზულება „*მატიანე ქართლისაჲ*“ – არჩილ მეფიდან ვიდრე ბაგრატ მეოთხემდე გრძელდება. და ბოლოს, კრებული მთავრდება დავით აღმაშენებლის ისტორიით[18].

„*ქართლის ცხოვრების*“ ქრონიკებში ისტორიულ სიუჟეტებთან ერთად ორგანულადაა შერწყმული ეთნოგრაფიული მონაცემებიც. ქვეყნის პოლიტიკური ისტორიის ქარგაზე აგებულ მემატიანის თხრობაში ნათლადაა გამოკვეთილი ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი რეალიები, პირველ რიგში კი, მკვიდრ ბინადრობაზე დამყარებული სამეურნეო-კულტურული ყოფის თავისებურებები, რომლებიც საფუძველშივე განსაზღვრავდნენ ცხოვრების ქართული წესის სიმტკიცესა და მდგრადობას, მის გამძლეობასა და შეუვალობას, რაც ხალხის ფსიქიკის, საბოლოო ჯამში კი, ეროვნული ხასიათის რანგში აყვანილი ფენომენის სახით იყო ჩამოყალიბებული. ამ მხრივ სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ *დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის*, აგრეთვე „*ქართლის ცხოვრებაში*“ და სხვა ძველქართულ წყაროებში შესული ცნობები, რომლებიც ნათლად ადასტურებენ მომთაბარეობის, როგორც საქართველოსათვის უცხო, ეგზოგენური კულტურის შეუთავსებლობას ქართული სინამდვილისადმი.

*დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი* ხატოვნად აღწერს იმ კატასტროფას, რომელიც აქ სელჩუკთა ურიცხვ ურდოების შემოსახლებას მოჰყვა. ამ ცნობებში კარგად ჩანს ბინადარი მინათმოქმედი კულტურის წარმომადგენლის შეშფოთება ველის მომთაბარეთა აგრსიული ექსპანსიის მიმართ, რომელიც უცხო იყო ქართულ-კავკასიური სინამდვილისათვის: „ჩამოიარიან თურქთა სომხითი, ყოვლითა ფალანგითა მათითა, ჩამოდგიან გაჩიანთა, პირსა მტკუარისასა, ტფილისითგან ვიდრე ბარდავამდე, და იორის პირთა, და ყოველთა ამათ შუენიერთა ადგილთა საზამთროთა, რომელთა შინა ზამთრის, ვითარცა არესა გაზაფხულისასა, ითიბების თივა და აქუს შეშა და წყალი უხუებით, და მუნ არს სიმრავლე ნადირთა თჳთოფერი და საშუებელი ყოველი. ამათ ადგილთა შინა დადგიან ხარგებითა. ცხენისა, ჯორისა, ცხუარისა და აქლემისა მათისა არა

იყო რიცხჳ და აქუნდა ცხოვრება სანატრელი. ნადირობდიან, განისუენებდიან და იხარებდიან, და არა იყო ნაკლულევანება მათ თანა. თჳსთა ქალაქთა ვაჭრობდიან, ხოლო ჩუენთა ნაპირთა არბევდიან ტყჳთა და ალაფითა სავსეთა. გაზაფხულსა თანა იწყიან სვლა აღმართ მთათა სომხითისა და არარატისათა. ეგრეთვე ზაფხულისცა ჰქონდეს შუება და განსუენება, თივათა და ველთა შუენიერთა, წყაროთა და ადგილთა ყვავილოვანთა, და ესოდენ დიდი იყო ძალა მათი და სიმრავლე, რომელ სთქუამცა თუ „ყოველი თურქობა ყოვლისა ქვეყნისა იქი არსო"[19].

თურქ-სელჩუკთა მრავალრიცხოვანი ურდოების მოძალებისაგან შევიწროებულ ქართველ მოსახლეობას გადაშენების საფრთხე ელოდა. ასეთი მძიმე ვითარების გამო ინტენსიური მეურნეობის დარგები თანდათან იშლებოდა. „არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა: მოოჴრდა ქუეყანა და ტყედ გარდაიქცა, და ნაცვლად კაცთა მჴეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვდრნეს მას შინა. და იყო ჭირი მოუთმენელი ყოველთა ზედა მკდრთა ქუეყანისთა, შეუსწორებელი და აღმატებული ოდესვე ყოფილთა სმენილთა და გარდასრულთა ოჴრებათასა"[20].

ველის მომთაბარეთა ასეთი მოძალების გამო საფრთხე შეექმნა ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან ტრადიციულად მომდინარე ქვეყნის მთისა და ბარის სამეურნეო-კულტურული კომპლექსების ერთიანობას, შესაბამისად კი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საფუძვლებს. საქართველოს მთამ საზამთრო საძოვრებთან ერთად დაკარგა ისტორიული საქართველოს ბართან ურთიერთობის ყველა შანსი და საშუალება. მოგვიანებით მტკვრისა და იორ-ალაზნის მოსავლიანი ველები და ნოყიერი საძოვრები *„ქართლის ცხოვრებაში"* არაერთხელაა მოხსენიებული ველის მომთაბარეთა *„საზამთრო"* და *„საზაფხულო"* სადგურებად.[21]

საგულისხმოა, რომ კავკასიაში შემოჭრილ მოხეტიალე ცხოვრების წესმა, ქართველი და კავკასიელი ხალხების აგრალური ცივილიზაციის მაღალკულტურული მიღწევებისა და ველის მომთაბარეობისათვის აქაური სამეურნეო-ბუნებრივი პირობების არახელსაყრელი ვითარების გამო, საბოლოოდ ვერ მოიკიდა ფეხი. უფრო მეტიც, აქ იგი უაღრესად ნეგატიური შეფასების ობიექტად იქცა, რასაც თვალნათლივ ადასტურებს ადგილობრივი მოსახლეობისათვის მანამდე უცნობი მომთაბარეთა ცხოვრების უცხო, ბუნებით შეშფოთებული ქართველი მემატიანის ცნობაც: "უდაბნოთა ერცელთა, რომელთა შორის დამკჳიდრებულ არიან კაცნი მჴეცისა ბუნებანი, მტაცებელნი, რომელთა სახლი არს და ცხოვრებაჳ აქლემისა ზურგი, ნათესავნი ურიცხუნი, რომელთათვის ვითარცა ძაღლნი მბრძოლელნი არიან მჴეცთა და ველურთა".[22]

*"ქართლის ცხოვრების"* ქრონიკებში მოტანილი ცნობებისა და ქართული საზოგადოებრიობის შეხედულების შეპირისპირებას ბინადარი და მომთაბარე, მოხეტიალე ცხოვრების წესის არსებითად განსხვავებულ თავისებურებებთან, განმაზოგადოებელი მნიშვნელობა აქვს ამ მოვლენების ეპოქალური შეფასების თვალსაზრისით. მით უმეტეს, რომ მეურნეობის ექტენსიური და ინტენსიური ფორმების ყოფნა-არყოფნის პრობლემა ყოველთვის იყო აქტუალური ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ველის მომთაბარეთა გამუდმებული შემოსევების გამო.

*„ქართლის ცხოვრების“* ფურცლებზე საქართველოს ისტორიის ქრონიკების გვერდით აღნუსხული და დაცულია ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრების ამსახველი სხვა არაერთი ფაქტი და მოვლენაც. უფრო მეტიც, *„ქართლის ცხოვრებაში“* საყურადღებო ცნობები მოიპოვება სომხეთის, ალბანეთის, ჩრდილოეთ კავკასიისა და სხვა მეზობელი ხალხების ყოფისა და კულტურის, მათი წარმოშობა-განსახლების, ეთნოგენეტიკური ვერსიებისა და ეთნო-კულტურული ურთიერთობების შესახებ[23]. ამ ცნობებს დღესაც უნიკალური პირველწყაროს მნიშვნელობა გააჩნიათ საქართველოსა და ზოგადად კავკასიის ხალხების ეთნოლოგიის საკვანძო საკითხების გასარკვევად.

## 4. შუაფეოდალური ხანისა და აღორძინების ეპოქის უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა და მისიონერთა ცნობები

საქართველოში ეთნოგრაფიული ცოდნის დაგროვებისა და მისი ეპოქალური ანალიზის პროცესები ძალზე მერყევი, არაერთგვაროვანი და ფრაგმენტული აღმოჩნდა. *ხალხთა დიდი გადასახლებისა და მუსლიმანური რელიგიის აღმოცენების* ფონზე ამ პროცესების შეყოვნება და ნიველირება ჯერ არაბთა და თურქ-სელჩუკთა ხანგრძლივი შემოსევებითა და ბატონობით, ხოლო შემდეგ ოსმალეთისა და ირანის მძაფრი მეტოქეობით, გამუდმებული ომებითა და ქვეყნის ტერიტორიისა და მოსახლეობის უკიდურესი აოხრება-გაჩანაგებით იყო გამოწვეული, რაც საბოლოოდ ერთიანი ფეოდალური საქართველოს დაშლა-დაქუცმაცებით დამთავრდა.[1]

ადრეული ხანის ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებზე მსჯელობისას ნაწილობრივ აღვნიშნეთ არაბთა ბატონობის დამანგრეველი შედეგები ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური ფასეულობების სფეროებში. მიუხედავად ამისა, თუკი არაბთა სამხედრო პოლიტიკური და კულტურული ექსპანსიის პრობლემას კონკრეტულად კავკასიურ სამყაროსთან მიმართებაში განვიხილავთ აღმოჩნდება, რომ კავკასიაში არაბთა ბატონობა შედარებით არამდგრადი და ხანოკლე გამოდგა. ის გარემოება, რომ საქართველომ შეძლო შედარებით ადრე განთავისუფლებულიყო არაბთა ქვეშევრდომობისაგან, ქართველობის რელიგიური დამოუკიდებლობისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების მტკიცე საფუძველი გახდა.[2]

საქართველოს და მის მეზობელ ქვეყნებში რაიმე მნიშვნელოვანი გავლენები ვერც არაბულმა ცივილიზაციამ დატოვა. სამწუხაროდ, საქართველოს ისტორია და ეთნოგრაფია სუსტადაა ასახული არაბ მწერალთა, მოგზაურ-მკვლევართა და მეცნიერთა ჩანაწერებსა და ნაშრომებშიც, რომლებიც ძირითადად არაბთა სახალიფოს სამხედრო-პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ექსპანსიის მიზნებს ემსახურებოდა.[3]

შუაფეოდალური პერიოდის (IX-XII სს.) არაბი გეოგრაფებიდან უშუალოდ კავკასიას ცოტა ვინმე თუ შეეხო. მართალია, *მასუდი* (გარდ. 956წ.), *იბნ-ხორდადბეჰი* (დაიბ. 820წ.), *ალ-მუკადასი (დაიბ. 947/948წ.)*, *იბნ-ფადლანი* (Xს.), *ალ-ისთახრი (X ს. I ნახ.)*, *იბნ-ჰაუკალი* (Xს.II ნახ.), *ალ-ბირუნი* (973-1048წწ.), *ნოსირ ხოსროუ* (1003-1088წწ.), *იდრისი* (1100-1166წწ.) და სხვ., ძირითადად არაბთა სახალიფოს სამეცნიერო, სავაჭრო-ეკონომიკურ და სამხედრო-ადმინისტრაციულ ინტერესებს წარმოადგენენ და უშუალოდ წინა აზიის, ავღანეთის, ინდოეთისა და ჩინეთის აღწერილობით კმაყოფილდებოდნენ, მაგრამ თავიანთ აღწერებში ისინი გზადაგზა სამხრეთ რუსეთისა და კავკასიის მომიჯნავე ტერიტორიებს ასე თუ ისე მაინც ეხებოდნენ. ამ მხრივ აღსანიშნავია *ალ-მასუდის, ალ-ისთახრის, იბნ-ჰაუკალისა* და სხვ. ნაშრომები, რომლებშიც საინტერესო ცნობებს ვხვდებით აფხაზების, ჯურიის (გურიის), ქრისტიანული ლაზეთის, კახეთის, ტფილისისა და თელავის შესახებ. სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ *იბნ-ჰაუკალის* ნაშრომი – *"გ ზებისა და სამეფოების წიგნი"*,[4] რომელშიც ავტორი საგულდაგულოდ ჩერდება *თბილისის გოგირდის აბანოებზე, მცურავ წისქვილებზე, განსაკუთრებულ სიუხვეზე, რომლითაც იგი მრავალი მეზობელი ქვეყ-*

*ნების ქალაქებზე მაღლა იდგა.* იბნ-ჰაუკალი ხაზგასმით აღნიშნავს თბილისის მოსახლეობის კეთილგანწყობას უცხოელებისადმი, რაც აქ მათი აბსოლუტური უსაფრთხოების გარანტად მიაჩნია.[5]

ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ანალიტიკური მსჯელობის საგნად იქცა *ალ-ისთახრის* ცნობა ხევსურეთის ტერიტორიაზე მკვიდრი მოსახლეობის, *ყარა-ყალღანების ანუ შავფარიანი ხალხის* შესახებ, რომლებიც თითქოსდა ევროპელი ჯვაროსნების შთამომავლებს უნდა წარმოადგენდნენ.[6] ითვალისწინებს რა ხევსურთა თანამედროვე შეიარაღებაში *"შავ ფერად გამომზირალი"* საბრძოლო ფარის როლს, *გ.ჩიტაიას* ხევსურთა და ყარა-ყალაღანთა იდენტურობაში ეჭვი არ ეპარება.[7] ასეთ შემთხვევაში მკვლევარს გამოაქვს მეტად მნიშვნელოვანი დასკვნა იმის თაობაზე, რომ ხევსურები, რომლებიც ქართულ წყაროებში ხევსურეთის მკვიდრ მოსახლეობად XVI საუკუნიდან არიან მოხსენიებული, აღნიშნულ ტერიტორიაზე X საუკუნიდან უნდა ყოფილიყვნენ დასახლებული.[8] ამ, ერთი შეხედვით, თითქოსდა უმნიშვნელო ცნობით, ბოლო მოეღო *ხევსურთა ევროპელი ჯვაროსნებისაგან წარმოშობის მოარულ თეორიას* და ნათელი გახდა ქართული ეთნოსის ამ განუყოფელი ნაწილის უცილობელი მონაწილეობა ქართველთა ეთნოგენეზის ერთიან პროცესში.

არაბთა ბატონობის დაცემის შემდეგ კავკასიაში თურქ-სელჩუკთა და მონღოლთა შემოსევების პერიოდი, ვიდრე დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებისა და აღორძინების ეპოქამდე, საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წყაროთმცოდნეობის თვალსაზრისით ასევე დიდ ინტერესს იწვევს.[9] მართალია, ამ პერიოდში წყაროებს კავკასიის შესახებ ისეთი სისტემური და რეგულარული ხასიათი არ გააჩნდათ, როგორც ეს ანტიკურ, ბიზანტიელ და არაბ მოგზაურ-მკვლევართა აღწერილობითი კორპუსების მიმართ შეიძლება ითქვას, მაგრამ XI-XV საუკუნეებში კავკასიაში მოგზაურობას აგრძელებენ *არაბი გეოგრაფები,*[10] ხოლო XII-XVI საუკუნეებიდან, კავკასიაში ირანისა და თურქეთის მეტოქეობის დაწყებასთან ერთად მუსლიმან მკვლევართა რიგებს შეემატნენ *თურქი და ირანელი* მოგზაურები და მეცნიერები,[11] რომელთა თურქულ-ირანულენოვან წყაროებს შუაფეოდალური ხანის საქართველოსა და კავკასიის ხალხების შესახებ უაღრესად დიდი მნიშვნელობა გააჩნიათ.

ამ პერიოდის არაბ და ირანელ გეოგრაფთაგან განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ალ-*იაკუთს* (1178/9-1229წწ.), *რაშიდ ად-დინს* (1247-1318წწ.), *ჰამდალლაჰ მუსთოუფი ყაზვინს* (დაიბ.1281/2წ.), *ზაქარია ალ-ყაზვინსა* (1203-1283წწ.) და სხვ. კავკასიის ქვეყნებისა და ხალხების აღწერისას ისინი მიზნობრივად აგრძელებენ თავიანთი წინამორბედი არაბი გეოგრაფებისა და ისტორიკოსების ტრადიციებს, თუმცა ამ პერიოდში არაბული კულტურისა და მეცნიერების დაწინაურების გამო, მათ ნაშრომებში უფროდაუფრო მეტი ადგილი ეთმობა მეცნიერულ ინტერესებს.[12]

დასახელებულ ავტორთაგან კავკასიის ხალხების შესახებ მეტნაკლებად ვრცელ მონაცემებს *ალ-იაკუთის, ჰამდალლაჰ მუსთოუფი ყაზვინისა და ზაქარია ალ-ყაზვინის* ნაშრომებში ვხვდებით.

ცნობილი არაბი გეოგრაფი, ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული ლექსიკონის *„მუჯამ ალ ბუდანის"* ავტორი *ალ-იაკუთი*[13] საქართველოს შესახებ მსჯელობისას ძირითადად მასუდის მონაცემებს იმეორებს. აფხაზეთს იგი *კაბ-*

*კის მთის* ერთ-ერთ მხარედ მიიჩნევს და ხაზს უსვამს მის ძნელადმისაწვდომ და ვიწროთარგიან მთებს. მისი ცნობით ალანთა მოსაზღვრე აფხაზეთი ქრისტიანი მოსახლეობითაა დასახლებული, რომლებსაც *ქართველებს* უწოდებენ.[14]

სხვა არაბ გეოგრაფთა და ისტორიკოსთაგან უშუალოდ კავკასიის შესახებ მეტნაკლებად მნიშვნელოვან ცნობებს ვხვდებით არაბული მწერლობის ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის *ზაქარია ალ-ყაზვინის*[15] შემოქმედებაში, რომელიც არაბულ ლიტერატურაში ახალი მიმართულების – *კოსმოგრაფიის* განვითარებას ემთხვევა და იმდროინდელი მეცნიერების თითქმის ყველა დარგს, და მათ შორის ეთნოგრაფიასაც მოიცავს. ზაქარია ალ-ყაზვინი დიდ ყურადღებას აქცევს ამიერკავკასიის ქვეყნების, კერძოდ, საქართველოს სამეურნეო-კულტურულ ყოფას და უაღრესად საინტერესო ცნობებს გვაწვდის საქართველოს დედაქალაქის სამეურნეო-ეკონომიკური ყოფისა და სავაჭრო-კულტურული ვითარების შესახებ.[16] მის მიერ მოტანილი მონაცემებით, აღნიშნულ პერიოდში *საქართველოს დედაქალაქიდან გასაყიდად გაჰქონდათ ბამბა, სწრაფმავალი ცხენები და ჯორები, მაღალხარისხოვანი მატყლი, აბრეშუმი, ტანსაცმელი, ხალიჩები, სხვადასხვაგვარი ბეწვეული და ა.შ. საშინაო ვაჭრობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა პურეულს, ზეთს, ღვინოს, მატყლს, ცვილს, თაფლს, ცხენს, ჯორს, ხარს, ძროხას და ა.შ.*[17]

საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესახებ გარკვეული მნიშვნელობა აქვთ XIV-XV საუკუნეებში მოღვაწე არაბი ისტორიკოსების *ალ-უმარის (1301-1349 წწ.), ალ-მუპიბბისა* (გარდ. 1384 წ.) და *ალ-კაშკანდის (1355-1418 წწ.)* ცნობებს.[18] საქმე იმაშია, რომ ამ პერიოდში გარეშე მტრებისა, და პირველ რიგში კი, მონღოლების გამუდმებული შემოსევების შედეგად, დაქვეითების გზაზე დამდგარ ამიერკავკასიის ქვეყნებს წყაროთა განსაკუთრებული დეფიციტი შეექმნათ. *ივ. ჯავახიშვილის* მითითებით, XIV-XV საუკუნეებში ქართული საისტორიო ძეგლების მთლიანად დაღუპვამ დიდი სიძნელეები შეუქმნა საქართველოს ისტორიის მკვლევართ და ისინი ქვეყნის საერთო ვითარების კვლევის საქმეში უცხო, მტრისაგან დაწერილი წყაროს გამოყენების ამარა დატოვა.[19] ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში არაბ ისტორიკოსთა თუნდაც ფრაგმენტულ მონაცემებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ ზოგადად ქვეყანაში მიმდინარე ეთნო-კულტურულ და სოციალურ ურთიერთობათა კვლევის თვალსაზრისით.

მიუხედავად პოლიტიკური სიტუაციების გამწვავებისა XIII საუკუნეს დასავლეთი ევროპა სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ახალი აღმავლობით შეხვდა. სააღებმიცემო ურთიერთობისა და სავაჭრო კაპიტალის დაგროვებასთან ერთად იწყება ევროპელთა პირველი დაზვერვითი მოგზაურობანი აღმოსავლეთისაკენ, საიდანაც ძველთაგანვე ევროპაში შემოჰქონდათ ძვირფასი ნედლეული და საქონელი. დასავლეთ ევროპელი მოგზაურები უკვე აღწევდნენ ამ დროისათვის უზარმაზარ და ევროპასთან დამეზობლებულ მონღოლეთის იმპერიას, აქედან კი ევროპელ ვაჭართათვის ყველაზე მეტად საინტერესო – ინდოეთსა და ჩინეთს. ახალი დროის პირველი ასეთი ევროპული მოგზაურები იყვნენ *პლანო კარპინი* (1182-1252წწ.), *რუბრუკისი* (დაახლ. 1215/20-1293წწ.) და *მარკო პოლო* (1254-1324წწ.), რომელთაგანაც ბოლო ორმა აღმოსავლეთში და უკან კავკასიის, კერძოდ ჩრდილო კავკასიის ველების გავლით იმოგზაურეს

და მთლიანად კავკასიელი ხალხების ყოფისა და კულტურის შესახებ საყურადღებო მონაცემები დაგვიტოვეს.

ფლამანდიელი მოგზაურის *პლანო კარპინის*[20] ნაშრომი *„მონღოლთა ისტორია"* ძირითადად მონღოლეთის იმპერიის აღწერას ეძღვნება და არმენიის, გეორგიანელების (მათ შორის იბერებისა და კახელების), ალანებისა თუ ჩერქეზების შესახებ ფრაგმენტულ ცნობებს მოიცავს. საგულისხმოა, რომ რუსულენოვან წყაროებში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, *ქართველებს იგი ობეზების სახელწოდებით მოიხსენიებს და აქაური მოსახლეობის კულტურულ-ყოფით თავისებურებებს ალანიის, საბერძნეთისა და კონსტანტინეპოლის ზოგადი მონაცემების შუქზე განიხილავს.*[21]

*მარკო პოლო* პირველი ევროპელი მოგზაურია, რომელსაც წილად ხვდა მოევლო აზიის უმეტესი ქვეყნები და ხალხები. მისმა ჩანაწერებმა და რუკებმა უდიდესი გავლენა მოახდინეს იმ პერიოდის ევროპელ ინტელექტუალთა მიღწევების პროგრესზე. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარკო პოლოს ნაშრომებით[22] გაეცნო ევროპა ჩინურ კომპასსა და წიგნის ბეჭდის ხელოვნებას, ხოლო მისი ზოგიერთი მონაცემი გამოყენებული იქნა ქრისტეფორე კოლუმბის მიერაც.

ყირიმის, ჩრდილო კავკასიის, ვოლგის შესართავისა და მიმდებარე ტერიტორიების აღწერასთან ერთად, მარკო პოლო საინტერესო ცნობებს გვაწვდის აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს შესახებაც. მარკო პოლოს ცნობით ქართველები *„ლამაზები, ვაჟკაცები, საუკეთესო მსროლელნი და მამაცი მებრძოლები არიან"*. საქართველოში *„ქალაქები და ციხე-სიმაგრეები საკმაოდ ბევრია. დიდძალია აქ აბრეშუმი, ამზადებენ აბრეშუმის ქსოვილებსა და ოქრომკერდით ნაქსოვ ფარჩეულს, ასეთ ლამაზებს ვერსად იხილავთ. მსოფლიოში ყველაზე უკეთესი სანადირო ძაღლები აქაა მოშენებული. ყველაფერი მრავლადაა აქ. ხალხი ეწევა ვაჭრობასა და ხელოსნობას. მთები, ხეობები, ციხე-სიმაგრეები ბევრია და თათრებმა ვერ შეძლეს სავსებით დაემორჩილებიათ ეს ქვეყანა... საქართველოში მშვენიერი ქალაქია თბილისი. ირგვლივ მრავალი ციხე-სიმაგრე და სოფელია, სადაც ცხოვრობენ ქრისტიანები-ქართველები, სომხები, სარაცინები და ებრაელები, მაგრამ ცოტა. ხალხი ხელოსნობას ეწევა და ემორჩილება სათათრეთის დიდ მეფეს"*.[23]

მონღოლთა მიერ ამიერკავკასიაში დატრიალებული დიდი სამეურნეო-ეკონომიკური და კულტურული ნგრევის მიუხედავად, თათარ-მონღოლთა შემოსევები არც ამჯერად დამთავრებულა მომთაბარეობის გამარჯვებით. ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების გამუდმებული განმანთავისუფლებელი ბრძოლის შედეგად, რასაც XIII საუკუნის დასაწყისში ილხანთა სახელმწიფოს კრიზისიც დაერთო, მონღოლმა ურდოებმა საქართველოსა და სომხეთში საბოლოოდ ვერ მოიკიდეს ფეხი.

სამწუხაროდ, ეს წარმატება დროებითი აღმოჩნდა. XIV საუკუნის მიწურულს ამიერკავკასიის ქვეყნებს ახალი განსაცდელი მოევლინა. *1386-1403 წლებში თემურ ლენგის რვაგ ზის შემოსევამ ამიერკავკასიის ქვეყნები საბოლოოდ დასცა და გააჩანაგა.* თურქმანთა ამ შემოსევებს ტრაგიკული შედეგები მოჰყვა არა მარტო პოლიტიკური, არამედ სამეურნეო-კულტურული თვალსაზრისითაც. მარტო საქართველომ ამ ბრძოლებში დაკარგა თავისი სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილები, მოძმე სომხეთი, სადაც ადგილობრივ მი-

წისმფლობელთა კლასი მონღოლ-თათარ-თურქმან მომთაბარეთა არისტოკრატიამ შეცვალა. თავის მხრივ, აზერბაიჯანის მიწები მდ. მტკვრის სამხრეთით XV საუკუნეში ხელთ იგდო შუა აზიის თურქმან-ოღუზთა სატომო გაერთიანებამ, რომელიც აღნიშნულ პერიოდში მომთაბარეობდა აზერბაიჯანის სამხრეთ რაიონებსა და მეზობელ ქვეყნებში. საქართველოს ფარგლებს გარეთ აღმოჩნდა შაქის ქვეყანა და ისეთი შინაგანი კუთხეც კი, როგორიც იყო ლორე, სადაც ქართული აზნაურობა აიყარა და იძულებული გახდა მამა-პაპეული მიწები თურქმანებისათვის დაეთმო. ფეოდალური საქართველოს ამ უმნიშვნელოვანეს კუთხეში მომთაბარეთა მეურნეობამ მოიკიდა ფეხი.[24]

თემურ ლენგის შემოსევებით ყველაზე მეტად ამიერკავკასიის ქვეყნების ინტენსიური მეურნეობა დაზარალდა. თურქმანთა ურდოები დაპყრობილი ხალხების წინააღმდეგობის დაძლევას სწორედ მტკიცე ეკონომიკური ბაზის მოშლით ლამობდნენ. *ქართულ, სომხურ და სპარსულ წყაროებში დაცულია არაერთი ცნობა თემურ ლენგის მომთაბარეთა მიერ ამიერკავკასიის ქვეყნებში პურეულის ყანების დაწვა-მოოხრების, ვენახის, ხეხილის ბაღებისა და ნიგვზის ხეების აჩეხვის,*[25] *გატყავებისა*[26] *და სხვა ბარბაროსული მეთოდების შესახებ.* ცხადია, მარცვლეული კულტურების ნათესებისა და ბაღ-ვენახების განადგურებით თემურ-ლენგი ორი მიზნის მიღწევას ცდილობდა-მეურნეობის დარგების მოშლით ძირს უთხრიდა კავკასიის ქვეყნების ფეოდალურ ეკონომიკას, ამასთან ერთად კი, მომთაბარეთა ჯოგებისა და ფარებისათვის საძოვრებსაც უზრუნველყოფდა.[27]

თემურ ლენგის შემოსევებისა და რბევის კვალი აშკარად დააჩნდა ამიერკავკასიის ქვეყნების სამეურნეო-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებას. სპარსულენოვანი ავტორები – *ნიზამი ად დინი, ალი იე ზიდი, მირხონდი* და სხვ. შემაშფოთებელ ცნობებს იძლევიან აღნიშნულ პერიოდში სომხეთსა და საქართველოში, აზერბაიჯანის ცალკეულ კუთხეებში განვითარებული მეურნეობისა და კულტურული ცხოვრების ნგრევისა და გაჩანაგების მასშტაბების შესახებ. სოფლის მეურნეობისა და საერთოდ ეკონომიკური დაქვეითების მაჩვენებლად იქცა ხალხის მეტყველებასა და წერილობით წყაროებში შემოსული, წინათ იშვიათი, ანდა სრულიად უცნობი ისეთი ტერმინები, როგორიც იყო *ნაფუძარი, ნასახლარი, ნასოფლარი, ნაქალაქარი, ნავენახევი, პარტახტი* და ა,შ, მართალია, ამიერკავკასიის ქვეყნები ამჯერადაც გადაურჩნენ მომხდურთა უშუალო დაპყრობა-დამკვიდრებას, მაგრამ სამაგიეროდ თავი იჩინა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მძიმე შედეგებმა, რაც ერთიანი ფეოდალური სისტემის პოლიტიკური დაშლით, სამეფო-სამთავროების გაჩენითა და პარტიკულარისტული ტენდენციების გამარჯვებით აღინიშნა. ამ პროცესებმა განსაკუთრებით თვალნათლივ იჩინა თავი საქართველოს ცენტრალიზებული ფეოდალური სახელმწიფოს დაშლა-დაქუცმაცების ფონზე.[28]

თემურ-ლენგის ეპოქის ევროპელ ავტორთაგან საქართველოსა და კავკასიის შესახებ მეტნაკლებად სრულყოფილი მასალები გერმანელ *იოჰან შილტბერგერსა* (1381-1440წწ.) და ესპანელ *რუი გონსალეს კლავიხოის* (გარდ.1412 წ.) ეკუთვნით, თუმცა იოჰან შილტბერგერის *„მოგზაურობის“*[29] კავკასიური სიუჟეტებისაგან განსხვავებით, ესპანელ დიპლომატის რუი გონსლეს კლავიხოის ნაშრომი *“ელჩობა თემურ ლენგთან”*[30] XIV-XV საუკუნეების მიჯნის საქართვე-

ლოსა და კავკასიის ხალხების შესახებ სანდო და სრულყოფილ ცნობებს შეიცავს. მისი ცნობით *„ქართველები (grieganos) კარგი აგებულების და ლამაზი სახის ხალხია, მათი რელიგია ბერძნულია, ენა კი განსაკუთრებული"*[31].

საქართველოდან *რუი დე კლავიხიოს* და მის მხლებლებს ქრისტიანი სომხებით, დასახლებულ მთაგორიან გზებზე გაუვლიათ. იგი კარგად ახასიათებს სურმენესა და ტრაპიზონის მხარეს *„რომელიც ზღვასთან მდებარეობს, დაფარულია მთებითა და ტყეებით. ტყეში ყველა ხეზე გაშვებულია ვაზი, რომლის (ნაყოფისაგან) აყენებენ ღვინოს". (ვაზს) არასოდეს არ უვლიან. ცხოვრობენ დაბებში (poblado), რაც მათ ენაზე ნიშნავს აგარაკს (quinteria), ე.ი. ერთ ადგილას გაერთიანებულია რამდენიმე კომლი.*[32]

უშუალოდ კავკასიით ევროპელი მეცნიერები უკვე XV საუკუნიდან ინტერესდებიან, რაც მსოფლიო სავაჭრო გზების ახალ გადანაცვლებასთან იყო დაკავშირებული. ამ პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ახალი საზღვაო გზების აღმოჩენასა და ახლო აღმოსავლეთთან ერთად ყირიმისა და კავკასიის სანაპიროებზე ვენეციისა და გენუის კოლონიებს, რომელთა ფლოტმაც აითვისა არა მარტო შავი, არამედ კასპიის ზღვების აუზებიც.

ადრეული პერიოდის ევროპელ მოგზაურთა შორის მნიშვნელოვანია *ჯოსაფატ ბარბაროს* (1413-1493 წწ.), *პიეტრო დელლა ვალესა* (1586-1652წწ.) და *ამბროზიო კონტარინის* (XVს.) ცნობები, რომელთა დაინტერესება ყირიმისა და კავკასიის სანაპიროებით აქ იტალიელთა კოლონიების დაარსებას ემთხვევა.

ტანუში (აზოვი) ვენეციის ელჩის *ჯ. ბარბაროს „მოგზაურობის*[33]" ორტომეულის პირველ წიგნში აღწერილია 1436-1451 წლებში კავკასიაში, სამხრეთ რუსეთსა და ყირიმში მოგზაურობის შთაბეჭდილებები. მართალია, იტალიის ინტერესებიდან გამომდინარე ბარბარო ძირითად ყურადღებას ყირიმელ თათრებს უთმობს, მაგრამ ცნობებს ჩერქეზების (ადიღების), ყაბარდოელების, ოსებისა თუ ქართველების შესახებ მას შუაფეოდალური ხანის ავტორთა შორის გამორჩეულ ადგილს აკუთვნებს. ბარბაროს ჩანაწერებს საქართველოში ისტორიულად *მომდინარე ტრადიციული სამეურნეო დარგების, ქართველთა ალნაგობის, ზნე-ჩვეულებებისა და ჩაცმულობის, ხალხური კულინარიისა და სუფრის წესების* შესახებ,[34] უდავოდ პირველხარისხოვანი წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა აქვთ ფეოდალური ხანის ქართველი ხალხის ტრადიციულ-ყოფითი კულტურის შესწავლისათვის.

აღორძინების ხანის იტალიელ მოგზაურ მკვლევართაგან აღსანიშნავია *პიეტრო დელლა ვალეს*[35] ნაშრომები. დელლა ვალე, როგორც პოეტი და ლიტერატორი, აღმოსავლეთში რომანტიკული ოცნებების აღსასრულებლად გაემგზავრა, იგი ძირითადად სპარსეთში ცხოვრობდა, სადაც იქორწინა კიდეც მონობიდან გამოსასყიდ ქართველ ქალზე.

თავის *„მოგზაურობასა"* და *„ინფორმაციებში"* რომის პაპისადმი დელლა ვალე საინტერესო ცნობებს იძლევა კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს შესახებ. მართალია, მას უშუალოდ არ უმოგზაურია საქართველოში, მაგრამ შირაზსა და ისპაჰანში იგი შეხვედა ქართველებს, რომელთაგანაც იგი სარწმუნო ცნობებს ღებულობდა *შაჰ-აბას I* პერიოდის საქართველოს შესახებ. *„ინფორმაციებში"* აღწერილია საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, ქუთაისის, ზაგემის, ტფილისის, საერთოდ იმერეთის, როგორც საქართველოს პოლიტი-

კური ცენტრის, გურიის, სამეგრელოს, ქართლისა და კახეთის სამეურნეო-ბუნებრივი, სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა, ქვეყნის ფეოდალური წყობა და ა.შ.[36] იმ პერიოდისათვის მეტად საგულისხმოა დელლა ვალეს იდეა *მთლიანად ქართველი ხალხის ეთნიკური ერთიანობის შესახებ*, რომელიც მისი აზრით გამოხატულია *ენის ერთიანობაში* და, რომ იმდროინდელი დაქუცმაცებულობა *გვიანი პერიოდის პოლიტიკური ვითარების შედეგს წარმოადგენს.* სწორედ ასეთი ფეოდალური განკერძოებულობისა და დაშლის შედეგად მიაჩნია დელლა ვალეს ის კატასტროფა, რომელიც მიაყენა საქართველოს *შაჰ-აბას I* გამანადგურებელმა შემოსევებმა[37].

XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე იტალიური სავაჭრო ქარავანი შავი ზღვიდან ვოლგა-კასპიის გზით კასპიისპირეთის ბაზრების გილანისა და შირვანისაკენ დაიძრა. იტალიელთა გასვლამ აბრეშუმით ვაჭრობის ამ ცენტრებისაკენ გამოაცოცხლა არაბთა, თურქ-სელჩუკთა და მონღოლ-თურქმანთა ბატონობისას ჩამკვდარი კავკასია. ახალ დატვირთვას იძენს ამიერკავკასიის სავაჭრო ტრასაც. ახლა ევროპელ ვაჭრებს შეეძლოთ ესარგებლათ თბილისისა და კასპიისპირეთ-დერბენტის შემაერთებელი შემახის გზით, რომელიც უშუალოდ ეკვროდა კასპიისპირეთ-კავკასიის სავაჭრო ბაზას.[38]

კავკასიის ეს აღმავლობა აღმოსავლეთის ბაზარზე, სამწუხაროდ, ხანმოკლე აღმოჩნდა. ბიზანტიის ადგილს ამჯერად ახალი – *ოსმალეთის იმპერია* იჭერს. თურქ-ოსმალთა ძლიერი სახელმწიფოს აღმოცენებით დაიწყო ევროპელთა მიზანმიმართული უკუგდება წინა აზიის სავაჭრო-ეკონომიკური სივრციდან. თურქეთი თავად შეეცადა მცირე აზიისა და კავკასიის სავაჭრო გზების ხელში ჩაგდებას. მეტოქეობა უხდება მას სეფევიდთა ირანთანაც, რომელსაც თურქეთის ამ მიზნების წინააღმდეგ აქტიურად უჭერენ მხარს ოსმალეთისაგან შევიწროებული ევროპის სახელმწიფოები.[39]

ევროპის სახელმწიფოების მზარდ ინტერესებს კავკასია-წინა აზიისა და შორეული აღმოსავლეთის სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრებისადმი XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან ახალი, სერიოზული საფრთხე შეექმნა ჩრდილოეთიდანაც. ვოლგისპირეთის სავაჭრო სივრცის დაპყრობის შემდეგ, კავკასიის საზღვრებს მიახლოებული *რუსეთი* შეეცადა გამაგრებულიყო ამ გზის ბუნებრივ გაგრძელებაზე – კავკასიისა და კასპიისპირეთის სავაჭრო გზებზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ კავკასიური კონფლიქტის ამ კვანძში ევრაზიის წამყვანი ქვეყნების ინტერესთა დაჯახების შედეგი უნდა ყოფილიყო ის ახალი კატასტროფა, რომელიც თემურ ლენგის გამანადგურებელი შემოსევების შემდგომ პირველად დაატყდა თავს ამიერკავკასიის ქვეყნებს, მათ შორის კი ყველაზე მეტად საქართველოს. მხედველობაში გვაქვს *შაჰ-აბას I შემოსევები საქართველოში*, რომელმაც მიზნად დაისახა გაეგრძელებინა ჯერ კიდევ თურქ-სელჩუკთა მიერ დაწყებული მომთაბარეთა შემოსახლების ინტენსიური პროცესი.[40] შაჰ-აბასის შემოსევებით ქართლმა დაჰკარგა არა მარტო მნიშვნელოვანი თავდაცვითი პუნქტები, კერძოდ ბამბაკი და ტაშირი, არამედ სამეურნეო-ეკონომიური თვალსაზრისით უმდიდრესი ხრამ-დებედისა და მტკვრის ჭალები, სადაც მკვიდრად ჩამოსახლდნენ *ბორჩალუს, დემურჩი-ასანლუსა* და სხვ. მომთაბარე თურქმანები. აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა შაჰ-აბასმა კახეთსაც. *1613-1616 წლების შემოსევებით მან ნანგრევებად აქცია საქართველოს ეს აყვავებუ-*

*ლი კუთხე, საგულდაგულოდ ააჩეხინა თავის ურდოებს კახეთის ბაღ-ვენახები, გაჟლიტა 100 ათასამდე კაცი, ხოლო გადარჩენილთაგან 200 ათასი ტყვედ წაიყვანა და სპარსეთის შიგა პროვინციებში გადაასახლა.*[41] კახეთის მიმართ შაჰის მიერ განხორციელებული ყიზილბაშური პოლიტიკა მიზნად ისახავდა კახეთში მომძლავრებასა და აღმოსავლეთ საქართველოს მანამდე თავისუფალი კუთხის – მთიანეთის ხელში ჩაგდებასაც. საყურადღებოა, რომ თუშ-ფშავ-ხევსურეთს შაჰის პოლიტიკით გამოწვეული განსაცდელისაგან თავის დასაღწევად რუსეთის პოლიტიკური მფარველობაც კი უთხოვიათ, ხოლო 1659 წელს აქტიური მონაწილეობა მიუღიათ უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ კახეთის გაერთიანებულ აჯანყებაში, რომელსაც *ბახტრიონის განთავისუფლება* და კახეთის ტერიტორიაზე ჩამოსახლებული თურქმენი მომთაბარეების განადგურება მოჰყვა.[42]

ევრაზიული სივრცის კავკასიის რეგიონში ჰეგემონობისათვის ატეხილ ბრძოლას პირწმინდად შეეწირა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული პროვინციებიც. აღმოსავლეთ საქართველოში ირანის მძლავრობას XVI საუკუნიდან მოკიდებული ტოლს არ უდებდა *ოსმალთა შემოსევების გააქტიურება*, რომელმაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურული და ეკონომიური დაქვეითების საქმეში ასევე საბედისწერო როლი შეასრულა. როგორც ცნობილია, 1859 წელს ოსმალეთმა ყიზილბაშურ ირანთან მეტოქეობაში სამცხე-საათაბაგო საბოლოოდ მიიტაცა და აქ *ჩილდირის (ახაციხის) საფაშო* დააარსა.[43] XVI საუკუნის 90-იან წლებში სამცხე-საათაბაგო მთლიანად ოსმალეთის ხელში იყო გადასული, სადაც ოსმალები გულმოდგინედ შეუდგნენ მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობისა და მართვა-გამგეობის შემოღებას. ადგილობრივი მოსახლეობა ვერ ეგუებოდა ოსმალთა მიერ შეწერილ აუტანელ გადასახადებს, რომლის შედეგადაც გლეხები მასობრივად ტოვებდნენ თავიანთ მიწა-წყალს. *"გურჯისტანის ვილაეთის დიდ დავთარში"*[44] ხშირადაა მითითებული *„მოსახლეობისაგან თავისუფალი სოფლები". საერთოდ, სამცხე-საათაბაგოში ამ პერიოდისათვის აღრიცხული იყო დაახლოებით 364 მტრისაგან გავერანებული და დაუსახლებელი სოფელი.*

აღნიშნულ პერიოდში ამიერკავკასიასა და საერთოდ კავკასიაში მოვლენათა ასეთი განვითარება ევროპის სახელმწიფოთა ინტერესებსაც შეეხო. მანიშნებელია, რომ ირან-თურქეთის მიერ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის აოხრება-გაჩანაგების ეს ბოლო პროცესები პირველად მოექცა ევროპული სახელმწიფოების დაკვირვების არეალში. საქმე იმაში გახლდათ, რომ დასავლეთ ევროპის კაპიტალის ექსპანსიის ინტერესები აღმოსავლეთით, სპარსეთი, როგორც პირველხარისხოვანი სავაჭრო ბაზარი და, რაც მთავარია, რუსეთის შემოტევა კავკასიაზე, XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან წინა პლანზე წევს ამ პერიოდში ევროპის საერთაშორისო პოლიტიკაში დანერგილ ახალ მიმართულებას – ე.წ. *„აღმოსავლეთის საკითხს"*.[45] აქედან მოკიდებული კავკასია, როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით, ევროპული მოდელის აღმოსავლეთის საკითხის მუდმივ და განუყოფელ ობიექტად იქცა და ევროპის სახელმწიფოთა გლობალური პოლიტიკის თვალსაწიერში მოექცა. დაიწყო ევროპელ დიპლომატთა, მოგზაურ-მკვლევართა და მისიონერთა მრავალრიცხოვანი ვიზიტები კავკასიაში და კავკასიის გავლით. მათი მოგზაურობა

და კავკასიური აღწერები ამჯერად უკვე აღარ ატარებენ შემთხვევით ხასიათს და სერიოზული სოციალურ-პოლიტიკური დავალების ელფერი დაჰკრავთ. ამ მისიას ასრულებდნენ ძირითადად XVI-XVII საუკუნეების ცნობილი ევროპელი ავტორები *ემილიო დორტელი დ'ასკოლი* (XVI ს. ბოლო – XVII ს.). *ჯიოვანი ლუკა* (XVII ს.), *ენგელბერტ კემპფერი* (1051-1716 წწ.), *კლაუდიო ფერანი* (1670-1713 წწ.), *არქანჯელო ლამბერტი* (XVII ს.), ქრისტეფორე კასტელი (XVI ს. I ნახ.), ჟან შარდენი (1643-1713 წწ.), *ჟოზეფ პიტონ დე ტურნიფორი* (1656-1708წწ.), *ჟან ბაპტისტ ტავერნიე* (1605-1689წწ.) და სხვ., რომლებიც *ბარბაროს, კონტარინის, ინტერიანოსა* და სხვა ადრეული ავტორების აღწერებთან ერთად, მნიშვნელოვნად ავსებენ და აფრთოებენ ევროპელთა თვალსაწიერს კავკასიის ხალხებისა და საერთოდ კავკასიის შესახებ.[46] სამწუხაროდ, დასახელებულ ავტორთა ნაშრომებსა და ჩანაწერებში უშუალოდ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ამსახველი მონაცემები ძალზე ფრაგმენტულად, ან კიდევ საერთოდ არაა წარმოდგენილი. სამაგიეროდ, ძალზე მდიდარი და საინტერესოა საქართველოში ძირითადად იმავე მისიით წარმოგზავნილი *იტალიელი მისიონერებისა* და და სხვა ცალკეულ მოგზაურ-მკვლევართა ნაშრომები, რომლებიც ქართველი ხალხის ყოფასა და კულტურაზე ხანგრძლივი დაკვირვებისა და ანალიზის ნაყოფს წარმოადგენენ.

მისიონერული მოღვაწეობის მიხედვით, რომელიც ამ პერიოდში ევროპელთა აღმოსავლური ექსპანსიის აღმავლობას ემთხვევა და მის ინტერესებსაც ისახავს მიზნად, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დომინიკელთა პატრს, თეათინელთა კონგრეგაციის მისიონერს სამეგრელოში *არქანჯელო ლამბერტს.*[47] მისი ბიოგრაფიული მონაცემები დღემდე უცნობია, მაგრამ თავად იტალიელი მისიონერის აღიარებით, მას „თითქმის 18 წელი უცხოვრია" სამეგრელოში. *კ. ჰანის, ფ. დიუბუა დე მონპერესა* და სხვ. მოსაზრებით, ლამბერტის მისია სამეგრელოში 1650 წელზე ადრე არ უნდა დაწყებულიყო. ალბათ ძნელია დავასახელოთ მეორე უფრო მნიშვნელოვანი ნაშრომი XVII საუკუნიდან, რომელშიც ისე სრულყოფილად იქნება აღწერილი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება, ყოფისა და კულტურის, მოსახლეობის წეს-ჩვეულებებისა და რწმენა-წარმოდგენების თავისებურებები, როგორც ეს ლამბერტის *„სამეგრელოს აღწერაშია"* მოცემული.

ნაშრომის თემატიკის ზოგადი გაცნობაც საკმარისია იმისათვის, რათა დავრწმუნდეთ, რომ შესავალსა და დასკვნით ნაწილში კოლხიდის სამეურნეობუნებრივი და გეოგრაფიული პირობებისა თუ მოსახლეობის წარმომავლობის ზოგადი მიმოხილვის გვერდით, ლამბერტი საგულდაგულოდ ახასიათებს მეგრელთა მეურნეობის ტრადიციულ დარგებს – *მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას, ნადირობას, ყოფისა და კულტურის ისეთ რეალიებს, როგორიცაა: საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, ტანსაცმელი, ხალხური კულინარია და პურობა, გართობა-სანახაობები და დღესასწაულები, ოჯახი და საოჯახო ყოფა, ქორწინების ფორმები, ხალხური სამართალი და მედიცინა, დაკრძალვის წესები, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებები* და ა.შ.

იტალიელი მისიონერის მახვილ თვალს ქართული ყოფის დამახასიათებელი მრავალი ნიუანსი აქვს შემჩნეული სამეგრელოში. *„არც ერთი ერი ისეთ პა-*

*ტივს არა სცემს მიწათმოქმედებას, როგორც მეგრელები. სხვაგან ყოველგან მინის მუშაობას ეტანებიან მხოლოდ დაბალი ხალხი... სამეგრელოში კი, რაც უნდა დიდი გვარის კაცი იყოს, თავად ამუშავებს თავის ყანას და მოჰყავს თავისი საზრდო. ეს საქმე სათაკილოდ როდი მიაჩნიათ"*[48] - წერს ლამბერტი.

ორიგინალური მოსაზრებები გააჩნია იტალიელ მისიონერს ომის წესრიგთან დაკავშირებითაც. *„მეგრელები, როგორც ქვეყნიერების დანარჩენი ერნი, ჩვეულნი არიან ომსა... ბავშვები ისე ატარებენ იარაღს, უკავიათ ხელში ფარი და ხმარობენ მშვილდსა, თითქოს დაბადებიდან შეჩვეული იყვნენ ბრძოლას... საუკეთესო ცხენს, თუ არა ლაშქრობაში, არ დაღალავენ; საუკეთესო სურსათს, აგრეთვე ინახავენ ლაშქრობისათვის... ლოგინში რომ ისვენებენ, მშვილდ-ისარი, ფარ-ხმალი, აბჯარი და სამაჯეები სასთუმალთან უდევთ ხოლმე, რათა საჭიროებისამებრ საბრძოლველად მზად იყვნენ"*.[49]

ლამბერტის შენიშვნით „მეგრელები მეტად თავაზიანები არიან... მაგალითად, თუ ვისმეს სახიფათო საქმე რამ შეემთხვევა, ან მის ცხენს რაიმე გაუჭირდა ან ტვირთი ჩამოუვარდა, და მეორე მგზავრი შეეყარა, ან წამოეწია, ეს უკანასკნელი, რაც უნდა დიდი აზნაური ან თავადი იყოს, მაინც არ ითაკილებს თავისი ხელით აღმოუჩინოს შემწეობა". იტალიელი მისიონერი განცვიფრებულია მეგრელთა გულუხვობითაც. *„თუ პურისჭამის დროს ჭიშკართან ვინმე უცხომ გაიარა, მეგრელების ზრდილობა თხოულობს მაშინვე კაცი მიაგებონ და შემოიპატიჟონ. ამიტომ ჭიშკარს არასოდეს არ ხურავენ პურისჭამის დროს და ხშირადაც პურის საჭმელად შარაგზასთან სხდებიან: როცა ვინმე უცხო გაივლის, უსათუოდ მიიპატიჟებენ სუფრა ზე"*.[50]

ლამბერტი პირუთვნელია ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებული უარყოფითი წეს-ჩვეულებების მიმართაც. აქ იგი განსაკუთრებით უსვამს ხაზს ცრუმორწმუნეობას, ქურდ-ბაცაცობას, ტყვეთა სყიდვას და ა.შ.

XVII საუკუნის შუა ხანების სხვა თეათინელ მისიონერთაგან რომის პაპის ურბან VIII კონგრეგაციაში შედიოდნენ *დონ პიეტრო ავიტაბლე, დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, ჯაკომო სტეფანი, ქრისტეფორო კასტელი* და სხვ. მათ მიერ შექმნილ სამეგრელოსა და გურიის მისიონის მთავარ მიზანს კათოლიკური სარწმუნოების გავრცელება წარმოადგენდა, თუმცა, ისევე როგორც ლამბერტი, ისინიც დიდ ყურადღებას აქცევდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების აღწერას.

რომის პაპის კონგრეგაციაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა *ქრისტეფორე კასტელი*, რომელმაც ქართველი ხალხის კულტურულ-ყოფით რეალიებს 2 ალბომში ათასზე მეტი ჩანახატი და სათანადო ახსნა-განმარტებათა მინაწერები მიუძღვნა.[51] მართალია ჩვენამდე მხოლოდ კასტელის ერთმა ალბომმა მოაღწია, მაგრამ ესეც საკმარისია იმისათვის, რათა ცხადად დავრწმუნდეთ მის უზარმაზარ წყაროთმცოდნეობით მნიშვნელობაში.

კასტელის ალბომში პორტრეტული ჟანრის ჩანახატების გვერდით საყურადღებოა ქართული ხელოსნობის, მიწათმოქმედების, ჩაცმულობის, სამშენებლო ხელოვნების, გართობა-სანახაობებისა და სხვადასხვა ცერემონიალების ამსახველი სიუჟეტები, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს თავად კასტელის მიერ შესრულებული მინაწერებიც ერთვის თან.[52]

კასტელის ალბომში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ცხოვრების ქართული წესის ამსახველ სიუჟეტებსაც, კერძოდ საყოფაცხოვრებო რიტუალებს, სანადიმო სუფრას, ღვინის კულტის ნაირსახეობებს, ლხინის, მხიარულების, მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრის, ცეკვა-სიმღერის, მართლ-მსაჯულებისა თუ მისიონერთა საქმიანობის (მკურნალობა, ნათლობა, ლოცვა-ქადაგებანი და ა.შ.) ამსახველ სცენებსა და ა.შ.[53]

კასტელის ალბომში გამორჩეული ადგილი უჭირავს ქალის კულტს. იმ პერიოდის სამეგრელოს ლამაზმანების პორტრეტებს თან ახლავს კასტელის მხატვრული შენიშვნებიც. *„იშვიათი სილამაზის მქონე თამურია, უფალმა პატრებს ღვთისმოსაობისა და აღთქმის გამოსაცდელად მოუვლინა, რომელსაც თვალებში მზე ჩადგომოდა და პირზე აპრილი უთამაშებდა“*.[54] ამასთან ერთად კასტელის ცნობით *„ქალები სმაში ძალიან თავშეკავებულნი არიან. მრავალ ნადიმს დავსწრებივარ და არასდროს არ მინახავს ღვინის მსმელი ქალი, კაცები კი ერთიდან უკანასკნელამდე მსმელები არიან“*. ან კიდევ *„ქართველი კაცები ძალიან ძლიერნი არიან, არასდროს თვრებიან, რამდენიც არ უნდა დალიონ, ყოველთვის დინჯი რჩებიან და სიტყვასაც კარგად ამბობენ“*.[55]

კასტელს მხედველობიდან არ რჩება ქართველი კაცის მიდრეკილება იარაღის ხმარებისადმიც. *„ქართველები მისდევენ თამაშობას, რომელიც სიმკვირცხლესა და სიძლიერეს მოითხოვს. მათ კარგად იციან იარაღის ხმარება, როცა ისინი სამგზავროდ ან ცხოველებზე სანადიროდ მიდიან“*[56]- წერს კასტელი.

დაბოლოს, კასტელი იძლევა საქართველოს ანუ იბერიის საზღვრების, ტერიტორიის, მოსახლეობის, მათი ხასიათისა და ეროვნული თავისებურებების მოკლე აღწერილობას. *„ქართველები ძალზე მეომარი ხალხია, განსაკუთრებით ისინი ვისაც მთები უკავიათ. ქართველები მაგრები და ვაჟკაცები არიან, ბრძოლაში მამაცნი, რომლებმაც მაჰმადიანთა გარემოცვაშიც შეინარჩუნეს თავისუფლება ჩვენს დრომდე“*[57] - წერს კასტელი.

XVII საუკუნის მეორე ნახევრის ევროპელ მოგზაურ-მკვლევართაგან ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის უმნიშვნელოვანეს რეალიებს აღწერს აგრეთვე ფრანგი კომერსანტი და *მოგზაური ჟან შარდენი*. მისი ნაშრომი *“მოგზაუროება სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში”*, რომელიც არაერთგზის გამოიცა ლონდონში, პარიზში, ამსტერდამსა და ისპაჰანში.[58] გარკვეულწილად ავსებს და ამდიდრებს საერთოდ XIII-XVII საუკუნეების ზემოთ აღნიშნულ მოგზაურ-მკვლევართა და მისიონერთა აღწერილობებს. მიუხედავად იმისა, რომ შარდენმა საქართველო ჩვეულებრივი მოგზაურის რეჟიმით გაიარა და ფაქტები და მოვლენები ერთი ნახვით შეაფასა, მის ცნობებს საქართველოს შესახებ უაღრესად დიდი მნიშვნელობა გააჩნია, მით უმეტეს, რომ მისიონერთა შრომების გეოგრაფიასთან შედარებით ფრანგი კომერსანტის მოგზაურობის არე უფრო ვრცელია. შარდენი მიმოიხილავს არა მარტო ლევან დადიანის დროინდელ სამეგრელოს, არამედ იმერეთსა და ქართლსაც, მათ შორის საინტერესო ცნობებს გვაწვდის XVII საუკუნის კახეთზე, თბილისსა და ამ პერიოდში საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერებზე.[59]

თემატიკურად შარდენის ცნობები მრავალფეროვანია და მოიცავს *სამეურნეო ყოფის, ხალხური დღესასწაულების ქორწინებისა და ქორწილის, პურის*

*ჭამისა და სუფრის ეტიკეტის, ავადმყოფის მკურნალობის, მიცვალებულის დატირებისა და გლოვის, საქალაქო ცხოვრების, მისიონერთა მოღვაწეობისა* და კიდევ სხვა ეთნოგრაფიული სიზუსტით გამორჩეულ აღწერილობებს. შარდენის ამ ჩანაწერების მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება იმ უდიდესი როლის გამოც, რომელიც მისმა *"მოგზაურობამ"* შეასრულა ევროპისათვის საქართველოს გაცნობის საქმეში რაც, ბუნებრივია, იმ პერიოდში არც თუ ისე ადვილად-მისაღწევ საქმეს წარმოადგენდა.

*შარდენის* ყურადღება, პირველ რიგში, საქართველოს სამეურნეო-ბუნებრივ პირობებს მიუქცევია. იგი ერთნაირი ინტერესით მსჯელობს საქართველოს ამა თუ იმ კუთხის *ნიადაგის ვარგისიანობაზე, მოწეული კულტურების მრავალფეროვნებაზე, კერძოდ, ღომის, ფეტვის ბრინჯის, ხორბლის ქერის, ხეხილის, ბოსტნეულისა და ყურძნის უხვმოსავლიანობაზე და მათ საღებ-მიცემო ხასიათზე.*[60] შარდენს ყურადღება მიუქცევია *დაბლარი და მაღლარი ვენახის ფორმებზე, მათი გავრცელების არეებზე და ღვინის დაყენების მაღალ კულტურაზე, საუკეთესო ქართულ ღვინოებზე, რომლებიც იმ პერიოდში დიდი რაოდენობით გადიოდა მე ზობელ ქვეყნებში.*[61] კომერსანტის მახვილ თვალს, ბუნებრივია, არ გამორჩენია *მესაქონლეობის, მელორეობისა და მეცხენეობის განვითარებული ფორმები,* რაც შემდგომში მთაბარული ტიპის მეგრული მეჯოგეობისა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მეცხვარეობის პროდუქციის სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობით, კავკასიის, წინა აზიისა და თვით ევროპის ბაზრებზეც კი ყოფილა ცნობილი.[62]

შარდენისა და მისი ინფორმატორის – თეანეთელთა ორდენის ბერების პრეფექტის *იოზეფ მარია ძამპის* თხზულებებში საყურადღებო მასალებია დაცული *ქართველების გარეგნობაზე, ხალხის ზნე-ჩვეულებებსა და ქცევის წესებზე, ტანსაცმელზე, კოსმეტიკურ საშუალებებსა* და ა.შ. ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, უაღრესად საინტერესოა შარდენის შედარებები ფეოდალური ხანის ქართველი ქალის ტანსაცმლისა პოლონურ, ხოლო მამაკაცისა – სპარსულ ტანსაცმელთან,[63] რაც იმ პერიოდში შედარებით-ისტორიული მეთოდის გამოყენების ალბათ ერთერთ პირველ შემთხვევას წარმოადგენდა.

შარდენის *"მოგზაურობაში"* ეთნოგრაფიული სიუჟეტების აღწერის სრულყოფილობის თვალსაზრისით გამორჩეული ადგილი მაინც *საქორწინო წეს-ჩვეულებებსა და ცერემონიალებს* ეკუთვნის. მოგზაურის ვრცელ დღიურებში თანმიმდევრულადაა დახასიათებული საქორწინო რიტუალის თითქმის ყველა საფეხური სამეგრელოში. ხაზგასმულია, რომ ქალ-ვაჟის დანიშვნის საქმეში მთავარ როლს ასრულებდნენ მათი დედ-მამა, ბიძა და ძმა, აგრეთვე შუამავლები. პირველადი შეთანხმების შემდეგ ეწყობოდა ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში კარგად ცნობილი ე.წ. *"საცოლის გასინჯვის"* ცერემონიალი. შარდენის გადმოცემით, ამ მისიის აღსასრულებლად, "საქმრო თავისი ნათესავებისა და მეგობრების თანხლებით მოდის და თან მოაქვს სატრფოსათვის დაპირებული თანხა, რომელსაც სუფრასთან დასხდომამდე გადასცემს ქალის მამას ან უახლოეს ნათესავს. იმავე დროს მას უჩვენებენ მზითევს, რაც საქმროს მოაქვს... ვახშმის შემდეგ პატარძალი უახლოესი ნათესავების, სტუმრებისა და მეგობრების თანხლებით მიჰყავთ ქმრის სახლში, თან მიაქვთ ეს საჩუქრებიც, რომელიც მამამ და მისმა ნათესავებმა მას და მის საქმროს მისცეს თავიანთი

შესაძლებლობების მიხედვით.[64] გზაზე მიდიან მუსიკითა და სიმღერით. ორი იმათგანი, ვინც საქორწილო გარიგება მოახდინა, დაწინაურდება და ცხენების ჭენებით მიემართება ნეფის სახლისკენ, რათა ამცნოს ყველას დედოფლის მობრძანება. მახარობლებს მაშინვე მიართმევენ ერთ დოქ ღვინოსა და პურს, დაქორწინებულთ მშვიდობიან თანაცხოვრებას უსურვებენ. როდესაც პატარძალი ქმრის სახლში მოვა, შეჰყავთ დარბაზში, სადაც ჩვეულებრივად მთელი ოჯახი გროვდებოდა: პირველად შემოდიან მეგობრები, შემდეგ ნათესავები, დედოფალი შუა დარბაზისკენ მიდის, სადაც დაფენილია ხალიჩა, დევს ერთი დოქი ღვინო და ქვაბი იმ მოხარშული ფაფით, რომელიც პურის მაგივრობას წევს, ის ერთი ფეხის წაკვრით წააქცევს დოქს, ამოიღებს ხელებით ფაფას და დიდ ნაჭრებად მიმოაბნევს მთელ დარბაზში".[65] გვერდით მაგიდაზე დევს „ცოცხალი ყვავილების ან აბრეშუმის ორი გვირგვინი სხვადასხვა ფერის ფოჩებით, გრძელი დოლბანდი ანუ მოსასხამი, ნემსი და ძაფი... ხელისმომკიდე ახალდაქორწინებულებს თავზე ადებს დოლბანდს და ტანიამოსით ერთმანეთს მიაკერებს... ეს დოლბანდი ანუ მოსასხამი, რომელიც მოხურული აქვთ ჯვარდაწერილებს, მოკრძალებისა და უბიწოების ნიშნად მიაჩნიათ"[66], – წერს შარდენი.

ამ პროცესის მსვლელობაში „მღვდელი შეუჩერებლივ კითხულობს ლოცვანს. შემდეგ მეჯვარე იღებს ორივე გვირგვინს, ადგამს თავზე დაქორწინებულებს და დროდადრო, იმის მიხედვით, თუ რომელ ლოცვას კითხულობს მღვდელი, უნაცვლებს მათ გვირგვინებს... ეს მეორდება სამჯერ, ან ოთხჯერ. როცა მღვდელი დაამთავრებს კითხვას, ხელისმომკიდე იღებს პურს და თასს, ტეხს პურს ნაჭრებად, ერთ ნაჭერს ნეფეს ჩაუდებს პირში, მეორეს დედოფალს და ამგვარად ექვსჯერ იმეორებს ამას. მეშვიდე ნაჭერს თვითონ ჩაიდებს პირში და ჭამს. ასევე აძლევს თასს დასალევად ხან ერთს, ხან მეორეს – თითოეულს სამჯერ, დარჩენილს კი სვამს თვითონ".[67]

ამის შემდეგ ნეფე დედოფლის ამალა გადის მეორე ოთახში, სადაც გაშლილია საზეიმო სუფრა. ეს არის საქორწინო ნადიმი. სუფრას უსხდებიან თავიანთი რანგის მიხედვით, ირჩევენ თამადას. ქალისა და ვაჟის მაყრები სხდებიან ცალკე, პირისპირ და იწყება ღვინის სმა გრძელი სადღეგრძელოებით. ამას მოჰყვება სიმღერა და ცეკვა-თამაში. ჩვეულებრივად, საქორწინო ლხინი გრძელდება სამი ან ოთხი დღე.[68]

შარდენი ასევე დაწვრილებით აღწერს ქართლის სამეფო სასახლეში გამართულ მეფის დისწულის საქორწინო ნადიმს, რომელიც გაიმართა მეფის სასახლის ტერასაზე. იგი გადახურული იყო დიდი ფანჩატურით. ფანჩატურს ისე მარჯვედ და ოსტატურად ჰქონდა აკრული ოქროსა და ვერცხლისფერი ფარჩა, ხავერდიანი და სახიანი ტილო, რომ ჩირაღდნების შუქზე ყვავილოვან მავრიტანულ სამკაულს წააგავდა. ამ დარბაზისმაგვარი ნაგებობის შუაში წყლის დიდი აუზი იყო გამართული".[69]

ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ალბათ დღემდე იშვიათია საქორწინო ნადიმისა და სუფრის ეტიკეტის ისეთი დიდებული აღწერა, რომელსაც შარდენის მოგზაურობაში ვხვდებით.

„ნადიმზე ას კაცზე მეტი იქნებოდა. წერს შარდენი. ცოტა ხნის შემდეგ, როცა ყველანი მოვთავსდით. შემოვიდა ნეფე, რომელსაც კათალიკოსი მოუძ-

ღოდა. როგორც კი თავისი ადგილი დაიკავა, მას მთავრის ნათესავები მიუახლოვდნენ, მიულოცეს და საჩუქრები მიართვეს. სტუმართა უმრავლესობამაც იგივე გააკეთა თავიანთი რანგის მიხედვით. ყოველივე ეს ძალიან წააგავდა საზეიმო პროცესიას.[70] ...ამასობაში ვახშამიც გააწყვეს შემდეგნაირად: თავდაპირველად ყველა სტუმრის წინ, სეფის სამ მხარეს, გაშალეს სუფრები. ისინი ფიცარნაგის სიფართისა იყო. შემდეგ მოიტანეს სამნაირი პური: ერთი თხელი როგორც ქაღალდი, მეორე თითის სისქე, მესამე მომცრო ზომისა და ტკბილი. საჭმელი ვერცხლის მოზრდილ ლანგრებზე ეწყო. მსახურთაგან ერთნი შემოიტანდნენ დარბაზში ლანგრებს, დააწყობდნენ გაშლილ სუფრაზე, მეორენი მიიტანდნენ მათ სუფრაჯებთან, ხოლო ესენი კი საჭმელს ღრმა თეფშებზე დააწყობდნენ და შემდეგ სტუმრებთან მიჰქონდათ. პირველად მთავარს მიართმევდნენ, ხოლო შემდეგ სხვებს, მათი რანგის მიხედვით. თავდაპირველად ყველას ერთნაირ ხორცეულს მიართმევდნენ, შემდეგ მეორე სახის ხორცეულს და ა.შ.[71]

მთელი ნადიმის განმავლობაში სამი თავი საჭმელი შემოიტანეს. თითოეული დაახლოებით სამოც ასეთ დიდ ლანგარზე იყო გაწყობილი. პირველი თავი იყო მრავალნაირი შილაფლავი მოხარშულ ხორცთან ერთად. ფლავს სხვადასხვა გემოსი და ფერისას ამზადებენ. ყვითელი ფერისა შემზადებულია შაქრით, დარიჩინითა და ზაფრანით. წითელში ბროწეულის წვენია გარეული, თეთრი კი ნატურალურია და ყველაზე უკეთესი. ფლავი შესანიშნავი საჭმელია, ძალიან გემრიელი და მარგებელი. მეორე თავი იყო ღვეზელი, ჩაშუშული და მოხრაკული ხორცეული, მოტკბო და მომჟავო საწებლით. მესამე თავი წარმოადგენდა მშრალად შემწვარ ხორცს. სამივე თავს სასულიერო პირთათვის მოსდევდა თევზი, კვერცხები და მწვანილი. იყო როგორც სახსნილო, ასევე სამარხვო საჭმელები. კერძები საოცარი წესრიგითა და უხმაუროდ შემოჰქონდათ. ყველა უხმოდ ასრულებდა თავის საქმეს. *ერთ მაგიდაზე მსხდომი სამი ევროპელი უფრო მეტს ხმაურობს, ვიდრე ამ ნადიმზე მყოფი ას ორმოცდაათი კაცი.*[72]

შარდენის შენიშვნით ამ საუცხოო წესრიგის შემდეგ, ყურადღებას ყველაზე მეტად ჭურჭლეულობის სიუხვე იქცევდა. აქ იყო დაახლოებით ას ოცი ფიალა, თასი, ხელადა და ყანწი, სამოცი სურა და თორმეტი აზარფეშა. თითქმის ყველა აზარფეშა ვერცხლისა იყო. სურები ან სადა ოქროსი იყო, ან მომინანქრებული ოქროსი. თასები და ხელადები ზოგი ოქროთი იყო დაფერილი, ზოგიც ოქროთივე მოხატული, ზოგსაც ძვირფასი ქვები და ვერცხლის მოჭედილობა ამშვენებდა. ყანწებიც ძვირფასი თასების მსგავსად იყო მოზარნიშებული. ყანწები სხვადასხვა ზომისაა. ყველაზე მეტად გავრცელებულია რვა გოჯის სიმაღლისა და ორი გოჯის სიფართის კუპრივით შავი და სათუთად გაპრიალებული ყანწები. ზოგი მათგანი მარტორქისა და გარეული ნადირისაა, ძირითადად კი მათ ხარისა და ვერძის რქებისაგან აკეთებენ[73].

თავდაპირველად ერთხანს ღვინოს საერთოდ არ სვამდნენ; მხოლოდ მესამე კერძის შემოტანისას მიეძალნენ ღვინოს. სვამდნენ საკმაოდ უცნაურად, ასეთი წესით: „მთავართან ახლოს მსხდომ რვა კაცს, ოთხს მარჯვნივ, ოთხსაც მარცხნივ, რვა თანაბარი სიდიდისა და ფორმის ღვინით სავსე სასმისებს მიართმევდნენ. ისინი წამოდგებოდნენ და ვიდრე სასმისებს არ დაცლიდნენ, ფეხზე იდგნენ. პირველად მარჯვნივ მსხდომნი დალევდნენ ერთად, ხოლო მარცხნივ

მსხდომნი მათ პასუხობდნენ, შემდეგ რვანივე დაჯდებოდნენ და ეს რვა სასმისი მათ უახლოეს მეზობლებს გადაეცემოდა. ასე გრძელდებოდა მანამ, ვიდრე სადღეგრძელო ყველას არ შემოივლიდა. შემდეგ ყველაფერი იწყებოდა თავიდან; ახალი სადღეგრძელო რვა უფრო მოზრდილი სასმისით ისმებოდა.[74] პირველი სასმისები ჩვეულებრივი ჭიქის ტევადობისა იყო, ხოლო ჩემს იქ ყოფნაში დაცლილთაგან ბოლო სასმისში სამი ნახევარი სეტიე ჩადიოდა, თუმცა იგი მხოლოდ და მხოლოდ საშუალო ზომის სასმისად ითვლება. კაპუცინები და მე სმისაგან გაგვანთავისუფლეს. *მართალი რომ ვთქვა, იმდენი ღვინო რომ დამელია, რაც ჩემმა თანამესუფრეებმა დალიეს, იქვე გავთავდებოდი;* მაგრამ მთავარმა საკმაო წინდახედულობა გამოიჩინა და ბრძანა ჩვენთვის სადღეგრძელოები არ შემოეთავაზებინათ. ჩვენს წინ იდგა ღვინო, წყალი, ოქროს თასი და როცა მოვითხოვდით, მხოლოდ მაშინ შეგვივსებდნენ ხოლმე სასმისებს".[75]

დაბოლოს, ქორწინების წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების ქართული ნადიმსა და სუფრის ეტიკეტის შეჯამებისას შარდენი ბიბლიურ მონაცემებზე დაყრდნობით ცდილობს ახსნას ზოგიერთი მათგანის არსი და რაობა.[76] მართალია, ხშირ შემთხვევაში ეს დასკვნები საკმაოდ გულუბრყვილო შთაბეჭდილებას ქმნის, მაგრამ ეს ადვილი გასაგებიცაა, რადგან ფრანგი მოგზაურის ეს მეცნიერული ინტერპრეტაციები ალბათ ერთ-ერთი პირველი მცდელობაა, ქართულ ეთნოლოგიურ აზროვნებაში, რაც, ბუნებრივია, არ გამორიცხავს გარკვეულ უზუსტობასა და ცთომილებასაც კი.

შარდენი თავის თხზულებაში მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ავადმყოფის *მკურნალობის ადგილობრივ წესებს.* მას წამლების ხალხური რეცეპტებიც კი აქვს მოცემული, რომლებიც თირკმლების, ციებ-ცხელებისა და სხვა დაავადებებისას სალბუნებში შემზადებული ცხვრის დუმით, დარიჩინით, სანელებელი მიხაკითა და სხვა საშუალებებით მკურნალობდნენ.[77]

შარდენის *"მოგზაურობაში"* საყურადღებო ცნობებია დაცული *მიცვალებულის გლოვაზე და მასთან დაკავშირებულ რიტუალებზე და დაკრძალვის ცერემონიალებზე.*[78] შარდენს ანცვიფრებს მეგრელთა გლოვის უკიდურესი სასოწარკვეთა და ახლობლებისა და ჭირისუფლის მიერ ტანსაცმლის შემოხევას, სახისა და სხეულის დაკაწრვას „ბარბაროსობის" გამოხატულებად მიიჩნევს.[79]

კავკასიის, ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესასწავლად მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა ცნობილი ფრანგი მოგზაურ-ბოტანიკოსი *ჟოზეფ პიტონ დე ტურნიფორი.*

თავის ცნობილ ნაშრომში *„მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში"*[80] ტურნიფორს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და იშვიათი ფაქტობრივი მასალები მოაქვს საქართველოსა და სომხეთის შესახებ, სადაც მან 1700-1702 წლებში მოგზაურობისას გზად გაიარა ამიერკავკასიის მნიშვნელოვან ცენტრებში – ყარსში, თბილისში, ეჩმიაძინში, ერევანში და სხვ. როგორც ცნობილია, წმინდა მეცნიერული ინფორმაციის გარდა ფრანგ მოგზაურს სხვა, კერძოდ სავაჭრო-ეკონომიკური თუ სამხედრო-პოლიტიკური დაზვერვების დავალებაც ჰქონდა, მაგრამ ევროპაში პოპულარობა მან სწორედ მეცნიერული ხასიათის ჩანაწერებით მოიპოვა. ამასთან, *იგი ყოველთვის ახერხებს კავკასიის ხალხების ყოფისა და კულტურის რეალიებში ჩაწვდეს ახალ, მანამდე უცნობ თავისებურებებს.* მართლაც, ალბათ, იშვიათად თუ ვინმე ევროპელს ყურად-

ღება მიექცია ისეთი ნიუანსისათვის, რასაც ტურნიფორი აღნიშნავდა: *„ყველაზე მეტად განგვაცვიფრა იმ ამბავმა, რომ ქართველებს ფული არ უყვართ და თავიანთ სურსათ-სანოვაგეს არ ყიდიან, თუმცა რაიმე გასამრჯელოს გარეშე მაინც არაფერს იძლევიან. ისინი სურსათს ცვლიან სამაჯურებში, ბეჭდებში, შუშის ყელსაბამებში, პატარა დანებში, ნემსებსა და ქინძისთავებში“.*[81]

ძალზედ ორიგინალურია თბილისისა და ერევნის ტურნიფორისეული აღწერა, საერთოდ *ქართველებისა და სომხების საქალაქო ცხოვრება და საქმიანობა*. სერიოზული წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა აქვს ტურნიფორის ცნობებს ქართველთა და სომეხთა *საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მათი დამუშავება-მოყვანის, ხალხური კულინარიის, ვაჭრობა-აღებ-მიცემობის, საოჯახო ყოფის, საქორწინო ურთიერთობებისა და სხვ. შესახებ.*[82]

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ტურნიფორის თხზულებაში ზოგჯერ გვხვდება ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების სუბიექტური აღქმა და მათი დამახინჯებული განზოგადოების მაგალითები, თუმცა იგი არსებითად მცდარი ინფორმაციის შედეგს უნდა მივაწეროთ, ვიდრე ამ ფაქტების ტენდენციურ ანალიზს.

დასავლურ-აღმოსავლური ევრაზიული სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესები და კავკასიის ადგილი და როლი *„აღმოსავლეთის საკითხში“*, არანაკლები უშუალობითაა გაშუქებული XVIII საუკუნის ევროპელ ავტორთა ნაშრომებშიც, მაგრამ ამჯერად შევჩერდებით XVI-XVII საუკუნეების იმ თურქ და ირანელ მოგზაურ-მკვლევარებზე, რომლებიც მათი თანამედროვე ევროპელი ავტორების მსგავსად, შეუნელებელი ინტერესით ადევნებდნენ თვალს ევროპის სავაჭრო კაპიტალის ექსპანსიის აქტიურ პროცესებს აღმოსავლეთის ქვეყნებში. მართალია, ამ ავტორთა თხზულებებში ჩვენ ვერ ვხვდებით მათ წინაპარ არაბ და მომდევნო ეპოქის ევროპელ მოგზაურთა პოლიტიკურად მიზანსწრაფულ, კავკასიელთა ყოფისა და კულტურის ზოგჯერ კურიოზებამდე მისულ დეტალურ აღწერებს, მაგრამ მეზობელი რეგიონებისა და ხალხების ეპოქალური ვითარება თურქი და ირანელი ავტორების ნაშრომებში უფრო მეტი უშუალობითა და რეალურ ვითარებასთან სიახლოვითაა ასახული. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა *ქათიბ ჩელებისა* (1609-1657წწ.) და *ევლია ჩელების* (1611-1682/83წწ.) ნაშრომები, მაშინ როდესაც სხვა ავტორებთან კავკასიის ხალხთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული დახასიათებები უკანა პლანზეა გადაწეული და უფრო მეტი ყურადღება საომარ ოპერაციებსა და პოლიტიკურ სიტუაციებზეა გადატანილი.

და მაინც, *ჰასან რუმლუს* (დაიბ.1531/32წ.), *ისქენდერ მუნშის* (1560/61-1634წწ.), *იბრაჰიმ ფეჩევის* (1574-1651წწ.), გვიან საუკუნეებში კი *მუსტაფა ნაიმას* (1655-1716წწ.) თუ *მეჰმედ რაშიდის* (გარდ.1735წ.) თხზულებებში ოსმალო იანიჩრებისა და ირანელი ღაზიების დაპყრობითი ომებისა და საგმირო თავგადასავლების ხშირად აღმატებული, შეფერადებული აღწერების გვერდით, კავკასიის ამა თუ იმ ხალხის შესახებ ჩვენთვის საინტერესო ეთნოგრაფიულ ცნობებსაც ვხვდებით. ცნობილი ირანელი ისტორიკოსი *ჰასან რუმლუ*, რომელიც თავის *„ჰასან ათ თარიხში“* ანუ *„უმშვენიერეს ისტორიათაგანში“*[83] საგულდაგულოდ აღწერს *შაჰ-თამაზ I*-ის შემოსევებს საქართველოში, „გულადი ღაზიების“

მიერ ქართველთა დამარცხებებს, ხოცვა-ჟლეტას, რბევას, აწიოკებასა და დატყვევებას, მაგრამ აქვე აღნიშნავს ქართველთა მედგარ წინააღმდეგობას, მათ მეომრულ სულისკვეთებასა და ხასიათის სიმტკიცეს. მისი ცნობით ატენის ციხეს, სადაც *ლუარსაბ მეფეს* თავისი დედა ქეთევან დედოფალი ჰყავდა დატოვებული, უშიშარმა ღაზიებმა ერთბაშად შეუტიეს. *„ეს იყო მეტად მტკიცე და მაგარი ციხე, რომლის კოშკებზე ფრინველსაც არ გადაუფრენია... ქართველების მთელი ბრბო ღაზიების უკუსაგდებად გამოემართა და იმ ღვთის მტერმა წარმართებმა ისეთი ბრძოლა გააჩაღეს, რომ ცის შორსმჭვრეტელი თვალი გაოცებული დარჩა. კოშკებიდან და გალავნებიდან ისე ცვიოდა თავები უტვინოდ და ტვინი უთავოდ, როგორც შემოდგომის ქარიშხალისაგან ცვივა ხეების ნაყოფი“*[84] – წერდა ჰასან რუმლუ ატენის ციხეში დატრიალებული ტრაგედიისა და ქართველთა გმირული შემართების შესახებ.

მეტად ძუნწი და ფრაგმენტულია თურქი ისტორიკოსის *იბრაჰიმ ფეჩევის* ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ფეჩევის ორტომიან *„ისტორიაში“*[85] გადმოცემულია ოსმალთა შემოსევები თბილისზე, ერევნის მხარეზე, განჯასა და შირვანზე. ეს ცნობები ძირითადად საომარ მოქმედებებს ეხება, თუმცა აქა-იქ იგი აღწერს ადგილობრივი მოსახლეობის *საცხოვრისს, თქმულებებს ქართველ მეფეთა ჩამომავლობის შესახებ, მეციხოვნეთა თავდაცვის ხერხებსა და საშუალებებს, მათ მეომრულ სულისკვეთებასა და ა.შ.*[86]

XVII საუკუნის თურქ მოგზაურ-მკვლევართა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მუსლიმანური რენესანსის სახელგანთქმულ წარმომადგენელს – *ევლია ჩელებს*. მისი *„სიჰათ ნამე“* ანუ *„მოგზაურობის წიგნი“*,[87] რომელიც 10 ტომადაა შედგენილი კულტურულ-ისტორიული ღირებულების შემცველ ფუნდამენტურ ნაშრომადაა აღიარებული, ხოლო ავტორი ოსმალოთა შორის ყველაზე უდიდეს და საინტერესო გეოგრაფ-მოგზაურად.

ევლია ჩელებმა თავისი ნახევარსაუკუნოვანი მოგზაურობისას საგულდაგულოდ მოიარა ევროპის, აზიისა და აფრიკის არაერთი ქვეყანა, საკუთრივ კავკასიასა და საქართველოს მოგზაურობის მეორე ტომი დაუთმო და აქ მოსახლე ხალხების შესახებ ისტორიული, გეოგრაფიული, ეკონომიკური, ლინგვისტური თუ ეთნოგრაფიული ხასიათის მეტად საყურადღებო ცნობები დაგვიტოვა. *სამაგალითოა ევლია ჩელების მიერ აღწერილ ტერიტორიათა სამეურნეო-ბუნებრივი პირობების, დასახლების, საცხოვრებლის, თავდაცვითი და საფორტიფიკაციო ნაგებობების, სავაჭრო ფუნდუკების და ცენტრების, წყლის წისქვილების, აბანოების, გასართობი და საასპარეზო ადგილების, მეჩეთების, ეკლესია-მონასტრებისა და სხვა საკულტო ადგილების აღწერა, საერთოდ მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების დახასიათება, მათი ლოკალური და ეროვნული თავისებურებების გამოყოფა და ხაზგასმა.*

ევლია ჩელები უძვირფასეს ცნობებს გვაწვდის აბაზას ქვეყანაში მოსახლე ტომების შესახებ. იგი დაწვრილებით აღწერს ჩაჩბების, არლანის, ჩანდების, დიდი ჩანდების, გეჩიების, ართების, საძის, კამშის ჩამბასა და სხვ. ტომებს, მათ შემადგენლობასა და რიცხოვნებას, საქმიანობას, რწმენა-წარმოდგენებს, ურთიერთობას მეზობელ ტომებთან, ზნე ჩვეულებებსა და ადათ წესებს. „აბაზები ერთმანეთს ებრძვიან, ბავშვებსა და ქალებს იტაცებენ, ტყვეებს ჰყიდიან და ამით ცხოვრობენ. კაცი, რომელიც ქურდი არ არის, ამ ხალხის თვალში ბედშავი

და საწყალია. ამიტომ ასეთებს არც მეჯლისში დაუშვებენ და არც ქალიშვილს მისცემენ ცოლად"[88] - წერს ევლია ჩელები.

ევლია ჩელები ასეთივე ვრცელი პასაჟებით ახასიათებს თბილისის ციხესაც, რომლის კოშკებს სამი ათასი მეციხოვნე იცავდა. თურქ მოგზაურს აქ დიდი რაოდენობის მუსლიმანი მაცხოვრებლები დახვედრია. *„აქ მოჰყავთ ხორბალი წმინდა და თეთრი თბილისური პური, თეთრი და წითელი ატამი. ქებულია მისი ბამბა და ანგორის მატყლი"*.[89]

მეტად გულუბრყვილო და დაუსაბუთებელია ევლია ჩელების ცნობა ქართველთა წარმომავლობის, ეთნიკური შემადგენლობისა და რელიგიის შესახებ. მისი აზრით „ნიმროდიდან წარმომავალ ხალხებში პირველნი ებრაელები არიან. მათ შემდეგ – ქართველების, დადიანისა და შავშეთის ხალხები. ამათ შემდეგ გურიელი, აჩიკ ბაში, მეგრელი ხალხია. ყველა ესენი ებრაელები და, დავითის – მშვიდობა იყოს მასზე – მრევლთაგანი იყვნენ; ქრისტიანობა მიიჩემეს და სახარების მიხედვით მოქმედებენ. ესენი თორმეტ ენაზე ლაპარაკობენ. თითოეული მათგანი თავის კილოზე ლაპარაკობს. ვერაფრით ვერ გაიგებ. მათი აზრით, შავშეთისა და დადიანის ხალხები უნატიფეს ენაზე მეტყველებენ".[90]

ევლია ჩელებს დაცული აქვს ერთი კურიოზული ცნობაც. როგორც ჩანს, იგი კარგადაა ინფორმირებული ქართველი თავადაზნაურობისა და საერთოდ ქართველების ამბიციურ ნიჭსა და პოტენციურ შესაძლებლობებში, რომელიც მაშინაც კარგად ყოფილა ცნობილი არა მარტო საქართველოში, არამედ მეზობელ ხალხებშიც. *„მოსკოვის ხელმწიფის შთამომავლობა, რომ ამოწყდეს, ამ საქართველოდან ერთ ბეგს წაიყვანენ და გაამეფებენ"* [91] – წერდა იგი ამ, თითქოსდა, ფატალურად გარდაუვალი მოსალოდნელობის შესახებ.

რუსეთ-კავკასიის იშვიათი კავშირები მონღოლ-თათართა ბატონობის ეპოქაში ახალი ძალით განახლდა XVI საუკუნეში, რასაც თავისი მიზეზებიც გააჩნდა. 1552-1556 წლებში ყაზანისა და ასტრახანის სამთავროების შემოერთების შემდეგ, მოსკოვის სახელმწიფო უშუალოდ დაუმეზობლდა კავკასიას. დაიწყო კავკასიის ათვისების ინტენსიური პროცესი. 1567 და 1588 წლებში რუსეთმა სუნჯისა და თერგის შესართავებთან პირველი ციხე-სიმაგრეები ააგო.

რუსეთის ექსპანსიას კავკასიაში სხვა გარემოებებიც უწყობდა ხელს. ირან-ოსმალეთის გამუდმებული შემოსევებით შეწუხებული კავკასიის მთავრები ძალაუნებურად რუსული ორიენტაციის გზას დაადგნენ, რომლის შედეგადაც 1557 წელს ყაბარდოელმა მთავარმა თემურყვამ მოსკოვის ქვეშერდომობა მიიღო, ხოლო 1580-იან წლებში აქტიური დიპლომატიის წყალობით კახეთის სამეფომ კავშირი დადო რუსეთთან.

XVI საუკუნის ბოლო მეოთხედში მოსკოვის სახელმწიფოს წარმატებებს კავკასიაში თან მოჰყვა რუს მოხელეთა მოძალება დიპლომატიური მისიით. XVII ს. დასაწყისიდან დიპლომატის სტატუსით საქართველოში ჩამოვიდნენ რუსი ელჩები *პავლე ზახარიევი, თევდორე ელჩინი, ეფიმ მიშეცკი, ივანე კლუჩარიოვი, ნიკოლოზ ტიხონოვი, ალექსი ივლევი, ნიკიფორე ტოლოჩანოვი* და სხვ.

მოსკოვის პირველი ელჩობა საქართველოში 1639-1640 წლებში გაიმართა და მასში მონაწილეობდნენ თარჯიმანი თევდორე ელჩინი და მღვდელი პავლე ზახარიევი.[92] ლევან I დადიანთან მოლაპარაკების შემდეგ მოსკოვში დაბრუნებულმა დიპლომატებმა 1640 წელს შეადგინეს ელჩობის მუხლობრივი აღწერი-

ლობა, რომელსაც რელიგიურ და საეკლესიო ამბებთან ერთად დართული ჰქონდა „*დადიანის ქვეყნის*" მოკლე აღწერილობა. აღწერაში გადმოცემული იყო იმდროინდელი *სამეგრელოს მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებები, ვაჭრობა-აღებ-მიცემობა, მიწის დამუშავების ფორმები, საჭმლის დამზადებისა და სუფრის გაძღოლის წესები, საქორწინო რიტუალები* და ა.შ.[93]

კახეთში მინათმოქმედების, კერძოდ, მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებისა და სამხედრო საქმის შესახებ, საინტერესო ცნობებს გვაწვდიან 1640-1643 წლებში თეიმურაზ I კარზე რუსეთის მეორე დიპლომატიური მისიის წარმომადგენლები თავადი *ეფიმ მიშეცკი და დიაკი ივანე კლუჩაროვი*[94].

იმერეთის სამეფო კარის ცხოვრებისა და საეკლესიო ყოფის, მოსახლეობის რიცხობრივი შემადგენლობის, გარეგნული აღნაგობის, მათი ჩაცმულობის, საჭმელ-სასმელისა და სუფრის წესების, საცხოვრებელი და საფორტიფიკაციო ნაგებობებისა და სხვ. შესახებ უაღრესად საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან *დიაკი ა. ივლევი* და *სტოლნიკი ნ. ტოლოჩანოვი*, რომლებმაც იმერეთი 1650-1652 წლებში, მოსკოვის საქართველოში მესამე ელჩობის დროს მოინახულეს. სამაგალითოა ივლევისა და ტოლოჩანოვის დაკვირვებანი იმერული სოფლის დასახლების ფორმათა შესახებ. „სოფლად დასახლებებში კარმიდამოები გაფანტულია სერებზე და ველებზე, მთებს შუა და მთებზე. სადაც ნაკადულებია, იქვეა მათი დასახლებაცა და ყანებიც. ცხოვრობენ არა დაბებად, ხუტორებად, არამედ გაფანტულად, ორ-ორი, სამ-სამი, ათი, ოცი და ა.შ. კომლის ოდენობით, კომლსა და კომლს შუა თოფის სასროლი მანძილის ნახევარი მაინცაა. და ყოველი კომლი ისეა გარშემორტყმული ბაღ-ბოსტნებით, ხეხილით და ვაზით, თითქოს უჩინარ ტყეში იყოს ჩაფლული".[95] ანალოგიური ხასიათის ცნობებია შესული მათ აღწერილობაში კავკასიის სხვა კუთხეების შესახებაც, სადაც მათ გაიარეს ასტრახანიდან ქუთაისში მგზავრობის დროს.

XVIII საუკუნის კავკასიის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს იძლევიან ფრანგი კონსული ყირიმში *ქსავერიო გლავანი (XVIII ს.)*, ცნობილი ფრანგი მეცნიერი დიპლომატი და პოლიტიკური მოღვაწე *კარლ პეისონელი (1727-1790 წწ.)*, გერმანელი ექიმი და მეცნიერი *იაკობ რაინეგსი (1744-1793 წწ.)*, პოლონელი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე იან პოტოცკი (1761-1815 წწ.) და სხვ., რომლებიც საფრანგეთის, იტალიის, გერმანიისა და ევროპის სხვა ქვეყნების აღმავალი ბურჟუაზიის ინტერესებიდან გამომდინარე საგულდაგულოდ სწავლობდნენ შავი ზღვის აუზის სავაჭრო-ეკონომიკურ შესაძლებლობებს და მის გამოყენებას ევროპული კაპიტალის დასაბანდებლად. აღნიშნულ ავტორთა შორის, მეცნიერისა და დიპლომატის რთული საქმიანობის შეთავსების თვალსაზრისით, უაღრესად საინტერესოა იაკობ რაინეგსის ვრცელი ნაშრომი კავკასიის ხალხების ისტორიულ-ეთნოგრაფიული აღწერის შესახებ,[96] რომელშიც ნათლად ჩანს მეცნიერის სრული ინფორმაციულობა ეთნოგრაფიული მოვლენებისა და ფაქტების ფიქსაციის, აგრეთვე მის მიერ ჩაწერილი მასალის გააზრებისა და გაანალიზების რთული პროცესები ეპოქალურ მოთხოვნილებათა შუქზე.

რაინეგსის მიერ შედგენილ კავკასიის ისტორიულ-ტოპოგრაფიულ აღწერაში, შესულია ავტორის კავკასიაში მრავალწლიანი მოღვაწეობის შედეგები, კერძოდ, უაღრესად საინტერესო ისტორიულ-ეთნოგრაფიული დაკვირვებები,

რომლის მსგავს ცნობებს ვერც ერთ მის თანამედროვის თხზულებაში ვერ ვხვდებით. ავტორი, უშუალო თვითმხილველის პოზიციიდან გვაწვდის ცნობებს ქართველების, სომხების, ოსების, ალბანელების, აფხაზების, ებრაელებისა და სხვ. ყოფისა და წეს-ჩვეულებების შესახებ. საყურადღებოა რაინეგსის მონაცემები აღნიშნული ხალხების *დასახლებისა და საცხოვრებელი ნაგებობების, საოჯახო დგამ-ჭურჭელის, სუფრისა და საოჯახო ტრაპეზის, ჩაცმულობის, შეიარაღებისა და იარაღის ტარების წესების, მიცვალებულის დამარხვა-დატირების, ხალხური აგრალურ-რელიგიური დღესასწაულებისა და სხვ. შესახებ. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოსახლეობის დაავადებებს და ხალხური მკურნალობის წესებს, აგრეთვე ცრურწმენებს, ბუნების მოვლენებთან, კერძოდ გვალვასთან დაკავშირებულ რიტუალებსა და ცერემონიალებს* და ა.შ.[97]

საქართველოში მრავალგზის მოგზაურობისა და ხანგრძლივი ცხოვრების პირობებში რაინეგსი სათანადოდ გაცნობია ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფას. იგი ვრცლად მიმოიხილავს მევენახეობას, მებაღეობას, მემინდვრეობას, მესაქონლეობას, მეფუტკრეობას. აღწერს ტექნიკური კულტურების, კერძოდ მეაბრეშუმეობისა და მებამბეობის თავისებურებებს, ასახელებს აქ გავრცელებული მარცვლის სახეებს, ხეხილს, თაფლს, ვაზს, საძოვრებსა და სათიბებს, გვერდს არ უვლის პურის ცხობის, ღვინის დაყენებისა და ყველის დამზადების წესებს და ა.შ.

მკვლევარი განცვიფრებულია ქვეყნის სამეურნეო-ბუნებრივი რესურსების სიუხვით. *„გემრიელი ხილი და ყურძენი ველურად და ჭარბად იზრდება: იშვიათად შეხვდებით სადმე სხვაგან ასეთი დიდი ხნოვანების, სისქის და სიდიდის ვაზს*, როგორც იბერიაში. მე ვნახე ბევრი, რომელთა გარშემოწერილობა 15 დიუიმი იყო. ვაზს აქ არც სხლავენ, არც მიწას უფხვიერებენ, არც უვლიან; თავმინებებული ისინი ჩვეულებრივ ასწლოვან მუხის, წიფლის ან თხემლის ტოტებზე შემოხვეულან უხსოვარი დროიდან. ერთი ძირი ვაზი იმდენ მტევანს იძლევა, რომ ერთ ოჯახს საუკეთესო ღვინის წლიურ სარჩოდ შეუძლია იმყოფინოს... მე *არც კი შემიძლია რაიმე ვთქვა ვაშლის, მსხლის, ქლიავის, გარგარის, ატმის, ლელვისა და ნუშის სიუხვის შესახებ*, იქ სადაც ბუნებამ მისცა *წაბლით სავსე მთელი მთები, ზეთისხილით დაფარული მთელი ბორცვები, დაბლობები სავსე ბროწეულითა და დაფნით. ეს ყოველივე კი ველურად იზრდება. ნუშის და ზღმარტლის ხეები დახუნძლულნი დგანან კომშისა და ვაშლის დაბურულ ტყეებში. მსხალი, ვაშლი და ქლიავი ხშირად წელიწადში ორჯერ ისხამს ნაყოფს.*"[98]

ამ სიუხვის გარდა რომ დავუკვირდეთ *ბრინჯის, ფეტვის, ხორბლის, ბამბის, სელის და კანაფის მდიდარ მოსავალს* და ამას რომ კიდევ მივუმატოთ *აბრეშუმი, რომელსაც ყოველი ოჯახი მხოლოდ თავისი საჭიროებისათვის ამზადებს*, ყოველივე აქედან გამომდინარე, *შეიძლებოდა გვეპოვნა უფრო ბედნიერი ქვეყანა?*"[99] - კითხულობს რაინეგსი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იაკობ რაინეგსის ცნობები საქართველოს ცალკეული ისტორიული პროვინციებსა და მათი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების შესახებ, რასაც იგი შედარებით – ისტორიული თვითხედვით აფასებს. „აფხაზები ახოვანი, ძლიერი, გულადი და მეომარი ხალხია; მათ როგორც ჩაცმაში, ისე ქცევებში ბევრი აქვთ საერთო ჩერქეზებთან, თუმცა ისინი მეურ-

ნეები არიან და არა ჩერქეზებივით მომთაბარენი... აფხაზი ქალები განთქმულნი არიან როგორც დახელოვნებული ბამბის ძაფის მრთველები"[100] – წერს რაინეგსი.

რაინეგსის აღწერით სვანები *„გარეგნობით ქალებიცა და კაცებიც წარმოსადეგნი არიან"*. მიუხედავად იმისა, რომ მათი ტანსაცმელი ღარიბულია „ძალზე უყვართ ოქროსა და ვერცხლის ჯაჭვები, რომელთაც კაცები და ქალები... ირთვებიან".[101] რაინეგსი კარგად ამჩნევს დასავლეთ საქართველოს ე.წ. *გაფანტული დასახლების ფორმას*. მისი შენიშვნით სამეგრელოში „ოჯახების დიდი რაოდენობა გაფანტულად ცხოვრობს დაბლობებში, მთებში და მდინარის ნაპირებზე, რამდენადაც აუცილებელია და მოსახერხებელი მათი საშინაო მეურნეობისათვის".[102]

იბერიელთა ჩაცმულობაზე, წეს-ჩეულებისა და ყოფა-ცხოვრების დეტალებზე საუბრისას რაინეგსი ეხება მათ გარეგნობასაც: *„ნამდვილი იბერიელები... მკვეთრად განსხვავდებიან ირგვლივ მცხოვრები ყველა ხალხებისაგან. ჩემი დაკვირვებით ისინი ეკუთვნიან ა ზიის უძველეს ხალხებს, რადგან მათი ჩვევები, ასევე ჩაცმა მიუთითებენ მათ დიდ სიძველე ზე. ისინი არიან საშური აღნაგობისა, ლამა ზნი... სწორი, პროპორციული ლამა ზი თავი აქვს მხოლოდ ჭეშმარიტ იბერიელს, რომელიც, მიუხედავად იმისა, ღარიბია თუ არა, ერთნაირად ამრავლებს თავის საკუთარ შთამომავლობას და გვარს შეურეველად ინახავს"* – წერდა რაინეგსი.[103]

რაინეგსს კარგად გამოუცდია კახური ღვინის ხიბლიც. მისი აღწერით კახეთსა და ქიზიყს „ჭარბად აქვს სხვადასხვანაირი გემრიელი ღვინოები, მხოლოდ ქიზიყის მძიმეა, თავში ვარდება... კახეთისა კი მსუბუქია და ძალზე სასიამოვნოდ ისმება, განსაკუთრებით ახმეტისა."[104]

საქართველოს სხვა პროვინციებიდან რაინეგსი შეძლებისდაგვარად აღწერს აჭარელებს, თუშებს, ხევსურებს და თავის აღწერაში შეაქვს იმ დროისათვის იშვიათი ცნობები მათი ყოფა-ცხოვრების შესახებ.

რუსეთის სახელმწიფოს აქტივობა კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში იმთავითვე უპირისპირდებოდა საფრანგეთის ხელისუფლების ცდებს მხარი დაეჭირათ დაცემის გზაზე მდგარ ოტომანთა იმპერიისათვის, რასაც ხელი უნდა შეეწყო ფრანგული კაპიტალის შეჭრისათვის ახლო აღმოსავლეთში, მათ შორის კავკასიაში, განსაკუთრებით კი ამიერკავკასიაში.

ოტომანთა იმპერიის გადარჩენისა და გამოყენების ფრანგული პოლიტიკის საპირისპიროდ, ცარიზმის ადმინისტრაცია ახლო აღმოსავლეთში გეგმაზომიერად ახორციელებდა თურქეთისა და სპარსეთის დაშლისა და მათი ცალკეული ოლქების მიტაცების კოლონიალურ პოლიტიკას. ახლო აღმოსავლეთში რუსეთ-საფრანგეთის, რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-ირანის ასეთი მძაფრი მეტოქეობის მიუხედავად, XVII-XVIII საუკუნეებში რუსეთის დიპლომატიამ კავკასიაში ძალზე ძნელი, მაგრამ წარმატებული ნაბიჯები გადადგა. და თუმცა, რუსეთი, ჯერ კიდევ შორს იდგა კავკასიაში საბოლოო დამკვიდრებისაგან, იგი მაინც შეუპოვრად მიიწევდა წინ ამ მიზნის მისაღწევად. ამის გარანტი გახლდათ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა კავშირები რუსეთთან, ქართველთა და სომეხთა გაერთიანებული ლაშქრის მხარდაჭერა *პეტრე პირველის კასპიისპირეთში ლაშქრობისას (1722-1723წწ.)*, სამხედრო

წარმატებები რუსეთ-ოსმალეთის ომებში (1768-1774წწ.) ქართლ-კახეთის მეფე *ერეკლე მეორისა* და იმერეთის მეფე *სოლომონ პირველის* აქტიური მხარდაჭერით, რასაც საბოლოოდ ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულება (1774წ.) და ყაბარდოსა და ოსეთის რუსეთთან შეერთება მოყვა შედეგად.[105]

რუსეთის სამხედრო ძალისა და დიპლომატიის დიდი გამარჯვება გახლდათ ყირიმის შემოერთება (1783წ.) და გეორგიევსკის ტრაქტატი (1783წ. 24 ივლისი), რომელიც საბოლოოდ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებითა და საქართველოს ანექსიით დასრულდა (1801წ. 18 იანვარი).

კავკასია ახლო აღმოსავლეთის ფრონტზე რუსეთის ამ დიდ წარმატებებს წინ უძღოდა და თან ახლდა XVIII საუკუნის ცარიზმის ადმინისტრაციის მიერ კავკასიაში საგანგებოდ დაგეგმილი და განხორციელებული რუსი აკადემიკოსების *სამუილ გოტლიბ გმელინის (1744-1774წწ.), იოჰან ანტონ გიულდენშტედტის (1741-1781 წწ.), პეტრე სიმონ პალასის (1741-1811წწ.)* და სხვ. სანეცნიერო-დაზვერვითი ხასიათის ექსპედიციები, *გოტლიბ შობერის (1670-1739წწ.), იოჰან გუსტავ გერბერის (გარდ.1734წ.), არტემ ვოლინსკის (1689-1740წწ.), ალექსანდრე იაკოვლევის (გარდ.-1727 შემდგომ), იოჰან ლერხის (1703-1780წწ.), ჯონ კუკის* (გარდ.1754წ.), *ნიკოლოზ იაზიკოვის* (1740-1777წწ. შემდგომ), *სტეფანე ბურნაშევის (1743-1824წწ.)* და სხვ. სამხედრო-დიპლომატიური მისიები და ა.შ.

აღნიშნულ მოგზაურ-მკვლევართა, დიპლომატთა, აპარატის მოხელეთა თუ ახლადდაპყრობილი ქვეყნების მონახულების რომანტიკული ხიბლით შეპყრობილ საზოგადო მოღვაწეთა ნაშრომებსა და ჩანაწერებში გარკვეულ პოლიტიკურ დაკვეთებთან ერთად უხვი და მრავალფეროვანი ცნობებია მოტანილი კავკასიის ხალხების ყოფისა და კულტურის სხვადასხვა მხარეების შესახებაც. შეიძლება თამამად ითქვას, რომ XVIII საუკუნის ამ რუსულენოვანი ავტორებისა და შესაბამისი წყაროების დამსახურება გახლდათ ის, რომ მომდევნო XIX საუკუნეში კავკასია და კავკასიის ხალხები, სოციალურ-პოლიტიკურ მიზნებთან ერთად, რუსული მეცნიერების, მწერლობისა და ხელოვნების წარმომადგენელთა ფართო დაკვირვების, შესწავლისა და ანალიზის ობიექტად იქცა და ახალი დროის კავკასიათმცოდნეობა მეტად საჭირო და აუცილებელი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის მონაცემებით გაამდიდრა.[106]

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში კავკასიის ქვეყნებსა და ხალხებში რუსეთის გავლენების დამკვიდრებას დიდად შეუწყო ხელი ფართომასშტაბიანმა *აკადემიურმა სამეცნიერო ექსპედიციებმა*, რომლებმაც, მხარის ბუნებრივი რესურსების და შესაძლებლობების გამოვლენისა და პრაქტიკული გამოყენების საკითხების შესწავლასთან ერთად, სერიოზული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობებიც შეაგროვა.

ამ მხრივ, საქართველოს ეთნოგრაფიისა და ისტორიის საკითხების კვლევის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი გახლდათ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ სამხრეთ რუსეთსა და კავკასიაში 1768-1775 წლებში გამართული მეორე კომპლექსური ექსპედიცია, რომელსაც ცნობილი ექიმი და ბუნებისმეტყველი, აკადემიკოსი *იოჰან გიულდენშტედტი* ხელმძღვანელობდა. ექსპედიცია, რომლის მიზანსაც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების-სამუილ გმელინისა და პეტრე პალასის ექსპედიციის ანალოგიურად, ასევე

რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონის ბუნებრივი რესურსებისა და მისი გამოყენების პოტენციალური შესაძლებლობების კვლევა-ძიება წარმოადგენდა, ამჯერად მთლიანი კავკასიის შესწავლას ითვალისწინებდა.

ცარიზმის ადმინისტრაციისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიმართულებების (სოფლის მეურნეობა, სამთო საქმე, წიაღისეული რესურსები, სამრეწველო პოტენციალი და ა.შ.) კვლევა-ძიებასთან ერთად ასევე საყურადღებოა გიულდენშტედტის ეთნოგრაფიული ჩანაწერები ქისტების, ინგუშების, ქართველების, დაღესტნის ხალხების, ნოღაელების, ოსების, ყუმუხების, ადიღეელების, ყაბარდოელების, ბალყარლების, ყარაჩაელებისა და სხვ. შესახებ.[108] ამ ჩანაწერებში საინტერესო მონაცემებია მოტანილი ზემოთაღნიშნული ხალხების სამეურნეო ყოფის, განსახლების, საცხოვრებელი და თავდაცვითი ნაგებობების, სოციალური ორგანიზაციის, კავკასიის ხალხთა ენების და კილოკავებისა და სხვ. შესახებ, რაც დიდხანს წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს წყაროთმცოდნეობით ბაზას ფუნდამენტური ეთნოლოგიური გამოკვლევებისათვის.

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში სამეცნიერო სააკადემიო ექსპედიციებს წინ უსწრებდა *გოტლიბ შობერის, იოჰან გერბერის, იოჰან ლერხის, ალექსანდრე იაკოვლევის, ნიკოლოზ იაზიკოვისა და სტეფანე ბურნაშევის* სამხედრო დიპლომატიური მისიები. კონკრეტულად, საქართველოს ეთნოლოგიის ძირითად მიმართულებათა კვლევისა და ანალიზის თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია. *ნიკოლოზ იაზიკოვის* ზოგადი ხასიათის ნარკვევი – *„ჩანაწერები საქართველოს შესახებ“*[109] აქ ვხვდებით საინტერესო ცნობებს ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების მხარეთა გეოგრაფიული საზღვრების, ბუნებრივი პირობების, კლიმატის, ჰიდროგრაფიული ქსელის, ბუნებრივი რესურსების, მოსახლეობის რიცხოვნების, სამეურნეო დარგების (მეთევზეობა, მიწათმოქმედება, მეაბრეშუმეობა და სხვ.) ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების, ხელოსნური დარგების, მმართველობის სისტემისა და სხვ. შესახებ.[110]

წმინდა ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, საყურადღებოა აქ შესული მონაცემები ვაჭრობა-აღებ-მიცემობის, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, ტანსაცმლის, ქორწინების, დაკრძალვის წესებისა და სხვ. შესახებ. ანალოგიური საკითხებისადმია მიძღვნილი *„ჩანაწერები სამეგრელოს შესახებაც“*, თუმცა გზაში გაძარცვისას მას დედანი გურიისა და სამეგრელოს მონაცემებით დაუკარგავს და მხოლოდ მოგვიანებით აღუდგენია ეს ღიღურები.[111]

ნიკოლოზ იაზიკოვის მესამე *„ჩანაწერი“*, რომელიც რუსეთიდან საქართველოსაკენ მომავალი მარშრუტის აღწერას შეეხება, გარკვეულ ცნობებს შეიცავს მთიულთა შესახებაც. აქვე ყურადღება გამახვილებულია ქართველებისა და დაღესტნელების ეთნო-კულტურული ურთიერთობის შესახებაც.[112]

ეთნოგრაფიული სიუჟეტების მრავალფეროვნებით გამოირჩევა, აგრეთვე, სტეფანე ბურნაშევის ნარკვევი საქართველოს შესახებ,[113] რომელშიც ყურადღებაა გამახვილებული ქართლ-კახეთისა და იმერეთის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე, ქვეყნის სოციალურ წყობასა და მის ეკონომიკურ ვითარებაზე, დახასიათებულია მეურნეობის დარგები – მიწათმოქმედება, მეაბრეშუმეობა, სამთო საქმე, ვაჭრობა-აღებ-მიცემობა, მმართველობის სისტემა, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება და ა.შ.[114]

შუასაუკუნეების ხანისა და აღორძინების ეპოქის *უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა და მისიონერთა ზემოთ აღნიშნული ქართულ-კავკასიური ჩანაწერებისა და შრომების შედარება ეთნოგრაფიული ცოდნის დაგროვების ევროპულ მოდელთან გვიჩვენებს, რომ ეს პროცესი კავკასიაში ევროპული ეთნოგრაფიული აზროვნების განვითარების თანხვედრია, ან კიდევ მის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს. როგორც ცნობილია,* ევროპაში ეს პროცესები *გალილეო გალილეის, ჯორდანო ბრუნოს, ნიკოლო კოპერნიკისა* და აღორძინებით ეპოქის სხვა მოაზროვნეებისა და განმანათლებლების იდეურ შეხედულებათა ფონზე ვითარდებოდა, რაც საბოლოოდ *ევოლუციონიზმის თეორიულ მიმართულებად* ჩამოყალიბდა და საფუძვლად დაედო ეთნოგრაფიის სამეცნიერო დარგად ფორმირების ადრეულ ეტაპს. პრაქტიკულად ამ იდეურ შეხედულებათა ქარგაზეა აგებული ევროპული, აგრეთვე არაბულ-ირანული და თურქულენოვანი ავტორების ყველა ის ჩანაწერები, რომლებიც ამ ხანგრძლივი და მრავალფეროვანი პერიოდის ქართული და კავკასიელი ხალხების ისტორიისა და ეთნოგრაფიის უმნიშვნელოვანეს თავისებურებებს ასახავენ.

*ქართულ-კავკასიური თემატიკა ევროპულ თვალსაწიერში განსაკუთრებულ ყურადღებას იძენს აღორძინების ეპოქაში, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების კვალდაკვალ,* მაშინ როდესაც მსოფლიო ისტორიის არენაზე პირველად გამოჩნდნენ მანამდე ისტორიის თვალსაწიერის მიღმა დარჩენილი განვითარების *პირველყოფილი-თემური წყობილების* საფეხურზე მდგომი ე.წ. *უდამწერლობო ხალხები.* შემთხვევითი არ იყო ევროპელთა დაინტერესება ამ ხალხების, მათ შორის ქართველი და კავკასიელი ხალხების სოციალურ-კულტურული განვითარების ფენომენით, რასაც იმთავითვე მოჰყვა ევროპულ მეცნიერებაში საუკუნეების განმავლობაში გამეფებული *უძრაობისა და მარადიულობის ფეოდალურ-კლერიკალურ შეხედულებათა გადაფასება და კაცობრიობის, მათ შორის, ევროპის ცივილიზებული ხალხების განვითარების ისტორიული კანონზომიერების გაანალიზება ერთიანი, ზოგადსაკაცობრიო პროცესების ფონზე.* ახალ იდეურ და თეორიულ შეხედულებათა დამკვიდრების ამ მიზნებს ითვალისწინებდა ევროპული მეცნიერების *დაინტერესება საკუთარი და გარეშე ხალხების ისტორიისა და ეთნოგრაფიის პრობლემებით,* თუმცა ამ პროცესებში, არც ცალკეულ ეპოქებში მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში შექმნილი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კონიუნქტურების შესწავლის იგნორირებას ქონდა ადგილი. ამის ნათელი მაგალითია *კავკასია და კავკასიური აგრალური ცივილიზაციის შემომქმედი – კავკასიის ხალხები,* რომლებთანაც უძველესი დროიდან მომდინარე ტრადიციული სოციო-კულტურული ინსტიტუტებსა და მაღალგანვითარებული ცივილიზებული სამყაროს მახასიათებლების აშკარა და მყარი თანაარსებობა, იმთავითვე იქცა ევროპელ მოგზაურ-მკვლევართა და მეცნიერთა ამოუხსნელ საიდუმლოდ. ეს ამოუცნობი ფენომენი, რომელიც თავის დროზე აღორძინების ეპოქის სხვა ინტელექტუალურ მონაპოვრებთან ერთად გარკვეულწილად ევროპის ცივილიზებული ხალხების ისტორიული განვითარების კანონზომიერებათა ახსნის გასაღებადაც იქნა გამოყენებული, მომდევნო ეპოქებში დასავლეთის მეცნიერებაში ხანგრძლივად გაბატონებული ე.წ. *გვაროვნული თეორიის* მცდარი შეხედულების საფუძვლად იქცა, რომლის მიხედვითაც *კავკასიულ ხალხებს სრულიად დაუმსახურებლად*

*ქონდათ მიკერებული ჩამორჩენილი, პირველყოფილი საზოგადოების სტატუსი.* ქართულ და, ზოგადად, კავკასიათმცოდნეობის ისტორიოგრაფიაში ამ მცდარი თეორიის დაძლევის თითქმის საუკუნოვანი ძალისხმევის შესახებ, რომელშიც გადამწყვეტი როლი ქართველმა ეთნოგრაფებმა და ისტორიკოსებმა შეასრულეს, ქვემოთ არაერთგზის გვექნება საუბარი. ამჟამად კი, კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ ისტორიულად ამ ხანგრძლივი და ვრცელი პერიოდის *მოგ ზაურ-მკვლევართა და მოაზროვნეთა უდიდესი ღვაწლი ქართველი და კავკასიელი ხალხების ეთნოგრაფიული ცოდნის დაგროვებისა და მისი პირველადი გაანალიზების პროცესში,* რომელმაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ეთნოგრაფიული მეცნიერების ფორმირებისა და ჩამოყალიბების შეუქცევად პროცესებს საქართველოსა და საერთოდ კავკასიაში.

## *ლიტერატურა და შენიშვნები*

*თავი პირველი*

ეთნოგრაფიული ცოდნის განვითარება საქართველოში

*1. უძველესი ცივილიზაციების მონაცემები და ბიბლიური ვერსიები ადრინდელი პერიოდის ქართველ ტომთა შესახებ*

1. *მ.გ. აბდუშელიშვილი.* К краниологии древнего и современного населения Грузии, Тбилиси, 1966; *მისივე,* ქართველი ხალხის ანთროპოლოგიის ისტორია, თბ., 1979; *ვ.პ. Алексеев.* Происхождение народов Кавказа. М., 1974 და სხვ.
2. *ო. ჯაფარიძე,* ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, თბ., 1976; *მისივე,* ქართველ ტომთა ადრეული ეთნოგენეზის საკითხისათვის, ჟურნ. დემოგრაფია, I, თბ., 1999 და სხვ.
3. *T.V. Гамкрелидзе.* Современная диахроническая лингвистика и картвельские языки, журн. «Вопросы языкознания», 2, Москва. 1971; *Г.А. Климов.* О гипотезе внутреннего родства кавказских языков, журн. Вопросы языкознания. 6, Москва. 1968 და სხვ.
4. *საქართველო-პირველი ევროპელის სამშობლო,* თბ., 2000
5. *Luckenbile D.,* Ancient records of Assiria and Babilonia, I, Chicago, 1926; *Г.А. Меликишвили.* Урартские клинообразные надписи. УКН М., 1960; *მისივე,* Наири-урарту. Тб., 1964; *იოსებ ფლავიუსი,* იუდეველთა სიძველენი, ქართული თარგმანის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ნინო მელიქიშვილმა, თბ., 1987
6. *Luckenbile D.,* დასახ. ნაშრომი, 660-661
7. *Г. А. Меликишвили,*УКН, 361
8. *იქვე,* 127,1
9. *იქვე,* 127,2
10. *Г.А. Меликишвили.* К истории древней Грузии. Тб.,1959, 174
11. *იოსებ ფლავიოსი,* დასახ.ნაშრომი, VI,1,II,2
12. *ი.ცინცაძე.* ძველი რუსული მასალები (XI-XVI სს.) საქართველოს ისტორიისათვის, თბ.,1962, 27-28
13. *Г.А. Меликишвили*, УКН,155,Д,1-44

*2. ანტიკური და ელინისტური ხანის მოგ ზაურ-მკვლევართა ცნობები*

1. *Гекатей,* Fragm, история древних греческих и римских писателей о Кавказе, Сборник материалов для описания местности и племен Кавказа, СМОМПК, 4, Тифлис, 1884; *В.В.*

*Латышев*, Известия древних писателей о Скифии и Кавказе. I, Вестник древней истории. ВДИ, 1947, № 3

2. *Скилакс Кариандский*, Periplus, Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, СМОМПК, 4, Тифлис, 1884; *В.В. Латышев*, Известия древних писателей о Скифии и Кавказе, I, ВДИ, 1947, № 2; *თ. ყაუხჩიშვილი*, სკილაქს კარიანდელის ზოგიერთი ცნობის შესახებ, ქართული ნყაროთმცოდნეობა, I, თბ., 1965; *მისივე*, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, თბ., 1967; *ნ. ლომოური*, ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ, თბ., 1963
3. *Геродот*, Hist., Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, СМОМПК, 4, Тифлис, 1884, *Геродот*, История в девяти книгах, Перевод и примечания Г.А. Стратоновского, Л., 1972; Б.А. Рыбаков, Геродотова скифия, М., 1979; ჰეროდოტე, ისტორია I, თბ., 1975, II, თბ., 1978, ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა; *თ. ყაუხჩიშვილი*, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1960
4. *Гиппократ*, De aeribus, equis et locis. Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, СМОМПК, 4, Тифлис, 1884; *Гиппократ*, Избранные книги, М., 1936; *მისივე*, Сочинения, перевод с греческого проф. В.И. Руднева, редакция и примечания проф. В.П. Карпова, М., 1944; *თ. ყაუხჩიშვილი*, ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1965
5. *Ксенофонт*, Anabasis, Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, СМОМПК, 4 Тифлис, 1884; *Ксенофонт*, Анабасис, перевод и примечания М.И. Максимовой, Под редакцией И.И. Толстого, М.- Л., 1951; *Фролов Э.Д.*, Жизнь и деятельность Ксенофонта, Уч. зап. ЛГУ, Л., 1958; *თ. მიქელაძე*, ქსენოფონტეს „ანაბაზისი". ცნობები ქართველი ტომების შესახებ, თბ., 1967
6. *Страбон*, известия древних греческих и римских писателей о Кавказе, СМОМПК, 4, Тифлис, 1884; *Страбон*, География, перевод и Предисловие Г.А. Стратоновского, Под общей редакцией проф. С.Л. Утченко, М., 1964; *Арский Ф.Н.*, Страбон, М., 1974; *Ростовцев М.И.* Страбон как источник для истории Боспора, Харьков, 1914; *თ. ყაუხჩიშვილი*, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957
7. *Аполоний Родосский*, Argonautica, Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, СМОМПК, 4, Тифлис, 1884; *Аполоний Родосский*, Аргонавтика, перевод Г.Ф. Церетели, Тб., 1963; *აპოლონიოს როდოსელი*, არგონავტიკა, ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და განმარტებები დაურთო აკ. ურუშაძემ, თბ., 1948; *აპოლონიოს როდოსელი*, არგონავტიკა, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი, კომენტარები და საძიებელი დაურთო აკ. ურუშაძემ, თბ., 1970
8. *Плиний*, Естественная история с английским переводом в десяти томах, по Г. Рекему, т. III, кн. III-VII, Лондон-Кембридж-Масачусет, 1977
9. *Arrianus*, Periplus Ponti Euxsini, Lepsia, 1928; *Arrian*, Periplus, Известия древних греческих и римских писателей о Скифии и Кавказе, СМОМПК, 4, Тифлис 1884; Арриан, Поход Александра (Anabasis), перевод с древнегреческого М.Е. Сергеенко, М.-Л., 1962; В.В. Латишев, Известия древних писателей о Скифии и Кавказе, I, ВДИ, 1884, № 1; *ფლავიუს არიანე*, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნათელა კეჭეყმაძისა, თბ., 1961
10. *Дионисии Периегет*, Orbis descriptio, Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, СМОМПК, 4, 1884; *В.В. Латышев*, Известия древних писателей о Скифии и Кавказе, I, ВДИ, 1974, № 4; *თ. ყაუხჩიშვილი*, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, თბ., 1967; *მისივე*, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული ნყაროები, თბ., 1976
11. *Geography of Claudio Ptolomey*, Transl. in English by E.I. Stewenson, New-York, 1932; В.В Латишев, Известия древних писателей о Скифии и Кавказе, I, ВДИ, 1948, № 4; *ნ. ლომოური*, კლავდიოს პტოლემაიოსი. გეოგრაფიული სახელმძღვანელო. ცნობები სა-

ქართველოს შესახებ, მსკი, № 32, 1955; *თ. ყაუხჩიშვილი*. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976

12. *Аммиан Марцелин*. История. пер. Ю. Кулаковского и А. Сонни, вып. I-III. Киев, 1906-1908; *В.С. Соколов* Аммиан Марцелин как последний представитель античной историографии, ВДИ, № 4, 1959; *ამიანე მარცელინი*, გეორგიკა, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, თბ., 1961; *ს. ყაუხჩიშვილი*, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1949; *Thompson E.A.* The Historical work of Ammianus Marcellinus, Cambrige, 1947; *Ammianus Marcellinus* with an English translation by J. Rolfe, London, 1950-1952
13. *პროკოპი კესარიელი*, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, 2, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1965; *Дастунис Спиридон*, Прокопия Кесарийского История войн римлян с персами, кн. I-II, СПб., 1886; *მისივე*, История войн римлян с вандалами, кн. I, СПб., 1891; *Прокопий из Кесарии*. Война с готами. Перевод с греческого С.П. Кондратьева. Вступительная статья З. Удальцовой, М., 1950; Прокопий, О постройках. Перевод С. П. Кондратьева. ВДИ, 1939, № 4.
14. *აგათია სქოლასტიკოსი*, გეორგიკა, ბიზანტიური მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, 3, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1936; *Dindorfius Ludovicus*, Historici Great Minores, HGM, V, II, Lepsiae, 1871

3. *ადრინდელი ხანის (V-XI სს.) ქართული წერილობითი წყაროების მონაცემები*

1. *იაკობ ცურტაველი*, წამებაჲ წმიდისაჲ შუშანიკისი, ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, თბილისი, 1963
2. *ნ.ჯანაშია*, შუშანიკის წამება, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა თბ.,1980; *ს.ჭანტურიშვილი*, შუშანიკის წამება როგორც ისტორიული ეთნოგრაფიის წყარო. შუშანიკის წამება, გამოკვლევები და წერილები,თბ., 1978
3. *ს. ჭანტურიშვილი*, ყოფა და კულტურა V-X სს. საქართველოში,140-157; *მისივე*. შუშანიკის წამება როგორც ისტორიული ეთნოგრაფიის წყარო, 16-18; *ნ.ჯანაშია*, შუშანიკის წამება, 261-285
4. *იაკობ ცურტაველი*, დასახ, ნაშრ., 68-69; ს.ჭანტურიშვილი, დასახ. ნაშრ., 150-157
5. *მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისაჲ ევსტათი მცხეთელისა*, ძქალძ, I, თბ., 1963; *ს.კაკაბაძე*, ევსტათი მცხეთელის ცხოვრება, საისტორიო კრებული, წიგნი III,1928
6. *იოანე საბანისძე*, წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტესისა ჰაბოისი, ძქალძ, I, თბ., 1963
7. *აბიბოს ნეკრესელის მარტვილობა*, ძქალძ, I, თბ., 1963
8. *ცხოვრებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაზნელისა*, ძქალძ, I, თბ., 1963; *ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ შიოსი და ევაგრესი, იქვე; ცხოვრებაჲ და მოქალაქეობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა დავით გარეჯელისა*, ძქალძ, I, თბ., 1963 და სხვ.
9. *გიორგი მერჩულე*, ცხოვრებაჲ გრიგოლ ხანძთელისა, ძქალძ, I, 1963; *გიორგი მერჩულე, ცხოვრებაჲ გრიგოლ ხანძთელისა*, დედანი აღადგინა და გამოკვლევა დაურთო პ.ინგოროყვამ, თბ., 1949
10. *ცხოვრებაჲ სერაპიონ ზარზმელისა*, ძქალძ, I, 1963; *ნ.ვაჩნაძე*, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1975
11. *იოანე საბანისძე*, დასახ. ნაშრომი, 63-81. ივ. ჯავახიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აბოს ერთგულებასა და თავდადებას ქრისტიანული რწმენისადმი,

რაც შექმნილ რთულ ვითარებაში, მაშინ როდესაც არაბთა მძლავრობით თავზარდაცემული ქართველობა „შიშით განილეოდნენ და ირყეოდნენ ვითარცა ლერწამი ქართაგან ძლიერთა“, გაქრისტიანებული უცხოტომელის ასეთი თავგანწირვა მკვლევარს ქართველთა ეროვნული ცნობიერებისა და თვითშეგნების გამოლვიძების თვალსახედვით გმირობის ტოლფასად მიაჩნდა (*ივ. ჯავახიშვილი,* ქართველთა პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა არაბთა ბატონობის პირველი ორი საუკუნის განმავლობაში, თხზ., II, თბ., 1983, 90)

12. *მარტვილობაი და მოთმინებაი წმიდისა ევსტათი მცხეთელისა,* 30-35; *ს.კაკაბაძე,* დასახ. ნაშრომი, 76-80
13. *მარტვილობაი და მოთმინებაი წმიდისა ევსტათი მცხეთელისა,* 32-45. *ს.ყანტურიშვილი,* ყოფა და კულტურა V- X სს. საქართველოში, 125-130, 133
14. *გ.მერჩულე,* დასახ. ნაშრომი, 116-118. 132; *მისივე,* ცხოვრებაი გრიგოლ ხანძთელისა, დედანი აღადგინა და გამოკვლევა დაურთო პ.ინგოროყვამ, თბ., 1949, 117-119,121 და შმდ.
15. *შრომაი და მოღუაწებაი გრიგოლისი არქიმანდრიტისა ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებლისა,* 99-130; ს.ყანტურიშვილი, ყოფა და კულტურა V- X სს. საქართველოში, 208-240
16. *მოქცევაი ქართლისაი,* ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1963; *ქართლის ცხოვრება,* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბ., 1955; II, თბ., 1959
17. *მოქცევაი ქართლისაი,* ძქალძ, I, თბ., 1963, 81-90 და შმდ.
18. *ქართლის ცხოვრება,* I, თბ., 1955 08-09, 011-014
19. *ცხოვრებაი მეფეთ-მეფისა დავითისი,* ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, 332
20. ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1959, 320
21. მარტვილობაი გობრონისაი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1963, 179
22. *ქართლის ცხოვრება,* II, თბ., 1959, 239-240, 251, 258 და შმდ.
23. *იქვე,* 3-15, 20-26 და შმდ.

*4. შუასაუკუნეების ხანისა და აღორძინების ეპოქის უცხოელ მოვ ზაურ-მკვლევართა და მისიონერთა ცნობები*

1. *ივ.ჯავახიშვილი,* არაბთა შემოსევა და მათი ბატონობა პირველ ორ საუკუნეში, თხზ., II, თბ., 1983, 73-80, 95-92 და შმდ.; *ბ.ლომინაძე,* საქართველო XV ს. მეორე ნახევარში. ერთიანი საქართველოს საბოლოო დაშლა სამეფოებად და სამთავროებად, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* III, თბ., 1979, 733-748; *ნ.ბერძენიშვილი,* საქართველოს ისტორიის საკითხები, VI თბ., 1971, 127 და შმდ.
2. *ივ.ჯავახიშვილი,* დასახ. ნაშრომი, 76-77, 84, 90-94; *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* II, თბ., 1973, 294-295
3. ამ თვალსაზრისს ადასტურებს *მასუდის, იბნ-ფადლანის, ალ. მუკადასის, იბნ-ჰაუკალისა* და სხვ. ჩანაწერებიც (*საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* III, თბ., 1979, 38-51), თუმცა მათ ნაშრომებში წარმოდგენილ ფრაგმენტულ ცნობებს მნიშვნელოვანი ნელილი შეაქვთ საქართველოს ადრე და შუაფეოდალური ხანის ისტორიისა და ეთნოგრაფიის პრობლემური საკითხების გაშუქებაში (*საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* II, თბ., 1973, 42-43).

4. *Ибн-Хаукаль.* Из Книги путей и царств. Сведения арабских географов IX-X веков о Кавказе, Армении и Азербанджане, IX, СМОМПК, 38, Тифлис, 1908 214-215;
5. *Иби-Хаукаль,* დასახ. ნაშრ., 242-243
6. *გ. ჩიტაია,* "სვეტები", ზოგადი ეთნოგრაფიის კურსი, შრომები, IV, თბ., 2001, 25
7. *იქვე,* 25
8. *გ. ჩიტაია,* დასახ. ნაშრომი, 25
9. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* III, თბ., 1979, 40-42 და შმდ.; *Сведения арабских географов IX-X веков о Кавказе, Армении и Азербанджане,* IX СМОМПК, 38, Тифлис, 1908, 214-215; *პლანო კარპინი,* ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ, თარგმნა გერონტი ქიქოძემ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, II, თბ., 1942, 116-117 და შმდ.; *ქართლის ცხოვრება,* II, თბ., 1959, 239-240, 251, 258 და შმდ. *В.Н. Шкловский,* Марко Поло. Введение, комментарии и редакция К.И. Кунина. М., 1936, 8-9, 11.
10. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* III, თბ., 1979, 38-49, 51-62; *XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ.* არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძებლები დაურთო დიტო გოჩალეიშვილმა. თბილისი, 1988, 12-15 და შმდ.; *И.Ю. Крачковский,* Арабская географическая литература, Избранные сочинения, IV, М.-Л., 1957, 12-22, 28-31 და შმდ.
11. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* XIII, თბ., 1979, 51-62 და შმდ.; *დ.კაციტაძე,* საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე სპარსული და სპარსულენოვანი წყაროების მიხედვით, თბ., 1975, 8-12
12. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* II, 42-45; *ივ.ჯავახიშვილი,* არაბების შემოსევა და მათი ბატონობა პირველ ორ საუკუნეში, 73-76.
13. *F.Wüsteufild,* Jacuts Reisen aus seinem geographischen wörtetbuche beschriben. ZDMG, XVIII, 1864; *იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ,* I, არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავალით გამოსცა ეთერ სიხარულიძემ, თბ., 1964; *И.Ю.Крачковский.* Арабская географичсская литература. Избранные сочинения, IV. М.-Л., 1957. ტექსტში მითითებები შესრულებულია იაკუთის თხზულების ქართული თარგმანიდან
14. იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, I, 857-858 და შმდ.
15. *ზაქარია ალ-ყაზვინის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ,* არაბულ ტექსტს შესავალი წაუმძღვარა, ქართული თარგამნი და შენიშვნები დაურთო ოთარ ცქიტიშვილმა, თბილისი, 1975; *Крачковский И.Ю.* Арабская географическая литература, Избранные сочинения, IV, М.-Л., 1957
16. *ზაქარია ალ-ყაზვინის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, 348-349*
17. *იქვე,* 349
18. *XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ.* არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დიტო გოჩალეიშვილმა, თბილისი, 1988; *В.Тизенгаузен,* Заметки Эль-кашанди о грузинах. Записки восточного отделения Императорского русского археологического общества, I, вып. III, СПб., 1886
19. *ივ.ჯავახიშვილი,* თემურ ლენგის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენა და საქართველოში მისი პირველი შემოსევის მიზეზი და გარემოება, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, 278

20. *Джиованни дель Плано Карпини,* История монголов. Путешествия в Восточные страны Плано Карпини и Рубрука, Редакция, вступительная статья и примечания Н.П.Шастиной, М., 1957; *Плано Карпини* Собрание путешествий к татарам и другим восточным народам, СПб., 1825; *Джиованни дель Плано Карпини,* История монголов, *Вильгелм Рубрук,* Путешествие в восточные страны, СПб., 1911; *პლანო კარპინი.* ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ, თარგმნა გერონტი ქიქოძემ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, II, თბ., 1942.
21. *Плано Карпини,* История монголов, 61
22. *Путешествия Марко Поло,* Перевод И.П.Минаева, СПб., 1902; *П.К.Губер,* Хождение на восток венгизейского гостя Марко Поло, прозванного миллионщиком, с предисловием проф. Д.П.Егорова, Л., 1929; *В.Шкловский.* Марко Поло. Введение, комментарий и редакция К.И.Купина, М., 1936;
23. *Путешествия Марко Поло,* LX და შმდ.
24. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* III, საქართველო XI-XV საუკუნეებში, თბ., 1979, 670-680 და შმდ.
25. *შერიფ ად-დინ-ალი-იე ზიდი* საგანგებოდ აღნიშნავს ვენახისა და ღვინის მნიშვნელობას ქართველი კაცისა და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისათვის, რის გამოც თემურს ურწმუნოთა გასატეხად ბაღ-ვენახები მოლაშქრეებისათვის დაუნაწილებია. ისინიც ფერდობებს შესევიან და ძირიანად თხრიდნენ ვაზს (*შერიფ-ად-დინ ალი იე ზიდი,* ზარაფ-ნამე, II, 163, 164)
26. *ქართლის ცხოვრება,* II, 331, 468, 469; ნიზამი ად-დინ შამი, ზარაფ-ნამე, I, 215, 284; შერეფ ად-დინ ალი იეზიდი. დასახ. ნაშრომი, 173, 380, 381
27. *დ.კაციტაძე,* საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე სპარსული და სპარსულენობრივი წყაროების მიხედვით, თბ., 1975, 211. თემურ-ლენგის ეს ბარბაროსული მოქმედება წარმატებით გაუგრძელებია საქართველოში შემოსულ არაერთ მტარვალს. *ჰასან რუმლუს* ცნობების მიხედვით, რომელიც პირადად მონაწილეობდა 1553-1554 წწ. *შაჰ-თამაზის* ლაშქრობაში, მტრებმა გორის, სურამისა და საბარათიანოს ვილაეთი დაარბიეს, სოფლები და მხარეები ააოხრეს, ყანები და ხეები მწიფე ხილით ძირიანად ამოგლიჯეს (მიწიდან) და გამარჯვებულნი უამრავი ნადავლით განჯაში დაბრუნდნენ" (*ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ,* თბ., 1966, 35)
28. *ივ.ჯავახიშვილი,* საქართველოს ვითარება მეთოთხმეტე საუკუნეში, თხზ., III, 1982, 457; *ნ.ბერძენიშვილი,* საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, 137
29. *Иоганн (Ганс) Шильтбергер.* Путешествие Ивана Шильтбергера по Европе, Азии и Африке с 1394 года по 1427 год. Перевод с намецкого Ф.Брауна. Записки Новоросийского университета, I, вып. 1-2, Одесса 1867
30. *Рюи Гонзалес де Клавихио.* Дневник путешествия ко двору Тимура в Самарканде в 1403-1406 гг. Подлинный текст с переводами и примечаниями, составленный под редакцией И.И.Срезневского, СПб., 1881; *რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ,* ესპანურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ელდარ მამისთვალიშვილმა, თბილისი, 1992.
31. *რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ,* 38
32. *იქვე,* 38-39
33. *Иосафат Барбаро.* Путешествие в Тану Иосафата Барбаро, венецианского дворянина. Перевод с итальянского В.Семенова. Библиотека иностранных писателей о России, I, СПб., 1863; *ჯოსტაფ ბარბარო,* კეთილშობილი ვენეციელის, ჯოსაფატ ბარბაროს მოგზაურობა ტანუში და სპარსეთში, XV საუკუნის იტალიელ

მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ელდარ მამისთვალიშვილმა, თბილისი, 1981

34. *Иосафат Барбаро,* დასახ. ნაშრ., XIV
35. *Valle Pietro della* (1586-1652), в кн. *М.А. Полиевктов,* Европейские путешественники XIII-XVIII вв. по Кавказу, ЕПИК, XIII-XVIII вв., Тифлис, 1935.
36. *М.А. Полиевктов,* დასახ. ნაშრ., 189
37. *იქვე,* 189
38. *М.А. Полиевктов,* Европейские путешественники XIII-XVIII вв. по Кавказу, 9-10
39. *იქვე,* 9
40. *გ.ჯამბურია,* შაჰ-აბასის შემოსევები საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973, 362-365 და შმდ.
41. *ნ.ბერძენიშვილი,* საქართველოს ისტორიის საკითხები, III, 266; ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 309, 332; ვ. გაბაშვილი, ფეოდალური წყობილება საქართველოში XVI-XVII სს.თბ., 1958, 307-309
42. *გ.ჯამბურია,* სახალხო აჯანყება კახეთში 1659 წელს, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, 1973, 329-332
43. *მ. სვანიძე,* ჩილდირის (ახალციხის) საფაშოს დაარსების ისტორიიდან, მაცნე, 1964, №3, 70-84
44. *გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი,* II, თბ., 1941, 31, 47, 247 და ა.შ.; *ნ.შენგელია,* XV-XIX საუკუნეების საქართველოს ოსმალური წყაროები, თბ., 1974, 4; გ. ტივაძე. სამცხე-საათაბაგოს ისტორიიდან XVI ს., თბ., 1955, 8-32; *მ. სვანიძე,* საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს. თბ., 1971, 167-169
45. *М.А. Полиевктов,* Европейские путешественники XIII-XVIII вв. по Кавказу, 10
46. *В.К. Гарданов,* Адыги, балкарцы и карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв., АБКИЕА, Нальчик, 1974, 47-48 და შმდ.; *М.А. Полиевктов,* დასახ. ნაშრომი, 11-12
47. *არქანჯელო ლამბერტი,* სამეგრელოს აღწერა, თბილისი 1938.
48. *არქანჯელო ლამბერტი,* დასახ. ნაშრომი, XII
49. *იქვე,* XVII
50. *იქვე,* XXI
51. *ქრისტეფორე კასტელი,* ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბილისი, 1976
52. *ქრისტეფორე კასტელი,* დასახ. ნაშრომი, 37, 62, 157 და შმდ.
53. *იქვე,* 41, 71, 315
54. *იქვე,* 48
55. *ქრისტეფორე კასტელი,* დასახ. ნაშრომი, 152
56. *იქვე,* 48
57. *იქვე,* 587
58. *Chardin Jean,* Voiages de Chardin en Perse et autres Lieux de L'Orient, Paris, 1811, I-V, Teheran-Amiz Cabin, 1956-1959; *Путешествие Шардена по Закавказью в 1672-1673 гг.,* Тифлис 1902; *ჟან შარდენი,* მოგზაურობა საქართველოში, თარგმნილი ფრანგულიდან ვასილ ბარნოვის მიერ, ტფ., 1935; ჩვენ ყველგან მითითებული გვაქვს მზია მგალობლიშვილის მიერ გამოცემული ნიგნიდან *„ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში* (ცნო-

ბები საქართველოს შესახებ)", ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო *მზია მგალობლიშვილმა*, თბ., 1975

59. *ჟან შარდენი*, მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), 107-122, 202-223, 230-231, 302-303 და შმდ.
60. *ჟან შარდენი*, დასახ. ნაშრომი, 110-113 და შმდ.
61. *იქვე*, და შმდ.
62. *პ.გუგუშვილი*, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში, III, თბ., 1959; 784 და შმდ.; *В.М. Шаншиашвили*. Хозяйственно-культулные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии. Тб., 1979. 368-369.
63. ჟან შარდენი, დასახ. ნაშრომი, 298
64. *იქვე*, 176
65. *იქვე*, 176-177
66. *იქვე*, 176
67. *ჟან შარდენი*, დასახ. ნაშრომი, 176
68. *იქვე*, 175
69. *იქვე*, 344
70. *იქვე*, 346
71. *იქვე*, 351
72. *ჟან შარდენი*, მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში, 346
73. *იქვე*, 347
74. *იქვე*, 347
75. *იქვე*, 348
76. *ჟან შარდენი*, დასახ. ნაშრომი, 177
77. *იქვე*, 122, 127
78. *იქვე*, 46
79. *იქვე*, 146
80. *ჟოზეფ პიტონ დე ტურნიფორი*, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბილისი, 1988
81. *ჯოზეფ პიტონ დე ტურნიფორი*, დასახ. ნაშრომი, 56
82. *იქვე*, 56, 58, 84 და შმდ.
83. *ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ*, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით და შესავლით გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რევაზ კიკნაძემ, უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, XIX, თბილისი, 1966
84. *ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ*, 33-34
85. *იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ*, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჯიქიამ, უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, XV, თბილისი, 1964
86. *იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ*, 44, 45, 58, 59 და შმდ.
87. *ევლია ჩელები*. მოგზაურობის წიგნი, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ, I, ქართული თარგმანი, თბილისი 1971, II, გამოკვლევა, კომენტარები, თბილისი, 1973.
88. *ევლია ჩელები*, დასახ. ნაშრომი, XXXIII, 104
89. *იქვე*, XXIII, 318
90. *იქვე*, XXV, 320
91. *ევლია ჩელები*, დასახ. ნაშრომი, XXV, 320

92. *С.А.Белокуров,* Посольство дьяка Федота Елчина и священника Павла Захарьева в Дадианскую землю 1639-1640 гг., Чтения в Обществе истории и древностей российских при Московском университете, 2, 1887
93. *С.А.Белокуров,* დასახ. ნაშრომი, 186-187
94. *თავადი მიშეცკისა და დიაკი კლუჩარევის ელჩობა კახეთში 1640-1643 წწ.,* საბუთები გამოსცა და შესავალი დაურთო მ. პოლიევქტოვმა, საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობანი უცხო ქვეყნებთან, ტფილისი, 1928, 186 და შმდ.
95. *სტოლნიკი ტოლოჩნოვისა და დიაკი იევლევის ელჩობა იმერეთში 1650-1652 წწ.,* საბუთები გამოსცა და შესავალი დაურთო მ. პოლიევქტოვმა, საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობანი უცხო ქვეყნებთან, ტფილისი, 1926, 274
96. *Якоб Рейнеггс,* Всеобщее историко-топографическое описание Кавказа, ч. I. Гота-СПб., 1796, *В.К.Гарданов,* АБКИЕА, 209-213; *იაკობ რაინეგსი,* მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002
97. *Якоб Рейнеггс,* დასახ. ნაშრომი, 209-213
98. *იაკობ რაინეგსი,* მოგზაურობა საქართველოში, 132-133
99. *იქვე,* 133
100. *იქვე,* 110, 113
101. *იქვე,* 116-117
102. *იაკობ რაინეგსი,* დასახ. ნაშრომი, 121
103. *იქვე,* 134
104. *იქვე,* 170
105. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* IV, თბ., 1973, 659-662, 686, და შმდ.
106. *В.К.Гарданов,* Адыги, балкарцы и карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв., Нальчик, 1974, 6-10, 12-23
107. *J.A.Guldensted,* Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge, ven P.S.Pallas, 2 vls., St.Petersburg, 1787-1791; *Иоганн Антон Гюльденштедт.* Путешествия г-на академика И.А.Гюльденштедта через Россию и по Кавказским горам в 1770, 71,72 и 73 годах, СПб., 1809; *Иоганн Антон Гюльденштедт,* Географическое и статистическое описание Грузии и Кавказа, *В.К.Гарданов,* АБКИЕА, 204-213; *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში,* გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო *გ.გელაშვილმა,* უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, IX, I-II, თბილისი, 1962-1964.
108. *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში,* VI, VII, IX, X
109. *ნ.იაზიკოვის* ყველა ჩანაწერი გამოქვეყნებულია ა.ცაგარელის მიერ. იხ. *А.А.Цагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии,* I, с 1768 по 1774 год, СПб., 1891; *М.А. Полиевктов,* Европейские путешественники XII-XVIII вв. по Кавказу, Тифлис, 1935
110. *А. А. Цагарели,* დასახ. ნაშრომი, 261
111. *იქვე,* 279
112. *М.А. Полиевктов,* Европейские путушественники XII-XVIII вв. по Кавказу, 73-74
113. *С.Д.Бурнашев,* Картина Грузии или описание политического состояния царства Карталинского и Кахетинского 1786 г., Тифлис 1894; *მისივე,.* Описание областей Азербайджанских и их политического состояния, Курск, 1793; *С.Н.Бурнашев,* Новые материалы для жизнеописания и деятельности С.Д.Бурнашева, бывшего в

Грузии с 1783-по 1787 год, с приложением карт, портретов и факсимиле, под ред. А.А.Цагарели, СПб., 1901; *М.А.Полиевктов,* ЕПГК, XVII-XVIII вв., Тифлис, 1935.

114. *С.Д.Бурнашев,* Картина Грузии или описание политического состояния царства Карталинского и Кахетинского 1787 г., 13, 16.

# თავი მეორე
## *ეთნოგრაფიული აზროვნების განვითარება და ეთნოლოგიური მეცნიერების ჩამოყალიბების წინაპირობები საქართველოში*

### 1. ეთნოგრაფიული აზროვნების განვითარების ადრეული ეტაპი საქართველოში

#### 1.1. *ლეონტი მროველის ეთნოგენეტიკური კონცეფცია კავკასიის ხალხების ერთიანი წარმომავლობის შესახებ*

საქართველოში ეთნოგრაფიული ცოდნის დაგროვებისა და პირველი მეცნიერული გაანალიზების ცდებს ქართული ისტორიოგრაფიის ფუძემდებლის *ლეონტი მროველის (XI ს.)*[1] შემოქმედებაში ვხვდებით. ქართლის ცხოვრების ლეონტი მროველისეული ეთნოგენეტიკური კონცეფცია, რომელიც ბიბლიური სიუჟეტებიდან მომდინარეობს, კავკასიის ხალხების ერთიანი წარმომავლობის შესახებ ყველაზე ადრინდელ წერილობით წყაროს წარმოადგენს. ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლში – *„ცხოვრებასა ქართველთა მეფესათა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“*, – ლეონტი მროველის ეთნოგენეტიკური კონცეფცია გლობალური მსოფლმხედველობის ფონზეა განხილული და ქართველთა წარმომავლობის საკითხი კავკასიის ხალხების ერთიანი წარმოშობის იდეასთანაა დაკავშირებული[2].

ლეონტი მროველის კონცეფციის მიხედვით, კავკასიის მკვიდრი ხალხების ეპონიმები ლეგენდარული *ნოეს* შთამომავალის, *იაფეტის* შვილიშვილიდან – თარგამოსიდან მომდინარეობს. „პირველად ვახსენოთ ესე, რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკანელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა – ამათ თჳსთა ერთი იყო მამა სახელით თარგამოს. ესე თარგამოსი იყო ძე თარშისი, ძისწული იაფეთისი, ძისა ნოესი“[3].

ბაბილონის გოდოლის აშენების წარუმატებელი ცდის შემდეგ ქართველი და კავკასიელი ხალხების საერთო წინაპარი – *თარგამოსი* „ნათესავითურთ მისით“ ჩრდილოეთით წამოსულა და არარატისა და მასისის მთათა შორის დამკვიდრებულა. აქ მას „ესხნეს ცოლმრავალ ძენი და ასულნი, და შვილნი და შვილისშვილნი ძეთა და ასულთა მისთანი“. თარგამოსის ნამრავლს „ვერღარა იტევდა ქუეყანა არარატისა და მასისისა“ – წერს ლეონტი მროველი[4].

ლეონტი მროველის მიხედვით თარგამოსს რვა „ძლიერნი და სახელოვანნი“ შვილი ჰყოლია. „ხოლო შვილთა შორის მისთა გამოჩნდეს კაცნი რვანი, გმირნი ძლიერნი და სახლოვანნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა ერქუა *ჰაოს*, მეორესა *ქართლოს*, მესამესა *ბარდოს*, მეოთხესა *მოვაკან*, მეხუთესა *ლეკ*, მეექვსესა *ჰეროს*, მეშვიდესა *კავკას*, მერვესა *ეგროს*“[5].

ცხადია, ავტორის მიერ აქ მოტანილი სახელები ზემოთ აღნიშნული ხალხებისა და ტომების მამამთავართა ეთნარქებია, რომლებმაც შესაბამისად სათავე დაუდეს *სომხების, ქართველების (ქართლელების), რანთა, მოვაკანელთა, ლეკთა, ჰერთა, კავკასიანთა* და *მეგრელთა* წარმოშობას.

ლეონტი მროველი ანალოგიურ პრაქტიკას მიმართავს ქართლოსიანთა შთამომავლობის ჩამოთვლისასაც. „ხოლო შვილთა შორის მისთა (ქართლოსი-

სა) გამოჩნდეს ხუთნი გმირნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა *მცხეთოს*, მეორესა *გარდაბოს*, მესამესა *კახოს*, მეოთხესა *კუხოს*, მეხუთესა *გაჩიოს*"[6].

ასეთია *„ქართლის ცხოვრების"* ქრონიკების ავტორის მიერ წარმოდგენილი კავკასიელი ხალხების გენეალოგიური სქემის საფუძველი. ბუნებრივია, თარგამოსიანთა და ქართლოსიანთა გენეალოგია იმ ნიმუშების მიხედვითაა კონსტრუირებული, რაც დამახასიათებელი იყო მანამდე არსებული მსოფლიოს ხალხთა მსგავსი ეთნოგენეტიკური კონცეფციებისათვის. მართლაც, ზემოთ ჩამოთვლილი ეპონიმები ლეონტი მროველის ბიბლიურ ვერსიაშიც საქართველოსა და კავკასიის უმნიშვნელოვანეს ეთნოპოლიტიკურ რეგიონებთან, ან კიდევ უძველესი ტომებისა და ხალხების სახელებთანაა დაკავშირებული.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ შეხედულებათა მიხედვით, ლეონტი მროველის ეთნოგენეტიკური კონცეფციის ბიბლიურ ვერსიათა საზღვრები კიდევ უფრო ფართო დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა. ამ მოსაზრებებს მხარს უმაგრებს იაფეტის სხვა შვილებთან ერთად ბიბლიაში დასახელებული თობალის, მუშეხის, თირსენის და იოვანის შესაბამისად იბერთა, მესხთა, ეტრუსკთა და იონიელთა ფუძემდებლებად მიჩნევა[7]. მართალია, თობალ-თუბალ-იბერისა და მუშეხი-მუსკი-მესხის იდენტურობის შესახებ XIX საუკუნიდან მოკიდებული მეცნიერებაში გამოთქმული ეს შეხედულებები არაერთგვაროვანია[8], მაგრამ საბოლოოდ თავდაპირველი ინტერპრეტაცია მათი იგივეობის შესახებ უფრო გამძლე და რეალური აღმოჩნდა[9].

ჩვენ არ გაგვაჩნია პირდაპირი საბუთი იმის შესახებაც, რომ ლეონტი მროველმა იცოდა ზეპირსიტყვიერ თქმულება-ლეგენდებში ძველთაგანვე მომდინარე მინიშნება პრომეთეს მამად იაფეტის, ხოლო ამირანის მამად იოვანეს აღიარების შესახებ, მაგრამ საქართველოსა და კავკასიის მრავალმხრივი ურთიერთობა ეგეოსური სამყაროს ხალხებთან, აგრეთვე თავის ნაშრომებში ძველი ეპოსებისა და ლეგენდების სიუჟეტების გამოყენება, არ გამორიცხავს ასეთი ფაქტის რეალობას[10], რაც კიდევ უფრო აფართოებს ხალხთა ნათესაობის ასოციაციებს და კავკასიის ხალხებს იონიელებს უკავშირებს.

ლეონტი მროველის დაბადებისეულ გენეალოგიას ლიტერატურული წყაროები ქართულ მწერლობაშიც გააჩნია. ამ იდეამ ადრე ექვთიმე ათონელის (X ს.) ერთერთი თარგმანის მისივე ინტერპოლაციაში გაიჟღერა, რომელშიც III საუკუნიდან ცნობილი *Liber generation-ისა* და მისი გვიანდელი ვერსიებისაგან განსხვავებით კავკასიის მკვიდრი ხალხების ზოგიერთი ეპონიმია შეტანილი[11].

ლეონტი მროველმა ექვთიმე ათონელის გენეალოგიურ სქემაში ერთი არსებითი ხასიათის შესწორებაც შეიტანა. ათონელის თხზულებაში ქართველები, მუხურიელები, სომხები, ჰერები, ოსები, ჯიქები, აფხაზები და მეგრელები ბიბლიური სქემის, ხოლო თობელები, მუსკები, გარბანიელები, ლეკები... სომხები, არევიელნი, კოლხები და... ქართველნი – იაფეტის შთამომავლებად ითვლებიან[12]. სწორედ ამიტომაა, რომ მემატიანე მიმართავს სხვა წყაროს, კერძოდ კი *მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიას"*, სადაც ეს სქემა გამარტივებულია და კავკასიის ხალხების ეთნარქები ტოპოგრაფიული სახელებიდან, ან პირიქით – ტოპოგრაფიული სახელები ეთნარქებისაგანაა ნაწარმოები. ამასთან, მოსე ხორენელის მიხედვით ქართველების, ისევე როგორც სხვა კავკასიე-

ლი ხალხების გენეალოგია, ზემოთ აღნიშნული ეთნოგენეტიკური სქემებისაგან განსხვავებით თარგამოსიდან მომდინარეობს. ამრიგად, მროველის ახალი სქემის მიხედვით, ჰაოსი და ქართლოსი, როგორც ზემოთ იყო მითითებული, მიჩნეული არიან ძმებად – თარგამოსის შვილებად[13].

კავკასიათმცოდნეობაში მრავალწლიანი კამათის საგნად იყო ქცეული მროველის გენეალოგიურ სქემაში თარგამოსის შთამომავალთა პირველობის საკითხი. საქმე იმაშია, რომ ჩამოთვლილი ხალხებისა და შესაბამისი ეპონიმების რიგში იგი სომხებს, მათი ეთნარქით ჰაოსით პირველად ასახელებს[14].

ქართულ ისტორიოგრაფიაში ლეონტი მროველის ეთნოგენეტიკური სქემის ამ სპეციფიკას სწორი შეფასება მიეცა. მიჩნეულია, რომ სომეხთა პირველობა აქ ისტორიულ რეალობას ასახავს და, რომ მემატიანეს არ შეეძლო გვერდი აევლო ამ სინამდვილისათვის. ამით იგი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სომხეთმა საქართველოზე ადრე მიაღწია სახელმწიფოებრივი ძლიერების მწვერვალს. სომეხთა პრიორიტეტი ამ მხრივ მროველისთვის ცხადია, მაგრამ იგი კარგად ხედავს იმასაც, რომ შუა საუკუნეების ეპოქაში სომხეთის დაქვეითების ხანა დგება. კავკასიის ხალხთა წინამძღოლად ამჯერად ახალი ძალა – ქართული აღმავალი ფეოფალური მონარქია უნდა ჩამდგარიყო[15]. სწორედ ამის გამოა, რომ კავკასიური ერთიანობისა და კავკასიის ხალხთა წინამძღოლად ქართული ფეოდალური მონარქიის აღმასვლის აღსანიშნავად და მხარდასაჭერად ლეონტი მროველს არ შეუძლია უარყოს თავისი „უფროსი ძმის“ – გმირი ჰაოსისა და მისი ხალხის ყოფილი დამსახურება, რის გამოც, კავკასიის ხალხთა გენეალოგიურ სქემაში მათ უმაღლეს იერარქიულ საფეხურს უნარჩუნებს[16].

ამავე მიზანს ემსახურებოდა ლეონტი მროველის შეხედულება *„ქართული ენის გაჩენის“* შესახებ, რომლის მიხედვითაც იგი ქართლოსიანთა თავდაპირველ ენად სომხურ ენას აცხადებს. მანამდე კი, სანამ ქართლის ტერიტორიაზე მრავალი მონათესავე ტომები შემოიკრიბებოდა, „ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვიდეს. ხოლო ოდეს შემოკრიბეს ესე ურიცხუნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაცა დაუტოვეს ენა სომხური და ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქართული“[17].

ქართლის ცხოვრების მემატიანის ამ ცნობის მიმართ ქართველ მკვლევართა მიერ არაერთი კრიტიკული შენიშვნა გამოითქვა[18], მაგრამ ამ შეფასებათა შორის უაღრესად საყურადღებოა კ. კეკელიძის შეხედულება, რომლის მიხედვითაც ექვთიმე ათონელისა და ლეონტი მროველის „თეორიული ინტერესი ხალხთა კლასიფიკაციისა და მათი გეოგრაფიული განლაგების საკითხისადმი“ დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ქართველი ხალხის პოლიტიკური გაერთიანების ისტორიულ მომენტთან და ამ პროცესში კავკასიელთა ჰარმონიისა და მშვიდობის, აგრეთვე მათი ერთიანობის შენარჩუნებას ისახავდა მიზნად[19].

თავის მხრივ, *ს. ჯანაშიამ* ლეონტი მროველის ზემოთ მოყვანილ ეთნოგენეტიკურ სქემას *ჰუმანისტური თეორია* უწოდა, რომლის ცოცხალ გამოძახილს მან კავკასიის მთიელთა გადმოცემებში მიაკვლია[20]. ვფიქრობთ, ცალკე მსჯელობის საგანია ქართველ მკვლევართა მიერ საქართველოს ისტორიის კრიტიკულ მომენტებთან დაკავშირებულ ამ შეხედულებათა თანამედროვე ჟღერადობა, რაც დიდ მნიშვნელობას იძენს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის უპირველესი ეროვნული მისიის აღსრულების საქმეში.

ქართლის ცხოვრებაში შესული კავკასიელი ხალხების ეთნოგენეტიკური კონცეფციის ბიბლიური სიუჟეტის ლეონტი მროველისეულ ვერსიებზე საუბრისას შეუძლებელია არ აღვნიშნოთ აქვე ჩართული *„არჩილის წამება“*, რომელიც ასევე მროველის თხზულებადაა მიჩნეული[21]. ამ წყაროთა მიმოხილვა და ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს წერილობითი ძეგლი, წმინდა ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების გვერდით, საყურადღებო ცნობებს იძლევა ქართველი და კავკასიელი ხალხების ისტორიისა და ეთნოგრაფიის, კერძოდ, ეთნიკური ისტორიისა და ეთნო-კულტურული ურთიერთობების უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩოები ძვ.წ.IV-III საუკუნეებიდან ახ.წ. XIII საუკუნემდეა განსაზღვრული.

ამრიგად, საქართველოში ეთნოგრაფიული ცოდნის დაგროვების თანმიმდევრულმა და უწყვეტმა პროცესებმა ქართული ისტორიოგრაფია კანონზომიერად მიიყვანა ეთნოგრაფიული აზროვნების აღმოცენებისა და განვითარების ადრინდელ ეპოქამდე, რაც ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიის ერთერთ მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ამის ბრწყინვალე დადასტურებაა *ქართლის ცხოვრების* ქრონიკების ერთერთი ავტორის, ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიის უპირველესი მოაზროვნის *ლეონტი მროველის* შემოქმედება, რომელმაც *ძველაღმოსავლური ცივილიზაციების მონაცემების, ანტიკურ-ბიზანტიური ხანის წერილობითი წყაროებისა და ბიბლიურ-მითოლოგიური გადმოცემების საფუძველზე წამოაყენა ეპოქალური თვალსაზრისით გამართული, ქართველი და კავკასიელი ხალხების ერთიანი ეთნოგენეტიკური წარმომავლობის გაბედული თეორია.*

ლეონტი მროველის კავკასიური ეთნოგენეტიკური ერთიანობის ჰუმანისტური კონცეფცია, გლობალური მსოფლმხედველობის ფონზეა განხილული და ფეოდალური და შემდგომი ხანის ქართულ-კავკასიური ისტორიოგრაფიის პერსპექტიული ხედვისა და ანალიზის ქვაკუთხედს წარმოადგენს. შემთხვევითი არაა, რომ იგი საფუძვლად დაედო გამოჩენილი ქართველი მეცნიერების, აკადემიკოსების *ნიკო მარის, ივანე ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, გ. ჩიტაიას, ა. აფაქიძის, ო. ჯაფარიძის, მ. ლორთქიფანიძის, დ. მუსხელიშვილისა* და სხვ. ეთნოგენეტიკური და ეთნოკულტურული თვალსაზრისით *კავკასიის კულტურული ერთიანობის* თეორიულ დასაბუთებას და თანამედროვე მეცნიერული გააზრების თვალსაზრისითაც პროგრესული საზოგადოებრივი ღირებულება შეინარჩუნა.

*1.2. ვახუშტი ბაგრატიონი ქართველი ხალხის კულტურულ-ყოფითი თავისებურებების რეგიონალური ხასიათისა და მათი ზოგადქართული ბუნების შესახებ*

ქართველი ხალხის ეთნიკურ ისტორიაზე, ეთნოგენეტიკურ და ეთნოკულტურულ პრობლემებზე განსახილველი პერიოდის სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული წყაროებიც მიუთითებენ, მაგრამ საქართველოში საკუთრივ ეთნოგრაფიული აზრის განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართლის მეფის *ვახტანგ VI* მოსკოვში გადახვეწილი ქართული კოლონიის წარმომადგენელს, გამოჩენილ ქართველ გეოგრაფსა და ისტორიკოს *ვახუშტი ბაგრატიონს* (1696-1757 წწ.). მართალია, მკვლევარის ფუნდამენტური ნაშრომი „*აღწერა სამეფოსა საქართველოსა*“[1], მასზე თანდართული რუკებითა და ატლასებით, უპირველესად ისტორიულ-გეოგრაფიულ ხასიათს ატარებს, მაგრამ ქართველი და მეზობელი კავკასიელი ხალხების ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის მონაცემების, ეთნიკურ კულტურათა თავისებურებების გამოყენებით, ვახუშტის ამ ნაშრომს პირველხარისხოვან ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ღირებულებას ანიჭებს. მან პირველმა საქართველოში, და ერთერთმა პირველმა ევროპულ ისტორიოგრაფიაში, *შედარებით-ისტორიული მეთოდი* კავკასიის კონკრეტული ეთნოგრაფიული მასალის აღწერისა და ანალიზის პროცესში გამოიყენა, განიხილა რა ეს მასალა ისტორიული განვითარების დინამიკაში[2].

ეთნოგრაფიული მასალის შეგროვებისას *ვახუშტი ბაგრატიონი* იყენებდა განსაკუთრებულ კითხვარს, რაც უცილობლად უნდა ჩაითვალოს იმ ეპოქისათვის პროგრესულ სიახლედ. როგორც ცნობილია, ამგვარი კითხვარი საველე მასალების შესაგროვებლად რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიულ საზოგადოებაში აკადემიკოსმა *ვ. მილერმა* 1799 წელს შეიმუშავა, მაგრამ იგი მოგვიანებით – 1845 წ. იქნა გამოქვეყნებული, მაშინ როდესაც, ვახუშტის თავისი ნაშრომი დასრულებული ჰქონდა[3].

ეპოქალური მეცნიერული აზროვნების თვალთახედვით უდავოდ ახლებურია აგრეთვე ტრადიციულ-ყოფითი კულტურის ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ნიშნების განხილვა გარდამავალი ზონის, მთისა და მთამაღალის ზონალური თავისებურებების მიხედვით, რაც საბოლოო ჯამში სოციალური განზომილების ჭრილშია გაანალიზებული[4].

ვახუშტი ბაგრატიონს ჰქონდა თავისი ეპოქისათვის მეტად ორიგინალური შეხედულებები ისტორიულ მეცნიერებაზე. ივ. ჯავახიშვილის შეფასებით ვახუშტის კონცეფციით ისტორია, როგორც მეცნიერება ოთხი განხრისაგან შედება – ე. ი. ჟამთააღმწერლობისაგან, გეოგრაფიისაგან, ანუ ქვეყნის აღწერისაგან და საკუთრივ ისტორიისაგან, რომელიც იყოფა სამოქალაქო და საეკლესიო ნაწილებად[5]. „არამედ ესე მატიანე განიყოფების ოთხ ნაწილად: ადგილის აღწერად, ნათესავთმეტყველებად, წლისმრიცხველობად, და მოქმედების აღწერად, და ესეცა განიყოფების ორად – საეკლესიოდ და სამოქალაქოდ, საეკლესიო არს წმინდათა დიდთა და მცირეთა“ – წერდა ვახუშტი აღნიშნულის თაობაზე[6].

ივ. ჯავახიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვახუშტი ბაგრატიონის მიერ საისტორიო მატიანის კლასიფიკაციის ზემოთ აღნიშნულ პრინციპებს და

იგი მოწინავე ისტორიული აზროვნების ნიმუშად მიაჩნდა. „ქართულ საისტორიო მწერლობაში ვახუშტამდე არავის არ ჩამოუგდია *„მატიანეთა“* შემადგენელ ნაწილებზე საუბარი და ამგვარი დანაწილებაც პირველი მაგალითია. თვით მატიანე ხომ შეიძლებოდა შინაარსის მიხედვით ან საეკლესიო ყოფილიყო, ან სამოქალაქო, ამასთანავე, ეფრემ მცირეს ჩამოთვლილი აქვს საისტორიო ნაწარმოების სხვადასხვა დარგიც. მაგრამ, რომ თვით საისტორიო თხზულებათა შემადგენელ ნაწილებზე ჰქონდეს საუბარი, ამის მაგალითს მხოლოდ ვახუშტი გვაძლევს“ – წერდა იგი[7].

ლეონტი მროველის ეთნოგენეტიკური კონცეფციის მემკვიდრეობითობა, რომელიც, მთელი შუა საუკუნეების მანძილზე იქცა ლიტერატურულ ტრადიციად, შეიმჩნევა ვახუშტი ბაგრატიონთანაც, კერძოდ, მისი ნაშრომის გენეალოგიაში. შემთხვევითი არაა, რომ აღწერილობის მოცემულ ნაწილში ჩვენ ვხვდებით აგრეთვე აფხაზებს, ჯიქებს, ოსებს, ღლიღვებს, დიდოელებს, ძურძუკებსა და სხვ., რითაც ავტორი ამყარებს მროველის იდეას კავკასიის ხალხების ერთიან წარმომავლობაზე[8].

ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში თავმოყრილია უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანი მონაცემები ქართველი და კავკასიელი ხალხების კულტურულ-ყოფითი რეალობის შესახებ. ითვალისწინებს რა საზოგადოების განვითარებაში გეოგრაფიული გარემოს როლსა და მნიშვნელობას, ავტორი ქართველი და კავკასიელი ხალხების კულტურულ-ყოფით მახასიათებლებს, კერძოდ, საცხოვრებელ, სამეურნეო და საკულტო-თავდაცვით ნაგებობებს, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა და ფეოდალურ ციხე-სიმაგრეებს, მეურნეობის წარმოების ხერხებსა და მეთოდებს, ტანსაცმელს, შრომისა და საბრძოლო იარაღებს, ხალხურ ტრანსპორტსა და ა. შ., საქართველოს ცალკეული ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონების თავისებურებათა მიხედვით იხილავს[9]. ჩინებულად ესმოდა რა ამ რეგიონთა ლოკალური განსხვავებები, იგი ყველგან ხაზს უსვამდა მათ მიკუთვნებულობას საერთო ქართულ ეთნოსთან. ეს ერთიანობა, ავტორის აზრით, მჟღავნდება ქართველთა ყველა ეთნოგრაფიული ჯგუფის – ქართლელების, კახელების, იმერლების, სვანების, რაჭველებისა და ა. შ. თვითშეგნებაში და შემომტკიცეულია ყველა აუცილებელი კომპონენტით და დიდი ხნის წინათ ჩამოყალიბებული თვითსახელით – *ქართველი*. ამ ეთნოსის წარმომადგენლებისათვის ვახუშტი ბაგრატიონი მიუთითებს საერთო ზნეს, წეს-ჩვეულებებს, ერთიანობას დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ, სახელმწიფო ძლიერების განმტკიცებაზე ზრუნვას ა. შ.[10]

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ვახუშტი ბაგრატიონის თხზულების ის ნაწილი, რომელიც ეძღვნება ერთიანი, მთლიანი საქართველოს ზნე-ჩვეულებებს. აქ დაწვრილებითაა მოთხრობილი ხალხის სხვადასხვა ჩვეულებებსა და რიტუალებზე, ცხოვრების ქართულ წესზე და ა. შ., სადაც ავტორი ანსხვავებს *„შერეულ“*, *„შეძენილ“* და *„ახალ“* წეს-ჩვეულებებსა და დღესასწაულებს, მმართველობის აპარატს, ჯარსა და შეიარაღებას, საერთოდ ყოფისა და კულტურის სხვა საინტერესო დეტალებს[11].

ვახუშტი ბაგრატიონის შემოქმედებაზე მსჯელობისას აუცილებელია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ტრადიციულ-ყოფითი კულტურის ზემოთჩამოთ-

ვლილი კომპონენტების ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე, მან ერთერთმა პირველმა ქართულ ისტორიოგრაფიაში ყურადღება გაამახვილა და თვალნათლივ ჩამოაყალიბა ქართული ეთნოსის შემადგენელი ეთნოგრაფიული ჯგუფების ლოკალურიდან ზოგადქართული ცნობიერების ფორმირებისა და ჩამოყალიბების ფენომენი, ქართველი კაცის ზოგადქართული ბუნებისა და რაობის, ცხოვრების ზოგადქართული წესისა და მენტალიტეტის პრევალირება: *„უკეთუ ჰკითხო ვისმე ქართველსა (ქართლელსა, ე.შ., ო.მ.) ანუ იმერსა, მესხსა და ჰერკახსა – რა რჯული ხარ, წამს მოგიგებს: „ქართველი“* – წერდა ვახუშტი[12]. მისივე სიტყვებით ამ ერთობლივი ეთნოსის წარმომადგენლებს *„ზნენიც“* საერთო ჰქონდათ. *„ზნენი ჰქუნდით პირმტკიცობა, მტერთა ზედა ერთობა, თავისუფლებისათვის მხნედ ბრძოლა, მაგრად დგომა მისთვის, ციხესიმაგრეთა და ქალაქთა შენება, მაგრება ქუეყნისა, ერთისა ცოლისა ქმრობა“*[13] და ა. შ.

ამ, თითქოსდა, უაღრესად მარტივი ჭეშმარიტების დასაბუთება, რაც ქართველობამ საკუთარი მეობის გადარჩენისა და შენარჩუნებისათვის უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ წარმოებულ მრავალსაუკუნოვან ბრძოლებით მოიპოვა და ქართული სახელმწიფოებრიობის ზეობის პერიოდში საერთო ეროვნული ცნებებით *„ქართველი“*, *„საქართველო“* განამტკიცა, ქვეყნის ფეოდალური განკერძოებულობისა და დაქუცმაცების პერიოდის ავბედობის გამო უცხოეთში გადახვეწილი მკვლევარისათვის ერთობ საპატიო ამოცანა გახლდათ.

ვახუშტი ბაგრატიონმა ამ ამოცანასაც ბრწყინვალედ გაართვა თავი და ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ახალი ქართული ისტორიოგრაფიის პროგრესულად მოაზროვნე წარმომადგენელთა შორის.

ამრიგად, აქ მოტანილი მონაცემების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ფეოდალური ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაში ქართველი ხალხის ეთნოგენეზის, ეთნიკური ისტორიის, ტრადიციული კულტურისა თუ სოციალურ-რელიგიური ხასიათის ყოფითი რეალიების მეცნიერული გააზრებისა და, საკუთრივ, ეთნოგრაფიული აზრის განვითარებაში, *ვახუშტი ბაგრატიონს* განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. გამორჩეულია მისი ნოვატორული წვლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში მოწინავე ევროპული თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპების დამკვიდრების საქმეშიც. ცნობილია, რომ ქართველმა მკვლევარმა პირველმა საქართველოში და ერთ-ერთმა პირველმა ევროპულ ისტორიოგრაფიაში, *შედარებით-ისტორიული მეთოდი* კავკასიის კონკრეტული ეთნოგრაფიული მასალის აღწერისა და ანალიზის პროცესში გამოიყენა და ფაქტები და მოვლენები ისტორიული განვითარების დინამიკაში განაზოგადა. ვახუშტი ბაგრატიონის მეთოდოლოგიურ ინოვაციებს მიკუთვნება *კვლევის პროცესში სპეციალური კითხვარის გამოყენება, ტრადიციულ-ყოფითი კულტურის ტიპოლოგიური ნიშნების გამოყოფა ვერტიკალურ-ზონალური ლანდშაფტების მიხედვით, ორიგინალური შეხედულება ისტორიული მეცნიერების სტრუქტურასა და აღნაგობაზე, შესაბამისად, კი მის დანიშნულებაზე.*

ვახუშტი ბაგრატიონის ეთნოგრაფიული აზროვნების უმნიშვნელოვანეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს ზემოთ აღნიშნული თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე განხორციელებული *რეგიონალური კვლევის შედეგები, ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონების თავისებურებათა წარმო-*

*ჩენა და ამ ლოკალური თავისებურებების საერთოქართული ეთნიკური კუთვნილების დასაბუთება.*

ვახუშტი ბაგრატიონის მიერ ქართველი ხალხის ტრადიციულ-ყოფითი კულტურის რეგიონალური რეალიებისა და ზნე-ჩვეულებების ანალიზი ზოგადქართული ფენომენის, *ცხოვრების ქართული წესისა და საერთო ეროვნული ცნობიერების ფონზე,* ფეოდალური დაქუცმაცებულობის, პარტიკულარიზმისა და სეპარატიზმის პირობებში, ქართული ისტორიოგრაფიის პერსპექტიული განვითარების თვალთახედვით, მეცნიერული კვლევისა და თეორიული განზოგადოების სამაგალითო ნიმუშად რჩება.

## 2. საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში. სოციალურ — ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება, მეცნიერება და კულტურა

ახალი პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ეთნოგრაფიული ცოდნის დაგროვებისა და ეთნოგრაფიული აზროვნების განვითარების ასეთი ფუნდამენტური დასაწყისი, რამაც შემაჯამებელი სახით, ძირითადად, *ვახუშტი ბაგრატიონის* უმდიდრეს ეთნოგრაფიულ მემკვიდრეობაში იჩინა თავი, სამწუხაროდ, შემდგომში ვეღარ პოულობს ღირსეულ გაგრძელებას. ბუნებრივია, ამ პროცესის შეყოვნება და დამუხრუჭება, ერთი მხრივ, უცხოელ დამპყრობთა გამუდმებული შემოსევებით, ქვეყანაში შექმნილი შინააშლილობითა და ქაოსით[1], ხოლო, მეორე მხრივ, საგარეო პოლიტიკური სიტუაციის მკვეთრი გართულებითა და ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვით დასრულდა[2]. XVIII საუკუნის დასასრულისა და XIX საუკუნის დასაწყისის ურთულესმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მომენტებმა, რაც ჯერ კიდევ 1783 წ. 24 ივლისის გეორგიევსკის ტრაქტატით საქართველოს რუსეთთან შეერთებით აღინიშნა, ხოლო მოგვიანებით – 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და საქართველოს სრული ანექსია მოყვა[3], საფუძვლიანი გავლენა მოახდინა ქართველი ხალხის, ქართული ეთნოსისა და ეროვნული ცნობიერების, აქედან გამომდინარე კი მთლიანად ქართული სახელმწიფოებრიობის შემდგომი განვითარება-განმტკიცების ისტორიულ კანონზომიერებაზე. შეიქმნა ახალი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია, შენელდა, ანდა სრულიადაც შეჩერდა ძველი კულტურულ-ყოფითი ტრადიციები, საზოგადოებრივი აქტივობა[4].

ქართული სახელმწიფოებრიობისა და შესაბამისი სოციალური აზროვნების ასეთი ცალსახა ნგრევისა და მოდუნების პროცესი, საბედნიეროდ, დიდხანს არ გაგრძელებულა და ამის მიზეზიც ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის უსამართლობასა და გაუსაძლისობაში იდო. საქმე იმაში იყო, რომ რუსეთის მიერ არარუს ხალხთა დაპყრობა ამ ხალხების ძარცვითა და ჩაგვრით ხასიათდებოდა. რუსეთის გაბატონებული ზედა ფენა, რომლის ინტერესებსაც იცავდა ცარიზმი განაპირა ნაციონალურ რეგიონებს უყურებდა როგორც გამდიდრების წყაროს და მიზანმიმართულად ამკვიდრებდა იქ რუს მემამულეებსა და ეკლესიის მსახურთ[5]. მართალია, ცარიზმის ადმინისტრაცია გარეგნულად, თითქოსდა, მზრუნველობდა დაპყრობილ ხალხებს, მაგრამ მათი სამეურნეო ცხოვრებისა და სოციალური სტრუქტურის რუსულ მოდელთან ნიველირება ფაქტობრივად სპობდა დაპყრობილი ხალხების ეროვნულ სპეციფიკას[6]. მეფის ადმინისტრაციისაგან პრივილიგირებული და ადგილებზე კოლონიალური რეჟიმის დასაყრდენი ცარიზმის საერო დაწესებულებანი და ეკლესია ერთობლივად იღწვოდნენ კავკასიის ხალხთა ტრადიციების, განსხვავებული ადათ-წესების, ეროვნული ენისა და კულტურის რეალიების ამოძირკვას[7].

საქართველო, როგორც ძველი კულტურისა და ტრადიციების მატარებელი ქვეყანა, ამ მხრივ, რუსეთის შემოტევის განსაკუთრებულ არენად იქცა. ქართველი ხალხის მიმართ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა ეყრდნობოდა *ეკატერინე მეორის* ცნობილ ფორმულას – „*სხეული ქართული, სული რუსული*“. სამწუხაროდ, ამ ფორმულით ხელმძღვანელობდა არა მარტო ცარისტული

ოფიციალური იდეოლოგია, არამედ დემოკრატიული ფენის წარმომადგენლებიც. საგულისხმოა, რომ ცნობილი დეკაბრისტის *პ. პესტელის* კონსტიტუციაში კავკასია, რუსეთისადმი განწყობილების მიხედვით, დაყოფილი იყო სხვადასხვა კატეგორიებად. კონსტიტუციის მიხედვით, მშფოთვარე და დაუმორჩილებელი ტომები უნდა გაესახლებინათ იმპერიის შორეულ მხარეებში, ან საერთოდ მის ფარგლებს გარეთ, ხოლო მშვიდ და მორჩილ ტომებს უპირებდნენ თანდათანობით ასიმილაციას და სრულ გათქვეფას რუსულ მოსახლეობაში[8].

კავკასიის ხალხთა საბოლოო დაპყრობისა და დამორჩილების მიზნით, ცარიზმის ადმინისტრაციამ მოქმედებაში მოიყვანა *„დაჰყავი და იბატონეს“* ძველი კოლონიალური მოდელიც[9]. იგი მოხერხებულად იყენებდა კავკასიის ეთნიკურ სიჭრელეს და კოლონიური ძარცვის მიმართ ხალხის აღშფოთება რომ შეესუსტებინა, მიმართავდა ცალკეულ ხალხთა შორის ურთიერთ შუღლის გაღვივებას, აქეზებდა შინა ომებს და ქმნიდა მუდმივი დაძაბულობისა და დესტაბილიზაციის კერებს[10]. ამ თვალსაზრისით, კოლონიალური რეჟიმი არ ერიდებოდა ეკლესიის გამოყენებასაც. რუსული ეკლესია საქართველოს განაპირა რაიონების მოსახლეობას, კერძოდ, აფხაზებსა და ოსებს უპირისპირებდა ქართველობას, პირდებოდა რა მათ მშობლიურ ენაზე დამწერლობისა და მწიგნობრობის შექმნას[11].

კოლონიური ადმინისტრაციის ამოცანას შეადგენდა აგრეთვე ქართული ეროვნული ერთობის მოშლა. ისინი მეგრელებს, სვანებს, აჭარლებსა და ქართველ მთიელთა სხვა ეთნოგრაფიულ ჯგუფებს ცალკე ერებად აცხადებდნენ და მათზე მზრუნველობის ეგიდით ცდილობდნენ ქართული ენისა და ქართველობის წაშლას ამ რეგიონებში[12].

საქართველოსა და ქართული ეთნოსის ერთიანობას ყველაზე მზაკვრული მახვილი მაინც ცარიზმის ახალი მმართველობის მიერ გატარებულმა წინასწარ გამიზნულმა კოლონიზაციის პოლიტიკამ ჩასცა. ჯერ კიდევ 1804 წელს, სამეგრელოს სამთავროს შემოერთების შემდეგ, დღის წესრიგში დადგა შავი ზღვის სანაპიროზე კაზაკთა კოლონიზაციის საკითხი. მის პრაქტიკულ განხორციელებაში ძალზე აქტიურობდნენ *ნ. რტიშჩევი, ა. ერმოლოვი, ი. პასკევიჩი* და სხვა მთავარმართებლები. ნ. რტიშჩევმა იმპერატორს წარუდგინა სრულიად საქართველოს გენერალური რუკა, ვრცელი ახსნა-განმარტებით, სადაც აყენებდა საკითხს მხარის ინტენსიური კოლონიზაციის შესახებ. ერმოლოვი ნინადადებას აყენებდა ჩაესახლებინათ საქართველოში გერმანელები. მართლაც, 1817 წელს ამიერკავკასიაში ცარიზმმა გადმოასახლა გერმანელ სექტანტთა ხუთასზე მეტი ოჯახი, რომლებიც ჩაასახლეს სართიჭალაში, თბილისში – დიდუბის სახაზინო მიწებზე, კუკიაზე, ბორჩალოს მაზრაში[13].

კოლონიზაციის პროცესი უფრო ინტენსიური გახდა რუსეთ-ირანის და რუსეთ-თურქეთის ომების პერიოდში. მთავარმართებელმა პასკევიჩმა 1828-1829 წლებში ირანის აზერბაიჯანიდან ამიერკავკასიაში ჩაასალხა სომეხთა 8249 ოჯახი. მათ ძირითადად ნახჭევანის ტერიტორია დაიკავეს. იმავე პასკევიჩმა თურქეთის საფაშოებიდან 1829-31 წლებში ამიერკავკასიაში გადმოასახლა ქრისტიანი სომხებისა და ბერძნების 6000-ზე მეტი ოჯახი; ისინი ახალციხეახალქალაქისა და წალკის მიწა-წყალზე დასახლდნენ. მეფის მთავრობა, ამასთან, კავკასიაში ასახლებდა იმპერიის ქრისტიანული ეკლესიის მიერ დევნილ

სექტანტებს, – დუხობორებს, მალაკნებს, სკოპცებსა და სხვებს. გადმოსახლებულთა ამ კატეგორიამ 1845 წლისათვის 10 ათას სულს გადააჭარბა[14].

30-იანი წლების მიწურულიდან საგანგებო ყურადღება მიექცა რუსული სამხედრო სოფლების შექმნას. იმ ჯარისკაცებს, რომელთაც მოხდილი ქონდათ 15 წლიანი სამხედრო სამსახური, მიეცათ დაოჯახების უფლება და საქართველოს ტერიტორიაზე გამოეყოთ მიწა-წყალი. ასე აღმოცენდნენ თბილისის შემოგარენში, თეთრწყაროში, გომბორში, წითელწყაროში, მანგლისში და სხვაგან რუსული სოფლები[15].

კოლონიზაციას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ამიერკავკასიის ეკონომიკური ათვისების იმ პროექტებში, რომელთაც აყენებდნენ კავკასიის ხელისუფალნი და რუსეთის ცარიზმის სხვადასხვა დეპარტამენტები. მაგალითად, თბილისის გუბერნატორი *ი. ზავილეისკი* და მწერალი *ა. გრიბოედოვი* პასკევიჩს სთავაზობდნენ რუსეთის ამიერკავკასიული კომპანიის დაფუძნებას. ამ კომპანიას უნდა განევითარებინა მეურნეობის სხვადასხვა დარგები „გამოუყენებელ" მიწებზე და სახაზინო მამაულებზე სომხების დასახლებით. პროდუქცია უნდა გაეტანათ რუსეთში ბათუმის გზით. „ამიერკავკასიის ბუნებას ყველაფერი მოუმზადებია ადამიანისათვის, საჭიროა მხოლოდ ამ დოვლათის გამოყენებაო" – აღნიშნავდნენ პროექტის ავტორები[16].

ამიერკავკასიის კოლონიური ათვისების გეგმა ჰქონდა რუსეთის იმპერიის ფინანსთა მინისტრ *ე. კანკრინს*. ამ გეგმას დიდად თანაუგრძნობდა მთავარმართებელი გენერალი პასკევიჩი. *კანკრინს* ამიერკავკასიის პროვინციების, როგორც კოლონიების, დანიშნულებად მიაჩნდა რუსეთის ეკონომიკისათვის სარგებლობის მოტანა. „განა არ უნდა ვუყურებდეთ საქართველოს როგორც კოლონიას, რომელიც ჩვენს ფაბრიკებს მიაწვდიდა მასალას (აბრეშუმს, ბამბას და სხვ.) და სანაცვლოდ რუსეთისაგან მიიღებდა მანუფაქტურულ ნაკეთობას", – დასძენდა ამ თეზისის დასაცავად პასკევიჩი[17].

კოლონიური ძარცვის საპირისპირო, ეროვნული პოზიცია იყო დაცული იმ პროექტში, რომელიც იმპერატორს წარუდგინა *ალექსანდრე ჭავჭავაძემ*. მისი აზრით, კავკასიის ომების დასრულების შემდეგ, იქმნებოდა საქართველოს ეკონომიკური აღმავლობის პერსპექტივები, მაგრამ ეს აღმავლობა უნდა განხორციელებულიყო არა უცხო ეთნიკური ჯგუფების ჩამოსახლებით, არამედ თვით ქართველთა ხელით. „რუსეთიდან მიწათმოქმედთა გადმოსახლება ვერ დააკმაყოფილებს უმთავრეს მიზანს, ვინაიდან ისინი ვერ შეძლებენ ტროპიკულ ნაწარმთა დამუშავებას, რომელნიც ხარობენ ჩრდილოელ მცხოვრებთათვის დამღუპველ, ფრიად სიცხიან ადგილებში. ამ სასარგებლო საქმისათვის ადგილობრივი მცხოვრებნი უნდა გამოვიყენოთ" – წერდა ალ. ჭავჭავაძე 1837 წელს იმპერატორისადმი წარდგენილ მოხსენებაში[18]. ალ. ჭავჭავაძეს მიაჩნდა, რომ ადგილობრივი ძალებითვე შეიძლებოდა მრეწველობის აღორძინებაც. მოხსენებაში გამოთქმული მოსაზრებანი შეიცავდა მიმანიშნებელ პროტესტს იმ კოლონიზატორულ ღონისძიებათა წინააღმდეგ, რომელთაც ცარიზმი ახორციელებდა ამიერკავკასიასა და, კერძოდ, საქართველოში.

კოლონიალური პოლიტიკისათვის საერთოდ დამახასიათებელი მძარცველობის მიუხედავად, ცალკეულ ისტორიულ პერიოდებში თავს იჩენდა ობიექტურად დადებითი შედეგებიც. ცარიზმის დაპყრობითმა ომებმა კავკასიაში ხე-

ლი შეუწყეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის თითქმის სრულ აღდგენას, მის გაერთიანებას[19]. საქართველოს შემოუერთდა თურქეთის მიერ ადრე მოტაცებული სამფლობელოები. სამასწლოვანი იზოლაციის შემდეგ საქართველო პირველად გავიდა საერთოევროპულ ცივილიზაციის ორბიტაზე. ზღვარი დაედო ირანისა და თურქეთის გაუთავებელ შემოსევებს. „დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დაცხრა ომისა და ბრძოლისაგან“– წერდა იმდროინდელი ვითარების შესახებ ილია ჭავჭავაძე[20].

ახალ ვითარებაში გაძლიერდა ეროვნული კონსოლიდაცია. რუსეთის დემოკრატიულმა კულტურამ კეთილისმყოფელი გავლენა იქონია ქართულ კულტურაზე. რუსეთის გზით საქართველო ეზიარა ევროპის კულტურულ მონაპოვრებს. შედარებითი მშვიდობის დამყარებამ თვალსაჩინო როლი შეასრულა ეროვნული ტრადიციების აღორძინებაში[21].

და მაინც, ქვეყნის წინსვლისა და პროგრესის თავი და თავი სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და დაწინაურებაში იდო. თუკი ამ მხრივ პირველი ათეული წლები ძალთა და პოზიციათა მოსინჯვის წლები გახლდათ და შედეგიც სრულიად უმნიშვნელო იყო, 30-40-იან წლებში ვითარება შეიცვალა. მშვიდობიან ვითარებაში შესამჩნევი გახდა მოსახლეობის ზრდა და მისი სამეურნეო საქმიანობის დაწინაურება, გადიდდა ნათესების ფართობი, გაიზარდა მოყვანილი მარცვლეულის რაოდენობა, დაწინაურდა მევენახეობა, მებაღეობა-მებაბრეშუმეობა, მეთამბაქოეობა, მებამბეობა და ა. შ.[22] ჭარბი პროდუქციის ვითარებაში გაცხოველდა საბაზრო ფულადი ურთიერთობანი. დაიწყო სოფლის მეურნეობის პროდუქციის გატანა რუსეთსა და საზღვარგარეთ. დიდი მოთხოვნილება ჰქონდა ქართული ღვინის ნაწარმს[23].

სასოფლო სამეურნეო და სამრეწველო საქმიანობის აღმავლობას მოჰყვა ვაჭრობის ზრდა. ქვეყანაში გაუქმდა ფეოდალური საბაჟოები, შემოღებული იქნა შეღავათიანი ტრანზიტი[24]. ოციან წლებში თბილისელი ვაჭრები მომრავლდენენ ნიჟნი ნოვგოროდის ბაზრობაზე. რუსეთიდან უპირატესად შემოჰქონდათ ბამბის, სელის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილები, რკინისა და ფაიფურის ნაწარმი, შაქარი, პურის ფქვილი და სხვ. ევროპის ქვეყნებიდან – ძვირფასი ღვინოები. ყავა, საღებავები, სანელებლები, შაქარი, ფოლადი, ტყვია და სხვ. ირანიდან – აბრეშუმისა და შალის ქსოვილები, გამოყვანილი ტყავი, ხმელი ხილი და სხვა აზიური საქონელი[25].

საქართველოსა და ამიერკავკასიის რეგიონში, შედარებით მშვიდობიანობისა და სტაბილურობის დამყარებისა და სამეურნეო-ეკონომიკური დაწინაურების მიუხედავად, კოლონიალური სისტემის დამკვიდრებასთან დაკავშირებული სოციალური, განსაკუთრებით კი ეროვნული ჩაგვრის გაუსაძლისმა შედეგებმა უჩვეულო ძალით იჩინა თავი ქვეყნის ძალისმიერი ანექსიის პირველსავე ათწლეულებში. ცარიზმის ადმინისტრაციის წარმატებულმა ცდებმა გადაებირებინათ ადგილობრივი თავად-აზნაურობა, შეღავათიანი სტატუსის მინიჭებით, გარკვეული ნაყოფი გამოიღო[26]. მართლაც, ამ ღონისძიებათა შედეგად ქვეყნის ზედაფენა კოლონიური ადმინისტრაციის სამსახურში ჩადგა და გარკვეულწილად დამპყრობთა დასაყრდენად იქცა, მაგრამ ამ ვითარებამ სრულიადაც ვერ შეამსუბუქა დაბალი ფენების მოსახლეობის ჩაგრული ხვედრი[27].

საქართველოში დამკვიდრებულმა სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმმა, რასაც თან მოჰყვა მმართველობის კოლონიალური სისტემის შემოღება, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება თუ ქვეყნის ცალკეულ ტერიტორიებზე უცხო ეთნიკური ელემენტების შემოსახლება და ქვეყნის ფაქტობრივი კოლონიზაცია, უკიდურესად გაამწვავა ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა[28]. ერეკლე მეორის ქვრივის დარეჯან დედოფლისა და საქართველოს სამეფო სახლეულის 1802 წლის შეთქმულებას[29], საქართველოში კოლონიური ჩაგვრისადმი საყოველთაო დაუმორჩილებლობის მთელი სერია მოჰყვა. 1804 წელს აჯანყდა თიანეთი, 1812 წელს კახეთი, 1919-20 წლებში იმერეთი და გურია[30], ბოლოს კი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი *თავად-აზნაურთა 1832 წლის შეთქმულება*, რომლის სათავეები იმპერიის დედაქალაქიდან მოდიოდა და რომელმაც დიდი რეზონანსი გამოიწვია არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

1832 წლის შეთქმულების მზადების მთელი პერიოდი, რომელშიც ჩაბმული აღმოჩნდნენ იმდროინდელი საქართველოს გამოჩენილი მწერლები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები, ხასიათდებოდა ეროვნული თვითშეგნების გაღვივებისათვის ბრძოლის სულისკვეთებით. ეროვნული დროშა, ეროვნული ჰიმნი და დამოუკიდებელი ქვეყნისთვის დამახასიათებელი ყველა ატრიბუტაცია და ინსიგნიები კიდევ უფრო აწრთობდა და აკაჟებდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეას, წინა პლანზე აყენებდა ქართველი ხალხის, ქართული ეთნოსის ტრადიციების, ყოფის, კულტურის, ცხოვრების ქართული წესის აღდგენა-აღორძინების საქმეს[31].

ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმების, ქვეყნის თვისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაკარგვის მიუხედავად, საზოგადოებრივი აზროვნების ასეთმა აქტიურმა წინააღმდეგობამ, უდავოდ დიდი გავლენა მოახდინა ქვეყნის ინტელექტუალურ პოტენციალზე და საფუძველი მოუმზადა საქართველოში ახალი პერიოდის მეცნიერული აზროვნების ფორმირებისა და ჩამოყალიბების პროცესებს.[32] ამ ვითარებას ხელს უწყობდა ქვეყნის კულტურული აღმავლობის დინამიურობაც. მართალია, ანექსიის პირველ წლებში წარჩინებულთა ოჯახების რუსეთში გადასახლებით რუსულმა მმართველობამ მოშალა ქართული კულტურის კერები და კულტურული საქმიანობაც გარკვეულწილად მინელდა, მაგრამ პეტერბურგსა და მოსკოვში გადასახლებული ქართველი ბატონიშვილები არ კარგავდნენ დამოუკიდებლობის აღდგენის იმედს და იქ ენერგიულ კულტურულ საქმიანობასაც ეწეოდნენ[33]. ისინი წერდნენ წიგნებს საქართველოს ისტორიაზე, ადგენდნენ სახელმწიფოებრივი გარდაქმნის პროექტებს, ეცნობოდნენ საზღვარგარეთის სამეცნიერო და ლიტერატურულ საქმიანობას და თარგმნიდნენ უცხოურ ლიტერატურას. ამასთან, ცარიზმს ადგილობრივი კადრებიც სჭირდებოდა და სწორედ ამ მიზნით გაიხსნა 1804 წელს პირველი რუსული სკოლა, რომელიც 1830 წელს გიმნაზიად გადაკეთდა. ამავე წელს გაიხსნა ქალთა სკოლა-პანსიონატი, 1817 წელს დაარსდა სასულიერო სემინარია, თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში კი კერძო სკოლები და პანსიონები, კერძოდ, მარტო 1850 წელს ქუთაისში, გორში, ახალციხეში, სიღნაღში, დუშეთში და სხვ. მრავალი ქართველი ახალგაზრდა გაემგზავრა რუსეთში უმაღლესი განათლების მისაღებად. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1819 წელს ქარ-

თული გაზეთის დაარსება. 1818-1832 წლებში *სოლომონ დოდაშვილის* რედაქტორობით გამოდიოდა გაზეთი *თბილისის უწყებანი*, 1852 წლიდან კი პირველი ლიტერატურული გაზეთი – *სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი*, რომელიც ხელს უწყობდა ეროვნული კულტურისა და მეცნიერების განვითარებასა და, საერთოდ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების აღორძინებას.[34]

XIX საუკუნის პირველ ნახევარში საზოგადოებრივი აზრის განვითარება – აღმავლობის საქმეში დიდ როლს ასრულებდა ქართული მწერლობა. *ალექსანდრე ჭავჭავაძის (1786-1846 წწ.), გრიგოლ ორბელიანის (1804-1883 წწ.), ნიკოლოზ ბარათაშვილის (1816-1845 წწ.), გიორგი ერისთავის (1811-1864 წწ.), ლავრენტი არდაზიანისა (1815-1870 წწ.)* და სხვ. შემოქმედებაში ასახულია ეროვნული პრობლემების ლაიტმოტივზე აგებული საქართველოს წარსულის, აწმყოსა და მომავლის მაღალმხატვრული სიუჟეტები.[35]

და მაინც, საქართველოს ისტორიის ამ პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას ქართული მეცნიერების განვითარება წარმოადგენდა. მოწინავე ევროპული მეცნიერებისა და რუსეთის სამეცნიერო ცენტრების კვალდაკვალ ცალკეულ მკვლევართა ადგილს მეცნიერთა მთელი პლეადა იჭერს, რომელთა შორის გამოირჩევიან *იოანე ბაგრატიონი* (1768-1830 წწ.) და *თეიმურაზ ბაგრატიონი* (1782-1846 წწ.), *დავით ფანასკერტელი-ციციშვილი* (XIX ს. I ნახ.), *იაგორ ჭილაშვილი* (1790-1838 წწ.), *ნიკოლოზ ფალავანდიშვილი* (გარდაიცვალა 1855 წ.), *იოსებ და ვასილ ცისკარიშვილები* (XIX ს. I ნახ.) და სხვ. მათ სახელებთანაა დაკავშირებული ახალი ქართული ისტორიოგრაფიისა და ზოგადად ჰუმანიტარული მეცნიერების შემდგომ განვითარება და აღმავლობა საქართველოში.

## 3. გვიანფეოდალური ხანის ქართული ისტორიოგრაფია და საქართველოს ეთნოგრაფიის ფორმირების ადრეული ეტაპი

### 3.1. *იოანე და თეიმურაზ ბაგრატიონები და დავით ფანასკერტელი-ციციშვილი საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული პრობლემების კვლევა-ძიების სათავეებთან*

XIX საუკუნის დასაწყისის სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა მოვლენებმა შესამჩნევი ძვრები გამოიწვიეს ქართულ მეცნიერებაშიც. ახალი პერიოდის საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ხაზით, აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდნენ *იოანე და თეიმურაზ ბაგრატიონები*, რამდენადმე მოგვიანებით კი *დავით ფანასკერტელი-ციციშვილი*. აღნიშნულ პერიოდში პირველად ვახუშტი ბაგრატიონის შემდეგ, ქართულ ისტორიოგრაფიაში წინა პლანზე იწევს ახალი მეთოდოლოგიური პრინციპები, რომელიც ისტორიული და ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების პროცესში მასალების მოძიებისა და მეცნიერული ინტერპრეტაციის ახლებურ მიდგომას ითვალისწინებდა. ეს სიახლე, რომელიც ევროპული მეცნიერული მიღწევების ცოდნასა და გათვალისწინებას გულისხმობდა, განსაკუთრებით შეინიშნება *იოანე და თეიმურაზ ბაგრატიონების* შემოქმედებაში, რომლებიც სათანადოდ იყვნენ გათვითცნობიერებულნი მათი თანამედროვე ევროპული მეცნიერების მიღწევებში და იყენებდნენ კიდეც მას თავიანთ მეცნიერულ მოღვაწეობაში.

*იოანე ბაგრატიონის* ცნობილი თხზულება *„კალმასობა“ (1813-1828 წწ.)* თავისებური ენციკლოპედიური ნაწარმოებია მეცნიერების სხვადასხვა მხარეებზე[1]. ორიგინალური გეგმით შედგენილ ამ ნაშრომში ავტორს მოცემული აქვს საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა ფენების ყოფა-ცხოვრების საფუძვლიანი აღწერა. ამ ფონზე ნაშრომში აშკარად გამოჩნდა ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ცოდნის საკმაოდ მაღალი დონე საქართველოში XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე. მართალია, ზოგჯერ მასალა თარგმნილია რუსული და უცხოური წყაროებიდან, მაგრამ ავტორი თხრობას მეტწილად საკუთარი დაკვირვების შედეგად მოპოვებულ მონაცემებზე აგებს.

*„კალმასობა“*, ანუ, როგორც თვით ავტორი უწოდებს, *„ხუმარსწავლა“*, აგებულია არქაული მწიგნობრული ენით, რომელიც გაცოცხლებულია მსუბუქი და ხატოვანი, ზომიერად მოხმობილი დიალექტიზმებით, ორ მთავარ პერსონაჟზე აგებული დიალოგებით. მათი ფათერაკებით აღსავსე მოგზაურობის ფონზეა გაშლილი მეცნიერული მსჯელობანი, რომლის მეოხებითაც ავტორი გვიჩვენებს თანადროული საქართველოს კულტურულ-ეკონომიკურ ცხოვრებას, ახასიათებს ზნეობრივ დაკნინებას, სახელმწიფო მოხელეების ანგარებასა და უმეცრებას, სამღვდელოების ფარისევლობას. ქვეყნის დამღუპველ გარემოებადაა მიჩნეული საყოველთაო უმეცრება, რაც ნიადაგს უქმნის ყოველგვარი ჯურის ბოროტებას[2].

ბუნებრივია, იოანე ბაგრატიონის მოღვაწეობის პერიოდში, ეთნოგრაფიული აზროვნება ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული კლასიკური ეთნოგრაფიული კვლევების თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპების დონეზე, მაგრამ მისი თხზულების ჩანაფიქრი, სტილი, ხალხური ყოფიდან არსებულ მა-

სალაზე აგებული წყაროთმცოდნეობითი ბაზა და ცალკეული ფაქტებისა და მოვლენების განზოგადოების ხერხები და მეთოდები, ავტორს უდავოდ აყენებს ქართული ეთნოგრაფიული სკოლის იმ წარმომადგენელთა შორის, რომლებმაც, რამდენადმე მოგვიანებით, სათავე დაუდეს ისტორიული მეცნიერების ამ უმნიშვნელოვანესი დარგის ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების საქმეს.

ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ამტკიცებს *იოანე ბატონიშვილის* ასევე ფუნდამენტური ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ნაშრომი *„ისტორია ქართლისა“* (1825-1828 წწ.), რომლის ერთადერთი ვარიანტი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში[3].

*„ისტორია ქართლისაში“* საქართველოს ისტორია ბიბლიური ნოესა და მისი შვილების დროიდან იწყება და XVI საუკუნის დასაწყისამდე გრძელდება. მართალია, მისი თხულება ვახუშტი ბაგრატიონის ისტორიის გავლენებს მიეწერება[4], მაგრამ ავტორი ეპოქის შესაბამისი დამოუკიდებელი ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ფოლკლორული წყაროებით სარგებლობს და თხზულებაც დამოუკიდებელ ორიგინალურ ხასიათს ატარებს.

იოანეს ქართლის ისტორიაში, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული თვალსაზრისით, უაღრესად საინტერესოა ფარნავაზის სიზმარი და ნადირობა, ქრისტიანული ლეგენდები, ტოპონიმიკური თქმულებები, თქმულება მეფე კიროსზე და ა.შ., რომლებიც ძირითადად ხალხურ თქმულება-გადმოცემებს ემყარება და ტრადიციულ-ყოფითი კულტურის უხვ ეთნოგრაფიულ სიუჟეტებს შეიცავს[5].

იოანე ბაგრატიონს ეკუთვნის აგრეთვე ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფო წყობილების რეფორმების პროექტი, რომელშიც იგი ცდილობს „განწირულებასა შინა“ მყოფი საქართველოს მძიმე მდგომარეობის ხსნას რეგულარული არმიის შექმნით. *სჯულდებაში (წინადადებაი)* ვხვდებით საინტერესო ეთნოგრაფიულ პასაჟებს ქვეყანაში ხელოსნობის განვითარების, სამშობლოს *„მოლალატე – მამულის მუხანათთა“* მკაცრად დასჯისა და სხვ. შესახებ. მანიშნებელია, რომ ფეოდალური აშლილობის ზენიტში მყოფ ქვეყანაში იოანე ბაგრატიონი ვახტანგის სჯულით გათვალისწინებულ *„სისხლს“* მსუბუქად მიიჩნევს და შემოაქვს ახალი სასჯელის ნორმა – მარჯვენა ხელის მოკვეთა, ხოლო კაცის მესამედ მკვლელისათვის სიკვდილით დასჯა[6].

სჯულდება ქართული იურიდიული და პოლიტიკური აზროვნების მრავალფეროვან სპექტრს მოიცავს და, ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, საინტერესოა მისი ხალხური ადათობრივი სამართლის ნორმებთან მიმართების თვალსაზრისით.

ახალი პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში მეცნიერული გამოკვლევების ნოვატორული სტილი უფრო გამოკვეთილად *თეიმურაზ ბაგრატიონის* შემოქმედებაში გამოჩნდა. მისმა თხზულებებმა[7] დიდი გავლენა მოახდინეს არა მარტო ავტორის თანამედროვე, არამედ მომდევნო პერიოდების ქართულ ისტორიოგრაფიაზეც.

თეიმურაზ ბაგრატიონს მთელი არსებით ჰქონდა შეგნებული ამა თუ იმ ერის ისტორიის აღწერის სიძნელე, წყაროების გამოყენებისა და სწორი თხრობის პასუხისმგებლობა. მისი შენიშვნით, „ისეთი საქმე არის ცხოვრების აღწერა, რომ არც ერთს სხვა ხელოვნებას არ აქვს და ამაზედ დიდი სიფრთხილე უნდა ისტორიის დამწერსა“[8]. იგი დიდ ყურადღებას აქცევდა ამა თუ იმ ისტორიუ-

ლი მოვლენის აღწერას და დაბეჭითებით მოითხოვდა მის საბუთიანობასა და რეალობას. „მე ამ ისტორიას რომ მოვყვე თუ სწორეთ და მტკიცის დამტკიცებით სიმართლე არ ექმნება, როგორც შეესაბამება ისტორიას ან მოთხრობას, ჩემთვის სირცხვილიც იქნება, რომ მაგისთანა განათლებულს ადგილას წარმოვადგინო" – წერდა თეიმურაზ ბაგრატიონი[9].

ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებისადმი თეიმურაზ ბაგრატიონის მეთოდოლოგიური მიდგომის ეს ორი თვალსაჩინო პრინციპი მეტად მანიშნებელი და საგულისხმოა ახალი ქართული ისტორიოგრაფიის ისტორიაში, მაგრამ იმის გამო, რომ თანამედროვე ევროპულ სტანდარტებთან სახელდებული ქართველი ისტორიკოსის თეორიული მემკვიდრეობა საფუძვლად დაედო ქართული ეთნოგრაფიის დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბების საქმეს, შევეცდებით რამდენადმე დაწვრილებით შევეხოთ მკვლევარის შემოქმედების ამ მხარეს.

ისტორიულ ეთნოგრაფიული კვლევებისადმი სიფრთხილითა და პასუხისმგელობით მიდგომის აუცილებლობა კარგად გამოჩნდა თეიმურაზ ბაგრატიონის ზემოთმოტანილ წერილებში. ავტორის ეს შეხედულება კიდევ უფრო გამოკვეთილადაა წარმოდგენილი მის კაპიტალურ ნაშრომში *„ივერიის ისტორია"*. „უძველესი ისტორიისათვის ჩვენთა, ე. ი ივერიელთა მოთხრობისათვის, რაიცა შევუძლე პოვნად ძველთა და უძველესთა შინა გამოძიებათა სრულიად შემოვკრიბენ იგინი და არა დაუტევენ იგინი არცა ერთი: არამედ მოვუთხრობდე მათ თვის, რომელნიცა რომელთაგანმე მომთხრობელთა შეწყნარებულცა არიან", – წერდა იგი *„ივერიის ისტორიის"* წინასიტყვაობაში[10]. ცხადია, ამ მინიშნების მიხედვით, მკვლევარის პირველწყაროს უძველესი წერილობითი ძეგლები წარმოადგენდა. მართლაც, ივერიის ისტორიის დაწერისას თეიმურაზ ბაგრატიონის პირველხარისხოვან წყაროს *„ქართლის ცხოვრება"* თუ ვახუშტი ბატონიშვილის *„საქართველოს ისტორია"* წარმოადგენდა[11]. იზიარებდა რა *„მეფეთა ცხოვრების"* ლეონტი მროველისეულ, აგრეთვე „ივერიელთა ისტორიათაგან ქართლის ცხოვრებისაგან ვახტანგ მეექვსისა ქართლის მეფისა მიერ აღწერილსა და ძისა მისისა ვახუშტისაგან და სხვათაგანაცა აღმწერელთა" ძირითად ვერსიებსა და სიუჟეტებს, თეიმურაზ ბაგრატიონი კარგად ამჩნევდა ამ წყაროთა ნაკლს და ძალასა და ენერგიას არ ზოგავდა „ჭეშმარიტის გამოძიებისათვის"[12].

წერილობითი ძეგლების ასეთი პრიორიტეტულობის მიუხედავად, ამ რიგის წყაროები თეიმურაზ ბაგრატიონისათვის ერთადერთი საყრდენი როდი იყო. იგი ქართველ ისტორიკოსთა და ეთნოგრაფთა შორის ერთერთი პირველთაგანი გახლდათ, რომელიც წარმატებით იყენებდა საქართველოს შესახებ არსებულ უცხოურ წერილობით წყაროებს ანუ „უძველესთა ამბავთა, რომელნიმე სხვათა ენისა მოთხრობათაგან" – როგორც ამის შესახებ წერდა თეიმურაზ ბაგრატიონი[13]. ენების ცოდნა ხელს უწყობდა მას ესარგებლა ბერძნულ-რომაული წყაროებით. ამ თვალსაზრისით, *„ივერიის ისტორია"* პირველი ცდა გახლდათ ქართულ საისტორიო მწერლობაში, რომელშიც ფაქტები და მოვლენები ბერძენ და რომაელ მოგზაურ-მკვლევართა მონაცემების ანალიზის საფუძველზე იყო განზოგადოებული[14].

*ჰეროდოტეს, სტრაბონის, პლინიუსის, დიონ კასიოს, პლუტარქეს, აპიანესა* და სხვათა ცნობების გვერდით, თეიმურაზ ბაგრატიონი ხშირად იყენებდა აგრეთვე სომხურ წყაროებსაც. *მოსე ხორენელისა და მიქაელ ჩამჩიანის* სომხეთის ისტორიის ორიგინალურ გამოცემებზე დაყრდნობით, იგი ახერხებს შესაფერის თეორიულ დონეზე წარმოაჩინოს საქართველოს ისტორიის რიგი ფუნდამენტური საკითხები და კრიტიკულად შეაფასოს თავისი უშუალო წინაპრის – ვახუშტი ბაგრატიონის ზოგიერთი დებულება[15] ამ თვალსაზრისით, საკმარისია დავასახელოთ თუნდაც ვახუშტის მოსაზრება სახელწოდება *„ივერიის“* წარმოშობის შესახებ, რომელიც თეიმურაზ ბაგრატიონმა გულუბრყვილო ინტერპრეტაციიდან მეცნიერულად გამართულ დებულებამდე აიყვანა. იგივე შეიძლება ითქვას თეიმურაზისეულ თვალსაზრისზე საქართველოში რომაელების შემოსვლის თაობაზე, ადრეკის მეფობის პერიოდზე, ასპარუგის მოღვაწეობაზე და ა. შ. რომლებზედაც მსჯელობის დროს ამომწურავადაა გამოყენებული ბერძნულ-რომაული და სომხურენოვანი წყაროები[16].

ქართველი მკვლევარის თეორიული და მეთოდოლოგიური სრულყოფის კიდევ ერთი ნიმუშია მისი დამოკიდებულება ფოლკლორისტიკის მონაცემებთან. მისი მინიშნებით „არა უგულებელს ვყვენ აღწერად ნივთთა გამრავლებისათვის ამბავთა შინა... რომელნიმე ზეპირიცა სმენილნი ზღაპარ სიტყვაობანიცა“[17]. ამ ჭრილში აქვს განხილული თეიმურაზ ბაგრატიონს ტარტაროზის ბრუტსაბძელზე მიჯაჭვის, აგრეთვე იუპიტერის მიერ დასჯილი პრომეთეოსის საყორნეზე მიჯაჭვის თქმულებები[18].

მითოლოგიური თქმულება-გამოცემებისა და ლეგენდების, როგორც ზღაპარსიტყვაობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ წყაროდ გამოყენების საუკეთესო ნიმუშია არგონავტების კოლხეთში მოსვლის თქმულების თეიმურაზისეული ანალიზი. „არიან სხვანიცა მეთოლოღიური მოთხრობანი და ზღაპარსიტყვაობანი ვითარცა იგი ბედისათუსცა კოლხიდელისა და ოქროს მატყლოვანისა მისთვს ვერძისა, რომელნიცა კნინღა და ყოვლისა სოფლისა ისტორიკოსთა გვაუწყეს და მოთხრობაი მისი შთაიწერების შემდგომთა შინა უწყებათა ამის ისტორიისათვს თუს ადგილსა“ – წერდა თ. ბაგრატიონი[19].

თეიმურაზ ბაგრატიონის ივერიის ისტორიის ამ დამსახურების შესახებ სამართლიანად მიუთითებდა შ. მესხია. მისი შენიშვნით, „თუკი ძველს ქართულს საისტორიო მწერლობაში, პირველ რიგში *„ქართლის ცხოვრებაში“* და ვახუშტის *„საქართველოს ისტორიაში“*, ეგროსის მიერ ლიხთიქეთის მიღების შემდეგ, კოლხიდის უძველესი ისტორიის შესახებ არაფერია ნათქვამი. თეიმურაზი პირველად შეეცადა ეგრისის ძველი ისტორია სამართლიანად დაეკავშირებინა იბერიის ისტორიისათვის და დაეცვა იბერიელთა და კოლხთა ტომობრივი ნათესაობის არსებითად გამართლებული თეორია“[20].

დაბოლოს, თეიმურაზ ბაგრატიონი თავისი დიდი წინაპრის – ვახუშტი ბაგრატიონის მსგავსად, თავის კვლევებში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველ ხალხში შემორჩენილ ზნე-ჩვეულებებსაც. ამ თვალსაზრისით, იგი კრიტიკულად მიმოიხილავდა ჰეროდოტეს ცნობას კოლხეთში გაბატონებულ წინდაცვეთის ჩვეულების შესახებ და უარყოფდა, ამ ფაქტის მიხედვით, კოლხთა და იბერიელთა სხვადასხვა ჩამომავლობის გაუმართლებელ თეორიას. „რამე

თუ ოდეს იყო ქართლოს და მისგან ქართლოსიანნი, უეჭველად კოლხიდელნიცა იყვნეს მაშინ იგინივე ქართლოსიანნი“ – წერდა თეიმურაზ ბაგრატიონი[21].

თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ „მეთოლოლიურ მოთხრობანისა“ და „*ზღაპარსიტყვაობის*“ აქ მოტანილი ანალიზი ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისტორიულ კვლევებში ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ფაქტებისა და მოვლენების გამოყენებისა და ინტერპრეტაციის თვალსაზრისით[22], რაც ქართული ეთნოგრაფიის ისტორიის მთელს მანძილზე დღევანდლამდე, საველე და კამერალური კვლევა-ძიების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენდა.

თეიმურაზ ბაგრატიონის შეხედულებათა ძირითადი ინტერესები საქართველოში *გვაროვნული წყობილების* კვლევა-ძიების საკითხებს შეეხებოდა[23]. ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებათა თანახმად, თეიმურაზი ქართველ ტომებში გვაროვნული წყობის საკითხებს ლეონტი მროველის შემდეგ ერთ-ერთი პირველთაგანი შეეხო და ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯითაც წაიწია წინ[24]. მისი შეხედულებით, ქართველმა ტომებმა თავის განვითარებაში ორი ძირითადი საფეხური გაიარეს: „ორნი ვიდრემდე არიან პირველიდგანვე ცვლილებანი საქართველოისა მმართველობათანი. პირველი მამასახლისობითი რომელს არს საზოგადო ერის მმართველობა, და მეორე მეფობითი ე. ი. თვითმპყრობელობითი“. ამასთან, თეიმურაზი აღწერს, აგრეთვე ქართველ ტომებში არსებულ მმართველობით ორგანოებსაც. მისი აზრით „საზოგადოება ერისა თვით განაგებდა ყოველთა საჭიროებათა ქვეყნისა მათისა მმართველობისასა“ და ამას ხელისუფლების უმაღლესი ორგანო საერთო კრება – „საზოგადოსა ერისა შეკრებულობასა შინა“ წარმოადგენდა. აქვე იგი მიუთითებს არჩეულთა საბჭოზე, რომლებსაც მამასახლისნი „აღრჩევითა ბჭეებისა“ სახით წარმოადგენდნენ „საზოგადოებისაგან მოხუცებულთა, ჭკვიანთა, გამოცდილთა, უქრთამოთა და პირუთვნელთა კაცთა“. თეიმურაზ ბაგრატიონის აზრით ისინი ტომის შიგნით სადავო საქმეებს აწესრიგებდნენ, ხოლო ტომთაშორის ურთიერთობების მოგვარება თვითეული ტომის მამასახლისთა შეკრებილ საბჭოს ეკისრებოდა, სადაც წამყვანი ადგილი მცხეთის მამასახლისს ეჭირა. იგი იყო, აგრეთვე, მათი მხედართმთავარიც[25].

ქართულ ისტორიოგრაფიაში თეიმურაზ ბაგრატიონის ეს თეორია ფარნავაზ მეფობამდელი პერიოდის ქართველთა სოციალური ურთიერთობის ანუ გვაროვნული წყობილების ზედმიწევნით ზუსტ სადაგადაა მიჩნეული[26], რაც რამდენადმე გადაჭარბებულ შეფასებას წარმოადგენს. როგორც ცნობილია XIX საუკუნის 30-იან წლებში, მაშინ როდესაც შეიქმნა ქართველი მკვლევარის ეს შეხედულებანი, არც ევროპულ მეცნიერებაში იყო ჯერ კიდევ შემუშავებული საზოგადოების განვითარების იტორიული კანონზომიერების ისეთი თანმიმდევრული სქემა, რაც შემდგომ *ბახოფენის, მაკ-ლენანის, მორგანის, ენგელსისა* და სხვ. შრომების გამოქვეყნების შედეგად გახდა ცნობილი[27]. სწორედ ეს გახლდათ მიზეზი იმისა, რომ ამ პერიოდის მეცნიერული აზრისა და XX საუკუნის ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი გადმონაშთური მოვლენების ანალიზის საფუძველზე, თეიმურაზ ბატონიშვილი აყენებს მცდარ თეორიას საქართველოში გვაროვნული წყობილების არსებობის შესახებ[28]. და თუმცა, ამ თეორიით თეიმურაზ ბაგრატიონი, თავისი ეპოქის მეცნიერული აზ-

როვნების მოწინავე წარმოამადგენელთა შორის იდგა, სამწუხაროდ, მისმა ამ თეორიამ დიდი გავლენა მოახდინა ისტორიული აზრის განვითარებაზე საქართველოში. იგი ამ პერიოდის კავკასიათმცოდნეობაში შექმნილი სხვადასხვა კონცეფციების საფუძვლად იქცა, რომლებიც ყოველგვარი მეცნიერული დასაბუთებისა და კრიტიკული ანალიზის გარეშე ამტკიცებდნენ საქართველოსა და კავკასიის მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური წყობის ჩამორჩენილობას[29].

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ზემოთ აღნიშნულ ქართველ ავტორთაგან დავით ციციშვილი-ფანასკერტელის მიერ 1849 წელს გამოცემული ნაშრომი – *„ქცევები და ზნეობა საქართველოში“* ძირითადად ვახუშტი ბაგრატიონის ზემოთ აღნიშნული ნაშრომის კონპილაციას წარმოადგენს, მაგრამ მასში ვხვდებით ორიგინალურ აღწერილობებსაც. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ავტორის მსჯელობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ფიქსირებული საქორწინო ჩვეულებების შესახებ, რომელიც ქართულ ეთნოგრაფიაში ამ სოციალური ინსტიტუტის საფუძვლიანი აღწერის პირველ ცდას წარმოადგენს[30].

ისევე როგორც ვახუშტი ბაგრატიონი, დავით ფანასკერტელი – ციციშვილიც მტკივნეულად განიცდიდა დროთა განმავლობაში ქართველთა *„ზნენისა და ჩვეულებანის“* დაკარგვასა და დავიწყებას. რამდენადაც ავტორის შემდგომი მსჯელობანი ამ საკითხებზე ქართული ეთნოგრაფიის გარიჟრაჟზე უაღრესად მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური მიდგომების შემცველია, ჩვენ შევეცდებით მოვიტანოთ ზოგიერთი ამონარიდი აღნიშნული ნაშრომიდან. „მე თუმცა წერილის გამოუცდელობით ვერ ვკადრებდი აღწერას ძველთა ქართველთა ქცევათა და ჩუეულებათა გარნა ნამეტნავმან სურვილმა, რათამცა არა დაკარგულიყო ესეცა ხსოვათაგან საქართველოს ისტორიის მწერლობას, არღარა ვერიდე თავი არცა სიტყვათ შეუწყობელობასა და არცა საყვედურსა უგამოცდილესობასა და აღვსწერე ვდ შემოკლებით, ერთითა ამით ოდენ იმედითა, რათამცა მშრომელის სახელის აღუჯოცელად თჯთ მწერალთა საქართველოს ისტორიისათა, ყოველი ნაკლები აღავსონ და განაშვენონ უაღრეს და ესეცა ჩემთჳს საკმაო იქნების“ წერდა დ. ფანასკერტელი – ციციშვილი[31].

მკვლევარი სათანადოდ აფასებს ქართველი ხალხის წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს და უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ „მანამდე არსებული ქართველი ხალხის ქცევათა და ჩვეულებათა აღწერილობანი ვერ ასახავენ „წვლილად“ და „დუმილს ამჯობინებენ“. ავტორს ამოქმედებს სურვილი, რათა „არა დაკარგულიყო ესეცა ხსოვათაგან“ საჭიროა აღიწეროს ძველი ქართველების ქცევანი და ჩვეულებანი და ქართველის ზნეობრივი სახე. აქ იგი აშკარად ეყრდნობა და ორგინალურად იმეორებს ვახუშტი ბაგრატიონის ცნობილ პასაჟებს ქართველი ხალხის ზნეობრივ ღირებულებათა შესახებ და იძლევა ქართველი კაცის ეროვნული ფსიქოლოგიისა და, საერთოდ, ქართული ცხოვრების წესის უაღრესად დახვწილ და სრულყოფილ განმარტებას, რომლის მიხედვითაც, ქართველები არიან „სულგრძელნი, პირმტკიცენი, მტერთა მიმართ ერთპირნი, თავისუფლებისათვის მებრძოლნი, უშიშარნი, გონებამახვილნი, ერთგულნი მეპატრონეთა თჯისთანი, უშურველნი, უანგარონი, მოწყალენი ყოველთა, პირუთვნელნი, მაშენებელნი – ციხეთა, ქალაქთა და დაბნებთა, ერთისა ცოლის მექონნი, თაყვანისმცემელნი ერთისა ღმერთისაჲ, ტკბილმომღერალნი, რაჲცა უფრო მდგომარეობდა საბრძოლველთა ლექსთა

და ძალთა განმამხნობელთა სიტყვათაგან"[32]. გ. ჩიტაიას სამართლიანი შენიშვნით, „ავტორის მიზანია მოაგონოს საზოგადოებას თავისი მისია და წეს-ჩვეულებების შენარჩუნებით თვალნათლივ აჩვენოს თავისის მეობის შენარჩუნების შესაძლებლობაც. იგი თავის ნაშრომში ამხელს იმ ახალ მწერლებს, რომელთაც არ იციან საკუთარი ხალხის ბიოგრაფია და „რომელთა განჰრყუნეს ენაჲ ქართული სხუა და სხჳთა შერყვნილებითა, დამკარგუალთა გუართა"[33].

დავით ფანასკერტელი-ციციშვილის ღვაწლი ქართულ ეთნოგრაფიულ აზროვნებაში ამ ერთადერთი ნაშრომით არ ამოწურულა. იგი, როგორც *ნ. ბარათაშვილის, ს. დოდაშვილის, გ. ერისთავის, გ. ორბელიანის, ა. ჭავჭავაძის* და სხვა ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების უფროსი თანამედროვე, თავის განათლებასა და ინტელექტს ქართული საზოგადოების საგანმანათლებლო საქმიანობას ახმარდა. კერძოდ, მას უთარგმნია *ჟან-ჟაკ რუსოს* ცნობილი ტრაქტატი მეცნიერებასა და ხელოვნების გავლენის შესახებ ადამიანის ზნეობასა და ყოფა-ქცევაზე, სადაც რუსო გმობდა კაცობრიობის მიერ საუკუნეებით შექმნილ კულტურას, როგორც ადამიანის გამრყვნელ და ყველა ცოდვა-უბედურების მიზეზს[34].

ბუნებრივია, რუსოს თხზულების მთავარი დებულება თავის დროზე სადავო იყო თავის სამშობლოშიც, მაგრამ იგი უდიდესი პროტესტი იყო იმ სოციალური ურითერთობის წინააღმდეგ, რომელიც მეფობდა რევოლუციის წინა პერიოდის საფრანგეთში. ამდენად, ამ თხზულებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თანამედროვეებზე.

ვოლტერიანელმა და ენციკლოპედისტების იდეებით გატაცებულმა ავტორმა თავისი ვალი მოიხადა ქართული საზოგადოების წინაშე. მართალია, ეს წიგნი, ცოტა არ იყოს, შეუფერებელი იყო XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართული სინამდვილისათვის, მაშინ როდესაც, თითქმის დავიწყებული იყო ნაციონალური კულტურის ყველა მიღწევა, როდესაც ანბანიდან იწყებოდა სწავლა, კერძოდ, არ იყო დროის შესაფერისი სალიტერატურო ენა, რომელიც მოითხოვდა რეფორმაციას, და ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიალური სულის ბობოქრობა გაჭედილი იყო ტყვიასავით მძიმე არქაულ სინტაქსის სალტეებში – მაშინ ეს ტრაქტატი და კულტურისა და სწავლა-განათლების უარყოფით გავლენაზე ლაპარაკი ცოტა უცნაური გაუგებრობა იყო. მიუხედავად ამისა, რუსოს ქართულად თარგმნა ქართული ინტელექტუალური სამყაროს მოთხოვნილებათა თვალსაზრისით, მაინც სიმპტომატური უნდა ყოფილიყო[35]. ამასთან, ტრაქტატი პირდაპირ ეხებოდა კულტურის გააზრების თეორიულ პრინციპებს, რასაც ეთნოგრაფიული მეცნიერებისათვის ერთერთი უპირველესი მნიშვნელობა გააჩნდა.

იოანე და თეიმურაზ ბაგრატიონებისა და დავით ფანასკერტელი-ციციშვილის შემოქმედების მიმოხილვიდან ჩანს, რომ საქართველოში რუსული კოლონიალიზმის დამკვიდრების ძნელბედობის პერიოდშიც კი, ქართული მეცნიერული აზროვნება ახალი ძალით ვითარდება და ღირსეულად აგრძელებს შუა და გვიანფეოდალური ხანის ქართული ისტორიოგრაფიის იმ მიღწევებს, რომელსაც თავის დროზე ლეონტი მროველმა და ვახუშტი ბაგრატიონმა ჩაუყარეს საფუძველი. ამ მხრივ უაღრესად საყურადღებოა *იოანე ბატონიშვილის ცნობილი ნაშრომი "ჯალმასობა", რომელიც გვიანფეოდალური ხანის ქართული*

*ისტორიულ-ეთნოგრაფიული აზროვნების მრავალმხრივი, ენციკლოპედიური ცოდნის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს და ღირსეულ ადგილს იჭერს ახალი ქართული ისტორიოგრაფიის უმნიშვნელოვანეს ეტაპზე.* აღნიშნული ნაშრომის ღირსებას არა მარტო ქართული ინტელექტუალური აზროვნების ევროპული დონე და სტანდარტები, არამედ ჟანრობრივი მრავალფეროვნების ნოვატორული სტილიც წარმოადგენს, რომელიც ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის, მატერიალური და სულიერი კულტურისა და სოციალური ურთიერთობის რეალიებს ორგინალურ კუთხით წარმოაჩენს.

ქართველი ხალხის ისტორიული და ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული აზროვნების ასეთივე ორგინალური ხედვითაა გამორჩეული *თეიმურაზ ბაგრატიონის* შემოქმედებაც. *ისტორიულ-ეთნოგრაფიული ფაქტებისა და მოვლენების აღწერის სისრულე და საბუთიანობა* თეიმურაზ ბაგრატიონის თეორიული და მეთოდოლოგიური კვლევა-ძიების უპირველეს საზრუნავს წარმოადგენს. მანიშნებელია, რომ წერილობითი წყაროების პრიორიტეტულობასთან ერთად მკვლევარი განსაკუთრებულ როლს მიაკუთვნებს *"რომელნიმე ზეპირიცა სმენილ ზღაპარსიტყვაობასა"* და *"მეთოლოლიურ მოთხრობანს"*. ამასთან, თეიმურაზ ბაგრატიონი პირველია ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომელიც ორგინალში იყენებს ანტიკური ხანის ავტორთა ბერძნულ-რომაულ წყაროებს და *შედარებით-ისტორიული კვლევისა და ანალიზის შესანიშნავ მაგალითს იძლევა.* ანალოგიური მეთოდოლოგიური პრინციპებითაა გამოვლენილი და გაანალიზებული საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, მათ შორის, *ქართველი ხალხის სოციალური ორგანიზაციის, კერძოდ, ე.წ. "გვაროვნული წყობილების" პრობლემაც, რომლის შემდგომმა არასწორმა ინტერპრეტაციამ დიდი გავლენა მოახდინა გვიანფეოდალური ხანის ქართულ ისტორიულ აზროვნებაზე.*

საქართველოში, ისტორიული და ეთნოლოგიური კვლევებისა და ანალიზის თვალთახედვით, უდავოდ მნიშვნელოვანია *დავით ფანასკერტელ-ციციშვილის თეორიული და მეთოდოლოგიური შეხედულებანი,* რომელშიც ნათლად გამოსჭვივის დასავლური, ევროპული ინტელექტუალური სამყაროს აშკარა გავლენები. მიუხედავად იმისა, რომ თავისი მეცნიერულ-ლიტერატურული მრწამსით იგი ერთგვარ ხარკს უხდის იმ პერიოდის *ევროპელ განმანათლებლებს – ვოლტერს, ჟანჟაკ რუსოსა და ზოგადად ენციკლოპედისტებს, მის მიერ დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად ისტორიის ასპარეზზე გამოჩენილი ე.წ. "პირველყოფილი" ხალხებისა და ზოგადად გვაროვნული წყობილების ფორმაციული საფეხურის "ოქროს ხანად" მიჩნევა იმ პერიოდის ევროპული აზროვნების ინტელექტუალური დონითაა განსაზღვრული.* დავით ფანასკერტელი-ციციშვილის ამ შეხედულებებმა, მოგვიანებით, ქართულ ეთნოგრაფიულ აზროვნებაში, მთელი ძალით ნიკო ხიზანიშვილის შემოქმედებაში იჩინა თავი, რომელიც ქართველ მთიელებს "უმანკო ქმნილებად" თვლიდა და ტრადიციულ საზოგადოებრივ ინსტიტუტებს ცხოვრების წესისა და ზოგადად მმართველობის იდეალურ მოდელად მიიჩნევდა.

## 4. უცხოელ მეცნიერთა და მოგზაურ-მკვლევართა პირველი ეთნოგრაფიული აღწერილობანი და ეთნოლოგიის განვითარების წინაპირობები საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში

საქართველოში ისტორიულ-ეთნოგრაფიული აზროვნების განვითარებისა და ფორმირების ამ მნიშვნელოვან პროცესებს, ქართულ ეროვნულ ნიადაგზე ნაყოფიერად მოღვაწე ზემოთაღნიშნულ ავტორებთან ერთად, იმ უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა მოღვაწეობაც უწყობდა ხელს, რომლებმაც საქართველო და კავკასია რუსეთის იმპერიის ფარგლებში ინტეგრაციის პირველსავე ათწლეულებში მოინახულეს და მნიშვნელოვანი ჩანაწერები და გამოკვლევები მიუძღვნეს ქართველი და კავკასიელი ხალხების იტორიასა და ეთნოგრაფიას[1]. ამ ვითარებას იმ პერიოდში მსოფლიო არენაზე შექმნილი კონიუნქტურაც უწყობდა ხელს.

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის დასაწყისში კავკასიის მიმართ რუსეთ-დასავლეთის დამოკიდებულებაში ახალი პერიოდი დგება. ამ ურთიერთობას ფონს უქმნიდა რუსეთის სამხედრო წარმატებები არა მარტო თურქეთთან, არამედ ირანთან წარმოებულ ომებშიც (1794, 1804-1811). *გულისტანის საზავო ხელშეკრულებით* ირანმა ცნო საქართველოს, დაღესტნის, აგრეთვე ყარაბახის, განჯის, შირვანის, შაქის, ბაქოს, დარუბანდის, ყუბისა და თალიშის სახანოების შეერთება რუსეთთან. ეს პროცესები კიდევ უფრო განამტკიცა 1828 წლის *თურქმანჩაისა* (ერევნისა და ნახჭევანის სახანოების შემოერთება) და 1829 წლის *ადრიანოპოლის* (ახალციხის, ახალქალაქის, შავი ზღვის სანაპიროს შემოერთება მდ. ყუბანის შესართავიდან აჭარის ჩრდილო საზღვრამდე, ანაპისა და ფოთის სიმაგრეების რუსეთზე გადაცემა) *საზავო ხელშეკრულებების შედეგებმა*[2].

1817 წლიდან ცარიზმი გეგმაზომიერ მოქმედებას იწყებს ჩრდილო კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ. დაიწყო საკუთრივ *კავკასიის ომები (1817-1869 წწ.)*, რომელსაც მოყვა ჩეჩნეთის, მთიანი დაღესტნისა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის რუსეთთან შეერთება და რუსეთის მფლობელობის საბოლოო განმტკიცება კავკასიის ქვეყნებსა და ხალხებზე[3].

კავკასიაში რუსეთის ადმინისტრაციის ასეთმა თავბრუდამხვევმა წარმატებებმა კიდევ უფრო გააძლიერა ევროპელთა ინტერესი კავკასიისადმი. რუსი და ევროპელი მოგზაურ-მკვლევარებისათვის კავკასია მსოფლიო გეოგრაფიული აღმოჩენების ბოლო აკორდად იქცა. კავკასიის თვალწარმტაც ხეობებსა და კუთხეებში მცხოვრებ მთიელთა ლაღი და თავისუფალი ცხოვრების წესი – თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უზენაესი პრინციპებისათვის შეუდრეკელი ბრძოლა, ვაჟკაცობა და რაინდული შემართება, უფროსისადმი პატივისცემა, სტუმართმოყვარეობა და გულითადი მასპინძლობა, შრომისმოყვარეობა თუ წარსულის ტრადიციებისადმი ერთგულება უცხოელ მკვლევართათვის ეგზოტიკურ გარემოს ქმნიდა და კავკასიის მკვიდრთა ყოფასა და კულტურას ევროპელთა წინაშე რომანტიკულ ელფერში წარმოაჩენდა[4]. თავის მხრივ ევროპული საზოგადოებრივი აზროვნებით, თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპებით აღჭურვილ სხვადასხვა რანგისა და დონის მოგზაურ-მკვლევართა, ჟურნალისტთა თუ საზოგადო მოღვაწეთა მოძალება საქართველოსა და კავკა-

სიაში, ცხოველ ინტერესს იწვევდა ადგილობრივ სამეცნიერო წრეებსა და ინტელიგენციაში, ხელს უწყობდა საკუთარი ხალხის ტრადიციულ-ყოფითი კულტურის შესწავლისას ევროპული ცოდნის დონის, მეცნიერული კვლევის პროგრესული მეთოდების დანერგვასა და გამოყენებას.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის მოგზაურ-მკვლევართა შორის კავკასიის ქვეყნებისა და ხალხების შესახებ უაღრესად საინტერესო ცნობებს ვხვდებით *ჟაკ ფრანსუა გამბას (17632-1833 წწ.), დიუბუა დე მონპერეს (1798-1850 წწ.), ჟან-შარლ დე ბესის (1729-1838 წწ.), ჯეიმს ბელის (XIX ს.), ჯონ ლონგვორტის (XIX ს.), რობერტ ლაიელის (1790-1831 წწ.), კარლ ჰაინრიხ კოხის (1809-1879 წწ.), ედმუნდ სპენსერის (XIX ს.), რიჩარდ ულბრაჰიმის (XIX ს.),* და *სხვ.* შრომებში. შევეხებით მხოლოდ ზოგიერთ მათგანს.

*ჟაკ ფრანსუა გამბა* – ფრანგი მოგზაური და ვაჭარი საფრანგეთის აღმავალი ბურჟუაზიის ტიპიური წარმომადგენელი გახლდათ. მამის მიერ კაპიტალის დაგროვებასა და ფრანგული ბიზნესი პირველ ნაბიჯებს გამბა გარდამავალი წარმატებებით უძღვებოდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ მისი მოგზაურობა კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მთლიანად საფრანგეთის სავაჭრო-კომერციული მიზნებიდან გამომდინარეობდა, რაც ასახულია კიდეც მის ნაშრომებსა და მონოგრაფიებში[5].

ფრანსუა გამბამ სამხრეთ რუსეთში პირველად 1817-1818 წლებში იმოგზაურა, ხოლო 1820 წელს საქართველოს სამხედრო გზით საქართველოში ჩამოვიდა, რომელიც მისი აღმოსავლეთში მოგზაურობათა ინიციატორის – *კარდინალ რიშელიეს* მოსაზრებით ევრაზიული ვაჭრობის ცენტრად უნდა ქცეულიყო. ამ მიზნებიდან გამომდინარე გამბა 1821-1831 წლებში კავკასიაში შეღავათიანი ვაჭრობისა და ტრანზიტის შესახებ კანონის მთავარი ინიციატორი გახდა[6].

კავკასიაში პირველი მოგზაურობისას გამბამ მოიარა იმერეთი და კახეთი, მაგრამ, გადაუდებელი საქმეების გამო, პეტერბურგში მოუხდა გამგზავრება. მალე გამბა კვლავ ჩამოვიდა თბილისში, სადაც იგი საფრანგეთის კონსულის თანამდებობაზე იყო დანიშნული. ამჯერად იგი ახლოს გაეცნო საქართველოს სამეურნეო-ეკონომიკურ პირობებს ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებას და რუსეთის მთავრობის ნებართვით იმერეთში, აჯამეთთან თითქოსდა რაციონალური მეურნეობის მოსაწყობად 16 ათას დესეტინამდე მიწის ნაკვეთი შეიძინა[7].

კავკასიაში მუშაობის პერიოდში გამბამ ფეხდაფეხ მოიარა ჩრდილო და ამიერკავკასიის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ცენტრი – თბილისი, სოხუმი, ქუთაისი, სიღნაღი, თელავი, განჯა, ბაქო, დერბენტი, თერგი, ყიზლარი და 1824-1924 წლებში საკონსულო საქმეებთან დაკავშირებით პარიზში ყოფნისას გამოაქვეყნა თავისი შემაჯამებელი ნაშრომი საქართველოსა და კავკასიის სხვა კუთხეებში მოგზაურობის შესახებ. მართალია, გამბას *„მოგზაურობაში"* ძირითადად შავი ზღვის აუზის სავაჭრო-ეკონომიკური და კომეერციული მასალები, სქემები და რუკებია შესული, მაგრამ ამ მშრალ, სტატისტიკამდე დაყვანილ აღწერებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის მონაცემებსაც. ჩანახატებში და ტექსტებში შესულია საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, სასოფლო-სამეურნეო იარაღ-ხელსაწყოები, დგამ-

ჭურჭელი, ხალხური სატრანსპორტო საშუალებანი (ნიჩბიანი ნავები) და, რაც მთავარია, კავკასიის სხვადასხვა ხალხების ტიპები სხვადასხვა პროფესიონალური ნიშნებითა და ეროვნული ტანსაცმლით[8].

გამბას სავაჭრო-კომერციულ ინტერესებში აშკარად ჩანს საქართველოს, კერძოდ, იმერეთისა და კახეთის სამეურნეო ეკონომიკური პოტენციალი, რომლებიც, მისი აზრით, მდიდარია მიწების ნაყოფიერებითა და ბუნებრივი პროდუქციით.

იშვიათია ძველი თბილისის საქალაქო ცხოვრების, კერძოდ, სავაჭრო ცენტრის, ხელოსნობის დარგების, მათ შორის მელითონეებისა და ოქრომჭედლების, ქალაქის მოსახლეობის დემოგრაფიული აღმავლობის დინამიკის გამბასეული დახასიათება, რასაც საბოლოო ჯამში იგი თბილისის სავაჭრო ასპარეზზე გამოსვლასა და ახალ პერსპექტივებს უკავშირებდა[9].

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ისტორიული აზროვნების ფორმირების საქმეში თავისებური წვლილი შეიტანა ცნობილმა ფრანგმა მეცნიერ-გეოლოგმა, ნატურალისტმა და არქეოლოგმა *ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ.* 1831-1834 წლებში მან იმოგზაურა ყირიმსა და კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე, საიდანაც იგი საქართველოში ჩავიდა. როგორც სიძველეთა მკვლევარმა დიუბუამ ძირითადად კავკასიის ხალხთა მატერიალური კულტურის ძეგლებს მიაქცია ყურადღება, მაგრამ ამასთან ერთად, იგი ახლოს გაეცნო ქართველების, სომხების, ჩერქეზებისა და აფხაზების ყოფას და თავის შემაჯამებელ ნაშრომში[10] არაერთი საინტერესო ცნობა დაგვიტოვა მათ შესახებ.

საქართველოსა და კავკასიის ქვეყნებისა და ხალხების შესახებ ანტიკური, შუასაუკუნეებისა და თანამედროვე ავტორთა ცნობების შესანიშნავი მცოდნე დიუბუა არ კმაყოფილდებოდა უშუალოდ ნანახით და გაგონილით, დამატებითი მასალების მისაღებად პირად კონტაქტებს ამყარებდა სხვა ცნობილ კავკასიათმცოდნეებთან და ამა თუ იმ ფაქტისა თუ მოვლენის აღწერისა და ანალიზის პროცესში ყოველმხრივ გამართულ და შეჯერებულ მონაცემებს ეყრდნობოდა[11].

მიუხედავად ამისა, დიუბუას დასკვნებში ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ისტორიულ თავისებურებათა შესახებ, კონცეპტუალური, არსებითი ხასიათის შეცდომები აქვს დაშვებული[12]. დიუბუას აზრი იმის შესახებ, რომ ქართული ხუროთმოძღვრება ბიზანტიური და სომხური სუროთმოძღვრების განშტოება და ანარეკლია, სამართლიანადაა გაკრიტიკებული და უარყოფილი ქართველი ისტორიკოსებისა და ხელოვნებათმცოდნეების *(ს. ჯანაშია, გ. ჩუბინიშვილი* და სხვ.) მიერ.

აღნიშნული პიეროდის ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაზე ევროპული მენტალიტეტის გავლენების საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს ზემოთ დასახელებულმა თითქმის ყველა მოგზაურ მკვლევარმა, მაგრამ თავისი განსაკუთრებული წვლილი ამ მხრივ მაინც გერმანელ სწავლულს *კარლ კოხსა* და ინგლისელ ჟურნალისტს *ედმუნდ სპენსერს* ეკუთვნოდათ.

პოლიტიკურ ინტერესთა გარდა, რომელსაც უფრო გამოკვეთილად და აშკარად სპენსერი ავლენდა, ორივე ეს ავტორი თავიანთ ნაშრომებში მნიშვნელოვან ცნობებს იძლევიან იმდროინდელი საქართველოსა და კავკასიის სამეურნეო-ეკონომიკური, საზოგადოებრივი და სოციალურ-კულტურული ვითა-

რების შესახებ. ამასთან, მათ აერთიანებდა ისიც, რომ ორივე ავტორის *„მოგზაურობის“* ტექსტი გამოსცა კარლ კოხმა კრებულში *„კავკასიის ქვეყნები და სომხეთი“*(ლაიფციგი, 1851 წ.).

*კარლ კოხის* პირველი მოგზაურობა რუსეთსა და კავკასიაში 1836-38 წლებში შედგა. ამ მოგზაურობის აღწერის შედეგები ორტომეულის სახით შტუტგარტსა და ტიუბინგენში 1824-1843 წლებში გამოქვეყნდა[13].

1843-1844 წლებში კოხმა მეორედ იმოგზაურა კავკასიაში, რომლის შედეგებიც ასევე ახალ ორტომიან ნაშრომს დაედო საფუძვლად. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა კოხის პირველი ნაშრომი, რომელშიც ავტორის უშუალო დაკვირვებასა და აღწერასთან ერთად მიმოხილული იყო ვრცელი კავკასიათმცოდნეობითი ლიტერატურა.

კარლ კოხი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საქართველოს სამეურნეო-ბუნებრივ პირობებს, მეურნეობის დარგებსა და სამიწათმოქმედო კულტურებს. ამ მხრივ იგი გამოჰყოფს კახეთს, სადაც „სოფლები ისე მისდევდა ერთიმეორეს, რომ ვერ გაიგებდით, სად თავდებოდა ერთი და სად იწყებოდა მეორე. მთელი მიდამო, განსაკუთრებით შილდიდან, ერთ გაბმულ ვენახს წააგავდა“[14].

„არაჩვეულებრივად ნაყოფიერ მხარედ“ მიაჩნდა კოხს გურიაც, სადაც მისი ყურადღება სიმინდისა და ფეტვის უხვმოსავლიანმა ყანებმა მიიქცია[15]. კოხს მოსწონს გურული ღვინოც, რომელიც კახურის შემდეგ საუკეთესოდ მიაჩნდა. ამასთან, იგი სხვა ევროპელ მოგზაურთა მსგავსად, იწუნებს ქართული ღვინის დაყენების ტექნოლოგიას[16].

კარლ კოხი ალბათ ერთადერთი ევროპელია, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საქართველოში ნადირობას, კერძოდ კი მდ. ფაზისის აუზში გავრცელებულ ხოხობზე ნადირობის პრაქტიკას.

მას მხედველობიდან არ რჩება იმ პერიოდში ევროპაში განსაკუთრებით გახმაურებული არგონავტების თქმულება და სვანური ოქროს სარეწების საკითხიც. კოხი საფუძვლიანად გაეცნო საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხთა ყოფისა და კულტურის თავისებურებებსაც: მთიელთა ცხოვრების წესს, ხასიათს, ზნეს, ჩვეულებებს, ადათ-წესებსა და რწმენა-წარმოდგენებს, გარეგნულ იერს, ტანსაცმელს, საკვებს და ა. შ. ამ მხრივ განსაკუთრებით ღირებულია მისი ცნობები ლაზების, მეგრელების, გურულებისა და თუშების შესახებ. ავტორი აღწერს თვითოეული მათგანის გარეგნობას, იერსახესა და მიხვრა-მოხვრას, ურთიერთშედარების საფუძველზე გამოჰყოფს მათ ლოკალურ ნიშნებს[17].

კარლ კოხი დაინტერესებულია ქართული სუფრითა და სტუმართმოყვარეობის წესით, სადაც იგი აღწერს საკვებ რაციონს, გამასპინძლების წესსა და რიგს. ავტორი დაწვრილებით ჩერდება ქართულ ცეკვებსა და სიმღერებზე და ხაზს უსვამს მათ ორიგინალურ ხასიათს. დაბოლოს, მას მხედველობიდან არ რჩება ქალაქური ცხოვრების წესიც, რომელსაც იგი მართალია ძუნწად, მაგრამ გამორჩეულად ახასიათებს ძველი თბილისის მაგალითზე[18].

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია კოხის თანამედროვის *ედმუნდ სპენსერის* ცნობებიც, რომელიც ძირითადად ჩრდილო კავკასიის ხალხების, კერძოდ, ჩერქეზების აღწერას ეხება[19]. მართალია, სპენსერი თითქმის არაფერს წერს ჩერ-

ქეზთა სამეურნეო-ეკონომიკური ყოფის შესახებ, მაგრამ გაცილებით ხატოვანი და სრულყოფილია მისი ჟურნალისტური ემოციით გაჟღენთილი სტრიქონები ადგილობრივი მოსახლეობის გარეგნობის, ჩაცმულობისა და მიხვრა-მოხვრის შესახებ. მისი აღწერით კავკასიელები ლამაზი და ათლეტური აღნაგობის ხალხია, არაჩვეულებრივად მოქნილი და ელასტიური, წარმოსადეგნი. მათი ტანსაცმელი, პოლონურის მსგავსად, ვიწრო ხიფთანისაგან შედგება, წითელი ტარსიკონის პატრონტაშით გაწყობილი. და თუმცა, ეს მათ ტყვიისაგან იცავს, მისი გაკეთებისას კავკასიელები სილამაზეზე უფრო ზრუნავენ, ვიდრე უსაფრთხოებაზე[20].

სპენსერი ეთნოგრაფიული სიზუსტით აღწერს და ერთმანეთს ადარებს რედუტ-კალეს ბაზარზე თავმოყრილ მრავალრიცხოვან ჩერქეზთა, მეგრელთა და იმერელთა მოხდენილ და ლამაზ გარეგნობას, ქალისა და მამაკაცის ჩაცმულობას და ვარცხნილობას[21]. მასზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია „მაღალი ალპების მობინადრე", გოლიათური აღნაგობის, „ამაყი და ველური" შესახედაობის სვანებს, რომლებსაც, ჩერქეზებისაგან განსხვავებით, გრძელი ტყაპუჭი აცვიათ, ზემოდან კი ჩვეულებრივ კავკასიელთათვის დამახასიათებელი პატრონტაშები უკეთიათ. ჩაცმულობასთან კავშირში იხილავს სპენსერი იარაღის დამზადებისა და ტარების ტრადიციას კავკასიაში. იგი ხაზს უსვამს იარაღის დამზადების მაღალ ოსტატობას და აღნიშნავს, რომ იარაღი არა მხოლოდ საომარი დანიშნულებისათვისაა გამოყენებული, რომ მას აქ ხმარობენ სამკაულად, ტანსაცმლისა და საცხოვრებელი სახლის მოსართავად. იგი საგანგებოდ ჩერდება ჩერქეზ ოსტატთა ნახელავის სინატიფესა და სილამაზეზე, მაღალი გემოვნებით დამზადებულ ოქრო-ვერცხლის სარტყლებსა და იარაღებზე[22].

ედმუნდ სპენსერი გვაცნობს კავკასიის ხალხთა ლეგენდა-თქმულებებსა და გადმოცემებს და ყურადღებას აქცევს რელიგიური სინკრეტიზმის თავისებურებებს, რაც აქ წარმართული, ქრისტიანული და მუსლიმანური რელიგიების თანაარსებობაში გამოიხატება. მას მხედველობიდან არ რჩება ხევსურთა ტანსაცმელზე და საბრძოლო ფარზე ჯვრის გამოსახულება, რასაც იგი ხევსურთა საერთო ქართული ეთნიკური კუთვნილების საკითხებს უკავშირებს[23].

ინგლისელი მოგზაური აშკარად განცვიფრებულია კავკასიელთა ერთგულებით მამა-პაპისეული ტრადიციებისადმი, ეროვნული ცნობიერების სიწმინდისადმი, რაც აქ მკაცრ ეთნიკურ მონოგამიურობამდე დადის. „ნამდვილი ჩერქეზები არასოდეს არ თხოულობენ ცოლად სხვა ეროვნების ქალს და ამით თავისი რასის სიწმინდეზე ზრუნავენ". ახალი პერიოდის ევროპელ მკვლევართაგან სპენსერმა ერთერთმა პირველმა დაგმო კავკასიელ მთიელთა „საშინელი მანკი" – სისხლის აღების წეს-ჩვეულება, რაც აქ თაობიდან თაობაზე გადადიოდა და დიდ ზიანს აყენებდა მოსახლეობას[24].

დაბოლოს, სპენსერს აოცებს ღრუბლებამდე ატყორცნილ „კავკასიის ალპების ზოლში" დაბადებული ხალხის უდრეკი და შეურიგებელი სული. მისი დაკვირვებით ყოველი კავკასიელის უპირველესი იმპულსია პატრიოტიზმი, სამშობლოს თავდავიწყებული სიყვარული და სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ, რისთვისაც ისინი არ ზოგავენ „არც საკუთარ სისხლს, არც პირად კეთილ-

დღეობას... საუკუნეთა მანძილზე იცავდნენ ისინი საოცარი სიმამაცით თავიანთ დამოუკიდებლობას"[25].

ამრიგად, განხილული მონაცემები გვიჩვენებენ, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში ეთნოგრაფიული მეცნიერების თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპების ევროპული სტანდარტების დონეზე აყვანისა და წარმოჩენის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს *საქართველოსა და კავკასიაში მოღვაწე უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა (უაკ ფრანსუა გამბა, დიუბუა დე მონპერე, შარლ ბესი, კარლ ჰაინრიხ კოხი, ედმუნდ სპენსერი* და სხვ.) *ჩანაწერებმა, ნაშრომებმა და მონოგრაფიებმა.* მიუხედავად იმისა, რომ აღორძინების ეპოქის შემდგომ ევროპელ მოგზაურ-მკვლევართა და დიპლომატიური მისიის წარმომადგენელთა ხელახალი დაინტერესება საქართველოსა და კავკასიის ქვეყნებით ისევ და ისევ ევროპის *"აღმოსავლური დიპლომატიის"*, კერძოდ, ზემოთ უკვე აღნიშნული *"აბრეშუმის გზის"* ინტერესებით იყო გამოწვეული და კავკასიური ომების პერიოდში (1817-1869 წწ.) რუსეთის კავკასიაში საბოლოო გაბატონების რეალურ საშიშროებასთან იყო დაკავშირებული, *მათ ჩანაწერებსა და ნაშრომებში მოტანილ მონაცემებს ეპოქალური შეფასების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ქონდა ქართველი და კავკასიელი ხალხების ისტორიისა და ეთნოგრაფიის პრობლემური საკითხებისა და მიმართულებების გაშუქების საქმეში.*

უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართებით ევროპული მენტალიტეტის დამკვიდრება-განვითარების საქმეში ქართული მეცნიერულ-ინტელექტუალური სამყარო არსებით საზრდოს უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა ჩანაწერებიდან და მონოგრაფიებიდან იღებდა. გარკვეულწილად ამით იყო განპირობებული, აგრეთვე ქართულ მეცნიერებასა და საზოგადოებაში გამოწვეული ცხოველი ინტერესი საკუთარი ხალხისა და ქვეყნის წარსულის, ტრადიციული კულტურისა და წეს-ჩვეულებების ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებისადმიც.

## 5. ქართველი და კავკასიელი ხალხების ეთნო-კულტურული და სოციალური ორგანიზაციის პრობლემები XIX საუკუნის პირველი ნახევრის რუსული ადმინისტრაციის მოხელეთა და მეცნიერ-მკვლევართა ნაშრომებში

საქართველოსა და კავკასიაში ეთნოგრაფიული მეცნიერების თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპების ევროპული სტანდარტების დონეზე აყვანასა და წარმოჩენას, ზემოთ აღნიშნულ ევროპელ ავტორთა მხარდამხარ გარკვეულწილად რუს და რუსული ადმინისტრაციის სამსახურში მყოფ მოგზაურ-მკვლევართა და სახელმწიფო აპარატის მოხელეთა ნაშრომებმა და მონოგრაფიებმაც შეუწყო ხელი.

ეს ვითარებაც XIX საუკუნის პირველი ნახევრის რიგი პოლიტიკური მოვლენებით იყო გამოწვეული.

რუსეთის იურისდიქციის გაფართოებამ კავკასიის ცალკეულ ქვეყნებსა და მხარეებზე კიდევ უფრო გააძლიერა ცარიზმს ადმინისტრაციის ყურადღება კავკასიისა და წინა აზიის ქვეყნებისადმი. კავკასიის მიმართ ეს ინტერესი განსაკუთრებით გაძლიერდა საქართველოს და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის რუსეთთან შეერთების შემდეგ. საუკუნის პირველივე ათწლეულიდან იწყება ანექსირებული ქვეყნების ხალხთა ენების, ისტორიისა და კულტურის, სამეურნეო-ეკონომიკური პირობებისა და პოლიტიკური ორიენტაციების ფართომასშტაბიანი კვლევა-ძიება. ამ პერიოდში, ვიდრე XIX საუკუნის შუა ხანებამდე, რუს მეცნიერთა, მოგზაურ-მკვლევართა, სამხედრო თუ საზოგადო მოღვაწეთაგან, რომლებმაც მოინახულეს კავკასიის სხვადასხვა ქვეყნები და საინტერესო აღწერილობანი და შრომები დაგვიტოვეს კავკასიის ხალხების შესახებ, განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ *ჰენრიხ იულიუს კლაპროთს (1783-1835 წწ.), სიმონ ბრონევსკის (1763-1830 წწ.), თევდორე ბართოლომეის (1800-1862 წწ.), ილია რადოჟიცკის (1788-1861 წწ.), გრიგოლ გორდეევს (1791-1891 წწ.), ივანე ბლარამბერგს (1800-1878 წწ.), ვასილ ლეგკობიტოვს (1806-1860 წწ.)* და სხვ.

შევჩერდებით ზოგიერთი მათგანის მოღვაწეობასა და შემოქმედებაზე.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ XIX საუკუნის დასაწყისში კავკასიის ქვეყნებისა და ხალხების შესწავლას კიდევ ერთი სამეცნიერო ექსპედიცია მიუძღვნა, რომელსაც ცნობილი გერმანელი ენათმეცნიერი და ორიენტალისტი *ჰენრიხ კლაპროთი* ხელმძღვანელობდა. მრავალი აღმოსავლური ენების ცოდნისა და ბრწყინვალე ზოგადლინგვისტური და ისტორიული მომზადების ფონზე კლაპროთმა შესანიშნავად გაართვა თავი მის წინაშე დასმულ რთულ მეცნიერულ ამოცანას. 1807-1808 წლებში კავკასიაში ორგზის მოგზაურობისას თავის ნაშრომებში[1] მან დაწვრილებით აღწერა ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის ტომობრივი შემადგელობა, ფიზიკური აღნაგობა, დააზუსტა მათი ლინგვისტური კლასიფიკაცია, შეეხო ოსთა ეთნოგენეზისა და ბალყარელების, ყარაჩაელების, აბაზების, ყაბარდოელების, ინგუშებისა და საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის წარმოშობის მეტად რთულ საკითხებს[2]. მასვე ეკუთვნის აგრეთვე საქართველოს, დაღესტნის, შირვანისა და აზერბაიჯანის ნაწილის ეთნოგრაფიული აღწერა, აგრეთვე არაბი გეოგრაფის მასუდის კავკასიური ჩანაწერების თარგმნა და გამოქვეყნება გერმანულ ენაზე. ამასთან ერთად, კლაპროთმა ამ პერიოდში პირველმა მოგვცა ჩრდილო კავკასიის ხალხების სამეურნეო ყოფისა

და კულტურის, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წყობის, ზნე-ჩვეულებებისა და რწმენა-წარმოდგენების ყოველმხრივი ეთნოგრაფიული აღწერა[3].

კავკასიის ხალხების ყოფიდან აღებული ტრადიციული ეთნოგრაფიული სიუჟეტების მეთოდოლოგიურად გამართულ ფიქსაციასა და პირველად თეორიულ განზოგადოებებს ამ პერიოდში ერთი მნიშვნელოვანი მომენტიც დაემატა, კერძოდ, XIX საუკუნის დასაწყისიდან რუსი და უცხოელი მკვლევარების ნაშრომებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა კავკასიის ხალხების სოციალური ორგანიზაციის საკითხებს, რაც ამ ავტორთა გამოკვლევების სიღრმეზეც მიუთითებს. ბუნებრივია, კავკასიის ხალხთა სამეურნეო ყოფისა და მატერიალური კულტურის ცალკეული სფეროები (მიწათმოქმედების წარმოება და სამიწათმოქმედო იარაღ-ხელსაწყოები, საცხოვრებელი, ტანსაცმელი, ხალხური ტრანსპორტი და ა. შ.) ვიზუალური დაკვირვების საშუალებას იძლეოდა, სოციალური ორგანიზაციის ფორმები კი გარეშე დამკვირვებლისათვის *„დახურულ“* თემას წარმოადგენდა და მას სხვა მეთოდებითა და საშუალებების ჭირდებოდა გაშუქება. ამასთან, იგი საკმაოდ, მაღალმეცნიერულ კვალიფიკაციასაც მოითხოვდა.

კავკასიელ აბორიგენთა სოციალური ორგანიზაციის საკითხებს ერთერთი პირველი *სიმონ ბრონევსკი* შეეხო, რომელიც 1796 წელს სპარსეთში ლაშქრობის პერიოდიდან ხანგრძლივი დროით ცხოვრობდა და მოღვაწეობდა კავკასიაში.

სიმონ ბრონევსკის ნაშრომები[4] საყურადღებოა წმინდა ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, მაგრამ მის მთავარ ღირსებას მაინც კავკასიათმცოდნეობაში ახალი მიმართულების, ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური ორგანიზაციის საკითხების შემოტანა წარმოადგენს. კავკასიის მთიელებში ბრონევსკიმ მმართველობის 3 ფორმას – *„მონარქიულს“, „არისტოკრატიულსა“* და *„დემოკრატიულს“* მიაკვლია, თუმცა პირველ ორს ხშირად შერეულ, ფორმადაც განიხილავდა და მმართველობის დემოკრატიულ ფორმას კავკასიის მთიანეთის შედარებით ჩამორჩენილ, ნაკლებადგანვითარებულ ხალხებს მიაკუთვნებდა. აქედან გამომდინარე, დაბალი განვითარების კავკასიელ აბორიგენებს იგი *„თავისუფალ საზოგადოებად“, „რესპუბლიკებად“* და *„ფედერაციულ რესპუბლიკებად“* ყოფდა[5].

სიმონ ბრონევსკის ეს შეხედულებანი მთიელთა საზოგადოებრივი წყობის კვლევისა და ანალიზის ერთერთი პირველი ცდაა ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში, ამასთან, კავკასიის მთიელთა ყოფაში მის მიერ აღწერილმა დემოკრატიულმა სისტემამ, რაც ბუნებრივია, პირდაპირი გაგებით *პირველყოფილ-დემოკრატიულ* ანუ *პირველყოფილ-თემურ წყობას* შეესაბამება, XIX საუკუნის მეცნიერებაში გადაჭარბებული შეფასება მიიღო და ხანგრძლივი დავისა და კამათის საგნად იქცა. საქმე ეხებოდა ქართველი და კავკასიელი ხალხების სოციალური ორგანიზაციისა და განვითარების დონის მეცნიერულ შეფასებისას XIX საუკუნის მეცნიერებაში დაშვებული იმ შეცდომების დაძლევას, რომელთა მიხედვითაც საქართველოსა და კავკასიის უძველესი კულტურის მატარებელი აბორიგენული მოსახლეობა *გვაროვნული საფეხურის* დონეზე მდგომ ხალხების რანგში განიხილებოდა.

გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსების – *სიმონ ჯანაშიას, ნიკოლოზ ბერძენიშვილის, გიორგი მელიქიშვილის, მამია დუმბაძისა და სხვათა გვერდით გიორგი ჩიტაიას, ვერა ბარდაველიძის, ალექსი რობაქიძის, ვ. ითონიშვილის* და ქართველ მთიელთა სოციალური ურთიერთობის შემსწავლელ სხვა ისტორიკოსებისა და ეთნოგრაფების ნაშრომებში გამოკვლეული და დასაბუთებულია ზემოთაღნიშნულ მცდარ შეხედულებათა უსაფუძვლობა. ნაჩვენებია, რომ ქართველ და კავკასიელ მთიელთა ყოფაში ბარის რეგიონების კვალდაკვალ განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის თანმხლები მოვლენები თანამედროვე ყოფაში გადმონაშთების სახითაა შემორჩენილი და რეალურად არ ასახავენ განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ხალხების სტატუსს[6].

გასული საუკუნის შუა ხანებიდან ქართველმა ეთნოლოგებმა საგულდაგულოდ შეისწავლეს კავკასიის მთიელთა სოციალური ურთიერთობის ეს გადმონაშთური ფორმები და დაასაბუთეს, რომ ახალ ვითარებაში ე. წ. *პატრონიმიული ორგანიზაცია* წარმოადგენს არა როგორც გვარის განაყოფ არქაულ სოციალურ ინსტიტუტს, არამედ დიდი ოჯახის სეგმენტაციისაგან განვითარებულ წარმონაქმნს, ადათობრივი სამართლის ნორმებიდან გამომდინარე მფლბელობა-საკუთრების, მემკვიდრეობისა და ხალხური სამართალწარმოების სხვა სფეროების მარეგულირებელ ნათესაურ ჯგუფს, რომელსაც გვაროვნული ორგანიზაციის მხოლოდ გარეგნული თანმხვედრი ნიშნები გააჩნია და არსებითად განსხვავდება *პატრიარქალური გვაროვნული* წყობილებისაგან. ამრიგად, *გვაროვნული თეორიის* (*მ. კოვალევსკი* და სხვ.) ამ მცდარი სტერეოტიპების დაძლევის პროცესში საქართველოსა და კავკასიის მთიელთა ყოფაში მნიშვნელოვანი კულტურული მიღწევების ფონზე შემონახულ, საზოგადოების ადრეული განვითარების რელიქტურ მოვლენებს ქართველმა ეთნოლოგებმა ახლებური მეცნიერული ახსნა მოუნახეს და ქართული ეთნოლოგია ახალი თეორიული მიღწევებით გაამდიდრეს[7].

ქართველი და კავკასიელი ხალხების სოციალური ორგანიზაციის „პირველყოფილობისა“ და „ჩამორჩენილობის“ ამ დაუმსახურებელმა იარლიყმა იმავდროულად სხვა პრეცედენტიც გამოიწვია. XIX საუკუნის დასაწყისის ბურჟუაზიულმა მეცნიერებამ სათანადო ახსნა ვერ მოუნახა კავკასიურ ფენომენს, სადაც ასეთი „ჩამორჩენილობისა“ და „პირველყოფილების“ წიაღში ფიქსირებული იქნა ზოგადსაკაცობრიო ღირებულების სადაგი ცივილიზაციის ნიმუშები და ძეგლები. ქართულ-კავკასიური მატერიალური და სულიერი კულტურის ამ ნიმუშების ორიგინალობას კავკასიაში მცდარი შეფასება მიეცა[8]. კულტურულ ფასეულობათა შექმნაში არიული ტომების უპირატესობის ე. წ. *ნორდისტული თეორიის* ავტორები ხელაღებით უარყოფდნენ კავკასიის ხალხთა დამოუკიდებელი კულტურული შემოქმედების ფაქტს და მათ მხოლოდ ძველი აღმოსავლეთიდან ევროპის ცივილიზებულ ქვეყნებში კულტურის რეალიების გადამცემის როლს აკუთვნებდნენ.

როგორც ცნობილია, რევოლუციამდელი კავკასიათმცოდნეობას ამ ნაკლის საბოლოო დაძლევაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ქართველ არქეოლოგთა და ეთნოგრაფთა მიზანმიმართული და ფართომასშტაბიანი კვლევების შედეგად გახდა შესაძლებელი. ქართველმა ეთნოგრაფებმა საველე-საექსპედიციო და კამერალური კვლევა-ძიების საფუძველზე ქართველი ხალხის ყოფასა

და კულტურაში შემონახული უნიკალური რეალიების გამომზეურებითა და შესწავლით, ასევე თვალნათლივ დაასაბუთეს საქართველოსა და ამიერკავკასიის ტერიტორიაზე არქეოლოგიური და თანამედროვე კულტურების გენეტიკური მემკვიდრეობის რეალობა და აჩვენეს კულტურათა უწყვეტობის ერთიანი დიალექტიკური პროცესი[9].

ქართველი ხალხის ტრადიციულ-ყოფითი კულტურის უმნიშვნელოვანესი რეალიების გამოვლენის, მათი ფიქსაციისა და ეთნოგრაფიული ანალიზის თვალთახედვით დაინტერესების საქმეში, ზემოთ აღნიშნულ ავტორთა ჩანაწერებისა და ნაშრომების გვერდით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიის სხვადასხვა ქვეყნებში ცარიზმის ადმინისტრაციულ-კოლონიური რეჟიმის საბოლოო დამკვიდრებისა და მოწესრიგების პროცესში საინფორმაციო-იდეოლოგიური უზრუნველყოფის თვალსაზრისით შედგენილ სამეურნეო-ეკონომიკური, ისტორიულ-გეოგრაფიული, სტატისტიკურ-დემოგრაფიული ხასიათის ფუნდამენტურ კრებულებსა და მრავალტომეულებს. ერთერთი პირველი ასეთი კრებულთაგანი გახლდათ ამიერკავკასიის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრის *ვასილ ლეგკობიტოვის* რედაქტორობით შედგენილი კოლექტიურ ავტორთა ოთხტომეული ამიერკავკასიაში რუსეთის სამფლობელოთა სტატისტიკური, ეთნოგრაფიული, ტოპოგრაფიული და ფინანსური მონაცემების ვრცელი მიმოხილვით, რომელიც 1836 წელს გამოიცა[10]. აღნიშნულ კრებულში საქართველოსა და კავკასიის ცალკეული ქვეყნების შესახებ შესაბამისი ნარკვევების ავტორებად ლეგკობიტოვთან ერთად გვევლინებიან ცარიზმის ადმინისტრაციული აპარატის მოხელეები *პავლე ვიშესლავცევი (XIX ს.) გრიგოლ გორდეევი (1791-1838 წწ.), ვასილ გრიგორიევი (1803-1876 წწ.), დიმიტრი ზუბარევი (1802-1850 წწ.), ნიკოლოზ ფლოროვსკი (XIX ს.), ალექსანდრე იანოვსკი (1798-1871 წწ.)* და სხვ.

აღნიშნულ საკითხებზე ამომწურავი ინდორმაციის მიღება და კავკასიის ადმინისტრაციულ-ფინანსური მხარეების მოწესრიგების აუცილებლობა იმდენად აუცილებელ და გადაუდებელ ღონისძიებას წარმოადგენდა, რომ კრებულის შექმნის შესახებ საჭირო გახდა რუსეთის იმპერიის ფინანსთა მინისტრის *კანკრინის* სპეციალური წერილი *ნიკოლოზ I* სახელზე[11]. საორგანიზაციო საქმიანობაში მონაწილობდა *ი. პასკევიჩი*, რომელმაც პეტერბურგელ მოხელეებთან ერთად ამ საქმეში ჩააბა ადგილობრივი ავტორებიც. შვიდი წლის დაძაბული შრომის შედეგად კრებული დაიბეჭდა. პირველ ტომში შევიდა საქართველო, მეორე ტომი დაეთმო საქართველოს, ოსეთსა და სომხეთს, მესამე აზერბაიჯანს, ხოლო მეოთხე – აზერბაიჯანისა და დაღესტნის ნაწილს[12].

მართალია, აღნიშნული კრებულის აღწერილობითი მასალები ძირითადად ლიტერატურული წყაროებიდან და ოფიციალური დოკუმენტებიდანაა ამოკრეფილი, მაგრამ ავტორებს გააჩნიათ საკუთარი დაკვირვებებიც, რის გამოც, ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, ამ კრებულს ღირებულება დღესაც არ დაუკარგავს.

XIX საუკუნის პირველი ნახევარი საქართველოსა და კავკასიაში ეთნოგრაფიული მეცნიერების დამოუკიდებელ დარგად ფორმირებისათვის წინაპირობების მომზადების თვალთახედვით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტით აღინიშნა. ამ პერიოდში საზოგადოებრივ სარბიელზე პირველად გამოჩ-

დნენ საქართველოსა და კავკასიის სხვა კუთხეებში მცხოვრები ადგილობრივი, მკვიდრი მოღვაწეები. მათი უმრავლესობა ცარიზმის სამხედრო და სამოხელეო აპარატის წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ რუს და სხვა უცხოელ მკვლევართაგან განსხვავებით კარგად იცნობდნენ თავიანთი მშობლიური კუთხის, ზოგადად კავკასიელი ხალხების ყოფასა და კულტურას. სწორედ ამ ავტორთა კავკასიური მენტალიტეტით უნდა აიხსნას მათ მიერ გამოქვეყნებული სტატიების წერილებისა და ნაშრომების გამორჩეული სიზუსტე და ობიექტურობა, რაც არაერთხელ იქნა შენიშნული მომდევნო თაობების მკვლევართა მიერ. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცნობილი კავკასიოლოგების *ხან გირეისა (1808-1842 წწ.)* და *შორა ნოგმოვის (1796-1844 წწ.)* ნაშრომები ადიღეელთა და ყაბარდოელთა ეთნოგრაფიის პრობლემებზე, *იაგორ ჭილაძე-ჭილაშვილის, ნიკოლოზ ფალავანდიშვილის, ვასილ და იოსებ ცისკაროვების-ცისკარიშვილების* წერილები საქართველოს მთიელთა ყოფაცხოვრების, აგრეთვე ცნობილი სომეხი მწერლის, ახალი სომხური ლიტერატურის ფუძემდებლის *ხაჩუტურ აბოვიანის (1804-1848 წწ.)* ვრცელი გამოკვლევა სომხეთის ქურთების შესახებ და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი სპეციფიკის შესახებაც. თუ საუკუნის პირველი ათწლეულების ავტორების იოანე და თეიმურაზ ბაგროტიონების შემოქმედება ზოგადად ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის მონოგრაფიებსა და გამოკვლევებს წარმოადგენდა, აქ დასახელებულ ქართველ და კავკასიელ მკვლევართა წერილები და ნაშრომები კონკრეტულ ეთნოგრაფიულ სიუჟეტებს ეხებოდა. და თუმცა, თავიანთი მასშტაბურობით ისინი ვერ შეედრებოდნენ წინამორბედ ავტორთა შემოქმედებას, მათი კვლევის კონკრეტული მიზანდასახულობა, წყაროები და მეთოდოლოგიური პრინციპები, ეთნოგრაფიული კვლევაძიების საქმეში უდავოდ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

*იაგორ ჭილაშვილის* ნაშრომში, რომელიც ავტორმა 1827 წელს დაწერა და საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ მოსახლე ქართველ და ოს მთიელებს მიუძღვნა, მშენელობის პროცესების აღწერასთან ერთად მოცემულია ეთნოგრაფიული დაკვირვებები მეურნეობის დარგების – მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის, შინახელოსნობისა თუ ვაჭრობა-აღებ-მიცემობის შესახებ[13].

რაც შეეხება *ნიკოლოზ ფალავანდიშვილის* ნაშრომს, რომელიც ავტორს 1831 წელს შეუდგენია, მიძღვნილია ყუბანის მხარის ადიღეელი ტომების – აბაძეხების, ტემირგოელების, გატუღების, ჟანესა და სხვ. ეთნიკური თავისებურებების ზოგადი დახასიათებისადმი. ნაშრომში ვხვდებით საინტერესო ცნობებს ამ ტომების ლოკალიზაციის, რიცხოვნებისა და საზოგადოებრივი ყოფის საინტერესო საკითხებზე[14]. მანიშნებელია, რომ ორივე ამ ავტორის კავკასიური მენტალიტეტი მათ აღწერებს გამოარჩევს სიზუსტითა და ობიექტურობით, რაც არაერთხელ იქნა შენიშნული მომდევნო თაობების მკვლევართა მიერაც.

დაახლოებით ამავე რიგის წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა აქვს XIX საუკუნის 40-იან წლებში მოღვაწე ორი ქართველი მთიელის *ვასილ ცისკაროვისა* და *იოსებ ცისკაროვის (ცისკარიშვილების)* მოღვაწეობას, რომელთა წერილებში – *„მომთაბარე თუშეთი“, „თუში მხედარი განიში“ (ვ. ცისკაროვის* ავტორობით დაიბეჭდა გაზეთ *ზაკავკაზსკი ვესტნიკში*), *„დიკლო და შენაქო“, „ჩანაწერები თუშეთზე“* და *„თუშური სიმღერები“* (*ი. ცისკაროვის* ავტორობით დაი-

ბეჭდა გაზეთ *კავკაზში*) თუშ მეცხვარეთა ყოფა-ცხოვრება აღწერილია მშობლიური კუთხის მხატვრული პეიზაჟის ფონზე[15].

და მაინც, ამ რიგის კავკასიელ საზოგადო მოღვაწე და მკვლევართაგან უმნიშვნელოვანესი ფიგურა *ხან გირეი* გახლდათ. 40-იანი წლების დასაწყისში თბილისისა და პეტერბურგის ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნდა ხან გირეის ორი მნიშვნელოვანი ნაშრომი ჩერქეზთა რწმენა-წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების, ზოგადად მათი ცხოვრების წესის შესახებ[16]. ხან გირეის დანარჩენი 5 ნაშრომი, რომელიც არსებითად ადიღეელთა გადმოცემებს, კავკასიის მთიელთა მითოლოგიას, განსაკუთრებით კი მთიელთა საზოგადოებრივი ყოფის აღწერებს, ანალიზსა და განზოგადოებებს ეხება, ავტორის ბურუსით მოცული გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა[17].

ხან გირეის მიერ განხილულ საკითხთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კავკასიის მთიელთა საზოგადოებრივი ყოფის შესწავლას. მართლაც, დასახელებულ ნაშრომებში ხან გირეიმ ერთერთმა პირველმა დაახასიათა მთური ფეოდალიზმი კავკასიაში და იგი ადიღეელთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის საფუძვლად მიიჩნია. ხაზს უსვამდა რა ადიღეელ წარჩინებულთა ფეოდალურ იერარქიას, იგი პირდაპირ მიუთითებდა ფეოდალური ექსპლუატაციის სისასტიკეზე, თუმცა, იგი საბოლოოდ კავკასიის მთიელთა ცხოვრებას, მის ისტორიას თავისი კლასის პოზიციებიდან ჭვრეტდა. გარდა ამისა, ხან გირეის დამსახურების შეფასებისას საკმარისია აღინიშნოს, რომ მის მიერ აღწერილი მთური ფეოდალიზმის თავისებურებები, ყველაზე უფრო არსებითი და საფუძვლიანია რევოლუციამდელ კავკასიათმცოდნეობით ლიტერატურაში[18].

კავკასიის მთიელთა, კერძოდ, ადიღეელთა ეთნოლოგიური შესწავლის საქმეში თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის ხან გირეის თანამედროვესა და თანამემამულეს *შორა ნოგმოვს*, რომელმაც თავისი ერთადერთი, მაგრამ პრობლემურად მრავალმხრივი და მრავალპლანიანი ნაშრომი ადიღეელთა ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესახებ სწორედ XIX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში შექმნა.

შორა ნოგმოვის ნაშრომის ცალკეული ნაწილწები ავტორის გარდაცვალების შემდეგ გაზეთ *ზაკავკაზსკი ვესტნიკსა* და *კავკაზის* ფურცლებზე გამოქვეყნდა, სრული სახით კი იგი *ადოლფ ბერჟემ* გამოაქვეყნა[19]. მასვე ეკუთვნის ამ ნაშრომის გამოქვყენყება გერმანულ ენაზე 1866 წელს ლაიპციგში[20].

შორა ნოგმოვის ნაშრომში გაშუქებულია ადიღეელი ტომების ისტორიისა და ეთნოგრაფიის უმნიშვნელოვანესი პრობლემები ყაბარდოელთა თქმულებაგადმოცემების მიხედვით. დახასიათებულია ადიღეელთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის მანამდე ნაკლებადცნობილი საკითხები, სატომო და ეთნიკური სახელები და ეპონიმები, ქრისტიანობისა და მუსლიმანობის გავრცელების, საერთოდ, ადიღეელთა ყოფისა და კულტურის თავისებურებები და ა.შ. ნაშრომში წარმოდგენილი საკითხები გაანალიზებულია არა მარტო ეთნოგრაფიული მონაცემების, არამედ ისტორიულ-არქეოლოგიური, ლინგვისტური და ფოლკლორული მასალების შუქზე, რაც კიდევ უფრო ზრდის მის წყაროთმცოდნეობით მნიშვნელობას.

განხილული მონაცემები გვიჩვენებენ, რომ საქართველოსა და კავკასიაში რუსული კოლონიალიზმის დამკვიდრების ამ უადრეს ეტაპზე, ცარიზმის ად-

მინისტრაციამ ანექსირებული ქვეყნებისა და ხალხების დაუმორჩილებლობისა და წინააღმდეგობის დასაძლევად, მთელი ძალით აამოქმედა დასავლეთის კოლონიური სისტემის მიერ მრავალგზის ნაცადი მზაკვრული ხერხებისა და მეთოდების მრავალფეროვანი არსენალი. ქართველი ხალხის მიერ ზემოთ უკვე აღნიშნული შეთქმულებებისა და აჯანყებების ძალისმიერ ჩახშობასა და კოლონიური სისასტიკით გამორჩეულ ანგარიშსწორებასთან ერთად მეფის რუსეთის სამოხელეო აპარატმა კულტურტრეგერობის შენიღბული ფორმით სასწრაფოდ დაიწყო ანექსირებული ქვეყნების ხალხთა ენების, ისტორიისა და კულტურის, სამეურნეო-ეკონომიკური პირობებისა და პოლიტიკური ორიენტაციების საფუძვლიანი კვლევა-ძიება. ბუნებრივია, აღნიშნულ პროცესებში *ჩართულ რუს მოხელეთა და მოგ ზაურ-მკვლევართა შესაბამის ჩანაწერებსა და მონოგრაფიებს, კოლონიალური ადმინისტრაციის მიზნების პირდაპირ დანიშნულებასთან ერთად უცხოელ დამპყრობთა გამანადგურებელი შემოსევების შედეგად საქართველოში მეცნიერული აზროვნების განვითარების უკიდურესად შეზღუდულ პირობებში ქართველი და, საერთოდ, კავკასიელი ხალხების უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობის გამოსავლენად და შესასწავლად სერიოზული მეცნიერული ღირებულება გააჩნდათ.*

ამ თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანი გახლდათ XIX საუკუნის დასაწყისში *რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ კავკასიის სხვადასხვა კუთხეებში განხორციელებული ექსპედიციები ცარიზმის ადმინისტრაციის სამსახურში მყოფი ცნობილი გერმანელი მეცნიერის ჰენრიხ კლაპროთის ხელმძღვანელობით.*

აღნიშნული პერიოდის *ისტორიულ-ეთნოგრაფიული აზროვნების განვითარებაში გამორჩეული ადგილი უჭირავს ცნობილ მოგზაურ-მკვლევარს სიმონ ბრონევსკის, რომელმაც კავკასიათმცოდნეობაში ერთერთმა პირველმა დაიწყო ადგილობრივ მთიელთა სოციალური ორგანიზაციის პრობლემის მეცნიერული კვლევა-ძიება. სამწუხაროდ, მისი გამოკვლევები კავკასიის მთიანეთში ე.წ. „მონარქიული“, „არისტოკრატიული“, „დემოკრატიული“ და სხვ. ფორმების სოციალური ორგანიზაციის არსებობის შესახებ, შემდგომში კავკასიის მთიელთა „პირველყოფილობისა“ და „ჩამორჩენილობის“ მცდარ თეორიებს დაედო საფუძვლად.* უფრო მეტიც, არანაკლებ *მცდარი შეხედულებანი ჩამოყალიბდა კავკასიური ცივილიზაციის ღირებულებათა და ფასეულობათა შექმნაში არიული ტომების უპირატესობის შესახებ,* რაც იმ პერიოდში დასავლეთის მეცნიერებაში გავრცელებულ *ე.წ. „ნორდისტული“* თეორიის პროპაგანდას უხდიდა ხარკს. როგორც ქვემოთ დავინახავთ, საუკუნის დასაწყისის ამ ცთომილებამ ახალი ძალით იჩინა თავი XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც, რომლის საბოლოო დაძლევას ქართველ მეცნიერთა არაერთი თაობის ძალისხმევა მოუნდა. ამასთან, სწორედ ამ *კრიტიკულ შეფასებებში გახდა შესაძლებელი პირველყოფილობის იმ რელიქტების სწორი მეცნიერული ახსნა, რომლის მიხედვითაც ისინი კავკასიის მთიელთა ყოფაში გადმონაშთების სახით იყო შემონახული,* ხოლო *„პატრონიმიული ორგანიზაცია“ დიდი ოჯახის სეგმენტაციისაგან განვითარებულ ახალ წარმონაქმნს, ფეოდალური ურთიერთობის თანმხლებ მოვლენას წარმოადგენდა და რეალურად არავითარი კავშირი არ გააჩნდა პირველყოფილობის სტატუსთან.*

აღნიშნულ პერიოდში, ქართული ეთნოლოგიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის თვალთახედვით, მნიშვნელოვან ადგილს იჭერს სხვადასხვა დანიშნულების სამთავრობო – საინფორმაციო და იდეოლოგიური ხასიათის სამეურნეო – ეკონომიკური, ისტორიულ – გეოგრაფიული და სტატისტიკურ – დემოგრაფიული კრებულები და მრავალტომეულები, რომელთა ავტორებიც ასევე მაღალკვალიფიციური მკვლევარები და ადმინისტრაციული მოხელეები (*თევდორე ბართოლომეი, ვასილ ლეგკობიტოვი, გრიგოლ გორდეევი, ვასილ გრიგორიევი, ალექსანდრე იანოვსკი და სხვ.)* გვევლინებიან.

დაბოლოს, არსებითად აღნიშნულ უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა აქტიური მოღვაწეობითა და გავლენებით მოხდა საქართველოსა და კავკასიაში მეცნიერულ და საზოგადოებრივ სარბიელზე *ადგილობრივი, მკვიდრი მოღვაწეების (ი. ჭილაძე-ჭილაშვილი, ვ. და ი. ცისკარიშვილები, ნ. ფალავანდიშვილი, ხან გირეი, შ. ნოგმოვი, ხ. აბოვიანი* და სხვ.) გამოჩენა, რომელთა სიახლოვემ თავიანთ მშობლიურ ქვეყანასა და ხალხთან, მათმა კავკასიურმა მენტალიტეტმა განსაზღვრა კავკასიათმცოდნეობით ეთნოლოგიაში იმ ძირითადი მიმართულებების თავდაპირველი დამკვიდრება, რომელთა გაშუქებამ საკუთარი ხალხის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ეროვნულ-შემეცნებითი პრობლემების გადასახედიდან მნიშვნელოვანწილად განაპირობა მათი შემოქმედების გამორჩეული სიზუსტე და ობიექტურობა.

*ლიტერატურა და შენიშვნები*

*თავი მეორე*
*ეთნოგრაფიული აზროვნების განვითარება და ეთნოლოგიური მეცნიერების ჩამოყალიბების წინაპირობები საქართველოში*

1. *ეთნოგრაფიული აზროვნების განდვითარების ადრეული ეტაპი საქართველოში*

1.1. ლეონტი მროველის ეთნოგენეტიკური კონცეფცია კავკასიის ხალხებს ერთიანი წარმომავლობის შესახებ

1. *ლეონტი მროველი.* ცხოვრებასა ქართუელთა მეფესათა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, 4
2. *ქართლის ცხოვრება,* I, 3-4
3. *იქვე,* 3
4. *იქვე, 4*
5. *იქვე,* 4-5
6. *ქართლის ცხოვრება,* I, 8
7. *ს. ჯანაშია,* თუბალ, თაბალ, ტიბარენი, იბერი, შრომები, III, თბ., 1959, 59-61 და შმდ.; *გ. ჩიტაია,* „სვეტები," ზოგადი ეთნოგრაფიის კურსი, საგანი და მეთოდი, შრომები, IV, თბ., 2001, 65
8. *ივ. ჯავახიშვილი,* საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ძირითადი ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბილისი, 1950, 1-10; *მისივე,* ქართველი ერის ისტორია, წიგნი I-II, ტფილისი, 1913, 34-35; *ს. ჯანაშია,* დასახ. ნაშრომი, 59-61, 71-74 და შმდ.

9. *ს. ჯანაშია,* დასახ. ნაშრომი. 71-74, 78-79
10. *კ. კეკელიძე,* ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, 1923, 28-29; *გ. ჩიტაია,* ეთნონიმიკური ხალხური გადმოცემები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, თბილისი, 1955, 135-138: *გ. ახვლედიანი,* ქართლის ცხოვრების ფოლკლორული წყაროები, თბილისი, 1990, 70-71
11. *ალ. რობაქიძე,* ქართული საბჭოთა ეთნოგრაფია, ისტორიული მეცნიერების განვითარება საბჭოთა საქართველოში, თბ., 1986, 151; *მისივე,* Пути развития Грузинской Советской этнографии, Тб., 1983, 5-11
12. *კ. კეკელიძე,* ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, 33. უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის ხალხთა ეთნიკური შემადგენლობის ჩამოთვლისას ცალკეა დასახელებული ქართველები, მეგრელები, სვანები და ა.შ., რაც შესაძლოა, ამ პერიოდში ქართული ეთნოსის შორსწასული დივერგენციის შედეგი იყო. მიუხედავად ამისა, მროველთან თუ იმ პერიოდის სხვა ავტორებთან აღნიშნულ ტომთა კუთვნილება საერთოქართულ ეთნოსთან ეჭვს არ იწვევს
13. *კ. კეკელიძე,* დასახ. ნაშრომი, 33-34
14. *ქართლის ცხოვრება,* 1, 3
15. *ლეონტი მროველის ისტორიული კონცეფციის შესახებ (დისკუსიის მასალები),* საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მაცნე, № 1, 1968, 318-321
16. *იქვე,* 327
17. *ქართლის ცხოვრება* I, 16-17
18. *კ. გრიგოლია,* ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან. ახალი ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1954, 93-106; *Меликишвили Г.А.,* К истории древней Грузии, Тб., 1959, 38 და შმდ.
19. *ლეონტი მროველის ისტორიული კონცეფციის შესახებ,* 318-319
20. *ალ. რობაქიძე,* დასახ. ნაშრომი, 151
21. *ლეონტი მროველი,* მეფე ქართლისა არჩილ, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955

### 1.2. ვახუშტი ბაგრატიონი ქართველი ხალხის კულტურულ-ყოფითი თავისებურებების რეგიონალური ხასიათისა და მათი ზოგადქართული ბუნების შესახებ

1. *ვახუშტი ბაგრატიონი,* აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება, IV, თბილისი, 1973
2. *გ. ჩიტაია,* ქართული ეთნოგრაფიიის ისტორია, საგანი და მეთოდი, შრომები, IV, თბ. 2001, 67-68
3. *იქვე,* 68
4. *იქვე,* 67-68
5. *ივ. ჯავახიშვილი,* ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, 329
6. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქც., IV, თბ., 1973, 4
7. *ივ. ჯავახიშვილი,* დასახ. ნაშრომი, 329
8. *ვახუშტი ბაგრატიონი,* დასახ. ნაშრომი, 14-15, 632-655
9. *იქვე,* 305-382, 522 და შმდ.
10. *ვახუშტი ბაგრატიონი,* დასახ. ნაშრომი, 13-38
11. *იქვე,* 26-31

12. *ვახუშტი ბაგრატიონი*, დასახ. ნაშრომი, 191
13. *იქვე*, 15

## 2. *საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში. სოციალურ ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება, მეცნიერება და კულტურა*

1. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, IV, თბ., 1973, 676-685
2. *იქვე*, IV, თბ., 1973, 686-693; *ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე.* საქართველოს ისტორია. 1783-1990 წწ., თბ., 1991, 5-7
3. *გეორგიევსკის ტრაქტატი, 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთის მფარველობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესვლის შესახებ.* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გიორგი პაიჭაძემ. თბ., 1983, *იასე ცინცაძე*, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1960
4. *ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე*, დასახ. ნაშრომი, 15-26; *ი. ცინცაძე*, დასახ. ნაშრომი, 91-99
5. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, IV, თბ., 826-829 და შმდ.
6. *ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე*, დასახ. ნაშრომი, 16; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 937 და შმდ.
7. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, IV, თბ., 937-938 და შმდ.
8. *ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე*, დასახ. ნაშრომი, 16
9. *გ. პაიჭაძე*, გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი ისტორიული მნიშვნელობა, თბ., 1980, 63
10. *იქვე*, 64-69
11. *ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე*, დასახ. ნაშრომი, 17-18
12. *იქვე*, 18
13. *იქვე*, 122
14. *იქვე*, 23; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, 121-122
15. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, V, 122; *პ. გუგუშვილი*, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., თბ., 1949, 623-624
16. *პ. გუგუშვილი*, დასახ. ნაშრომი, 624-625
17. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, V, 125. ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, 24
18. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, V, 126
19. *იქვე*, 882-883
20. *ი. ჯაველიძე*, თხზ., 4, თბ., 1955, 216-217
21. *გ. პაიჭაძე*, გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი ისტორიული მნიშვნელობა, 54-59
22. *მ. დუმბაძე*, დასავლეთ საქართველოს XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957, 16-32 და შმდ; *ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე*, დასახ. ნაშრომი, 50-51
23. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, V, 40-45
24. *И. Г. Антелава.* Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века. Сухуми. 1955. 16-32,358
25. *ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე*, საქართველო ისტორია, 5
26. *В. А. Потто.* Утверждение русского владычества на Кавказе. т. III. Тифлис, 1886. 490–498 და შმდ., *ა. კიკვიძე*, საქართველო ისტორია (XIX საუკუნე), თბ., 1954, 31-38
27. *გ. აკოფაშვილი*, ცელილებები აზნაურთა ფენის მდგომარეობაში XIX ს. პირველი ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33, 1960, 208 და შმდ.
28. *ე. ორჯონიკიძე.* რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში. XIX ს. პირველი ნახევარი, თბ., 1992, 13-24; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, 890-893.
29. *ე. ორჯონიკიძე.* დასახ. ნაშრომი, 26-29.
30. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, V, 915-936; *ვ. ტოგონიძე*, ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება, 1804, თბ., 1951, 130 და შმდ.; *ა. კიკვიძე*, გლეხთა აჯანყება კახეთში

1812 წელს, თბ., 1941, 10-12 და შმდ.; *Н. Б. Макарадзе*, Восстание в Имеретии 1819-1820 гг., *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაკვ. III, 1942, 31, 18-60 და შმდ.

31. *გ. გოზალიშვილი*, 1832 წლის შეთქმულება, I, 15-85
32. *ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე*, დასახ. ნაშრომი, 66, და შმდ.
33. *იქვე*, 66-67; *მ. ბერძენიშვილი*, მასალები XIX ს. პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, თბ., 1980, 5-15, 31 და შმდ.
34. *იქვე*, 67
35. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, V, 783-710 და შმდ.

## 3. *გვიანფეოდალური ხანის ქართული ისტორიოგრაფია საქართველოს ეთნოგრაფიის ფორმირების ადრეულ ეტაპზე*

### 3.1. იოანე და თეიმურაზ ბაგრატიონები და დავით ფანასკერტელი -ციციშვილი საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული პრობლემების კვლევა-ძიების სათავეებთან

1. *იოანე ბაგრატიონი*, კალმასობა, I, 1936, II, 1948; *მისივე*, ხუმარსწავლა, კალმასობა, I-II, თბ., 1990-1991
2. *მ. აფციაური*, ქართული ეთნოლოგიური ყოფა XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე იოანე ბატონიშვილის „კალმასობის" მიხედვით, თბ., 2007, 3-12
3. *იოანე ბატონიშვილი*, ისტორია ქართლისა (1825-1828 წწ.), აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი H, 2134
4. *გივი ახვლედიანი*, XIX საუკუნის ქართული ისტორიკოსები და ფოლკლორი, თბ., 1990, 4
5. *იქვე*, 4-6
6. *იქვე*, 18-21
7. *თეიმურაზ ბატონიშვილი*, ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულად საქართველოისა (ივერიის ისტორია), სანკტ-პეტერბურგი, 1848; *მისივე*, დავით ბაგრატიონის ისტორია, თბ., 1972; თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა. წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ს. ყუბანეიშვილმა, თბ., 1964 და სხვ.
8. *თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი*, 50
9. *იქვე*, 53
10. *თ. ბაგრატიონი*, ივერიის ისტორია, 1-2
11. *შ. მესხია*, თეიმურაზ ბატონიშვილი (ცხოვრება და შემოქმედება), თბ., 1982, 36-38
12. *თ. ბაგრატიონი*, ივერიის ისტორია, 178
13. *თ. ბაგრატიონი*, ივერიის ისტორია, 125-130 და შმდ.
14. *შ. მესხია*, დასახ. ნაშრომი, 53
15. *თ. ბაგრატიონი*, ივერიის ისტორია, 15, 162; შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, 53-54
16. *თ. ბაგრატიონი*, ივერიის ისტორია, 1-2
17. *იქვე*, 7-9
18. *იქვე*, 89
19. *თ. ბაგრატიონი*, ივერიის ისტორია, 9; *გ. შარაძე*, თეიმურაზ ბაგრატიონი, II, შემოქმედება, თბ., 1974, 19-29 და შმდ; *მისივე*, არგონავტების თქმულება და მედეას პრობლემა ძველ ქართულ მწერლობაში, ცისკარი, 1973, №8, 141-143
20. *შ. მესხია*, დასახ. ნაშრომი, 58
21. *თ. ბაგრატიონი*, ივერიის ისტორია, 83
22. *თ. ბაგრატიონი*, ივერიის ისტორია, 58; გ. ახვლედიანი, XIX ს. ქართველი ისტორიკოსები და ფოლკლორი, 14-15

23. *თ. ბაგრატიონი*, ივერიის ისტორია, 46-50 და შმდ.; *თ. ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი*, 23 და შმდ.; *ა. ბარამიძე*, თეიმურაზ ბაგრატიონი და პირველყოფილი თემური წყობილების საკითხები ქართველ ტომებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 26, 1961, 131
24. *შ. მესხია*, თეიმურაზ ბაგრატიონი, 46
25. *თ. ბაგრატიონი*, ივერიის ისტორია, 49-50
26. *შ. მესხია*, დასახ. ნაშრომი, 49
27. *ფ. ენგელსი*, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ, თბ., 1953, 3-6, და შმდ.
28. *ალ. რობაქიძე*, ქართული საბჭოთა ეთნოგრაფია, ისტორიული მეცნიერების განვითარება საბჭოთა საქართველოში, თბ., 1986, 152
29. *ალ. რობაქიძე*, დასახ. ნაშრომი, 153-154
30. *დავით ტატიშვილი-ფანასკერტელი*. ქცევები და ზნეობა საქართველოში, ტფილისი, 1849. სამწუხაროდ, საქართველოს ბიბლიოთეკებსა და არქივებში ჩვენ ვერ მოვიძიეთ დავით ფანასკერტელი-ციციშვილის ეს ნაშრომი, რის გამოც აქ და ქვემოთაც ციტატები მოგვყავს გიორგი ჩიტაიას მიერ მოტანილი მითითებებიდან –იხ. *მისი*, „სვეტები", ზოგადი ეთნოგრაფიის კურსი, შრომები, IV, თბ., 2001, 70-71
31. *გ. ჩიტაია*, დასახ. ნაშრომი, 70
32. *იქვე*, 70
33. *იქვე*, 70-71
34. *ნ. ასათიანი*, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1958, 96
35. *ნ. ასათიანი*, დასახ. ნაშრომი, 97

## 4. *უცხოელ მეცნიერთა და მოგზაურ-მკვლევართა პირველი ეთნოგრაფიული აღწერილობანი და ეთნოლოგიის განვითარების წინაპირობები საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში*

1. *ვ. შამილაძე*. ქართველ და უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა ეთნოლოგიური ცნობები კავკასიის ხალხების შესახებ. უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე, თბ., 2001, 131-132
2. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, IV, 883-884; *ნ. ქორთუა*, საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, თბ., 1964, 134; *Фадеев А. В.* Россия и восточный кризис 20-х годов XIX в., М., 1958. 5
3. *Дубровин Н. Ф.* История войны и владычества русских на Кавказе. 6. СПб., 1871-1888: *Потто В. А.*, Кавказ, Война в отдельных очерках. эпизодах. легендах и биографиях. 2 изд. 1-5, СПб., Тфл. 1887-1899
4. *ვ. შამილაძე*, დასახ. ნაშრომი, 132
5. *J. F. Gamba*. Voyage dans la Russe meridionale et particulerement... dans les provinces situces au dela Caucase faits depus 1820 juesquen 1824, I-II, Paris 1924-1926; *მისივე*, Отрывки из путешествия в южную Россию и особенно в области, лежащие по ту сторону Кавказа. Северный архив, 1827, ч.26, №5 и ч. 27, №11: 1928. №8
6. *М. А. Полиевктов*, Европейские путешесвенники по Кавказу, 1800-1830 гг. (ЕПЛК. 1800-1830 гг.) Тбилиси , 1946. 83
7. *იქვე*, 87
8. *J. F. Gamba*. დასახ. ნაშრომი, II, 215
9. *იქვე*, 220. 224
10. *Dubois de Montpereux*. Voyage autor du Caucase, chez les Tcherkeses et les Abkhases, tn Colchide, en Georgie, en Armenie et en Crimee, V. I-6, 1839-1845: *Фредерик Дюбуа де Монпере*. Путешествие по Кавказу, к черкесам и Абхазцам, в Колхиду, Грузию, Армению и в Крым. I. Париж, 1839

11. В. К. Гарданов. Адыги, балкарцы и карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв. (АБКИЕА). Составление, редакция переводов, введение и вступительные статьи к текстам В. К. Гарданова, Нальчик. 1974. 435
12. *Фредерик Дюбуа де Монпере.* დასახ. ნაშრომი, IV, 146
13. *Karl Koch.* Reise durch Russland nach dem Kaukas. I-II, Jsthmus, 1842-1843; *Карл Кох.* Путешествие по России и в Кавказские земли, I-II, Штутгарт и Тюбинген, 1842; *В. К. Гарданов,* АБКИЕА, 585-628; *კარლ კოხი,* ბრძოლის ველზე გასვლა; *მისივე,* მოგზაურობა რედუტ-კალედან ტრაპეზუნტამდე (კოლხეთი და ლაზების ქვეყანა), კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლონდა მამაცაშვილმა, საქართველოს ისტორიის უცხოური ნყაროები, XII, თბილისი, 1981
14. *კარლ კოხი,* ბრძოლის ველზე, 244
15. *Карл Кох.* Путешествие по России и в Кавказские земли, 178-179
16. *Карл Кох.* დასახ. ნაშრომი, 148-179
17. *კარლ კოხი,* ბრძოლის ველზე, 251, 256
18. *იქვე,* 210 და შმდ.
19. *Spenser Edmound.* The Travels in Cirkassia, London. 1837; *მისივე,* Turkey-Russia. the Black sea and Cirkassia. London. 1854; მისივე, The Travel in West Caucasus, I-II, 1838-1839; *ო. სპენსერი.* მოგზაურობა ჩერქეზეთის, აფხაზეთისა და სამეგრელოს სანაპიროს გასწვრივ. კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლონდა მამაცაშვილმა. საქართველოს ისტორიის უცხოური ნყაროები, XII, თბილისი, 1981
20. *ო. სპენსერი.* მოგზაურობა ჩერქეზეთის, აფხაზეთისა და სამეგრელოს სანაპიროს გასწვრივ. 106,112
21. *იქვე,* 139-141
22. *იქვე,* 140-141
23. *კ. კოხისა ად ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ,* 91-92
24. *ო. სპენსერი,* მოგზაურობა... 159
25. *იქვე,* 186

## 5. *ქართველი და კავკასიელი ხალხების ეთნო-კულტურული და სოციალური ორგანიზაციის პრობლემები XIX საუკუნის პირველი ნახევრის რუსული ადმინისტრაციის მოხელეთა და მეცნიერ-მკვლევართა ნაშრომებში*

1. *J. Klaproth.* Reise in den Kaukasus und nach Georgien in den Jahren 1807 und 1808, 2 vis. Halle. 1812-1814; *მისივე,* Geographische-Historische Beshreibung des östlichen Kaukasus. Weimar, 1814: *მისივე,* Tableau historique, geographique, ethnographique et politique du Caucase et des provinces limitriphes entre la Russie et la Perse. Paris-Leipzig, 1827; *Генрих-Юлиус Клапрот.* Путешествие по Кавказу и Грузии, предпринятое в 1807-1808 гг., *В. К. Гарданов,* АБКИЕА, 236-280
2. *იქვე,* 247
3. *იქვე,* 235, 246-250
4. *С.М. Броневский.* Новейшие географические и исторические известия о Кавказе, 2 части, Москва. 1823; *მისივე,* Отрывки из путешевия по Кавказу, журн. Сын отечества, 1833, ч. 156 и 162
5. *С.М. Броневский.* Новейшие географические и исторические известия о Кавказе. 38-40
6. *ვ. შამილაძე.* ქართული ეთნოლოგიის მიღწევები და პერსპექტივები, ქართული ეთნოლოგია, I, თბ., 2005
7. ვ. შამილაძე. დასახ. ნაშრომი, 7
8. *М. О. Косвен.* Проблема общественного строя горских народов Кавказа в ранней русской этнографии. Этнография и история Кавказа, исследования и материалы, М., 1961, 209 и шдр.
9. *ვ. შამილაძე.* დასახ. ნაშრომი, 7

10. *Обозрение Российских владений за Кавказом в статистическом, этнографическом, топографическом и финансовом отношениях*, 4 части, СПб., 1836
11. *М.О. Косвен*. Материалы по истории этнографии Кавказа в русской науке (МИЭКРН). Кавказский этнографический сборник, I, М., 1955, 319
12. *ებჟე*, 320
13. *Е. Чилаев*, О горских народах по Военно-грузинской дороге. Акты собранные кавказской археологической комиссией, АКАК, VII, Тифлис, 1883, 347-352
14. *В. Палавандов*, Краткое обозрение некоторых Закубанских племен, АКАК, VII, 380-384
15. *В. Цискаров*, Кочующая Тушетия, Закавказский вестник, ЗВ, 1846, 20,21; *ბოხევე*, Тушинский наездник Гаиш (быль), ЗВ, 1846, 26-28; *И. Цискаров*, Дикло и Шенако, Кавказ, К, 1846, 27; *ბოხევე*, Записи о Тушетии, К, 1849, 7-13; *ბოხევე*, Тушинские песни, К, 1849,38
16. *Хан Гирей*, Черкесские предания, Русский вестник, РВ, 1841, 4-5; *ბოხევე*, Вера, нравы, обычай, образ жизни черкесов, РВ, 1842, 1
17. *Хан Гирей*, Князь Канбулат. Черкесские предания, 1844, 10; *ბოხევე*, Мифология кавказских племен, Кавказ, 1846, 35; *ბოხევე*, Наезд Кунчука, Кавказ, 1846, 37-38; *ბოხევე*, Бесльний Абат, Кавказ, 1847, 42-47; *ბოხევე*, Князь Пшьской Аходягоко, СМОМПК, 17, 1893
18. *М. О. Косвен*. Адыгейский историк и этнограф Хан Гирей, Этнография и история Кавказа. Исследования и материалы, М., 1961, 184,187-189 и ддр.
19. *Ш. Б. Ногмов*. История адыгейского народа, составленная по преданиям кабардинцев, напечатано с подлинной, исправленной рукописи и дополнено предисловием, биографией автора, примечаниями и приложениями А. Б. Берже, Кавказский календарь на 1962
20. *Shora-Bek Murzin Nogmov*, Die sageh und Lieben des Tscherkessen-Volks. Überseltzt von A. D. Berge, Leipzig, 1866

## თავი მესამე

## *ეთნოლოგიური მეცნიერების ჩამოყალიბება XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში*

### 1. ეთნოლოგიის ჩამოყალიბება დამოუკიდებელ სამეცნიერო დარგად ევროპის, ამერიკისა და რუსეთის სამეცნიერო ცენტრებში.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოსა და კავკასიაში ეთნოგრაფიული მეცნიერების ფორმირება-ჩამოყალიბების მრავალფეროვანი პროცესები ორმხრივი გავლენების ფონზე მიმდინარეობდა. საქართველო, როგორც რუსეთის იმპერიაში შემავალი ქვეყანა, პირველ რიგში, რუსული პროგრესული საზოგადოებრივ-მეცნიერული იდეებით იკვებებოდა. ქართული მეცნიერული აზროვნების განვითარების ასეთ მიმართულებას საკუთარი ტრადიციები გააჩნდა, და იგი, *ვახუშტი ბაგრატიონის* რუსეთის საიმპერატორო სამეცნიერო ცენტრში მოღვაწეობას უკავშირდებოდა. ამასთან, საქართველო და კავკასია, რუსული მეცნიერული აზროვნების კვალდაკვალ თავადაც ექცეოდა ევროპული ცივილიზაციის ორბიტაში. საკუთრივ ევროპაში კი ამ მხრივ XIX საუკუნეში მნიშვნელოვან ძვრებს ჰქონდა ადგილი.

საზოგადოებრივი მეცნიერების სხვა დარგებთან ერთად, ეთნოგრაფიული აზროვნებაც შუა საუკუნეებიდან ევროპაში გაბატონებულ სქოლასტიკურ მსოფლმხედველობას ძალზე ნელი ტემპით აღწევდა თავს, მაგრამ ევროპული რენესანსისა და აღორძინების ეპოქის მიღწევებმა მეცნიერულ აზროვნებაშიც მოახდინეს გადატრიალება[1].

XV-XVIII საუკუნეების დიდმა გეგორაფიულმა აღმოჩენებმა ახალი მონაცემებით გაამდიდრეს ეთნოგრაფია. ამერიკაში, ავსტრალიასა და აფრიკაში ევროპელები შეეჯახნენ მანამდე უცნობი წარმოშობის, კულტურისა და იერსახის ტომებს, რომელთა თავდაპირველ აღწერას პრინციპული მნიშვნელობა ქონდა კაცობრიობის ისტორიის ახლებური გააზრების თვალსაზრისით. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ამერიკელი აბორიგენების აღწერა ესპანელების (*ქ. კოლუმბი, ბ. დე ლას კასასი, დ. დე ლანდა* და სხვ.) მიერ, მით უმეტეს, რომ ინდიელთა დიდი ნაწილი (აცტეკები, ინკები, მაია და სხვ.) და მათი კულტურა თითქმის მთლიანად განადგურდა ევროპელთა დაპყრობების დროს[2].

XVII-XVIII სს. ესპანეთთან და პორტუგალიასთან ერთად, გეოგრაფიულ აღმოჩენებსა და ევროპელთა კოლონიურ დაპყრობებში აქტიურად ჩაება ჰოლანდია, ინგლისი და საფრანგეთი. ახლად აღმოჩენილ აბორიგენთა პირველი აღწერების მიხედვით XVIII-XIX საუკუნეებში მათ გავლენაში მოექცნენ ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელები (*ჟ. ლაფიტო* და სხვ.), ოკეანიის (*ჟ. ლაპერუზა, ჯ. კუკი* და სხვ.), ავსტრალიისა (*ა. ჰაუიტი, ლ. ფაისონი* და სხვ.) და აფრიკის აბორიგენთა უმრავლესობა[3]. პირველყოფილ ხალხებზე – *„უმეცარ ველურებზე"* კოლონიზატორთა იდეოლოგებისა და ეკლესიის ფანატიკოსთა უკიდურესად უარყოფითი შეხედულებების საწინააღმდეგოდ, ახლად დაგროვილი ეთნოგრაფიული მასალის მეცნიერული გააზრების პირველმა ცდებმა იმდროინდელი ევროპელი განმანათლებლები მიიყვანა პირველყოფილობის, როგორც კაცობრიობის ბედნიერი ბავშვობის ხანის იდეალიზაციამდე *(ჟ. ჟ. რუსო, დ. დიდრო),*

მათი წეს-ჩვეულებების გეოგრაფიულ გარემოზე დამოკიდებულების აზრამდე *(შ. მონტესკიე)*, კულტურული პროგრესის იდეამდე *(ვოლტერი, ფერგიუსონი)*, ყოველი ხალხის დამოუკიდებელი კულტურული შემოქმედებისა და თვითმყოფადობის თეზისამდე *(ი. ჰერდერი)* და ა. შ.[4]

განმანათლებლებისა და ენციკლოპედისტების შეხედულებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ეთნოგრაფიული წარმოდგენების, ხოლო შემდეგ ეთნოგრაფიის როგორც მეცნიერების განვითარებისათვის. ეს ნათლად გამოვლინდა XVIII საუკუნეში მაშინ, როდესაც მატერიალიზმი იერიშზე გადავიდა ეკლესიის სქოლასტიკური მოძღვრების წინააღმდეგ. ყალიბდება კონცეფცია მსოფლიო-ისტორიული პროცესის უნივერსალური კანონზომიერების შესახებ. ამასთან *„ველური“* ხალხები განიხილება, როგორც საზოგადოების ისტორიის ადრეული ეტაპი. მუშავდება *რეტროსპექტული ანალიზის მეთოდი*: წარმოდგენები არაევროპელი ჩამორჩენილი ხალხების შესახებ გადააქვთ ევროპელთა ძველ ეპოქაზე. ჩაისახა საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების მოვლენების კვლევის *შედარებით-ისტორიული მეთოდი*, რომელიც ეთნოგრაფიაში პირველად გამოიყენა *ჟ. ლაფიტომ*.

ტერმინი *ეთნოგრაფია* (ბერძნულიდან *ethnos* – *ხალხი* და *grapho* – *ვწერ*, სიტყვასიტყვით – *ხალხის აღწერა*) პირველად XVII საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა და იგი გერმანელმა მწერალმა *იოანე ზომერმა „მუნდას ეთნოგრაფიის“* სერიული გამოცემების სახელწოდებად გამოიყენა[6]. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო მიმოქცევაში მის აქტიურ დამკვიდრებას თითქმის ორი საუკუნე მოუნდა. 1791 წელს ნიურნბერგში გამოვიდა *„ეთნოგრაფიული ალბომი“*, 1808 წელს კი იმავე გერმანიაში *„ეთნოგრაფიული და ლინგვისტური ჟურნალი“*[7]. ამასთან, მართალია, ეთნოგრაფია მეტ-ნაკლები აქტიურობითა და ინტენსიურობით გერმანიაში ვითარდებოდა, მაგრამ მალე იგი ფართოდ გავრცელდა ევროპისა და ამერიკის ახლად შექმნილ სამეცნიერო საზოგადოებებსა და სამეცნიერო ცენტრებშიც. ამ მხრივ, მანიშნებელია, რომ 1820 წლიდან ეთნოგრაფიის სახელწოდებით გამოცემულ იქნა *„უნგრულ ხალხურ კოსტუმთა ალბომი“*, ხოლო 1826 წელს ცნობილმა გეოგრაფმა *ადრიანო ბალბიმ* პირველი *„ეთნოგრაფიული ატლასი“* იტალიაში გამოაქვეყნა[8].

თითქმის ამავე პერიოდს ეკუთვნის ახლად აღმოცენებული მეცნიერების აღმნიშვნელი მეორე ტერმინის – *ეთნოლოგიის* (*Ethnologie*, *L'Ethulogie* – ბერძნულიდან *ethnos* – ხალხი, *logos* – *მსჯელობა, აზრი, დასკვნა*) დამკვიდრებაც. მართალია იგი პირველად *ა. შავანმა* 1784 წელს გამოიყენა, მაგრამ მისი მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანა დაკავშირებულია XIX საუკუნის 20-30-იან წლებში მოღვაწე *ჟ. ედვარდსისა* და *ანდრე მარი ამპერის* სახელებთან. ცნობილი ფრანგი ნატურალისტი-ფიზიკოსის – ამპერის მიერ 1830 წელს შემუშავებულ ანთროპოლოგიურ ანუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ზოგადსაკლასიფიკაციო სქემაში *ეთნოლოგია* არქეოლოგიის, ისტორიისა და სხვა დარგების გვერდით ცალკე სამეცნიერო დისციპლინად იყო აღიარებული. ამასთან, იგი გამოჰყოფდა *ელემენტარულ ეთნოლოგიასა* და *შედარებით ეთნოლოგიას*[9].

ამ მოვლენებთან იყო დაკავშირებული ევროპასა და ამერიკაში ახალი სამეცნიერო საზოგადოებების ჩამოყალიბება, კერძოდ, 1839 წელს პირველი ეთნოლოგიური საზოგადოების შექმნა პარიზში, ხოლო რამდენადმე მოგვიანებით

კი ნიუ-იორკსა (1842 წელს) და ლონდონში (1843 წელს). ამ პერიოდში ეთნოლოგია თავის საგნობრივ სფეროში მოიცავდა ფიზიკურ ანთროპოლოგიასაც. ეს ტენდენცია დაძლეულ იქნა სწორედ XIX საუკუნის შუა ხანებში, მაშინ როდესაც *ეთნოლოგია* მიჩნეული იქნა ხალხების შემსწავლელ მეცნიერებად, ხოლო *ანთროპოლოგია*, როგორც მეცნიერება ადამიანის შესახებ[10].

შესაბამისად, გერმანიაში დაარსდა *„ანთროპოლოგიის, ეთნოლოგიისა და ისტორიის საზოგადოება" (1869)*, ხოლო იტალიაში – *„იტალიის ანთროპოლოგიისა და ეთნოლოგიის საზოგადოება" (1871)*[11].

ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში ეთნოგრაფიული მეცნიერების ფორმირება-ჩამოყალიბების ასეთი დაჩქარებული და რამდენადმე დამოუკიდებელი განვითარების გამო, ეთნოგრაფიის აღმნიშვნელი ტერმინის ვარიაციული სახესხვაობები კიდევ უფრო შორსწასულ პროცესებს გულისხმობდა. საკუთრივ, ევროპული ხალხების ძველი და თვითმყოფადი კულტურის შეცნობისა და შესწავლისადმი ინტერესის სწრაფი ზრდის გამო გერმანიაში ეთნოგრაფიული კვლევები გაიყო *ფოლკსკუნდეს* (Volkskunde) ანუ *საკუთარი ხალხის შესწავლისა* და *ფოლკერკუნდეს* (*Volkerkunde)* ანუ *საზღვარგარეთის ხალხთა შესწავლის* სახელწოდებით[12].

ინგლისში, რამდენადმე გვიან კი – ამერიკაში ეთნოგრაფიის აღმნიშვნელად შემოღებულ იქნა ტერმინები *კულტურული ანთროპოლოგია (Cultural anthropology)* და *სოციალური ანთროპოლოგია (Social anthropology)*[13], იტალიაში – *ფოლკლორისტიკა (ინგლ. Folklore – ხალხური სიბრძნე, ხალხური ცოდნა)*[14], რუსეთში *ხალხთმცოდნეობა* (*Народоведение*)[15] და ა. შ.

ზემოთ აღნიშნულ ტერმინთა ასეთი სხვადასხვაობის მიუხედავად, ეთნოგრაფიის კლასიკურ სახელწოდებად საბოლოოდ მაინც *ეთნოგრაფია – ეთნოლოგია* შემორჩა, თუმცა ეს ორი ვარიაციული სხვადასხვაობა იმთავითვე მეცნიერების ამ დარგის საგნისა და ამოცანების გააზრებასთან იყო დაკავშირებული. გერმანიაში, სადაც ტრადიციულად ეთნოგრაფიის თეორიულ პრობლემებს იკვლევდნენ (*ფ. რატცელი, ფ. გრებნერი, ჰ. შურცი, ა. ბასტინი, ლ. ფრობენიუსი* და სხვ.), *ეთნოლოგიას* თეორიულ, განმაზოგადოებელ მეცნიერებად მიიჩნევდნენ, *ეთნოგრაფიას* კი – აღწერილობით, რეგიონალურ დარგად[16].

ეთნოგრაფიის ცალკე სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო *ევოლუციური სკოლის* ფორმირებამ (*ე. ტეილორი, ა. ბასტიანი, ლ. ჰ. მორგანი* და სხვ.). ამ სკოლის ძირითადი იდეები – კაცობრიობის კულტურული ერთიანობა, კულტურის ევოლუცია მისი უმდაბლესი ფორმებიდან უმაღლესისაკენ, კულტურაში განსხვავების განვითარების სხვადასხვა საფეხურით ახსნა – კულტურის ევოლუციის პროგრესულ იდეას ეყრდნობოდა, მაგრამ მათი წარმომადგენლები ისტორიას განიხილავდნენ, როგორც კულტურის ცალკეული ელემენტების დამოუკიდებელი ევოლუციის ჯამს, ხოლო განვითარების ზოგადი კანონზომიერება გამოჰყავდათ კაცობრიობის ფსიქიკური ერთიანობიდან (*ა. ბასტიანი*)[17]. ევოლუციონისტებიდან მხოლოდ მორგანი მიუახლოვდა ისტორიული კანონზომიერების მატერიალისტურ ახსნას. საზოგადოებრივი პროგრესი მას საარსებო საშუალებათა განვითარებიდან გამოჰყავდა, რაც შემდგომ ფართოდ იქნა გამოყენებული *კ. მარქსისა* და განსაკუთრებით *ფ. ენგელსის*

შრომებში[18]. სამწუხაროდ, მარქსისტულმა მოძღვრებამ ისტორიული პროცესების ახსნისას იმთავითვე ცალმხრივი ხასიათი მიიღო.

ეთნოგრაფიული მეცნიერების ფორმირებისა და ჩამოყალიბების ეს მრავალმხრივი პროცესები უშუალო გავლენას ახდენდნენ რუსული ისტორიული აზროვნების განვითარებაზეც. თავი რომ დავანებოთ ანტიკური და ელინისტური ხანის წერილობით წყაროებს სამხრეთ სლავების შესახებ, აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ხალხებზე მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული ძველ რუსულ მატიანეებსა და მოგზაურ-მკვლევართა აღწერებში[19]. XV-XVI საუკუნეებში მრავალეროვანი რუსეთის სახელმწიფოს შექმნამ კიდევ უფრო გააფართოვა ეთნოგრაფიული ცოდნის თვალსაწიერი. მომდევნო საუკუნეებში შეიქმნა მნიშვნელოვანი ლიტერატურა ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ხალხებზე, ჩინეთის, ინდოეთის, წინა აზიის ქვეყნების მოსახლეობაზე. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი იყო ჯერ კიდევ XVII საუკუნეში *ს. რემე ზოვის* მიერ შედგენილი პირველი აღწერილობა და ატლასი ციმბირის ხალხების შესახებ[20]. XVIII საუკუნის დასაწყისს მიეკუთვნება *გ. ნოვიცკის*, ალბათ პირველი მსოფლიოში, სპეციალური ეთნოგრაფიული ნაშრომი ხანტების შესახებ[21]. მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული მასალები იქნა შეკრებილი და გაანალიზებული 1733-1743 წლების ჩრდილო ციმბირის ხალხებზე ჩრდილოეთის დიდი ექსპედიციის დროს, რომელიც *ვ. ტატიშჩევის* მიერ შედგენილი სპეციალური ანკეტური გამოკითხვის პროგრამით განხორციელდა და ხალხთა კლასიფიკაციას ენობრივი დაჯგუფების საფუძველზე ახდენდა[22]. ამავე ექსპედიციის მონაწილეთაგან კლასიკურ ეთნოგრაფიულ ჩანაწერებს წარმოადგენდნენ *გ. მილერის* (ციმბირის ისტორია) და ს. კრაშენინიკოვის (კამჩატკის მიწების აღწერა) ნაშრომები[23].

უმდიდრესი ეთნოგრაფიული მონაცემები და ანალიზის პირველი ცდებია მოცემული 1768-1774 წლების რუსეთის აკადემიის ექსპედიციების მონაწილეთა ჩანაწერებსა და შრომებშიც (*ი. ლეპიოხინი, ვ. ზუევი, პ. პალასი* და სხვ.), რომელთა საფუძველზეც *ი. გეორგიმ* შეადგინა 4-ტომიანი შემაჯამებელი მონოგრაფია (რუსეთის სახელმწიფოში შემავალი ყველა ხალხების აღწერა)[24].

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის ეთნოგრაფიაში ღირსშესანიშნავ მოვლენად იქცა *ი. კრუზენშტერნის, ი. ლისიანსკისა* და სხვ. მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო, აგრეთვე *გ. ლანგსდორფის* (ბრაზილია), *ი. ბიჩურინის* (ჩინეთი), *ი. ვენიამინოვის, ფ. ვრანგელის* და სხვ. (ალეუტის კუნძულები და ალიასკა) ექსპედიციები და მივლინებები, რომელთა საფუძველზეც შეიქმნა ახალი აღწერილობითი კორპუსები დასახელებული ხალხების შესახებ[25].

XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან დღის წესრიგში დგება ეთნოგრაფიის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის ჩამოყალიბების აუცილებლობა. ტერმინი *ეთნოგრაფია* მტკიცედ იკიდებს ფეხს სამეცნიერო ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. 1845 წელს მოწინავე რუსული ინტელიგენციის თაოსნობით ჩამოყალიბდა *რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოება*, რომელთანაც გაიხსნა *ეთნოგრაფიის განყოფილება* ჯერ *კ. ბერის*, ხოლო შემდეგ *ნ. ნადეჟდინის* ხელმძღვანელობით. განყოფილებამ იმპერიის ყველა გუბერნიასა და მათ შორის კავკასიაშიც დაგზავნა სპეციალური პროგრამები ცალკეული მხარეების, სოფლებისა და მაზრების აღსაწერად. ამ მასალების პუბლიკაციისათვის 1853 წელს დაარსდა სპეციალური ეთნოგრაფიული კრე-

ბული, ხოლო ოდნავ გვიან *„რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების ჩანაწერები ეთნოგრაფიის განხრით“*[26].

რუსეთში ეთნოგრაფიული მეცნიერების ჩამოყალიბების პიეველსავე წლებიდან დაიწყო ეთნოგრაფიის თეორიული ბაზის შემუშავების წარმატებული ცდებიც. ლიბერალურ-ბურჟუაზიული მიმართულების წარმომადგნლები ნ. ნადეჟდინი და ვ. კაველინი თავდაპირველად ეთნოგრაფიის დანიშნულებას ისტორიულ-შემეცნებით მიზნებში ხედავდნენ[27]. ამ მხრივ გაცილებით წინგადადგმული ნაბიჯი გახლდათ რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული მიმდინარეობის წარმომადგნლების *ბ. ბელინსკის, ა. გერცენის, ნ. დობროლიუბოვის, ნ. ჩერნიშევსკისა* და სხვ. შეხედულებები, რომლებიც ახლად აღმოცენებული ეთნოგრაფიული მეცნიერების მთავარ დანიშნულებად თანამედროვე ხალხების ცხოვრების შეცნობასა და შესწავლას თვლიდნენ[28]. მათ შორის ნ. ჩერნიშევსკი ერთ-ერთი პირველთაგანი გახლდათ, რომელიც ეთნოგრაფიას რეტროსპექტრული კვლევების ჭრილში განიხილავდა. ითვალისწინებდა რა მორგანისა და სხვა ევოლუციონისტების მოსაზრებებს, იგი წერდა: *„Каждое племя стоящее на одном из ступеней развития между самым грубым дикарством и цивилизациею, служит представителем одного из тех фазисов исторической жизни, которые были проходими европейскими народами в древнейшие времена“*[29].

მეთოდოლოგიური თვალთახედვით, ანალოგიური იდეური მიმართულებისა გახლდათ ნ. დობროლიუბოვის ისტორიულ-მატერიალისტური შეხედულებებიც,[30] შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ რუსული ეთნოგრაფიის საწყის ეტაპზე *მითოლოგიური სკოლის* (*ა. აფანასიევი, ი. ბუსლაევი, ო. მილერი* და სხვ.) მძლავრობის მიუხედავად, ევროპული ეთნოლოგიის კვალდაკვალ რუსული ეთნოგრაფიის ძირითად თეორიულ მიმართულებად *ევოლუციონიზმი* იქცა. ამ სკოლის წარმომადგენლების *მ. კოვალევსკის, ნ. და მ. ხარუზინების, დ. ანუჩინის, ლ. შტერნბერგის, ნ. ზიბერისა* და სხვ. შეხედულებებმა ვულგარული მარქსიზმის იდეურ შეხედულებებშიც მოიკიდეს ფეხი და, სამწუხაროდ, თავის დროზე გარკვეული გავლენა მოახდინეს ახლადჩამოყალიბებული ქართული ეთნოგრაფიული სკოლის თეორიულ მიმართულებაზეც.

## 2. ეთნოლოგიის ჩამოყალიბება დამოუკიდებელ სამეცნიერო დარგად საქართველოში

### 2.1. *XIX საუკუნის მეორე ნახევრის პერიოდული პრესა, ცარიზმის ადმინისტრაციული აპარატის მოხელე-მკვლევართა ნაშრომები, სტატისტიკურ-დემოგრაფიული კრებულები და რეესტრები ქართველი და კავკასიელი ხალხების სოციალური და კულტურულ-ყოფითი თავისებურებების შესახებ*

XIX საუკუნის მეორე ნახევარი კავკასიის ხალხთა ისტორიაში ახალი მოვლენებით აღინიშნა. ცარიზმის კოლონიური რეჟიმის სიმკაცრის მიუხედავად კავკასია, განსაკუთრებით კი, ამიერკავკასიის ქვეყნები, რუსეთის კვალდაკვალ, ევროპული ცივილიზაციის ორბიტაში მოექცნენ. კავკასიის ევროპეიზაციის საწყისებს თან ახლდა ევროპის მოწინავე ქვეყნების კულტურისა და მეცნიერების მიღწევათა გაცნობა, ცხოვრების ევროპული წესის არა მარტო გაცნობიერება, არამედ მთელ რიგ სფეროებში მისი დამკვიდრების პირველი ცდებიც.

ქვეყნის ევროპეიზაციისა და კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარების პროცესში თავისი მიზნები გააჩნდა ცარიზმის კოლონიალურ ადმინისტრაციასაც. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მეფის რუსეთის სამოხელეო აპარატი ახალ, მიზანმიმართულ ინიციატივებს იჩენდა სწრაფად და სრულყოფილად აესახა კავკასიის ქვეყნები და ხალხები რუსეთის იმპერიის ხაზინის სამეურნეო-კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ პარამეტრებში. ხშირ შემთხვევაში, ეს ღონისძიებანი დადებით როლს ასრულებდა თვით კავკასიელი ხალხების ცხოვრებაში. კავკასიის არაერთი ქვეყანა საუკუნოვანი ფეოდალური ჩამორჩენილობის დაძლევის ზღურბლს უახლოვდებოდა და მოწინავე საზოგადოებრიობა ცხოვრების ახალ, პროგრესულ ფორმებზე გადასვლას დაბრკოლებებითა და წინააღმდეგობებით როდი ხვდებოდა[1].

მეფის რუსეთის სამოხელეო აპარატმა კავკასიისა და საქართველოს დაჩქარებულ ინტეგრაციას ცარიზმის კოლონიალურ სისტემაში რეალური პირობებიც შეუქმნა. და ეს, არა მარტო სოციალურ-ეკონომიკური, არამედ ინტელექტუალურ სფეროშიც. 1850 წელს თბილისში დაარსდა ერთ-ერთი უძველესი გეოგრაფიული სამეცნიერო ორგანიზაციის – *რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება*, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა კავკასიაში საზოგადოებრივი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებას. ათეული წლების განმავლობაში განყოფილება სცემდა მრავალმხრივ საინტერესო ჟურნალებს: *რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ჩანაწერები, 1852-1916 წწ.* და *რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მოამბე, 1872-1917 წწ.*[2] ამ გამოცემების რედაქტორები იყვნენ ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები: *ვ. სოლოგუბი, ი. ბარათოლომეი, ნ. ბერძენიშვილი, მ. ლომიძე, დ. პაგირევი, ნ. კოვალევსკი, ლ. ზაგურსკი, ა. ლიაისტერი და ე. ვერდერევსკი.* ორივე ამ ჟურნალში აქტიურად თანამშრომლობდნენ *ა. ეელა-*

*ხოვი, დ. ბაქრაძე, დ. ჭონქაძე, გ. ყაზბეგი, ნ. ხიზანაშვილი, მ. ჯანაშვილი, გ. რადე, პ. უსლარი* და სხვ.

აღნიშნულ ავტორთა მონოგრაფიების, ნაშრომებისა და წერილების[3] უმრავლესობა ეყრდნობოდა თვით ავტორთა მიერ ფიქსირებულ საველე ეთნოგრაფიულ მონაცემებს, ისტორიულ წყაროებს და შესრულებული იყო იმ დროისათვის დამახასიათებელი ეთნოლოგიური გამოკვლევების სტანდარტების მიხედვით. საყურადღებოა ისიც, რომ აღნიშნულ გამოცემათა პუბლიკაციების უმრავლესობა აპრობირებული და ანოტირებული იყო თავად ჟურნალის ან სხვა პერიოდული გამოცემების ფურცლებზე, აღჭრუვილი იყო ბიო-ბიბლიოგრაფიული მოანაცემებით, რაც ზრდიდა მათი ინფორმაციულობის ხარისხს და ხელს უწყობდა მათ შეუფერხებელ გავრცელებას რუსეთისა და სხვა ევროპული ქვეყნების სამეცნიერო-ლიტერატურულ წრეებში[4].

კავკასიის მთიელთა ყოფა-ცხოვრების ამსახველი ცნობებისა და მასალების შეკრების და მათი ყოველმხრივი აღწერის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, რუსული საიმპერატორო მედიის ამავე კატეგორიის ფუნდამენტურ წყაროთა რიგს მიეკუთვნებოდა უმნიშვნელოვანესი სერიული გამოცემები: *ცნობათა კრებული კავკასიის მთიელთა შესახებ, 1868-1881 წწ. და მასალების კრებული კავკასიის ადგილთა და ტომთა აღწერისათვის, 1881-1927 წწ.*[5] აღნიშნულ გამოცემათა დამაარსებლები და რედაქტორები იყვნენ *ნ. ვორონოვი* (ССКГ), *ნ. კოროვაევი* და *ლ. ლოპატინსკი (СМОМПК).* СМОМПК-ის სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში შედიოდნენ *ნ. მარი, ა. დირი, ა. ლიაისტერი, დ. პავლოვი, ნ. იაკოვლევი, თ. ჟორდანია, მ. ჯანაშვილი, ე. თაყაიშვილი, ე. ვეიდენბაუმი* და *ი. ტატიშვილი.*

ССКГ-ის ფურცლებზე დაბეჭდილ წერილებსა და სტატიებს შორის გამოირჩეოდა ბარონ *პ. უსლარის, ი. ჩერნის, ნ. გრაბოვსკის,* აგრეთვე ადგილობრივი კავკასიელი ავტორების *დ. შანაევის, ბ. გატიევის, ი. კანუკოვის, უ. ლაუდაევის, გ. ამიროვისა* და სხვ. წერილები ოსების, ინგილოების, ჩეჩნების, დაღესტნელების, ინგუშების, ყაბარდოელების, მთიელი ებრაელებისა და სხვ. შესახებ, რომლებშიც გაშუქებული იყო ამ ხალხების ისტორიისა და ეთნოგრაფიის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი[6].

რამდენადმე განსხვავებული მიზნები და ამოცანები გააჩნდა ჟურნალ *СМОМПК*-ის რედაქციას. აღნიშნულ ჟურნალს სცემდა კავკასიის სასწავლო ოლქის სამმართველო, რის გამოც ავტორთა უმრავლესობას ადგილობრივი სკოლების მასწავლებელთა კონტიგენტი შეადგენდა. შესაბამისად იყო შერჩეული თემატიკა – კავკასიის ცალკეული კუთხეების სოფლების მონოგრაფიული აღწერა და შესწავლა. აღწერის პროცესში, კულტურულ-ყოფითი რეალიების გვერდით, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა ფოლკლორული მასალების ფიქსაციას, სადაც წინა პლანზე იყო წამოწეული ეთნოლოგიური კვლევებისათვის ასევე საინტერესო თემატიკა – ხალხური დღესასწაულები, წეს-ჩვეულებები და რწმენა-წარმოდგენები[7].

*СМОМПК*-ის ავტორთა შორის გამორჩეული ადგილი ეჭირათ *მ. ჯანაშვილის, ე. კოზიუბსკის, კ. იანოვსკის, კ. ჰანის, ა. დირის, დ. დერჟავინის, ს. ეგიაზაროვისა* და სხვ. ცნობილ მოგზაურ-მკვლევართა ნაშრომებსა და წერილებს. მათი უმრავლესობა კავკასიის სხვადასხვა ხალხების ისტორიის, არქეოლოგი-

ის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორისა თუ ლინგვისტიკის უმნიშვნელოვანეს პრობელემებს ეხებოდა და მყარ წყაროთმცოდნეობით ბაზას ქმნიდა ეთნოგრაფიული კვლევებისათვის.

პირველხარისხოვანი წყაროთმცოდნეობითი და მეთოდოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდათ აგრეთვე ცარიზმის კოლონიალური მედიის იმ ორგანოებსაც, რომლებიც, მართალია, არაპირდაპირი დანიშნულების ჟურნალებსა და კრებულებს წარმოადგენდნენ, მაგრამ რომლებშიც უხვად იბეჭდებოდა კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიული მონაცემები. ამ მხრივ ძალზე მნიშვნელოვანი იყო 1850 წელს თბილისში დაარსებული კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების მოღვაწეობა და მის მიერ გამოცემული სპეციალური კრებულები და ჟურნალები: *კავკასიის სოფლის მეურნეობა, 1893-1913 წწ., კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ჩანაწერები, 1893-1909 წწ., კავკასიის სოფლის მეურნეობის განყოფილების შრომები, 1885-1893 წწ., კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების კრებული, 1878-1894 წწ. და სხვ.*[8]

ამ სერიულ გამოცემათა წყაროთმცოდნეობით ღირებულებას, ეთნოლოგიური გამოკვლევების თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმის გამოც, რომ, როგორც წესი, სპეციალური დანიშნულების წერილებსა და სტატიებში შეტანილია მეტად საინტერესო მონაცემები კავკასიის ხალხების მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, მებაღეობა-მებოსტნეობის, მევენახეობა-მეღვინეობის, მეაბრეშუმეობისა თუ მეფუტკრეობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებზე[9].

კავკასიის ხალხების სამეურნეო-ეკონომიკური ყოფის შესწავლის მიმართულებით, მართლაც, რომ შეუფასებელია ცარიზმის კანცელარიის სამოხელეო აპარატის მიერ XIX საუკუნის მეორე ნახევარში კავკასიის მხარის სახაზინო გლეხობის მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის მოწესრიგების მიზნით ჩატარებული კოლოსალური სამუშაოები, რომელსაც შედეგად მოჰყვა ყველა ზემოჩამოთვლილი დარგების აღწერილობათა კორპუსები შვიდ ტომად: *მასალები ამიერკავკასიის სახელმწიფო გლეხების ეკონომიკური ყოფის შესწავლისათვის, ტ. I-VII, 1885-1887 წწ.*[10].

ამ მასალების მეცნიერულ ანალიზსა და განზოგადოებას მიეძღვნა ხუთი სქელტანიანი ტომი: *მასალების კრებული ამიერკავკასიის სახელმწიფო გლეხების ეკონომიკური ყოფის შესწავლისათვის, ტ. I-V, 1887-1888 წწ.*[11]

ამავე თვალსაზრისითაა შესრულებული კავკასიის მხარის საზამთრო და საზაფხულო საძოვრებისა და სათიბების საკუთრების განსაზღვრის, აღრიცხვა-მოწყობისა და ექსპლუატაციის ფორმებისადმი მიძღვნილი ოთხტომეულიც – *მასალები კავკასიაში სახაზინო საზაფხულო და საზამთრო საძოვრების მოწყობისა და მესაქონლეობის შესწავლისთვის*, ტ. I-IV, 1887-1895 წწ.[12].

კავკასიის ხალხებისა და ქვეყნების სოფლის მეურნეობის შესწავლის, მისი ორგანიზაციისა და მოწყობის მიზნით განხორციელებულ ამ ფართომასშტაბიან, რთულ და მრავალწლიან საქმიანობაში, სახელმწიფო მოხელეებთან ერთად ჩაბმული იყვნენ ცნობილი კავკასიათმცოდნეები – ეკონომისტები, ისტორიკოსები, იურისტები, სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპეციალისტები. *ქ. ვერმიშევის, ა. კალანტარის, ი. ანდრონიკოვის, ა. ნატროევის, ი. ბახტაძის, გ. ჩურსინის, ს. ეგია ზაროვის, ე. ტურკინის, სტ. ყორღანოვის, პ. ვარავინის, ვ. გე-*

*ევსკის, მ. მაჩაბელის, ს. მაჩაბელისა* და სხვ. ნაშრომები შეიცავენ უმნიშვნელოვანეს ცნობებს საქართველოსა და კავკასიის სხვა კუთხეების მეურნეობის წამოების ხერხებზე და საშუალებებზე, სამეურნეო-ბუნებრივ რესურსებზე, შრომის ორგანიზაციის სხვადასხვა ფორმებზე, საკვები მცენარეულისა თუ ბოსტნეულის სახეებზე, შინაური საქონლის ჯიშებზე, ბინადარი და მომთაბარე მეურნეობის მასშტაბებზე, მეურნეობის სხვადასხვა დარგთა შეთანაწყობის თავისებურებებზე და ა. შ.[13]

ამ პრობლემათა ეთნოლოგიური დატვირთვის გვერდით, ხსენებულ ავტორთა შრომებში ხშირად ვხვდებით წმინდა ეთნოგრაფიული ხასიათის სიუჟეტების სპეციფიკურ ხედვას, ეთნოგრაფიული ფაქტებისა და მოვლენების ზუსტი გამოვლენისა და ფიქსაციის, ყოფითი რეალიების ანალიზისა და განზოგადოების შესაშურ ინტუიციას, რაც კიდევ უფრო ზრდის ამ ნაშრომთა თეორიულ და მეთოდოლოგიურ მნიშვნელობას[14].

და ბოლოს, აღნიშნული კრებულებისა და მრავალტომეულების გვერდით კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიური კვლევების სფეროში მნიშვნელოვან წერილებსა და სტატიებს აქვეყნებდნენ რუსული მედიის კავკასიური ფლაგმანები თბილისში გამომავალი ჟურნალ-გაზეთების სახით, კერძოდ *ტფილისის უწყებანი, 1828-1833 წწ.*[15], *ამიერკავკასიის მოამბე, 1836-1864 წწ.*[16], *კავკასიის კალენდარი, 1847-1917 წწ.*[17], *კავკაზი, 1846-1918 წწ.*[18], *კავკასიის სიძველეები, 1872-1873 წწ.*[19] *კავკასიის არქეოლოგიური კომისიის აქტები, 1866-1904 წწ.*[20] და სხვ.

*ტფილისის უწყებანი* ჯერ კიდევ XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს დაარსდა *ა. გრიბოედოვის* ინიციატივით. იგი მთავრობის ოფიციალურ ორგანოს წარმოადგენდა. სპეციალურ სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ *ნ. ფალავანდიშვილი, პ. სანკოვსკი, ს. ბებუთოვი, ა. სუმბათოვი, ი. ჭილაშვილი* და სხვ. გაზეთის ოფიციალური რედაქტორები იყვნენ *ს. დოდაშვილი* და *ვ. სუხორუკოვი*, რომელიც შემდგომ ვ. გორდეევმა შეცვალა.

*ტფილისის უწყებანის* ავტორებად გამოდიოდნენ *ი. ბურცოვი, გ. გორდეევი, პ. სანკოვსკი, ა. ბესტუჟევ-მარლინსკი* და სხვ. ეთნოლოგიური ხასიათის სტატიები ძირითადად ძველი თბილისის მცხოვრებთა ხალხურ დღესასწაულებს, საქორწინო წეს-ჩვეულებებს, ძველქართულ ხალხურ თამაშობებს, გლოვისა და დაკრძალვის წეს-ჩვეულებებსა და სხვ. ეთნოგრაფიულ სიუჟეტებს ეხებოდა. ამ გაზეთსა და მასში მოთავსებულ ეთნოგრაფიულ წერილებსა და სტატიებს თავის დროზე მაღალ შეფასებას აძლევდა ა. პუშკინი[21].

რუსეთის მთავრობის შემდეგი ოფიციალური ორგანო *ამიერკავკასიის მოამბე*, რომლის ერთ-ერთი რედაქტორი *პ. იოსელიანი* იყო, ხშირად აქვეყნებდა *ი. პოლონსკის, ი. სლავიცკის, ვ. პერევალენკოს, ნ. ბერძენიშვილის, ა. სავანელის* ეთნოგრაფიულ წერილებს ხალხური დღესასწაულების, დაკრძალვის წეს-ჩვეულებების, ზოგადად ქართული მითოლოგიის პერსონაჟების, ქართული ზეპირსიტყვიერებისა და სხვ. შესახებ[22].

მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული წერილები და სტატიები იბეჭდებოდა გაზეთ *კავკაზის* ფურცლებზეც. მეფისნაცვალ *მ. ვორონცოვის* ხელშეწყობით *ო. კონსტანტინოვის* მიერ დაარსებული გაზეთის რედაქტორებად სხვადასხვა დროს მუშაობდნენ *ი. სლავიცკი, თ. ბობილევი, ე. შვარცი, ნ. ვორონოვი, დ.*

*ერისთავი, მ. ტებენკოვი და ი. მილიუტინი. კავკაზის* ფურცლებზე გამოქვეყნებული ეთნოგრაფიული წერილები ეხებოდა საქართველოსა და კავკასიის სხვა ხალხების ეთნოგენეზისისა და ეთნიკური ისტორიის, ყოფისა და კულტურის სხვადასხვა საკითხებს. განსაკუთრებით მრავალფეროვანი იყო ქართული ეთნოგრაფიის შესახებ დაწერილი სტატიები და წერილები, რომელთა ავტორებიც იყვნენ *დ. ბაქრაძე, რ. ერისთავი, პ. იოსელიანი, დ. ყიფიანი* და სხვ. გაზეთის სამხარეთმცოდნეო მიმართულებას ჯერ კიდევ 1847 წელს მაღალი შეფასება მისცა ა. ბელინსკიმ[23].

*კავკასიის კალენდარში* ძირითადად კავკასიის ისტორიის ქრონიკები იბეჭდებოდა, მაგრამ აქვე ქვეყნდებოდა სამხედრო-სტატისტიკური, ლიტერატურულ-ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული ნარკვევები. მეტად მნიშვნელოვანი იყო კალენდარის ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილები კავკასიის მთიანეთის ხალხებისა და ქვეყნების – ჩეჩნეთისა და ჩეჩნების, ხევსურეთის, გუდამაყარის ხეობისა და სხვა კუთხეების, აგრეთვე ზოგადი წერილები კავკასიური რასების, კავკასიის ხალხების ეთნოგრაფიული კლასიფიკაციისა და სხვ. შესახებ. აღნიშნული სტატიებისა და წერილების მაღალი ეთნოგრაფიული ღირებულება განპირობებული იყო იმითაც, რომ აქ ავტორებად გვევლინებიან *პ. იოსელიანი, ა. ბერჟე, ი. ცისკარიშვილი, რ. ერისთავი* და სხვა გამოჩენილი მეცნიერ-მკვლევარები[24].

არსებითად ამ ტრადიციებს აგრძელებდა *ა. ერიცოვის* მიერ დაარსებული ისტორიულ-არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ბიბლიოგრაფიული ჟურნალი *კავკასიის სიძველეები,* რომლის ავტორთა შორის ხშირად ვხვდებით ქართველ მწერალსა და ეთნოგრაფს *რ. ერისთავს*[25].

კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიასთან არსებული არქეოგრაფიული კომისიის ჟურნალი *კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები,* რომლის რედაქტორადაც სხვადასხვა *დროს ა. ბერჟე, დ. კობიაკოვი და ე. ვეიდენბაუმი* გამოდიოდნენ, ძირითადად კავკასიის მთავარმართებელთა მმართველობის წლების მიხედვით დალაგებულ, მეფისნაცვლის კანცელარიაში დაგროვილი საარქივო მასალის თანდათანობით დამუშავებასა და პუბლიკაციას ითვალისწინებდა, თუმცა აქ ხშირად ეთნოგრაფიული სიუჟეტების აღწერა-ანალიზის ცდებსაც ვხვდებით[26].

და ბოლოს, ზემოთ აღნიშნულ ჟურნალებსა და კრებულებში გამოქვეყნებულ მრავალრიცხოვან წერილებში, სტატიებსა და ნაშრომებში მაქსიმალური ობიექტურობითაა გაშუქებული XIX საუკუნის მეორე ნახევრის კავკასიის მთიელთა საზოგადოებრივი ყოფის დამახასიათებელი თავისებურებები, მოცემულია მათი კულტურულ-ისტორიული და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების განზოგადებისა და ანალიზის პირველი ცდები. ეს მონაცემები იმთავითვე დაედო საფუძვლად კავკასიის ხალხების ისტორიისა და ეთნოგრაფიის ფუნდამენტური პრობლემების კვლევას, რაც შემდეგ მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა აღნიშნული სამეცნიერო დისციპლინის საბოლოო ფორმირება-ჩამოყალიბების პროცესს[27].

ამ თვალსაზრისით, აღნიშნულ პერიოდში არა ერთ მნიშვნელოვან მოვლენასთან გვაქვს საქმე. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპული და რუსული ეთნოგრაფიული მეცნიერების პროგრესის დაჩქარებულ პროცესებში შო-

რეული, ეგზოტიკური ქვეყნებისა და ხალხების აღწერასთან ერთად კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიექცა საკუთარი, კერძოდ რუსეთში იმპერიის განაპირა, ევროპული ცივილიზაციისაგან გარკვეულწილად ჯერ კიდევ შორსმდგომი ხალხების აღწერასა და შესწავლას. მათ შორის კავკასიის მთიელთა ყოფისა და კულტურის კვლევას ისტორიულ-ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური, ლინგვისტური, ფოლკლორული თუ სხვა მომიჯნავე მეცნიერების მონაცემების შუქზე, ცარიზმის კოლონიური სისტემის ზემოაღნიშნული ინტერესების გამო პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა[28].

ცარიზმის ადმინისტრაციამ მხედველობაში მიიღო კავკასიის, როგორც ძველი ცივილიზაციის მატარებელი რეგიონის იმიჯი და ინტელექტუალური განვითარების ინტერესთა სფეროში ახალ ინიციატივებს ჩაუყარა საფუძველი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საუკუნის შუა ხანებიდან კავკასიაში ამ მიზნით გაფართოვდა ადრე დაწყებული საქმიანობა, გაიხსნა მთელი რიგი ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებები და დაწესებულებები, დაარსდა მხარეთმცოდნეობითი ხასიათის ჟურნალ-გაზეთები და ა. შ. ამ მხრივ ბაქოსთან, ერევანთან, ვლადიკავკაზთან და სხვა ქალაქებთან ერთად განსაკუთრებულ ადგილს იჭერს თბილისი, რომელიც კავკასიაში რუსეთის მფლობელობის განმტკიცების პირველივე წლებიდან იქცა კავკასიის სამხედრო-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური მართვის ცენტრად. სწორედ ამან განაპირობა თბილისის სამეცნიერო კულტურულ ცენტრებში კავკასიათმცოდნეობით დაინტერესებულ კავკასიელ და უცხოელ მეცნიერ-მკვლევართა და საზოგადო მოღვაწეთა მოზღვავება, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ იმ პერიოდში რუსული კოლონიური პოლიტიკით განპირობებული კავკასიური პრობლემების ფართომასშტაბიან კვლევა-ძიებას[29].

ცარიზმის ადმინისტრაციის ამ ამოცანებიდან გამომდინარე[30] რუს და ევროპელ მოგზაურ-მკვლევართა და მეცნიერთა მონაცემები სისტემატიურ ხასიათს ღებულობს კავკასიის ომის წლებში. ამ მონაცემებს კიდევ უფრო ამდიდრებენ ოფიციალურ მოხელეთა ჩანაწერები, დემოგრაფიული და სტატისტიკური აღწერები. ამ პერიოდის წყაროთაგან განსაკუთრებით ფასეულია *ნიკოლოზ კოლიუბაკინის (1810-1868 წწ.), კარლ სტალის (დაიბ. 1817 წ.), მიხეილ ვენიუკოვის (1832-1901 წწ.), ლეონტი ლიულიეს (1805-1862 წწ.)* ნახევაროფიციალური ეთნოგრაფიული ჩანაწერები და ნაშრომები ჩერქეზებსა და ყაბარდოელებზე, *ვასილ გოლენიშჩევ-კუტუზოვის (დაიბ. 1811 წ.), ოსიპ კონსტანტინოვის (1813-1856 წწ.), ალექსანდრე კომაროვის (1823-1904 წწ.)* და სხვ. ანალოგიური ხასიათის აღწერილობანი ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის მთიელებზე, *პეტრე უსლარის (1816-1875 წწ.), ბერნჰარდ დორნის (1805-1881 წწ.), მარი ბროსესა (1802-1880 წწ.), და ვსევოლოდ მილერის (1848-1913 წწ.)* მეცნიერული გამოკვლევები კავკასიის ხალხთა ენების, ისტორიის, ეთნოგრაფიისა თუ ფოლკლორის საკითხებზე და ა. შ.

კავკასიის მთიელებთან მეცნიერ-მკვლევართა ამ უშუალო კონტაქტებში შეიქმნა სერიოზული ხასიათის გამოკვლევები, რომლებშიც საუბარი იყო არა მარტო კულტურულ-ყოფით მხარეებზე, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის საზოგადოებრივი წყობის ხასიათზეც. ბუნებრივია, კავკასიის მთიელთა ყოფაში *პირველყოფილი დემოკრატიზმისა და გვაროვნული წყობილების „ძიებანი“*

ძალზე შორს იყო რეალობისაგან და უკვე ამ პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით ავტორთა გარკვეული ჯგუფი კავკასიის მთიანეთში არც ფეოდალიზმის არსებობას გამორიცხავდა.

როგორც ცნობილია, რუსულ მეცნიერებაში კავკასიის მთიელთა საზოგადოებრივი წყობის შესწავლა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან დაიწყო. მთიელთა ადათობრივი სამართლის შესწავლა იმთავითვე პრაქტიკულ მიზნებს ითვალისწინებდა და კავკასიის ხალხებში ცარიზმის ადმინისტრაციის სამართალწარმოების დამკვიდრების პრობლემებთან იყო დაკავშირებული[31]. ამასთან, ბუნებრივია ამ მონაცემებს ეთნოგრაფიის ფორმირება-ჩამოყალიბების პროცესში უმნიშვნელოვანესი მეცნიერული ღირებულებანიც გააჩნდა. ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ ჯერ კიდევ *ვასილ გოლენიშჩევ-კუტუზოვის* მიერ ზემოაღნიშნული პროგრამით და ცარიზმის ადმინისტრაციის სპეციალური დავალებით კავკასიის მთიელთა ადათობრივი სამართლისა და შესაბამისი ინსტიტუტების შესწავლა. მანიშნებელია, რომ ავტორმა ჩეჩნების თვითმმართველობის შესწავლისას, პირველად რუსულ ისტორიოგრაფიაში ყურადღება მიაქცია ნათესაური სისტემის ახალ ერთეულს – „*თოხუმს*“, რომელიც შემდგომ კავკასიაში ფართოდ ცნობილი *პატრონომიული გაერთიანების* ფართომასშტაბიანი კვლევის საფუძვლად იქცა[32].

*თოხუმის* შესახებ ახალ მასალებს აქვეყნებს გაზეთ კავკაზის მფლობელი და პირველი რედაქტორი *ოსიპ კონსტანტინოვიც*, რომელიც ნათესაური გაერთიანების ამ ახალ ინსტიტუტს ჭარ-ბელაქანის ოლქის ავართა „*ჯამაათისა*“ და მისი შემადგენელი ნაწილების მაგალითზე აღწერს. კონსტანტინოვის აღნიშნულ მონაცემებს, გოლენიშჩევ-კუტუზოვის აღწერასთან ერთად არსებითი ხასითის მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიის მთიელთა საზოგადოებრივი ყოფის შემდგომი კვლევა-ძიებისათვის[33]. იგულისხმება *თოხუმის ანუ ჯამაათის სოციალური გაერთიანება*, რომელიც შემდგომი პერიოდის მკვლევართა ნაშრომებში საზოგადოებრივი წყობის *დემოკრატიული ფორმის*, ან კიდევ, *რესპუბლიკის* სახელწოდებითაა მოხსენიებული.

სიახლითა და სრულყოფით გამოირჩევა *ა. კომაროვის* მიერ აღწერილი დაღესტნური თოხუმის მოდელიც. „ყოველ თოხუმს გააჩნია თავისი სახელწოდება ან გვარი, რომელიც მეტწილად დამაარსებლის სახელიდან მომდინარეობს. ზოგიერთი თოხუმი ძველთაგანვე სარგებლობს გარკვეული უფლებითა და პრივილეგიით... თავისი წევრების მრავალრიცხოვნებით ან მათი წარმომადგენლების ჭკუა-გონებითა და სიმდიდრით გამორჩეულ ძლიერ თოხუმს ყოველთვის დიდი გავლენა ქონდა, არა მარტო თავის სოფელში, არამედ მთლიანად საზოგადოებასა თუ სამფლობელოში“ – წერდა კომაროვი[34].

XIX საუკუნის 50-იან წლებში ინტერესი კავკასიის მთიელთა საზოგადოებრივი ყოფის შესახებ კიდევ უფრო ძლიერდება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია *კარლ სტალის* ნარკვევები ჩრქეზეთის ეთნოგრაფიიდან, რომელშიც ადიღეელებისა და ყაბარდოელების საზოგადოებრივი ყოფის საკითხებზე მსჯელობისას, სოციალური ორგანიზაციის დონის შესაბამისად, ავტორი მათ *არისტოკრატიულ* და *დემოკრატიულ* საზოგადოებებად ყოფს. სტალს მიაჩნდა, რომ თემი ანუ გენსი ადამიანის პოლიტიკური ორგანიზაციის პირველი დანაყოფი იყო, რომელშიც კავკასიის მთიელები უხსოვარი დროიდან ჩარჩნენ და დღესაც ვერ დაუღწევიათ

თავი[35]. მანიშნებელია, რომ იგი კავკასიის მთიელებს ჰომეროსის ეპოქის ბერძნებს ადარებდა და მათ, ბუნებრივია, შეცდომით გვაროვნული ანუ გვაროვნულ-თემური წყობილების საფეხურზე მდგომ ხალხებად მიიჩნევდა.

მიუხედავად რიგი მცდარი ინტერპრეტაციებისა, სტალის ჩანაწერებს *თოხუმის, კლანის, გენსის, გვარისა და გვაროვნული კავშირის*, როგორც საზოგადოების სოციალური ორგანიზაციის საწყისი ფორმებისა და მათი უნივერსალური ხასიათის შესახებ, ზოგადისტორიული თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა გააჩნდა და იგი ამ თეორიული კვლევების ერთ-ერთ პირველ ავტორადაა მიჩნეული.

დაბოლოს, კავკასიის ხალხების სოციალური ორგანიზაციის ადრინდელი ფორმების შესწავლის საქმეში თავისი ნაშრომებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა *ნ. კოლიუბიაკინმა*[36]. იგი ერთ-ერთი პირველთაგანი გახლდათ, რომელმაც მტკიცე პროტესტი გამოთქვა კავკასიელ მთიელთა ყოფაზე მიკერებული ჩამორჩენილობის, თითქოსდა *„ველურობის"* იარლიყის შესახებ[37]. კოლიუბიაკინის დებულებებმა მთიელთა სოციალური ურთიერთობების განსხვავებული დონის შესახებ შემდგომში ხელი შეუწყო ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში ჩამოყალიბებულ შეხედულებას კავკასიის მთიელთა განვითარებული ფეოდალური წყობის შესახებ[38]. როგორც ცნობილია, ამ შეხედულების კვალდაკვალ და საპირისპიროდ შედარებით ნაკლებად განვითარებული ხალხების სოციალური დონის აღმნიშვნელ ცნებად რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში მკვიდრდება ტერმინები *დემოკრატიული მმართველობა, თავისუფალი საზოგადოება, რესპუბლიკა, ფედერაციული რესპუბლიკა* და ა. შ.[39]

კავკასიის მთიელთა ეთნოგენეზის, ეთნიკური ისტორიის, საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის კვლევა-ძიების პროცესში იმთავითვე დიდი ყურადღება ექცეოდა მთიელთა ენათა ოჯახების, ენების, დიალექტებისა და კილო-კავების შესწავლას და მათ ლინგვისტურ ანალიზს. კვლევის ამ შედეგებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა ამა თუ იმ ხალხის წარმოშობის, ლოკალიზაცია-განსახლების, ეთნო-კულტურული ურთიერთობებისა თუ ხალხთა დიდი მიგრაციებისა და გადასახლებების მნიშვნელოვანი საკითხების გაშუქების პროცესში, რაც საბოლოო ჯამში ობიექტურად კვლავ და კვლავ საქართველოსა და კავკასიაში ეთნოგრაფიული კვლევების ევროპული სტანდარტების დამკვიდრებას უწყობდა ხელს. ამ მხრივ, XIX საუკუნის შუა ხანებში ქართული და სომხური ენათმეცნიერების, საქართველოსა და სომხეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესწავლას ფასდაუდებელი ამაგი დადო ცნობილმა ფრანგმა ორიენტალისტმა *მარი ბროსემ*, რომელმაც ქართულ-სომხური ენათმეცნიერული ძიებანი პარიზში დაცულ ხელნაწერთა შესწავლით დაიწყო. ამასთან, მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა *სენ-მარტენთან* და პეტერბურგში მცხოვრებ *თეიმურაზ ბატონიშვილთან*. ამ პერიოდში იგი აქვეყნებს რამდენიმე ქართველოლოგიურ ნაშრომს და მათ შორის ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოებს (*L art liberale ou grammaire georgienne*), რამაც საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ ქართველოლოგიას ევროპაში[40].

1847-1848 წლებში ბროსემ იმოგზაურა საქართველოში. ეპიგრაფიკულ, ნუმიზმატიკურ და სხვა სახის დოკუმენტურ ნიმუშებთან ერთად იგი აგროვებს

ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის მნიშვნელოვან მასალას, რომლის საფუძველზეც პეტერბურგში აქვეყნებს შემაჯამებელ მონოგრაფიას 3 ტომად[41].

მარი ბროსე, როგორც პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (1837 წ.) ქართულ-სომხური ფილოლოგიის განხრით, დაუღალავ მუშაობას ეწევა ლინგვისტიკის დაგშიც. ამ მუშაობის შედეგი გახლდათ ბროსეს მიერ ევროპულ ლინგვისტურ მეცნიერებაში პირველად გამოთქმული ვარაუდი ქართული ენის ინდოევროპულ ენათა ინდოირანულ შტოსადმი კუთვნილების შესახებ, რაც ასევე აქტუალურად ჟღერს თანამედროვე ლინგვისტური მეცნიერების თვალსაზრისითაც.

გ. ჩიტაია საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიის საკითხებზე მსჯელობისას მაღალ შეფასებას აძლევდა მარი ბროსეს მოღვაწეობას და იგი დავით ციციშვილ-ფანასკერტელთან, რაფიელ ერისთავთან, დავით ბაქრაძესთან, ნიკო ხიზანიშვილთან და სხვ. ერთად საქართველოში ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების ერთ-ერთ ფუძემდებლად მიაჩნდა[42].

საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიას, კერძოდ, ეთნოლინგვისტიკის საკითხების შესწავლას მ. ბროსეს კვალდაკვალ დიდი ამაგი დადო ცნობილმა რუსმა ფილოლოგმა-ორიენტალისტმა და ეთნოგრაფმა, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა *ვსევოლოდ მილერმა*. მისი გამოკვლევები, კავკასიური ენებისა და ზოგადად ეთნოგრაფიის საკითხებზე, გამოირჩევა ფაქტოლოგიური მასალის სიახლითა და მეცნიერული ანალიზის სიღრმით.

კავკასიის ეთნოგრაფიული შესწავლით მილერი 70-80 წლებში დაინტერესდა და ამ მიზნით ხუთგზის იმოგზაურა კავკასიაში. მილერი განსაკუთრებით დაინტერესდა ოსეთის ისტორიითა და ეთნოგრაფიით, სადაც მას მეგზურობას უწევდნენ შემდგომში ცნობილი ოსი ეთნოგრაფები *საბა კოკიევი, ინალეკო თხოსტოვი, სოლომონ ტოკაევი* და სხვ. თავის მხრივ მილერმა დიდი გავლენა მოახდინა *მ. კოვალევსკის, ი. ანისიმოვისა და ნ. ხარუზინის* შემოქმედებაზე და დააინტერესა ისინი საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიით.

ვსევოლოდ მილერის ეთნოგრაფიულ ეტიუდებში ოსეთზე აღწერილია ოსების წარმოშობისა და განსახლების საკითხები, მათი ტრადიციული ყოფა, კერძოდ, რწმენა-წარმოდგენები და ტრადიციები, ჯადოქრობა, მკითხაობა, დაკრძალვის წესები, კერის თაყვანისცემა და ა. შ. ფაქტობრივად მილერის ეს ნარკვევები ოსეთის ძველი რელიგიის შესწავლის ერთ-ერთ პირველ ცდას წარმოადგენდა[43].

როგორც დაშკოვის ეთნოგრაფიული მუზეუმის განძის მცველი და ეთნოგრაფიული მასალების კრებულის რედაქტორი (1885-1897 წწ.), მილერი სისტემატურად აღწერდა აღნიშნული მუზეუმის სიძველეებს. ამ და სხვა, პირადად მის მიერ მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით, იგი იძლევა კავკასიის სხვადასხვა ხალხების – ქართველების, ყაბარდოელების, ოსების, ქურთების, ავარიელების, სომხებისა და ჩეჩნების მოკლე აღწერილობას ეთნოგრაფიული თავისებურებების გათვალისწინებით[44].

მილერს ეკუთვნის აგრეთვე ცალკე წერილები კავკასიის ხალხების რწმენა-წარმოდგენების შესახებ საფლავის ქვებზე დატანილი წარწერების მიხედ-

ვით, ცალკე აქვს გამოქვეყნებული დაკრძალვის წეს-ჩვეულებები კავკასიის ხალხებში და ა. შ.[45]

მილერის ეს ჩანაწერები და ნაშრომები გამოირჩევა ღრმა აკადემიზმით და სანდოობის მაღალი რეიტინგით.

აღნიშნული პერიოდის ეთნო-ლინგვისტური კვლევებიდან შეუძლებელია არ აღინიშნოს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრის, ბარონ პეტრე უსლარის გამოკვლევები კავკასიური, კერძოდ აფხაზური, ჩაჩნური, ხუნძური, ლაკური, დარგოული, ლეზგიური, თაბასარანული და სხვ. ენების ფონეტიკური შემადგენლობის, გრამატიკული სტრუქტურისა და მათი ლინგვისტური კლასიფიკაციის შესახებ[46]. თანამედროვე კავკასიური ენათმეცნიერების თვალსაზრისით, უდავოდ საყურადღებოა უსლარის მიერ ჯერ კიდევ 1864 წელს გამოთქმული მოსაზრება იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის შესახებ, რომელიც დღესაც ქართული ლინგვისტური და ეთნოლოგიური კვლევა-ძიების მნიშვნელოვან მიმართულებადაა ქცეული.

ამრიგად, ზემოთ მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ეთნოგრაფიული მეცნიერების ფორმირების საბოლოო ეტაპი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ვითარების უაღრესად დინამიურ ფონზე მიმდინარეობდა. საქართველოს ძალისმიერ ინტეგრაციას რუსული კოლონიალიზმის სისტემაში და თავად რუსეთის ევროპეიზაციის საწყისებს თან ახლდა ევროპის მოწინავე ქვეყნების კულტურისა და მეცნიერების მიღწევათა გაცნობა, ცხოვრების ევროპული წესის გაცნობიერება და მისი დამკვიდრების პირველი ცდები.

თავის მხრივ, მეფის რუსეთის ადმინისტრაციული აპარატი ამ პროცესების დასაჩქარებლად ადგილზე განხორციელებული რეალური პირობები შექმნითაც უწყობდა ხელს. ამის თვალსაჩინო მაგალითი გახლდათ *1850 წელს თბილისში დაარსებული ერთერთი პირველი სამეცნიერო დაწესებულების – რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა კავკასიაში საზოგადოებრივი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების სხვადასხვა დარგების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.* ამ საზოგადოების პერიოდულ გამოცემებში, ჟურნალ-გაზეთებსა და რუსეთის კავკასიური მედიის სხვა პუბლიკაციებში, უწყებრივ და დარგობრივ ნაშრომებთან (ქ. ვერიშევი, ა. კალანტარი, ი. ანდრონიკოვი, პ. ვარავინი და სხვ.) ერთად პერიოდულად ქვეყნდებოდა ცნობილი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების (ი. ბართოლომეი, ე. ვეიდენბაუმი, ა. ლიაისტერი, გ. რადე, პ. უსლარი, ა. დირი და სხვ.), განსაკუთრებით კი ადგილობრივი მკვიდრი ავტორების *(ნ. ბერძენიშვილი, ი. ჭილაშვილი, ნ. ფალავანდიშვილი, ი. და ვ. ცისკარიშვილები, დ. ბაქრაძე, პ. იოსელიანი, გ. ყაზბეგი, რ. ერისთავი, ნ. ხიზანიშვილი* და სხვ.) თემატიკურად მრავალფეროვანი მონოგრაფიები, სტატიები და წერილები, რომლებშიც განხილული იყო *ამიერ და ჩრდილო კავკასიის ხალხების, მცირე ეთნიკური თუ ეთნოგრაფიული ჯგუფების ტრადიციული ყოფისა და კულტურის დამახასიათებელი თავისებურებები – ეთნოგენეზისა და ეთნოგენეტიკური ურთიერთობის, ეთნოსისა და ეთნიკურ უმცირესობათა განსახლების, მათი ეთნიკური ისტორიის, ეთნოეკოლოგიური გარემოს, ეთნოკულტურული ვითარების ისტორიული კანონზომიერებების, მატერიალური და სულიერი კულტურის ფასეულობების,*

*ხალხური სამართლისა და სოციალური ინსტიტუტების, რელიგიური დღესასწაულების, რწმენა-წარმოდგენებისა და სხვა კულტურულ-ყოფითი რეალიების თითქმის ყველა მნიშვნელოვანი საკითხი.*

ევროპის ქვეყნებში იმ პერიოდში საკმაოდ ცნობილი და აპრობირებული კოლონიალური ექსპანსიის ეს ლიბერალური მეთოდი რუსეთში ცარიზმის ადმინისტრაციამ წარმატებით გამოიყენა კავკასიის, შუა აზიისა და ციმბირის განაპირა ქვეყნების საბოლოო დასაპყრობად და ამ ქვეყნებში ხანგრძლივი ბატონობის დასამყარებლად.

საქართველოსა და კავკასიაში ისტორიული მოვლენების ასეთი განვითარების მიუხედავად, შეუძლებელია არ აღინიშნოს ამ პროცესებთან დაკავშირებული კიდევ ერთი პოზიტიური მხარის შესახებაც. კერძოდ, ზემოთ აღნიშნულ ავტორთა ნაშრომებსა და მონოგრაფიებში თანდათანობით იკვეთებოდა და ყალიბდებოდა იმ პერიოდში რუსეთსა და ევროპის მოწინავე ქვეყნებში ახლადფეხადგმული ეთნოლოგიური მეცნიერების თეორიული, მეთოდოლოგიური და წყაროთმცოდნეობითი შეხედულებები და პრინციპები.

კავკასიის ქვეყნებისა და ხალხების დაჩქარებული ინტეგრაცია რუსული კოლონიალიზმის სისტემაში, რაც ადგილობრივ ადმინისტაციულ, სამეურნეო-კულტურულ და ეკონომიკურ სფეროებში ახალ რეფორმატორულ ცვლილებებს მოითხოვდა, კიდევ უფრო აფართოებდა მკვიდრი მოსახლეობის კულტურულ-ყოფითი თავისებურებების გამოვლენისა და შესწავლის აუცილებლობას. ამჯერადაც წინა პლანზე იწევდა კავკასიის მთიელთა დემოგრაფიულ-სტატისტიკური მონაცემების, სოციალური ორგანიზაციის, ადათობრივ-სამართლებრივი ნორმებისა და სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების თავისებურებათა გამოვლენისა და შესწავლის საკითხები. შესაბამისად, ამ პერიოდის წყაროთაგან აღსანიშნავია *ვ. გოლენიშჩევ-კუტუზოვის, კ.სტალის, ო.კონსტანტინოვის, ა.კომაროვისა* და სხვ. მიერ კავკასიის მთიელთა ყოფაში *ნათესაური სისტემის მანამდე მეცნიერებაში უცნობი, ერთ-ერთი ტრადიციული ინსტიტუტის – თოხუმის* შესწავლა, მისი კავშირი *„კლანის“, „გენსის“, „გვარისა“* და *„გვაროვნული კავშირის“* სოციალური ორგანიზაციის ფორმებთან, რომლის აღმნიშვნელ ტერმინად რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში *ე.ვეიდენბაუმის* მიერ ადრე შემოტანილი ე.წ. *„დემოკრატიული მმართველობა“, „თავისუფალი საზოგადოება“, „რესპუბლიკა“, „ფედერაციული რესპუბლიკა“* და ა.შ. ახლა უკვე საბოლოოდ მკვიდრდება.

აღნიშნულ პერიოდში ქართულ ისტორიოგრაფიაში ახალი მიმართულებების შემოტანის კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია ცნობილი ფრანგი ორიენტალისტის *მარი ბროსეს,* მის კვალდაკვალ კი, რუსი ფილოლოგისა და ეთნოგრაფის *ვსევოლოდ მილერის* ეთნო-ლინგვისტური ნაშრომები და მონოგრაფიები. აშკარად ფასდაუდებელია მარი ბროსეს ქართულ-სომხური ენათმეცნიერული ძიებანი, რომლის შედეგებმა მკვლევარს ევროპული მეცნიერული ქართველოლოგიის ფუძემდებლის სახელი მოუხვეჭა. ასევე მნიშვნელოვანი გახლდათ ბროსეს მოღვაწეობა ქართული ეთნოგრაფიის სფეროშიც, სადაც იგი რაფიელ ერისთავთან, დიმიტრი ბაქრაძესთან, ნიკო ხიზანაშვილთან და სხვ. ერთად საქართველოში ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების ერთ-ერთ ფუძემდებლადაა მიჩნეული.

## 2.2. *პლატონ იოსელიანისა და დიმიტრი ბაქრაძის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა ახალი ქართული ისტორიოგრაფიის ფორმირების შუქზე*

საქართველოსა და კავკასიის მთიელთა სოციალური ორგანიზაციისა და ლინგვისტური მახასიათებლების ადრინდელი ფორმების რუს და სხვა უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა თვალით დანახული პირველი შეფასებები და მათი ინტერპრეტაციები კავკასიაში ცარიზმის კულტურულ-საგანმანათლებლო და მეცნიერულ საქმიანობასთან ერთად, ფონს უქმნიდა ამავე პერიოდში კავკასიის მასშტაბით გაჩაღებული საკუთარი ხალხების ყოფისა და კულტურის ეროვნული, ეთნიკური ფორმების გამოვლენა-შესწავლისა და განზოგადოების დაჩქარებულ პროცესებს. ამ პროცესებს კი, პირველ რიგში, საქართველოსა და კავკასიის მასშტაბით ცნობილი მკვლევარები, ამჟამად უკვე პროფესიონალი მეცნიერები ახორციელებდნენ, რომლებიც მაქსიმალური ობიექტურობით უდგებოდნენ და აშუქებდნენ თავიანთი ხალხების წარსულის, აწმყოსა და მომავლის პრობლემებს. ამ საქმიანობის წარმატებით განხორციელების საქმეში კი მათ კვლავ ამ პერიოდში შექმნილი პოლიტიკური კონიუნქტურა უწყობდა ხელს. მართლაც, XIX საუკუნის შუა ხანებიდან ზემოთხსენებულ სიახლეებთან ერთად ქართველი და კავკასიელი მოყვარული ეთნოგრაფებისა და მხარეთმცოდნეების ცხოვრებაში ახალი ხანა დგება. ცარიზმის ადმინისტრაციამ დაპყრობილ ხალხებს ახალი ინტელექტუალური საზრდო გაუჩინა. 1852 წელს რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების გადაწყვეტილებით, თბილისში გაიხსნა და ჩამოყალიბდა მრავალპროფილიანი კავკასიის მუზეუმი, რომელმაც შემდგომში საქართველოსა და კავკასიაში ახალი სამეცნიერო მიმართულებებისა და კვლევების განვითარებას შეუწყო ხელი[1].

საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ამ აღმავლობის პროცესში თბილისური „მეტროპოლიის“ როლით უნდა აიხსნას ქართულ-კავკასიური ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო დარგების განვითარება-გაფართოების საქმეში ადგილობრივი ქართველი ინტელიგენციის განსაკუთრებული როლიც, რომელთა დიდი ნაწილი სწორედ ეროვნული მეცნიერების წამყვანი დარგის – ეთნოგრაფიის პრობლემებით იყო დაინტერესებული. ამ მხრივ ზემოთ აღნიშნულ ერთეულ მოღვაწეებს XIX საუკუნის მეორე ნახევარში ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა და მეცნიერ-მკვლევართა ახალი მძლავრი ნაკადი შეემატა.

XIX საუკუნის შუა ხანებში ისტორიულ-ეთნოგრაფიული აზროვნების ფორმირებისა და ჩამოყალიბების საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის *პლატონ იოსელიანს*, რომელმაც ახალი პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ერთ-ერთმა პირველმა პროფესიონალ ისტორიკოსთა შორის, მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებას.

პლატონ იოსელიანმა 1835 წელს დაამთავრა პეტერბურგის სასულიერო აკადემია ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით და მუშაობდა თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებლად. 1845-1856 წლებში იგი რედაქტორობდა რუსულ პერიოდულ გაზეთს – *ზაკავკაზსკი ვესტნიკს*, რომელშიც მან გამოაქვეყნა არაერთი ისტორიულ-არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ნაშრომი.

იგი განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა ეთნოგრაფიულ მასალას და მას ისტორიული წარსულის კვლევის საქმეში სანდო საისტორიო წყაროდ მიიჩნევდა[2].

პლატონ იოსელიანი მსოფლმხედველობით იდეალისტი გახლდათ, რომლის ფესვებიც აღნიშნული პერიოდის დასავლეთ ევროპის ისტორიოგრაფიის იდეალისტური შეხედულებებიდან მომდინარეობდა. მკვლევარის აზრით, ისტორიულ პროცესებს უზენაესი განგება წარმართავდა[3].

დასავლეთის ისტორიოგრაფიის გავლენებს უნდა მიეწეროს იოსელიანის მიერ კაცობრიობის ისტორიის 3 დიდ პერიოდად დაყოფა, სადაც დასახელებულია *გვაროვნული ანუ პირველყოფილი-თემური, ფეოდალური* და *კაპიტალისტური წყობილებები*. ამრიგად, როგორც ჩანს, იგი იცნობდა და იზიარებდა კიდეც ევოლუციონისტთა შეხედულებებს საზოგადოების აღმავალი განვითარების ისტორიული კანონზომიერების შესახებ, მაგრამ საბოლოოდ არ იყო გათავისუფლებული შუა საუკუნეების თეოლოგიური, კლერიკალური შეხედულებებისაგან, რაც აისახა კიდეც მის იდეალისტურ მსოფლმხედველობაში.

პლატონ იოსელიანის ეთნოგრაფიული ნაშრომებიდან აღსანიშნავია გამოკვლევები ქართველთა ტომობრივი სახელწოდებების შესახებ, სადაც იგი ქართული ეთნარქების საინტერესო ინტერპრეტაციებს იძლევა[4]. ეთნოგრაფიულ სიუჟეტებს ეხება მგზავრის ჩანაწერები კახეთზე, დაღესტანსა და ფშავზე[5], აგრეთვე თბილისის გუბერნიის ქალაქ დუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული აღწერა[6] და ა. შ.

პ. იოსელიანის დასახელებულ ნაშრომთაგან, ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ქალაქ დუშეთის აღწერაა, სადაც იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მხარის გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებს, მოსახლეობას, ეკონომიკას, ისტორიულ ძეგლებსა და ხალხურ წეს-ჩვეულებებს[7]. ნაშრომი მდიდარია ტოპონიმიკური თქმულებებითა და სხვა ზეპირსიტყვიერი მასალებით, თუმცა ავტორმა კარგად იცის, რომ „ხალხურ თქმულებაში არსებული ამბის „ისტორიული ფაქტის ხარისხში შეყვანა“ ანუ მისთვის ზღაპრულ-ფანტასტიკური პლასტების ჩამოცილება აუცილებელ საქმეს წარმოადგენს[8].

პ. იოსელიანი სარწმუნოდ, რეალურ ფაქტად მიიჩნევდა ძველ ბერძენ ისტორიკოსთა ცნობებს (ჰეროდოტე და სხვ.) დასავლეთიდან, საბერძნეთიდან კავკასიის ყელის გავლით ჩრდილოეთისაკენ ხალხთა მიგრაციის შესახებ, კონკრეტულად მეოტიელთა დასახლებას თორმედონის ნაპირებზე[9]. ამ მიგრაციის კვალად თვლის პ. იოსელიანი ბერძნული კულტურის, წარმართულ ღვთაებათა – კერძოდ, *ზევსის, ორფეოსის, კრონოსის, არმაზის (ორმუზდის), ზადენის* და სხვ. არსებობას ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფასა და ლექსიკაში[10].

პ. იოსელიანის თვალსაზრისი დასავლეთიდან, კერძოდ, საბერძნეთიდან ხალხთა და კულტურათა მიგრაციის შესახებ არ არის რეალურ საფუძველს მოკლებული, მაგრამ აშკარად ცდება იგი, როცა აღმოსავლურ (სპარსულ) ღვთაება *ორმუზდს* ბერძნულ ღვთაებად მიიჩნევს და არმაზ-ორმუზდის იგივეობას ამტკიცებს. ასევე არაა სწორი *ზადენის* ბერძნულ სამყაროსადმი მიკუთვნება[11], რაც ამ პერიოდის ისტორიული აზროვნების საერთო დონის გათვალისწინებით, მკვლევარს დიდ ცოდვად არ უნდა ჩაეთვალოს.

ნაშრომის ერთ-ერთ თავში – ეთნოგრაფიული შენიშვნები – პ. იოსელიანი ვრცლად მიმოიხილავს სახალხო დღეობებსა და წეს-ჩვეულებებს, კერძოდ, ცეცხლზე გადახტომას ვნების კვირის ოთხშაბათს, ჭიდაობას, მუშტით ბრძოლას, ყველიერის დღის გართობა-თამაშობებს, ცხენთა ჯირითს, ყეენობას, ჭონას და სხვ. ისტორიკოსი თითოეული წეს-ჩვეულებების დახასიათებას სხვა ხალხთა წეს-ჩვეულებებთან მიმართებაში გვაწვდის. მკლევარის აზრით, ყეენობა „იმართებოდა დიდი მარხვის პირველი კვირის ორშაბათს და გამოხატავდა ძველი შაჰების გამასხარავებასა და დამცირებას"[12]. ყეენობის თამაშის ანალოგიას პ. იოსელიანი ხედავს საფრანგეთში, დიჟონში, ჯერ კიდევ XV საუკუნეში გავრცელებულ „მერ ფოლლეს" სახელწოდებით ცნობილ ხალხურ გართობა-თამაშში[13].

უდავოდ სწორია პ. იოსელიანის დაკვირვება ყეენობის, როგორც ძველი ქართული სანესჩვეულებო სახალხო დღესასწაულის, შესახებ, რომელიც თავისი პირველადი დანიშნულებით წარმართული შინაარსისაა და წარმომავლობით მოსავლიანობის, ნაყოფიერების ღვთაების დღესასწაულია. შემდეგ მას ისტორიულ გარემოებათა წყალობით ყეენის ანუ შაჰის სახელი დაუმკვიდრდა და დამპყრობელთა წინააღმდეგ მიმართულ სანახაობად იქცა[14].

მეტად საგულისხმო დაკვირვებები აქვს პ. იოსელიანს გაზაფხულის სახალხო დღესასწაულის – ჭონას შესახებაც. ალბათ, ქართულ ეთნოგრაფიულ კვლევებში ერთ-ერთი პირველი შემთხვევაა, როდესაც მკვლევარი ყურადღებას აქცევს ამა თუ იმ ეთნოგრაფიული ფაქტის თუ მოვლენის წარმომავლობა-გენეზისის საკითხებს, იხილავს მას ფართო შესადარებელი მასალების ფონზე და გამოთქვამს ვარაუდს ამ დღესასწაულის უცხო, მიგრაციის გზით წარმომავლობაზე. მნიშვნელოვანი დაკვირვებები აქვს გამოთქმული მკვლევარს ქართული მესტვირეობის შესახებაც, რომელსაც იგი XII-XIII საუკუნის სამხრეთ საფრანგეთში, კერძოდ პროვანსში გავრცელებულ არისტოკრატიულ სალონთა პოეზიის შემოქმედ ტრუბადურთა მოღვაწეობას უკავშირებს[15].

ასევე ფართო შედარებით-ისტორიული ანალიზის ფონზეა გაშლილი *პ. იოსელიანის* სპეციალური გამოკვლევა ქართველთა ეთნოგენეზისის პრობლემებზე – *Историческое и географическое описание древней Грузии*, რომელიც 1838 წლის 23 ივნისის თარიღით ინახება ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის არქივში[16].

დასახელებულ ნაშრომში პ. იოსელიანი მის ხელთ არსებული როგორც ქართული, ისე განსაკუთრებით ანტიკური წერილობითი წყაროების და ქართული, რუსული თუ ევროპული საისტორიო ლიტერატურის მონაცემთა საფუძველზე მიდის დასკვნამდე, რომ ქართველთა წარმოშობის ქართლის ცხოვრებისეულ კონცეფციას მყარი ნიადაგი არ მოეძებნება. მისი ღრმა რწმენით, ქართლოსი და სხვა ეთნარქები არარეალური პიროვნებებია, მათ შესახებ ცნობები ლეგენდარული და ზღაპრულია. „ჩვენ მატიანეებს, – აღნიშნავს იგი, – ივერიის ყველა მოსახლე იაფეთის შვილი-შვილის შვილისაგან გამოჰყავთ. არავითარი ეჭვი არაა, რომ ამგვარი თვალსაზრისი მოგვიანო ხანის შემოქმედების ნაყოფია, კერძოდ, იმ დროისა, როდესაც მათ ენებზე ითარგმნებოდა საღვთო წერილი"[17].

პ. იოსელიანის თვალსაზრისი ქართველ ეთნარქთა და საერთოდ ქართველი ხალხის წარმოშობის შესახებ იმით არის საინტერესო, რომ ავტორი თავის პოზიციას ამყღავნებს *„ქართლის ცხოვრების“* უძველეს ნაწილში გამოყენებული ზეპირსიტყვიერი თქმულება-გადმოცემის მიმართ, უარყოფს ლეონტი მროველის გამოყენებული მასალის ისტორიულ ღირებულებას და გადმოცემებს ეთნარქებზე იგავებად მიიჩნევს[18].

მიუხედავად იმისა, რომ შემდგომი პერიოდის ფართომასშტაბიანმა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულმა კვლევებმა სააშკარაოზე გამოიტანეს პ. იოსელიანის რიგი მცდარი დებულებები და დასკვნები და უცილობლივ დაადასტურეს ქართული ხალხური დღესასწაულების, თქმულება-გადმოცემების, წეს-ჩვეულებებისა და რწმენა-წარმოდგენების ქართულ ეროვნულ ნიადაგზე წარმომავლობა, ქართველი მეცნიერის ეს შეხედულებები პასუხობდა ეპოქის მეცნიერულ დონეს და კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპების თვალთახედვით ახლად აღმოცენებული სამეცნიერო დისციპლინის – ქართული ეთნოგრაფიის ორიგინალურ შენაძენს წარმოადგენდა.

XIX საუკნის მეორე ნახევარში საქართველოში ისტორიულ-ეთნოგრაფიული აზროვნების თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები ახალ საფეხურზე ადის გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის, ახალი ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებლის *დიმიტრი ბაქრაძის* შემოქმედებაში.

თბილისის სასულიერო სასწავლებლისა და მოსკოვის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ (1851 წ.) დიმიტრი ბაქარაძე საქართველოში ბრუნდება და მუშაობას იწყებს გორის სამაზრო სკოლაში. უკვე ამ პერიოდს (1852-1867 წწ.) ეკთვნის ავტორის პირველი ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, რომლებიც რეგულარულად ქვეყნდებოდა ქართულ და რუსულ პერიოდულ პრესაში[19].

1858-1861 წლებში დიმტრი ბაქრაძე მსახურობდა ქუთაისი გუბერნატორის კანცელარიაში, რომლის შემდეგაც სიცოცხლის ბოლო წლებამდე მუშაობდა ქ. თბილისში სხვადასხვა თანამდებობებზე, მათ შორის თავმჯდომარეობდა საადგილმამულო კომისიას და ეწეოდა ინტენსიურ მეცნიერულ მუშაობას[20].

1873 წელს დიმიტრი ბაქრაძის ინიციატივით დაარსდა კავკასიის არქეოლოგთა საზოგადოება, 1879 წელს კი, დავით ყიფიანთან და ილია ჭავჭავაძესთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. 1889 წელს მისი ინიციატივით შეიქმნა თბილისის საკლესიო მუზეუმი – ქართულ სიძველეთა შეკრებისა და დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერა საქართველოში[21].

დ. ბაქრაძემ კარგად იცოდა, რომ ერის კულტურული მემკვიდრეობის აღდგენისათვის ბრძოლა შეუძლებელი იქნებოდა მისი ისტორიის შესწავლის გარეშე. აქედან გამომდინარე იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ისტორიის წყაროთმცოდნეობით-მეთოდოლოგიურ საკითხებს. ახლოს იცნობდა რა თანამედროვე ევროპული ისტორიოგრაფიის მიღწევებს, მკვლევრის დაკვირვებით ფოლკლორი და ეთნოგრაფია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მასალა იყო ეროვნული ისტორიის შესასწავლად. „ გინდათ სახლი ააშენოთ? ჯერ აირჩიეთ ადგილი, მასუკან იმ ადგილს მიზიდეთ ყველა საჭირო მასალა; თორემ უამისოდ სახლს ვერ ააშენებთ.... ისტორიაც სახლია, რომელშიც უნდა იცხოვროს

მთელმა ხალხმა. მივიღოთ ყველამ მონაწილეობა, ერთ ადგილას მოვზიდოთ ყველა მასალა, ვისაც რა გვაქვს, და შემდეგ მოვითხოვოთ ისტორიის აშენებაც" – წერდა იგი გაზეთ ივერიაში[22].

დ. ბაქრაძე ხალხის ყოფა – ცხოვრების ამსახველ ზეპირსიტყვიერებას ერთ-ერთ ისტორიულ წყაროდ მიიჩნევს. მისი აზრით, საქართველოს წინაისტორიული ხანის წყაროები ძალზე მცირეა და თანაც ზღაპრულ ხასიათს ატარებენ. ამის გამო იგი ძველი ისტორიის საკითხების კვლევისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ზეპირსიტყვიერებას, ეთნოგრაფიულ მონაცემებს. ამასთან, მეცნიერმა მშვენივრად იცის, რომ ზეპირგადმოცემებსა და თქმულებებში ბევრი რამ ხალხის ფანტაზიას ეკუთვნის და ისინი კრიტიკულ შესწავლას მოითხოვენ[23].

ისტორიისა და ეთნოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი ბაზისა და თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხების თავის თანამედროვე ევროპელი ისტორიოგრაფიის დონეზე ცოდნას დ. ბაქრაძე თავის შენიშვნებში არაერთგზის ამჟღავნებს. წერილში *„ქართლის ცხოვრების პირველგადმოცემათა წყაროები და მათი ხასიათი"* დ. ბაქრაძე დიდი სიფრთხილით აფასებს *„ქართლის ცხოვრებაში"* შესულ მასალებს. მართალია, იგი ეჭვის თვალით უყურებს მითებში, თქმულებებსა და ლეგენდებში გადმოცემულ მასალებს, მაგრამ ჭეშმარიტების მარცვალს აქაც კარგად ამჩნევს. „სადაც უნდა იყოს და როგორც უნდა იყოს ამ უკანასკნელთ დასაწყისი: იბადებიან იგინი თვით ერში, თუ შემოდიან გარედან, მაინცა და მაინც ჩვენ არ შეგვფერის მათდამი უყურადღებობა, რადგან, როგორც ცნობილია, ხშირად აღბეჭდავდნენ ისინი ერში დანერგილს რომელსამე მოსაზრებას, უჩვენებენ ერის შეხედულებას ქვეყნიურობაზე, სტოვებენ კვალს მის ცხოვრებაში და საფუძვლად ხდებიან შემდეგ მწერლობის ნაწარმოებში"[24].

დ. ბაქრაძის ისტორიოგრაფიულ შეხედულებათა მკვლევარები (*ი.ჯავახიშვილი, მ. დუმბაძე, ა.კიკვიძე* და სხვ.) არაერთხელ მიუთითებენ XIX საუკუნის ცნობილი გერმანელი მეცნიერის, ახალი პერიოდის დასავლეთევროპული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებლის გეორგ ნიბურის გავლენებზე, რაც განსაკუთრებული სიცხადით იჩენს თავს დ. ბაქრაძის მიერ *„ქართლის ცხოვრების"* შესავალი ნაწილის კრიტიკული შეფასებისას. „ეს დასაწყისი ჩვენს მატიანეებში იმგვარივეა, როგორც უცხო ტომთ თქმულებანი წარმოგვიდგენენ. ევროპის განვითარებულ მეცნიერთ შეუნიშნევთ, რომ არც ერთმა ტომმა არ იცის შთამომავლობა და ყველა მოთხრობა პირველ საუკუნეებზე ზღაპარია. ეს ასეც უნდა იყოს. ყოველივე ამგვარი თქმულება დაფუძნებულია ზეპირსიტყვაობაზე" – წერდა იგი[25].

და თუმცა, დ. ბაქრაძე კრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენდა ფოლკლორულ – ეთნოგრაფიული წყაროებისადმიც, მაგრამ ამ რიგის მასალას იგი ძველი ისტორიის საკითხების გაშუქებისას დიდ მიშვნელობას ანიჭებდა. „თვით ეს ზღაპრული თვისება აღმოგვიჩენს იმგვარ ფაქტებსაც, რომელთაც დროდადრო აქა-იქ ნათელი შეაქვთ საქართველოს ისტორიის მსვლელობაში" – წერდა იგი[26].

დ. ბაქრაძე თავის თეორიულ და მეთოდოლოგიურ შეხედულებებს ოდნავ გვიან აყალიბებს, მაგრამ იგი უეჭველად იცნობდა ევროპულ მეცნიერებაში და, კერძოდ ეთნოგრაფიაში მოღწეულ შედეგებს და ისტორიულ-ეთნოგრაფიული თხზულებების დაწერისას, თავისი შემოქმედების დასაწყისშივე იყენებდა მათ.

ეს ვითარება უცილობლად ჩანს ისეთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული სიუჟეტების დამუშავებისას, როგორიც იყო ცნობები არგონავტების, პრომეთესა და ამორძალების შესახებ, ლეგენდა კოლხების წარმომავლობაზე, გადმოცემები ირანული ეპოსისა და მიჯაჭვული ამირანის შესახებ და ა.შ.[27]

ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კვლევებში თეორიულ და მეთოდოლიგიურ შეხედულებათა დეკლარირებასთან ერთად, დიმიტრი ბაქრაძე კავკასიის მკვიდრ მკვლევართა შორის ერთ-ერთი პირველთაგანია, რომლის აკადემიური მოღვაწეობა საისტორიო მეცნიერების, კერძოდ კი ეთნოგრაფიის დარგში, საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა კუთხეებში მის მრავალგზის მოგზაურობა – ექსპედიციებისა და უშუალო დაკვირვებების შედეგებს ემყარებოდა. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მისი მოგზაურობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, რომლის დროსაც იგი საფუძვლიანად გაეცნო და აღწერა გურიის, აჭარის, შავშეთის, არტაანის, კლარჯეთისა და სხვ. მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება, მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები. დიმიტრი ბაქრაძის ეს ჩანაწერები დაედო საფუძვლად ისეთ კაპიტალურ ნაშრომებს, როგორიცაა *„არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“*[28], *„შენიშვნა ბათუმის ოლქის შესახებ“*[29], *„ყარსის ოლქის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი“*[30] და სხვ.

ადრეული ნაშრომებიდან ეთნოგრაფიული თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა გაზეთ *კავკაზში*, ჟურნალებში – *კავკაზსკოე ობოზრენიესა და რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ჩანაწერებში* რუსულ ენაზე გამოქვეყნებული მისი წერილები, სტატიები და ნარკვევები, რომელთა შორისაც აღსანიშნავია *„სცენები საქართველოს ცხოვრებიდან“*, *„ჩემი გაცნობა ფშაველებისა“*, *„საქართველო და ქართველები“*, *„ოსი გეორგიანელები“*, *„სვანეთი“*, *„ზაქათალის ოლქი“* და სხვ.[31]

ამ წერილებში ავტორი იძლევა ქართველთა ყოფისა და კულტურის მრავალმხრივ აღწერას. ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, ფასდაუდებელია მისი ჩანაწერები და ანალიზი აჭარისა და სამხრეთ საქართველოს ზემოთ აღნიშნული სხვა კუთხეების ყოფა-ცხოვრების შესახებ, სადაც იგი ერთ-ერთი პირველი იძლევა თურქეთის მფლობელობის ბოლო პერიოდის ქართული მოსახლეობის დასახლების, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, დგამ-ჭურჭლის, შრომისა და საბრძოლო იარაღ-აღჭურვილობის, საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის, კერძოდ, ოჯახისა და ნათესაობის ფორმების, გვარისა და თემის, ქორწინების ინსტიტუტის, ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების დეტარლურ აღწერებს. დიმიტრი ბაქრაძის ეს მონაცემები, იმ პერიოდში საქართველოს ამ ისტორიულ პროვინციებში ქართველ მოგზაურ-მკვლევართა მიერ მეცნიერული კვლევა-ძიების განხორციელების უკიდურესად შეზღუდულ პირობებში, ერთადერთი და უნიკალური მასალა გახლდათ ამ კუთხეების მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის პრობლემის გასაშუქებლად.

დიმიტრი ბაქრაძეს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქართული ლიტერატურული და სამეცნიერო წყაროების თავმოყრისა და გამოცემის საქმეში. 1875 წელს მან რუსულ ენაზე ლექსიკონის სახით შეადგინა და გამოსცა ლექსიკურ-ბიბლიოლოგიური ხასიათის ნაშრომი *„Кавказ в древних памятниках*

*христианства*",[32] რომელშიც მოცემულია მრავალფეროვანი ცნობები საქართველოსა და სომხეთის ხუროთმოძღვრული ძეგლების შესახებ.

დიმიტრი ბაქრაძის ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევების სხვა დეტალებზე ჩვენ აღარ გავამახვილებთ ყურადღებას. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ მკვლევარის შეხედულება ისტორიის უადრესი პლასტების რეკონსტრუქციის საქმეში ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ხასიათის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ, უდავოდ ეხმაურება მისი თანამედროვე ევროპული მეცნიერების, კერძოდ ეთნოგრაფიის თეორიულ დებულებებსა და პირველ რიგში ახლად ფეხადგმულ ევოლუციონისტურ შეხედულებებს, რომლებიც ზემოთ აღნიშნული რუსი და სხვა უცხოელი, აგრეთვე საქართველოსა და კავკასიის სხვა კუთხეების მკვიდრი მკვლევრების ეთნოგრაფიულ წერილებთან, ნაშრომებთან და მონოგრაფიებთან ერთად, უთუოდ აღწევდნენ და სათანადო ასახვას პოულობდნენ ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამის ნათელი დადასტურება გახლავთ დ. ბაქრაძის შენიშვნები სვანების ეთნოგრაფიული თავისებურებების შესახებაც, რომელსაც იმ პერიოდში არა მარტო ქართულ-კავკასიური, არამედ საერთოდ საზოგადოების განვითარების ისტორიული კანონზომიერების თვალთახედვით, ზოგადთეორიული მნიშვნელობაც გააჩნდა. „ამ ტომის ცხოვრების სურათის შესწავლა, რომლის წარმოშობა შორეულ წარსულში იკარგება და რომელმაც, ევროპული ცივილიზაციის მიერ ხელუხლებელმა, შემოინახა პირველყოფილ ჩვეულებათა ნიშნები, მაღალი ინტერესის საგანია. აქ თქვენ ნახავთ კაცობრიობის მოდგმის ბავშვურ მდგომარეობას მისი სათნოებითა და მანკიერებით" – წერდა დ. ბაქრაძე[33].

დ. ბაქრაძის ეს დებულება სვანეთის, ზოგადად საქართველოსა და კაკასიის მთიელთა სოციალური ორგანიზაციის შესახებ თანამედროვე ისტორიოგრაფიის თვალთახედვით კრიტიკულ შეფასებას იმსახურებს, მაგრამ იგი, როგორც ზემოთ დავინახეთ, მოწინავე ევროპული და რუსული მეცნიერული აზროვნების სტანდარტების დონეზე იდგა და თავის დროზე ანგარიშგასაწევ შეხედულებას წარმოადგენდა.

ქართული მეცნიერული აზროვნების ამ წარმატებათა მიუხედავად ეთნოგრაფია, როგორც მსოფლიოს ხალხთა განვითარების ისტორიული კანონზომიერების შემსწავლელი მეცნიერება, თვით დ. ბაქრაძის შემოქმედებაშიც კი ვეღარ ამაღლდა დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის დონემდე. ეთნოგრაფიის საგნობრივი სფერო, მისი მიზნები და ამოცანები, წყაროები, მეთოდები და თეორიული დებულებები განხილულ ავტორთა შემოქმედებაში სპონტანურ ხასიათს ატარებდა და სპეციალური კვლევისა და ანალიზის საგანი არ გამხდარა.

ეს მისია საქართველოში *რაფიელ ერისთავისა* და *ნიკო ხიზანაშვილის* შემოქმედებას დაეკისრა, რომელთა წერილები, ნაშრომები და მონოგრაფიები, ლეონტი მროველიდან და ვახუშტი ბაგრატიონიდან მოკიდებული ზემოთ განხილული ქართველი და უცხოელი მეცნიერებისა და მოგზაურ-მკვლევარების, აგრეთვე XIX საუკნის ევროპული მეცნიერების მიღწევების საფუძველზე წარმართული საკუთარი კვლევებისას შემუშავებულ წყაროთმცოდნეობით, თეორიულ და მეთოდოლოგიურ ბაზას ეყრდნობოდა და საქართველოში ახალი მეცნიერული დარგის – ეთნოგრაფიის ფორმირება-ჩამოყალიბებას მოასწავებდა.

## 2.3. *რაფიელ ერისთავი-სამუზეუმო, საველე-ეთნოგრაფიული და კამერალური კვლევა-ძიების პირველი ნაბიჯები. პირველი ეთნოგრაფიული პებლიკაციები*

ქართველ საზოგადო მოღვაწეთა საერთოკავკასიურ ასპარეზზე გამოჩენას ხელს უწყობდა თავად საქართველოში მიმდინარე მრავალმხრივი კულტურულ-საგანმანათლებლო თაოსნობაც. მანიშნებელია, რომ ამ პერიოდში საქართველოში კავკასიის სხვა ქვეყნებთან შედარებით მყარ ნიადაგზე დგება ქართველი და კავკასიელი ხალხების ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება, საკუთარი ხალხის წარმომავლობის, მისი ეთნიკური ისტორიისა და კულტურის, ყოფისა და ტრადიციების ეროვნული თავისებურებების შესწავლის საქმე.

ამ პერიოდში თბილისურ „მეტროპოლიაში" ფართო ინტერესი ჩნდება ევროპის ქვეყნებსა და რუსეთში ახლად ჩამოყალიბებულ ეთნოლოგიურ კვლევა-ძიების, იქ შექმნილი სკოლებისა და მიმდინარეობის მიმართ, სადაც საველე-საექსპედიციო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა სპეციალურად შემუშავებული მეთოდიკით წარიმართა. ქართველ მოღვაწეთა და მკვლევართა ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება მტკიცედ დაუკავშირდა რუსული და ევროპული მეცნიერების პროგრესულ მსოფლმხედველობას, რამაც განსაზღვრა კიდეც ამ ეპოქის ქართული ეთნოლოგიური კვლევა-ძიების თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპების ეროვნულ-დემოკრატიული ხასიათი. სწორედ ამ პერიოდში გამოდის ფართო ასპარეზზე ცნობილი ქართველი პოეტი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე *რაფიელ ერისთავი* (1824-1901 წწ.), რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული ქართული ეთნოგრაფიის სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბების საპატიო მისია. იგი იმთავითვე მიიწვიეს ახლად დაარსებული მუზეუმის ეთნოგრაფიული კაბინეტის კურატორად, სადაც მას, როგორც იმ დროისათვის ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებით დაინტერესებულ პიროვნებას, ეთნოგრაფიული კოლექციების შეგროვების, სათანადო ფონდების შექმნისა და კატალოგების შემდგენლის მეტად საპატიო მისია დაეკისრა.

რაფიელ ერისთავის ბიოგრაფია, მისი ლიტერატურული მოღვაწეობა საკმაოდ შესწავლილი და გაშუქებულია როგორც მისი თანამედროვე, ასევე საბჭოთა პერიოდის ქართველ მკვლევართა მიერ. ჩვენ მისი ბიოგრაფიიდან მხოლოდ იმ მხარეს შევეხებით, რომელიც მწერლის ეთნოგრაფიულ მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული. მისი შემოქმედების ეს სფერო კი ბავშვობისა და ყრმობის პერიოდიდან იღებს სათავეს.

რაფიელ ერისთავი XIX საუკუნის შუა ხანებში ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების ჩამოყალიბების სათავეებთან ერთ-ერთი პირველი იდგა. გარდა იმისა, რომ მან თავისი მრავალფეროვანი, ეთნოგრაფიული მოვლენებითა და ფაქტებით მდიდარი წერილებითა და მონოგრაფიებით სათავე დაუდო ქართული ეთნოგრაფიული ლიტერატურის საწყისებს, მისი, როგორც ეთნოგრაფიის დამსახურება მეცნიერული აზროვნებისათვის დამახასიათებელი თეორიული და მეთოდოლოგიური სიახლეებითაც იპყრობს ყურადღებას. რაფიელ ერისთავი პირველი მკვლევარია, რომელიც ეწევა წინასწარი პროგრამით განსაზღვრულ ინტენსიურ საველე მუშაობას, უშუალოდ ადგილზე იწერს ეთნოგრაფიულ მასალას და ადარებს მას სხვა კუთხის მონაცემებს, ე. ი. კარგად

იცნობს და ოსტატურად იყენებს იმ დროისათვის მოწინავე ევროპული სკოლის შედარებით-ისტორიულ მეთოდს. იგი დაუღალავ ეთნოგრაფიულ მოღვაწეობას ეწევა ახლად გახსნილ კავკასიის გეოგრაფიულ საზოგადოებაში, არის კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ნამდვილი წევრი.

*რაფიელ ერისთავი* იყო ეთნოგრაფიული სამუზეუმო კოლექციების ერთერთი პირველი შემკრები და, რაც მთავარია, ამ კოლექციების სისტემაში მომყვანი, სამუზეუმო კატალოგის პირველი შემდგენელი, ეთნოგრაფიული კვლევით დაინტერესებული ახალგაზრდა მკვლევართა კონსულტანტი – მრჩეველი და პროგრამების შემდგენელი. მის კალამს ეკუთვნის, აგრეთვე, არაერთი ეთნოგრაფიული შრომის რეცენზია, კომენტარი და რუსულ ენაზე თარგმნა. ამ ნაშრომებისა და მონოგრაფიების გაცნობა გვარწმუნებს, რომ რაფიელ ერისთავის კვლევის მეთოდოლოგიური პრინციპები თუ მასალის თეორიული ანალიზის შედეგები იმდროინდელი ევროპული და მოწინავე რუსული მეცნიერული აზროვნების დონეზე იდგა, რაც მის ფართო მეცნიერულ ერუდიციასა და შესაბამის განსწავლულობაზე მიუთითებს.

რაფიელ ერისთავი იმ ბედნიერ და იშვიათ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებმაც აღიარება სიცოცხლეშივე ჰპოვეს. ის დიდი ზეიმი, რომელიც გაიმართა 1895 წლის 22 ოქტომბერს რაფიელ ერისთავის მეცნიერული, ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ორმოცდაათ წლისთავზე, ამის ნათელი დადასტურება გახლდათ[1]. სხვათა შორის, ეს იყო პირველი იუბილე, რომელიც ქართველმა საზოგადოებამ ჩაატარა საერთოდ, მწერალთა თუ საზოგადო მოღვაწეთა საპატივცემულოდ. ამ იუბილეზე რაფიელ ერისთავს სიტყვებით მიმართეს და ქართული კულტურის წინაშე მისი დიდი დამსახურება აღნიშნეს გამოჩენილმა ქართველმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა: *ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, გიორგი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა, ივანე მაჩაბელმა და ეკატერინე გაბაშვილმა.* რუსი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთა სახელით მისალმებები წაიკითხეს *ვასილ ველიჩკომ*, გაზეთ კავკაზის რედაქტორმა *იური მილიუტინმა*, ჟურნალ ნოვოე ობოზრენიეს რედაქტორმა *ვასილ თუმანოვმა (თუმანიშვილმა)*, სომხური გაზეთის „არძაგონქის" რედაქტორმა *აბგარ იოანესიანმა* და სხვებმა. ამ იუბილეზე რაფიელ ერისთავისადმი მიძღვნილი თავისი პირველი ლექსი წაიკითხა ახალგაზრდა 15 წლის *სოსო ჯუღაშვილმა* სოსელოს ფსევდონიმით, ხოლო ილია ჭავჭავაძემ შეაფასა მხცოვანი მწერლისა და მეცნიერის ხალხოსნური მიმართულება: „ჩვენს სახლოვან მოხუც-პოეტს შესანიშნავი ადგილი უჭირავს ქართულ პოეზიაში. მისი ლექსები აღბეჭდილია ხალხური გრძნობით. ის ღრმად ჩაწვდა ჩვენი მუშა ხალხის ცხოვრებას და არის მომღერალი მისი გულნადებისა. იმან შექმნა თავისი შკოლა ხალხური პოეზიისა"[2]. სწორედ რომ ხალხური შემოქმედების ერთ-ერთი დამახასიათებელი თავფურცელი იყო რაფიელ ერისთავის ეთნოგრაფიული მოღვაწეობაც.

რაფიელ ერისთავის, როგორც ეთნოგრაფის შეფასება, პირველად რუსეთის ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ნიკოლოზ ჩერნიშევსკის ეკუთვნის. 1855 წელს ჟურნალ სოვრემენიკში მან მაღალი შეფასება მისცა რ. ერისთავის პირველ მოთხრობას *„ბეჩავს"*, რომელიც მთლიანად ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით იყო დაწერილი.[3] იმავე წელს ნ. ჩერნიშევსკიმ დაა-

ხასიათა რა კავკასიის გეოგრაფიული საზოგადოების ჟურნალი – *Записки Кавказского отдела императорского Русского географического общества*, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მასში გამოქვეყნებულ რ. ერისთავის ეთნოგრაფიული ხასიათის პირველ მონოგრაფიას *„თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქზე“*, და შეაქო ავტორი „მთიელ ხალხთა ყოფის სინამდვილის აღწერისათვის“.[4]

1896 წელს *პ. სემიონოვ-ტიანშანსკიმ* რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების დაარსების ორმოცდაათ წლისთავს მიუძღვნა წიგნი[5], სადაც აღნიშნულია რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების უდიდესი მიღწევები. დახასიათებულია ამ საზოგადოების ხაზით ჩატარებული გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ექსპედიციების მუშაობა, მოცემულია მუზეუმებისა და გამოფენების საქმიანობა, ხაზგასმულია რუსეთის იმპერიაში შემავალი სხვა ხალხების მოწინავე მეცნიერთა და მოგზაურ მკვლევართა მუშაობაზე რუსეთის გეოგრაფიულ საზოგადოებასა და მის ფილიალებში. პ. სემიონოვ-ტიანშანსკი ამ შრომაში ქართველ მკვლევართა შორის უპირველესად *რ. ერისთავის* ეთნოგრაფიულ მუშაობას აფასებს, კერძოდ, განხილულია ზემოთ დასახელებული ნაშრომი თუშ-ფშავ-ხევსურეთზე, მოხსენებულია რ. ერისთავის სამუზეუმო საქმიანობა და ა. შ.[6]

ქართველ მეცნიერთა შორის რაფიელ ერისთავის, როგორც ეთნოგრაფის შესწავლა და შეფასება პირველად *გ. ჩიტაიას* ხვდა წილად. მის მიერ 1926 წ. გამოცემულ ნაშრომში *„ქართული ეთნოლოგია“*[7], რ. ერისთავი დახასიათებულია, როგორც საველე-სტაციონარული და სამუზეუმო ეთნოგრაფიული საქმიანობის ფუძემდებელი საქართველოში. იქვე გ. ჩიტაია რ. ერისთავს მოიხსენიებს, როგორც სპეციალური ეთნოგრაფიული წერილების ერთ-ერთ პირველ ავტორთაგანს[8]. ასეთივე შეფასებას აძლევს რ. ერისთავს *ალ. რობაქიძეც*[9].

რაფიელ ერისთავის სამუზეუმო მოღვაწეობას თავის დროზე შეეხო *გ. ჟორდანია*, რომელმაც სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა კავკასიის მუზეუმის დაარსებას[10]. რაფიელ ერისთავს, როგორც მუზეუმის ეთნოგრაფიული კოლექციების შემგროვებელს და, საერთოდ, კავკასიის განყოფილების გეოგრაფიული საზოგადოების ერთ-ერთ აქტიურ წევრს, მოიხსენიებს *გ. ჩაჩავლიც*[11]. ასევე აფასებენ მის ღვაწლს ქართველი ხალხის სამეურნეო საქმიანობისა და მატერიალური კულტურის შესწავლის საქმეში *მ. გეგეშიძე*[12], *ა. ლეკიაშვილი*[13], *გ. ჯალაბაძე*[14] და სხვ.

რაფიელ ერისთავის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის შესწავლას ცალკე წერილები მიუძღვნა *ვ. ითონიშვილმა*, რომლებიც მწერლის დაბადების 150 წლისთავის საიუბილეო დღეებში გამოქვეყნდა ჟურნალებში *ცისკარსა* და *მნათობში*, აგრეთვე გაზეთ *ლიტერატურულ საქართველოში*[15]. ამ წერილებში ზოგადადაა გაანალიზებული რ. ერისთავის ეთნოგრაფიული მოღვაწეობა, კერძოდ ხაზგასმულია მკვლევარის დამსახურება აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ყოფის საკითხების შესწავლის საქმეში და მოცემულია ზოგიერთი ლიტერატურული ნაწარმოების, როგორც ეთნოგრაფიული წყაროს მნიშვნელობის შეფასება. ბუნებრივია სიუბილეო წერილებში სრულყოფილად ვერ აისახებოდა ამ შესანიშნავი ეთნოგრაფის მოღვაწეობის თუნდაც ზოგადი ასპექტები. ამიტომაც საკმაოდ სამართლიანად აღნიშნავს თვით ამ წერილების ავტორი, რომ საკვლევი რეგიონების არეალისა და თემატიკის მრავალფეროვ-

ნების მხრივ რ. ერისთავს XIX საუკუნის ქართველ ეთნოგრაფთა შორის ბადალი არ მოეძებნება და, რომ რ. ერისთავის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის რამდენადმე სრული შესწავლა ვრცელ მონოგრაფიულ გამოკვლევას საჭიროებს[16]. ამავე აზრს ადასტურებს, ცნობილი საბჭოთა ეთნოგრაფის, კავკასიის ეთნოგრაფიის ისტორიის უაღრესად კომპეტენტური მკვლევარის *მ. კოსვენის* სიტყვები იმის შესახებ, რომ *„Рафиэл Давидович Эристов является одним из самых выдающихся грузинских этнографов дореволюционного времени"*[17].

ქართველ მწერალთა ღვაწლს საქართველოს ეთნოგრაფიაში სერიოზული მონოგრაფია მიუძღვნა *ვალერიან ითონიშვილმა*, რომელშიც რაფიელ ერისთავის მრავალმხრივი ეთნოგრაფიული საქმიანობა საფუძვლიანადაა გამოკვლეული[18].

რაფიელ ერისთავის ეთნოგრაფიული მოღვაწეობის შესწავლა და სათანადოდ გაშუქება პირველ რიგში XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ჩამოყალიბების იმ პროცესების ფონზე უნდა წარმოჩნდეს, რომლის წიაღშიც ჩაისახა და განვითარდა ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება საქართველოში. რაფიელ ერისთავისა და მისი თანამებრძოლების მოღვაწეობით განისაზღვრა საქართველოში ეთნოგრაფიული კვლევის ის მიმართულება, რომელიც, თავის მხრივ, ევროპისა და რუსეთის მოწინავე პროგრესული სკოლის წარმომადგენელთაგან მომდინარეობდა და, რომელმაც შემდგომშიც განსაზღვრა ქართული ეთნოგრაფიული სკოლის თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპების ხალხოსნური, დემოკრატიული ხასიათი.

რაფიელ ერისთავი ქართველი ხალხის ეთნიკური კულტურისა და მისი მდიდარი ტრადიციების ერთ-ერთი პირველი მკვლევარია. სამწუხაროდ, დღემდე სათანადოდ არაა გაშუქებული ერთი მხრივ მისი, როგორც ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურისა თუ სოციალური ურთიერთობის ურთულესი საკითხებისა და პრობლემების მკვლევარის როლი ცარიზმის კოლონიური ჩაგვრისა და შევიწროების პირობებში ეროვნული თვითშეგნების, პატრიოტული სულისკვეთებისა და ნაციონალურ-განმათავისუფლებელი იდეების გამოღვიძების საქმეში. მეორე მხრივ, სათანადო შეფასებას მოითხოვს ის ღვაწლი, რაც მიუძღვის რაფიელ ერისთავს ქართველი ხალხის ტრადიციულ-ყოფითი კულტურის დამახასიათებელ თავისებურებათა დეტალური აღწერის, მისი ობიექტური შეფასებისა და ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაცნობის საქმეში. მანიშნებელია, რომ მკვლევარის მიერ ამ მხრივ შესრულებულმა ორიგინალურმა თუ თარგმნილმა ნაშრომებმა და მონოგრაფიებმა დიდი ინტერესი გამოიწვიეს არა მარტო რუსულ, არამედ დასავლეთის პროგრესულ საზოგადოებაში, რაც არაერთხელ აღინიშნა კიდეც *გ. რადეს, ე. ვეიდენბაუმისა* და სხვ. მიერ.

რაფიელ ერისთავის ეთნოგრაფიული შემოქმედების თეორიულ-მეთოდოლოგიური მხარეების შესწავლა საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიის ადრეული ეტაპების კვლევით როდი ამოიწურება. მისი შემოქმედებიდან სათანადოდ არაა გაშუქებული მკვლევარის მრავალმხრივი სამუზეუმო საქმინობა, რომელიც საქართველოში პირველი ეთნოგრაფიული კოლექციების შეგროვებასა და სამუზეუმო კატალოგების შედგენას შეეხება. სამუზეუმო ფონდების შექმნისა და მუზეუმის ორგანიზაციის მეტად საპასუხისმგებლო საქმე, რომელიც არანაკლებ იყო დაკავშირებული ეროვნული თვითშეგნების მეტად მტკივ-

ნეულ საკითხებთან, რაფიელ ერისთავის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის ორგანული ნაწილია, რომლის შესწავლა და სათანადო შეფასება საქართველოში ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების ისტორიის არაერთ საყურადღებო მომენტს გააშუქებს.

რაფიელ ერისთავის მეცნიერული შემოქმედების ამ თვალთახედვით შეფასება თანამედროვეობის ეთნოგრაფიული შესწავლის ინტერესებსაც ეხმაურება. ქართული ხალხური ტრადიციებისა და, კერძოდ, კულტურისა და ყოფის ტრადიციული ფორმების ეთნიკურ თავისებურებათა გამოვლენა, მათი სათანადო ანალიზი და შესწავლა ისტორიული განვითარების პროცესში, ხელს უწყობს კულტურისა და ყოფის ტრადიციული ფორმების ადგილის გარკვევას ცხოვრების თანამედროვე წესის ჩამოყალიბებაში.

რაფიელ ერისთავის შემოქმედებითი მემკვიდრეობა საკმაოდ მრავალმხრივია. პოეტი და დრამატურგი, პუბლიცისტი და ეთნოგრაფი, ისტორიკოსი, ლექსიკოლოგი, მთარგმნელი თუ ბოტანიკოსი და გეოგრაფი – აი, არასრული ნუსხა რაფიელ ერისთავის ინტერესთა სფეროში. იგი სამოცზე მეტი წლის განმავლობასი ქმნიდა მხატვრულ ტილოებს, წერდა ეთნოგრაფიულ შრომებს, ადგენდა ლექსიკონებს, კრებდა და აქვეყნებდა ფოლკლორულ მასალებს, ეწეოდა მრავალმხრივ საზოგადოებრივ საქმიანობას და მუშაობდა სხვადასხვა სახელმწიფოებრივ დაწერესებულებებში.

რ. ერისთავის ამ ხანგრძლივ სამეცნიერო და მხატვრულ-ლიტერატურულ მოღვაწეობას მისი შემოქმედების ზემოთ აღნიშნული მკვლევარები ორ პერიოდად ყოფენ. ჩვენ ვიზიარებთ ერისთავის შემოქმედების ასეთ პერიოდიზაციას, მაგრამ გვაქვს გარკვეული შენიშვნაც. ვფიქრობთ, რ. ერისთავის სამეცნიერო მოღვაწეობის, კონკრეტულად კი ეთნოგრაფიაში მუშაობის პერიოდიზაცია დაზუსტებას მოითხოვს. ჩვენი აზრით პირველ პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ 1845-1853 წლები. მითუმეტეს, თუ ამ პერიოდზე მხოლოდ და მხოლოდ მისი ეთნოგრაფიული წერილებით ვიმსჯელებთ. ვფიქრობთ, სწორია ვ. ითონიშვილი, რომელიც რ. ერისთავის საზოგადოებრივ, ლიტერატურულ და სამეცნიერო მოღვაწეობის პირველ პერიოდს ადრეულ ეთნოგრაფიულ წერილებს უდებს საფუძვლად. თუმცა იგი ამ პერიოდის ზემო თარიღად 1857 წელს მიიჩნევს[19].

ეთნოგრაფიული წერილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია რ. ერისთავის ეთნოგრაფიული მოღვაწეობის პირველი პერიოდი 1853 წლიდან დავიწყოთ. სწორედ ამ წელს გაზეთ *კავკაზში* ჯერ ნაწილებად დაიბეჭდა, ხოლო 1855 წელს გეოგრაფიული საზოგადოების ჟურნალში სრული სახით გამოქვეყნდა რ. ერისთავის მონოგრაფია თუშ-ფშავ-ხევსურეთზე[20]. გავიხსენოთ, რომ იგი თუშ-ფშავ-ხევსურეთის საოლქო სამმართველოში 1846-1848 წწ. მუშაობდა და მასალა ზემოაღნიშნული შრომისათვის სწორედ მაშინ შეკრიბა. ბუნებრივია, ხსენებული მონოგრაფიის დასაწერად მკვლევარმა მაშინდელი მასალა გამოიყენა, მაგრამ შემდგომ ბევრი რამ შეავსო, ახალი სტრუქტურული ფორმით წარმოგვიდგინა და მანამდე მისთვის უჩვეულო დიდი ეთნოგრაფიული გამოკვლევა გამოაქვეყნა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში ინახება რ. ერისთავის გამოუქვეყნებელი ნარკვევი *„ცხოვრებისათვის ნათესავთა ხევსურეთისა“*[21], რომელიც უთარიღოა და ჩვენი აზრით მის მიერ იქ სამსახურის დროს (ე. ი. 1846-48 წლები) უნდა იყოს

დაწერილი. აქ მას თავებად აქვს დაყოფილი ხელნაწერი, მაგრამ ტექსტის ერთი თვალის გადავლებითაც ნათლად ჩანს, რომ ეს არის მხოლოდ აღწერილობითი მასალა. ავტორს ნაფიქრალი მხოლოდ ფურცელზე გადაუტანია, გამოქვეყნებისათვის არ „გაუმეტებია", ხშირ შემთხვევაში აქ ქართულ ტექსტში ფანქრით, რუსულ ენაზე მინანერები გაუკეთებია, რომელიც უფრო გვიანდელი უნდა იყოს. თავების დასათაურება და მასალა კი, რა თქმა უნდა, მის ცნობილ მონოგრაფიასთან შედარებით არასრულია და დაუმთავრებელი ჩანს.

პირველი პერიოდის ჩვენეული დათარიღების სასარგებლოდ რ. ერისთავის სპეციალური ეთნოგრაფიული წერილებიც მეტყველებენ[22]. ამ პერიოდში (1846-53 წწ.) ავტორი წერდა მცირე მოცულობის სტატიებს, რომლებიც აღწერილობითი იყო და მიმოხილვით ხასიათს ატარებდნენ. აქ ხშირად არ იყო მოცემული მასალის ჩაწერის დრო და ადგილი, ეთნოგრაფიულ ფაქტებს აკლდა დაკონკრეტება, არ მოიხსენიებოდა მთხრობელი, ან ამა თუ იმ ეთნოგრაფიული ფაქტისა თუ მოვლენის გავრცელების არეალი. ეს სტატიები თემატურადაც შეზღუდული იყო და ძირითადად შეეხებოდა ხალხურ დღესასწაულებსა და რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს (*„ყეენობა", „ლა ზარე"* და სხვა). აქ მოცემული მასალა ძირითადად განკუთვნილი იყო არაქართველი მკითხველისათვის, რათა გარკვეული წარმოდგენა შეექმნა მათთვის ქართველი ხალხის ტრადიციული და პოპულარული დღესასწაულების აღწერით.

ასეთი იყო რაფიელ ერისთავის შემოქმედების პირველი პერიოდის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები. სამართლიანი იქნება თუ ჩავთვლით, რომ თუშ-ფშავ-ხევსურეთზე ზემოაღნიშნული მონოგრაფიის გამოქვეყნებით (1854-55 წწ.) იწყება მისი ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების მეორე პერიოდი. აქვე დავძენთ, რომ მაშინდელ პირობებში 30 წლის ასაკში მონოგრაფიული შრომის დაწერა ეთნოგრაფიაში, თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტია. შემთხვევითი არ გახლავთ ის გარემოება, რომ სწორედ ამ პერიოდში – 1855 წელს ირჩევენ მას გეოგრაფიული საზოგადოების ნამდვილ წევრად. ვფიქრობთ ამ მომენტებმა განსაზღვრეს რ. ერისთავის, როგორც ეთნოგრაფის ინტერესების გაძლიერება ამა თუ იმ ეთნოგრაფიული მოვლენების გადმოცემისას. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ იგი თავისი მუშაობის ამ პერიოდში სხვა მკვლევარებისაგან განსხვავებით წინა პლანზე სწევს ყოფის საკითხებს. მან ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია ყურადღება საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა ყოფის თავისებურებებს, მოგვცა მისი ისტორიული და სოციალური ასპექტების ანალიზი.

ლიტერატურული, მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შემოქმედების მეორე პერიოდში, *რაფიელ ერისთაეი* კვლევა-ძიების საკმაოდ მომწიფებული თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპებით გამოირჩევა. აღნიშნულ პერიოდში გამოქვეყნებულ თავის ნაშრომებში[23] ეთნოგრაფიულ მოვლენებს იგი განიხილავს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის ფონზე. მკვლევარი ითვალისწინებს სავაჭრო კაპიტალის შემოჭრასთან დაკავშირებულ თავისებურებებს საქართველოში. ახასიათებს მრავალსაუკუნოვან ტრადიციულ მეურნეობის დარგებს. იგი აგრეთვე ყურადღებას მიაქცევს ახალი დარგების (მეთამბაქოეობა, მეაბრეშუმეობა და სხვ.) მომავალს. აშკარაა, რომ რ. ერისთავი ამ შემთხვევაში ეთნოგრაფიულ დაკვირვებებს საქმიანად

უხამებს მოცემული დარგების შედგომი განვითარების პერსპექტივებს. ხალხურ საწარმოო ჩვევებსა და გამოცდილებებში იგი ყოველთვის ეძებს რაციონალურ ელემენტებს, რომელთა შემდგომი განვითარება მეურნეობრივი წინსვლისა და ეკონომიკური პროგრესის საფუძვლად მიაჩნია.

რ. ერისთავის შემოქმედების მეორე პერიოდის ეთნოგრაფიული მოღვაწეობა თუშ-ფშავ-ხევსურეთზე მიძღვნილი მონოგრაფიიდან იმიტომ დავიწყეთ, რომ იგი გამოირჩევა ყოფისა და კულტურის საკითხების მრავალმხრივობით, კვლევის ორიგინალური ხერხებითა და თემატიკის მრავალფეროვნებით. ამ გამოკვლევაში ჩვენ საკმაოდ ხშირად ვხვდებით მანამდე უცნობ, ახლად ფიქსირებულ მასალას. საერთოდ ამ პერიოდის ეთნოგრაფიული ნარკვევები გამსჭვალულია დამაჯერებელი ეთნოგრაფიული ფაქტებით. ეს ფაქტები კი ბევრ შემთხვევაში სისტემატიზირებული და კლასიფიცირებულია. ეთნოგრაფიული მოვლენების ფიქსაციას იგი წარმართავს საკმაოდ ზუსტად, მრავალმხრივ და სრულად. ამის დასამტკიცებლად ის ფაქტიც გამოდგება, როცა მკლევარი თუშ-ფშავ-ხევსურეთისადმი მიძღვნილი ნაშრომის შენიშვნაში წერს: *„Приступив к описанию Тушино-Пшаво-Хевсурского Округа я руководствовался как собственными моими заметками, составленными из наблюдений, в продолжение двухлетней моей службы здесь, так равно к преданиями и рассказами тушинцев“*[24]. ამა თუ იმ ეთნოგრაფიული მოვლენების აღწერისას რ. ერისთავი ცდილობს გაარკვიოს მისი ბუნება და გენეზისი. შეადაროს იგი სხვა ხალხთა, განსაკუთრებით კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიულ სინამდვილეში არსებულ მოვლენებს.

რაფიელ ერისთავის ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდიკას მისი მეცნიერული და მხატვრულ-ლიტერატურული შემოქმედების ადრეულ ეტაპზე ჩაეყარა საფუძველი. ამა თუ იმ პრობლემის შესწავლისას მკვლევარის მეთოდოლოგიური მიდგომა თავს იჩენს უკვე 1846 წლიდან, მაშინ როდესაც იგი მუშაობას იწყებს თარჯიმნად თიანეთში თუშ-ფშავ-ხევსურეთის სამმართველოში. საერთოდ, ამ დროიდან იკვეთება მისი მომავალი ეთნოგრაფიული მუშაობის მეთოდიკის პრინციპები, თეორიული კვლევის წანამძღვრები, რომელშიც საგნებისა და მოვლენების ისტორიული განვითარების აღქმას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. მართლაც იგი ამა თუ იმ კუთხის მოსახლეობის კულტურისა და ყოფის დამახასიათებელ თავისებურებათა მხოლოდ აწმყოს ფიქსაციით როდი იყო შემოფარგლული. მკვლევარი იმთავითვე დიდ ყურადღებას უთმობდა ხალხის წარსულს, მისი განვითარების ისტორიული გზების თავისებურებებს და მომავლის მიზნებისა და ამოცანების თვალთახედვით ჭვრეტდა მათ. ხალხის წარსულის მისი განვითარებისათვის დამახასიათებელი ამა თუ იმ მოვლენისა და ფაქტის შეფასება ისტორიზმის პრინციპებიდან იმ პერიოდში ეთნოგრაფიული კვლევის პროგრესულ მეთოდოლოგიურ საწყისებზე მიუთითებდა და ამ საქმეში რაფიელ ერისთავის უდიდეს ღვაწლსა და დამსახურებაზე მეტყველებდა. აი, რას წერდა მკვლევარი: *„Трудно основываться, не имея исторических фактов и данных, на одних преданиях и рассказах Тушин, Пшавцев и Хевсур, о происхождении их, а догадочные сведения слишком шатки для истории“*[25].

ასეთ მკაცრ მოთხოვნებს აყენებდა თავის წინაშე რაფიელ ერისთავი.

თუშ-ფშავ-ხევსურეთის სამმართველოში მუშაობისას მკვლევარი დიდ დაინტერესებას იჩენს მხარის წარსულისადმი. როგორც ცნობილია, აღმო-

სავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობამ თავის დროზე დიდი როლი შეასრულა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაცხოველების საქმეში. ამ გარემოებას კი პირველად რაფიელ ერისთავმა მიაქცია ყურადღება. მან ცნობილ მეცნიერს – *მარი ბროსეს* შეუთვალა პეტერბურგში, რათა მოენახა თუშ-ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობის მიერ 1657 წელს მოსკოვში მეფე ალექსი მიხეილის ძისადმი გაგზავნილი წერილები და გამოეგზავნა მათი ასლები[26]. მარი ბროსემ რ. ერისთავს მართლაც შეუსრულა ეს თხოვნა, მოსკოვის არქივში დაძებნა აღნიშნული წერილები და 1849 წელს ასლები გამოუგზავნა თბილისში რაფიელ ერისთავს, რომელმაც ამ მასალების ერთი ნაწილი გამოაქვეყნა კიდეც გაზეთ *კავკაზში*[27]. რუსეთის მეფისადმი გაგზავნილ წერილებიდან ჩვენ ვგებულობთ თუშ-ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის არაერთ მნიშვნელოვან მომენტს, მოსახლეობის განზრახვას რუსეთთან გაერთიანებული ძალით დაეცვათ ქრისტიანული სამყარო. მკვლევარმა ეს საინტერესო წერილები სპეციალურად ხაზგასმით გამოაქვეყნა და ამით მიანიშნა რუსეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის რეალურ მისიაზე, რაც ფაქტობრივად საფუძველს აცლიდა ცარიზმის ადმინისტრაციის კოლონიურ ზრახვებს საქართველოში.

რაფიელ ერისთავი თუშ-ფშავ-ხევსურეთში სამსახურისას კვალიფიციურ რჩევა-დარიგებებსა და მეგზურობას უწევდა საქართველოს წარსულით დაინტერესებულ მკვლევარებს. 1847 წლის 20-21 სექტემბერს მან აკადემიკოსი მარი ბროსე შეხვედრის შემდეგ სტუმრად მიიწვია ს. ქისტაურში მამის, დავით ერისთავის, სახლში. აქ მიღებული შთაბეჭდილებების შემდეგ რაფიელ ერისთავმა მამასთან ერთად მ. ბროსე ამოგზაურა ივრის ხეობაში და თიანეთში შეახვედრა *ა. ზისერმანს* – კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიისა და ისტორიის ერთერთ ცნობილ მკლევარს, რომელიც მაშინ (1844-48 წლებში) თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის უფროსის მოადგილედ მუშაობდა[28].

რ. ერისთავი და მ. ბროსე შემდგომშიც აგრძელებდნენ აღნიშნული შეხვედრების დროს ჩასახულ მეგობრულ ურთიერთობას. მარი ბროსეს დავალებით, რ. ერისთავმა მრავალი ისტორიული თუ ეთნოგრაფიული ფაქტობრივი მასალა მიაწოდა მას წერილობით, რომელიც შემდგომ მეტად სასარგებლო გამოდგა ქართველ მთიელთა კულტურისა და ყოფის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხის კვლევისათვის[29].

როგორც აღვნიშნეთ, რაფიელ ერისთავს თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე სამსახური მოუხდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. თუშ-ფშავ-ხევსურეთში, იმერეთში, ქართლსა თუ სამეგრელოში მუშაობისას იგი არც თავის საყვარელ საქმეს, ეთნოგრაფიას ღალატობს, აკვირდება ხალხის ყოფას, სწავლობს და აღწერს სამეურნეო საქმიანობას, ტრადიციულ ზნე-ჩვეულებებს, მამაპაპურ რწმენა-წარმოდგენებს. რაფიელ ერისთავის მოღვაწეობის ამ პირველ პერიოდს ზოგიერთი მკვლევარი ე.წ. *მსახურეული არისტოკრატიის* ჯგუფს მიაწერს. ეს მოსაზრება, რა თქმა უნდა, არაა გამართლებული, ვინაიდან მეფის სამსახურში ჩადგომა მისთვის იყო ერთადერთი საშუალება, რათა კიდევ უფრო დაახლოებოდა ხალხს, გაეზიარებინა მათი ჭირ-ვარამი და შეძლებისდაგვარად დახმარებოდა მათ. სწორედ ამ დიდმა ჰუმანისტმა და პატრიოტმა ჩაიწერა სამეგრელოში ზუგდიდის მაზრის უფროსად მუშაობისას 1857 წლის

გლეხთა აჯანყების ხელმძღვანელის უტუ მიქავას სიტყვა, სადაც მხილებულ იყო მეფისა და მათი მოხელეების უსამართლობა, გლეხთა სიდუხჭირე და მათი ტრაგედია[30]. მანვე პირველად ქართველ მწერალთაგან დაწერა სოციალური უსამართლობისადმი მიძღვნილი ლექსები და მოთხრობები: *„მათხოვარა გლახაკი“*, *„მთხოვნელი მსაჯულისადმი“*, *„ყადის ჯორი“*, *„ბეჩავი“* და სხვ.[31] ქვემოთ დავრწმუნდებით, თუ რა დიდი სამსახური გაუწია ქართულ ეთნოგრაფიას რაფიელ ერისთავმა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მუშაობის პერიოდში შეკრებილი და გაანალიზებული მასალების პუბლიკაციით.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ რ. ერისთავი თავის ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებაში ემყარებოდა გარკვეულ პრინციპებსა და მეთოდოლოგიას. ეს ჩანს არა მარტო მის ეთნოგრაფიულ ნაწერებში, არამედ იმ რჩევა-დარიგებებშიც, რომელსაც იგი უწევდა ეთნოგრაფიით დაინტერესებულ თავის კოლეგებს საქართველოში. როგორც იმ დროისათვის უკვე გამოცდილი ეთნოგრაფი, იგი საველე მუშაობის გამოცდილებას უზიარებდა, აძლევდა სათანადო მითითებებს ახალგაზრდა ქართველ მოღვაწეებს, რომლებიც ეთნოგრაიული კვლევა-ძიებით იყვნენ დაინტერესებულნი. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა მკვლევარს *ბ. ნიჟარაძეს*, რომელიც ილია ჭავჭავაძის დავალებით დაბრუნდა მშობლიურ კუთხეში – სვანეთში და მრავალმხრივ ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა, რ. ერისთავმა შეუდგინა პროგრამა-კითხვარი ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების ჩასატარებლად[32]. ბესარიონ ნიჟარაძე სისტემატიურად აცნობდა მას მოპოვებულ მასალას და შემდეგ აქვეყნებდა პერიოდულ პრესაში რაფიელ ერისთავისვე დახმრებით. ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ ზოგჯერ, განსაკუთრებით რუსულ პრესაში, ბესარიონ ნიჟარაძის მასალა დაბეჭდილია რ. ერისთავის ხელმოწერით[33]. ამიტომაც ზოგმა მკვლევარმა ეს ეთნოგრაფიული წერილები რაფიელ ერისთავისეულად ჩათვალა. სათანადო შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ნიჟარაძის ესა თუ ის წერილი ქართულიდან რუსულად ნათარგმნია რ. ერისთავის მიერ. იმდროინდელ რედაქციებში მიღებული იყო საერთოდ ასეთი სტილი, როდესაც უშუალოდ თარგმანს აწერდნენ მთარგმნელის და არა ავტორის გვარს. ეს უფრო ჰგავდა რაღაც გადმოქართულების ანდა გადარუსულების პრინციპს, რომელმაც იმ დროს საერთოდ მხატვრულ ლიტერატურაშიც იჩინა თავი. ისე, რომ რ. ერისთავი სრულიად არ საჭიროებდა ზედმეტი ეთნოგრაფიული წერილების ავტორობას, ეს წერილები ეკუთვნოდა ბ. ნიჟარაძეს, თარგმნილი კი იყო რ. ერისთავის მიერ. ალბათ ასეთ კურიოზების აღსაკვეთად იყო, რომ რ. ერისთავი ზოგჯერ ქართული სტატიის თარგმანის გამოქვეყნების დროს რუსულ პრესაში სათაურშივე აღნიშნავდა ავტორის ვინაობას და არა პირდაპირ ავტორისეულ ქართულ დასათაურებას. ასე თარგმნა მაგალითად მან *ნ. ხიზანიშვილის (ურბნელის)* ნარკვევი[34], სადაც სათაურშივე ჩანს ნამდვილი ავტორის ვინაობა. ამასთან ერთად, რ. ერისთავმა სათანადო შეფასება მისცა ნ. ურბნელის ნარკვევებს, საგანგებოდ გამოყო მანამდე უცნობ მასალაზე დამყარებული კვლევის შედეგები, მიმოხილვით, დასკვნით ნაწილში შეეცადა ხევსურთა ყოფაში არსებული ზოგიერთი მოვლენის ახსნა მოეცა წერილობით წყაროებთან (ბიბლია) ეთნოგრაფიული მონაცემების შეჯერების საფუძველზე და კომენტარი გაეკეთებინა მისთვის. აქვე დავძენთ, რომ ბევრ შემთხვევაში რ. ერისთავის ეთნოგრაფიულ მასალას იმოწმებდნენ, ხოლო ზოგჯერ მთლიანად

გამოიყენებდნენ ხოლმე სხვა მკვლევარებიც. ასე მაგალითად, გ. რადემ თავის მონოგრაფიაში ხევსურეთის შესახებ ეთნოგრაფიული ნაწილი მთლიანად გადაიღო რ. ერისთავის შრომიდან, რასაც თვითვე აღნიშნავდა აღნიშნული წიგნის შესავალში[35].

რაფიელ ერისთავს, როგორც საქართველოს ეთნოგრაფიის შესანიშნავ მცოდნეს, სხვადასხვა ცნობებისათვის თხოვნით მიმართავდნენ ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ მ. *ბროსე, ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე* და სხვები. ამგვარი მუშაობით რ. ერისთავი ცდას არ აკლებდა საქართველოს ეთნოგრაფიაში ღირებული სამეცნიერო მემკვიდრეობის ფართო ასპარეზზე გამოტანასა და პოპულარიზაციას.

რაფიელ ერისთავს შემოქმედების ხალხურობამ, მისი პოეზიის რევოლუციურ-დემოკრატიულმა ხასიათმა, მისმა დიდმა სიყვარულმა მშრომელი მოსახლეობისადმი, პირველ რიგში კი გლეხობისადმი, განსაზღვრა მწერლის მოღვაწეობა ეთნოგრაფიის სფეროშიც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთის ეთნოგრაფიის რევოლუციურ-დემოკრატიული მიმდინარეობის კეთილმყოფელი გავლენა ქართული ეთნოგრაფიის არაერთმა წარმომადგენელმა განიცადა. ეს მითუმეტეს რაფიელ ერისთავის მიმართ ითქმის, რამეთუ იგი იყო „*ნეკრასოვული მიმართულების*" პოეტი, როგორც ამას ხატოვნად აღნიშნავს მკვლევარი გ. წულაია[36]. ნეკრასოვი, როგორც ცნობილია, რევოლუციონერ-დემოკრატთა და მათი ლიდერის *ნ. ჩერნიშევსკის* ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი იყო. თვით ჩერნიშევსკი კი დადებითად აფასებდა რაფიელ ერისთავის მოღვაწეობას როგორც მწერლობაში, ასევე ეთნოგრაფიაში, და ბუნებრივია, რომ ამ მხრივ იგი ჩვენი პოეტის მსოფლმხედველობასაც ახლოს იცნობდა. ნ. ჩერნიშევსკიმ ორჯერ შეაფასა რუსეთის მოწინავე რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების გამავრცელებელ, მისივე რედაქტორობით გამოცემულ ჟურნალ „სოვრემენიკში" რაფიელ ერისთავის ნაწარმოებები. ჯერ 1855 წელს ჟურნალის მე-7 ნომერში მოთხრობა „*ბეჩავის*" გამოსვლასთან დაკავშირებით, „მთიელი ხალხის ყოფა-ცხოვრების ზუსტი, შეულამაზებელი აღწერისათვის", ხოლო შემდეგ, 1856 წელს, ფართო რეცენზიაში, რომელიც მან მიუძღვნა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ჟურნალს *ЗКОИРГО*-ს მე-3 ნაკვეთს და, სადაც ნ. ჩერნიშევსკი კერძოდ აღნიშნავდა: *„Из трех статей, напечатанных в III книжке, „Записки Кавказского отдела Русского географического общества", а именно „Талишинцах" г. Росса, „О Тушино-Пшаво-Хевсурском округе", кн. Эристави и „Поездка в вольную Сванетию" г. Бартоломея, каждая имеет капитальное достоинство, представляя много новых важных материалов для этнографии Кавказского края"... და შემდეგ: „Обращая главное наше внимание на статью кн. Эристави, содержащую обшеинтересное описание быта двух из числа племен населяющих Тушино-пшаво-хевсурский округ, именно о пшавах и хевсурах"*[37].

სავსებით მართებულად აყალიბებს დებულებას მწერლის იდეურ კრედოზე რაფიელ ერისთავის ლიტერატურული მოღვაწეობის მკვლევარი *შ. ვაშაყმაძე*, როდესაც წერს: „მის ლიტერატურულ ნიმუშებში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა კლასის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები ნახულობდნენ სულიერ საზრდოს, ვინაიდან მწერლის შემოქმედება ყველაზე უფრო მშრომელი ხალხის იდეალების გამომხატველია, ამიტომ მწერლის დამფასებელთა რი-

გებში ვხედავთ გლეხკაცობასა და სოფლიდან ქალაქად წამოსულ მუშათა კლასის პირველ წარმომადგენლებსაც. ცხრაასიანი წლების მიჯნაზე გართულებულ კლასთა ბრძოლის ვითარებაში და შემდეგაც რაფიელ ერისთავის პოეზია დიდ გავლენას ახდენდა ხალხის ფართო ფენებზე. მისი პოეზია სიძულვილს ზრდიდა ცარიზმისადმი, განმათავისუფლებელ იდეებს აღვივებდა და ხალხს მომავალი რევოლუციისათვის ამზადებდა. ამდენად რაფიელ ერისთავი, როგორც სხვა ქართველი სამოციანელები, რევოლუციის და ჩვენი გამარჯვებათა წინამორბედია"[38]. აქედან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივია, რომ ეს იდეა წითელ ხაზად გასდევს რაფიელ ერისთავის მოღვაწეობას ეთნოგრაფიაშიც, ვინაიდან ხალხის ყოფისა და კულტურის ღრმად შესწავლაში უფრო ნათლად ჩანდა ხალხის ტანჯული ცხოვრების მხარეები, მშრომელი მასების უკიდურესად დუხჭირი მდგომარეობა. სწორედ ამიტომ რ. ერისთავი არასოდეს არ ივიწყებდა ეთნოგრაფიულ ნარკვევებში შეძლებისდაგვარად წარმოეჩინა ხალხის სოციალური თუ ეკონომიკური ჩაგვრის მხარეები. ამის დასადასტურებლად უამრავი მაგალითის მოტანა შეიძლება მისი ეთნოგრაფიული წერილებიდან, რომლებიც თუშ-ფშავ-ხევსურეთზე, სამეგრელოსა თუ იმერეთზეა მიძღვნილი. ზემოთქმულის სისწორეში ჩვენ რამდენიმე ფაქტითაც ნათლად ვრწმუნდებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამეგრელოს გლეხთა აჯანყების მეთაურის უტუ მიქავას მიერ წარმოთქმული სიტყვა ზუგდიდის მაზრაში, რ. ერისთავმა, რომელიც ამის უშუალო მოწმე იყო, ზუსტად ჩაიწერა, შემდეგ კი სათანადოდ შეაფასა ეს მოვლენა. სამეგრელოშივე მან დაახასიათა სოციალური ფენები, განსაკუთრებით დეტალურად აღწერა სამეგრელოსა და ლეჩხუმის მაზრებში საგლეხო რეფორმის გატარების შედეგები, ცარიზმის სამოხელეო აპარატის მიერ გლეხთა გათავისუფლებისადმი გულგრილი დამოკიდებულება, გააშუქა გლეხობის უფლებრივი და ეკონომიკური მდგომარეობა[39]. ან ის გულისტკივილი რად ღირს, რომელსაც რ. ერისთავი გამოხატავს ფშავ-ხევსურეთის მხარის მიმართ მეფის ხელისუფლების გულგრილობაზე, რომელიც გამოიხატებოდა როგორც სოციალური, ისე სამეურნეო ყოფის სხვადასხვა სფეროში. „დიახაც, ცოდვაა ეს ამაყი ხალხი, რომელსაც აქამდის მოუტანია თვითმყოფადი, მდიდარი წეს-ჩვეულებები, ახლა კი ყველაფერი ნადგურდება უგზოობისა და ავადმყოფობის გამო, ერთი მოხელე და ორი სალდათი თუ ამოვა აქ ორ წელიწადში ერთხელ და ისიც იმიტომ, რომ ხალხი დაითვალონ და შემდეგ უკან ნავიდნენ"[40] – აღნიშნავდა რ. ერისთავი. საყურადღებოა აგრეთვე რაფიელ ერისთავის მიერ გლეხების გამოსარჩლების ფაქტები. ასე მაგალითად, კახეთში თავად მაყაშვილთან ატეხილი დავისას გლეხების დაცვა, ხელმწიფისადმი წერილის გაგზავნა გლეხთა პირობების გაუმჯობესებისათვის და ა. შ. ეს ორივე ფაქტი ჩაწერილია რ. ერისთავის თანასოფლელი უხუცესი გლეხების მოგონებებიდან და ხელნაწერის სახით ინახება თელავის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში[41]. ამავე ხელნაწერში მოიხსენიება რ. ერისთავის მიერ ობოლი გლეხის ბავშვის აყვანა აღსაზრდელად.

როგორც აღვნიშნეთ, რ. ერისთავის შემოქმედებას დიდ ძალას ანიჭებდა თავისი ხალხის ზნე-ჩვეულებებისა და ტრადიციების შესანიშნავი ცოდნა, რაც აუცილებელი პირობა იყო იმისათვის, რომ თვალნათლივ წარმოეჩინა ქართველი ხალხის მდიდარი ყოფა და კულტურა. რ. ერისთავი ეროვნული კულტურის

აღორძინების უპირველეს პირობად მიიჩნევს განათლების, ეროვნული ტრადიციების, მამაპაპური ადათების, წეს-ჩვეულებების დაცვასა და შენარჩუნებას. ე. ი. ისეთ საკითხებს, რომლებსაც, საბოლოო ჯამში, საზოგადოების განვითარებისათვის პროგრესის მოტანა შეეძლოთ. სწორედ ამიტომ იყო მკვლევარი დაინტერესებული, რომ შეესწავლა ქართული კულტურის ესა თუ ის დარგი. მისი წერილების თემატიკა მრავალფეროვანია, ისინი შეეხება ისტორიას, ეთნოგრაფიას, არქეოლოგიას, ფოლკლორს, გეოგრაფიას თუ სხვა მრავალ საჭირბოროტო საკითხებს. თითქმის ყოველი მისი გამოკვლევა მყარ ფაქტობრივ მასალაზეა დაყრდნობილი. ბევრ შემთხვევაში მასალის სრული აღწერილობა და კონკრეტული მისამართი რ. ერისთავის სტატიებს დოკუმენტის თვისებას ანიჭებს. ყველაფერი ეს განსაკუთრებით ითქმის ეთნოგრაფიული ხასიათის ნაწერებზე, რომელთა დეტალური განხილვა ჩვენ ქვემოთ გვექნება მოცემული.

რაფიელ ერისთავი მასალას კრებდა უშუალო დაკვირვებისა და გამოკითხვის საშუალებით. მას კარგად ესმოდა მასალის წყაროთმცოდნეობითი ღირებულება – მასალის შეკრებამდე იგი გარკვეულ გეგმა-კითხვარს ადგენდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რაფიელ ერისთავი უეჭველია იცნობდა 1847 წელს რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების მიერ გავრცელებულ *ნ. ნადეჟდინის* პროგრამას. რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების ეთნოგრაფიის განყოფილება თავიდანვე მჭიდრო კავშირში იყო ეროვნულ მოღვაწეებთან. ნ. ნადეჟდინის პროგრამა, რომელიც 7000 ცალი დაიბეჭდა, თითო ეგზემპლიარად დაიგზავნა რუსეთის იმპერიის სხვადასხვა კუთხეებში. აქ მოცემული იყო ძირითადად რუსი ხალხის შესწავლისათვის ექვსი პუნქტი: 1. *Относительно наружности*; 2. *О языке;* 3. *О домашнем быте*; 4. *Об особенностях общественного*; 5. *Об умственных и нравственных способностях и образовании*; 6. *О народных преданиях и памятниках*[42].

როგორც აღვნიშნეთ, ეთნოგრაფიის განყოფილების პირველადი ამოცანა იყო, თვით რუსი ხალხის შესწავლა და ეს პროგრამაც ძირითადად ამისათვის იყო განსაზღვრული. აქ ჩვენ ეს პროგრამა იმ თვალსაზრისით მოვიყვანეთ, რომ შემდგომში ჯერ რუსეთში, შემდეგ კი საქართველოში ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებისათვის ადგენდნენ პროგრამებს ცალკეული მკვლევარები, მაგრამ ეს არ ნიშნავდა ნადეჟდინის პროგრამის „გადამღერებას". მაგ., კავკასიის განყოფილების წევრთა პირველი შრომები, მათ შორის კი რ. ერისთავის პირველი ეთნოგრაფიული წერილები სტრუქტურულად, თემატიკით სრულიად განსხვავდება ნადეჟდინისა თუ სხვა გეოგრაფიული პროგრამების პუნქტებისაგან. ამიტომ იოლად დავრწმუნდებით, რომ პროგრამა-კითხვარის შედგენა რ. ერისთავის მიერ დამოუკიდებელი მუშაობის ნაყოფია, რაც სავსებით ბუნებრივია, თუ მხედველობაში მივიღებთ რ. ერისთავის მოღვაწეობას რუსულ პერიოდულ პრესაში და, რაც მთავარია, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებაში. გეოგრაფიული საზოგადოების ეთნოგრაფიის განყოფილება პირველი პროგრამის შემდეგ თანდათონობით ზრდის თავისი ინტერესების სფეროს დაგროვებული მასალის საშუალებით. 1853 წელს უშვებს პირველ ეთნოგრაფიულ კრებულს *ნ. ნადეჟდინისა და კ. კაველინის* რედაქციით. ამის შემდეგ კი გამოდის ამავე საზოგადოების პერიოდული ჟურნალები. მათ შორის *ЗКОИРГО* 1854 წლიდან, სადაც უკვე იბეჭდება ქართველ მოღვაწეთა

შრომებიც. ერთ-ერთი პირველია რ. ერისთავის ნარკვევი თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქზე. ამ შრომამ რ. ერისთავს საყოველთაო აღიარება მოუტანა და სწორედ ეს იყო ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი მისი გეოგრაფიული საზოგადოების ნამდვილ წევრად არჩევისა. აქვე დავძენთ, რომ ჯერ ნადეჟდინისა და შემდეგ 1850 წელს რუსული გეოგრაფიული საზოგადოების პროგრამის გამოშვებისას, რ. ერისთავს უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა მართალია მცირე ფორმის, მაგრამ მეტად ორიგინალური ეთნოგრაფიული მასალის, განსაკუთრებით დღესასწაულებისა და რელიგიური რწმენა-წარმოდგენების შემცველი წერილები, სადაც ავტორის მიერ მიკვლეული ახალი მასალის საფუძველზე აღწერილი და განხილულია ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ყოფისა და რელიგიური აზროვნების რიგი თავისებურებანი. მათში ასახულია მრავალი ისეთი მოვლენა, რომლის ავტორისეულ აღწერას პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება საქორწინო წეს-ჩვეულებების, ხალხური გართობა-სანახაობებისა თუ რელიგიური რიტუალების შესწავლისათვის.

რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებაში რ. ერისთავი მოღვაწეობდა გამოჩენილ რუს მოხელეებთან და მკვლევარებთან *ვ. სოლოგუბთან, ა. ბერჟესთან, ი. ბართოლომეისთან* და სხვებთან.

ამ საზოგადოების დახმარებით, რაფიელ ერისთავმა, დ. ბაქრაძემ, პლ. იოსელიანმა და სხვებმა სისტემატური ხასიათი მისცეს ეთნოგრაფიული სინამდვილის შესწავლას. უფრო მეტიც, რ. ერისთავი საჭირო ახსნა-განმარტებებს აძლევდა რუს კოლეგებს კავკასიის განყოფილებიდან, საქართველოს ამა თუ იმ კუთხის შესწავლასთან დაკავშირებით. ამიტომაც იყო, რომ მისი დამსახურება გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებაში ყველა მემატიანემ საგანგებოდ აღნიშნა[43].

ზემოთ აღნიშნული ვითარების ნათელი დადასტურებაა აკად. *კ. კეკელიძის* სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში რ. ერისთავის არქივში მიგნებული ტექსტი[44], რომელიც აშკარად ტოვებს პროგრამის შთაბეჭდილებას. აქ მოცემულია თანმიმდევრულად საკითხების ის ნუსხა, თუ რას უნდა მიაქციოს ყურადღება მკვლევარმა, კერძოდ, თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქში ეთნოგრაფიული მასალის შეგროვებისას. ეს პროგრამა კითხვარი მას ცხადია გამოყენებული აქვს ამ მხარეზე შექმნილი მონოგრაფიისათვის მასალის შეკრებისას. აქ ჩვენ დეტალურად არ შევუდგებით ამ მონოგრაფიის გარჩევას თუნდაც ამ თვალსაზრისით, მხოლოდ დავძენთ, რომ ეს გეგმა-კითხვარი თუ პროგრამა-კითხვარი, რომელზედაც ჩვენ საუბარი გვაქვს, ერთ-ერთი პირველი მიღწევაა ეთნოგრაფიული მოვლენების ყოველმხრივი აღწერის თვალსაზრისით ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. რ. ერისთავი წარმატებით იყენებს მას ყოფის გარკვეულ სფეროში და სათანადო მონაცემებით აღწერს ხევისბერობას და ოჯახს, თემობას და ხატს, ქორწილსა და დატირებას, მეურნეობასა და სტუმარ-მასპინძლობას, ნადირობას და დოღს, მზეკლობას, ავადმყოფობას, ტანსაცმელსა და საჭმელს, აბჯარ-იარაღსა და სხვ. ეს მოვლენები კი მას აღწერილი აქვს შედარებით ზუსტად და სათანადო სისრულით. ამ აზრის განსამტკიცებლად გამოგვადგებოდა აგრეთვე რაფიელ ერისთავის სამეგრელოში მოგზაურობის ჩანაწერები[45]. ეს ნარკვევი თავისი სტრუქტურით გზამკვლევის შთაბეჭდილებას ტოვებს. მასში მოცემულია გარკვეული მარშრუტი, რომლის მი-

ხედვითაც, ავტორი თანმიმდევრობით გვაცნობს მხარის გეოგრაფიულ მდებარეობას, გზებს, ისტორიულ ძეგლებს, მასში დაცულ ნივთებს და მხატვრობას. რ. ერისთავი შედარებით შორეული მოვლენების გასარკვევად იმოწმებს ისტორიულ პირველწყაროებს, ლიტერატურულ მონაცემებს, იყენებს ხალხურ გადმოცემებს. ეს ნარკვევი ძირითადად ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათისაა და ჩვენთვის იმითაა აღსანიშნავი, რომ აქ ნათლად ჩანს ავტორის გარკვეულად ჩამოყალიბებული მეთოდი, რომელიც უეჭველად მისი კვლევის პრინციპებზე იყო დამყარებული და, რომელმაც წმინდა ეთნოგრაფიული შრომების დაწერისას კიდევ უფრო მეტად იჩინა თავი. ამის აშკარა დადასტურებაა ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი მონოგრაფია თუშ-ფშავ-ხევსურეთზე, სადაც რ. ერისთავის ეთნოგრაფიული მასალა, პირველ რიგში სწორედ პროგრამული და თანიმიმდევრული აღწერითაა მნიშვნელოვანი. ამას თუ დავუმატებთ მასალის შეკრების, უფრო სწორედ, გარკვეული დროის მონაკვეთში ამა თუ იმ მასალის დამოწმების ინტენსიობას, რომელიც ამ ნაშრომიდან ხშირად ჩანს, ნათელი გახდება რაფიელ ერისთავის ეთნოგრაფიული მასალის სანდოობა და საიმედოობა.

კვლევის აღნიშნული მეთოდოლოგიური პრინციპებით შეკრებილი რაფიელ ერისთავისეული ეთნოგრაფიული მასალის მეცნიერული ღირებულება საკმაოდ მაღალია. ამის ნათელი დადასტურებაა ივანე ჯავახიშვილის მიერ ფიქსირებული მასალის, ტოპონიმებისა და ტერმინების სათანადო გამოყენება და ანალიზი. განსაკუთრებით ეს ითქმის *„ქართველი ერის ისტორიის“* პირველი წიგნის მეორე თავზე – *„ქართველთა წარმართობა“*[46], რომელიც პრობლემურ და ურთულეს საკითხებს, კერძოდ, ქართველთა უძველეს წარმართულ ღვთაებათა პანთეონის შესწავლას ეხება. სწორედ აქ, რელიგიური რწმენა-წარმოგდენების აღწერისას ივანე ჯავახიშვილი არაერთხელ მიმართავს რაფიელ ერისთავის მიერ მოპოვებულ მასალას, ზოგ შემთხვევაში კი მთლიანად ციტირებული აქვს ავტორის ტექსტი, რომელიც ხევსურთა და ფშავთა მღვდელმსახურების რიტუალების თანმიმდევრობას, მათი უფლება-მოვალეობის აღწერას შეეხება.

ივანე ჯავახიშვილის ამ მონოგრაფიაში მოტანილია აგრეთვე ერისთავის მიერ აღწერილი ხევსურთა რელიგიურ-მაგიური სცენები. თუ რაოდენ საიმედოდ მიაჩნდა ეს მასალა ივანე ჯავახიშვილს, კარგად ჩანს მისივე სიტყვებიდან: „...ეხლა, როცა გამოირკვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძველი ქართველების სარწმუნეობაში მთვარეს და მის მდგომარეობას, მცხრალისა, გავსებულისა და მთვარის ანგარიში, სწორეს ასე იყო კიდეც. ფშავსა და ხევსურს, ხევისბერსა და დეკანოზს რომ ჰკითხოთ, მთვარე რამდენი დღისაა, ერთ წამსვე მიიღებთ სწორ პასუხს“[47]. აქვე ივ. ჯავახიშვილი ფშავ-ხევსურთა ადგილობრივი სახელების ჩამოთვლისას (*მზია, გულთამზე, მზევინარი, მზექალა*) მოიშველიებს რ. ერისთავის მასალას თავისივე ასტრალური კონცეფციის განსამტკიცებლად[48].

ივანე ჯავახიშვილმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა რაფიელ ერისთავის ნაშრომებში მოცემულ ტერმინებს, რომლის სიზუსტეში მას ეჭვი არ ეპარება და რომლის მიხედვითაც მას გამოაქვს შესაბამისი დასკვნები. ეს ეხება ღვთაება *„ანატორის“* სახელწოდებას, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, ხევსურეთში ჯავახიშვილისათვის მხოლოდ ერისთავის მა-

სალიდან იყო ცნობილი. ეს სახელწოდება ჯავახიშვილს იდენტურად მიაჩნია დასავლეთ საქართველოში ცნობილი საქონლის ღვთაების ისეთი სახელებისათვის, როგორიცაა: „*ჟინი ანთარი*“ სამეგრელოში და აფხაზური „ათარ“, მაგრამ უპირატესობას ერისთავისეულ „*ანატორს*“ ანიჭებს, რომელიც მას გაცილებით ძველად მიაჩნია[49]. ასევე დიდ ნდობას უცხადებს მკვლევარის მასალას ივ. ჯავახიშვილი მნათობთა თაყვანისცემასთან დაკავშირებულ ქართველთა ღვთაების სახელის დადგენისას, როცა ამბობს: „რ. ერისთავის სიტყვით, ხევსურები თაყვანს სცემდნენ ერთ ღვთაებას, ანუ „*ხატს*“, რომელსაც „*ჯიმაღის ჯვარი*“ ეწოდება. რა ღვთაება უნდა იყოს ჯიმაღი, ამაზე არაფერს ამბობს განსვენებული პოეტი“, დასძენს ჯავახიშვილი[50].

საბოლოოდ იგი ამ ტერმინის საფუძველზე აგებს მთელ კონცეფციას, რომელიც ამ ღვთაების სახელის განსაზღვრის პრობლემას ეხება (ასევე მიაქცევს ყურადღებას ი. ჯავახიშვილი რ. ერისთავის მიერ მოცემულ სხვა სახელწოდებებსაც, მაგ., „*ადგილის დედას*“, „*მუხის ანგელოზს*“ და სხვ.). ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითებითაც ნათლად ჩანს რაფიელ ერისთავის მიერ ფიქსირებული მასალის სიზუსტე და კომპეტენტურობა.

ამ მხრივ აღსანიშნავია შემდეგი მომენტიც; როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რაფიელ ერისთავის მონოგრაფია თუშ-ფშავ-ხევსურეთზე დადებითად შეაფასა ჟურნალ „სოვრემენიკში“ ნიკოლოზ ჩერნიშევსკიმ. მის სტატიაში შეფასების შემდეგ რ. ერისთავის ნაშრომის მოკლე შინაარსია მოცემული, რომელიც ძირითადად ხევსურთა და ფშავთა რელიგიას ეხება. ე. ი. მიუხედავად ერისთავის მონოგრაფიის მრავალმხრივობისა, სადაც ფშავ-ხევსურთა ყოფისა და კულტურის თითქმის ყველა ელემენტია წარმოდგენილი, ჩერნიშევსკის მთავარი მაინც რელიგიური რწმენა-წარმოდგენების აღწერილ ნაწილში დაუნახავს[51]. მართლაც უაღრესად დეტალური და ზუსტი დაკვირვებით აღწერს რ. ერისთავი ფშავ-ხევსურთა რელიგიას. ის ალღოთი გრძნობს და მკვლევარის თვალით ხედავს, რომ აქ რელიგიას სინკრეტული ხასიათი აქვს. რ. ერისთავმა იცის, რომ ფშავი თუ ხევსურეთი ქრისტიანია, ისინიც თამამად უმტკიცებენ ამას მკვლევარს. ამავე დროს კი მისი დაკვირვებული თვალი ამჩნევს, რომ არსებობს ადგილობრივი სალოცავები, დღესასწაულები, ადგილობრივი ღვთაებები, ჯვარხატები, თემი, მღვდელთმსახურები და ეს ყველაფერი არსებობს ქრისტიანული რელიგიის ატრიბუტებთან ერთად. უფრო მეტიც, მთიანეთის ამ კუთხის მოსახლეობაში იგი სხვა რელიგიების დანაშრევებსაც ამჩნევს. როგორც აღვნიშნეთ, ამ მოვლენასთან დაკავშირებით, მკვლევარი უამრავ კითხვას სვამს, რომელიც დღემდე შეუსწავლელია. ჩვენ კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი ხასიათის მასალის გადმოცემა და გააზრება დღემდე უნიკალურია ქართულ ეთნოგრაფიაში და იგი ერთხელ კიდევ ადასტურებს რაფიელ ერისთავის საველე-ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდოლოგიური პრინციპების სრულყოფას, მისი თანამედროვე მეცნიერული მიღწევების გათვალისწინებით.

თავის ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებაში რ. ერისთავი დიდ ყურადღებას აქცევდა ეთნოგრაფიული მოვლენების სტატისტიკას. იგი მასალის ფიქსაციისას აღნიშნავდა რამდენად ხშირი, იშვიათი თუ ტიპიური იყო ესა თუ ის მოვლენა. მკვლევარი ბევრ შემთხვევაში მართებულად უდგება ამ საკითხების გადაწყვეტას. ძირითადად გამოჰყოფდა ისეთ მოვლენებს, რომლებიც იშვიათი, უნი-

კალური იყო, მხოლოდ იმ რეგიონისათვის იყო დამახასიათებელი და მხოლოდ მის მიერ იყო პირველად აღწერილი. მაგალითისათვის, ასე აქვს მას აღწერილი იმერული *„აჩაჩა“* ურემი, ღვინის *„გაყენების“* არქაული წესი და სხვა მრავალი ეთნოგრაფიული სიუჟეტი, რომელთაც დღესაც პირველწყაროს მნიშვნელობა გააჩნიათ. ამასთან დაკავშირებით სამაგალითოდ მოვიყვანთ იმერელი გლეხის საკარმიდამო კომპლექსის თანმიმდევრულ, დეტალურ აღწერას, რომელშიც მვკლევარს არ გამორჩენია მისი არც ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი: *„Мы видим саклю имеретина; около сакли - бегели (амбар для хранения гоми и других съестных припасов, а иногда кое-чего из цепной домашней утвари или платья). Поодаль от бегели - кукурузник - на четырех столбах, а далее свинарник, курятник и маленькая овчарня. Все эти надворные строения примыкают к забору, который отделяет чистый двор, засеянный травою, от большого огорода. Как во дворе, так и в огороде замечаются местами фруктовые и ольховые деревья, а на последних вьющийся виноград“*[52].

რაფიელ ერისთავი ხშირად ცდილობს, რომ ეთნოგრაფიული მოვლენები განიხილოს ისტორიულ ჭრილში, გაარკვიოს მათი ბუნება წარსულში და დაადგინოს მოვლენის გენეზისის არსი. ასე იქცევა ის მეღვინეობასთან დაკავშირებით კახელი გლეხის საქმიანობის აღწერისას, ან სახალხო დღესასწაულის *„ბერიკაობის“* დახასიათებისას. მიუხედავად იმისა, რომ რ. ერისთავის ეთნოგრაფიული შრომები ძირითადად რუსულ ენაზეა გამოქვეყნებული, ტექსტის ერთი თვალის გადავლებითაც ჩანს, რომ პირველადი მასალა მოპოვებულია ბუნებრივ პირობებში, ჩაწერილია ქართულად. ამასთან, იგი ხშირად იყენებდა რუსულ ტექსტში ამა თუ იმ ადგილობრივ ტერმინოლოგიას. ასე იქცეოდა იგი კავკასიის მუზეუმში შემოსული ეთნოგრაფიული კოლექციების რეგისტრაციის პროცესშიც მაშინ, როცა რუსულ ჩანაწერებში ქართულ ენაზე შეჰქონდა მათი სახელწოდებები, იგი ერთ-ერთი პირველი ქართველი ლექსიკოლოგი იყო, რომელმაც შეადგინა ქართულ-ლათინური ბოტანიკური ლექსიკონი. ეს მოწმობს, რომ რაფიელ ერისთავი ზედმიწევნით იყო დაუფლებული ეთნოგრაფიული მასალის, მათ შორის სამუზეუმო მასალის ფიქსაციის მეცნიერულ საფუძვლებს.

რაფიელ ერისთავის, როგორც ხალხური ყოფის მკვლევარის, დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ იგი შორსაა ზედაპირული აღწერილობიდან, არ ალამაზებს, არ მალავს თავის ხალხში შემორჩენილ უარყოფით მხარეებს. ამგვარად გადმოგვცემს იგი მთაში შემორჩენილ *„სისხლის აღებას“*, *„ქალის გარიგებასა“* და სხვა მავნე გადმონაშთებს. ამ შემთხვევაში და სხვაგანაც რ. ერისთავისათვის უცხოა რაიმე იდეალიზაცია როგორც წარსულის, ასევე თანამედროვეობის ამსახველი ყოფის ისეთი ელემენტებისა, რომლებიც დასაგმობია და, რომელზეც აშკარად მიუთითებს მკვლევარი: „სისხლის აღება რომ მკაცრი და დასაგმობია ხევსურთა წეს-ჩვეულებებში – ცხადია. ეს ცუდი ჩვეულება უძველესი დროიდან მოდის და ამიტომ კიდევ გვხვდება აქაიქ, თუმცა ეს ჩვევა უფრო მეტად ინსტიქტურია და არავის უნდა მკვლელობა ჩაიდინოს“[53]. ან კიდევ სხვა მაგალითი: „დასხდებიან ხევსურნი კაცნი სახლში, არაყსა და ლუდს შეექცევიან, ქალები კი ამ დროს საქონლის შენახვითა და თივის დამზადებით არიან დაკავებულნი“[54].

რ. ერისთავისათვის არ იყო უცხო ისტორიული შედარებებიც. ამ მეთოდს იგი მიმართავს ცალკეულ საკითხებზე მსჯელობისას. ასეთი მასალის გადმოცემისას რ. ერისთავი ხაზს უსვამს იმ აუცილებლობას, რომ ხალხის კულტურის ესა თუ ის მხარეები, რომლებიც მის ისტორიულ წარსულსა და აწმყოს შეეხებიან, უნდა შეიცვალოს ახალი, უფრო მოწინავე და პროგრესული ჩვევებით და ცერემონიებით. მეორეგან, იმერეთისადმი მიძღვნილ ნარკვევში, რ. ერისთავი წერს: *„В таком крае люди просвященные принесли бы пользу себе и стране, столь щедро одаренной природою, но не имеющей людей со средствами и знанием“.*[55]

რაფიელ ერისთავის ზემოთ მოტანილი მაგალითები და ეს შეხედულებანი მრავალმხრივაა საყურადღებო. იგი ამ შემთხვევაში შორეული გადმონაშთების მექანიკური უარყოფის გზას კი არ დაადგა, არამედ ზუსტად აღწერა ფაქტი, მოიყვანა შესადარებელი მასალა და თავისი ისტორიული ადგილი მიუჩინა მას. ეს არის რ. ერისთავის კონცეფციის ერთ-ერთი დამახასიათებელი მხარე. იგი ცდილობს მეცნიერული დამაჯერებლობით უჩვენოს დღეს საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტება, რომ შორეული მავნე გადმონაშთები კი არ გამორიცხავენ კულტურული განვითარების დონეს, არამედ მიუთითებენ კულტურის განვითარების უწყვეტობაზე, ახალ პირობებში მის მიერ ახალი ფუნქციის შესრულების უნარზე.

მიუხედავად იმისა, რომ რ. ერისთავი თავის ეთნოგრაფიულ წერილებში ძირითადად საღი აზრებისა და დებულებების ავტორია, არ შეიძლება არ აღინიშნოს ზოგჯერ მისი შეხედულებების უარყოფითობა და მიუღებლობა. ავტორს მცდარი შეხედულება აქვს გამოთქმული ისეთი ეთნოგრაფიული მასალის განზოგადებისას, რომელიც ხევსურთა რელიგიური მრწამსის, გურულთა ჩაცმულობისა და იმერეთის სამეურნეო ყოფის ერთ-ერთი დარგის – მემინდვრეობის საკითხებს შეეხება. ზემოთ ჩამოთვლილი სამივე ფაქტის ანალიზის დროს მკვლევარი, ცდილობს რა გაარკვიოს მათი წარმოშობის ბუნება, არც თუ ისე ზუსტად, ზოგჯერ კი ნაჩქარევად მიუთითებს და პარალელებს ავლებს სხვა ხალხების ყოფისა და კულტურის იმავე ელემენტებზე. საბოლოოდ მას გამოაქვს დაუსაბუთებელი, ყოველგვარი წყაროსა თუ ლიტერატურის მიუთითებლად გაკეთებული დასკვნები. და მაინც, თუ გავითვალისწინებთ იმდროინდელი ეთნოგრაფიისა და საერთოდ ისტორიული მეცნიერების განვითარების დონეს რ. ერისთავისეული ეს შეხედულებანი სავსებით „შესაწყნარებელ“ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს.

ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების ადრეული პერიოდის ამ „საყმაწვილო“ სენზე თავის დროზე მოხდენილად მიუთითებდა *გ. ჩიტაია*. მისი მართებული შენიშვნით „პირუთვნელი მეცნიერული კვლევა-ძიება წინაუკმო უნდა წარმოებდეს – კონკრეტულ ფაქტებიდან ზოგად დებულებისაკენ“. და შემდეგ, მიუთითებს რა ნ. ხიზანაშვილის ეთნოგრაფიული მასალის სიავკარგეს, გ. ჩიტაია დასძენს: „...ავტორი თუმცა საკითხებს მეცნიერული კვლევისას ისტორიულ ჭრილში იხილავს, მაგრამ მათ წარმოშობას არ ეხება, გენეზისის საკითხს არ სვამს და გარეშე გავლენის ძიებით კმაყოფილდება, რაც მიუღებელია აწინდელი ქართული ეთნოგრაფიისათვის. თანამედროვე ქართული ეთნოგრაფიის ძირითადი მოთხოვნილებაა – ეთნოგრაფიული მოვლენების გენეტიკური საკითხების გამოკვლევა“[56]. გ. ჩიტაიას ეს აზრი, რომელიც მან ნ. ხიზანაშვილის

*„ეთნოგრაფიული ნაწერების“* წინასიტყვაობაში ჩამოაყალიბა, ჩვენი შეხედულებით, მთლიანად შეესაბამება რაფიელ ერისთავის ეთნოგრაფიულ კვლევაში დაშვებულ ზოგიერთ შეცდომას, რომელზეც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი.

რ. ერისთავის ეთნოგრაფიულ წერილებში ზოგი რამ სხვა უზუსტობანიც შეიმჩნევა. კერძოდ, ეს გამოიხატება ზოგიერთი კუთხისათვის დამახასიათებელი ყოფისა და კულტურის ელემენტების გავრცელების არეალის დადგენის უზუსტობაში, ამა თუ იმ კუთხეში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის ფრაგმენტულობაში და ა. შ. მაგრამ როგორც ზემოთ არაერთხელ ითქვა, ამ ნაწერებში მთავარია ეთნოგრაფიული ფაქტებისა და მოვლენების აღწერის ის სიზუსტე, რომელიც მის ნაწერებში ასე უხვად არის მოცემული.

რაფიელ ერისთავმა ერთ-ერთმა პირველმა შემოიტანა ქართულ ეთნოგრაფიაში ცალკეულ წეს-ჩვეულებებისა და დღესასწაულების სპეციალური კვლევის მეთოდიკა. მის მიერ პირველადაა აღწერილი ყოფის ელემენტები, რომლებიც დღესაც იშვიათობას წარმოადგენს. იგი მიუთითებდა მასალის შემკრების მიერ მთხრობელთან ინდივიდუალურ მიდგომაზე. მისი კვლევის ერთ-ერთ ძირითად თავისებურებად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ჩანაწერებთან ერთად ეთნოგრაფიული საილუსტრაციო მასალის წარმოჩენა. მის მიერ გამოქვეყნებულ თითქმის ყველა ეთნოგრაფიულ წერილსა თუ ნარკვევს ამშვენებს რუკები, სქემები და ნახატები, რომლებიც ბევრ შემთხვევაში მის მიერაა შესრულებული. ასეთი საილუსტრაციო მასალით განსაკუთრებით მდიდარია მისი ნარკვევი, რომელიც ეძღვნება იმერეთის სამეურნეო ყოფას[57].

საილუსტრაციო მასალას, რომ დიდ ყურადღებას ანიჭებდა რ. ერისთავი, ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს არქეოლოგიური, ისტორიული და რაც მთავარია, სამუზეუმო ეთნოგრაფიული ნივთების მისეული მდიდარი კოლექციებიდან, რომლებშიც ასახულია საქართველოს სხვადასხვა კუთხის დამახასიათებელი ყოფისა და კულტურის ნიშნები.

რაფიელ ერისთავის ეთნოგრაფიული ხასიათის პირველი წერილები, მიძღვნილი ქართველი ხალხის სოციალური ყოფისა და რელიგიური რწმენა-წარმოდგენებისადმი, გამოქვეყნდა გაზეთ *კავკაზში* 1846-49 წლებში. ამ საინტერესო წერილებმა იმთავითვე მკითხველის მოწონება და აღიარება დაიმსახურეს. აკად. მარი ბროსეს სიტყვით: „...ამ ახალგაზრდა კაცმა, რომელმაც მიიღო საფუძვლიანი განათლება თბილისის გიმნაზიაში, უკვე გამოიჩინა თავი გაზეთ *კავკაზში* მოთავსებული სტატიებით“[58].

რაფიელ ერისთავის ადრეული მონოგრაფიებიდან აღსანიშნავია ზემოთ დასახელებული აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცული გამოუქვეყნებელი ნაშრომი – *„ცხოვრებისათვის ნათესავთა ხევსურთასა“*, რომელიც შესასწავლ საკითხთა სტრუქტურული სრულყოფით, მრავალფეროვნებითა და მრავალმხრივობით ფუნდამენტური გამოკვლევის შთაბეჭდილებას ტოვებს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მოგვიანებით ეს ნაშრომი საფუძვლად დაედო მონოგრაფიას „თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის შესახებ“. გარკვეულ უზუსტობათა მიუხედავად, აღნიშნული ხელნაწერი რ. ერისთავის ეთნოგრაფიული მემკიდრეობის სახელოვან საწყისად უნდა იქნას მიჩნეული. ამასთან ერთად, მკვლევარის ეს ნაშრომი ქართული ეთნოსის ერთ-ერთი უმ-

ნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილის – ხევსურეთის მონოგრაფიული აღწერის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს.

ხელნაწერი – *„ცხოვრებისათვის ნათესავთა ხევსურთასა“*, რომელიც ქართულ ენაზეა დაწერილი (ზოგჯერ ფანქრით მინაწერი რუსული სიტყვებით და კომენტარებით), უეჭველია უფრო ადრეულია, ზუსტად რ. ერისთავის აღნიშნულ კუთხეში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს (1946-1948 წწ.) შეეფარდება და ე. ი. სტაციონალური, უშუალო დაკვირვების შედეგად მოცემული მასალის საფუძველზეა შექმნილი. თუ რაოდენ მრავალმხრივი, წმინდა ეთნოგრაფიული ხასიათის ნარკვევთან გვაქვს საქმე, ამაში ჩვენ ამ ხელნაწერის დასათაურებიდანაც კი დავრწმუნდებით, რომელიც სრულად მოგვყავს: 1. *წოდება ხევსურთა თუ რაისათვის მათ ეწოდებათ ხევსურნი; 2. აღრიცხვა კომლთა და სულთა; 3. სახე და შესამოსელი მათი (დედაკაცისა, მამაკაცისა); 4. ცხოვრებისათვის და მდგომარეობისა ხევსურთასა; 5. სჯული და გარემოება ხევსურთა; 6. წარმოება ხევსურთა ბუნებითისა ჩვეულებისა – ქორწილი, празбники (რუსულად ფანქრითაა მინაწერი); 7. ავათმყოფობა და დამარხვა ხევსურთა; 8. ქონება და ცხოვრება ხევსურთა; 9. სამართლობა ხევსურთა; 10. სახელები ხევსურთა მამაკაცისა; 11. სახელი დედათა სქესისანი; 12. მოსისხლეობისა და სისხლის აღებისათვის; 13. სესხისათვის; 14. გაყრისათვის ძმისა; 15. მიწიერი ნაყოფისათვის; 16. ნადირისა და საქონლისათვის; 17. ექიმობისათვის; 18. უმცროსნი კაცნი; 19. სტუმრის მიგებებისათვის; 20. სიმღერისათვის.*

ამ საკითხების უბრალოდ ჩამოთვლაც კი ნათლად გვიჩვენებს რ. ერისთავის ეთნოგრაფიული კვლევის ფუნდამენტურობასა და მრავალმხრივობას. უფრო მეტიც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ იმ დროისათვის არც ერთ ქართველ მკვლევარს არ ჰქონდა საქართველოს არც ერთი რეგიონი შესწავლილი ასე ფართოდ ეთნოგრაფიული თვალსაზრისით. აქ მოცემულ საკითხებში განხილულია ეთნონიმები და ეთნოგენეზი, სამეურნეო ყოფა და ნივთიერი კულტურა, სოციალური ურთიერთობა და სულიერ კულტურა. მართალია ყველა თავი, ერთნაირი სიძლიერით, ფაქტების სიუხვითა და სიზუსტით არ არის დაწერილი, მაგრამ მაინც დამოუკიდებელი ანალიზის ნაყოფია და ბევრ შემთხვევაში დღესაც ინარჩუნებს პირველწყაროს მნიშვნელობას.

ასეთი ფუნდამენტური მოსამზადებელი სამუშაოები დაედო საფუძვლად რ. ერისთავის ეთნოგრაფიული შემოქმედების მეორე პერიოდში შექმნილ ნაშრომებს, რომლებშიც ცენტრალური ადგილი სწორედ თუშ-ფშავ-ხევსურეთზე დაწერილ მონოგრაფიას უჭირავს[59]. თეორიულ-მეთოდოლოგიური და სტრუქტურული სრულყოფით გამორჩეულ ამ ნაშრომში საბოლოოდ ყალიბდება მკვლევარის ე. წ. *ეთნოგრაფიული კრედო*. სტაციონალური კვლევა-ძიების შედეგად უშუალოდ ადგილზე ფიქსირებული მასალებთან ერთად რ. ერისთავს აქ ფართოდ აქვს გამოყენებული ლიტერატურული წყაროები, კერძოდ ისტორიულ-გეოგრაფიული და ფოლკლორული, სტატისტიკური მონაცემები, საარქივო და კამერალური აღწერის მასალები და ა. შ. მეთოდოლოგიური კვლევის სიახლე აქ წარმოდგენილია *შედარებით-ისტორიული მეთოდის* ხშირი გამოყენებით.

მონოგრაფია *„თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის შესახებ“* – სტრუქტურულად მრავალფეროვანი და სრულყოფილი, ფართოპლანიანი ნაშრომია, რო-

მელშიც გაანალიზებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ყოფისა და კულტურის თითქმის ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მხარე.

ყურადღებას იპყრობს რ. ერისთავის დაკვირვებანი და შესაბამისი დასკვნები დასახლების ვერტიკალურ-ზონალური პრინციპის[60], მეურნეობის დარგთა, კერძოდ, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ფორმათა განლაგებისა და შეთანაწყობის, მთიელთა მეურნეობის გაძღოლის თავისებურებებისა და საოჯახო მეურნეობაში ქალის დაწინაურებული როლის, მთური საცხოვრებლის, ჩაცმულობის, ქორწინების ფორმებისა და სხვა მოვლენების შესახებ. ასევე საინტერესოა მკვლევარის დაკვირვებები მთიელთა რელიგიის სინკრეტული ხასიათის[61], საკულტო ძეგლების კლასიფიკაციისა და ტიპოლოგიის, ხატის მსახურთა ინსტიტუტის აღწერისას. შეუძლებელია არ აღინიშნოს მკვლევარის ღრმა ჰუმანიზმი, მისი სიმპათია მთიელებისადმი[62], მათი ზნეობრივი სიწმინდისა და სიმტკიცისადმი, აგრეთვე კრიტიკული დამოკიდებულება ისეთ უარყოფითი მოვლენებისადმი, როგორიცაა სისხლის აღება, ცრურწმენა, მკითხაობა, სხვადასხვა დაავადებანი და ა. შ.

რ. ერისთავმა მნიშვნელოვანი ნაშრომები მიუძღვნა იმერეთისა და სამეგრელოს სამეურნეო ყოფისა და კულტურის საკითხებსაც[63], რომელთა შესახებაც ზემოთ ნაწილობრივ უკვე გვქონდა საუბარი. ამჯერად გვინდა აღვნიშნოთ, რომ ნარკვევი *„იმერეთი სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით“* სტრუქტურული აგებულებითა და განხილულ საკითხთა პრობლემურობით არ ჩამოუვარდება ჩვენ მიერ განხილულ ნაშრომს თუშ-ფშავ-ხევსურეთზე. აქ მოცემული საკითხები მხარის მეურნეობრივი თავისებურებების, განსაკუთრებით კი იმერეთის მევენახეობა-მეღვინეობის ფორმების, ღვინის *„გაყენების“* ხალხური ტექნოლოგიის, *„ახოს აღების“* სისტემის, *„აჩაჩა ურემის“*, ქალის კოსტიუმისა და სხვ. შესახებ გამოირჩევა მასალის სიახლითა და კომპლექსურობით, მკვლევარის ორიგინალური ინტერპრეტაციითა და შესაბამისი თეორიული დასკვნებით.

განსაკუთრებით საინტერესოა რ. ერისთავის მიერ ფიქსირებული *„აჩაჩა ურემი“* და ბორბლის ტრადიციული სახეობანი, რომლებიც ამჟამად სრულ იშვიათობას წარმოადგენენ და რაც აღნიშნულ ეთნოგრაფიულ მასალას უნიკალური პირველწყაროს მნიშვნელობას ანიჭებს[64].

აღნიშნულ ნარკვევში რ. ერისთავი ყოფის თითქმის არც ერთ დეტალს არ ტოვებს უყურედღებოდ. იგი სოფლის გზებს გაცდება თუ არა, ხის ვიწრო, მოქანავე *„ბონდის ხიდზე“* შედგამს ფეხს, რომლის ცალკე ნაწილებს, მშენებლობის ტექნიკას და მასალას იქვე აგვიწერს. ეთნოგრაფის თვალითაა დანახული აგრეთვე ბაზრობა ქუთაისში, მითითებულია ბაზრობის გამართვის დრო, ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის წესები და პროდუქტების დახასიათება[65]. ასევე დეტალური აღწერები აქვს მოცემული მწერალს მდ. ყვირილაზე თევზაობის წესებისა და საშუალებების, თევზჭერის დროისა და პირობების შესახებ, სათევზაო იარაღებისა და ხერხების სრული გადმოცემისას[66].

რ. ერისთავი ბევრ შემთხვევაში პარალელებს ავლებს და დეტალურად აღწერს მატერიალური თუ სულიერი კულტურის ამა თუ იმ ელემენტებს. რადგან იმ დროს ქუთაისის გუბერნიაში იმერეთის გარდა შედიოდა სამეგრელოსა და გურიის ნაწილი, ამიტომაც, სრულიად ბუნებრივია, რომ, თავის ნარკვევებ-

ში პირველ რიგში შედარებითი მასალა სწორედ ამ რეგიონებიდან აქვს მოცემული. ასე აშუქებს იგი იმერელი და გურული მამაკაცის ჩაცმულობასა და იარაღს. მატერიალური კულტურის ამ ელემენტების დეტალური დახასიათების შედეგად, იგი დაასკვნის, რომ გურული ჩაცმულობა და იარაღი უფრო პრაქტიკულია, შეხამებულია მთიან გარემოსთან, ამ კუთხის მოსახლეობის მეომრულ ბუნებასთან[67]. მისი დაკვირვებით, გურული კოსტიუმი ადგილობრივი და თურქული ელემენტების ნარევია. ამ მაგალითების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ რ. ერისთავი იცნობდა და პრაქტიკულად იყენებდა იმ პერიოდისათვის ევროპულ მეცნიერებაში ცნობილ და პრაქტიკულად აღიარებულ შედარებით-ისტორიულ მეთოდს.

ზოგ შემთხვევაში ავტორს პარალელები მოაქვს იმისათვის, რათა დაამტკიცოს ეთნოგრაფიული მასალის იდენტურობა ამა თუ იმ კუთხეში. ასეთ გარემოებას ვხვდებით, მაგალითად, წმინდა გიორგის დღესასწაულის რიტუალური მხარის აღწერისას სამეგრელოსა (სოფ. ბანძაში) და იმერეთში (სოფ. ოფშკვითში). ამ მასალას, გარდა ორიგინალობისა, არქაულობის დაღიც ახია, ამიტომაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოვიყვანოთ დღესასწაულის ერთ-ერთი ელემენტის (სცენის) სრული სურათი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, რ. ერისთავს სიზუსტით შეხვდა ბანძისა და ოფშკვითის დღესასწაულებში: *„...Жители начинают раскачивать огромное дерево, некоторые даже ползут на него и размещаются по ветвям и до тех пор качают его, пока не вырвут с корнями, тогда дерево обносят три раза вокруг церкви, и прислонив к ней вверх корнями, закидывают камнями“*[68].

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რ. ერისთავი უშუალოდ დასწრებია აგრეთვე ამ კუთხეების მკვიდრთა სხვადასხვა დღესასწაულებს და საწესო ცერემონიებს. ნარკვევში ცოცხლადაა წარმოდგენილი აღდგომა და ახალკვირაობა (სოფ. კულაშში), მიცვალებულის დატირების ცერემონია (ხონში), დაირაზე ცეკვა და ბურთაობა (ს. მარანში). შთამბეჭდავია რ. ერისთავის მოგზაურობა ღამით ზესტაფონში და მისი მეგზურის ნაამბობი ავ სულებზე (ჭინკებზე)[69].

მეურნეობის ტრადიციულ დარგებში მკვლევარი ასევე ცალკე გამოჰყოფს მესაქონლეობასა და მევენახეობას და აქვე დასძენს ამ დარგების ჩამორჩენის მიზეზებს. მას მხედველობიდან არ გამორჩენია მხარის მეურნეობის მომავალიც. იგი მიუთითებს სამეგრელოში ახალი დარგების პერსპექტიულობაზე, კერძოდ, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების, ბამბის კულტურის განაშენიანებაზე. საყურადღებოა ისიც, რომ სამეურნეო დარგების დახასიათებისას მკვლევარს, როგორც ყოველთვის, ეთნოგრაფიის ალღოთი, უშუალო დაკვირვების შედეგად აქვს აღწერილი ამ დარგებთან დაკავშირებული შრომის პროცესები, სამუშაო იარაღები, სამეურნეო ნაგებობანი და ა. შ.[70]

ნარკვევში დაწვრილებითაა განხილული ამ მხარის სოფლის მეურნეობის დარგები: მებოსტნეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, მემინდვრეობა და სხვ. საფუძვლიანადაა დახასიათებული შრომის პროცესები, მრავალფეროვანი სამეურნეო ინვენტარი. ზუსტადაა გარკვეული თითოეული დარგის როლი იმერელთა სამეურნეო ყოფაში[71].

ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა მევენახეობა-მეღვინეობას. თანმიმდევრულადაა გაშუქებული ამ დარგის კომპლექსი. რ. ერისთავი ყურადღებას მიაქ-

ცევს იმერეთში მევენახეობის ორ ფორმას. მისი დაკვირვებით იქ, სადაც ნიადაგი მკვრივია, წყლის გამტარუნარიანი ვაზი გაშენებულია ჭიგოებზე (სარებზე), ხოლო ნესტიან და ჭაობიან ნიადაგებზე ვაზს ხეებზე აშენებენ. იმერული ყურძნის ჯიშებიდან რ. ერისთავი ხუთ ძირითად ჯიშს ასახელებს. ამათგან კი ყველაზე მეტად გავრცელებულად ჩხავერსა და ცოლიკაურს. აქვეა დახასიათებული რაჭული ვაზის ჯიშებიც და მათი თავისებურებანი. რაჭული ვაზი აღწერილია იმერულის პარალელურად, თუმცა არც ისე დეტალურად, როგორც ეს უკანასკნელი (როგორც ცნობილია, რაჭა მაშინ ქუთაისის გუბერნიაში შედიოდა და ამიტომაც ამ შრომაში სხვა შეთმხვევაშიც არის განხილული რაჭის მეურნეობის ესა თუ ის დარგი). ძალზე საინტერესო და დეტალურია ცნობები – იმერეთში ვაზის მოვლა-მოშენების ისეთი ტრადიციული წესების შესახებ, როგორიცაა ვენახის გასხვლა, გათოხნა, დაბარვა, განოყიერება[72].

ნარკვევში აღწერილია მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული ინვენტარი, ჭურჭელი და ხელსაწყო-იარაღები. გამოყოფილია მარნისა და ღვინის ჭურჭლის ძირითადი ტიპები. მოცემულია მათი აღწერა და შენება-დამზადების ტექნოლოგია.

ძალზე საყურადღებოა რ. ერისთავის მიერ იმერეთში ფიქსირებული ღვინის დაყენების ორი წესი: „ერთი, ჭურში ღვინის დაყენება, რომელიც უფრო გავრცელებულია, მეორე კი ღვინის საწნახელში *გაყენების* წესი. ეს უკანასკნელი უაღრესად ორიგინალურია, არქაულობის დაღს ატარებს და მის შესახებ ერთ-ერთი უადრესი ცნობა სწორედ რ. ერისთავს ეკუთვნის. ამ *„ერისთავისეულ ხერხს“* განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მკვლევარმა ა. ლეკიაშვილმა, რომელიც სწორედ *„ღვინის გაყენების“* ხერხს თვლის უძველესად საერთოდ საქართველოში, და რომელიც საამისოდ იმოწმებს რ. ერისთავის ზემოთ მოყვანილ მასალას[73].

აქვე შევჩერდებით რ. ერისთავის იმ ნარკვევზე, რომელიც იმავე პერიოდში, 1878 წელსაა დაწერილი და კახეთის მევენახეობა-მეღვინეობას შეეხება[74]. ავტორს აქ კახური ვაზის ჯიშების კლასიფიკაცია მოცემული აქვს სამეურნეო ნიშნით. სულ 15 ვაზის ჯიში დაყოფილია სამ ხარისხად – საღვინედ, სამაჭრედ და საჭმელად. განსაკუთრებულია და სამეურნეო ყოფაში დიდ როლს ასრულებს საფერავი, მწვანე, რქაწითელი და ბუდეშური. ზუსტადაა აღწერილი ვაზის ამა თუ იმ ჯიშის გავრცელების არეალი, სოფლებისა და ველების მიხედვით. დადგენილია ვაზის სპეციფიკური თავისებურებანი ადგილობრივ გარემოსთან შედარებით. ხელსაწყო-იარაღებისა და ჭურჭლის დანიშნულება აქაც ჩვეული სიზუსტითაა აღწერილი[75].

ამ ორი ნარკვევის შედარება ძირითადად კარგად წარმოაჩენს იმერეთსა და კახეთის ადგილობრივ რეგიონალურ თავისებურებებს მევენახეობა-მეღვინეობის დარგში.

ნარკვევში იმერეთის შესახებ რ. ერისთავი აღწერს აგრეთვე იმერეთის მდიდარ და მრავალსახოვან ფლორას, თანმიმდევრულად გადმოგვცემს ამა თუ იმ მცენარეთა ჯიშების ზონებს. მის მიერ აღნუსხულია იმერეთის ტყეებში დაახლოებით 30-მდე ხის ჯიში. იგი ხის ჯიშების აღწერისას გვაცნობს თითოეულის დანიშნულებას იმერელთა სამეურნეო ყოფაში. მისი თქმით, მუხის, წაბლი-

სა და ძელქვის ხეები ძირითადად სამშენებლო მასალაა. რ. ერისთავის თეორიული და პრაქტიკული ცოდნა აქაც კარგადაა წარმოჩენილი[76].

საინტერესოა რ. ერისთავის დაკვირვება იმერეთის ტყეების გაკაფვისა და *ახოს აღებასთან* დაკავშირებით. საყურადღებოა, რომ ავტორი ნარკვევში ახასიათებს იმერეთის ვერტიკალურ ზონებს და ამ კუთხის ნიადაგების სამეურნეო მნიშვნელობას[77]. შრომაში საკმაოდ სრულად არის წარმოდგენილი იმერეთის სოფლის მეურნეობის მრავალდარგიანობა. გაშუქებულია თანაფარდობა და თითოეულის ადგილი აქაურ სამეურნეო ყოფაში. ყურადღებას იქცევს აგრეთვე სამეურნეო კულტურის ელემენტების გამართული ტიპოლოგია, მათი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები გავრცელების ლოკალური თავისებურებების ჩვენებით[78].

დაბოლოს, რ. ერისთავის მიერ იმერეთის სოფლის მეურნეობაზე დაწერილ ნაშრომის ღირსებას აძლიერებს დოკუმენტური საილუსტრაციო მასალა, სხვადასხვა სახისა და დანიშნულების ჩანახატები, სქემები, რუკები. ნაშრომის მთავარი ღირსება მაინც ზემოთ აღნიშნულ საკითხთა ისტორიულ ჭრილში განხილვის ცდაა, რომლის დროსაც მკვლევარი ადგენს კულტურის ამა თუ იმ ელემენტის მოვლენისა თუ ფაქტის გენეზისისა და განვითარების გზებს. ასეთივე ღირსებით გამოირჩევა რ. ერისთავის ნაშრომები სამეგრელოსა და სვანეთზე, რომლებიც ფორმითა და შინაარსით ახლოს დგანან ზემოთ აღნიშნულ ნაშრომებთან.

რაფიელ ერისთავის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობიდან ცალკე აღნიშვნის ღირსია მთარგმნელობითი მოღვაწეობა. ამ მხრივ გამოირჩევა *ნ. ურბნელისა* და *ბ. ნიჟარაძის* ეთნოგრაფიულ ნაშრომთა ზემოთ აღნიშნული თარგმანები, რომლებიც მკვლევარმა ფართო სამსჯავროზე გამოიტანა, საკუთარი ეთნოგრაფიული მასალით შეამაგრა, კრიტიკულად შეაფასა და მასზე დაყრდნობით მოგვცა სვანეთისა და მთიულეთის ყოფაში დამოწმებული ზოგიერთი მოვლენისა და ფაქტის ახსნა.

ქართულ-კავკასიური პარალელების ძიების ცდა მკვლევარს მოცემული აქვს დაღესტანში მოგზაურობის შთაბეჭდილებებში, სადაც იგი სამუზეუმო ნივთების შეძენითაც იყო დაკავებული.

რაფიელ ერისთავის ეთნოგრაფიული ინტერესები მკაფიოდ იჩენს თავს მის მხატვრულ შემოქმედებაშიც. ამ მხრივ თვალსაჩინოა მისი პოეტური ქმნილებანი, რომლებშიც ეთნოგრაფიული სიზუსტითაა აღწერილი მევენახის საქმიანობა, კერძოდ კალოობა, რთველი, გუთანი, ურემი, გლეხკაცის კარმიდამო, ცალკეული რელიგიური დღესასწაულები და ა. შ. მართალია ეთნოგრაფიული მოვლენების მხატვრული გადმოცემა ქართულ მწერლობაში არაა იშვიათი, მაგრამ რაფიელ ერისთავი ამ მხრივ შეუდარებელია. თუ სხვა მწერლებთან და პოეტებთან ეთნოგრაფიული მასალა გამოყენებულია ამა თუ იმ მხატვრული სცენის განსამტკიცებლად, რ. ერისთავთან მხატვრული ხერხები, მისი რითმი და მეტრი მხოლოდ ეთნოგრაფიული სინამდვილის სრულყოფილ გადმოცემას ემსახურება. იგივე შეიძლება ითქვას მისი მხატვრული პროზის შესახებაც, რომელიც მთიელთა ცხოვრების, მათი დღესასწაულებისა და ტრადიციების თავისებურებებს ეხება.

სრულიად ორიგინალური და ახალია რ. ერისთავის „*სცენების*“ ჟანრის პროზაული ნიმუშები, რომლებშიც ავტორი დიდი ოსტატობით გადმოგვცემს ქართული ტრადიციულ-ყოფითი კულტურის თავისებურებებს – ბაზრობის სცენებს, ახალი წლის დღესასწაულს და ა. შ.

ამრიგად, მოტანილი მონაცემების მიმოხილვა და ანალიზი გვიჩვენებს, რომ რაფიელ ერისთავის ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების მეთოდოლოგიური პრინციპები საქართველოში ეთნოგრაფიული მეცნიერების ფორმირების პროცესში ყალიბდებოდა. მისი, როგორც მწერლის, საზოგადო მოღვაწისა და მკვლევარის მხატვრულ-ლიტერატურული და მეცნიერული შემოქმედების ფორმირება ძირითადად ორ უმნიშვნელოვანეს პერიოდს მოიცავდა, რომელთა ფონზეც თვალნათლივ ჩანს ეთნოგრაფიული მასალის ფიქსაციისა და მისი თეორიული ანალიზის თანმიმდევრული დახვეწა და სრულყოფა.

ეთნოგრაფიული მასალის შეკრების მეთოდიკა, რომელიც წინასწარ შედგენილ სათანადო პროგრამა-კითხვარს, ველზე უშუალო დაკვირვების, საკვლევი ობიექტის საგულდაგულო შერჩევის, ინფორმატორების გამოკითხვისა თუ ადგილზე ხანგრძლივი სტაციონარული მუშაობის აუცილებელ მოთხოვნებს გულისხმობდა, მკვლევარს ეთნოგრაფიული ფაქტებისა და მოვლენების კომპლექსური შესწავლისა და ანალიზის საშუალებას აძლევდა, რომელშიც სათანადოდ იყო წარმოჩენილი საქართველოს ამა თუ იმ კუთხის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის, მატერიალური და სულიერი კულტურისა თუ სოციალური ურთიერთობის მრავალფეროვანი საკითხები და პრობლემები.

საველე მასალების ფიქსაციისა და თეორიული კვლევის პროცესში, რაფიელ ერისთავი ფართოდ იყენებდა შესასწავლ ფაქტებსა და მოვლენებთან დაკავშირებულ პარალელურ მასალებს, აგრეთვე მომიჯნავე მეცნიერების, კერძოდ ისტორიის, არქეოლოგიის, ფოლკლორისა თუ გეოგრაფიის მონაცემებს. კვლევისა და ანალიზის პროცესში იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ეთნოგრაფიული ფაქტებისა და მოვლენების გენეზისისა და განვითარების პროცესებს და ყოფისა და კულტურის უმნიშვნელოვანეს საკითხებს ისტორიზმის პრინციპების გათვალისწინებით აშუქებდა. მართალია ზოგჯერ მკვლევარს საველე მეთოდიკისა თუ მასალის თეორიული ანალიზის პროცესში გარკვეული ნაკლოვანებებიც გააჩნდა, მაგრამ ეს ხარვეზები მისი მდიდარი და მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის საერთო ფონზე საკმაოდ მკრთალი გახლდათ.

შემოქმედებითი მრავალმხრივობითა და მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა რ. ერისთავის *სამუზეუმო საქმიანობაც*. სამუზეუმო ექსპონატებისა და კოლექციების გამოვლენის, ფიქსაციის, აღრიცხვა-პასპორტიზაციისა და მუზეუმის ფონდებში მისი დაუნჯების, აგრეთვე სათანადო კატალოგის შედგენის პრინციპებში ნათლად ჩანს მკვლევარის თანამედროვე სამუზეუმო საქმიანობის უახლოესი მეცნიერული მიღწევების ცოდნა და მისი სათანადო გამოყენება. სწორედ ეს გარემოება განაპირობებდა რ. ერისთავის მიერ შეგროვებული სამუზეუმო ექსპონატებისა და კოლექციების განსაკუთრებულ მრავალფეროვნებას, ორიგინალობასა და კუთხის სპეციფიკურობას, რის მეოხებითაც კავკასიის მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილება იმპერიის მასშტაბის ერთერთ წამყვან სამხარეთმცოდნეო-ეთნოგრაფიულ ცენტრად იქცა.

რაფიელ ერისთავის ეთნოგრაფიული შემოქმედების თეორიულ-მეთოდოლოგიური მხარეების ზემოთ მოტანილი ზოგადი შეფასებებიდან ჩანს, რომ ავტორის ეთნოგრაფიულ ნაშრომებს მიზანმიმართული შემეცნებითი ღირებულება გააჩნიათ. ისინი ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთი პირველი ნაშრომებია, რომლებიც გარკვეული მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვით შეიკრიბა და დამუშავდა. მკვლევარის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პერიოდიზაცია და ნაშრომთა ქრონოლოგიური ქარგა ნათლად გვიჩვენებს რ. ერისთავის მეცნიერული ზრდის რთულ გზაზე, რომელზედაც მკვლევარმა ქართული ეთნოგრაფიის ჩამოყალიბება-განმტკიცების საქმეს უდიდესი ძალა და ენერგია მოახმარა.

ასეთია ძირითადად რაფიელ ერისთავის შრომებისა და მხატვრული შემოქმედების ეთნოგრაფიული წყაროების თავისებურებათა მოკლე შეჯამება. ზემოთ განხილული მონაცემები და შესაბამისი დასკვნები თვალნათლივ წარმოაჩენენ მკვლევარს ქართულ ეთნოგრაფიაში მრავალი სიახლისა და ორიგინალური იდეების დამამკვიდრებლად, რაც ბუნებრივია, მნიშვნელოვანწილად პასუხობდა აღნიშნული პერიოდის მეცნიერული მიღწევების საერთო მეთოდოლოგიურ დონესა და თეორიულ მიმართულებას. სწორედ ამ პრაქტიკული და თეორიულ-მეთოდოლოგიური სიახლეებითაა რაფიელ ერისთავი მიჩნეული ახალი პერიოდის ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების ერთ-ერთ აღიარებულ ფუძემდებლად.

## 2.4. *ნიკოლოზ ხიზანაშვილი – ქართველ მთიელთა ადათობრივი სამართლის კვლევა ქართული სამართლის ძეგლების შუქზე*

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების ფორმირებისა და ჩამოყალიბების პროცესში რაფიელ ერისთავის პროფესიულ ეთნოგრაფიულ მემკვიდრეობას ღირსეული გამგრძელებელი გამოუჩნდა ცნობილი ქართველი მეცნიერის – იურისტის, ისტორიკოსისა და ეთნოგრაფის *ნიკოლოზ ხიზანაშვილის (ურბნელი)* სახით.

ნიკოლოზ ხიზანაშვილი დაიბადა 1851 წელს სოფელ მაღლა დოვლეთში – სამაჩაბლოში, მღვდლის ოჯახში. მალე მისი მამა დოვლეთიდან ქართლში – ცერონისში გადაიყვანეს, სადაც ხიზანაშვილმა თავისი სიყმაწვილის წლები გაატარა. გორის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ნ. ხიზანაშვილი ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სემინარიაში, ხოლო 1871 წელს – ნოვოროსიის (ოდესის) ნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. სწორედ აქ შეხვდა იგი შემდეგში სახელმოხვეჭილ მეცნიერებს: ი. სეჩენოვს, ი. მეჩნიკოვს, მ. კოვალევსკის, პ. მელიქიშვილსა და ვ. პეტრიაშვილს. აქვე ისმენდა იგი ფ. ლეონტოვიჩის ლექციებს, რომელიც კავკასიის მთიელთა ადათებს სწავლობდა და გაცილებით ადრე, ვიდრე მ. კოვალევსკი აქვეყნებდა თავის ცნობილ მონოგრაფიებს აღნიშნულ პრობლემებზე (1882-1883 წწ.).

1876 წელს ნ. ხიზანაშვილმა ოდესის უნივერსიტეტი წარჩინებით დაამთავრა და საქართველოში დაბრუნდა. სამშობლოში ჩამოსვლისთანავე მან სამსახური დაიწყო ჯერ ზანგეზურში (გერიუსი), ხოლო შემდეგ ცხინვალში. მალე იგი ცხინვალიდან სურამში, ხოლო სურამიდან თიანეთში გაამწესეს გამომძიებლად. სიცოცხლის ბოლო წლებში იგი მუშაობდა თბილისში, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1906 წ. 15 დეკემბერს[1].

რაფიელ ერისთავის კვალდაკვალ, ნ. ხიზანაშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა საველე ეთნოგრაფიულ მასალებს. სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, იგი ხშირად მოგზაურობდა თიანეთის მაზრის სოფლებში და უშუალოდ ეცნობოდა თავის საკვლევ ობიექტებს. ნ. ხიზანაშვილი გულმოდგინედ აკვირდებოდა ხალხის ზნე-ჩვეულებებს, ჰკრებდა მასალებს და იკვლევდა მათ შედარებით-ისტორიული ანალიზის შუქზე. გადმომცემის მიხედვით, ხალხი მას „გამომჩხრეკელს" ეძახდა და დიდი სიმპათიითაც იყო გამსჭვალული მის მიმართ.

ნ. ხიზანაშვილის პირველი ნაშრომი *„კორესპოდენცია ცხინვალიდამ"* 1879 წ. *დროებაში* დაიბეჭდა. 1882-1883 წწ. იგი თანამშრომლობდა *„ხალხოსნების"* ურნალ *იმედში*. 1883-1885 წწ. თავის ნაწერებს ბეჭდავდა ივ. მაჩაბლის *დროებაში*, ხოლო 1886 წლიდან იწყება მისი მუდმივი თანამშრომლობა *ივერიაში*, სადაც იგი აქვეყნებდა თავის პირველ ნაშრომებს. ნ. ხიზანაშვილის ნაშრომები დაბეჭდილია ჟურნალ *მოამბეში* და გამოქვეყნებულია ცალკე ნაშრომების სახითაც[2].

*ივერიაში* თანამშრომლობის დაწყებისთანავე ნ. ხიზანაშვილი ახლო ურთიერთობაშია *ილია ჭავჭავაძესთან*. ი. მანსვეტაშვილის მოგონებით იგი ხშირი სტუმარი იყო და ყველაზე მეტად შელაზღანდარებული ყოფილა ილიასთან[3]. *არტურ ლაისტის* გადმოცემით, „ილია დიდ პატივს სცემდა ნ. ხიზანაშვილს იმ შრომისათვის, რომელიც მან საქართველოს სიძველეთა გამოკვლევას უძ-

ღვნა"[4]. ასევე ახასიათებდნენ მკვლევარსა და მის შემოქმედებას ცნობილი ქართველი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეებიც. პროფესორ გ. ჩიტაიას აზრით, „ნ. ხიზანაშვილი ქართველ ეთნოგრაფების იმ პლეადას ეკუთვნოდა, რომელმაც ი. ჭავჭავაძის ხელკურთხევით დაიწყო მოღვაწეობა და ქართული ეთნოგრაფიის გაუტეხელ ყამირს ღრმა კვალი გაავლო. ეს ადამიანი, მისი დროის შესაფერისად კარგად მომზადებული, რომელსაც ჭკუა და ნიჭი უჭრიდა და კალამი ემორჩილებოდა, რომელიც ხალხის ზნე-ჩვეულებების ოსტატი-დამკვირვებელი და გონებამახვილი მკვლევარი იყო, ამ პლეადის ყველაზე მეტად თვალსაჩინო წევრია. ამიტომ არის, რომ მის ეთნოგრაფიულ ნაწერებს, რაც დრო გადის, უფრო მეტი შეფასება ეძლევა"[5].

ნ. ხიზანაშვილის ნაწერები მრავალმხრივია: პუბლიცისტური წერილები, ნაშრომები საქართველოს ისტორიაში, ეთნოგრაფიული ნაწერები და იურიდიული გამოკვლევები. მისი ღვაწლი და დამსახურება ქართული სამართლის ისტორიისა და, კერძოდ, ეთნოგრაფიის დარგში უფრო მნიშვნელოვანი გახდება, თუ გავითვალისწინებთ ახლად ფეხადგმული სამეცნიერო მუშაობის ზემოთ აღნიშნულ მძიმე პირობებს. „არავითარი მატერიალური და სამეცნიერო-კვლევითი ბაზა იმ დროს არ არსებობდა და ქართული სამართლის ისტორიის შესწავლაც არავის აინტერესებდა. ასეთ პირობებში, ნ. ურბნელმა, რომლის ძირითად საქმიანობას საგამომძიებლო მუშაობა შეადგენდა, გამოიჩინა დიდი ინტერესი და ხალისი ქართული კულტურის ამ მნიშვნელოვანი დარგის ისტორიის შესწავლაში და მეცნიერების მაშინდელი დონის მიხედვით ბევრი მნიშვნელოვანი და საგულისხმო დასკვნა გააკეთა" – წერდა ძველი ქართული სამართლის ცნობილი მკვლევარი ი. დოლიძე[6].

მართალია ნიკო ურბნელი ძველი სკოლის ისტორიკოსთა რიცხვს ეკუთვნოდა, მაგრამ რ. ერისთავის კვალდაკვალ საგრძნობლად განსხვავდებოდა მათგან თავისი თეორიული და მეთოდოლოგიური შეხედულებებით. მას მიაჩნდა, რომ ერის ისტორიაში უპირველესი ადგილი უბრალო ხალხის სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების შესწავლას უნდა მიენიჭოს. ბუნებრივია, იგი ეცდებოდა, პირველ რიგში, თვითონ დაეკმაყოფილებინა ისტორიკოსისადმი წაყენებული ეს მოთხოვნა, მაგრამ იმდროინდელი მეცნიერების განვითარების ტენდენციებიდან გამომდინარე, ძალაუნებურად, ზოგჯერ თავს ვერ ართმევდა ამ რთულ ამოცანას. მარტო ის ფაქტი, რომ ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების მთელ მანძილზე ნ. ურბნელი, რაფიელ ერისთავთან ერთად, პირველი სერიოზული ეთნოგრაფი და, ამასთან, „ქართული სამართლის ისტორიის ერთადერთი მკვლევარი"[7] გახლდათ, ბევრს ლაპარაკობს მისი მუშაობის ძნელ და რთულ პირობებზე.

ნ. ურბნელი დიდი პატრიოტი იყო თავისი ხალხისა და მისი ისტორიისა. მკვლევარს ეროვნული კულტურის აღორძინების უმთავრეს პირობად მიაჩნდა ეროვნული ტრადიციების, ადათებისა და წეს-ჩვეულებების დაცვა და შენარჩუნება. ავტორის აზრით, ხალხური წეს-ჩვეულება „დიდი საუნჯეა, რადგან მით კაცს შეუძლია დაიცვას პიროვნული თავისებურება"[8]. ამასთან ერთად, ამ ადათებსა და წეს-ჩვეულებებში იგი გამოჰყოფდა ისეთებს, რომლებსაც სარგებლობის მოტანა შეეძლოთ ხალხისათვის. „იქნება გეგონოთ, რომ ჩვენ გვსურს ყველა ჩვეულების დაცვა. არა, ჩვეულებასაც თავისი აზრი და მნიშ-

ვნლობა აქვს და, ამასთანავე, ზნეობით კანონს არ ეწინააღმდეგება, მისი დაცვა ყოვლად საჭიროა. სხვათა შორის, სწორედ ასეთი ჩვეულება აძლევს ხალხს განსაკუთრებითს იერს, პიროვნულ ხასიათს... ყველა ცალკე პირისათვის საჭიროა გონივრული ხალხოსნური ჩვეულება. სადაც ასე არ არის, იქ არც პროგრესია შესაძლო"[9] – განმარტავდა ნ. ურბნელი. საერთოდ იგი არ იყო მომხრე აზრის უკრიტიკოდ მიღება-გაზიარებისა, ან კიდევ, უცხოეთიდან შემოსული საზოგადოებრივი მოვლენების მექანიკურად გადმოტანისა, ის, რაც შეუფერებელი იყო საქართველოს სინამდვილისათვის. რა თქმა უნდა, იგი არ უარყოფდა ევროპული მეცნიერების მიღწევათა გაცნობის საჭიროებას, მაგრამ ყოველთვის საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ მოღვაწემ, მეცნიერმა, თუ მას სურს იყოს სამშობლოსათვის სასარგებლო, უპირველეს ყოფლისა, უნდა შეისწავლოს თავისი ხალხის კულტურა, ისტორია, ზნე-ჩვეულება, ტრადიცია თავის ერისა და ყველაფერი ეს გაითვალისწინოს ყოველივე ახლის შემოღება-დანერგვის დროს[10].

საერთოდ, მკვლევარი ისტორიის ცოდნას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა და ისტორიკოსს დიდ მოთხოვნებს უყენებდა. ისტორია მას რთულ მეცნიერებად მიაჩნდა და ისტორიკოსისაგან მოითხოვდა საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი დარგის ცოდნას. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ყველა ისტორიულ მოვლენას იგი აანალიზებდა ზოგადი მონაცემების ფონზე და არ იზღუდებოდა ამ ფაქტების უბრალო აღწერით, ყოველთვის ეძებდა მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს მათ შორის. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ურბნელის შრომების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა წყაროებზე დაყრდნობა და ამ ისტორიული წყაროებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება. მას კარგად ესმოდა კრიტიკის ასეთი მნიშვნელობა. იგი ყოველთვის ცდილობდა მოვლენების ობიექტური შემფასებელი ყოფილიყო, რომლის შედეგადაც, მისი ნაშრომები უმეტეს შემთხვევაში ნდობასა და მხარდაჭერას იმსახურებს.

ნ. ურბნელის აზრით, ისტორია, როგორც მეცნიერება, ყოველგვარი მეცნიერული დარგის განვითარებისათვის აუცილებელ წყაროს წარმოადგენს. ამა თუ იმ დისციპლინის განვითარება კი გარკვეულად დამოკიდებულია ამავე დისციპლინის განვითარების ისტორიის ცოდნაზე. მკვლევარი თვლიდა, რომ ვისაც ისტორია მკვდარი საგანი ჰგონია, მას საერთოდ არა აქვს გაგების უნარი.

თავად ხალხის ზნეობრივი აღზრდისათვის ნ. ურბნელი განუზომელ მნიშვნელობას ანიჭებდა კანონებს. მისი აზრით, სახელმწიფოში მოქმედი კანონები უნდა ითვალისწინებდეს პატივს სცემდეს ხალხის უფლებას, აკმაყოფილებდეს მათს საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს. ამასთან, სამართალი უნდა გამოდიოდეს ჰუმანური საფუძვლებიდან. „თუ გსურთ ხალხის ზნეობრივი აღზრდა, თუ გნებავთ, რომ ხალხმა სისხლად და ხორცად გარდაიქციოს სიყვარული თანასწორობისა, მიეცით იმას ისეთი სამართალი, რომელიც ხალხის გემოვნებას ეთანხმება, იმის საჭიროებას აკმაყოფილებს, ისეთი სამართალი, რომელიც ნამდვილად ხალხს სურს"[11] – წერდა იგი.

მეტად საყურადღებოა ნ. ხიზანაშვილის მიდგომა საკუთრივ ისტორიული კვლევების მიმართაც, რომელსაც მან 1889-1894 წწ. მნიშვნელოვანი ნაშრომები *„გიორგი ბრწყინვალე, მეფე საქართველოსი"* და *„მეფე დავით აღმაშენებე-*

*ლი და მისი დრო*“ მიუძღვნა. ნ. ურბნელის შემოქმედების ამ მხარეს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა გ. ნადირაძემ, რომელშიც იგი აშუქებს მკვლევარის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებს, კვლევის მეთოდებსა და ზოგადისტორიულ კონცეფციას, მის ადგილსა და როლს საქართველოს ისტორიის კვლევა-ძიების საქმეში. „აშკარად ჩანს, რომ ნ. ურბნელი კარგად იცნობს თავის წინამორბედ ქართველ ისტორიკოსთა შრომებს, შესწევს უნარი სათანადო მეცნიერული ანალიზის შემდეგ მიიღოს ან არ მიიღოს აღნიშნულ ისტორიკოსთა თვალსაზრისი საკვლევი საკითხის შესახებ და გამოიტანოს თავისი (უმეტეს შემთხვევაში – მართებული) დასკვნები“[12]. სხვაგან გ. ნადირაძე ნ. ურბნელის ისტორიოგრაფიულ ალღოსა და შეხედულებებზე საუბრობს გიორგი ბრწყინვალისადმი მიძღვნილი ნაშრომის ანალიზის შუქზე. ნ. ურბნელს კარგად აქვს შეგნებული გიორგი ბრწყინვალის დამსახურება, სათანადოდ აქვს შეფასებული მისი ნიჭიერება, კარგი პოლიტიკური ალღო და მისი მოღვაწეობის დაადებითი შედეგები. მან იცის, რომ სახელმწიფოებრივ სარბიელზე გიორგი ბრწყინვალის წარმატებები განაპირობა არსებულმა ისტორიულმა პირობებმა“[13].

ამრიგად, ნ. ხიზანაშვილის თეორიული და მეთოდოლოგიური შეხედულებები ისტორიისა და ეთნოგრაფიის პრობლემურ საკითხებზე, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრული იყო , ერთი მხრივ, მკვლევარის ევროპული ყაიდის განსწავლულობით, ხოლო, მეორე მხრივ, ქართული ისტორიოგრაფიის იმ მიღწევებით, რომელსაც თავის დროზე საფუძველი ჩაუყარეს ქართველმა და საქართველოსა და კავკასიაში მოღვაწე რუსმა და სხვა უცხოელმა მკვლევარებმა. როგორც ზემოთ დავინახეთ, ეთნოგრაფიის დარგში საველე და კამერალური მუშაობის თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპები, ქართული ეთნოგრაფიული სინამდვილის მაგალითზე, შემუშავებული იყო ნ. ხიზანაშვილის უფროსი კოლეგის რაფიელ ერისთავის მიერ, რასაც ბუნებრივია, იგი იცნობდა და იყენებდა კიდეც თავის მეცნიერულ საქმიანობაში.

ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი პრობლემების ხალხური სამართლის შუქზე შესწავლისა და ანალიზის თვალსაზრისით, ხიზანაშვილის მრავალრიცხოვან ნაშრომთაგან აღსანიშნავია მონოგრაფიები: „*ფშავ-ხევსურეთი*“ და „*ძველი ქართული ოჯახი*“. პირველ მონოგრაფიაში საფუძვლიანადაა აღწერილი და შესწავლილი აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ყოფა-ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მხარეები – საოჯახო ყოფა, ქორწინების ინსტიტუტი, ხევისბერობის, დასტურის, შულტას, ქადაგობის, მესულთნისა თუ ბოსლობის სოციალურ-რელიგიური ფუნქციები. ამავე ჭრილშია მოცემული დაკრძალვის, სიცოცხლით დამარხვის, სულის ცხენის, ჭირის წყენის, ყაბახის, დოლისა და სხვ. რელიგიურ-ყოფითი რიტუალებისა და ცერემონიალების აღწერილობა და ანალიზიც. შევეცდებით ყურადღება გავამახვილოთ მკვლევარის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის ზოგიერთ მხარეზე.

ნ. ხიზანაშვილი კვალდაკვალ მიყვება ხევსურეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეს და აღწერს ქართველ მთიელთა სოციალურ ყოფასა და რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს, ხალხურ დღეობებსა თუ საოჯახო ყოფას. აღწერს ამ მოვლენებს ყოველმხრივ, ზუსტად და სათანადო სისრულით, თუმცა არ ჩანს, თუ ვისგანაა მიღებული ეს ინფორმაცია ან რა გზითაა ჩაწერილი, სად და რო-

დის არის შეგროვილი მასალა და ა.შ. მიუხედავად ამ ნაკლისა, მის ჩანაწერებს, რაც დრო გადის, მით უფრო მეტი ღირებულება ეძლევა.

სანამ უშუალოდ ხევსურთა შინაური ცხვრების აღწერასა და მის იურიდიულ მხარეს შევეხებოდეთ, მოკლედ განვიხილოთ იმ დროინდელი მთა, ძველი თემის ნაშთებით, თავისი სტრუქტურითა და პერსონალით. მკვლევარი პირველ რიგში აღნიშნავს *ხევისბერობის ინსტიტუტს,* როგორც იურიდიულ დაწესებულებას, არ კმაყოფილდება ამ დაწესებულების მხოლოდ იურიდიულ ფუნქციების ჩვენებით და ეძებს მის სათავეებს მეფე გიორგი ბრწყინვალისა და ვახტან მეექვსის კანონთა კრებულში. სწორედ ამ კანონებზე დაყრდნობით გვიჩვენებს იგი ხევისბერობის წარსულს. მკვლევრის დაკვირვებით, ძველ დროში ხევისბერი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო ხევში, რომელსაც ხელთ ეპყრა არა მხოლოდ ფაქტიური, არამედ იურიდიული, კანონიერი ძალაც. იგი ერთ-ერთი განუყოფელი თანამდებობაა ფეოდალური საქართველოსი. იყო შემთხვევები, როდესაც ხევისბერი არ ემორჩილებოდა სახელმწიფოებრივ ძალას და ებრძოდა კიდეც მას. როგორც სამართლის წინასიტყვაობაშია მოხსენებული, ამის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიზეზი იყო ხევისბერის შეუზღუდავი სამხედრო ფუნქციები და შესაბამისი თანამდებობა, რომელიც მას ხელთ ეპყრა. მიუხედავად იმისა, რომ ხევისბერობაც მცირე უჯრედი იყო სახელმწიფო ორგანიზაციისა, მას უდიდესი გავლენა და მრავალმხრივი უფლებები ჰქონდა თავის საბრძანებელში. იგი ემორჩილებოდა ერისთავს, გამგებელს და მეფის დარბაზს. *„ძეგლის დებაში“* არანაკლებ მნიშვნელოვანია ის მუხლი, სადაც ჩანს, რომ ხევისბერის სისხლი გამგებლის სისხლის ტოლფასია და გარდა ფულადი 6 ათასი თეთრისა, მკვლელს სამუდამოდ ბეგარად ედებოდა ერთი სოფელი, ან ხევი. ხევისბერობა პირადად ხევისბერის გარდა დიდ უფლებას ანიჭებდა მის ოჯახს, ხევისბერის მთელ გვარს. კანონი ითვალისწინებდა აგრეთვე, *„გაუყოფარ და განაყოფ“* წევრს ხევისბერის გვარისა. „უკეთუ ვინმე გაუყოფარი ხევისბერის გვარისა მოჰკლავდა მისსავე გაუყოფარს სახლის კაცს, სისხლი 6 ათასი თეთრი იყო“. გარდა ამისა, სასჯელი ითვალისწინებდა „გაძევას ორ წელიწადს“ მამულიდგან და „სახლ-კარის გადაწვას ერისთავისა და გამგებლისაგან“. ამ სასჯელის ნახევარი გაჩენილი იყო განაყოფის მოკვლისათვის[14]. მართალია, ღირსებით ასეთი განსახვავება იყო განაყოფ და გაუყოფარ გვარს შორის, მაგრამ ერთიც და მეორეც ხევისბერის მორჩილი იყო. ასე რომ, გვარი შეადგენდა ერთ კავშირს, საზოგადოებას, რომელიც განსაკთრებული ღირსებით და უფლებით იყო მოსილი და, როდესაც ხევისბერის სიკვდილის შემდეგ გვარში ღირსეული არავინ რჩებრდა, დარბაზს შეეძლო თავისი შერჩევით დაენიშნა იგი. რამდენადაც ხევისბერი დარბაზის ხელქვეითი იყო და მხოლოდ ამ პოლიტიკურ ორგანოს ექვემდებარებოდა, ხიზანაშვილის აზრით, იგი ასე გამოიხატებოდა. სწორედ მას უნდა აღემართა დროშა და წინ გაძღოლოდა ლაშქარს. შესაძლოა ეს მისია შეესრულებინა მის ძმას, ან ახლო ნათესავს, მხოლოდ იმ შემთხვევაში,

თუ იგი ავად იქნებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ჩამოერთმეოდა თანამდებობა და მამული ერთი წლის ვადით[15].

ხევისბერს მხარში ედგა *„ციხის-თავი“*. ციხის-თავის სისხლი კანონით ხევისბერის სისხლის ნახევარს უდრიდა და ღირსებითაც შესაბამისად დაბლა იდგა მასზე[16].

ხევისბერს იგივე მოვალეობას ეკისრა, რაც მის უფროსებს, გამგებელსა და ერისთავს და, თუ მათ ხელი მიუწვდებოდათ სასამართლო საქმეებზე, საფიქრებელია, რომ ხევისბერსაც შესაფერი დგილი ეჭირა ამ დარგში. ეს არ შეიძლება ითქვას რელიგიურ ფუნქციებზე, რომელზედაც კანონში არაფერია ნათქვამი და არც ერისთავს, გამგებელს და ხევისბერს ანიჭებდა რაიმე უფლებას ეკლესიაზე, მაგრამ, ნ. ურბნელის აზრით, ჯერ კიდევ ძველ დროში, ხევისბერებმა მიითვისეს ეს უფლება და საეკლესიო წესების აღმსრულებლებად იქცნენ. დროთა განმავლობაში მათ თანდათანობით დაჰკარგეს ძველი მიშვნელობა და მხოლოდ რელიგიური უფლებებიღა შერჩათ[17].

ნ. ხიზანაშვილი აღწერს ხევისბერობის თანამედროვე ორგანიზაციას, რომელსაც კანონით არავითარი სახელმწიფოებრივი ძალა აღარ აქვს შერჩენილი. თანამედროვე ხევისბერის მოღვაწეობას იგი რელიგიურ მწვალებლობად მიიჩნევს, რომელსაც თვით ეკლესია ებრძვის. ამ მოვლენის ასახსნელ მიზეზს კი ისევ ქრისტიანობის გავრცელებაში პოულობს. მკვლევრის აზრით, „კლდოვან ნიადაგზე“ დანერგილი ქრისტიანობა მოკლებული იყო ქრისტიანობის შინაგან არსს, გავრცელდა ზედაპირულად, ბევრი რელიგიური წესი დამახინჯდა და დაჰკარგა პირვანდელი მნიშვნელობა. „და თუ ახლა – აგრძელებს მკვლევარი – ისევ დიდი რელიგიური ძალა აქვს ხევისბერობას (დეკანოზობას) ხალხზე და განსაკთრებით ხევსურებზე, იმიტომ, რომ იგი ხალხის რელიგიურ ჰორიზონტს ვერ გასცილდა, რაც გამოწვეულია მთაში სოციალური განვითარების დაბალი დონით“[18].

ნ. ხიზანაშვილი აგრძელებს მსჯელობას ხევისბერის ინსტიტუტის შესახებ და აღნიშნავს, რომ ახლა ამ დაწესებულებამ იერარქიული სახე მიიღო და მთელ კასტას წარმოადგენს. მკაცრადაა განაწილებული შესაბამისი უფლება – მოვალეობანიც. ამის შემდეგ აღწერილია ის იარაღი, რაც ხევისბერს ეხმარება ხალხის დამორჩილებაში. ამ იარაღს კი ძალა არ ექნებოდა, რომ არ ყოფილიყო ის უზომო განდიდება და პატივისცემა მამაპაპისეული წესებისა, რაც მთიელებს ახასიათებთ. დამხმარე იარაღს კი წარმოადგენს მთელი კასტა, ხატის კაცებისა: ხუცესი, დასტური, შულტა, თემი და ხატი, ქადაგი, მესულთანე და ა. შ.. უნდა აღინიშნოს, რომ ხევსურული თემობა, აქ ჩამოთვლილი პერსონალით, რელიგიური მიმართულებისაა და ძირითადად სარწმუნოებრივ ხასიათს ატარებს. მაგრამ აქ, იურიდიულ კანონებზე დაყრდნობაც შეინიშნება, რის გამოც თემობა თავისი შინაგანი და გარეგანი ბუნებით წარმოგვიდგება როგორც იურიდიული კავშირიც. ერთადერთი აუცილებელი შინაგანი ბუნება თემისა არის თითოეული წევრის მორჩილება სათემო რჯულისა და ჩვეულებისადმი, გარეგანი ბუ-

ნება კი ამ რჯულ-ჩვეულებების დაცვის და გატარების ფორმებს, მის წესებს წარმოადგენს[19].

ქართველ მთიელთა ოჯახისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში ხიზანაშვილი ყურადღებას ამახვილებს აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ოჯახის ფორმებზე და მათ დამახასიათებელ თავისებურებებზე. მთიელთა ოჯახი და საოჯახო ყოფა განხილულია ქართული წერილობითი წყაროების მონაცემების შუქზე. ავტორი იყენებს და ეყრდნობა იმდროინდელი ცნობილი მეცნიერების *ჯ. ლებბოკის, გ. სპენსერის, ე. ტეილორისა* და სხვ. ნაშრომებს და მთიელთა სოციალური ორგანიზაციის დასახასიათებლად ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში პირველად იძლევა უმნიშვნელოვანეს დასკვნებს. კერძოდ, პირველად კავკასიათმცოდნეობით ლიტერატურაში ხიზანაშვილმა მეცნიერულად დაასაბუთა დებულება აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ადრეფეოდალური ურთიერთობების არსებობის შესახებ, რომელიც, სამწუხაროდ, იმ დროს ე. წ. *გვაროვნული თეორიის* ბატონობის პირობებში, დიდი ხნით დარჩა მკვლევართა ყურადღების მიღმა.

მეტად საყურადღებოა ქართული ოჯახის სტრუქტურულ-ორგანიზაციული საკითხების ხიზანაშვილისეული კვლევა კონკრეტული ეთნოგრაფიული მასალების შუქზე. ნაშრომში *„ძველი ქართული ოჯახი“* ავტორი ცდილობს ჩაწვდეს ქართული ოჯახის საწყისებს, გაავლოს პარალელები სხვა ხალხებთან. ამ მიზნით იგი იშველიებს ძველ ბერძენ ისტორიკოსთა ცნობებს საქართველოს შესახებ, რომლებიც მეტ-ნაკლებად ნათელს ჰფენენ ამ ბურუსით მოცულ საკითხს, ხოლო შემდეგ, თავის მხრივ, გვაძლევს ოჯახის ევოლუციის სურათს და მიდის ფეოდალურ ოჯახამდე. ჩვენთვის საინტერესოა ის მომენტები, სადაც იგი მთის რეგიონს ეხება, კერძოდ, იმას, თუ როგორ აწესრიგებს საოჯახო ურთიერთობებს გიორგი ბრწყინვალის *„ძეგლისდება“*. „მართალია, ფეოდალიზმი ისე არა ყოფილა აღორძინებული, როგორც ვაკე ქართლში – აღნიშნავს ურბნელი, მაგრამ საოჯახო სისხლის სამართალი ამოყვანილ იქნა „დაწინდულ ქალთა წართმისა ანუ დატევებისათვის“ *„ჩინების“* მიხედვით სისხლის დაურვების საფუძველზე“[20]. ავტორს ამის მაგალითად მოჰყავს *„ძეგლისდების“* შესავალი, სადაც გიორგი მეექვსე, სხვათა შორის ამბობს: „და გავიგონეთ, რომელ ... სისხლის სუბუქობისათვის ადვილ ჩნდა ჩვენდა... ცოლის წაგვრა და უბრალოდ დაგდება“. *„სისხლის სუბუქობა“* ძეგლის დებამ მოსპო და მის მაგიერ დაადგინა *„სისხლის სიმძიმე“*, მაგრამ რა წესზე და რიგზედ? – *„გვარსა ზედა“*, *„ძალისა მსგავსად“*. „კაცმან თუ ცოლი დააგდოს უბრალოდ და მისი შეუცოდარი იყოს და გაეყაროს, ესეთს ნახევარი სისხლი დაუურვოს მის დიაცის გვარსა ზედა“. „თუ კაცს ვინმე მოჰკლავდა და მოკლულის ქვრივი არ გათხოვდებოდა, მაშინ „მის მოკლულის კაცის სისხლისაგან სასაყრო მიეცეს ძალისა მსგავსად“. სადაც კი ძეგლის დება ლაპარაკობს ცოლქმრობაზე, იქ არ ივიწყებს სისხლის დაურვებას გვარსა ზედა. ცოლის წაგვრა, სულ ერთია გვირგვინ ნაკურთხი ცოლი იყო, თუ ჯვარ გაცვლილი, თხოულობდა სისხლის მიცემას გვარის ღირსების წესზედ[21].

6. ხიზანაშვილი ყურადღებას ამახვილებს *„გვირგვინ ნაკურთხი“* და *„ჯვარ-გაცვლილი“* ცოლის მდგომარეობაზე. მისი ვარაუდით, ჯვარ-გაცვლილი ცოლი უნდა ყოფილიყო უმღვდლოდ, ქრისტიანული ქორწინების გარეშე

შერთული ქალი და სწორედ ამით იყო გამოწვეული ის გარემოება, რომ მისი სისხლი მცირედი იყო. ჩვენთვის კი ცნობილია, რომ ასეთი ქორწინება მთაში ძალიან ხშირი გახლდათ, კერძოდ ქალის მოტაცება, – ეს უძველესი ჩვეულება ხევსურებისა. ნ. ურბნელის მსგავსად აღწერს ამ მოვლენას ს. მაკალათია. როგორც ადრე მივუთითეთ, მკვლევარის ნაშრომებს თავისებური ნაკლი აქვს, ავტორი არ უთითებს სად და ვისგანაა ჩაწერილი მასალა, – მართალია არავის ეპარება ეჭვი შეგროვილი მასალის სინამდვილეში, მაგრამ თვითონ ის ფაქტი, რომ მეორე მეცნიერი, რომელსაც მისგან დამოუკიდებლად აქვს შეკრებილი მასალა, ზუსტად ისევე აღწერს ამ მოვლენას, კიდევ უფრო მეტ დამაჯერებლობასა და მნიშვნელობას მატებს მის ნაშრომს. აქედან გამომდინარე, „ქალის მოტაცება ხევსურეთშიც იციან, – წერს ს. მაკალათია. ზოგჯერ აქ დანიშნულ ქალსაც იტაცებენ. მოტაცება ხდება ხშირად ქალისა, ან მის მშობლების თანხმობით ქალის პატივის დასადებად. ხევსურული ადათით მოტაცებული ქალის გაუპატიურება არ შეიძლება და მოტაცებული ქალი აქ უმანკოებას არ კარგავს. ამიტომ მოტაცებულ ქალს შეუძლია ისევ უკანვე გამობრუნება. მხოლოდ მოტაცების საქმე უნდა დამთავრდეს შერიგებით, რომელსაც *„ბანზე შეხტომას“* უწოდებენ. ამ მიზნით მოვლენ მოტაცებული ქალის ძმა და ბიძაშვილები და მომტაცებლის ბანზე შესხდებიან. ქალის მამას ბანზე შეხტომა არ შეუძლია. ბანზე შემხტარნი ოჯახს თავს არ დაანებებენ, სანამ მომტაცებლის ოჯახი მათ არ შეურიგდება და ჯარიმად არ მისცემს სამ ჩარექიან ქვაბს და ორი წლის კურატს, თუ არა და ბანზე შემხტარნი გატაცებულ ქალს უკანვე წაიყვანენ[22].

მაგრამ თუ ოჯახმა ბანზე შემხტარნი არ შეირიგა და ქალიც მამის სახლში არ დაბრუნდა, მაშინ ქალს დედ-მამის ოჯახი მოიკვეთს და ის ერთი წლის განმავლობაში იქ ვერც ფეხს მიდგამს და ვერც სათავნოს მიიღებს: „ბოლოს შერიგება მაინც უნდა მოხდეს და მომტაცებელმა ქალის პატრონს შუაკაცები უნდ მიუგზავნოს, საკლავი დაჰკლას და შესამრიგებლო სუფრა გამართოს. ზოგჯერ ბანზე შესახტომად მიმავალთ გზაზე საკლავით და ქვაბით დახვდებიან და შერიგებას თხოვენ. ბანზე შემხტარნი ერთ საკლავს იქვე დაკლავენ, რომელსაც *„საღმრთოს“* უწოდებენ, მაგრამ მას ისინი არ შესჭამენ, მხოლოდ კურატსა და ქვაბს თან წაიღებენ. ამ ჯარიმის გაღების შემდეგ მოტაცების საქმე რიგდება და თუ ქალისა და მის მშობლების თანხმობაც იქნება, ქალი მომტაცებელს რჩება.

გათხოვილი ქალის მოტაცება ხევსურული რჯულით აკრძალულია, და დამნაშავე სიკვდილით დაისჯება“[23].

ქალის მოტაცება საოჯახო ცხოვრების უძველესი ფორმაა, *„კერპული“* წესია და თუ ახლა ცოლის შერთვა მოტაცებით ხდება, ეს ოჯახის ძველებურ წესზე მოწყობის დამადასტურებელია. მაგრამ, ბუნებრივია, ამ ძველებურ წესებთან ერთად ხევსურის ცხოვრებაში ახალიც მრავლად იკიდებდა ფეხს. მხედველობაში გვაქვს მაჭანკლობა და დანიშვნა. მაჭანკალი ვინმე სანდო პირი უნდა ყოფილიყო, რომელსაც ავალებდნენ შუამავლობის გაწევას, ატანდნენ ერთ აბაზს ან აბაზის ღერბულების რაიმე ნივთს. დანიშვნაც ასევე უბრალოდ ხდებოდა, ნიშნად მიჰქონდათ უბრალო ნივთი: სათითე, აბზინდა და სხვა, ერთი ან ორი თუნგი არაყი, ან კიდევ ერთი მანეთი ფული, მანეთად ღირებული ფარჩა. დანიშვნის შემდეგ ეს ოჯახები მოყვრდებიან. საქმროს ძმას ან დას ყოველ

წელს მოაქვს სარძლოსათვის *„ბედის კვერი“*. ოჯახებს შორის მიმოსვლაა, ძღვნად მიაქვთ არაყი. დანიშნულის მოტაცება ან გათხოვება დიდი დანაშაულია და შეიძლება ამის გამო კაციც მოკლან. უფრო ხშირია თემთა შორის შუღლი და შურისძიება ამ დანაშაულის გამო, რაც შეეხება ჯარიმას, დამნაშავე იხდის 16-დან 30-მდე ძროხას. ს. მაკალათიაც ასევე აღწერს ნიშნობას და დანიშნული ქალის მოტაცებისათვის დაწერსებულ გადასახადს, უმნიშვნელო განსხვავებით. მისი ჩანაწერების მიხედვით, „ნიშნობის შემდეგ მშობლებს არ შეუძლიათ გულის შეცვლა, ნიშნის დარღვევა და ქალის სხვაზე გათხოვება. ვაჟის ოჯახს შეუძლია ამაზე ქალის მშობლებს უმტროს და შური იძიოს. ვაჟის მშობლებს კი ნება აქვთ დანიშნულ შვილს სხვა ქალი შერთონ და ხევსურული ადათით დაწუნებული ქალის ოჯახი მას ვერ უმტრობს“[24].

როგორც აღვნიშნეთ, ნ. ურბნელის აზრით, თემის სახით ქალს კარგი მფარველი ჰყავს, ამის გამო, თითქოსდა გაუგებარია, თუ რატომ ანიჭებს ასეთ პრივილეგიას ხევსურული ადათი დანიშნულ ვაჟსა და მის მშობლებს. შეიძლება ამის პასუხად მკვლევარის ერთი მოსაზრება გამოგვადგეს. მიუხედევად იმისა, რომ ხევსურეთში ცოლის შერთვის სხვადასხვა წესია გავრცელებული, ხევსურისათვის სულ ერთია ცოლს *„კერპულად“* შეირთავს, თუ ქრისტიანულად, რადგან მისი ოჯახი ყოველთვის ეკონომიური კავშირია და არა ზნეობრივი. ცოლი კი ეკონომიური ძალაა და, რა თქმა უნდა, ამ ნიადაგზე შექმნილი ოჯახიც ეკონომიური იქნება. სწორედ ამიტომ, მკვლევარის აზრით, ხევსურს არაფრად უღირს ცოლის გადაგდება უმეტესად რაიმე ეკონომიური მოსაზრებით, რადგან ხევსური კაცი ბუნებით მომჭირნე და ყაირათიანია, მისი მამული კი მეტად მცირე მოსავლის მომცემი. მართალია ხევსურეთში ქალის მზითევი არ იცოდნენ, მაგრამ სამაგიეროდ ქალს ქმრის ოჯახში მიჰქონდა *„სათავნო“*. ოჯახში ქალს სათავნოს პატარაობიდანვე მიუჩენდნენ, ამ მიზნით მას ეძლეოდა ერთი ან ორი ძროხა, რომლის ნამრავლი და შემოსავალიც ქალისაა: ამით ქალი ტანოსამოსს იმზადებს და საჭირო საგნებსაც იძენს. ვინც გამრჯე ქალია, თან გვიან თხოვდება, მას კარგი სათავნო მიაქვს და ამაყობს კიდეც ამით. ნ. ურბნელის ნაწერების მიხედვით, ქალის ნაღვაწი – მოქსოვილი, შეკერილი და სხვა, ოჯახში რჩება. სათავნო ქმრის ოჯახშიც ქალის საკუთრებაა. მისი ნაშენ-მონაგები კი ქმრისაა. სათავნო რომ დაიღუპოს, თუნდაც შემთხვევით, ქმარმა უნდა აღადგინოს, რადგან ქალის საკუთრების გარეშე ყოფნა არ შეიძლება. ცოლს და ქმარს ერთმანეთის ქონებაზე ხელი არ მიუწვდებათ, მხოლოდ დაქვრივებულ ქალს აქვს უფლება გაყიდოს ქმრის საქონელი, იარაღი და სხვა. ერთადერთი გარემოება, რომელიც კერძო საკუთრებას ოჯახის საკუთრებად აქცევს, სიკვდილია. ქმარს ცოლი საკუთარი ხარჯით მარხავს, ცოლმაც ასევე თავისი სათავნო ქმრის დასამარხად უნდა გამოიყენოს, თუ ქმარს სამარხი არ დარჩენია. ცოლსა და ქმარს არა აქვთ უფლება საკთარი ქონებიდან რაიმე გააჩუქონ ან უანდერძონ. ქალის სიკვდილის შემდეგ სათავნო ვაჟიშვილებს რჩებათ, ქალს კი მხოლოდ ტალავარი ერგება. როცა ქალს არც ვაჟი და არც ქალი არ ჰყავს, მაშინ სათავნო მის მომვლელს ეკუთვნის. მისი მოვლის უფლება კი მხოლოდ ქმრის ნათესავებს აქვთ, ამიტომაც სათავნო ქმრის ნათესავებს რჩებათ[25]. ვახტანგ VI-ის კანონებზე დაყრდნობით, ჩვენ ვიცით, რომ სამკვიდრებელი, საოჯახო მამული ვაჟიშვილებისაა და ქალს მასზე ხელი არ მიუწვდება.

ხევსურეთშიც ასეა, იქაური ჩვეულება უარყოფს ქალის მემკვიდრეობას და როცა კაცს ვაჟები არ ჰყავს, მთელი მისი ქონება სოფლისაა. თემს ამ ქონებისა არაფერი ერგება[26].

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ, ვახტანგ VI სამართლის მიხედვით, კავშირი ოჯახსა და გვარს შორის უკვე აღარ არსებობდა, უფრო მეტიც, „...თუ ცალკე გავიდა (უშვილო კაცი) და არავისთან დადგა და ისრე უშვილოდ ამოვარდა, მისი მამული ხელმწიფის არის, ვისაც უნდა უბოძებს...“. რაკი კერძო პირი ერთხელ ოჯახიდამ გავიდოდა და საკუთარს კერას გაიჩენდა, იურიდიულ კავშირსაც ჰკარგავდა უწინდელ ოჯახის წევრებთან. ეს გარემოება ცხადად გვიჩვენებს, რომ ქართლში როგორც ვახტანგის დროს, ისე ადრეც კერძო ოჯახს თავისი განცალკევებლი საკუთრებით კავშირი აღარა ჰქონდა გვართან, გვარმა ადგილი დაუთმო პირს, საზოგადომ კერძოობას, ასე ვთქვათ, იურიდიულმა „მე“-მ სძლია იურიდიული „ჩვენ“-ს[27].

განსხვავებულ ვითარებასთან გვქონდა საქმე საქართველოს მთიანეთში, სადაც ჯერ კიდევ გრძელდებოდა მტკიცე კავშირი ოჯახსა და გვარს შორის. ბევრ სხვა საბუთთან ერთად ამის დასტურად შეგვიძლია მოვიტანოთ ნაწყვეტი ნ. ურბნელის წერილიდან *„ძველი ქართული ოჯახი“*, სადაც ავტორი *„ძეგლის დებას“* მიხედვით განიხილავს ამ საკითხს და გარკვეულ დასკვნასაც აკეთებს. „თვით ძეგლის დება არა თუ აღიარებდა ამ კავშირს ოჯახსა და გვარს შორის, არამედ ვალდებულად რაცხდა მას, რადგანაც სარგებლობას ჰპოვებდა მასში. „ბეითალმნად, რაც პარტახი მამული... დარჩეს რომე მემამულე აღარ მიაჩნდეს თუ მისის გვარისა კაცნი გამოჩნდნენ ერთგვარნი ... მათ ებოძოს ასრე რომე საჯარო, სალაშქრო და საბეგარო არ დააკლდეს ქვეყანასა“. მიუხედავად იმისა, რომ აქ ლაპარაკია მამულზე, მარტო მამული როდი იყო ოჯახისა და გვარის შორის შემაერთებელი ძალა. არა, ეს ძალა უფრო ფართო და ვრცელია, – ქონებრივს კავშირს თან მოსდევდა ზნეობრივი და საზოგადო იურიდიული კავშირი, ასე, რომ თვითეული პირი ერთსა და იმავე ოჯახის წევრიც იყო და გვარისაცა“[28].

უნდა ითქვას, რომ როგორც ნ. ურბნელი, ასევე ს. მაკალათია ხაზს უსვამდნენ ერთ ფაქტს, კერძოდ კი იმას, რომ ხევსური ქალი რჩენისა და შენახვის მიზნით არ თხოვდება და არც ეკონომიურადაა ქმრისაგან დამოკიდებული, ამიტომ ოჯახური უსიამოვნების დროს ქალი ადვილად ტოვებს ქმრის ოჯახს და მამის სახლში ბრუნდება. აქ გათხოვებაც იოლი საქმეა, ქალს მთხოვნელი მუდამ ჰყავს, და ზოგი ქალი 5-6-ჯერ თხოვდება. მაგრამ ქალს ხევსურული რჯულით ქმრის დაწუნება არ შეუძლია და თუ ქმრის სურვილი არ იქნება, ქალი ქმარს თავს ვერ დაანებებს. უფრო ხშირია ცოლის გაგდება, ამის მიზეზი კი ბევრია: რაიმე ცუდი საქციელი, ქურდობა, დასნეულება, უსაქმურობა და ხანდახან ლამაზი ქალის მოწონებაც. ბუნებრივია, ეს მიზეზები მსუბუქია და, თუ მხოლოდ ამიტომ ხევსურს ნება აქვს ცოლის გაგდებისა, ეს ქალის ცხოვრების ცუდ პირობებზე და დაჩაგრულობაზე მეტყველებს.

მიუხედავად ამისა, ხდება ისეც, რომ ქალს სურვილი აქვს ქმრის ოჯახიდან წასვლისა. ამ შემთხვევაში, „ქმრის დამწუნებელი ქალი ოჯახში ანჩხლობს, არ შრომობს, ყველაფერს აფუჭებს, რომ თავისი უხასიათობით ქმარს თავი მოაბეზროს და ამით ქმარი აიძულოს იგი ოჯახიდან დაითხოვოს. ბოლოს ქმარი

ქალის მშობლებს შეუთვლის, ამა და ამ ღამეს მოდით და ვირჯულოთო. ქალის პატრონი მოვა, ბჭეებს დასვამენ და ცოლ-ქმრის საქმესაც ისინი გააკანონებენ.

ხევსურული რჯულით ქალმა ქმარი ჯვრისწერის შემდეგ თუ დაიწუნა და მამის სალში გაიქცა, მაშინ ქალის მშობლებმა სიძის ოჯახს ქორწილის ხარჯი უნდა აუნაზღაურონ და 16 ძროხა ჯარიმად გადაიხადონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ შორის მტრობა და შუღლი ჩამოვარდება. შემდეგ ვინც ამ თვგანებებულ ქალს შეირთავს, მან უნდა ეს ჯარიმა და ხარჯი ქალის მშობლებს აუნაზღაუროს"[29].

შეიძლება ქმარი წინასწარ მიუხვდეს თავის ცოლს, რომ მას სხვა უყვარს და ამიტომ აიძულებს მას სახლიდან დაითხოვოს. რადგან ეს ქმრის თავმოყვარეობასა და სიამაყეზე მოქმედებს, ის თავის მხრივ ყველანაირად ეცდება ცოლს გაყრის ნება არ მისცეს, სტანჯავს და ცემს მას, მაგრამ ბოლოს ქმარი იძულებული ხდება ჭირვეული ცოლი თავიდან მოიშოროს და წესისამებრ გაეყაროს. გარდა ამისა, მას შეუძლია აუკრძალოს ცოლს თავის მოწონებულ კაცზე გათხოვდეს, რასაც *„კეთილში ჩასმა"* ეწოდება. ვინც ამ წესს დაარღვევს, მასზე შურს იძიებენ. ნ. ურბნელის ჩანაწერების მიხედვით, მას სიკვდილით სჯიან[30]. ხდებოდა ისეც, რომ დაწუნებული ქმარი, სამწუნობროს არ იღებდა და ქალის მშობლებს მტრობდა. ს. მაკალათიას ცნობით: „ხშირი იყო ცოლის დასახიჩრებაც: გაქცეულ ცოლს ქმარი ცხვირს მოკვეთდა ან ცერა თითს მოაჭრიდა, რომ მას ხელსაქმობა არ შეძლებოდა"[31].

ცოლის გაგდება, რასაკვირველია, ქალს ჩაგრავს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქმარი გაგდებულ ცოლს ე. წ. *„სამწუნობროდ"* ჯარიმას უხდის, რომელიც არცთუ ისეთი იოლი გადასახდელია და 16 ძროხის ოდენობით განისაზღვრება, გაგდებული ცოლი არც ისეთი ბეჩავია. გარდა ამისა არსებობს ჯარიმის სხვა სახეც, *„საუპატიუროო"*. საუპატიუროს იხდის ქმარი, რომელმაც ცოლი შერთვის წლის დამლევს დაითხოვა. ამ ჯარიმის მიხედვით, ქმარი იხდის 3 ძროხასა და ტალავარს. ყველაზე ძნელი გადასახადი *„ნამაშვრალია"*. ამ გადასახადს იხდის ის ქმარი, რომელმაც დიდი ხნის შეუღლებული ცოლი დაითხოვა. ნამაშვრალში ქალს ეძლევა იმდენი ძროხა, რამდენი წელიც მან ქმართან იცხოვრა, პირველი და უკანასკნელი წლის გამოკლებით. მაგ., თუ ცოლს ქმართან ათი წელიწადი უცხოვრია, მას 8 ძროხას მისცემენ. გარდა ამ ჯარიმისა, ყველა შემთხვევაში ქალს თან მიაქვს სათავნოც, თან მას უფლება აქვს გათხოვდეს. ხევსურებს კიდევ ერთი საინტერესო ჩვეულება აქვთ, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მხოლოდ უშვილობისთვის ქმარს ცოლის ოჯახიდან დათხოვნა არ შეუძლია და თუ ძალით გააგდო, უნდა მისცეს სამწუნობრო 16 ძროხა და ნამაშვრალი. მერე ცოლის მოყვანის შემთხვევაში ქმარმა უნდა გადაუხადოს პირველი ცოლის ოჯახს ჯარიმა 5 ძროხა, რადგან ეს პირველი ცოლის ნათესავებისთვის სათაკილოა. ეს, რასაკვირველია, ხევსურისათვის მძიმე გადასახადია, ამიტომ ხევსური უშვილო, ან ვისაც ვაჟი არ ებედება, პირველ ცოლთან შეთახმებით ირთავს მეორე ცოლს და ორივე ცოლთან ერთად ცხოვრობს[32].

რაც შეეხება ქვრივ ქალს – *„მკვიდრის ცოლს"*, სულ ერთია დანიშნული იქნება იგი თუ შინ მოყვანილი, ქმრის გარდაცვალებიდან წლისთავის გასვლამდე გათხოვება არ შეუძლია და ვინც ამ წესს დაარღვევს, უმტრობენ. ერთი სიტყვით, ხევსურული ადათით ცოლი ქმრის მორჩილი უნდა იყოს და მისი ოჯა-

ხის ერთგული მსახური. ს. მაკალათიას ცნობით, „თვითნება და ჯიუტი ცოლი ქმრისაგან ცემითაც ისჯება, მაგრამ ქალს ეკრძალება ქმარს ხელი შეუბრუნოს. ქმრის ცემა დიდი სირცხვილია, ქმარს შეუძლია ცოლი ხელის შებრუნებისთვის სასიკვდილოდ დაჭრას“[33].

ნ. ურბნელის მონაცემებისა და ს. მაკალათიას აქ მოტანილი პარალელების მიხედვით, ჩვენთვის უკვე ნათელია, რომ ხევსური ქალის მდგომარეობა მეტად მძიმეა. მას არ გააჩნდა არც პიროვნული თავისუფლება და არც ზნეობრივი ღირსება, მითუმეტეს, რომ ქალი ოჯახის ბურჯს წარმოადგენდა და სწორედ მის სიმარჯვეზე იყო დამოკიდებული ხევსურული ოჯახის სიძლიერე. მიუხედავად ამისა, ოჯახის მამა განუსაზღვრელი უფლებებით მაინც არ სარგებლობდა და არც ცოლი იყო მისი საკუთრება. ამას ნათლად ადასტურებს *„ძეგლის დებაც“*, რომლის მიხედვით: „კაცმან თუ ცოლი დააგდოს უბრალო და მისი შეუცოდარი იყოს და გაეყაროს, ესეთს ნახევარი სისხლი დაუურვოს“. მაშასადამე, ოჯახში ცოლი როდი იყო ქმრის სრული საკუთრება, მისი ქონება, მაგრამ *ძეგლის დება* ამასაც არ ჯერდება და სხვანაირ მფარველობას უწევს ცოლს, – „...თუ მოკლულის ცოლი დარჩეს და არ გათხოვდებოდეს, მის მოკლულის კაცის სისხლისაგან სასაყრო მიეცეს ძალისა მსგავსად და თუ დარბაზის ცნობის ღირსნი იყვნენ, დარბაზს იკითხონ და დარბაზით გაეჩინოს და თუ არ ღირს იყვნენ ერისთავმან და გამგებელმან გაუჩინოს და სისხლისაგანც მიეცეს და ათისაგანაც ერთი“. ასე რომ, როგორც ქმარს ეძელეოდა ცოლის სისხლი, ისე ცოლს ქმრისა და გარდა ამისა *„ათისაგანაც ერთი“*. ამგვარად, ქმარი და ცოლი ერთნაირად აღჭურვილნი იყვნენ სისხლის უფლებით“[34].

ნ. ურბნელი ყურადღებას აქცევს ცოლქმრული ურთიერთობის კიდევ ერთ საკითხს, საკითხს იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნოდა შვილები ცოლის მიტოვების შემთხვევაში. მკვლევრის მონაცემებით, რადგან ხევსური მამები დიდი ოსტატობით გამოირჩევიან შვილების აღზარდის საქმეში, ბავშვები ყოველთვის მამასთან რჩებიან, მამასთან იძინებენ და თავიდანვე მამას უფრო ეჩვევიან, თუმცა ხევსურ მამას არც შვილებზე აქვს განუსაზღვრელი უფლება. ასეთ განუსაზღვრელ უფლებას შვილებზე არც *„ძეგლის დება“* იცნობს, მიუხედავად იმისა, რომ მათი მოკვლისათვის კანონმა არც კი იცის, როგორი სასჯელით დასაჯოს დამნაშავე შვილი, „რაც უარესია ყველას დამართება და ყოფა პირიანია“..... მაგრამ მეორე მხრივ „შვილს ნება აქვს „თუ მამა დაუბერდეს და სამსახური ბატონისა არ შეეძლოს ....“ მამას მამული ჩამოართვას და თავისი საკუთარი მეურნეობა გაიჩინოს. თუმცა ამ შემთხვევაშიც მამის *„ნების მყოფლობა“* იყო საჭირო. ზემოხსენებულიდან ჩანს, რომ ძეგლის დება ოჯახის მამას დიდ ძალას აძლევდა, მაგრამ ეს ძალა ისეთი არ იყო, რომ სრულებით დაეთრგუნა ოჯახის წევრების პიროვნება[35]. ოჯახის უფროსისადმი მორჩილება პიროვნული ხასიათისა იყო და ქონებრივ მხარეს არ ეხებოდა. ამის დასამტკიცებლად საკმარისია აღვნიშნოთ, რომ როცა საქმე გაყრაზე მიდგებოდა, მართალია საოჯახო ქონება საერთო იყო, მაგრამ ამ ქონებიდან არც მამას და არც დედას არაფერი ერგებოდათ და ყველაფერს ვაჟიშვილები თანაბრად ინაწილებდნენ უფროსი ვაჟის გარდა, რომელიც მათ ძროხას იღებდა ზედმეტს *„საუფროსოდ“*. მშობლები რიგის მიხედვით კვირის ან თვის განმავლობაში შვილებთან ცხოვრობდნენ. გაყრის შემდეგ დედ-მამა უმცროს შვილს თავს ვერ დაანებებდა, თუ

უმცროსი თავის მხრივ რომელიმე ძმასთან მოინდომებდა ცხოვრებას, დედ-მამასაც მასთან უნდა ეცხოვრა. მშობლების შენახვაზე უარის თქმა დიდი სირცხვილი იყო. მართალია, მისი შეუსრულებლობისათვის ჯარიმა არ იყო დაწესებული, „მაგრამ ზნეობითი კანონი, რომელიც ჩვეულებას საფუძვლად აქვს აღსარებული, უფრო პატივსადებია ხევსურის შეხედულებით"[36].

ნ. ხიზანაშვილის ეთნოგრაფიულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვეულებითი სიმართლის ისეთ მნიშვნელოვან სფეროს, როგორიცაა *„სისხლ-მესისხლეობა"*[37].

ნ. ურბნელის აზით, „როცა ხალხის იურიდიული აზრი დაბლა სდგას, განუვითარებელია, მაშინ სამოქალაქო და სისხლის სამართლის შორის თითქმის განსხვავება არ არის, მაშინ მთელი სამართალი სისხლის სამართალია. ეს მოვლენა საზოგადო მოვლენას შეადგენს"[38]. ამგვარი აზრი ეტყობა როგორც ხევსურულ სამართალს, ისე მეფე გიორგი ბრწყინვალის სამართალსაც, ორივე ეს სამართალი ზოგადად იურიდიულ მოვლენას უყურებს, როგორც სისხლის სამართლის დანაშაულს, არ იცის განსხვავება სამოქალაქო და სისხლის სამართალს შორის. გარდა ამისა, აუცილებელია ხაზი გავუსვათ იმასაც, რომ ამ სამართალთა მიხედვით ზარალი კერძო ხასიათისაა და მას ჯარიმა მოსდევს. რაც შეეხება საზოგადოებას, მას დანაშაულის არაფერი ეკითხება, ხოლო თვითონ დანაშაული არაა მრავალგვარი – ძირითადად საუბარია მკვლელობასა და დაჭრაზე.

რასაკვირველია მკვლელობა ყველაზე მძიმე დანაშაული იყო და თან ყოველთვის შურისძიება სდევდა[39]. ნ. ხიზანაშვილის მითითებით, „სამართალი უარჰყოფს დანაშაულობის შინაგანს ბუნებას, ბოროტმოქმედის ნებას, ამიტომ კაცის მოკვლა მაშინ უფრო სამძიმოა, როცა მოკლული მკვლელის სოფლელია, იმის თემისაა, ან მკვლევლის ნათესავია. სხვა გარემოებას მნიშვნელობა არა აქვს. მაგ., ქალის მოკვლა, თუ ქალი ნათესავი არ არის, 60 ძროხად ღირს, თუნდაც ქალი *„ორიანად"*, ე. ი. ორსული იყოს. სულ ერთია ეგრეთვე ვაჟკაცს მოჰკლავ, თუ უსუსურს ბალღსა: ორივე შემთხვევაში 80 ძროხა გადახდება ჯარიმად[40].

მარტო ამ ჯარიმის გარდა დამნაშავეს სხვა გადასახადიც ეკისრებოდა. მკვლელი მოკლულის დებს ცხრა ცხვარს აძლევდა, ამდენივეს იმის ქალებს და მამიდას, დედის ძმებს, ბიძებს ხუთი ძროხა ერგებათ. ვინიცობაა, მოკლულს ეს ნათესავები არ ჰყავს, მაშინ გადასახადი იმის ოჯახს რჩება. აქედან კარგად ჩანს, რომ სათემო კავშირის გარდა, საოჯახო კავშირს, ნათესაობასაც დიდი ძალა ჰქონდა კაცისათვის. ის გარემოება, რომ თემს სისხლი არ ეკითხებოდა, სხვა მხრივაც საყურადღებოა. თემზედ რომ სისხლი გადასულიყო, მასინ ერთი თემი მეორეს მოსისხლე მტერი იქნებოდა მთელი ცხოვრების მანძილზე და შერიგებაც ძნელად მოხერხდებოდა, მაგრამ ახლა ასე როდია. შეიძლება ოცმა წელიწადმაც გაიაროს და მკვლელს ხელი არავინ ახლოს, შერიგებას უცდიან და დანმაშავეს მხოლოდ რიდი ესაჭიროება. ეს მოსაწონი ჩვეულება აქარვებს, ამშვიდებს იმ ვნებათა ღელვას, რომელიც თან სდევს მკვლელობას[41].

როგორც ცნობილია, შურისძიება შერიგებითაც თავდებოდა, რომელსაც ბჭენი კისრულობდნენ. ნ. ურბნელის ჩანაწერების მიხედვით, შერიგებისათვის დამნაშავე მოკლულის ხატში უნდა მივიდეს და თან მიიტანოს ქვაბი და ვერ-

ცხლის თასი. მასვე ევალება აგრეთვე საკლავის (ცხვარი, მოზვერი) მიყვანაც. ხატში ცოდვის შესანდობლად მისვლას *„ჯვარში შეჯდომას“* ეძახიან. ქვაბი და თასი ხატს დარჩება მკვდრის მოსახსენიებლად. შესაწირავი კი უნდა დაიკლას შერიგების დროს[42].

ნ. ხიზანაშვილის დაკვირვებით, ხევსურს ცარიელი საკლავი არაფრად ეპიტნავება, თუ ლუდი არა აქვს, ამიტომაც ლუდი უეჭველად უნდა გამოხადონ, ქერი მკვლელისაა, აუცილებლად მოკლულის ან დაზარალებულის სოფელში უნდა მოამზადონ. შერიგება ბჭეების საქმეა და სისხლი იმათ უნდა გადასწყვიტონ. როცა განაჩენს დაადგენენ, ორთავე მხარის ნათესაობა შეიყრება და იმათ დაალევინებენ ვერცხლის ნაფხეკს, რომლსაც ჩაჰყრიან არაყში, ლუდში ან რძეში. თუ ეს ვერცხლის ნაფხეკი არ დაილია, შერიგება ვერაფრით ვერ მოხდება. ასე რომ, თვით *„ჯვარში შეჯდომა“* შერიგებას როდი მოასწავებს, დამნაშავე ხატიდან თავის სახლში უნდა წავიდეს, მოსისხლეებს უნდა გაშორდეს, რომ კვლავ შუღლი არ ჩამოვარდეს მათ შორის. *„ჯვარში შეჯდომიდან“* შერიგებამდე შეიძლება დიდმა ხანმა, ზოგჯერ წელიწადმაც გაიაროს[43].

არსებობდა შერიგების რაღაც კრიტერიუმიც. „მხოლოდ ვერცხლის ნაფხეკი სპობს საბოლოოდ შურისძიებას. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ეს ვერცხლი უწმენდს გულს მოსისხლეებს – შერიგების შემდეგაც დამნაშავეს რიდი და ხათრი მართებს, მასზე მთლიანად გულის გაწმენდა არ შეიძლება. ეს კიდევ არაფერი, საქმე ისაა, რომ შერიგების შემდეგაც დამნაშავე ვალდებულია ყოველ წელიწადს, ხატობას, ან *„გუთანი რომ გაემართვის“*, საკლავი დაჰკლას დაზარალებულის სახლში ან იმის სალოცავში. თუ დამნაშავემ უარი სთქვა ამ ყოველწლიურს ზვარაკზედა, იმას ხელმეორედ გადაემტერებიან – დაკეჭნიან, შეიძლება მოჰკლან კიდეც“, – წერდა ნ. ხიზანაშვილი[44].

შერიგების დროს უნდა გახსნან კოდი, რომ მკვდარი ლუდით დალოცონ. კოდის დალოცვის შემდეგ, სანამ ხალხი საჭმელად დაჯდება, შუაკაცები ნამჯისაგან აკეთებენ ნასკვს, წინ დაუდებენ მოდავეებს, ისინი ყველას თვალწინ შუაკაცეებს პირობას აძლევენ, ერთმანეთს აღარ უმტრონ. ამის შემდეგ მეთავე ერთ-ერთ შუაკაცს მიმართავს, შენს შვილებს ასწავლე, რომ *„ნასკვზე ფეხის დამდგომ“* ორ კაცს – შუაკაცებს 2 ფეხითი ცხვარი უნდა მისცენ მკვლელის ნათესავებმა, რასაც *„ანდრეზის შესანახს“* უწოდებენ, შემდგომ, მომხდარი გაუგებრობის შემთხვევაში, ეს შუაკაცები მოწმეებად გამოდიან[45].

ნ. ურბნელი უაღრესად დიდ ყურადღებას აქცევს სისხლ-მესისხლეობის სხვა წესჩვეულებებსაც. იგი დაწვრილებით აღწერს და ძველქართული სამართლის შუქზე აანალიზებს სისხლ-მესისხლეობის ისეთ მნიშვნელოვან მომენტებს, როგორიცაა *„დაკეჭნვა“* (დაჭრილობა), რომელიც ძალზე ხშირი მოვლენა იყო ხევსურეთში[46].

მკვლევარს დაწვრილებით აქვს აღწერილი და გაანალიზებული *„კეჭნაობისა“* და *„გახაიბრების“* ყველა დეტალი: დაკეჭნვის ადგილი, დრო და პირობები, ჭრილობის სიმძიმე, საზღაურის დადგენა და ანაზღაურების ფორმები და ა. შ. მთლიანად ხალხური სამართლის ეს მონაკვეთი შეიძლება მკვლევარის სანიმუშო ეთნოგრაფიულ გამოკვლევად მივიჩნიოთ, რომელიც, გარკვეულ ნაკლოვანებათა მიუხედავად, იმდროინდელი ევროპული სტანდარტების დონეზე შეს-

რულებულ მონოგრაფიულ კვლევას და საქართველოში შემდგომი ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებისა და ანალიზის ორიენტირს წარმოადგენს.

ნ. ხიზანაშვილის ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს *„ბჭობის“* ანუ სახალხო მართლმსაჯულებას პრობლემას. ხალხური ადათობრივი სამართლის მიხედვით, ბჭე მომჩივანისა და მოპასუხის დაახლოებული კაცი და მათი სადავო საქმე შინაურულად იცის, ამასთან, ბჭობის მთავარი მიზანი საქმის მშვიდობით მორიგებაა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ხევსურეთში შურისძიებას რჯულის მიხედვით უმტკიცესად ჰქონდა ფეხი მოკიდებული და თან სდევდა მძიმე დანაშაულობას, მაშინ ადვილი გასაგებია, თუ რისთვის უყვარდა ხევსურს ბჭობა ასე მტკიცედ და თავგამოდებით. ხევსურის აზრით, მართლმსაჯულება უზენაესი ძალაა და ბჭე კიდევ ღვთის მადლით აღსავსეა, რჩეული კაცია[47].

ხევსურეთში თითქმის ყველა თემში იყო ასეთი რჩეული კაცნი და ბჭეებადაც ყოველთვის მათ ირჩევდა ხალხი. თემს შეეძლო მეორე თემიდანაც მოეწვია ბჭენი. მაგ., *რ. ხარაძე* თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ ხევსურთა გადმოცემების მიხედვით ბჭეთა შორის ერთი ჭინჭარაული მაინც უნდა გარეულიყო, რადგან მათ თავისი საქმის კარგ მცოდნედ თვლიდნენ, მაგრამ არც მომჩივანს და არც მოპასუხეს ნება არ ჰქონდა პირდაპი თითონ ამოერჩია ისინი. ბჭეებს ირჩევდნენ ე. წ. *„შუამავალნი“*. ბჭობის გამართვა სწორედ შუამავლის აუცილებელ მოვალეობას წარმოადგენდა[48]. „მოდავენი ბჭეებს თითონ ვერ აირჩევენ. ეს სირცხვილია, – მხდალნი არიანო, იტყვის ხალხი. შუამავალი ორიც შეიძლება. მათ მომტერეთათვის გული უნდა შესტკიოდეთ, რადგანაც შუამავალს ბჭობაში დიდი მნიშვნელობა აქვს“[49]. ბჭენი სამართლის წარმოების დროს შუამავლებს უფრო ეკითხებოდნენ, ყურსა უგდებდნენ, როგორც სადაო საქმის მცოდნე, ნაკითხ, მორიგებაში გამოცდილ პირებს. ამიტომ შუამავალიც ღირსეული კაცი უნდა ყოფილიყო და ამასთანავე ნათესაობა არ უნდა ჰქონოდა მომჩივანთან და მოპასუხესთან: „ნათესავი – შუამავალი, შეიძლება მიდგომით მოიქცეს, შებილწოს სიწმინდე საბჭო სამართლისა და ამისათვისაც ამგვარი შუამავალი განდევნილია სამართლის წარმოებაში“ – წერდა ნ. ხიზანაშვილი[50].

ანალოგიურ ვითარებას ჰქონდა ადგილი ბჭეების მიმართაც. ბჭე შეიძლება რომელიმე მხარის ნათესავი ყოფილიყო, თუმცა ორივე მხარეს შეეძლო ნათესავი ბჭე შეერჩია, თუ იგი პირმართალი კაცი იყო. ბჭეების რიცხვი, მათი რაოდენობა საქმის ვითარებაზე იყო დამოკიდებული: თუ მძიმე საქმე იყო, ბჭეებიც ბევრნი უნდა ყოფილიყვნენ (ათი კაციდან თხუთმეტამდე), როცა მსუბუქი საქმე ირჩეოდა (მცირედი ქურდობა, ვალის გადახდა, ქალის სახელის შებღალვა და სხვ.), მაშინ საკმარისი იყო სამიდან ექვსამდე ბჭე.

მართალია ბჭეების რიცხვს ყველა საქმისათვის შუამავალნი ნიშნავენ, მაგრამ მომჩივანს და მოპასუხეს უფლება ჰქონდათ ეს რიცხვი ზედმეტი ხარჯების თავიდან ასაცილებლად შეემცირებინათ. საქმე იმაში იყო, რომ ჩვეულების მიხედვით ბჭეებს და შუამავლებს ორივე მხარე კარგად უნდა გამასპინძლებოდა, რაც, ბუნებრივია, ხარჯებთან იყო დაკავშირებული[51].

გარდა ამ ხარჯისა, სასისხლო საქმეში თითოეულ ბჭეს საბჭო გადასახადი უნდა მიეცემოდა; მდიდარი კაცისაგან ძროხაზე ოთხი აბაზი, ცხვარზე – ერთი აბაზი, როცა მომტერენი ღარიბები იყვნენ, ბჭენი ან სულ არაფერს გამოარ-

თმევდნენ, ან გამოართმევდნენ ძალიან მცირე ფასს. ამ გადასახადში შუამავლებსაც ედოთ წილი[52].

გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ბჭობის გამართვის ადგილსაც. თვით სოფელში და სოფლის ახლო ბჭობის მოწყობა არ შეიძლებაოდა – მომტერენი ერთმანეთის სოფელში ვერ მივიდოდნენ, რადგან, ხელ-ახლად სისხლის ჩამოვარდნისა ეშინოდათ. უფრო ხშირად ირჩევდნენ შუა ადგილს, რომელიც თანაბარი მანძილით იოყო დაშორებული მომჩივნისა და მოპასუხის ადგილ-სამყოფელს. ამიტომ ხშირად ხდებოდა ხოლმე, რომ ბჭენი სამსჯავროს მართავენ ჭალაში, წყლის პირად, გორაზე ან მთის წვერზე.

ბჭობა უფრო ღამით ხდებოდა ხოლმე, რადგანაც ბჭეებს დღისით შეკრება უჭირდათ, თანაც მომტერეთა აცდენა ღამე უფრო შეიძლებოდა. ამავე მიზეზით იგი ორ-სამ დღეზე მეტხანს არ უნდა გაგრძელებულიყო. საბჭო სამართლიანობისათვის საჭირო იყო წესიერება, მართებულად ყოფნა, ამიტომაც ყველა ამას ჯეროვანი ყურადღება ექცეოდა[53].

ნ. ხიზანაშვილი დაწვრილებით მიმოიხილავს დაკითხვის პრაქტიკასაც. რადგანაც მხარეებს ცალ-ცალკე დაკითხავდნენ, ამიტომ ე. წ. დაპირისპირება საბჭო სამართლისათვის სრულიად უცხო იყო. საბჭო სამართალი სიტყვიერი სამართალი იყო და წერილობით საბუთს არ თხოულობდა, თუმცა არც უარყოფდა მას.

მოწმის ჩვენება, ფიცი, „ცოდვის მოკიდება – სამართლის საბუთებს წარმოადგენდა. ბუნებრივია, საქმის გადასაწყვეტად, პირველ რიგში, მოწმის ჩვენება იყო საჭირო, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა თვით საქმე საეჭვო იყო. ამასთან, საბჭო სამართალი ყველა მოწმეს როდი ენდობოდა. „მოგეხსენებათ, რომ ძველადაც ასე იქცეოდა ჩვენი სამართალი, თხოულობდა, რომ მოწამეს ღვთის ეშინოდეს, სული იცოდეს, ჭკუა ჰქონდეს... სამართლის ხმა ჰქონდეს დავარდნილი და კაცისაგან სანდო იყოს" – წერდა ნ. ხიზანაშვილი[54].

თითოეულ მოწმეს ეკითხებოდნენ რიგის მიხედვით და არა წილით. სამართალიც თხოულობდა მათ დაპირისპირებას, რადგან ეს შესაძლებელიც იყო. რაკი ყველა მოწმე ერთი და იგივე არ იყო, ამიტომ ყველა ფიცის ქვეშ არ იკითხებოდა: „*ფიცი დაედებოდა*" მხოლოდ ისეთ მოწმეს, რომლის ჩვენებას საქმის გადაწყვეტაზედ დიდი გავლენა ჰქონდა და რომელიც ჭეშმარიტებით ამბობდა, საქმე სწორედ ასე იყოო. ეს მთავარი მოწმეა, სინამდვილის მნახველი და მაღიარებელი. კაცის კვლაზე და დაკეჭნვაზედ მოწმე არ არის საჭირო, რადგანაც დამნაშავე ხევსური ამნაირ დანაშაულობაზე უარს არავითარ შემთხვევაში არ იტყვის – „წინათ ხომ, როგორც ვიცით, მოწმე ხუთს ძროხას გაიტანდა და არ დაიფიცებდა კი, მაგრამ ეხლა, როცა ბჭენი დაადგენენ, ფიცს მოწმე თავიდან ვეღარ აიშორებს" – წერდა ნ. ხიზანაშვილი[55].

რასაკვირველია, ფიცის გამო ბჭობა გადაიდებოდა და ცალკე ვადა ინიშნებოდა. ეს ვადა ორს თვეზედ მეტ ხანს ვერ გასტანდა, თუ რაიმე დამაბრკოლებელი მიზეზი არ აღმოჩნდებოდა (მოწმის ავადმყოფობა, შორს სადმე წასვლა). საყურადღებოა, რომ დაფიცებაზედ არც ბჭეები და არც მოფიცარის დამნიშვნელი არ ესწრებოდნენ. მოწმის დაფიცებას ესწრებოდა მხოლოდ ე. წ. „*ფიცის მაყურებელი*", რომელიც მოწინააღმდეგე მხარის ნათესავი უნდა ყოფილიყო.

დაფიცება აუცილებლად ხატში უნდა მომხდარიყო, თითონ მოწმის ხატში, ან კიდევ მოწმის დამნიშვნელის სალოცავში. ფიცი საბოლოოდ სწყეტდა სადაო საქმეს, რადგანაც იგი ყოვლადძლიერი და სიტყვაშეუბრუნებელი საბუთი იყო. თვით განაჩენი, გადაწყვეტილება მასზედ იყო დაფუძნებული, საქმეს იგებდა ის მოდავე მხარე, რომელსაც „*ფიცი დაედებოდა*“ და დაიფიცებდა[56].

თავისებური იყო დაფიცება, როცა დავა მამულს ეხებოდა. ვახტანგის სამართალი იხსენიებს სადავო მამულის „*კარგ-ავობას*“, მამულის თვისებას, „ვენახი არის თუ ფუძე, საწისქვილო, ან საბაღე“ და ამისდა გვარად „*მოფიცარნი შეაგდონ*“, დიდ მამულს ბევრი მოფიცარი უნდა, პატარას ცოტა, ხევსურული სამართალიც სწორედ ამ გზას ადგას. პატარა მამულს ერთი მოწმეც ეყოფა. სჯულთ-მდებელიც ასე ჰფიქრობდა. შეიძლება საბჭო სამართალმა სრულებითაც არ ჰკითხოს მოწმეს ფიცის ქვეშ, თუკი მამული მეტად მციერდია. ამ შეიმთხვევაში ფიცის მაგივრად „*ცოდვის მოკიდებაა*“ საჭირო.

ნ. ხიზანაშვილის ცნობით, ცოდვის მოკიდებას მოპირდაპირეც და ბჭენიც ადებდნენ მომჩივანს. თითონ მომჩივანსაც შეუძლიან ცოდვა მოიკიდოს, აქ დავა იაფი ფასისაა და თავისუფლებაც დიდია. ვახტანგის სამართლის *ცოდვის მოკიდების* ფორმა სხვა იყო. მოპასუხე „შემწამებელ კაცს ზურგს აიკიდებს და ასრე უნდა თქვას: „შენიმც ცოდვა მეორედ მოსვლას მეცა მაქვს და შენდა ნაცვლადცა მე განვიკითხები, თუ მე ეგ მექნას“.

ნ. ხიზანაშვილის ცნობით, საბჭო სამართალმა ზურგზე აკიდება არ იცის, ამის ნაცვლად მიწის კისერზედ დაყრა სწამდა. როცა მოდავე დაბეჯითებით ამბობდა, რომ მამული ნამდვილად ჩემიაო, მაშინ სადაო მამულიდან ერთ მუჭა მიწას აიღებდა, ბჭეების თვალწინ კისერზედ დაიყრიდა და ხმამაღლა იტყოდა: „დედა-მიწის ცოდვა მქონდეს, თუ ტყუილი ვსთქვა, ეს მიწა ჩემია“, – ამის შემდეგ მიწაც იმის საკუთრება ხდებოდა[57]. ცოდვის მოკიდება მიჯნის დავაზედაც შეიძლებოდა. ვახტანგის სამართალი კი უძრავი მამულის შესახებ ცოდვის მოკიდებას არ იხსენიებს, – „სულზედ შევარდნა ძროხაზედაც დაეჯერებოდეს“, როცა საქმე ერთის მარჩილის ღირებულია (სამი აბაზი), ან ცოტა უფროსი, ან უმცროსი საქმე უნდა იყოს“. მამულზედ არაფერია ნათქვამი. იგივე სამართალი სადაო მიჯნისა და საზღვრის თაობაზედ მარტო ფიცს თხოულობდა, – „ხატი ხელთ ეჭირვის“. საბჭო სამართალი კი მამულის დავასაც *ცოდვის მოკიდებით* სწყვეტდა[58].

ხალხის შეხედულებით, ცოდვის მოკიდება საძნელო საქმეა და ამისათვის ხევსური, თუ დარწმუნებული არ იყო თავის სიმართლეში, არ იკისრებს ცოდვის მოკიდებას.

როცა ბჭეებისაგან მოდავეს ფიცი დაედება, თუ მამული დიდია, ფიცი უეჭველად დროშის ქვეშ უნდა მომხდარიყო, „*დროშით დაფიცება*“ სხვა საქმეზე არ შეიძლებოდა, თუნდა მძიმე დანაშაულიც ყოფილიყო. დროშით დაფიცებას მომზადება უნდოდა. ჯერ ერთი ისაა, რომ მოფიცარი უნდა გაიწმინდოს – სარტყელი და ტალავარი გაიხადოს, დილით უნაყოფო, წყალში უნდა სამჯერ გაიბანოს. როცა დაფიცება დაიწყება, მოფიცარმა პერანგისა და შარვლის ამარა, საკინძე გახსნილმა და ფეხშიშველმა დროშა ხელში უნდა დაიჭიროს და ისე შემოუაროს მამულს გარშემო – წერდა ნ. ხიზანაშვილი[59].

საყურადღებოა დაფიცების რიტუალების სხვა მხარეებიც. დაფიცებას უეჭველად ბჭენი, შუამავალნი და მოწმეები ესწრებოდნენ. მოფიცარს გვერდით *„ხელის მამკიდე“* ედგა. ხელის მომკიდე მოფიცარის ახლო ნათესავი იყო. ისიც უნდა განბანილიყო, როგორც თვით მოდავე, გვერდით მიდგომოდა და მოდავის სიტყვა დაედასტურებინა.

ხევსურთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა *„ხატში დაფიცებას“*. „ხატში დაფიცებული სულ სხვაა. ეს დაფიცება ყველა დიდ დანაშაულზე შეიძლება და აუცილებლად ხატში უნდა მოხდეს. ხუცი ჯერ საკლავს დაუკლავს ხატს (*„სამაფიცრო საკლავი“*) და მერე იხუცებს. განბანა და განწმენდა აქაც საჭიროა. მოფიცარი ხატზე ხელს დაადებს და იტყვის: ამის მადლი მრისხავდეს, თუ ვსტყუოდეო, მოფიცარს მხოლოდ ერთი ხელის მომკიდე უდგია გვერდით, ხუცის გარდა ხატში ფიცის დროს არავინ არის, ბჭენიც კი არ ესწრებიან, თვითონ ხუცსაც არა აქვს ფიცის გაგონების უფლება, ამიტომ ყურებში თითებს დაიცობს“[60].

მამულის დავა ხევსურს საკმაოდ ძვირად უჯდებოდა. ჯერ ერთი ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მომჩივანს და მოპასუხეს ცხრა-ცხრა ცხვარი უნდა მიეცა თითო ბჭისათვის (ცხვარი ექვსი აბაზია), როცა დიდ მამულზედ იყო დავა, თითო მოწამესაც *„ფეხის ქალამანი“* ერგებოდა, დღეში აბაზი. როცა სადავო მამული პატარა იყო, ბჭეს *„საშუოდ“* ერთ ცხვარს აძლევდნენ, მოწმეებს კი არაფერს. მოფიცარ მოწმეს ფიცში სამი ცხვარი მიჰყავდა (*„სამაფიცრო“*), *„ხელის მამკიდესაც“* ამდენივე, – წერდა ნ. ხიზანაშვილი[61]. თუ მოდავეს ფიცზე შეაგდებდნენ, იმასაც სამაფიცროში სამი ცხვარი ეკუთვნოდა. ამასთან, გამტყუნებულ მხარეს გამართლებულისათვის მთელი ხარჯი და ზარალი უნდა ეზღო. ზარალის დამტკიცება გამართლებული მოდავის საქმე იყო. ბჭენი და შუამავლები აფასებდნენ მხოლოდ ავეჯის ღირებულებას (რვალი, თოფ-იარაღი და სხვ.), რომელიც გამტყუნებულს უნდა მიეცა გამართლებულისათვის[62].

ასეთი გახლდათ ქართველ მთიელთა, კერძოდ, ხევსურთა ჩვეულებითი სამართლის ის რთული სტრუქტურა, რომლის გამოვლენას, შესწავლასა და ანალიზს ნ. ხიზანაშვილმა მთელი თავისი ცოდნა-გამოცდილება და ენერგია შეალია. მკვლევარს კარგად ესმოდა, რომ ყველა საბჭო განაჩენს აღსრულებაში მოყვანა უნდოდა, რის გარეშეც სამართალს ძალა არ ექნებოდა.

ნ. ხიზანაშვილის მიერ ამ სფეროში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალა გაანალიზებულია ძველი ქართული სამართლის, კერძოდ *„დასტურლამალის“* მონაცემების შუქზე, რაც ნაშრომის ამ ნაწილსაც რეტროსპექტრული კვლევის ხასიათს აძლევს და შეუდარებლად ზრდის მის ისტორიულ ღირებულებას. ამჯერად ჩვენ მოკლედ შევეხებით ე. წ. *„მზეკლობის ინსტიტუტს“*, რომელიც ნ. ხიზანაშვილის შეხედულებით საკუთრივ ხევსურული ჩვეულებაა და ძველქართულ სამართალთან არა აქვს რაიმე საერთო.

მზეკლობა საბჭო სამართლის მიერ გამოტანილი განაჩენის აღმსრულებელს წარმოადგენდა, მაგრამ მისი დანიშვნა და ფუნქციები ასე უბრალოდ არ იყო განსაზღვრული. კერძოდ, როცა საქმე გადაწყდებოდა და განაჩენის ძალით ბრალდებულს გადასახადი ეკისრებოდა, რასაკვირველია, ბრალდებულს ეს გადასახადი მოპირისპირესათვის უნდა გადაეხადა. აქ მთავარი, ბუნებრივია, გადახდის ვადაზე იყო დამოკიდებული, მაგრამ შეიძლება ისეც მომხდარი-

ყო, რომ ბრალდებულს განაჩენის აღსრულება ან არ სურდა, ან არ შეეძლო. სწორედ ამ ორს შემთხვევაში იყო საჭირო „*მზევალი*"[63].

ნ. ხიზანაშვილის ჩანაწერებით, მზევალი უეჭველად ბჭეების თანდასწრებით უნდა დაეჭირათ და დაესახელებითნათ. გარდა ამისა, მზევლის დამჭერელს თვითეული ბჭესათვის ყურზე ხელი უნდა მოეკიდა და ეთქვა „თქვენის გაგონებით ვიჭერო, მოწამენი თქვენა ხართო". ამის შემდეგ მზევლობას სრული ძალა ეძლეოდა და იგი იურიდიულ დაწესებულებად იქცეოდა.

დაჭერის და დასახელების დროს მზევლის ადგილობრივ ყოფნა საჭირო არ იყო, მზევლად დაყენებული შეიძლება შორს სადმე ყოფილიყო, არც კი იცოდა, რომ ის მზევლად დაიჭირეს. მზევალი შეძლებული კაცი უნდა ყოფილიყო, რადგანაც ჩვეულების ძალით, თუ დამნაშავე არ იხდიდა საზღაურს, თითონ მზევალს უნდა გადაეხადა განაჩენით გადაწყვეტილი მთელი გადასახადი. მზევლობას ფორმალური, გარეგანი სავალდებულო ძალა არ ჰქონდა. მართალია, მზევალს ძალას ვერავინ დაატანდა, უეჭველად მას გადაეხადა გადასახადი, მაგრამ ამ მოვალეობას საფუძვლად, ერთი მხრივ, ზნეობრივი ნორმები ედო, მეორე მხრივ კი, ხალხის ამაო მორწმუნეობა. იძულების მექნიზმები საკმაოდ ქმედითუნარიანი გახლდათ. ჯერ ერთი მზევლობაზე უარის თქმა საზოგადოდ სამარცხვინო და სათაკილო საქციელად ითვლებოდა, მეორეც იგი უფრო მკაცრ ზომას – თემში ათვალწუნებასა და თემიდან გაძევებასაც გულისხმობდა[64].

კიდევ უფრო მძიმე იყო მზევლობაზე უარის მთქმელისათვის ე. წ. „*საწყევარის*" აგება, ან კიდევ მის სახელზე კატა-ძაღლის ჩამოხრჩობა, რომელიც სიტყვიერ ფორმულითაც („შენის სულისა და შენის მკვდრის სულისა იყოსო") იყო შემაგრებული. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საწყევარ აგებულ და ცია-ძაღლ ჩამოხრჩობილ მზევალს ხატში არ მიესვლებოდა, მკვდარს რიგით ვერ დამარხავდა, „*სამარხს ვერ იქმდა*", ტაბლას ვერ გაუკეთებდა და თვითონაც პირს ვერ აიხსნიდა, იგი მთელს თემში შერცხვენილი და ათვალწუნებული იყო და, ბუნებრივია თემიდან მოკვეთილად ითვლებოდა[65].

ხალხური ჩვეულებითი სამართლის ნორმები არც აქ სვამდა საბოლოო წერტილს. მზევალს ჩვეულებრივ სამზევლოში ერთი ცხვარი ერგებოდა, მაგრამ, როცა იგი იძულებული იყო გადაეხადა გადასახადი, მაშინ დამჭერელს გადასახადს შვიდმაგად ახდევინებდა. თუ გამტყუნებული მზევალს საქმეს სამზევლოდ არ გაუხდიდა, მაშინ მზევალი სამზევლოს ერთი-ორად გადაახდევინებდა. ეს საფასური ნაკლებიც შეიძლება ყოფილიყო, რადგანაც გადახდევინება ცოდო-მადლზედ იყო დამოკიდებული. როცა მზევალი სამზევლოს გადაიხდიდა და მოპასუხე მას არაფერს აძლევდა, მზევალი სხვა მზევალს დაიჭერდა. მეორე მზევალს მესამის დაჭერა შეეძლო და ამით მთავრდებოდა საქმე.

მთელი ეს გადასახადი საბოლოოდ საქმის წამგებელს უნდა აენაზღაურებინა, ე. ი. იმას, ვისი მიზეზითაც დაიწყო მზევლობა[66].

განაჩენის აღსრულებას უნდა მოყოლოდა შერიგება ანუ „*პირად შეყრა*", რადგანაც მტრად მოკიდებულთ ერთმანეთზე კარგი გული არ ჰქონდათ და შესაძლო იყო შუღლის განახლება. პირად შეყრა ან მაშინვე, საქმის გადაწყვეტასთან ერთად ხდებოდა, ან კიდევ განაჩენის გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში. გამტყუნებული ბჭეებს ევედრებოდა და მოიპრისპირესთან შეხვედრასა და

დაძმობილებას თხოვდა. სამზადისი ლუდით ან არყით იყო შემაგრებული, დიდ საქმეს კი საკლავიც ახლდა. *პირად შეყრის* მსურველს ორი ბჭე წინ გაუძღვებოდა – ერთი ერთი მხრით, მეორე – მეორე მხრით და მოპირდაპირის სახლში მიიყვანდნენ. იქ ბჭენი ორივე მხარეს თასით ლუდს ან არაყს დაალევინებდნენ სამჯერ და პირს აკოცნინებდნენ. თასში ვერცხლს ჩაფხეკდნენ თუ არა, აბაზს ან უზალთუნს ჩააგდებდნენ. თუ არ ჰქონდათ ხელთ, თასით ერბოს ან თაფლს დაალევინებდნენ. ყოველ შემთხვევაში, ჩაფხეკილი ვერცხლი ან აბაზიანი, თუ უზალთუნი მაინც საჭირო იყო. შემდეგ ქეიფი იწყებოდა რასაკვირველია, როცა დიდი საქმე იყო, ჭამა-სმაც გამორჩეული უნდა ყოფილიყო, თუმცა მცირედი გამასპინძლებაც შეიძლებოდა. ჩვეულების მიხედვით ასეთივე „*პირშესამყრელო*“ ნადიმი უნდა გაემართა მეორე მხარესაც[67].

ქართული სამართლებრივი ძეგლებისა და ხალხური ადათობრივი სამართლის მრავალფეროვანი პრობლემებისა და საკითხების კვლევის პროცესში ნ. ხიზანაშვილის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მოღვაწეობას ზოგერთი ნაკლოვანებანიც გააჩნდა[68]. ევროპული მეცნიერების ტენდენციებიდან გამომდინარე, მკვლევარი გატაცებული იყო იმ პერიოდის დასავლეთის ისტორიოგრაფიაში გაბატონებული *სოციოლოგიური და შედარებით-ისტორიული სკოლების* თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლებით. ეხებოდა რა ქართველ მთიელთა, კერძოდ ფშაველთა და ხევსურთა ცხოვრებას, ნ. ხიზანაშვილი ადამიანის ფიზიკურ და სულიერ ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოს. მთიელი მას „*უმანკო ქმნილებად*“ მიაჩნდა. „თავისი ხასითით, მიმართულებით, მთელი თავისი არსებით მთიელი ისეთივე უმანკო ქმნილებაა, როგორც მის გარშემო მოძრავი ბუნება“ – წერდა იგი[69]. ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ აქ მკვლევარი უშუალოდ განიცდიდა XVIII საუკუნის ევროპელი განმანათლებლობისა და, კერძოდ, გამოჩენილი ფრანგი ფილოსოფოსის, მწერლისა და პედაგოგის *ჟან-ჟაკ რუსოს* გავლენებს, რომელსაც, თავის მხრივ, განვითარების დაბალ დონეზე მდგომი ადამიანი და კერძო საკუთრებისაგან თავისუფალი პირველყოფილი წყობილების დემოკრატიული ხასიათი კაცობრიობის განვითარების იდეალად და „*ოქროს ხანად*“ მიაჩნდა[70].

ნ. ხიზანაშვილი გარკვეულ გავლენებს განიცდიდა ევოლუციური სკოლის ნარმომადგენლებისაგანაც და ხშირად იმოწმებდა ამ სკოლის ერთ-ერთი გამოჩენილი მეცნიერის *მ. კოვალევსკის* შრომებს კავკასიელ მთიელთა ადათობრივი სამართლის პრობლემებზე. ამ თვალთახედვით იგი იზიარებდა *ჯ. ლებბოკის, გ. სპენსერის, ე. ტეილორის, ლ. მორგანისა* და სხვა გამოჩენილი ევოლუციონისტების შეხედულებებსაც, რაზედაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

მიუთეთებდა რა ნ. ხიზანაშვილის ზოგიერთ წყაროთმცოდნეობით ნაკლზე, *ი. სურგულაძე* სრულიად სამართლიანად მიაწერდა მას ქართული მეცნიერების იმდროინდელ ვითარებას, განსაკუთრებით კი ძველქართული სამართლის ძეგლების პუბლიკაციების არარსებობას. ამასთან, იგი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „ნ. ხიზანაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული სამართლის ისტორიის შესწავლის საქმეში. ის პირველი ქართველი იურისტი იყო, რომელმაც სერიოზულად მოჰკიდა ხელი ქართული სამართლის ისტორიის შესწავლას და დააყენა მთელი რიგი საკითხები, როგორც სახელმწიფოებრივი

წყობილების, ისე სამართლის სხვადასხვა დარგიდან. ამ მხრივ მან კვლევა-ძიების მთელი პროგრამა დაუსახა მომავალ თაობას"[7].

ნ. ხიზანაშვილის ეთნოგრაფიულ შემოქმედებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ხევსურეთსა და ფშავში მის მიერ შეკრებილი და განხილული მასალები ხალხური სამართალწარმოების საკითხებზე. მკვლევარის მიერ მიკვლეული და გამოვლენილი ზემოთ მოტანილი მასალები, ოჯახისა და საოჯახო ყოფის, ქორწინებისა და საქორწინო ურთიერთობების, სისხლ-მესისხლეობის მრავალმხრივ და მრავალფეროვან საკითხებზე, დაკავშირებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ავტორის ხანგრძლივ პრაქტიკულ საქმიანობასთან, რომლის დროსაც მას საშუალება ჰქონდა უშუალოდ დაკვირვებოდა, გაცნობოდა და აღეწერა ხალხის ზნე-ჩვეულებები. ამ მასალების სათანადო ანალიზს სახელმწიფო სამართლის ძეგლებთან, სპეციალური ლიტერატურის მონაცემებთან კავშირში, იგი წარმატებით ახერხებდა მაღალპროფესიული იურიდიული განათლების, რუსული და ევროპული ლიტერატურისა და ძველი ქართული სამართლის ძეგლების შესაბამისი ცოდნით. ზოგად და სპეციალურ ლიტერატურასთან ერთად, მკვლევარის განსაკუთრებით მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა *გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დება"* და *„ათაბაგნი ბექა და ალბუღა და მათი სამართალი"*, რომელთა პირველი მკლევევარიც თვით ნ. ხიზანაშვილი იყო.

ამრიგად, XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების აღმავლობის ამ საერთო ფონზე ნიკო ხიზანაშვილმა, რაფიელ ერისთავთან ერთად, ეთნოგრაფიული მეცნიერების საბოლოო ფორმირებისა და ჩამოყალიბების მეტად საპასუხისმგებლო საქმეში ფუძემდებლური როლი შეასრულა. მოწინავე ევროპული მეცნიერების მიღწევათა შესანიშნავი მცოდნე, პირველ რიგში, ისტორიული მეცნიერების თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხებით იყო დაინტერესებული. იგი უდიდეს სიფრთხილეს იჩენდა ისტორიის ცოდნის შეფასებაში და ისტორიკოსს სერიოზულ მოთხოვნებს უყენებდა. ხალხის ტრადიციების, მისი წარსულისა და აწმყოს კვლევის პროცესში ნიკო ხიზანაშვილს *ისტორიკოსის უპირველეს ღირსებად მკვლევარის მრავალმხრივი განსწავლულობა მიაჩნდა, რომლის გამოყენებითაც მას არა მხოლოდ მოვლენების სტატისტიკური ფიქსაცია, არამედ მათი განსჯაც უნდა შეძლებოდა.*

ქართველი ხალხის ტრადიციული სამართლებრივი ნორმების საველე კვლევა-ძიების პროცესში მკვლევარმა წარმატებით გამოიყენა ხალხის ადათ-წესებსა და ზნე-ჩვეულებებზე *უშუალო დაკვირვების მეთოდი* და ამ სფეროში გამოვლენილი მრავალფეროვანი ფაქტები და მოვლენები ევროპულ მეცნიერებაში ახლად დამკვიდრებული *შედარებით-ისტორიული კვლევისა და ანალიზის შუქზე წარმოაჩინა.* ასეთი მიდგომა მკვლევარს საშუალებას აძლევდა არ შეზღუდულიყო მოვლენებისა და ფაქტების უბრალო ფიქსაციით, დაედგინა მათი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და ისინი ანალიტიკური კვლევა-ძიების ფონზე განეხილა. ანალოგიური მეთოდოლოგიური პრინციპებიდან გამომდინარეობდა მკვლევარის მიდგომა *წყაროთმცოდნეობითი პრობლემებისადმიც, რომელთა მიმართაც იგი ყველგან და ყოველთვის კრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენდა.*

აღნიშნული თეორიული და მეთოდოლოგიური მახასიათებლების გათვალისწინებითაა შესწავლილი ნიკო ხიზანიშვილის მიერ *აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ყოფა-ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მხარეები – საოჯახო ყოფა, ქორწინების ინსტიტუტი, ხევისბერობის, დასტურის, შულტას, ქადაგობის, მესულთნისა თუ ბოსლობის სოციალურ-რელიგიური ფუნქციები.* ამავე ჭრილშია მოცემული *სისხლ-მესისხლეობის, დაკრძალვის, სიცოცხლით დამარხვის, სულის ცხენის, ჭირის წყენისა და მათთან დაკავშირებული ადათობრივი სამართლის ნორმების, აგრეთვე ყაბახის, დოლისა და სხვ. რელიგიურ-ყოფითი რიტუალებისა და ცერემონიების აღწერილობა და ანალიზიც.* აღნიშნული პრობლემების ფიქსაციისა და კამერალური კვლევა-ძიების პროცესში ავტორი იყენებს და ეყრდნობა იმდროინდელი ცნობილი *მეცნიერ-ევოლუციონისტების – ჯ. ლებბოკის, გ. სპენსერის, ე.ტეილორისა* და სხვ. ცნობილ ნაშრომებს და მთიელთა სოციალური ორგანიზაციის დასახასიათებლად ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში პირველად იძლევა უმნიშვნელოვანეს დასკვნებს. კერძოდ, პირველად კავკასიათმცოდნეობით ლიტერატურაში ხიზანაშვილმა მეცნიერულად დაასაბუთა დებულება *აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ადრეფეოდალური ურთიერთობების არსებობის შესახებ, რომელიც, სამწუხაროდ, იმ დროს, ე.წ. "გვაროვნული თეორიის" ბატონობის პირობებში ვერ მოიპოვა სათანადო აღიარება.*

ზემოთ მოტანილ მიმოხილვაში ნიკო ხიზანიშვილის მემკვიდრეობაში ხაზგასმულია ზოგიერთი თეორიული და მეთოდოლოგიური ხასიათის უზუსტობა და ნაკლიც: კერძოდ, ქართველ მთიელთა ყოფა-ცხოვრების ავტორისეული შეფასება ადამიანთა ფიზიკურ და სულიერ ღირებულებათა ჩამოყალიბებაში *ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს გადამწყვეტი მნიშვნელობის შესახებ,* სადაც აშკარად ჩანს XVIII საუკუნის ევროპელი განმანათლებლების, კერძოდ, გამოჩენილი ფრანგი ფილოსოსოფის, მწერლისა და პედაგოგის *ჟან-ჟაკ რუსოს* გავლენა.

ნ. ხიზანაშვილის მრავალმხრივმა ეთნოგრაფიულმა შემოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ახალი ქართული ისტორიოგრაფიის ფუნდამენტურ შეხედულებებზე და უდავოდ შეუწყო ხელი საქართველოში ეთნოგრაფიული მეცნიერების ფორმირებისა და ჩამოყალიბების პროცესების დაჩქარებას.

## 3. XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართველი მეცნიერ-მკვლევარები და საზოგადო მოღვაწეები საქართველოს ეთნოლოგიის სამსახურში

XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებსა და XX საუკუნის მიჯნაზე ეთნოგრაფიული მეცნიერების საბოლოო ფორმირება-ჩამოყალიბების ქრონოლოგიურად ვრცელ და შინაარსობრივად რთულ პერიოდში, რაფიელ ერისთავისა და ნიკოლოზ ხიზანაშვილის ფუძემდებლურ ეთნოგრაფიულ მემკვიდრეობას მხარს უმშვენებდნენ ქართული ეთნოგრაფიის სამსახურში ჩამდგარი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, მეცნიერ-მკვლევარები, კულტურისა და ხელვნების წარმომადგენლები – *პეტრე უმიკაშვილი (1838-1904 წწ.), ბესარიონ ნიჟარაძე (1852-1919 წწ.), იონა მეუნარგია (1852-1919 წწ.), მოსე ჯანაშვილი (1885-1934 წწ.), ალექსანდრე ხახანაშვილი (1864-1912 წწ.), დიმიტრი ჯანაშვილი (1840-1905 წწ.), ზაქარია ჭიჭინაძე (1854-1931 წწ.), ნიკო ჯანაშია (1872-1918 წწ.)* და სხვ.

ახალ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-ეკონომიკურ ვითარებაში აღნიშნულ ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა უმრავლესობა ქართველ სამოციანელთა იდეების უშუალო მატარებელი, ან მისი აქტიური მხარდამჭერი გახლდათ. თავიანთ შემოქმედებაში ისინი დიდ ყურადღებას აქცევდნენ ქართველი ხალხის ტრადიციულ-ყოფითი კულტურის უმნიშვნელოვანესი რეალიების გამოვლენა-შესწავლასა და პოპულარიზაციას, ეროვნული ცნობიერების აღორძინებასა და მისი ძირითადი პრინციპების დამკვიდრებას.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების თვალსაჩინო წარმომადგენელი *პეტრე უმიკაშვილი*, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ (1864 წ.) სიცოცხლის ბოლო წლებამდე თბილისის ქართული გიმნაზიის მასწავლებლად მუშაობდა, არაერთი ლიტერატურულ-პუბლიცისტური და ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ნარკვევის ავტორია[1]. მას დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული ზეპირსიტყვიერების პოპულარული, ზოგჯერ კი ახალი, სრულიად უცნობი ნიმუშების – ლექსების, ზღაპრების, გამოცანებისა და ანდაზების შეკრება-გამოქვეყნების საქმეში. პეტრე უმიკაშვილმა 1874 წლიდან გამოქვეყნებული წერილები და მონოგრაფიები (*„ლექსები სახალხო სიმღერებისაგან შედგენილი“, „არსენას ლექსი“, „ეთერიანი“, „ქართული ანდა ზები“*) შეავსო და გაამდიდრა ქართული ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის ახალი მონაცემებით და ქართული ფოლკლორის მისეულ კოლექციაში შეიტანა ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, ალექსანდრე ხახანაშვილისა და სხვ. მიერ შეკრებილი ნიმუშები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ კოლექციაში წარმოჩენილი საინტერესო ეთნოგრაფიული სიუჟეტები, რომელთა კვლევისა და ანალიზის საფუძველზე გამოთქმულია არაერთი საყურადღებო დასკვნა და დებულება[2].

პეტრე უმიკაშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა ოსმალთა უღელქვეშ მყოფი, შემდგომ კი ახლადშემოერთებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და, კერძოდ, აჭარის ისტორიისა და ეთნოგრაფიის პრობლემებს. თავის დროზე ქართულ პერიოდულ პრესაში (*„ივერია“, „დროება“, „კვალი“* და სხვ.) გამოქვეყნებულ, აგრეთვე ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდებში დაცულ წერილებსა და ნაშრომებში იგი ფართოდ აშუქებდა მხარის ეთნო-პოლი-

ტიკურ და დემოგრაფიულ პროცესებს, კერძოდ მოსახლეობის განსახლებისა და ეთნიკური შემადგენლობის საკითხებს, მუჰაჯირობისა და მოსახლეობის გახიზნვის სოციალურ და პოლიტიკურ მიზეზებს, სოციალური ორგანიზაციის ტრადიციულ ფორმებს (ოლქობის ინსტიტუტი და სხვ.) და ა.შ.[3]

დასავლეთ საქართველოს მთიელთა ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების საქმეში ამ პერიოდში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ, ეთნოგრაფმა და ფოლკლორისტმა – *ბესარიონ ნიჟარაძემ.* მისი წერილები, სტატიები და მონოგრაფიები სვანეთის ეთნოგრაფიასა და ფოლკლორზე *„თავისუფალი სვანის", „სვანის" და „ბესარიონ სვანის"* ფსევდონიმებით რეგულარულად იბეჭდებოდა *ივერიის, დროების, შრომისა* და სხვა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე[4].

„ბუნებით სვანმა" ბესრიონ ნიჟარაძემ ფართო განათლება მიიღო თბილისის სასულიერო სემინარიაში, ხოლო შემდეგ ცნობილი ქართველი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების *ალექსანდრე ყიფშიძის, ნიკო ლომოურის, იონა მეუნარგიასა* და სხვ. გარემოცვაში. „სვანეთის შვილმა", რომელიც მშობლიურ მხარეში საქართველოს სიძველეთა შესწავლის მიზნით ილია ჭავჭავაძის რჩევით დაბრუნდა, წმინდა ისტორიულ და გეოგრაფიულ ნარკვევებთან ერთად, ძვირფასი მემკვიდრეობა დატოვა ეთნოგრაფიული კუთხით საქართველოს ერთ-ერთი ტიპიური რეგიონის – სვანეთის შესახებ[5].

ბესარიონ ნიჟარაძის ეთნოგრაფიულ სტატიებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის ნარკვევებს სვანების ჩვეულებით სამართალზე[6], რომელსაც იმ პერიოდის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაკარგული ფუნქციები. საკმარისია აღინიშნოს, რომ ეს ნაშრომი დაწერილია ეპოქის ცნობილი მეცნიერების *ე. ტეილორის, ო. შრედერისა* და სხვ. მონაცემებზე დაყრდნობით და უძვირფასესი ინფორაციული წყაროა სვანეთის სოციალური ორგანიზაციის შესახებ.

ეთნოგრაფიული წყაროთმცოდნეობის თვალსაზრისით, სანიმუშოა ბესარიონ ნიჟარაძის ფასდაუდებელი მასალები სვანური საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის[7], კერძოდ, ცოლქმრული ურთიერთობის, ქორწინების, გაყრის, მემკვიდრეობის, მიწათმფლობელობის საკუთრებისა და მესაქონლეობის შრომის ორგანიზაციის ფორმების, ამა თუ იმ სუბიექტის უფლება-მოვალეობის[8], ძუძუმტეობისა და გაძიძავების ინსტიტუტის, სხვადასხვა სახის ქირავნობისა და მისი საზღაურის, ზომა-წონისა და საწყაო საშუალებების[9], ხალხური დღესასწაულების და საყმაწვილო თამაშობების[10], საიქიო წარმოდგენებისა[11] და სხვ. შესახებ.

ბესარიონ ნიჟარაძის მიერ შეკრებილი ანდაზები, გამოცანები და სიმღერები გამოქვეყნებული იყო ჟურნალ СМОМПК-ში[12] ხოლო *„სვანური ზღაპრები"*, სვანურ-რაჭული საგმირო-საისტორიო სიტყვიერების ნიმუშები ცალკე წიგნად დაიბეჭდა ქუთაისში[13].

XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს კულტურულ-ისტორიული ვითარების ეთნოგრაფიული ასპექტები მნიშვნელოვანწილადაა ასახული ცნობილი ქართველი მწერლის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის *იონა მეუნარგიას* კრიტიკულ-ლიტერატურულ ნაშრომებში. 1874 წელს იგი გარიცხეს თბილისის სასულიერო სემინარიიდან პოლიტიკური მოტივების საფუძველზე,

რომლის შემდეგაც ევროპაში გაემგზავრა და ერთხანს სწავლობდა ჟენევის აკადემიასა და პარიზში. აქ მან საფუძვლიანად შეისწავლა ფრანგული და გერმანული ენები და ახლო ურთიერთობა დაამყარა იმ პერიოდის გამოჩენილ პიროვნებებთან. მოწინავე ევროპული იდეებით აღჭურვილი ახალგაზრდა 1878 წელს დაბრუნდა საქართველოში და აქტიურად ჩაება ქვეყნის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში. აქედან მოკიდებული იონა მეუნარგიას კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები, ნარკვევები და ფელეტონები რეგულარულად ქვეყნდებოდა *დროებაში, ივერიაში, ტიფილისსკი ვესტნიკში, კავკაზში, ნოვოე ობოზრენიეში, მოამბეში, კვალში* და სხვ.[14] მალე იონა მეუნარგია აირჩიეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივნად, რომლის შემდეგაც იგი კიდევ უფრო მეტი ენერგიით ჩაება ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში.

ზემოთ აღნიშნული ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული და ლიტერატურული წერილების გვერდით მეუნარგიას ეკუთვნის აგრეთვე მსხვილტანიანი მონოგრაფია სამეგრელოს სამთავროს ბოლო პერიოდის, კერძოდ, დავით დადიანის მმართველობის შესახებ[15]. ეთნოგრაფიულ მასალებსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით დაწერილ ამ ნაშრომში დაწვრილებითაა მიმოხილული სამეგრელოს მიწის მეურნეობა, სიმინდის, პურის, ბრინჯის, ფეტვის, კვახის, კანაფის, მუხუდოს, ოსპის, ლობიოს, სელის, ბამბისა და სხვა კულტურების ჯიშები[16], მეევენახეობა, მეაბრეშუმეობა, მეთამბაქოეობა და მებოსტნეობა, მათი გავრცელების არეები, მოვლა-მოშენების ხერხები და საშუალებები[17], დახასიათებულია გზები, არხები და სამიმოსვლო არტერიები, სამეგრელოს სამთავროს მაზრები და სოფლები[18], სასამართლო და ძველი კანონები[19], ვაჭრობა-აღებ-მიცემობა, სავაჭრო ადგილები და ცენტრები, მრეწველობის დარგები და ა. შ.[20]

იონა მეუნარგია იყო 1888 წელს განხორციელებული *„ვეფხისტყაოსნის“* ქართველიშვილისეული გამოცემის ერთ-ერთი ინიციატორი, აგრეთვე რუსთაველის პოემის ფრანგულ ენაზე ახალი თარგმანის ავტორი.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ეთნოგრაფიის წარმატებები მნიშვნელოვანწილად გაამდიდრა *მოსე ჯანაშვილის* ნაშრომებმა.

*მოსე ჯანაშვილი,* როგორც ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, ეთნოგრაფი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის სასულიერო სემინარიისა და ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ 1875-1920 წლებში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ქუთაისსა და თბილისში. 1897-1926 წლებში იგი იყო საქართველოს საეკლესიო მუზეუმის გამგე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიძველეთმცოდნეობის დამსახურებული პროფესორი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო და ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების აქტიური წევრი, საქართველოში თანამედროვე მეცნიერული კვლევა-ძიების ერთ-ერთი ფუძემდებელი.

მოსე ჯანაშვილის მრავალმხრივმა სამეცნიერო მოღვაწეობამ კონკრეტული გამოხატულება ჰპოვა მრავალრიცხოვან წერილებში, სტატიებსა და მონოგრაფიებში ლინგვისტიკის, ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის დარგში. ავტორის მნიშვნელოვან ეთნოლოგიურ ნაშრომებად უნდა ჩაითვალოს პირველწყაროებზე დაყრდნობით შედგენილი საგაზეთო წერილები[21], შემდგომ კი სპეციალური მონოგრაფიები საინგილოსა[22] და აფხაზეთის[23] შესახებ, რომლებშიც ავტორი ვრცლად მიმოიხილავს ქართველი და აფხაზი ხალხების მატერიალური

და სულიერი კულტურის, სოციალური ურთიერთობის საკითხებს. ქართველური ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული სახელების ეტიმოლოგია, შესაბამისად კი ეთნოონომასტიკური საკითხებია განხილული ასევე სპეციალურ მონოგრაფიაში[24]. მნიშვნელოვანი პუბლიკაციები მიუძღვნა ავტორმა საქართველოს სხვადასხვა კუთხეების ეთნოგრაფიულ თავისებურებებს[25], რელიგიურ წესჩვეულებებსა და რწმენა-წარმოდგენებს და ა. შ.[26]

მოსე ჯანაშვილი დაინტერესებული იყო კავკასიის სხვა ხალხების ეთნოგრაფიის საკითხებითაც. ამ მხრივ უაღრესად მნიშვნელოვანია მისი ბიობიბლიოგრაფიული ხასიათის ნაშრომები, რომლებშიც მოცემულია ქართველ მემატიანეთა და მკვლევართა მრავალფეროვანი ცნობები აბაზინების, ჩერქეზების, ოსების, ძურძუკების, დიდოელების, ღლიღვების, ალანების, წოვა თუშების, ხაზარების, რუსებისა და სხვ. შესახებ[27].

აღნიშნული ნაშრომებით მოსე ჯანაშვილი ახალი ქართული ეთნოგრაფიის ერთ-ერთ ფუძემდებლად გვევლინება. იგი უდიდეს ყურადღებას აქცევდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კოლექციების შეგროვებას, საეკლესიო მუზეუმის შექმნას, არქეოგრაფიული ძეგლების სისტამტიზაციას.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია მოსე ჯანაშვილის სამეცნიერო ნაშრომები ქართული ენის გრამატიკის, დიალექტოლოგიისა და ლექსიკოლოგიის დარგში. ქართველი ხალხის წარმოშობისა და ეთნოგენეტიკური კვლევების ჭრილში უაღრესად მნიშვენლოვანია ავტორის ნაშრომი ქართული ენის გრამატიკის შესახებ, სადაც იგი ენის განვითარების ისტორიული პროცესების კვლევა-ძიების შედეგებზე დაყრდნობით ცდილობს დაასაბუთოს ქართველურ ენათა ერთობლიობის იდეა, აგრეთვე ქართველურ ენათა ინდოევროპულ ენებთან ნათესაობის კონცეფცია[28].

ამ პერიოდის ქართველ მეცნიერთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს ცნობილ ფილოლოგსა და ისტორიკოსს *ალექსანდრე ხახანაშვილს*[29], რომელიც თავისი განათლებით, პროფესიული ინტელექტითა და მრავალმხრივი შემოქმედებითი მოღვაწობით მოწინავე ევროპული მეცნიერების პლეადას წარმოადგენდა. მოსკოვის უნიევერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ (1888 წ.) იგი სამოღვაწოდ რჩება მოსკოვში, ჯერ იგი აქვე ემზადებოდა საპროფესოროდ, შემდეგ კი ლექციებს კითხულობდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში ლაზარევის სახელობის მოსკოვის აღმოსავლური ენების უნივერსიტეტში (1889 წ.). მოგვიანებით მან კვლავ მოსკოვის უნივერსიტეტში გააგრძელა ლექციების კურსი.

ალექსანდრე ხახანაშვილმა ბევრი იმოგზაურა საქართველოსა და კავკასიის პროვინციებში ქართულ-კავკასიური სიძველეების აღსანუსხავად და შესასწავლად. ამავე პრობლემას ითვალისწინებდა მისი მოგზაურობა იტალიაში, საფრანგეთსა და ინგლისშიც.

ალექსანდრე ხახანაშვილის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის საყურადღებო ნაწილია მისი დაინტერესება ქართველი ხალხის წარმოშობისა და თავდაპირველი განსახლების[30], აგრეთვე ქართულ-კავკასიური მთური ფეოდალიზმის პრობლემებით, რომელსაც მაშინ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ცნობილი ევროპელი და რუსი მკვლევარები.

ალექსანდრე ხახანაშვილმა მნიშვნელოვანი ნაშრომები მიუძღვნა ქართველი ხალხის რელიგიური მსოფლმხედველობის საკითხებს[31], ქართველ მთიელთა ადათობრივი სამართლის, კერძოდ, ხალხური სამართალწარმოების საკითხებს[32], საქართველოს მთიანეთის ცალკეულ კუთხეთა ეთნოგრაფიულ თავისებურებებსა[33] და ა. შ.

ალექსანდრე ხახანაშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა ქართული სიტყვიერების შესწავლას, რომელსაც 1895-1907 წლებში რუსულ ენაზე ოთხტომეული მიუძღვნა. მან გამოსცა ქართული ზღაპრების ორი წიგნი (1902-1904 წწ.), შეისწავლა ქართული მწერლობის არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემა და მისი ისტორია მსოფლიო ასპარეზზე გაიტანა.

მოსკოვის საიმპერატორო არქეოგრაფიული (1888 წ.) და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო (1904 წ.) საზოგადოებების ნამდვილი წევრი – ალექსანდრე ხახანაშვილი დიდად იღვწოდა საქართველოსა და კავკასიის სხვა ხალხების ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის პოპულარიზაციისათვის. ამ მხრივ თავისი მოღვაწეობის შედეგებზე იგი ორჯერ გამოვიდა მოხსენებით ჟენევასა (1894 წ.) და პარიზში (1897 წ.) ორიენტალისტთა საერთაშორისო კონგრესებზე.

XIX საუკუნის 80-90-იანი წლების ქართველ ავტორთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცნობილი ისტორიკოსის, ეთნოგრაფისა და საზოგადო მოღვაწის *დიმიტრი ჯანაშვილის* ნაშრომები საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული პროვინციის – საინგილოს მოსახლეობის ყოფისა და კულტურის შესახებ.

წარმოშობით ინგილო დიმიტრი ჯანაშვილი თბილისის სასულიარო სემინარიის დამთავრების შემდეგ 12 წელი მღვდლად მუშაობდა საინგილოში, პარალელურად ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართული სკოლების დაარსების საქმეში.

1878-1881 წლებში, მოსკოვის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ, დიმიტრი ჯანაშვილმა გააგრძელა პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისში, შემდეგ იგი კვლავ ეკლესიის მსახურია კახეთში და მეტად სასარგებლო მოღვაწეობას ეწევა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრის სტატუსით.

დიმიტრი ჯანაშვილი, სისტემატურად აქვეყნებდა წერილებსა და სტატიებს ქართული პრესის ფურცლებზე. მისი ანტიბატონყმური, ხალხოსნური იდეები ხშირად იბეჭდებოდა *დროების, ივერიის, ნობათის, მოამბის, მნათობის, ცისკრისა* და სხვ. ფურცლებზე[34], სადაც იგი ხშირად გამოდიოდა აგრეთვე ქართული ენისა და ეროვნული ცნობიერების საკითხებზე[35]. წერილებში ქართველი ხალხისა და, კერძოდ, საინგილოს ყოფა-ცხოვრების შესახებ დიმიტრი ჯანაშვილს მიმოხილული აქვს ტრადიციული ყოფისა და კულტურის არაერთი საკითხი, კერძოდ, საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფა, ქალის მდგომარეობა, სასულიერო წოდების ადგილი და როლი ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში და ა. შ.[36]

XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებსა და XX საუკუნის დასაწყისში უაღრესად ნაყოფიერი იყო ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, გამომცემლის, ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევარის *ზაქარია ჭიჭინაძის* მოღვაწეობა.

იდეური მიმართულებით ხალხოსანი მკვლევარის 120-ზე მეტ ნარკვევსა და კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებში საქართველოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ვითარების ამსახველი სიუჟეტები იყო ასახული. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჭიჭინაძის ეთნოგრაფიული წერილები[37] და ნარკვევები[38] თურქეთის უღლისაგან ახლად განთავისუფლებული სამაჰმადიანო საქართველოს მოსახლეობის საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის, მატერიალური და სულიერი კულტურისა თუ სოციალური ურთიერთობის ტრადიციული ფორმებისა და ინსტიტუტების შესახებ.

ნარკვევებში მოტანილია სამაჰმადიანო საქართველოს სოფლების, დასახლების ფორმების, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, სხვა კულტურულ-ყოფითი რეალიების, ტრადიციული ხალხური რწმენა-წარმოდგენებისა და რიტუალების, ოჯახისა და ქორწინების ფორმების ვრცელი აღწერილობანი მოსახლეობის მიერ უცხოელ დამპყრობთა მიმართ გაწეული წინააღდეგობისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფართო ფონზე[39].

ზაქარია ჭიჭინაძის ამ და სხვა ნაშრომებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა XIX საუკუნის დასასრულს ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების მიერ წამოწყებული ფართომასშტაბიანი თაოსნობის – ქართული ეროვნული თვითშეგნებისა და ეროვნული ცნობიერების აღორძინებისა და შემდგომი განმტკიცების საქმეში მხარდაჭერის თვალსაზრისით. ფაქტობრივად, ავტორის აღნიშნული ნაშრომები თერგდალეულთა ამ დიდი ეროვნული მოღვაწეობის ორგანულ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა.

ამავე თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ზაქარია ჭიჭინაძის საგამომცემლო მოღვაწეობა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაბნეული ქართული ხელნაწერების შეგროვება და წიგნების გავრცელება, რასაც იგი განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდა ახლად შემოერთებულ ქართულ პროვინციებში – აჭარასა და სამხრეთ საქართველოს სხვა რეგიონებში.

პირველხარისხოვანი წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა გააჩნია XIX-XX საუკუნეების გზასაყარზე მოღვაწე *ნიკოლოზ ჯანაშიას* ეთნოგრაფიულ მემკვიდრეობას. აფხაზეთში მოღვაწე ცნობილმა პედაგოგმა, ეთნოგრაფმა და ფოლკლორისტმა, გურია-სამეგრელოსა და აფხაზეთის სკოლებში ხანგრძლივ პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად დიდი ამაგი დადო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სოხუმის ფილიალის გახსნას. მოგვიანებით (1910 წ.) იგი სათავეში ჩაუდგა ფილიალის მუშაობას, ხოლო 1915 წელს გადამწყვეტი როლი შეასრულა სოხუმის სამასწავლებლო სემინარიის დაარსებაში[40].

ნიკოლოზ ჯანაშიას სამეცნიერო წერილები და ნაშრომები *სახალხო გაზეთში, მოამბეში, აკაკის კრებულში და ხრისტიანსკი ვოსტოკში* ეხება ქართველი და აფხაზი ხალხების რელიგიურ წეს-ჩვეულებებსა და რწმენა-წარმოდგენებს, მიცვალებულის კულტს, ხალხურ მედიცინას, ქორწინების ინსტიტუტს, ბავშვის დაბადებისა და აღზრდის რიტუალებსა და ა. შ.[41]

ნიკოლოზ ჯანაშიას ეთნოგრაფიული ხასიათის წერილები სულიერი კულტურის ცალკეულ მხარეებთან ერთად აშუქებს სამეურნეო ყოფისა და მატერიალური კულტურის, სოციალური ურთიერთობის არაერთ მნიშვნელოვან მხარეს. ავტორის ამ და სხვა ნაშრომებს მაღალ შეფასებას აძლევდნენ და არაერ-

თხელ იყენებდნენ ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი და სხვა ცნობილი ქართველი ეთნოგრაფები და ისტორიკოსები.

ამრიგად, XIX საუკუნის ბოლოს ათწლეულებსა და XX საუკუნის მიჯნაზე ეთნოგრაფიული მეცნიერების საბოლოო ფორმირება-ჩამოყალიბების ქრონოლოგიურად ვრცელ და შინაარსობრივად რთულ პერიოდში, რაფიელ ერისთავისა და ნიკოლოზ ხიზანაშვილის ფუძემდებლურ ეთნოგრაფიულ მემკვიდრეობას მხარს უმშვენებდნენ ქართული ეთნოგრაფიის სამსახურში ჩამდგარი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, მეცნიერ-მკვლევარები, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები *პეტრე უმიკაშვილი, ბესარიონ ნიჟარაძე, იონა მეუნარგია, მოსე ჯანაშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, დიმიტრი ჯანაშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, ნიკო ჯანაშია* და სხვ.

ახალ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-ეკონომიკურ ვითარებაში, აღნიშნულ ქართველ მეცნიერთა და საზოგადოებრივ მოღვაწეთა უმრავლესობა ქართველ სამოციანელთა იდეების უშუალო მატარებელი, ან მისი აქტიური მხარდამჭერი გახლდათ. თავიანთ შემოქმედებაში ისინი დიდ ყურადღებას აქცევდნენ ქართველი ხალხის ტრადიციულ-ყოფითი კულტურის უმნიშვნელოვანესი რეალიების გამოვლენა-შესწავლასა და პოპულარიზაციას, ეროვნული ცნობიერების აღორძინებასა და მისი ძირითადი პრინციპების დამკვიდრებას.

აღნიშნული პერიოდის საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიის ფაქტებისა და მოვლენების მიმოხილვა და ანალიზი გვიჩვენებს, რომ დასახელებულ ავტორთა პუბლიცისტურ წერილებში, ნარკვევებსა და მონოგრაფიაში ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის პრობლემებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მთიელთა სოციალური ორგანიზაციის საკითხებს. ამ *ზოგადი პრობლემატიკის წიაღში თანდათან იკვეთება ქართული სინამდვილისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ეთნოგრაფიული თემატიკა – ოჯახი და საოჯახო ყოფა, ქორწინების ფორმები, ნათესაობის სისტემა, ხალხური ჩვეულებითი სამართლის ნორმები, ხალხური აგრარულ-რელიგიური დღესასწაულები, რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებები, მეურნეობის ტრადიციული დარგები და სამეურნეო ყოფა, საცხოვრებელი ნაგებობანი, ტანსაცმელი, სამკაული და საომარი აღჭურვილობა, ხალხური კულინარია* და *ა.შ.* საგანგებო აღნიშვნის ღირსია სამეცნიერო ნაშრომები ენათმეცნიერების დარგში, კერძოდ, ქართველი ხალხის წარმოშობისა და ეთნოგენეტიკური კვლევების ჭრილში, რომლებშიც ენის განვითარების ისტორიული პროცესების კვლევა-ძიების შედეგებზე დაყრდნობით მოცემულია *ქართველურ ენათა ერთობლიობის იდეის დასაბუთების ცდა*, აგრეთვე *ქართველურ ენათა ინდოევროპულ ენებთან ნათესაობის კონცეფცია (მ. ჯანაშვილი)* და ა.შ. ამავე ავტორებთან (*დ. ჯანაშვილი, ბ. ნიჟარაძე, ნ. ჯანაშია, ზ. ჭიჭინაძე* და სხვ.) მოცემულია ფართომასშტაბიანი რეგიონალური გამოკვლევების პირველი სერიოზული ცდებიც.

მიუხედავად ამისა, ეთნოლოგიის პრობლემებისა და მიმართულებების სფეროში სახეზე გვაქვს გარკვეული თავისებურებებიც. იმის გამო, რომ ეთნოგრაფიის საგნობრივი სფერო ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ გამიჯნული და ჩამოყალიბებული, ცალკეულ ავტორთა შემოქმედებაში შერწყმული იყო ფოლ-

კლორულ-ეთნოგრაფიული, ისტორიულ-ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური თუ სხვა მომიჯნავე მეცნიერებებისათვის დამახასიათებელი სიუჟეტები. შეიმჩნეოდა ცალკეული ხასიათის მეთოდოლოგიური ხარვეზებიც, რაც საბოლოოდ თეორიულ მტკიცებულებათა ხარისხშიც იჩენდა თავს.

## 4. კავკასიათმცოდნეობითი ეთნოლოგიის ძირითად მიმართულებათა განსაზღვრისა და თეორიული და მეთოდოლოგიური განზოგადოების პირველი ცდები XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა ნაშრომებში

ქართველ მკვლევართა და საზოგადო მოღვაწეთა ამ მრავალფეროვან ეთნოგრაფიულ საქმიანობას წარმატებით აგრძელებენ რუსი თუ რუსეთის სამსახურში მყოფი სხვა უცხოელი მოგზაურ-მკვლევარებიც. ეს საქმიანობა განსაკუთრებით გააქტიურდა 60-იანი წლებიდან, მაშინ როდესაც დღის წესრიგში დადგა საველე ეთნოგრაფიული მასალებისა და სამუზეუმო კოლექციების მიზანმიმართული და გეგმაზომიერი შეგროვების საკითხი. სწორედ ამ პერიოდში და ამ მოთხოვნებიდან გამომდინარე შეიქმნა *გუსტავ რადეს (1831-1903 წწ.), მაქსიმე კოვალევსკის (1851-1916 წწ.), ადოლფ ბერჟეს (1828-1896 წწ.), ნიკოლოზ დუბროვინის (1873-1904 წწ.), რიხარდ ერკერტის (1830-1900 წწ.), კორნელი ბოროზდინის (1828-1896 წწ.), ალექსანდრე სტოიანოვის (1841-1914 წწ.), ევგენი ვეიდენბაუმის (1845-1918 წწ.), კარლ ჰანის (1848-1918 წწ.), აგრეთვე თბილისში მოღვაწე გრიგოლ ჩურსინისა (1874-1930 წწ.)* და სხვ. ნაშრომები, წერილები და სტატიები პერიოდულ გამოცემებში და პრესის ფურცლებზე, რომლებშიც კავკასიის სხვადასხვა ხალხების ყოფითი კულტურის არაერთი ფაქტი, მოვლენა თუ დეტალია აღწერილი.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებას დიდი ამაგი დადო წარმოშობით გერმანელმა ბუნებისმეტყველმა და ეთნოგრაფმა *გუსტავ რადემ.* რუსეთის ადმინისტრაციის სამსახურში შესვლის შემდეგ – 1852 წლიდან იგი უკლებლივ მონაწილეობდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კომპლექსურ ექსპედიციებში, მუშაობდა ყირიმში, ხელმძღვანელობდა პეტერბურგის აკადემიის ზოოლოგიურ მუზეუმს, საიდანაც 1863 წელს კავკასიის მუზეუმის დირექტორად გადმოიყვანეს. ამიერიდან იგი თბილისში დამკვიდრდა, დიდი წვლილი შეიტანა სამუზეუმო საქმიანობაში და საერთოდ კავკასიის ეთნოგრაფიულ შესწავლაში[1].

გუსტავ რადეს ინტერესების სფერო კავკასიის მთიელთა ტანსაცმლისა და საომარი იარაღ-აღჭურვილობის შესწავლა გახლდათ. ამ მხრივ იგი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ხევსურთა ჩაცმულობის მიმართ, რომელსაც მან არაერთი საყურადღებო მონოგრაფია მიუძღვნა[2].

საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა კუთხეებში ექსპედიციების მსვლელობისას, გუსტავ რადე არასოდეს შემოფარგლულა ვიწრო პროფილით და თავის ნაშრომებში, როგორც სამუზეუმო საქმიანობის ინიციატორი და ხელმძღვანელი, ქართველ და კავკასიელ მთიელთა ყოფისა და კულტურის ფართო სპექტრს მიმოიხილავდა[3]. მიუხედავად ამისა, რადე, ისევე როგორც მრავალი სხვა უცხოელი მკვლევარი, ყოფისა და კულტურის უნიკალური რეალიების შესწავლით იყო შემოფარგლული და იმ პერიოდის სამუზეუმო პრაქტიკაში დამკვიდრებულ ეთნოგრაფიული მასალებისა და სამუზეუმო ექსპონატების შეკრების *რარიტეტულ მეთოდს* უხდიდა ხარკს[4]. რადეს ნაკლებად აინტერესებდა სამუზეუმო საქმიანობის ქართულ-კავკასიური ინტერესებიც და ხშირად გულგრილობას იჩენდა ეროვნული სამუზეუმო ექსპონატების მოძიებისა და სათანადო ფონდის შექმნის საქმეშიც.

XIX საუკუნის 80-იან წლებში კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებას უმნიშვნელოვანესი ნაშრომები მიუძღვნა ცნობილმა რუსმა ისტორიკოსმა, ეთნოლოგმა, იურისტმა და სოციოლოგმა, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა *მაქსიმე კოვალევსკიმ.*

*მორგანის, ბახოფენის, მაკ-ლენანისა და ლებბოკის* იდეებით გატაცებული კოვალევსკი კავკასიის მთიელთა ურთიერთობის პრობლემების კვლევისას სწორედ ოჯახის, გვარისა და მატრიარქატის პრობლემებით დაინტერესდა, რაც იმდროინდელ ევროპულ მეცნიერებაში ფართო დისკუსიის საგნად იყო ქცეული[5].

მაქსიმე კოვალევსკიმ სწორად განჭვრიტა მის წინაშე დასმული ამოცანის სირთულე და გადაწყვიტა მეცნიერული კვლევა-ძიება წარემართა არა მარტო ლიტერატურული მონაცემების, არამედ საკუთარი საველე მასალების საფუძველზე. ამ მიზნით მან კავკასიის სხვადასხვა კუთხეები სამგზის – 1883, 1855 და 1887 წლებში მოინახულა.

პირველი მოგზაურობა, რომელიც მან იმ დროს უკვე ცნობილ მეცნიერთან ვსევოლოდ მილერთან ერთად განახორციელა, ძირითადად ოსეთის შესწავლას მიუძღვნა, თუმცა ვლადიკავკაზიდან მაინც მოახერხა ყაბარდოში ჩასვლა. საველე მუშაობასთან ერთად მან დიდი ყურადღება დაუთმო ვლადიკავკაზისა და ნალჩიკის სამართლებრივ უწყებათა არქივების შესწავლას. კოვალევსკის მიერ აქ მოპოვებული მასალები საფუძვლად დაედო მეცნიერულ მოხსენებებს, წერილებსა და სტატიებს, საბოლოო ჯამში კი კაპიტალურ ორტომეულს ოსეთის ჩვეულებითი სამართლის პრობლემებზე[6].

1885 წლის მოგზაურობისას კოვალევსკი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორ *ი. ივანიუკოვთან,* ცნობილ მუსიკოს *ს. ტანეევთან* და ფოტოგრაფ *გ. ერმაკოვთან* ერთად, ძირითადად მუშაობდა სვანეთში, რომლის საფუძველზეც დაწერა (ივანიუკოვთან თანაავტორობით) ორი სტატია: *„იალბუზის მისადგომებთან“* და *„სვანეთში“*[7].

მესამე კავკასიური ტურნე კოვალევსკისათვის ყველაზე ხანგრძლივი აღმოჩნდა და ძირითადად ცენტრალური და აღმოსავლეთ კავკასიის რეგიონები მოიცვა. ამჯერადან მას თან ახლდა *ი. ხატისოვი,* ხოლო ჯგუფს დახმარებას უწევდა თიანეთის მხარის უფროსი *ლ. ჯანდიერი.* კოვალევსკი თეზე მეტ ხანს მუშაობდა ხევსურეთში, ფშავში და თუშეთში, საიდანაც დაბრუნდა თბილისში. შემდეგ იგი გაემგზავრა ზაქათალას ოლქში, აქედან კი გადავიდა დაღესტანში და მოინახულა ავარეთი, დარგოს, ყაზიყუმუხისა და ხაიდაყ-თაბასარანის ოლქები, დერბენტი, ბოლოს კი თათებით დასახლებული სოფელი ქ. ბაქოს მახლობლად[8].

მესამე მოგზაურობის შედეგებს მიეძღვნა რამდენიმე მოხსენება და სტატია[9], ხოლო საერთოდ კავკასიურ მასალებს, ასევე კაპიტალური ორტომეული – *„კანონი და ზნე-ჩვეულებები კავკასიაში“*[10].

საქართველოსა და კავკასიის მთიანეთში ზემოხსენებული ექსპედიციების მსვლელობისას კოვალევსკიმ ჩვეულებითი სამართლის საკითხებთან ერთად ფართო პროფილის ეთნოგრაფიული სამუშაოები ჩაატარა და საყურადღებო საველე მასალები შეაგროვა მთიელთა სოციალური ორგანიზაციის სხვა საკითხებზეც, რაც საფუძვლად დაედო სვანეთის, ფშავის, ყაბარდოს, დაღეს-

ტნისა და სხვა კუთხეებისადმი მიძღვნილ წერილებსა და ნაშრომებს[11]. საველე კვლევა-ძიებისას მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მიწათმფლობელობისა და წარჩინებული ფენის, აგრეთვე წინაპართა კულტის საკითხებს, რასაც შემდგომში კავკასიის მთიელთა მაგალითზე სპეციალური გამოკვლევები მიუძღვნა[12].

ზოგადად, კოვალევსკის ნაშრომთა ძირითად პრობლემებს წარმოადგენს კავკასიის მთიელთა გვაროვნული წყობის, კერძოდ, მატრიარქატისა და პატრიარქატის გადმონაშთური ფორმების შესწავლა მიწათმფლობელობის შესაბამისი ფორმების თავისებურებათა კვლევისა და ანალიზის შუქზე. ზემოთ აღნიშნულ ნაშრომებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთნობა გვარისა და გვაროვნული წყოიბს უნივერსალობის დასაბუთებას კავკასიის მაგალითზე. მკვლევარი დიდ ყურდღებას უთმობს მატრიარქატის, როგორც ისტორიული ეტაპის, აგრეთვე დიდი ოჯახის ანუ პატრიარქალურ-საოჯახო თემის ცხველმყოფელობის, მისი ისტორიული როლისა და მნიშვნელობის, და რაც მთავარია, კავკასიში მთური ფეოდალიზმის თავისებურებათა გამოვლენასა და დადგენას[13].

მაქსიმე კოვალევსკის ნაშრომები კავკასიათმცოდნეობაში ავტორის დამოუკიდებელ ევოლუციონისტურ კონცეფციაზე დაფუძნებული პირველი გამოკვლევებია, რომლებიც უშუალოდ საველე-ეთნოლოგიური მასალების საარქივო მონაცემებისა და ხელნაწერების გამოყენებითაა დაწერილი. ამასთან, კოვალევსკი მარტო მასალების შემკრებად და არქივარიუსად კი არა, არამედ ამ მონაცემების კვლევისა და ანალიზის საფუძველზე მნიშვნლოვანი თეორიული დებულებების ავტორადაც გვევლინება. განზოგადოებული მეცნიერული დასკვნები და შედეგები, მოხსენებებისა და პუბლიკაციების მეოხებით ავტორს შეჰყავს ფართო სამეცნიერო მიმოქცევაში.

მაქსიმე კოვალევსკის კავკასიათმცოდენობით ნაშრომებს რიგი თეორიული ხასიათის უზუსტობანი და შეცდომებიც გააჩნდა[14]. მისი ნაშრომების გაცნობისას ზოგჯერ იქმნება შთაბეჭდილება კავკასიაში გვაროვნული წყობილების ავტორის თანადროულად არსებობის შესახებ. მკვლევარს არა აქვს ხაზგასმული, რომ XIX საუკუნის ბოლოს გვაროვნული წყობილება კავკასიაში შორსწასული რღვევის პროცესს განიცდის და მხოლოდ გადმონაშთური ფორმის სახითაა შემონახული. აქედან მომდინარეობს მკვლევრის შემდგომი შეცდომებიც, კერძოდ დაღესტნური *„თოხუმის“* ანუ გვარის შემადგენელი პატრონიმიული ერთეულის აღიარება გვარად, მისი ფართო გაგებით, კავკასიის მთიელთა გვარის, თითქოსდა, ხელოვნური წარმომავლობა, მთური ფეოდალიზმის გარედან შემოსვლა კავკასიაში და ა. შ.

მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა, კოვალევსკის მეცნიერული მემკვიდრეობა კავკასიის ისტორიისა და ეთნოლოგიის განვითარების უმნიშვნელოვანეს ეტაპადაა მიჩნეული.

XIX საუკუნის ქართულ ეთნოგრაფიულ აზროვნებას უდავოდ დიდი კვალი დაამჩნიეს რუსეთის ადმინისტრაციის სამსახურში მყოფმა უცხოელმა მეცნიერებმა: *ადოლფ ბერჟემ* და *ევგენი ვეიდენბაუმმა*.

ფრანგული წარმოშობის მეცნიერსა და მოგზაურს *ადოლფ ბერჟეს* დიდი წვლილი მიუძღვის *კავკასიის არქეოლოგიური კომისიის* დაარსებაში, შემდეგ კი – 1964 წლიდან მის ხელმძღვანელობაში. მისივე რედაქტორობითა და რე-

დაქციითაა გამოცემული ამ კომისიის საყოველთაოდ ცნობილი „*აქტები*“ თერთმეტ ტომად, რომელშიც ამომწურავადაა ასახული იმ პერიოდისათვის კავკასიათმცოდნეობაში ჩატარებული თითქმის ყველა სამუშაო კავკასიის სიძველეთა გამოვლენის, შესწავლისა და დაცვის საქმეში[15].

ჯერ კიდევ 50-60-იან წლებში ბერჟე ხშირად მოგზაურობდა საქართველოში, სპასეთსა და დაღესტანში და იმდროინდელი პრესის ფურცლებზე დაგვიტოვა დაღესტნის ხალხების, ჩეჩნებისა და კასპიისპირეთის მხარის საინტერესო ეთნოგრაფიული აღწერები[16]. საქართველოში ბერჟეს ანალოგიური დაკვირვებები გააჩნია სამეგრელოს მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების შესახებაც[17].

ადოლფ ბერჟე ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა თურქულ-მონღოლურ ტომებს კავკასიაში. ამ მხრივ იგი ერთად იხილავს ნოღაელების, ყარაჩაელების, ბალყარელებისა და ყუმუხების ისტორიისა და ეთნოგრაფიის საინტერესო საკითხებს[18], ეხება კავკასიაში მცხოვრებ მუსლიმან-შიიტთა ხალხურ დღესასწაულებს, მარხვასთან დაკავშირეულ წესჩვეულებებსა და სხვა რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს[19].

ადოლფ ბერჟეს ეკუთვნის აგრეთვე შემაჯამებელი ნაშრომი კავკასიის ხალხების ეთნოგრაფიის შესახებ, რომელიც მან ორიენტალისტთა საერთაშორისო ყრილობის შრომათა პირველ ტომში დაბეჭდა[20].

ადოლფ ბერჟე ყურადღებას აქცევდა კავკასიაში მოღვაწე ადგილობრივ ავტორთა შრომების რედაქტირება-გამოცემის საქმესაც. მან ერთ-ერთმა პირველმა ითავა და სრულად გამოსცა ამ ავტორთა კრებულები რუსულ და გერმანულ ენებზე.

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედის კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიური წყაროთმცოდნეობა მნიშვნელოვნად გაამდიდრა გამოჩენილი კავკასიოლოგის *ევგენი ვეიდენბაუმის* ნაშრომებმა.

კავკასიაში ხანგრძლივი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში ვეიდენბაუმი უშუალოდ გაეცნო კავკასიის მთიელთა ყოფას და კავკასიის სხვადასხვა კუთხეებისა და ხალხების ისტორიის, ეთნოლოგიის, ბიბლიოგრაფიისა და არქეოგრაფიის პრობლემებზე მრავალი წერილი, სტატია და გამოკვლევა გამოაქვეყნა[21].

იმ პერიოდის ეთნოგრაფიულ გამოკვლევათა შორის სანიმუშოდ უნდა ჩაითვალოს ვეიდენბაუმის ნარკვევები წმინდა ხეებისა და ხეივნების კულტისა და თაყვანისცემის შესახებ, რომელთა პირველი და სერიოზული კვლევა ზემოაღნიშნულ უცხოელ მკვლევართა ფრაგმენტული ცნობების შემდგომ, ფაქტობრივად მის დამსახურებას წარმოადგენს[22]. ასევე საინტერესოა ვეიდენბაუმის ნარკვევები ეთნოარქეოლოგიის პრობლემებზე, რაც კავკასიში ქვისა და ლითონის ნაკეთობისა და იარაღ-ხელსაწყოების გამოყენებას ეხება[23], ნაშრომი კავკასიის ძველი ეთნოგრაფიის ჭრილში განხილული ამაზონების ცნობილ თემატიკაზე2[4] და ა. შ. მოგზაურ-მკვლევარის დაკვირვებანი და სათანადო ჩანაწერებია შესული გზამკვლევსა და წერილში, რომელიც ბათუმიდან ართვინამდე მოგზაურობისას ჩაუწერია ვეიდენბაუმს[25].

დაბოლოს, ზემოაღნიშნული წერილები, ჩანაწერები და დაკვირვებები დაედო საფუძვლად ვეიდენბაუმის „*კავკასიურ ეტიუდებს*“, რომელიც კავკასიის მთიელთა შესახებ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სერიოზულ ეთნოგრაფიულ ნარ-

კვევს წარმოადგენს[26]. შეუძლებელია არ აღნიშნოს ვეიდენბაუმის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის ერთი თავისებურებაც. მართალია, მის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები არ იყო მიძღვნილი კავკასიის ცალკე აღებული რომელიმე ხალხისადმი, მაგრამ ავტორის მიერ მოტანილი მეტად საინტერესო მონაცემები ცალკეული ეთნოგრაფიული სიუჟეტებისა და თემების მიხედვით განზოგადებულია ზოგადკავკასიური და ზოგადეთნოგრაფიული თვალთახედვის შუქზე. კვლევის ასეთი მიმართულება, იმ პერიოდში მოღვაწე ავტორთა ჯერ კიდევ დესკრიფციულ ნაშრომთაგან განსხვავებით, თეორიული ანალიზისა და განზოგადების შემოტანის ერთ-ერთ პირველ ცდას, შესაბამისად კი, წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის კავკასიათმცოდნეობაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის რუს სამხედრო ისტორიკოსს, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს *ნიკოლოზ დუბროვინს.*

XIX საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებში დუბროვინი მივლინებული იქნა კავკასიის მთავარ შტაბში სამხედრო-ისტორიული სამუშაოების ჩასატარებლად. ამასთან, კავკასიის მთავარმმრთებელმა მას დაავალა კავკასიის რუსეთთან შეერთების ისტორიის დაწერაც[27]. ამ მიზნებიდან გამომდინარე, დუბროვინის ნაშრომთა უმრავლესობა კავკასიაში ცარიზმის კოლონიური ადმინისტრაციის მიერ გაჩაღებულ დაპყრობით ომებს ეხება. მრავალმხრივი ფაქტობრივი მასალების შემცველი, მდიდარ საარქივო მონაცემებზე დაფუძნებული მონოგრაფიები, წერილები და სტატიები საყურადღებოა ეთნოგრაფიული გამოკვლევების თვალსაზრისითაც. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა დუბროვინის კაპიტალური ნაშრომი *„ნარკვევები კავკასიაში რუსების ომებისა და მფლობელობის შესახებ“*[28], რომლის ექვსტომეულის პირველ ტომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა კავკასიის ხალხების ეთნოგრაფიულ მიმოხილვას. ამ მხრივ უაღრესად საინტერესოა ავტორის მიერ 1971 წელს ცალკე გამოცემული მონოგრაფია *„კავკასია და იქ მოსახლე ხალხების ნარკვევები“*[29], აგრეთვე სამხედრო კრებულში გამოქვეყნებული ვრცელი წერილი ადიღეელების შესახებ და ა. შ.

ნარკვევების პირველ ორ წიგნში მოცემულია კავკასიის ხალხების სისტემატური და მრავალმხრივი აღწერა. კერძოდ, პირველ წიგნში დუბროვინი იძლევა ჩერქეზების (ადიღეელების), ყაბარდოელების, ნოღაელების, ოსების, ჩეჩნებისა და დაღესტნის ხალხების მიმოხილვას, მეორე წიგნი კი, აფხაზების, ქართველების, აზერბაიჯანელებისა და სომხების აღწერას ეძღვნება. არსებითად კომპილიაციური ხასიათის ეს ნარკვევები, რომლებშიც სპეციალურ ლიტერატურასთან ერთად გამოყენებულია საარქივო მონაცემებიც, თანაბარი მეცნიერული ღირებულებისა არ გახლავთ. მიუხედავად ამისა, კავკასიის ხალხების ერთიანი ეთნოგრაფიული მიმოხილვა იმ პერიოდის რუსული კავკასიათმცოდნეობის უცილობელ მიღწევას წარმოადგენდა.

უაღრესად საინტერესოა ნარკვევების მესამე წიგნიც, რომელიც მთლიანად პირველი ორი ტომის ბიბლიოგრაფიულ საძიებელს წარმოადგენს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საძიებელი აღჭურვილია ანოტაციებითა და ვრცელი შენიშვნებით, მაშინ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ დუბროვინის ეს ნაშრომიც ერთ-ერთი პირველი ბიბლიოგრაფიული ლექსიკონია, სადაც გეოგრაფიულ სა-

ხელნოდებათა, ისტორიული სახელების, ისტორიულ-ქრონოლოგიური მონაცემების გვერდით მოცემულია საინტერესო ეთნოგრაფიული ჩანაწერებიც.

ნიკოლოზ დუბროვინის ამ ნაშრომებს, რომლებიც ზემოთ აღნიშნულ საარქივო-სამუზეუმო მონაცემებსა და სხვა ლიტერატურული წყაროების გათვალისწინებასთან ერთად, ხშირ შემთხვევაში ავტორის საკუთარი დაკვირვების შედეგად იქმნებოდა და იწერებოდა, კავკასიის მთიელთა საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის, სოციალური ორგანიზაციის შესწავლისას არაერთხელ იყენებდნენ და ეყრდნობოდნენ ცნობილი მკვლევარები: *ვეიდენბაუმი, კოვალევსკი, ბერჟე* და სხვები.

*ა. ბერჟეს, ე. ვეიდენბაუმისა და ნ. დობროვინის* ფუნდამენტური ეთნოგრაფიული მოღვაწეობის გვერდით შედარებით მოკრძალებულია *რ. ერკერტის, კ. ბოროზდინისა და ა. სტოიანოვის* შემოქმედება, თუმცა ამ ავტორთა შრომებიც საერთო კავკასიოლოგიური ეთნოგრაფიის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ამ თვალთახედვით განსაკუთრებით აღსანიშნავია *რ. ერკერტის* მიერ შესრულებული მონოგრაფიები ეთნოგრაფიული, ლინგვისტური და ანტროპოლოგიური ჩანაწერების მიხედვით[30], აგრეთვე *კ. ბოროზდინისა*[31] და *ა. სტოიანოვის*[32] ნაშრომები სამეგრელოსა და სვანეთის სოციალური ურთიერთობის, საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის საკითხებზე.

საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიის თვალთახედვით უთუოდ აღსანიშნავია ცნობილი რუსი, შემდეგ კი საბჭოთა ეთნოგრაფი *გრიგოლ ჩურსინი*, რომელიც სამეცნიერო მოღვაწეობას XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე იწყებს და კავკასიათმცოდნეობით ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში თავისი წვლილი შეაქვს. ჩურსინმა 1894 წელს დაამთავრა თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი და არაერთი ექსპედიცია ჩაატარა კავკასიის სხვადასხვა კუთხეში.

აღნიშნული საექსპედიციო მასალების საფუძველზეა დაწერილი ჩურსინის ცნობილი ნარკვევები რკინისა და მიცვალებულის კულტის შესახებ კავკასიაში[33], ცეცხლთაყვანისმცემლობა და წმინდა ხეების კულტი[34], საქორწინო წეს-ჩვეულებები კავკასიაში[35] და ა. შ. კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიის ზოგად მიმოხილვას მიუძღვნა ჩურსინმა, აგრეთვე, ცალკე მონოგრაფიად გამოცემული შემაჯამებელი ნარკვევიც[36].

*გრიგოლ ჩურსინი* იყო ახალი პერიოდის კავკასიათმცოდნეობით ეთნოგრაფიაში რეგიონული ეთნოგრაფიული კვლევების ერთ-ერთი პირველი ინიციატორიც. კერძოდ, მის კალამს ეკუთვნის საქართველოსა და კავკასიის ცალკეულ ისტორიულ-გეოგრაფიულ ოლქებსა და პროვინციებზე გამოქვეყნებული ნაშრომები და წერილები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ეთნოგრაფიული წერილები და ნარკვევები ყარაჩაელებზე, დაღესტნის ხალხებზე, ოსებზე, აზერბაიჯანელებსა და სომხებზე, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან კი – კახეთზე, თუშეთზე, აჭარასა და აფხაზეთზე[37].

*გრიგოლ ჩურსინს* ეკუთვნის *ა. ლიაისტერთან* ერთად გამოქვეყნებული გეოგრაფიული ხასიათის მონოგრაფიებიც, სადაც ცალკე ადგილი ეთმობა კავკასიის ხალხთა განმაზოგადებელ ეთნოგრაფიულ ნარკვევებს[38].

სამწუხაროდ, ჩურსინის ეთნოლოგიური მემკვიდრეობის მრავალფეროვნებისა და მრავალმხრივობის მიუხედავად, მისი ნაშრომები ხშირად მხოლოდ ეთნოგრაფიული ფაქტებიბს კონსტანტაციითაა შემოფარგლული და იმ პერიო-

დისათვის დამახასიათებელი თეორიული ანალიზისა და განზოგადების პრეტენზია არ გააჩნიათ.

საქართველოსა და კავკასიაში ეთნოგრაფიული კვლევების ევროპულ, კერძოდ, გერმანულ სტანდარტებთან თანაფარდობის გარკვევის თვალსაზრისით უდავოდ საყურადღებოა შესასწავლ პერიოდში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოღვაწე გერმანელი მეცნიერების *ავგუსტ ჰაქსტჰაუზენისა და კარლ ჰანის* მოღვაწეობა.

*ავგუსტ ჰაქსტჰაუზენმა*, რომელიც დაინტერესებული იყო ცენტრალური და და სამხრეთ რუსეთის, კერძოდ, კავკასიის ქვყენებისა და ხალხების ეთნოგენეზის, ეთნიკური ისტორიისა და ეთნო-კულტურული ურთიერთობების პრობლემებით, 1843 წელს უშუალოდ იმოგზაურა კავკასიის ქვეყნებში. ამასთან, იგი კარგად იცნობდა და იყენებდა ტურნიფორის, დიუბუა დე მონპერესა და სხვა უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა ნაშრომებსაც.

ავგუსტ ჰაქსტჰაუზენი ზოგადად ეხება ჩერქეზებს, ლეკებს, აფხაზებსა და ქართველებს და იძლევა მათი საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის არაერთი მნიშვნელოვანი მხარის დახასიათებას[39]. მისი ნაშრომის უდიდესი ნაწილი ოსთა ეთნოგენეზის, ეთნიკური ისტორიის, კულტურისა და ყოფის აღწერასა და ანალიზს აქვს დათმობილი[40] და ეს არ იყო შემთხვევითი, რადგანაც ჰაქსტჰაუზენი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო იმ უცხოელ ავტორთა შორის, რომელმაც დასვა და სერიოზულად მიუდგა ოსებისა და გერმანელების ნათესაობის საკითხს.

ამ პოზიციიდანაა განხილული ოსეთის სოფლების დასახლებისა და საცხოვრებელი ნაგებობების, საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის, სულიერი კულტურისა და ხალხური სამართლის, ზეპირსიტყვიერების, კერძოდ, მუსიკალური ფოკლორის ნიმუშები, სოციალური ურთიერთობის ისეთი ფუნდამენტური ინსტიტუტები, როგორიცაა ქორწილი და საქორწინო წეს-ჩვეულებები, სტუმართმოყვარეობა, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული ადათ-წესები და ა. შ.[41]

ავგუსტ ჰაქსტჰაუზენის ნაშრომს ამშვენებს ოსური სახლის ინტერიერის, ავეჯისა და დგამ-ჭურჭელის, სამეურნეო იარაღების შესანიშნავი ჩანახატები, რომელთაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა გააჩნიათ ოსების კულტურულ-ყოფითი რეალიების ტრადიციული ფორმების შესწავლის საქმეში.

აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, ჰაქსტჰაუზენი აკეთებს შროსმიმავალ დასკვნებს ოსთა სკვითური წარმომავლობის, მათი წინარე სამშობლოსა და ამ ინდო-გერმანულ ტომთა ცენტრალურ ევროპასა და სკანდინავიის ნახევარკუნძულზე განსახლების შესახებ[42]. ამ ბოლომდე დაუსაბუთებელ დებულებებს ჰაქსტჰაუზენმა სხვა უზუსტობანიც დაუმატა და საერთოკავკასიურ სამყაროში ოსთა პრევალირების აღიარებით, კავკასიური ცივილიზაციის მონაპოვრები ინდოევროპული ტომების დამსახურებად მიიჩნია[43]. მხედველობაში გვაქვს მის მიერ ოსურ სოფლებში ფიქსირებული სახვნელი იარაღი – *„შიბირ“*, რომელსაც იგი მეკლენბურგის კავთან (*Naken*) აიგივებს და გამოაქვს მცდარი დასკვნა აღნიშნული სახვნელის გერმანიიდან კავკასიაში გუთებისა და ალანების მიერ შემოტანის შესახებ[44].

ავგუსტ ჰაქსტჰაუზენის ეს შეხედულება თავის დროზე საფუძვლიანად გააკრიტიკა გ. ჩიტაიამ, რომელმაც აღნიშნული ტიპის სახვნელად ქართული „ორხელა" მიიჩნია, ქსნის ხეობის ოსებში მისი შესატყვისი ტერმინი *„გუთონ" //„გუთანი"* დაადასტურა და ჰაქსტჰაუზენის მიერ ფიქსირებული სახელწოდება – *Sibir* ირონულ-დიგორულ *„ძგბგრ" //„ძუბურს"* დაუკავშირა[45].

ამრიგად, ავგუსტ ჰაქსტჰაუზენი ევროპელ მეცნიერთა შორის *(რ. ბრაუნგარდტი, ჯ. ფრაისენი, ე. მაინენი, პ. ლეზერი, ვ. კოპერსი, ვ. შმიდტი* და სხვ.) ერთ-ერთი პირველი გახლდათ, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა დასავლეთის ეთნოლოგიაში ჩამოყალიბებულ მცდარ შეხედულებას ე. წ. *„აქტიური"*, შემოქმედი და *„პასიური"*, ჩამორჩენილი ხალხების შესახებ და ეს დებულება კავკასიურ სინამდვილეზე გადმოიტანა[46].

XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისს ემთხვევა ცნობილი გერმანელი მეცნიერის *კარლ ჰანის* კავკასიოლოგიური ნაშრომები, რომლებიც ლიტერატურულ მონაცემებთან ერთად უშუალოდ ავტორის მიერ შეკრებილ ეთნოლოგიურ მასალებზეა აგებული. ჰანის ნაშრომთა წყაროთმცოდნეობით ღირებულებას ზრდის გერმანელი მეცნიერის თბილისური მოღვაწეობის პერიოდი, სადაც იგი ჯერ ტიუბინგენის უნივერსიტეტში სწავლის, ხოლო შემდეგ ოდესის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გადმოსახლდა[47]. სხვადასხვა დროს იგი იყო თბილისის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების დირექტორი, გერმანული, ლათინური და ბერძნული ენების მასწავლებელი. თავისუფალ დროს ჰანი მოგზაურობდა საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა კუთხეებში, კერძოდ, ხევსურეთში, კახეთში, დაღესტანში, სამეგრელოში, სვანეთსა და აფხაზეთში, რომელთა შესახებაც დაგვიტოვა საინტერესო ეთნოგრაფიული ჩანაწერები[48].

ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების სხვადასხვა ასპექტების გაშუქებისას ჰანი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს *„ლიფანალის"* დღესასწაულის აღწერას სვანეთში, სადაც მას შესწავლილი და გაანალიზებული აქვს მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული რელიგიური რიტუალებისა და ცერემონიალების მეტად რთული კომპლექსი. იგი დაწვრილებით ეხება მიცვალებულის სულის მოგზაურობას საიქიოში, ცოდვა-მადლის შეფასების კომპონენტებს, განსაკუთრებით კი სააქაოს სულის მოსახსენიებელი სუფრის მრავალფეროვან რიტუალებს, რომელშიც მკაცრი თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი სააქაოს ჭირისუფალთა ვალდებულებები მიცვალებულის მიმართ[49]. ჰანი კარგად ამჩნევს ხევსურთა განსხვავებულ შეხედულებებს სამყაროს აგებულების შესახებ და სამოთხის თეთრი ციხე-კოშკი, განსაკუთრებით კი ცათამწვდომი ალვის ხე ზესკნელის, შუა და ქვესკნელის სიცოცხლის ხედ, ან კიდევ სამყაროს ამ სამივე დონის გამაერთიანებელ ღერძად მიაჩნია[50].

კარლ ჰანის სხვა ეთნოლოგიური მემკვიდრეობიდან აღსანიშნავია კავკასიური გეოგრაფიული სახელწოდებების ახსნა-განმარტებები, თარგმანები, ბიბლიოგრაფიული ნაშრომები და ა. შ.

ზემოთ მოტანილი მონაცემების მიმოხილვა და ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში ეთნოლოგიური კვლევა-ძიების აღმავლობის ამ მნიშვნელოვან ეტაპზე ქართული ეთნოლოგიის ძირითადი მიმართულებების, მათი თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპების საბოლოო განსაზღვრისა და ჩამოყა-

ლიბების საქმეს დიდად უწყობდნენ ხელს საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა კუთხეებში მოღვაწე რუსი და სხვა უცხოელი მკვლევარები (*გუსტავ რადე, მაქსიმე კოვალევსკი, ადოლფ ბერჟე, ნიკოლოზ დუბროვინი, რიხარდ ერკერტი, ევგენი ვეიენბაუმი* და სხვ.), რომელთა ეთნოგრაფიული შემოქმედება არ ჩამოუვარდებოდა ევროპული ეთნოლოგიის სტანდარტებს. ამ საერთო ძალისხმევით ქართულ ეთნოლოგიაში გამოიკვეთა იმ პრიორიტეტული მიმართულებების კვლევა-ძიება, რომელთა მეოხებითაც საქართველოს ეთნოლოგიამ შემდგომში საერთაშორისო მასშტაბის არაერთ წარმატებას მიაღწია. აღნიშნულ ავტორთა ნაშრომებს, წერილებსა და სტატიებს, რომლებშიც კავკასიის სხვადასხვა ხალხების ყოფითი კულტურის მრავალი ფაქტი, მოვლენა და დეტალი იყო აღწერილი და გაანალიზებული, ზოგჯერ განმსაზღვრელი მნიშვნელობა გააჩნდათ კავკასიის მთიელთა საზოგადოებრივი და სოციალური ინსტიტუტების, მეურნეობის, მატერიალური და სულიერი კულტურის რეალიების კვლევის პროცესში. ასეთ შეფასებებს, პირველ რიგში, იმსახურებენ რიგი თეორიული ხასიათის მონოგრაფიები (*მ. კოვალევსკი, ე. ვეიდენბაუმი, კ. ჰანი* და სხვ.), რომელთაც კავკასიათმცოდნეობითი ეთნოგრაფია ახალ საფეხურზე აიყვანეს და ხელი შეუწყეს ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ძირითადი მიმართულებების მეცნიერული საფუძვლების განმტკიცებას, მისი ავტორიტეტის ზრდასა და შემდგომ სრულყოფას, ქართული ეთნოლოგიის მიღწევების ფართო პოპულარიზაციას საერთაშორისო ასპარეზზე.

თავის მხრივ, ზემოთ აღნიშნულ რუს და სხვა უცხოელ ავტორთა (*გ. რადე, ა. ჰაქსტჰაუზენი*) შემოქმედებაში ასახული შეცდომების მხილებისა და მათთან მეცნიერული პოლემიკის პროცესში დაძლეული იქნა ის ხარვეზი, რომელმაც XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ქართველი და კავკასიელი ხალხების მიერ შექმნილი კულტურული ღირებულებების შეფასება *ე.წ. ნორდისტული თეორიის* საფუძველზე ახსნითა და ამ ფასეულობათა შექმნაში არიული ხალხების პრიორიტეტულობის აღიარებით მცდარი მიმართულება მიიღო, რაც საბოლოოდ ქართულ-კავკასიური ცივილიზაციის ორიგინალური ფესვების უარყოფამდე მივიდა.

ქართული საზოგადოებრივი და მეცნიერული აზრის, სხვადასხვა თეორიული და მეთოდოლოგიური მიმართულებებისა და მათი განსხვავებული ინტერპრეტაციების ჭიდილში იშვა ახალი რეალობა – *საქართველოში ეთნოგრაფია დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბდა,* რომელსაც ამიერიდან განსაკუთრებული მისია დაეკისრა: ქართველი ხალხის ტრადიციულ-ყოფითი კულტურის სფეროებში საუკუნეების განმავლობაში შექმნილი და დაუნჯებული კულტურულ-ყოფითი რეალიების გამოვლენითა და მეცნიერული კვლევა-ძიებით დაესაბუთებინა ქართული კულტურის ორიგინალური ფესვები და მათი უწყვეტი განვითარება ისტორიული და თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე.

ახალფეხადგმულ ქართულ ეთნოგრაფიას ამ კეთილშობილური მისიის აღსრულების გზაზე ჯერ კიდევ მრავალი დაბრკოლება ელოდა, რომელთა გადალახვაშიც მნიშვნელოვანი წვლილი ქართულმა მწერლობამ შეიტანა.

## თავი მესამე

### ეთნოლოგიური მეცნიცრების ჩამოყალიბება XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში

### 1. *ეთნოლოგიის ჩამოყალიბება დამოუკიდებელ სამეცნიერო დარგად ევროპის, ამერიკისა და რუსეთის სამეცნიერო ცენტრებში*

1. *С. А. Токарев.* История зарубежной этнографии, М., 1978, 21-22; П. Ф. *Преображенский.* Курс этнологии, М. - Л., 1929,6-8
2. *С. А. Токарев.* Истоки этнографичесской науки. М., 1978,84-85
3. *С. А. Токарев,* დასახ. ნაშრომი, 86-92 და შმდ.; *T. K. Penniman.* Hundred years of antropology. London, 1965, 72
4. *С. А. Токарев.* დასახ. ნაშრომი, 88-125; *მისივე,* История зарубежной этнографии. 9-10
5. *С. А. Токарев,* Истоки этнографической науки, 108-11; *Р. Ф. Итс.* Введение в этнографию. Л., 1974, 16-18
6. *Этнография и смежные дисциплины, школы и направления, методы. Свод этнографических понятий и терминов.* М., 1988, 21-22. *С.А. Токарев.* История зарубежной этнографии. 25 და შმდ.; *Р.Ф.Итс.* დასახ. ნაშრომი, 16-17; *Ю.В. Бромлей.* Этнос и этнография. М., 1973. 204-205
7. *Этнография и смежные дисциплины, школы и направления, методы. Свод этнографических понятий и терминов* 68-70; *Ю.В. Бромлей, М.В. Крюков.* Этнография: место в системе наук. школы, методы. СЭ, 1987, № 3; *С.А.Токарев,* დასახ. ნაშრომი, 25-26
8. *С. А. Токарев, История Зарубежной Этнографии, 25-26; Р. Ф. Итс, დასახ. ნაშრომი, 16-17; Ю. В. Бромлей, დასახ. ნაშრომი, 204-205*
9. *Ю. В. Бромлей, М. В. Крюков,* Этнография: место в системе наук. школы, методы. СЭ, *1987. №3; С. А. Токарев, დასახ. ნაშრომი, 25-26; Этнология. Свод этнографических понятий и терминов, 68-70*
10. *С. А. Токарев, დასახ. ნაშრომი, 25-26; Этнология. Свод этнографических понятий и терминов, 70-72*
11. *Ю. В. Бромлей, Этнос и этнография, 16-21: Harris Marvin. The rise of antropological theory // A history of theory* of culture. New-York, 1968, 31-36. ეთნოგრაფიის, ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის საგნობრივ სფეროთა განსაზღვრა საინტერესოდაა ახსნილი *კ. ლევი-სტროსის* მოძღვრებაში, რომლის მიხედვითაც კაცობრიობის კულტურის მეცნიერული შესწავლისა და განზოგადოების პროცესში, მეცნიერების ეს დარგები სამი თანმიმდევრული ეტაპის სახითაა წარმოდგენილი: ეთნოგრაფია მოიცავს საველე კვლევა-ძიებას, კულტურის ცალკეულ გამოვლინებათა აღწერასა და კლასიფიკაციას; ეთნოლოგია – გეოგრაფიულ, ისტორიულ ანუ სისტემურ მიმართულებათა სინთეზის პირველ ნაბიჯს; ანთოპოლოგია კი მიილტვის საერთოდ ადამიანის შეცნობისაკენ. ამდენად, *კ. ლევი-სტროსთან* ეთნოგრაფია, ეთნოლოგია და ანთროპოლოგია ცალკე სამეცნიერო დისციპლინებს კი არ წარმოადგენენ, არამედ სტადიალურად დაკავშირებულ ერთიან კომპლექსურ მეცნიერებებს, სადაც ერთი რომელიმე მათგანი შეუძლებელია მთლიანად მოწყვეტილი იყოს დანარჩენი ორისაგან (К. Леви - Строс. Структурная атропология, М., 1983, 7-14 და შმდ.)
12. *Фольксхунде, Фолькеркунде. Свод этнографических понятий и терминов.* 70-76; *A. Buch. Deutsche volkskunde.* Wege und Organization, Probleme, System, Methoden, 1960, 16-17; *W. Steinitz.* Volkskunde und Volkerkunde. Deutsches lahrbuch fur Volkskunde. 1955. 86
13. *Ю. П. Аверкиева,* История теоретической мысли в американской этнографии, М., 1979. 32-34 და შმდ.; *მისივე,* Этнография и культурная//социальная антропология на западе, СЭ, 1971, №. 5; *Культурная антропология//Социальная антропология.* Свод этнографических понятий и терминов, 74-76
14. *Дж. Коккиара,* История фольклористики в Европе, М., 1960. 7-11; Фольклористика. *Свод этнографических понятий и терминов,* 82-84

15. *С. А. Токарев*, Истоки этнографической науки, 138-139; *В. Н. Харузин*, Этнография, ч. I, М., 1915, 4-5
16. *პენრიხ შურცის* ასეთ ინტერპრეტაციას ორიგინალური პასუხი გასცა ცნობილმა რუსმა ეთნოგრაფმა *ნ. ხარუზინმა (В. Н. Харузин*, დასახ. ნაშრომი, 7-8), რომელიც ეთნოგრაფიისა და ეთნოლოგიის დანიშნულების ასეთ გააზრებას ზოგადად ისტორიის ორ – აღწერილობით და განმაზოგადოებელ დარგებად გაუმართლებლად მიიჩნევდა
17. *С. А. Токарев*, История зарубежной этнографии, 29-62; *Эволюционизм*. Свод этнографических понятий и терминов, 124-133
18. *С. А. Токарев*, დასახ. ნაშრომი, 64-81, 35-357 და შმდ.; *ფ. ენგელსი*, ოჯახის კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1956; *Архив Маркса и Энгельса*, X. М., 1948 და სხვ.
19. *С. А. Токарев*, История русской этнографии, 23-28, 29-33 და შმდ.; *М. О. Косвен*, Из истории ранней русской этнографии (XII-XVI вв.), СЭ, 1952, №4,129 და შმდ.
20. *С. А. Токарев*, დასახ. ნაშრომი, 63-64
21. *Г. Новицкий*, Краткое описание о народе остяцком. Новосибирск, 1941; *С. А. Токарев*, დასახ. ნაშრომი, 76-78 და სხვ.
22. *В. Н. Татищев*, Избранные труды по географии России, М., 1950; *С.А. Токарев*, დასახ. ნაშრომი, 79-80 და შმდ.; *Н. Н. Степанов*, В. Н. Татищев и русская этнография, СЭ, 1951, №1,153-154
23. *Г. Ф. Миллер*, История Сибири, I, М.-Л., 1937;*С.М. Крашенинников*, Описание земли Камчатки, М.,-Л., 1949; *С. А. Токарев*. დასახ. ნაშრომი, 82-85, 92
24. *С. А. Токарев*, დასახ. ნაშრომი, 94-101; *P.S. Pallas*, Sammlung historischer Nachzichten uber die mongolischen Volkerschaften, I-II, St. - Pet., 1876; *В. Ф. Зуев*. Материалы по этнографии Сибири XVIII в., Труды Института этнографии АН СССР, т. 5, М.-Л., 1947; *И.И. Лепёхин*, Дневные записки путешествия по провинциям Российского государства, ч. I, СПб., 1975
25. *И. Ф. Крузенштерн*, Путешествия вокруг света в 1803-1806 гг., ч. 1-3, СПб., 1909; *Ю.Ф. Лисянский*, Путешествия вокруг света на корабле, „Неве", СПб., 1812; *Г. Г. Манзер*, Экспедиция академика Г. И. Лангсдорфа в Бразилию, М., 1948; *Н. Я. Бичурин*, Собранные сведения о народах обитавших в Средней Азии в древние времена, I-II, М.-Л., 1950; *И. Е. Вениаминов*, Записки об островах уналашкинского округа, ч. I-III. СПб., 1840; *Ф. Врангель*, Путешествие по северным берегам Сибири и по Ледовитому морю в 1820-1824 гг., Ленинград, 1948 და სხვ.
26. *С. А. Токарев*, დასახ. ნაშრომი, 266-271
27. *იქვე*, 270-272
28. *Г. И. Виноградов*, Этнография в кругу научных интересов Н. Г. Чернышевского, СЭ, №3,1940,36-42
29. *Н. Г. Чернышевский*, Полное собрание сочинений, 2, М.-Л., 1949, 618
30. *Н. А. Добролюбов*, Полное собрание сочинений, 1, М.-Л., 1934, 431-432

## 2. *ეთნოლოგიის ჩამოყალიბება დამოუკიდებელ სამეცნიერო დარგად საქართველოში*

### 2.1. XIX საუკუნის მეორე ნახევრის პერიოდული პრესა, ცარიზმის ადმინისტრაციული აპარატის მოხელე – მკვლევართა ნაშრომები, სტატისტიკურ-დემოგრაფიული კრებულები და რეესტრები ქართველი და კავკასიელი ხალხების სოციალური და კულტურულ-ყოფითი თავისებურებების შესახებ

1. *ვ. შამილაძე*, ქართველ და უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა ეთნოლოგიური ცნობები კავკასიის ხალხების შესახებ, უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე, თბ., 2001, 177-178

2. *Записки Кавказского отдела Императорского русского географического общества*, ЗКОИРГО, Тифлис,1852-1916; *Известия Кавказского Императорского русского географического общества, ИКОИРГО*, Тифлис,1872-1917
3. *П.П. Семенов*, История полувековой деятельности Императорского русского географического общества. 1845-1895, СПб., 1896,65
4. *იქვე*, 17-21
5. *Сборник сведений о кавказских горцах*, ССКГ, Тифлис, 1868-1881; *Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа*, СМОМПК, Тифлис, 1881-1927; *С. А. Токарев*. История русской этнографии, 310-311
6. *М.О. Косвен*, Материалы по истории этнографии Кавказа в русской науке. Кавказский этнографический сборник, КЭС, I, М. - Л., 1955, 187-188
7. *იქვე*, 162-164
8. *Кавказское сельское хозяйство*, КСХ, Тифлис, 1893-1913; *Записки Кавказского общества сельского хозяйства*, ЗКОСХ, Тифлис, 1893-1909; *Сборник Кавказского общества сельского хозяйства*, СКОСХ, Тифлис, 1878-1894; *Труды Кавказского общества сельского хозяйства*, ТКОСХ, Тифлис. 1885-1893 და სხვ.
9. *И.М. Иоселиани*, Обзор деятельности Императорского Кавказского общества сельского хозяйства за пятьдесят лет, 1850-1900, вып. I, 1901, 42-43
10. *Материалы для изучения экономического быта государственных крестьян закавказского края*, МИЭБГКЗК, I-7, Тифлис. 1885-1887
11. *Свод материалов по изучению экономического быта государственных крестьян закавказского края*, СМИЭБГКЗК, I-5, Тифлис, 1887-1888
12. *Материалы для устройства казенных летних и зимних пастбищ и для изучения скотоводства на Кавказе*, МУКЛЗПИСК, I-IV, Тифлис. 1887-1895
13. *М. О. Косвен*. დასახ. ნაშრომი, 179-180 და შმდ.
14. *იქვე*, 180 და შმდ.
15. *Тифлисские ведомости*, ТВ, 1828-1833 гг.
16. *Закавказский вестник*, ЗВ, 1836-1964 гг.
17. *Кавказский календарь*, КК, 1846-1917 гг.
18. *Кавказ*, К, 1846-1918 гг.
19. *Кавказская старина*, КС, 1872-1873 гг.
20. *Акты Кавказской археографической комиссии*, АКАК, 1886-1904 гг.
21. *Д. В. Ватейшвили*, Русская общественная мысль и печать на Кавказе в первой трети XIX в. М., 1973, 14-19
22. *Н. А. Махарадзе*, Русская газета на Кавказе в 40-50-е годы XIX века, Тб., 1984, 12-25 და შმდ.
23. *Н. А. Махарадзе*, დასახ. ნაშრომი, 96, 101-110 და შმდ.; *Д. А Канделаки*. Из истории Русской периодической печати в Грузии (Литературные приложения к газете Кавказ, 1846-1867). Тб., 1975, 4-24
24. *Д. В. Ватейшвили*, დასახ. ნაშრომი, 21-24 და შმდ.
25. *იქვე*, 96-98 და შმდ.
26. *М. А. Полиевктов*, Кавказская археографическая комиссия и ее наследие в Центральном архиве ГССР, საისტორიო მოამბე, 2, 1925
27. *Н. А. Махарадзе*, Русская газета на Кавказе в 40-50-е годы XIX в., 3-8; *Н. А. Ананиашвили*. Очерки из истории русскоязычной журналистики Грузии конца XIX – первой трети XX века. Тб., 2000, 53-64
28. *М. О. Косвен*. Материалы по истории этнографического изучения Кавказа в русской науке. КЭС, Ш, М.-Л., 1962, 269-277 და შმდ.
29. *გ. ყორდანია*, კავკასიის მუზეუმის დაარსება, თბ., 1951, 12-14
30. *С. А. Токарев*. დასახ. ნაშრომი., 310-312 და შმდ.; *М. О. Косвен*. Этнография и история Кавказа, Исследования и материалы, М., 1961, 223-224 და შმდ.
31. ამ თვალსაზრისით ადათობრივი სამართლის ნორმებს დიდ ყურადღებას აქცევდა ერმოლოვის მმართველობა, რომელმაც 1822 წელს ყაბარდოელთა *„დროებით სახალხო სასამართლოს“* ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობის ჩვეულებითი სამართლის ნორ-

მები დაუდო საფუძვლად. პასკევიჩის მიერ ამ პრინციპებიდან გადახვევას მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. მის მიერ 1827 წელს რუსული სამართალწარმოების შემოღების მოთხოვნამ ადგილებზე და ცენტრში ხანგრძლივი დებატები გამოიწვია. მართალია, პასკევიჩის შემდგომ ბარონი როზენის კაბინეტი კვლავ ერმოლოვის პოზიციებს უბრუნდება, მაგრამ კანცელარიის გარკვეული წრეების ლობირებით 1840 წლის 10 აპრილის დებულებით კავკასიაში რუსული სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობა შემოიღეს.

რუსული სამართალწარმოების შემოღებას კავკასიაში დიდი წინააღმდეგობები შეხვდა, რის გამოც ეს ავანტურისტული წამოწყება *ნიკოლოზ I* 1842 წელს გააუქმა და უპირატესობა კვლავ ხალხური ჩვეულებითი სამართლის ნორმებსა და კანონებს მიანიჭა. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში მთიელთა ადათობრივი სამართლის ნორმების გამოვლენასა და შესწავლას პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

32. *В. И. Голенищев-Кутузов.* Описание гражданского быта чеченцов с объяснением адатного их права и нового управления, введеного Шамилем. *Ф. И. Леонтиевич.* Адаты кавказских горцев. МОИСВК. II, 1883
33. *О. И. Константинов*, Джаро-бекаканцы до XIX столетия, Кавказ, 1846, 2-3; მისივე, Очерк северной стороны Кавказа, Кавказ, 1847, 2; მისივე, Дорожник по пути следования государя наследника по Закавказскому краю в 1850 г. с краткими описаниями этнографическими, статистическими и историческими, Тифлис, 1850; *მისივე*, Путеводитель по Черноморью Кавказа и Закавказского края от Тамани до Тифлиса и потом до Кутаиси, Эривани, Шемахи и Дербента. Кавказский календарь, 1851
34. *А. В. Комаров*, Адаты и судопроизводство по ним, ССКГ, 1, 1868, 79
35. *К. Ф. Сталь*. Этнографический очерк черкесского народа. Кавказский сборник, КС, т. XXI, 1900, 231
36. *Н. П. Колюбакин*, Взгляд на жизнь общественную и нравственную племен черкесских, Кавказ, 1846,11; *მისივე*, Об отношении поселян к владельцем земли в Белоканском округе, Кавказ, 1848,52; *მისივე*, Об Абхазии. Исторический очерк, Кавказ, 1853,71; *მისივე*, По случаю крестьянского вопроса в Имерети, Гурии и Мингрелии, журн. Чтение в обществе истории и древностей при Московском университете, кн. 1, 1865
37. *Н. П. Колюбакин*, Взгляд на жизнь общественную и нравственную племен черкесских, Кавказ, 1846,11
38. *იქვე*, 11
39. М.А. Агларов. Сельская община в горном Дагестане в XVII- начале XIX века, Москва, 1988
40. *Ш. А. Хантадзе*, Академик Мари Броссе и европейское и русское грузиноведение, Тб., 1970, 3-7 და შმდ.
41. M. Brosset, Rapports sur un voyage archeologique dans la Georgie et dans L'Armenie execute en 1847-1848, livr. 1-3, St.-Pb., 1849-1851
42. *გ. ჩიტაია*. „სვეტები," ქართული ეთნოგრაფიის ისტორია. საგანი და მეთოდი შრომები, IV, თბ., 2001, 75-76
43. *В. Ф. Миллер*, В горах Осетии, РМ, 1881,69; *მისივე*, Гипотеза о родстве этрусского языка с кавказскими, КВ, 1900,11; მისივე, Горские общества Кабарды, ИЕ, 1884,6; *მისივე*, Кавказское языкознание и вопросы этнографии Передней Азии, ЭО, 1906, 3,4; *მისივე*, О некоторых древних погребальных обрядах на Кавказе, ЭО, 1911, 1,2
44. *В. Ф. Миллер*, В горах Осетии, 222-223; *მისივე*, Горские общества Кабарды, 78-79
45. *В. Ф. Миллер*, О некоторых древних погребальных обрядах на Кавказе, ЭО, 1911, 1,2
46. *П.К. Услар*, Абхазская азбука, СМОМПК, 6, 188; *მისივე*, Этнография Кавказа. Языкознание, тт. I-VII, Тифл.,1887-1896 და სხვ.

## 2.2. პლატონ იოსელიანისა და დიმიტრი ბაქრაძის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა ახალი ქართული ისტორიოგრაფიის ფორმირების შუქზე

1. *გ. ყორდანია*. კავკასიის მუზეუმის დაარსება, 7-11 და შმდ.; *Г. И Радде*. Краткий очерк истории развития Кавказского Музея в первые 25 лет существования, Тифл., 1891, 4,6

2. *А. А. Барамидзе, Д. Л. Ватейшвили*, П. И. Иоселиани. Очерк жизни и научно-общественной деятельности. Тб., 1878. 18
3. *იქვე*, 8,16
4. *П. И. Иоселиани*. Различные наименования грузинов. журн. Министерства внутренних дел. 1844, 4
5. *П.И. Иоселиани*, Путевые заметки по Кахетии, Закавказский вестник. 1845. 22-28. ცალკე ამონაბეჭდი, ტფილისი, 1846; *მისივე*, Путевые Заметки по Дагестану в 1861 году. Тифлис. 1862; *მისივე*. Пшавия. К., 134 და სხვ.
6. *П. И. Иоселиани*. Описание города Душета Тифлисской Губернии. ЗКОИРГО. 1882. 6
7. *ი. მეგრელიძე*, რუსთველოლოგები, თბ., 1970, 78
8. *გ. ახვლედიანი*, XIX საუკუნის ქართველი ისტორიკოსები და ფოლკლორი, თბ., 1990, 27
9. *П. И. Иоселиани*. Описание города Душети. 5
10. *იქვე*, 6-7
11. *იქვე*, 7-8
12. *П.И. Иоселиани*, დასახ. ნაშრომი, 45
13. *იქვე*, 68
14. *იქვე*, 68-69
15. *იქვე*, 71. 76 და შმდ.
16. *მ. ჩიქოვანი*, ახალი საარქივო მასალები, *პ. იოსელიანის წერილები აკად. მ. ბროსესადმი*, ლიტერატურული ძიებანი, III, 1947, 144; *არჩ. ბარამიძე*, პ. იოსელიანის ახლად აღმოჩენილი ხელნაწერის შესახებ, ლიტერატურული გაზეთი, 29, 1959, გვ. 2
17. *П. И. Иоселиани*. დასახ. ნაშრომი, 64
18. *გ. ახვლედიანი*, დასახ. ნაშრომი, 34
19. *მ. დუმბაძე*, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე. ცხოვრება და მოღვაწეობა, ბათუმი, 1950, 4-8
20. *იქვე*, 11-12
21. იქვე, 16-21
22. *დ. ბაქრაძე*, ზოგი რამ ჩვენს ისტორიაზე, არქეოლოგიაზე, ყოფა-ცხოვრებაზე, ივერია 1877, 8,14
23. *დ. ბაქრაძე*, საქართველოს ისტორიის წყაროები, აკადემიის ნევრს მარი ივანეს ძე ბროსეს, ჟურნ. ცისკარი 1857, 2,51-52
24. *დ. ბაქრაძე*, ქართლის ცხოვრების პირველგადმოცემათა წყაროები და მათი ხასიათი, ივერია, 1886,1
25. *დ. ბაქრაძე*, საქართველოს ისტორიის პირველდაწყება, ჟურნ., მნათობი, 2,1872,52
26. *დ. ბაქრაძე*, ისტორია საქართველოს უძველესი დროიდან IX-X საუკუნის დასასრულამდე, ტფ., 1889, 2
27. *გ. ახვლედიანი*, XIX საუკუნის ქართველი ისტორიკოსები და ფოლკლორი, თბ, 1990,44-50; *მ. ჩიქოვანი*, ქართული ეპოსი, I, თბ. 1959, 62 და შმდ. II, თბ. 1965,211-213,313-325 და შმდ.
28. *Д. З. Бакрадзе*. Археологическое путешествие по Гурии и Аджаре. СПб., 1878
29. *Д. З. Бакрадзе*, Заметка о Батумской области. ИКОИРГО. VI. 1878-1881
30. *Д.З.Бакрадзе*, Историко – этнографический очерк Карской Области. Тифлис. 1883
31. *Д.З.Бакрадзе*, Сцены из грузинской жизни. Кавказ. 1850. 91-93; *მისივე*, Моё знакомство с пшавами, К. 1850. 97-99. ЗКОИРГО. 6. 1864; *მისივე*. Закатальский округ. Кавказское обозрение. КО. 1887 45-46. 50. 54. 58; *დ. ბაქრაძე*. საქართველო (ისტორიული და ეთნოგრაფიული გამოკვლევა). ტფილისი. 1877-1878; *მისივე*. Заметки о Закатальском округе, ЗКОИРГО, 14,1,1890 და სხვ.
32. *Д.З. Бакрадзе*, Кавказ в древных памятниках христианства. Записки общества любителей кавказской археологии. Тифлис. 1875
33. *Д. З. Бакрадзе*. Сванетия. ЗКОИРГО. VI. 1864. 39

## 2.3. რაფიელ ერისთავი – სამუზეუმო, საველე-ეთნოგრაფიული და კამერალური კვლევა-ძიების პირველი ნაბიჯები. პირველი ეთნოგრაფიული პუბლიკაციები


1. *საერო დღესასწაული რაფიელ ერისთავის იუბილეს გამო*, კრებული, ტფ., 1899, 4-32
2. *იქვე*, 46
3. *Н. Г. Чернышевский*, журн. Современник, №7, 1855
4. *Н. Г. Чернышевский*, журн. Современник, №3, 1856
5. *П.П. Семенов*, История полувековой деятельности Русского географичесского общества. 1845-1895 гг. СПб., 1896, 93
6. *იქვე*, 94
7. *გ. ჩიტაია*, ქართული ეთნოლოგია, მიმომხილველი, ტფ., 1926, 14-16
8. *იქვე*, 16
9. *ალ. რობაქიძე*, წინასიტყვაობა ბ.ნიუარაძის წიგნზე – ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნერილები, I, თბ., 1962, 4-5; მისივე, ბოლოთქმა, იქვე, II, თბ., 1964, 261-262
10. *გ. ჟორდანია*, კავკასიური მუზეუმის დაარსება, თბ., 1951, 42-52
11. *გ. ჩაჩანიძვილი*, ქართული ეთნოგრაფიის ისტორიიდან, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, 1953, XVII, 63
12. *მ. გეგეშიძე*, ქართული ხალხური ტრანსპორტი, 1958, 14
13. *ა. ლეკიაშვილი*, შენ ხარ ენახი, თბ., 1975, 18
14. *გ. ჯალაბაძე*, მემინდვრეობა იმერეთში, კრებ., იმერეთი, თბ., 1978, 33
15. *ვ. ითონიშვილი*, რაფიელ ერისთავი როგორც ეთნოგრაფი, ჟურნ. ცისკარი, 11, 1974; *მისივე*, რ. ერისთავის ნანარმოებების ეთნოგრაფიული წყაროები, ჟურნ. მნათობი, 10, 1974; *მისივე*, მთიელთა ყოფის მკვლევარი, გაზ. ლიტერატურული საქართველო, 4, 1974
16. *ვ. ითონიშვილი*, რაფიელ ერისთავი როგორც ეთნოგრაფი, 119
17. *М. О. Косвен*. Материалы по истории этнографического изучения Кавказа в русской науке. КЭС, Ш, М., 1955, 323
18. *ვ. ითონიშვილი*, ქართული ეთნოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1989
19. *ვ. ითონიშვილი*, რაფიელ ერისთავი როგორც ეთნოგრაფი, 115
20. *Р. Эристов*, О Тушино-Пшаво - Хевсурском округе, ЗКОИРГО, кн. III, Тифлис, 1855
21. აკად. *ქ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არქივი*, რ. ერისთავის ფონდი 12, 322
22. *Р. Эристов*, Лазарс, Кавказ, №10, 1847; მისივე, Свадьба у грузин, Кавказ, №14, 1847; *მისივე*, Маскарад Грузинской черни, Кавказ, №16; *მისივე*, Признаки весны, царство кукушек, происхождение сов, Кавказ, №18, 1848
23. *Р. Эристов*, Письма из Имеретии, Кавказ, №52-85, 1857; მისივე, Очерк Имеретии в сельскохозяйственном отношении, ЗКОСХИ, 2,3, Тифлис, 1875
24. *Р. Эристов*, დასახ. ნაშრომი, 76
25. *Р. Эристов*, დასახ. ნაშრომი, 81
26. *შ. ვაშაყმაძე*, რაფიელ ერისთავის წერილები აკად. მარი ბროსესადმი, ჟურნ. ლიტერატურული ძიებანი, IX, 1955, 36
27. *შ. ვაშაყმაძე*, დასახ. ნაშრომი, 38
28. *ვ. ითონიშვილი*, დასახ. ნაშრომი, 115
29. *შ. ვაშაყმაძე*, დასახ. ნაშრომი, 42
30. *კ. ბოროზდინი*, სამეგრელო და სვანეთი, თბ., 1934, 77-78
31. *რ. ერისთავი*, რჩეული თხზულებანი, თბ., 1958
32. *ალ. რობაქიძე*, ბოლოსიტყვაობა ბ. ნიუარაძის წიგნზე: ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნერილები, II, თბ., 1964
33. *Р. Эристов*, Заметки о Сванети, ЗКОРГО кн. XIX, Тифлис, 1897; *მისივე*, Этнографические очерки о Сванети, Новое обозрение 1896, №4442; 1897, № 555
34. *Р. Эристов*, Извлечение из этнографических очерков Урбнели о хевсурах, ЗКОРГО кн. XIV, 1890

35. *Г.И. Радде*, Хевсурия и Хевсуры, Тифл. 1881
36. *Г. В. Цулая*. Грузиноведческие интересы В. Ф. Миллера. журн. Очерки Истории русской этнографии, фольклористики и антропологии, III, 1978, 56-71
37. *Н. Г. Чернышевский*. журн. Современник. №3, 1885
38. *მ. ვაშალომიძე*, რაფიელ ერისთავი, თბ., 1974, 56
39. *Р. Эристов*, О крестьянском сословии в Мингрелии: О привилегированных сословиях в Мингрелии, журн. Кавказская старина, № 4, № 6, 1872-73 гг. 69-94, 129-137
40. *Р. Эристов*, О Тушино-Пшаво - Хевсурском округе, 79
41. *თელავის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდი*, 2530, 20
42. *Н. И. Надеждин*, Об этнографическом изучении народности русской. Записки Императорского русского географического общества. СПб., 1847, 61-115
43. *გ. ჟორდანია*, დასახ. ნაშრომი, 44
44. აკად. *კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი*, რ. ერისთავის არქივი 322
45. *Р. Эристов*, Путевые записки по Мингрелии, Кавказская старина, № 1-3, Тифлис, 1872-1873, 67-80
46. *ივ. ჯავახიშვილი*, ქართველი ერის ისტორია, I, 1979, 99-122 და შმდ.
47. *ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი*, 93
48. *იქვე*, 94
49. *იქვე*, 120
50. *იქვე*, 122
51. *Н. Г. Чернышевский*. Полное собрание сочинений, II, 1918, 121-124
52. *Р. Эристов*, Очерк Имеретии в сельскохозяйственном отношении, ЗКОСХ, Тифлис, 1875, 90
53. *Р. Эристов*, О Тушино-Пшаво - Хевсурском округе, 80
54. *იქვე*, 76
55. *Р. Эристов*. Письма из Имеретии. Кавказ, 1857, 85
56. *გ. ჩიტაია*, წინასიტყვაობა ნ. ხიზანაშვილის ნაშრომზე – ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940
57. *Р. Эристов*, Очерк Имеретии в сельскохозяйственном отношении. ЗКОСХ. №2-3, 1875
58. *M. Brosset*, Rapports sur un voyage archeologique dans l'Armenie execute en 1847-1848. pas. III. SPb., 1850, 96
59. *Р. Эристов*, О Тушино-Пшаво - Хевсурском округе. ЗКОИРГО, кн. III, Тифлис, 1855
60. *ნ. იაშვილის* შენიშვნით, „აღმოსავლეთ კავკასიონის ზონალობის დახასიათება ვახუშტის შემდეგ პირველად მოგვცა რ. ერისთავმა" (იხ. *მისი:* რ. ერისთავის გეოგრაფიული შრომები, ჟურნ. კომუნისტური აღზრდისათვის 6, 1955, 12-13)
61. მთიელთა რელიგიური წეს-ჩვეულებების სინკრეტული ხასიათის შესახებ მეტად საინტერესოა რ. ერისთავის ხატოვანი ფრაზა – „თავშიშველნი არიან ვითარცა მაჰმადიანნი, ღორის ხორცს არ სჭამენ ვითარცა ებრაელნი და აქვთ სალოცავები ვითარცა ქრისტიანებს" – წერდა იგი (რ. *ერისთავი*, დასახ. ნაშრომი, 16)
62. ნამდვილი პოეტური ეპითეტებითაა აღსავსე რ. ერისთავის დამოკიდებულება ხევსურთა სტუმარ-მასპინძლობის შესახებ. „ხევსურისათვის სტუმარი ყველაფერია; გამარჯობა შენი დეგემირო! ეტყვის იგი მას და მუხლებზე დაჩოქილი მიანედის სასმისს!" – დასძენს რ. ერისთავი (იხ. *მისი*, დასახ. ნაშრომი, 31)
63. ეს ნაშრომები თავდაპირველად იბეჭდებოდა გაზეთ კავკაზში (1875 წლის 52, 53, 55 და შმდ.), ხოლო შემდეგ გამოქვეყნდა ცალკე მონოგრაფიის სახით
64. *Р. Эристов*. Очерк Имеретии в сельскохозяйственном отношении. ЗКОСХ. №2-3, 1875, 162
65. *იქვე*, 165-178 და შმდ.
66. *იქვე*, 179
67. *Р. Эристов*, დასახ. ნაშრომი, 181
68. *იქვე*, 187
69. *იქვე*, 188
70. *იქვე*, 190
71. *Р. Эристов*, დასახ. ნაშრომი, 107

72. *იქვე*, 145-152
73. *ა. ლეკიაშვილი*, შენ ხარ ვენახი, თბ., 1974, 14
74. *Р. Эристов*. Виноградство и виноделие в Кахетии. журн. Отчет кавказского отдела сельсокого хозяйства. № 9, 1878
75. *იქვე*, 67-68
76. *Р. Эристов*. Очерк Имеретии в сельско-хозяйственном отношении. 111
77. *გ. ზარდალიშვილი*, გამოჩენილი ქართველი მოგზაურები, თბ., 1958, 46
78. *Р. Эристов*. დასახ. ნაშრომი, 109

## 3.2 ნიკოლოზ ხიზანაშვილი – ქართველ მთიელთა ადათობრივი სამართლის კვლევა ქართული სამართლის ძეგლების შუქზე

1. *გ. ჩიტაია*, წინასიტყვაობა ნ. ხიზანაშვილის ნაშრომზე – ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, VII-IX; *მ. ნიჟარაძე*, ნიკო ხიზანაშვილი, თბ., 1974, 6-8 და სხვ.
2. *ნ. ხიზანაშვილი*, უფლება და კანონი ძველ საქართველოში, იმედი, XI-XII, 1882, II, 1883; *მისივე*, სოფლის თვითმმართველობაზე, დროება, 1883, 162, 163; *მისივე*, ძველი ქართული ოჯახი, დროება, 1885, 2-3, 5, 89, 92, 96 და შმდ.; *მისივე*, ეთნოგრაფიული ნერილები, ფშავ-ხევსურეთი, დროება, 1884, 8, 14-5 და შმდ.; *მისივე*, აღდგომა ძველ დროს, ივერია, 1888, 231, 241, 1885, 205; *მისივე*, საახალწლოდ (შესახებ იმისა თუ როგორ ატარებდნენ ძველად საქართველოში ახალ წელს), ივერია, 1889, 1; *ნ. ურბნელი*, ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, ტფილისი, 1890; *მისივე*, ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, ტფილისი, 1890; *ნ. ხიზანაშვილი*, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბილისი, 1940; *მისივე*, რჩეული იურიდიული ნაწერები, თბილისი, 1980
3. *გ. ჩიტაია*, დასახ. ნაშრომი, X; *ი. მანსვეტაშვილი*, მოგონებანი, ტფ., 1936, 76
4. *არტურ ლაისტი*, საქართველოს გული, 1963, 51
5. *გ. ჩიტაია*, დასახ. ნაშრომი, VII
6. *ი. დოლიძე*, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, 12; ნიკო ხიზანაშვილი (ურბნელი), რჩეული იურიდიული ნაწერები, დასაბეჭდად მოამზადა, ბიოგრაფიული მასალები და შენიშვნები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბ., 1982, 7
7. *ივ. ჯავახიშვილი*, ქართული სამართლის ისტორია, I, ტფ., 1928, 1-2
8. *ნ. ხიზანაშვილი*, ფშავ-ხევსურეთი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 3-4
9. *ნ. ხიზანაშვილი*, ფშავ-ხევსურეთი, 3-4
10. *იქვე*, 3
11. *ნ. ურბნელი*, ჩვენი გლეხკაცობა და ახალი სამართალი, იმედი, 1882, 3
12. *გ. ნადირაძე*, ნიკოლოზ ურბნელი – საქართველოს ისტორიის მკვლევარი, თბ., 1973, 35
13. *გ. ნადირაძე*, დასახ. ნაშრომი, 152
14. *ნ. ხიზანაშვილი*, ფშავ – ხევსურეთი, 11
15. *იქვე*, 11
16. *ნ. ხიზანაშვილი*, დასახ. ნაშრომი, 12-13. ციხისთავის თანამდებობაც მემკვიდრეობითი ხასიათისა იყო, მაგრამ ეს უკანასკნელი მის კერძო ოჯახს არ სცილდებოდა. ნ. ხიზანაშვილი მიუთითებს *მეფე გიორგის* კანონს, რომელიც „ციხისთავის ოჯახის ღირსებაზედ საუბრისას (*სისხლის დაურვება*, როგორც იურიდიული ფორმულა კაცის ღირსებისა) იხსენიებს მარტო მის შვილს და ძმას. მთიელების კანონი ( ძეგლის დება მეფე გიორგისა) სასტიკ ყურადღებას აქცევს სამხედრო ნაწილს (მაგ. მუხ. კზ. სადაც სჯაა ციხის დაქცევაზედ და სხვ) და დიდ პატივს სცემს დროშას და ლაშქარს" (*იქვე* ,12). აქედან მხოლოდ იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ხევისბერი და ციხისთავი უფრო სამხედრო პირნი იყვნენ, ვიდრე საერო მოხელენი, თუმცა მათ სხვა მოვალეობანიც ეკისრათ (*იქვე* ,13)
17. *ნ. ხიზანაშვილი*, დასახ. ნაშრომი, 13-14
18. ნ. ხიზანიშვილი. დასახ. ნაშრომი, 14-15
19. *იქვე*, 17, 19-20

20. *ნ. ხი ზანაშვილი*, ძველი ქართული ოჯახი, ეთნოგრაფიული ნანერები, 162
21. *ნ. ხი ზანაშვილი*, დასახ. ნაშრომი, 162-163
22. *ს. მაკალათია*, ხევსურეთი, ტფ., 1937, 175
23. *ნ. ხი ზანაშვილი*, ფშავ-ხევსურეთი, 37-38
24. *ს. მაკალათია*, ხევსურეთი, 175-176
25. *ნ. ხი ზანაშვილი*, დასახ. ნაშრომი, 42
26. *იქვე*, 43
27. *ნ. ხი ზანაშვილი*, ძველი ქართული ოჯახი, 167
28. *ნ. ხი ზანაშვილი*, დასახ. ნაშრომი, 166
29. *ს. მაკალათია*, ხევსურეთი, 182
30. *ნ. ხი ზანაშვილი*, ფშავ-ხევსურეთი, 43
31. *ს. მაკალათია*, დასახ. ნაშრომი, 183
32. *ნ. ხი ზანაშვილი*, დასახ. ნაშრომი, 44-45
33. *ს. მაკალათია*, ხევსურეთი, 184
34. *ნ. ხი ზანაშვილი*, ძველი ქართული ოჯახი, 165
35. *იქვე*, 166
36. *ნ. ხი ზანაშვილი*, ფშავ-ხევსურეთი, 45
37. ქართულ ისტორიოგრაფიაში ტერმინ „*მესისხლეობის*“ ეტიმოლოგიას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა აკად. ივ. ჯავახიშვილი. ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით იგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ „*მესისხლეობა*“ სიკვდილით დასჯის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი იყო. მკვლევრის აზრით ტერმინები: *სისხლი, სასისბარი საქმე, სისხლის პატრონი, სისხლის ძიება* და სხვ. საისტორიო წყაროებში გადატანითი მნიშვნელობით იხმარებოდა, ხოლო თვითონ *სისხლი* ქონებრივ საზღაურს გამოხატავდა (*ივ. ჯავახიშვილი*, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვ. II, თბ.,1929,300-301).

    თავის მხრივ სამართლის წესების აღწერისას ვახუშტი ბაგრატიონი მიუთითებდა: „ხოლო წესნი სიმათლისა და შერისხვისათვის აქუნდათ: *სისხლი, ხრმალი, შანთი, მდუღარე და ფიცი*. სისხლს უწოდებენ ოდეს სწორმან მოკლას ვინ სწორი. მეფისაგან შერიცხვა იყო ანუ სიკვდილი, ანუ გვემა ანუ პატიმრობა, ხოლო მკულელისა მის თანამდებ იყო, რათა დაეურვა თეთრითა და საქნელითა პატივისა და წესისა მისისა სისხლი, ხოლო უკეთუ უმაღლესმან მოკლის უმცროსი, *დაუურვოს სისხლი*, ხოლო უმდაბლესმან თუ მოკლას უმაღლესი დაუურვოს სისხლი და განიძის მამულისაგან რაოდენსამე ნელსა“ (*ვ. ბაგრატიონი*, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941,15). წყაროების მიხედვით დადგენილი არაა, როდის მიიღო „*სისხლმა*“ ასეთი გადატანითი მნიშვნელობა. რაც შეეხება შურისძიებას, ყველა არსებული წყაროების მიხედვით, როგორც საეკლესიო, ისე საერო სამართალი, შურისძიებას სატიკად დევნიდა. „ყურადღების ღირსია, რომ შემდეგ დროსაც, როცა ქართველების ცხოვრება და სამართალიც თვალსაჩინოდ დაქვეითებული იყო, შურისძიება დაკანონებული არ ყოფილა. მაგ., გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დებამ“ მხოლოდ *ცოლის წაგვრისათვის* იცის შურისძიება, ისიც პირადი და არა საგვარეულო (*ნ. ურბნელი*, ძეგლისდება, მეფე გიორგი ბრწყინვალესი, ტფ., 1890,77-80). არც ბექა და აღბუღა სამართალმა იცის ნამდვილი შურისძიება და მოკვლისათვის მოკვლა (*ნ.ურბნელი*, ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, ტფ.,1890).

    ტერმინ „*სისხლი*“-ს შესახებ ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს მეორე საყურადღებო ცნობაც, რომლის მიხედვით „სისხლი მკვლელობისა და დაჭრილობისათვის დანესებული საზღაურის აღმნიშვნელი იყო. პარვისათვის „*საზღაო*“ ენოდებოდა. ეს გარემოება ცხადჰყოფს, რომ თავდაპირველად „*სისხლი*“ მართლაც სისხლსა ჰნიშნავდა და ეს ტერმინი იმ ხანის ნაშთი უნდა იყოს, როდესაც მხოლოდ სისხლის ძიება სუფევდა, შემდეგში და თანდათან ის უკვე ქონებრივ საზღაურად იქცა (*ივ. ჯავახიშვილი*, დასახ. ნაშრომი, 302)
38. *ნ. ხი ზანაშვილი*, დასახ. ნაშრომი, 46
39. *რუსუდან ხარაძეს* თავის ნაშრომში „*ხევსურული რჯული*“ აღნიშნული აქვს ერთი საინტერესო წესი ხევსურული შურისძიებისა – ე. ნ. „*სისხლის აღება*“, რომელიც ნ. ხიზანაშვილის ნაწერებში არ გეხვდება. „როგორც კი მოკლულის პატრონი მკვლელობის ამბავს შეიტყობდა, მაშინვე სისხლის ასაღებად მიდიოდა. ღამით ძმა – *შინშნი მეხელის* (მკვლელის) სახლისაკენ გაეშურებოდნენ. შორიახლოს მისულნი მეხელეს დურბინდით ზეე-

რავდნენ, პირველი თოფი ძმას უნდა გაესროლა, შემდეგ კი, თუ ძმა ვერ მოახვედრებდა, შინშები ესროდნენ. თუ მოკლულს ძმა არ ჰყავდა, მაშინ მამას ეკუთვნოდა პირველი გასროლა. თუ მამა მოხუცი იყო, მაშინ მოკლულის თოფს სხვას გაატანდნენ და პირველად ეს თოფი უნდა გაესროლათ. *რ. ხარაძე* იმოწმებს მთხრობელის *გიგია ჯინჭარაულის* ნაამბობს: „თუ ძმა არის ან მამა სისხლის ამღები, მაშინ გინდ ჯოხითაც მაჰკლას. თუ მაჰკლეს მეხელე, ხომ მაჰკლეს, თუ არა და მისი ძმა უნდა მაჰკლან. მოკვლის შიში მხოლოდ ძმასა აქვს. ცოტა რო დასჭრას ოღონდ სისხლი გამაადინას, მაშინვე თავის კვდარს გაუნირავს, შაწირვის შიში აქვს (*რ. ხარაძე*, ხევსურული რჯული, ანალები. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, თბ., 1947, 167). შეწირვა ხდება შემდეგი სიტყვებით: „უნცროსიმც ხარ ჩემის ძმისაი, წყალსამც უზიდავ, ჯღანსაც უბანდავ, რაც დაშჭირდების მსახურადმც ხყივხარ, სისხლი ამიღია“ (*იქვე*, 168). ნ. ხიზანაშვილის ცნობით, ხელის მოჭრის წესი ხევსურებთან მხოლოდ უცხო ტომის კაცის მოკვლასთან იყო დაკავშირებული, მიცვალებულის შეურაცხყოფა კი მძიმე დანაშაულად ითვლებოდა (*ნ. ხიზანაშვილი*, ფშავ-ხევსურეთი, 49)

40. *ნ. ხიზანაშვილი*, ფშავ-ხევსურეთი, 4, 7; რ. ხარაძის ცნობით, „ხევსურული რჯული ერთმანეთისაგან ანსხვავებს მკვლელობის ორ სახეს: *იშობრად მოკლულს* და *გიზამობით მოკლულს*. პირველი უცაბედად, წინასწარ განზრახვის გარეშე მოკლულს გულისხმობს. მეორე კი წინასწარ განზრახვით, წადილით მოკლულს (*რ. ხარაძე*, დასახ. ნაშრომი, 187). რა თქმა უნდა, თუ მკვლელობა იშობრადაა მომხდარი, შერიგებაც შედარებით ადვილია, გიზამობით მომხდარი მკვლელობა კი უეჭველად სისხლის აღებას მოითხოვს. სწორედ ამის გამო რ. ხარაძეს მიაჩნია, რომ უმართებულოა ნ. ურბნელის შენიშვნა იმის შესახებ, რომ „ხევსურულ სამართლისათვის სულერთია „შემთხვევით შემოგაკვდა კაცი, თუ განზრახ მოჰკალი იგი, კაცი როგორც უნდა შემოგაკვდეს, ზარალი ერთი და იგივეა“ (*ნ. ხიზანაშვილი*, დასახ. ნაშრომი, 50, 66; *რ. ხარაძე*, დასახ. ნაშრომი, 187-188)
41. *ნ. ხიზანაშვილი*, დასახ. ნაშრომი, 47
42. *იქვე*, 48
43. *იქვე*, 48-49
44. *ნ. ხიზანაშვილი*, დასახ. ნაშრომი, 49; რ. ხარაძეს აღწერილი აქვს შერიგების მეტად რთული და საინტერესო რიტუალი, მათ შორის *„ჯვარში შეჯდომაც“*. მკვლელობიდან რამდენიმე ხნის შემდეგ მკვლელის ნათესავები მკვდრის ნათესავებს შუაკაცებს მიუგზავნიან და შერიგებას სთხოვენ. შუაკაცები თავის მხრივ სთავაზობენ შერიგებას, გადაწყვეტენ ზედმეტად გადასახდელ *ჯურუმს* – სამს ან ხუთ ძროხას, დანიშნავენ *საპირშესამყრელო დღეს*. ამ დღეს მკვლელის ნათესავები შუაკაცებს ხატში ნააღებინებენ 5 ძროხა დრამას და აადუღებინებენ ლუდს. ყველანი, როგორც მკვდრის, ისე მკვლელის ნათესავები ხატში იკრიბებიან *მეხელესა* და სათოფედ განწირულის (მკვლელის ძმა ან ბიძაშვილი) გარდა. მკვდრის ნათესავების მოსვლამდე კლავენ ორ საკლავს, ამზადებენ ლუდიან კოდს, შლიან ტაბლას, რომელზედაც აწყვია პურები, სატანი (ყველი) და მოხარშული ხორცი, ერბოიანი ჯამები და ერთი ხელადა არაყი. კოდს გახსნიან, ხუცესი მას სახელს დასდებს, დაილოცება, რის შემდეგაც იწყება პურობა. შერიგების განმტკიცების მიზნით მათ აძმობილებენ – ლუდში ვერცხლს ჩაფხეკენ, შუაკაცები დაილოცებიან და შემდეგ სვამენ. სუფრის დაშლის შემდეგ ერთი საკლავი მიჰყავთ მკვდრის დედასთან სახლში, ახლა მასთან შერიგდებიან, იქაც ცოტა ლუდს დალევენ, მაგრამ დიდ ხანს არ დარჩებიან. ამის შემდეგ მეხელესა და სათოფედ განწირულს გარდა, ყველასთან შერიგებული არიან (*რ. ხარაძე*, დასახ. ნაშრომი, 183-184)

    მეტად საინტერესოა შერიგების შემდგომი რიტუალებიც. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, *მეხელესა* და *მესაძმოეს* უნდა შეესრულებინათ აღკვეთების მთელი რიგი:

    1. თუ მკვლელი მკვდრის პატრონს გზაში შეხვდებოდა ცხენით, მკვლელი ცხენიდან უნდა ჩამოსულიყო.

    2. თუ მკვლელი მკვდრის პატრონს ვიწრო გზაზე შეხვდებოდა, მკვლელი გზის თავზე ვერ გადაუვლიდა მკვდრის პატრონს და გზის ქვემოთ უნდა მორიდებოდა.

    3. მკვდრის სოფელში მკვლელი ცხენზე შემჯდარი არ უნდა შესულიყო.

    4. ხალხში მამკვდრის გვარეულს მამკლავი ჩხუბს ვერ დაუწყებდა და თუ ვინმე „მამკვდრის მონათესავეს ეჩხუბებოდა, მამკლავს მისი მხარე უნდა დაეჭირა“ (*იქვე*, 184-185)

45. *ნ. ხიზანაშვილი*, დასახ. ნაშრომი, 50
46. „თითქმის არც ერთი ხევსური არ მოიპოვება, რომელსაც სხვა ვინმე არ დაეკეჭნოს, ან თითონ არ დაკეჭნილიყოს. ძნელად შეხვდებით ხევსურს, რომ თავ-პირი დასერილი არა ჰქონდეს დაშნითა და საცერულით“ – წერდა აღნიშნული ნესის შესახებ ნ. ხიზანაშვილი (ნ. ხიზანაშვილი, დასახ. ნაშრომი, 49-50).
47. *ნ. ხიზანაშვილი*, დასახ. ნაშრომი, 53
48. *რ. ბარაძე*, დასახ. ნაშრომი, 185
49. *ნ. ხიზანაშვილი*, დასახ. ნაშრომი, 54
50. *იქვე*, 54-55
51. *ნ. ხიზანაშვილი*, დასახ. ნაშრომი, 54-55
52. როგორც ცნობილია, *საბჭო გადასახადი* საქართველოში ძველთაგანვე დადგენილი წესი იყო და არც ერთ მხარეში უსასყიდლოდ გასამართლება არ შეიძლებოდა, რადგან სახელმწიფოს შემოსავლის ერთ უმთავრეს წყაროს *სამოსამართლო გადასახადი* შეადგენდა. ამ გადასახადის სიდიდე ადგილობრივ ჩვეულებაზე და ხალხის შეძლებაზე იყო დამოკიდებული. „სასამართლოს მოხელეების ჯამაგირსაც უფრო ეს გადასახადი შეადგენდა (იხ. *„დასტურლამალი მეფის ვახტანგ მეექვსისა“*, პ. უმაკაშვილის რედაქტორობით, ტფ. 1886, 56-58) და თუ სახელოვანს სოლომონ მსაჯულს რვა თუმანი ჯამაგირი ჰქონდა, ეს იმიტომ, რომ შესავალი ბევრი ერგებოდა“ (*ნ. ხიზანაშვილი*, დასახ. ნაშრომი, 55)
53. *ნ. ხიზანაშვილი*, დასახ. ნაშრომი, 56
54. *იქვე*, 57-58
55. *ნ. ხიზანაშვილი*, ფშავ-ხევსურეთი, 58
56. *იქვე*, 57-58
57. *იქვე*, 58-59
58. *ნ. ხიზანაშვილი*, დასახ. ნაშრომი, 59
59. *იქვე*, 60
60. *იქვე, 60*
61. *ნ. ხიზანაშვილი*, დასახ. ნაშრომი, 60-61
62. *იქვე*, 61
63. *ნ. ხიზანაშვილი*, დასახ. ნაშრომი, 62
64. *იქვე*, 63
65. *ნ. ხიზანაშვილი*, დასახ. ნაშრომი, 64
66. *იქვე*, 65
67. *ნ. ხიზანაშვილი*, დასახ. ნაშრომი, 65-66
68. *ი. დოლიძე*, ძველი ქართული სამართალი, 8-11; *ივ. სურგულაძე*, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის იტორიისათვის, თბ., 1952, 17
69. *ნ. ხიზანაშვილი*, ფშავ-ხევსურეთი, 2
70. *Жан-жак Руссо.* Способствовало ли возрождение науки и искуства улучшению нравов. Избранные сочинения. I, М., 1961: მისივე, Исповедь. Избранные сочинения. III. М., 1961
71. *ივ. სურგულაძე*, დასახ. ნაშრომი, 17-18

### 3. *XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართველი მეცნიერ-მკვლევარები და სა ზოგადო მოღვაწეები საქართველოს ეთნოლოგიის სამსახურში*

1. *პ. უმიკაშვილი*, ჩვენი მიწა-წყლის საქმე, დროება, 1883, 73; მისივე, ხევსურების ყოფა, დროება, 1883, 18; *მისივე*, გურჯები (ქართველები) ოსმალეთში, ივერია, 1888, 21; *მისივე*, დასაწყისი განახლებისა, ივერია, 1890, 224; *მისივე*, ტფილისის ქართველობა, ივერია, 1890, 113; *მისივე*, ტფილისის ქართველთა ინტელიგენცია, ივერია, 1889, 114 და სხვ.
2. *პ. უმიკაშვილი*, ხალხური სიტყვიერება, ნაწილი I, ლექსები, ანდაზები, გამოცანები. რედაქცია, ბიბლიოგრაფია, წინასიტყვაობა და შენიშვნები ფ. გოგიჩაიშვილისა, ტფილისი, 1937; *მისივე*, ხალხური სიტყვიერება, I-IV, შემდგენელი *მ. ჩიქოვანი* და *ვ. მაცაბერიძე*, წინასიტყვაობა, შენიშვნები და რედაქცია მიხეილ ჩიქოვანისა, თბ., 1964

3. გაზეთი ივერია, 1877, № 13, 15, 18 და შმდ., 1883, № 160 და შმდ., 1904, № 123 და შმდ.; გაზეთი დროება, 1871, № 22 და შმდ.; ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდები, №№ 13-15, 50, 75-78 და შმდ., 1887, № 272 და სხვ.
4. *ბესარიონ ნიჟარაძე*, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ალ. რობაქიძის რედაქტორობით, I-II, თბილისი, 1962-1964
5. *იქვე*, 4-6
6. *ბესარიონ ნიჟარაძე* (*სვანი*), ჩვეულებითი მართლიერება სვანეთში: სასამართლო წარმოება, ივერია, 1886, 49; *მისივე*, თემი, ოჯახი, ივერია, 1886, 55; *მისივე*, ცოლ-ქმრობა, გათხოვილი ქალიშვილის უფლება, გაყრა, მემკვიდრეობა, მიწის მფლობელობა, საზოგადო, სასოფლო და სათემო ადგილები, დამნაშავისა და მტრის უფლებანი, ივერია, 1886, №62; *მისივე*, საზოგადოების მოვალეობანი და მისი დამოკიდებულება სხვა საზოგადოებასთან, მისაცემი ძიძისა, მჭედლისა და სხვა მოჯამაგირეთა, საქონლის გაკვება, სხვა-და-სხვა დანაშაული და საზღაურის რაოდენობა მის კვალობაზე, ზომები, სანყაევები, ივერია, 1886, 72-73.
7. *ბესარიონ ნიჟარაძე* (*სვანი*), თემი, ოჯახი, ივერია, 1886, 55
8. *ბესარიონ ნიჟარაძე* (*სვანი*), ცოლ-ქმრობა, გათხოვილი ქალიშვილის უფლება, ივერია, 1886, №62; *მისივე*, საზოგადოების მოვალეობანი და მისი დამოკიდებულება სხვა საზოგადოებასთან, ივერია, 1886, 72-73; *მისივე*, უშგულის აღწერა, ივერია, 1888, 35, 37; *მისივე*, იალბუზის გარშემო, ივერია, 1889, 100-104, 107, 110-115 და შმდ.
9. *ბესარიონ ნიჟარაძე (სვანი)*, საზოგადოების მოვალეობანი და მისი დამოკიდებულება სხვა საზოგადოებასთან, მისაცემი ძიძისა, მჭედლისა და სხვა მოჯამაგირეთა, საქონლის გაკვება, სხვა-და-სხვა დანაშაული და საზღაურის რაოდენობა მის კვალობაზე, ზომები, სანყაევები, ივერია, 1886, 72-73
10. *ბესარიონ ნიჟარაძე (თავისუფალი სვანი)*, სახალხო დღესასწაულები სვანეთში: შობა-ახალწელიწადი, შრომა, 1883, V, 26-20; *მისივე*, ლიფაანალ, შრომა, 1883, VI, 9,22; *მისივე*, ლიმპარი და ლიქერაში, , შრომა, 1883, VI, 23, 24; *მისივე*, სახალხო დღესასწაულები სვანეთში, დროება, 1884, 149, 152
11. *ბესარიონ ნიჟარაძე (თავისუფალი სვანი)*, სვანების საიქიო (ეთნოგრაფიული წერილი), ივერია, 1888, 116, 118
12. *Висарион Нижарадзе*. Сванетские пословицы, загадки и песни, СМОМПК. X. 1890.
13. *ბესარიონ ნიჟარაძე (სვანი)*, სვანური ზღაპრები, ქუთაისი, 1893
14. *ი. მეუნარგია*, ჩვენებური საქართველოს გერბი, დროება, 1880, VIII, 14, 171; *მისივე*, ქართული წელთაღრიცხვა, დროება, 1880, IX, 4, 126; *მისივე*, ერთი დღე თონეთში (მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულებები), დროება, 1880, XI, 5, 232 და სხვ.
15. *იონა მეუნარგია*, საქართველოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, მასალები და დოკუმენტები. ს. ცაიშვილის რედაქციით, თბილისი, 1939
16. *იონა მეუნარგია*, დასახ. ნაშრომი, 94-101
17. *იქვე*, 102-105
18. *იქვე*, 106-111
19. *იქვე*, 122-127
20. *იქვე*, 148-152
21. *მ. ჯანაშვილი*, საინგილო, სასოფლო გაზეთი, 21, 1877; მისივე, საინგილო, დროება, 229, 1978; მოგზაურობა საინგილოში, დროება, 145-146, 1980; *მისივე*, მოგზაურობა კახეთში, დროება, 119-117, 1881; *მისივე*, მოგზაურობა ქართლში, დროება, 39, 54, 57-58, 59, 1882; *მისივე*, Кахи, Кавказ. 150, 1884; *მისივე*, საინგილო, ივერია, 87, 1888
22. *М. Джанашвили*. Краткий очерк Кахского участка в географическом, этнографическом и сельскохозяйственном отношении. ТКОСХ, №3, 1887; *მისივე*, საინგილო, გეოგრაფია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, ძველი საქართველო, II, ტფილისი, 1913; *მისივე*, საინგილო, ტფილისი, 1910
23. *М. Джанашвили*. Абхазия и абхазцы (этнографический очерк), ЗКОИРГО, XVI, 1904
24. *М. Джанашвили*. Этимология картвельских этнографических и географических имен, СМОМПК, XXVII, 1900

25. *მ. ჯანაშვილი*, ტფილისის მაზრა, ისტორია, ეთნოგრაფია, მეურნეობა, ივერია, 12, 23, 1890; *მისივე*, Грузины и грузинки. НО. №4622. 1897; *მისივე*, Гори и его окрестности. СМОМПК. XXXIV; *მისივე*, მესხეთი, საქართველო, 45-46, 1915; *მისივე*, მესხეთი, ტფილისი, 1915
26. *მ. ჯანაშვილი*, ბოსლობა რაჭაში, ივერია, 2, 1890
27. *მ. ჯანაშვილი*, ჩერქეზნი, საქართველო, 96, 1919; *მისივე*, აბაზინები, საქართველო, 97, 1919; *მისივე*, ჩეჩნები, საქართველო, 98, 1919; *მისივე*, ლეკები, ოსები, საქართველო, 98, 200, 1919
28. *М. Джанашвили*. О родстве грузинского языка с индо-европейскими. Доклад на заседании подсекции этнографии и лингвистики 18 июля 1913 г., Тифлис 1913; *მისივე*, ქართველები და ქართული ენა, საქართველო, № 18, № 21, 1915
29. *А. Хаханашвили*. Древнейшие пределы расселения грузин по Малой Азии. Чтения в Обществе истории и древностей российских при Московском университете. 1890
30. *А. Хаханашвили*. О мохевцах. Сборник материалов по этнографии. издаваемый при Дашковском этнографическом музее. ДЭМ. 3. 1888; *მისივე*, Тушины. ЭО. 1889 და სხვ.
31. *А. Хаханашвили*, Праздник нового года у грузин. ЭО. 3. 1888: *მისივე*, Обычай грузинских крестьян при паханин. ЭО. 7. 1891; *მისივე*, Земледельческие обычай крестьян в Кахетп. ЭО. 3. 1894: *მისივე*, Языческая религия грузин. Кавказ и Средняя Азия. Баку. 1899 და სხვ.
32. *А. Хаханашвили*. Суд общины у грузин-горцев. ЭО. 1. 1893
33. *А. Хаханашвили*. О мохевцах. ДЭМ. 3. 1888; *მისივე*, Тушины. ЭО. 1889: Месхи. ЭО. 1891 და სხვ.
34. *დ. ჯანაშვილი*, ისტორიული შენიშვნა საინგილოზე, მნათობი, 1872, 405; *მისივე*, ინგილო, მნათობი, 1870, 2-3; *მისივე*, აღწერა კახეთისა, მნათობი, 1872, 8; *მისივე*, საინგილოს მიმოხილვა, მნათობი, 1887, 8-9; *მისივე*, ზაქათალიდგან, მნათობი, 1872, III, 24, 12 და სხვ.
35. დ. ჯანაშვილი, საჭიროა ამჟამად თხზულებანი იწერებოდნენ ქართულ ენაზედ თუ არა? ცისკარი, 1865, 4-5
36. *დ. ჯანაშვილი*, ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა ჰერეთისა, ტფილისი, 1903; მისივე, შაჰ-აბასის შემოსევა და საინგილო, ტფილისი, 1907
37. *ზ. ჭიჭინაძე*, აჭარა, ივერია, 1893, 248, 250-251, 263 და შმდ.; *მისივე*, შავშეთი (ართვინის ოლქი), ივერია, 1895, 186; *მისივე*, წერილი მაჭახელიდან, ივერია, 1893, 165-166; *მისივე*, წერილი ლივანიდან, ივერია, 1893, 165-166; *მისივე*, წერილი მურღულიდან, ივერია, 1893, 169-172 და სხვ.
38. *ზ. ჭიჭინაძე*, ქართველი კათოლიკე მოღვაწენი და მესხეთ-ჯავახეთის ცნობები, ტფილისი, 1904; *მისივე*, სამცხე-საათაბაგო, ისტორიული და ეთნოგრაფიული ცნობები ხალხზედ, ვაჭრობაზედ, კათოლიკობასა და მათ სამღვდელოებაზედ და სხვ. ტფილისი, 1905; *მისივე*, ისტორია ოსმალეთის, ყოფილი მუსლიმან ქართველთა საქართველოსი, ბათუმი, 1911; *მისივე*, მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფილისი, 1913; *მისივე*, ოსმალეთის ყოფილი საქართველო და ქართველ მაჰმადიანთა ნაწილი. ლაზისტანი ისტორიული და ეთნოგრაფიული მხრით, ტფილისი, 1927
39. ზ. ჭიჭინაძე, მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, 9-31; *მისივე*, ოსმალეთის ყოფილი საქართველო და ქართველ მაჰმადიანთა ნაწილი. ლაზისტანი ისტორიული და ეთნოგრაფიული მხრით, ტფილისი, 64-91 და შმდ.
40. *ა. ხუნდაძე*, ცნობილი ქართველი პედაგოგი ნიკო ჯანაშია, თბ., 1949, 3-8 და შმდ.
41. *Н. С. Джанашия*, Религиозные верования абхазцев. Христианский Восток. XB. IV. 1915; *მისივე*, Абхазский культ и быт. XB. V. 3. 1916; *მისივე*, Статьи по этнографии Абхазии. Предисловие. Х. С. Бгажба. Сухуми. 1960; *მისივე*, აფხაზები, აკაკის კრებული, 8, II, 1898, 4, II, 1899; *მისივე*, აფხაზური ლეგენდა, აკაკის კრებული, 5, III, 1898; *მისივე*, აფხაზები (ეთნოგრაფიული მასალები), მოამბე, 2, 5, 11, II, 1897, 7, 11, II, 1898

*4. კავკასიათმცოდნეობითი ეთნოლოგიის ძირითად მიმართულებათა განსაზღვრისა და თეორიული და მეთოდოლოგიური განზოგადოების პირველი ცდები XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისის უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა ნაშრომებში*


1. *გ. ყორდანია*, კავკასიის მუზეუმის დაარსება, თბ., 1952, 14-36 და შმდ.
2. *G. J. Radde*. Die Chewsuren und ihr Land. Ein monografischer Vewsucht in Sommer 1897. *Gassel*. 1878; Г. Радде, Хевсурия и хевсуры (Опыт монографий). Описание путешествия, совершенного летом 1876 года. Перевод с немецкого под ред. Е. Г. Вейденбаума, ЗКОИРГО, 11, 1880, 2, 14, 1890; *მისივე*, Заметки о Хевсурии, ЗКОИРГО, 2, 14, 1887
3. *Г. И. Радде*. Предварительный отчет о путешествии доктора Г. Радде по Кавказу летом 1855 г., ЗКОИРГО, VII, вип. II, 1872; *მისივე*, Хевсурия и Хевсури. Описание путешествия летом 1876 года. ЗКОИРГО, 11, 1880, 2, 14, 1890
4. *Г. И. Радде*, Краткий путеводитель по Кавказскому музею. Тифлис, 1899
5. *М. О. Косвен*. М. М. Ковалевский как этнограф-кавказовед. Этнография и история Кавказа, Исследования и материалы. М., 1961, 223-225
6. *М. М. Ковалевский*. Некоторые архаические черты семейного и наследственного права Осетин, Юридический вестник (ЮВ), 6-7, 1885; *მისივე*, Современный обычай и древний закон, Обычное право осетин в историко-сравнительном освещении, тт. 1-2, М., 1886
7. *М. М. Ковалевский*. У подошвы Эльбруса, Вестник Европы, ВЕ, 1-2, 1986; *მისივე*, В Сванети, ВЕ, 8-10, 1886
8. *М. О. Косвен*, დასახ. ნაშრომი, 228-229
9. *М. М. Ковалевский*. Родовое устройство Дагестана, ЮВ, 12, 1888; *მისივე*, Дагестанская народная правда, ЭО, 1, 1890
10. *М. М. Ковалевский*. Закон и обычай на Кавказе, тт. 1-2, М., 1890
11. იხ. ზემოთ მითითებული წერილები სვანეთზე და დაღესტანზე, აგრეთვე *М. М. Ковалевский*, Пшавы. Этнографический очерк, ЮВ, 2, 1888; *მისივე*, В горских обществах Кабарды, ВВ, 4, 1884
12. *М. М. Ковалевский*. Поземельные и сословные отношения у горцев Северного Кавказа. Русская мысль. №12, 1883; *მისივე*, Поклонение предкам у кавказских народов. Вестник всемирной истории 3, 1902
13. *М. О. Косвен*, დასახ. ნაშრომი, 244
14. *იქვე*, 243
15. *М. О. Косвен*. Материалы по истории и этнографии Кавказа в русской науке, Кавказский этнографический сборник. КЭС, I, М., 1955, 368
16. *А. П. Берже*, Прикаспийский край, КК на 1857 год; *მისივე*, Краткий обзор горских племен на Кавказе, КК на 1858 год; *მისივე*, Материалы для описания Нагорного Дагестана с картой, КК на 1859 год; *მისივე*, Краткий очерк путешествия по Дагестау, Кавказ, 1-3, 1862
17. *А. П. Берже*, Отрывок из путешествия по Мингрелии, Кавказ, 25, 1868
18. *А. П. Берже*, Татарское племя на Кавказе, Кавказ, 86-87, 89-91, 1850; *მისივე*, Выселение горцев с Кавказа, Русская старина, РС, 1-2, 10, 1882
19. *А. П. Берже*, О народных праздниках, постах и знаменательных днях у мусульман-шиитов вообще и у персидских в особенности, КК на 1856 год.
20. *А. П. Берже*, Этнографическое обозрение Кавказа, Труды 3 Международного съезда ориенталистов в С. Петербурге, 1, СПб., 1879-1880
21. *М. О. Косвен*, Материалы по истории этнографии Кавказа, КЭС, II, М., 1953, 289; *Л. М. Меликсетбеков*, Е. Г. Вейдетбаум как кавказовед, Известия кавказского музея, т. XII, 1919,78-80
22. *Е. Г. Вейдетбаум*, О священном дереве "Сегут", ИКОИРГО, 1873; *მისივე*, Священные рощи и деревья у кавказских народов, Тифлис, 1888
23. *Е. Г. Вейдетбаум*, Заметки об употреблении камня и металлов у кавказских народов, ИКОИРГО, IV, 3,5,1876

24. *Е. Г. Вейдетбаум*, Кавказские амазонки (материалы для древней этнографии Кавказа), Знание, №9-10, 1872
25. *Е. Г. Вейдетбаум*, От Батуми до Артвина, Кавказ, 6-10, 1879
26. *Е. Г. Вейдетбаум*, Кавказские этюды и заметки, Тифлис, 1901
27. *М. О. Косвен*, Материалы по истории и этногрфии Кавказа в русской науке КЭС, II, М., 1958, 268
28. *Н. Ф. Дубровин*, История войны и владычества русских на Кавказе, I-VI, СПб., 1876-1888
29. *Н. Ф. Дубровин*, Очерк Кавказа и народов его населяющих 1. Кавказ, 2. Закавказье, 3. Библиографический указатель источников к двум первым книгам, СПб., 1871
30. *R. Ercert*, Der Caucasus and seine Volker, Lpz., 1887; *მისივე*, Sprachen des caucasishen Stammes. Bd., 1-2, W., 1895; *Р. Ф. Эркерт* (Фон), Антропологические измерения кавказских народов и описание измерении субъектов, ИКОИРГО, VIII, 1873
31. *К. А. Бороздин*, Крепостное состояние в Мингрелии, ЗКОИРГО, VIII, 1873; *მისივე*, Закавказские воспоминания, Мингрелия и Сванетия с 1854 по 1861 год, СПб., 1885
32. *А. И. Стоянов*, Путешествие по Сванети, ИКОИРГО, X, 1880; *მისივე*, Народные предания и пословицы в Сванети, СМОМПК, 10 1890
33. *Г. Ф. Чурсин*, Культ железа на Кавказе, К, 173, 1901; *მისივე*, Культ Мертвых на Кавказе, К, 97, 1901
34. *Г. Ф. Чурсин*, Почитание огня на Кавказе, К, 121, 1902; *მისივე*, Почитание деревьев на Кавказе, К, Иллюстрированное приложение, 5, 1903
35. *Г. Ф. Чурси*,. Свадебные обичай и обряды на Кавказе, К, 2, 1902
36. *Г. Ф. Чурсин*, Очерки по этнологии Кавказа, Тифлис, 1913
37. *Г. Ф. Чурсин* Народные обычаи и верования в Кахети, ЗКОИРГО, XXV, 1906, 2; *მისივე*, Свадьба у тушин, К, 202, 1904; *მისივე*, Материалы по этнографии Абхазии, Сухуми, 1957; *მისივე*, Этнографическая поездка Г.Ф.Чурсина в Аджаристан, Известия Кавказского историко-археологического Института в Тифлисе, 4,1926; *მისივე*, Бахмаро (урочище в Озургетском уезде), Кавказ, 288, 1901
38. *გ. ჩურსინი, ა. ლიაისტერი*, კავკასიის გეოგრაფია, ტფ., 1924; მათივე, ამიერკავკასიის გეოგრაფია, ტფ., 1929.
39. *А. Гакстгаузен*, Закавказский край. Заметки о семейной и общественной жизни и отношениях народов, обитающих между Черным и Каспийским морями, СПб., 1856-1857, 18-37; *მისივე*, Исследования внутренних отношений народной жизни и в особенности учреждении России т. 11, М., 1870, 34-35 და სხვ.
40. *А. Гакетгаузен*, Закавказский край, 37-50
41. *იქვე*, 99-113
42. *იქვე*, 116-117
43. *А. Гакетгаузен*, Закавказский край, 117-118
44. *იქვე*, 116-117
45. *გ. ჩიტაია*, ქსნური მთის გუთანი, შრომები, I, თბ., 1997, 80-87
46. აღნიშნული მცდარი შეხედულების კრიტიკულ შეფასებას ჩვენ ქვემოთ შევეხებით
47. *М. О. Косвен*, Материалы по истории и этнографии Кавказа в русской науке, КЭС, Ш, М.-Л., 1962, 217-218
48. *C. Hahn*, Neue Kaukasishe Reisen und Studien. Reisen nach Mingrelien, Sammurzakan und Abchazien. Leipzig. 1911; *К. Ф. Ган*, Поездка в Мингрелию, Самурзакан и Абхазию (летом 1900 г.), Кавказский вестник, КВ, 4,5.1902; *მისივე*, Поездка к верховьям большой Лиахвы и Ксани летом 1903 г., СМОМПК, 35, 1892
49. *C. Hahn*, Die Vorstellungen der Swanete von dem Leben nach dem Tode Ausland, 65, 1892
50. *C. Hahn*, Bilder Aus dem Kaukasus. Neue Studien zur kenntis Kaukasiens, Leipzig, 1900. *მისივე*, Нечто об одежде и религии Хевсур, Кавказ, 166, 1898

# თავი მეოთხე
## *ქართული მწერლობა და საქართველოს ეთნოლოგია*

### 1. ქართველი „სამოციანელები" და საქართველოს ეთნოლოგიის განვითარების ძირითადი მიმართულებები

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველო ახალი პოლიტიკური რეალობის წინაშე აღმოჩნდა. საქართველოს რუსეთთან შეერთებით გადაწყდა „ბედი ქართლისა". კვლავ მწვავედ დაისვა ქართველი ხალხის ყოფნა-არყოფნის საკითხი, რაც საუკუნეების განმავლობაში აწუხებდა ქვეყნის საუკეთესო შვილებს. მიუხედავად ამისა, ალბათ, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ საქართველო მძლავრი „მფარველის" მეშვეობით გადაურჩა ირანელი და თურქი აგრესორების მხრივ დაპყრობა-დანაწილებას. ფეოდალურ სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებული ქვეყანა კვლავ გაერთიანდა, საქართველომ დაიბრუნა თავისი ისტორიული მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი და ქართველი ხალხის კონსოლიდაციის საქმეს მტკიცე საფუძველი ჩაეყარა[1]. თეზისი, რომ „აზიურ ფეოდალურ-პატრიარქალური ურთიერთობით დამძიმებული ირანისა და თურქეთისაგან განსხვავებით, რუსეთი საქართველოს ევროპეიზაციის გზას უხსნიდა და მას მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის სისტემაში აბამდა... განსაკუთრებით ცხადი გახდა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა რუსეთში და საქართველოშიც ბატონყმობა გაუქმდა და კაპიტალისტური წყობილება გაბატონდა.[2] გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქართველი საზოგადოებრიობის მოწინავე ნაწილმა, პირველ რიგში „თერგდალეულებმა" და მათმა სულიერმა მემკვიდრეებმა რუსეთში მიიღეს სწავლა-განათლება, მოწინავე იდეებით შეიარაღდნენ და შემდეგ თავიანთი ცოდნა საქართველოს ინტერესებს მოახმარეს.

ცარიზმის ხელისუფლების მიერ საქართველოს ანექსიის უარყოფითი შედეგები პირველ რიგში ეროვნული სახელმწიფოებრიობის დაკარგვაში გამოიხატა. ამასთან, იმ დროისათვის რუსეთი ბატონყმურ-ფეოდალურ მონარქიას წარმოადგენდა და მთელ ევროპაში რეაქციის ერთ-ერთი მთავარი ბურჯის როლს ასრულებდა. მართალია, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა რუსეთის ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის საქმეში, მაგრამ ის მაინც ფეოდალიზმის მძლავრი გადმონაშთების მარწუხებში რჩებოდა. თვით რუსი ხალხი ცარიზმის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის მძიმე ჩაგვრას განიცდიდა[3].

რაც შეეხება საქართველოს, იგი ორ გუბერნიად გაყოფილი რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა. რუსეთი მას თავისად თვლიდა და ყოველი მისი მოქმედება რუსეთის იმპერიული ინტერესებიდან გამომდინარეობდა. საქართველო, როგორც რუსეთის იმპერიის განაპირა მხარე, ქვეყანა, რომელიც იმპერიას უნდა აეთვისებია პოლიტიკურად, ეკონომიკურად, კულტურულად, ენობრივად და ეთნიკურად, ე.ი. მოეხდინა მისი სრული ასიმილაცია, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. რუსეთის ხელისუფლება თავისი მიზნების მისაღწევად მკაცრი ზეწოლისა და ძალადობის პოლიტიკასაც არ ერიდებოდა. ქართველი ხალხის, საერთოდ და, კერძოდ, მისი მოწინავე საზოგადოებრიობის

წინაშე კვლავ დადგა პრობლემა: შეძლებდა თუ არა იგი თავისი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას, მრავალსაუკუნოვანი კულტურის, ენისა და ლიტერატურის შემდგომ განვითარებას? ამ კითხვაზე პასუხი პირველ რიგში სამოციანელებმა გასცეს. „თერგდალეულებმა“ ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, წინა პლანზე სწორედ ეროვნული პრობლემა წამოწიეს და ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხი მას დაუმორჩილეს. საჭირო იყო ღრმად მიძინებული ერის გამოღვიძება, მთელი საზოგადოებრივი, პოლიტიკური და კულტურული ძალების კონსოლიდაცია და ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებისათვის დაქვემდებარება. ეს იყო სამოციანელების ძირითადი მისია. ისიც აღსანიშნავია, რომ რუს პოლიტიკოსთა შორის, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში, პროგრესულად მოაზროვნეებიც იყვნენ; რუს მეცნიერთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთაც საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიასთან მიმართებაში წმინდა მეცნიერული ინტერესები ამოძრავებდათ. ქართველი მოღვაწეებიც მათთან მჭიდრო კონტაქტებსა და თანამშრომლობაში ხედავდნენ გამოსავალს და თავიანთი საქმიანობა რუსეთში მიმდინარე განმათავისუფლებელი მოძრაობის ნაწილად აქციეს.

სწორედ ამ პერიოდში გამოდის ფართო საზოგადოებრივ სარბიელზე *ილია ჭავჭავაძე,* რომლის სპეციალური სტატია, *„ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ“* (1887 წ.) პროგრამული დოკუმენტის ხასიათს იძენს[4]. ილია ჭავჭავაძე სათანადოდ აფასებდა ჩვენში ჯერ კიდევ ადრე და, განსაკუთრებით XIX საუკუნის შუა ხანებიდან წამოწყებულ იმ დიად საქმეს, რასაც მაშინ *რაფიელ ერისთავი* და *ნიკოლოზ ხიზანაშვილი* ეწეოდნენ. ამასთან იგი აღნიშნავდა, რომ საქართველოს „განათლებულ საზოგადოებაში“ დიდი ხანია დაწყებულია ზეპირსიტყვიერი მასალის შეკრება-შეგროვების მეტად სასარგებლო საქმე, მაგრამ სამწუხაროდ შეინიშნება ფოლკლორით ზედმეტი გატაცება, მაშინ როდესაც ჯეროვნად არაა დაფასებული ხალხის ზნე-ჩვეულებების, ეროვნული ტრადიციების შესწავლა. ავტორის სიტყვებით, ხალხის ინტელექტუალური და სხვაგვარი საგანძური მჟღავნდება არა მარტო პოეზიაში: ისინი ინახება ზნე-ჩვეულებებში, რომელიც ეკუთვნის ხალხის ცხოვრების ეკონომიკურ და იურიდიულ მხარეებს[5].

ილიას მიდგომა აღნიშნული საკითხის ეთნიკურ, ეროვნულ თავისებურებათა კვლევის აუცილებლობის თვალსაზრისით, სცდება ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების უბრალო განსაზღვრა-დეფინიციის ფარგლებს და ღრმა თეორიული და მეთოდოლოგიური ინტერპრეტაციის მნიშვნელობას იძენს. და თუმცა, ამ საკითხზე დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ, აქ შევეცდებით მოკლედ შევეხოთ მის შეხედულებებს იმ თვალთახედვით, რომელიც თავისი ფილოსოფიური მსოფლგაგებით და პრაქტიკული, ცხოვრებისეული რეზონანსით იმთავითვე ილიასა და მისი თანამებრძოლების, გამოჩენილი ქართველი მწერლების შემოქმედების ხალხური, ეთნოგრაფიული საწყისების კრედოდ იქცა.

ილია ჭავჭავაძის აზრით, „ფრიად სასარგებლო უნდა იყოს ყველა შეგნებული ქართველისათვის, იცოდეს, – რაგვარ და რომელ ჩვეულებას მისდევს ხალხი თავის ეკონომიკურ და იურიდიულ ურთიერთობის შესახებ. ეს სფერო ცხოვრებისა მთელს სურათს გადაუშლის ჩვენს მოწინავე საზოგადოებას და ცხოვრების სურათი კიდევ დაგვანახვებს ხალხის ავსა და კარგს. იმის შეხედულობას

სიმართლეზეც, ერთურთს დამოკიდებულებაზედ". ავტორის შეხედულებით მკვეთრ გამიჯვნას მოითხოვს ხალხური წეს-ჩვეულებების არსი და დანიშნულებაც. ჩვეულებას, რომლის მიხედვით ხდება ურთიერთობათა რეგულირება, ილია ჭავჭავაძე უწოდებს ხალხის *„ნაწარმოებს“*, მის *„გონებით თუ სხვაგვარ საუნჯეს“*. კულტურისა და ყოფის თავისებურებას ილია უყურებს როგორც ინფორმაციის წყაროს, რომლის მეშვეობით უნდა შეისწავლებოდეს ადამიანთა „წადილი და საჭიროება", „თუ რა სურს ხალხს და რას უქცევს ზურგს იგი". ამ ინფორმაციის სანდოობის თვალსაზრისით იგი უდარებს ერთმანეთს ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის მონაცემებს, რის შედეგად ასკვნის, რომ ფოლკლორი „...უფრო ფანტაზიის ნაყოფია და ფანტაზია კიდევ მაგრე-რიგად არ ეწყობა და არ ემორჩილება ზნეობით კანონის მოთხოვნილებას", რადგან ხშირად ხალხი „...დამღერის და დაჰხარის ისეთს საგანს და მოვლენას, რომელიც ძირეულად ეწინააღმდეგება ცხოვრების სიკეთესა და ცრუმორწმუნეობაზედ არის აგებული"[6].

ილია ჭავჭავაძეს ორიგინალური შეხედულებები გააჩნდა ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებათა ხასიათზე, მის ადგილსა და როლზე საზოგადოების პრაქტიკულ მოთხოვნათა თვალთახედვით. ილია სრულიად რეალისტურად უყურებდა ხალხურ წეს-ჩვეულებათა სფეროს და მკაფიოდ განასხვავებდა ამ სფეროში არსებულ დადებით და უარყოფით მოლენებს. იგი არ უარყოფდა ტრადიციების სარგებლობას თანამედროვეობის გარდაქმნის საქმეში, მაგრამ ამავე დროს შენიშნავდა: „რაღა თქმა უნდა, რომ აქ იგულისხმება მარტო გონიერი, კეთილ-ზნეობითი, საერთოდ აღიარებული ჩვეულება, რომელიც ხალხის სიტყვით, რჯულთ უმტკიცესია, რომლის უარყოფა ხალხს უსამართლობად მიაჩნია და რომელიც მეცნიერებაში რჯულმდებლების სათავედ ცნობილია"[7]. ი.ჭავჭავაძე თავს არიდებდა უნაყოფო მსჯელობას იმის შესახებ, თუ *რა განსხვავება იყო ტრადიციასა და გადმონაშთს შორის, არსებობდა თუ არა უარყოფითი ტრადიცია და დადებითი გადმონაშთი* – მას სავსებით აშკარად ჰქონდა გამოკვეთილი დებულება, რომ ხალხურ წეს-ჩვეულებათა შორის ზოგი სასარგებლოა და ზოგი მავნებელი. ილია ჭავჭავაძე შორს იყო წარსულის იდეალიზაციისაგან, წარსულს იგი თანამედროვეობის თვალსაზრისით უყურებდა და წარსულის მემკვიდრეობიდან მხოლოდ იმას თვლიდა მისაღებად, რასაც რაიმე სარგებლობის მოტანა შეეძლო თანამედროვეობისათვის[8].

ხალხური წეს-ჩვეულებების, ტრადიციებისა და, საერთოდ, ყოფა-ცხოვრების შესახებ ანალოგიური შეხედულებანი გააჩნდათ ქართული ლიტერატურის *„მთის არწივებს“* – *ვაჟა-ფშაველას* და *ალექსანდრე ყაზბეგს*. ისინი მთლიანად იზიარებდნენ ილია ჭავჭავაძის ძირითად პრინციპებს, თუმცა ქართველ მთიელთა ძველი ყოფის ერთგვარ იდეალიზაციას ვერ ასცდნენ. გარკვეული თვალსაზრისით ეს ბუნებრივიც იყო – არა ერთი და ორი მაგალითის დასახელება შეიძლება, როდესაც მზარდი ბურჟუაზიის მიერ მოტანილ სიავეს წარსულის სიკეთე უპირისპირდებოდა. ევროპული ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია მკვეთრად ჩამოყალიბებული მიმართულება, რომელმაც *„მთური პოეზიის“* სახელი მიიღო. ეს მიმართულება გამოირჩევა იმით, რომ იგი მთიელთა და ბარელთა ყოფაცხოვრების დაპირისპირების შედეგად მთიელების ძველ ყოფას მიიჩნევს ახალი ცხოვრების საწყის ფორმად[9].

ქართველი და კავკასიელი ხალხების ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების იდეური საფუძვლები არსებითად ანალოგიურადაა შეფასებული *აკაკი წერეთლის* ლიტერატურულ შედევრებშიც, რომლებიც ქართველ და კავკასიელ მთიელთა ყოფა-ცხოვრების მხატვრული ასახვისადმია მიძღვნილი.

ამრიგად, *არსებითად იზიარებდნენ რა ილია ჭავჭავაძის აღნიშნულ თეორიულ შეხედულებებს, აკაკი წერეთელს, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგსა და მათ თანამებრძოლებს,* რომლებმაც ქართული ეთნოგრაფიის სათავეებთან უდიდესი ამაგი დასდეს ამ ეროვნული მეცნიერების განვითარებას, *ეროვნული კულტურული ფასეულობათა მიმართ ერთიანი იდეური მსოფლმხედველობა გააჩნდათ. ისინი ერთნაირი სიფაქიზითა და გულისყურით ეკიდებოდნენ ქართველი ხალხის ხელითა და გონებით შექმნილ კულტურულ-ყოფილ რეალიებს – მეურნეობის დარგებსა და ფორმებს, ხალხურ საცხოვრებელსა და სამეურნეო ნაგებობებს, სამეურნეო იარაღ-ინვენტარსა და სატრანსპორტო საშუალებებს, ორნამენტს, ტანსაცმელსა და ხალხურ სამზარეულოს და ა.შ. განსაკუთრებული გულისყური ჰქონდათ მიქცეული მშობლიური ერის სულიერი კულტურისა და ტრადიციული სოციალური ინსტიტუტების ფუნქციონირებისადმი, კერძოდ, სხვადასხვა რიტუალებისა და რწმენა-წარმოდგენების, ხალხური დღეობებისა და დღესასწაულების, თქმულება-გადმოცემებისა და ლეგენდების, აგრეთვე საოჯახო და სასოფლო თემის, ნათესაობის სისტემის, ქორწინებისა და საქორწილო ცერემონიალის, გლოვისა და დატირების ეროვნულ თავისებურებებ ზე და სპეციფიკურ ნიშნებ ზე.*

ქართველ მწერალთა შემოქმედებაში წარმოჩენილი ყველა ეს კომპონენტი კულტურულ-ყოფით ღირებულებათა და ფასეულობათა ფართო სპექტრს ქმნის და საბოლოო ჯამში საფუძვლად უდევს *ქართველი კაცის ცხოვრების წესს,* განსაზღვრავს *მის ეროვნულ მეობასა და ცნობიერებას*[10].

განხილული ეპოქის რეალური სინამდვილიდან გამომდინარე, შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო, რომ საქართველოში ეთნოგრაფიის დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად ფორმირების პროცესები და ქართველი ხალხის ტრადიციულ-ყოფითი კულტურის ელემენტების კვლევა და ანალიზი, მეცნიერულად გამართული თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპების გათვალისწინებით, წმინდა სამეცნიერო-ორგანიზაციული საქმიანობის სფეროდან გამოვიდა და ქართული მწერლობის მხატვრული შემოქმედების წყაროდ იქცა.

თავის მხრივ, აღნიშნულ პერიოდში, ეროვნული მეცნიერების ამ დარგისადმი დამახასიათებელი დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინტერესით უნდა აიხსნას ქართველ მწერალთა შეუნელებელი ყურადღება ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული სინამდვილისადმი, რომლის მრავალფეროვანი სიუჟეტების მხატვრულ ასახვასთან ერთად, თავიანთ თხზულებებსა და პუბლიცისტურ წერილებში, ისინი არაერთგზის ეხებოდნენ და სრულყოფდნენ ახალჩამოყალიბებული ქართული ეთნოგრაფიის თეორიულ საფუძვლებს. ამასთან ერთად, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის, აკაკი წერეთლისა და სხვათა ცხოვრება და შემოქმედება, ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა გამოვავლინოთ, წარმოვაჩინოთ და მოვუაროთ ჩვენი ხალხის საუკუნოვან ტრადიციებსა და კულტურულ მემკვიდრეობას, ერის იმ სიმდიდრეს, რომლითაც იგი უნდა შევიდეს მსოფლიოს ცივილიზაციის საგანძურში.

## 1.1. *ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები*

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ეთნოგრაფიის მეცნიერული ფორმირებისა და ჩამოყალიბების პროცესში გამოჩენილი ქართველი მწერლის, საზოგადო მოღვაწისა და მეცნიერის *რაფიელ ერისთავის* ფუძემდებლური მოღვაწეობა შემთხვევით მოვლენას არ წარმოადგენდა. ბუნებრივია, გამონაკლისი *არც ნიკო ხიზანაშვილის* შემოქმედება გახლდათ. ამ პერიოდში სამოღვაწეო არენაზე გამოსული ქართველი სამოციანელების პოეტური და მეცნიერულ-პუბლიცისტური შემოქმედება, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენდა. მშრომელი ხალხის საუკუნოვანი ფეოდალურ-ბატონყმური ჩაგვრისაგან გათავისუფლება, კაპიტალიზმის, შესაბამისად კი ახალი საზოგადოებრივი ფენის, – ბურჟუაზიის აღმავლობა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების წინა პლანზე წამოწევა, ეროვნული თვითშეგნებისა და ეროვნული ცნობიერების გაღვივება, საზოგადოებათმცოდნეობაში ახალი მეცნიერული მიმართულებებისა და სკოლების, კერძოდ, ეთნოგრაფიის განვითარების პირველ ნაბიჯებს დაემთხვა. მართალია, საქართველოსა და კავკასიაში ეთნოგრაფიის, ისევე როგორც ეროვნული მეცნიერების სხვა დარგების განვითარება, მონინავე რუსული და ევროპული მეცნიერების კვალდაკვალ, და მასთან ერთად ყალიბდებოდა, მაგრამ რუს და უცხოელ მეცნიერებთან ერთად, საკუთარი ხალხის ტრადიციული ყოფისა და კულტურის შესწავლას საზოგადოებრივ სარბიელზე უკვე გამოცდილი ქართველი ინტელიგენცია, პირველ რიგში კი, ქართველი მწერლები ჩაუდგნენ სათავეში[1].

XIX საუკუნის ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შორის, რომელთაც მნიშვნელოვანი ღვაწლი დასდეს საქართველოში ისტორიული მეცნიერების და, მასთან ერთად, ეთნოგრაფიის განვითარებას, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს *ილია ჭავჭავაძეს*. მას აუცილებელ პირობად მიაჩნდა ისტორიული საკითხების სათანადო მეცნიერულ დონეზე კვლევა და მათი პოპულარიზაცია. თავად ილიამაც არაერთი ნაშრომი უძღვნა საქართველოს ისტორიის პრობლემებს და არა მარტო საქართველოს ისტორიის, არამედ მსოფლიოს ისტორიის საკითხებსაც. ილია აქტიურად ეხმაურებოდა იმ დროს რუსეთსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში მიმდინარე ისტორიულ, პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებს.

ილია ჭავჭავაძე თავის ერთ-ერთ საპროგრამო წერილში აჯამებდა რა XIX საუკუნის შედეგებს და განსაზღვრავდა XX საუკუნის ამოცანებს აღნიშნავდა, რომ ადამიანთა შორის წოდებრივ-კლასობრივი უთანასწორობის ლიკვიდაციისა და მშრომელი მასების წარმატების გზაზე, წინა საუკუნეებს, ყველას ერთად, იმდენი არ გაუკეთებია, რაც XIX საუკუნემ შეძლო. მიუხედავად ამისა, ამ პერიოდში ზღვარი ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის გაცილებით დიდი იყო, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ამ ტკივილების მოშუშება XIX საუკუნემ მომავალ XX საუკუნეს უანდერძა[2].

ქართველი ხალხის კონსოლიდაციას და მასში ეროვნული ღირსებების, ეროვნული თვითშეგნების გაღრმავებას ილია ჭავჭავაძე საკუთარი ისტორიის ცოდნაში ხედავდა. „არ ვიცით, სხვა როგორ ჰფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, აღნიშნავდა ილია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი,

თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენიება ის მაწანწალა ბოგანო, ვისაც აღარ ახსოვს – ვინ არის, საიდამ მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს... თუ კაცს თავისი ვინაობა არ ახსოვს რაღას მაქნისია? იგი ნადირია, რომელსაც, რაკი დედის ძუძუს მოჰშორებია, აღარ ახსოვს თავისი მშობელი და სიცოცხლის მიმნიჭებელი"[3].

როგორც *ივ.ჯავახიშვილი* შენიშნავს, ილია ჭავჭავაძის ღრმა რწმენით, ყოველმა კულტურულმა ერმა თავისი წარსული კარგად და სრული შეგნებით უნდა იცოდეს. ქართველებსაც ეს კარგად უნდა ჰქონდეთ შეგნებული, თუ სურთ წარმატებული არსებობა. ილიას „საქართველოს ისტორია ეროვნული თავმომწონეობის თვალსაზრისითა და ეროვნული სიამაყის გრძნობის ჩასანერგავად კი არ უნდოდა და სჭირდებოდა, არამედ მას წარსულის მხოლოდ უტყუარი და დაუნდობელი, მაგრამ პირუთვნელი შეფასება აინტერესებდა,"[4] სწამდა, რომ ისტორია ეს არის აწმყოს ახსნა წარსულისაგან[5], რაც მის მხატვრულ შემოქმედებაშიც აისახა.

ილიას, როგორც ფართო დიაპაზონის მწერალს, პოეტს, მკვლევარსა და საზოგადო მოღვაწეს არ აკმაყოფილებდა *„ქართლის ცხოვრება"*. მისი კვალიფიკაციით, „ჩვენი *„ქართლის ცხოვრება"* ხალხის ისტორია კი არ არის მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული... თვითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა საქმეთა"[6].

როგორც ვხედავთ, ილია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხალხია ისტორიის შემოქმედი და ისტორიაში, პირველ ყოვლისა, ხალხის ყოფა-ცხოვრება უნდა აისახებოდეს. ამისათვის კი აუცილებელი იყო სიძველეთა ნაშთების, არქეოლოგიური ძეგლების, ხელნაწერი დოკუმენტების და სხვათა საფუძვლიანი შესწავლა და ანალიზი. ბუნებრივია, იგი მოითხოვდა მათ სათანადო დაცვას და მოვლა-პატრონობას. ამიტომაც იყო, რომ მწერალი დიდი გულისყურით ეპყრობოდა სიძველეთა ნაშთებს, ისტორიულ წყაროებს, სიგელ-გუჯრებსა და სხვა ხელნაწერ დოკუმენტებს; ეხმაურებოდა ყოველ ახალ ნამოწყებას და ღონისძიებას, რაც საქართველოს ისტორიის კვლევა-ძიებასთან იყო დაკავშირებული. იგი დიდი იმედებით გამოეხმაურა 1881 წელს თბილისში გამართულ არქეოლოგთა ყრილობას[7], აგრეთვე 1889 წელს სიონთან მუზეუმის დაარსებას, სადაც თავმოყრილი იქნებოდა სიგელ-გუჯრები, საეკლესიო ნივთები და სხვა კულტურულ-ყოფითი რეალიები, რომლებიც მაშინ სხვადასხვა ადგილებში უყურადღებოდ იყო მიმოფანტული[8].

ილია ჭავჭავაძის ღვაწლი საქართველოს ისტორიაში სათანადოდ იქნა შეფასებული ქართველი ისტორიკოსების მიერ[9]. როგორც ივ.ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „ვინც მომავალში ქართული ისტორიოგრაფიის თავგადასავლის მე-19 საუკუნის ამბების შესწავლასა და აღწერას შეუდგება, ის ვალდებული იქნება ისიც აღნიშნოს, რომ ილ. ჭავჭავაძე დიდებული იყო მარტო პოეზიასა და პუბლიცისტიკაში კი არა, ანდა კიდევ მარტო ვითარცა ახალი სალიტერატურო ქართულის შემქმნელიც კი არა, არამედ რომ საქართველოს ისტორიოგრაფიაშიც მას ისეთი ღვაწლი ჰქონია, რომლის დავიწყების უფლება არც ერთს ქართველს არა აქვს"[10].

ერის ცხოვრებაში ისტორიის ზოგადი პრობლემების შესწავლის აუცილებლობასთან ერთად, ილია ჭავჭავაძემ დიდი ღვაწლი დასდო საქართველოში ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარებას. იგი შემთხვევით არ შეიძლებოდა ყოფილიყო მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საიმპერატორო საზოგადოების ნამდვილი წევრი. სწორედ ამ საზოგადოებამ, 1908 წლის 12 მარტს, საგანგებო სხდომა მიუძღვნა ილია ჭავჭავაძის ხსოვნას, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდა ვსევოლოდ მილერი. მომხსენებელმა მაღალი შეფასება მისცა განსვენებული მწერლის სალიტერატურო, საზოგადოებრივ და ეთნოგრაფიულ მოღვაწეობას. აღინიშნა, რომ *ალ.პუშკინისადმი* მიძღვნილი სხდომის შემდეგ, ეს იყო მეორე შემთხვევა, როდესაც ეთნოგრაფიის სფეროში მწერლის მიერ გაწეული მუშაობა ფასდებოდა[11]. ილია ჭავჭავაძის როლს და ადგილს ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარებაში სათანადო ყურადღება მიაქცია გ. ჩიტაიამ[12] და ალ. რობაქიძემ[13]. ილიას ეთნოგრაფიულ მემკვიდრეობას სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ვ. ითონიშვილმა[14].

როგორც ცნობილია, ილია მთელ თავის ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, მათ შორის ეთნოგრაფიის დარგში წარმართულ საქმიანობას, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და ხალხში ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას უკავშირებდა. „ილიამ ყველაზე კარგად იცოდა, თუ ეროვნული სახის შენარჩუნების ან გადაგვარების საფრთხის წინაშე მდგარი ყოფითი კულტურის გადარჩენისათვის რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ენის და ტრადიციების არა მარტო შენარჩუნებას, არამედ მათ შემდგომ სრულყოფას. თავის მხრივ ეს მოითხოვდა მამა-პაპური ცხოვრების წესის შეცნობას, რაც შეუძლებელი იყო ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების გარეშე[15]. XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ეთნოგრაფია წარმოადგენდა საზოგადოებრივი აზრის განვითარების ერთ-ერთ ორგანულ ნაწილს, რომლის მედროშედ ილია ითვლებოდა. რამდენადაც „ისტორიული წარსულისა და ტრადიციების ხსოვნა მას მიაჩნდა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების აუცილებელ პირობად", ამ ხაზით გაშლილი მუშაობაც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას დაუკავშირა[16].

ზემოთ მოტანილ დებულებასთან, უფრო სწორად, ერის ცნებასთან დაკავშირებით, შევეხებით ილია ჭავჭავაძის ფორმულირებას: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: *მამული, ენა და სარწმუნოება*. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? სხვისი არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიური ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს"[17]; „ენა, როგორც გასაღები დაკეტილისა, ყველაზე უფრო შემძლებელია და ყველაზე უფრო სანდო მოწმეა ცივილიზაციის ისტორიისათვის, რადგანაც უფროს ერთს შემთხვევაში ერთობა ენისა მოასწავებს ერთობას კულტურისას". ამასთან ერთად განმარტავს: „კულტურა და მასთან განუყოფელი ინტენსიური ცხოვრება კაცობრიობის ღონისა და სიმკვიდრის დედაბოძია, ქვაკუთხედია". კულტურა და ინტენსიური ცხოვრება ერს ააღორძინებს, აძლიერებს[18].

როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძის ფორმულირებით, *მამული, ენა, სარწმუნოება და კულტურა*, ამ შემთხვევაში მხედველობაშია ტრადიციული, ყოფითი კულტურა, ერთმანეთისაგან განუყოფელი ცნებებია. *ენა საზოგადო საკუთრებაა*, ის საზოგადოებასთან ერთად იქმნება და მასთან ერთად ვითარდება იმ ტერიტორიულ ერთეულზე, სადაც ხდება ამა თუ იმ ხალხის ფორმირება თავისი რწმენითა და კულტურით, *ენის ერთობა ნიშნავს კულტურის ერთობას.* ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში ეთნოსის ფორმირების ტერიტორია – *ეთნიკური ტერიტორია* (მამული), *ენა და კულტურა* დღესაც *ეთნოსის ძირითად კომპონენტებადაა მიჩნეული.*

ერისა და ისტორიის შესახებ ერთ-ერთ წერილში ილია წერდა: „ყოველი ერი თავისი ისტორიით სულდგმულობს... არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანთ ერთმანეთთან, როგორც *ერთობა ისტორიისა.* ერი ერთი ღვანლის დამდები, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული ერთსულოვნებით, ერთგულობით ძლიერია“[19].

*გ.ყიფშიძის* კომენტარით, აქ ის აზრია გამოთქმული, რაც რამდენადმე ადრე *რენანმა* განმარტა თავის წიგნაკში: *„რა არის ერი“*. რენანის აზრიც ასეთია: *„ერის დამახასიათებელი თვისება არც ერთ-ტომობაა, არც ერთ-სარწმუნოება, არც ერთ-ენიანობა. ერთის ერის ერად შემქმნელი, ერთ ერად გარდამქცევი საერთო წარსულია“*[20].

ვფიქრობთ, ილიას დასახელებული წერილი გარკვეული მიმართულებით იყო გამიზნული, მას წმინდა მეცნიერულთან ერთად პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. ჩვენთვის მთავარია, ის, რომ მწერალი აყალიბებს *ერის* მეცნიერულ განმარტებას, რაც შემდგომ იხვეწება. საბოლოოდ კი მისი *განმსაზღვრელი კომპონენტები* ასე ჩამოყალიბდა: *მამული ანუ ეთნიკური ტერიტორია, ენა, სარწმუნოება, ერთობა გვარტომობისა, კულტურა („ერთობა ენისა მოასწავებს ერთობას კულტურისას“), საერთო ისტორიული წარსული („კულტურა და მასთან განუყოფელი ინტენსიური ცხოვრება“*).

როდესაც საქმე ეხება ილია ჭავჭავაძის ადგილის განსაზღვრას ქართული ეთნოგრაფიის ისტორიაში, პირველ რიგში, ყურადღებას იქცევს მისი 1887 წელს გამოქვეყნებული ზემოთ აღნიშნული წერილი *„ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ“*, რომელმაც, ქართველ ეთნოგრაფთა კვალიფიკაციით, საპროგრამო დოკუმენტის ხასიათი მიიღო[21].

ამ ბოლო დროს, – განმარტავს ილია დასახელებულ წერილში, – ჩვენს განათლებულ საზოგადოებაში ერთ საყურადღებო მოვლენა გაჩნდა, რომელსაც დიდი გავლენა უნდა ჰქონდეს ხალხის გონებისა და ცნობიერების განვითარებაზე, ეროვნულ წარმატებაზე. ეს არის ხალხური ლექსების შეკრება და ბეჭდვა. ამგვარი გატაცება აშკარად დაეტყო საზოგადოებას, ხელი მოვკიდეთ მარტო ამ პოეზიის შეკრებას და დაგვავიწყდა, რომ „მდაბიო ხალხის გონებითი თუ სხვაგვარი საუნჯე მარტო ამ ლექსებში ანუ პოეზიაში როდი გამოიხატება. არა, ეს საუნჯე უხვად დათესილი და დარჩენილია ისეთ ნაწარმოებებში, რომელნიც სრულებით არ ეკუთვნიან პოეზიის სფეროს. ამ გვარია, მაგალითად, ხალხის ჩვეულებანი, რომელნიც შეეხებიან ეკონომიკურს და იურიდიულ ცხოვრებას“[22].

ყველას, ვისაც კი მდაბიო ხალხში უცხოვრია, განაგრძობს პოეტი, ეცოდინება, რომ ხალხს თავისი საკუთარი ეკონომიკური წყობა და იურიდიული ჩვეულებები აქვს, რომლითაც საჭიროების შემთხვევაში სარგებლობს. „მამულის ყიდვა და დაგირავება, საქონლის გაბარება მოსაშენებლად, ურთიერთ შორის აღებ-მიცემობა, სხვადასხვა მცირე დანაშაულობის გასამართლება და ათასი ამგვარი მოვლენა, – სულ ხალხის ჩვეულების ძალით წარმოებს, ხალხის ადათზეა დაფუძნებული და ამ ადათს ემორჩილება. ჯერ ეხლაც, ხალხმა დაწერილის კანონისა არა იცის რა და სასოფლო სასამართლოში რომ მიხვიდეთ შეიტყობთ, რომ *სოფლის მსაჯულები ადათითა და ჩვეულებით ხელმძღვანელობენ* საქმის გადაწყვეტის დროს“. ილიას მიაჩნია, რომ სწორედ ეს სფერო გადაგვიშლის ხალხის ცხოვრების სურათს, დაგვანახებს თუ რა საუნჯეა დარჩენილი ხალხის ჩვეულებებში, მხოლოდ ამგვარი გამოკვლევებით შეიძლება ყოველმხრივ შევიგნოთ ხალხის წარსული და აწმყო. ამიტომ ილიას *აუცილებელ პირობად მიაჩნდა* ამ მიმართებით *ხალხის ყოფისა და კულტურის ფუნდამენტური კვლევა*, როგორც ეს ცივილიზებულ ქვეყნებში წარმოებდა. მართალია, პოეტი ხალხური პოეზიის წინააღმდეგი არაა, მაგრამ მიაჩნია, რომ მარტო ამ კუთხით გატაცებამ შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს და უფრო მეტიც, ზიანიც მოგვაყენოს, რადგან ხალხური პოეზია „უფრო ფანტაზიის ნაყოფია და ფანტაზია კიდევ აგრერიგად არ ეწყობა და არ ემორჩილება ზნეობრივი კანონის მოთხოვნილებას. ... ჩვენი დევიზი ეს არის: ხალხის ცხოვრება ყოველმხრივ და ჰარმონიულად უნდა შევისწავლოთ“[23].

ილია არა მარტო მიუთითებდა ეთნოგრაფიული მასალის მნიშვნელობას და სახავდა მისი შესწავლის გზებს, არამედ თავადაც კრებდა ამ მასალას, იკვლევდა და აქტიურად იყენებდა მხატვრულ შემოქმედებაში. ხალხური გადმოცემები, თქმულებები, ისტორიული ხასიათის ლეგენდები დაედო საფუძვლად მის მხატვრულ შემოქმედებას. ასეთებია *„განდეგილი“*, *„ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“*, პატარ-პატარა მოთხრობები, რომლებიც გაერთიანებული არიან საერთო სათაურით *„ამბავად გაგონილნი“* და სხვა.

ეთნოგრაფიული მასალა, ხალხის ყოფა-ცხოვრება, ტრადიციები რეალურად აისახება ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში და ეს ბუნებრივია, რადგან მწერალი გამუდმებით ხალხში ტრიალებდა და მის გასაჭირს გულისტკივილით აღიქვამდა. ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში, ილიას გარდაცვალების შემდეგ, ილიას ბიოგრაფი, მისი თანამედროვე და თანამებრძოლი *გრიგოლ ყიფშიძე* წერდა: „ილიას საკმაოდ ხანგრძლივ ყოფნას ხალხში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის შემოქმედებისთვის. ხალხში, სოფლად ცხოვრება, დაკვირვება და შესწავლა მისი ავ-კარგისა, შთაბეჭდილებანი ბუნებისა, არაგვისა და თერგის ხეობისა, უმნიშვნელოდ არ დარჩა ილიას შემოქმედებისათვის. მწერლის შემოქმედება მუდამ რეალურს ცხოვრებაზეა დამყარებული“[24].

აქვე შეიძლება დავიმოწმოთ *არტურ ლაისტიც*: „ილია სოფელში ხედავდა ქართული ეროვნული ცხოვრების სულს. მოსწონდა გლეხთა ცხოვრების რაფინირებული აღწერა... მახსოვს ილიას აღტაცება გლეხთა ცხოვრების ამსახველი სურათების კითხვისას“[25].

ილიას გლეხებისადმი სიმპათია, მათი ენა-მეტყველებისა და ზნე-ჩვეულებებისადმი ინტერესი ბავშვობიდანვე ჩაენერგა. როგორც გ.ყიფშიძე წერს, ილი-

ამ სწავლა თავისივე მშობლიურ მთავრის შინაურ სკოლაში დაიწყო, სადაც მასთან ერთად გლეხების შვილებიც სწავლობდნენ. მთავარი გამოირჩეოდა ქართულის ენამზიანობით, სიღრმე-ძალით, ძველი ამბების, ისტორიული გადმოცემების კარგი ცოდნით და მათი გადმოცემის ხელოვნებით. მისი მონათხრობიდან ილიას ბევრი რამ ჩარჩა გულში, აისახა მის შემოქმედებაში, ან საფუძვლად დაედო მის ნაწარმოებს. მაგალითად, თავადის მონათხრობი ხალხური გადმოცემა დაედო საფუძვლად მის პოემას *„დიმიტრი თავდადებული“.*

„აქ სხვათა შორის, დიდად საყურადღებოა ის გარემოება, აღნიშნავს დასახელებული ავტორი, დამახასიათებელი ძველებურის ჩვენი ბატონ-ყმობისა, რომ თავადის ყმაწვილი იზრდება და იწურთნება სწავლაში ყმების შვილებთან ერთად. ეს თავისთავად საყურადღებო გარემოება იმითია საინტერესო, რომ შესაძლოა ყმაწვილობიდანვე საფუძველი დაედო ილიას სიყვარულს გლეხ-კაცისადმი, ილიას სიყვარულს გლეხ-კაცის ენა-მეტყველებისა და ზნე-ჩვეულებისადმი, საფუძვლად დაედო მის დემოკრატზმს სიჭაბუკეშივე და, ბოლოს, ყოველივე ამან ისეთის ძლიერებით იჩინა თავი მის ნაწარმოებებსა და ცხოვრებაში“[26].

არტურ ლაისტისათვის სავსებით გასაგებია ილიას და მასთან ერთად თავად-აზნაურთა წრიდან გამოსულ მწერალთა დემოკრატიზმი, იმის გათვალისწინებით, რომ ძველად საქართველოში მოქმედებდა *„ძიძაობის“* ინსტიტუტი, რაც მის დროსაც დაცული იყო მთელ დასავლეთ საქართველოში. ამ წეს-ჩვეულების თანახმად, ბატონის შვილი ყმის სახლში იზრდებოდა თითქმის სასკოლო ასაკამდე. ამის შედეგად ბატონსა და ყმას შორის სულიერი და ხორციელი ნათესაობა მყარდებოდა.

ილიას *„გლახის ნაამბობში“* ასეთი წინადადება აქვს: „კარგია, რომ პატარაობიდანვე ბატონი და ყმა ერთმანეთს შეეჩვივნენ: ყმისათვის ბატონთან შეზრდილობა დიდი ზურგია“. მაგრამ ეს ყოველთვის არ ამართლებდა და ვერც ამ ნაწარმოებში მიიღო სასურველი დასასრული.

როგორც *ვ.ითონიშვილი* აღნიშნავს, ი.ჭავჭავაძე ზემოთ დასახელებული საპროგრამო სტატიით ქართული ინტელიგენციის პატრიოტულ თაოსნობას გამოეხმაურა, ზეპირი სიტყვიერების შეგროვება-პუბლიკაციის საქმეში. პოეტი ამ წამოწყებას დიდ ეროვნულ და საზოგადოებრივ მოვლენად მიიჩნევდა, მაგრამ ამას არ უნდა მიეღო ცალმხრივი ხასიათი. მან შემოხაზა კვლევის ის სფერო, რომელიც თანამედროვე გაგებით, მოიცავს მატერიალური და სულიერი კულტურის, სამეურნეო ყოფის და სოციალური ურთიერთობების საკითხებს. ამასთან, იგი მამა-პაპური წეს-ჩვეულებებისადმი ფაქიზ დამოკიდებულებას მოითხოვდა, ვინაიდან ბევრი ქართული ჩვეულება ჯერ კიდევ მოქმედების უნარს ინარჩუნებდა. საყოფაცხოვრებო ურთიერთობების მოწესრიგება ზოგჯერ მხოლოდ ტრადიციული წესების გამოყენებით ხდებოდა და არა ოფიციალური სახელმწიფო კანონებით[27].

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, *ილია ჭავჭავაძე* აყალიბებს ეთნოლოგიის პრობლემატიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს – *ერის (ეთნოსის) თეორიას*, მეცნიერულ დონეზე განიხილავს მისთვის დამახასიათებელ ყველა კომპონენტს. ამასთან, იგი სავსებით ნათლად აყალიბებს თავის პოზიციას და საზოგადოების წინაშე სახავს ხალხის ყოფისა და კულტურის შესწავლის აუცი-

ლებლობას. ილია განსაკუთრებით იმ გარემოებას უსვამს ხაზს, რომ ეთნოგრაფიას აქვს არა მარტო შემეცნებითი ფუნქცია, არამედ, მასთან ერთად, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც, ხალხის ყოფის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ეს ფორმულირებული წინამძღვრები მჭიდროდ იყო დაკავშირებული პოეტის თანადროულ დემოკრატიულ იდეებთან და საფუძვლად დაედო იმ პერიოდში საქართველოში ეთნოგრაფიის განვითარებას[28].

მართალია, ილია ჭავჭავაძე ზეპირსიტყვიერების ისეთ ნიმუშებს, როგორიცაა ზღაპრები და თქმულებები, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა როგორც ისტორიულ წყაროს, მაგრამ ამ მხრივ ის ეთნოგრაფიულ მასალას განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა. როგორც აღვნიშნეთ, ილიას კვალიფიკაციით, *„ქართლის ცხოვრება“* მხოლოდ *მეფეთა ისტორიაა* და ისიც ერთი კუთხით წარმოჩენილი. ხალხია ისტორიის შემოქმედი და მასში, პირველ ყოვლისა, ხალხის ყოფა-ცხოვრება უნდა აისახებოდეს. ეს კი ეთნოგრაფიული მასალის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია. ილია მიიჩნევდა, რომ ენის, მითოლოგიის, ზნე-ჩვეულებების, სარწმუნოების, არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ ნაშთთა საფუძვლიანი შესწავლა უტყუარად გადაგვიშლიან ჩვენი წარსულის ფურცლებს[29].

გ.ჩიტაიას კომენტარით, „ილია ჭავჭავაძე აღიარებდა, რომ ქართული ეთნოგრაფიული მასალის გაუთვალისწინებლად საქართველოს ისტორია ვერ დაიწერება, ის ამ მასალის გარეშე მხოლოდ და მხოლოდ მეფეების ისტორია იქნებაო. ამიტომ ის მოითხოვდა ეთნოგრაფიული მასალების შეგროვებას. საგულისხმოა, რომ თვით ილია, *„მგზავრის წერილებიდან“* დაწყებული, ეთნოგრაფიულ მასალას გულმოდგინედ აგროვებდა... ამით აიხსნება, რომ ილია უდიდეს ყურადღებას აქცევდა ეთნოგრაფიული მასალის შეგროვებას და ამიტომ იყო, რომ მან შექმნა შესანიშნავი კადრი ეთნოგრაფიული მასალის შემგროვებლებისა, რომელთა მიერ შეკრებილ მასალებს სისტემატურად *ივერიაში* ჰბეჭდავდა“[30].

ამ პრობლემას შეეხო ვ.ითონიშვილიც. ის საგანგებოდ განიხილავს რა ილია ჭავჭავაძის როლს საქართველოს ეთნოგრაფიაში, ეხება მასთან შემოკრებილ მოღვაწეებს, მის თანამოაზრეებს, საგანგებოდ გამოჰყოფს *ვაჟა-ფშაველას*, რომლის პუბლიკაციებში ფშავლებისა და ხევსურების შესახებ და მხატვრულ შემოქმედებაში აისახა ეთნოგრაფიული მასალა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ *ნიკო ხიზანაშვილი* და *მიხეილ მაჩაბელი*; ხევში და მის მომიჯნავე კუთხეებში მასალას კრებდა და ნარკვევებს აქვეყნებდა *ალექსანდრე ყაზბეგი*, რომელმაც ეს მასალები ფართოდ გამოიყენა თავის მხატვრულ ნაწარმოებებში; ქართლს ეთნოგრაფიულად სწავლობდნენ *სოლომონ მაჩაბელი და ნიკოლოზ აბაზაძე*; საინგილოში მასალას კრებდნენ *დიმიტრი და მოსე ჯანაშვილები*; კახეთში – *ზაქარია გულისაშვილი*; სამცხე-ჯავახეთში – *ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი)*; სვანეთში – *ბესარიონ ნიჟარაძე* (თავისუფალი სვანი), აფხაზეთში, სამეგრელოში, გურიასა და აჭარაში – *ნიკო ჯანაშია, პეტრე გახარია, თედო სახოკია* და ა.შ.[31] ასე შეიკრიბა უაღრესად მნიშვნელოვანი, სადღეისოდ უკვე უნიკალურად ქცეული ეთნოგრაფიული მასალა.

გარდა ზემოთ დასახელებული მოღვაწეებისა, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალის შეკრებას ხელი მოჰკიდეს მასწავლებლებმა, სახელმწი-

ფო მოხელეებმა, ადგილორივმა კორესპონდენტებმა და მთელ ამ ფართო მასშტაბით გაშლილ სამუშაოს ილია ჭავჭავაძე წარმართავდა. გარდა ამისა, ილია თავად იყო ამ შემკრებლობითი მუშაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე.

ამდენად, შეიძლება ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ილია ჭავჭავაძე ეთნოგრაფიული მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წარმომადგენლად და ორგანიზატორად გვევლინება. ილია ჭავჭავაძე იყო თავისი ეპოქის საზოგადოებრივი აზრის წარმმართველი, ეთნოგრაფიული კვლევის ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე, ადამიანი, რომელმაც რაფიელ ერისთავთან, ნიკოლოზ ხიზანაშვილთან და სხვებთან ერთად ერთ-ერთმა პირველმა ჩამოაყალიბა მეცნიერების ამ დარგის დებულებები და კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები. ილიამ შეძლო შემოეკრიბა კვალიფიციური კადრები, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ჰყოლოდა თავის წარმომადგენელი და ეთნოგრაფიული მასალის მოპოვებისა და კვლევა-ძიებისათვის ფართო მასშტაბები მიეცა. ეთნოგრაფიული მასალისადმი ილია ჭავჭავაძის ასეთ დამოკიდებულებას, მისი შეკრებისა და შესწავლის აუცილებლობას ფართოდ გამოეხმაურა საზოგადოებრიობა. ილია ჭავჭავაძის თაოსნობით გაიშალა მუშაობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მოპოვებული მასალა იმდროინდელ პრესაში შუქდებოდა. სისტემატურად იბეჭდებოდა ნარკვევები და კორესპონდენციები.

*ილია ჭავჭავაძე* ყურადღებას აქცევდა *ისტორიულ-შედარებითი მეთოდის* გამოყენებას, რომელმაც შემდგომ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ეთნოგრაფიული კვლევის სფეროში.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ბუნებისა და საზოგადოების მოვლენების კვლევის ერთ-ერთ ჭეშმარიტ მეთოდად ილია ჭავჭავაძე მიიჩნევდა ახალი დროის ინგლისური მატერიალიზმისა, და საერთოდ, ცდისეული მეცნიერებების ფუძემდებლისა და შუა საუკუნეების სქოლასტიკისა და ღვთისმეტყველების წინააღმდეგ მებრძოლის *ფრენსის ბეკონის (1561-1626)* მიერ შემუშავებულ *ისტორიულ-შედარებით, ინდუქციურ მეთოდს*[32]. ამ მეთოდის მიხედვით, შემეცნების პროცესი უნდა ემყარებოდეს ცალკეული მოვლენებისა და საგნების ანალიზს, ამ მოვლენებსა და საგნებს შორის არსებულ მიზეზობრივ კავშირს, დიდი რაოდენობით ფაქტების შეგროვებას და მათ ურთიერთშედარებას. შემდგომ *ისტორიულ-შედარებითი მეთოდი*, როგორც ბუნებისა და საზოგადოების მოვლენებისა და საგნების შესწავლის მეცნიერული ხერხების ერთობლიობა, სრული სახით ჩამოაყალიბა *ჯონ სტიუარტ მილმა* (1806-1873) და ბოლოს, განვითარება ჰპოვა *ტეილორის, ეიჰგოფის, ფრიმენისა* და სხვათა ნაშრომებში. აქედან გამომდინარე გამოტანილია დასკვნა, რომ ილია ჭავჭავაძე პირველწყაროებით იცნობდა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის ფუძემდებელთა მოძღვრებას და მას წარმატებით იყენებდა მოწინააღმდეგეებთან პოლემიკაში[33].

ილია ჭავჭავაძის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მსოფლმხედველობის მიმოხილვა გვარწმუნებს, რომ იგი კარგად იცნობდა იმ დროს ეთნოლოგიაში დამკვიდრებული *ევოლუციური მიმდინარეობის* პრინციპებს. ამ სკოლის წარმომადგენელთა მიერ შემუშავებულ კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს. კერძოდ, *შედარებით-ისტორიულ მეთოდს* და მას საერთოდ ჰუმანიტარული მეცნიერებებისა და, საკუთრივ, ეთნოგრაფიული კვლევის სფეროში, საქარ-

თველოშიც იყენებდა. აქედან გამომდინარე, იგი მიუთითებდა, რომ „ყველგან, სადაც კი შეგნებული აქვთ თუ რა საუნჯე ძევს ხალხის ჩვეულებებში, იქ ყოველგვარ ჩვეულებას, მდაბიო ხალხის ცხოვრების ყველა სფეროს ჯეროვან ყურადღებას აქცევენ და გამოუკლეველად არაფერს სტოვებენ. მხოლოდ ამ გზით შეიძლება შევიგნოთ ხალხის წარსული და აწმყო"[34], - წერდა იგი.

ილიას განმარტებით, როდესაც ამა თუ იმ საკითხის ან მოვლენის გამოკვლევა მხოლოდ ადგილობრივი, ქართული მასალის მეშვეობით ძნელდება, უნდა მოვიშველიოთ მონაცემები სხვა ქვეყნების ცხოვრებიდან[35]. ეს არის შედარებით-ისტორიული მეთოდის ძირითადი არსი, რასაც ფართოდ იყენებდნენ ევოლუციონისტები. ისინი მსგავსებისა და განსხვავების გამოვლინებას საყოველთაოდ მიღებული სქემით ხსნიდნენ და მას სწორხაზოვანი სოციალური განვითარების ერთიან სიბრტყეზე განიხილავდნენ. ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები *ლუის ჰენრი მორგანი, ედუარდ ტეილორი* და სხვანი, ყველა თავისებურად უდგებოდნენ ამ მეთოდს. მაგალითად, ლუის მორგანი ერთმანეთს ადარებდა ოჯახის, საკუთრების და სხვა სოციალური ინსტიტუტების განვითარების თანმიმდევრულ ფორმებს და ამის საფუძველზე აყალიბებდა დებულებას, რომლის მიხედვითაც *ველური, ბარბაროსი და ცივილიზებული ადამიანები* განვითარების ერთსა და იმავე სტადიაზე, ერთი და იმავე საზოგადოებრივი წყობის პირობებში ერთნაირად აზროვნებდნენ. მორგანის აზრით, სწორედ ამიტომ შეძლო კაცობრიობამ მსგავს პირობებში შეექმნა ერთნაირი იარაღები[36].

*ედუარდ ტეილორი* ერთმანეთს უდარებდა *კულტურის ერთ საფეხურზე მდგომ საზოგადოებებს* და ამ გზით გამოავლენდა ადამიანის ბუნებისა და მისი საცხოვრებელი პირობების შესაბამისობას. ასეთი შედარებისას მისთვის იგნორირებული იყო ქრონოლოგიური ჩარჩოები და გეოგრაფიული მდებარეობა. ტეილორი ერთმანეთს უდარებდა აგრეთვე *დაბალ საფეხურზე მდგომ და განვითარებულ ხალხებს* და ადგენდა გზებს, რომლებითაც პირველყოფილი ადამიანი ცივილიზაციამდე მიდის. ტეილორი კულტურის შესასწავლად გვთავაზობს მის დაყოფას შემადგენელ ნაწილებად, ცალკეული ნიშნების კლასიფიცირებას და შემდეგ, ამ ნაწილებს შორის ურთიერთობის დადგენას[37].

ილია მიუთითებდა, რომ *ლებბოკმა* ამ მეთოდით შეძლო პირველყოფილი რწმენის, წესწყობილებისა და კულტურის სურათის აღდგენა. და განა, ქართველი ხალხის წარსულის ასევე აღდგენა არ შეიძლებოდა სათანადო ცოდნა და ნიჭი რომ ყოფილიყო? – კითხულობდა იგი[38]. ივ.ჯავახიშვილი ეხებოდა რა აღნიშნულ საკითხს, თავის მხრივ, განმარტავდა, რომ ილი ჭავჭავაძე *ივ.ჯაბადარის* მცდარ დებულებათა შეფასების კვალდაკვალ არქეოლოგიაზე და შედარებით მითოლოგიაზე მსჯელობისას არაერთ საგულისხმო მოსაზრებას გამოთქვამდა ზნე-ჩვეულებებზე, კაციჭამიობაზე, წარმართულ რწმენაზე და დასაფლავების წესებზე. ყოველივე ეს გვარწმუნებს, განაგრძობს ივ.ჯავახიშვილი, თუ რაოდენ საინტერესო იყო ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა ისტორიის დარგში; თუ რაოდენ საგულისხმო მოსაზრებები ჰქონდა გამოთქმული როგორც ამ მეცნიერების ზოგად ამოცანებსა და მეთოდოლოგიაზე, ისე საქართველოს ისტორიისა და ისტორიკოსთა ამოცანებზე[39]. იგივე შეიძლება ითქვას ილია ჭავჭავაძის ღვაწლზე ქართულ ეთნოგრაფიაში.

ჩვენ ყურაღდება შევაჩერეთ ეთნოლოგიაში *ევოლუციური სკოლის* ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლებზე, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ილია ჭავჭავაძე კარგად იცნობდა ამ მიმდინარეობის თეორიულ დებულებებს და კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს. ილიამ ეს თეორიული პრინციპები ქართულ მასალას მიუსადაგა და თავისი დებულებები ჩამოაყალიბა *ედუარდ ტეილორის, ჯონ-სტიუარტ მილის, ეიგჰოფის, ედუარდ ფრიმენისა* და სხვათა ნაშრომების კრიტიკული ანალიზის ფონზე. „მმართველობა, წეს-წყობილება ოჯახური, საზოგადოებრივი, სამოქალაქო კანონები, ჩვეულებანი, ზნე-ხასიათი და სხვა ამისთანა სულ ერთად და ერთ დროს მოქმედნი, ჰქმნიან იმას, რასაც რომელისამე დროის მდგომარეობას ერისას, თუ კაცობრიობისას ეძახიან, ანუ ცივილიზაციას თავისას მეტ-ნაკლებობით. მაგრამ როგორ შეიძლება ყოველივე ამის კვლევა, სად არის ამის გასაღები? ეს არის თქმულებებში, რომლებშიც ვპოულობთ ზნე-ჩვეულებების ბევრ მართალ აღწერას; არქეოლოგიურ ძეგლებში; ენაში – ენა და მისი სიტყვიერება ეს არის ერის და საერთოდ, მთელი კაცობრიობის ხელთუქმნელი ისტორია. „ეთნოლოგიური აღწერა კაცთა ნათესავისა, ყოველის ცალკე თესლისა მთელს დედამიწის ზურგზე, ბევრ რასმე მოგვითხრობს მასზედ, თუ ვინ და რა საიდამ წამოსულა, როგორ უვლია და სადამდე მისულა“[40] – წერდა ილია.

ამის შემდეგ, ილია ტეილორზე დაყრდნობით მიუთითებდა: „რამდენადაც ზედმიწევნით გამოვიკვლევთ ენას, მითოლოგიას, ზნე-ჩვეულებას, სარწმუნოებას, არქეოლოგიურსა და ეთნოლოგიურ ნაშთსა და კვალს, იმდენად ძლიერ ვრწმუნდებით, რომ აზრი დღევანდელის ველურის კაცისა იმ მდგომარეობაშია, როგორც პირველდაწყებითი სადედე შემდეგისა. ამავე დროს დავინახავთ, რომ განათლებულის კაცის ჭკუას დღესაც საკმაოდ ამჩნევია კვალი, ნიშანი იმ წინანდელის მდგომარეობისა, რომლის მიხედვით ველური კაცი წარმოადგენს სულ უმცირესს და განათლებული კაცი – სულ უდიდესს პროგრესსა“[41].

ვფიქრობთ, უდავოდ, შეიძლება გავავლოთ პარალელი ეთნოგრაფიაში ევოლუციური მიმდინარეობის წარმომადგენელთა და ილია ჭავჭავაძეს შორის. და კიდევ ერთ გარემოებას გავუსვათ ხაზი – მეცნიერების ამ დარგის აღმნიშვნელად ილია, თითქმის, ყველა შემთხვევაში ხმარობს ტერმინს *„ეთნოლოგია“*, რაც ამ ახლადჩამოყალიბებული დარგის საგნობრივი სფეროსა და მისი გააზრების ღრმა ცოდნაზე მიუთითებს.

ილია მიუთითებს, რომ ისტორია და, პირველ ყოვლისა, ეთნოლოგია მჭიდროდ იყო დაკავშირებული მეცნიერების ისეთ დარგებთან, როგორიცაა არქეოლოგია, ფილოლოგია (ლინგვისტიკა, მითოლოგია და ფოლკლორისტიკა) და ამა თუ იმ საკითხის კვლევის დროს ამ მეცნიერებათა მონაცემები უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული. ენის მკვლევარი მეცნიერება, აღნიშნავდა მწერალი, ფილოლოგიაა. ისტორია და ფილოლოგია ერთმანეთს უდგანან მხარში, ერთმანეთს შველიან, რადგან ერის ცხოვრება ენაშია გადაშლილი და გამომზეურებული. მწერალი აქვე სვამს კითხვას, თუ როდის გახდა შესაძლებელი საკითხის ამ სახით კვლევა? და თავადვე პასუხობს: „როცა ადამიანის გონებამ მიაგნო ერთგვარს გზას კვლევისას, რომელსაც *„შედარებითი მეთოდი“* ჰქვიან, მეთოდს, რომელმაც დიდი სიფრთხილითა და ცოდნით მოხმარებულმა ბევრ წყვდიადს მოჰფინა ნათელი. ილიას განმარტებით, *„შედარებითი მეთოდი“* ეს არის კვლე-

ვის მეთოდი, როდესაც ორ ან რამდენიმე საგანს ერთმანეთს წაუყენებ, დაუპირისპირებ, რომ გამოჩნდეს თუ რაში აქვთ მსგავსება და რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგრამ სიტყვა *„შედარება“* არ შეეფერება საგნის იმგვარ კვლევას, რომელსაც ამ სიტყვით ხატავს მეცნიერება ყველა ენაში. ილიას სიტყვით, ეს არის არა შედარება, არამედ „სწორედ ის არის, რომ კაცი კვალში ჩაუდგეს რომელსამე საგანს, ან მოვლენას, რომ ან სათავიდამ ბოლომდე ჩამოჰყვეს, თუ სათავე ვიცით და ბოლო არა, და ან ბოლოდამ სათავემდე აჰყვეს, თუ ბოლო ვიცით და სათავე არა, და ამისთვის კიბედ გაიხადოს ყოველივე შემთხვევა, ყოველივე დრო, ყოველივე ადგილი, სადაც კი ამ საგანს ან მოვლენას თავი გამოუჩენია[42].

დასმულ პრობლემას ილია სხვა პუბლიკაციაშიც უბრუნდება და აღნიშნავს, რომ რაიმე საკითხის კვლევისას, ეს იქნება საზოგადოებრივი თუ ეკონომიკური ყოფიდან, პირველ ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივ ვითარებას, „რადგან ყოველ საგანს ამ შემთხვევაში თავის ადგილზევე აქვს თავისი სათავე, თავისი ძირი და თავისი გზა მსვლელობისა და განვითარებისა“, მაგრამ არ შეიძლება მარტო ამით დავკმაყოფილდეთ და გამოვიტანოთ ჩვენი დასკვნები. საზოგადოებრივ და ეკონომიკურ წყობაში ბევრი ისეთი გადმონაშთია, რომელთაც ჟამთა მდინარების გამო წაშლილი აქვს თავისი მსვლელობის კვალი, მისი არც თავი გაიგება და არც ბოლო. ამიტომ, ამ გადმონაშთების კვლევისას მარტო ადგილობრივი ვითარებით დაკმაყოფილება ილიას არ მიაჩნდა საკმარისად, იგი საჭიროდ თვლიდა ამ საკითხების კვლევაში სხვა ქვეყნების ისტორიის მოშველიებას[43].

ილია ჭავჭავაძე არა მარტო თეორიულად აყალიბებდა ეთნოლოგიის, როგორც სამეცნიერო დარგის მნიშვნელობას, მის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, არამედ სანიმუშოდ მოჰყავდა კონკრეტული მაგალითებიც. ამასთან დაკავშირებით იგი ეხებოდა პირველყოფილი საზოგადოების ისტორიას, კერძოდ, ამ საზოგადოების სულიერ კულტურას, *სპენსერის, ლებბოკის, ტეილორის* შრომებზე მითითებით, ილია აღნიშნავდა, რომ შედარებითი მეთოდის მეშვეობით გახდა შესაძლებელი გარკვეულიყო – დედამიწის ზურგზე ყველა ერს სასჯულო ფილოსოფიის თითქმის ერთნაირი გზა გაუვლია. ამ ფილოსოფიას ერთნაირი, ერთგვარი ჩვეულება მოჰყოლია, რაც ბოლოს წესად და რიგად ქცეულა. ეს ის ხანაა, როდესაც სიკვდილი დროებით განსვენებად, სააქაო ცხოვრების განგრძობად მიაჩნდათ და არა სამუდამო კვდომად, რაც გარკვეული სახით კაცობრიობას დღემდე შემორჩა. ეს რწმენა ჭირისუფალს ავალდებულებდა მიცვალებულის ცხოვრება ისე მოეწყო, როგორც სიცოცხლის დროს ჰქონდა. აქედან არის წარმომდგარი ის ჩვეულება, რომ მიცვალებულს თან გაატანდნენ ყველაფერს იმას, რაც სიცოცხლეში სჭირდებოდა, დასაფლავების შემდეგაც საჭმელ-სასმელს არ მოაკლებდნენ, მის კერძს ცალკე დგამდნენ იმ რწმენით, რომ მისი სული მოვიდოდა და მიირთმევდა. ამის სამაგალითოდ ილიას მოაქვს რიგი მასალა სპენსერის ნაშრომიდან, გვაცნობს მის განმარტებებს და ბოლოს გადადის გადმონაშთებზე ქართული ყოფიდან. ღვინოს თავს გადავუქცევთ, ხან პურზე დავაწვეთებთ, ხან მიწაზე, რომ მიცვალებულებს მიუვიდესთ.

მოტანილი მასალა მწერალს იმ დასკვნის საშუალებას აძლევს, რომ ასეთი რწმენა ერთ დროს თითქმის ყველას ჰქონია. ამის დასტურია დღეს ყველგან შე-

მორჩენილი სამკვდრო ტაბლა. „ჩვენი კოლიო, წანდილი, ქელეხი, მკვდრის სულისათვის საკლავის დაკვლა, სხვა არა არის რა – გარდა იმისა, რომ ნაშთია იმ რწმენისა, ვითომ სული მიცვალებულისა არ მოგვიშივდესო და საზრდო მივაწოდოთო". ამიტომაც გვაქვს ქართლში სიტყვა *„მიცვალება", „მიცვალებული"* და არა *„კვდომა", „სიკვდილი"*. ამ რწმენამ იმ საზარელ ჩვეულებამდე მიიყვანა ადამიანი, კვლავ სპენსერის ნაშრომის საფუძველზე აღნიშნავს ილია, რომ მიცვალებულს მის მოსამსახურეებსა და ცოლ-შვილსაც კი სწირავდნენ.

ილია ჭავჭავაძე, თავისი ეპოქისდროინდელი მეცნიერების განვითარების დონის მიხედვით, იკვლევს ქართველ ტომებში სარწმუნოების განვითარების თავისებურებებს. ამასთან დაკავშირებით მას მრავლად მოაქვს ანალოგები მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებიდან და ბოლოს ეხება რუდოლფ *ვირხოვის* მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ეს საფეხური ქართველთა წინაპრებსაც უნდა გაევლოთ და ეს სარწმუნოდ შეიძლება მივიჩნიოთ, თუ ჩავუკვირდებით *„შედარებითს მითოლოგიას"*. ამასთან, ილია კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს ფრიდრიხ ბაიერნს ქართულ არქეოლოგიურ მასალაზე გამოთქმული დაუსაბუთებელი აზრებისათვის.

დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით, ილია ჭავჭავაძე ეხება XIX საუკუნის ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში ფიქსირებულ ერთ გადმონაშთს. საინტერესოა თუ როგორ იკვლევს მას მწერალი ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მოშველიებით. მაგალითად, აღნიშნავს ილია, ჩვეულება გვიშლის, რომ მონაკვეთი ფრჩხილი ან თმა არ გადავაგდოთ ცუდუბრალოდ, არამედ ცეცხლში დავწვათ ან მიწაში ჩავფლათ. რას ნიშნავს ეს, ან საიდანა იღებს სათავეს? უწინ სჯეროდათ, რომ ადამიანის კუთვნილ სამოსელს, მონაკვეთ ფრჩხილს, თმას ან სხვა ამისთანას, განუწყვეტელი კავშირი და დამოკიდებულება ჰქონდა პატრონთან, მაშინაც კი, როდესაც ეს უკანასკნელი მისგან ძალიან შორს იმყოფებოდა. ილია XIX საუკუნის ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში ამის დასტურად იმას მიიჩნევდა, რომ ვინმეს ხელსახოცზე მკითხავებს ამკითხავებდნენ ან შეალოცვინებდნენ, იმ მიზნით, რომ მის პატრონზე ზემოქმედება მოეხდინათ, მისთვის ბედი შეეკვრევინებინათ ან გაეხსნათ. ასეთი რწმენით შეიძლებოდა ადამიანის მონაკვეთი ნაწილისთვის – ფრჩხილისთვის, თმისთვის ან რაიმე კუთვნილებისთვის ჯადო გაეკეთებინათ და მისი პატრონისთვის ბოროტი შეემთხვიათ. ამის შიშით ყველა თავის ნივთს, მონაკვეთ ფრჩხილსა და თმას უფრთხილდებოდა, რომ უადგილო ადგილას არ დარჩენობა, მავნე სულს ან მტერს არ ეპოვნა და არ მოეჯადოებინა.

ამასთან დაკავშირებით ილია ავლებს პარალელებს და აღნიშნავს, რომ ყველგან, სადაც კი ეს ჩვეულება შეინიშნება, ავსტრალიის, პოლინეზიის, გვინეის ხალხებში, დღესაც შიშით თრთიან ჩვენს რაიმე კუთვნილს ჯადო არ გაუკეთონ და აქედან ჩვენ არ გადმოგვედოსო. ბუნებრივია, ეს შიში განსაკუთრებით ძლიერია მაშინ, როდესაც საქმე ეხება ადამიანის მონაკვეთ ნაწილს – ფრჩხილს და თმას. ძველისძველ სპარსელებს, გვაცნობს ილია, მონაკვეთი თმისა და ფრჩხილის მიწაში დაკრძალვის მთელი წესი და რიგი ჰქონდათ, რომ მათი პატრონისათვის მავნე სულებს არაფერი შეემთხვიათ. „დღესაც ევროპაში ერიდებიან ფრჩხილისა და თმის გადაყრას ამავე შიშით. გერმანიის გლეხი დღესაც თურმე ყმაწვილის დაბადების დღიდამ ნათლობამდე სახლიდამ არა-

ფერს გააცემინებს, რომ გაცემულს არავინ შეულოცოს და ამის გამო ბავშვს ბედი არ შეეკრას"[44]. ასე სცოდნიათ ზანგების მოგვებსაც, როდესაც ავად-მყოფს არ შეეძლო მათთან მისვლა, მაშინ მის ტანისამოსს ან სხვა რაიმე ამის მსგავსს შეულოცავდნენ ხოლმე.

ამ სანიმუშო მაგალითების შემდეგ ილია განმარტავს, რომ ეს შედარება აქ დასახელებული ხალხების ნათესაობის და ერთობის მაჩვენებელი არ არის. „იგი მარტო იმას გვაუწყებს, რომ ადამიანის გონებას ყველგან ერთისა და იმავე გზით უვლია თავის წარმატების გზაზედ, ერთნაირს შიშსა და საფრთხეს ერთნაირი წამალი მოჰყოლია ამისა, ეს მაგალითი შუქსა ჰფენს იმ წყვდიადსა, რომელიც დღეს გარს ახვევია ჩვენგან მოყვანილს ჩვეულებას, გვშველის აღვადგინოთ ის, ახლა დავიწყებული, აზრი ჩვეულებისა, რომელიც ოდესღაც ასულდგმულებდა თვითონ ჩვეულებას. ამ გზით იგი ხელს უწყობს გაგებას და ახსნას ეხლანდელისას, რომელიც თუმცა შერჩენია ცხოვრებას, მაგრამ არც თავი უჩანს, არც ბოლო, და სასაცილოდღა ასაგდები გაგვხდომია, მაშინ როდესაც ერთ დროს თავისი შესაწყნარებელი მიზეზი ჰქონია და, მაშასადამე, საპატიო ყოფილა. ისტორია სხვა რაა, თუ არ გამორკვევა, თუ არ ახსნა აწმყოსი წარსულისაგან"[45].

როგორც აქ მოტანილი მსჯელობიდან ჩანს, ამაშია ზემოთ აღნიშნული ავტორების ევოლუციონისტურ შეხედულებათა არსი – მარტივიდან რთულისაკენ განვითარების ისტორიული კანონზომიერება, რაც მხედველობიდან არ გამორჩენია ილია ჭავჭავაძეს და კვლევის ამ მეთოდზე დაყრდნობით საფუძველს უქმნის და უმტკიცებს ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების თეორიულ და მეთოდოლოგიურ პრინციპებს.

ილია ჭავჭავაძე მხატვრულ შემოქმედებასა თუ პუბლიკაციებში ნათლად გვიხატავს ქართული სოფლის სურათებს, გლეხთა ცხოვრებას, მათში დაუნჯებულ ცოდნა-გამოცდილებას. იგი იყო გლეხთა ინტერესების დიდი დამცველი და ეროვნული ტრადიციების დამფასებელი. ქართველი ეთნოლოგები ეხებიან რა საკითხს, თუ როგორ აისახა ეთნოგრაფიული მასალა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, პირველ რიგში მხედველობაში აქვთ *„მგზავრის წერილები"* და *„განდეგილი"*. ამ საკითხს ვრცლად შეეხო ვ.ითონიშვილი. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, ილიამ, მოხევე *ლელთ ღუნიას* მიერ მონათხრობის, ადგილზე უშუალო დაკვირვების, ინფორმატორთაგან მიღებული ცნობებისა და წერილობითი მონაცემების ანალიზის საფუძველზე, მკითხველს გააცნო ხევის სამეურნეო პირობები, მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა, მათი საქმიანობა, მატერიალური კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლები, ისტორიული ხასიათის გადმოცემები. ხალხში შემორჩენილი გადმოცემები, ლეგენდა გამოქვაბულ ბეთლემის შესახებ, რომელიც პოემა განდეგილის წყაროდ იქნა გამოყენებული, თავისი ფესვებით ისტორიულ სინამდვილეს უკავშირდებიან. ამაში კი გვარწმუნებს თავად პოემის შინაარსის ანალიზი[46].

ვ.ითონიშვილი *„მგზავრის წერილების"* მონაცემებისა და საკუთარი ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე აზუსტებს, რომ ილიას თანამგზავრი და პირველი მთხრობელი-ინფორმატორი *ლელთ ღუნია* სოფელ გაიბოტენიდან იყო. ამ სოფლის მკვიდრთაგან ერთ-ერთი გვარია *ხულელიძე*, რომლის შემოკლებული სახელწოდებაა *ლელთ (ხულელთ) ღუნია*. მოხევესაც მწერლისთვის

კითხვაზე უნდა ეპასუხა, რომ ის იყო ხულელთ (ანუ ლელთ, როგორც მწერალი შემოკლებით ხმარობს) ღუნია. ილია შემდეგშიც ყოფილა დაინტერესებული სოფელ გაიბოტენით და საერთოდ, ხევის ყოფისა და კულტურის, სოციალური მდგომარეობით. მას 1864-1871 წლებში, სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, შესაძლებლობა ჰქონდა ღრმად ჩასწვდომოდა ხალხის ყოფა-ცხოვრებას, მატერიალურ და სულიერ კულტურას, სამეურნეო ყოფას, სულიერ განწყობილებას. როგორც ცნობილია, ილიას ევალებოდა დუშეთის მაზრაში გლეხთა რეფორმების შედეგად შექმნილი მდგომარეობის მოწესრიგება, გლეხებისათვის ნადელების მიზომვა, მემამულეთა და გლეხთა ნაკვეთების გამიჯვნა-დაზუსტება, გარიგების სიგელების შედგენა და ა.შ. ამასთან ერთად, იგი იწერდა ეთნოგრაფიულ, ფოლკლორულ, დიალექტოლოგიურ მასალებს, აზუსტებდა ენობრივ მონაცემებს, ცხოვრობდა მთიელების კვამლიან ქოხში და ეცნობოდა მათ ყოფა-ცხოვრებას, რაც სათანადოდ აისახა კიდევ მის შემოქმედებაში[47].

ამ საკითხს ადრევე მიაქცია ყურადღება *გ.ყიფშიძემ* და აღნიშნა, რომ „დუშეთში ყოფნისა და ხშირად სოფლ-სოფლად სიარულის დროს, ილია სავსებით იკმაყოფილებდა დიდი ხნის სურვილს: ჰკრებდა ზღაპრებსა და ლეგენდებს, აგროვებდა გლეხურს ლექსებს, ანდაზებსა და გამოცანებს, ერთის სიტყვით ყოველსავე იმას, რაც ამჟღავნებს გლეხკაცობის გულის ნადებს და თვალწინ გვიშლის მის დარდსა და ნაღველს, მთელს მის სადა და მარტივს, მაგრამ საინტერესო ფსიხიკას"[48].

ზემოთ აღნიშნული ვ.ითონიშვილს იმის თქმის საშუალებას აძლევს, რომ *ვახუშტი ბატონიშვილის* შემდეგ, არც ქართველ, რუს და სხვა უცხოელ დამკვირვებელს ისე ზუსტად და შეუფერადებლად არ აუსახავს იმდროინდელი ხევის სურათი ეთნოგრაფიული თავისებურებებითა და ისტორიული ეტიუდებით, როგორც ეს ილია ჭავჭავაძემ გააკეთა[49].

ვ.ითონიშვილი თავის მონოგრაფიაში განსაკუთრებით ფართოდ ეხება *„განდეგილს"* და *„მგ ზავრის წერილებს"*, რომლებშიდაც ობიექტურად, შეულამაზებლად აისახება ხევის ცხოვრების სურათები, მისი ეთნოგრაფიული ყოფა. ავტორი ილიას ამ ნაწარმოებებს იკვლევს მთელი სიღრმით, საკუთარი ეთნოგრაფიული მასალის, სპეციალური ლიტერატურული მონაცემების და ისტორიული წყაროების მოშველიებით. ეს ჩვენ საშუალებას გვაძლევს ხევთან დაკავშირებულ ეთნოგრაფიულ მასალას ზოგადად შევეხოთ და ავტორის მითითებით დავკმაყოფილდეთ.

ერთ-ერთი საკითხი, რომელსაც ილია შეეხო და *„მგ ზავრის წერილებიდან"* მოყოლებული მისი მხედველობის სფეროდან არ გამოსულა, ეს იყო სამეურნეო ყოფა. მოხევე ლელთ ღუნია მიწის ნაკლებობას უჩივის, მისი სიტყვით, ოჯახს ორი შაბათის მიწაც კი არ ექნებოდა, რაც, ბუნებრივია, ოჯახის მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებდა. მართალია, ქირაზე სამუშაოდ დადიან, მაგრამ საჭმელ-სასმელი არა აქვთ და მთელი ფული დუქანში რჩება, მთის კაცი სომეხი ვაჭრის კერძი ხდება. მევალე სომეხი, აღნიშნავს მოხევე, უწინდელ მოძალადე მტერზე უარესია, ის უფრო აწიოკებს ხალხს. ადრე მტერს ფარ-ხმალით მაინც შეეთამაშებოდი, იგერიებდი, სომეხს კი რა მოუხერხონ?![50]

ვ.ითონიშვილის კომენტარით, მოხევე ლელთ ღუნია ილიასთან დიალოგში მოხევეთა ეკონომიკური მდგომარეობის რეალურ სურათს გვიხატავს. ეს ის პერიოდია, როდესაც ხევში მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის შერწყმული მეურნეობა მაქსიმალური შესაძლებლობით იყო განვითარებული. მეურნეობის ამ ორივე დარგს მოხევეებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. მესაქონლეობა წარმოადგენდა მოხევეების ძირითად საარსებო საშუალებას და ამდენად, მიწათმოქმედებასთან შედარებით, მას წამყვანი ადგილი ეჭირა. ეს კარგად იცოდა მწერალმა და ამიტომ არის, რომ მისი თანამგზავრი მოხევე საქონლის ნაკლებობას კი არ უჩივის, არამედ მიწის ნაკლებობითაა შეწუხებული[51].

დაბოლოს, მოხევის კიდევ ერთ ფრაზას უნდა გავუსვათ ხაზი: მთა და ბარი უერთმანეთოდ არა ვარგობენ, „ორივენი ერთადა, უერთ-ურთოდ ქვეყანაი გონჯაა“.

ახლა ვნახოთ თუ როგორ გვიხასიათებს ილია ბარის ზოლს – კახეთს, ალაზნის ველს მთელი მისი სიგრძე-სიგანით: მას თავისი ბუნებით, ჰავით, ნიადაგით, მიწის ნაყოფიერებით არც ერთი კუთხე არ შეედრება არამცთუ ამიერ და იმიერ კავკასიაში, არამედ მთელ იმპერიაშიც. ადრე ის თითქმის მთელი საქართველოს ბოღაზი იყო. საქართველოს ბაზრებში აქედან გადიოდა ღვინო, არაყი, ყოველგვარი ხორბალი, სიმინდი, ფეტვი, ბრინჯი, საუკეთესო ხარისხის აბრეშუმი, თამბაქო, სამღებრო და სააფთიაქო ნივთი, საკლავი საქონელი, მატყლი, ხილი და სხვა. XIX საუკუნეში კი ეს კუთხე ისე დაეცა, რომ მის მკვიდრთა საარსებო წყაროს მხოლოდ ღვინო წარმოადგენდა, რომლის ფასი თანდათანობით ეცემოდა.

უეჭველია, აღნიშნავს ილია, „რომ ჩვენი ქვეყანა მიწათმოქმედი ქვეყანაა და ერთად-ერთი წარმოება, რომელსაც იგი ამოქმედებს, სასოფლო მეურნეობაა, ესე იგი – იმისთანა წარმოება, რომელსაც პირდაპირ მიწასთან აქვს საქმე და მიწათმოქმედებასთან“. ამიტომაც მოითხოვდა იგი ასე დაბეჯითებით შემწეობას, კრედიტს ამ დარგის განვითარებისათვის[52].

თუ გადავაველებთ თვალს ჩვენი ქვეყნის წარსულს, როგორც პოლიეთნიკურ სახელმწიფოს, ალბათ შეიძლება ითქვას, რომ აქ შრომის განაწილება თავიდანვე ეთნიკური ნიშნის მიხედვით მოხდა. ქართველები თავიდანვევ ჩამოყალიბდნენ როგორც სოფლის მეურნეობის მწარმოებლები, მიწათმოქმედნი, ვაჭრობას კი სათაკილოდ მიიჩნევდნენ. ვაჭრობა, რაც ილიას აზრით, ვერ შექმნიდა ეროვნული მთლიანობის მყარ წინაპირობას, ძირითადად სომხების ხელში აღმოჩნდა. ეს რამდენადმე აისახა კიდეც მის მხატვრულ შემოქმედებაშიც. ერთ-ერთ დაუმთავრებელ მოთხრობაში „*უღელტეხილი*“ ვკითხულობთ: „სოფელი კოლხა, ბაღებითა და ვენახებით მორთული, დგას დაქანებულს ფერდობზედა... იგი სოფელი ფრიად დიდია, მდიდარია წყლით, მინდვრით, ვენახებით და ტყით და გაწყობილია კარგისა და რიგიანის დუქან-ბაზრითა, რომელიც, რასაკვირველია, ხელთ უპყრიათ სომხებსა“[53].

ცხადია, ილია ითვალისწინებდა ამის შედეგად საქართველოში მიმდინარე ეთნოსოციალურ პროცესებს და ერთმანეთს უდარებდა მიწათმოქმედ და მოვაჭრე საზოგადოებებს. მისი სიტყვით, „მარტო ვაჭრობაზე მიქცეული ერი დარღვეულია, გაქსუებული, გაფანტულია“. ამიტომ ის სხვა ერთან უნდა იყოს მიკედლებული, შეხიზნული, კერძოდ, იმ ერთან, რომელსაც ხელთ უპყრია მიწა

და გუთანი. დიახ, ქართველი ხალხი მიწათმოქმედია, ქართველი კაცი მთელი თავისი ისტორიის მანძილზე მჭიდროდ იყო მიჯაჭვული მიწაზე, ეს იყო მისი საზრუნავი და საფიქრალი და რწმენისა და ტრადიციებისათვის არასოდეს უღალატნია. ამიტომაც უწოდეს ბერძნებმა საქართველოს *„გეორგია“*. ილიას აზრით, სწორედ ამან გადაგვარჩინა, ამით შევძელით გამოგვეველო მეტად რთული ისტორიული გზა, შეგვენარჩუნებია ჩვენი თვითმყოფადობა და არა მხოლოდ ხმლით. მარტო ხმლის ძალაზე დამყარებული ქვეყანა არ შეიძლება იყოს სიცოცხლისუნარიანი. *„დიახ, ბატონებო, აღნიშნავს ილია, ჩვენის გულითადის ფიქრით, ქვეყანა იმისია, ვისაც ერთ ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში გუთანი. მარტო ხმალი, მართალია, თავისთავადაც ძლიერია, მაგრამ ვერსად ხანგრძლივ ფეხს ვერ მოიკიდებს, თუ ამხანაგად გუთანი არ იყოლია“*. ამის მაგალითი მონღოლები არიან, რომლებიც მხოლოდ ხმალს მიენდვნენ, მიესივნენ ქვეყნებს, გადასწვეს, გადაბუგეს, მაგრამ თავადაც აღიგავენ პირისაგან მიწისა. დიდი რომიც კი, თითქმის მთელი ქვეყნის მპყრობელი, იმიტომ დაეცა, რომ ხელში მარტო ხმალი ეჭირა და გუთანი კი არა. *ჩვენ კი დღესაც, ქართველები ვართ. ეს ერთი მუჭა ხალხი რამ შემოგვინახა? ხმალმა და გუთანმა. ჩვენ რომ დღეს ბინა გვაქვს, ადგილზედ რომ ფეხ-მოკიდებულები ვართ, სხვებსავით არ დავიქსაქსენით, არ გადავცივდით აქეთ-იქით, ჩვენ რომ ამდენს დაუძინებელს მტერს გავუძელით, გავუძელით და გადავრჩით, ჩვენი ერი რომ დედამიწას შერჩა და დედამიწა ერსა, – ეგ იმიტომ – რომ ერთ ხელში ხმალი გეჭირა და მეორეში გუთანი დასაბამიდან დღემდე“*. ამ თავის დებულებას ილია ჭავჭავაძე იმავე პუბლიკაციაში კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს: *„კიდევ ვიტყვი, რომ ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენი ცხოვრების ვინაობის ბურჯი, ჩვენი მკვიდრი და უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე, – მიწა და გუთანია. რომელს ერსაც ეს ორი საგანი ხელთ შერჩენია, იმას თავი იმდენად კიდევ შეუნახავს, რომ შეუძლიან თავმომწონებით თქვას: მე ერი ვარ და მკვიდრი ბინა მაქვს სადღეისოდაც და სამერმისოდაც“*[54].

ამ დებულებებმა მწერლის მხატვრულ შემოქმედებაშიც მონახეს თავისი ადგილი. სამაგალითოდ მოვიტანთ ერთ-ერთი გლეხის, პეტრეს აღსარებას მოთხრობიდან *„გლახის ნაამბობი“*: „ჩვენ გლეხკაცებს გვეძახიან, დღედაღამ ოფლი უნდა ვიწუროთ და პური ისე ვჭამოთ... ჩვენი კალამი დაუღალავი გუთანია, მელანი კიდევ გულღვიძლიდამ გამონაწური ჩვენი ოფლია. ამოვაწებთ ოფლში გუთანსა, გადავუხსნით ხოლმე დედამიწას მადლიან გულსა, ჩავაყრით შიგ თესლსა, როცა დრო მოვა მივალთ და ის დალოცვილი მიწა თავის დღეში არ დაიღლება, ისე არ გაძუნწდება, რომ მიბარებული ერთი-ორად მაინც არ დაგიბრუნოს. ტყუილად კი არ ვეძახით მიწას „დედაო“, ის გვაწოვებს ჩვენ ძუძუსა, იმას დავხარით დღე და ღამ, ჩვენი ჭირიცა და ლხინიც ის არის“[55].

საიდან ჩასწვდა გლეხკაცი ასე ღრმად მიწის გულს, გაუგო მის საიდუმლოს? „მამა-პაპითგან“. მწერალი ღრმად წვდება ჩვენი ხალხის დიად წარსულს. მის მდიდარ ცოდნა-გამოცდილებას. იცის, რომ ჩვენი *წინაპართა გამოცდილება, მდიდარი ტრადიციები არის ის საუნჯე, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა და ერს ინახავს.*

ილია ჭავჭავაძის ამ ნააზრევს განმარტება აღარ სჭირდება, სავსებით ნათელია, თუ მწერალი ქართველი ხალხის სისხლხორცეულ, სოფლის მეურნეო-

ბის ტრადიციულ დარგებს რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით. მწერალი, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, დიდი დამფასებელი იყო გლეხკაცის შემოქმედების, გლეხკაცში დაუნჯებული დიდი ემპირიული ცოდნა-გამოცდილების. ვ.ითონიშვილი ითვალისწინებს რა ილია ჭავჭავაძის მიწათმოქმედებისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას, აყალიბებს თეზისს, რომ მწერალი „საჭიროდ თვლიდა განსაკუთრებული ყურადღება სწორედ მიწათმოქმედებას მიჰქცეოდა, ანგარიში გასწეოდა ამასთან დაკავშირებულ ხალხურ ცოდნა-გამოცდილებას, საუკუნეების მანძილზე შემუშავებულ შრომით ჩვევებს და გამონახულიყო მისი შემდგომი დაწინაურება-გაუმჯობესების რეალური გზები. ილიას ეს მიზანშეწონილად მიაჩნდა იმის გამო, რომ „ჩვენში სხვა თვალსაჩინო ეკონომიური წარმოება არა არის რა, თვინიერ სოფლის მეურნეობის წარმოებისა. თავი და ბოლო ხალხის ცხოვრებისა, საზოგადოებისა, სიმდიდრისა მაგაზედ არის დამყარებული“[56].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ილია ჭავჭავაძე ბავშვობიდანვე ხალხში, გლეხკაცობაში ტრიალებდა და ყველაფერს საკუთარი თვალითა და გონებით აღიქვამდა. აქედან ჩაენერგა მას გლეხობისადმი დიდი სიმპათია, ხალხური შემოქმედებისადმი, მათი ენა-მეტყველების, ზნე-ჩვეულებებისადმი ინტერესი. მწერალი სოფელში ხედავდა ქართული ეროვნული ცხოვრების სულს, რაც ნათლად აისახა მის შემოქმედებაში. პოეტი წარმოაჩენს კლასობრივ საზოგადოებაში გლეხთა უაღრესად მძიმე მდგომარეობას. მათი უფლებები პირუტყვსაც კი არ შეეფერებოდა. რით განსხვავდება გლეხისა და მისი ერთგული ლაბას მდგომარეობა ერთმანეთისაგან? ორივე მიწას დაჰყურებს თვალით, ერთი პირუტყვია და მეორე მეტყველი, მაგრამ ამ მეორის უღელი უფრო მძიმე, რადგან თავისი მეტყველებით სიმართლეს ვერ მოიპოვებს. ეს აზრი სხვა ნაწარმოებშიც არის გატარებული: „პირუტყვსავით მაღლა ვერ აგვიხედნია, სულ დედამიწას დავყურებთ, თითქოს ჩვენი ბედი იქ დაკარგულა და ვეძებთო“[57], – წერდა იგი.

გლეხთა დუხჭირი ცხოვრება, მისი სულიერი სამყარო დიდი ოსტატობითაა წარმოდგენილი პოემაში *„რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩალის ცხოვრებიდან“*. შთამბეჭდავი სურათია – ალაზნის ველზე, ღამით, მძიმე ურემი მიჭრიალებდა და „და ნაღვლიანად მასზედ მეურმე მწუხრის სიმღერას დაღუღუნებდა“, და ეს სიმღერა მწუხარე იყო ვით გლოვის ზარი[58]. პოეტს სწორედ გლეხის სიმღერაში უნდა ღრმად ჩაგვახედოს და დაგვანახოს მისი ტრაგიკული ბედი, სულიერი განწყობილება. ამაზე კიდევ ერთხელ აქვს ხაზი გასმული *„ოთარაანთ ქვრივში“*: „აბა იმათ სიმღერას უყურე: ერთი გრძელი კვნესაა და მაინც სიმღერას ეძახიან. ჩვენი სიმღერა კვნესა არ არის და მაინც ლხენა ვერ დაგვირქმევია“[59], ეუბნება არჩილი თავის დას კესოს.

აქვე შევნიშნავთ, რომ მოტანილი ეპიზოდები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებიდან, მუსიკალური ფოლკლორის თვალსაზრისითაც საინტერესოა.

უუფლებობა, მძიმე ბეგარა, განსაკუთრებით კი მებატონეთა მხრიდან ძალადობა და პირველი ღამის უფლების მოთხოვნა, რაც არცთუ იშვიათი მოვლენა იყო, ამწვავებდა სოფლად სოციალურ დაპირისპირებას. ეს პრობლემა ილია ჭავჭავაძეს მწვავედ აქვს დაყენებული თავის პოემაში *„–რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩალის ცხოვრებიდან“* და მოთხრობაში *„გლახის ნაამბობი“*.

ილია აშკარად გამოდის ამ უსამართლობის წინააღმდეგ, განიცდის იმას, რომ ეს ორი სოციალური ფენა ერთმანეთს დაშორდა, მათ შორის ხიდია ჩატეხილი და ისინი ამ ჩატეხილი ხიდის სხვადასხვა მხარეს არიან. „შორი-შორსა ვართ და თვალი ერთმანეთისთვის ვერ მიგვიწვდენია, თვალი მართალი და უტყუარი... იმათ ჭირსა და ლხინს ცალკე ღობე ავლია, ჩვენსას ცალკე. გული გულს ვეღარ მიგვიკარებია". რა არის ილიასთვის გლეხკაცი? – მისი, ანუ მაღალი სოციალური ფენის, მონაკვეთი და დაკარგული ნახევარი, ნახევარი, რომლის ძარღვებში მოარული სისხლი დუღს, სადაც „სცემს თვითონ სიცოცხლის ძარღვიც". მოვიტანოთ მცირე ამონარიდი კვლავ *„ოთარაანთ ქვრივიდან"*: „ამ წმინდა უმტვერო თავლსავით სპეტაკ პერანგქვეშ განა ჩვენ იმათზე მეტნი ვართ? ისინი მენანებიან, მებრალებიან-მეთქი, მე კი ჩემი თავი მძაგს და მეზიზღება"[60].

რაც შეეხება გლეხკაცში დაუნჯებულ ემპირიულ ცოდნა-გამოცდილებას, ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდეგ შეიძლება ზედმეტიც იყოს იმის აღნიშვნა, რომ ილია ამის დიდი დამფასებელი იყო, მაგრამ მაინც გვინდა ზოგიერთ დეტალზე შევაჩეროთ ყურადღება.

*„კაცია-ადამიანი?!"* ქართული ანდაზით იწყება: „მოყვარეს პირში უძრახე მტერს პირს უკანაო". გონიერი ანდაზაა, მაგრამ სადა ხარ ახლა ამ გონიერი სიტყვის მთქმელო? კითხულობს მწერალი და თავადვე პასუხობს – ხალხში ხარ და ხალხისა ხარ, შენ ხალხის გენიას გეძახიან. საიდან იცის უწიგნურმა გლეხმა როგორ დაარბილოს რკინა, გააკეთოს ბარ-საკვეთი, ცული, ეჩო, გუთანი, როგორ მოხნას მიწა, რა სიმაღლეზე ჩაუშვას მიწაში ბარსაკვეთი, ღრმად თუ თხლად? – მამა-პაპითგან. მთლიანობაში ამას ეძახიან გამოცდილებას, ჭირნახულობას[61].

და კვლავ მცირე ამონარიდი *„ოთარაანთ ქვრივიდან"*: „არჩილს ძალიან უყვარდა მუშებთან ყოფნა და იმათთან ლაპარაკი, ზოგჯერ ლაზღანდარობაც. კეთილსთვის არაერთხელ უთქვამს, რომ მე იმათგან ზოგჯერ ჭკუასა და ხშირად ენასა ვსწავლობო"[62]. ბუნებრივია, არჩილის ენით თავად მწერალი გვესაუბრება. როგორც *გ.ყიფშიძე* აღნიშნავს, გლეხთა რეფორმისთანავე „მიეცა ილიას შემთხვევა შეესწავლა ყოფა გლეხკაცობისა, მათი ზნე-ჩვეულება, ენა-საუბარი. ილია ახლა ხშირად არის გლეხკაცობაში, ხშირად ებაასება ახლა ავტორი *„გლახის ნაამბობისა"* თავის „ჭკვიან პეტრეს", კეთილ გაბროს, გამოყეყეჩებულ გლახა ჭრიაშვილსა, თავის ნაცნობ მოხევეს, რადგან ხევ-გუდამაყარიც მის რაიონში იყო"[63]. დაბოლოს, დავიმოწმოთ *არტურ ლაისტიც*: „ილია დიდი მეგობარი იყო გლეხებისა, რომელთადმი უანგარო, გადაჭარბებული სიყვარული მას ხშირად ხდიდა გლეხის მიკერძოებულ მეგობრად. ილია თავგამოდებით იცავდა გლეხის ღირსებას... საგურამოს და სხვა მეზობელი სოფლების გლეხკაცებში ილიას ჰყავდა მეგობრები, რომლებიც ხშირად ეწვეოდნენ ხოლმე მას და ილია მთელი საათობით ესაუბრებოდა, მასპინძლობას არ აკლებდა"[64].

ეთნოგრაფიული თვალსაზრისით საინტერესოა ეპიზოდი, როდესაც გიორგი არჩილს უხსნის სავენახე ადგილის შერჩევის, ვენახის გაშენების და მორწყვის ტრადიციებს. ამ საუბრიდან გამომდინარე, მწერალი გვასწავლის, რომ ქვეყნად ბერი რამ არის ისეთი, რაც წიგნებში არ ასახულა და უნდა ვიცოდეთ, „რომ ყველა გონიერი კაცი იგივე წიგნია. ყოველი გონიერი კაცი, თუნდაც უწიგნოც, ზოგჯერ მწიგნობრისთვისაც კი ოსტატია". მოთხრობის ამ მონაკვე-

თში დიდი სიზუსტით არის გადმოცემული ხალხური დაკვირვებები მევენახეობის სფეროში. ეს არის ჯერ კიდევ დაუწერელი წიგნი, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს მეურნეობის ამ დარგის შემდგომ აღმავლობას. აქვე იხატება შემოდგომის სურათი. სოფელში გაიმართა ქვევრების რეცხვა, საწნახლების ხიზვა და წმენდა, დაიკრიფა ვენახები, საწნახელში ჩამდგარი და ხელიხელ გადაბმული მუშები ხმამაღლა მღერიან. დაიწურა ყურძენი, დადუღდა მაჭარი. მოვიდა შუაგული შემოდგომისა. სოფლის ორღობეებში დაიწყეს ჭრიალი თივით მძიმედ დატვირთულმა ურმებმა. ეშინოდათ თოვლს არ მოესწრო, ამიტომ სოფელი ეშურებოდა ვენახიდან შინ თივის ზიდვას, ზამთარში საქონლის გამოსაკვებად[65].

ეს არის მხატვრულ ნაწარმოებში რეალურად გადმოცემული შრომითი პროცესების შემოდგომის ციკლი, ქართული სოფლის შემოდგომის სურათი.

*ილია ჭავჭავაძემ* ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა *„ღვინის ქართულად დაყენებას“*, რომელშიც მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული მთელი რიგი პრობლემებია წამოჭრილი: ღვინის ქართულად დაყენება, ჩვენი მევენახეობის საჭიროებანი, მევენახე გლეხთა მდგომარეობა, მცენარეთა შენაცვლების საკითხი მევენახეობაში, ფილოქსერა, ვაზის სნეულებანი, ვენახების შეწამვლა, ჩვენი ღვინოების საბაზროდ ქცევის საკითხი, ელექტრონის გამოყენება მეღვინეობაში. მკვლევარი აქაც პოლემიკაში ერთვება ჩვენი ყოფისა და კულტურის, ტრადიციების გამყალბებლებთან[66]. მაგრამ ჩვენ ამას მთლიანობაში ვერ შევეხებით, მხოლოდ რამდენიმე დეტალზე გავამახვილებთ ყურადღებას.

ილია ჭავჭავაძე მიუთითებს რა მევენახეობის, როგორც მეურნეობის უძველესი დარგის დიდ ტრადიციებზე, აღნიშნავს, რომ ჩვენი გლეხობა შესანიშნავად ერკვეოდა სავენახე ადგილების შერჩევაში. ეს იმიტომ, რომ ამ საქმეში რამდენიმე საუკუნის გამოცდილება გვაქვს. „თითქმის არც ერთი ვენახის პატრონი გლეხი არ არის ჩვენში, რომ ამ საგანზედ ჭკვად მისაღები დარიგება და რჩევა არ მოგცეთ. ამ მხრივ ჩვენებური გლეხი ევროპიელ მეცნიერსაც კი აჯობებს, იმიტომ, რომ მინათმოქმედებაში საერთოდ და ვენახობის საქმეში ცალკე გამოცდილება დიდი რამ არის, და ჩვენებური გლეხი ევროპიელს მეცნიერზედ გამოცდილებით მეტის-მეტად წინ იქნება, იმიტომ, რომ ადგილის კაცია“. ილია ასევე ხაზს უსვამს ვაზის მოვლა-პატრონობის მაღალ კულტურას; ქართული ხალხური წესით დაყენებული ღვინის დიდ უპირატესობას ევროპულ ღვინოებთან შედარებით, სადაც ყურძნის წვენს წყლითა და ქიმიური შენარევებით აჯერებდნენ. ქართველი გლეხი კი „ძალიან ჰთაკილობს ღვინოში ყურძნის წვენს მეტი სხვა რამე ჩაურიოს“. ამას ის ყურძნის ნაწყმენდად და შებღალვად თვლიდა. მაგრამ, როგორც ჩანს, აქა იქ ადგილი მაინც ჰქონდა ღვინის ფალსიფიკაციას. ასეთი კაცის მარანს, სანამ ამქრობას ძალა ჰქონდა, არც ერთი ვაჭარი და სირაჯი ახლოსაც არ გაეკარებოდა, ისე შეჰკრავდნენ მარანს, რომ ახლოს არავის გააჭაჭანებდნენ. შემდეგ მწერალი გვაცნობს ყურძნის კრეფის, გადარჩევის, დაწურვის, ღვინის დაყენების და შენახვის მთელ პროცესს[67].

პოემაში, *„რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“*, რომელიც სოფლად სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის, გლეხთა უუფლებობის და, აქედან გამომდინარე, კლასთა ბრძოლის უაღრესად მწვავე პრობლემას ეძღვნება, ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს მენახი-

რეობის აღწერა. ზაქროს მონათხრობიდან ჩანს, რომ ის ჯერ კიდევ თოთხმეტი წლის ასაკში მოსწყვიტეს მშობლიურ კერას და სახლიდან შორს – ნახირში უკრეს თავი. ბავშვს თავიდან ძალიან გაუჭირდა, მაგრამ თანდათანობით შეეჩვია მენახირის მძიმე ცხოვრებას. ილია მოგვითხრობს, თუ მწყემსები როგორ ინაწილებდნენ შრომას. საქონელი დილით ადრიანად, ცისკარზე გაჰყავდათ საძოვარზე, შუადღისას ალაზანზე ჩაიყვანდნენ, საღამოს ბინაზე მოიყვანდნენ, დაითვლიდნენ და დააბინავებდნენ. შემდეგ ტყის პირას ცეცხლს დაანთებდნენ, ყველა თავის საგზალს მიიტანდა, ცეცხლს გარშემო შემოუსხდებოდნენ, ივახშმებდნენ და გვიან ღამემდე ერთობოდნენ, მღეროდნენ, ხუმრობდნენ და რიგრიგობით ზღაპრებს ყვებოდნენ. ასე გადიოდა წლები, მენახირეები თავიანთ ოჯახებიდან სრულიად მოწყვეტილნი იყვნენ[68]. აქ, გარდა ცოცხლად გადმოცემული ეთნოგრაფიული მასალისა, საინტერესოა ზღაპრების რიგ-რიგობით მოყოლის ტრადიცია. ოჯახებშიც ფართოდ იყო გავრცელებული ბავშვებისათვის საღამოობით ზღაპრების, ლეგენდების, ისტორიული ხასიათის გადმოცემების მოყოლა[69]. ამით ხალხური შემოქმედება თავს ინახავდა და გარდა ამისა, ზღაპრებს და ლეგენდებს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც ჰქონდა.

ჩვენს წინაშე დასმულ პრობლემებიდან გამომდინარე, უნდა შევეხოთ ილია ჭავჭავაძის ერთ შენიშვნას: როდესაც შორს მანძილზე ურმების ქარავანი მიდიოდა, ერთ-ერთ ურემზე მამალს დასვამდნენ ხოლმე, რომ მის ყივილს ქარავნისთვის გათენება ეცნობებია, გზაზე მეურმის საათი მამალი იყო. უფრო ხშირად, ვისაც ქარავანში პირველობა ჰქონდა, მამალიც მის ურემზე იჯდა. ქარავანში ურმის პირველობა, ესე იგი, წინა ურმის მეურმეობა გლეხობაში სასახელო იყო, რადგან ამ პატივს კარგი ხარ-კამეჩის პატრონს, კარგ პიროვნებას, გზის მცოდნეს, ფხიზელს და სანდო მეხრეს ანდობდნენ ხოლმე.

ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, ერთ-ერთი საკითხი, რომელსაც სოფლის ცხოვრების სურათებიდან ვეცნობით, ეს არის ქორწინება. ლუარსაბ თათქარიძე სატოლეს თავის წრეში – თავადთა წრეში ეძებს და თანაც ისეთს, რომელსაც მზითევში მეტი ფული ექნება. სოფლად მოქმედებს მაჭანკლობის ინსტიტუტი. თაღლითობაში გაქნილი მაჭანკალი, პირადი გამორჩენის მიზნით, ყველაფერს კადრულობს, მაგრამ ხშირად მოტყუებული რჩება. არცთუ იშვიათი ყოფილა ჯვრისწერის დღეს საპატარძლოს შეცვლა და სასიძოსთვის შეუხედავი ქალის ხელში შეჩეჩება, მზითევშიც მოტყუება. მართალია, ლუარსაბისა და დარეჯანის ქორწინების ეს ეპიზოდი გაშარჟებულია, მაგრამ ის მაინც რეალურ სურათს გვიხატავს[70].

დასაშვები იყო თუ არა თავადსა და გლეხს შორის სიყვარული? ეს საკითხი მწერალს მწვავედ აქვს დაყენებული *„ოთარაანთ ქვრივში“*. მწერალი გვიჩვენებს, თუ როგორ ტრაგიკულად დასრულდა გიორგის, ყოველგვარი ადამიანური ღირსებებით დაჯილდოებული პიროვნების, ამაღლებული, წრფელი სიყვარული. ასე დასრულდა, რადგან გიორგი და კესო ჩატეხილი ხიდის სხვადასხვა მხარეს იყვნენ, მათ ერთმანეთისთვის თვალი ვერ მიეწვდინათ, „თვალი მართალი და უტყუარი“. არ შეიძლებოდა, რომ გიორგი იქამდე ამაღლებულიყო, რომ კესომდე ხელი მიეწვდინა. სწორედ ამ ორივე მხრიდან გამოწვდილ, მაგრამ ერთმანეთთან მიუწვდომელ ხელებს მოჰყვა ტრაგედია.

გარდა იმისა, რომ აღნიშნულ ნაწარმოებებში გვაქვს XIX საუკუნისთვის დამახასიათებელი, მხატვრულ ფორმებში დიდი სიზუსტით გადმოცემული ეთნოგრაფიული მასალა, მწერალი აყენებს მწვავე პრობლემას. ის სამარცხვინო ბოძზე აკრავს მაჭანკლობისა და ქორწინების მავნე, საზოგადოებისათვის შეუთავსებელ ჩვეულებებს და აშკარად გამოდის სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ, მოითხოვს არსებულ სოციალურ ფენებს შორის ჩატეხილი ხიდის გამთელებას და ცალ-ცალკე შემოვლებული ღობეების შემორღვევას.

ეთნოგრაფიული კვლევის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, რომელსაც ილია ჭავჭავაძე შეეხო, ეს არის მიწათსარგებლობისა და მფლობელობის ფორმები. სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, ზოგი რამ ზემოთაც გვქონდა აღნიშნული. მაგალითად, მის საპროგრამო წერილში, რომელიც ეთნოლოგიური კვლევა-ძიების პრობლემებს ეხება, ერთ-ერთ საკითხად წამოწეულია „მამულის ყიდვა და დაგირავება“[71].

ლუარსაბ თათქარიძე უშვილობას, პირველ ყოვლისა, იმიტომ განიცდის, რომ, მისი გარდაცვალების შემდეგ, მისი მამული მისი ძმის დავითის ხელში გადავა. ასე განსჯიდა ქართული ჩვეულებითი სამართალი და ოფიციალური კანონმდებლობა.

მწერალი, ეხება რა გლეხთა რეფორმის შემდეგ სასოფლო მმართველობის სისტემას, გარკვეულ ზღვარს ავლებს რუსულ და ქართულ მიწათსარგებლობისა და მფლობელობის ფორმებს შორის. ამიტომ, როგორც აღნიშნავს, რუსულიდან პირდაპირ გადმოღებული კანონები ქართული ყოფისათვის მიუღებელი იყო და პრაქტიკულად ვერც ხორციელდებოდა.

1880 და 1886 წლებში ილია ჭავჭავაძემ სპეციალური ნარკვევები უძღვნა *„ხიზნების საქმეს“* და კვლავ 1886 წელს – *„კერძო და სათემო მიწათმფლობელობას“*[72]. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მწერალი კარგად იცნობს რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში ამ პრობლემასთან დაკავშირებით არსებულ მდგომარეობას, სამეცნიერო ლიტერატურას, გამოჩენილ მეცნიერთა მოსაზრებებს და ცალკეული საკითხების კვლევისას წარმატებით იყენებს შედარებით-ისტორიულ მეთოდს.

ილია ჭავჭავაძის განმარტებით, საქართველოში ხიზნობას ხანგრძლივი წარსული აქვს. ეს მიწის მფლობელობის ერთგვარი ფორმაა, რომელშიც მიწის მეპატრონისა და თავისუფალი გლეხის ურთიერთობა აისახება[73]. მწერალი ამ პრობლემას ფართო სპექტრში იხილავს და აღნიშნავს, რომ „მეცნიერთა გამოკვლევით, საკუთრებას ორი ელემენტი აქვს: ერთი საზოგადოებრივი, ანუ თემობრივი, და მეორე კერძოობრივი“. პირველყოფილი თემური წყობილების დროს, ყველგან – ევროპაში, აზიაში, აფრიკაში საერთო თემობრივი საკუთრება დომინირებდა. ინდოელებს, სლავიანებს, გერმანელებს მიწა სათემო საკუთრებაში ჰქონიათ, ისე როგორც ეს XIX საუკუნეში რუსეთსა და იავას კუნძულებზე იყო. თემში შემავალ ყოველ ოჯახს მიწა დროებით სარგებლობაში ჰქონდა და თემის შიგნით, წილის ყრით, პერიოდულად ხდებოდა მიწების გადანაწილება. მაგრამ დროთა განმავლობაში, ბევრგან გარეშე მტერთა შემოსევების შედეგად, ეს თანასწორობა ირღვევა და მიწაზე კერძო საკუთრება იკიდებს ფეხს. ამ გზით აღორძინდა არისტოკრატია და მიწაზე კერძო საკუთრება ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში, ინდოეთში. სხვაგან კი კერძო საკუთრება

შრომის საფუძველზე ჩამოყალიბდა. მაგალითად, ვინც სათემო მამულში *„ახო გატეხა“*, შეეძლო ეს ნაკვეთი კარგა ხნით დაეჩემებია და ბოლოს ის სამემკვიდრეოდაც რჩებოდა. „ვინც ცარიელს უხმარს მიწას სათემოში ან ტყეში, შემოღობდა შესამუშავებლად, იმას საშვილიშვილოდ შეეძლო დაეჭირა შემოღობილი. ამგვარი მიწები თემის ხელქვეითობიდან გამოდიოდა, ასე რომ თემს მათზე აღარაფერი უფლება არა ჰქონდა. თვით სათემო გადასახადისგანაც თავისუფალი იყო“[74].

აქ მწერალი ქართულ ეთნოგრაფიულ მასალას უბრუნდება და აღნიშნავს, რომ ეს მიწები სათემო მიწებიდან გამორჩეული იყო, ცალკე მიეზომებოდა ხოლმე საბლით და ცალკე დაიმიჯნებოდა, აქვე გაკეთებულია შენიშვნა, სადაც ნათქვამია, რომ „ოდესღაც ჩვენში გლეხისაგან დაჩემებულს და განსაკუთრებულს მამულს *„საბლის მამულს“* ეძახიან, გასარჩევად სათემო მამულისაგან. საბლის მამულს ჩვენში სწორედ იმისთანავე სათავე უნდა ჰქონდეს, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ. გერმანიაში და ნამეტნავად დანიაში ეგ საბლით მიზომვა დაჩემებულის მამულისა ჩვეულებად იყო.“ ცხადია, მიწაზე კერძო საკუთრება თანდათანობით უფრო მტკიცდებოდა, სათემო მიწები ოჯახებს შორის არათანაბრად ნაწილდებოდა, ძლიერნი ამა ქვეყნისანი დიდ მამულებს იგდებდნენ ხელში. „ჯერ თვითონ ტაციტის დროს გერმანიაში ზოგს სხვაზედ ბევრად მომეტებული მიწები სჭერიათ თემშივე. ამ სახით ჩამოვარდა კერძოობრივი საკუთრება იქ, სადაც უცხო ხალხთაგან დაპყრობა არ მოხდენილა, მაგალითებრ, გერმანიაში“[75].

ამგვარად, ილია ჭავჭავაძე, ზოგადი სპეციალური ლიტერატურული მონაცემებისა და ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე, ფართო შესადარებელი მასალის მეშვეობით, იკვლევს პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის პროცესს. აქ მკვლევრის ყურადღება, სავსებით ლოგიკურად, საკუთრების ფორმების განვითარებაზეა გადატანილი. თავდაპირველად, თემი მის ხელთ არსებული მიწის ფონდებზე, მიწათსარგებლობის ფორმებზე თავად აწესებდა კონტროლს, ახდენდა ოჯახებზე მიწების პერიოდულ გადანაწილებას და ამით იცავდა ყველას მიმართ თანაბარუფლებიანობის პრინციპებს. მაგრამ, თანდათანობით, გარეშე მტერთა შემოსევებისა თუ შრომითი პროცესების გაღრმავების საფუძველზე, მიწაზე სათემო მფლობელობის გვერდით ჩნდება კერძო ოჯახო მფლობელობა, ირღვევა თანაბარუფლებიანობის პრინციპი, თემური საზოგადოება იშლება ეკონომიურად და მის საფუძველზე – სოციალურადაც. ეს პროცესები იწვევდა, ერთი მხრივ, უმიწოდ დარჩენილი მეთემეების მიგრაციებს თემის ფარგლებიდან და მეორე მხრივ, ეკონომიურად და სოციალურად დაწინაურებული პირების მიერ თემის გარედან მუშახელის შემოყვანას. ამგვარად, საზოგადოება მიდიოდა სასოფლო თემის დაშლისა და მის საფუძველზე ფეოდალური საზოგადოების ჩამოყალიბების გზით.

კიდევ ერთ გარემოებას გავუსვათ ხაზი, ილია ჭავჭავაძე კარგად იცნობდა არა მარტო ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურას, არამედ ღრმად წვდებოდა საისტორიო წყაროებსაც. მაგალითად, იგი იმოწმებს რომაელ ისტორიკოსს, ეთნოგრაფიის *„მამად“* მიჩნეულ *ტაციტუსს*, რომელიც 55-117 წლებში ცხოვრობდა. მის კალამს ეკუთვნის მეცნიერული გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული ტრაქტატი *„გერმანია“*[76]. მან მნიშვნელოვანი ცნობები დაგვიტოვა საქართვე-

ლოს შესახებაც[77]. და მეორეც, ილია ჭავჭავაძე სათემო მამულებათან ერთად, განმარტავს ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ფიქსირებულ *„საბლის მამულს“*.

მოტანილი კვლევა-ძიებიდან ილია ჭავჭავაძე იმ დასკვნამდე მიდის, რომ მიწათმფლობელობისა და სარგებლობის ფორმებს ყველგან ერთნაირი სათავე ჰქონდა, ეს იყო სათემო მფლობელობა და სარგებლობა. მართალია, მკვლევარი XIX საუკუნის ეთნოგრაფიულ ყოფაში არსებულ სასოფლო თემს პირველყოფილ თემთან არ აიგივებს, მაგრამ საქართველოში მის გადმონაშთებს საძოვრებითა და ტყეებით სარგებლობასა და მფლობელობაში ხედავს, რაც რუსული კანონების ზემოქმედებით სულს ღაფავდა[78].

მიწათმფლობელობისა და სარგებლობის ფორმებთან დაკავშირებით, ილია ჭავჭავაძე, ზოგადი მონაცემების ფონზე იკვლევს *ხიზნობის საკითხს*. მკვლევრის განმარტებით, ეს არის მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის გარკვეული ფორმა, რომელიც „უხელო მიწისა და უმიწო ხელის“ ურთიერთმორიგების ეკონომიკურ ანგარიშზეა აგებული[79]. ეს საკითხი სათანადოდ აისახა საისტორიო სამეცნიერო ლიტერატურაში. აქაც ჩამოყალიბებულია თეზისი, რომ ხიზანი გლეხთა ისეთი კატეგორიაა, რომელიც პირად თავისუფლებას ფლობს, მაგრამ მოკლებულია საწარმოო საშუალებათა მთავარ ელემენტს – მიწას. ამდენად, მებატონისა და ხიზანის ურთიერთობის მთავარი საფუძველი, უპირველეს ყოვლისა, მიწა იყო[80].

როგორც აღვნიშნეთ, ილია ჭავჭავაძემ სპეციალური ნარკვევი მიუძღვნა საქართველოში მიწათსარგებლობისა და მფლობელობის ფორმებს. უნდა ითქვას, რომ ეს არის ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც სადღეისოდ უნიკალურად შეიძლება მივიჩნიოთ. ამიტომ სასურველად მიგვაჩნია მისი ძირითადი არსის გადმოცემა. მკვლევარი გამოჰყოფს ისეთ სოფლებს, რომელთა მკვიდრი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სახელმწიფო ანუ სახასონი იყვნენ. ასეთ სოფლებში ილია, მფლობელობის თვალსაზრისით, მიწების ორ კატეგორიას გამოჰყოფს. ერთია უფრო ნაყოფიერი მიწები, რომლებიც გლეხობის მკვიდრ ნაწილს ჰქონდა დაკავებული, საშვილიშვილოდ დაჭერილი და მემკვიდრეობით გადადიოდა თაობიდან თაობაზე. ასეთ მიწებს ზოგან *„ნაფუძრებს“* ეძახდნენ, უფრო ხშირად კი *„საბლის მამულებს“*. გლეხკაცობის თვალში ეს მიწები არაფრით არ განირჩეოდნენ კერძო საკუთრებისაგან, თუმცა სახასოდ და სახელმწიფოდ მიიჩნევდნენ. გლეხებს შეეძლოთ ისინი თავისუფლად დაეგირავებინათ და ერთმანეთში გაეყიდათ.

მეორე კატეგორიის მიწებში ის ფართობებია მოქცეული, რომლებიც *„სასოფლო“*, *„საზოგადო“*, *„სათემო“* და ზოგან *„სახასო“* სახელწოდებითაც იყო ცნობილი. სოფლიდან მოშორებით მდებარე, ნაკლებ ნაყოფიერნი და არავისგან არ დაჩემებული, მათი დამუშავება დასწრებაზე იყო. ვინც პირველი მივიდოდა და მოხნავდა, მოხნული მიწაც იმ წელიწადს მისი იყო, მეორე წელიწადს სხვა ხნავდა და ა.შ. სოფლის ყოველ მკვიდრს უფლება ჰქონდა, სადაც უნდოდა და რამდენიც უნდოდა იმდენი მოეხნა. როდესაც წელიწადი ხელს არ აძლევდათ და სათემო მიწები მოუხნავი რჩებოდა, მათ სასოფლო სათიბებად *„დააყორუღებდნენ“*. ყორუღს მთელი სოფელი ინახავდა და როდესაცა თიბვის დრო მოაწევდა ან სასოფლოდ გათიბავდნენ და მერე თივას ინაწილებდნენ ან თიბვამდე

გაინაწილებდნენ. თუ მიწა სათიბად არ ვარგოდა, ზოგჯერ უცხო კაცზეც კი ზამთრის საძოვრებად აქირავებდნენ, აღებულ *„საბალახეს“* კი ან სოფლის საჭიროებას ახმარდნენ, ან ურთიერთშორის ინაწილებდნენ.

ამ ცოცხალ მასალასთან დაკავშირებით, რომელიც ჩვენში XIX საუკუნეში არ წარმოქმნილა და დიდი ხნის ისტორია აქვს, მწერალი აკეთებს შენიშვნას: რაკი სათემო მიწებში სოფლის ყველა მკვიდრს შეეძლო სადაც უნდოდა და რამდენიც უნდოდა იმდენი მოეხნა, მდიდარი და შეძლებული გლეხი ყოველთვის ჩაგრავდა შეუძლებელს. „გარდა ამისა, ვიწროობამ აიძულა ბევრი მკვიდრი, რომ მამული სხვებსათვის გაისაკუთროს, დაიჩემოს. აქაც, რასაკვირველია, ყოველი გარემოება შეძლებულ გლეხს აძლევს უპირატესობას შეუძლებლის წინაშე“. მწერალი ამაში ხედავს ჩვენი სოფლის ეკონომიკური წყობის ნაკლს, სოფლის ტკივილს, „რომელიც მიწათმფლობელობის საქმეს ერთი მხრით ძლევამოსილად კერძო საკუთრებისაკენ მიეზიდება და, მეორე მხრით, შესანიშნავის მარცხით – სათემოსაკენ“[81]. როგორც ილია აღნიშნავს, სოფელმა იგრძნო ეს ტკივილი და აშკარად გამოვიდა სათემო მიწების მისაკუთრების წინააღმდეგ.

ილია ჭავჭავაძე, ეხება რა მიწის დაყოფის საკითხს, აყენებს რამდენიმე კითხვას, რომლებიც, დღესაც ყველა ეთნოგრაფის წინაშე ისმება: 1. განაჩენის დადგენაში ვის უნდა ჰქონდეს ხმა, კომლის თითოეულ მუშაკს თუ კომლის თავკაცს? 2. განაჩენში მოხსენებული უნდა ყოფილიყო თუ არა მიწის შემდგომი გადანაწილების ვადა? 3. მამულები კომლზე უნდა დაყოფილიყო თუ კომლში შემავალ მუშაკაცების ოდენობაზე? 4. საჭირო იყო თუ არა, რომ განაჩენში, მამულების რაოდენობის კვალდაკვალ, განსაზღვრულიყო თითოეული კომლის უდიდესი და უმცირესი ნაწილი? 5. კარ-მიდამო, ვენახები, ნაფუძრები გასაყოფ მამულში უნდა დარჩეს თუ არა?

დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემამდე ილიას სასურველად მიაჩნია „ყოველივე ამას ერთი უტყუარი სათავე მოვუპოვოთ და აქედამ წარმოვადგინოთ ყოველივე მსჯელობა“. ასეთი სათავე კი თავად სოფელია. მაგრამ აქვე უნდა გავითვალისწინოთ თავად სოფელი, როგორც ეკონომიკური ერთეული, „თვითმყოფი ცალკე სხეული, რა საფუძველზეა დამყარებული და აგებული?“ და აყალიბებს კიდეც დებულებებს: „არავინ არ შეგვეცილება ვსთქვათ, რომ ჩვენი სოფელი დამყარებულია და აგებული კომლეულობაზედ და არა თვითოეულს ჰასაკში მოსულ მუშაკაცზედ, როგორც რუსული «*Мир*»-ია. ყოველისფერი ჩვენს სოფელში კომლზედ არის და ყოფილა უწინაც გაანგარიშებული. თვლაში კომლია, სახელმწიფო და სასოფლო ხარჯები კომლია, ბეგარაში, მამულში, სულ ყველგან იგივე კომლია ანგარიშში. რუსეთში კი ყოველი ეს თვითოეულს ცალკე სულზეა“. ამდენად, ჩვენი სოფლის ეკონომიური და საზოგადოებრივი დედაბოძი კომლი იყო და ის არ უნდა მოშლილიყო, თუნდაც კომლში შემავალი ქუდოსნები დაქსაქსულიყვნენ. ამიტომაც აღნიშნავს ილია, რომ მამულის გაყოფის განაჩენში ხმის უფლება ჰქონდა „კომლის მოთავეს, კომლის უფროსს კაცს“[82].

დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით, ილია ყურადღებას ამახვილებს ძველ გუჯრებში წარმოებულ ტერმინზე *„საკომლო“*. ძველ საბუთებში ამ ტერმინის ხმარება, განმარტავს მწერალი, „იმის საბუთია, რომ მამულის ჭერის საქ-

მეშიც ნიშანში ამოღებული კომლი ყოფილა... საკომლო ნიშნავდა ცალკე კომლის მიერ დაჭერილს და მის სამყოფს მამულსა და მამულის უდიდეს ზომასაც". მისი მოცულობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არ იყო ერთნაირი, ის 10-დან 60 დღიურამდე მერყეობდა. აქვე მწერალი აკეთებს შენიშვნას, რომ მას საკომლო არსად არ შეხვედრია 10 დღიურზე ნაკლები და 60 დღიურზე მეტი, თუმცა, „ზოგნი ამბობენ, ოთხმოცი დღიურიც ყოფილა თურმე". მწერალი აქვე განმარტავს, თუ რა განსაზღვრავდა საკომლოს მოცულობას, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო მთაში, სადაც მესაქონლეობას წამყვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა; ბარში, სადაც მემინდვრეობა მეურნეობის წამყვანი დარგი იყო; იქ, სადაც ფართო მასშტაბები ჰქონდა მევენახეობას და მებაღეობას. იგი აანალიზებს რა ამ მონაცემებს, გლეხის მიწისადმი ლტოლვას, თუ როგორ იყო გლეხკაცი მიწაზე მიჯაჭვული, აღნიშნავს: „ამიტომაც ძნელია ჩვენში გლეხკაცისათვის ადგილიდან დაძვრა... ამიტომაც ჩვენში ბინადარს მცხოვრებს „*მკვიდრი*" ჰქვიან და არა „*მდგმური*", როგორც ზოგიერთის ენაშია. ჩვენში რომ გლეხკაცმა თავი დაანებოს თავის ადგილს, უნდა ჯერ გულიდან ამოიღოს თავისი თემი, თავისის ოჯახის წარსული, თავისი მამა-პაპა, რომელთა ნაშთი, ძეგლი თვითეული ვაზია, თვითეული ხეა, მამა-პაპის ხელით დარგული და ოფლით მორწყული, და რომელსაც იგი „*სამკვიდროს*" ეძახის. ყოველ ამის გულიდან ამოღება ძნელია"[83].

ამ ამონარიდს, გარდა მეცნიერული მნიშვნელობისა, პოლიტიკური დატვირთვაც გააჩნია. მწერალი არც ერთ მომენტს არ უშვებს ხელიდან, რომ ხალხს თავისი კუთხის, ადგილის დედის, თავის სამკვიდროს, მისი წარსული ტრადიციებისა და აწმყოს სიყვარული, პატრიოტული გრძნობები არ გაუღვივოს. ყოველივე ეს ერის ცხოვრებაში ფუნდამენტური და სიღრმისეულია, მისი მომავლის პერსრექტივებზეა გათვლილი, რის გამოც მას თანამედროვე ჟღერადობაც გააჩნია და სადღეისოდაც აქტუალურია.

ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა იმის შესახებ, თუ რამ გადაარჩინა საქართველო ასეთ რთულ გარემოცვაში. ხაზგასმით იყო ნათქვამი – ჩვენ რომ დღეს ქართველები ვართ, ადგილზე ფეხმოკიდებული, ეს განაპირობა ხმალმა და გუთანმა, ჩვენი მკვიდრი და უტყუარი შემნახველი მიწა და გუთანია. ილია ჭავჭავაძემ, აღნიშნავდა *ივ.ჯავახიშვილი*, ჯერ კიდევ 1880 წელს დაბეჭდილ წერილში საქართველოს ისტორიას სრულიად ახლებური თვალით შეხედა. მან დააყენა საკითხი, თუ რამ გადაგვარჩინა, რა იყო ის ძალა, რამაც ორი ათასი წლის განმავლობაში ყოველი მხრიდან მოწოლილ მტერს გაუძლო? ამ თვალსაზრისით, ილიამ „პირველმა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი წარსულის ეკონომიკური საფუძვლების გამოკვლევის აუცილებლობა აღიარა". ცხადია, პოეტს არც უცდია ამ პრობლემის ფუნდამენტური კვლევა, რადგან მისი სიტყვით, მას საამისოდ არც მომზადება გააჩნდა და არც საჭირო წყარო, მხოლოდ ორიოდ მოსაზრებას გვთავაზობს. იმ ძალას, რამაც საქართველო დღემდე მოიყვანა, მწერალი მიწამფლობელობის წესებში ხედავს. მისი სიტყვით, ჩვენს ეკონომიკურ წყობაში, ისევე როგორც სხვაგან, ორგვარი მიმდინარეობა იყო – „*სასოფლო*" და „*საკომლო.*" პირველი ისე მიიზიდებოდა, რომ მამულები, მინა, მინდორი, ტყე სოფლის წრეში – საზოგადო, სასოფლო მფლობელობასა და სარგებლობაში ყოფილიყო, მეორე კი – ყოველივე ეს განსაკუთრებული იყო.

თუ საკომლო გავრცელდებოდა და ფეხს გაიდგამდა, მაშინ მიწათმფლობელობაში უსწორ-მასწორობას ფართო გზა გაეხსნებოდა, ხოლო თუ სასოფლო გაძლიერდებოდა, მაშინ ამ უსწორ-მასწორობას გზა შეეკვეცებოდა. აქედან ცხადია, ჩვენი მეფეები და თვითონ ხალხიც რას უნდა გაფრთხილებოდნენ და უფრთხილდებოდნენ კიდეც. ეს იქიდან ჩანს, „რომ ჩვეულებამ ფრთა შეაკვეცა საკომლოს განვითარებას, რადგანაც ყველგან საკომლო განსაზღვრული იყო ზოგან ოცი დღიურით, ზოგან ორმოცი დღიურით, მამულების ნაყოფიერების გვარად". გარდა ამისა, ტყის და მინდვრის განსაკუთრება ხომ შეუძლებელი იყო და *ხალხის გონებაშიც ვერ თავსდებოდა, რომ ტყე და მინდორი ვინმეს საკუთრება ყოფილიყო და არა სასოფლო.*

შემდეგ საუკუნეებში, აღნიშნავს ილია, საქართველოს ეკონომიკური წყობილების ამ კარგ მხარეს ყური აღარ ათხოვეს: „გაიდგა ფეხი განსაკუთრებამ და კომლეულობამ, ჩამოვარდა უსწორ-მასწორობა მიწის მფლობელობაში, არამცთუ კომლთა შორის, არამედ სოფელთა შორისაც"[84].

ამგვარად, *ივ.ჯავახიშვილის* სიტყვით, *ილია ჭავჭავაძემ* საქართველოს ისტორიას ახლებური კუთხით შეხედა. მან დააყენა საკითხი, თუ ეს პატარა ერი რა ძალამ მოიყვანა დღემდე და შეგვინარჩუნა ჩვენი მეობა. ამ თვალთახედვით, წინ წამოსწია ეკონომიკური წყობის, მიწათმოქმედების, მიწათმფლობელობისა და სარგებლობის ფორმების კვლევის პრობლემა. ეს კვლევა კი უნდა მომხდარიყო კომპლექსურად, ისტორიული და ეთნოლოგიური კუთხით.

როდესაც ილია თავის საპროგრამო წერილში აყალიბებდა დებულებებს ეთნოლოგიური კვლევის შესახებ, საგანგებოდ მიუთითებდა ჩვეულებითი სამართლისა და ხალხური მმართველობის სისტემაზე. ეს პრობლემა ქართველ იურისტებს უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ[85]. როგორც ილია აღნიშნავდა, ყველა ხალხს აქვს საკუთარი ეკონომიკური წყობა და იურიდიული ჩვეულებები, სხვადასხვა მცირე დანაშაულობების და სხვა ამგვარი მოვლენების განხილვა ხალხის ადათობრივ ნორმებზეა დაფუძნებული, ამ ადათის საფუძველზე გამოაქვთ სანქციები და თავადვე უზრუნველყოფენ მათ აღსრულებას. ამგვარად, მწერალი უკვე აყენებს ჩვეულებითი სამართლის, ქართული ხალხური მმართველობის სისტემის სათანადო დონეზე კვლევის საკითხს.

გლეხთა რეფორმის შემდეგ, მიწათსარგებლობისა და სასოფლო მმართველობის სისტემას ეხება ილია თავისი წერილების სერიაში *„ცხოვრება და კანონი"*. აღსანიშნავია, რომ ჩვენი სოფლის მმართველობა, ცოტად თუ ბევრად, თვითმმართველობის საფუძველზე იყო აგებული, მაგრამ მის მიმართ მაინც გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას. მწერალი ნაკლს იმაში ხედავს, რომ მისი წესდება მთლიანად რუსეთიდან იყო გადმოღებული და ქართული სოფლის თავისებურებები არ იყო გათვალისწინებული. ჩვენში ბევრია წვრილ-წვრილი სოფლები, ნათქვამია ერთ-ერთ წერილში, რომელთაც დიდი მტრობა და დავა აქვთ მამულებზე ერთმანეთს შორის ან დიდ სოფლებთან. ბევრგან სოფლების შეერთება ტერიტორიული სიახლოვის ნიშნის მიხედვით მოხდა და სხვა ადგილობრივი ვითარება არ გაითვალისწინეს, რომლის მცოდნენიც ადგილობრივ მოხელეთა შორის იშვიათად არიან. ასე დაირღვა სოფლის საზოგადოების ტრადიციული სტრუქტურა და მისი მომწესრიგებელი არავინ იყო. გარდა ამისა, განაგრძობს ილია, „რამდენი პატარა სოფელია დიდ სოფელზე მიწერილი და მის-

გან ჩაგრული, რადგანაც პატარა სოფლის ხმა სოფლობაში ხმაა მღალადებელი უდაბნოში და სხვა არაფერი... ესეც კია წვრილ სოფლებისათვის გასაჭირი, რომ ძალიან უნდოდეთ ცალკე ყოფნა, ვერ შეეძლებათ, რადგანაც წესდება ვალად სდებთ იყოლიონ მოხელენი არა ნაკლებ ოთხის კაცისა. ამოდენა მოხელეებს სად გაუძღვება პატარა სოფელი“[86].

სასოფლო სამმართველოს შეადგენდა: სოფლობა, მამასახლისი და სასამართლო. წესდება კი ვერც ერთ მათგანს ვერ უსახავდა მოვალეობას. მაგალითად, განმარტავს ილია, სოფლობის მოვალეობა პირდაპირ რუსულიდანაა გადმოღებული და აქედან გამომდინარე, გლეხთა გაყრა სოფლობას დაუსახა. ეს რუსეთისათვის ნორმალურად უნდა მივიჩნიოთ, რადგან „იქ სოფლობის მმართველობის დედაბოძად ყოველსფერში“ მიწის სახასო მფლობელობა იყო მიღებული და მიწათმფლობელობაში ყოველი ცვლილება, ცოტა თუ ბევრად, მთელ საზოგადოებას შეეხებოდა. ჩვენში კი კომლეული კერძოობითი მფლობელობა იყო, გაყრა ოჯახის კერძო ინტერესებში შედიოდა და მასში სოფლობა ვერ ჩაერეოდა. „სოფლობას არ ძალუძს გაჰყაროს თუნდაც ერთი ოჯახი... არც გვგონია, რომ სადმე ამისი მაგალითი მომხდარიყოს“[87]. მწერალი ასევე ეხება მამასახლისისა და სასამართლოს ფუნქციებს, მაგრამ ეს საკითხები ამჟამად ჩვენი კვლევის სფეროს სცილდება.

ამრიგად, ზემოთ განხილული მონაცემები გვიჩვენებენ, რომ ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ-მეცნიერული შეხედულებანი, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის პრობლემურ საკითხებზე, დასავლეთისა და რუსეთის საზოგადოებათმცოდნეობით მეცნიერებაში ძირითადი მეცნიერული მიმართულებების დამოუკიდებელ სამეცნიერო დარგებად ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანეს ეტაპს ემთხვევა. ეს პროცესები, თავის მხრივ, გლობალურ ეპოქალურ ცვლილებებსაც უკავშირდებოდა. უკან რჩებოდა შუა და გვიანი საუკუნეების ფეოდალურ-კლერიკალური შეხედულებები და საზოგადოების განვითარების მსოფლიო ისტორიული პროცესები მატერიალისტური იდეური მიმართულებების ფონზე განიხილებოდა. კაცობრიობა ახალი ბურჟუაზიული ურთიერთობის საბოლოო გამარჯვების ზღურბლზე იდგა.

ქართველ სამოციანელთა წინაშე რთული ალტერნატივა წამოიჭრა – უძველესი ცივილიზაციისა და კულტურის შემქმნელი და მატარებელი ხალხის რომანტიკული ელფერით მოსილი, გმირულ-ჰეროიკული ისტორიის ღირებულებები ამჯერად ბურჟუაზიული საზოგადოების ახალ იდეურ მიმართულებათა და პრაქტიკულ-მერკანტილურ შეხედულებათა ფონზე უნდა წარმოჩენილიყო. *დასავლეთის კულტურულ ღირებულებებთან შეპირისპირებისა და დასავლოფილობის წინა პლანზე წამოწევასთან ერთად საფრთხე ექმნებოდა ხალხებისა და ერების, განსაკუთრებით მცირე ერების უმდიდრეს კულტურულ მემკვიდრეობას, მის აწმყოსა და მომავალს. საჭირო იყო ამ მემკვიდრეობის გამომზეურება, შეფასება, დაცვა და გადარჩენა, საბოლოოდ კი მათი კუთვნილი ადგილის მიჩენა კაცობრიობის ცივილიზაციის საგანძურში.*

*საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემების კვლევა-ძიების მიმართულებათა წარმართვასა და ობიექტური ინტერპრეტაციის დამკვიდრების კეთილშობილურ საქმეს ილია ჭავჭავაძემ მრავალი ათეული წლის პუბლიცისტურ-მეცნიერული საქმიანობა მოანდომა*

*და იგი ქართველი ხალხის თანამდევი მრავალსაუკუნოვანი ფენომენების – მამულის, ენისა და სარწმუნოების ისტორიული განვითარების ფონზე წარმოაჩინა.* მის მიერ ამ თვალსაზრისით წამოჭრილი საკითხების უბრალო ჩამოთვლაც კი საკმარისია, რომ ნათელი გახდეს: – თავისი ეპოქის თვალსაჩინო პოეტსა და მწერალს, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს – ილია ჭავჭავაძეს მხედველობიდან არ გამორჩენია XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის თითქმის არც ერთი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის კომენტარი, მეცნიერული ახსნა და ინტერპრეტაცია არ მოეცეს. *ილიას შეხედულებანი ხალხის ადათ-წესებსა და ჩვეულებებზე, ხალხური სამართლის ტრადიციულ ფორმებზე, მის ადგილსა და როლზე ცხოვრების ქართული წესის ფორმირების პროცესში ეპოქალური თეორიული კვლევაძიების დონეზეა წარმოჩენილი.* ასევე მეცნიერული ანალიზის ფონზეა გააზრებული ილიას მსჯელობა *ქართველი ხალხის ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის, ეროვნული თვითშეგნებისა და თვითმყოფობის, ეთნოსისა და მისი სტრუქტურის დამახასიათებელი ნიშნების – ენის, მატერიალური და სულიერი კულტურის ცალკეული ელემენტების, ეროვნული ტრადიციებისა და ცხოვრების ქართული წესისათვის დამახასიათებელი სამეურნეო-კულტურული და სოციალური ინფრასტრუქტურის შესახებ.* განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ილიას დაკვირვებები და დასკვნები ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფისა და კულტურის საკითხებზე, *დამჯდარი, ბინადარი და მომთაბარე, ველური ცხოვრების წესისათვის დამახასიათებელ თავისებურებებზე, მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის შესაბამის ფორმებზე* და ა.შ. საქართველოს სოციალურ – ეკონომიკური განვითარების შეფასების, თანამედროვე და პერსპექტიული პრობლემების ხედვის თვალსაზრისით კლასიკური მეცნიერული ანალიზის ნიმუშია ილიას მსჯელობა *მიწათმოქმედების, მევენახეობა-მეღვინეობის, მესაქონლეობისა თუ შინამრეწველობის ტრადიციული დარგების ადგილისა და როლის შესახებ ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარება-განმტკიცების საქმეში.*

დასასრულს, შეუძლებელია არ აღინიშნოს ილიას მიერ ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების გაშუქებისას გამოყენებული იმ მეთოდოლოგიური სიახლეების შესახებ, რომლებიც პირდაპირ პასუხობდნენ ეთნოლოგიური მეცნიერების გამოჩენილი მკვლევარების ე. ტეილორის, ა.ბასტიანის, ლ.მორგანისა და სხვ. თეორიულ შეხედულებებს. ახალი პერიოდის ქართული ეთნოლოგიის ადრეულ ეტაპზე *ილიას ხედვას საზოგადოების განვითარების ალმავალ ისტორიულ კანონზომიერებაზე, აქ გამოყენებულ ისტორიზმის პრინციპებზე, შედარებით – ისტორიულ, კომპარატიულ მეთოდებზე და, რაც მთავარია წყაროთმცოდნეობით ბაზაზე, უდაოდ დიდი მნიშვნელობა ქონდა საქართველოს ეთნოლოგიის ფორმირებისა და საბოლოო ჩამოყალიბების შეუქცევად პროცესებზე.*

## *1.2. ქართველ და კავკასიელ მთიელთა ყოფა და კულტურა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში*

ვაჟა-ფშაველა პირია უპიროვნო შემოქმედების. იგი ჰომერის ნატეხია საქართველოს არეზე. აქ არის მისი სიძლიერეც[1]. ასეთ შეფასებას აძლევდა *გრიგოლ რობაქიძე ვაჟა-ფშაველას.* ვაჟა-ფშაველა, ქართველ სამოციანელთა მემკვიდრე, დიდი მოაზროვნე, პოეტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე; „სოციალური და ეროვნული თავისუფლების, ჰუმანიზმის, დემოკრატიზმის, ინტერნაციონალიზმისა და სხვა ამაღლებული საკაცობრიო იდეალების უბადლო მომღერალი"[2] დაიბადა 1862 წლის 15 მაისს, სოფელ ჩარგალში, მაშინ, როდესაც თერგდალეულები სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიოდნენ. 80-იანი წლების დასაწყისში კი ისიც შეუერთდა იმ პროგრესულად მოაზროვნე საზოგადო მოღვაწეთა რიგებს, რომელთაც *ილია ჭავჭავაძე* ხელმძღვანელობდა. ვაჟას პირველი შეფასება სწორედ ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის: „რუსთაველის შემდეგ მაგისთანა პოეტი არა გვყოლია... „ჩვენ ყველამ გზა ვაჟას უნდა დავუთმოთ", – განაცხადა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ვაჟაზე ქართველი ერის დიდმა თავკაცმა და XIX საუკუნის ქართული კულტურის მედროშემ, რასაც, უთუოდ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვაჟა-ფშაველას შემდგომ შემოქმედებაზე. 1923 წელს, ცნობილმა ქართველმა პოეტმა *ტიციან ტაბიძემ* ვაჟა-ფშაველა *„ჰომეროსის ხაზის"* აღმდგენელად, ქართული და მსოფლიო პოეზიის *„აუცილებელ პოსტულატად"* გამოაცხადა, ხოლო *ვახუშტი კოტეტიშვილმა* ის კაცობრიობის ზნეობრივი განახლებისათვის დიდ მებრძოლად მიიჩნია[3]. მართალია, ვაჟასადმი შეხედულება არ იყო ერთგვაროვანი, მაგრამ მთავარი ის არის, რომ დღეს ვაჟას გენია საყოველთაოდაა აღიარებული.

ვაჟა-ფშაველამ განუზომელი ღვაწლი დასდო ისტორიულ მეცნიერებას და, კერძოდ, ეთნოგრაფიას. ისტორია, ვაჟას შეხედულებით, მარტო მეფეთა და გამოჩენილ კაცთა ომების კრებული არ არის, მას წინ დიდი აზრი მიუძღვის, აზრი ცხოვრებისა. ისტორიკოსის მიერ ისტორიაში მოქცეული ყოველი ამბავი რაღაცას გვასწავლის ცხოვრების შესახებ. ამასთან, „ისტორია იმდენად წარსულისათვის არ იწერება, რამდენადაც აწმყოსთვის, აწმყო ცხოვრებისათვის. იგი გვაფრთხილებს შეცდომისაგან და გვაქეზებს კეთილისაკენ. მასში ვხედავთ მიზეზს და მიზეზთან ერთად შედეგს. იქ ვხედავთ შეცდომას და შეცდომასთან ერთად გამარჯვებას"[4].

მოტანილი ტექსტის მიხედვით, შეიძლება პარალელი გავავლოთ ილია ჭავჭავაძესთან, რომ ისტორია მარტო მეფეთა და ომების ისტორია არ არის, ისტორიას ხალხი ქმნის და მასში ხალხის ცხოვრება უნდა აისახებოდეს; ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ისტორია მარტო წარსულის აღსაქმელად კი არა, დღევანდელობისა და მომავლის პერსპექტივებისთვის გვჭირდება; რომ აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა; რომ ჩვენ ჩვენი უნდა ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს. ჯ.ლომაშვილი, განიხილავს რა აღნიშნულ საკითხს, აყალიბებს თეზისს, რომ ვაჟასთვის „კაცობრიობის მთელი ისტორია არის ადამიანის ცოდნის, მის მიერ სამყაროს განვითარების კანონების აღმოჩენისა და ტექნიკურ გაუმჯობესებათა ერთიანი, თან-

დათანობითი, განუწყვეტელი, მაგრამ ზეაღმავალი, პროგრესული პროცესი". ე.ი. ვაჟა-ფშაველა იზიარებდა ევოლუციური განვითარების, უმარტივესიდან ურთულესისაკენ ზეაღმავალ, თანმიმდევრულ პროცესებს, რაც, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, იმდროინდელი მოწინავე ევროპული მეცნიერებისა და, პირველ რიგში კი, ეთნოლოგიის აღიარებულ თეორიულ მიმდინარეობას წარმოადგენდა.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ეროვნულ საკითხს, პრობლემას, რომელიც თანაბრად ეხება როგორც ისტორიის, ისე ეთნოგრაფიის სფეროს. ამ საკითხს თავის მონოგრაფიაში სპეციალურად შეეხო ჯ.ლომაშვილი, რომლის სამართლიანი შენიშვნით ეს პრობლემა აქტუალური იყო XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში. *ერი და ეროვნული საკითხი იდგა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას* წინაშე და სათანადოდ აისახა მათ შემოქმედებაში. *ეთნოსი და ეთნიკური პროცესები* აქტუალურ პრობლემად დაისახა საბჭოთა და მათთან ერთად ქართველ ეთნოგრაფთა წინაშე და ის დღესაც არ კარგავს აქტუალობას.

*ვაჟა-ფშაველას* ინტერესთა სფეროში იყო მოქცეული ეროვნული საკითხის თითქმის ყველა ასპექტი. იგი მეცნიერული სიზუსტით უდგებოდა და ხსნიდა *ერის რაობასა და არსს, მის ადგილსა და მნიშვნელობას საზოგადოების განვითარებაში, პიროვნებისა და ერის, ერისა და კაცობრიობის ურთიერთმიმართებას, ეროვნულ თვითშეგნებას, პატრიოტიზმისა და „კოსმოპოლიტიზმის" ურთიერთმიმართებასა" და ა.შ.*

პირველ რიგში შევეხოთ *ერის ცნებას* და მასთან ერთად ეროვნულ საკითხს. მართალია, პოეტი ერის უშუალო ინტერპრეტაციას არ იძლევა, მაგრამ მის ყველა კომპონენტს შეეხო და თავისი აზრი გამოთქვა. 1890 წლის თებერვალში *დიმიტრი ბაქრაძის* გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ვაჟა წერდა: თიანეთი, „ეს პატარა დაბა სხვა თავის თანამოძმეებთან ერთად ჰგლოვობს დაკარგვას საუკეთესო ძმისა და მასწავლებლისას, ჰგლოვობს ყველა, ვისაც ესმის *რა არის ერი, ერის ისტორია, ეროვნული თვითცნობა*"[5]. სავსებით ნათელია, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა პოეტი ერის ისტორიას, ხალხში ერის ცნებისა და ეროვნული თვითცნობიერების გაღრმავებას, ამიტომაც იგი ისტორიკოსს ერის მასწავლებლად მიიჩნევდა. ხაზი გავუსვათ, რომ სწორედ საკუთარი ერის ისტორიის ცოდნა აყალიბებს ხალხში ეროვნულ თვითცნობიერებას. მაგრამ ეს რომ გააკეთოს მეცნიერმა, სამეცნიერო მოვლენები „გასაგებ-შესაგნებლად" მიიტანოს ხალხამდე, მას უნდა ჰქონდეს სწორი მეთოდი. *„მეთოდი სასწორია, საზომი, რომლითაც უნდა აიწონოს და გაიზომოს ასაწონი და გასაზომი.* ხშირად შეიძლება, რომ ეს საზომი ყალბი იყოს და მაშინ სანდობი არ არის ამგვარის სასწორ-საზომით აღებ-მიმცემი კაცი. ყალბს მეთოდზეც სწორედ ესევე უნდა ვსთქვათ. რამდენს უშლიდა ძველ მეცნიერებს და მწიგნობრებს ამ ნამდვილი მეცნიერული მეთოდის უქონლობა... რა სანდობია თუ გულუბრყვილო მემატიანე, რომელიც ერთთავად ზეცა ღმერთს აბრალებდა ქვეყნის თავზე მოვლენილს უბედურებას: შიმშილობა, სნეულება, ან მტრისგან ქვეყნის აოხრება ცოდვათა ჩვენთა მოგვივლინესო, იტყოდა, დასწერდა და, სრულიად დაკმაყოფილებული იმით, რომ მიზეზი აღმოაჩინა, დაასვენებდა პოეტის კალამს, თვითონაც გული დაუსვენდებოდა"[6].

პოეტი მიუთითებს, რომ ჯერ საბუთების მოკვლევაა საჭირო, შემდეგ აზრიც თავისთავად მოვა და დასკვნის გაკეთებაც არ იქნება ძნელი[7].

არც სიტყვა „ვისაც ესმის რა არის ერი“ უთქვამს პოეტს შემთხვევით. ერის ცნების უცოდინრობასა და ერისთვის არასწორი გზის არჩევაში ვაჟა ინტელიგენციას სდებს ბრალს. ჩვენმა ადრინდელმა ინტელიგენციამ, აღნიშნავს ის, შეგნებულად, მაგრამ მაინც „რა გზაზე დააყენა ერი? საუბედუროდ, იმას დაუწყო კეთება, რაც ჩვენ დაგველუპავდა, რაც ჩვენს ერს ცხოვრების გზაკვალს აურევდა“. რადგან რაინდული ხასიათის ქართველს არა აქვს ვაჭრობისაკენ მიდრეკილება, ვაჭრობა მხდალობის სინონიმად აქციეს. სცენაზე ისეთ პიესებს დგამდნენ, სადაც სომეხი გამოყვანილი იყო როგორც მატყუარა, მშიშარა. ამგვარმა ლიტერატურამ ხელი შეუწყო ჩვენი თავად-აზნაურობის ბედოვლათობას, დარდიმანდობას, სინამდვილეზე თვალი დავხუჭეთ და საქმის არსს ღრმად ვერ ჩავწვდით, შედეგად რა მივიღეთ? ის, რომ ვაჭრობის მთელი სფერო სომხებს ჩავუგდეთ ხელში და ჩარჩებისაგან ვიყვლიფებით. ახლა ვინ უნდა უშველოს ხალხს, ვინ უნდა გამოიყვანოს იგი ამ ეკლიანი ბარდებიდან? კვლავ სვამს კითხვას პოეტი და მისი პასუხიც ეს არის – *„ინტელიგენციამ, რომელიც ამ მხრივ დღეს არაფერს აკეთებს და არც შემდგომისთვის ფიქრობს რამე გააკეთოს. ჩვენმა ინტელიგენციამ, თუ შეიძლება ამგვარ ჰეროსტრატებს ინტელიგენცია დაარქვას კაცმა, ნაცვლად იმისა, ერისთვის ეჩვენებინა სწორი გზა ცხოვრებისა, ესწავლებინა თავისი თავის მოვლა-პატრონობა, ქართველ კაცს ააღებინა ხელი თავის პიროვნებაზე, თავის თავზე, შეიტანა ხალხში დამახინჯებული კოსმოპოლიტიზმი ერთობის სახელით, მოუკლა ეროვნული გრძნობა, დაუხშო ენერგია, დაუკეტა გზა თვითცნობიერებისაკენ“*[8].

თავის ერთ-ერთ პუბლიკაციაში – *„ფიქრები ეროვნულ საკითხებზე“*, ვაჟაფშაველა წერდა: *„ნათელია, რომ ჩვენ, ქართველები ერი ვართ“*. შემდგომ, მსჯელობის დროს *„ერს“* ასეთ კონტექსტში ხმარობს: *„ინტელიგენტები... დანარჩენი ქართველობა, ერი, მდაბიო ხალხი, რომელიც არის ჭეშმარიტი ძალა ჩვენის ქვეყნისა“*. *ამგვარად, ერი მოიცავს მთელ ქართველ ხალხს, ინტელიგენციას და მდაბიო ხალხს, გლეხობას, რომელიც ხალხის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდა. რა არის ვაჟასთვის მდაბიო ხალხი? – ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტი ძალა, ერის ნივთიერი სიმდიდრის შემოქმედი, რომელსაც „ფეხიც არ მოუსხლტია, მაგრად უდგას სამშობლო მიწა-წყალსა და მამა-პაპის კერაზედ“*. ვაჟას აზრით გლეხობა, მდაბიო ხალხი ერის ის ნაწილია, რომელმაც კარგად შეინახა მამა-პაპის ნაანდერძევი ცოდნა-გამოცდილება. პოეტის შენიშვნით, სადაც ვენახი ხარობს, ხალხს მინა მშვენივრად აქვს დამუშავებული, ხოლო იქ, სადაც ბუნებრივი პირობები საქონლის მოშენებას უწყობს ხელს, საქონელი ჰყავს მოშენებული და „ხვნა-თესვას თუ ვიტყვით, რიყესა და კლდეზედაც სულადი პური მოჰყავს“. ამიტომ ამ ფენამ თავისი ერის ისტორიის შენარჩუნებაში მთავარი როლი შეასრულა.

აქ აშკარად ჩანს მთისა და ბარის ერთიანობაც, მათი განუყოფლობა და მეორეც, მესაქონლეობისა და მთური მიწათმოქმედების სიმბიოზურობა.

რაც შეეხება *ერის მეორე შემადგენელ ნაწილს ინტელიგენციას*, ვაჟას ის ერის ხელმძღვანელ ძალად მიაჩნდა, მაგრამ მისი სიტყვით რომ ვთქვათ, *„ჩვენებურ ტვინფრატუნა კოსმოპოლიტებს“ არ ჰქონდათ არავითარი ცოდნა თავი-*

*სი ქვეყნისა", არ ჰქონდათ მოქმედების საერთო გეგმა და პროგრამა, რომლის გარეშეც შეუძლებელია რაიმეს შექმნა.* „თუ ჩვენ ხალხს, მის ცხოვრებას არ შევიგნებთ, აღნიშნავს პოეტი, არ გავიცნობთ კარგად, – მანამდე ვერც საერთო მოქმედების პროგრამას შეიმუშავებს ინტელიგენცია, არც ჩვენის ერის სიბერისა და სასიკვდილოდ გამზადების ეჭვები გამოუვა თავიდან". ამიტომაც მოხდა, რომ *ინტელიგენცია მოსწყდა ხალხს, „ჭეშმარიტი ძალა ჩვენის ქვეყნისა, დაგვრჩა ღობის გარეთ, არც ჩვენ გავეცანით, არც ისინი გავიცანით და ვერც ჩვენი ხმა მივაწვდინეთ მათ"*[9].

ციტირებულ ნაშრომში, რომელიც 1901 წლითაა დათარიღებული, *ვაჟამ სასტიკად ამხილა ინტელიგენციის ის წარმომადგენლები, რომლებიც ზოგიერთი ევროპელი მოაზროვნის გავლენით, „ეროვნული ნიჰილიზმის ჭაობში ჩაეფლო და ქართველი ერის სიბერისა და განწირულობის ქადაგება დაიწყო"*[10]. ამის გაკეთება შეეძლოთ მხოლოდ იმ *„ჩვენებურ ტვინფრატუნა კოსმოპოლიტებს"*, რომელთაც რაც წიგნებიდან ამოიკითხეს, ყველაფერი დაიჯერეს ან წაკითხული სწორად ვერ გაიგეს. *„ოგიუსტ კონტმა*, ერის სიცოცხლე შეუდარა ადამიანის სიცოცხლეს და სთქვა – ერი იმავე ხანებს გამოივლის სიცოცხლისას, რასაც ადამიანი თავის გაჩენის დღიდგანო, ე.ი. სიყმაწვილეს, სიჭაბუკეს, დავაჟკაცებას და სხვადასხვა. ხოლო კონტს არსად არ უთქვამს, რომ აუცილებლად, უსათუოდ ყველა ერს სიბერე და სიკვდილი მოელისო. კიდეც რომ ეთქვა, განა უნდა დავიჯეროთ? *განა კონტებმა, კანტებმა და სპენსერებმა რომ სისულელე წამოროშონ... ბაჯაღლო ოქროდ უნდა მივიღოთ?!"* ვაჟა დიდად აფასებს ევროპის გამოჩენილ მეცნიერებს, მაგრამ მათ შეხედულებებს უკრიტიკოდ არ ღებულობს, მოითხოვს გავითვალისწინოთ საქართველოსთვის არსებული თავისებურებები. ვაჟას აზრით, *ერი უბერებელი და უკვდავია*, ვიდრე მისი ყოფა-ცხოვრების პირობები მაცხოვრებლის თვისებებს ინარჩუნებენ, თუ ის სასიცოცხლო პირობებს იცავს და ინახავს[11]. ასეთ ერთა შორის პოეტი საქართველოსაც მიიჩნევს.

1902 წლის პუბლიკაციაში *ვაჟა ფშაველა* ერის სიცოცხლის მიმნიჭებლად მიიჩნევს: 1. *ქონების სწორად, სამართლიანად განაწილებას.* ეს მას გაგებული აქვს, როგორც ქვეყნის ეკონომიკური მთლიანობა და აღმავლობა, 2. *სოფლის მდაბიო ხალხში ცოდნა-განათლების შეტანას* და 3. *ერის გამრავლებას.* ეს პირობები ერს საშუალებას მისცემდა დაეცვა და შეენახა თავისი თავი და მეორეც, სოფლის ჭარბი მოსახლეობა მოსწყვეტოდა სოფელს, სოფლის მეურნეობას და სხვა ხელობას დაუფლებოდა[12]. სხვა ხელობაში პოეტი ვაჭრობას გულისხმობდა... ის ვაჭრობაში ხედავდა მეტ განათლებას, გონებრივ მოქნილობას და დახვეწილობას.

ჩვენ გვაკლია თავის დაცვის, ჩვენი საკუთრების, ინტერესების დაცვის ის გრძნობა, აღნიშნავდა პოეტი, რასაც განათლებული ერები ავლენენ. ჩვენ, როგორც ერს, თუ სიცოცხლე და არსებობა გვწადია, ვალდებული ვართ ჩვენი სარგო, ჩვენი საკუთრება დავიცვათ და ჩვენი ყოფა-ცხოვრებაც ისე მოვაწყოთ, როგორც ჩვენთვის იქნება გამოსადეგი და სხვასაც არაფერი ვაენოთ. პოეტი აქ თავისი ერის ჭეშმარიტი პატრიოტი და მასთან – ინტერნაციონალისტია, მოითხოვს ჩვენი ცხოვრება ჩვენი ინტერესების შესაბამისად ავაწყოთ, მაგრამ ისე, რომ სხვას არაფერი ვაენოთ, სხვისი არაფერი ვინდომოთ, ბუნებრივია, არც

ჩვენი არაფერი უნდა დავუთმოთ სხვას. ჩვენი ჩამორჩენილობის მიზეზს კი მდაბიო ხალხის მხოლოდ სოფლის მეურნეობაში დასაქმებასა და აქედან გამომდინარე, განათლების უქონლობაში ხედავს. როგორც პოეტი აღნიშნავდა, ყველაფერი ის, რაცა გვჭირს, ჩვენი „შეუგნებლობისა, უსწავლელობისა, ჩვენი სოფლური ცხოვრებისა და, ღმერთო ნუ გვიწყენ, გუთნისა და მწყემსური ცხოვრების ბრალია. სწავლა-ცოდნა რომ ჰქონდეს ჩვენს ხალხს და ისე სცხოვრობდეს სოფლად, ისე მისდევდეს მეურნეობას, რა გვეთქმოდა, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ სწავლა არ გვახლავს და ეს ჩვენი ხელობა კი ისეთია, რომ ნაკლებს ცოდნას და გამოცდილებას გვაძლევს, გამოღვიძების მაგივრად გვაძინებს“[13].

*ვაჟა-ფშაველა* ეხება რა ერის მთავარ სასიცოცხლო არტერიას, ეროვნულ თავისუფლებას, რომ „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნოდეს“, *1910 წელს აყალიბებს თავის პოზიციას, თუ როგორი უნდა იყოს რუსეთთან საქართველოს ურთიერთობა.* და მისი ეს სიტყვები სრულითაც არ იყო შემთხვევითი: *„ჩემი ნათქვამი სეპარატიზმად, შოვინიზმად არ ჩამომართვათ,... არამედ გაიგოთ ისე, რომ საქართველო რუსეთის სხეულში, ორგანიზმში კი არ უნდა იყოს გათქვეფილი, როგორც უსულო სანოვაგე, არამედ მას ედგას გვერდით, როგორც ცოცხალი, საღი არსება, რუსეთთან ერთად მოსიარულე პროგრესის გზაზე, თავისი თავის მცნობელი, თავისი თავისა და კარგის მგრძნობელი“*[14].

ზემოთ დასმულ პრობლემას ვაჟა 1915 წელსაც უბრუნდება და იმ მეცნიერებს ეთანხმება, რომლებიც ერების სიბერისა და სიკვდილის შესაძლებლობას ამტკიცებენ და ან მოსპობილი ერების მაგალითებს იმოწმებენ. პოეტი აქ ერთ შენიშვნას აკეთებს – *ერი შეიძლება დაბერდეს და კვლავ გაახალგაზრდავდეს, თუკი მას სხვა მაცოცხლებელ პირობებში ჩააყენებ. ეს კი ცალკე პიროვნებას არ შეუძლია.* მაინც რა აბერებს ერს? *„ერს დააბერებს მხოლოდ მონობა, ისეთი ცხოვრების პირობები, როცა მას საკუთარი ნების, ძალ-ღონის გამოჩენის საშუალება მოესპობა“*[15]. აქვე ნათქვამია, რომ ადამიანის გონება ყველას და ყველაფრის დაბერებას შეურიგდება, მაგრამ ერის დაბერება ეს საშინელებაა, მონობა საშინელებაა, მომაკვდინებელია, როგორც სიბერე და იგივე იწვევს ერის სიბერეს, სხვაფრივ *ერის დაბერება და სიკვდილი შეუძლებელია, სანამ დღე მზე ანათებს და ღამე მთვარე.*

ვაჟა ერის ხსნის ერთ-ერთ ფაქტორად შეგნებას, ერში მისი საკუთარი ინტერესების შეტანას მიიჩნევდა. „ცხოვრების ავ-კარგი სწოროედ ამ შეგნება-შეუგნებლობაზეა დამოკიდებული“, აღნიშნავდა პოეტი. *არ ვიცი ის კაცი ან ერი რა კაცი ან რა ერი უნდა იყოს, რომელსაც ცხოვრების არავითარი გზა, არავითარი პროგრამა არ გააჩნია, ალალბედზე ცხოვრობს, არ იხსომებს წარსულს, არ უკვირდება აწმყოს და არ აწუხებს მომავალი.* ვაჟას აზრით, იმ კრიტიკულ მომენტში, როდესაც ხალხის ეროვნული თვითშეგნება მიძინებულია, თავისი მონური მდგომარეობა გათვითცნობიერებული არა აქვს, და მისი დაღუპვაც გარდუვალი ხდება, მაშინ მას *მხსნელად მისი მოწინავე შვილები მოევლინებიან და სამოქმედო პროგრამას უსახავენ. ეს პროგრამა კი ახალი იდეალების გარდა წარსულის მემკვიდრეობასაც უნდა შეიცავდეს. უფრო მეტიც, ამ მემკვიდრეობის გათვალისწინების გარეშე არავითარი ახალი პროგრამის შედგენა არ შეიძლება.* ამიტომაც იყო, რომ ვაჟა სიყრმიდგანვე ისტორიის სწავლე-

ბის მაღალ დონეზე დაყენებას და ახალგაზრდობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდას მოითხოვდა, როგორც ეს საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნებში იყო. ეროვნული თვითშეგნების აღზრდაში ასევე დიდ როლს აკუთვნებდა პოეზიას, მწერლობას, საერთოდ, მხატვრულ ლიტერატურას[16].

დასმულ საკითხზე მსჯელობა გვინდა ვაჟა-ფშაველას სიტყვებით დავასრულოთ: „როგორც მამაკაცს, ისე დედაკაცს უნდა, რომ კარგს ეძახდნენ. ხოლო რა არის კარგი ან ვის ეკუთვნის ღირსეულად ეს სახელწოდება, განსამარტავი, გასაჩხრეკი, და გამოსაკვლევია... „კაი ქართველიაო“, – ვამბობთ ხშირად. *მაშ ვინაა კაი ქართველი? – ვისაც უყვარს საქართველო და მის წყლულებს მალამოდ ედება, – ვინც მის სარგოს ჰფიქრობს და აკეთებს.* ასევე ითქმის რუსსა, ფრანგსა, ინგლისელსა, თათარსა და სხვებზე, სხვა ან რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ქართველობას, რუსობას, ფრანგობას, თუ კი ამ ღირსებას მოკლებული იქნება?!... ისტორიაც კარგ კაცებად იმათ ასახელებს, ვინც ამ მხრივ ყოფილა გამოჩენილი, ვისაც სხვისთვის რამ ურგია და არა მარტო თავისი თავი ჰხსომებია, თავისი ჯიბე და კუჭი“[17].

ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიულ მოღვაწეობას თავის ერთ-ერთ სტატიაში შეეხო პროფ. ვ.ითონიშვილი[18], საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებს კი ძალიან მოკლედ – ჯ.ლომაშვილი. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ვაჟა-ფშაველამ განუზომელი ღვაწლი დადო ისტორიულ მეცნიერებას და, კერძოდ, ეთნოგრაფიას. მივუთითეთ, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პოეტი საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ენისა და ისტორიის ცოდნას; თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მშობლიური ენისა და ისტორიის საფუძველზე მომავალი თაობის ზნეობრივ აღზრდას. ეს აფხიზლებს მიძინებულ და სასიკვდილოდ განწირულ ერს, საზოგადოებაში აყალიბებს ეთნიკურ თვითშეგნებას. ხაზი გავუსვით თეზისსაც, რომ ისტორიას ხალხი ქმნის და მასში ხალხის ცხოვრება უნდა აისახებოდეს; ისტორია მარტო წარსულის აღსაქმელად კი არ გვჭირდება, არამედ დღევანდელობისა და მომავლის პერსპექტივების გასათვალისწინებლადაც და ა.შ.

ვფიქრობთ, მართებულია შენიშვნა იმის შესახებ, რომ მართალია „ვაჟა-ფშაველა პროფესიონალი ისტორიკოსი არ იყო, მაგრამ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის მეცნიერული კვლევის საქმეში მან სერიოზული წვლილი შეიტანა. საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ზოგიერთ პრინციპულ საკითხზე მის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს თავისი მეცნიერული მნიშვნელობა დღემდე არ დაუკარგავს“[19].

ზემოთ ისიც იყო აღნიშნალი, რომ ვაჟა სამეცნიერო კვლევა-ძიებაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სწორი მეთოდის შერჩევას და გამოყენებას. პოეტი მხარს უჭერს XIX საუკუნის ისტორიოგრაფიაში ფართოდ გავრცელებულ *„კრიტიკულ-ისტორიულ“ მეთოდს,* რომელიც მოითხოვდა საკითხისადმი კრიტიკულ მიდგომას, გადაჭრით უარყოფდა წინასწარ აკვიატებული აზრით მასალის მოპოვებას და კვლევა-ძიებას, *„ჯერ საბუთების შეგნებაა საჭირო,* - აღნიშნავდა პოეტი, - *და მერე ა ზრი თავისთავად დადგინდება“*[20].

ამგვარად, ვაჟას აზრით, ისტორიკოსის კვლევის მეთოდი და ძირითადი მიმართულება უნდა იყოს *„ჯერ საბუთი მერე დასკვნა“*. ამ დებულებასთან დაკავშირებით, პოეტი სერიოზულ ბრალდებას უყენებს ქართველი მეცნიერების

გარკვეულ ნაწილს, რომლებიც იმის შიშით, შოვინისტობა არავინ დაგვწამოსო, გადაჭარბებული პატრიოტიზმის ტყვეები არ ვართ, ჩვენი მსჯელობა მიუდგომელია, ობიექტურიაო *„რუსთაველს ებღაუჭებიან – ჩამოდი ბედაურიდან – მოპარულ ცხენზე ჰზიხარო... ვინც ღირსეულად აფასებს რუსთაველს და მის ნაწარმოებს, იმას დასცინიან“. ასეთმა მეცნიერებმა, განაგრძობს პოეტი, იმის შიშით, რომ მყავე პატრიოტობა არ დაგვწამონო, შეიძლება მთელს ჩვენს ისტორიულ წარსულზე ხელი აგვაღებინონ, მთელი ჩვენი ისტორია, კულტურა წყალს გაატანონ.* ვაჟასთვის გაუგებარია, თუ რომელი სამეცნიერო მეთოდის ძალით ქართველმა ისტორიკოსებმა ჩვენი არქიტექტურა სომხურს დაუკავშირეს, „ორივე ერთსულ და ერთხორც ჰყვეს... ბოლოს არაფერი გასაკვირი არ არის, ჩვენი არქიტექტურა სომხურს დაუქვემდებარონ, როგორც ჩვენი ლექსიკონი დაუქვემდებარეს სომხურს“[21].

ბუნებრივია, ვაჟა „მეცნიერთა“ იმ ჯგუფს გულისხმობდა, რომლებიც ჩვენი ისტორიის ამა თუ იმ საკითხს ყოველგვარი სამეცნიერო მეთოდის გარეშე იკვლევდნენ ან სრულიად შეგნებულად, რაღაც პოლიტიკიდან გამომდინარე აყალბებდნენ ისტორიულ ფაქტებს.

ცნობილია, რომ ვაჟამ ილიასთან ერთად დიდი როლი შეასრულა ქართული კულტურის ისტორიის კვლევა-ძიების სწორად წარმართვის საქმეში. ვაჟაც მიიჩნევდა, რომ ისტორიის შემოქმედი ხალხია და მასში, პირველ ყოვლისა, ხალხის ცხოვრება უნდა აისახებოდეს. ამიტომაც არ აკმაყოფილებს „ქართლის ცხოვრება“. მაგრამ არც მის ავტორებს ამტყუნებს. როგორც აღნიშნავს, „საზოგადოდ, ყველა ხალხების მემატიანენი გზას უქცევენ მდაბიო ხალხის მდგომარეობას, მათ ჩვეულებას და სხვადასხვაგვარ ცხოვრების ავკარგიანობას. სისწორით რომ ვსთქვათ, არც კი არიან გასაკიცხავნი, რადგან არ იყვნენ ისინი იმდენად გონებაცხოველნი, რომ ჰსცოდნოდათ, რა უფრო გამოსადეგი იქნებოდა მათი შვილებისათვის, – ჩვენთვის“[22].

როგორც ცნობილია, და ეს ზემოთაც გვქონდა აღნიშნალი, ეთნოგრაფიული კვლევის სფეროში შედის ერი და ეროვნული საკითხი, ეთნოსი და ეთნიკური პროცესები. ეს პრობლემა აქტუალური იყო XIX საუკუნის მეორე ნახევარში და მან დიდი ადგილი დაიკავა კიდეც ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას და სხვა იმდროინდელ მოღვაწეთა შემოქმედებაში. ეს პრობლემა და, საერთოდ, ეთნოგრაფიული აზრის განვითარება აღნიშნული პერიოდის საქართველოში მჭიდროდ დაუკავშირდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

ვაჟა-ფშაველამ დიდი ღვაწლი დასდო ფშავ-ხევსურეთისა და ერწო-თიანეთის ეთნოგრაფიულ შესწავლას, კუთხეებისა, რომელთაც ის ზედმიწევნით კარგად იცნობდა. ვაჟამ არა მარტო შეკრიბა და შემოგვინახა დღეისათვის უნიკალური ეთნოგრაფიული მასალა, არამედ მათ იკვლევდა კიდეც. პოეტის მიერ დაყენებული ყველა საკითხი დღეს ქართველ ეთნოგრაფთა მონოგრაფიული კვლევის საგანს წარმოადგენს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ვაჟა კარგად იცნობდა იმ დროისათვის მსოფლიოში აღიარებულ ეთნოგრაფებს, მათ შემოქმედებას და თავისი თემატიკა და კვლევა-ძიებაც, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ბევრი რამ დასაზუსტებელია, საერთაშორისო მოთხოვნილებების დონეზე ჰქონდა დაყენებული.

როგორც ვაჟა შემოფარგლავს, ფშავლები ცხოვრობდნენ საკუთრივ ფშავში, ფშავის არაგვის ორივე მხარეს, ჟინვალიდან მიყოლებული მთის კალთებსა და მწვერვალებზე, აქედან გამოიყურებოდნენ ფშავლების სადგურები – მიწური სახლები და საბძლები; და – თიანეთის მაზრაში, მდ. ივრის ნაპირებზე, ბოჭორმიდან ივრის სათავეებამდე[23]. მემატიანე ფშავლებს *„ფხოველების“* სახელით მოიხსენიებს, მაგრამ მათ ყოფა-ცხოვრებასა და სარწმუნოებაზე ძუნწ ცნობებს გვაწვდის. მხოლოდ ის ვიცით, რომ *მეფე მირიანმა და წმინდა ნინომ* „მოუწოდეს „ფხოველთ“ და მათთან ერთად სხვა მთიულებს „მსგავსთ ნადირისას“, რათა მიეღოთ ქრისტიანობა, მაგრამ „უკუიქცნენ“-ო. ფხოველებმა თავიანთი საბრძოლო ჟინითა და შემართებით *პომპეუსიც* კი გააოცეს[24] - წერს ვაჟა ფშაველა.

XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ფშავლები თორმეტი თემისაგან შედგებოდნენ: გოგოჭური, გაბიდოური, უძილაური, ქისტაური, წონკურაული, ტურანი და მისრიანი. გარდა საზოგადო ხატისა, ყველა თემს ჰყავდა თავის საკუთარი ხატი. ხატს ფშაველი ბატონს ანუ *„ღვთიშვილს“* ეძახდა, თავის თავს კი მის ყმას, კაცი რომ თავის ხატს დაიფიცებდა, ეს ყველაზე ძლიერ ფიცად მიაჩნდათ. საზოგადო ხატი, რომლის სამსახური ყველა ფშაველს ევალებოდა, იყო თამარ დედოფალი და ლაშარის ჯვარი, ერთმანეთის მოპირდაპირე მთებზე აგებულნი, და-ძმანი. როგორც ვაჟა აღნიშნავს, ზეპირგადმოცემის მიხედვით, „ეს ჯვარი არის შეწირული *ლაშა გიორგისაგან* ალბათ ეკლესიისათვის, როგორც ნიშანი ერთმანეთის ერთგულებისა“[25].

პოეტის მიხედვით, წინანდელ დროში *ხევისბერი* მარტო საღმრთო წესების ამსრულებელი კი არ ყოფილა, არამედ ხელთ ეპყრა პოლიტიკური და იურიდიული უფლებებიც; იგი იყო მშვიდობის დროს მსაჯული და ომიანობაში – დროშით ხელში ჯარის წინამძღოლი. XIX საუკუნის ბოლოს ფშაველის ხევისბერად მოწოდება ქადაგისგან ან მკითხავისაგან ხდებოდა. თუ რომელიმე ფშაველს ავადობა დიდხანს გაუგრძელდებოდა, მკითხავი ურჩევდა *„წმინდობა დაეწყო“* ხევისბერად, ხატის მსახურად გამხდარიყო. ხევისბერად კურთხევისათვის ანუ *ხელ-მბარის სანათლავად* კაცს რვა საკლავი და ერთი კურატი სჭირდებოდა, ამათი სისხლით განათლავდნენ მოძმე ხევისბერები – სისხლს წაუსვამდნენ შუბლზე, მკლავსა და გულზე. ხევისბერის მოადგილეებად *დასტურები* ითვლებოდნენ, რომელთა რიცხვი თითო ხატში სამიდან ექვსამდე ადიოდა. დასტურებიც წმინდობდნენ, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ღორისა და ქათმის ხორცს არ ჭამდნენ, ნალახს ერიდებოდნენ, ხატობამდე ერთი თვე მეუღლესთან არ წვებოდნენ. ლუდის დულება რიგით მოსდევდათ[26].

როგორც ვხედავთ, ვაჟა-ფშაველამ თემი აღწერა იმ დროს, როდესაც თემს უკვე დაკარგული აქვს თავისი ფუნქციები, ადრინდელი ძლიერება. შეიძლება ითქვას, თემს ფაქტიურად სახელი აქვს შერჩენილი და იბრძვის თავისი უფლებებისათვის. ამიტომ პოეტი მკვეთრად ავლებს ხაზს ძველ და მისდროინდელ თემს შორის. ძველისძველი ცხოვრება, აღნიშნავს ის, მუშტზე, ძალაზე იყო დაფუძნებული, ერთი თემი მეორეს არბევდა მხოლოდ იმიტომ, რომ ერეოდა. ვაჟკაცობას, გულადობას და მკლავს დიდი სახელი და პატივისცემა ჰქონდა და თემსაც ვაჟკაცი ძვირად უღირდა. გმირი ლექსის და ზეპირგადმოცემის საგანი ხდებოდა, ამიტომაც ფშაური პოეზია, განსაკუთრებით ძველი ლექსები, გმი-

რული ხასიათისაა. ფშაურ ლექსებში გმირი „*ეაჟკაცად*“, „*კაი ყმად*“ იხსენიება, იგი თემიდან გამოდის, თემს ემსახურება, მისი გულისთვის იბრძვის. ფშავლის წარმოდგენით, კაი ყმას უნდა ამშვენებდეს სიდარბაისლე, მაღალი ზნეობა, თემისთვის თავდადება, ისეთი საქმისთვის უნდა მოიკლას თავი, რომ ღირდეს სახელად და სიკვდილად[27].

აღნიშნული პრობლემა სათანადოდ აისახა სპეციალურ ლიტერატურაში. კერძოდ, მას ჯერ კიდევ *ნ.ხიზანაშვილმა* მიაქცია ყურადღება და მიიჩნია, რომ ხევსურეთში ხევის, როგორც „მცირე ადმინისტრაციული ერთეულის“, გამაერთიანებელი იყო ხატი. *გ.მელიქიშვილი*, განიხილავს რა ქართველ მთიელთა სოციალურ-ეკონომიკურ წყობას, აღნიშნავს, რომ „საერთოდ ძველი ქართული თემი სატაძრო ხასიათს უნდა ატარებდეს“. მოგვიანო ხანასთან დაკავშირებით კი მკვლევარი ეყრდნობა ნ.ხიზანაშვილს და აღნიშნავს, რომ „სასოფლო თემის (სოფლის) ან რამდენიმე სოფლის – ხევის ერთობის განსახიერებად, პირველ ყოვლისა, სწორედ საერთო სათემო კულტის არსებობა ჩანს, თემობა საკულტო იერს ატარებს. თემის წევრები ითვლებიან საერთო-სათემო სამლოცველოს – ხატის ყმებად (მონებად)“[28]. მოტანილ დებულებასთან დაკავშირებით გამოტანილია დასკვნა, რომ „გ.მელიქიშვილი ამ ნაშრომში მიუთითებს ქართველ მთიელებში თემის და თემობრიობის დიდ ტრადიციებზე და დაასკვნის, რომ საქართველოს მთამ გვიანობამდე შემოგვინახა თემი და თემური მმართველობისა და ყოფა-ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ბევრი წეს-ჩვეულება. ყოველივე ეს სავსებით ეგუება ადრეკლასობრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელ სასოფლო თემის სტატუსს და არ მეტყველებს გვაროვნული წყობილების არსებობაზე“[29].

ერთ-ერთ პუბლიკაციაში, რომელიც 1886 წლითაა დათარიღებული, ვაჟა-ფშაველა ზოგადად მიმოიხილავს ფშავის ხატ-სალოცავებს, ხატობის რიტუალებს, ლეგენდებს და გადმოცემებს; ცრუმორწმუნეობას და მასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს; მიცვალებულის დატირებას და მასთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესებს – საიქიოს წარმოდგენას, წაწლობას და სხვა.[30] შემდეგში პოეტი კვლავ უბრუნდება ამ საკითხებს – ფშავლების ამაოდ მორწმუნეობას, ხატის ყმობასთან დაკავშირებულ გამონაშთებს, რომლებიც საზოგადოებრივი ყოფისთვის სავსებით შეუთავსებლად მიაჩნია. აქვე მოიხსენიებს იგი ავეჯის განათვლას, ხევისბერის მიერ „*ხელ-მხარის განათვლას*“[31] და ა.შ., რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მთიელთა წარმოდგენებში სისხლიანი საქონლის მსხვერპლშეწირვას, თავად სისხლს დიდ მნიშვნელობაზე.

საინტერესოა კვირა-უქმისა და შაბათის რწმენა. კვირა დღეს სამუშაო იარაღის ხმარება და საქმის კეთება დიდ ცოდვად იყო მიჩნეული და იგი იწვევდა კაცით ან საქონლით დაზიანებას. შაბათი კი, ფშავლის წარმოდგენით, „*ინათლება*“, ესე იგი მუშა კაცს შეუძლია იმუშაოს, მხოლოდ იმ ღამეს თხა უნდა დაკლას და სანთლები დაანთოს. სხვა პუბლიკაციაში ვაჟა არკვევს, თუ რას ნიშნავს „*საუქმოდ სიარული*“. მისი განმარტებით, უქმე დღის შენახვა ფშაველს ღვთის ვალის გადახდად მიაჩნია. იგი კვირა-უქმეს მტკიცედ ინახავს, მაგრამ არის რიგი უქმეებისა, რომელთაც ვერ ამჩნევს. მაგალითად, ასეთია „*ნაკვეთი*“. „ნაკვეთი ღვთისთვის შეწირული დღეა მოსავლისათვის. სხვადასხვა თემს სხვადასხვა დღე აქვს შეწირული ღვთისთვის, სხვადასხვა ნაკვეთი, რომ იმ

დღეს იმ სოფელმა ან თემმა სოფლის მიჯნებს შიგნით არ უნდა იმუშაოს, ხოლო მიჯნებს „გარეთ ყველას ნება აქვს მუშაობისა. ამ ჩვეულებას *„საუქმოდ სიარული“* ჰქვიან. ნაკვეთს ვიწრო, ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს და *„ადგილის დედასთან“* მტკიცედ კავშირი. საუფლო საქმეში საუქმოდ სიარული არ შეიძლება, საუფლო დღე ყველგან უქმეა, სადაც უნდა იყოს კაცი. საუფლო უქმეს კაცი ვერსად დაემალება“. ციტირებული პუბლიკაციიდან კიდევ ერთ დეტალს გავუსვათ ხაზი – ახალი მიცვალებულის პატრონი უწმინდურ ცხოველს – ყორანს, ძაღლს და კატას ვერ მოკლავდა, რადგან მათი სული კაცის სულს გააუწმინდურებდა, სანადიროდ წასულს თოფს შეუკრავდა. ვინც კატას მოკლავს, იმან საიქიოს ცხრა საყდარი უნდა ააშენოს; პოეტი აქვე მიუთითებს, რომ ძველ ეგვიპტელებს კატა ღმერთად მიაჩნდათ; ინდოეთში კატებისთვის ტაძარია აშენებული, იქ ქალები არიან მონაზვნად, უვლიან და აბანავებენ კატებს[32].

ვფიქრობთ, მოტანილ ეთნოგრაფიულ მასალას და მის ვაჟასეულ კომენტარებს განმარტებები აღარ სჭირდება. უეჭველია, სახეზე გვაქვს მთელი რიგი მასალებისა, რომელთა ფიქსირება დღეს შეუძლებელი იქნებოდა.

ვაჟა აღწერს ლაშარის ხატს და ლაშარობას, რომლის მხოლოდ ცალკეულ დეტალებს შევეხებით. ლაშარობა, რომელიც ივნისის თვეში იმართებოდა, ორ დღეს გრძელდებოდა და იქ სალოცავად ფშავლებს გარდა მიდიოდნენ ხევსურები, თუშები, ქისტები, ბარელი ქართველები სოფელ ყვარლიდან და ქართლიდან. ქისტები სავაჭროდ მიდიოდნენ, გასაყიდად მიჰქონდათ ნაბდები და ქუდები. ბარელები, ვისაც შეთქმული ჰქონდა, თეთრ ტანსაცმელში იყვნენ, ფეხშიშველნი. ლაშარის ჯვარში ყოველ წელიწადს ბარელების მისვლას პოეტი იმით ხსნის, რომ ისინი ფშავიდან არიან წასულნი და თავიანთ მამაპაპისეულ სალოცავს არ ივიწყებდნენ. ამის დასტურად მიჩნეულია ფშავში სოფელი ყვარა, რომლის სახელწოდება გადასახლებულებმა თან წაიღეს. ამ გადასახლების მიზეზს კი ხალხი ზურაბ ერისთავის ლაშქრობებს უკავშირებს[33].

ხევსურეთთან დაკავშირებით *ნ.ხი ზანაშვილიც* მიუთითებს, რომ *„ხევი“* იერარქიულ შენობაში არის მცირე ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც თავისი განმგებელი, *„ხევისბერი“* ჰყავდა. მისი დაკვირვებით, ანინდელი თემობა უფრო სარწმუნოებრივი ხასიათისა და მიმართულებისაა. ერთი თემის კაცი რომ მეორე თემში გადასახლდეს, ის მაინც თავისი თემის ხატს ემსახურება, მას ლოცულობს[34]. რაც შეეხება მიგრაციულ პროცესებს, უკვე აღვნიშნეთ, რომ ხალხური გადმოცემა ფშაველთა ბარში მიგრაციებს მთიელთა დამორჩილების მიზნით, *ზურაბ ერისთავის* ლაშქრობებს უკავშირებს. ფშაველთა მიგრაციებს კახეთის ბარის რაიონებში ნოყიერი ნიადაგი ექმნებათ XVI საუკუნიდან, როდესაც კახეთის *მეფე ლევანმა* „დაიმორჩილა კარგახნის გამდგარი ფშავ-ხევსურეთი და თუშეთი. მორჩილების პირობად მთიელებმა მოითხოვეს, რათა მათი ოთხფეხი საქონელი კახეთის ზამთრის საძოვრებზე გამოზრდილიყო. მეფემ მისცა ეს პირობა, ხოლო მთიელებმა თავს იდვეს ლაშქრობა და ბეგარა“. „არამედ ამას წინათთა კახთა მეფეთა არღარა მორჩილებდნენ ფშავ-ხევსურნი და თუშნი, და ამან ლევან დაიპყრნა არა ძალითა, არამედ აღუთქვა, რათა ცხოვარნი მათნი უვნოდ ძოვარ იყვნენ კახეთს, და მისცა შეწირულობა ლაშას ჯუარსა თიანეთსა შინა, და მიერითგან მისცემდნენ ლაშქარსა და ბეგარასა“[35]. შემდგომ პერიოდში, XVII საუკუნის შუა ხანებში, უცხოელ დამპყრობთაგან ბახტრიონის გათავი-

სუფლებამ მთიელებს ფართოდ გაუხსნა გზა კახეთის ბარის საძოვრებისაკენ და აქედან მოყოლებული, განუხრელად ფართოვდება თუშეთში მეცხვარეობა, ხოლო ფშავში, მეცხვარეობასთან ერთად, მსხვილფეხა მესაქონლეობა[36]. მიგრაციული პროცესებიც ინტენსიურ ხასიათს ღებულობს[37].

როგორც აღვნიშნეთ, *ვაჟა-ფშაველა* ჩვენი ისტორიის უფრო შორეულ პერიოდსაც გადასწვდა, როდესაც მეფე მირიანმა და წმინდა ნინომ ქრისტიანობისკენ მოუწოდეს ქართველ მთიელებს. სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია *ლეონტი მროველის* ცნობაზე, თუ როგორ გაემართა *წმინდა ნინო* ქართველ მთიელთა გასაქრისტიანებლად. ამას კი შედეგად ის მოჰყვა, რომ „ერწოთიანელთა... შეინყნარეს და ნათელიღეს, ხოლო ფხოველთა დაუტევეს ქუეყანა მათი და გადავიდეს თუშეთს. და სხუანიცა მთიულნი უმრავლესნი არა მოიქცეს"[38]. იგივე ადგილი ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს *„მოქცევაჲ ქართლისაჲ"*-დან, სადაც ნათქვამია, რომ წმინდა ნინო „გარდავიდა ერწუდ და დადგა ჟალეთს დაბასა ედემს და ნათელ-სცა ერწუ-თიანელთა. ხოლო ყუარელთა რაი ესმა ეს, შეშინდეს და თოშეთს გადაკრბეს"[39].

ვ.ბარდაველიძეს გამოთქმული აქვს მოსაზრება, სადაც ნათქვამია, რომ კახეთში ყვარელიდან და სხვა სოფლებიდან იმიტომ დადის ხალხი ლაშარობაზე, რომ ეს მათი სალოცავიც არის, მათი მამა-პაპანი აქედან არიან წასული კახეთში და ამიტომ არის, რომ მათ სოფელს *ყვარას* მიხედვით, *ყვარელი* ეწოდება[40]. როგორც ვხედავთ, ვ.ბარდაველიძე კონკრეტულად არ მიუთითებს, თუ როდის მოხდა ფშაველთა ეს განსახლება. საქართველოს ისტორიის ნარკვევებში კი მითითებულია 1441 წლის საბუთზე, სადაც *ალექსანდრე მეფე* ამბობს: „ახალი სოფელი ავაშენე, ყუარელნი და მაღაროელნი დავასახლე". ამგვარად, 1441 წელს ეს უკვე მომხდარი ფაქტია, ამ „ახალ სოფელში" ყვარლის მთებიდან და მაღაროდან ჩამოუყვანიათ მოსახლეობა[41]. მოტანილი მონაცემებისა და ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე გამოტანილია დასკვნა, რომ „ყვარელი აშკარად ყვარადან მოსახლეობის მიგრაციის შედეგად შექმნილი ოიკუმენია... ოდესღაც ყვარადან ყვარელში გადასახლებულების წინაპრები ძირად ფშაველები იყვნენ, გადმოსახლებულნი ფშავიდან ივრის ხეობის სოფელ ყვარაში, ხოლო აქედან შემდეგ კახეთის სოფ. ყვარელში. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს მთის მოსახლეობის, კერძოდ, ფშაველების ბარში ჩასახლების საფეხურებრივ ხასიათთან (ფშავი – ივრის ხეობა – კახეთი)"[42].

ლაშარში თუშების სიარულს ვაჟა-ფშაველა ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე ხსნის. ფშაველებს და თუშებს ერთ დროს ერთმანეთში მტრობა ჰქონიათ. ერთ-ერთ თილისძეს ჯარი შეუგროვებია და ფშავის დასარბევად წამოსულა, მაგრამ ძლიერ დაზარალებულა, თუშთაგან მხოლოდ თილისძე გადარჩენილა, თუშებს თავის დამარცხება, ხოლო ფშაველებს გამარჯვება ლაშარის ჯვრისთვის მიუწერიათ. თუშებმა მხოლოდ ახლა შეიგნეს ლაშარის ჯვრის ძალა. „პირველად თუშების სარდალი თილისძე, მოდის ფშაველებთან შესარიგებლად და ლაშარის ჯვრის წინ თავის მოსადრეკად, თან მოჰყავსთ *„სამხვეწროდ"* *„თეთრი ქორა ხარი"* (რქათეთრი ხარი). მთის ხალხს ჩვეულებად აქვთ, რომ როდესაც ერთს მეორესთან მძიმე დანაშაული მიუძღვის და დამნაშავე *„სახვეწრით"* – საკლავით, სასმელით მიდის და შეურაცხყოფილს სთხოვს შეწყნარებას, პატიებას უეჭველად მიიღებს. ეს ჩვეულება

დღესაც მოქმედებს მთის ხალხში. ხასიათი, შინაარსი ამ ჩვეულებისას ისაა, რომ დამნაშავე შეურაცხყოფილს საკლავს რომ უკლავს, პატარა ხატად ჰხადს. საკლავის შეწირვა ხომ ღვთისა და ღვთისშვილების (ხატები) მოსამადლიერებელი საშუალებაა. საკლავით შეხვეწნა დიდი ხვეწნაა, რომლითაც სისხლიც კი დაიურვების". ეს იყო პირველი დღე თუშების ლაშარის სალოცავში მოსვლისა, რაც შემდგომ ჩვეულებად იქცა[43].

კიდევ ერთ დეტალზე შევაჩერებთ ყურადღებას. როგორც ვაჟა-ფშაველა აღნიშნავს, ხევისბერები ლაშარის ჯვარის გალავანში უჩვენებენ ადგილს, სადაც „*ბერმუხა*" მდგარა, ცასთან ოქროს შიბით შეერთებული. ეს მუხა ზურაბ ერისთავს მოუჭრევინებია, რომელსაც ფშაველები სულძაღლობით მოიხსენიებენ. ზურაბს ჯერ თავის ყმებისთვის უბრძანებია მუხის მოჭრა, მაგრამ ვერ მოუჭრიათ, ხეს ცული არ ეკარებოდა. შემდეგ დაუბარებია ყველა თემის ფშაველები და მოუთხოვია ესწავლებიათ ის საიდუმლო, რითაც ხის მოჭრა შეიძლებოდა, ბოლოს ერთ უკანა-ფშაველს გაუყიდია თავისი სალოცავი: კატის სისხლით მოუსვრია მუხა, ხატს ანგელოზი მოშორებია, ცულს ხე გაუჭრია, მუხა წაქცეულა და ჯაჭვი – ოქროს შიბი ცაში აკეცილა. „მას შემდეგ გასტეხია საქართველოს იღბალი და ფშავის ბედიც უკან და უკან წასულა"[44].

როგორც ვხედავთ, პოეტმა შემოგვინახა უნიკალური ეთნოგრაფიული მასალა აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა და, კერძოდ, ფშაველთა უძველეს რწმენა-წარმოდგენებზე, წმინდა ხეებზე, უწმინდურ ცხოველებსა და ბოროტ სულებზე. მუხა, წმინდა ხე, რომელზედაც ანგელოზები სხდებოდნენ, ოქროს შიბით ზესკნელთან იყო დაკავშირებული, თავისი აგებულებით სიძლიერის გამომხატველი იყო. მას თუ არ ღალატით, ვერავითარი ძალა ვერ დაძლევდა. მუხა ხომ საქართველოს სიმბოლოც იყო.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა უძველეს რწმენა-წარმოდგენებს, ბუნებაში გაღმერთებული ხეების რწმენას, ხის კულტის გადმონაშთებს არაერთი მკვლევარი შეეხო და ბოლოს ის *ი.სურგულაძის* მონოგრაფიაში აისახა. სპეციალური ლიტერატურული მონაცემებისა და ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე მკვლევარი აღნიშნავს, რომ ხის კულტი დადასტურებულია ყოფაში, წერილობით წყაროებში, კულტმსახურებაში, ენობრივ მონაცემებსა და ტოპონიმიკაში. „კულტის აღმნიშვნელი სიტყვები – „*ხატი*" და „*ჯვარი*" – ენათესაებიან ხესა და ძელს, ხოლო ამათთან კავშირშია სვანური და მეგრული ღვთაებების სახელები – „*ჯგრაგი*" და „*ჯგეგე*"... აღსანიშნავია, რომ წმინდა ხეებს ოდითგანვე დიდი ძალა მიეწერებოდა, განსაკუთრებით ცაცხვსა და მუხას. ერთი ქართული გადმოცემის თანახმად, მცხეთის სვეტიცხოვლის ადგილზე უზარმაზარი წმინდა მუხა მდგარა, რომელსაც ხალხი თაყვანს სცემდა. *მირიან მეფეს*, ქრისტიანობის მიღების შემდეგ, მუხა მოუჭრია და მის ადგილზე ჯერ ხის, ხოლო შემდეგ ქვის ეკლესია აუშენებია". მკვლევარი მიიჩნევს, რომ ეს ლეგენდა რეალურად არსებულ რწმენებს უნდა ემყარებოდეს. ამ რწმენების ანარეკლი თვით სახელწოდებაში ჩანს – „*სვეტიცხოველი*", რაც სიცოცხლის (ან ცხოვრების) მომნიჭებელ სვეტს, სიცოცხლის ხეს ნიშნავს[45].

წმინდა ხეების რიგს მიეკუთვნება ალვის ხე. „წმინდა გიორგის კარზედა ხე ალვად ამოსულაო"[46], ნათქვამია ერთ-ერთ ფშაურ ლექსში. როგორც აღვნიშნეთ, წმინდა ხეების საკითხი სათანადოდაა შესწავლილი, მაგრამ მიუხედა-

ვად ამისა, კვლავ გვინდა შევეხოთ ერთ მასალას, რომელიც ძალიან წააგავს წმინდა მუხასთან დაკავშირებით მოტანილს, ფშავურს. ამ მასალის მიხედვით, ხევსურეთში, სოფელ ბარისახოს ერთ-ერთი უბნის განაპირას, ხევის მარცხენა მხარეს, ადგილზე, რომელსაც „*ბმალა*“ ეწოდება, ეკლესია მდგარა, სადაც ბარისახოელები ახალწლობას იხდიდნენ. ჩვენს დრომდე შემორჩენილი ლეგენდის მიხედვით, ეკლესიასთან იდგა ალვის ხე. მის წვეთებს, რომელიც ყოველ წელიწადს ჩამოსდიოდა, მირონად იყენებდნენ, მით ბავშვებს ნათლავდნენ. ხევის მეორე მხარეს, ალვის ხის მოპირდაპირედ იდგა შურის ციხე, ალვის ხესა და ციხეს შორის კი ვერცხლის შიბი ყოფილა გაბმული და ზედ ანგელოზები დადიოდნენ. „ალვის ხესა და ციხესა შიბი ჰქონია გრძელიო“, ნათქვამია ხალხურ ლექსში. ერთხელ ბარიდან ამოსულმა ხალხმა, რომლებიც მდინარის მიერ წაღებული ალვის ხის ფოთოლს ამოჰყვნენ, მოინდომეს ხის მოჭრა, მაგრამ ხეს ცული არ ეკარებოდა, რამდენსაც დაარტყამდნენ, ხე იკურნებოდა. შემდეგ ერთ-ერთ ხევსურს გაუცია საიდუმლო, ბარელებისთვის უსწავლებია კატა დაეკლათ და მისი სისხლი წაეცხოთ ხისთვის. ასე მოუჭრიათ ხე, ხოლო „შიბი წავიდა ცისკენა, იწივლა როგორც გველია“[47].

ამგვარად, ვაჟა-ფშაველამ დასახელებულ წერილში დასვა უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემები მატერიალური და სულიერი კულტურის, სოციალური ურთიერთობების სფეროდან, შეეხო მთიელთა მიგრაციებსა და მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხს. შემოგვინახა ცოცხალ ყოფაში ფიქსირებული უაღრესად მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული მასალა და მასთან დაკავშირებით, შემოგვთავაზა თავისი მოსაზრებები.

ლაშარობას კვლავ უბრუნდება პოეტი 1903 წელს. მისი სიტყვით, *ლაშარობა* იგივე *გიორგობაა*, ხოლო მისი უმთავრესი დღეობა *პეტრეპავლობა*, 29 ივნისს მოდის და სამ დღეს გრძელდება. ამ შემთხვევაშიც წინა პლანზეა წამოწეული მთისა და ბარის ურთიერთობები. ვაჟას შესანიშნავად ესმის ეს პრობლემა, მთიელთა მიგრაციის პროცესები ბარის რაიონებში, ან პირიქით, მისი განმსაზღვრელი ფაქტორები და ამასთან დაკავშირებით მიმდინარე შიდა ეთნიკური პროცესები. „თუ თავდაპირველად მშობელი დედა და აკვანი მთისა ბარი იყო, დროთა ვითარებისა და ისტორიული მიზეზებისა გამო, მთასაც ბევრჯერ ჰხვდა წილად დედობა და აკვნობა გაეწია ბარისათვის; მტრისგან დაწიოკებულნი, შევიწროებულნი ბარელნი ხშირად ილტვოდნენ მთებში, როგორც ციხესიმაგრეში თავის დასაფარავად; ეგრეთვე მთიდან ეკონომიურ პირობებისა გამო, იძულებულნი აფარებდნენ თავს ბარის მდიდარ და უხვ კალთას“. მხოლოდ ლაშარის ჯვრის ბინა დარჩა შეუცვლელი, მხოლოდ ნიშები მიჰქონდათ გადასახლებულთ. მიუხედავად ამისა, ლაშარის „ყმები“, თუ ყოველ წელიწადს არა, ორ წელიწადში ერთხელ მაინც მიდიოდნენ თავის ბატონთან ძღვენით, საკლავით და სანირავით. ბარში ჩასახლებული ფშავლები უკვე გაკახელებული იყვნენ და ფშავლები მათ კახებს ეძახდნენ[48].

როგორც ვხედავთ, პოეტი ეხება მიგრაციებთან დაკავშირებით მიმდინარე შიდა ეთნიკურ პროცესებს; გვაცნობს ლაშარის უძრავ-მოძრავ ქონებას და მათ გამოყენებას; სააშკარაოზე გამოაქვს მავნე გადმონაშთები, კერძოდ, მკითხავების მოქმედება, რომლებიც მათთან მისულ მორწმუნეებს ხატისადმი ახალ ვალდებულებებს აკისრებდნენ; აღწერს ხევისბერის მიერ „*ხელ-მბარის განათ-*

*ელას*", „*მწევრის საფლავს*" სოფელ ხახმატში; ეხება ჩვეულებით სამართალს და სხვა[49].

ვაჟა-ფშაველა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ერთმანეთის გვერდით მცხოვრებთ ფშაველებს და ხევსურებს ერთნაირად სწამდათ ისტორიული პირები, ჰქონდათ ერთნაირი ისტორიული ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები, ხატების მონყობილობა, ხევისბერობა და სხვა[50]. ყველაფერი „რაც ერთგანაა, მეორეგანაც იგივეა", მხოლოდ ერთი რამ განასხვავებდათ მათ ერთმანეთისაგან, თამარი ერთნაირად არ მიაჩნდათ. მართალია, ხევსურებში თამარის სახელი მტკიცედ იყო დაცული, მაგრამ მათ ვერ შეძლეს ფშაველებივით თამარის სახელზე სალოცავი ჰქონოდათ, არც ფშავში მიდიოდნენ „*თამარ-ნეფობის*" დღესასწაულზე. პოეტი ამ საკითხის გარკვევას ისტორიკოსებს ანდობს, რადგან თავისი თავი კომპეტენტურად არ მიაჩნია, ის მხოლოდ თავის მოსაზრებებს სთავაზობს მკვლევრებს, რაც უაღრესად საინტერესოა.

ფშაველებს, აღნიშნავს მკვლევარი, ძველთაგანვე *თამარი წმინდანად*, „*ხატად*" შეურაცხიათ და მის სახელზე სადიდებელი დღეები დაუდევთ 2-3 ივლისი, ე.ი. ლაშარობის მეორე დღიდან. მის სადიდებლად და სახსენებლად კი ცხვრის ფარა ჰყავდათ, რომელსაც „*თამარის ცხვარი*" ეწოდებოდა. ფშავი საქართველოში ერთადერთია, აღნიშნავს პოეტი, სადაც თამარის ცხვარი და თამარ მეფის ხატი იყო დავანებული, რომელსაც „*ხატის ქალებად*" წოდებული მოლოზნები ჰყავდა. ცხვარი ამ სახელით ზამთრობით შირაქში, ხოლო ზაფხულობით ფშავის მთებში იკვებებოდა. თამარის ცხვრის მოვლა-პატრონობა: მწყემსების დაქირავება, მთაბარობის მოწესრიგება, შემოსავლის ხარჯვა, დღეობისთვის ღვინის ყიდვა და მოტანა, ახმეტაში თამარის ზვრის გაკეთება, მკითხავ-ქადაგის პირით ხატის მიერ შერჩეულ ერთ ფშაველს ევალებოდა. არა მარტო თამარ მეფის ხატს, სხვა ხატებსაც: ლაშარის ჯვარს, მთავარ ანგელოზს (*ცაბაურთოობა*), ჩარგლის ღვთისმშობელს კახეთში ზვრები ჰქონდათ ქართველი მეფეებისაგან შეწირული. მათი მოსავალი დღეობაზე იხარჯებოდა, ჭარბი პროდუქცია კი იყიდებოდა და ზვრების დამუშავებას ხმარდებოდა. როგორც აღვნიშნეთ, ამ მასალას პოეტი ისტორიკოსებს სთავაზობს და მათ მიმართ საყვედურსაც გამოთქვამს, რომ თავიანთ კაბინეტებში იყვნენ ჩაკეტილნი, გარეთ არ გამოდიოდნენ და მუდამ მასალის ნაკლებობას კი უჩიოდნენ. პოეტი გვარწმუნებს, რომ ჩვენი ქვეყანა ჩვენ თვითონ უნდა შევისწავლოთ, სხვები მას ვერ შეგვისწავლიან, რაგინდ მაღალი კვალიფიკაციის მეცნიერებიც უნდა იყვნენ. სამაგალითოდ ასახელებს *მ.კოვალევსკის*, მისი სიტყვით, საკმაოდ ფხიზელ და მიუდგომელ მეცნიერს, რომელიც ვერ გაერკვა ქართული ყოფისა და კულტურის ნიუანსებში, ვერ გაერკვა თუ რა იყო ლაშარობა, წაწლობა, საღმთო, ყველაფერ ამას საბერძნეთისა და რომის მაგალითები მიუსადაგა და ერთმანეთში აურია. ვაჟა მკაცრად აკრიტიკებს მ.კოვალევსკის, მის მომხრეებს და ყველა სადავო ელემენტს თავად განმარტავს[51].

სულიერ კულტურასთან დაკავშირებით, უნდა შევეხოთ კიდევ ერთ საკითხს, ეს არის „*ხალარჯობა და რიგები*"[52], რომლის ეთნოგრაფიული მნიშვნელობა, ვაჟას სიტყვით, ადვილი გასაგებია, ხალარჯობას ფშაველები სულთა მოხსენების დღეს ეძახიან, რომელიც სამებობის წინა დღეს იმართებოდა. ამ დღეს მთელი თემი, ქალი და კაცი, დიდი და პატარა „*ქადა-პურებით*", სასმე-

ლით, სანთლებით, ვისაც იმ წლის მიცვალებული ჰყავდა, ბატკნით ან კელაპტრით სასაფლაოზე მიდიოდა. ერთი მრავლის მიცვალებულს გლოვობდა და მრავალი ერთისას. ამდენად, სულთა მოხსენიების დღე საერო სათემო, საზოგადო ხასიათს ღებულობდა. ვაჟკაცთა საფლავზე შეკაზმული ცხენები იდგნენ და სატირალს (მიცვალებულის ლოგინს, ტანსაცმელს, იარაღს) დასჩერებოდნენ, ცხენები მიცვალებულთა ნათესავებს ეკავათ და ისინიც თავდახრილები იდგნენ. პოეტის სიტყვით, ამ ძველთაძველ წესს ფშაველები მტკიცედ იცავდნენ.

ხალარჯობის მეორე დღეს ახალი მკვდრის პატრონები თავის სახლში „*რიგებს*“ აკეთებდნენ, მოკეთეებს პატიჟობდნენ. დაცული იყო რიგის წარმართვის სრული ეტიკეტი. ჭირისუფალი ცდილობდა მეტი ხარჯი გაეწია, ამით თავის ხალხის თვალში მიცვალებულიცა და თავისი თავიც დაენამუსებია. თუ ჭირისუფალი პურადად ვერ მოიქცეოდა, თემისგან დაიძრახებოდა, ხოლო თუ სულ ვერ შეძლებდა „*რიგის დაყენებას*“, სოფელში მოკვეთილივით იყო. გარდა აღნიშნულისა, მკვდრის პატრონების მხრივ არის „*თავმოსაპარსი*“ – წირვის შემდეგ ასასრულებელი წესი. პოეტი ჩამოთვლის მთელ ხარჯებს, რაც ჭირისუფალს უჯდება მიცვალებულთან დაკავშირებით. ეს საკმაოდ დიდი ხარჯებია, თემისა და, საერთოდ, საზოგადოების მიერ დაკანონებული, ძველთაგანვე მიმდინარე წეს-ჩვეულებები, რაც მძიმე ტვირთად აწვებოდა ოჯახს. პოეტი არკვევს, თუ ეს ჩვეულება, გადმონაშთი საზოგადოების განვითარების რომელ ეტაპზე ჩაისახა, ამ იდეოლოგიას რა ედო საფუძვლად და ჩვენამდე რა სახით მოაღწია, მის დროს როგორ სწამდათ ეს რიტუალები.

პოეტი ხევსურებთან დაკავშირებით იმასაც აღნიშნავს, რომ მოსახლეობის ის ნაწილი, რომლებიც „სადღაც მიუწვდომელ კლდეებში, მთის შუა ჩავარდნილს ხეობებში“ ცხოვრობდნენ და უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდნენ, უყურადღებოდ იყვნენ მიტოვებულნი. მისი სიტყვით, „ყურადღების მისაქცევი აქ უფრო ის მეტისმეტი, საზღვარს გადასული ცრუმორწმუნეობები და მამაპაპის ჩვეულებების აღსრულებებია, რომელნიც აღარიბებენ მათ“[53].

ვაჟა-ფშაველა სხვა პუბლიკაციაშიც აღნიშნავს: „რამდენადაც ხევსურეთის არემარეა მწირი, უფრო მეტად მის მცხოვრებთა ჭკვა-გონებაა. ისე მედიდურად, თავმომწონებით, არა მგონია სადმე საქართველოს კუთხეში დაფარფაშობდეს უმეცრება, ცრუმორწმუნეობა, როგორც ამ სალთა და შავთა კლდეთა შორის. ყველაფერი, ხილული და უხილავი ბუნებაში, ხევსურს ცრუმორწმუნეობის საგნად გაუხდია. ხევსური ცრუმორწმუნეობას მომეტებულად ამხნევასაზრდოებს და ფრთებს ასხამს მკითხავ-ქადაგების რჩევა-დარიგებებით“[54]. მგოსანი გამოსავალს სკოლებსა და ხალხში სწავლა-განათლების შეტანაში ხედავდა, მაგრამ მკითხავ-ქადაგები ხალხს ამის უფლებასაც არ აძლევდნენ.

ვაჟა-ფშაველა კიდევ ერთხელ აკეთებს შენიშვნას *მ. კოვალევსკის* წიგნზე *«Закон и обычай на Кавказе»*. კოვალევსკი გვაწვდის ეთნოგრაფიულ მასალას, ოსეთში და საქართველოში გააკეთებენო ჩალის „*ჩუჩელას*“ და რიგის წირვის დროს სუფრის თავში თავის გვერდით დაისვამენო. ერთი რომელიმე ნათესავთაგანი სხვებზე ორჯერ მეტსა ჭამს და ის მეტი ნაჭამი ვითომ მკვდრის სულს შეეწირებაო. პოეტი შენიშვნას აკეთებს, რომ ეს სიცრუეა. „ამბობს რა კოვალევსკი იმას, რომ ზოგი ცხოველები არიან შექმნილნი არიმანისა და სხვანი ორმუზდისა“, ფშაველებსაც ინგუშებში, ჩეჩნებსა და ოსებში ამტანს, რომლებიც

მოვალესთან ძაღლს მიიყოლებენ და ეტყვიან თუ არ გამოსწორდი ამ ძაღლს შენს მკვდარს დავაკლავო. პოეტი ფიქრობს, რომ ასეთი რამ შეიძლება მართლაც იყო ფშავში, მაგრამ ახლა ვეღარ ვხედავთ, თუმცა როდესაც დედაკაცები ლანძღავენ ერთმანეთს, ეტყვიან: „ძაღლს ჩავაკლავ შენს მკვდარსაო“[55].

როგორც ვხედავთ, ვაჟა-ფშაველა კრიტიკულად უდგება უცხოელ მეცნიერთა გამოკვლევებს, აღნიშნავს, რომ მათ, რაგინდ მაღალი კვალიფიკაციისაც არ უნდა იყვნენ, გაუჭირდებათ ქართული ყოფისა და კულტურის ნიუანსებში ჩაწვდომა. ამიტომ ჩვენი კუთხე ჩვენვე უნდა შევისწავლოთ. მაგრამ ჩვენი ისტორიკოსებიც, აღნიშნავს მგოსანი, კაბინეტებში ჩაკეტილან და იქ ჩხირკედელაობენ, გარეთ არ გამოდიან და სულ მასალის ნაკლებობას კი უჩივიანო. ამასთან, პოეტს სააშკარაოზე გამოაქვს მავნე გადმონაშთები, რომლებიც მოსახლეობას გონებას უბინდავდა და დიდ ეკონომიურ კაბალაში აგდებდა.

ხატის ყმობის ინსტიტუტი, ხატობასთან დაკავშირებული რიტუალი, მისი წარმართვა, წეს-ჩვეულებები საერთო სათემო ხასიათს ატარებდა. ამიტომაც მიუთითებენ, რომ ძველი ქართული თემი სატაძრო ხასიათისა უნდა ყოფილიყო; სასოფლო თემის (სოფლის) ან ხევის (რამდენიმე სოფლის) ერთობას, პირველ ყოვლისა, საერთო სათემო კულტის არსებობა განასახიერებდა, თემობა საკულტო იერს ატარებდა. სპეციალურ ლიტერატურაში, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, მითითებულია ქართველ მთიულებში თემის და თემობრიობის დიდ ტრადიციებზე და ჩამოყალიბებულია თეზისი, რომ საქართველოს მთამ გვიანობამდე შემოგვინახა თემი და თემური მმართველობისთვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებები. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თემი კვლავ თავისი კანონებით განაგრძობდა ცხოვრებას, თუმცა ძველი დოგმები უკვე განიცდიდნენ რღვევას. ეს პრობლემა სათანადოდ აისახა ვაჟა-ფშაველას პუბლიკაციებსა და მხატვრულ შემოქმედებაში.

სოფლის, სასოფლო თემის მმართველობის ცენტრი იყო სასოფლო მოედანი „*საფიხვნო*“. აქ იკრიბებოდნენ სოფლის თავკაცები და საერთო სასოფლო საკითხებს წყვეტდნენ. ბუნებრივია, ამ შეკრებას სიტყვასა და საქმეში ნაცადი პიროვნება წარმართავდა. ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი პოემის თანახმად, ხევსურეთში ასეთი პიროვნება ყოფილა *ალუდა ქეთელაური*[56].

ვინ იყო ალუდა ქეთელაური? სოფლის კითხული, ვაჟას დახასიათებით, კაცი „*დოვლათიანი*“, რომელიც „საფიხვნოს თავში დაჯდების სიტყვა მაუდის მზიანი“. სიტყვასთან ერთად მარჯვენაც უჭრიდა, თემის წეს-ჩვეულების მიხედვით, „ბევრს ქისტს მააჭრა მარჯვენა, სცადა ფრანგული ფხიანი“.

თემის კანონებით, ხევსური რომ ქისტს, ურჯულოს მოკლავდა, მისთვის მარჯვენა უნდა მოეჭრა და თავის კოშკის ან სახლის კედელზე „*ქავის კარზე*“ ჩამოეკიდა. ეს იყო საერთო წესი და მის დარღვევას თემი არავის აპატიებდა. მაგრამ თავად ალუდა უპირისპირდება თემს, – მის მიერ მოკლულ ქისტს, მისი ვაჟკაცობით მოხიბლული, „არ აჰყრის იარაღებსა, არ ეხარბება თვალიო“, არც მარჯვენას სჭრის მუცალსა, იტყოდა: „ცოდვა არიო; ვაჟკაცო, ჩემგან მოკლულო, ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო, მკლავზედა გებას მარჯვენა, შენზედ ალალი არიო“. ალუდა მკაცრად გაკიცხეს ამ თვითნებობისთვის: „მაჰკალ, მარჯვენა არ მასჭერ, უკან მისდევდი მა რადა?! ...ალუდას აუგს ეტყოდნენ სიტყვითა

შხამიანითა". ალუდა გაოცებულა, ვერ გაუგია, „რაად სწყრებიან ხევსურნი, რადა ტყვრებიან ჯავრითა?!" ან რად უნდა სხვისი მარჯვენა, – „ვერ მიხმლობს, არ გამოდგება ფარადა; მთაში წავიღო, არ მითიბს, არც მარგებს თივის კავადა". და კატეგორიულად აცხადებს: „მტერს მოვკლავ, კიდევ არ მოვსჭრი მარჯვენას მაგათ ჯიბრითა". მაგრამ „წესი არ არის მტრის მოკვლა, თუ ხელ არ მასჭერ დანითა". ვაი ეგეთსა სამართალს, მონათლულს ცოდვა-ბრალითა!" უფრო მეტიც, ალუდა ხატობაზე შავი კურატით ამწყალობებს მუცალის სულს, რამაც უკიდურესად განარისხა ხევისბერი: „ბერდია ჯაგარაშლილი ხალხისკენ იზამს პირსაო. – გაგონილაა, – იძახდა, – ასე აგდება რჯულისა: საკლავს თვითონ ჰკლავს ალუდა, მამხსენე ქისტის სულისა". და, ამ *„რჯულის აგდების-თვის"* მოუწოდებს ხალხს: „დაჯარდით, ხევსურთ შვილებო, ყველანი – დიდნი, მცირენი, სამართალი ვქნათ, ვუმტვრიოთ ალუდას სახლის დირენი". თემმა ალუდა მოიკვეთა, უმტვრიეს სახლის დირენი, სათემოდ გამოირეკეს მისი „ცხვარი, ძროხა და ხარები".

როგორც ვხედავთ, თემი მტკიცედ იცავს თავის კანონებს, რჯულს, რომელიც თაობიდან თაობას მემკვიდრეობით გადმოეცემოდა. ალუდას საქციელი კი, *„რჯულის ასე აგდება"*, ჩვეულებითი სამართლის ნორმებში არ ჯდებოდა – „მამით არ მოდის ანდერძი, პაპითა-დ, პაპის-პაპითა". და იგი მას შეეწირა კიდეც. მიუხედავად ამისა, ამ პოემაში მაინც ჩანს თემობრიობის ძველი დოგმების რღვევის პროცესი.

ამ პრობლემას, კერძოდ, ხევსურულ ანდრეზს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა *რ.ბარამიძემ.* როგორც მკვლევარი აღნიშნავს, „პირველყოფილი თემური წყობილების საფუძველზე შექმნილი ოჯახური ურთიერთობებისა, სისხლ-მესისხლეობისა თუ თემთა დამოკიდებულების საკითხები ხევსურეთში უხუცესთა საბჭოს მიერ წყდებოდა. წერილობითი კანონების უქონლობის გამო, ტრადიციით განმტკიცებულ ჩვეულებას, ამ დროს დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა. ასე იქმნებოდა ის ჩვეულებითი სამართალი, რომლითაც თემური საზოგადოება თავის წევრთა შორის ურთიერთობას აწესრიგებდა". XIX საუკუნის ბოლოს ფშავიც და ხევსურეთიც ჯერ კიდევ წარსულით, *„გარდმოცემით"* ცხოვრობდა. ხევსურული *„ანდრე ზი"* ანუ *„ანდა ზა"* წარმოადგენდა მაგალითის სახით შემონახულ წარსულის გადმოცემას, რომლითაც შემდგომ თაობას უნდა ეხელმძღვანელა. ხალხური სამართლის წარმოების დროს *„ბჭეების"* მიერ ანდრეზი უნდა ყოფილიყო გამოყენებული, როგორც ნიმუში. „ხევსურული რჯული ზოგადად ნორმირებული არ ყოფილა; ის მუდამ ხელმძღვანელობდა წინათ მომხდარი და გადმოცემაში დაცული კონკრეტული შემთხვევით, ე.ი. ანდრაზით. რაიმე გადაწყვეტილების გამოტანისას თემისთვის ანდრეზი იყო ერთადერთი ყველაზე მტკიცე საბუთი. ბჭეებისაგან დასკვნის მიღების შემდეგ საგანგებოდ ინიშნებოდნენ *„ანდრეზის შემნახავი პირები"*, რომლებიც ვალდებული იყვნენ მომხდარი ამბავი შთამომავლობისათვის ანდრეზად გადაეცათ[57]. ამიტომაც იყო, რომ თემი, რომელიც მტკიცედ იცავდა თემობრიობის წინაპართაგან ნაანდერძევ ნორმებს, *„რჯულის აგდების"* უფლებას არავის მისცემდა, მათ შორის არც ისეთ პიროვნებას, როგორიც ალუდა ქეთელაური იყო. როგორც აღვნიშნეთ, მისი მოქმედება „მამით არ მოდიოდა ანდერძად, პაპით და პაპის-პაპითა".

მეორე პოემას, XIX საუკუნის ქართული პოეზიის ერთ-ერთ შედევრს – *„სტუმარ-მასპინძელი“*[58] – ჩრდილოეთ კავკასიაში, ინგუშეთში გადავყავართ. გავიხსენოთ ერთი სტროფი *„ალუდა ქეთელაურიდან“*: „შენ რო სხვა მოჰკლა, შენც მოგკვლენ, მკვლელს არ შაარჩენს გვარია“[59] და შევუდაროთ იგი ქისტურს: „ძმის მკვლელის სისხლის სწყურია, კაცი რომ მოდის გზაზედა“. შემდეგ – მოხუცი „დაჰმღერდა გმირობისასა, მამა-პაპათა ცდისასა: როგორ არბევდნენ ფშავ-ხევსურთ, სისხლს არ არჩენდნენ ძმისასა; ყველგან მადლობას სწირავენ მარჯვენას კაის ყმისასა“[60].

ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთშიც ასე იყო: „თემს რაც სწადიან, მას იზამს თავის თემობის წესითა“. მაინც რა იყო თემობის წესი? ჩვეულებით სამართალში, მოტანილი ტექსტების მიხედვით – *სისხლი სისხლისა წილ*, სისხლი მხოლოდ სისხლით მოიბანებოდა. მკვლელი უნდა შესწირონ თავის მკვდარს, „უნდა მტრის საფლავზე დაკლან, როგორაც წესი არია“. აქვე შენიშვნაში ნათქვამია: „სისხლის აღება, მკვლელობისათვის მოკვლა, ყველა მთიელებს აქვთ წესად, მაგრამ საფლავზე დაკვლა და ამგვარად *„შეწირვა“* მაჰმადიან მთიელების ადათია. ქრისტიანი მთიელები ამას ერიდებიან. თუ ვისაც სწირავენ და საფლავზე ჰკლავენ არ შედრკა, მკვდრისთვის *„შეწირულად“* არ ჩაითვლება“[61]. ზვიადაურიც არ შეეწირა ქისტების მკვდარს, არ გაუხდა მათ მკვდარს მსახურად, რითაც „დაკლულმა დაჰკლა მათ გული და გაუცრუა ქადილი“. *ჯოყოლა*, თავის გამოჩენის მიზნით, გამოეყო თანასოფლელებს და მარტო შეებრძოლა ხევსურებს. ბუნებრივია, ის ამ უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა. თემმა ეს ჯოყოლას მხრივ ღალატად, *„თემის პირის გატეხად“* მიიღო, მის ცოლს ზურგი შეაქციეს, სასაფლაო დაუკეტეს და იქ ქმრის დასაფლავების უფლება არ მისცეს. ასეთი მკაცრი და შეუვალია თემის კანონები, თემისადმი დაპირისპირება ერთ-ერთ ყველაზე დიდ დანაშაულად ითვლებოდა და ამის უფლებას არავის მისცემდნენ, მაგრამ მოტანილ პოემებში მაინც ჩანს მისი რღვევის პროცესი.

ჩრდილოკავკასიელ და ქართველ მთიელთა ჩვეულებითმა სამართალმა ჯერ კიდევ XIX საუკუკნის მეორე ნახევარში მიიქცია ყურადღება და ეს პრობლემა დღემდე ეთნოგრაფებისა და იურისტების კვლევის სფეროშია მოქცეული. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ეს საკითხი აისახა *ფ.ლეონტოვიჩის, ა.კომაროვის, მ.კოვალევსკის, ნ.ხიზანაშვილისა* და სხვ. ნაშრომებში, ხევსურულ რჯულს, სისხლ-მესისხლეობას სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა *რ.ბარაძემ*, რომელშიც, ავტორის მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე, დეტალურადაა აღწერილი *„რჯულის კაცების“* ანუ *„მებჭეთა“* მიერ წარმოებული სასამართლო პროცესი, დანაშაულის განსაზღვრა, ამასთან დაკავშირებით, გამოტანილი სანქციები, მხარეთა ვალდებულებები და სხვა. ფშაურ ჩვეულებით სამართალს ცალკე კრებული მიუძღვნეს ქართველმა იურისტებმა, მაგრამ ამჯერად მასზე არ შევჩერდებით, ჩვენთვის მთავარია ვაჟა-ფშაველას მიერ მოწოდებული მასალა და მისი ინტერპრეტაცია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხატს მსხვერპლად სისხლიანი საქონელი უნდა შეეწიროს, საქონლის სისხლი უნდა დაიქცეს, ეს სისხლი, როგორც აიაზმა, უნდა ესხუროს თასებს და სახატო ავეჯეულობას, ამ სისხლით უნდა გაინათლოს ხევისბერის ხელ-მხარი და ა.შ. პოეტის განმარტებით, რაკი სისხლს ასეთი ძალა აქვს, უნდა ვიფიქროთ, რომ მთიელთა შორის სისხლის აღების ან *„სისხლის ძი-*

*ების*" ჩვეულებას სამღვთო მნიშვნელობა ჰქონდა, „სამღვთო მოვლენად ჩასათვლელია". „სისხლის ამღებს ჰგონია – მოვკალი ჩემი ნათესავის მკვლელი და ამით იგი დაუმონე, ყმად გაუხადე ჩემს ნათესავს, რათა მან საიქიოს წყალი უზიდოს მას, ჯღანი (ბანდული, ხუჩა) გაუბანდოს და სხვა, მაგრამ ის კი აღარ აქვს შეგნებული, რომ ამავე დროს საღმთო მოვალეობასაც ასრულებს „*სისხლის დაქცევით*". ადამიანი ამ შემთხვევაში ხდება ხატად და მას ზვარაკად, მსხვერპლად ადამიანი ეწირების... საყურადღებო ამბავია... ფშაური ჩვეულება სისხლით გაწმენდისა ძველ ებრაულ ჩვეულებას მოგვაგონებს".

ვაჟას განმარტებით, ხევსურების ჩვეულებით სამართალში, ხევისურის ცხოვრებაში არის კიდევ ერთი შესანიშნავი მოვლენა – „*კატაზე ფიცი*". როგორც აღვნიშნეთ, კატა უწმინდურ ცხოველად ითვლებოდა. თუ ერთი მეორეს აბრალებდა ქურდობას ან რაიმე უნამუსობას, მაშინ, როდესაც მეორე მხარე უდანაშაულოა და ვერაფრით დაუმტკიცებია თავისი სიმართლე, მაშინ ეს უკანასკნელი კატას თოკით ჩამოკიდებდა ხეზე და დაიწყებდა სასოფლოდ ფიცს: თუ მე ამისა და ამის „ცხენ მომეპაროს ეს კატაიმც იქნების ჩემის მკვდრისადა, ცოცხლისადა, ჯვარისადა, ტაბლაისადა, სანთლისადა, წყლისადა, წისქვილისადა, მთისადა, ბარისადა, თუ არა და, ვინც მე უღიბით დამწვა-დამდაგა, იმასამც მკვდრისად იქნების, ცოცხლისად, ჯვარისად, ტაბლაისადა, მთისადა, ბარისადა, ყველამიც ღრიბლიან (ნაბილწული, შებღალული) იქნებისა..."[62] ხალხს ფიცის და მასთან დაკავშირებით ჩატარებული რიტუალის სჯეროდა, დარწმუნებული იყვნენ, რომ ვაჟკაცი ტყუილზე არ დაიფიცებდა. ამიტომაც იყო, რომ ფშავ-ხევსურთა ჩვეულებით სამართალში ფიცს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ერთ-ერთ თავის პუბლიკაციაში ვაჟა-ფშაველა აღნიშნავს, რომ მთიელის ყურადღებას არც ერთი საქმე არ იზიდავს ისე, როგორც სისხლის სამართლის საქმე. „აქაური ხალხის შეხედულება სასისხლო საქმეზე ძირეულად განსხვავებულია კანონის შეხედულებიდან და, თუ კანონი სასტიკად უცქერის რომელსამე დანაშაულობას, ხალხი კიდევ იმავე დანაშაულობაზე სხვანაირად სჯის, მსუბუქ სასჯელს თხოულობს. ან რას იზამს, როცა ზოგიერთთა ბოროტმოქმედება, მაგ: ქალის მოტაცება, მოღალატე ცოლის ცხვირის მოჭრა, შურისძიების გამო მოკვლა ხალხის ჩვეულებას შეადგენს და ჩვეულება ხომ, როგორც მოგეხსენებათ, „რჯულზე უმტკიცესი არის". ჩვენდა სასიამოვნოდ, სასამართლო არ ივიწყებს ხალხის ჩვეულებას და რაც კი შეიძლება შეღავათს აძლევს დამნაშავეებს, მსუბუქ სასჯელს აკისრებს მათ[63].

როგორც ვხედავთ, ჩვეულებით სამართალში ჩამოყალიბებული ყველა ნორმა „რჯულზე უფრო უმტკიცესად" იყო ხალხში გამჯდარი და მათი დაცვა სავალდებულოდ მიაჩნდათ. მაგრამ თემი სიმტკიცეს მხოლოდ ჩვეულებით სამართალში არ ავლენდა, ის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ერეოდა.

საკითხი, რომელსაც ჩვეულებით სამართალთან დაკავშირებით შევეხეთ, ეს არის სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციები. პოეტის სიტყვით, ხევსურს, გარდა იმისა, რომ უყვარს სტუმარი, მისი შესაფერისი დახვედრაც იცის: სახლში უდგას რამდენიმე ლაჭანი (წნული ჯინი) ჩალით ან თივით დაგებული და ზედ დასახურად დურა-ტყავით. სტუმარს უმასპინძლდება ფაფით ან ხავიწით (ერ-

ბოში მოდუღებული ფქვილით), ლუდით ან არყით. როდესაც ხევსური სტუმარს სასმელს ასმევს, მის წინ დგას თავშიშველი და ცალ მუხლზე დაჩოქილი, სტუმარს შეაქცევს საუბრით და ცერემონიასაც ეწევა. „სტუმარი ხევსურის სახლში ხელშეუხებელია. სტუმრის მოსისხლე მტერს, მასპინძლის მეზობელიც, თუნდა ძმაც რომ იყოს, არ შეუძლიან სტუმარს ხმა გასცეს; თუ ვინმე გაკადნიერდა, მაშინ თვითონ მასპინძელი გასცემს პასუხს სტუმრის მოდავეს, სისხლის დაქცევასაც არ მოერიდება, ოღონდ სტუმარი შეურაცხყოფისაგან დაიცვას“[64].

ფშაველების დახასიათებისას პოეტი იმასაც აღნიშნავს, რომ ის „არის გაშლილის, მუდამ სიამაყის და მხიარულების გამომხატველის სახისა, ახოვანი, გულკეთილი, მომთმენი და, როგორც ყველა მთის კაცი, სტუმრის მოყვარე“[65]. შეიძლება ითქვას, რომ პოემა *„სტუმარ-მასპინძლით“* ვაჟა-ფშაველამ ძეგლი დაუდგა ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციებს. სტუმარ-მასპინძლობის ყოველი დეტალი, ეტიკეტი თემის მიერ მტკიცედ იყო დაკანონებული და მისი დარღვევის უფლება არავის არ ჰქონდა, დაკანონებულ *„საუფლო წესს“* ვერავინ გასტეხდა. შევეხოთ ცალკეულ დეტალებს ამ ეტიკეტიდან: „სტუმრად მოსული უცნობი, სტუმარს პატივს სცემს სხვისასა, ფეხზე ადგომა წესია, წესს ვერ დაარღვევ მთისასა“. მაგრამ სტუმარიც სხვის სახლში „ვერ გაშლის ხათაბალასა“. ხაზი გავუსვათ წინადადებას: „წესს ვერ დაარღვევ მთისასა“. მიუხედავად ამისა, ქისტებში შურისძიების გრძნობამ გადასძლია სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციებს. მეზობლები სახლში მიუხტნენ ჯოყოლას და მისი მძინარე სტუმარი *ზვიადაური* შებოჭეს. ქისტების სახლშიც სტუმარი ხელშეუხებელია, მის ინტერესებს თავად მასპინძელი იცავს, სიცოცხლის ფასადაც რომ დაუჯდეს. ამიტომაც შეახსენებს მომხვდურთ: „რას სჩადით? ...რად სტეხთ საუფლო ჩვენს წესსა, თავს ლაფს რად მასხამთ კოკითა? ...დღეს სტუმარია ეგ ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა ...როცა გასცდება ჩემს ოჯახს, იქ მოეპყარით ავადა. ვის გაუყიდავ სტუმარი? ქისტეთს სად თქმულა ამბადა“. ეს შეხლა-შემოხდა ტრაგიკულად დასრულდა – „თემს რაც სწადია მას იზამს თავის თემობის წესითა“[66]. აქ მთავარია ის, რომ ჯოყოლაში და საერთოდ მის ოჯახში მტკიცედ არის გამჯდარი სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციები. ის ბოლომდე იბრძვის და სისხლსაც კი ღვრის თავისი სტუმრის ინტერესების, თავისი ოჯახის სინმინდის დასაცავად, მიუხედავად იმისა, რომ ზვიადაურს ზღვა სისხლი ემართა ქისტების, მან მოჰკლა მისი მასპინძლის – ჯოყოლას ძმაც. ყოველივე ამაზე ჯოყოლასათვის უფრო ძლიერი აღმოჩნდა ის ტრადიციები, რაც თაობიდან თაობას ამბად გადმოეცემოდა და რის საფუძველზეც მომავალი თაობა იზრდებოდა, რის საფუძველზეც თავად ჯოყოლაც იყო აღზრდილი. აქ შეიძლება დავინახოთ – თემი უკვე კარგავს მამაპაპისეულ ტრადიციებს, მისი მთლიანობა უკვე დარღვეულია.

საკითხი, რომელიც ვაჟა-ფშაველას ციტირებულ პოემებში აისახა, ეს არის ქართულ-კავკასიური ურთიერთობები, ქართველი მთიელების, ფშავ-ხევსურების და ქისტების სამტრო და სამოყვრო. პოეტმა თვალნათლივ დაგვანახა მთიელი კაცის რაინდული ბუნება. როგორც აღვნიშნეთ, ვაჟამ თემი მისი რღვევის პროცესში აღწერა, იგი მკვეთრად ავლებს ხაზს ძველ და მისდროინდელ თემს შორის. მისი სიტყვით, ძველისძველი ცხოვრება ძალაზე იყო დამყარებული. ერთი თემი მეორეს არბევდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ძალით სჯობდა, ერეოდა.

ხევსურებსა და ქისტებს შორის ურთიერთდაცემა, სისხლ-მესისხლეობა, გადმონაშთის სახით XIX საუკუნეშიც იყო შემორჩენილი, მაგრამ ეს უკვე გზას უთმობდა ურთიერთშორის სტუმარ-მასპინძლობას, ერთმანეთისთვის თავდადებას. ერთმანეთს ხოცავდნენ და ურთიერთვაჟკაცობით იხიბლებოდნენ. კავკასიონის ქედზე განსახლებულ ამ მთიელებს შორის ასეთ ურთიერთობებს შორეულ წარსულში აქვს ფესვები გადგმული, ვაჟამ კი ეს უმაღლეს მხატვრულ დონეზე აიყვანა და XIX საუკუნის ქართული პოეზიის შედევრები შექმნა, ამასთან, დიდი რეალისტური ძალით გადმოსცა მთიელთა ყოფა, მისი ცხოვრების წესი, ეთნოგრაფიული სინამდვილე.

გავიხსენოთ: მომაკვდავი მუცალი თავის თოფს ალუდას გადაუგდებს და მიაძახებს – „ეხლა შენ იყოს, რჯულ-ძაღლო, ხელს არ ჩავარდეს სხვისასა“. მუცალის სურვილია, რომ მისი თოფი ღირსეულმა ვაჟკაცმა ატაროს, ასეთად კი მისი მკვლელი ალუდა მიაჩნია. მაგრამ „ალუდას თოფი არ უნდა“, არ აჰყარა იარაღები, არც მაჯა მოსჭრა, ნაბადი დაჰხურა და დაიტირა – „ვაჟკაცო, ჩემგან მოკლულო, ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო... კარგი გყოლია გამზრდელი, ღმერთმ გიდღეგრძელოს გვარიო!“ შემდეგ კი თავისიანებს შეაგონებს: „ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ, მარტო ჩვენ გვზრდიან დედანი“ და ხატობაზე შავი კურატით ამწყალობებს მუცალს.

*„სტუმარ-მასპინძელში“* სანადიროდ გამოსული ზვიადაური და ჯოყოლა, ხევსური და ქისტი, რომლებიც ერთმანეთს არ იცნობდნენ, მეგობრულად ხვდებიან ერთმანეთს, ერთურთს გულის კარს უღებენ, ჯოყოლა ოჯახში პატიჟებს ზვიადაურს და თავი მოსწონს კარგი ვაჟკაცის სტუმრობით. ჯოყოლა ასე მიმართავს სტუმარს: „აი, ეს ჩემი ოჯახი, ჩემი ციხე და სახლია; მობრძანდი, როგორც ძმა ძმასთან, ნათლიმამასთან – ნათლია. ცოლს დაუძახა ჯოყოლამ: – გამოიხედე კარშია! – ეტყობა თავმოწონება მასპინძელს საუბარშია“. აქ დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ ჯოყოლა სულიერადაა განადგურებული, მისი სტუმრის ვაჟკაცობით მოხიბლული, მზადაა მისი გულისთვის თავი გასწიროს. ჯოყოლას ცოლი გულით დაიტირებს ხევსურს. ნატრობდა: „ნეტავი ნებას მაძლევდეს დედაკაცობის რჯულიო, რომ ეს ვაცოცხლო, სხვას ყველას გავაფრთხობინო სულიო“. ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, საინტერესოა ერთი დეტალი: ჯოყოლამ ცოლს მოუწონა საქციელი: „იტირე?! მადლი გიქნია, მე რა გამგე ვარ მაგისა? დიაცს მუდამაც უხდება გლოვა ვაჟკაცის კარგისა“. მოწინააღმდეგის ძალის და ღირსების შეფასება რაინდული სულის ადამიანებს შეუძლიათ და ქისტებმაც აღიარეს, რომ ზვიადაური „კარგი ვაჟკაცი ყოფილა, ყველა ალლახსა ჰფიცავდა, იმიტომ ვეფხვებრ გვებრძოდა, თავის მიწა-წყალს იცავდა“. და, მთიელი კაცის რაინდული სულისკვეთების კიდევ ერთი ბრწყინვალე მაგალითი: „ვაი თქვენ, ქისტის შვილებო, მომდგარნო ჩემს კარს ჯარადა! უიარაღოს აწვალებთ, გული რასა გრძნობს თავადა?“ სანამ ამას კომენტარს გავუკეთებდეთ, მოვიტანთ კიდევ ერთ ამონარიდს დასახელებული პოემიდან: „სიკვდილსა გლოვა უხდება, მკვდარ ძმას – ტირილი დისაო, ტყესა – ხარ-ირმის ნაფრენი, ზოგ დროს – ყმუილი მგლისაო, ვაჟკაცსა – ომში სიკვდილი, ხელში ნატეხი ხმლისაო, ომს – ლხინი გამარჯვებულთა და დამარცხება მტრისაო“[67].

როგორც ვხედავთ, ქისტები და ხევსურები ერთმანეთს არბევდნენ. ამას, ბუნებრივია, მსხვერპლიც მოსდევდა და ერთმანეთს „სისხლს არ არჩენდნენ ძმისასა“. ასეთი ურთიერთობა ბუნებრივია საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების იმ დონისათვის, რომელზედაც მთიელები იმყოფებოდნენ. ერთმანეთს არბევდნენ, მაგრამ ერთმანეთის ძალისა და ღირსების შეფასებაც კარგად იცოდნენ. მშვიდობიან ვითარებაში შეხვედრის დროს ერთმანეთს ძმურად და მეგობრულად ხვდებოდნენ, ერთმანეთს ოჯახში პატიჟებდნენ და თავი მოსწონდათ კარგი ვაჟკაცის სტუმრობით. თუ საჭიროება მოითხოვდა, ერთმანეთის გულისთვის თავსაც სწირავდნენ. რა ალამაზებს ვაჟკაცს? რაინდული შემართება, მტერთან თანაბარ პირობებში პირისპირ შებმა, სამშობლოსათვის თავდადება და ომში სიკვდილი. ამით განაგრძობდა ის სიცოცხლეს, გადადიოდა ფოლკლორში, თქმულებებსა და გადმოცემებში, ამით ედგმებოდა ხატობაზე *საკარგყმო თასი*, მის მაგალითზე იზრდებოდნენ მომავალი თაობები. ყოველივე ეს ვაჟა-ფშაველამ დიდი სიზუსტით აღწერა და პოეზიის მწვერვალზე აიტანა. ხაზი გავუსვათ კიდევ ერთ წინადადებას: „ნეტავი ნებას მაძლევდეს დედაკაცობის რჯულიო...“ რჯული მკვეთრად განასხვავებდა ერთმანეთისაგან ქალისა და კაცის საქმეს, მათ ადგილსა და მოვალეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ამის დარღვევაც არავის ეპატიებოდა. გავიხსენოთ როგორ მიმართავს *გოგოთური* თავის ცოლს: „შენ ვინა გკითხავს, უჯიშოვ, თოფისასა და ხმლისასა? შენ უნდა საჩეჩელს ეჯდე, ან არა, – ჰქსოვდე წინდასა“[68].

ზემოთ ვახსენეთ ფშავ-ხევსურების და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელების ქისტების საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების დონე, ნაწილობრივ შევეხეთ კიდეც ამ პრობლემას. ეს პრობლემა არაერთ ნაშრომში აისახა, თუმცა, მისი ფართო მასშტაბით განხილვა ამჯერად სცილდება ჩვენს მიზნებს. ამიტომ, ძირითადად, შევეხებით მხოლოდ იმ მასალას, რაც ვაჟა-ფშაველამ მოგვაწოდა. მისი დახასიათებით, ხევსურეთი „ღადე-ღუდე, ხრიკო-ხრიოკი, კლდე-ჭიუხიანი ქვეყანაა“, სადაც ეს „*ბწკლიანნი ვეფხვნი*“ XIX საუკუნის პირველი ნახევრის დამლევამდე კმაყოფილებითა და უშფოთველად ბუდობდნენ, შემდეგ კი ეს „ყმანი“ ახალ-ახალმა გარემოებებმა შეაფუცხუნა. თავად ხევსური – მისი ჩაცმულობა, სმა-ჭამა, ცხოვრების ადათები და ჩვეულებები, შეხედულებები ცასა და ქვეყანაზე და, საერთოდ, ყოველივე ის, რაც „ხევსურსა“ და მის ცხოვრებას შეადგენს, ჯერ კიდევ ჩამორჩენილია. იგი ადვილად საცნობი იყო თავისი წითელი ჯვრიანი ჩოხით და გვერდზე ჩამოკიდებული ფარ-ხმალით. სადაც არ უნდა ყოფილიყო ხევსური, ომისა თუ მშვიდობიანობის დროს, იარაღი თან ჰქონდა. მტერთან შეხვედრის შემთხვევაში – თუ სისხლის აღება უნდოდა, მოჰკლავდა, თუ მცირედ იყო მისგან შეურაცხყოფილი, „*დაჰკეჭნიდა*“, შემდეგ კი ადგილობრივ მედიატორეთა ბჭობით მორიგდებოდნენ[69].

ფშაველი დახასიათებულია, როგორც მუდამ სიამაყის და მხიარულების გამომხატველი სახის, ახოვანი, გულკეთილი, მომთმენი და სტუმართმოყვარე. აღწერილია მისი თავდაჭერილობა სტუმართან, სიარული, ტანსაცმელი (ქალისა და კაცის), მორთულობა ხატობასა თუ სახლში და ა.შ.[70] „ფშაველის ბედი, აღნიშნავს პოეტი, ბატონ-ყმობის უღელს არ გაუხეხია, იმას სხვა ბატონი არცა ჰყოლია, გარდა ღვთისა და ხატისა. მხოლოდ ხატი იყო მისი მბრძანებელი“[71]. ასევე ითქმის ხევსურებზეც. ამ მსჯელობას პოეტი სხვა პუბლიკაციაში აგრძელებს და აღნიშნავს, რომ ფშაველების ცხოვრება ბარელებისაგან განსხვავებუ-

ლია იმ მხრივ, რომ ფშავლებმა დღემდე არ იციან, რა არის ბატონ-ყმობა, ისინი მხოლოდ ხატების ყმებად თვლიდნენ თავს. ამ *„ბატონებს“*, ანუ ხატ-სალოცავებს, „მეფეებისაგან სოფელ-სოფლად საკუთრებად ჰქონდათ ნაბოძები ტყე და სახნავ-სათიბი. ასე, მთელი სოფელი რაღაც თავისებურს, თავადების კრებულს წააგავდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თავისივე ყმა თითონ სოფელშივე იყო, სხვა ყმები არავინ ჰყავდა იმას მიჩემებული... ამის ნაცვლად ესენი ეწეოდნენ მეფის სამსახურს, როგორც ყოველივე თავადაზნაური ლაშქრობაომიანობის დროს... ფეოდალური წეს-წყობილების დანერგვა მთაში ჯერ *ზურაბ ერისთავმა* მოიწადინა მეჩვიდმეტე საუკუნეში, მაგრამ ამ ცდამ იმას ფუჭად ჩაუარა“. ასე იყო თუ ისე, განაგრძობს პოეტი, „საქმე იმით დამთავრდა, რომ ფშავ-ხევსურეთში და თუშეთში ფეოდალურმა წეს-წყობილებამ ფეხი ვერ მოიკიდა, შესაფერი ნიადაგი ვერ ჰპოვა. ამიტომ, როცა ფშავლების ყოფა-ცხოვრებაზე ვწერთ თუ ვლაპარაკობთ, საბატონო გლეხთა ცხოვრების ვითარებანი თითქმის სრულიად უნდა დავივიწყოთ, – საგანს სხვა თვალით, სხვა მხრიდან უნდა შევხედოთ. ფშავლები თუმცა თავისუფალნი იყვნენ, მაგრამ ამ თავისუფალს ცხოვრებას თავისი წესწყობილება ჰქონდა და აქვს დღესაც“[72].

ზემოთაც გვქონდა აღნიშნული და კვლავ გავუსვათ ხაზი – *გ.მელიქიშვილი* საუბრობს ქართველ მთიელებში თემისა და თემობრიობის დიდ ტრადიციებზე და დაასკვნის, რომ საქართველოს მთამ გვიანობამდე შემოგვინახა თემი და თემური მმართველობისა და ყოფა-ცხოვრებისათვის დამახასიათებელი წესჩვეულებები. ყოველივე ეს სავსებით ეგუება ადრეკლასობრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელ სასოფლო თემის სტატუსს და არ მეტყველებს აქ გვაროვნული წყობილების არსებობაზე[73]. ეს დებულება გაზიარებულია და ასახული ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში[74]. გ.მელიქიშვილი ავითარებს რა აღნიშნულ დებულებას, აღნიშნავს, რომ მთური ფეოდალიზმის საფეხურზე მდგომ საზოგადოებაში გამოიყოფიან პრივილეგირებული ფენები, მაგრამ ისინი არ გამხდარან საწარმოო საშუალებათა და მწარმოებელთა მესაკუთრენი; ხალხის ექსპლუატაცია სახელმწიფო და სათემო ინსტიტუტების ფართო გამოყენებით წარმოებდა. მიწაზე ჯერ კიდევ არ არსებობდა ფეოდალური საკუთრება და ამ ფაქტს თუ ჰქონდა ადგილი, იურიდიულად მაინც არ იყო ფიქსირებული[75]. ამგვარად, საქართველოს და ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში საქმე გვაქვს ეკონომიურად და სოციალურად სუსტად დიფერენცირებულ საზოგადოებასთან. მართალია, მთაში გამოიყოფოდნენ სუსტნი და ძლიერნი, მაგრამ მათ შორის განსხვავება არ იყო ღრმა. გარდა ამისა, თემი ეწინააღმდეგებოდა ცალკეულ მეთემეთა აღზევებას, მათ გაბატონკაცებას და სხვათა ჩაგრულებად ქცევას. თემი ყოველმხრივ ცდილობდა მის შიგნით მეთემეთა სოციალური თანაფარდობა არ დარღვეულიყო. მიუხედავად ამისა, საზოგადოება მიდიოდა ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების გზით, მაგრამ მას სრულყოფილი სახე საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის არც ერთ კუთხეში არ მიუღია[76].

ვაჟა-ფშაველა ეხება ფშავლების საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებს, ესაა *„მიწური სახლები და საბძლები“*. სახლი იყო ფართო, კედლები ჰქონდა ყორის, უკიროდ ნაგები, რომელზედაც დაუთლელი მსხვილი შოლტები (ხეები) იყო დაწყობილი. სახლის შუაში ზამთარ-ზაფხულ გაუქრობლად ენთო ცეცხლი. კერა ორპირად იყო გაყოფილი: ერთი საკაცო და მეორე სადედაკაცო,

ერთ მხარეს დედაკაცები ისხდნენ, მეორე მხარეს – მამაკაცები. საკაცოში დედაკაცს არ შეეძლო დაჯდომა[77]. ვაჟას ერთ-ერთ პუბლიკაციაში ვკითხულობთ: „ოჯახში დედაკაცს მიჩემებული აქვს საკუთარი *„სადედაკაცო კერა“*, იქ ხელსაქმობს. იგი იჩენს *„სათავნოს“*. ვაჟას განმარტებით, ფშაველში სათავნო დედაკაცის საკუთრებაა. მისი ხელით „საოჯახო საქმის გარეშე მონაგარი სარჩოა, სრული, უცილობელი მისი საკუთრება“, რომელსაც მამაკაცი დიაცის ნებადაურთავად ვერ შეეხება, ვერ მოიხმარს[78].

პოეტი ფშაველში ოჯახის ორ ფორმას გამოჰყოფს: *„მცირერიცხოვან“* ოჯახებს და *მრავალრიცხოვან* ანუ *„გამხვიენებულ“* ოჯახებს. მისი განმარტებით, დიდი გამხვიენებული ოჯახი ადრე უფრო მრავლად იყო, ზოგ ოჯახში 40-60 სული ცხოვრობდა. „ძველად რომ ოჯახები დიდი იყო და მთელ გვარს შეიცავდა. ამას დღეს *დოლმენები* (აკლდამები) ამტკიცებენ – საგვარეულო სამარე,სადაც მთელი ოჯახის წევრები იმარხებოდნენ“. აქედანაა ახსნილი *„ბოსლობის“* წესიც. რადგან ეს საკითხი არ წარმოადგენს ჩვენი კვლევის საგანს, კომენტარის გარეშე მოვიტანთ მხოლოდ ვაჟას ინტერპრეტაციას: დედაკაცი ოჯახისა და ნათესაობის წინაშე დიდ ვალს კისრულობდა: „იმას ჩანერგილი აქვს ღრმად გულში და თავში, რომ ოჯახი წმინდათა-წმინდაა, კერა წმინდა ტრაპეზია, სადაც შეინირების მსხვერპლი ცოცხალთა სადღეგრძელოდ და მკვდართა მოსახსენებლად. ამიტომ იყო მეთვეურობისა (ბოსლობა) და მშობიარობიოს დროს ორმოც დღეს სტოვებს ოჯახს, რათა გაწმენდილი და განბანილი შეივიდეს ოჯახში და არ შეიბღალოს მისი სიწმინდე“. ყოველი ფშაველი თავის სახლს *„აწმინდებდა“*, წმინდად ინახავდა, იცავდა შებღალვისაგან, ვინაიდან, როგორც *„მექოხე“*, ისე *„მებოსლე“* დედაკაცი უწმინდურად ითვლებოდა. ვაჟას აქ მოჰყავს ფაქტობრივი მასალა და პარალელს ავლებს ებრაულ წეს-ჩვეულებასთან, მაგრამ მათი განზოგადებისაგან, „ამგვარ მოვლენათა ახსნისაგან“ თავს იკავებს, რადგან მიაჩნია, რომ ის ამ დარგში კომპეტენტური არ არის, ეს მისი „საქმე არ არის, როგორც საეთნოგრაფიო ცნობათა მწერლისა“[79].

ფშაველის წარმოდგენით, განაგრძობს პოეტი, ოჯახი არა მარტო იმათი სადგურია, ვინც იქ ცხოვრობს, არამედ მას სხვა პატრონიც ჰყავს – *„სახლის ანგელოზი“*. ოჯახის უმთავრესი ნაწილი კერაა და „სწორედ ამ კერას უფლობს და განაგებს დედაკაცი, როგორც დიასახლისი: კერა წმინდაა, მადლიანია, რადგან, პირველ ყოვლისა, მასზე ცეცხლი ანთია. გამათბობელი და გამაშრობელი როგორც შინაურის, ისე გარეულისა, ვინც ოჯახს ესტუმრება“. კერაზე ცხვებოდა პური ოჯახისა და სტუმრისათვის; ხატში მსხვერპლად მისატანი ქადა-პურები; ყოველივე სანოვაგე და, მათ შორის, ხინკალი მკვდართა მოსაგონებლად, რასაც „მკვდართად სახელის შადება“ ეწოდება. ყოველივე ეს დედაკაცის ვალი იყო. „სანოვაგით გამართულს, შემკულს ხონჩებს, თავით უდგა ჭურჭლით ან სპილენძის თუნგით (რაც უფრო ხშირია) წყალი, გვერდზე ან მეორე თავით მათრობელა ღვინო ან არაყი, ხოლო სუფრას თავზე დასტრიალებს დედაკაცი ქაფქირით ხელში, რაზედაც ნაცარი და ზედ ნაკვერჩხალი ყრია საკმლით შეზავებული. ამ ქაფქირს ავლებს თავზე სუფრას წაღმა და თან დასჩურჩულებს: „ხარის ქედის მადლითა, ალალის მუშის მადლითა, იერუსალიმის მადლითა, თქვენამც მოგივათ ჩვენო მკვდრებო, დიდნო და პატარანო, ეს სასმელი, ეს საჭმელი, თქვენთვი გაგვიქშერებავ, თქვენსამც ნებას იქნება, ნურავინ შაგეცი-

ლებათ, ნურავინ დაგაღონებთ, ვინც თქვენ გენიაზებათ, ის მაიწვიოდით, ბალღი ვინ მოგბაროდესთ ობოლი, უპატრონო და სხვა".

მოტანილ მასალასთან დაკავშირებით ვაჟა აყალიბებს თეზისს, რომ კერაზე მზადდებოდა ცოცხლების მოსაკითხი წირვების დროს; კერაზევე ლღვებოდა დანის წვერზე დაგებული კოშტი სანთელი და ჩამოიქნებოდა ხატისა და ღვთის წინაშე ასანთებად. კერა იყო ის ადგილი, სადაც ქალი მართლაც მსხვერპლს სწირავდა ღმერთს და ამიტომაც შეარქვეს მას ტრაპეზი.

როგორც ვხედავთ, ვაჟა-ფშაველა ეხება ფშაურ საცხოვრებელ ნაგებობას, როგორც მატერიალური კულტურის ძეგლს; ოჯახს, როგორც გარკვეულ სოციალურ ერთეულს, მის ფორმებს; ოჯახის წმინდა ადგილებს, სადაც გამოიკვეთება კერის კულტი; ქალის საოჯახო და საზოგადოებრივ მდგომარეობას, მის როლს ოჯახის სულიერ სამყაროში. განმარტებულია სათავნო, მაგრამ რაში იყენებდა ქალი თავის სათავნოს? ყველაზე დიდ ხარჯს ძღვენის სახით სწევდა ნათლიაზე. ოჯახის წევრებისთვის უნდა მოექსოვა საჩოხე, ახალუხი, ზოგისთვის ჭრელი წინდები, საკაბე, თავმოსახვევი, ნათესავთა და მეზობელთა ქორწილებისთვის საჩუქრები და ა.შ. ქალის ხელთ იყო ბავშვების აღზრდა. ამას ემატება გარეთა სამუშაოებიც. პოეტის სიტყვით, ხშირად ნახავდით დედაკაცს სადმე გვერდოში, ყანის სამკალში, რომელსაც იქვე ხის ტოტებით მოჩრდილული მეძუძური ბავშვიანი აკვანი ჰქონდა ბალოზე მიბმული[80]. პოეტი ამ პრობლემას არაერთ პუბლიკაციაში უბრუნდება და დაბეჯითებით უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ფშაველი ქალი, როგორც ღირსეული მეუღლე, გვერდში ედგა თავის ქმარს და ვაჟკაცურად ეწეოდა ცხოვრების უღელს: ხვნაში, მკაში, ლეწვაში, შეშის მოტანაში – ზურგზე იკიდებდა შეშის ტვირთს და ორი ვერსის შორიდან წინდის ქსოვით მოჰქონდა სახლში. ჰქონდა თავისი სადედაკაცო საქმეც – ქმარსა და შვილებს „თავისი ხელით აცმევდა", ქსოვდა ფარგადებს, წინდებს, ხურჯინებს, ფლასებს, შალებს, თელავდა ნაბდებს; პურის გამოცხობა, საჭმლის გაკეთება, შინაურების მოვლა დედაკაცის ვალი იყო. ვაჟას სიტყვით, „ფშაველის დედაკაცი არის მაგარი და გაუტეხელი; კლდეებთან და ბუნებასთან ბრძოლის გამო მისი ხასიათი არის ნაწრთობი. ამიტომ სახლში მამაკაცის უყოლობა ისე არ დააწიოკებს ოჯახს, როგორც ბარად მოხდება; დედაკაცი თუ დაქვრივდა, თვითონ დადგება გუთნისდედად და თავის მარჯვენით დაარჩენს ობლებს"[81].

აღნიშნულთან ერთად საინტერესოა გარეგნულად როგორ გამოიყურებოდა ქალი ოჯახსა და საზოგადოებაში, როგორ იყო დაცული ეტიკეტი. ქალს სახლში ეცვა ჯუბა (შალის კაბა), ფაფანგი (მოკლე ჩოხა) და ტყავი; თავზე ეხურა ჩითის ჩიქილა ანუ ლეჩაქი, გარს შემოკრული შავი ხელსახოცით. ხატობის დროს და ქორწილში კი ისე გამოიყურებოდა, „როგორც გაზაფხულზე ბუნება აყვავდება წითლად და ყვითლად". ეცვა წითელი კაბა, ყელზე ეკიდა ვერცხლის შიბები. ასე მორთულ-მოკაზმული ეჩვენებოდა და გაუთამაშდებოდა თავის წაწალს. აღწერილია, თუ როგორ დალევდა იგი სასმელს, თუ თასს მამაკაცი მიაწოდებდა; როგორ იქცეოდა უცხო მამაკაცთან შეხვედრის დროს, ბარელისაგან განსხვავებით. გასათხოვარი ქალი მორიდებული იყო, გათხოვილი კი უფრო თამამი; თუ გზაზე შემხვედრი ნაცნობი არ იყო, არ მიესალმებოდა. ფშაველს ეამაყებოდა, რომ ცოლს მოტაცებით შეირთავდა. რძალი მოკრძალებული იყო მამამთილის მიმართ, ახალდაქორწინებულებიც ოჯახში უმძრახად იყვნენ და

თუ არავინ ხედავდათ, მხოლოდ მაშინ დაუტკბებოდნენ ერთმანეთს. ფშაველი ცოლი და ქმარი ისე დაბერდებოდნენ, რომ ერთმანეთს სახელს არ დაუძახებდნენ, ეს სირცხვილად მიაჩნდათ. შემდეგ ავტორი ეხება მშობიარობის პროცესს და მასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს. აღნიშნულ საკითხებს ვაჟა ხშირად განაზოგადებს და მიუთითებს *ლებბოკის, სპენსერის, ტეილორის* ნაშრომებზე. ციტირებულ სტატიაში განხილულია დასაფლავების წესები, დატირება, მეზობლების ურთიერთთანადგომა და დახმარების ფორმები; საიქიოს წარმოდგენა, წაწლობა, საჭმელ-სასმელი და სხვ.[82]

როგორც აღვნიშნეთ, XIX საუკუნის ბოლოს, ფშავში გამოიყოფოდნენ პატარა და დიდი ანუ გამხვევნებული ოჯახები. ამიტომ მამულებიც ოჯახებზე არანაკლებად იყო განაწილებული. ოჯახები განცალკევებულად ცხოვრობდნენ. მეურნეობის ძირითადი დარგები იყო მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. მთის ზოლის შესაბამისად, წამყვანი მნიშვნელობა მესაქონლეობას ეკუთვნოდა. ფშაველი, აღნიშნავს პოეტი, საქონლით – ცხვრითა და ძროხით ცხოვრობდა, ხნავდა იმდენს, რაც მის სახლობას ეყოფოდა. ყველა შრომა განაწილებული იყო, ოჯახში რომ ორი ძმა ყოფილიყო, ერთი ცხვარში – თრიალეთსა და შირაქში მიდიოდა, მეორე კი შინაურობას – თავის და თავის ძმის ცოლ-შვილს უვლიდა. ბოლო ხანებში დაიწყეს გარესამუშაოებზე – კახეთსა და კავკავში სიარულიც. იქ ხვეწდნენ ხის ჯამებს, ხონჩებს, ტაბაკებს, ვარცლებს, ყიდდნენ და თავადაც ხმარობდნენ[83].

პოეტს მოჰყავს თავისი სოფლის, ჩარგლის, მაგალითი და აღნიშნავს, რომ ფშავში, საერთოდ, მიწა ცოტა იყო, კომლზე საშუალოდ 3-4 დესეტინაზე მეტი არ მოდიოდა, მაგრამ ჩარგალში მიწის ეს ფონდები ოჯახებზე ისე ჰქონდათ განაწილებული, რომ უნუგეშოდ არავინ იყო დატოვებული. ამით იყო გამოწვეული, რომ თიბვა-მკის დროს ფშავში მუშას ვერ იშოვიდით და ვერც ბოგანოს ნახავდით. ჩარგალში მის დროს 100 კომლი ცხოვრობდა და ერთსაც ვერ ნახავდით, რომ 10 სულ მსხვილფეხა საქონელზე ნაკლები ჰყოლოდა, ორჯერ და სამჯერ მეტი კი ძალიან ბევრს ჰყავდა, ჰყავდათ ცხვრის ფარებიც. მთაში საქონელს და ცხვარს იმდენს ინახავდნენ, რამდენის გამოკვებაც შეეძლოთ, დანარჩენებს ბარის რაიონებში – კახეთში მიერეკებოდნენ, სადაც სათავადო და სახაზინო ტყეებს ქირაობდნენ. გარდა იმისა, რომ იქ ცხვარსა და საქონელს აზამთრებდნენ, ნადირობდნენ, ხელოსნობას ეწეოდნენ – ნიჩბებს თლიდნენ, ცხავ-ცხრილებს წნავდნენ, ხის ავეჯეულობას ხვეწდნენ და თავის ნახელავს სულადზე ცვლიდნენ. გარდა ამისა, ფშაველი სულადის ნაკლებობას ერბო-ყველისა და მატყლის გასაღებით ინაზღაურებდა[84].

ყველა ოჯახს თავის კარზე ჰქონდა სახნავი მიწა *„კარის პირი“*. მამულების გაყოფის დროს ეს ნაკვეთი წილუყრელად რჩებოდა მესაკუთრეს – იმ ოჯახს, რომლის კარის პირადაც ითვლებოდა. ასე წილუყრელად გადადიოდა ეს ნაკვეთი მემკვიდრეობით, თაობიდან თაობაზე მანამ, სანამ ამ ადგილზე ოჯახი ცხოვრობდა. გათხოვილი ქალი მამისეული უძრავი ქონების მემკვიდრედ არ ითვლებოდა, მამისეულ კერაზე გაუთხოვრად დარჩენილ ქალს კი მამისეული მამულებიდან ნახევარი წილი ეძლეოდა. ყველა სოფელს ჰქონდა თავისი სახნავ-სათიბი, ტყე და საძოვარი. ამ მამულებს და სახნავ-სათიბებს ოჯახები იმის მიხედვით ინაწილებდნენ, თუ ოჯახში რამდენი სული ცხოვრობდა, საძოვარი კი საერთო ჰქონდათ. ყველა ოჯახს ჰქონდა უფლება *ახო გაეკაფა*. ახოს გამკე-

თებელს და გამომღებელს ნება ჰქონდა უცილობლად ესარგებლნა თავისი ნაღვაწით ათი წელი, ხოლო შემდეგ ათი წლისა ახო ხდებოდა საერთო სათემო საკუთრებად და ათი წლის შემდეგ იგი გადადიოდა გამრავლებული ოჯახის ხელში". გარდა აღნიშნულისა, ძნელად მისადგომ ადგილებში, მცირე ოდენობით, მაგრამ მაინც, იყო ე.წ. *„სონაერო" (ონა)* მამულები – სახნავები და სათიბები, რომელთა ათვისებაც დასწრებაზე იყო[85].

ვაჟა-ფშაველა ეხება ხევსურულ ოჯახს, ხევსურების ყოფა-ცხოვრებას, აღნიშნავს, რომ ხევსურები, ფშავლებთან შედარებით, ღარიბულად ცხოვრობდნენ, მაგრამ ეს მათი სიზარმაცით კი არ იყო გამოწვეული, არამედ იმით, რომ „ხევსურეთი ხმელი, ხრიოკი ადგილია და მოსავალს ხელს ვერ უწყობს: დათესილი ქერი ჯერ ჯეჯილობაშივე ჩაირეცხება ღვარებისაგან და, თუნდაც მოვიდეს, სეტყვას მაინც ვერ გაეხვეწება, ვერ გადაურჩება". თუ ოჯახს ორი-სამი ძროხა და ოცი თხა-ცხვარი მოეპოვებოდა, მდიდრად ითვლებოდა. ფარის პატრონებს აქ ვერ შეხვდებოდით. ამ მდგომარეობამ ხევსურს ქონების ზომიერად ხარჯვა ასწავლა, იგი მუდამ ერიდებოდა უზომო ხარჯს. მას შემოდგომაზევე ჰქონდა გამოანგარიშებული, რამდენი თივა და ჩალა უნდოდა თითოეულ ძროხას, რამდენი პური და საზრდო დაჭირდებოდა მის სახლობას. ხევსური ხშირად პურის ყიდვას ვერ აუდიოდა, ერწო-თიანეთიდან და კავკაზიდან ზურგით მოჰქონდათ *„ჯერი"* – საზრდო ჯალაბობისთვის; მხარზე ცელგადებულნი ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ კახეთში სათიბად; კალოობის დროს ბარში მიჰქონდათ არყის ცოცხები პურზე გასაცვლელად; ქართლსა და კახეთში წნავდნენ ჯამბარებს და ა.შ. მოკლედ, ხევსური, ქალი თუ კაცი, ჯან-ღონეს არ იზოგავდა საზრდოს მოსაპოვებლად, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ბუნება ხელს არ უწყობს მეურნეობის გაფართოებას.

პოეტი ეხება ხევსურულ ქორწილს, ნიშნობას, საქორწინო წეს-ჩვეულებებს, ქორწილის წარმართვის წესს; ბავშვის აღზრდას, სარწმუნოებას, ხატობას, დასაფლავების რიტუალს, წაწლობას და სხვა ადათ-წესებსა და რიტუალებსაც[86].

ამრიგად, აქ განხილული მონაცემები გვიჩვენებენ, რომ საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის საკითხებზე ქართული „მთური პოეზიის" რაინდს – ვაჟა-ფშაველას აშკარად გამოკვეთილი ორიგინალური შეხედულებები გააჩნდა. ვაჟა-ფშაველა ქართველ სამოციანელთა იმ მოწინავე რაზმის წარმომადგენელი გახლდათ, რომელიც კარგად იცნობდა პროგრესული რუსული და ევროპული ლიტერატურისა და მეცნიერების მიღწევებს. იგი, სხვა მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეებისაგან განსხვავებით, არ კმაყოფილდებოდა ეთნოლოგიური მეცნიერების ცალკეულ თეორიულ და მეთოდოლოგიურ საკითხებზე მსჯელობით და *ქართველ მთიელთა სამეურნეო ყოფას, მატერიალური და სულიერი კულტურისა თუ სოციალური ურთიერთობის ფორმებს უაღრესად საინტერესო ეთნოგრაფიულ აღწერილობებს და სათანადო მეცნიერულ განზოგადოებებს უძღვნიდა.* ვაჟას მრავალფეროვანმა ნარკვევებმა და მონოგრაფიებმა თუშ-ფშავ-ხევსურეთზე და ერწო-თიანეთზე ეთნოგრაფიული ნაწერების სახით ღირსეული ადგილი დაიკავა პოეტის შემოქმედებისადმი მიძღვნილ მრავალტომეულში.

ვაჟა-ფშაველა ერთერთი პირველი იყო თავის კოლეგებს შორის, რომელიც ხშირად *იყენებდა XIX საუკუნის ისტორიოგრაფიაში ფართოდ გავრცელე-*

*ბულ კრიტიკულ-ისტორიულ მეთოდს და ამ მეთოდის უპირველეს მოთხოვნას – თეორიული დასკვნების გამოტანისას სათანადო მტკიცებულებისათვის საჭირო საბუთიანობის აუცილებლობის შესახებ.*

ვაჟა ფშაველა უდიდეს გულისყურს იჩენდა XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ერთერთი უმნვავესი პრობლემის *ერისა და ეროვნულობის საკითხის მიმართ.* იგი მეცნიერული სიზუსტით ხსნიდა ერის რაობასა და არსს, მის ადგილსა და მნიშვნელობას საზოგადოების განვითარებაში, *პიროვნებისა და ერის, ერისა და კაცობრიობის ურთიერთმიმართებას, ეროვნულ თვითშეგნებას* და ა.შ. უდავოდ ორგინალურია ვაჟას კრიტიკული დამოკიდებულება ერის დაბერების ოგიუსტ კონტისეულ მოსაზრებაზე. *პოეტს ერის სიცოცხლის მიმნიჭებელ კომპონენტებად ქონების სწორად, სამართლიანად განაწილება, სოფლის მდაბიო ხალხში ცოდნა-განათლების შეტანა და ერის გამრავლება* მიაჩნდა. ქვეყნის ეკონომიკური მთლიანობისა და აღმავლობის ამ ფაქტორთა ერთობლიობა ვაჟას აზრით ერს უბერებელს და უკვდავს ხდიდა, რადგანაც იგი ხალხს საშუალებას აძლევდა დაეცვა და შეენახა თავისი თავი.

მიუხედავად ამისა, *ვაჟა არ უარყოფდა ერის დაბერების ფაქტს და ამის მიზეზად მხოლოდ მონობა, ცხოვრების ისეთი პირობების შექმნა მიაჩნდა, როცა ერს საკუთარი ნების, ძალ-ღონის გამოჩენის საშუალება ესპობოდა.*

უაღრესად ორგინალურია და თანამედროვე ჟღერადობა გააჩნია ვაჟას მსჯელობებს *ერის თვითშეგნების მიძინების, კრიტიკულ მომენტში მისი გადამრჩენი მოწინავე შვილების მოვლენის, ერის გადარჩენის პროგრამაში ახალ იდეალებთან ერთად წარსულის კულტურული მემკვიდრეობის გათვალისწინებისა და სხვ. შესახებ.*

საქართველოს ეთნოლოგიაში ვაჟა ფშაველამ, რაფიელ ერისთავთან ერთად, ალბათ, ერთერთმა პირველმა მიმართა ქვეყნის ცალკეული კუთხეების – ფშავის, ხევსურეთის, თუშეთისა და ერწო- თიანეთის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის მონოგრაფიულ შესწავლას, რომელთაც ეთნოგრაფიული პირველწყაროს მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავთ. ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვაჟას მიერ მოტანილი მასალა *ოჯახისა და საოჯახო ყოფის, ქალის საზოგადოებრივი მდგომარეობის, თემის, ხევის, ხატისა და ხატობის, ხევისბერობის ინსტიტუტის, სტუმარ-მასპინძლობის, მიგრაციისა და შიდაეთნიკური პროცესების, წმინდა ხეების კულტისა თუ მიცვალებულის დატირება – დასაფლავების* შესახებ დღესაც ეთნოგრაფიული აღწერისა და განზოგადოების სამაგალითო ნიმუშებადაა მიჩნეული. ცალკე აღნიშვნის ღირსია *ვაჟასეული მიდგომა ქართულ-კავკასიური ურთიერთობებისადმი, რაც პოეტის პუბლიცისტურ ნაშრომებთან ერთად მისი მხატვრული შემოქმედების ერთერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენდა.* იგი არაერთხელ უსვამდა ხაზს ქართველი და კავკასიელი ხალხის ცხოვრების წესის მაღალზნეობრივ, ჰუმანისტურ პრინციპებს, მათ ახლო ეთნო-კულტურულ ურთიერთობას და ერთიანი, საერთო-კავკასიური სამყაროს ცივილურ მიღწევებს სათანადო ადგილს მიუჩენდა ზოგადსაკაცობრიო კულტურის საგანძურში.

## *1.3. აკაკი წერეთელი და საქართველოს ეთნოლოგია*

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ მოღვაწეთა შორის, რომელთაც თავიანთ მხატვრულ შემოქმედებასა და პუბლიცისტურ წერილებში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმეს ხალხურ შემოქმედებას, ტრადიციული ყოფისა და კულტურის საკითხებს, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს დიდ მგოსანს, საისტორიო მეცნიერების მსახურსა და მსაჯულს, ქართული ეთნოგრაფიის მცოდნეს და დამფასებელს, თავისივე სიცოცხლეში *„საქართველოს უგვირგვინო მეფედ“* წოდებულს – *აკაკი წერეთელს.*

აკაკი წერეთელი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის 60-იანი წლების დასაწყისში. ეს ის პერიოდია, როდესაც რუსეთსა და საქართველოში ძირეული გარდატეხა ხდება საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. რუსეთში რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების საფუძველზე ხდება პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების გაერთიანება, რომელთაც იძულებულჰყვეს მონინააღმდეგე ბანაკი გადაესინჯა თავისი პოლიტიკა. გლეხთა აჯანყებებითა და რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების ქადაგებით შეშინებულმა მეფის მთავრობამ გადაწყვიტა ბატონყმური ურთიერთობის ზემოდან გაუქმება[1]. აკაკი წერეთელი ასე აგვიწერს ამ მოვლენას: „ყირიმის ომმა თვალი გამოახელინა რუსეთს. *პეტრე დიდისგან* გამოჭრილი სარკმელი მაშინ აიხადა, და, როგორც იქნა, ძალაუნებურად შემოაშუქა განათლებამ ბნელეთში. სწორედ იმ დროს გამოვიდა სარატოველი სემინარიელი ჩერნიშევსკი, ჩაუდგა სათავეში ჟურნალ *„სოვრემენიკს“* და დობროლუბოვთან, ანტონოვიჩთან, ნეკრასოვთან და სხვებთან ერთად დასცა რუსეთს ყიჟინა. ამოძრავდა რუსეთი. მისი ხელახალი დამონება შეუძლებელი იყო. დააგდო ძველი გზა, დაადგა ახალს და რასაკვირველია, როგორც ყველაფერს ახალს, იმასაც ზოგი რამ შეცდომა მოჰყვა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფიაო“. რაღაი-კი ზურგი უჩვენა ახლად გამოღვიძებულმა ძველს, ყველაფერს თვალი აარიდა, აღარც კარგი და სასარგებლო რამ სწამდა ძველთაგანი, ყველაფერი ბოროტად ეჩვენებოდა და წინ მიმავალი კი ყველაფერი გაურჩევლად კარგი ეგონა. და მაშინ გაჩნდა, *ტურგენევისაგან* აღნიშნული *ნიღილისტობაც.* ეს ნიღილისტობა ბევრ რამეს ჰგმობდა წარსულში, გაბედვით ებრძოდა და უშიშრად სდებდა თავს, მაგრამ გადააჭარბა... ჩვენ ყოველთვის, საუკუნის განმავლობაში, რუსეთის ნასუფრალით ვიკვებებოდით და, რაღა თქმა უნდა, რომ მაშინაც რუსეთის მიმართულება, დრო და ჟამის მიუხედავად, მისი ნიღილისტობით ჩვენშიც გადმოდიოდა... გადაჭარბება გვიყვარს და რუსობანობამაც მისი ნიღილისტობით მაშინ ძალიან მოიკიდა ჩვენში ფეხი“. ბუნებრივია, აკაკი წერეთელი ყოველივე ამას ითვალისწინებდა თავის მოღვაწეობაში. „სტუდენტების რიცხვში მეც ვიყავი, განაგრძობს აკაკი, ჩემ ხანგრძლივ ცხოვრებაში საპირადო კერძოსა და წვრილმანებში უხასიათობა გამოვიჩინე, მაგრამ დიდისა და საზოგადოებრიობისათვის კი ჩემს დღეში არ მიღალატებია“. ეს ამონარიდი აკაკი წერეთლის შემოქმედებიდან ყურადღებას იქცევს პოეტის მრწამსის, მისი შემოქმედების მიმართულების გაგებისათვის[2].

XIX საუკუნის 50-იან წლებში საქართველოში მოდის ახალი თაობა, საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოდის „თერგდალეულების“ პლეადა, რომელთაც გა-

ნათლება რუსეთში მიიღეს, მოწინავე დემოკრატიულ იდეებს ეზიარნენ და მიზნად დაისახეს ეს ცოდნა თავიანთი სამშობლოს საკეთილდღეოდ გამოეყენებინათ. აკაკი წერეთელიც, როგორც 60-იანი წლების ტიპიური წარმომადგენელი, მტკიცე მიზანმისწრაფებით დაბრუნდა სამშობლოში და შედგა ფეხი ხალხის სამსახურის დიდ გზაზე[3]. საქართველოს ისტორიულ განვითარებაში, ქართველი ხალხის საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობის პერიოდი იწყება. „ამ დროიდან მოყოლებული ქართველი მწერლობა ფართო საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოდის მაღალი ეროვნული იდეებით და ღრმა სოციალური მოტივებით. ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არის ძირითადი და განმსაზღვრელი იმდროინდელი ყველა მოწინავე მწერლისა და საზოგადო მოღვაწის საქმიანობისა. ამ დიდი მოძრაობის სათავეში დგანან და მას მიმართულებას აძლევენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. ეს ორი მწერალი არის ამ მოძრაობის აღიარებული მეთაური, მისი იდეური ხელმძღვანელი და უმთავრესი პრაქტიკული მოღვაწე"[4]. *გ.აბზიანიძის* შენიშვნით 60-იანი წლების ახალი რადიკალურ-დემოკრატიული იდეების პირველი მებაირახტრეები საქართველოში იყვნენ *ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი,* მათთან ერთად კი, *ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე* და სხვები. თერგდალეულების ბრწყინვალე პლეადამ, როგორც მოწინავე იდეებით შეიარაღებულმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, განახლება შეიტანეს არა მხოლოდ ლიტერატურაში, არამედ თავისი კვალი დააჩნიეს ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების ყველა სფეროს, ახალი გზით წარმართეს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება[5]. მთელი მათი მოღვაწეობა, პირველ ყოვლისა, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან იყო დაკავშირებული. აკაკი წერეთელმა, აღნიშნავს *ლ.ასათიანი,* წარუშლელი კვალი დააჩნია XIX საუკუნის საზოგადოებრივ მოძრაობის ყველა სფეროს, უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენი ხალხის სოციალური და ეროვნული განვითარების, საზოგადოებრივი თვითშეგნების გაღვიძებისა და კულტურული აღორძინების საქმეში. ჩვენი პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრებიდან არ დარჩენილა არც ერთი მოვლენა, რომ მას პასუხი არ გაეცეს. ის ორგანულად იყო დაკავშირებული ჩვენი ხალხის ცხოვრებასთან, მის წარსულთან და აწმყოსთან, ადათ-ჩვეულებებთან და ხასიათებთან. ამან საშუალება მისცა მჭიდროდ მისულიყო ხალხთან, მათ გულებთან, ტკივილებთან და მისწრაფებებთან[6].

70-იანი წლების დამდეგს *აკაკი წერეთელი* ქუთაისშია. ამავე დროს (1868-1870 წლებში) ქუთაისში მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობდა *რაფიელ ერისთავი* და აკაკი მასთან ერთად აარსებს დრამატულ წრეს. ორივე მათგანს კარგად ესმოდა სახიობა-თეატრის ადგილი და მისიის უდიდესი მნიშვნელობა ეროვნული ცნობიერების გამოღვიძებისა და მისი გაღრმავების საქმეში. აკაკის აზრით, თეატრს შეეძლო ეწინამძღვრა, დაეყენებია საზოგადოება სანაღმართო გზაზე. „სცენა დიდი საღმრთო ამბიონია, წერს აკაკი ერთ-ერთ თავის პუბლიკაციაში, ...მართალია, სცენას ეჭირვება ჩვენგან ხელის შეწყობა, მაგრამ უფრო-კი ჩვენ გვეჭირვება, რომ სცენამ შეგვიწყოს პირიქით ხელი: უნდა გატეხილი გული გაგვიმთელოს, გაგვამხნეოს, ჩვენი ცხოვრების ავ-კარგი გაგვაცნოს, ბოროტი შეგვაძულოს და კეთილი შეგვაყვაროს. ეს შესაძლებელია, თუ ჩვენს

გრძნობა-გონებასთან ექნება საქმე და მშობლიურ ნიადაგს ფეხ-ქვეშ არ გამოიცლის"[7].

70-იან წლებში აკაკი თბილისში არსებული გაზეთ *დროების* მუდმივი თანამშრომელია, სადაც იბეჭდება მისი *„ცხელ-ცხელი ამბები"*. ამავე პერიოდში თბილისში ფეხს იკიდებს ლიტერატურული საღამოების ტრადიცია, რომლის სათავეშიც დგანან ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. 80-იან წლებში აკაკი წერეთელი უშუალოდ მონაწილეობს მთელ რიგ კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების ჩამოყალიბებაში. *ი.ჭავჭავაძის, ა.წერეთლის, ი.გოგებაშვილის, გრ.ორბელიანის, დ.ყიფიანის* და სხვათა თაოსნობით არსდება *„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება"*, რომელმაც განსაკუთრებული კვალი დატოვა ქართული კულტურის ისტორიაში. ეს საზოგადოება ხსნიდა ქართულ სკოლებს, ბიბლიოთეკებს, წიგნთსაცავებს, ბეჭდავდა წიგნებს და ა.შ.[8]

1895 წლის ოქტომბერში, *აკაკი წერეთლის* ინიციატივით, ქართველმა ხალხმა რაფიელ ერისთავის სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის იუბილე გადაიხადა, რომელმაც ეროვნული დღესასწაულის ხასიათი მიიღო. თუ როგორ აფასებდა აკაკი წერეთელი რაფიელ ერისთავს, მის სამწერლო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, განსწავლულობას და პატრიოტიზმს, კარგად ჩანს მის ერთ-ერთ წერილში: „ერთი მწერლის მეტი არ გვეგულება, რომ თავის სამშობლო ქვეყანა იცოდეს იმ გვარის ცოდნით, როგორც ზემოთ ვთქვით, და გაჯავრებულად არ წერდეს: ეს მწერალი არის თ. რაფიელ ერისთავი და საჭიროა, რომ მის ნაწერებს ყურადღება მიექცეს"[9] – წერდა აკაკი წერეთელი.

აკაკი წერეთელმა რუსეთიდან დაბრუნებისთანავე ყურადღება მიაქცია საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეებს, 70-იან წლებში ქართული პრესის ფურცლებზე აყენებს საკითხს ამ სიმდიდრეთა გამოყენების შესახებ. „არცერთი ქვეყანა ისე მდიდარი არ არის მადნეულობით, წერდა აკაკი ერთ-ერთ თავის წერილში, როგორც ჩვენი: აქ არა თუ ქვანახშირი, სპილენძი, რკინა, ქვა-გუნდა, ნავთი, ტყვია, მარმარილო და ამგვარი, უფრო ძვირფასი მადნეულებიც დიდძალი არის". ეს არის აკაკი წერეთლის მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ერთ-ერთი მხარე. იგი იბრძვის იმისთვის, რომ ეს ბუნებრივი სიმდიდრე უცხოელებს არ ჩაუვარდეთ ხელში. „ჩვენ უნდა ამაზედ თვალი გვეჭიროს, განაგრძობს პოეტი, და ვეცადოთ ხელიდან არ გაუშვათ. ეს ჩვენს ქვეყანას კეთილდღეობას მოჰმატებს, თუ ჩვენ გვექნება და თუ ხელიდან გავუშვით დაგვღუპავს. მე რომ შეძლება მქონდეს, ამაებს არცერთს ხელიდან არ გავუშვებდი, ჩავყრიდი შიგ ფულს (როგორც ჩვენში ამბობენ) და მეცოდინება, რომ ჩემი ერთი მანეთი ათასს მოიტანდა; არც არას მე წავაგებდი და არც ქვეყანას დაუკარგავდი მის სიმდიდრესა და სახსარს... ძალიან ადვილათ შესაძლებელია, რომ ჩვენშიდაც შედგეს მისთანა კომპანია, რომელმაც ეგ მადნეულობა ხელიდან არ გაუშვას".[10]

ესაა აკაკის განსჯა, წუხილი და ზრუნვა სამშობლოს მომავალზე, მის ეკონომიკურ აღმავლობაზე. ამ აღმავლობას კი იგი ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების ათვისებასა და მრეწველობის განვითარებაში ხედავს. პოეტის მართებული შენიშვნით, ეს რესურსები ჩვენ უნდა გვეწარმოებია, სხვამ არ უნდა

ჩაიგდოს ხელში, თორემ დავიღუპებით. „რაც შეეხება იმას, რომ შავი ქვა აბიხამ გამოაჩინაო[11], განმარტავს აკაკი, აბიხას ოდესმე გაკვრით მოუხსენიებია, რომ იმერეთში მაგნეზი არისო", მაგრამ მის მიერ გერმანულ ენაზე გამოქვეყნებული ბროშურა ყველასათვის უცნობი იყო. გარდა ამისა, მაგნეზი სხვა მინერალებთან ერთადაა მოხსენებული „და მათ ვინაობასა და სარგებლიანობაზე არაფერს ამბობს". ამას განა გამოჩენა ჰქვია? კითხულობს აკაკი, რა ვუყოთ, რომ აბიხას სცოდნია? ეს ხომ ჩვენმა ხალხმაც იცოდა. „რომაელებისა და ბერძნების მწერლები ქრისტეს წინადაც კი უჩვენებენ კოლხიდაში, ალბანიაში და იბერიაში, ე.ი. ჩვენ ქვეყანაში, სხვა-და-სხვა მადნეულობას, მაგრამ დღემდისაც ისევ იქვე არიან ის ლითონები და ზედაც არავინ უყურებს"[12].

საქართველოს ბუნებრივ რესურსებზე, ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნვა „ბუნებრივია" დიდ მამულიშვილურ საზრუნავს წარმოადგენდა, მაგრამ ის, რაც აკაკის, როგორც პოეტს, მწერალს, შემოქმედს, საზოგადო მოღვაწეს ყველაზე მეტად აინტერესებდა, ხალხური შემოქმედება იყო. პოეტი მას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა, როგორც წარსულის შესწავლის დაუშრეტელ წყაროს. მას გამიზნული ჰქონდა ამხანაგობის მონაგები თანხებით შეეწყო ხელი ქართული ფოლკლორული საქმიანობისათვის, ორგანიზება გაეკეთებია ფოლკლორული მასალის შეკრებისათვის, შეეძინა სტამბა ქართული წიგნების და ჟურნალ-გაზეთების საბეჭდავად[13].

საინტერესოა ამაზე თავად აკაკის მოვუსმინოთ. მისი სიტყვით, იმ მიზნებიდან და მიზეზებიდან, რომელზე ფიქრი და დარდი მძიმე ტვირთად მიჰყვებოდა საფლავში, არის „ხალხური ლექსები, შაირები, ზღაპრები, თქმულობა, ლეგენდები, იგავ-არაკები და სხვანი, რაც კი შეადგენს ზეპირსიტყვიერებას, საზოგადოდ, ყოველი ხალხისათვის ძვირფასი განძია, როგორც მტკიცე საძირკველი მისი ისტორიისა და უტყუარი სარკე მისი წარსული ცხოვრებისა"[14]. პოეტს ხალხური ზეპირსიტყვიერების შეკრება და გამომზეურება სასწრაფო, გადაუდებელ საქმედ მიაჩნია, რადგან ზეპირსიტყვიერება მივიწყებას ეძლევა და რაც გვაქვს შემორჩენილი, ათი წლის შემდეგ შეიძლება მისი ხსენებაც კი აღარ იყოს.

ამავე დროს, ქართულ ხალხურ შემოქმედებას პოეტი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა, მიაჩნდა, რომ ის ყველა ხალხის შემოქმედებისგან გამორჩეულია, მას, კერძო მნიშვნელობის გარდა, მსოფლიო ხასიათიც აქვს. ამ შეფასებას თავისი საფუძველიც აქვს მონახული: საქართველო უძველესი დროიდან მოყოლებული, „იყო ხიდად და გზად იმ დიდი მოძრაობის დროს, როდესაც სხვადასხვა ერი აზიიდან ევროპაში გადადიოდა. მაშასადამე, ჩვენი ქვეყანა უძველესი დროიდანვე ბევრის მომსწრეა, მნახველი და მოწმე". და, ბუნებრივია, ყოველივე ეს ხალხურ შემოქმედებაში აისახება, „ხალხს რაც უნახავს, ან გაუგონია, უყურადღებოდ არ დაუგდია, ყოველივე შეუსწავლია და საშვილიშვილოდ გადმოუცია"[15].

მართალია, ზოგიერთები შეუდგნენ ხალხური შემოქმედების შეგროვებას, მაგრამ, პოეტის აზრით, ამას პროფესიული დონე სჭირდება, „გაკვრა-გამოკვრით, გზა-გზა შემთხვევით შეგროვილი მასალა ზეპირ-სიტყვიერებისა საქმეს თუ ავნებს, თორემ არას არგებს". მარგანეცის საქმე რომ ისე წარმართულიყო, როგორც ეს პოეტს ჰქონდა გააზრებული, ფიქრობდა მონაგები თანხიდან შე-

ედგინა საჭირო რაოდენობის სახსრები აღნიშნული საქმის პროფესიულ დონეზე დასაყენებლად. „ჩვენში ბევრი ყმაწვილ-კაცთაგანია ნასწავლი და მომზადებული, რომელთაც სულითა და გულით ჰსურს ჩვენი ქვეყნის სამსახური; მაგრამ რომ დღიური საზრდო იშოვონ, ლუკმა-პურისათვის, ვინ იცის სად არ არიან გადაკარგული? იმათ რომ შრომისათვის სასყიდელი დაენიშნოსთ, ისინი დიდი სიამოვნებით იკისრებენ ამ განძის, ესე იგი ზეპირსიტყვიერების შეგროვებას, სიხარულით მოედებიან ჩვენი ქვეყნის მთა-და-ბარს და რამოდენიმე წლის განმავლობაში ჩვენც ხელში გვექნებოდა ყოველგვარი მასალა ამ საშვილიშვილო განძისა"[16].

ეს იყო აკაკის სისხლ-ხორცეული საქმე და ამიტომაც იხსენიებს მას თავის ანდერძში: მისი მამულებიდან სამოსახლო ადგილს შენობებით და კარის ეკლესიით უტოვებდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომ იქ გაეხსნათ მისი სახელობის დედათა სკოლა; ვენახსა და მამულების გარკვეულ ნაწილს კი უტოვებდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ზეპირსიტყვიერების შესაკრებად და გამოსაცემად. ამავე საზოგადოებას ეძლეოდა მისი ნაშრომების გამოცემის უფლება[17].

აკაკი წერეთელმა, ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციის მიზნით, დიდი შრომისა და ენერგიის ფასად, შეძლო დაეარსებია სპეციალური ყოველთვიური ორგანო *„კრებული"*, რომელმაც სამ წელს (1897-1900) იარსება. *კრებულის* თითქმის ყველა ნომერში იბეჭდებოდა ხალხური ლექსები, ზღაპრები, ანდაზა, ლეგენდა და წერილები ხალხური შემოქმედების შესახებ. აქვე დაიბეჭდა აკაკის ნაწარმოებების დიდი ნაწილი. *„აკაკის კრებულს"* ხალხური, დემოკრატიული ხასიათი ჰქონდა, პოეტი თავად აცხადებდა, რომ ეს ორგანო მშრომელ ხალხს ემსახურებოდა და ამიტომ მას უმეტესად მშრომელი ხალხი კითხულობდა[18].

აკაკი, ერთი მხრივ, გამოდიოდა რა მოწოდებებით ხელი მოეკიდათ ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების შეკრებისათვის, ცდილობდა ამ საქმეში ჩაერთო განათლებული, მაღალი კვალიფიკაციის მქონე ახალგაზრდობა; რჩევას აძლევდა ახალგაზრდა მკვლევრებს, თუ როგორ ემუშავათ, როგორ შეეკრიბათ მასალა, რისთვის მიექციათ ყურადღება. მასალა უნდა ჩაეწერათ უაღრესად ზუსტად, როგორც გაიგონებდნენ, ე.ი. ფონოგრაფიულად, მასალაში არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაემატებიათ საკუთარი ფანტაზია, ყოველი სიტყვა, რომელიც მათთვის უცნობი იქნებოდა, უნდა დაეზუსტებინათ იქვე, მთხრობელთან ერთად და ა.შ.[19]

აკაკი არა მხოლოდ სხვას მოუწოდებდა შეეკრიბათ ხალხური შემოქმედების ნიმუშები, აძლევდა მითითებებს, თუ როგორ ჩაეწერათ მასალა, არამედ ახალგაზრდობას თავადაც აძლევდა მაგალითს, უშუალოდ ინფორმატორთაგან იწერდა მასალას. 1895 წლის პუბლიკაციაში, სადაც რჩევა-დარიგებებს აძლევდა ხალხური შემოქმედების შემკრებთ, პოეტი აღნიშნავს, რომ 20-30 წლის წინათ თავად დადიოდა სოფელ-სოფელ და უამრავი მნიშვნელოვანი ნახა და გაიგონა[20]. როგორც *მ. ჩიქოვანი* შენიშნავს, აკაკიმ თავისი გავლენა და პოპულარობა ხალხური სიტყვიერების შეკრების საქმეშიც ფართოდ გამოიყენა. მაგრამ ის იყო არა მარტო ხალხური შემოქმედების უბრალო შემკრები და პატივისმცემელი, არამედ ის იყო ფოლკლორის მკვლევარიც და გამომყენებელიც.

მკვლევარს მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ აკაკის პოეტური ლირიკა დიდად ენათესავება ხალხურ პოეზიას, პოეტი თავის შემოქმედებაში ხშირად მიმართავს ზეპირსიტყვიერებისთვის დამახასიათებელ პოეტურ ხერხებს. ამანაც განაპირობა, რომ აკაკის პოეზია ხალხმა შეითვისა, თავისად მიიღო და ამჟამად ჩვენ მისი ლექსების მრავალი ზეპირი ვარიანტი მოგვეპოვება[21].

მას შემდეგ, რაც *ექვთიმე თაყაიშვილის* თაოსნობით ჩამოყალიბდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება და გაიშალა მუშაობა, აკაკი წერეთელი განუმარტავს ბატონ ექვთიმეს და სთხოვს: „რამდენადაც ვიცნობ ხალხურ პოეზიას, უნდა გამოგიტყდე, რომ ჩვენისთანა ხალხური პოეზია სხვა ხალხს იშვიათად თუ აქვს. ამიტომ შენ დიდი სამსახური მიგიძღვის, რომ ასე ბევრი მასალა გამოაქვეყნე თქვენს საისტორიო და საეთნოგრაფიო ორგანოში – *„ძველ საქართველოში“*, მაგრამ ხალხში გაბნეული მასალა აუარებელია; ამოუწურავი და მათი შეგროვება-გამოცემა გაასკეცებულ მუშაობას თხოულობს. მინდა ამ საქმეში დაგეხმაროთ. მოწმობა მომეცი, რომ მე თქვენი საზოგადოება მაგზავნით კახეთში პოეზიის შესაკრებად“[22].

ბატონი ექვთიმე აკაკის ამ მოთხოვნაზე სახტად დარჩა, უხერხულადაც კი იგრძნო თავი. „თუ ღმერთი გწამს აკაკი, მიუგო მკვლევარმა, ამ საქმეს ნუ დამავალებ, თორემ უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდები. შენ მთელი საქართველო გიცნობს და მის უგვირგვინო მეფეს გეძახიან, ექვთიმე თაყაიშვილმა უნდა მოგცეს შუამდგომლობის მოწმობა და გაგიკეთოს რეკომენდაცია? მე ხომ სასაცილოდ ამიგდებენ და იტყვიან: ეს როგორ გაკადნიერებულა და ჩვენ გვასწავლის, ვინ არის აკაკი და როგორი პატივით უნდა მივიღოთო“. ბოლოს ბატონი ექვთიმე მაინც იძულებული გახდა აკაკისთვის მიეცა მოწმობა და ასი მანეთი სამოგზაუროდ, მიეწერა წერილი თელავში მისი მეგობრების და განსაკუთრებით *ვასილ კახიძისთვის*, რაფიელ ერისთავის სიძისთვის, რომ ჩვენმა დიდმა მგოსანმა განიზრახა ფოლკლორული მასალის შეგროვება და სთხოვა მისთვის მეგზურობა გაეწიათ[23].

დიდი მგოსანი არ ცდებოდა, საქართველოში უკვე არსებობდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელიც სათავეში უნდა ჩადგომოდა ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის კვლევას. ამიტომ მისი ვიზა უნდა ჰქონოდა ყველას, ეს იქნებოდა აკაკი წერეთელი თუ სამოლვაწეო ასპარეზზე ახლად გამოსული მკვლევარი.

სპეციალურ გამოკვლევაში აღნიშნულია, რომ აკაკის უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ქართული ენის განვითარების საქმეში. აკაკი ახალგაზრდებს საგანგებოდ მიუთითებდა: „იკითხე, ბევრი იკითხე... სწერე ყველაფერზე, რაც გულმა გიჩურჩულოს და გონებამაც გირჩიოს. სწერე უბრალოდ, სადად, ნაძალადეობა მაშინვე დაეტყობა ნაწერს და აღარ ივარგებს“[24], აქედან გამომდინარე, პოეტი წინააღმდეგია ყოველგვარი შეკვეთით წერისა. მან გზა გაუკაფა ენის ხალხურ ფორმებს, ლიტერატურული ენა დაუახლოვა ხალხს და ამით ქართული მეტყველება ახალ მაღალ საფეხურზე აიყვანა[25]. ეს ბუნებრივადაა მიჩნეული იმის გათვალისწინებით, რომ აკაკი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ხალხურ შემოქმედებას. პოეტის სიტყვით, ქართული ენა მდაბიო ხალხში ინახება, იქ არის ენის სალარო. ბევრი სიტყვაა ხალხში დარჩენილი, რომელიც ჩვენ ჯერ კიდევ

არ ვიცით. ამიტომ საჭიროა ხალხური ზეპირსიტყვიერების შეკრება, რაც პირველი ნაბიჯები იქნება ლექსიკონის შედგენისათვის[26].

აკაკი წერეთლის ამ მოწოდებას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც. ჩვენი მიზანიც ის გახლავთ, რომ წარმოვაჩინოთ ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი ელემენტები აკაკი წერეთლის შემოქმედებაში. ვაჩვენოთ, მისი თვალით როგორაა აღქმული XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრიობა, მისი სოციალური ფენები, ყოფა და ცხოვრება. მაგრამ სრულფასოვნად ამის ასახვა შეუძლებელი იქნებოდა ისე, თუ თვალს არ გადავავლებდით მის ბავშვობას, აღზრდას, მის მოღვაწეობას სამწერლო და საერთოდ, საზოგადოებრივ ყოფაში, საქართველოს ისტორიის ადგილს მის შემოქმედებაში, დამოკიდებულებას ხალხურ შემოქმედებასთან. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ აკაკის დამოკიდებულებას გლეხობასთან, რომელიც იყო პოეტის მოღვაწეობის ყველაზე დიდი დამფასებელი, რომელთაც მგოსანი თავიანთ გმირად და კერპად აქციეს.

ტრადიციული წეს-ჩვეულების თანახმად, აკაკი ადრევე მოწყვიტეს დედის კალთას და გააძიძავეს მეზობელ სოფელ სავანეში, სადაც ის ექვს წლამდე გლეხის – სადუნიშვილის ოჯახში იზრდებოდა. მისი ძიძა *მანო* აკაკის დიდი მზრუნველობით ეკიდებოდა და პოეტსაც მისი სიყვარული და მისდამი ამაღლებული გრძნობა მთელი სიცოცხლის მანძილზე არ განელებია. აქ, სავანეში აიდგა ფეხი, აქედანვე იწყება მისი მახსოვრობა, აქედან იწყება აკაკის ზიარება ხალხთან, გლეხურ ცხოვრებასთან[27]. ბავშვობიდანვე ის იყო არა მარტო მხილველი, არამედ უშუალო მონაწილეც იმ მძიმე შრომისა, რაც გლეხის მხრებზე გადადიოდა. მის ნორჩ ცხოვრებაში ღრმად აღიბეჭდა სოფლის ცხოვრების სურათები, ის მთლიანად და ორგანულად შეეთვისა გლეხის ბავშვების ლაღ ცხოვრებას. მისი ბავშვური ფანტაზია და მეტყველება მდიდრდებოდა ხალხური ზღაპრებით, ლექსებითა და სიმღერებით. ყოველივე ამან განსაზღვრა პოეტის მთელი ცხოვრება და შემოქმედება. სწორედ ამიტომ ამ ხანას აკაკი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა თავისი სულიერი ცხოვრების განვითარებაში[28]. მოგვიანებით თავად აკაკი იტყვის: „არ შემიძლია არ გამოვტყდე, რომ თუ კი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხის შვილებთან ვიზრდებოდი“[29].

როგორც ზემოთ მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, აკაკის ბავშვური ფანტაზია და მეტყველება ხალხური ზღაპრებით, ლექსებითა და სიმღერებით მდიდრდებოდა. ბავშვებთან ზოგჯერ ღამეებსაც კი ათენებდა, ღამისთევის დროს მორიგეობით ყვებოდნენ ზღაპრებს, ვარჯიშობდნენ შაირობასა და გამოცანებში. ამან თავიდანვე წარუშლელი კვალი დატოვა და განსაზღვრა მისი ხასიათის ჩამოყალიბება. 1913 წელს მგოსანი იტყვის: არ არსებობს ადამიანი, რომ სიცოცხლეშივე ხანდახან მაინც არ ემღეროს, მუნჯიც კი მინახავს, რომ ღიღინებდა. „ეს ისეთი მოთხოვნილებაა ცოცხალი ადამიანისთვის, როგორც დახველება, ცხვირის დაცემინება, დამთქნარება და სხვანი... სწორედ ამისთანა რამ არის მოლექსეობაც... ძველად, როცა სხვა თავშესაქცევი არა იყო რა ჩვენში, ხალხი რომ თავს მოიყრიდა, სხვადასხვა გუნდებად იყოფოდენ და გაუშაირდებოდენ ხოლმე ერთმანეთს. ეს ჩვეულება, ბარად გავარდნილი, დღეს კიდევ

შერჩენილია მთიელებში: მაგალითად ფშავეთში!.. აქ ძვირად ნახავთ მისთანა ფშაველს ქალს, გინა კაცს, რომ თავს მოშაირედ არ თვლიდეს"[30].

აკაკი, 70-იანი წლებიდან მოყოლებული, ხშირად დადიოდა საქართველოს კუთხეებში და კრებდა ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალებს. პოეტს ამ საქმეში დიდი გამოცდილება ჰქონდა და დიდძალი მასალაც მოიპოვა, მაგრამ ამათგან მხოლოდ მცირე ნაწილია შემონახული. რამდენიმე მათგანი სანიმუშოდ აღწერილი აქვს *მ. ჩიქოვანს*[31], რაზედაც აქ აღარ შევჩერდებით. თუ რა ადგილი ეკავა ხალხურ სიტყვიერებას აკაკი წერეთლის შემოქმედებაში, როგორ აფასებდა და რა სიმაღლეზე აყენებდა იგი ხალხის ყოფასა და კულტურას, ამაზე უკვე გვქონდა აღნიშნული, მაგრამ სასურველად ვცანით მოვიტანოთ კიდევ ერთი ადგილი ა.აბაშელის მოგონებიდან.

1913 წლის 30 მარტს მეც გავმართე სალიტერატურო საღამო თბილისის ქართულ თეატრში, იგონებს ა.აბაშელი, და აკაკის ვთხოვე მასში მონაწილეობის მიღება. საღამოზე აკაკიმ წაიკითხა მოხსენება ხალხური ზეპირსიტყვიერებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ. ა.აბაშელს არ ახსოვს ეს მოხსენება დაიბეჭდა თუ არა სადმე და გადმოგვცემს მის ფრაგმენტებს. მისი სიტყვით, ჩვენში ზეპირსიტყვაობის გასაოცარ სიმდიდრეს აკაკი ხსნიდა ჩვენებური ბატონყმობის განსაკუთრებული ხასიათით. „გლეხებს ბატონების ბეგარა ემართათო, – ამბობდა აკაკი, – ზოგს ღვინო, ზოგს პური, მაგრამ იყვნენ ისეთი გლეხებიც, რომელთაც ბეგარად ზღაპარი ემართათო. ზღაპრით დაბეგრილ გლეხებს ამგვარი ვალდებულება შთამომავლობით ჰქონდათ დაკისრებული და მათ ოჯახებში თანდათანობით გროვდებოდა დიდძალი ზეპირსიტყვაობა. ამ წესს უნდა ეუმადლოდეთ, რომ საქართველოში ამდენი ზღაპარი და ლექსებია შემონახულიო"[32].

ეს მასალა ზემოთ მოტანილ ხევსურულ *ანდრეზს* გვაგონებს და საშუალებას გვაძლევს მცირე პარალელი გავავლოთ მასთან. როგორც აღინიშნა *„ხევსურული ანდრეზი"* ანუ *„ანდაზა"* წარმოადგენდა მაგალითის სახით შემონახულ წარსულის გადმოცემას, რომლითაც შემდგომ თაობას უნდა ეხელმძღვანელა. ანდრეზი, როგორც ნიმუში, *„რჯულის კაცების"* მიერ უნდა ყოფილიყო გამოყენებული ხალხური სამართლის წარმოების დროს. „რჯულის კაცებს" ანუ „ბჭეებს" დანაშაულზე განაჩენის გამოტანისას წინათ მომხდარი, ანდრეზად დარჩენილი ანალოგიური შემთხვევა ჰქონდათ სახელმძღვანელოდ. ამიტომ ანდრეზის შენახვას დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა. მამა-პაპათაგან გაგონილ ანდრეზს ხალხი თავის შვილებს გადასცემდა, მაგრამ ამის გარდა, *„თავის გათავების"* დროს ანდრეზის შემნახავი სპეციალური პირებიც იყვნენ, რომელთაც ანდრეზის შესანახს უხდიდნენ[33].

აღნიშნულ სალიტერატურო საღამოზე აკაკიმ წაიკითხა რამდენიმე ხალხური ლექსი, რომლის ერთ-ერთი ნიმუშია მოტანილი: „ხომალდში ჩავჯექ, ზღვას გაველ, ფრანგის ქვეყნები ვნახეო, სულ დავიარე ხმელეთი, ვერ ვნახე შენი სახეო, ანთებულ სანთელს გამსგავსე, დილით ცისკარზე გნახეო, ხელში გეჭირა ყმაწვილი, ფარსაგ ვერ დაგინახეო"...

ამ ლექსს აკაკი იქვე უკეთებს კომენტარს და აღნიშნავს, რომ ამით ხალხმა გამოხატა *ღვთისმშობლის კულტი* და ეს ლექსი ისეთივე შესანიშნავია, როგორც დიდებული *რაფაელის* მიერ დახატული მადონა. ახალგაზრდა პოეტებს

იგი განუმარტავს: „მშრომელი ხალხის ფანტაზია უსაზღვროა და მრავალფერი. თუ გნებავთ გაიგოთ, როგორი პოეზია მოსწონს ხალხს, მიმართეთ მასვე, მისსავე შემოქმედებას. აიღეთ ხალხური პოეზია, რომელიც მრვალ საუკუნეთა განმავლობაში შეუქმნია თვით შრომელ ხალხს. რაზე მღერის ხალხი? – შრომაზე და ცხოვრების სიმწვავეზე, ბატონების უღელზე და მბრძანებელთა უგუნებობაზე, მაგრამ ამავე დროს სიყვარულსა და სიძულვილზე, ვარსკვლავებსა და მთვარეზე, ყვავილებსა და სილამაზეზე, მეგობრობასა და ვაჟკაცობაზე, სიკვდილსა და სიცოცხლეზე; ყველაფერი, რითაც ძგერს ადამიანის გული დაბადებიდან სიკვდილამდე, შედის ხალხურ პოეზიაში. მაშასადამე, ხალხის გული ზღვასავით ფართოა და ნურავინ იფიქრებს, რომ ვინც ქონებრივად ღარიბია, ის სულიერად, ფანტაზიითაც ღარიბია“[34].

ა.აბაშელის სალიტერატურო საღამოზე აკაკის მიერ წაკითხულ მოხსენებასთან დაკავშირებით მ.ჩიქოვანი აღნიშნავს, რომ ეს იყო ღვაწლმოსილი პოეტის მიერ ხალხური ზეპირსიტყვიერების, ხალხური შემოქმედების დარგში ნახევარსაუკუნოვან დაკვირვებათა თეორიული განზოგადების ცდა, რამაც მსმენელზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა და მას პრესაც ფართოდ გამოეხმაურა. მკვლევრის აზრით, აკაკი მოხსენებაში „ზეპირსიტყვიერება და მისი მნიშვნელობა“ რამდენიმე ძირითად თეზისს აყენებს:

1. აკაკი მიიჩნევდა, რომ ხალხური პოეზია, საერთოდ, *ზეპირსიტყვიერება არის ისტორიული წყარო*, ისევე როგორც ეკლესია-მონასტრები, მღვიმეები და ა.შ. ეს არის „უტყუარი წყარო წარსული ცხოვრებისა“. ქართველი კაცის ჭირი და გლოვაც კი ვაჟკაცობით გამსჭვალული სიმღერა-ლექსებით არის შემკული. „სწორედ ამან გადაატანინა ქართველ ხალხს ის საარაკო ისტორიული მომენტები, რომელიც მან განიცადა“.

2. *ჩვენი ფოლკლორი ორ ისტორიულ ხანას ასახავს – ქრისტიანულს და წარმართულს.* თუ გვინდა ეს წარსული ვიცოდეთ, უყოყმანოდ უნდა მივმართოთ ზეპირსიტყვიერებას.

3. *ხალხური სიტყვიერება საზოგადოების განვითარებასთან ერთად ვითარდება და იცვლება.* მრავალი ძეგლი ქრება, ცივილიზაცია სპობს ძველ სიტყვიერებას. ის, რაც საქართველოს ბარმა დაკარგა, მთამ შემოინახა. ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა ვეწვიოთ მთასა და ბარს, შევკრიბოთ ხალხური შემოქმედება და წერილობით გადავცეთ მომავალ თაობას. მათი დაკარგვა ჩვენი სიკვდილია და თუ სიკვდილი არ გვინდა, დროულად უნდა მივეშველოთ მას.

4. საქართველოში თავიდანვე არსებობდნენ ფოლკლორის სახელოვანი მატარებლები, ადამიანები, რომლებიც დახელოვნებული იყვნენ გაშაირებასა და მეზღაპრეობაში. *მთქმელს* საპატიო ადგილი ეჭირა ხალხში. გარკვეული პირებისათვის ესეც ბატონისათვის მისართმევ ბეგარაში შედიოდა. ასეთ მეზღაპრებს, მოლექსეებს, სახალხო მომღერლებს მამა-პაპათაგან ჰქონდათ შესწავლილი დიდძალი გადმოცემები და მათ ავრცელებდნენ, ამიტომ ისინი სასახლეში დიდი პატივითაც სარგებლობდნენ.

5. აკაკი წერეთელი ხალხურ პოეზიას მაღალ ხელოვნურ მოვლენად თვლიდა. *ხალხური შემოქმედება გენიოსობამდე აღწევს*, ისინი ხელიხელ საგოგმანებ მარგალიტებს ქმნიდნენ. *ხალხი შეუდარებელია, გენიოსია არა მარტო ლირიკული სურათების დახატვაში, არამედ საკაცობრიო იდეების წარმოსახვაშიც.*

პოეტის აზრით, „ხალხურ პოეზიას უდიდესი ძალა აქვს, ის არის მალამო სულისა, მისი სულიერად და ხორციელად გამამხნევებელი და ამამაღლებელი. ფოლკლორს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, ის აახლოვებს და აკავშირებს სხვადასხვა ხალხებს“[35].

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ აკაკის ეს შეხედულებები ქართულ ზეპირსიტყვიერ შემოქმედებაზე უცილობლივ ვრცელდება ქართულ სინამდვილეში დაუნჯებულ ყოფისა და კულტურის რეალიებზე, მათი აღნუსხვის, გადარჩენისა და მომავალი თაობებისათვის შემონახვის აუცილებლობაზე, ამის დამადასტურებლად შეიძლება პოეტის არაერთი მინიშნება ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეზე, *ცხოვრების ქართულ წესზე*, რაც არაერთხელ გამხდარა მისი მხატვრული შემოქმედების უპირველესი საგანი.

აკაკი პირველ რიგში აყენებს ხალხური სიტყვიერების ისეთ ნიმუშებს, რომლებიც ქართულ ეროვნულ ნიადაგზე არიან აღმოცენებულნი, როგორც მისი საკუთარი გრძნობა-გონებისა და თავგადასავლის ნაყოფი, რომლებიც უცხო ქვეყნებიდან შემოპარულან და ახალ გემოზე გადაკეთებულან. პოეტს ასეთი ფოლკლორული სესხები სავსებით დასაშვებად მიაჩნია და არც თვლის მას უარყოფით მოვლენად. ჩვენი ქვეყნის ფოლკლორული ურთიერთობების ასპარეზი საკმაოდ ფართოა, ის აღმოსავლეთის მაჰმადიანურ სამყაროსაც მოიცავს და ევროპის ცივილიზებულ სამყაროსაც. გარესამყაროსთან კულტურული ურთიერთობა ყოველთვის და ყველა დარგში ახასიათებდა ქართველ ხალხს და ამ მხრივ არც ფოლკლორი და არც ხალხური შემოქმედების სხვა სფეროები არ წარმოადგენენ გამონაკლისს. აკაკი წერეთელს და ქართული ზეპირსიტყვიერების შემდგომი დროის მკვლევრებს ეჭვი არ ეპარებოდათ მის სიმდიდრესა და საისტორიო-მსოფლიო მნიშვნელობაში. მიჩნეულია, რომ *ფოლკლორი მწერლობისა და ხელოვნების დაუშრეტელი წყაროა*. ქართველი მწერლები და პოეტები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ზეპირსიტყვიერებას და ხშირად მას თავის შემოქმედების წყაროდ აქცევდნენ[36].

ბუნებრივია, ეს აკაკი წერეთლის შემოქმედებაშიც აისახა. ამას ლაკონურად აყალიბებს *შალვა დადიანი*. მისი სიტყვით, პოეტის სიმღერაში გამოისმის „ქართველი ხალხის ხასიათი თავისი ტემპერამენტით, გამძლეობით, შეუდრეკელობით და ხალისით. ეს თვით ქართველი ხალხის სიმღერაა, ეს ხალხის სულის მოთქმაა, რადგანაც აკაკი ხალხის სულში იჭრება და თავისი უკვდავი ჰანგი და კილო თვით ამ ხალხის სულის სიღრმიდან, როგორც უშრეტ წყაროდან, გამოაქვს და კვლავ უბრუნებს ხალხს, რომელიც იქვე მღერის მის ლექსებს თავისი გაჭირვებისა და დალხინების დროს. აკაკი თითქოს მაჯისცემაა ამ ხალხისა, იგი დიდი გამახვილებით გრძნობს ხალხის კოლექტიურ გულს“[37].

1908 წელს ქართველმა ხალხმა *აკაკი წერეთლის* მოღვაწეობის 50 წლის იუბილე გადაიხადა. იუბილემ საქართველოს ყველა კუთხეში საერთო სახალხო დღესასწაულის ხასიათი მიიღო, საიუბილეო დღეები ქართული ეროვნული კულტურის საერთო დღესასწაულად იქცა. იუბილეზე თავის სამადლობელ სიტყვაში აკაკი აღნიშნავდა: „ორმოცდაათი წელი ვებრძოდი უსამართლობას, განსაკუთრებით შინაურ უკუღმართობას. იარაღად ვხმარობდი სიტყვას და კალამს, სადაც ძალიან მცირეოდენ თაფლთან ბევრი ნაღველიც იყო ჩემსავე ცრემლში ჩალესილი... მე ჩემი თავი ყოველთვის მიმაჩნდა და მიმაჩნია პატარა

დღიურ მუშად, ძალიან მცირედ, ასე რომ თუ ჩემს შრომას ვინმე ყურადღებას მიაქცევდა არ მეგონა, მაგრამ ეხლა ვხედავ, რომ შემცდარი ვყოფილვარ და დღეს ჩემი შრომა ერთი ათასად ფასდება. რას უნდა მივაწეროთ ეს? იმას, რომ ხალხში აღძრულია ეროვნული გრძნობა, რომ ჰყავდეს ნამდვილი მოღვაწე და გმირი, რისაც მე მხოლოდ მოჩვენება ვარ. მათ ამ დიდ გრძნობას შევუერთებ ჩემს ნატვრასაც, რომ მოვლინებოდეს ის სანატრელი გმირი"[38].

აკაკი ბევრს მოგზაურობდა საქართველოს ყველა კუთხეში, ეცნობოდა ხალხს, მათ ცხოვრებას და ამით სწორედ ხალხში მოიპოვა დიდი სიყვარული და აღიარება. ამ ტრადიციისთვის არც იუბილეს შემდეგ უღალატნია. იმის სამაგალითოდ, თუ რა სიყვარულით სარგებლობდა აკაკი გლეხობაში, როგორ ესმოდა გლეხობას ცხოვრებაში მის მიერ განვლილი გზა, მისი მიზანი და ამოცანები საკმარისია მოვიტანოთ ფრაგმენტები ერთ-ერთი გლეხის *ამირან ლომსაძის* მიმართვიდან 1912 წელს, რაჭა-ლეჩხუმში აკაკის მოგზაურობის დროს: „დიდებულო მგოსანო და სასიქადულო მამულიშვილო! მე, როგორც წარმომადგენელი ხვანჭკარის საზოგადოების მშრომელი გლეხობისა, მამა-პაპური ჩვეულებისამებრ, უმდაბლესი სალმით და გლეხკაცური პურ-მარილით გეგებები... ჩვენი რაჭა, დღეს განუსაზღვრელ სიხარულსა და სიამოვნებას ეძლევა პირისპირ თქვენი ნახვით. აქაურ მკვიდრთ შეგნებული აქვთ თქვენი ვინაობა, იციან, რომ თქვენ არ დაბადებულხართ ჩინ-ტყმლაკებისათვის, არც მილიონებისათვის და არც პირადი თქვენი სარგებლობისათვის; იციან, რომ თქვენი დიდებული ნამოქმედარი ფასდაუდებელი რამ არის კაცობრიობისათვის და განსაკუთრებით ჯერ კიდევ მიძინებულ ჩვენი ერისათვის, რომელიც იღვიძებს და მიდის თვითცნობიერებაში თქვენი ჩანგის ზეგავლენით, იღვიძებს იმ იმედით, რომ თქვენი ნაშრომები კარგად შეიგნოს და დატკბეს თავის სამშობლოს ენაზედ თქვენი უკვდავი სიმთა ჟღერით"[39].

გლეხკაცის ეს მიმართვა პოეტისადმი ქართველი გლეხობის მაღალი კულტურისა და გონიერების მაჩვენებელია. შემდეგ აკაკი იტყვის: „რაჭა-ლეჩხუმში ჩემი სტუმრობა და იმათი დახვედრა, სწორედ საარაკო და საზღაპრო რამ იყო", რომლის აღწერაც შეუძლებელია[40]. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძესთან ერთად, იყო ის უპირველესი *„გმირი გმირთა-განი"*, ვინც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება და მოღვაწეობა შეალია ხალხის გამოღვიძებას და თავისუფლების გზაზე გაიყვანა. ქართველმა საზოგადოებრიობამაც ეს კარგად დაინახა და სათანადოდაც შეაფასა.

ზემოთ მოტანილი მონაცემები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან *აკაკი წერეთლის თეორიულ და მეთოდოლოგიურ შეხედულებებზე ხალხური ზეპირსიტყვიერების, საერთოდ ხალხური შემოქმედების, ერის წარსულისა და მისი ტრადიციების შესახებ.* ბუნებრივია, თავისი შემოქმედებით აკაკი ეპოქის სულისკვეთებას, მის მაჯისცემას გამოხატავდა და მისი შეხედულებებიც იმ საზოგადოებრივი იდეებიდან მომდინარეობდა, რომელიც განსაზღვრული იყო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარებით, კულტურის, განათლების, ხელოვნებისა თუ მეცნიერების განვითარების დონით. ასეთ ვითარებაში აკაკი წერეთლის დამოკიდებულება ქართველი ხალხის ტრადიციულ-ყოფითი კულტურის მიმართ, არსებითად თავისი თანამებრძოლებისა და

კოლეგების შეხედულებებს ეხმაურებოდა და ხელს უწყობდა ქართული ეთნოგრაფიის სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბების საქმეს.

სანამ უშუალოდ აკაკი წერეთლის ეთნოგრაფიულ შემოქმედებას შევეხებოდეთ, შეიძლება ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ აკაკი წერეთელს სპეციალური ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება ან ეთნოგრაფიული მასალის ზუსტი ფიქსაცია არ უწარმოებია. *რაფიელ ერისთავის, ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას* მსგავსად არ შეუქმნია სპეციალური ეთნოგრაფიული ნარკვევები, მაგრამ მის პუბლიკაციებში გაფანტული ეთნოგრაფიული მასალები ღირსეულად წარმოაჩენენ პოეტს ამ სფეროში. მშობელი ქვეყნის ერის პოეტს ეთნოგრაფიული მოვლენები და ხალხური ყოფისა და კულტურის ელემენტები ჩაქსოვილ-შერწყმული აქვს თავის მხატვრულ შემოქმედებაში. მისი პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები სავსეა ეთნოგრაფიული სიუჟეტებით, სცენებით, ფრაგმენტებით, ამა თუ იმ კუთხის მკვიდრთა ხასიათების დაკვირვება-შესწავლით (ეთნოფსიქოლოგია) და ძველი ყოფა-ცხოვრების გადმოცემა-შესწავლით, დრომოჭმული ტრადიციების კრიტიკით და ახალი სამეურნეო საქმიანობისა და წეს-ჩვეულებების დამკვიდრებით. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, კაპიტალის შემოჭრასთან დაკავშირებით, ახალი სოციალურ-ეკონომიკური, საზოგადოებრივი ცხოვრების ათვისებისათვის, დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, სწორედ ქართველი ხალხის მამა-პაპური ტრადიციების აღდგენას და მის ახლებურად შესწავლის აუცილებლობას ითვალისწინებდა.

ქართული ტრადიციების, ყოფისა და კულტურის ამსახველი მომენტების წინა პლანზე წამოწევაც ხალხის თვითმყობადობის, თვითგამორკვევის, ეროვნული ცნობიერების გაღვივებას ისახავდა მიზნად. ამ მიზნებითაა გაჟღენთილი აკაკი წერეთლის არაერთი წერილი და გამოსვლა, სხვადასხვა თემებსა და სფეროებს რომ ეხება და, სადაც ხშირად გაიჟღერებს ეთნოგრაფიული ნიუანსები, უფრო მეტიც, სპეციალურადაცაა მინიშნებული ეთნოგრაფიული მასალის მნიშვნელობა. მაგალითისათვის მოვიტანთ ერთ მასალას, სადაც აკაკისეული ხიბლია ჩაქსოვილი. ამ ამონარიდში დამოწმებულია დიდი პატრიოტის *ალექსანდრე ორბელიანის* შრომაში მოცემული ეთნოგრაფიული მასალა. ალექსანდრე ორბელიანი ერთ თავის თხზულებაში წერს: „ქართველი რომ სათესავად გავიდოდა, ჯერ რამდენიმე მუჭა ხორბალს ისე აბნევდა ხნულში ამ სიტყვებით:„ეს ღმერთს! ეს მგზავრს, ეს მტერს, ეს მოყვარეს, ეს ქვრივ-ობოლს, ეს მკვდარს, ეს თაგვს, ეს ფრინველს, ეს ამას და ამასო!“ ჩამოყვებოდა, არავის ივიწყებდა, მერე იტყოდა: „ეს მე და ჩემიანსო!“ და დაიწყებდა ერთ-პირად თესვასო“. შემდეგ კი აკაკი განაგრძობს: „რა დიდი ადამიანური გრძნობა იხატება ამ ჩვეულებაში, მიდი და უთხარი ამის შემდეგ ქართველს: „გულუხვობა საიდან მოგდგამს-თქო?“ ბუნება თანაბარია ქართველთა და ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ეს სულის სიმაღლე წვრილმანებით ცუდად შეხუთვოდეს! გულგაშლილობა ქართველს ვერას ავნებს, თუ კი ის თავის ჭირნახულს მოუვლის და მოანივთებს, წურბელებს არ გაატანინებს, მით უფრო, რომ ახლა სხვა დროა“[41].

1883 წელს დაბეჭდილი აკაკი წერეთლის ეს მიგნება, ფაქტიურად, დღეისათვის უფრო აქტუალურია და მომავალშიც მინიშნება იქნება ქართველთა ბუნება-ხასიათის თავისებურებების ასახსნელად. აკაკი წერეთლის ყველა წერილსა და დოკუმენტურ პროზაში ეთნოგრაფიულ მასალას დიდი ადგილი უჭი-

რავს. აქ წარმოდგენილია: *სამეურნეო საქმიანობა, სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა ხასიათი და ფსიქოლოგია, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მოვლენები, სახალხო და რელიგიური დღესასწაულები, რიტუალები და ცერემონიალები, ხალხური ხელოვნებისა და ხელოსნობის ნიმუშები, მათი ტექნოლოგია და დამზადების წესები, გართობა-თამაშობანი, ხალხური ზეპირსიტყვიერება, ეთნოგრაფიისა და სხვა მეცნიერების განვითარების აუცილებლობა, ქართული საზოგადოებრივი აზრის ახალ დონეზე აყვანა, ყველა სოციალური ფენებისათვის, საქართველოს ყველა კუთხის მოსახლეობისათვის ეროვნული იდეოლოგიის შექმნა.* აკაკი წერეთელს, მის უახლოეს თანამოაზრეებთან ერთად, კარგად ესმოდა სამეცნიერო და საზოგადოებრივი პროგრესის მნიშვნელობა ქართველი ხალხის აზროვნებისა და ცნობიერების განვითარებისათვის. აკაკი წერეთლის შეხედულებები ტრადიციების, ყოფისა და კულტურის, ქართველი ხალხის წეს-ჩვეულებების, წინაპართა ცხოვრების შესწავლა-წარმოჩენისათვის, პასუხობდა იმ რეალიებს, რითაც იმდროინდელ და შემდგომი პერიოდის მკვლევარს ნათელი წარმოდგენა შეუქმნა მათი გამოყენებისა და ცხოვრებაში გატარების შესაძლებლობაზე. აკაკი წერეთლის მხატვრულ შემოქმედებაში კარგად ჩანს, რომ მისი რითმა და მეტრი, პოეტური ჰარმონია ღრმადაა გადახლართული და შერწყმული ქართულ თქმულება-გადმოცემებთან, ხალხურ წეს-ჩვეულებებთან, დღესასწაულებთან, საოჯახო ურთიერთობების ფორმებთან და ა.შ. ყოველივე ეს კი აძლიერებს და ამშვენებს ამაღლებული მგოსნის შემოქმედებას. აკაკი კარგად იცნობდა ხალხს, მათ საქმიანობას, ცხოვრების წესს, წარსულს და აწმყოს. ის პრაქტიკული შემოქმედი იყო და მის შემოქმედებაში ამიტომაც არის ასე ნათლად წარმოსახული სოფლის სურათები. მის შემოქმედებაში ასახული ეთნოგრაფიული სიუჟეტები დღემდე ინარჩუნებენ მაღალ ღირებულებას.

თავიდანვე აღვნიშნეთ, რომ აკაკი წერეთელი სრულიად ჩვილი გააძიძავეს უღარიბესი გლეხის ოჯახში, სადაც მან ექვსი წელი დაჰყო. ამ წლებმა წარუშლელი კვალი დააჩნია აკაკის ცხოვრებასა და შემოქმედებას. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ის იყო გლეხობის ქომაგი და მათი ინტერესების დამცველი. პატარა აკაკიმ, ბუნებრივია, იცოდა, რომ ის სოციალურად განსხვავდებოდა გლეხთა ფენებისაგან, მაგრამ ამას არავის აგრძნობინებდა. 104 წლის მოხუცი *აბელ სადუნიშვილი*, რომელიც აკაკიზე 4 წლით უფროსი იყო და მასთან ერთად იზრდებოდა, იგონებს: „აკაკის განსხვავება სოფლის ბიჭებისაგან არ შეიძლებოდა, ჩვენთან ერთად დარბოდა და თამაშობდა, ერთად დავდიოდით სათევზაოდ... მახსოვს, რამდენჯერმე საჩხერიდან ჩამოვიდნენ აკაკის მშობლები დიდი ამალით. ჩვენ, ბავშვები, ჩირგვებში ვიმალებოდით. მშობლებს საჩუქრები ჩამოჰქონდათ აკაკისთვის. როცა ისინი უკან გაბრუნდებოდნენ, აკაკი ყველაფერს ჩვენ გვირიგებდა – სოფლის ბავშვებს...[42] ეს გახლდათ კიდევ ერთი დასტური აკაკის აღსარებისა იმის შესახებ, რომ მასში ყოველივე კარგისა და კეთილის სათავე ბავშვობიდანვე, გლეხის შვილებთან ურთიერთობაში ყალიბდებოდა.[43]

ყველაფერი ეს აკაკის ბუნებაში კარგად დაინახა არტურ ლაისტმა. მისი სიტყვით, „ამ მწერლებზე, რომლებიც თავიანთი სამშობლოს ბეჭედს ატარებენ, გერმანელები იტყვიან ხოლმე: თავისი მიწის სუნი დაჰკრავსო. აკაკის ხომ

მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე თან სდევდა იმერეთისა და იმერული მიწის სურნელება. გლეხის ოჯახში ძიძასთან გატარებულმა ბავშვობამ ღრმა კვალი დააჩნია მას. ძლიერი შთაბეჭდილების ყმაწვილს, რომლის გონება ნაადრევ ბავშვობიდანვე ცხოვლად აღიქვამდა ყოველივეს, არაფერი რჩებოდა შეუმჩნეველი"[44].

რუსეთში სწავლის პერიოდში, როგორც მრავალი ახალგაზრდა, აკაკიც ბატონყმობის წინააღმდეგ განეწყო. ბუნებრივია, ეს მის ოჯახსაც უნდა შეხებოდა და ამ მხრივაც სხვისთვის მაგალითი უნდა მიეცა. მაგრამ მამამისი *როსტომ წერეთელი,* ძველი თაობის წარმომადგენელი, ნამდვილი ფეოდალი, ამ საკითხზე სხვა შეხედულების იყო. „მისი მშობლების ოჯახში ძველი ქართული ტრადიციების ნამდვილი სული ტრიალებდა... მისი მშობლები დაიბადნენ და აღიზარდნენ მე-19 საუკუნის დამდეგს, როცა ჯერ კიდევ არ გამქრალიყო წინა საუკუნის კვალი; ამ სახლში ყველაფერი ქართული სულით სუნთქავდა". ამიტომაც აკაკი პირდაპირ ვერ ეტყოდა მამას, გლეხები გაათავისუფლეო. ერთხელ, იგონებს აკაკი, მის ოჯახში საუბარში სიტყვა ჩამოვარდა ყოჩაღ და ზარმაც ყმა გლეხებზე. „ჰო, შვილო, დაეთანხმა როსტომი, ბევრია ყოჩაღი ყმა, მაგრამ ბლომად არიან ზარმაცებიც. ჰოდა, მამი, პირადად ჩვენთვის რა საჭირონი არიან ზარმაცი გლეხები, როგორც ჩვენ, ისინიც ხომ ყოჩაღთა კისერზე არიან. მოდი და გავათავისუფლოთ უქნარები, ბეჯით ყმებსაც შეუმსუბუქებთ შრომას და ჩვენც მოგვემატება მეთქი შემოსავალი". როსტომი ერთხანს ჩაფიქრდა და მერე იფეთქა: „ეგღა აკლია როსტომ წერეთელს ყმები გაათავისუფლოს. კარგია შენს რჩევას აჰყვეს კაცი და"...[45]

სხვიტორელი გლეხების მოგონებით, აკაკის გლეხობა ძალიან უყვარდა, მათ მხარეზე იყო და ამიტომ თავადებს ათვალწუნებული ჰყავდათ. „როცა თავდახსნაზე იყო საქმე *ჭილაძეები* – ვალდებული გლეხები – მივიდნენ მასთან და სთხოვეს თავი დაგვახსნევინეო. მან უპასუხა: ჩემთვის ყველა თავდახსნილია, არავის არაფერს არ ვთხოვო. გლეხებმა უთხრეს: ჩვენ ეგ არ გვჭირიაო, ჩვენ გვინდა საბუთები, რომ ამით დამშვიდებული ვიყოთ, ან რაც გნებავთ გადაგვახდევინეთო. აკაკიმ უთხრა, თქვენ მხოლოდ საბუთის შედგენის საფასური მიეცით და თავისუფალი ხართო და, მართლაც გაათავისუფლა". აკაკის უყვარდა გლეხებთან საუბარი, განსაკუთრებით აფასებდა ძველ გლეხებს, მოლექსეებს, ძველი ამბების მომსწრეებს. მიიყვანდა მათ და აამბობინებდა ხოლმე. ერთ-ერთი ასეთი მელექსე ყოფილა კორბოულელი *ტალახაძე,* რომლისგანაც აკაკიმ ბევრი ლექსი ჩაიწერა[46]. აკაკის უსაზღვრო კეთილმოყვარეობაზე, გლეხებისადმი კეთილ დამოკიდებულებაზე საუბრობენ თავის მოგონებებში სხვა სხვიტორელი გლეხებიც. აკაკიმ ერთი შემთხვევის გამო (გრიგოლ წერეთელმა საირხელი გლეხის *იაკობიძის* ქალი შეირთო ცოლად, რისთვისაც ნათესავები გაურისხდნენ და სახლში აღარ მიიღეს) წერეთლებს მკაცრად, გაცხარებითაც კი მიმართა: „ისეთი დრო მოვა, რომ გლეხს იქით შეეხვეწებით, ჩემი შვილი შეირთე და შეინახე, პური აჭამეო"[47].

საიუბილეო თარიღიდან ერთი წლის შემდეგ, პოეტი მუხიანში მიიწვიეს. აქ რამდენიმე სოფელს მოეყარა თავი და აკაკის დიდი ზეიმით შეხვდნენ. ზეიმი სკოლის დარბაზში გადაიხადეს, ზეიმის შემდეგ კი სტუმრები სუფრაზე მიიწვიეს. „სუფრას, როგორც იტყვიან, ჩიტის რძეც არ აკლდა, მაგრამ აკაკი ამით არ

დაკმაყოფილდა და მჭადი და ლობიო მოითხოვა. გლეხები სახტად დარჩნენ. აკაკიმ კი თქვა: „მე გლეხის ოჯახში გავიზარდე და გლეხებთან ერთად მჭადი და ლობიოც ისე შემიყვარდა, რომ უიმისოდ გლეხის სუფრა ვერ წარმომიდგენიაო". აფრინეს კაცი სოფელში და მოატანინეს მჭადი და ლობიო. აკაკიმ ჯერ ის მიირთვა და შემდეგ კი გოჭსა და ქათამს შეექცა"[48].

მიუხედავად ყოველივე ზემოთ აღნიშნულისა, საინტერესოა, როგორ ჰყავდა აკაკის წარმოდგენილი გლეხობა, მისი ადგილი და მნიშვნელობა იმდროინდელ საზოგადოებაში? 1911 წელს, წინანდალში, გლეხობის წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში, პოეტი ამ საზოგადოებას ადარებს ხეს, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება: 1. ფესვებისაგან, რომლებიც ღრმად არიან მიწაში ჩაფლული და არ ჩანან; 2. ღეროსაგან, რომელნიც ამ ფესვებიდან არის ამონაყარი და 3. სათავეში ამ ღეროზე გადაშლილი შტოებისაგან. „ეს სამი ნაწილი ერთმანეთზე გადაბმული, შეადგენენ ერთ ხეს" და ამ სამთაგან ცალ-ცალკე, ერთმანეთის გარეშე ვერც ერთი ვერ იარსებებენ. მისი აზრით, „ესეთივეა *ეროვნების ხეც*". მასში გლეხობა წარმოდგენილია როგორც *ეროვნების ფესვები,* რომლებიც მშობლიურ მიწაში ღრმად არიან გასულნი, თავისი დიდი, მაგრამ უჩინარი შრომით საზრდოს და სიცოცხლეს აძლევენ ერს. შუათანა და მაღალი წოდებაც გლეხობაა ამ ფესვებზე ამონაყარი და ნაზარდი. ამიტომ ისინი უერთმანეთოდ არ ვარგიან. „თქვენს ერთ მთლიანობას სამივე ნაწილი შეადგენს, მიმართავს ის გლეხობას, და ამიტომაც მტკიცედ უნდა იყოს ერთმანეთთან შეკავშირებული *„ძმობით"*, *„ერთობით"* და *„სიყვარულით"* და არა ერთი მეორის მტრობით, დაუნდობლობით და მედიდურობით... როგორც ხეს შტოები და ღეროები ეჭირვება, ისე ხალხსაც წოდება, მაგრამ წოდება შეგნებული და არა შეუგნებელი... ნუ დაგავიწყდებათ, რომ ფესვები საქართველოს ეროვნების თქვენ ხართ და წოდებანი კი თქვენზე ამონაყარი თქვენვე"[49].

ამ აზრს აკაკი წერეთელი სხვა პუბლიკაციაშიც იმეორებს[50]. ზემოთ გამოთქმულ დებულებასთან ერთად, ძველ თავად-აზნაურობას ორ ნაწილად ჰყოფს: 1. *დიდებულ – ერის თავებად,* რომელთაც ქართველობა და მთელი საქართველო მათ სარჩო-საბადებლად ეგონათ გაჩენილი და 2. *დაბალ ანუ სოფლის თავად-აზნაურობად,* რომელთაც, გლეხობასთან ერთად, სული ახსოვდათ და ეროვნებაც სარწმუნოება ეგონათ.

თავის ორივე პუბლიკაციაში აკაკი შეეხო მეტად მნიშვნელოვან პრობლემას – *„ერის" განსაზღვრის საკითხს.* აქ ჩვენ მხედველობაში არ გვაქვს, ეს ინტერპრეტაცია მეცნიერული თვალსაზრისით მისაღებია თუ არა. როგორც პოეტი აღნიშნავს, „დღეს სულ სხვა თვალით უყურებენ ეროვნებას: *სამშობლო მიწა-წყალი, ენა, ისტორია და ერთნაირი თავგადასავალი და არა სარწმუნოება ქმნის ერს*". ეს არის იმ პერიოდში ერის, ეთნოსის განსაზღვრების ძირითადი კომპონენტები, რასაც პოეტი არ ეთანხმება. ის *ერის ამ განსაზღვრებაში რელიგიის უარყოფის წინააღმდეგია* და არც იმათ ამართლებს, ვინც ეროვნებას და სარწმუნოებას ერთმანეთში აიგივებს. ის ეროვნებას ადარებს ხეს, ეს არის *„ეროვნების ხე"*, თავისი ურღვევი, სოციალური იერარქიული კიბით[51].

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ აკაკი წერეთელი იყო გლეხობის ქომაგი, მათი ინტერესების დამცველი, გლეხობა მიაჩნდა ერის ფუძედ, ერის მაცოცხლებელ მთავარ არტერიად, იცოდა, რომ „მიწა იმას უნდა ჰქონ-

დეს, ვინც მას ამუშავებს"[52], ის სოციალური წყობა, რომელშიც მოღვაწეობდა, მისი დროის იერარქიული კიბე ხელუხლებელი რჩება. ორიგინალობა რომ არ გამოგვივიდეს, დავესესხებით კვლავ *არტურ ლაისტს*, პიროვნებას, რომელიც უცხო თვალით ობიექტურად აფასებდა იმ დროს საქართველოში მიმდინარე პროცესებს და ჩვენს სათაყვანებელ მოღვაწეებს: „ფეოდალად შობილმა ახალგაზრდობიდანვე მოიშორა თავადური შეხედულებები, გლეხებს იცავდა მემამულეთა უსამართლობისაგან, მაგრამ გრძნობებითა და ჩვეულებებით მთლიანად ვერ გათავისუფლებულიყო თავისი ოჯახის პირველი გავლენისაგან"[53].

*აკაკი წერეთლის* ცხოვრებისა და შემოქმედების ეს მხარე, მისი აზრები და შეხედულებები საზოგადოებრივ ყოფაზე, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, კვლავ არტურ ლაისტის სიტყვებით გვინდა დავასრულოთ: „აკაკი თვითმპყრობელი მეუფე იყო პოეზიის ხელოვნების სამკვიდროში... აკაკიმ თავის ხალხს მისცა დიდი და მრავალრიცხოვანი განძი. წაართვით საქართველოს აკაკი და... დარჩება ლირიკის ადგილი, რომელიც ალბათ დიდხანს ვერ შეივსება... აკაკი არა მარტო სილამაზისა და სიყვარულის მგოსანი იყო, არამედ დაბეჩავებულთა, დამცირებულთა და შეურაცხყოფილ ძმათა მეგობარიც. იგი მეხად ევლინებოდა ფარისევლებს, მჩაგვრელებს და კაცობრიობის სხვა მტრებს, გესლიანი დაცინვით ამათრახებდა მათ. აკაკის თავის თხზულებებში დროშასავით მაღლა ეჭირა ზნეობრივი მხარე, ამით ის კიდევ უფრო მტკიცედ დარჩება თავისი ხალხის ხსოვნაში"[54].

როგორც აღვნიშნეთ, აკაკის დიდი საზრუნავი იყო ხალხური შემოქმედება. იგი ოცნებობდა დაარსებულიყო ისეთი ორგანიზაცია, რომელიც მთელ საქართველოში შეაგროვებდა და დაკარგვას გადაარჩენდა ქართულ საუნჯეს. ამიტომ დიდი იმედები დაამყარა 1907 წელს *ექვთიმე თაყაიშვილის* მიერ დაარსებულ *საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაზე*. პოეტს ხალხურ შემოქმედებასთან ერთად მხედველობაში ჰქონდა ეთნოგრაფიული მასალაც.

საუბრებში აკაკის ყურადღების სფეროში იყო მოქცეული მუსიკალური ფოლკლორი, ქართული ხალხური სიმღერები, გალობა, მუსიკალური საკრავები: ჩონგური, სალამური და ა.შ. მისი სიტყვით, „როგორც ხალხის ყოველგვარი ზეპირსიტყვაობა, მაგალითად: ზღაპარი, შაირი, გამოცანები და სხვანი, ისე სიმღერაც შეადგენს მის უტყუარ ისტორიას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველები არიან ჭკუა-გონების ნაჭადრაკები და მეორე კი გულითადი აღსარება და წრფელი მოთხრობა ხალხის თავგადასავალით"[55]. ასევე ცალკე წერილი უძღვნა პოეტმა ქართულ გალობას, გალობის აღდგენის საკითხს[56]. მისი ყურადღების სფეროში ექცევა ხალხური მედიცინა. წინათ თურმე, აღნიშნავდა პოეტი, ბევრი გვყოლია ნამდვილი ექიმები, რომლებიც მკურნალობდნენ სხვადასხვა ბალახეულით, თაფლით, ირმის ქონით, ნადირის, ცხოველის ნაღველით და ა.შ. „ძველ საქართველოში გავრცელებული ყოფილა უტყუარი და ნამდვილი მკურნალობა სიმღერით, გალობით, ნანინით, ჩონგურით, რითაც ამისი სპეციალური მცოდნე პირები კურნავდნენ თურმე მრავალნაირ ავადმყოფობას"[57].

ამგვარად, აკაკის სურვილი იყო შეეკრიბათ ხალხურ მედიცინასთან დაკავშირებული მასალა და სათანადო შესწავლის შემდეგ იგი პრაქტიკაშიც დანერგილიყო.

რამდენადაც სულიერ კულტურას შევეხეთ, ამ მხრივ საინტერესოა აკაკის მიერ აღწერილი რიტუალები: „*მოთქმით ტირილი*“ და სამეგრელოში ფიქსირებული „*მკვდრის სულის მოძებნა*“, „*ნადირის პირის შეკვრა*“[58].

აკაკი წერეთელი რომ ხალხური შემოქმედებიდან ეთნოგრაფიულ მასალას არ გამოჰყოფდა და ეს ორი სფერო ერთ მთლიანობაში ჰქონდა წარმოდგენილი, ჩანს მის მიერ ჯერ კიდევ 1895 წელს შედგენილ პროგრამაში, თუ როგორ უნდა შევკრიბოთ ზეპირგადმოცემები. ამ პროგრამას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და ამიტომ საჭიროდ ვცანით მისი მოტანა: „ანზე ვისი ყმა ხარ?“, „აჩიტი“, „ბერი ჩამოხტა“ და სხვანი. ამ „ბერი ჩამოხტას“ კვალობაზეა შედგენილი იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“. ჩვენც სწორედ ამგვარსავე გზას უნდა დავადგეთ და სიტყვიერი სათამაშოები გავახორციელოთ. ...არჩეულ პირებს, ...უნდა დაევალოს... „*ბერი ჩამოხტასავით*“ გაიარონ თავისი მაზრა, ანუ ხეობა სოფლითი-სოფლით. აგვიწერონ: რა გვარის კაცები ცხოვრობენ ამადა-ამ სოფელში და ან რა თქმულობაა დარჩენილი მათში იმათ ძველებზე? დაგვისახელონ, რა და რა ფრინველები, ანუ მხეცები შენობენ იქ? რა და რა მცენარე ბალახები იზრდებიან და რა თვისებებისა არიან ზოგიერთი მათგანი? რომელი მათგანი გამოდგება საღებავათ, საწამლავათ, სამკურნალოთ და სხვანი? რამდენი ნანგრევი ციხე-კოშკ-დარბაზ-ტაძრებია და რა არის მათზე თქმულობა? რა და რა მდინარენი ჩამოდიან, ტბები თუ აქვს? წყაროები, ღელეები და სხვანი? შეკრიბონ აქ ზეპირ-გადმონაცემების ყოველგვარი ზღაპრები, შაირები, ლექსები, ანდაზები, აფორიზმები და სხვანი. აგრეთვე ყოველი სიტყვა, რომელიც ეუცხოვოსთ, ისიც ჩაწერონ და მისი მნიშვნელობა გამოჰკითხონ ხალხს. შემკრებელმა, რასაკვირველია, უნდა უმეტ-ნაკლებოთ ჩაწეროს, გაიგონოს, ე.ი. ფონოგრაფიულათ: დაესწროს ხოლმე სოფლის ჭირში და ლხინში, რომ მათი ხასიათი და ზნე შეისწავლოს და აგვიწეროს. ერთ სოფელს რომ მორჩება, მერე მეორეში გადავიდეს და ამგვარათ მოიაროს ერთიმეორეზედ მისი მაზრა, ან ხეობა“ და საბოლოო შეგონება – შემკრებმა მასალას საკუთარი ფანტაზია არ უნდა წაამატოს. შემდეგ მგოსანი გვთავაზობს საკუთარ გამოცდილებას, რომ ამ 20-30 წლის წინათ, ე.ი. 60-70-იან წლებში, თავად დადიოდა სოფლიდან სოფელში და ბევრი რამ საინტერესო ნახა და გაიგონა. ამასთან დაკავშირებით, გვთავაზობს უაღრესად საინტერესო ეთნოგრაფიულ მასალას, რომლის უშუალო მხილველიც თავად იყო: „ავიღოთ მაგალითად: სვანეთში მოსახლეები კოშკებში დგანან და თითო სახლში ხშირად მთელი გვარეულობა არის მოთავსებული, ასე რომ, თუმცა ერთი კაცის ჩამომავალნი არიან, მაგრამ მათში თითქმის ნათესაობაც აღარ არის. ერთი დედ-მამის შვილი ერთმანეთში ძმებად იწოდებიან და სხვებთან კი ძმანებათ. აი, საიდან წამომდგარა მრავლობითი რიცხვის კიდევ განმეორებული რიცხვი!.. რასაკვირველია, რომ ამ ძმებსა და ძმანებს ასე სწამთ ერთმანეთში ნათესაობა, რომ მისი გატეხა მომაკვდინებელ ცოდვათ მიაჩნიათ“[59].

უეჭველია, ამ მასალაში სახეზე გვაქვს სვანური კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსი, რომელშიც დიდი ოჯახი ცხოვრობდა – ერთი წინაპრის შთამომავალი ნათესაობის გარკვეული წრე, რომელიც რამდენიმე თაობის წარმომადგენლებს, „*ძმებსა*“ და „*ძმანებს*“ აერთიანებდა. ასეთი ოჯახები აღნიშნული პერიოდისათვის სვანეთში მრავლად ყოფილა შემორჩენილი. ბუნებრივია, ნათე-

საობის ამ წრეში დაცული იყო ყოველგვარი ზნეობრივი სიწმინდე და შებილწვის უფლებას არავის მიცემდნენ, რჯულის გამტეხელს არ აპატიებდა არც კაცი და არც ღმერთი. პოეტიც სწორედ ამ დეტალს უსვამს ხაზს და მოაქვს მეტად საინტერესო გადმოცემა: ერთ სერზე პოეტის თანამგზავრმა სვანმა ქუდი მოიხადა და სთქვა, „ღმერთო შეუნდეო“, შემდეგ კი მგოსანს ერთ პატარა ჩავარდნილ ადგილზე მიუთითა და განუმარტა: ეს სერი ჰყოფს საბატონო და თავისუფალ სვანებს. აქედან ორივე მხარე კარგად ჩანს. ერთ დილით საბატონოდან ამოსულიყო გოგო, გადაუხედავს და უთქვამს, „რა კარგი რამ არის თავისუფალი სვანეთიო“. ამავე დროს მეორე მხრიდან მოსულა ვაჟი, გადაუხედავს და ასეთივე მოწონება გამოუხატავს საბატონო სვანეთზე. ახალგაზრდებს მოსწონებიათ, ცოლ-ქმრობის პირობა დაუდევთ და შემცდარან, მაგრამ მაშინვე მიწა გამსკდარა და ორივე შიგ ჩავარდნილან. თურმე, განაგრძობს თხრობას სვანი, ერთ-ერთი მათგანი ტყვეთ ყოფილა წამოყვანილი, ახალგაზრდები ერთმანეთს არ იცნობდნენ და სინამდვილეში კი და-ძმანი ყოფილან. ბუნებამ არ აპატია მათ ეს შეცოდება და იმ ადგილს ვერც ერთი სვანი ვერ აუვლის გვერდს ისე, რომ შენდობა არ გამოსთხოვოს[60].

როგორც აღვნიშნეთ, აკაკი სწორედ ამ ზნეობრივ სიწმინდეზე ამახვილებს ყურადღებას და მასში, რჯულის გაუტეხლობაში სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციებიც აქვს ჩართული. ამიტომაც ავლებს პარალელს აფხაზეთთან და თავის მხრივ გვთავაზობს გადმოცემას, რომელიც ინტერესს იწვევს ქართულ-აფხაზური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის თვალსაზრისითაც: „აფხაზეთში ერთ ნამოსახლარზე ვინც გაივლის, დიდი და პატარა – ყველა ფიჩხს დააგდებს და როდესაც შეგროვდება, მერე ნაუკიდებენ ცეცხლს და დაწვენ ხოლმე. ეს ჩვეულება ჯერეც კიდევ არ გადავარდნილა. ამბობენ, აქ ერთი მოსახლე იყო, რომელმაც ზამთარში გაყინული მგზავრი შინ არ შეუშვა და სტუმრობის გატეხისათვის ასე უნდა იყოს ხოლმე შეჩვენებული, რომ საიქიოს ცეცხლი არ გამოელიოს“[61]. აი, ყოველივე ასეთი გადმოცემები რომ შეიკრიბება, არწმუნებს ახალგაზრდობას პოეტი, მაშინ გავიცნობთ ჩვენი ქვეყნის ფასს და ჩვენ ფასსაც.

დასაფლავების რიტუალთან დაკავშირებით, პოეტი ეხება მკვდრის „*გადასახურავს*“, რაც მის დროს ხდებოდა პურ-ღვინით, ხორაგით და ფულითაც, რასაც ოჯახი მძიმე მდგომარეობიდან გამოჰყავდა. დატირებისას, რომლის დროსაც ტყუილის თქმა ცოდვად ითვლებოდა, იგონებდნენ გარდაცვლილის მიერ ჩადენილ ვაჟკაცობას, სტუმართმოყვარეობას, ქველმოქმედებას და სხვა, რაც ჭირისუფლების გულს სიამოვნებით ხვდებოდა. გარდა ამისა, ასეთი დადებითი მხარეების ხმამაღლა გამომზეურება სხვა მსმენელებისთვისაც სამაგალითო იყო – ცხოვრებაში ყველას უნდა დაეტოვებია კვალი ნათელი, რითაც მისი ოჯახი, ნათესაობა იამაყებდა და გარდაცვალებულს საქვეყნოდ დაიტირებდნენ. ეს ჩვეულება, პოეტის აზრით, უხსოვარი დროიდან არის შემოტანილი. და ამის საბუთად პარალელს ავლებს *ჰომეროსის „ილიადასთან“*, თუ როგორ ტირიან *ჰექტორს*, „გეგონება საქართველოს მოთქმით ტირილიაო“. საბოლოოდ პოეტი დაასკვნის, რომ ეს ჩვეულება – *„მოთქმით ტირილი“* ადრე აზრიანი და მოსაწონი ყოფილა, მაგრამ „როგორც სხვა ჩვეულებებმა, ისე ამანაც დაჰკარგა დღეს თავისი ხასიათი“. მას მხოლოდ გარეგნული ფორმა შერჩა, შინაარსი კი

მიცვალებულის შეურაცხყოფაა, რადგან მოტირალები ბევრ ტყუილ შესხმას იგონებენ, ტირილის დროს აქტიორობენ და ა.შ., რითაც ეს ჩინებული რიტუალი მასხარაობად გადააქციეს. ამის სამაგალითოდ მოტანილია რამდენიმე მაგალითი, რომელთაც პოეტი თავად დაესწრო. ამგვარად, პოეტი ძველი ქართული ტრადიციების შერყვნის წინააღმდეგია, მოითხოვს მათი სიწმინდის დაცვას[62].

*„მკვდრის სულის მოძებნა“* პოეტს ფიქსირებული აქვს 1874 წელს, სამეგრელოს ერთ სოფელში, რასაც მდიდარი ოჯახები ასრულებდნენ მიცვალებულის დასაფლავებიდან ერთი წლის შემდეგ, ხოლო ღარიბი ოჯახები – ოთხი წლის შემდეგ. „დაფინეს საფლავზე ნიშანი, მოგვითხრობს პოეტი, იტირეს დილიდან შუადღემდე ძველი მკვდარი, შემდეგ მობრუნდნენ ოჯახში და უწყალოდ დასწყვიტეს პირუტყვები. რადგანაც მიცვალებული ქალი იყო, ამისთვის მხოლოდ დედლები, ნეზვები და ძროხები დაუკლეს. თუ კაცი ყოფილიყო, მაშინ კი მამლებს, ვერძებს და ხარებს დაუკლავდნენ, სქესის მიხედვით“. შემდეგ აღწერილია, თუ რა ხდებოდა სუფრაზე – მღვდლის უსაზღვრო სიხარბე და გაუმაძღრობა, ჯერ სუფრაზე და რასაც შეძლებდა, სახლში უნდა წაეღო; ხალხის უთავბოლო ღრეობა და ა.შ. ყოველივე ეს პოეტს მიაჩნია რომელიღაც რელიგიის მავნე გადმონაშთად, რომელიც ჩვენი ყოფისათვის შეუთავსებელია და თავიდან უნდა მოვიცილოთ. აქვე აღწერილია *„ნადირის პირის შეკვრასთან“* დაკავშირებული რიტუალი, თუ როგორ შეუბორკავენ ფეხებს ოთხფეხ სკამს და იტყვიან ლოცვას, რომ ამით ხელ-ფეხი შეეკრას ქურდსა და ნადირს, გამოეცალოსთ ძალა, რათა უვნებლად დაბრუნდეს ღამე გარეთ დარჩენილი საქონელი. მოტანილია ლოცვის სრული ტექსტი, რაც, ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, საინტერესოა. მგოსანს კი ამის არ სჯერა და ეს შემორჩენილი წესიც მოქცეული აქვს გადმონაშთების იმ რიგში, რომლის რწმენა არ შეიძლება და აქედან გამომდინარე, მისი შესრულებაც ზედმეტია[63].

ამგვარად, *აკაკი წერეთელი* გზას უხსნის ქართულ ტრადიციებს, მაგალითად ხალხურ მედიცინაში, მუსიკალურ ფოლკლორში. მოითხოვს მათ შეკრებას, მეცნიერულ დონეზე შესწავლას და პრაქტიკაში დანერგვას. ამასთან ერთად, მოუწოდებს ხალხს დასძლიონ მავნე გადმონაშთები, რომლებიც ჩვენს საზოგადოებრივ ყოფაში არავითარ ფუნქციას აღარ ასრულებენ, პირიქით, ისინი მათ ზიანს აყენებენ და შეურაცხყოფენ მიცვალებულს. ეთნოგრაფიულ ყოფასთან დაკავშირებით, პოეტის მთავარი პრობლემაა ტრადიცია და თანამედროვეობა. ამ მხრივ საინტერესოა მისი პოემა *„რაჭა-ლეჩხუმი“*. მართალია, რაჭველებმა პოეტს არნახული შეხვედრა მოუწყვეს, მაგრამ მისთვის არ უღალატნია ზომიერების გრძნობას. ამიტომ საინტერესოა, როგორ აღიქვა მან რაჭა და რაჭველები: „კაცები თვალტანადები, ქალები მშვენიერია“, ხალხია შეუპოვარი, მარჯვე, გულ-გაუტეხელი, ფუტკარივით მშრომელი. და აქ ბუნებრივად შეეხო მიგრაციებს, გარე სამუშაოებზე გასვლას და აღნიშნავს, რომ შინ შრომობენ შეძლებისდაგვარად და აქტიურად გადიან გარე სამუშაოებზე ან სავაჭროდ. პოეტისთვის მთავარი იყო, რომ ამ პროცესებთან დაკავშირებით, რაჭველი მუდმივად კი არ რჩებოდა სადმე საცხოვრებლად, არამედ ყველა მონაგები, რაშიც არაფერი იყო ნაუკუღმართევი, შინ მოჰქონდა, წმინდად ახმარდა კერას. საეროს ვერ ახმარდნენ, საღმრთოს კი ღვთისთვის ინახავდნენ. დაბოლოს, ტრადიციებთან დაკავშირებით, – განურჩევლად წოდებისა, სქესისა და ასაკი-

სა, იყვნენ ძველი წესების მიმყოლი; არ კარგავდნენ მამაპაპისეულ ტრადიციებს, მას, რაც მამა-პაპას კარგი ჰქონდათ, არ ივიწყებდნენ, რაც ძველებზე კარგი გაეგონათ. „რაც მიუდგება მომავალს, მას აფასებენ დიდადა და წარსულს, როგორც საფუძველს, უდებენ გზად და ხიდადა"[64].

აი, რა არის მთავარი აკაკისათვის ძველ წეს-ჩვეულებებში, ძველი პროგრესული ტრადიციები გზად და ხიდად დაედოს მომავალს. ამიტომაც ვერ იტანდა ტრადიციების დამახინჯებას, მათ შებილწვას.

პოეტი გვასწავლის, რომ „ყოველგვარი ჩვეულება, რაც კი საუკუნოების განმავლობაში კანონიერად შესისხლ-ხორცებია ხალხს, – რთულია და მისი ცალ-გვერდად შეხება შეცდომაა, ყველაზე უფრო საფრთხილო კი რჯულია, გინდა უგნურებითაც იყოს შექერჭრელებული. საერთო ჩვეულებას, როგორც მოვლინებას, ისე გადაკვეთასაც (გადავლინებას) თავისი კანონი აქვს; მათი ხელის-შეწყობა, ანუ ხელის-შეშლა მხოლოდ ბრძნულ წინდახედულობას შეუძლია და მაშინაც კიდევ დიდი დრო ეჭირვება!.. უცბად, სხარტად მისი გამოწვევა, ან გაქრობა არც ბრძანებით და არც ვედრებით არ მოხერხდება...

ჩვენებური მოთქმით, განაგრძობს თხრობას პოეტი, ზარით და ასაბით ტირილის შესახებ ბევრჯელ გამოგვითქვამს ჩვენც ჩვენი აზრი და, რაც კი დროის შეუფერებლად და ფარისევლურ გადაჭარბებად დაგვინახავს დაგვიგმია!.. თვით ძირეულ ჩვეულების წინააღმდეგი არასოდეს ვყოფილვარ; მაგრამ რაც კი ზედმეტად დაქერწლებია, ის ადრეც დაგვიწუნებია და ახლაც უარსვყოფთ"[65]. პოეტი კვლავ ეხება, თუ როგორ არის შემღვრეული ჩვენებური მოთქმით და ზარით ტირილის ტრადიციები. ამის აღწერა ამჯერად შორს წაგვიყვანს, ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ ზოგიერთ მომენტზე:

პოეტი მომხრეა ნათესავებმა და ახლობლებმა ეკონომიური დახმარება გაუწიონ გარდაცვლილის ოჯახს.

მომტირალებს წინ მიუძღოდნენ მოზარდები და გულსაკლავად გალობდნენ „ვაი-ვაის" ხმაზე.

მოთქმით ტირილის დროს „აშვებულ" ზარს „დააბამდნენ", ე.ი. შეწყვეტდნენ გალობას, რომ მომტირლის „სათვალავი" (მისი სიტყვები) არ დაკარგულიყო და ყველას გაეგონა, ამ დროს საჯაროდ გამოთქვამდნენ გარდაცვლილის კაიკაცობას. პოეტი მიუთითებს „*ილიადა ზე*" და აინტერესებს მოთქმითა და ზარით ტირილის ეს ტრადიცია ჩვენ გადმოვიღეთ ბერძნებისაგან, თუ ბერძნებმა გადაიღეს ჩვენგან, „მაგრამ ერთი და იგივე კი ყოფილა".

ზარით ტირილთან დაკავშირებით: „*ზორვა*" ნიშნავდა ძველად კერპთმსახურებას. „*მზორველებად*" იწოდებოდნენ კერპთ მღვდელნი და „*ზარი*" ერქვა მსხვერპლის შეწირვის დროს საგალობელს. – კერპობის დროს საგალობლები, მაგალითად, „*მზეშინა*", „*ოდილა*", „*ოშავდილა*", „*თინა*" და სხვანი ყველა დღემდისაც დარჩენილა ჩვენ ხალხში, მაგრამ სამლოცველო, საგალობელი ხასიათი დაუკარგავთ და გადაცვლილან საერო საფუნდუკო სიმღერებად".

სხვა შემთხვევაში პოეტი განმარტავს, რომ ჩვენში „*კაბდელებს*" ეძახდნენ მღვდლებს „*კერპის*" დროს (ლოცვის დროს). „*ზორვის*" დროს, ე.ი. „*კმევის*" დროს გალობდნენ და აქედან წარმოსდგა ჩვენებური სიტყვა „*ზარი*" და „*კაბლური*", „რომელსაც დღესაც კიდევ აქა-იქ სამეგრელოში მღერიან".

იმერეთში ასე არის: მთელი სოფელი მონაწილეობს თითოეულის ჭირსა და ლხინში. რომ ვინმე მოკვდება გლეხობაში, ყველა გლეხი ვალდებულია ძღვენით ან გადასახურავით მივიდეს. თან მიაქვს: ცხრა პური, დოქი ღვინო, ერთი დედალი და აბაზი ფულად. ვისაც ეს არ შეუძლია, შრომით იხდის თავის ვალს. „ეს ისეთი წესი და წყობილებაა, რომ ამაზე უკეთესს ჩვენ დღეს ვეღარას გამოვიგონებთ".

იმერეთში მიცვალებული, ქრისტიანული წესით სამ დღეში უნდა დამარხულიყო. დაკრძალვა სამ დღეს არ უნდა გადაცილებულიყო. პოეტი არც ასეთი შეზღუდვის მომხრეა, უახლოესმა პირებმა, რომლებიც შორს არიან, უნდა მოასწრონ მისვლა და გამოტირება[66].

როგორც ვხედავთ, აკაკი წერეთელი იზიარებს ჯანსაღ, ძირძველ ტრადიციებს, მოითხოვს მათ მიმართ სათუთ მოპყრობას და დაცვას, ვერ იტანს მათდამი უხეშ ხელყოფას, დამახინჯებას. ერთ-ერთ თავის წერილში აღნიშნავს: „განა ოდესმე ქართველი ისე დაიმარხებოდა, რომ ხალხი მოწვეული არ ყოფილიყო და მიცვალებულის შესანდობარი არ დაელიათ? ...მინდოდა მენახა სოფლელები, ის გლეხობა, რომლისთვისაც მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში გული მიცემდა, ჩვეულებრივად, მამა-პაპურათ ეკლესიის გალავანში, წმინდა ტაძრის ირგვლივ, ფეხ-მორთხმით მჯდომარე რომ შეუდგებოდენ სადილის ჭამას: ჯერ პირჯვარს გადაიწერდნენ, დაბებერავებული ხელით აიღებდენ ხმიადს, ემთხვეოდენ, გასტეხდენ მოწიწებით, მიიღებენ როგორც ზიარებას, ავსებულ სასმისს თავს წაუქცევდნენ ჩემის სულის შესანდობართ პურზევე და წმინდის გულით კურთხევას შემომითვლიდნენ... ნასადილევს დაბრუნდებოდენ შინ, მიუჯდებოდენ გახურებულ კერას, გარს ცოლ-შვილს შემოიხვევდნენ და დაიწყებდენ ჩემზე საუბარს"[67].

ეს იყო პოეტის სურვილი, მისი გულისთქმა, რომელშიც ნაჩვენებია ტრადიციული რიტუალის ერთი ელემენტი.

1907 წელს ცნობილმა ექიმმა და მწერალ-პუბლიცისტმა *ივანე გომართელმა* გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც აღნიშნავდა ფეოდალურ საქართველოში პირველი ღამის უფლების არსებობაზე, რამაც აკაკი აღაშფოთა და მკაცრად უპასუხა. პოეტზე ამ ფაქტის გამომზეურებამ იმდენად იმოქმედა, რომ წონასწორობაც კი დაჰკარგა, აღნიშნავს, რომ ქართული სამართლის წყაროებში ეს არსად არ არის ნაჩვენები, ე.ი. არ ყოფილა ხალხის ზნესა და ჩვეულებაში გადასული და ადათად ქცეული, რაც შეეხება სოფლურ უხერხულ მითქმა-მოთქმას, ან „ბატონყმობის მომსწრე მოხუცებულებისაგან გამიგონია და სალომემაც მითხრაო", იურიდიულ მასალად ვერ გამოდგება. ისტორიულ წარსულში ასეთი რამ არ შეიძლებოდა მომხდარიყო და ი. გომართელი მხოლოდ გუშინდელ ამბებს ჰყვება[68].

აკაკი წერეთლისათვის, რომელიც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ხალხის ზნეობრივი სიწმინდის დაცვას ემსახურებოდა, ამ სიწმინდის დანერგვისთვის იღვწოდა, მიუღებელი იყო ისეთი ფაქტების გამომზეურება, რაზედაც გვქონდა საუბარი, თუმცა ამ ფაქტების არსებობას ვერც თავად უარყოფს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქართულ ყოფაში შემოსული ეს მახინჯი ფორმა სამარცხვინო ბოძზე გააკრა ილია ჭავჭავაძემ თავის *„გლახის ნაამბობში"*. ამასვე პასუხობს *ი.გომართელიც*: მართალია, ჩვენში ეს დაკანონებუ-

ლი არ ყოფილა, მაგრამ ამის ფაქტებს რომ ადგილი ჰქონდა, ამის უარყოფა არ შეიძლება. „ბატონყმობა ისეთი საშინელი და უსამართლო ინსტიტუტი იყო, რომ ყოველგვარი ბოროტება შეიძლება აყვავებულიყო მის ნიადაგზე: გარდა ამისა, ბატონ-ყმობის დაგმობა-ძაგება სრულიადაც არ ნიშნავს მთელი ჩვენი წარსულის უარყოფას და ახლანდელ ჩვენ პოლიტიკურ მდგომარეობის გამწვავებასაც არ მოასწავებს“[69].

ი. გომართელთან პოლემიკაში აკაკის მოჰყავს მაგალითი, რომელიც ადასტურებს გომართელის პოზიციას და, ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, მეტად საინტერესო გვეჩვენება. აკაკისთვის აქ ერთი რამ არის მთავარი, რომ ასეთი რამ ადრე არასოდეს მომხდარა, არ გაგონილა, და თუ სადმე რომელიმე უწმინდურმა ასეთი რამ ჩაიდინა, ამის განზოგადება არ შეიძლება. ეს კი ფაქტია, გლეხობა თავიანთი ბატონის ყველა მოქმედებას ეჭვის თვალით უყურებდა, რაც ქვემოთ მოყვანილ ტექსტიდანაც ჩანს.

გახურებულ ბატონ-ყმობის დროს, მოგვითხრობს პოეტი, *სიკო წერეთელს* გლეხი გადაუშენდა და დარჩა მხოლოდ ერთი ათი წლის ქალი უპატრონოდ. მებატონემ ის ბავშვი მოახლედ გადმოიყვანა სასახლეში. ეს ეუცხოვა სოფელს, მიიხმეს სხვა სოფლებიც და ათასობით გლეხები ბერ-კეტებით მოადგნენ თავადის სასახლეს და მოიტაცეს ქალი. წერეთლებმა ეს მოქმედება გლეხების თავხედობად და გვარის შეურაცხყოფად მიიღეს, შეიკაზმენ, შეიარაღდენ და გამოუდგენ გლეხებს, დასწვდნენ ყვირილის პირად. იქ გლეხებმა იბრუნეს პირი და მოემზადნენ საჩხუბრად. „ბატონებო, ნუ იზამთ უსამართლობას, თორემ თავებს დავიხოცავთ! იმას ნუ ჩადიხართ, რაც არ გაგონილა ძველად: ობოლი სოფლისაა, სოფელი გამოზრდის და გაათხოვებს. ბატონს ნება არა აქვს, რომ მოჯალაბის შვილივით, მოახლედ სახლში გაიყვანოსო“[70].

აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს ქართული – იმერული ტრადიციული სოფელი, მისი სიმტკიცე და ერთიანობა. გლეხობამ კარგად იცოდა ძველი წეს-ჩვეულება და მისი დარღვევის უფლებას, სიცოცხლის ფასად, არავის მისცემდნენ. გლეხობა, სოფელი გაჭირვებაში ერთმანეთს ედგნენ გვერდში და წყლულებს უშუშებდნენ. ბატონებს კატეგორიულად უცხადებენ, რომ ობოლი სოფლისაა, სოფელმა უნდა გაზარდოს და გაათხოვოს. სოფლის ეს ერთიანობა, სიმტკიცე და თანადგომა, დღევანდელ პირობებშიც აქტუალურად ჟღერს.

აკაკი თავის მოგონებებში შთამბეჭდავად აგვიწერს ზემო იმერულ სოფელს, სოფლის ცხოვრების სურათებს, მატერიალური კულტურის ძეგლებს, საცხოვრებელ ნაგებობებს. პირველ რიგში ეხება სოფელ სხვიტორში, მდ. ჩიხურას პირას, მაღლობზე მდგარ წერეთლების ორსართულიან სასახლეს, სადაც თვითონ დაიბადა. ამ სასახლეს „სიმაღლე პატარა კოშკისა აქვს, სიგრძე დარბაზისა და სისქე – ციხის, მაგრამ არცერთ მათგანს კი არ ჰგავს“.

ამის ფონზე პოეტი იგონებს სოფელ სავანეში ძიძისეულ სახლს, სავანის ეკლესიის გვერდით მდგარ გლეხურ ღარიბულ ქოხს: „თვალწინ მიდგია ისლით გადახურული ხის სახლი წინა და უკანა კარებით, უფანჯრო-უსარკმლო, მხოლო ორი საკვამლურით, ანუ საფაფურით, საიდანაც კვამლი გადიოდა და სამაგიეროდ სინათლე შემოდიოდა. შუა კერაზე, მხარ-თეძოზე წამოწოლილი, დევივით იდგა დიდი, უზარმაზარი ჯირკვი და გაუსხლეტლად ზამთარ-ზაფხულ ცეცხლი გუზგუზებდა“[71].

როგორც ვხედავთ, XIX საუკუნეში, ზემო იმერეთის ბარის სოფლებში კიდევ იყო შემორჩენილი *კერის კულტი*. კერა არ უნდა გამქრალიყო, ეს იყო ოჯახის არსებობის, მისი სიცოცხლის სიმბოლო. ბუნებრივია, დაცული იქნებოდა მასთან დაკავშირებული რიტუალებიც.

გლეხის ოჯახს საქმე არ გამოელეოდა, ის სულ მოძრაობაში იყო. კაცები დილით ადრე მიდიოდნენ სამუშაოდ ყანაში, ტყეში და დაღამებამდე იშვიათად თუ დაბრუნდებოდნენ სახლში, სადილი და სამხარი მათ იქ მიუდიოდათ. ყანაში შრომის დროს მუშები მღეროდნენ. ქალები საოჯახო საქმეზე ტრიალებდნენ. მათ ხელში იყო საქონლის მოვლა, ფრინველების პატრონობა, სახლის დაგვა-დასუფთავება, სადილ-ვახშმის მომზადება და სხვა წვრილმანი საქმეები.

მოზარდი თაობა, ბავშვები ამ შრომის არა მარტო მეთვალყურენი იყვნენ, არამედ მასში უშუალო მონაწილეობასაც ღებულობდნენ, პატარაობიდანვე ერთვებოდნენ შრომით პროცესებში. მაგალითად, აკაკიმ ხუთი-ექვსი წლის ასაკში კარგად იცოდა, როგორ უნდოდა პირუტყვის ყურის გდება, ფრინველის მოვლა, სადილ-ვახშმის მომზადება, გაცრა-გამტკიცება, გამოცხობა, სხვადასხვა შეჭამანდის მომზადება; შესწავლილი ჰქონდა, როდის და როგორ უნდოდა ხვნა-თესვა, თოხნა, მკა, სხვლა და სხვა. როგორც პოეტი იგონებს, არ იცოდა მხოლოდ წინდა-პაიჭის ქსოვა და კერვა და ესეც იმიტომ, რომ ამბობდნენ: „ქალის *ხელსაქნარი* კაცისთვის დიდი ცოდვა არისო“. ეს უკანასკნელი წინადადება საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ გლეხის ოჯახში ყველა თაობის წარმომადგენელი შრომით პროცესებში იყო ჩართული და ყველა საქმე დიფერენცირებული იყო სქესობრივ-ასაკობრივი ნიშნის მიხედვით. იყო მთელი რიგი საქმეები, მათ შორის მატყლის ჩეჩვა, ქსოვა და კერვა – მხოლოდ ქალის *ხელსაქნარი* და მას ვაჟებს თავიდანვე არ მიაკარებდნენ, რადგან კაცისთვის მათი შესრულება ცოდვად ითვლებოდა.

ბუნებრივია, გლეხმა კარგად იცოდა, რომ ბავშვების შრომით პროცესებში ჩართვას გარკვეული ზომიერება სჭირდებოდა, ბავშვი თავის სათამაშოებთან ერთად, თამაშ-თამაშში უნდა აღზრდილიყო და თანდათანობით უნდა დაუფლებოდა საქალო თუ საკაცო ხელსაქნარს. რა იყო ბავშვების გასართობი? *დანასობია, კენჭაობა, ქორაობა, ბურთაობა, ტაფა-რიკაობა, ბატონობია.* ისინი დადიოდნენ სათევზაოდ, ყანაში, სადაც მუშები შრომობდნენ და მღეროდნენ, ტყეში, მინდორში მწყემსებთან და ა.შ. სათამაშოებს ბავშვები თავად აკეთებდნენ და ყოველგვარი ასეთი სათამაშო მათ ჭკუა-გონებას, სხეულს წვრთნიდა და ავარჯიშებდა, ბავშვებით თავის ნახელავს განსაკუთრებით უფრთხილდებოდნენ. პოეტის სიტყვით, ყმაწვილი, რომელიც სოფელში არ გაზრდილა, ბუნებისგან სრულიად მოწყვეტილია, მოკლებულია უპირველეს ბედნიერებას. ქალაქში გაზრდილი, გენიოსიც რომ იყოს, სიტყვით და ნახატებით ისე ვერ აღიქვამს, ვერ გაიცნობიერებს ბუნებას, მის მრავალფეროვნებას, ცხოვრების ხასიათს, როგორც ეს შეუძლია სოფელში გაზრდილს. აქ ყველაფერი – ცხოველი, ფრინველი, ყოველგვარი სულიერი შენს თვალწინ იბადება, იზრდება, ეცნობი მათ ზნესა და ხასიათს; ყველაფერი შენს თვალწინ იფურჩქნება, აყვავდება, მოაქვს ნაყოფი და კვდება. ყველა მათგანის ჭირისა და ლხინის მოზიარე ხარ და ამიტომაც ეთვისიანები მათ. პოეტი ყოველივე ამას დიდ აღმზრდელობით მნიშვნელობას ანიჭებს.

შემთხვევითი არ არის, რომ მწერალი *„ბაში-აჩუკში“ ბიძინა ჩოლოყაშვილს* ათქმევინებს – ამ პატარა ახმეტაში მიწა, წყალი, მთა, კლდე, ტყე და ველი, ყველა ერთად ნათესაურის კავშირით გადაბმულია ჩემთან! ვგრძნობ რაღაც ერთ სისხლხორცობას მათთან. პოეტი თავადაც ასე სისხლხორცეულად იყო შედუღებული თავის პატარა საჩხერესთან, სხვიტორთან და სავანესთან და აქედან მომდინარე, მათთან ერთად, მთელ საქართველოსთან.

იმერელი გლეხკაცის სუფრაზე მუდამ იყო ლობიო და მჭადი, ეკალა (და არა მარტო გლეხკაცის სუფრაზე). აკაკიც ამ საკვებს მთელი არსებით იყო შეთვისებული. მამაშენს უთხარი, „იმაზე ნაკლები აზნაური არ გახლავარ, ეკალა აქაც მოიძებნება“, გაეხუმრა აკაკი სერგო კლდიაშვილს, როდესაც იგი 1912 წელს, რამდენიმე გიმნაზიელის თანხლებით მგოსანს სხვიტორში ესტუმრა. „აღმოსავლეთ საქართველოში, აღნიშნა მათთან საუბარში მგოსანმა, იქნებ ვერც წარმოუდგენიათ, თუ როგორ შეიძლება კაცმა ეკალა ჭამოს. იმერეთში კი მისი კულტი არსებობს. არ ვიცი, რით არის გამოწვეული ასეთი სიყვარული – სიღარიბემ წარმოშვა თუ გამახვილებულმა პირის გემომ. მე მგონია ერთმაც და მეორემაც... როცა აკაკი ჩვენთან იყო ოჯახში, დედა იმერული საჭმელებით გაუმასპინძლდა და, სხვათა შორის, ეკალათი. ალბათ ახლა ის მოაგონდა“, – იგონებს სერგო კლდიაშვილი[72].

დასახელებულ თხზულებაში პოეტი ეხება *გაძიძავების* ტრადიციას, როგორც აღნიშნავს, ძიძაობა და ყმანვილის სოფელში გაბარება ისტორიული ჩვეულება იყო ჩვენს ქვეყანაში: მეფეები და მთავრები ერისთავებს აბარებდნენ და აზრდევინებდნენ თავიანთ შვილებს, ერისთავები და დიდებულები – აზნაურებს და აზნაურები კი – გლეხებს. უფრო ხშირად თავადებიც გლეხებს აზრდევინებდნენ შვილებს. ეს გაზრდილ-გამზრდელობა აკავშირებდა ერთმანეთთან სხვადასხვა სოციალურ ფენებს. ამ მხრივ, ამ ტრადიციას პოეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. გარდა ნათელ-მირონობისა, აღნიშნავს ის, თითქმის სისხლხორცობა არ მიაჩნდათ ისე მტკიცე კავშირად, როგორც გამზრდელ-გაზრდილობა. არათუ ძიძიშვილები და მათი ახლო მონათესავენი, მათი შორეული მოყვრებიც კი მზად იყვნენ ყოველ შემთხვევაში თავი დაედვათ გაზრდილის გულისთვის და გაზრდილიც ექომაგებოდა ამ ხალხს. პოეტს მიაჩნია, რომ სწორედ ამან განაპირობა ჩვენს ქვეყანაში შედარებით კეთილგანწყობილი ურთიერთობა დაბალ და მაღალ წოდებებს შორის, ვიდრე სხვა ქვეყნებში[73].

აკაკი კიდევ ერთხელ ეხება გაძიძავების ტრადიციებს თავის და, საერთოდ, XIX საუკუნის პოეზიის ერთ-ერთ შედევრში *„გამზრდელი“*[74]. მგოსანს აქ უკვე აფხაზეთში გადავყავართ, მაგრამ სანამ ამაზე გავაგრძელებდეთ საუბარს, გვინდა ერთ დეტალს გავუსვათ ხაზი.

ზემოთ დავინახეთ, თუ რა სიყვარულით და სითბოთი აღწერს აკაკი თავის ძიძისეულ ღარიბულ ქოხს, მის უბრალოებაში ხედავს დიდ სილამაზეს და სულიერ სიმდიდრეს. ასევე მოხიბლულია მეგრული ფაცხა-სახლით. ერთ-ერთ მის ლექსში ნათქვამია: „მიყვარს ფაცხა მე მეგრული, ზედ კორტოზზე წამოდგმული“. მაგრამ „ფაცხა“ მეგრულია თუ აფხაზური? *„გამზრდელის“* ქართულ-აფხაზურ პარალელებზე ზემოთაც გვქონდა აღნიშნული. როდესაც პოეტი შეეხო გადმოცემებს სვანეთსა და აფხაზეთში, აქ ხაზგასმული იყო აფხაზების სტუმარ-მასპინძლობის დიდ ტრადიციებზე. „გამზრდელშიც“ პოეტი *„სტუმარ-მას-*

*პინძლობის*" და „*ძუძუმტეობის*" ტრადიციებს ეხება. ამგვარად, „გამზრდელის" სიუჟეტი აფხაზეთში ვითარდება. აქ, მთის მწვერვალზე, მღვიმის პირად, შორიდან მერცხლის ბუდესავით მოჩანს ფაცხა, „მიწნული და მიგრეხილი". ის პოეტის თვალით, იმდენად ლამაზი და მომხიბლავია, რომ „იმასთან ყველა ტყუის რაც-კი ციხე-დარბაზია". ამ თვალწარმტაცი კარ-მიდამოს პატრონი იყო ახალგაზრდა, გამრჯე და უპრეტენზიო, მცირედითაც კმაყოფილი *აფხაზი ბათუ*, რომლის მიმართაც მკითხველი თავიდანვე დიდი სიმპათიით განეწყობა. ბათუს ცოლად ჰყავს სამეგრელოს ულამაზესი ასული *ნაზიბროლა*, შეირთო, ვინც უყვარდა, ვინც სიცოცხლეს ურჩევნია. ცოლიც აღმერთებდა თავის ქმარს.

ღამით, საშინელ თავსხმაში, როდესაც ეშმაკიც კი ეძებს თავშესაფარს, აფხაზის კარს სტუმარი მიადგა. მასპინძელი გულთბილად იღებს, ცეცხლის პირას უდგამს სამფეხ სკამს და შემდეგ შეიცნობს, რომ ეს სტუმარი არის მისი დედის გაზრდილი, ყაბარდოელი *საფარ-ბეგი* და გულით გაიხარებს: „საფარ შენ ხარ?.. ენაცვალოს ძიძის შვილი მაგ შენს თავსო..." მაგრამ საფარ-ბეგი აღმოჩნდა „*მორდუობის*" გამტეხი და ჩვეულების გადამგდები". მან შეურაცხყო ბათუს ოჯახი. სახლში დაბრუნებული ბათუ ყველაფერს მიხვდა, მაგრამ სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციებმა დაძლია, გაიღიმა, გაიხუმრა, საფარ-ბეგს თავის სახლში „არ დააკლო რაც წესია სამსახური, რომ სტუმარი არ გაუშვას გულნაკლი და უმადური". შემდეგ კი სამშვიდობომდე მიაცილა და აქ ხმა აღიმაღლა: „ფრთხილად! არსსად შემეყარო, რომ ცუდ გულზე უცაბედად შენი სისხლი არ დავღვარო". მაგრამ ბათუ აქაც გამოერკვა, ძიძიშვილობის ტრადიციამ დაძლია, დაძლია იმან, „რაც ქვეყანას მიაჩნია რჯულზე უფრო უმტკიცესად" და ეუბნება: „არა! შენ ვერ შეგეხება სასიკვდილოდ ჩემი ტყვია, დედიჩემის გაზრდილი ხარ, მისი ძუძუ გიწოვია".

ცხადია, რომ აკაკის შემოქმედებაში „*ფაცხა*" საერთოა მეგრელებისა და აფხაზებისათვის, მათ აქვთ საერთო მატერიალური და სულიერი კულტურა, ტრადიციული წეს-ჩვეულებები. მეგრელიც და აფხაზიც პოეტისათვის, საქართველოს ორგანული ნაწილი, ერთი განუყოფელი ერთეულია. შეიძლება ითქვას, რომ აკაკი წერეთელმა უშუალობით დახატა *სტუმარ-მასპინძლობისა* და *ძიძიშვილობის* ტრადიციები და ამით ძეგლი დაუდგა აფხაზი კაცის ამაღლებულ გრძნობებს. შემთხვევითი არ იყო აკაკისა და *გიორგი შარვაშიძის* გასაუბრება: გიორგი შარვაშიძეს *თათარხან დადეშქელიანი* ესტუმრა, რაზედაც აკაკიმ მისწერა:

„შენი ტკბილი საუბარი მიყვარს, როგორც „ქებათ-ქება"! შენი ნახვა ნერვებაშლილს სამკურნალოდ შეერგება. თათარხანი ჩამოსულა, მაგრამ ჩემთვის სად მოიცლის, დღე სძინავს და ღამღამობით თამაშობს და ყანწებსა სცლის"[75].

გიორგი შარვაშიძემაც მგოსანს ლექსითვე უპასუხა: „სვანი ყანწით გადღეგრძელებს, მე, აფხაზი, წრფელი გულით, ვით სჩვეოდათ ჩვენთა ძველთა, ძმობითა და სიყვარულით"[76].

დავუბრუნდეთ კვლავ ზემო იმერეთს. 1897 წელს აკაკი, მის მიერ შედგენილი გეგმის მიხედვით, აღწერს თავის მშობლიურ სოფელს, საწერეთლოს რეზიდენციას სხვიტორს[77]. ეს არის წმინდა ეთნოგრაფიული მასალა, რაც უაღრესად საინტერესოა ჩვენს წინაშე დასმული პრობლემის თვალსაზრისით.

აკაკის მიერ ჩაწერილი მასალების მიხედვით, სოფელი სხვიტორი მდებარეობს მდ.ჩიხურის პირად, გაღმა-გამოღმა გორაკებზე, სოფელს ორი მთა აკრავს: გონჯის ხევ-კვერეთი და საფალავნიშვილო, რომელიც რაჭამდე უწევს. შუაში ჩამოუდის მდ. ჩიხურა, რომელსაც მთის პატარ-პატარა მდინარეები ერთვიან: გონჯურა, კვერეთულა, სკინავი, დიდი ღელე, საბუე და სხვა. ყველა მათგანი, გარდა გონჯურისა, საკალმახეა. სხვიტორს მოსავალიც კარგი ჰქონდა, მოჰყავდათ პური, ქერი, დიკა, სიმინდი, ღვინო, ლობიო და ყოველგვარი ბოსტნეული. პოეტის სიტყვით, სხვიტორელები გამრჯენი იყვნენ და კარგადაც ცხოვრობდნენ, მაგრამ იმდროინდელი წეს-წყობილება უშლიდათ ხელს. ადრე, ბატონყმობის დროს, სხვიტორში ყოფილან მესტვირეები, კარგი მოშაირეები და მეზღაპრეები, მაგრამ შემდგომ თანდათანობით წასულან. უკვე ამ თქმულებებს იშვიათად თუ გაიგონებდით და ისიც ახალი დროის შესაფერისად იყო გადასხვაფერებული. სხვიტორის მოსახლეობა იმ დროისათვის 80 კომლს მოითვლიდა, რომელთაგან რამდენიმე ოჯახი წერეთლები იყვნენ – განთქმული ვაჟკაცის დავით წერეთლის ნაშიერნი. აქ პოეტი გვაცნობს გადმოცემებს წერეთლებზე, რასთან დაკავშირებითაც ეხება თავისი შტოს გენეალოგიურ სქემას. ყველა თავადი წერეთლების წინაპარს ქველ წერეთელს ორი ვაჟი ჰყოლია: დავითი და პაპუნა. პაპუნა ბერად იყო შესული მღვიმევის მონასტერში, დავითი კი უშვილოდ ბერდებოდა. საწერეთლო რომ უპატრონოდ არ დარჩენილიყო, დავითმა გამოიყვანა ძმა მონასტრიდან და ცოლი შერთო. მისი შთამომავლები აღნიშნული დროისათვის 15 ოჯახი იყო. დავითის, როგორც შესანიშნავი მებრძოლის ხმალი განთქმული იყო მთელ საქართველოში. ის სიბერის დროს დაქვრივდა, შეირთო მეორე ცოლი, რომელთანაც შეეძინა ვაჟი გიორგი. გიორგი ორჯერ დაქვრივდა და უშვილოდ რომ არ გადასულიყო, სიბერეში მესამედ იქორწინა ერისთავის ქალზე, რომელთანაც შეეძინა ერთი ქალი და ორი ვაჟი – სვიმონი და როსტომი. სვიმონი მეფის სახლთხუცესი იყო, სიბერის დროს მოესწრო უკანასკნელ მეფეს და დიდი სამსახური გაუწია: სპარსეთში გაჰყვა და სანამ არ დაასაფლავა, უკან არ გამობრუნებულა. სვიმონისთვის, ერთი შემთხვევის გამო, რომელიც პოეტს აქვს აღწერილი, სოლომონ მეფეს წირქვალში დიდძალი ყმა და მამული უჩუქებია. პოეტის სიტყვით, მის დროს სვიმონისა და როსტომის შვილიშვილები ცხოვრობდნენ სხვიტორში[78].

იქვე სახლობდნენ აზნაურებიც: ცქიტიშვილები და მაჭავარიანები, მაგრამ ისინი ბოლოხანს იყვნენ გადმოსახლებულნი. მკვიდრი გლეხები, რაჭიდან დიდი ხნის წინათ გადმოსახლებული კირვალიძეები, ისევ ისე ასრულებდნენ *„ბოსლობას“*, როგორც რაჭაში. გოშაძეები – მათ ბატონ-ყმობის დროს მარტო ხაბაზობა ემართათ. მოსიაშვილები, არჩუაძეები, მაჭარაშვილები, ომიაძეები, ლურსმანაშვილები და ზაბახიძეები. ერთ-ერთი ზაბახიძეთაგანი – ნინიკა მოდინახეში მეციხოვნედ ყოფილა, როდესაც ქაიხოსრო წერეთლის მეუღლემ, აბაშიძის ქალმა, რუსების საწინააღმდეგოდ ციხე გაამაგრა. სხვიტორშივე ყოფილან ჩასახლებული სარალიძე და ბერძენი კაპანაძე. სხვიტორელებს, ისევე როგორც სხვა სოფლებში, ჭირიცა და ლხინიც საერთო ჰქონდათ.[79]

პოეტი გვაცნობს ამ კუთხის ფლორას და ფაუნას, ხილს, მხალეულს და სხვა. ციხე-მონასტრების ნანგრევები სხვიტორში არა აქვს შემჩნეული.

როგორც აღვნიშნეთ, აკაკის გამოკვლევით სხვიტორშიც ისევ ისე ასრულებდნენ *ბოსლობას,* როგორც რაჭაში. ამჯერად საკითხის კვლევას თუ როგორ შემოინახა თავი ამ რიტუალმა იმერეთში, არ ვაპირებთ, მხოლოდ, როგორც ეთნოგრაფიულ მასალას, მოვიტანთ პოეტის მიერ აღწერილ რიტუალს: „რომ დადგება ხორციელის ხუთშაბათი, საღამოს მოხარშავენ ლობიოს და გამოაცხობენ ხაჭაპურებს; მასთან დააწყობენ ქონს და წაიღებენ მოზრდილი ყმაწვილები ბოსელში, რომლებსაც, გარდა ხონჩისა, პატარა ბავშვები ყავთ მოკიდებული. აიღებენ ქონს და უსმენ ხარებს ზურგზე ამ სიტყვებით: „ასე გასუქდითო“. მერე დაჯდებიან და ღვინის სმის დროს გაიძახიან: „ბოსელ-ბოსელ ბუო“. მწყემსი იმ საღამოსვე, ბავშვების თანდასწრებით, ერთ კვერცხს ხარებისკენ შეინახავს ბაგაში და მეორეს ძროხებისკენ. დილით ადგებიან ბავშვები, მინალოც კვერცხებს ამოიღებენ, გადუსვამენ ზურგზე პირუტყვებს და თან ამბობენ: „ასე გარგვალდეს შენი ტანიო“, მიუმატებენ სხვასაც და გააკეთებენ ხაჭაპურს, რომელსაც დილასვე შეჭამენ“.[80]

რაც გამოარჩევდა სხვიტორს ზემო იმერეთის სხვა სოფლებისაგან, ეს იყო, რომ მხოლოდ აქ იხდიდნენ რელიგიურ დღესასწაულს – *„მოტყიერობას“*.[81] სულიწმინდის მოფენის დროს დიდძალი ხალხი მოაწყდებოდა მაცხოვრის ეკლესიას: გალავანში რომ ვერ ეტეოდნენ, გარშემო მიდამოს იჭერდნენ. იმათ უნდა წერეთლები გამასპინძლებოდნენ იმ დღეს. თითოეული ოჯახი ვალდებული იყო მიეტანა საყდარზე ძროხა მოხარშული, პურები გოდრებით, ღვინო რუმბებით. დიდი საგანგებო გობები იყო გაკეთებული, რომლებშიც რამდენიმე კოკა ღვინო ჩადიოდა. ამაში ასხამდნენ ღვინოს და არავის ნება არ ჰქონდა, რომ იმ დღეს ღვინო ჭურჭლით დაელია, უნდა შემოხვეოდნენ რიგისად გარს იმ გობებს, დაეჩოქნათ, დაყრდნობოდნენ და ისე წრუპით ესვათ ღვინო“. ეს ჩვეულება, როგორც აკაკი აღნიშნავს, დიდი ხანი არაა, რაც გადავარდა. ორმოცი წლის წინათ, ე.ი. XIX საუკუნის 50-იან წლებში კაპიტანი ტამილოვი დასწრებია ამ დღეობას თავისი როტით, სალდათებმა მიუჩოქეს გობებს და ფეხზე აღარც წამომდგარან.[82]

მოტყიერობის გადავარდნის შემდეგ სხვიტორში მხოლოდ *გიორგობას* იხდიდნენ ოცდასამ აპრილს, მაგრამ აკაკის დროსვე, მისი სიტყვით, „ამ თემობას და დღეობას ადრინდელი ხასიათი აღარ აქვს, გაფუჭებულია ისე, როგორც ყველგან საზოგადოდ ჩვენში“.[83] აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს პოეტის მიერ წარმოთქმული ტერმინი *„თემობა“*, რელიგიურ დღესასწაულზე სოფლის შეკრებასთან დაკავშირებით. საკითხის დასმის წესით გვინდა აღვნიშნოთ, რომ მოტყიერობა, შესაძლებელია საკუთრივ წერეთლების დღესასწაული იყო მათი პირველსაცხოვრისიდან ზემო იმერეთში შემოტანილი – ამ დღეობაზე წერეთლები იყვნენ მასპინძლები და სტუმრებს ისინი უმასპინძლდებოდნენ; ამდენი ხორაგი – შეიძლება წერეთლებისთვის განკუთვნილი ბეგარის ერთ-ერთი სახეობის გადმონაშთიც იყოს; გობზე მიჩოქება და ღვინის ისე დალევა გვაგონებს *„გობს“* თავდაპირველი მნიშვნელობით, *„მეგობარს“*, თავის დროზე ხომ მეგობრები იყვნენ ის უახლოესი ადამიანები, რომლებიც ერთი გობიდან მიირთმევდნენ საკვებს და სასმელს. პრაქტიკაში ეს ჩვენს ეთნოგრაფიულ ყოფაშიც გვხვდება.

პოეტი აქ ეხება მეტად მტკივნეულ საკითხს – მძიმე ეკონომიურმა მდგომარეობამ, მიწის სიმცირემ და უამრავმა გადასახადებმა განაპირობა მოსახლეობის დენადობა საქართველოს ფარგლებს გარეთ. აკაკისთვის ეს ვითარება ძალიან მტკივნეულია, მაგრამ მაინც სურს გაამართლოს მათი ეს ნაბიჯი. გვარწმუნებს, რომ ისინი სამუდამოდ კი არ მიდიოდნენ სამშობლოდან, როგორც ზოგიერთები ფიქრობდნენ, არამედ დროებით, რომ სხვაგან რაიმე შეეძინათ და კარგი ბარგით დაუბრუნდებოდნენ თავის ქვეყანას. ამ მიზნით, თურმე, ქუთაისის გუბერნიიდან, ყოველწლიურად 30 000 სული გადიოდა.[84] ამ პერიოდისათვის თბილისში იმერეთის სოფლებიდან ჩამოსულთა რიცხვი 15 000-ზე მეტი იყო, 80 სხვადასხვა საქმე და მოხელეობა ეჭირათ ხელში, რასაც კი იშოვიდნენ, ოჯახში აგზავნიდნენ, რომ ადგილ-მამული შეეძინათ. მართალია, ეს ძალიან ძვირი უჯდებოდათ, მაგრამ გლეხობა თავისას არ იშლიდა და ამიტომაც იმერეთში, განსაკუთრებით ზემო იმერეთში, გლეხობის უმრავლესობა მესაკუთრე იყო.[85]

საინტერესოა პოეტის თვალით დანახული ერთი დეტალი, რაც იმერული სოფლის და ოჯახის სურათის ამსახველიცაა. როგორც იგი აღნიშნავს, გადმოსახლებულებში იშვიათად შეხვდები დედის ერთას. იმერეთში თითქმის რჯულად აქვთ გადაქცეული, ოჯახში იმდენი დარჩეს, რამდენიც თავს გაართმევს სახლ-კარს და ადგილ-მამულს, დანარჩენები კი, როგორც ნამეტი, სადმე წავლენ მოსაგებად. პოეტი ასეთი ცხოვრების წესის წინააღმდეგი არაა, მხოლოდ სოფელი არ უნდა დაიცალოს, კერა არ უნდა ჩაქრეს[86].

1894 წელს აკაკი ამ პრობლემას კვლავ უბრუნდება. „იმერეთიდან, აღნიშნავს ის, ყოველ წლობით ათი ათასობით გადის ხალხი სხვა ქვეყნებში სამუშაოდ: ანუ როგორც თვითონ იძახიან ბედის საძებრად. შავი ზღვის პირი მთლიანად მოდებულია. კასპიის ზღვამდი სადა და სად არ შეხვდებით, ერთად თავმოყრილი კი თბილისში უფრო არიან. იმათი რიცხვი აქ რამდენიმე ათასს გადააჭარბებს და ღირს, რომ კაცმა მათი ყოფაცხოვრება შეისწავლოს“[87]. როგორც ვხედავთ, პოეტი ეხება დასავლეთ საქართველოდან მოსახლეობის შიდა და გარე მიგრაციებს. აშკარაა ეს მას დიდად აშფოთებს, ეშინია სოფელი არ დაიცალოს, მაგრამ იმედოვნებს, რომ ეს დროებითი მოვლენაა და პრობლემასაც კი აყენებს – შესწავლილი იქნას თბილისში მიგრირებული იმერლების ყოფაცხოვრება. პოეტი გვარწმუნებს, რომ იმერელი გლეხი არაა დაუდგრომელი, ის მხოლოდ მძიმე ეკონომიურმა პირობებმა დააყენა გზაზე „*ბედის საძებრად*“. სავსებით მართალია პოეტი, როდესაც ამბობს: „გლეხს თუ მიწა-წყალი სამყოფი აქვს, თავის დღეში არ მოშორდება სამშობლოს. ვინც კი მამა-პაპით არიან გადასული სხვა ქვეყნებში, უბრუნდებიან ხოლმე სამშობლოს: ხატმა მოგვითხოვა და ჩვენს სალოცავს საწირავი უნდა მივართვათო. გლეხის შვილი თუ წავა სადმე, ჩანს, რომ მის ოჯახში კაცრიელათ არიან, ესე იგი იმას გარდა სხვა ძმებიც არიან კიდეც, რომ ადგილ-მამულს მოუარონ და რომელიმე მათგანი უსაქმოდ არ დარჩეს შინ, გადის გარედ შესაძენად“.[88] მაგრამ ასეთი მიგრაციები შეეხო არა მარტო გლეხობას, არამედ იმ დროისათვის უკვე გაღატაკებულ აზნაურობას. ეს უკანასკნელნი სიღარიბის გამო წინანდებურად სწავლას ვერ ღებულობდნენ, ამიტომ ქალაქში მოსამსახურედ დგებოდნენ, აღებული ფულით წერა-კითხვას სწავლობდნენ და რაიმე ხელობას ეუფლებოდნენ.[89]

ამ გზაზე დამდგარნი, ბევრი მათგანი იღუპებოდა კიდეც, ხორციელათ თუ არა, ზნეობრივად მაინც. აქ პოეტი ეხება მეტად მტკივნეულ საკითხს, ზოგიერთ იმერელს ავკაცობა ხელობად ჰქონდა გადაქცეული. გადადიოდნენ იმერეთის სხვადასხვა მივარდნილ კუთხეებში, გამოძებნიდნენ ობლებს, იმედებით აბრიყვებდნენ გაჭირვებულებს, ცოტა ფულსაც გადაუხდიდნენ, გადმოჰყავდათ პატარა ბავშვები და ვაჭრებს უყენებდნენ, ვითომ მოჯამაგირედ, ერთბაშად ართმევდნენ ფულს და შემდეგ ამ ბავშვებისას არც ავს კითხულობდნენ და არც კარგს. ბავშვები კი ამ უცხო პირთა მონებად იქცეოდნენ, თუ უკვე ჭკუაში ჩავარდნილნი თავის დაღწევას მოინდომებდნენ, რაიმე მიზეზს მოუდებდნენ და ციხეში ამოაყოფინებდნენ თავს.[90]

ასეთი იყო რეალური სურათი, რასაც აკაკი წერეთელი გვიხატავს, ამიტომაც აყენებს პრობლემას – შეესწავლათ სოფლებიდან მიგრირებულთა ყოფაცხოვრება. პოეტის მიერ მოტანილ ეპიზოდებში ნათლად ჩანს, თუ XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში როგორ იშლება ქართული, ამ შემთხვევაში, იმერული ტრადიციული სოფელი, აღარ მოქმედებს დაუწერელი კანონი – ობოლი სოფლისაა, სოფელმა უნდა გაზარდოს; გაჭირვებულს გვერდში უნდა ედგეს და მისი ცხოვრება იმედით აღავსოს და ა.შ.

როგორც ჩანს, სამეგრელოში აზნაურობის მაძიებელმა მეგრელებმა აკაკის ბევრი, საოჯახო არქივებში დაცული ძველი საგვარეულო საბუთები წარუდგინეს. ჩვენ მათ შინაარსს, ამჯერად მხოლოდ პოეტის გადმოცემით ვეცნობით. აღსანიშნავია ისიც, რომ მან მხოლოდ ზოგიერთი მათგანის გადაკითხვა შეძლო. პოეტი, ამასთან დაკავშირებით, გვიზიარებს თავის აზრს: როგორც ეს საბუთები გვიმტკიცებენ, ძველად, ადამიანის, საზოგადოების დაბალი წოდების წარმომადგენლების პირადი ღირსება მაღალ დონეზე იდგა და ხელშეუხებელი ყოფილა. ამ სათავადაზნაურო *„წყალობის წიგნებში“* აღნიშნული ყოფილა: „ვინცა შენი ყმა, მსახური ანუ მოჯალაბე, ანუ მწყემსი გაგილახოს ან სიტყვიერათ მიაყენოს შეურაცხყოფა, ესე და ეს საკანონო გადახდესო“. ეს წყალობის წერილები, განმარტავს პოეტი, მხოლოდ პირობით არის ნაბოძები: „გქონდეს თქვენ და შვილთა თქვენთა და მომავალთა, სანამდის მეფობისა ჩვენისა (ესე იგი ქვეყნის) ერთგული და მსახური იქნეთო“. ეს წინადადება ასე აქვს გაგებული, რომ როგორც მეფე, ისე მიწა-წყალი ქვეყანას ეკუთვნოდა და მაღალ წოდებას მხოლოდ „საჭმოთ“ ეძლეოდა მანამ, სანამ ის ქვეყნის ერთგული და წალმართი მსახური იქნებოდა.[91]

აკაკი წერეთელს, რამდენადაც იგი არ იყო არც ისტორიკოსი და არც ეთნოგრაფი და ამის არავითარი პრეტენზიაც არ ჰქონდა, აღნიშნული საბუთების დეტალური ანალიზიც არ უცდია. ზემოთ მოტანილი ტექსტისა და განმარტების შემდეგ, მან უბრალოდ გადაავლო თვალი ისტორიულ წარსულს და აღნიშნა, რომ უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე, *ჩვენი ერი უმთავრესად ორ რაზმად იყო გაყოფილი: ერთი იყო სამხედრო და მეორე – მეურნე. პირველი, თავად-აზნაურობა, შემოსულ მტერს იგერიებდა, სისხლს ღვრიდა, მეორე კი – ოფლს, საზრდო მოჰყავდა, თავის თავსაც ირჩენდა და ქვეყანას მეომრებსაც აწვდიდა.*[92] დაფასება კი უფრო თავად-აზნაურობას ჰქონდა, ის ითვლებოდა უმაღლეს წოდებად. თავადი ის იყო, ვისაც საქმის წინ წაძღოლა შეეძლო. პოეტის აზრით, თავადობა მემკვიდრეობითი არ იყო, შეიძლებოდა ის

დაემცირებიათ. ამიტომ არის, რომ მთელი რიგი გვარები, რომელთაც ასი და ორასი წელი თავადის წოდებაში უცხოვრიათ (კავკასიძეები, გუნაბიძეები, გოშაძეები, თოდაძეები, იამანიძეები და სხვა მრავალნი), მაგრამ ჩამოქვეითებულან და XIX საუკუნემდე აზნაურის ან გლეხის წოდებით მოსულან. ისტორიაში არაერთი ფაქტია იმისაც, რომ ცალკეული გვარები დაბალი ფენებიდანაც აღზევებულან. თვით ლიპარტიანის გვარს, აღნიშნავს პოეტი, რომელიც ერთ დროს სამეგრელოში მთავრობდა, დღეს აზნაურობაც საძიებელი აქვს. გვარში თავადი ერთი იყო, სხვები თავადიშვილები იყვნენ. ყმას და მამულს გვარობით ეუფლებოდნენ. ასეთები იყო: საამილახვრო, საციციანო, სააბაშიო, საწერეთლო და ა.შ. ამ პატარ-პატარა კუთხეებს ეპატრონებოდნენ მანამ, სანამ ქვეყნის ერთგული იქნებოდნენ და თუ ორგულობას შეამჩნევდნენ, ჩამოართმევდნენ და სხვას გადასცემდნენ იმ პირობითვე[93].

ამ მსჯელობის საბაბი აკაკის მისცა სამეგრელოში, საოჯახო არქივებში დაცულმა ხელნაწერმა დოკუმენტებმა. როგორც ვხედავთ, პოეტი, ამ შემთხვევაშიც, ფეოდალური წყობის შენარჩუნების მომხრეა, მხოლოდ დაბალ და მაღალ სოციალურ ფენებს შორის უნდა იყოს ურთიერთგაგება, თანაგრძნობა და სიყვარული, ყველას ინტერესები მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული.

ზემოთაც აღვნიშნეთ, და კვლავ გვინდა გავუსვათ ხაზი, რომ აკაკი წერეთელი თავის მხატვრულ შემოქმედებაში, პუბლიცისტურ წერილებში და პირად საუბრებში ხშირად მიმართავდა თქმულებებს, გადმოცემებს, ლეგენდებს და ა.შ. რომლებიც მნიშვნელოვან მასალას გვაწვდიან ეთნოგრაფიული თვალსაზრისით. *მიტროფანე ლალიძე* იგონებს: *დავით აღმაშენებლის* შესახებ აკაკიმ მიამბო, როდესაც მან გელათის ტაძრის აშენება განიზრახა, მოუსურვებია ისეთი ადგილის შერჩევა, რომელიც ყოველი მხრიდან მთებით იქნებოდა შემოზღუდული და ტყით დაფარული. ასეთი ადგილი მონახა კიდეც, მაგრამ იქ ერთი გლეხი ესახლა. მისთვის ერთი ჯამი თვალმარგალიტი შეუთავაზებიათ, უთქვამთ სხვაგან დაგასახლებთო, მაგრამ მეფისადმი გლეხის პასუხი ასეთი იყო: მე არ მინდა თვალმარგალიტი, მხოლოდ გთხოვთ აქ სადმე ახლოს მიწის ნაკვეთი მომცეთ, რომ არ მოვშორდე ჩემს ძველ მამაპაპეულ სამოსახლო ადგილსო. მეფემ დააკმაყოფილა გლეხის თხოვნა და საცხოვრებელი ადგილი გამოუყო. ეს გლეხი, გვარად ყაისარიშვილი, ამის შემდეგ გელათის ტაძრის დარაჯად მუშაობდა[94]. ამ თხრობაში ერთი აზრია გატარებული. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი შეგონება: გლეხი კაცი არავითარ თვალმარგალიტში არ გაცვლის მამაპაპისეულ სამოსახლო ადგილს.

ამ გადმოცემასთან დაკავშირებით, მოვიტანთ მცირე ამონაწერს *სოფრომ მგალობლიშვილის* მოგონებიდან: „აკაკი ხშირი სტუმარი იყო ქართლისა, განსაკუთრებით ქ. გორისა, რომელსაც ლექსიც კი უძღვნა: *„გორო ქართლის მეთაურო“*. გორში ჩემთან და *მათე კერესელიძესთან* ჰქონდა ბინა. რამდენიმე კვირით რჩებოდა ხოლმე... ნადიმი ნადიმზე იყო გადაბმული... აკაკი თანამედროვე ცხოვრების რომელიმე მოვლენას შეურჩევდა ისტორიულ ამბებს: ერთხელ ჩვენს დედებს შეეხო და მოიყვანა *ცოტნე დადიანის* და მისი მეუღლის თავგანწირვა მამულისა და თავისი სატრფოს დახსნისათვის... შემდეგ ეს ამბავი ლამაზ პოემად გარდაქმნა და უწოდა „*ნათელა*“. ...ხშირი სტუმარი იყო *ვანო მაჩაბლისა და ნიკო დიასამიძისა*. ვანომ, როცა ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან,

ტფილისიდან ამოიარა გორს, თან მოჰყვა აკაკი და ნიკო დიასამიძე; იმ დღეს მეც გავყევი თან სოფ. თამარაშენისკენ, სადაც ცხოვრობდა ვანო. გზად გავიარეთ ისტორიული სოფელი ნაჭარმაგევი, ახლა კარალეთად წოდებული. გორიდან მოკიდებული სოფ. ძევერამდე, მდ. ლიახვის ნაპირებზე, აყრილი ჭალა ყოფილა ნადირით, ფრინველით სავსე; მეც ყმაწვილობისას მოვესწარი, რომ გორიდან სამი ვერსის სიშორით კიდევ იყო ჭალა. ეს ადგილი ქართველ მეფეებს სანადიროდ ჰქონიათ დაცული. როცა ამ ადგილს დავუპირისპირდით, აკაკიმ გაიხსენა გადმოცემა, რომ ვითომ აქ დავით აღმაშენებელს სანადიროდ ეწვივნენ შვიდნი მეფენი. ამჟამად ეს ადგილი წარმოადგენს ტიტველა სახნავ მინდორს"[95].

უეჭველია, ქართლის ისტორიული სოფელი ნაჭარმაგევი, მასთან დაკავშირებით ზემოთ მოყვანილი ეთნოგრაფიული მასალა, საინტერესოა ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით. აკაკის მოგონებასთან დაკავშირებით კი გვაგონდება *„დავით აღმაშენებლის ეპიტაფია"*: „ვის ნაჭარმაგევს მეფენი შვიდნივე პურად დამესხნეს, თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვარსა გარე გამესხნეს, თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს, აწე ამათსა მოქმედსა ხელნი გულზედან დამესხნეს"[96].

1897 წელს აკაკი კახეთს გაემგზავრა საალავერდოდ. ბევრი რამ ჰქონდა წაკითხული და მოსმენილი ამ დიდებული ტაძრის შესახებ, სხვათა შორის ისიც, რომ თითქოს თათრებს აეშენებიოთ და მიტომ დაერქვა *„ალავერდი"*. პოეტი ამ ვერსიას ვერ იზიარებს. მისი განმარტებით, ტაძრის წინ გადაშლილია ალვანის მინდვრები, ალვანის სოფლებიც მისი შენანირი მოხარკე იყვნენ და ამიტომაც ერქვა ამ ტაძარს *„ალვანველდრი"*, ე.ი. *ალვანის საველდრებელი*. შემდეგ თათრებს ეს სიტყვა გამოთქმის დროს *„ალავერდათ"* გადაუკეთებიათ და ამიტომ უნდა იყოს, რომ „კახეთში მოსახლე თათრები დღესაც კიდევ თაყვანს სცემენ ამ ტაძარს და შესაწირი მიაქვთ ისე, როგორც მართლმადიდებლებს".[97] მაგრამ საინტერესოა, რა მდგომარეობაში დახვდა ტაძარი პოეტს? შიგნით და გარეთ თეთრად იყო გაფეთქილი და ნახატები აღარ ჩანდა; მისავალ კარებთან, სადაც ადრე *„საქალებო"* უნდა ყოფილიყო, საყასბო გაემართათ, იქ მიჰქონდათ ზვარაკის მხარ-ბეჭი, ცხვრის ტყავები და ვაჭრობდნენ. ადრე ეს ადგილი მოშორებით უნდა ყოფილიყო და ამგვარი შესაწირით ღარიბ მლოცველებს უმასპინძლდებოდნენ; სახურავი გაფუჭებული ჰქონდა, აღმოსავლეთის მხარეს წვიმა ჩამოდიოდა და ტაძარში ტბა დგებოდა.

ნანახმა მგოსანს გული დასწყვიტა. გალავანს გარეთაც ვეღარ ნახავთ, რაც ყოფილა, – განაგრძობს იგი თხრობას. ძველად *ალავერდობას* კახელებს გარდა მოდიოდნენ ქართლელები, ჩამოდიოდნენ მთიულები და 15 დღის განმავლობაში ბაზრობა იმართებოდა. იმ დღესაც, როდესაც პოეტი დღესასწაულს ესწრებოდა, ტაძრის ირგვლივ რამდენიმე ათასამდე კაცი იქნებოდა შეყრილი და დაბინავებული. ყველა თავის უბნებად იდგნენ: თუშები ცალკე, ქისტები ცალკე, თათრები ცალკე, კახელები ცალკე გვარეულებად. იმ ღამეს ყველგან დიდი ლხინი იყო გამართული, მაგრამ პოეტს ის ანაღვლიანებდა, რომ ეს აღარ იყო ქართული დარბაისლური ლხინი[98].

*„კახეთი გულია საქართველოსი"*, – წარმოთქვა აკაკიმ ერთ-ერთ საუბარში. ძნელია იხილო ისეთი ლამაზი და წარმტაცი ბუნება, როგორიც ალაზნის ველია.

„უყურებთ ალაზნის მინდვრებს და თქვენს თვალწინ იშლება საქართველოს გაშლილი გული, გული მოსიყვარულე... უსმენ კახურ სიმღერას და თქვენს წინ აღიმართებიან შვიდნი ძმანი გურჯანელნი, რომელთაც ქვეყნის თავისუფლებისთვის თავი შეუწირავთ. უცქერით კახეთის ზღვა ვენახებს, გაშლილ ყანებს, ფეხმაგარ საქონელს და რწმუნდებით, რომ ის ჩვენი ქვეყნის ყველაზე უფრო მტკიცე, შეურყეველი კუთხეა. შესცქერი კახელის მაგარ ხელებს, დაჭიმულ კუნთებს, კახელი ქალის სილამაზეს და თან მოკრძალებას და მიდიხარ იმ დასკვნამდე, რომ ქართველი ხალხი გამძლეა, მტკიცე ნებისა და ურყევი ხასიათისაა“[99].

აკაკი მოხიბლულია კახელებით, მაგრამ არც შენიშვნებს ერიდება. კარგი ხალხია კახეთში, – აღნიშნავს ის, - მაგრამ ცოტა კამბეჩურები არიან; ბევრი შეუძლიათ, უღელსაც კარგად გასწევენ, მაგრამ მეტად აუჩქარებლები არიან, რაც თითქმის ზარმაცობად გადაქცევიათ. ამას ვერ ვიტყვით ქალებზე, ისინი კაცებზე ბევრით მაღლა დგანან, მართალია, იმერული სილამაზე და სინაზე არა აქვთ, მაგრამ ჭკუა, ხასიათი, სახის მოძრაობა სიცოცხლით სავსეა. ეს უპირატესობა მარტო თავად-აზნაურთა ქალებს არ ეკუთვნისთ, ასეთები არიან გლეხის ქალებიც[100].

აკაკი წერეთელი ბევრს მოგზაურობდა საქართველოს კუთხეებში და უყურადღებოდ არაფერს ტოვებდა, ეს იქნებოდა ხალხური შემოქმედების ნიმუშები, ეთნოგრაფიული მასალა თუ ცალკეული ტერმინები მომავალი ლექსიკონისათვის. ამჯერად აკაკის ყურადღების სფეროში ექცევა ხელოსნობა. მოგზაურობის დროს ქართლის ერთ-ერთ სოფელში გლეხის ოჯახში შეჩერდა. ოჯახის უფროსი, როგორც საუბარში აღინიშნა, ძველი თქმულებების და, საერთოდ, ზეპირსიტყვიერების კარგი მცოდნე აღმოჩნდა. ეს ოჯახი, გარდა მინათმოქმედებისა, ხელოსნობასაც ეწეოდა, ოჯახის უფროსი მთელ ამ მხარეში განთქმული ყოფილა, როგორც წისქვილების კარგი მომწყობი. მაგრამ რადგან თავად ასაკში შევიდა, მოინადინა თავისი ხელობა უფროსი ვაჟისთვის გადაეცა. ამ საქმეზე უკვე მას გზავნიდა და თავად ხელმძღვანელობას უწევდა. იმ დროს, როდესაც მათ პოეტი ესტუმრა, მისი შვილი იმავე სოფელში ამთავრებდა წისქვილის მშენებლობას, მაგრამ როდესაც ღარში წყალი მიუშვეს, ბორბალი არ დატრიალდა. მეორე დღეს აკაკიც გაჰყვა მამა-შვილს. მამამ შეამოწმა ნახელავი, შემდეგ ღარს დააკვირდა და უთხრა: „ღარისათვის ტევა საკმარისი არ მიგიციაო, ღარი უნდა გამოცვალოო“... იცოდეთ და კარგად დაიხსომეთ, რომ როცა წისქვილის ღარს აკეთებ, სუყოველთვის ტევა მეტი მიეცი, რადგანაც ღარს ტევა თუ მეტი აქვს, ამით საქმე არ დაშავდება, თუ საჭირო იქნება ტევის შემცირება, ეს ადვილად შეიძლება“. ამ მასალის გარდა, პოეტი დაინტერესდა ტერმინით „*ტევა*“, „*ტევადობა*“[101]. ჩვენს ყურადღებას კი იქცევს ის, რომ სოფელში იყვნენ ხელოსნები, ამა თუ იმ დარგში დასპეციალებულნი, რომლებიც თავიანთ ხელობას მემკვიდრეობით გადასცემდნენ თავიანთ შთამომავლობას – უფროს შვილს ახელოვნებდნენ.

აკაკი წერეთელი აქტიურად ეხმაურებოდა საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძვრებს და ამ ფაქტებსა და მოვლენებს ქართველი ხალხის ეროვნული თვითმყოფადობის, ეროვნული ცნობიერების ასაღორძინებლად და განსამტკიცებლად იყენებდა.

როგორც ცნობილია, ქართველი საზოგადოებრიობა დიდი ზეიმით შეხვდა 1876-1878 წლების ომში თურქეთის დამარცხებას, რის შედეგადაც საქართველოს დაუბრუნდა ადრე მიტაცებული ტერიტორიების ნაწილი: ბათუმი, აჭარა, ართვინი, არტაან-ოლთისი. თურქთაგან გამოხსნილი ქართული მიწების და ახლად შემოერთებული ქართველების პატივსაცემად, 1878 წლის 22 ნოემბერს თბილისში, *ივანე მუხრან-ბატონის* სახლში მოეწყო შეხვედრა, გაიმართა სადილი, რომელზედაც სიტყვები წარმოსთქვეს: *გრ.ორბელიანმა, ალ. ზუბალაშვილმა, დიმიტრი ყიფიანმა, აკაკი წერეთელმა.* პოეტის ეროვნულ-პატრიოტულ შეხედულებათა თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ამონარიდები აკაკის სიტყვიდან: „ბატონებო! ბევრი ქართული ლხინი გვინახავს, ხშირად დავსწრებივართ სუფრაზედ, სადაც ჩვეულებრივი მოლხენა და გულგახსნილობა ყოფილა, მაგრამ... დღევანდელი ლხინი კი, ვხედავთ, სხვაგვარია... და რას უნდა მივაწეროთ ეს? ...ამის მიზეზია დროთა ვითარებისგან დაშორებული ჩვენი მოძმეების, რომლის წარმომადგენლებიც აქა ბრძანდებიან, დღეს ხელ-ახლად ჩვენთან შემოერთება და ძლიერად შეკავშირება. დიაღ, ბატონებო, დღეს ჩვენ შეგვიძლია მივიდეთ ჩვენი წინაპრების საფლავებთან და ჩავსძახოთ, რომ მათი ანდერძი ჯერ კიდევ არ გაგვიფუჭებია! და რა იყო, ბატონებო, ის ანდერძი? ...დედაენა და ერთობა!“[102].

როგორც მოტანილი ტექსტიდან ჩანს, წინაპართა ნაანდერძევში პოეტი გულისხმობდა ქართველი ერის, ეთნოსის მახასიათებელ ძირითად კომპონენტებს – ენასა და ტრადიციულ კულტურას, რაც არა მარტო ჩვენ, არამედ ჩვენმა ძმებმაც დაიცვეს ოსმალთა სამასწლოვანი ბატონობის პირობებში „საკუთრად ქართველი ერის საკუთვნელ ნიშნებით“[103]. აქვე თ.სახოკია სვამს კითხვას იმის თაობაზე, თუ რამდენად ჰქონდათ შენარჩუნებული ქართული ეროვნული ცნობიერება ახლად შემოერთებულ ქართველობას. „სამწუხაროდ, სარწმუნოების ფანატიზმს ეს გრძნობა შეურყევია, – წერს თ.სახოკია, – მაგრამ ეს წმინდა გრძნობა არასოდეს არ გამქრალა და მარად ღვივოდა აჭარელთა სულსა და გულში, როგორც უშრეტი ლამპარი“[104]. აკაკისაც ამის იმედი ჰქონდა. 1914 წელს *ჰაიდარ აბაშიძემ* აკაკის გააცნო თავის წერილი, სადაც აღნიშნულია: „ბნი ყარაღა-ზადე ტყუილად ირჯება იმის დასამტკიცებლად, რომ თითქოს სარწმუნოების გამოცვლასთან ერთად გამაჰმადიანებულმა ქართველობამ დაჰკარგა თავისი ეროვნული სახე. მართალია, თურქთა ბატონობამ და ისლამმა თავისი ბეჭედი დაასვა მას, მაგრამ ეროვნული თვითარსებობა და ერი ვერ აღმოფხვრა მასში“. აკაკიმ თავზე ხელი გადაუსვა ჰაიდარს, შემდეგ იკითხა *მემედ აბაშიძე, გულო კაიკაციშვილი, რეჯებ ნიჟარაძე* და თქვა: „მოხარული ვარ, რომ ახალ სარბიელზე ჩნდებიან გამაჰმადიანებული ქართველი პატრიოტები, რომლებიც ქართველი ხალხის მოწინავე შვილებთან ერთად ხელიხელჩაკიდებულნი თავდადებით იბრძვიან საქართველოს ერთიანობისა და მისი ბედნიერი მომავლისათვის“[105].

აკაკი წერეთელს თავისი შეხედულებები გააჩნდა ეთნოგრაფიისათვის ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებზე, როგორიცაა პატრიოტიზმი, სამშობლოსა და საკუთარი ხალხისადმი სიყვარული. პოეტი გულწრფელად აღიარებდა: „სულითა და გულით ქართველი ვარ, პატრიოტი. სამშობლოს კეთილდღეობა მიტომ მენატრება, რომ ის პირნათლად, მჭიდროდ შეუკავშირდეს ფერადოვან

მსოფლიოს". შემდეგ აკაკი განმარტავს ტერმინებს: *„პატრიოტიზმი"* და *„შოვინიზმი"*. პოეტმა ეს აუცილებლად მიიჩნია, რადგან იმ დროს სიტყვა *„პატრიოტი"* საკიცხავ სიტყვად იყო გადაქცეული, ამ ორ ტერმინს ერთმანეთში ურევდნენ, მაშინ როდესაც მათ არაფერი ჰქონდათ საერთო. პატრიოტიზმი, პოეტის გაგებით, არის სამშობლოს სიყვარული, ადამიანს ჯერ თავის სამშობლო უნდა უყვარდეს, უყვარდეს მოყვასი თვისი და შემდეგ შესძლებს სხვის შეყვარებას. ვისაც სამშობლო არა სწამს, ვისაც მშობელი, ნაშობი, თანშობილი არ უყვარს და თავს იმით იმართლებს, რომ მე მთელი მსოფლიო მწამს და მთელი კაცობრიობა განურჩევლად მიყვარსო, ის შემცდარია[106]. აღსანიშნავია, რომ ისეთი მოაზროვნეები, რომლებთანაც აკაკის ჰქონდა საქმე, ვისკენაც იყო მიმართული ზემოთ მოტანილი სიტყვები, დღესაც მრავლად არიან ჩვენში. ამიტომ დიდი პოეტის შეგონება დღესაც აქტუალურად ჟღერს და ალბათ, მომავალშიც ასე იქნება. მოტანილი დებულება კვლავ აკაკის სიტყვებით გვინდა დავასრულოთ: „სამშობლო დედასავით უნდა უყვარდეს ყველას და რა გინდ სნეულ-დავარდნილიც იყოს დედა, შვილს არა აქვს უფლება ზურგი უჩვენოს და მიატოვოს"[107].

ამრიგად, აკაკი წერეთელის პუბლიცისტურ-მეცნიერული შემოქმედების მიმოხილვიდან ჩანს, რომ, *თერგდალეულთა ლიდერებთან ერთად, პოეტის ღვაწლს საქართველოს ეთნოლოგიის ფორმირება-ჩამოყალიბების პროცესში ფუძემდებლური მნიშვნელობა გააჩნდა.* აკაკი წერეთელი ქართული ეთნოლოგიის იმ უპირველესი პრაქტიკული და თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემების სათავეებთან იდგა, რომელთა შესახებაც ჩვენ ზემოთ ილიასა და ვაჟას დამსახურების შეფასებისას გვქონდა აღნიშნული.

ილიას, აკაკისა და მათი თანამებრძოლების უდიდესი ყურადღება ეროვნული მეცნიერების ერთერთი უმნიშვნელოვანესი დარგის – ეთნოგრაფიის მიმართ შემთხვევითი არ გახლდათ. მოწინავე რუსულ და ევროპულ განათლებას ზიარებული ახალგაზრდობისათვის მხატვრულ შემოქმედებასთან ერთად უპირველეს საზრუნავს წარმოადგენდა უფროსი თაობისაგან მემკვიდრეობით მიღებული „ბედი ქართლისა" – ზრუნვა საქართველოს წარსულზე, მის აწმყოსა და მომავალზე, რასაც ქართველ „სამოციანელთა" მოწინავე რაზმმა ბრწყინვალედ გაართვა თავი.

აკაკი წერეთელის დაინტერესება ქართული ეთნოლოგიითა და ფოლკლორით ისევ და ისევ ამ ეროვნული დარგების თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპების ანალიზითა და განსაზღვრით იწყება. *პოეტის შეხედულება ეროვნულ ზეპირსიტყვიერ მასალაზე, როგორც ისტორიულ წყაროზე, მისი მოძიების, ჩაწერისა და გამოყენების, მასში ასახული ერის ისტორიული ცხოვრების, ეროვნული ხასიათისა და ფსიქოლოგიის თავისებურებებზე, მუხლობრივად ჩამოყალიბებული მეცნიერული კვლევისა და განზოგადოების ბრწყინვალე კომპედიუმს წარმოადგენს, რომელიც არ ჩამოუვარდება იმ პერიოდის მოწინავე ევროპელ მეცნიერთა გამოკვლევების სტანდარტებს.* ამის დასადასტურებლად შესაძლოა დავასახელოთ აკაკის შეხედულებანი ხალხური ზეპირსიტყვიერი მასალების პერიოდიზაციაზე წარმართული და ქრისტიანული ეპოქების შესაბამისად, მათი ცვლილებისა და ტრანსფორმაციის პროცესებზე საზოგადოების განვითარების კანონზომიერებებთან კავშირში, ეროვნულ ნია-

დაგზე აღმოცენებული ზეპირსიტყვიერი ნიმუშების უპირატესობაზე წყაროთმცოდნეობის თვალსაზრისით, ხალხური მთქმელებისა და ინფორმატორების როლზე ზეპირსიტყვიერი ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების შემონახულობისა და მომავალ თაობებზე გადაცემის საქმეში და ა.შ.

საქართველოს ეთნოლოგიის თეორიული საკითხებისადმი უდიდესი ყურადღებისა და მზრუნველობის ჭრილშია წარმოჩენილი *აკაკის შეხედულებანი ქართველი ხალხის ეროვნულ ხასიათსა და ფსიქიკაზე, რომლის მატარებლად მას, პირველ რიგში, ქართველი ხალხის დაბალი ფენა-გლეხობა ყავს წარმოდგენილი. ამ თვალსაზრისითაც მეცნიერული ტრაქტატის მნიშვნელობა აქვს პოეტის მსჯელობასა და დასკვნებს „ეროვნული ხის" შესახებ, სადაც იგი ქართველ გლეხობას სიცოცხლის უპირველესი წყაროს – ფესვების როლს მიაკუთვნებს.* ამავე რიგის მეცნიერული ანალიზის ნიმუშია *აკაკის შეხედულება ერის განსაზღვრაზე, სადაც სამშობლო მიწა-წყალი, ენა, ისტორია და ერთნაირი თავგადასავალი ერად ჩამოყალიბებული ქართველი ხალხის განუყოფელ კომპონენტებად მიაჩნია.* ამ, დღევანდელობის თვალსაზრისითაც გამართულ მსჯელობაში, საინტერესოა აკაკის შეხედულება რელიგიის როლზე, სადაც იგი წინააღმდეგია ერის განსაზღვრაში რელიგიის უარყოფის შესახებ, მაგრამ არც იმათ უჭერს მხარს, ვინც ერის ცხოვრებაში ეროვნებასა და რელიგიას თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს.

უაღრესად მნიშვნელოვანია აკაკის შეხედულებანი ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ისეთ პრობლემებზე, როგორებიცაა *მუსიკალური ფოლკლორი და საერთოდ ეთნომუსიკოლოგიის საკითხები, ტოპონიმიკური ძიებები, ქართულ-კავკასიური მონაცემების შედარებები ანტიკურ და ელინისტურ სამყაროსთან, ზოგადთეორიული მსჯელობები ხალხურ ტრადიციებზე, სადაც იგი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს პროგრესულ და დრომოჭმულ წეს-ჩვეულებებსა და რწმენა წარმოდგენებზე* და ა.შ.

თანამედროვე ჟღერადობის თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია აკაკი წერეთლის შეხედულებანი *ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების მოძიებისა და სწორი გამოყენების, მათი საერთო-სახალხო კუთვნილებად აღიარების შესახებ, რომლის გასხვისება და გაყიდვა პოეტს სამართლიანად ყავს აყვანილი ეროვნული კატასტროფის რანგში.*

დასასრულ, შეუძლებელია არ აღინიშნოს პოეტის დამოკიდებულება *პატრიოტიზმისა და შოვინიზმის იმ ეპოქალურ დეფინიციებზე, რომელთა შესახებაც ზემოთ ვაჟა-ფშაველასეულ შეფასებისას გვქონდა საუბარი და, რომლის ობიექტურ მეცნიერულ გააზრებასა და გაანალიზებაში აკაკი წერეთელს განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი.*

## 1.4. *ალექსანდრე ყაზბეგის მხატვრულ-პუბლიცისტური შემოქმედების ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული პარალელები*

ქართველ და ჩრდილო კავკასიელ მთიელთა ეთნოგრაფიული ყოფა, მათი კულტურული მემკვიდრეობა და მრავალფეროვანი ეროვნული ტრადიციები აისახა დიდი ქართველი მწერლისა და ბელეტრისტის *ალექსანდრე ყაზბეგის* შემოქმედებაში. ალ.ყაზბეგის ეთნოგრაფიულ შემოქმედებას ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა ვალერიან ითონიშვილმა[1], რომელიც ბრწყინვალედ იცნობს მწერლის შემოქმედებას და მის კუთხეს – ხევს. ამიტომ ჩვენი ნაშრომის წინამდებარე მონაკვეთი გარკვეულწილად მის გამოკვლევებს ეყრდნობა, თუმცა ყაზბეგის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის შეფასება ეთნოგრაფიული მეცნიერების ჩამოყალიბების ეპოქალურ პროცესებში ქართული მწერლობის ადგილისა და როლის განსაზღვრისას, ჩვენი ნაშრომის მიზანდასახულობის თვალთახედვით, აუცილებელ მომენტად მიგვაჩნია. და ეს, პირველ რიგში, მწერლის ზოგადისტორიულ შეხედულებათა აღქმისა და ანალიზის სფეროს ეხება, რასაც იგი ქართველი და ჩრდილო კავკასიელი ხალხების ყოფა-ცხოვრების კონკრეტულ მონაცემებზე დაყრდნობით იძლევა.

*ალ.ყაზბეგის* შეხედულება საზოგადოების განვითარების ისტორიული კანონზომიერების შესახებ თერგდალეულთა საერთო მსოფლმხედველობიდან იღებდა სათავეს, რაც ქართველი ხალხის წინაშე XIX საუკუნის ურთულესმა სოციალურ-პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ვითარებამ დააყენა.

ქართველი ერის გადარჩენა, საკუთარი ენის, კულტურისა და ტრადიციების, საერთოდ ქართული ეროვნული სულის შენარჩუნება, პირველ რიგში, ერის ინტელიგენციის მოვალეობას შეადგენდა, დამოკიდებული იყო მის შემართებასა და ბრძოლისუნარიანობაზე, საერთოდ ეროვნული ცნობიერებისა და თვითშეგნების მაღალ ხარისხზე, რაშიც ქართულ მწერლობას, პუბლიცისტიკას წარმმართველი როლი ეკისრებოდა. შემთხვევით არ იყო ის გარემოება, რომ ამ პერიოდში ქართულ ლიტერატურაში შექმნილი მაღალმხატვრული ნიმუშები და ნაწარმოებები ისტორიული თემებისადმი იყო მიძღვნილი. იგივე შეიძლება ითქვას ხელოვნებაზე, ქართულ თეატრზე და ეროვნული სულისკვეთების გამომსახველ სხვა დარგებზეც, რომელთა აღმავლობა ამ პერიოდში სწორედ წარსულის რომანტიკული აღქმისა და მომავლის ოპტიმისტური გააზრების თემატიკაზე იყო აგებული.

ალ. ყაზბეგის ისტორიული კონცეფცია პირდაპირ ეხმაურებოდა ილია ჭავჭავაძის შეხედულებებს, რომელსაც, როგორც ზემოთ დავინახეთ, ისტორიის მამოძრავებელ ძალად ხალხი მიაჩნდა.[2] ილიას ეს შეხედულება ხორცშესხმულია ალ.ყაზბეგის მხატვრულ შემოქმედებაში, მის მოთხრობებსა და დრამატულ ნაწარმოებებში, პუბლიცისტურ წერილებში, სადაც იგი ისტორიკოსის უტყუარი ალღოთი აფასებს ხალხის როლს ისტორიაში. მწერლმა „კარგად იცოდა, რომ საქართველოს ისტორიის შენობა არა დიდგვარიანთა ხელით შენდებოდა, არამედ გლეხკაცობის დაკოჟრილი ხელებით“[3]. სწორედ ხალხის შემოქმედი ძალაა ხაზგასმული ალ.ყაზბეგის იმ სტრიქონებში, რომელიც სამების ტაძრის აღწერისადმია მიძღვნილი: „საკმაოა ამ შენობის ნახვა, რომ კაცმა გაიგოს, რა შეუძლიან ხალხის შეერთებულ გულს, ძალას და მათს ამაღლებულ სუ-

ლიერ მდგომარეობას. ტაძრის კედელში მხოლოდ ერთ ადგილს ჩატანებულია მარმარილოს ქვა, რომელზედაც ქარსა და ნიაღვარს ჯერ ვერ მოუსწრია სრულიად ამოეშალა ზედ წარწერა და მწიგნობარს შეუძლიან გაარჩიოს სიტყვები: „...ხარი ლომა,... მწყემსი თევდორე..." – ეს ორი სახელია, რომელთაც უეჭველია, დიდი ღვაწლი მიუძღოდათ ამ ხევის წარსულის დიდების აშენებაზე"[4].

ალ.ყაზბეგის შემოქმედების დიდი ღირსება იმაში მდგომარეობდა, რომ მას ღრმად ჰქონდა შეგნებული ხალხის, მისი შემოქმედების არსი და მნიშვნელობა. ინტერესი ხალხისადმი, მისი ყოფა-ცხოვრებისადმი უმთავრესად და უპირობოდ მისი ხალხთან უშუალო კავშირით იყო შემაგრებული. სწორედ ამ მოწოდებამ გადაადგმევინა რუსეთიდან დაბრუნებულ ახალგაზრდა სანდროს, იმ დროისათვის შეძლებული ოჯახის შვილს, მეტად გაბედული ნაბიჯი – უარი ეთქვა სასახლის ფუფუნებით ცხოვრებაზე და, ხალხის ყოფის უკეთ გაცნობის მიზნით, მეცხვარეობა დაეწყო. „მე მინდოდა მენახა ხალხი, მსურდა გამეგო იმათი სურვილი, მეცხოვრა იმათი ცხოვრებით, ჩემს თავზე გამომეცადა ის მოთხოვნილება და გაჭირვება, რომელიც უკანა სდევს მუშა ხალხს და რაღა დამაყენებდა შინ, მივაღწიე ჩემს მიზანს, დავუახლოვდი და გავიცანი ისინი, ვისიც დაახლოება და გაცნობა ასე გულით მსურდა"[5].

მოგვიანებით *ალ. ყაზბეგი* უყოყმანოდ ამართლებდა თავის ასეთ გადაწყვეტილებას და კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისი მხატვრული შემოქმედებისათვის მწყემსებთან გატარებულ წლებს. აი რას წერდა ამის შესახებ ყაზბეგი თავის მეგობარ მეცხვარეს *სიმონ ჩიკაშვილს*: „გახსოვს რამდენი ღამეები გაგვიტეხია მე და შენ ერთად, რამდენი ავდრიანი დღე, ჭექა, ქუხილი... გახსოვს როგორ გაკვირვებდა შენ და დანარჩენ ჩვენს ამხანაგებს, რომ მე, ნებიერად აღზრდილმა მებატონემ, კაცმა რომელსაც შემეძლო მოსვენებით ცხოვრება, შინაურს კერას ვარჩიე მოუსვენარ მინდორში და მთაში ხეტება, ხეტება სავსე განსაცდელით და შემთხვევებით. მაშინ ბევრს არ ესმოდა მიზეზი ჩემი ამგვარი ცხოვრებისა. ბევრი მძრახავდნენ ამისათვის და მიგონებდნენ ათას ცილის წამებას. მაგრამ თუ ჩემს ნაწერებს კითხულობს ვინმე, თუ ჰპოულობს იმაში რასმე გულის გასართობს, თუ არ სწყინდება და ბოლომდე ჩადის, ყველა ამის მიზეზი ჩემი წარსულია, ჩემი მეცხვარეობა და თქვენთან ცხოვრება შვიდი წლის განმავლობაში, რომელმაც ერთი და იგივე გვაგრძნობინა, ერთი და იგივე კენესით დააკვნესა ჩვენი გული, ერთი და იგივე მიზანი დაგვანახა"[6].

მშობლიურ კუთხესთან, საკუთარ ხალხთან ასეთმა სიახლოვემ განაპირობა ალ.ყაზბეგის შემოქმედების უკვდავება. მწერალი „მთელი თავისი პოეტური ძალით ჩასწვდა ხალხურ სტიქიონს და იქიდან ამოკრიფა ის მასალა, რომელიც ასე საუცხოოდ გაშალა თავის რომანებსა და მოთხრობებში. იგი უდგებოდა ფოლკლორს არა ვიწრო სტილიზაციის მიზნით, არამედ ღრმა ლიტერატურულ-საზოგადოებრივ ამოცანათა მიხედვით. იგი ხალხური შემოქმედებიდან სარგებლობდა არა მარტო სიუჟეტებით, არამედ სახეებით, გამოთქმებით, ლექსებით, რაც მისი ნაწარმოებების ორგანულ ნაწილს წარმოადგენენ. სინამდვილის მოვლენათა ათვისების სიფართოვე, სახეების ტიპიურობა და რეალიზმი, რაც ასე მკვეთრად არის გამომჟღავნებული ალ.ყაზბეგის პროზაში, გვიჩვენებს, თუ

რა მაღალ მწვერვალს შეიძლება მიაღწიოს მწერალმა, რომელიც თავის შემოქმედებაში ეყრდნობა ნამდვილ ხალხურობას"[7].

სწორედ ეს გახლდათ ალ.ყაზბეგის, საყოველთაოდ აღიარებული *„მთის პოეზიის"* ამ ბუმბერაზი წარმომადგენლის, მხატვრული შემოქმედების ის წყარო, ძალა და ენერგია, რომელმაც ქართული პოეზიის დიდებას *გრიგოლ ორბელიანს „ელგუჯას"* წაკითხვისას იქვე *დროების* ამიებზე მიაწერინა: „კარგია", „ძალიან კარგი", „მშვენიერება არის". „უფალო მოჩხუბარიძევ, გიხაროდეს, შენა ხარ პირველი მწერალი ღრამატიკი საქართველოში... ღმერთმა გაკურთხოს იმ გულის დატკბობისათვის, რომელიც მომეცა ამ მოთხრობის წაკითხვის ჟამს. ქართულს ენაზედ მსგავსი არა დაწერილა რა". ხოლო *„მამის მკვლელის"* წაკითხვის შემდეგ აღფრთოვანებულ გრ.ორბელიანს ყაზბეგის შესახებ აღუნიშნავს: „ქართველების *ომიროს* არის, შაბაშ!!!" ასეთ მაღალ შეფასებას სავსებით იმსახურებდა *„ელგუჯასა"* და *„მამის მკვლელის"* ავტორი[8].

თერგდალეულთა შეხედულებებიდან გამომდინარე, ალ. ყაზბეგისათვის სავსებით ნათელია ისტორიზმის პრინციპები. იგი საზოგადოების განვითარების კანონზომიერებას მხოლოდ თანამედროვეობის ასახვაში როდი ხედავს. ხალხის ისტორია, მისი შემოქმედება და გენია ყაზბეგს მისი წარსულის, თანამედროვეობისა და აწმყოს ერთიან პრიზმაში აქვს გააზრებული და თავის შემოქმედებაში ქართველ და კავკასიელ მთიელთა ყოფა-ცხოვრება ამ ასპექტში აქვს ნარმოჩენილი. აქაც იგი სრულიად იზიარებს ილია ჭავჭავაძის თეზისს, რომელშიც ბრწყინვალედაა გააზრებული ისტორიის, მისი ცოდნის, თავისუფლებისათვის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის პროპაგანდის მნიშვნელობა. „დავიწყება თავისი წარსულისა, მომასწავებელია ერის სულით და ხორცით დაშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაც", ხოლო ისტორიის აღდგენა „ერის გამოცოცხლებაა, გამხნევება, აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამორკვევაა სიბნელისაგან", – წერდა ილია ჭავჭავაძე[9].

სწორედ ამ პრინციპებს ითვალისწინებდა ალ.ყაზბეგი, როდესაც თავის შემოქმედებას ისტორიულ-ჰეროიკული და დრამატული თხზულებებით ამდიდრებდა. „ალ.ყაზბეგს კარგად ესმოდა, რომ ცალკეული გმირების, საქათრველოს დამოუკიდებლობისათვის თავგანწირვით მებრძოლთა, სამშობლოს თავდადებულთა მაგალითს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რაც პატრიოტული აღზრდის, ქართველთა გამოფხიზლების, მათი თავისუფლებისათვის ბრძოლის შემამზადებელი საშუალება იყო. ალ.ყაზბეგს, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ დაუწერია დრამა *„ქეთევან წამებული"* (იგივე *„კონსტანტინე ბატონიშვილი"*), *„მარიამ დედოფალი"*, *„დურსუნ-ბეგ ქობულეთელი"* და პატრიოტული ჟღერადობის ზოგი სხვა ნაწარმოები[10].

ალ. ყაზბეგი ერთ-ერთი გამორჩეული მწერალი იყო, რომელიც თანმიმდევრულად აგრძელებდა, ავსებდა და ამდიდრებდა ქართველ მთიელთა ეროვნულ სულისკვეთებას, იმას რასაც თავის დროზე რაფიელ ერისთავმა, ილია ჭავჭავაძემ და ვაჟა-ფშაველამ ჩაუყარეს მტკიცე საფუძველი. მწერალი თერგდალეულთა იდეებზე იყო აღზრდილი და პირველ რიგში ეროვნულ საკითხს სწევდა წინა პლანზე. მას კარგად ჰქონდა გააზრებული, რომ რუსეთის კოლონიურმა რეჟიმმა ძირი გამოუთხარა და დაანგრია ქართული სახელმწიფოებრიობა, ბოლო მოუღო მთიელთა თვითმმართველობას, შებღალა ქართველ ბარელთა და

მთიელთა ღირსება, მოსპობით დაემუქრა მის ენას, კულტურას, ზნე-ჩვეულებებსა და ტრადიციებს. „მთა და ბარი გამოიცვალა. ჰაერი შეწყდა, შეჩერდა... საქართველო დაეცა. დაეცა გმირი მრავლის საუკუნეებისა... საქართველომ დაჰკარგა თავისუფლება და მასთან ერთად ჩვეულება, კანონი, ცხოვრების ძალა. ყველაფერი რაც საუკუნეობით გამოერკვია, რაც მიეღო და აეღორძინებინა ქართველის ნიადაგს, რასაც მყარად და შორად ფესვი გაედგა ჩვენს ნიადაგზეც, ნიავქარიშხლად დამქროლი შეუბრალებელი უსამართლობის ძალა განადგურებას, ძირით მოტეხას, აღმოფხვრას უპირებდა.

ხალხს განაშორეს თავიანთი წყობილება და მათთან ერთად თავიანთი მმართველობა, გატყდა თემის პირი და მასთან ერთად მთელი ძლიერების გალავანი", – წერდა ალექსანდრე ყაზბეგი[11].

მიუხედავად ასეთი პესიმისტური განწყობისა ალ.ყაზბეგი თავისი ქვეყნის მომავალს უიმედოდ როდი უცქერდა: „მოვა დრო და ღრუბელი ჩვენშიაც გაიმქრევის, მზე გამოიხედავს, დრო შეიცვლება და ავადმყოფი მოკეთდების, ძმა – ძმას დაინახავს", – წერდა სხვაგან იგი[12]. საქართველოსა და კავკასიის მთიელთა, მთლიანად კავკასიის ხალხების ეს ხვედრი მწერალს საბოლოოდ რომ არ მიაჩნდა ეს იქიდანაც ჩანს, რომ იგი როგორღაც აფრთხილებდა კიდევ დამპყრობლებს: „მათ ავიწყდებოდათ მხოლოდ ერთი, რომ საქმე უნდა ჰქონოდათ მამულის მოსიყვარულე გმირებთან, რომელთაც თავი გამოეჩინათ ვაჟკაცობით და სიგულადით, რომელნიც ასე აფასებდნენ თავისუფლებას"[13].

ალ. ყაზბეგმა თავისი ისტორიულ-პუბლიცისტური მგზნებარება საფუძვლად დაუდო მთელ თავის მხატვრულ შემოქმედებას. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურაში, ვაჟა-ფშაველასთან ერთად, ალექსანდრე ყაზბეგი ერთადერთი პირველთაგანია, რომელმაც თავის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ქართველი ხალხის ტრადიციულ-ყოფითი კულტურისა და სულიერი მემკვიდრეობის შესწავლის საქმეს. მას მრავალი წინაპირობა ჰქონდა, რათა ღრმად ჩასწვდომოდა ხალხის ცხოვრების საიდუმლოებას, გაცნობოდა და გაეაზრებინა საქართველოს მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება, ჩვეულებები, ადათ-წესები და, საერთოდ, უდიდესი ეთნოგრაფიული და პუბლიცისტური მასალა მიეწოდებინა მკითხველისა თუ დაინტერესებულ პირთათვის.

ვ.ითონიშვილის სამართლიანი შენიშვნით[14], ალ.ყაზბეგს გამორჩეული ადგილი უჭირავს იმ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა შორის, რომლებიც დაუღალავი შრომით უანგაროდ ემსახურებოდნენ თავისი ხალხის ისტორიული წარსულის, ყოფითი კულტურისა და სულიერი მემკვიდრეობის შესწავლის საქმეს. ეროვნული ტრადიციების სიყვარული მას შთააგონა იმ გარემო პირობებმა, რომელშიც იზრდებოდა და ყალიბდებოდა, ადამიანებთან მჭიდრო ურთიერთობამ, შრომით პროცესებში მონაწილეობამ, ხალხის ყოფასა და კულტურაზე უშუალო დაკვირვებამ, ისტორიული წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის ღრმა ცოდნამ და დიდმა განათლებამ განსაზღვრა ის გარემოება, რომ ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულებები და რწმენა-წარმოდგენები ღრმად აისახა მწერლის მხატვრულ შედევრებსა და სხვა პუბლიკაციებში.

ალ. ყაზბეგის მთელი მხატვრული შემოქმედება ეთნოგრაფიული მასალით არის გაჯერებული. იგი ეროვნულ საქმედ მიიჩნევდა, როგორც მხატვრული

ლიტერატურის განვითარებას, ისე თავისი ხალხის ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობის, ყოფისა და ტრადიციების შესწავლას[15]. შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ მწერლის შემოქმედების მთავარ ღირსებად ეთნოგრაფიული ცნობების უხვად გადმოცემა მიაჩნდათ[16], თუმცა იგი გასცდა წმინდა ეთნოგრაფიულ ჩარჩოებს და ყისინით წარმოსხმული და მოხევურ კილოზე მოქცეული მისი გმირების ზოგადსაკაცობრიო ფსიქოლოგიას[17], სწორედ მთიელთა ცხოვრების წესის ტრადიციული ნორმები დაუდო საფუძვლად. მანიშნებელია, რომ ამ თვალსაზრისით, იგი პირდაპირ ეხმაურებოდა ახლად ჩამოყალიბებული ქართული ეთნოგრაფიის თეორიული და პრაქტიკული პრობლემების შემდგომი დახვეწისა და განვითარების ინტერესებს და კავკასიის მთიელთა ყოფისა და კულტურის შეფასებაში მცირე უზუსტობის შემთხვევაშიც კი, მეცნიერისა და სწავლულის პოზიციებიდან ეკამათებოდა და აკრიტიკებდა ისეთ ცნობილ მეცნიერ-კავკასიათმცოდნეებს, როგორებიც იყვნენ *მ.კოვალევსკი, გ.რადე, ა.ზისერმანი* და სხვ. ბუნებრივია, მწერლის ასეთი ფართო ისტორიულ-ეთნოგრაფიული და სოციოლოგიური თვალსაწიერი განპირობებული იყო ყაზბეგის მიერ რუსეთში მიღებული ევროპული ყაიდის ფართო განათლებით და იმ შეხედულებებისა და მიმდინარეობების არსებითი ცოდნით, რომელიც დამახასიათებელი იყო XIX ს. ბოლო ათწლეულების ევროპული საზოგადოებათმცოდნეობითი მეცნიერებისათვის.

ალ.ყაზბეგი სამართლიანადაა მიჩნეული ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ცხოვრების მემატიანედ. მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმოხილვის არეში იყვნენ მოქცეული ქართველ მთიელთაგან – მოხევეები, მთიულგუდამაყრელები და ხევსურები, ჩრდილოკავკასიელთაგან – ჩერქეზები, ოსები, ჩეჩნები და ინგუშები.

ჩრდილოკავკასიელ მთიელთაგან ალ.ყაზბეგის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი მაინც ჩეჩნებსა და ინგუშებს, ანუ ვაინახებს ეჭირა და ეს, ბუნებრივია, არ ყოფილა შემთხვევითი მოვლენა. ქართულ ისტორიოგრაფიაში, განსაკუთრებით კი ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში, არაერთგზისაა მითითებული ქართველ-ვაინახთა ეთნო-კულტურულ ურთიერთობებზე. ამ ახლო ურთიერთობებიდან ყალიბდებოდა ორი ხალხის მსგავსი, ერთნაირი წეს-ჩვეულებები და ტრადიციები: სტუმარ-მასპინძლობა, ყონაღობა, უფროსისადმი პატივისცემა, ურთიერთდახმარება, სისხლის აღება, სახალხო სასჯელის ფორმები, საქორწინო წესები, ბავშვის დაბადებასა და აღზრდასთან დაკავშირებული ტრადიციები, მიცვალებულის დაკრძალვის წესები და ა.შ.

ალ.ყაზბეგი დიდი სიყვარულით იხსენიებდა ჩეჩნებთან შეხვედრებისა და ურთიერთობის მომენტებს: „ესენი დაგვიხვდებოდნენ თუ არა ზრდილობიანად, სოფლის ბოლოს მოგვესალმებოდნენ, თითქო დიდი ხნის ნაცნობები არიანო, აიღებდნენ ხელში წკეპლებს და გვშველიდნენ სოფლის გაცილებას. ღიმილითა და მზრუნველიანად გვკითხავდნენ ჩვენს მოსვლაზედ, მშვიდობიანობაზედ და საზოგადოდ „გურჯეთის ხაბარზედ“, რომლის შეტყობა ისე უნდოდათ.

ამ ხალხში აშკარად სცოცხლობდა ჩვენთან მეზობლობის რწმუნება, ისინი უყურებდნენ გურჯებს, როგორც რაღაც მოძრავ ძალას, რომლის ბედ-იღბალიც თითქოს ენათესავებოდა ამ სიკეთით სავსე ხალხის ცხოვრებას“, – წერდა ალ.ყაზბეგი „*ნამწყემსარის მოგონებაში*“[18]. ასეთი ახლო დამოკიდებულების მი-

უხედავად XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ-კავკასიურ ტრადიციულ სამყაროში ბევრი რამ ჯერ კიდევ ბუნდოვანი და გაურკვეველი იყო. განსაკუთრებული გაუგებრობა სუფევდა ეროვნული კუთვნილების კლასიფიკაციის სფეროში. „მრავალ აღწერილობაში ერთი ეთნოსის (ხალხის) შიგნით რამოდენიმე ხალხი ფიგურირებდა, რისი მიზეზიც იყო ხელოვნური განცალკევება, ერთი ხალხის შემადგენლობაში მყოფი *ეთნოგრაფიული ჯგუფების* ეთნოსებად გამოცხადება". ვ.ითონიშვლის სამართლიანი შენიშვნით, ეს გარემოება, ცალკეულ შემთხვევებში, პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, სავსებით მიზანდასახულად კეთდებოდა, რაც ქართული ეთნოსის ორგანულად დაშლას ისახავდა მიზნად[19]. ეს ე.წ. გაუგებრობა, სამწუხაროდ, დღესაც არაა დაძლეული. ალ.ყაზბეგის ნაწერებში მოხვეები, მთიულები, გუდამაყრელები და ხევსურები არიან ქართული ეთნოსის შემადგენელი ნაწილები, ეთნოგრაფიული ჯგუფები და არა დამოუკიდებელი ეთნოსები. თუმცა, ცალკეული უმნიშვნელო შენიშვნებისაგან არც ეს შეხედულებაა დაზღვეული.

როგორც აღვნიშნეთ, ალ.ყაზბეგის კვლევის სფეროში მოექცნენ ხევსურები. მათ ყოფა-ცხოვრებას მწერალი კარგად იცნობდა მათთან უშუალო კონტაქტების და მათ ყოფა-ცხოვრებაზე უშუალო დაკვირვების შედეგად, კარგად იცნობდა იმ დროისათვის ხევსურეთზე არსებულ სპეციალურ ლიტერატურასაც. სწორედ გ.რადეს ნაშრომმა უბიძგა მწერალს ხევსურების შესახებ შეექმნა სპეციალური ნარკვევი.

ალ.ყაზბეგი, სხვა ქართველ სწავლულებთან ერთად, მკაცრად ამხელდა საქართველოს ისტორიის გამყალბებლებს, მათ, ვინც არასწორად ჩაიწერა მასალა ან ვერ გაერკვა ქართული ყოფისა და კულტურის ცალკეულ ნიუანსებში და ნებსით თუ უნებლიეთ, ფაქტები არასწორად წარმოაჩინა. „ვიცოდი ყველაზე დაახლოებით ხალხი და მათი ზნეობა და ამავე დროს ვკითხულობდი ათას უმეცრებას სხვადასხვა გამვლელ-გამომვლელის მოგზაურთა წერილებს", – წერდა ალ.ყაზბეგი. „გაუცნობელნი ხალხთან, შემდგენნი მათის ცხოვრების მოთხრობისა, მასალად იღებენ სხვადასხვა გაიძვერა პრისტავ-დიანბეგების, მამასახლის-ურიადნიკებისა და ღვდლად წოდებულის ხალხის ზღაპრებს. ამგვარმა მასალებმა, ეს პატივცემულნი პირნი იმ დასკვნამდინაც კი მიიყვანა, რომ ხევი საოსეთოდ ჩათვალეს და მოხვეები ოსებად, როდესაც ხევში რიცხვით სულ მხოლოდ ოცს კომლამდის და ისიც აქა-იქ სოფლებში გაფანტული ოსების მეტი არ მოიპოვება. ამასთანავე, ილანძღებოდა ხალხის წესები მრავალთათვის გაუგებარი, და ის წმინდა ჩვეულებანი, რომლის გაკიცხვაც კაცობრიობის შეურაცხყოფად ჩაითვლება"[20]. ალ.ყაზბეგი, მისივე სიტყვით, ყველაზე კარგად იცნობდა ხალხს და მათ ზნეობას, კვალიფიციურად აფასებდა არსებულ ვითარებას, კრიტიკულად იხილავდა უცხოელ მკვლევართა ნაშრომებს და სათანადო პასუხს სცემდა მათ. ასევე კრიტიკულად განიხილა მწერალმა გ.რადეს ნაშრომი ხევსურეთსა და ხევსურებზე. მან არამცთუ გამოავლინა მასში არსებული ნაკლი, არამედ საკუთარი მონაცემებითა და არგუმენტებით შეავსო, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა სრულიად ახალი ეთნოგრაფიული მასალა. ამდენად, როგორც აღნიშნულია, ყაზბეგის ნაშრომი „სცილდება წიგნის მიმოხილვის ფარგლებს და თავისი შინაარსით თუ საკითხების კვალიფიკაციის დონით ეთნოგრაფიული ნარკვევების მოთხოვნილებებს შეესაბამე-

გა"[21]. მწერალი ყურადღებას ამახვილებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ხევსურეთის შესწავლის მდგომარეობა, გეოგრაფიული გარემო, ტოპონიმია, დასახლების სტრუქტურა, ეთნოგენეზი და ეთნიკური ისტორია, სამეურნეო პირობები, საქორწინო ტრადიციები, საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფა, გლოვის წესები და რელიგიური რწმენა-წარმოდგენები და ა.შ.

ალ.ყაზბეგი დიდი მხატვრული ოსტატობით აგვიწერს ხევსურეთის გეოგრაფიულ გარემოს, კლიმატურ პირობებს, რათა სრულფასოვნად წარმოაჩინოს ამ კუთხის სპეციფიკა, სამეურნეო პირობები, ხალხის საქმიანობა. ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მისი უხვი და მსუყე საზაფხულო საძოვრები ხელს უწყობს მესაქონლეობის განვითარებას, მესაქონლეობის პროდუქციის მაღალხარისხიანობას, ამიტომაც მოსახლეობა უფრო საქონლის მოვლით იყო დაკავებული ვიდრე მინის მუშაობით: „ხევსურეთში არის მდიდარი საზაფხულო საძოვრები, რომელიც ქონად აქცევს საქონელს და რძის სიმსუქნესა და ღალიანობას ხომ ბარის ხალხი ვერც კი წარმოიდგენს. ამ გვარს მდგომარეობაში ჩავარდნილი ხალხი, რასაკვირველია, უფრო საქონლის მოვლას მიჰყოფს ხელს, ვიდრე მინის მუშაობას და სხვათა შორის ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ რადდეს ხევსურეთის მინა ღარიბ, მოუსავლიან მინად სჩვენებია", – წერდა ამის შესახებ ალ. ყაზბეგი[22].

რაც შეეხება მეცხვარეობას, რომელიც ფშავის, თუშეთის და ხევის დარად ფართო მასშტაბით ვერ განვითარდა, ამას მწერალი თივის ნაკლებობით კი არ ხსნის, როგორც გ.რადეს მიაჩნდა, არამედ უგზოობით, აღნიშნულ კუთხეებთან შედარებით რთული საკომუნიკაციო ხაზებით და მეზობელ მთიელთა – ქისტების ხშირი თავდასხმებით, რაც აიძულებდა ხევსურს მუდამ სამხედრო მზადოფნაზე ეზრუნა, მობილიზებული ყოფილიყო. „მე ვგონებ აქ მიზეზი თივის უქონლობა არ არის. არც ფშაველებსა და თუშებს ეშოვებათ ბევრი თივა, მაგრამ იქაური დიდი საქონლის პატრონები ზამთარში საქონელს თივით კი არა ჰკვებამენ, საძოვარზე დაუდით უფრო თბილს ადგილებში. ხევსურების უპირველესი გაჭირვება ის არის, რომ გზები არა აქვთ და დროზე ვერ წაიყვან-წამოიყვანებენ საქონელს. მათი მეზობელი ფშავები, თუშები და მოხევეები კი ამ მხრივ უფრო უკეთესს მდგომარეობაში არიან.

ხევსურების ღარიბ ცხოვრებასა და მოწყობილობაზეც არა მცირედი მოქმედება აქვს იმათს ქისტებთან მეზობლობას, რომელნიც არ უსვენებენ მათ და წამდაუწუმ თავს ეცემიან. სადღა სცალიანთ მუდამ შიშქვეშ მყოფ ხევსურებს დიდძალ საქონლის გასაჩენად და იმათ მოსავლელად!" – წერდა ალ.ყაზბეგი[23].

ალ.ყაზბეგის ეს უკანასკნელი არგუმენტი ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ბოლომდე გაზიარებული არაა, რადგან საქართველოს მთიანეთის ყველა მონაპირე კუთხე, მათ შორის თუშეთი, ფშავი და ხევი, ასევე ხშირად განიცდიდნენ მეზობელ ჩრდილო კავკასიის მთიელთა მეკობრულ თავდასხმებს, მაგრამ ამან ვერ შეაჩერა იქ, მსხვილფეხა მესაქონლეობასთან ერთად, მთაბარულ სისტემაზე დამყარებული მეცხვარეობის ფართო მასშტაბებით განვითარება. არც უგზოობა უნდა ყოფილიყო მეცხვარეობის განვითარების შემაფერხებელი. „ხევსურეთსა და მის მეზობელ კუთხეებში, – აღნიშნავს ვ.ითონიშვილი, – მესაქონელობა სხვადასხვა გზით ვითარდებოდა. ხევსურეთისთვის ყოველთვის ტიპიური იყო მსხვილფეხა მესაქონელობა, ხოლო მის მეზობელ კუთ-

ხეებში განვითარდა მთაბარობაზე დამყარებული მეცხვარეობა... მსხვილფეხა საქონელი ხევსურებს სხვა მთიელებზე მეტიც ჰყავდათ და სწორედ ის შეადგენდა მათ უმთავრეს საარსებო წყაროს[24].

ხევსურეთის გეოგრაფიული გარემოს აღწერისას მწერალი აღნიშნავს, რომ იქ იყო ტყეები, რომელთაც მოსახლეობა წმინდა ადგილებად მიიჩნევდა, უფრთხილდებოდნენ და მათ გაჩეხვის უფლებას არ აძლევდნენ.

ალ.ყაზბეგის ყურადღებას იქცევს ხევსურეთის *მატერიალური კულტურა*, კერძოდ, ტანსაცმელი, მისი ორნამენტი, შეფერილობა. იმ მოკლე აღწერილობასაც კი, რომელსაც მწერალი გვთავაზობს, მაშინ როდესაც ხევსურული ტანსაცმელი ეთნოგრაფიულად სრულიად შეუსწავლელი იყო, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. „ქალსა თუ კაცს ერთი და იგივე ზეიდგან ჩასაცმელი აქვს, რომელსაც ჰქვიან *„ჩოხა“*. ეს ჩასაცმელი უფრო საბედნიეროდ აქვთ შენახული და უბრალო ჩასაცმელს კი *„ჯუბას“* ეძახიან. ჩოხაც და ჯუბაც ერთმანეთს ჰგვანან და უფრო გულგახსნილს პერანგს მიემზგავსებიან, ვინემ ჩოხას. პერანგს გული ნაკერი აქვს, საყელო გვერდზედ ამოჭრილი. სხვა ტანისამოსი ხევსურებისა არის *შალვარი, ბანდულები, ჩაფხატები და საზამთროდ ტყავები*. თავზედ კაცებს ზოგს *თუშური ქუდები* ხურავთ, ზოგსაც ტყავისა. ქალებს კი თავზედ შალები ახვევიათ და ყელზედაც ჩამოკვანძნიალებული აქვთ მძივები, ბევრჯერ ვერცხლის ღილებგარეული“, – წერდა ალ. ყაზბეგი[25]. ასევე უნიკალური მნიშვნელობისაა ყაზბეგის ის ჩანაწერები, რომელიც ტანსაცმლის მასალასა და მისი დამზადების ტექნოლოგიას შეეხება: „ტანსაცმლის მასალას თითონ ხევსურის ქალები ამზადებენ. ცხვრის მატყლისას ქსოვენ ძალიან მაგარ შალებს, ზოგს უფრო მსხვილს – ჩოხებად და ზოგს უფრო წმინდას – ჩოხას ქვეშ (პერანგად) ჩასაცმელად. სწორედ ხევსურსავით ველურად უნდა იყოს აღზრდილი კაცი, რომ პერანგად ხევსურული შალი ჩაიცვას.

ქალები პატარაობიდანვე სწავლობენ მატყლის თითისტარზედ რთვას და შალების ქსოვას. ასე რომ ხევსურეთში ქალი არ გათხოვდება, თუ ტანისამოსის ჭრა, კერვა და შალების კეთება, ქსოვა არ იცის. ხევსურებს საქებურად მიაჩნიათ სხვადასხვა დარბილებულ ტყავების კეთება, *„სილაგის“* ამოღება. მშვენივრად ზელენ აგრეთვე ხარის ტყავებს და აკეთებენ ღვედებს და ფეხთსაცმელს.

ტანსაცმელს ხევსურები სხვადასხვა ფერადა ღებავენ ენდროთი, ფოლიოთი, სანდლით, ისფრის ხით და სხვ. უფრო გავრცელებულია მუქი აგურის ფერი, ლურჯი და შავი. ტანისამოსზე სხვადასხვა სახეებია გამოყვანილი, სხვადასხვაფერ ძაფებით და ღვრინჭილებით, მაგრამ ეს სახეები არ მიემსგავსება არც პირუტყვებს, არც მცენარეებს. უფრო ოთხკუთხ ან სამკუთხ სხვადასხვა ფერ ხაზებად არის გამოყვანილი და შიგა და შიგ მძივები და ღვრინჭილები ურევია“, – წერდა იგი. ეთნოგრაფ-დამკვირვებელის თვალითაა დანახული და აღწერილი ალ.ყაზბეგის მიერ ხევსურთა შეიარაღება და აჭურვილობაც. „იარაღი ხევსურებისა არის: თოფი, ხანჯალი, ხმალი, დაშნა (სწორე ხმალი), ჯაჭვი, ჩაჩქანი, სამკლავე და ფარი, რომელსაც განსაცვიფრებლად ხმარობენ. ამას გარდა ყველა ხევსურს უეჭველად აქვს თითზედა ქამარზედ ჩამოკიდებული რკინის ბეჭედი – *„საცერული“*, რომელსაც ხერხსავით კბილებს უკეთებენ. ჩხუბის დროს ამ „საცერულებით“ აკაწრავენ და ახევენ ერთმანეთს თავპირს. ძნელადა ნახავთ ისეთ ხევსურს, რომელსაც პირისახე ამ იარაღით დასახიჩრებული არ ჰქონ-

დეს... იარაღშივეა ჩასათვლელი საპირისწამლე, სასწრაფო და „*ჩანთა*“ (ტყავის პარკი). ამ ჩანთაში ინახავენ ტყვიას და ხშირად თამბაქოსა და ბურნუთსაც“, – გვამცნობს ალ. ყაზბეგი[26].

გეოგრაფიულ გარემოსა და სამეურნეო პირობებთან მჭიდრო კავშირშია განხილული *დასახლების სტრუქტურა*. მწერალი ეხება ხევსურეთის, როგორც საქართველოს ერთ-ერთი განაპირა კუთხის სტრატეგიულ მნიშვნელობას. მისი შეხედულებით, მტრებისგან შევიწროებული ხევსურები კავკასიის მთებს იყვნენ შეხიზნულნი, საცხოვრებლად ძნელად მისადგომი, კლდოვანი „გასაჭირი ადგილები“ ჰქონდათ შერჩეული და ამ ტერიტორიაზე საქართველოს დამცველი წრე ჰქონდათ შექმნილი. ამგვარად, კავკასიონის მონაპირე კუთხეთა შორის, ხევსურეთი წარმოდგენილია როგორც საქართველოს დამცველი, მისი ერთ-ერთი საიმედო სასაზღვრო რაიონი. ამასთან დაკავშირებით, მწერალი არკვევს ხევსურების ქისტებთან – ჩეჩნებთან და ინგუშებთან დამოკიდებულების ხასიათს, მტრობას და კეთილმეზობლურ ურთიერთობებს[27].

ხევსურების წარმოშობის შესახებ ჯერ კიდევ 1851 წელს გამოთქვა თავისი მოსაზრება *არნოლდ ზისერმანმა* (1824-1897), რომელიც 25 წლის მანძილზე კრებდა მასალებს კავკასიის ხალხთა შესახებ, აკვირდებოდა მათ ცხოვრებასა და აქვეყნებდა წერილებს მაშინდელი პრესის ფურცლებზე. ამავე პრობლემას შეეხენ *რ.ერისთავი* და *გ.რადე*. გადმოცემათა განხილვის საფუძველზე ა.ზისერმანი აღნიშნავს, რომ ხევსურები ძირადად ქართული მოდგმისანი არიან, რომელთაც ქისტები და ოსები შერევიან. მაგრამ შემდეგ, მამაკაცის ტანსაცმელზე, მის ორნამენტზე, საბრძოლო იარაღებზე და მოფარიკავეთა ბრძოლის წესებზე დაკვირვებამ შეაცვლევინა მოსაზრება და ხევსურების ჯვაროსანთაგან წარმომავლობის ჰიპოთეზა წამოაყენა“[28]. ჩვენ აღარ შევჩერდებით რ.ერისთავისა და გ.რადეს პოზიციებზე, რომლებიც სათანადოდაა განხილული ვ.ითონიშვილის ციტირებულ ნაშრომში, აღვნიშნავთ, მხოლოდ, რომ ალ.ყაზბეგი აჯამებს ყველა ამ ავტორთა პოზიციას და თავის დებულებას აყალიბებს. ის დამაჯერებლად უარყოფს ა.ზისერმანის ნააზრევს და წამოსწევს ხევსურთა ძირეული ქართველობის არგუმენტებს – ენობრივ მონაცემებს, გვარებს, ტოპონიმებს, ჰიდრონიმებს და ა.შ. მწერალი არ გამორიცხავს ხევსურებში ვეინახური სუბსტრატის არსებობას, მაგრამ კატეგორიულად გამორიცხავს მათში ოსურ ელემენტებს. ეს შეუძლებლადაა მიჩნეული, რადგან ოსებს „არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ხევსურებთან და ისე მოშორებულნი არიან, რომ ვერც კი მოხვდებიან ხოლმე მათ მხარეს“[29].

ხევსურეთის ეთნოგრაფიულ მიმოხილვაში ალ.ყაზბეგი გვაცნობს ამ კუთხის მკვიდრთა *საქორწინო წეს-ჩვეულებებს, საოჯახო ყოფის, ხელოვნური დანათესავების, ჩვეულებითი სამართლის ეპიზოდებს*. მწერალი ყურადღებას ამახვილებს ხევსურების სტუმარმასპინძლობის ტრადიციებზე, ზნეობასა და თავისებურებებზე, ჩვეულებებზე, ეთნოფსიქოლოგიაზე, გარეგნულ ტიპსა და ქცევის ნორმებზე. ბუნებრივია ალ.ყაზბეგმა კარგად იცოდა, რომ „ხალხის ხასიათი, მისი თვისებები და მორალი, ანუ ზნეობა, მისივე ცხოვრების პირობებში სოციალური ურთიერთობისა და სულიერი კულტურის განვითარებასთან მჭიდრო კავშირში ყალიბდებოდა“[30]. ხევსურის სიამაყე და მისი გმირული ხასიათი განუყოფელ ნაწილებადაა მიჩნეული. მტრული გარემოცვა და განუწ-

ყველტლივ მტრის მოლოდინი აკაჟებდა ხევსურების ნებისყოფას, რამდენადმე განსაზღვრავდა შრომის ორგანიზაციის ხასიათს, შინაურ საქმიანობაში ქალის მეტ აქტიურობას და აღზრდის წესებს. აღნიშნული მდგომარეობა მოზარდი თაობის თავიდანვე სამხედრო-ფიზიკურ მომზადებას და გულად მეომრად აღზრდას მოითხოვდა[31].

მართალია, შეუძლებელია ალ.ყაზბეგის დეტალური ციტირება ყველა ზემოთ აღნიშნულ საკითხზე, მაგრამ მწერლის მხატვრულ-პუბლიცისტური ჩანაწერები, რომლებიც ეთნოგრაფიული თვალთახედვით იმ პეიოდის მთიელთა ყოფა-ცხოვრების დასახასიათებლად, არსებით, ზოგჯერ კი ერთადერთ წყაროს წარმოადგენენ, უდაოდ სრულყოფენ და გაამდიდრებენ წინამდებარე ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას. ამ მხრივ უთუოდ საინტერესოა ხევსურთა გარეგნობის, ქცევისა და ხასიათის ყაზბეგისეული დახასიათება, რომელიც ზოგადად ქართველი ხალხისა თანამედროვე ეთნოფსიქოლოგიურ გამოკვლევებსაც კი დაამშვენებდა. აი რას წერდა ამის შესახებ მწერალი: „მომეტებული წილი ხევსურებისა არიან შუატანისა, ჩასხმულნი და მხარ-ბეჭიანნი; არიან პირხმელნი, მუდამ წვერმოპარსულნი და სახეზეც ჭრილობის ნიშნები ეტყობათ. სიარულით თითქოს უხერხულად დადიან, მაგრამ რაკი მთის ბილიკებს შეუდგებიან და შეხვდებიან სახტომ ალაგებს, განაცვიფრებენ ადამიანს თავიანთ სიმარდით და მოუღალაობით.

ხევსურები არიან ამაყნი, ლაპარაკობენ მკაცრად და მოკლედ. თვალები აქვთ დიდრონი, მაგრამ მუდამ მოხუჭული, რადგან მზის შუქის თოვლზედ ბრჭყვიალს ვერ უძლებენ. ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ ხევსურების შემოხედვა უფრო ბღვერას ემზგავსება. ხევსურების ყმაწვილ ქალებზედ ეს არ ითქმის. იმათ ხშირად ისეთივე კეკლუცი შეხედულება აქვთ, როგორც საუკეთესო სახლებში გაზრდილებს.

როგორც საზოგადოდ ქართველები, რომელთათვისაც კი სხვადასხვა ტომების დაახლოვებას ვერ მოუსწვრია გარყვნილობის დაღის დასმა, ხევსურები არიან გულწრფელები, პატიოსნები და სტუმრის მოყვარულნი. არას დროს ისინი თავის სიტყვას არ გადავლენ და ვისაც ერთხელ ძმურად ხელს გაუშვერენ, აღარ უღალატებენ სიკვდილამდის. ვისაც ტყვიას გაუცვლიან, ან ძმად გაეფიცებიან ან და იშვილობილებენ, მისთვი მზად არიან თავგანწირვით ყოველ განსაცდელს მიეცნენ“[32].

*ალ.ყაზბეგი* ჩვეული ოსტატობით გადმოგვცემს ხევსურთა საქორწინო წეს-ჩვეულების ცალკეულ ეპიზოდებს, რომლებიც, სრულყოფისა და გააზრების თვალთახედვით, სანიმუშო ეთნოგრაფიულ სიუჟეტებს წარმოადგენენ. „რადგანაც იქ ნაკურთხი წიგნის მცოდნე მღვდლები არა ყოფილან, თავიანთგანვე ამოურჩევიათ დეკანოზები და ხუცესები, რომელნიც თავისებურად ნათლავდნენ და აქორწინებდნენ ხევსურებს. ჩვენ საკვირველად უნდა გვეჩვენოს, როგორ ახერხებს ეს ხალხი ჯვარდაუწერლად მშვიდობიანს ცხოვრებას, როგორ იცავს პატიოსნებას მაშინ, როდესაც განათლებულს ქვეყნებში ცოლქმრობის დასაცავად სასტიკი კანონებია დადგენილი. მაგრამ, როგორც ეტყობა, პატიოსნების დაცვა უფრო თვითონ ხალხის ზნეს და ხასიათზედ ყოფილა დამოკიდებული და არა კანონების სიმკაცრეზედ. ხევსურებში ცოლ-ქმარს შუძლიან ერთმანეთს თავი დაანებოს და ამას წინ ვერავინ აუღდგება, თუმცა

ამორჩეული ბჭეები გადაახდევინებენ დამნაშავეს. ეს გადახდევინებაც მოქმედებს ხალხზედ, მაგრამ ისე არა, როგორც სირცხვილი ერთმანეთის შეუფერებლობისა და ის შიში, რომ იქნება მეორე ქალს აღარავინ მისცემს იმას, ვინც ერთხელ ვერ მოახერხა ცოლთან მშვიდობიანი ცხოვრება"[33].

ქორწინების ინსტიტუტი ხევში მონოგრაფიულად შეისწავლა *ვ.ითონიშვილმა.* გამოკვლევაში ავტორი საფუძვლიანად აანალიზებს ალ.ყაზბეგის დამსახურებას აღნიშნულ საკითხში და შეფასების დასკვნით ნაწილში მიუთითებს, რომ იგი შეუფერადებლად აღწერდა ქართველ მთიელთა ძველსა და მის ეპოქაში მოქმედ წეს-ჩვეულებებს, ერის სულიერ საგანძურად მიიჩნევდა დადებით ეროვნულ ტრადიციებს და ებრძოდა დრომოჭმულ, მავნე გადმონაშთებს. ერთერთი ასეთ მავნე გადმონაშთად მიჩნეულია *„ქვრივის დაძახებით"* დასაკუთრება, რასაც მწერალი ცალსახად უარყოფით შეფასებას აძლევდა[34].

ალ.ყაზბეგს მხედველობიდან არ გამორჩენია ხევსურთა ყოფის არც ერთი, მეტნაკლებად მნიშვნელოვანი, მომენტი. იგი გულდასმით აღწერს საოჯახო ყოფის ფრაგმენტებს, ქალის საოჯახო და საზოგადოებრივ მდგომარეობას, მათ შრომა-საქმიანობას, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მამაკაცთა ფუნქციებისგან. „ქალების საქმე არის კერვა, ჭრა, ქსოვა შალებისა, მკა, ხანდისხან ნამგლით თიბა, თივის მოტანა ზურგით, საჭმელების კეთება და პურის ცხობა. ამას ყველა პატარაობიდანვე სწავლობენ და იმათ შორის ისეთი არავინ არის, ეს საქმეები არ იცოდეს. კაცები კი ხვნენ, სთიბავენ ცელით, მკაში შველიან დედაკაცებს. დადიან სანადიროდ და იფარავენ თავიანთ სახლობას გარეულისა და შინაურის მტრისაგან", – წერდა ალ.ყაზბეგი[35].

მწერლის მხედველობის არეშია მოქცეული მთიელი ქალის უფლებათა შეზღუდვის მაგალითებიც. იგი კარგად ამჩნევდა, რომ ქალს არაადამიანურ უფლებრივ მდგომარეობაში აგდებდა ცრუმორწმუნეობით გამოწვეული სიბნელე და უმეცრება. შენიშნულია, რომ ხევსურულ საოჯახო ყოფასთან დაკავშირებით მოტანილი კომპონენტები, რომელთაც ალ.ყაზბეგი ეხება, ძირითადად ინდივიდუალური ოჯახისთვის იყო დამახასიათებელი. ხევსურული ოჯახი მცირერიცხოვანი იყო. ეს გ.რადესაც აქვს შენიშნული. მისთვის თვალში საცემია ხევსურულ ოჯახში ბავშვების სიმცირე. მკვლევარი ამის მიზეზად, სვანეთის ანალოგიურად, ახლად დაბადებული გოგონების დახოცვასაც კი მიიჩნევდა, მაგრამ ეს ვერსია კატეგორიულად იქნა უარყოფილი. პირველ რიგში, ალ.ყაზბეგმა განმარტა, რომ „ბევრი ბავშვები ერთად რადეს იმიტომ არ უნახავს, რომ ჯვარის წერის შემდეგ ცოლ-ქმარი ცალკე გადის და ცალკე მეკომურს შეადგენს. სხვა მთის ხალხში კი ბევრჯერ მესამე თაობაც არ იყრება და ერთად ცხოვრობენ. რასაკვირველია, ერთის ცოლ-ქმრის შვილები უფრო ნაკლები უნდა იყვნენ, სანამ ათასია, როგორ სახლობასაც არა იშვიათად შეხვდებით, მაგალითად, ხევში"[36].

ვ. ითონიშვილის შენიშვნით, ალ.ყაზბეგმა კარგად იცოდა, რომ ხევსურის ოჯახი სტრუქტურულად განსხვავდებოდა სხვა ქართველი მთიელების, კერძოდ, მოხევის, მთიულის, ფშაველის ოჯახისაგან, ამიტომ მისი შენიშვნები სათანადო არგუმენტებითაა გამაგრებული.

ვ.ითონიშვილის ციტირებულ გამოკვლევაში აღნიშნულია, რომ „სოციალურ ურთიერთობათა ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ადათობ-

რივ სამართალს, მისი წარმოშობა-განვითარების პროცესს და მის ადგილს საზოგადოებრივ ცხოვრებაში". მისი შესწავლისათვის კი ხევსურეთი ყველაზე ხელშესახებ მასალას იძლევა. ხალხური სამართლის ნორმები და სამართალწარმოების წესები ხევსურეთში უფრო სრულყოფილად და დიდხანს შემოინახა, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეებში. ხევსურეთში წინაკლასობრივი საზოგადოებრივი ცხოვრების ამ კომპონენტის გადმონაშთის სახით ხანგრძლივად შემონახულობა მისმა სოციალურ ურთიერთობათა დონემ განსაზღვრა. ალ.ყაზბეგი ეხება რა ამ სფეროს, კრიტიკულად მიმოიხილავს მასთან დაკავშირებულ ლიტერატურას, კერძოდ, რ.ერისთავისა და გ.რადეს დაკვირვებებს. მწერალი ააშკარავებს გ.რადეს ნაშრომში არსებულ წინააღმდეგობებს, ქართველ მთიელთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ და თავის მხრივ ხაზს უსვამს თუშ-ფშავ-ხევსურთა შორის ძველთაგანვე კეთილმეზობლურ ურთიერთობას, რომ ისინი ერთად გამოდიოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ, მათ შორის არსებული ცალკეული გაუგებრობები კი, შუაკაცების შემწეობით სწრაფად გვარდებოდა. წინააღმდეგობა გაცილებით რთული იყო ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა შორის[37].

ცნობილია, რომ დანაშაული, ცალკეულ პირთა შორის ურთიერთდაპირისპირება და მტრობა ყოველთვის ხდებოდა, საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების ყველა ეტაპზე, როგორც სხვადასხვა კუთხის და თემის ურთიერთობაში, ისე ერთი თემისა და სოფლის შიგნით. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება კრძალავდა სისხლის აღებას, რაც გვაროვნულ წყობილებაში ჩაისახა და სახელმწიფო სამართლითაც იკრძალებოდა, გადმონაშთის სახით, განსაკუთრებით მთის ზოლში, XX საუკუნის დასაწყისამდე შემოინახა. ეს კარგად აისახება ხევსურეთის ეთნოგრაფიულ მასალებში, სადაც ყველა სადავო საკითხებს მოდავე მხარეთა მიერ არჩეული ბჭეები არიგებდნენ. როგორც ალ.ყაზბეგი აღნიშნავს, ბჭეებად უფრო დარბაისელ მოხუცებს აყენებდნენ, რომელთაც ხალხში პატივისცემა და სახელი ჰქონდათ მოპოვებული. მათი გადაწყვეტილება საბოლოო იყო და მას დამნაშავე უსიტყვოდ ასრულებდა. მწერალი მკაცრად აკრიტიკებს გ.რადეს, რომლის მიხედვითაც ხევსურეთში მოსისხლეთა შერიგებასთან დაკავშირებული ადათობრივი სამართლის ნორმები, თითქოსდა, არ იყო სათანადოდ რეგულირებული და ადვილად ირღვეოდა. თავის მხრივ, ყაზბეგი გვამცნობს მკვლელობისა თუ დაჭრის შემთხვევებში გამოყენებულ სასჯელებს და აღნიშნავს: „ხევსურები ისე სულელები არ არიან, რომ ეს არ ესმოდეთ და ამისთანა მოუაზრებელს დებულებას თავის დღეში თავის ცხოვრებაში არ შეიტანდნენ. ამის გარდა რადდეს ავიწყდება, რომ ხევსური მტკიცედ ასრულებს თავის პირობებს და არა ღალატობს თავის დღეში ძმობილად ან შვილობილად მიღებულს"[38].

უაღრესად საინტერესო და, დღევანდელობის თვალთახედვით, აქტუალურია ალ.ყაზბეგის შეხედულება სასჯელის სიმკაცრის შესახებ, რაზედაც იგი სამართლიანად საყვედურობს გ.რადეს. „ბატონ რადდეს ჰგონია, რომ „სასამართლო, თუ სასტიკად იმოქმედებს, უფრო გამოიყვანს ამ უხილავს და ველურ ხალხს (ე.ი. ხევსურებს) ცივილიზაციის გზაზედ, ვიდრე მშვიდობის მყოფელი ეკლესია".

საკვირველია, რომ ამისთანა აზრს ამბობს ის პირი, რომელსაც ბუნების-მეტყველება შეუსწავლია და კარგად უნდა ესმოდეს, რომ ძალდატანებით ჩაგონება არსად არ გამოდგება. ამასთანავე, ბ.რადდემ ისიც ძალიან კარგად უნდა იცოდეს, რომ ციხეები, სადაც თავმოყრილი არიან გაქვავებული გულის პატრონნი, სულით ხორცამდე გარყვნილი ავაზაკები, არამც თუ გააკეთებენ კაცის ხასიათს, უფროდაც გაუფუჭებენ", – წერდა ალ.ყაზბეგი[39].

სულიერი კულტურის სფეროდან ალ.ყაზბეგი ეხება მიცვალებულის გლოვისა და დასაფლავების წესებს, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს, კულტის მსახურთა ფუნქციებს, დღეობებსა და უქმეებს. მწერლის დაკვირვებით, ხევსურეთში ზარით ტირილის წესი სრულდებოდა, რაშიც ქალებიც მონაწილეობდნენ. ტირილის გარდა, თავიანთ მიცვალებულს *„წეკოს გაბოლებითაც"* იხსენებდნენ. წეკოთი სავსე ჩიბუხს მოუკიდებდნენ, სამძიმრის სათქმელად ყოველი ახალი მოსული მიცვალებულის გვერდით ჩაცუცქდებოდა, ბოლს გამოუშვებდა და მიცვალებულს უსაყვედურებდა ამგვარი მწუხარების მოტანისათვის. ხანდაზმული მამაკაცები ტირილის რიტუალში მდუმარედ იდგნენ, ყავარჯნები ეჭირათ ხელში, ქუდები თვალებზე ჰქონდათ ჩამოფხატული და საყელოები ჩამოწყვეტილი. შემდეგ აღწერილია დასაფლავებისა და გლოვის წესები, სამგლოვიარო რიტუალის დასასრული, მასთან დაკავშირებული წირვა, სპორტული ასპარეზობა – დოღი, გამარჯვებულთა დასაჩუქრება და ა.შ. მწერალმა კარგად იცოდა, რომ წირვები და საერთოდ, მიცვალებულთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები მძიმე ტვირთად აწვებოდა ოჯახის ეკონომიკას, მაგრამ მას ხალხში ისე ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული, რომ მისი აღმოფხვრა არც ისე ადვილი იყო[40].

დასაფლავებისა და გლოვის წესები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, საკუთრივ, თუშ-ფშავ-ხევსურეთში, მონოგრაფიულადაა შესწავლილი[41], სადაც ყველა აღნიშნული საკითხი სათანადოდაა გაანალიზებული. სულიერი კულტურის ამ სფეროთი ეთნოგრაფთა ყურადღება იმით მიიპყრო, რომ იგი რთული რელიგიური კომპლექსთაგანია, რომელშიც ცნობიერების უძველესი კვალია შემორჩენილი. მან, მეტ-ნაკლები სისრულით, ბოლო დრომდე შემოინახა მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული, ძველთაგან მომდინარე საკულტო მოქმედებები და რწმენა-წარმოდგენები.

ალ.ყაზბეგის დაკვირვებით, ხევსურთა სულიერი კულტურისათვის დამახასიათებელია რელიგიური სინკრეტიზმი, რის მიზეზადაც მწერალი რელიგიურ მიმდინარეობათა სფეროში მომხდარ ცვლილებებს მიიჩნევდა. მისი დაკვირვებით, ხევსურები და მათი მეზობელი ქისტები ძველთაგანვე მართლმადიდებელი ქრისტიანები ყოფილან, მაგრამ ჟამთა ვითარებისგან, ქისტებში შემოსულა მაჰმადიანური სარწმუნოება და რამდენადმე ხევსურეთშიც შერყეულა ქრისტიანობა. „ხევსურები ძველადგანვე მართლმადიდებელი ქრისტიანები ყოფილან, როგორც იმათი მომიჯნავე ქისტები, მაგრამ ჟამთა ვითარებისაგან ქისტებში შემოსულა მაჰმადიანის სარწმუნოება და ხევსურეთშიაც შერყეულა რამდენადმე ძველი რჯული. ამის გამო, რამდენიმე წლის წინათ ნაკურთხის მღვდლების მაგივრად ხუცესები სწირავდნენ, ლოცულობდნენ და სხვა ქრისტიანულ წესებს ასრულებდნენ. რასაკვირველია, ხუცესებისგან საღმართო წერილის უცოდინარობამ სრულებით შესცვალა ზოგიერთი ეს წესი". მწერალი

იმასაც მიუთითებს, რომ ხევსურებში კერპთაყვანისმცემლობისა და სხვა რელიგიური მიმდინარეობების ზოგიერთი ჩვეულებებიცაა შემორჩენილი. „ხალხში არის დარჩენილი ზოგიერთი ჩვეულება კერპთაყვანისმცემლობისა, არის ებრაული წესები, როგორც, მაგალითად, ზოგიერთს სოფლებში შაბათის დღესასწაულობა; მაჰმადიანის წესები – პარასკევის დღესასწაულობა, ღორის უჭმელობა და სხვა. ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოებისგან დანიშნული მღვდლები ცდილობენ სწორე გზაზედ დააყენონ ეს ხალხი, გასწმინდონ ქრისტიანობა სხვა რჯულის წესებისაგან, მაგრამ ისინი – მღვდლები – სრულებით არ არიან მომზადებულნი იმ შრომისთვის, რომელიც მათ უკისრიათ და ძალდატანებით მოქცევა ხალხისა – მაგალითებით ვიცით – კი არ აკეთებს საქმეს, უფროდაც აძნელებს", – წერდა იგი[42].

ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ „ხევსურეთში და საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებში რელიგიური სინკრეტიზმის არსებობა განაპირობა არა იმდენად მაჰმადიანური ან იუდაური სარწმუნოების შემოჭრამ, არამედ პირველ რიგში წარმართული და ქრისტიანული კულტების შერწყმამ. ეს პროცესი დამახასიათებელი იყო როგორც ქართველი, ისე ჩრდილოკავკასიელი მთიელების ცხოვრებისათვის. წარმართი მთიელების გაქრისტიანებამ მათ ყოფაში ვერ აღმოფხვრა ადრინდელი კულტები და რწმენები". ვ.ითონიშვილი, როგორც ეთნოგრაფი, პროფესიულ დონეზე ასწორებს ალ.ყაზბეგის რიგ შეხედულებებს და აღნიშნავს, რომ ქრისტიანობა ხევსურეთში არასოდეს განვითარებულა საქართველოს ბარის დონეზე. იქ *„ძველი რჯული"* წარმართობა იყო და არა ქრისტიანობა, როგორც ეს ალ.ყაზბეგს აქვს აღნიშნული. წარმართობასთან ბრძოლაში მისგან ქრისტიანობამ ბევრი რამ შეიძინა და ამდენად, სინკრეტიზმი წარმართული კულტურის გადმონაშთებისა და ქრისტიანული დოგმების თანაარსებობაში უნდა დავინახოთ[43].

ალ.ყაზბეგის დაკვირვების ობიექტს, პირველ რიგში, მისი მშობლიური კუთხე ხევი წარმოადგენდა, კუთხე, სადაც ის დაიბადა და აღიზარდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქ, ხალხში გატარებულმა ცხოვრებამ, მათ გვერდის შრომა-საქმიანობამ მწერალს საშუალება მისცა საფუძვლიანად შეესწავლა მამა-პაპური ტრადიციები, ხალხის ყოფა-ცხოვრება, წეს-ჩვეულებები, რაც სათანადოდ აისახა მის მხატვრულ შემოქმედებასა და პუბლიცისტურ წერილებში. ალ. ყაზბეგის დაკვირვებები აღმოსავლეთ საქართველოს და ჩრდილო კავკასიის მთიელების, განსაკუთრებით კი მოხევეების ყოფა-ცხოვრებაზე, დღეს ეთნოგრაფიული მეცნიერებისათვის უაღრესად ღირებულია.

ერთ-ერთი საკითხი, რომელსაც ალ.ყაზბეგი სპეციალურ ნარკვევებში – *„მოხევეები და იმათი ცხოვრება"* – შეეხო, იყო საოჯახო ყოფა[44]. მან ცხადყო, რომ XIX საუკუნის ბოლოს, მაშინ როდესაც მწერალი ეთნოგრაფიულ მასალას კრებდა, ხევში შემორჩენილი იყო *დიდი ოჯახი*, რომლის ძირითად კომპონენტს წარმოადგენდა რამდენიმე თაობის ერთად ცხოვრება და მრავალსულიანობა, ქონების საერთო-საოჯახო საკუთრება და მოხმარება, კოლექტიური შრომის ორგანიზაცია და მმართველობის სოლიდარული სისტემა.

საოჯახო ყოფასთან დაკავშირებით, მწერლის ყურადღება მიიქცია დიდი ოჯახის მმართველობის სისტემამ და საკუთრების ფორმებმა. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ოჯახის მმართველობის სისტემა დემოკრატიულ პრინცი-

პებზე იყო აგებული. კაცების საქმიანობას ოჯახის უფროსი მამაკაცი განაგებდა, ქალების საქმიანობას – უფროსი ქალი, დიასახლისი. ოჯახის ყველა წევრმა, სქესისა და ასაკის მიხედვით, იცოდა თავისი საქმე. მართალია, ოჯახის მთელ მეურნეობას, ქონებას, საქმიანობას ოჯახის უფროსები განაგებდნენ, მაგრამ თვითნებურად არაფერ საქმეს არ წყვეტდნენ. ამაში გამოიხატებოდა მმართველობის დემოკრატიული პრინციპები. აი რას წერდა ამის შესახებ ალ. ყაზბეგი: „ისინი სცხოვრობენ ბევრჯელ ოცს სულ ჯალაბამდინ ერთად და კაცებზეც უფროსობს და რიგს აძლევს მამა, ქალებზედ კი დედა. მაგრამ ამ უფროსობაში თქვენ ნუ გგონიათ, რომ ერთს ვისმე ჰქონდეს მინიჭებული სრული ძალა და იმის ქეიფზედ, იმის დესპოტიურს სურვილზედ უნდა იაროს ყველამ. ყოველ საქმეში უეჭველად და აუცილებლათ მთელი სახლობა შეიყრება, რჩევა აქვს და სანამ ასე რიგად არ გადასწყვეტენ შინაურულათ, საერთო რჩევით, ძროხასაც კი ვერ იყიდიან, არამც თუ სხვა რომელიმე საქმე დაიჭირონ. ამ რჩევაში ხმოვანებათ ითვლებიან ყველანი, ვინც კი იმათ სახლობას ეკუთვნის. ასე წარმოიდგინეთ, რომ ახლათ მოყვანილ რძალსაც კი ჰკითხავენ რჩევას, თუმცა ის რამოდენიმე წელიწადს, როგორც მამამთილს, ისე უფროსს მაზლებს უმალავს ხმას და თუ არ რომელისამე ქალის შემწეობით, პირდაპირ, ხმამაღლივ, ვერ წარმოსთქვამს თავის აზრს“[45].

ალ.ყაზბეგის დაკვირვებით, ოჯახის ძირითად საარსებო საშუალებას წარმოადგენდა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. მწერალი იმასაც აღნიშნავს, რომ ხევი მაღალმთიანი კუთხეა, ხრიოკი, ფერდობები წვიმებისგან ჩამორეცხილი, მინდვრები კი – კლდის ჩამონაშალით სავსე. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად ზღუდავდა მიწათმოქმედების წარმოებას. ადრე საძოვარი, მთა და ბარი ეროვას ეკუთვნოდა, ყველას; ვისაც რამდენი საქონელი ყავდა, შეეძლო თავისუფლად ეძოვებინა. ახალმა დებულებამ კი მდგომარეობა შეცვალა – საძოვარი თვითოეულ პირს, თვითოეულ სოფელს ან თვითოეულ გვარს დაუსაკუთრა[46].

ალ.ყაზბეგი აანალიზებდა შექმნილ ვითარებას და მიუთითებდა, რომ ასეთ პირობებში მოხევე იძულებული იყო დამხმარე საქმიანობით შეევსო თავისი შემოსავალი, ასეთ საქმიანობას კი წარმოადგენდა საქართველოს სამხედრო გზაზე მუშაობა, ქირით ტვირთის ზიდვა, მონადირეობა. მეურნეობის წამყვანი დარგი იყო მესაქონლეობა, კერძოდ მეცხვარეობა. მწერალი მეურნეობის ამ დარგის ზრდისა და განვითარების პერსპექტივებს ხედავდა ადგილობრივ მთის საზაფხულო საძოვრებისა და ჩრდილო კავკასიის, კერძოდ, ჩეჩნეთის საზამთრო საძოვრების გამოყენებაში, რომელთაც მოხევეები უკვე აქტიურად იყენებდნენ. მის დამაბრკოლებელ მიზეზად კი მიაჩნდა სოფლებს შორის საძოვრების უთანაბრო განაწილება და რიგ შემთხვევებში ცალკეული პირების მიერ მთების დასაკუთრება[47].

ვფიქრობ, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ყაზბეგის თხზულების იმ პასაჟებს, რომლებშიც ზედმიწევნით საინტერესო ეთნოგრაფიული სიუჟეტებია წარმოჩენილი. ამ მხრივ ალ.ყაზბეგის შემოქმედება სრულიად ახალ წარმოდგენას გვიქმნის მოხევეთა, საერთოდ კი ქართველ და კავკასიელ მთიელთა ხატსალოცავებზე, „*წმინდა ადგილებსა*“ და მათთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებზე, მთიელი კაცის ბუნებასა და ხასიათზე, მის საცხოვრისზე და ა.შ. მწერალი დიდი სიზუსტით აღწერს მისი დროისათვის არსებულ საზოგადოებრივ ყო-

ფას, რასაც სადღეისოდ, ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. სამაგალითოდ მოვიყვანთ რამდენიმე ამონაწერს მწერლის თხზულებიდან. „ნამდვილს მოხევეს არ ესმის სიმდიდრეში გაუმაძღრობა და ყოველთვისინ კმაყოფილდება იმით, რაც საკმარისია იმათთვის საცხოვრებლად. მეტისმეტად ძვირად გაყიდვა რისიმე, ნამეტნავად გაჭირებულს კაცზედ, მოხევეს დიდს ცოდვათ და უპატიოსნებათ მიაჩნია.

მარდი, გულადი და მოაზრებული ყოველ გაჭირებიდან გამოვა და თითქმის სხვისთვის აუცილებელს უბედურებას ყოველთვის აიცდენს. ათას რიგმა მოულოდნელმა შემთხვევებმა დააჩვია ის ჩქარს მოაზრებას გაჭირებაში და იმ საშუალების სწრაფად დანახვას, რომელიც სხვას, ამ ადგილებს შეუჩვევარს კაცს, ვერც კი წარმოუდგენია...

უცხო კაცთან შეხვედრაში მოხევე თავდაჭერით იქცევა... თუმცა გგონიათ თქვენ, რომ იმას არც კი გამოუხედავს თქვენსკენ, მაგრამ უბრალო ქამრის ღილიც არ დარჩენია მოხევეს... შეუმჩნეველი. რაც უნდა ნახოს, რაც უნდა გაუკვირდეს, თავის დღეში არ შეიმჩნევს ამ გაკვირვებას და ლაპარაკში ისე გექცევა, თითქოს ეს საკვირველი სანახავი იმას ათასჯერ უნახავს. მართალია, უცხო კაცთან იმას ბევრი ლაპარაკი არ უყვარს, მაგრამ ორი-სამი სიტყვის წარმოძახებაში, მაშინვე დაინახავთ მხიარულს, ჭკუა-მახვილს და ოხუნჯობის მოყვარე მოხევის ხასიათს“, – წერდა ალ. ყაზბეგი[48].

მოხევისა და, საერთოდ, ქართველი მთიელის ღრმა და სრულყოფილი ფსიქოლოგიური პორტრეტია მოცემული მწერლის მომდევნო ჩანაწერებშიც: „მოხევე ამაყია: თავის დღეში ნებას არ მოგცემსთ, რომ დაჩაგროთ, მაგრამ აწმყო მდგომარეობამ... დააჩვია ბევრი რამ ისეთი მოითმინოს, რომელსაც სხვა დროს არ მოგითმენდა. თუ ის უსამართლობას ხედავს თავისთან ქცევაში, მაინც უკანასკნელ საშუალებამდინ და სულის ამოხდამდინ ცდილობს რითიც იქნება გამოაცხადოს თავისი უკმაყოფილება...

რაც კი შეეხება გადახდას, მოხევე არ არის შურის მძიებელი ისე, როგორც ჩვენ გვესმის ეს სიტყვა. იმის გამოკიდება და გადამტერება არ არის დაფუძნებული ავგულობაზედ; არა, – ის, როგორც ყველა ხალხი, ვისაც თავმოყვარეობა და ჭკუა აქვსთ, ჩქარა არ ივიწყებს იმ უსამართლობას, რომელიც თქვენ მიგიყენებიათ და შემთხვევას ეძებს გადაგიხადოსთ როდისმე. არც იმას ელის, რომ მოგასწროთ სადმე მოუმზადებელს, დასუსტებულს და ისე გადაგიხადოსთ; მხოლოდ იმას ელის, რომ თქვენ შესწორდეთ, ორივეს ერთგვარი ძალა შეგექმნას, მაშინ მოგთხოვს პასუხს.

მოხევე თავის დღეში არ ჩაგისაფრდებათ და იქიდან არ გესვრის თოფს.., არამედ წინათვე შეგატყობინებს, დროს მოგცემსთ, რომ მოემზადნეთ და მემრე იმოქმედებს. იმისი ძლიერი, შთამბეჭდავი ხასიათი არაფერს არ ივიწყებს, მაგრამ, თუ თქვენ უღონო, დასუსტებულსა გნახავსთ, თითონვე შეგიბრალებსთ და ხელს არ გახლებსთ...“[49].

XIX საუკუნის ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში ალ.ყაზბეგს ბადალი არ მოეპოვება მთიელთა საცხოვრისის აღწერის საქმეშიც. „მთაში სახლები საზოგადოთ სუყველგან ერთ გვარათ არის ნაკეთები: წინ დერეფანი, მემრე ზენაქვენა სახლი; ქვითა და მიწით ნაგები. ქვეით სახლში უდგასთ საქონელი და ზემოთში კი თითონა დგანან და ეძახიან „*სამყოფო*“ სახლს. სახლი საზოგადოთ

არის კარგათ მოზრდილი, ასე რომ ზოგი იმათგანი 36 არშინიანიც კი არის ხოლმე. ეს სახლი სიგრძეზე იყოფა ორათ; პირველს შესვლაშივე, ერთს საჭენს თუ საჭენ ნახევარს მისდევს თხელი ფიცრული, მემრე დაგხვდებათ კარი და კარს ქვეიდგან ხაროებით, პურის ჩასაყრელი ბეღლები თითქმის ბოლომდინ, სადაც კიდევ სენაში შესასვლელი კარები არის დაგდებული. ხაროებიდგან კედლამდინ სენის ფიცრული მისდევს.

სამყოფი სახლის მორთულობას შეადგენს: *კერა* – შუა ადგილას, რომელზედაც ჭერიდგან ჩამოშვებულია *საკიდელი*; ამ კერის სამ მხარეს სამი გრძელი სკამი, რამდენიმე *მარტოშკამი*; ფიცრულზედ ჰკიდია თოფები, დამბაჩები, ხმლები, წრიაპები. ფანდური და შამფურები, ბანები ყველას მიწური აქვს და არა იშვიათად, მეორე სახლი ისე თავსა აქვს წამოდგომილი პირველს, რომ ამ პირველის ბანი კალოთა აქვს გამხდარი მეორე სახლობას", – წერდა ალ.ყაზბეგი მოხევეთა ტრადიციული საცხოვრებელი სახლის შესახებ[50].

ასეთივე უხვი ეთნოგრაფიული სიუჟეტებითაა დატვირთული ალ.ყაზბეგის მხატვრულ-პუბლიცისტურ ნაწარმოებებში გლოვის, დატირების, ხატობის დღესასწაულისა თუ სხვა ყოფითი სცენების აღწერა და ფიქსაცია, რომელთა მოტანას აქ უკვე აღარ ვთვლით საჭიროდ. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ მწერალი მეტნაკლები სიზუსტითა და ანალიტიკური მიდგომით აფასებს ყველა ამ ფაქტსა და მოვლენას და სათანადო ახსნას აძლევს მას. სწორედ ასეა გააზრებული *ხატობის დღესასწაული* ქართველ მთიელებში, რომელშიც დიდ მხატვრულ-ემოციურ დატვირთვასთან ერთად პროფესიული მკვლევარის მიდგომაც ჩანს. ალ.ყაზბეგის აზრით, ხატობა თავისი პირდაპირი დანიშნულების გარდა ერთგვარი სამზადისი იყო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. მწერალმა ნათლად გვაჩვენა საკულტო რიტუალების მჭიდრო კავშირი სამშობლოს სიყვარულის დიად გრძნობასთან: „ხატობა და დროს გატარება მთაში არის საომარი ვარჯიშობა და მომზადება ბრძოლისათვის. აქ ეჩვევიან სროლას, სირბილს, ცხენით და იარაღით, აქა სცდიან ერთმანეთის ვაჟკაცობას და იარაღის ხმარებას, ამის შემდეგ გადიან მტერზედ". ხატობაში „ყმაწვილი ქალები, მორთულნი სხვადასხვა ფერის მხიარულის ტანისამოსით, გავიდნენ წინ და მაღლის ხმით დაიწყეს გმირული საომარი სიმღერა. ყმაწვილი კაცები, რომელნიც გვერდს მისდევდნენ ყიჟინით, ჭყივილით და თოფისა და დამბაჩის სროლით, ინთებოდნენ თვალუჟუჟუნა მომღერალთ სიტყვებით და ესენი კი აქეზებდნენ ამათ მტრებზედ; ცამდინ აჰყავდათ გულადნი, თავდადებულნი ვაჟკაცნი, მაშინ, როდესაც მასხრად იგდებდნენ მშიშარებს და ლაჩრებს. ძნელად დარჩებოდა ისეთი ყმაწვილი ბიჭი, თუ გინდ ის ბუნებით მშიშარაც ყოფილიყო, რომ არ აენთო ბრძოლის სურვილი მასში ამ ქალების სიტყვებს, წამლის სუნს და თოფის გრიალს, რომელსაც ბანსავით ყიჟინა და ჭყივილი უერთდებოდა", – წერდა ალ. ყაზბეგი[51].

ალ.ყაზბეგი თავის შემოქმედებაში თანმიმდევრულად გვიჩვენებს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ მთიელთა ტრადიციული ყოფისა და კულტურის, ეროვნული ენერგიისა და ეთნიკური თვითშემეცნების პატრიოტული აღქმის, სამშობლოსადმი თავდადებისა და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე მისი დაცვის იმ ურთულეს მექანიზმს, რომელიც მთიელთა ყოფაში ხალხური ადათობრივი სამართლის ნორმებით იყო შეპირობებული და მრავალი საუკუნის

განმავლობაში ყალიბდებოდა ცხოვრების ქართულ-კავკასიური წესის ფენომენის სახით. აქედან გამომდინარეობდა ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის შემოქმედების კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი მისი – ზოგად-კავკასიური ბუნება და რაობა.

მართალია, ალ.ყაზბეგის მხატვრულ შემოქმედებაში კავკასიის მთიელთა ყოფისა და კულტურის საკითხები პატრიოტულ-ჰეროიკული ელფერით იყო შემოსილი, მაგრამ მთიელთა ცხოვრების გადმოცემის მხატვრულ-პუბლიცისტური და დოკუმენტალური ჟღერადობა, მის მოთხრობებსა და რომანებს, მემუარულ-ეპისტოლარულ მემკვიდრეობას, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული პარალელების წარმოჩენისა და კვლევის თვალთახედვით.

ალ.ყაზბეგმა მთიელთა ცოცხალი ყოფიდან აღებული კონკრეტული მაგალითებით უჩვენა ქართულ-კავკასიური, პირველ რიგში კი, ქართულ-ვაინახური ეთნო-კულტურული ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ფესვები და ქართული მთიური პოეზიის უპირველეს წარმომადგენელ-თან, ვაჟა-ფშაველასთან ერთად საფუძველი ჩაუყარა შემდგომში აკადემიკოსების *ნ.მარისა და ივ.ჯავახიშვილის* მიერ წამოყენებულ იდეას კავკასიურ სივრცეში „*ერთიანი კავკასიური კულტურული სამყაროს*“ არსებობის, შესაბამისად კი მისი კვლევის აუცილებლობის შესახებ.

ალ.ყაზბეგი დიდი მონდომებითა და საკითხების ღრმა ცოდნით იკვლევდა ქართველ და ჩრდილო კავკასიის მთიელთა ყოფა-ცხოვრებას, ფიქრობდა, რომ ამ მიმართებით მუშაობის შემდგომი გაფართოება მოწინავე საზოგადოების და, პირველ რიგში, ახალგაზრდობის საქმე იყო. იგი იმასაც გვიხსნის, თუ, როგორ უნდა მომხდარიყო ამ უაღრესად საინტერესო და საყურადღებო მასალის ფიქსაცია – ადგილზე მისვლით, უშუალო დაკვირვებისა და გამოკითხვის გზით“. მწერალი შესანიშნავად იცნობდა ქართველ მთიელთა ყოფა-ცხოვრებას და, ჩვენი უშუალო მეზობლების, ჩრდილოკავკასიელების წეს-ჩვეულებებს. ეს ცოდნა წლების განმავლობაში გროვდებოდა უშუალო დაკვირვებებისა და დაკითხვის მეთოდით, მთხრობელთა მიერ მიღებული ინფორმაციით. სწორედ ხალხის ყოფა-ცხოვრების უკეთ გაცნობას, ხალხის სულში ღრმად წვდომას ისახავდა მიზნად მწერლის მეცხვარეობა. გარდა ამისა, ის კარგად იცნობდა იმ დროისათვის არსებულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ლიტერატურას. ყოველივე ეს მწერალს საშუალებას აძლევდა დიდი სიზუსტით აესახა ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა კულტურულ-ისტორიული ურთიერთობები, საზოგადოებრივი ყოფის ამსახველი ელემენტები.

ქართული პოეზიის „*მთის არწივების*“ ვაჟა-ფშაველასა და ალ.ყაზბეგის შემოქმედებას წითელ ზოლივით გასდევს მთიელთა უპირველესი, საკრალურ დონეზე გააზრებული და შესისხლხორცებული სტუმართმოყვარეობის ტრადიციები. ალ.ყაზბეგი ამ ტრადიციულ წეს-ჩვეულებას ადამიანის ცხოვრებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ალ. ყაზბეგის თვალთახედვით, სტუმარმასპინძლობა სასარგებლო როლს ასრულებდა ნათესაურის კავშირების გაძლიერების, სოფლისა და თემის მკვიდრთა ურთიერთდაახლოების, ხალხთა შორის კეთილსასურველი ურთიერთობის დამყარება-განმტკიცების საქმეში[52]. ხევში სტუმარმასპინძლობას – სტუმართმოყვარეობას დიდი ტრადიცი-

ები აქვს. ხალხის თვალში კაცს, სხვა ღირსებებთან ერთად, კარგი სტუმართმოყვარეობაც ამაღლებდა. თემში შემუშავებული იყო სტუმართმასპინძლობის ნორმები და მისი დაცვა ყველასათვის სავალდებულო იყო. სტუმარს არა მარტო ერთი ოჯახი, არამედ ყველა ნათესავი, მეზობელი, მთელი სოფელი მასპინძლობდა. ალ.ყაზბეგმა თავის ნაწარმოებებში მხატვრულ ფორმებში ასახა ისტორიული სინამდვილე, სტუმართან გატეხილი პურის დიდი ძალა, სტუმრის ღალატობა და მისთვის თავდადება; რუსეთის კოლონიური რეჟიმის პირობებში პოლიციური რეჟიმისა და საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიციების ურთიერთშეჯახება.

ალ.ყაზბეგის მიხედვით, ისევე როგორც მოხევეებში, ჩეჩნებსა და ინგუშებშიც სტუმარმასპინძლობა საზოგადოებრივი ყოფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი იყო. უცხო კაცის მიმართ მთელი სოფელი მასპინძლად ითვლებოდა. მისი მიღების, მასპინძლობის, დაცვის და გასტუმრების ნორმები, ეტიკეტი მტკიცედ იყო შემუშავებული და დაცული. ინგუშური ყოფისთვის დამახასიათებელ ლოკალურ თავისებურებად ისაა მიჩნეული, რომ ინგუშურ სახლში ცალკე ჰქონდათ გამოყოფილი მამაკაცების მისაღებად განკუთვნილი სასტუმრო ოთახი და ასევე იზოლირებული საწოლი ქალებისათვის, ხევში კი ასეთი რამ მხოლოდ გავლენიან ოჯახებს თუ ჰქონდათ. აქვე ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებასაც, რომ ალ.ყაზბეგის მიერ აღწერილ სტუმართმასპინძლობის დეტალებში, XIX საუკუნის ბოლოს, ინგუშები ჯერ კიდევ არ იყვნენ ნორმირებული ახალი რელიგიის, ისლამის დოგმებით, მათში კვლავ მოქმედებდა ხალხური ტრადიციები[53]. როგორც ციტირებული ავტორი შენიშნავს, ალ.ყაზბეგი ისე აღწერს ინგუშთა და ჩეჩენთა ხატობას, დეკანოზობას, არაყის გამოხდის წესს, თითქოს ეს ქართველ მთიელებს შეეხებოდეს. ეს იმის დასტურია, რომ ისლამს ამ ხალხში ჯერ კიდევ არ ჰქონდა ღრმად ფესვები გადგმული და მარეგულირებელ მნიშვნელობას წარმართული და ქრისტიანული მსოფლმხედველობით განმტკიცებული ტრადიციები ინარჩუნებდნენ. ინგუშებში, კერძოდ, ჯარიახის ხეობის მოსახლეობაში შემუშავებული სტუმართმოყვარეობის პრინციპები, რომლის მაგალითებიც მწერალს მოჰყავს, მარტო ჯარიახელთა ყოფის თავისებურებას კი არ წარმოადგენდა, არამედ საყოველთაოდ იყო მიღებული კავკასიის მთიელებში, მათ შორის ქართველ მთიელებში.

შეიძლება სტუმართმასპინძლობის ზოგიერთ დეტალს მაინც გავუსვათ ხაზი. ყაზბეგის აღწერილობით უცხო კაცის მასპინძლობას სოფელში ერთმანეთს ეცილებოდნენ და ბოლოს ეს პატივი ერთ-ერთ მათგანს ხვდებოდა წილად. ეს მომენტი მაღალმხატვრულ ფერებში აქვს გადმოცემული ალექსანდრე ყაზბეგს მოთხრობაში *ციცია*, როდესაც მოხევე *ბეჟია* ქისტეთში ჩადის საცოლის საძებნელად: „როცა ქისტებმა გაიგეს, რომ ბეჟიას მასპინძელი არ ჰყავდა ჯარიახში, უთხრეს: – სტუმარი ღვთისაა ჩვენსა წამოდი.

ბეჟიამ მადლი გადაიხადა, მაგრამ მასპინძლებს იმაზედ დავა გაუხდათ, თუ სტუმარი ვის უნდა დარჩენოდა.

ისინი ბაასობდნენ, ცხარობდნენ და ერთმანეთს არწმუნებდნენ, რომ ყველაზე უწინ არა მე დავპატიჟე, არა მეო. ისინი სტუმარის წაყვანას ერთმანეთს ეცილებოდნენ და სათაკილოდ სთვლიდნენ – სტუმარი მეორისთვის გაეყოლებინათ.

ბოლოს ერთი წამოდგა და დაიძახა:

– მიდღეში აქ კი არ დავრჩებით, წილები იყარეთ და, ვისაც შეხვდება, სტუმარიც იმან წაიყვანოს.

კარგია, კარგი – მოისმა ყოველი მხრიდან...“

...„მე მერგო, – სიხარულით წამოიძახა ოცის, ოცდაერთის წლის ყმაწვილმა ბიჭმა და ხელი დაავლო მოხევეს, თითქოს ეშინოდა, რომ არავის წაერთო“[54].

სტუმარი ოჯახში შესვლისთანავე ვალდებული იყო იარაღი აეხსნა და დიასახლისისათვის ჩაებარებინა. ოჯახის ყველა წევრმა იცოდა თავისი მოვალეობა. ქალმა და კაცმა, დიდმა და პატარამ – სტუმრის მიღების, გამასპინძლების, მასთან თავდაჭერის ნორმები, საქმის არსში გარკვევის დრო და ტაქტი, მისი მოსვენება და გასტუმრება. ყველა ამ სიტუაციაში ეტიკეტი სრულიად იყო დაცული. მასპინძლის სახლში სტუმრის უსაფრთხოება დაცული უნდა ყოფილიყო, გაცილების დროსაც, მასპინძლებს ის თავიანთი მაზრის ბოლომდე უნდა გაეცილებინათ. „ციციაში“ ალ.ყაზბეგი ასე გადმოგვცემს მურთაზის გაცილებას: „გალავნის კარებთან რამდენიმე შეიარაღებული ყმაწვილი ბიჭი იდგა და თავიანთი შეკაზმული ცხენების სადავეები უნაგირის ტახტებზე შეეყარათ. ესენი ემზადებოდნენ – სტუმარი თავიანთ მაზრას მშვიდობიანად გაეცილებინათ, რადგანაც სტუმრის ყოველი შემთხვევის პასუხისმგებელი, საზოგადოდ, მთის ჩვეულებით, მასპინძელი არის. ეს პროცესი ხშირად სპორტული შეჯიბრების ხასიათსაც კი ღებულობდა: ამ მხრივ მანიშნებელია, რომ გაცილების დროს ახალგაზრდებმა მურთაზს საჩვენებელი ჯირითი მოუწყვეს, გამოავლინეს თავიანთი მხედრული ოსტატობა და სიჩაუქე, რომ სტუმარს სამუდამოდ დამახსოვრებოდა და აღბეჭდვოდა მასპინძლების სიყვარული და პატივისცემა: „მხედარი წელში გაიმართა, გასწორდა და შეჭყივლებით რამდენჯერმე გადატრიალდა. აშკარად ეტყობოდა, რომ ის იმ წუთებში ჰგრძნობდა სიცოცხლეს, ძალას და თავისუფლებას, – ჰგრძნობდა, რომ იყო ლამაზი, მომხიბლავი, კაცის თვალის გამტაცებელი“[55].

სტუმრისადმი უდიერად მოპყრობა, მისი დაჭრა, მოკვლა და ა.შ. თუნდაც ისინი უცხო კუთხის წარმომადგენლები ყოფილიყვნენ, ეწინააღმდეგებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმებს, ხელს უშლიდა კუთხეებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნებას და განვითარებას. ამიტომაც ასეთი ქმედება თემის ღალატად ითვლებოდა, თემის ბჭეების საგანგებო მსჯელობის საგანი ხდებოდა და დამნაშავე სასტიკად ისჯებოდა, თემიდან იკვეთებოდა. „ხალხის შეხედულებით, მეგობრობისა და სტუმარმასპინძლობის მგმობელი ყველა საზოგადოებისათვის მიუღებელ პიროვნებად მიიჩნეოდა, რის გამო გადაწყვეტილება მისი მოშორების თაობაზე ყველა თემში უყოყმანოდ სრულდებოდა“[56].

ანალოგიური ვითარება იყო ჩეჩნეთშიც. სტუმარი რაკი ეზოს კარს შეაღებდა, მოსისხლე მტერიც რომ ყოფილიყო მასპინძელს მის მიმართ პატივისცემა მართებდა. მასპინძელი ვალდებული იყო დაეცვა მისი უსაფრთხოება და რაიმე მოულოდნელობის შემთხვევაში გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრებოდა. მწერალს მხედველობიდან არ გამორჩენია, რომ იქ სასტუმრო, ხშირ შემთხვევაში, ცალკე იზოლირებულად იდგმებოდა, რაც სტუმარს მოსვენების იდეალურ პირობებს უქმნიდა. სადილის შემდეგ მასპინძლები უკლებლივ გამოდი-

ოდნენ სასტუმროდან და სტუმარს სურვილისამებრ მოსვენების საშუალებას აძლევდნენ.

შენიშნულია, რომ ალ.ყაზბეგი საზოგადოებრივი ყოფის ისეთ ვითარებას გვიხასიათებს, როდესაც ხალხის თვითშეგნება ერთობის სულისკვეთებით საზრდოობდა, სამეზობლო თემის ცხოვრების წესი, მისი ტრადიციული ნორმები, ერთობის შეგნება და მორალი იმპერიის ბიუროკრატიული პოლიტიკით ჯერ კიდევ არ იყო შელახული, თუმცა ეს პროცესი უკვე მიმდინარეობდა; ყოფითი კულტურის სფეროში, ხალხი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ზნეობრივ ნორმებს. ეს გამოხატულებას პოულობდა სტუმარმასპინძლობის ტრადიციებშიც, როგორც ხალხის ერთობის, ურთიერთდაახლოების და ერთმანეთისადმი დახმარების ჩვეულებაში. საზოგადოებრივი ყოფის ეს ტრადიციული ნორმები კი ეროვნული თვითმყოფადობის დაცვის ინტერესებს ემსახურებოდა[57].

ამრიგად, ალ.ყაზბეგი თავის თხზულებებში ვაინახთა სტუმარმასპინძლობის წინა პლანზე წამოწევით, ცდილობდა ეჩვენებინა კავკასიის მთიელთა ზნეობრივი საზოგადოება, რომელსაც კარგად აქვს გააზრებული მტერთან მტრობა და მოყვასის მოყვრად დახვედრა. გასათვალისწინებელია ის ვითარებაც, რომ მწერალი ყოველივე ამას აღწერს კავკასიელ ხალხებზე რუსეთის კოლონიური რეჟიმის აგრესიის ფონზე და ერთმანეთს უპირისპირებს ადგილობრივი ხალხების მაღალ ზნეობრივ ნორმებსა და მომხდური მტრის გამრყვნელ პოლიტიკას. პატრიოტი მწერალი თავის თხზულებებში თვალსაჩინოდ აღწერს და მხატვრულად განაზოგადებს ვაინახების შესანიშნავ თვისებებს: ვაჟკაცობას, ერთგულებას, მეგობრობის დიად განცდას და ამით მათ ზნეობრივ უპირატესობას მომხდურ დამპყრობლებზე.

ალ.ყაზბეგის თხზულებებში, ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული პარალელების თვალსაზრისით, განსაკუთრებული ადგილი ეჭირა უფროსისადმი პატივისცემას, რომელიც ვაინახური ეტიკეტით საზოგადოების ყველა წევრის საგანგებო მოვალეობას წარმოადგენდა. წესები, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო პიროვნება თავისზე ასაკით უფროსთან მკაცრად იყო დაცული ჩეჩნებში, ინგუშებსა და ქისტებში. კერძოდ, ვაინახთა საზოგადოებაში საუბარს ყოველთვის უფროსი იწყებდა. არ შეიძლებოდა ახალგაზრდა მის საუბარში ჩარეულიყო და სიტყვა გაეწყვეტინებინა. იგი ვალდებული იყო გულდასმით მოესმინა უფროსის რჩევა და ადგილი დაეთმო მისთვის ოჯახსა და საზოგადოებაში. საუბარი ზედმეტია სასმელის მიღებასა და თამბაქოს მოწევაზეც კი[58].

ალ.ყაზბეგთან უფროს-უმცროსობის ეტიკეტის დასახასიათებლად მეტად მეტყველია მამაშვილობის დამოკიდებულების თავისებურებანი. მიუხედავად იმისა, რომ ელისოს უყვარს მოხევე ვაჟია, იგი იძულებულია მამის წინაშე გამოიჩინოს მოკრძალება და ცდილობს უარი თქვას ვაჟიას სიყვარულზე, რათა მამას გული არ დაწყვიტოს.

უფროსისადმი განსაკურებული პატივისცემის თვალსაჩინო სურათია წარმოდგენილი ალ.ყაზბეგის მოთხრობაში „*ციცია*". როდესაც *სულთი ჯაბოტი და მურთაზი* ქისტების სოფელში მივიდნენ, იქ ისინი უხუცესმა მიიღო და რჩევა-დარიგებაც მისცა. „მასპინძელთაგან მარტო *ჯან-ჩორ* მოუჯდა გვერდით, დანარჩენები მოშორებით და მონინებით ჩამწკრივდნენ. აქ ყველა უმცროსი მორჩილი იყო, ყველა უფროსს მასპინძელს პირსა და თვალებში შესცქეროდა, რომ

დალაპარაკებამდის გაეგო და აესრულებინა, რაც უფროსს, ან სტუმარს ესიამოვნებოდა, ნებავდა“[59].

უხუცესობას განსაკუთრებული ფუნქციები ეკისრებოდა ვაინახთა ჩვეულებითი სამართლის სფეროშიც. უხუცესთა საბჭოში ირჩევდნენ ისეთ პირებს, რომლებიც იყვნენ შეძლებული, ავტორიტეტული გვარის წარმომადგენლები, შეეძლოთ დასაბუთებული, ლოგიკური საუბარი და ზედმიწევნით იცნობდნენ ადათებს. ყველივე ამასთან ერთად, მთავარი და გადამწყვეტი მაინც ასაკით უფროსობა იყო. ამ ნიშნით არჩეული უხუცესები ცდილობდნენ, საქმის გარჩევის დროს ყოფილიყვნენ სამართლიანი და ამით განემტკიცებინათ თავიანთი ავტორიტეტი და გავლენა ხალხზე.

ქისტი უხუცესების თათბირი ალ.ყაზბეგს აღწერილი აქვს მოთხრობაში *„ციცია“*: „ჩქარა ამოირჩიეს მოხუც კაცებში ბჭეები და ეს ხელად შეთხზული მსაჯულნი, რომელთ სიტყვაც გადაუბრუნებლივ უნდა აღსრულებულიყო, პატარა ველზედ გავიდნენ და დასხდნენ. ესენი თავიანთ ძალასაც გრძნობდნენ და თავიანთი მოვალეობაც კარგად ესმოდათ. იცოდნენ, რომ იმათ სიტყვაზედ იყო დამოკიდებული საზოგადოების წევრის მათის თემობიდან გამოკლება, გაღარიბება და სამუდამოდ დაღუპვა. ამისათვის რაც დამნაშავის გამართლებას დაეხმარებოდა, ყოველგვარ საშუალებას აძლევდნენ, წარმოედგინა“[60].

ალ.ყაზბეგი თავის მოთხრობებსა და რომანებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა კავკასიელ მთიელთა *ძმადნაფიცობის* წესს. იგი, როგორც ტრადიცია, მთიელებში რელიგიურ სიწმინდემდე იყო ამაღლებული, რაც ერთმანეთის რელიგიურ მრწამსის მიმართ საოცრად ფაქიზ და მოკრძალებულ დამოკიდებულებაში გამოიხატებოდა: „იგი საკრალურ საწყისებზეა აღმოცენებული, შემდგომში ადამიანური ურთიერთმეგობრული დამოკიდებულების წადილის გრძნობით შედუღაბებული და მტკიცე საფუძველს ქმნის მათი მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის“. ძმადნაფიცი ითვლება უახლოეს და სისხლხორცეულ მოკეთედ.

ძმობილი ვალდებული იყო მთელი არსებით გაეზიარებინა დაძმობილებულის ლხინი თუ უბედურება და მისი განცდების უმთავრესი თანაზიარი გამხდარიყო. ქისტი გაჭირვების ჟამს საკუთარ სიცოცხლეს ანაცვალებდა განსაცდელში ჩავარდნილ ძმადნაფიცს. რა თქმა უნდა, იგივეს მოელოდა მისგანაც.

ძმადგაფიცვის დროს დაძმობილების მსურველები ერთი ჭიქიდან სვამდნენ სასმელს, რომელშიც ჩათლილი იყო ვერცხლი, დაუჟანგავი მეტალი, ნიშნად იმისა, რომ ეს მეგობრობა იქნებოდა უჟანგი და შეუბილწავი. მოფიცარნი ხშირად ცვლიდნენ იარაღსაც. ძმობილის ღალატი წარმოუდგენელი იყო, ეს წმინდა ურთიერთობა გადაეცემოდა თაობიდან თაობას. ვინც ძმადნაფიცობის წესს დაარღვევდა, მკაცრად ისჯებოდა საზოგადოების მხრიდან და მის მიმართ იდგმებოდა დარისხების სამანი.

ალ.ყაზბეგს თავის მოთხრობებში ქართველებისა და ქისტების დაძმობილების არაერთი ეპიზოდი აქვს აღწერილი. მოთხრობაში *ციცია* ძმადგაფიცვა ქისტეთში სრულდება. ამ რიტუალში მრავალი ქრისტიანული ელემენტია ჩადებული, რაც კიდევ ერთხელ გვიდასტურებს იმ ფაქტს, რომ ქისტებში ბოლო დრომდე ძლიერი იყო ქრისტიანული ტრადიციები. ძმადგაფიცვაში მონაწილე-

ობდნენ ქისტი დეკანოზები, რომლებიც ჯვარ-ხატის დროშებითა და ზარებით ასრულებდნენ რიტუალს: „დეკანოზებმა აიღეს დროშები და ზარების წკრიალით ხალხის ყურადღება მიიქციეს. როდესაც ხალხი შეკუჭდა და მოწიწებით სმენას მიეცა, უფროსმა დეკანოზმა კიდევ დააწკრიალა დროშა და ხმამაღლა დაიწყო ბეჟიას და სულთის ამბავი, რათა ყველას გაეგო, რაც მოხდა. უკანასკნელი სიტყვები შეეხებოდა მათგან ძმადგაფიცვას და მოღალატის წყევლას.

თუმცა დეკანოზმა გაათავა, მაგრამ ისევ იმ ადგილას იდგა. თითქოს რაღაცას ელოდა. მართლადაც, ხალხიდგან გამოვიდნენ სულთი, ბეჟია და ორი მოხუცებული, მივიდნენ დროშებთან და გაჩერდნენ. აქ ერთმა მოხუცმა სულთის გადასცა პატარა მოკლე ჯოხი და დანა.

– ჭდე დასდეთ, – უთხრა იმან.

სულთიმ აიღო დანა და ჯოხი და მიუბრუნდა ბეჟიას:

– ვინც მე და შენში ერთმანეთს უღალატოს, იყვეს ამ ხალხში შერცხვენილი და გაუწყრეს წმინდა გივარგი.

ამ სიტყვებით იმან დააჭდია ჯოხზედ და გადასცა ბეჟიას, რომელმაც თითქმის სიტყვით სიტყვამდე ჩეჩნის ფიცი გაიმეორა და ამან დააჭდია ჯოხზედ. ეს იყო ფიცის საქვეყნოდ დამტკიცება, გადაწყვეტილებაზედ ბეჭდის დასმა, რომლის გატეხასაც იქაური მთიელი ასჯერ სიკვდილს არჩევს.

ჯოხი მოწიწებით და მუხლის ყრით მოიტანეს ნიშანთან და დროშის ძირს კედელში გაამაგრეს.

ხალხი აიშალა და მოეხვია სულთის და ბეჟიას, რომელთაც ახალს ნათესაობას ულოცავდნენ და აქეთ-იქით ეპატიჟებოდნენ, რომ, თუ სადილი არა, თითო კათხა ლუდით ან თითო ყანწი არაყით პატივი ეცათ“[61].

ეს ეპიზოდი მრავალმხრივ არის საყურადღებო. ჯერ ერთი, რომ ძმადგაფიცვის რიტუალი რელიგიურ სიწმინდემდეა აყვანილი და, რაც მთავარია, იგი დატვირთულია ძლიერი ქრისტიანული პლასტებით. ციციას სიუჟეტით დეკანოზები ავედრებენ ძმადნაფიცთ ქისტების მფარველ სალოცავს – *წმინდა გიორგის*. ქისტი სულთი ჯახოტი და მოხევე ბეჟია სიმბოლურად განასახიერებენ ორი ხალხის დაძმობილებას. ქისტები, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა რელიგიურ-ყოფითი ტრადიციების მიხედვით, ჯვარ-ხატებში ნადული ლუდითა და არყით ლოცავდნენ მათ დაძმობილებას, რასაც მაჰმადიანობა სასტიკად კრძალავდა. როგორც ირკვევა, გასულ საუკუნეებში ჩეჩენ-ინგუშეთში განსაკუთრებულად ძლიერი იყო ქრისტიანული ტრადიციები.

ძმადგაფიცვის მრავალგვარი რიტუალი არსებობდა კავკასიელ მთიელებში: *„ფიცვერცხლის ჭამა“*, ანუ ვერცხლჩათლილი სასმელის სამჯერ დალევა. ხელის გაჭრით და, ხშირ შემთხვევაში, იარაღის ან ტყვიების გაცვლით დაძმობილება და ა.შ.

ტყვიების გაცვლით დაძმობილების სურათი ალ.ყაზბეგს აღწერილი აქვს მოთხრობაში – *„მამის მკვლელი“*: „ბოლოს ფარჩო წამოდგა, ამოიღო მასრიდან ტყვია და მისცა კობას.

– მოიტა, შენც მამე, ძმადგაფიცვა მწადის შენთან.

კობამაც მისცა თავისი ტყვია და ისინი სამჯერ გადაეხვივნენ ერთმანეთს. ამ დღიდგან ისინი შეიქნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი, როგორც ალალი ძმები, რასაც ყველანი სიამოვნებით ულოცავდნენ იმათ“[62].

მანიშნებელია, რომ ალ.ყაზბეგის მოთხრობებში *„ციცია“* და *„მამის მკვლელი“*, ორივეგან ქისტები არიან დაძმობილების ინიციატორები. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ძმადგაფიცვის სურვილი თითქმის ერთბაშად იბადება ორ პიროვნებას შორის და, ერთი შეხედვით, განგების ნებით სრულდება. განსაკუთრებით საყურადღებოა ჩეჩენი სულთი ჯახოტის რაინდობა, რომელიც, როდესაც დარწმუნდა, რომ ციციას ბეჟია უყვარდა, მოტაცებულ ქალს ძმადგაეფიცა და იგი სულგრძელად დაუთმო შეყვარებულ მოხევეს.

ძმადგაფიცვის შედეგად, როგორც ხალხურ ტრადიციებში, ისევე ყაზბეგის მოთხრობებში, პიროვნებები კისრულობენ გარკვეულ ვალდებულებებს არა მხოლოდ თავიანთი ნაძმობის მიმართ, არამედ ღმერთის წინაშეც. ამის გამო უნდა იყოს, რომ ძმადგაფიცვამ კავკასიელ მთიელებში რელიგიური რიტუალის სახე მიიღო.

კავკასიის მთებში ხალხური ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების სიმტკიცე, მუსლიმანური რელიგიის დოგმებთან შედარებით, თვალნათლივ ჩანს ვაინახურ საზოგადოებაში ქალის როლის მაგალითზეც. როგორც ცნობილია, XIX საუკუნეში ჩეჩნეთ-ინგუშეთში ისლამი გაბატონებულ რელიგიურ მიმდინარეობად ყალიბდება. მაჰმადიანობა ქალს გარკვეულ უფლებრივ შეზღუდვებს უწესებდა. მიუხედავად ამისა, ვაინახებში ტრადიცია რელიგიაზე უფრო მძლავრი აღმოჩნდა, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ქალისადმი პატივისცემა მათ ხასიათში მყარად იყო ფესვგადგმული.

ქალის მანდილს ჩეჩენ-ინგუშები მიიჩნევენ, როგორც წმინდა და საკრალურ ნივთს. ამიტომაც ქართველი მთიელების მსგავსად, ქისტებშიც საკმარისი იყო მოჩხუბართა შორის ქალს მანდილი ჩაეგდო, რომ ისინი უმალ დაზავებულიყვნენ.

ქალის მანდილის სიწმინდის შეულახველობის ტრადიცია გვხვდება ალ.ყაზბეგის მოთხრობაში *ციცია*. სულთისა და ბეჟიას ორთაბრძოლის დროს ციციამ მანდილი ჩააგდო და მოჩხუბრებიც, გამოხატავდნენ რა თავიანთ პატივისცემასა და მოკრძალებას ამ წმინდა საგნის მიმართ, უმალვე გაშველდნენ: „სულთი და ბეჟია გაშმაგებით უყურებდნენ ერთმანეთს, მათი ხანჯლის წვერები თითქმის ერთურთს სწვდებოდნენ, მაგრამ წუთს უკან ჩუმად ჩამოუშვეს იარაღი, წყნარად ჩააგდეს ქარქაშებში და წყნარადვე გაბრუნდენ აქეთ-იქით“[63].

ურთიერთმეზობლობისა და უშუალო ნაცნობობის შედეგად, ქართველებსა და ქისტებს შორის ხშირი იყო ქალ-ვაჟის გამიჯნურებისა და დაქორწინების შემთხვევები. მოთხრობაში – *„ელბერდ“*, ალ.ყაზბეგი ნათელი ფერებით გვიხატავს ქისტეთის ორი ლაღი შვილის – *ელბერდისა* და *ენდის* – გამიჯნურების ამბავს. ეს არის სიყვარული ორი თანასწორი და თავისუფალი არსებისა, რომელნიც თითქოს ბედნიერებისთვის არიან დაბადებულნი.

ელბერდი ქისტეთის სოფელ აჩლიყში ცხოვრობდა. მას შეუყვარდა სურზოხელი მარსაგიანთ ქალი – ენდი. მათი ურთიერთობის ფონზე ალ.ყაზბეგს ვაინახების მრავალი ყოფითი დეტალი შემოაქვს ნაწარმოებში. ელბერდი და ენდი ერთმანეთს თამამად ესაუბრებიან, რადგან, როგორც ავტორი შენიშნავს, ჩეჩნებში თავისუფალ, დაუნიშნავ ქალსა და კაცს შორის საუბარი და ხუმრობა გასაკიცხად არ ითვლებოდა.

ამავე მოთხრობაში ყურადღებას იქცევს ქალის დანიშვნის ეპიზოდი. ელბერდი ენდის დამბაჩას აძლევს. ეს კი, მთიელთა ჩვეულებით იმას ნიშნავს, რომ ვაჟკაცმა ქალი დანიშნა. იარაღით ქალის დანიშვნა ერთ-ერთი ძლიერი და მტკიცე ნიშანი იყო, რადგან ვაჟკაცი მთელი თავისი ცხოვრებით იარაღთან იყო დაკავშირებული. ალ.ყაზბეგი წერს: „ენდისგან დამბაჩის დაუბრუნებლობა ნიშნავდა თანხმობას. ასე უბრალოდ, მაგრამ გულწრფელად ისინი იქმნენ დანიშნულნი"[64].

ქართველებსა და ქისტებს შორის გამიჯნურებისა და ქორწინების ამბავი რომანტიკულ ფერებშია აღწერილი ალ. ყაზბეგის მოთხრობაში *ციცია*, რომელიც ყაზბეგის ნაწარმოებთა შორის ერთადერთია, სადაც საბოლოოდ სიკეთე იმარჯვებს და ამბავიც ციციასა და სულთის დაოჯახებით მთავრდება.

ქართველ-ვაინახთა ქორწინება თუ, საერთოდ მთიელი ქალის მაღალი სტატუსი ოჯახსა და საზოგადოებაში, ალ. ყაზბეგის მოთხრობებსა და რომანებში გააზრებულია არა მარტო მუსლიმანური და ქრისტიანული ტრადიციების ღრმა ცოდნით, არამედ წარსულისა და თანამედროვეობის დამახასიათებელი თავისებურებების თვალსაზრისითაც. თუ მწერალი, ერთი მხრივ, ხაზს უსვამდა ხალხური ტრადიციების ლოიალურობას კავკასიის მთის ქრისტიან-მუსლიმანთა ქორწინებისას ახლო წარსულში, ახალ ვითარებაში, მაშინ როდესაც ქართველ-ვაინახთა ურთიერთობაში რუსი კოლონიზატორები ჩაერივნენ და გარკვეულწილად შეილახა ამ ორი ხალხის ტრადიციული ძმობა და მეგობრობა, მათ შორის ქორწინების მამა-პაპურ წეს-ჩვეულებაშიც გარკვეული დაბრკოლებები წარმოიშვა. ეს ვითარება კარგად ჩანს ალ. ყაზბეგის მოთხრობაში *„ელისო"*, რომელშიც შამილის განთქმული ნაიბის – ჩეჩენი ანზორა ჩერბიჟის ქალიშვილის – *ელისოსა* და მოხევე *ვაჟიას* სიყვარულს სწორედ სარწმუნოებრივი განსხვავება ეღობება წინ. აი რას წერდა ამის შესახებ ალ.ყაზბეგი თავის მოთხრობაში: „უწინდელს დროში რომ მომხდარიყო ამგვარი შემთხვევა და მაჰმადიანს „მთიელი" ქრისტიან შეყვარებოდა, მაშინდელის იქაურის ჩვეულებით, სარწმუნოება დამაბრკოლებელ მიზეზად ვერ შეიქმნებოდა იმათ შეერთებისათვის, მაგრამ ეხლა, როდესაც ქართველები... გიაურებთან ერთად ებრძოდნენ დამოყვრებულ მეზობლებს... ამის შემდეგ რაღა ერთობა შეიძლებოდა ამათ შორის!"[65].

ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობებში ქართველი და ვაინახი ქალების არაერთი შთამბეჭდავი სახეა შექმნილი. ისინი მაღალზნეობრივი, სიკეთითა და სიყვარულის მადლით გაცისკროვნებული პერსონაჟები არიან. ქცევების, ხასიათებისა და ურთიერთობის ფონზე ვეცნობით ქართველ და კავკასიელ მთიელთა საინტერესო ტრადიციებს, რომლებშიც ნათლად ჩანს ქალის ღირსეული როლი მთიელთა საზოგადოებაში.

ქართველ და კავკასიელ მთიელთა ეთნოგრაფიული ყოფისათვის დამახასიათებელი თავისებურებები ალ.ყაზბეგის შემოქმედებაში არანაკლები სიძლიერითაა დანახული და ასახული თემური ადათობრივი სამართლის ისეთ ტრადიციებში, როგორიცაა დამნაშავის *დარისხება და სამანის ჩაგდება.*

მოთხრობაში *ციცია* ალ.ყაზბეგს შესანიშნავად აქვს აღწერილი ქისტების მიერ ჯვარ-ხატის ტერიტორიაზე ხალხის ადათ-სამართლის დამრღვევი ოსი *თემურყოს* დარისხების სცენა. ქისტებმა უხუცესთაგან ამოირჩიეს ბჭეები, ანუ

მსაჯულები, რომლებმაც გარკვეული თათბირის შემდეგ დაადგინეს თემურყოს სრული დანაშაული საზოგადოების წინაშე. უხუცესმა ქისტმა ასე მიმართა თემს: „დღევანდელ დღეს, მთელი ერის დასწრებით, წმინდა დროშების მოწმობით, ჩვენ, თქვენგან არჩეულს ბჭეებს, დამნაშავე შეგვიკრავს, თემურყო ჩვენმა ერობამ აღარც სახლში მიიღოს, აღარც პური მიაწოდოს, აღარც წყალი, აღარც ცეცხლი... აღარც შემწეობა მისცეს, თუნდა რა გაჭირვებაც უნდა ადგეს!.. დღეის იქით თემურყო შეიქმნეს მთიელის სხეულიდგან მოკვეთილი ნაწილი! ვინც ჩვენში გატეხოს თემის პირი, ვინც ჩვენში ამ გადაწყვეტილებას გადავიდეს, წყეული იყოს!“[66].

*დარისხებას* ხშირ შემთხვევაში *სამანის ჩაგდებაც* მოსდევდა, რაც მომხდარი ფაქტის უტყუარ დადასტურებას გულისხმობდა. სანამდის სამანი მიწაში იყო დაფლული, მოკვეთილის ჩამომავლობაც იმ დრომდე იქნებოდა დაწყევლილი. ამრიგად, სამანის ჩაგდებით საზოგადოება თემის პირის გამტეხს, მოღალატესა და ტრადიციების უარმყოფელს საუკუნო წყევლას უგზავნიდა. ქისტების მიერ სამანის ჩაგდების რიტუალი მხატვრულ ლიტერატურაში მხოლოდ ყაზბეგს აქვს აღწერილი მოთხრობაში *ციცია*: „–სამანი, სამანი! – დაიძახა ხალხმა, მერე წამოავლეს ჯოხებს ხელი, რომლის წვერებიც დედამიწაზედ ერთს ადგილას მიიტანეს. ჯოხებზედ ძალზე დაწოლით შემოტრიალდა ხალხი და ჯოხის წვერები ციბრუტივით წავიდა მიწაში, რომელიც თანდათან ორმოვდებოდა. თან მიწა ითხრებოდა და ხალხი იძახოდა: „წყეული იყოს, წყეული“!

როდესაც ორმო საკმაოდ მოაგანიერეს, რამდენიმე ბიჭმა მოიტანეს მაღალი, გრძელი ქვა, ჩასვეს ორმოში და მიწის მიყრით და წყევლით გაამაგრეს“[67].

ალ.ყაზბეგის მიერ მოთხრობებში მხატვრულად გაცოცხლებული დარისხების და სამანის ჩაგდების ტრადიცია კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ ვაინახებსა და ქართველ მთიელებს ერთნაირი საზოგადოებრივი ყოფა და სამართლის ნორმები ჰქონიათ. ეს გარემოება კი ეჭვმიუტანელს ხდის ამ ორი ხალხის ხანგრძლივ ეთნო-კულტურულ ურთიერთობასა და ახლობლობას.

როგორც ცნობილია, ვაინახებში, ისევე როგორც ქართველ მთიელებში, საზოგადოებრივი ცხოვრება ხალხურ ადათობრივ სამართალთან ერთად გარკვეულწილად რელიგიური წეს-ჩვეულებებისა და რწმენა-წარმოდგენების საფუძველზე იყო მოწყობილი. ვაინახები ტრადიციულ თემებად ცხოვრობდნენ. ითუმხალის, ხილდიხაროს, იალხაროს, მაისტის, მელხისტის, ჯარიახის საზოგადოებებს აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მსგავსად, საკუთარი მფარველი წმინდანი ჰყავდათ. ქრისტიანული რელიგიური წარმოდგენები და რიტუალები, რომლებიც საქართველოს დედაქალაქიდან კავკასიის მაღალმთიანეთში IV საუკუნიდან ფშავ-ხევსურული და მთიულეთ-გუდამაყრული საზოგადოების გავლით ვრცელდებოდა, ჩეჩნეთ-ინგუშეთში ე.წ. *„გახალხურებული“* სახით მკვიდრდებოდა. ამიტომაც, მათ ისეთივე ჯვარ-ხატები და დეკანოზები ჰყავდათ, როგორც მათ მეზობელ ქართველ მთიელებს.

სწორედ ამ გარემოებას გვიხატავს ალ.ყაზბეგი მოთხრობებში *მამის მკვლელი* და *ციცია*. იგი შენიშნავს, რომ „მთის ქისტებში ეხლაც ისეთივე დეკანოზები არიან, როგორც მთის ქართველებში. ნიშნები, დროშები და წმინდანების სახეები დღევანდლამდის ქრისტიანული აქვთ დარჩენილი. თუმცა დროშის

თავებად ჯვრები აღარა აქვთ და ან მარტო შუბს ამოუყვია წვერი, ან მერდინით არის შეხვეული"[68].

აღსანიშნავია, რომ მთიანი ინგუშეთისა და ჩეჩნეთის შუა საუკუნეების არქიტექტურულ ძეგლებზე, ციხეებზე, კოშკებსა და ეკლესიებზე, რომლებიც დღემდე არის შემორჩენილი, ყველგან ჯვრებია გამოსახული.

ჯვარ-ხატებისადმი მიძღვნილ ცერემონიებში ქრისტიანული და მუსლიმანური ელემენტების თანაარსებობის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში არაართხელაა მითითებული[69]. ალ.ყაზბეგი თავის მოთხრობებში აღწერს ვაინახების იმ მდგომარეობას, როდესაც ჯერ კიდევ ძლიერი იყო მათში ქრისტიანული ტრადიციები, მაგრამ რუსეთის აგრესიის შედეგად უკვე მაჰმადიანობა ქისტებში გაბატონებულ სარწმუნოებად ყალიბდებოდა, რათა რელიგიური პრინციპით დაპირისპირებოდნენ ისინი დამპყრობლებს. აი, რას წერს ალ.ყაზბეგი *მამის მკვლელში* ამის შესახებ: „მაჰმადიანთ უნდა ედღესასწაულათ წმინდა გიორგის დღესასწაული. ოდესმე ამ ხალხს, მართლმადიდებელსა და ქრისტიანებს, აეშენებინათ აქ საყდარი და აესრულებინათ მართლმადიდებელთ წესი, მაგრამ ჟამთა ვითარებამ შესცვალა სარწმუნოება და მთიელი ქრისტიანების სოფლები რუსების ხელშიაც კი მაჰმადიანები ხდებოდნენ"[70].

ალ.ყაზბეგი მძაფრად განიცდიდა ჩეჩნეთ-ინგუშეთში ქრისტიანული ტრადიციების დასუსტებას. იგი ნათლად გრძნობდა, რომ რელიგიური სხვაობა მოძმე ხალხთა ურთიერთობაში შეიძლება გარკვეული ბზარის მომტანიც გამხდარიყო. მწერალი ასეთი სევდიანი განწყობილებით აღწერს ქისტეთში ოდესღაც დიდი ქრისტიანული ცენტრის დაცემულ იერსახეს: „შემობინდდა, როდესაც იმათ მიაღწიეს ერთს ველიანს გორას, რომელზეც ოდესმე ბრწყინავდა მშვენიერი ეკლესია; ეხლა ნანგრევი, უპატრონო, გაოხრებული, ათას ადგილს დაბზარულის კედლებით მწარედ გულს უთუთქავდა მნახველს. აშკარად ეტყობოდა, რომ აქ ოდესღაც სდუღდა ქრისტიანობა, გაბრწყინებული ამ სარწმუნოების მართლმომსახურეთაგან, რომელნიც არაფერს იშურებდნენ სახარების სიტყვის გასავრცელებლად, და ეხლა წარმოადგენდა დაკარგულს წარსულს".

მიუხედავად ასეთი სევდიანი განწყობილებისა, ყაზბეგი თავის მოთხრობებში ხალხურ დღესასწაულებსა და ხატობებს ლაღ და სიცოცხლით სავსე ფერებში წარმოგვიდგენს. ქისტი ფარჩო ასე მიმართავს მოხევეებს:

„– სტუმრებო, ჯარიახს ხატობაა, მე იქ უნდა წავიდე სალოცავად, თქვენ კი არ წამოხვალთ?

– რაისთვი არა, წამოვალთ, – უპასუხა კობამ ამხანაგების მაგიერადაც.

– იქ კაი დღეობა იცის, ახლო-მახლო სოფლის ქალები იქ იქნებიან, თამაშობა იქნება"[71].

რელიგიური დღესასწაულები, ხატობები, კავკასიელ მთიელებში განსაკუთრებულ საზეიმო ვითარებაში მიმდინარეობდა. იგი მნახველს ერთგვარ მისტიურ ურჟოლას გვრიდა და რელიგიური ექსტაზით აღავსებდა. აღწერს რა ყაზბეგი ამგვარ რიტუალს *ციციაში*, იქვე შენიშნავს, რომ „იქაურობა ისე მოკაზმულიყო, როგორც პატარძალი. ყველაფერს სადღესასწაულო ელფერი დაჰკრავდა. ზოგი ჭიანურს უკრავდა, ხოლო სხვები ეშხით სავსე ქალებს ათამაშებდნენ, ყმაწვილი ბიჭები ნიშანში თოფს ესროდნენ, მხედრები ცხენებს აჯირი-

თებდნენ და, რაც მთავარია, რამდენსამე ადგილს გაჩაღებულს ცეცხლზედ საარყე ქვაბები შიგ მთელ-მთელი საკლავებით ჩუხჩუხებდნენ"[72].

ვაინახებში ქრისტიანობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეზობელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთიდან გავრცელდა, ამიტომაც იქ დამკვიდრდა ისეთივე რელიგიური რიტუალები, როგორსაც ვხვდებით თუშ-ფშავ-ხევსურეთში, მთიულეთ-გუდამაყარსა და ხევში. დეკანოზები და ხუცეს-ხევისბერები, რომლებიც ამ რიტუალებს უძღვებოდნენ, შუამავალნი იყვნენ თემსა და სალოცავს შორის. ისინი ამწყალობებდნენ მლოცავთ და გადასცემდნენ მათ თხოვნას ჯვარ-ხატებს. დღესასწაულების დროს ისინი ეკლესიიდან, საკულტო ნაგებობიდან გამოაბრძანებდნენ ხოლმე დროშას, რომელიც გარკვეულწილად განასახიერებდა სალოცავ წმინდანს. ხუცეს-ხევისბერისა და დეკანოზის მოვალეობა თემ-სოფლის წინაშე საპატიო, ამავე დროს, ფრიად საპასუხისმგებლოც იყო[73].

მლოცველნი ხატობაზე მიდიოდნენ ძღვენით: საკლავით, ქადით, სანთლითა და სასმელით, რომელიც ჯვარ-ხატისათვის უნდა შეეწირათ. სასმელი – არაყი ან ლუდი, ითვლებოდა წმინდად და ამით ხუცეს-ხევისბერს აუცილებლად უნდა დაელოცა მრევლი. ხატობისთვის მზადება ორი კვირით ადრე იწყებოდა. ეს სამზადისი კარგად აქვს აღწერილი ალ. ყაზბეგს მოთხრობაში *მამის მკვლელი*. „მთელი სოფელი მოძრაობაში იყო. ყოველ ადგილს ბღაოდნენ საკლავები, ჩამოყვანილი მთებიდან; აქა-იქ დარბოდნენ პატარა ბიჭები; დედაკაცები ალაგებდნენ ქადებს, ხმიადებს, ხაჭაპურებს და სხვა ხორაგს; კაცები ავსებდნენ ლუდით და შინაურის არყით ტიკებს და ჰკიდებდნენ ჯორებს"[74].

ასეთია ალ.ყაზბეგის მხატვრულ-პუბლიცისტური შემოქმედების ზოგადკავკასიური მონაცემები, რომელიც უხვად შეიცავს კავკასიის მთიელთა ეთნოგრაფიული ყოფის დამახასიათებელ მრავალმხრივ და მრავალფეროვან თავისებურებებს. ზემოთ მოტანილი ეთნოგრაფიული სიუჟეტები ქართულ-კავკასიური ცხოვრების წესისათვის დამახასიათებელი სამშობლოსადმი სიყვარულის, სტუმარ-მასპინძლობის, უფროსებისადმი, განსაკუთრებით კი ქალისადმი მოკრძალებისა და პატივისცემის, ოჯახისადმი ერთგულებისა თუ სხვა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და ფასეულობების რომანტიკულ ელფერამდე აყვანილი უზენაესი ზნეობივი ნორმების შესახებ გვიჩვენებენ, რომ ალ.ყაზბეგმა მხატვრულად გააცოცხლა ვაინახებისა და ქართველი მთიელების საერთო წეს-ჩვეულებები და ადათები, რის შედეგადაც დამაჯერებლად აჩვენა ამ ორ ხალხს შორის არსებული ღრმა ნათესაური ფესვები. ჩეჩნეთ-ინგუშეთი განხილულია არა როგორც ცალკე მდგარი და განყენებული კუთხე, არამედ როგორც ერთიანი ქართულ-კავკასიური მოდგმის შემადგენელი ნაწილი. მით უფრო, რომ ეს გააზრება ხალხური ცნობიერებიდან იღებდა სათავეს. ამას კი განაპირობებდა ისიც, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთსა და ვაინახებში რელიგია და წესჩვეულებები გადამუშავდა საერთო ეთნოგრაფიულ ნიადაგზე ურთიერთმეზობლობისა და საერთო წინაპრის ხსოვნის განსამტკიცებლად. ვაინახებსა და ქართველ მთიელებში არსებული ერთნაირი ტრადიციების ფონზე, ყაზბეგის თხზულებებში ჩეჩნეთ-ინგუშეთი და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი გააზრებულია, როგორც ეთნოფსიქოლოგიურად ერთიანი, მტკიცედ ჩამოყალიბებული ეთნო-კულტურული ორგანიზმი.

ალ. ყაზბეგის შემოქმედების ძირითადი მიმართულება მარტო ქართველ-კავკასიელ მთიელთა ეთნოგრაფიული პარალელების კვლევით როდი ამოიწურება. პირველ რიგში, მწერლის პროზაულ-ბელეტრისტულ თუ პუბლიცისტურ ნაწერებში უაღრესად მნიშვნელოვანია ალ. ყაზბეგის მიერ ეპოქალური მეცნიერული მიღწევების ფონზე ეთნოგრაფიის არსებით თეორიულ და მეთოდოლოგიურ მიმართულებებზე მსჯელობა და მათ ფონზე მთიელთა სამეურნეო ყოფის, მატერიალური და სულიერი კულტურის, აგრეთვე სოციალური ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი ელემენტებისა და კულტურულ-ყოფითი რეალიების მეცნიერულ სიზუსტემდე აყვანილი განზოგადოება, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბოლოო ფორმირების პროცესში მყოფი ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების შემდგომი სრულყოფისა და განმტკიცებისათვის.

## 2. ახალი ქართული ლიტერატურა და საქართველოს ეთნოლოგია

### 2.1. *დავით კლდიაშვილის მხატვრული შემოქმედების ეთნოგრაფიული სიუჟეტები*

ქართველი კლასიკოსი მწერლების, კერძოდ, თერგდალეულთა გვერდით საქართველოს ეთნოგრაფიის ჩამოყალიბების საქმეში თავიანთი წვლილი ახალი ქართული ლიტერატურის წარმომადგენლებმაც შეიტანეს. ამ თვალსაზრისით ყველაზე თვალსაჩინოა *დავით კლდიაშვილისა* და *ვასილ ბარნოვის* დამსახურება, რომელთა შემოქმედების მოკლე მიმოხილვით დავასრულებთ ქართული მწერლობის ადგილისა და როლის ჩვენებას საქართველოს ეთნოგრაფიის დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზე.

და თუმცა, ახალი ქართული ლიტერატურის არაერთი სხვა წარმომადგენლის ნაწარმოებია მდიდარი ისტორიული ხასიათის სიუჟეტებით, ეთნოგრაფიული სემანტიკითა და ნიუანსებით, დავით კლდიაშვილთან და ვასილ ბარნოვთან ყველაზე ნათლად გამოჩნდა რეალისტური ისტორიზმის პრინციპები. ეგნატე ნინოშვილთან და ნიკო ლორთქიფანიძესთან ერთად, ისინი ფაქტობრივად თავიანთ მსოფლმხედველობას ისტორიზმის ნოვატორულ შინაარსით ამდიდრებენ, რითაც აღრვევდნენ მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის ტრადიციას და სათავეს უდებენ ახალს – მეოცე საუკუნისას. მართალია, დ. კლდიაშვილს მიზნად არ დაუსახავს ამ პერიოდში სამწერლობო ასპარეზზე გამოსული *„ხალხოსნების“* მხატვრული შემოქმედების უმთავრესი პრინციპი – *ისტორიზმი, „ხალხის“ - მშრომელი გლეხკაცობის როლის ჩვენება... მაგრამ, სამაგიეროდ მას ჰქონდა ღრმად ზნეობრივი მიმართება წარსულისადმი, ისტორიისადმი დამყარებული საზოგადოებრივი ძალების კონკრეტულ-ისტორიულ ანალიზზე. ეს იყო რეალიზმის კიდევ ერთი ახალი თვისება, რომელიც ქართულ მწერლობაში შემოჰქონდა დავით კლდიაშვილს და მის თაობას*[1].

*დ. კლდიაშვილის* წინაშე არანაკლები სიმძაფრით დადგა საკითხი ქართული მწერლობის ისტორიული წარსულის რომანტიკულ-პატრიოტული ელფერიდან განთავისუფლებისა და რეალისტური ისტორიზმის პრინციპების დამკვიდრების შესახებ. მწერალი თვალნათლივ ხედავდა, რომ ახალ ვითარებაში მხატვრული შემოქმედების აგება მარტო გმირულ-რომანტიკულ პათოსზე – „გმირნო მამულის მადიდნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება, თქვენთა სახელთა ამაყად წარმოსთქვამს შთამომავლობა“ – შეუძლებელი იყო. საჭირო იყო ილიას დეევიზის შემდგომი გაღრმავება და განმტკიცება – მწერლობა და მეცნიერება მეფეებისა და გამოჩენილ პირთა ისტორიიდან ხალხის, უბრალო გლეხკაცის ისტორიაზე, მისი ყოფა-ცხოვრების აღწუსხვაზე უნდა გადასულიყო. „ლიტერატურის საგანი – მიმართულება დღევანდელ პირობათა მიხედვით უმნიშვნელო, ჩვეულებრივი კაცის ბუნების ძიებაა... რადგანაც იგი საგანია მუდმივი ცვალებადობისა და ... მნიშვნელობა იმ პირობების აღნიშვნისა და შესწავლისა, რომელთა გავლენის ქვეშ ხდება ეგ ცვლილება და გადასხვაფერება – აქედან შესწავლა თვით ცხოვრებისა, ინდივიდებისა და ყოველი გარემოებისა... გარემოება აღიძვრება როგორც კარგ მხარეს, ისე ცუდს კაცის ბუნებისას... ამიტომ მნიშვნელობა ცხოვრების წვრილმანების შესწავლისა – ხელის შესაწყობად მო-

მავალში და უსარგებლობა ადამიანისა ისე სინჯვისა, თითქოს იგი იყვეს დამთავრებული ტიპი“ – მიუთითებდა იგი ერთ-ერთ ადრინდელ ჩანაწერში[2]. ამ ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ახალგაზრდა მწერალი იმთავითვე ყურადღებას ამახვილებდა *„უმნიშვნელო, ჩვეულებრივი კაცის“* ბუნების, ესე იგი ხასიათის ასახვაზე. ამ ხასიათის შექმნა-ჩამოყალიბებისას *„ცხოვრების წვრთნებისა“* და, საერთოდ, გარემო პირობების მნიშვნელობაზე მსჯელობისას იგი ცდილობდა ეს პროცესები ეჩვენებინა მათი განვითარების, ცვალებადობის ფონზე. მისი მხატვრული პრინციპებისათვის არ არსებობს სტატიკური, ან კიდევ, ჩამოქნილი, დასრულებული ტიპი.

ერის წარსულის მეფეთა და ქართველ პირთა ისტორიიდან ხალხის ისტორიაზე გადასვლის ასეთი რადიკალური შემობრუნება, ბუნებრივია, არ ნიშნავდა დავით კლდიაშვილის მხრივ ხალხოსანთა მიერ ფეოდალური წარსულის რომანტიკის ერთი ხელის მოსმით უარყოფის გაზიარებას, თერგდალეულთა თითქოსდა *„უკან ხედვას“*, წარსულზე თავადაზნაურული გოდებისა და ტირილის აღიარებას, რასაც თან მოჰყვა ისტორიული თემის საერთოდ ამოღება ხალხოსანთა მხატვრული შემოქმედებიდან.

დ. კლდიაშვილმა თავისი მხატვრული შემოქმედების მიზნად სხვა გზა აირჩია. მწერალმა რადიკალურად შემოაბრუნა თავისი ლიტერატურული კრედო და ხელი აიღო ისეთი ისტორიული ტილოების დასრულებაზე, როგორიც იყო *„ფარნაოზი“*, *„შთამომავალნი“*, *„უიმედო“* და ა.შ. ამის მიზეზი ახალი ისტორიული ვითარება – ქვეყანაში კაპიტალისტური ურთიერთობების მკვეთრი შემოჭრა გახლდათ, რომელიც ქართულ მწერლობას ახალ მიზნებსა და ამოცანებს უსახავდა. ძველი ყოფა ირღვეოდა და ყველა ცდილობდა ახალი საქმისათვის მოეკიდა ხელი. ეს „იყო დრო, როცა ქალაქ ფოთის ნავსადგურში პირველად იწივლა ცეცხლის გემმა, მისმა წივილმა პირველად განუფრთხო ძილი მტრისგან მოუძლურებულ საქართველოს ერს. ეს იყო ახალი დროის მამლის ყივილი დასავლურ საქართველოში. ფოთი აღინიშნა შავი ზღვის კიდეზე კავკასიის ბოღაზით“[3], – წერდა *გიორგი წერეთელი*.

თავადაზნაურობის იმ პირველმა თაობამ, რომელიც ჯერ კიდევ ველური კაპიტალიზმის პირველი შემოტევის მსხვერპლად იქცა „სახეში შეაფურთხა“ ახალ წესწყობილებას, გამწარებულმა აუხვია მას გვერდი და სახელოვანი წარსულის განახლებაზე დაიწყო ფიქრი... რომანტიკოსებმა დასწყევლეს ბურჟუაზია, ე.ი. მათი სიტყვით რომ ვთქვათ, ადამიანები, რომელებიც პირჯვარს იწერდნენ ხუთფრანკიან ფულის ნიშანზე. მხოლოდ რომანტიკოსების მომდევნო თაობამ, ახალმა ლიტერატურულმა მიმდინარეობამ – *კლასიკურმა რეალიზმმა* შესძლო ისტორიული სინამდვილის და სოციალური ყოფის მხატვრული შემეცნება.

კლასიკური რეალიზმის ამ მიმდინარეობას ეკუთვნოდა დავით კლდიაშვილიც, რომელმაც იშვიათი უბრალოებით აჩვენა ქვეყანას ძველი იმერეთის სოფელი, რომელსაც უკვე გასტეხია ეკონომიკური ხერხემალი, მის შიგნით დარღვეულა პატრიარქალური წყობილება და ასპარეზზე ახალი სოციალური კლასები გამოდიან. კაპიტალიზმის ეს სამშობიარო ტკივილები ხდება კლდიაშვილის მთავარ თემად. მართალია, მას არ მოუცია კაპიტალიზმის შინაგანი მხატ-

ვრული ანალიზი, მან მხოლოდ გვიჩვენა ამ წყობილების ისტორიული პროლოგი.

კლდიაშვილს ქართულ ლიტერატურის ისტორიაში წილად ხვდა ჭირისუფლობა და ანდერძის აგება აზნაურული წოდებისა"[4].

მიუხედავად ამისა, დ.კლდიაშვილს საბოლოოდ არ უარუყვია ისტორიული თემატიკა. თანამედროვეობის ისტორიულ-რეალისტური ხედვა მან წარმატებით გამოიყენა ისტორიული ხასიათის ისეთ მოთხრობებში, როგორებიცაა *„როსტომ მანველიძე"* და *„თავადი პეტრე"*, რომლებშიც არაერთი ასეთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნიუანსიცაა მინიშნებული. დოკუმენტური სიმართლე, ისტორიული პირების ეპოქალური თავისებურებების მხატვრული ასახვა, „ტიპური გარემოებებისა და მდგომარეობათა" გადმოცემის რეალისტური მანერა ამ ნაწარმოებებს ახალი პერიოდის ქართული ისტორიული რომანის საეტაპო მოვლენად აქცევს[5].

დავით კლდიაშვილის მსოფლმხედველობის ისტორიზმს სხვა უფრო სერიოზული მიზეზებიც უდევს საფუძვლად. როგორც ჩანს, იგი კარგად იცნობდა ახლად ფეხადგმული ბურჟუაზიული ისტორიოგრფიის კონცეპტუალურ შეხედულებებს, რომლებშიაც ისტორიზმის პრინციპი საქართველოში ევოლუციური მიმდინარეობის გავრცელებასთან ერთად მკვიდრდება. უფრო მეტიც, მწერლის მემუარებიდან ირკვევა, რომ მას გაუცვნია ევოლუციონიზმის ერთერთი ფუძემდებლის *ედუარდ ტეილორის* კაპიტალური ნაშრომი *„ანთროპოლოგია"*, რომელშიც საზოგადოების განვითარების აღმავალი პროცესი მარტივიდან რთულისაკენ სწორედაც რომ ევოლუციური შეხედულებებისათვის დამახასიათებელი ისტორიული კანონზომიერებითაა ახსნილი. დ.კლდიაშვილი ძალზედ ნასიამოვნები ყოფილა ამ წიგნის გაცნობით, რომელსაც იგი სამხედრო მოსამსახურეებთან გამართულ ლექციებზე იყენებდა.

„ბედად წინა ხანებში მე შევიძინე ახლად გამოსული თარგმანი – ტეილორის „ანთროპოლოგია". წიგნის თავში მოყვანილი პირველყოფილი ცხოვრების აღწერა, იარაღების – საოჯახო და სანადირო – საბრძოლველი იარაღის აღწერა მშვენიერ მასალას იძლეოდა შემედგინა ერთნაირი პროგრამა, გამეცნო ჯარისკაცებისათვის, თუ როგორი იყო პირველყოფილი ადამიანის ცხოვრება, როგორ საზრდოობდა იგი, რას ხმარობდა თავისთავის შესანახად – ერთი სიტყვით, გამეცნო მათთვის პირველყოფილი კულტურა და მისი განვითარება... მსმენელებს აშკარად ეტყობოდათ, რომ მონაყოლით მეტად დაინტერესდნენ და გაფაციცებით ყურს მიგდებდნენ. მეც მეტად შემახალისა ამან და გაკვეთილებისათვის საგანგებოდ ვემზადებოდი, ვარჩევდი ყოველ სიტყვას, რომ რაც შეიძლებოდა მარტივად და მსმენელთა გასაგები ენით გადამეცა მისაწვდენი ცნობები" - წერდა სალექციო კურსის დაწყების წინ დ. კლდიაშვილი[6].

გამორიცხული არაა, რომ *ედუარდ ტეილორის* ნაშრომით ესოდენ დაინტერესებული დ.კლდიაშვილი *რ.ერისთავისა და ნ.ხიზანიშვილის*, ან კიდევ *ა.ყაზბეგის* მსგავსად ეცნობოდა და თავის მსოფლმხედველობას ამდიდრებდა სხვა ევროპელი მეცნიერებისა და მოგზაურ-მკვლევრების ნაშრომებითა და ეთნოგრაფიული ჩანაწერებით.

დაბოლოს, დავით კლდიაშვილის მხატვრული შემოქმედების კიდევ ერთი თავისებურების შესახებ. იგი თითქმის მთლიანად უვლის გვერდს გმირის შინა-

განი ფსიქოლოგიური სილრმის ანალიზს. „მისი უბრალო სამანიშვილის სიზმარი და სოლომონის ახირებული საქციელი უფრო მეტს ამბობს სოციალური ეპოქის დასახასიათებლად, ვიდრე რომელიმე მწერლის უგზო-უკვლო ხეტიალი ადამიანის სულში. კლდიაშვილის გმირების არა თუ სიზმარი, არამედ საერთოდ მთელი მოქმედება, ქცევა, ყოველი სიტყვა და თვით იმერული დიალექტიც – სოციოლოგიურ ბრძმედზეა გატარებული და ცოცხალი ცხოვრებით სუნთქავს"[7].

*დავით კლდიაშვილის* მხატვრული შემოქმედების ამ პრინციპების გაცნობა გვიჩვენებს, რომ მის მიერ „პრობლემა ყველგან ზნეობრივ ასპექტშია ჩაფიქრებული. ახალგაზრდა მწერალს, უპირატესად, პერსონაჟის ქმედების ფსიქოლოგიური მექანიზმი აინტერესებს...

*„უმნიშვნელო, ჩვეულებრივი"* ადამიანების ცხოვრება, მათი ხასიათი, მათი ყოველდღიური, წვრილმანი ყოფა იქცევა დ.კლდიაშვილის საუკეთესო მოთხრობებისა და პიესების თემად. აქ აღმოაჩენს იგი ტრაგიკულსაც და კომიკურსაც, აქ გაამჟღავნებს თავის განუმეორებელ, სევდანარევ იუმორს.

აქ შეუერთდება დავით კლდიაშვილი თავისი ეპოქის უდიდეს მონაპოვარს – *დემოკრატიულ-ჰუმანისტური მწერლობის* ნაკადს"[8].

ასეთ ახალ მსოფლმხედველობასა და თანამედროვეობის ისტორიული კონცეფციის ორიგინალურ ხედვაზე აგებულ მოთხრობებსა და პიესებში გამოჩნდა დრომოჭმული ქართველი თავადაზნაურობისა და კაპიტალიზმის ფერხულში ჩაბმული ქართველი გლეხკაცის ყოფისა და კულტურის, მათი ფსიქოლოგიური მოდელის ეთნოგრაფიული სიუჟეტები და ნიუანსები. დავით კლდიაშვილსა და მისი თაობის მიერ ეთნოგრაფიული ჟანრის ამ თავისებურმა აღქმამ დიდი სამსახური გაუწია თვით ეთნოგრაფიული მეცნიერების თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპების შემდგომ განვითარებასა და დახვეწას. და თუ XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფია და მათ შორის ეთნოგრაფიული მეცნიერება საბოლოოდ განთავისუფლდა მხოლოდ დიდებულთა და მეფეების ისტორიის ფოლიანტებისაგან, ამაში დავით კლდიაშვილის მხატვრულ შემოქმედებას ლომის წილი მიუძღვის.

აქვე უნდა აღინიშნოს ქართველი მწერლის სხვა, არანაკლები დამსახურების შესახებაც. დავით კლდიაშვილმა გარკვეულწილად დაასწრო ქართულ, და, საერთოდ, თავისი ეპოქის მეცნიერულ აზროვნებას და მეცნიერებისა და მწერლობისათვის დამახასიათებელი ისტორიულ მოვლენათა ანალიზის ზოგადფსიქოლოგიური ასპექტებიდან, თავისი მხატვრული შემოქმედების კრედოდ საზოგადოების საშუალო ფენის ფსიქოლოგიური მოდელის ინტერესები, მისი მოთხოვნილებები და ტკივილები გაიხადა. ვფიქრობთ, დ.კლდიაშვილმა აქ რამდენადმე გაუსწრო კიდეც ამერიკული ეთნოფსიქოლოგიური სკოლის მეტად გახმაურებულ პრინციპს საზოგადოების საშუალო ფენის წარმომადგენლის, ე.წ. *საშუალო პიროვნების ფსიქოლოგიური მოდელის შესწავლის აუცილებლობას, რაც XX საუკუნის 20-30-იან წლებში ამერიკულ ეთნოგრაფთა მიერ წარმატებით იქნა გამოყენებული ამერიკული საზოგადოების ღრმა ეკონომიკური და სულიერი კრიზისის გასაანალიზებლად და დასაძლევად.* ასეთი უმნიშვნელოვანესი და განმაზოგადებელი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს დავით კლდიაშვილის მოთხრობებისა და პიესების ღრმა ფსიქოლოგიზმი, სადაც

სწორედ „*უმნიშვნელო, ჩვეულებრივი ადამიანის*“ მისწრაფებებისა და ინტერესების მხატვრულ-ფსიქოლოგიურ გადმოცემას არა მხოლოდ იუმორისა და სარკაზმის, არამედ საზოგადოების გაუსაძლისი ტკივილებისა და ამ მძიმე სენისაგან განთავისუფლების მისიაც აკისრია. ბუნებრივია, დავით კლდიაშვილის ეს დამსახურება სათანადოდ აისახა ახალგაზრდა ქართული ეთნოგრაფიული სკოლის წარმომადგენელთა პირველსავე ნაშრომებში.

დავით კლდიაშვილის მხატვრულ-ესთეტიკური შემოქმედების ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმართულება, პირველ რიგში, მის მოთხრობებსა და პიესებშია ასახული. *ალ.ხახანაშვილის* მართებული შენიშვნით „ეთნოგრაფიისათვის ძვირფასია მისი პირველივე მოთხრობა „*შერისხვა*“, სადაც სიუჟეტად ხატზე გადაცემის „ძველი ჩვეულება და რწმენაა აღებული“[9].

მოთხრობის სიუჟეტი ასე ვითარდება: *კაცია საგუნაშვილმა* თავისი საყანე ადგილის ნაწილი დასასვენებლად დააგდო და შემოღობვაც არ უცდია. სოფლის მოსახლეობამ ისარგებლა ამ შემთხვევით და საგუნაშვილის კარმიდამოს ეს ნაწილი ახალ სავალ გზად აქცია, ძველი გზა კი, რომელიც სრულიად მოშლილი იყო, მიივიწყეს და მის შეკეთებაზე აღარავინ ზრუნავდა. გავიდა დრო და კაციამ გაშვებული ყანის აღდგენა და შემოღობვა მოინდომა. მეზობლებმა თხოვეს ყანის ნაწილი სავალ გზად დაეტოვებინა, მაგრამ იგი არ დათანხმდა და შემოღობვა განაგრძო. სოფლმა კაციას ღობე რამდენჯერმე მოარღვია, ბოლოს კი სასამართლო წესით ნაკვეთის ეს ნაწილი სოფელს მიაკუთვნეს.

სიმართლის ძიებაში დამარცხებული კაცია საგუნაშვილი ხატს ეწვია და ამ უკანონო გადაწყვეტილების ერთ-ერთი აქტიური მოსამართლე ანდრია ჭურაშვილი დასასჯელად საჯაროდ *ხატს გადასცა*. მორწმუნე კაცია ელოდა ანდრიას დასჯას, მაგრამ ამაოდ. დრო გადიოდა და რისხვის ნიშნები კი არსად ჩანდა. კაციას მოუთმენლობა ეტყობოდა, მეტადრე იმიტომ, რომ ანდრია უდარდელად ცხოვრობდა და არაფრად აგდებდა კაციასაგან ხატზე გადაცემას. კაცია ემდუროდა წმ.გიორგის შეგვიანებისათვის, თუმცა ცოლი უწყრებოდა, რომ წმინდანს უგნურად უსწორებდა სამართალს. კაცია საქმეს ხელს ვეღარ ჰკიდებდა, მარხვაში ზიარება აღარ მოინდომა, ახსოვდა მხოლოდ წმ.გიორგის შემწეობით ჯავრის ამოყრა. გათენდა აღდგომაც, მაგრამ ლოდინი ამჟამადაც ამაო გამოდგა. აღდგომის მეორე დღეს მღვდელი ხატებით და ხალხის მონაწილეობით გარს უვლიდა ეკლესიას. მღვდელმა ხატების წინ ლოცვა წაიკითხა და როცა კირილეისონ და ამინ აღასრულა, კაცია საგუნაშვილი წამოიჭრა წინ, წმ.გიორგის ხატის წინ გაჩნდა და შესძახა: „ესმის ახლა ვითომ მაგას რამე? ძაღლი ვიყავი, ჩემი რომ არ შეისმინა?“ ხალხი აღელდა და გაოცებული უყურებდა „გაგიჟებულ“ კაციას. ცოლმა ხატის გაწბილებისათვის, შავი დღე დააყენა კაციას, მაგრამ იმას აღარა ესმოდა რა. მოტყდა და მოიკუმშა ამის შემდეგ კაცია და სიკვდილის ჟამს ზიარება მაინც მიიღო. სოფლელებმა უარი სთქვეს მის დატირებაზე: ღმერთს ვაწყენინებთ, რომ მისი მგმობელი ვიტიროთო.

ასე უნუგეშოდ დასრულდა მოხუცი გლეხის ცდა სოფლის სასამართლოს დადგენილება ზეციურ სასამართლოში გაესაჩივრებინა. გლეხკაცის ცხოვრებიდან აღებული სოფლის ყოფის ეს რეალური სურათი უძლიერესი ეთნოგრაფიული ნიუანსითაა დატვირთული. „როგორც დავით კლდიაშვილის მთელი მხატვრული შემოქმედება, ისე ეს მოთხრობაც თავისუფალია რაიმე აბეზარი

მორალური ტენდენციისაგან, მაგრამ მკითხველს ენიშნება: უკეთესი იქნებოდა, კაცია საგუნაშვილი თემს არ გამოსთიშოდა და მის სამართალს დამორჩილებოდა“[10].

დავით კლდიაშვილს საგულდაგულოდ აქვს შესწავლილი წერილი მემამულეების, სოფლის სამღვდელოებისა და ღატაკი გლეხების ყოფა-ცხოვრება და ცოცხალ სურათებად გვიხატავს მათ მდგომარეობას, ინტერესებს, შეხედულებებს. მისი მოთხრობა „*სოლომან მორბელაძე*“ მაჩვენებელია ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებისა ეკონომიკური დაქუცმაცების პირობებში. სოლომან, შთამომავლობით აზნაური, იმდენად „დაგლახაკებულია“, რომ დედაკაცის საქმეს შესდგომია და „*მაშვლობით*“ აწყობს შერთვა-გათხოვებას და ამ შრომით შოულობს ლუკმა პურს.

სოლომანს მართებს პლატონის მცირედი ვალი. მან უნდა იშოვოს 60 მან. ამ ვალის გადასახდელად. ამიტომ სემინარიელს – ქაიხოსრო ქათამაძის შვილს, რომელიც მღვდლად ემზადება, სურს შერთოს ელპიტე, ბესარიონის ქალი და სამაშვლოდ 60 მან. მიიღოს. თავის მოჩაქჩაქე ჯორით იგი მიდის და მოდის სანეფოს და სადედოფლოს შუა ახალგაზრდების ბედის მოსაწყობად, როცა თითქმის მოარიგა ერთმანეთს და საქმე გაჩარხული ეგონა, ბესარიონმა მოთხოვა, რომ სასიძომ ათი თუმანი დაუკლოს. ნინააღმდეგ შემთხვევაში იძულებულია სხვას მიათხოვოს თავისი ქალი. სოლომანი საშინლად გაწბილებულია ამ წინადადებით. იგი აშკარად კარგავს დაპირებულ ექვს თუმანს და თავის მევალესთან უმძიმეს პირობებში ვარდება. საბოლოოდ მაშვლის მრავალგზის მისვლა-მოსვლა ქალ-ვაჟის მამებთან იმით დაგვირგვინდა, რომ ბესარიონის ბრძანებით მიეცა ხარის ტყავზედ მარილდაყრილი ბეჭი და გულკეთილის ნეფისაგან მიიღო ჯიბეში ჩარჩენილი ექვსი მანეთი და ორი აბაზი. ეს „გამოვიდა ორი თვის მის წანწალიდან“, ასე მოტყუვდა სოლომანი და ხვალ კარზედ მიადგება მისგან ამგვარადვე მოტყუებული პლატონი.

დავით კლდიაშვილის ეს და სხვა მოთხრობები აღსავსეა საინტერესო ეთნოგრაფიული სიუჟეტებით. ამ მხრივ საინტერესოა სცენა, როდესაც სოლომანთან ფულის სათხოვნად მისულ პლატონს მასპინძელი და მისი პირმოთნე მეუღლე ალერსიანი კილოთი დაუწყებენ თხოვნას, რომ პლატონი დარჩეს იმ ღამეს სტუმრად. „დაგანწვენთ, დაგხურავთ, დაგაძინებთ... დილით ადრე ადგები და წახვალ, შე კაცო!... არ ეშვებოდა სოლომანი“.

„მადლობელი ვარ, ჩემო ბატონო, მეტად მადლობელი ვარ, მარა ნურას უკაცრავად... სწორედ რომ არ შემიძლია... მომიტევეთ, ნუ მიძრახავთ ჩემს უზრდელობას...“ სოლომანმა ჭიშკრამდე მიაცილა პლატონი და როცა სახლს მიუახლოვდა უკან გამობრუნებული, აივანზე გადმოწოლილ ეფროსინეს შესძახა: „არ მომკლა ამ უხეირომ თავისი გაუთავებელი ხვეწნით!“ ცოლმა გაკიცხა ქმარი რომ ეპატიჟებოდა სტუმარს, როცა სახლში არა ეგულებოდა რა. სოლომანმა სიტყვა იქვე მოუჭრა: „ერთი-ორ შეპატიჟებით რავა დარჩებოდა, შე ქალო! გადამთიელი ხომ არ არი, ჩვენებური ჩვეულება არ იცოდეს... შევეპატიჟე, ვალი მოვიხადე...“

ამავე მოთხრობაში საუცხოოა აგრეთვე სცენა, როცა მოსული ნეფე მაყრებით უკან აპირებს გაბრუნებას, რადგან სასიმამრო ათ თუმანს აკლებს. შუაკაცების ჩარევის წყალობით გაწბილება ასცდება ბესარიონის ოჯახს, მაგრამ იმ

პირობით კი, რომ იგი მაინც საქორწილო ხარჯისათვის სამ თუმანს გამოაჩენს და ამით მოულბობს გულს მოუხეშავ ქათამაძეს. თანამედროვე ეკონომიკურმა პირობებმა შექმნეს გაჭირვებული ცხოვრება და წარმოშვეს ისეთი პირები, როგორიც მაშვალი სოლომანი და გამდიდრებული ქაიხოსროა პატიოსნებაზე და მიცემული სიტყვის აღსრულების მოვალეობაზე თავისებური შეხედულებებით.

ახალი ყოფის ასეთივე ძლიერი რეალისტური სურათებია დახატული დავით კლდიაშვილის სხვა მოთხრობებსა და პიესებში, კერძოდ „*მრევლი*“, „*ქამუშაძის გაჭირვება*“, „*სამანიშვილის დედინაცვალი*“, „*ირინეს ბედნიერება*“ და სხვ. საქართველოში ახლადფეხადგმული ბურჟუაზიული საზოგადოების პირუთვნელი მატიანე გახლავთ, რომლებშიც მწერალმა თანამედროვეობისა და ტრადიციულის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მაღალმხატვრულ ფერებსა და საღებავებში გადაწყვიტა.

ჩვენ არ შევუდგებით დავით კლდიაშვილის ამ საყოველთაოდ ცნობილ ნაწარმოებთა დახასიათებას, მაგრამ რამდენიმე სიტყვით შევჩერდებით იმ თავისებურებებზე, რაც ასე გამორჩეულად გვიჩვენა თავის მხატვრულ შემოქმედებაში ახალი ქართული ლიტერატურის ამ შესანიშნავმა წარმომადგენელმა.

დავით კლდიაშვილს თავისი დიდი წინამორბედების, ზემოთ უკვე განხილული ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის მოღვაწეობის პერიოდიდან, დროის მიხედვით ერთიოდე ნაბიჯი აშორებს. თითქოსდა, ეს უმნიშვნელო დრო ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაში ბევრს არაფერს მოასწავებს, თუმცა ახალმა წყობამ ხალხის ყოფაში კარდინალური ცვლილებები მოახდინა და ცხოვრების ტრადიციული წესის არაერთი ურყევი პოსტულატი საფუძვლიანად შეარყია. ამის შესანიშნავი დადასტურებაა ზემოთ მოტანილი პასაჟი სტუმარმასპინძლობის შესახებ.

შუა საუკუნეებსა და აღორძინების ეპოქის რომანტიკური ელფერით შემკობილი, რაინდულ კეთილშობილებაზე, წრფელ გრძნობებსა და ურყევ ღირსებაზე დამყარებული, მამა-პაპური ტრადიციებით განსაზღვრული და განპირობებული ქართულ-კავკასიური სტუმარმასპინძლობა, სულ რაღაც ორიოდე ათეული წლის განმავლობაში ბურჟუაზიული ეპოქალური სიავით ბოძებულ თუმნიანებზე დახურდავდა და მწარე სარკაზმისა და ცრემლნარევი ირონიის საგნად იქცა. ასე დაემართა *ცხოვრების ქართული წესის, თითქოსდა სხვა ისეთ მარადიულ ღირებულებებს, როგორებიც იყო მაღალი ზნეობა, პირმტკიცობა, გაჭირვებულის თანადგომა, ზოგადად კი ის შემწყნარებლობა და ტოლერანტობა*, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ახასიათებდა და თან სდევდა ქართველი კაცის ფსიქოლოგიურ მოდელს.

დავით კლდიაშვილის ენთოგრაფიულ მემკვიდრეობაზე საუბარი არ იქნება სრულყოფილი თუ არ შევეხეთ მის მემუარებში აღწერილ ეთნოგრაფიულ სიუჟეტებს, რომლებშიც ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის ფაქტები და მოვლენები განსაცვიფრებელი ეთნოგრაფიული სიზუსტითაა ასახული და გადმოცემული. საგულისხმოა, რომ მწერალი დიდ ყურადღებას აქცევდა მემუარებში შესულ პუბლიცისტურ ჩანაწერებს და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მას ხალხის წარსულის უტყუარი ფიქსაციისა და ყოფისა და კულტურის ტრადიციული ნორმების შემონახვის თვალსაზრისით. „ეს მოგონებები იწერება იმ მოსაზრებებით, რომ რომელიმე მკვლევარმა ჩვენი წარსული ცხოვ-

რების სურათის დასახატავად შეიძლება ამ სტრიქონებშიაც იპოვოს გამოსადეგი რამ მასალა. თუ ეს ასე იქნა, მაშინ ამის დაწერაც გამართლებული იქნება და დამწერიც დიდად დაკმაყოფილებული", – წერდა დავით კლდიაშვილი მემუარების შესავალში[11].

დავით კლდიაშვილის მხატვრულ-ეთნოგრაფიული შემოქმედების ამ თავისებურებების წარმოსაჩენად მოვიყვანთ რამდენიმე ამონაწერს მემუარებიდან: „ფართოდ გაშლილი ეზოს ერთ მხარეს იდგა დიდი ორსართულიანი სახლი. ქვედა სართული – ქვითკირის, ზედა კი ფართო აივნიანი, ხის. მოშორებით იდგა დიდი, გრძელი, ისლით დახურული სამზარეულო, მის გვერდით საქონლის სადგომი, შემდეგ თავლა, სახარჯო სიმინდისათვის პატარა ხულა. ამას მიყვებოდა საქათმე, საბატე, საღორე; იქით თონე, მარანი და სანადირო ძაღლების სახლი; განაპირზე იდგა ორი ორ-ორსართულიანი ხულა, მუდამ სავსე სიმინდით, ღომით, პურით და ფეტვით; ეზოს შორეულ კუნჭულში მოზრდილი შენობა – კამეჩების სადგომი. ეზოს გაღმა, მოკრულ წაბლარში – სათხებო და ცხვრის ფარეხი", – წერდა დ.კლდიაშვილი იმერეთის ერთ-ერთ პატარა სოფელ ხომულში მდებარე დედისეული სახლის შესახებ[12].

საინტერესო დაკვირვება გამოუჩენია მწერალს საცხოვრებლის განათების შესახებაც. სამყოფ ოთახში „ინთებოდა ქონის სანთელი, რადგან მაშინ ნავთი ხმარებაში არ იყო და ლამპა არ იცოდნენ. თუ მოსარიდებელი იქნებოდა ვინმე ვახშამზე, მოუკიდებდნენ ქონის სანთელის მაგივრად კარტოფილის სანთელს, სხვა დროს ოთახი ნათდებოდა ბუხარში ანთებული ცეცხლის ალით", – წერდა იგი[13].

შეძლებული იმერელი აზნაურის სოციალური ყოფის საყურადღებო მომენტებია ასახული სხვა ჩანაწერებშიც. „საცხოვრებლად ბაბუას განსაკუთრებული კუნჭული ჰქონდა. ეს იყო ზედა სართულში ამყვან კიბის მახლობლად, დაბალა სართულის – პალატის ოთახი. პატარა ბუხრიან ოთახში ერთ კედელთან საწოლი იდგა, მეორე კედელს კი ჩაყოლებული ჰქონდა ვიწრო ჩამოსაჯდომი ტახტი; სინათლე შემოდიოდა პატარა, მაღლად დატანებულ ფანჯრიდან. ამ ოთახში ცხოვრობდა მოხუცებული და მის ნებადაურთავად შიგ ვერავინ შევიდოდა. შვილებიც კი კარზე მიდგომით ელაპარაკებოდნენ მეტ შემთხვევაში. ამ ოთახში ჭამდა სადილს მოხუცებული, რაზედაც უნდა შეკითხოდნენ წინდაწინ. ვახშამსაც აქ გაშლიდნენ, ესეც მისი დაკითხვით და ნებადართვით. დაბალ, ვიწრო სუფრაზე, სადილ-ვახშამზე, მოსხდებოდნენ მხოლოდ უფროსები. ბავშვებს აქ ადგილი არ ჰქონდათ", – წერდა დავით კლდიაშვილი იმავე ხომულში დედისეული სახლისა და იქ დამკვიდრებული საოჯახო ტრადიციის შესახებ[14].

დავით კლდიაშვილს ყურადღება მიუქცევია *საოჯახო კულინარიის* საკითხებისადმიც. ძალზე იშვიათია მჭადის-მჭადისა და ღვეზელის დამზადების მისეული აღწერა. „განსაკუთრებით დიდძალი ხალხი მოიყრიდა თავს სამზარეულოში, როცა ღვეზელებს აცხობდნენ ან დიდ მჭადის-მჭადს. ამ დღეს სოფლიდანაც ბევრი მოდიოდა, რადგან ღვეზელის გამოცხობას სხვანაირი ხელი ესაჭიროებოდა.

ღვეზელი ეს დიდი ხაჭაპურია, ყველით და მოხარშული კვერცხებით გატენილი; არშინი, არშინზე მეტიც დიამეტრში, სამი-ოთხი გოჯა სისქით. ამის გამოსაცხობად კეთდებოდა თხელი ყაერისაგან ერთგვარი კალაპოტი, რომელ-

საც ჩადგამდნენ გაქიაქებულ ნაკვერცხალში და ჩადებდნენ შიგ ვეება ხაჭაპურს; ცომს ზემოდან დააფენდნენ ნეშოს და წააყრიდნენ ნაკვერცხალს. ღვეზელის გამოცხობას განსხვავებული მოხერხება ეჭირვებოდა და კარგი, გამოცდილი ხელი. გამომცხვარი ღვეზელი დიდი მოწიწებით გადაჰქონდათ საკუჭნაო ოჯახში შესანახად. ამგვარი ამბავი იყო დიდი მჭადის-მჭადის გამოცხობაზეც. დიდ ღვეზელებთან და მჭადის-მჭადთან აცხობდნენ პატარებსაც და ამ პატარებს უხვად ატანდნენ სოფლიდან მომხმარეთ მოსულებს", – წერდა იგი თავის მემუარებში.

ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, საინტერესოა იმდროინდელი შეძლებული აზნაურის ჩაცმა-დახურვის აღწერილობაც, რომლის ფრაგმენტებს ვხვდებით აგრეთვე იმავე მემუარებში. „ბაბუაჩემი (დედის მამა) თავის შესახედაობით ქვემოიმერელი აზნაურის ტიპიური წარმომადგენელი იყო: მაღალი, წვრილი, ხმელი სახით, მუდამ ფაფანაკით თავზე, შავი ჩოხით, ხანჯლით შავ ქამარზე, გადაკიდებულ ხმლით, გვერდზე ჩამოკიდებული ნაქარგი ქისით, რომელშიც თუთუნი და მოკლე ჩიბუხი ეწყო. ამასთან დინჯი, დარბაისელი, განსხვავებული მოლაპარაკე", – წერდა იგი[15].

დავით კლდიაშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა ბაქო-ბათუმის რკინიგზასა და ნავთობსადენის მშენებლობას. იგი საგანგებოდ ადევნებდა თვალს ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობის საკითხს და ამ თაობაზე გამოყოფილი სახელმწიფო კომისიის საქმიანობას. მას არაერთი შენიშვნა და წინადადება აქვს გამოთქმული ბათუმ-ქობულეთის მიდამოების სუბტროპიკული ზონის ეკოლოგიური პირობების დასაცავად, რომლის დროსაც იგი დიდი გულისყურით აღწერს მდ.ჭოროხის ნაპირებსა და ართვინის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორიებს[16].

„აქაურობა მოფენილი იყო აგარაკებით, ზოგიერთ მოაგარაკეს გაშენებული ჰქონდა ძვირფასი მცენარეულობა მანდარინის და ლიმონის; იქ იყო საგანგებო ჯიშის ატამი, ვაშლი, მსხალი, ბალი, ლეღვი და სხვ. მიწის ფასი ერთობ დიდი იყო", – წერდა იგი დაბა მახინჯაურის შესახებ. ასეთივე გულისყურით აქვს აღწერილი კლდიაშვილს ბარცხანის ხეობა, ჭოროხისწყლის ჭალები, ჩაქვისა და ქობულეთის არე-მარე და ა.შ.[17]

ასეთია ძირითადად ახალი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებლის დავით კლდიაშვილის მხატვრულ-პუბლიცისტური შემოქმედების ეთნოგრაფიული თავისებურებანი. შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ილია ჭავჭავაძისა და თერგდალეულთა ილიასეული პლეადის ქართველ მწერალთა ეთნოგრაფიული შემოქმედების შემდეგ, *დავით კლდიაშვილი ერთ-ერთი პირველთაგანი გახლდათ, რომელმაც თავისი მხატვრული შემოქმედების მთავარ თემად XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მომხდარი ღრმა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების ასახვა დაისახა მიზნად, ახლადფეხადგმული ქართული ეთნოგრაფია ეპოქალური სიახლეებისაკენ შემოაბრუნა და ამით მოწინავე ევროპული და რუსული ეთნოგრაფიის კვალდაკვალ ხელი შეუწყო მის პროგრესულ განვითარებას.*

დავით კლდიაშვილის მხატვრულ-პუბლიცისტურ შემოქმედებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებასა და, კერძოდ, *ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში რეალისტური ისტორიზმის პრინციპე-*

*ბის დამკვიდრება და მისი შემდგომი განმტკიცება.* ისტორიზმის პრინციპებს იგი ევროპულ მეცნიერებაში მოდურ *ევოლუციონისტურ შეხედულებებზე* აგებს, ამასთან ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში საშუალო პიროვნების ფსიქოლოგიური მოდელის წინა პლანზე წამონევით, *მნიშვნელოვანწილად უსწრებს ამერიკული ეთნოფსიქოლოგიური სკოლის ძირითად პრინციპს,* რომლის მიხედვითაც XX საუკუნის 20-30-იან წლების ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში გამოყენებითი ეთნოგრაფიის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს სწორედ საზოგადოების საშუალო ფენის ფსიქოლოგიური პორტრეტის შესწავლა წარმოადგენდა.

დავით კლდიაშვილის პუბლიცისტურ-მემუარული შემოქმედების გაცნობა გვარწმუნებს, რომ იგი ასევე კარგად იცნობდა ეთნოგრაფიული მოვლენებისა და ფაქტების ასახვის სხვა მეთოდოლოგიურ მხარეებსაც. ამ მხრივ მის მიერ აღწერილ ყოფისა და კულტურის, კერძოდ მატერიალური და სულიერი კულტურის, აგრეთვე სოციალური ურთიერთობების ეთნოგრაფიული თავისებურებების გამოვლენა და ფიქსაცია იმდროინდელი ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების სამაგალითო ნიმუშს წარმოადგენს.

## 2.2. *ვასილ ბარნოვის ფოლკლორულ-ეთნოლოგიური ძიებანი*

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მეცნიერების თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული მხარეების სრულყოფისა და შემდგომი განვითარების საქმეში თავისებური წვლილი შეიტანა ახალი ქართული ლიტერატურის მეორე დიდმა წარმომადგენელმა *ვასილ ბარნოვმა.*

ლიტერატურულ-პუბლიცისტური და მეცნიერული სრულყოფის ხანა *ვასილ ბარნოვის* შემოქმედებაში 900-იანი წლებიდან დგება. ამ დროიდან მოკიდებული იგი თანმიმდევრულად ქმნის ნაწარმოებებს, რომლებიც თემატიკითა და მხატვრული წარმოსახვის სპეციფიკითაც ახალ მოვლენას წარმოადგენს მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ამასთან, ვ. ბარნოვის შემოქმედებითი ენერგია ყველაზე მეტად მის რომანებში გამოვლინდა. იგი კანონიერად ითვლება საქართველოში რომანის, როგორც ჟანრის ერთ-ერთ ფუძემდებლად. მანიშნებელია ისიც, რომ ვ. ბარნოვის მწერლური შთაგონების წყაროდ ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის ქრონოლოგიურად გამორჩეული ერთი რომელიმე პერიოდი როდია ქცეული. იგი ერთნაირი ინტერესითა და სიყვარულით აცოცხლებს ამ ისტორიის მღელვარე ფურცლებს წარმართობის ხანიდან მოყოლებული თავისი დროის ეპოქალური სინამდვილის ჩათვლით.

ვ. ბარნოვის შემოქმედების თვალის გადავლებაც გვიჩვენებს, რომ ავტორისეულ მხატვრულ წარმოსახვას ისტორიული პროცესების ღრმა მეცნიერული ცოდნა უდევს საფუძვლად. მიუხედავად იმისა, რომ ვ.ბარნოვის შემოქმედებითი ფანტაზია ყოველთვის არ იბოჭება ფაქტოლოგიური მასალის სიზუსტით, მწერალი არასოდეს წყდება რეალურ სინამდვილეს და ამდაგვარი შემოქმედებითი თავისუფლება, პირველ ყოვლისა, სწორედ ისტორიული სიმართლის მეტი მეცნიერული სიზუსტითა და შთაბეჭდილებით წარმოსახვას ისახავს მიზნად.

ვასილ ბარნოვის მხატვრულ-პუბლიცისტური მსოფლმხედველობის ანალიზი, ზემოთ აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, გვიჩვენებს, რომ მწერლის ისტორიული რომანები არა მარტო წმინდა მხატვრულ-შემოქმედებითი თვალსაზრისით გამოირჩევა, არამედ მეცნიერულადაც. ჩვენი ქვეყნის ისტორიის ბევრი კარდინალური და პრობლემური საკითხი ვასილ ბარნოვმა მეტად საინტერესოდ, ღრმად და ორიგინალური თვალსაზრისით გაიაზრა და შეაფასა. ხაზგასმულია ისიც, რომ, როცა ეს რომანები იწერებოდა, საქართველოს ისტორიული წარსულის არაერთი ეპიზოდი ჯერ კიდევ არ იყო საჭირო მეცნიერული სიღრმითა და დასაბუთების შესწავლილ-გამოკვლეული.

ვ. ბარნოვმა წარმატებით გადალახა ეს დაბრკოლებაც და არა მარტო მაღალი ლიტერატურული ოსტატობით წარმოსახა ქართლის ცხოვრების ისტორიული სურათები, არამედ ამ ისტორიის ბევრი პრობლემატური საკითხი მეცნიერული სიმართლითაც და მაღალი პროფესიონალიზმითაც გააანალიზა. და კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტიც: ისტორიული წარსულის გაცოცხლება მწერლისათვის არასოდეს ქცეულა თვითმიზნად და არაპირდაპირი გზით თანამედროვე ეპოქისათვის თანამდევი საჭირბოროტო საკითხების თავისებური გააზრების წარმატებულ ცდასაც წარმოადგენს[1].

ვ. ბარნოვის მხატვრულ-პუბლიცისტური და მეცნიერული შემოქმედების თეორიულ მიმართულებაზე მსჯელობისას ისტორიზმის პრინციპზე ხაზგასმა შემთხვევით მოვლენას არ წარმოადგენს. მის შემოქმედებაში ისტორიზმი ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული და ზოგადად ისტორიული მეცნიერების მიღწევებით საზრდოობს. სპეციალურ ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ ბარნოვი ახლოს იცნობდა რუსული ისტორიული სკოლის თეორიულ შეხედულებებს, განსაკუთრებით კი იმ პერიოდში მოწინავე რუსული ფოლკლორული სკოლის მიღწევებს და წარმატებით იყენებდა მას თავის მხატვრულ-პუბლიცისტურ და მეცნიერულ შემოქმედებაში[2]. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ბარნოვის მოღვაწეობა ქართული ზეპირსიტყვიერების სფეროში, რომლის მეოხებითაც იგი ქართული ფოლკლორისტული სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება[3]. ამის დასამატებლად გარკვეული საფუძველი, მართლაც, არსებობს, რადგან მისი ფოლკლორისტული ნაშრომების პუბლიკაცია უმთავრესად XX საუკუნის 20-30-იან წლებზე მოდის. 1919 წელს ცალკე წიგნად გამოქვეყნდა ვ.ბარნოვის სახელმძღვანელო *„ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები, რჩეული პირველი“*, 1921-23 წლებში დაიბეჭდა მისი ესეისტური ხასიათის ნარკვევები *„არსენა“ (1921 წ.), „ამირანი“ (1923 წ.)* და *„აბესალომი და ეთერი“ (1923 წ.).*

*ვ. ბარნოვის* ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ინტერესები მის სხვა ნაშრომებსა და წერილებშიცაა ასახული. სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ ესეები *„თამარის შესახებ“*, სადაც ბარნოვი ისტორიულ პიროვნებას – თამარ მეფეს ქართულ მითოლოგიურ პერსონაჟს – ყამარს უკავშირებს და ძველისძველ მსოფლმხედველობათა გადმონაშთად მიიჩნევს[4]. ბარნოვს თამარი უფრო შორეული ეპოქების კუთვნილებად წარმოუდგება და იგი ღმერთ-ქალის რანგში აჰყავს. მისი ჭეშმარიტი არსის წარმოსაჩენად კი აუცილებლად მიაჩნია, ერთი მხრივ, თამარის შესახებ არსებული „ისტორიული საბუთების“ შესწავლა, ხოლო, მეორე მხრივ, „ზღაპრული მასალის“ კვლევა, რათა „კალმის წვერით ერთხელ და სამუდამოდ დაიხატოს ღირსეულად ეს ზეარსებული პიროვნება“[5].

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ვ.ბარნოვი, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალის ისტორიულ დოკუმენტებთან შეჯერების გზით, ცდილობს ზეპირსიტყვიერი ფაქტის არსის დადგენას. ზეპირსიტყვიერი მასალის ამგვარი ანალიზი რუსული ისტორიული ფოლკლორისტული სკოლის კონცეფციის მოშველიებით, ყამარ-თამარის არქეტიპის დადგენის შესაძლებლობას იძლევა.

ეპოქის შესაბამისი ფოლკლორული და ზოგადეთნოგრაფიული თეორიული დებულებების გამოყენების ეს მაგალითი ვ.ბარნოვის შემოქმედებაში გამონაკლისს არ წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ მისი წერილი *„ფსევდოკლასიციზმი საზოგადოდ და ქართულ ლიტერატურაში კერძოდ“*. ამ წერილში ვ.ბარნოვი ქართული ფსევდოკლასიციზმის წარმომავლობასა და შინაარსზე მსჯელობს. ქართული ფსევდოკლასიციზმი მას ევროპულისაგან განგსხვავებული შინაარსის მქონედ წარმოუდგება. განსხვავებულ ფაქტორად თვით საფუძველია ჩათვლილი. ევროპელი ფსევდოკლასიცისტები „სხვებს ჰბაძავენ, მთლად უცხოებს, ქართველი ფსევდოკლასიცისტები კი ჰბაძავენ ქართველებსავე“. ეს იმიტომ, რომ, ევროპელე-

ბისაგან განსხვავებით, ქართველებმა ქრისტიანობამდე შექმნეს უდიდესი კულტურა, რომლის აბსოლუტური აღმოფხვრაც ვერასგზით ვერ მოხერხდა ქრისტიანობის მიერ არაქრისტიანულისადმი წარმოებული მუდმივი ომის მიუხედავად. ქრისტიანობამდელი ქართული კულტურა დიდ სიახლოვეს ამჟღავნებდა წინა აზიის ხალხთა კულტურასთან, „რომელთა მეზობლად ცხოვრობდნენ მაშინ ქართველნი". ეს სიახლოვე გაგრძელდა ქრისტიანობის ეპოქაშიც, რაც დიდი მთარგმნელობით, ლიტერატურულ ურთიერთობაშიც გამჟღავნდა. აღმოსავლური კულტურის მონაპოვრები „ჩვენს ქვეყანას სპარსეთზედ გადმოვლილი" მოევლინა. ვ.ბარნოვი ამ მსჯელობაში ძირითადად ქართული ფსევდოკლასიციზმის ძირებს ეძებს და ბუნებრივად ავითარებს აზრს ქართულ კულტურაში აღმოსავლურ და დასავლური კულტურების სინთეზის შესახებ[6]. აზრი ქართული კულტურის შინაარსზე აღმოსავლურ-დასავლურის გავლენისა იმთავითვე საკმაოდ ფესვებგამდგარი იყო ჩვენში. იგი ქართველთათვის რუსულ ფოლკლორისტულ სკოლას არ აღმოუჩენია პირველად. ამ სკოლამ, ცნობილ მოსაზრებაზე დაყრდნობით, დააკონკრეტა საქართველოზე აღმოსავლურ-დასავლურის გავლენის უთუო შესაძლებლობა და შინაარსი. საქართველო შუამავალ რეგიონად გამოაცხადა ამ ურთიერთობაში, მაგრამ პასიური გამტარებლის როლში კი არ დაინახა კავკასიური და, კერძოდ, ქართული კულტურის ღირებულება, არამედ – მის მასინთეზირებელ უნარში[7].

საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიის კულტურულ-ისტორიული მისიის ამგვარი გააზრება აღმოსავლურ-დასავლურ კულტურათა განვითარება-შერწყმის პროცესში, რაც ვ.ბარნოვის შემოქმედებაში ორიგინალურადაა წარმოდგენილი, ფაქტობრივად ერთ-ერთი პირველი კრიტიკული მიდგომაა იმ მცდარი დებულების მიმართ, რომელიც ქართულ და კავკასიელ ხალხებს ამ რთულ და შემოქმედებით პროცესში კულტურულ ღირებულებათა პასიური გადამცემის როლს უტოვებდნენ და რაზედაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

*ვ. ბარნოვის* ისტორიულ მსოფლმხედველობათა ასეთი სიახლოვე რუსულ ფოლკლორისტულ სკოლასთან კიდევ უფრო დამაჯერებლად მოჩანს მწერლის წმინდა ფოლკლორისტული ხასიათის თხზულებაში – *„ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები"*, რომელიც ცალკე წიგნად დაიბეჭდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ (სერია №177) 1919 წელს.

ხალხური სიტყვიერების სახელმძღვანელოს შექმნა, მისი სწავლება სკოლებში თავისთავად მეტყველებს ვ.ბარნოვის დამოკიდებულებაზე ამ საკითხისადმი. იგი დგას რევოლუციონერ დემოკრატთა პოზიციაზე, რომელნიც აღიარებენ ხალხურ სიტყვიერების დიდ სამეცნიერო, შემეცნებით და საზოგადოებრივ ღირებულებას[8].

XIX საუკუნის 60-იანი წლების რუსული პედაგოგიური მეცნიერების ხალხურ სიტყვიერებისადმი დამოკიდებულების შესაბამისად ვ.ბარნოვმა თეორიულ სიბრტყეზე გააანალიზა, ერთი მხრივ, საერთოდ სიტყვიერების შინაარსი, ხოლო, მეორე მხრივ – ხალხური სიტყვიერებისა, როგორც მთლიანად მხატვრული სიტყვის ცალკე გამოვლენა.

ვ. ბარნოვმა წინ წასწია თავისი ეპოქის შეხედულებანი ხალხურ ზეპირსიტყვიერებაზე და, კონკრეტულად ქართულ მასალაზე დაყრდნობით, მეცნიერული ტრაქტატი შექმნა ხალხური ზეპირსიტყვიერების არსის, მნიშვნელობი-

სა და რაობის შესახებ. ვ.ბარნოვის აზრით, ხალხური ზეპირსიტყვიერების ფენომენი ნათლად შეიძლება წარმოვიდგინოთ მის შედარებისას ავტორისეულ მხატვრულ ნაწარმოებთან. იგი მიიჩნევს, რომ ხალხის ცხოვრების ისტორიულ მსვლელობაში საერო ნაწარმოები წინ უსწრებს ავტორის ნაწარმოებს, რადგან ზეპირი სიტყვა ყოველთვის წინ უსწრებს ნაწერ სიტყვას: ხალხი თხზავს მაშინაც, როცა ჯერ წერა-კითხვა სრულებით არ იცის, ანბანიც კი არა აქვს შემოღებული.

საერო ნაწარმოებში მთელი ხალხი იღებს მონაწილეობას: ხალხი იძლევა ნათქვამის დედა აზრს და უმთავრეს სახეებს, რომელშიც აღბეჭდილია აზრი თუ განცდა, ხალხივე განავითარებს და განავრცობს პირველთქმულ ამბავს; ავტორი კი თითონ იგონებს დედა აზრს, თითონ თხზავს სათქმელს, თითონ ქარგავს საჭირო სახეებს და რომ ჩასწერს მას, აუცილებელს ხდის ნათქვამს შემდეგ ჟამთა მსვლელობაში[9].

უაღრესად საყურადღებოა ბარნოვისეული თვითხედვა ცხოვრებისეული სინამდვილის ზეპირსიტყვიერი და ავტორისეული ასახვის, ამ პროცესის ობიექტურობის შესახებ.

„ხალხურ ნაწარმოებში გამოხატულია მთელი ერის სულისკვეთება და განცდა, იქ დასახული არის ის, რაც ძლიერად მოქმედებს ხალხის ცხოვრებაზე განსაზღვრულ ჟამს და იპყრობს ერის ყურადღებას; ავტორის ნაწერში კი გამოთქმულია თვით ავტორის აზრი, გრძნობა თუ მისწრაფება, თუმცა იმასაც მჭიდრო კავშირი აქვს ხალხის ცხოვრებასთან, რადგან მწერალიც ხალხისავე შვილია, მის წიაღში აღმოჩენილი და აღზრდილი, მისი განცდაც ორგანიულად არის დაკავშირებული ხალხის განცდასთან და იმისაგან გამომდინარეობს.

ხალხური ნაწარმოები უფრო ობიექტურია და დინჯი, რადგან ის საზოგადოა და შეეხება კოლექტიურ ანუ შემკრებელობითს პიროვნებას; ხოლო ავტორის ნაწარმოები უფრო სუბიექტურია, პირადი სულისკვეთების გამომხატველი და ამიტომ უფრო მღელვარე", – წერდა ვ.ბარნოვი[10].

ვ. ბარნოვი ხაზს უსვამს ზეპირსიტყვიერი ნაწარმოების სისადავეს, შესაბამისად კი მის ბუნებრიობას, მაშინ როდესაც ავტორისეული თხზულება ხელოვნურ, თეორიულად დამუშავებულ კანონებისაგან გამოყვანილ ნაწარმოებად მიაჩნია.

მისი აზრით „ხალხური ნაწარმოები სადაა, იგი ვერ ემორჩილება თქმისა და წერის თეორიულად დამუშავებულ კანონებს, რადგან ხალხმა არ იცის ეს კანონები; ავტორი კი თავის შემოქმედების დროს თეორიულ კანონთა ზეგავლენას განიცდის, რადგან მას შეთვისებული აქვს კანონები, მისი აზროვნება განვრთნილია ამ კანონების ზემოქმედებით და ამის გამო ხელოვნურია.

ხალხური ნაწარმოებები უბრალო ენით არის ნათქვამი, ნამდვილი ხალხურით. ამისთანა ნაწარმოებს ეტყობა პროვინციალური თქმის ხასიათი, იგი ადგილობრივი კილოა, სადაც გამოგონილია ან გარდაქმნილი ნაწარმოები; ავტორის ნაწარმოები კი იწერება უკვე ხელოვნური ენით, რადგან მთხზველი განვითარებულია, მას შესწავლილი აქვს სალიტერატურო ენა, რომელიც მაღლა დგას ყველა კილოკავზე ანუ ენის ადგილობრივ მიმოხვრაზე და რომელიც არის შემუშავებული, გამშვენიერებული, განსაზოგადოებული, გადასწვდება ყველა პროვინციალურ მიხვრას ენისას და იპყრობს ყოველ სიმშვენიერესაც ადგი-

ლობრივი გამოთქმისა". ყოველივე ამასთან ერთად ვ.ბარნოვი ხალხურ ნაწარმოებს განვითარებისა და დინამიურობაში განიხილავს და წარსულ სინამდვილესთან ერთად ხალხის თანამედროვე ყოფასაც ხედავს. „ხალხური ნაწარმოები მხოლოდ უწინდელი კი არ არის, არამედ თანამედროვეც არის, რადგან ხალხის შემოქმედებითი ნიჭი მოქმედებს ყოველთვის და დაუცხრომლად; იგი მარად ჟამს ჰქმნის ახალ-ახალ სახეებს და ხატავს მათში თავის მსოფლმხედველობას, თუ გულისთქმას", – წერდა იგი[11].

ვ. ბარნოვის მეცნიერული კვლევის ამოსავალია საერთოდ მხატვრული ძლიერება. ჭეშმარიტების, სიკეთის, მშვენიერებისაკენ, როგორც სიყვარულისკენ ლტოლვა, ვ.ბარნოვისათვის ყოფიერების უნივერსალური, კოსმიური კანონზომიერების გამოხატულებაა. ეს ლტოლვა არის საგანთა და მოვლენათა არსის, რაობის თვითგამოვლენის გზა, დასასრული მიზანი. „ყოველივე არსი თავის დაუცხრომელ მოძრაობაში და დაუსრულებელ ცვლილებაში ისწრაფვის სავსებით განახორციელოს საუკუნო ჭეშმარიტება, სიკეთე და სიმშვენიერე". ამდენად მხატვრული აზროვნების სფერო სიტყვის მეშვეობით მოწოდებული ჭეშმარიტების, სიკეთის, მშვენიერების საუფლოა და მისი ღირებულებაც ამით განიზომება. საერთოდ სიტყვიერების და მათ შორის ხალხური შემოქმედების მნიშვნელობის ასეთი, თავისი ეპოქისაგან აბსოლუტურად განსხვავებული, თვალსაზრისი წამოაყენა ვ.ბარნოვმა და ამ ზოგადი თვალსაზრისის შესაბამისად მოახდინა მან ხალხური სიტყვიერების ორ დიდ სფეროდ – პროზად და პოეზიად – გაყოფაც[12].

ვ. ბარნოვმა პოეზია ჭეშმარიტებისა და კეთილის ძიებისა და გამოვლენის უფრო ხელშესახებ ფორმად ჩათვალა, რადგან აზროვნების პროცესის, გონითი ოპერაციების რაობა მიიჩნია პროზის არსებით ნიშნად. პოეზია ამნაირი მსჯელობის შესაბამისად არის „სამფლობელო გულისა" და სფერო მშვენიერების ძიებისა. თუმცა აბსოლუტური დაპირისპირება პროზისა და პოეზიისა ამ ნიშნების მიხედვით ვ.ბარნოვისათვის უცხოა და მიუღებელი. პროზა არ არის „ცხადყოფა მხოლოდ ჭეშმარიტებისა და სიკეთისა", ხოლო პოეზია „დასახვა მარტოოდენ სიმშვენიერისა". მისთვის, როგორც აღინიშნა კიდევაც, „ჭეშმარიტება, კეთილი, მშვენიერება" განუყრელად არიან ერთმანეთთან შეკავშირებულნი, იგინი არიან სხვადასხვა სახეები ადამიანის ერთისა და იმავე სულისა. ამისათვის შეუმღვრეველ ჭეშმარიტებას თან ახლავს სიკეთე და მშვენიერება, ნამდვილი კეთილი განუყრელია ჭეშმარიტებისა და მშვენიერებისაგან, ხოლო უებრო მშვენიერება თანაზიარია ჭეშმარიტებისა და კეთილისა. აქ მხოლოდ იმაშია განსხვავება, „ამ იდეათაგანი რომელი საჭიროებს და პირველობს ნაწარმოებში, მშვენიერების ძიება თუ ძიება ჭეშმარიტებისა ან კეთილისა"[13]. ამ მსჯელობის მიხედვით, პროზისა და პოეზიის განყოფის საფუძველი მხატვრული აზროვნების ფორმებია და არა სასრული მიზანი. მიზანი ერთია – წვდომა აბსოლუტური ჭეშმარიტებისა, სიკეთისა და მშვენიერებისა, რომელნიც პროზაშიც და პოეზიაშიც ურთიერთ შინაარსის მქონეა და ერთდროულობის თვალსაზრისით ნაწილობრივი მეტნაკლებობით ხასიათდებიან.

მხოლოდ მხატვრული ნაწარმოების საყოველთაო ღირებულებისა და ზოგადი სპეციფიკის განსაზღვრის შემდეგ იწყებს ვ.ბარნოვი მსჯელობას ხალხური სიტყვიერების გენეზისის სპეციფიკაზე.

ხალხური სიტყვიერების ერის ისტორიული ყოფიერების თანდაყოლილ ფენომენად გამოცხადება ვ.ბარნოვისათვის მისი წარმოშობისა და განვითარების ამოსავალ დებულებას წარმოადგენს. ხალხური სიტყვიერების დასაბამი ხალხის ცხოვრების საწყისშია, ხოლო ბოლო – ამ ხალხის ისტორიულ აღსასრულშიც, რადგანაც ხალხური სიტყვიერება ერის ისტორიული ცხოვრების მხატვრული ასახვაა. აღსანიშნავია, რომ ვ.ბარნოვი არ ახდენს ხალხის და ერის ცნებების გაიგივებას. ერი მის მსჯელობაში შინაგანი ნაციონალური ფსიქიკისა და ინტერესთა ერთიანობის პრინციპებით გამორჩეულ სოციალურ მთლიანობას გულისხმობს, რომელიც იმ შინაგანად მოწესრიგებულ საზოგადოებრივ სტრუქტურას ქმნის, რასაც სახელმწიფო ჰქვია. საზოგადოებრივი ყოფის განვითარების ადრეული საფეხურებისათვის ვ.ბარნოვი ხალხის ცნებას მოიმარჯვებს. ამგვარი დეფინიცია საფუძვლად უდევს ხალხური სიტყვიერების განვითარების ვ.ბარნოვისეულ პერიოდიზაციას, რომელიც მისი თანამედროვე მოარული ბურჟუაზიული ფოლკლორისტული თეორიებიდან იღებს სათავეს. მომეტებულად ეს პრინციპი სიახლოვეს მითოლოგიური სკოლის სწავლებასთან ამჟღავნებს[14].

*ვ. ბარნოვი* ხალხური სიტყვიერების განვითარებაში სამ პერიოდს გამოყოფს: *მითიურს, ბუმბერაზულს და ისტორიულს*[15]. ხალხური შემოქმედების წარმოშობის საწყისად მითოლოგიის გამოცხადებით ვ.ბარნოვი რომანტიკოსთა დარად ხალხურ პოეტურ აზროვნებაში რელიგიურ წარმოდგენათა პრიმატს აღიარებს. თუმცა ვ.ბარნოვის მითოლოგიზმი გარკვეულად შორს დგას დასავლეთ ევროპულ მეცნიერთა თვალსაზრისიდან და უფრო *თ.ბუსლაევის* მოსაზრებას ეყრდნობა. ეს, პირველ ყოვლისა, იმაში მჟღავნდება, რომ ვ.ბარნოვის მსჯელობაში არსად არ ჩანს *გრიმებისათვის* ჩვეული ნაციონალისტური კონცეფცია, ქართველი ხალხის და, აქედან გამომდინარე, მისი ფოლკლორის გამორჩეულობის მტკიცება.

თ. ბუსლაევის თვალსაზრისთან ვ.ბარნოვის სიახლოვე კიდევ ერთი მომენტით მტკიცდება. თ.ბუსლაევი, ევროპელი მითოლოგებისაგან განსახვავებით, ამტკიცებდა, რომ ხალხს განვითარების ადრეულ საფეხურზევე აქვს ჩამოყალიბებული თავისი ეროვნული ფსიქიკის ძირითადი წანამძღვრები, რომელნიც შემდგომ ვითარდებოდა ისტორიული დროის მსვლელობის კვალად[16]. მსგავს თვალსაზრისს ვხვდებით ვ.ბარნოვთანაც. ადამიანის „ცხოვრების მსვლელობის“ უმთავრესი ამბები იმთავითვე არის აღბეჭდილი ხალხის მეხსიერებაში. ბუნებასთან ურთიერთობა ადამიანის სულში აღბეჭდავს თავის კვალს. ადამიანი ამ ურთიერთობის შინაარსს, მიზეზს და მიზანს იკვლევს. „აღბეჭდავს თავის გონებაში ღირშესანიშნავ ცვლილებებს, რომლებიც კი ხდებიან მის გარშემო და გავლენა აქვს მის ყოფაზე“[17]. ესე იგი გარემოსადმი დამოკიდებულების ხასიათი, სამყაროს შემეცნების თავისებურებანი, რაც ერის მსოფლგანცდის სპეციფიკას ქმნის, უკვე უძველეს დროშივე აღიბეჭდება ცნობიერებაში.

მითოლოგიური სკოლის მიმდევართა კვალობაზე აგებს ვ. ბარნოვი ხალხური სიტყვიერების განვითარების ეტაპებსაც. ხალხური შემოქმედების განვითარების პირველი საფეხურის შინაარსად ვ.ბარნოვს მითის ქმნადობა გამოჰყავს. ე.ი. განვითარების ადრეული ეტაპი ვ.ბარნოვთან მაინც მითოლოგიურია. მითოლოგთა შესაბამისად, ვ.ბარნოვს უპირველესი ადამიანური რწმენა-წარ-

მოდგენები ბუნების საგანთა და მოვლენათა განღვთაებრიობიდან გამოჰყავს. ბუნების წინაშე უსუსური ადამიანი მოვლენათა იდუმალებას ღვთაებრივი სულით აღავსებს და შემდეგ თავადვე ემონება საკუთარი ფანტაზიით შექმნილ ზებუნებრივ არსებებს – *ღვთაებებს*.

„ადამიანი ამ თავითვე სცდილობს შეიგნოს შეძლებისამებრ ყოველივე, განმარტოს იგი, თავისებურად დაასაბუთოს. ისწრაფვის თავის სასარგებლოდ მიმართოს ეს ბუნების ძალნი, შეუფარდოს მათ ხასიათს თავისი აზრები, გრძნობები, სურვილები და მოქმედებები. ადამიანმა მაშინაც იცის, საკუთარის შემოქმედების შეგნებით ესმის, რომ ყოველივე მოძრაობა იგულისხმებს მოქმედ პიროვნებას და მის ნებისყოფას. ამის გამო სტიქიურ ძალთა მოქმედების მიზეზედაც სახავს ისეთივე პიროვნებებს, რომლებიც, როგორც თითონ, შემკულნი არიან ცნობიერებით, გრძნობით და ნებისყოფით. ეს არსებანი იმდენად აღემატებიან ძლიერებით და სიდიდით მის საკუთარს პიროვნებას, რამდენადაც მძლავრი მოქმედებანი ბუნებისა აღემატებიან მის საკუთარ ძალებს და უნარს მოქმედებისას; იგი ფანტაზიური პიროვნებანი იმდენად თავისებურნი და განსხვავებულნი არიან მის საკუთარ მოქმედებათაგან, რამდენადაც სტიქიური მოვლენანი არიან თავისებურნი და განსხვავებულნი მის საკუთარ მოქმედებათაგან. ზეარსნი არიან ისინი და ძალათა რაოდენობით მეტად მაღლა სდგანან მიწის შვილებთან შედარებით. ამგვარად, პირველყოფილი ხალხი განაპიროვნებს მთელ ბუნებას საზოგადოდ და თვითეულ მის ძალას კერძოდ, წარმოიდგენს მათ საკვირველი სახეების მექონ უძლეველ არსებებად და აღმერთებს მათ, თაყვანსა სცემს მათ, შესწირავს მათ; მოგვითხრობს მათ საოცარი გაჩენის ამბავს, სასწაულებრივი მოქმედების ისტორიას, მათ საკვირველ ურთიერთობას თუ დამოკიდებულებას ერთმანეთთა შორის და კაცთა ნათესავთან", – წერდა ვ. ბარნოვი[18].

ვ. ბარნოვი ქართულ მითოლოგიას წარმართობას უკავშირებს და მის სპეციფიკურ ნიშნად მითოსური მსოფლგანცდის დუალისტურ ბუნებას მიიჩნევს, სადაც სამყაროს კეთილისა და ბოროტის ასპარეზია წარმოდგენილი. კეთილი საწყისის ლოგიკურ გამოვლენად იგი მიიჩნევს ღმერთს – „*ნათელს დაუსაბამოს*", რომლის გამოვლენაცაა ციური მნათობნი: მზე, მთვარე, ვარსკვლავები და აგრეთვე ცეცხლი. დროთა დაუსრულებელ ბრუნებაში პირველარსს – ნათელს ჩრდილვით აჰყოლია თან ბოროტი. ამ „*ბნელ-ბოროტის*" ნაყოფნია უხორცონი, დევნი და ვეშაპნი, მავნებელნი სულდგმულნი და „*აჲის მთესველნი*"[19].

მეტად საყურადღებოა ვ.ბარნოვის შეხედულებები ქართულ წარმართულ რწმენა-წარმოდგენებში წარმოდგენილ ღვთაებათა პანთეონის შესახებაც. კერძოდ, „*ნათელი დაუსაბამოს*" უმთავრეს ხატებად – ძველ ღვთაებებად – ვ.ბარნოვი ასახელებს *მთვარეს, მანგს, თუთს*. მთვარე უმთავრეს ღვთაებად მიაჩნია. ამ ღვთაებას ქრისტიანობამ *წმინდა გიორგი* შეუნაცვლა. მეორე ღვთაება იყო *მზე* – „*ღვთაება-ქალი*". ვ.ბარნოვისათვის „*იგივე მზე ღვთაებაა კვირა – ხმელთა მოურავი თუ განმგებელი, იგივე „ბჟაშხა", „მიშლადელი"*. სხვა ღვთაებათა შორის იგი ასახელებს *არმაზს, ზადენს, გაცს, აინანას, დანანას, ითრუჯანს, ანატორს, დალს*. ვ.ბარნოვი შეძლებისდაგვარად ქართული კერპთაყვანმცემლობის გენეზისის დადგენასაც ცდილობს და აცხადებს, რომ იგი ჩვენში

სირიიდან და მცირე აზიიდან შემოვიდა თავისი კულტმსახურებრივი სისტემით. ამდენად, კერპთაყვანისმცემლობა ქართული სინამდვილისათვის უცხო, მოგვიანებით შეთვისებულ მოვლენად მიაჩნია და ქართველთა *ძირითად რჯულს* ნათელის თაყვანისცემას უპირისპირებს. აქედან გამომდინარე გადაუდებელი კვლევის ობიექტად სახავს იმის დადგენას, თუ როგორ შეერწყა კერპთაყვანისმცემლური თქმულებები თქმულებებს ნათელ ღმერთთა შესახებ. იგი ვარაუდობს ქართული თეოგონიის და კოსმოგონიის არსებობას, რომელიც საგანგებო კვლევა-ძიებამ უნდა გამოავლინოს[20].

აქ წარმოდგენილი მონაცემები გვიჩვენებენ, რომ ვ.ბარნოვი ფაქტობრივად ქართული წარმართულ ღვთაებათა პანთეონის ერთ-ერთი პირველი მკვლევარია, რომელიც სათანადოდ ფლობს ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მონაცემებს, იკვლევს მათ თავის თანამედროვე თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპების გამოყენებით და მეცნიერული ანალიზის პროცესში არა მარტო ადგენს ამ ურთულესი ფენომენის ბუნებასა და რაობას, არამედ მოვლენათა განვითარების ისტორიულ ჭრილშიც განიხილავს მათ.

ხალხური სიტყვიერების მეორე ანუ *ბუმბერაზული პერიოდის* არსებითი ნიშანია ბუნების გაღვთაებრივებულ ძალთათვის „შემაძრწუნებლობის" და „საოცრების" შარავანდედის ჩამოხსნა, ადამიანის გონების ძალით მათი შეზღუდვა და გაადამიანურება, რაც ღვთაებებს *„ღმერთ-კაცებად"* აქცევს. მათში სასწაულებრივი კვლევაც ბევრია. მაგრამ ეს სასწაულებრივი ადამიანური ცნობიერების ფარგლებშია განფენილი და კაცებრივის იერს იძენს. ამის გამო მათი მატარებელნი ღმერთ-კაცები ანუ ბუმბერაზთა უფროსი „გუნდია"[21].

*ღმერთ-კაცთა განკაცების პროცესი* საოცარი სისწრაფით მიმდინარეობს და მათ *კაც-ღმერთებად* აქცევს. კაც-ღმერთები „ადამიანისაგან ნაშობნი, ადამიანის სისხლ-ხორცის მქონენი" არიან და ჩვეულებრივ კაცთაგან დიდი ძალით და საარაკო ღვაწლით განირჩევიან. „ეს ბუმბერაზები არიან ერის ნამდვილი გმირები, ხალხიდან გამოსულნი და მათთვის თავდადებულნი, რომელთაც თავიანთი მოღვაწეობით დაუტოვებიათ ხალხის სულში თავიანთი შარავანდედით მოსილი სახე"[22]. აშკარაა, რომ ვ.ბარნოვის ბუმბერაზული პერიოდი მითოლოგთა მიერ დამკვიდრებული ეპიკური პერიოდის შესაბამისია, რადგანაც ეს ბუმბერაზნი თავიანთი ქმედებით ეპიკურ გმირებს წარმოადგენენ[23]. ხალხური სიტყვიერების მესამე – ისტორიულ პერიოდს ვ.ბარნოვი ერის ყოფიერების სახელმწიფოებრივ ფორმას უკავშირებს.

ბარნოვის აზრით „მესამე ხანას ეკუთვნიან *თქმულებანი საისტორიონი.* საისტორიო თქმულებები მაშინა ჩნდებიან, როდესაც ერი უკვე თავს ანებებს განკერძოვებულ თემურ ცხოვრებას და შეჰქმნის სახელმწიფოს, რომელიც იპყრობს თავის ფარგალში სხვა და სხვა თემს ერთისა და იმავე ტომისას და შეჰქმნის ერთ მთლიან ერს... შემდეგ ჟამთა მსვლელობაში ეს თემები უახლოვდებიან ერთმანეთს, შეიგნებენ თავიანთ ერთობას, გაიგებენ ძალას ამ ერთობისას და შეჰქმნიან ერთ მთლიან სახელმწიფოს. აქედან იწყება *ერის ისტორიული ცხოვრება* და მისი ისტორია. ამ დროიდან აღიბეჭდება ერის მეხსიერებაში, მის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი საისტორიო ამბები და ჩაიქარგებიან ისტორიული პიროვნებანი. ხალხი შექმნის მათ შესახებ თქმულებებს, შეამკობს მათ თვი-

სის ამსახველობითი ნიჭის მიერ ნაწარმოები სურათებით და გადასცემს ზეპირსიტყვაობით ერთი თაობიადან შემდეგ თაობას"[24].

ამრიგად, ბარნოვის მიხედვით, „ეს არის ხანა, როცა თემობრივი და ტომობრივი მთლიანობა ყალიბდება, ხალხი ერთიანი ინტერესებით შეკავშირდება, ერი ფსიქო-ფიზიკურ სახიერებას გამოიკვეთს და თავისი ფუნქციის შესაბამისად ურთიერთობას ამყარებს სამყაროში დროით და სივრცულ განზომილებაში. ხალხური სიტყვიერების სფეროში ეს უკვე ის პერიოდია, როცა ფოლკლორი ერის დაუწერელი ისტორიის ფუნქციებს კისრულობს და წიგნიერი მატიანის პარალელურად ასაზრდოებს ეროვნულ ცნობიერებას. ამ დროს უკვე რეალური ისტორიული პიროვნებანი მოექცევიან ყურადღების ცენტრში. მათი პიროვნული ღვაწლი აღირიცხება როგორც *„ნაწერ ისტორიაში"*, ასევე *აღიბეჭდება ხალხის ცნობიერებაში* და იქცევა საისტორიო თქმულებების საკუთრებად.

მეტად საყურადღებოა საისტორიო სიტყვიერების კლასიფიკაციის ვ.ბარნოვისეული ცდაც. იგი საისტორიო სიტყვიერებას ყოფს *საერო საისტორიო და სასულიერო-საისტორიო თქმულებად*. თუმცა ასეთი დაყოფა არ ნიშნავს იმას, რომ ვ.ბარნოვი, მითოლოგიური სკოლის წარმომადგენლების მსგავსად, ერთმანეთს უპირისპირებდეს წარმართობას და ქრისტიანობას. პირიქით, ვ.ბარნოვი მჭიდროდ უკავშირებს მათ ერთმანეთს და აცხადებს, რომ საისტორიო სიტყვიერებაში ქრისტიანული თქმულებანი ხშირად უკავშირდება წარმართულ თხრობებს და *მითიურ სახეებს*. ამ მსჯელობით ვ.ბარნოვი კვლავ ბუსლაევს უახლოვდება, რომელმაც რუსულ სინამდვილეში პირველმა უარყო სლავიანოფილების თვალსაზრისი ეპოსის ისტორიის საწყისად წარმართობისა და ქრისტიანობის ბრძოლის აღიარების შესახებ[25].

*ვ. ბარნოვის* კლასიფიკაცია მწყობრი სისტემის სახითაა წარმოდგენილი და არაა მოკლებული მეცნიერულ არგუმენტაციას. იგი თავის მსჯელობას კონკრეტული მაგალითებით ამყარებს. საისტორიო სიტყვიერების ნიმუშებად იგი ასახელებს საერო თქმულებებს: *ალექსანდრე მაკედონელის, არმაზის, ვახტანგ გორგასლის, ბაგრატიონთა გამეფების, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, შოთა რუსთაველის, „ხორასანის ყეინის დემურის" საქართველოში შემოსევის, დიდი მოურავის გიორგი სააკაძის, ნუგ ზარ ერისთავის, მეფე ერეკლეს* შესახებ. სასულიერო თქმულებებში გამოყოფს ძველი და ახალი აღთქმისეულს. *ძველი აღთქმიდან* ასახელებს: *ქვეყნიერების შექმნის, ადამ და ევას, კაენისა და აბელის, ენოქის, სეითის, ნოეს, აბრაამის, იობის, სოლომონ ბრძენის, ელია წინასწარმეტყველის თქმულებებს, ახალი აღთქმიდან – მაცხოვრის განხორციელების, ქრისტე ღმერთისა და სოლომონ ბრძენის, ღვთისმშობლის, წმინდა გიორგის შესახებ გავრცელებულ თქმულებებს*[26].

საისტორიო სიტყვიერების ამგვარი კლასიფიკაცია უკვე, თავისთავად, გულისხმობს ხალხური სიტყვიერების ცალკეული პრობლემის ერის ისტორიულ წარსულთან მიმართებაში კვლევის აუცილებლობას. სწორედ ეს გარემოება აახლოებს ვ.ბარნოვს რუსულ ისტორიულ ფოლკლორისტულ სკოლასთან. ვ.ბარნოვი ცდილობს ხალხური სიტყვიერების კვლევა მყარ ფაქტოლოგიურ საფუძველზე დააყენოს. ასეთ საფუძველს კი მას სწორედ ამ სკოლის მეთოდოლოგიური დებულებები უქმნის[27].

ასეთია ვ. ბარნოვის მხატვრული და მეცნიერულ პუბლიცისტური შემოქმედების არსებითი თავისებურებანი. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, მაშინ, როდესაც საბოლოოდ არ იყო განსაზღვრული და გამიჯნული ეთნოგრაფიული მეცნიერების საგნობრივი სფერო და იგი სხვა დამხმარე მეცნიერებებთან, პირველ რიგში კი, ფოლკლორისტიკასთან ერთად ვითარდებოდა. ვ.ბარნოვის თეორიულ და მეთოდოლოგიურ შეხედულებებს ქართული ზეპირსიტყვიერების მიმართ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საკუთრივ ეთნოგრაფიულ მეცნიერების თეორიულ დებულებათა შემდგომი დახვეწისა და სრულყოფის საქმეში. იმდენად, რამდენადაც აქ წარმოდგენილი მასალები სრულ წარმოდგენას გვაძლევს ბარნოვის შემოქმედების თეორიულ და პრაქტიკულ მხარეებზე, ჩვენ არ შევეხებით მწერლის მხატვრულ ნაწარმოებებში წარმოდგენილ ეთნოგრაფიულ სიუჟეტებს. ვ.ბარნოვის ისეთ ნაწარმოებებში, როგორებიცაა: *„სულთა კავშირი“*, *„ტკბილი დუდუკი“*, *„ყვავილები“*, *„ფერია“*, *„ტრფობა წამებულისა“*, *„მიმქრალი შარავანდედი“*, *„განგების რკალში“*, *„საფლავის ქვაზე“* და სხვ. ხალხური ზეპირსიტყვიერებისა და ეთნოგრაფიის ნიმუშები ზემოთ განხილულ თეორიულ და მეთოდოლოგიურ ჭრილშია გაანალიზებული[28]. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მწერლის დამსახურება ქართველი ხალხის სულიერი კულტურის, წარმართული ხანის პანთეონისა და ხალხური ზნე-ჩვეულებების, ხალხური აზროვნების მითოსური შრეებისა და ზოგადად მითოლოგიური გადმოცემების გენეზისისა და განვითარების, მათი სისტემატიზაციისა და კლასიფიკაციის განხრით, რასაც არ შეიძლება დიდი ზეგავლენა არ მოეხდინა ამ პრობლემებით დაინტერესებულ მკვლევარებზე[29].

არანაკლები დამსახურება მიუძღვის ვ.ბარნოვს ეთნოგრაფიული მეცნიერებისათვის ისეთი საინტერესო და პირველხარისხოვანი პრობლემების დამუშავებაში, როგორებიცაა *საზოგადოების ისტორიული განვითარების აღმავალი სოციალური გაერთიანებანი, კერძოდ, ტომი, ხალხი, ერი, სახელმწიფო და სახელმწიფოებრიობა, ეროვნული თვითშეგნება* და *შემეცნება* და ა.შ. ცალკე აღნიშვნის ღირსია ბარნოვისეული ანალიზი *ერისა* და *ეროვნული ფსიქოლოგიის* შესახებ, რასაც იგი დიდ ყურადღებას აქცევდა ზემოთ განხილულ ესეებში.

დაბოლოს, ვ.ბარნოვის მხატვრულ-მეცნიერული შემოქმედების მნიშვნელობა ქართული ეთნოგრაფიისათვის განსაკუთრებით ხელშესახებია მწერლის მსოფლმხედველობრივ შეხედულებებში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ იგი კარგად იცნობდა თავისი დროის ფოლკლორისტულ და ეთნოგრაფიულ თეორიებს, მათ შორის *რუსული ისტორიული და მითოლოგიური სკოლების შეხედულებებს*, რომლებიც *თავის მხრივ მოწინავე ევროპული მეცნიერული აზრის ორგანულ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდნენ. თ.ბუსლაევისა* და *ა.ვესელოვსკის* დებულებებთან ერთად ბარნოვი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და სათანადოდ იყენებდა იმ პერიოდის ევროპულ საზოგადოებათმცოდნეობაში ახლად დანერგილ *შედარებით-ისტორიულ მეთოდს*. იგი ფოლკლორული და ეთნოგრაფიული სიუჟეტებისა და ისტორიული ფაქტების შეჯერების პროცესში სარგებლობდა ცნობილიდან, ნაკლებად ცნობილისაკენ წიაღსვლისა და შეჯერების მეთოდს, რომლის დროსაც ძირითადად ქართულ ზეპირსიტყვიერ და ეთნოგრაფიულ მასალებს ეყრდნობოდა.

თავი მეოთხე

*ქართული მწერლობა და საქართველოს ეთნოლოგია*

1. *ქართველი „სამოციანელები" და საქართველოს ეთნოლოგიის განვითარების ძირითადი მიმართულებები*


1. *ჯ. ლომაშვილი,* ვაჟა-ფშაველას საისტორიო დასაზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები, თბ., 1986, 15
2. *ჯ. ლომაშვილი,* დასახ. ნაშრომი, 15-16
3. *იქვე,* 16
4. *ი.ჭავჭავაძე,* ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ, რჩეული ნაწერები ხუთ ტომად, IV, თბ., 1987, 162-164
5. *ი.ჭავჭავაძე,* დასახ. ნაშრომი, 162-163
6. *იქვე,* 163
7. *იქვე,* 163-164
8. *ალ.რობაქიძე,* ქართული საბჭოთა ეთნოგრაფია, ქართული მეცნიერების განვითარება საბჭოთა საქართველოში, თბ., 1986, 154
9. *იქვე,* 155; *А.И.Робакидзе,* Пути развития грузинской Совстской этнографии, Тб., 1983, 6
10. *ალ. რობაქიძე,* ტრადიცია და ცხოვრების წესი, თბ., 1981, 6-9, 11, 33-37 და შმდ.


*1.1. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები*


1. *ჯ. ლომაშვილი,* დასახ. ნაშრომი, 17
2. *ი.ჭავჭავაძე,* მეცხრამეტე საუკუნე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, V, თბ., 1955, 9; ჯ.ლომაშვილი, დასახ. ნაშრომი, 17
3. *ი.ჭავჭავაძე.* დავით აღმაშენებელი, რჩეული, IV, 179
4. *ი.ჯავახიშვილი,* ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, წიგნში – ილია, თბ., 1987, 162
5. *ი.ჭავჭავაძე,* აი ისტორია, თხზ., IV, თბ., 1955, 35
6. *ი.ჭავჭავაძე,* ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ, თხზ., IV, 175
7. *ი.ჭავჭავაძე,* შინაური მიმოხილვა, თხზ., V, თბ., 1955, 112
8. *ი.ჭავჭავაძე,* საისტორიო მუზეუმის დაარსების გამო, თხზ., IV, თბ., 1955, 205
9. *ივ.ჯავახიშვილი,* ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, წიგნში – ილია, თბ., 1987; *ა.იოსელიანი,* ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1951
10. *ივ.ჯავახიშვილი,* დასახ. ნაშრომი, 178
11. *Вс. Миллер,* Памяти бытописателя Грузии князя Ильи Григорьевича Чавчавадзе, «Этнографическое обозрение», ЭО, М., 1908, № 1-2, 119
12. *გ. ჩიტაია,* წინასიტყვაობა ნ. ხიზანიშვილის წიგნზე – ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940
13. *ალ. რობაქიძე,* შესავალი წერილი ბ. ნიჟარაძის წიგნზე – ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, 1, თბ., 1962; *მისივე,* Пути развития грузинской Советской этнографии, Тб., 1983; *მისივე* ქართული საბჭოთა ეთნოგრაფია, ისტორიული მეცნიერების განვითარება საბჭოთა საქართველოში, თბ., 1986
14. *ვ.ითონიშვილი,* ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეთნოგრაფია, თბ. 1963; მისივე, ილია ჭავჭავაძის ღვაწლი ქართულ ეთნოგრაფიაში, 87-104. ამავე ნაშრომებშია მითითებული ამ პრობლემისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები და წერილები
15. *ვ.ითონიშვილი,* ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეთნოგრაფია, თბ., 1963, 16
16. *ვ.ითონიშვილი,* ქართული ეთნოგრაფიის ნარკვევები, 87
17. *ი.ჭავჭავაძე,* ორიოდე სიტყვა „შეშლილი"-ს თარგმანზედა, თხზ., III, თბ., 1953, 27

18. *ი.ჭავჭავაძე,* აი ისტორია, თხზ., IV, 12, 30
19. იქვე, 43
20. გ.ყიფშიძე, ილია ჭავჭავაძე წიგნში – ილია, თბ., 1987, 68-70
21. *А.Робакидзе,* Пути развития грузинской Советской этнографии, Тб., 1983, 3; *ვ.ითონიშვილი,* ქართული ეთნოგრაფიის ნარკვევები, 89
22. *ი.ჭავჭავაძე,* ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ, რჩეული ნაწერები, .IV, თბ., 1987, 162
23. *ი. ჭავჭავაძე,* დასახ. ნაშრომი, 191-192
24. *გ.ყიფშიძე,* ილია ჭავჭავაძე, 61
25. *ა.ლაისტი,* ილია ჭავჭავაძე, 346; *მისივე,* საქართველოს გული, თბ., 1963, 30
26. *გ.ყიფშიძე,* ილია ჭავჭავაძე, 33
27. *ვ.ითონიშვილი,* ილია ჭავჭავაძე და საქართველო ეთნოგრაფია, 7; *მისივე,* ქართული ეთნოგრაფიის ნარკვევები. 89
28. *А.Робакидзе,* Пути развития, грузинской Советской этнографии. 4
29. *ი.ჭავჭავაძე,* აი ისტორია, 29
30. *გ.ჩიტაია,* წინასიტყვაობა ნ.ხიზანაშვილის წიგნზე – ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, X
31. *ალ.როგბაქიძე,* ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962, 4; *ვ.ითონიშვილი,* ქართული ეთნოგრაფიის ნარკვევები, 96
32. *ვ.გაგოიძე,* ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა, თბ., 1962, 73; *ვ.აბაშმაძე,* ილია ჭავჭავაძე – სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემები, თბ., 1987, 21
33. ვ.აბაშმაძე, დასახ. ნაშრომი, 21
34. *ი.ჭავჭავაძე,* ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ, 163
35. *ი.ჭავჭავაძე,* აი ისტორია, 30
36. *А.Г. Морган,* Древнее общество,Л., 1934
37. Э.Б. Тейлор, Первобытная культура. М., 1939
38. *ი.ჭავჭავაძე,* აი ისტორია, 22
39. *ივ.ჯავახიშვილი,* ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, 177
40. *ი.ჭავჭავაძე,* აი ისტორია, 28
41. *ი.ჭავჭავაძე,* დასახ. ნაშრომი, 29
42. *იქვე,* 30-32
43. *ი.ჭავჭავაძე,* ხიზნების საქმის თაობაზედ, თხზ., VI, თბ., 1956, 118; *ვ.ითონიშვილი,* ქართული ეთნოგრაფიის ნარკვევები, 95.
44. ი.ჭავჭავაძე, აი ისტორია, 34
45. იქვე, 34-35
46. *ვ.ითონიშვილი,* ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეთნოგრაფია, 21-58; *მისივე,* ქართული ეთნოგრაფიის ნარკვევები, 97, 98
47. *ვ.ითონიშვილი,* ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეთნოგრაფია, 8; *მისივე,* ქართული ეთნოგრაფიის ნარკვევები, 98-100
48. *გ.ყიფშიძე,* ილია ჭავჭავაძე, 62
49. *ვ.ითონიშვილი,* ქართული ეთნოგრაფიის ნარკვევები, 98
50. *ი.ჭავჭავაძე,* მგზავრის წერილები, თხზ., II, თბ., 1950, 24
51. *ვ.ითონიშვილი,* ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეთნოგრაფია, 71
52. ი.ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა, 1883 წელი, იანვარი-ოქტომბერი, თხზ., V, თბ., 1955, 237, 297
53. *ი.ჭავჭავაძე,* უღელტეხილი, თხზ., II, 437
54. *ი.ჭავჭავაძე,* შინაური მიმოხილვა, 1881 წელი, ნოემბერი, თხზ., V, 122; *მისივე,* შინაური მიმოხილვა, 1882 წელი, იელისი-აგვისტო, თხზ., V, 174
55. *ი.ჭავჭავაძე,* გლახის ნაამბობი, თხზ., II, 49
56. *ი.ჭავჭავაძე,* კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების შესახებ, თხზ., VII, თბ., 1956, 257; *ვ.ითონიშვილი,* ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეთნოგრაფია, 96
57. *ი.ჭავჭავაძე,* გუთნის დედა, თხზ., I, თბ., 1951, 14; *მისივე,* გლახის ნაამბობი, თხზ., II, 49
58. *ი. ჭავჭავაძე,* რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან, თხზ., I, 158
59. *ი.ჭავჭავაძე,* ოთარაანთ ქვრივი, თხზ., II, 315

60. *იქვე*, 314
61. *ი.ჭავჭავაძე*, კაცია-ადამიანი?! თხზ. II, 124; *მისივე*, გლახის ნაამბობი, თხზ., II, 50
62. *ი.ჭავჭავაძე*, ოთარაანთ ქვრივი, თხზ., II, 314
63. *გ.ყიფშიძე*, დასახ. ნაშრომი, 61
64. *ა.ლაისტი*, ილია ჭავჭავაძე, წიგნში – ილია, 358.
65. *ი. ჭავჭავაძე*, ოთარაანთ ქვრივი, თხზ., I. 289
66. *ი.ჭავჭავაძე*, ღვინის ქართულად დაყენება. თხზ., VII, თბ., 1956, 73
67. *ი.ჭავჭავაძე*, დასახ. ნაშრომი, 75-76
68. *ი.ჭავჭავაძე*, რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან, თხზ., I, თბ., 1987, 215 და შმდ.
69. *ი.ჭავჭავაძე*, ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი, თხზ., II, 242
70. *ი.ჭავჭავაძე*, კაცია-ადამიანი?! თხზ., II, თბ., 1988, 75 და შმდ.
71. ი.ჭავჭავაძე, ხიზნების საქმე, თხზ., VI, თბ., 1956, 113
72. ი.ჭავჭავაძე, დასახ. ნაშრომი, 113., 116-117.
73. ი. ჭავჭავაძე, კერძო და სათემო მიწათმფლობელობა, თხზ., VI, 181-197
74. *ი.ჭავჭავაძე*, ხიზნების საქმე, თხზ., VI, 115, 120
75. *ი.ჭავჭავაძე*, დასახ. ნაშრომი, 120-121
76. *ეთნოლოგიის ქრესტომათია*, შედგენილი პროფ. ს. ჭანტურიშვილის მიერ, თბ., 1997, 90
77. *ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ*, ლათინური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი ნარკვევითა და კომენტარებითურთ გამოსცა ალექსანდრე გამყრელიძემ, თბ., 1973
78. *ი.ჭავჭავაძე*, ხიზნების საქმე, თხზ., VI, 122
79. *ი.ჭავჭავაძე*, დასახ. ნაშრომი, 140; 152
80. *დ.გერიტიშვილი*, მასალები ქართველი გლეხობის ისტორიისათვის (XVIII საუკუნე), თბ., 1979, 157
81. *ი.ჭავჭავაძე*, კერძო და სათემო მიწათმფლობელობა, თხზ., VI, 181-183
82. *ი.ჭავჭავაძე*, დასახ. ნაშრომი, 184
83. *იქვე*, 189
84. *ივ.ჯავახიშვილი*, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, 168
85. *ვ.აბაშმაძე*, ილია ჭავჭავაძე – სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემები, თბ., 1987, 164; მ.*კეკელია*, ილია ჭავჭავაძე და ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნში – ქართული ჩვეულებითი სამართალი, თბ., 1988, 5
86. ი.ჭავჭავაძე, ცხოვრება და კანონი, თხზ., VI, 45, 66
87. ი.ჭავჭავაძე, დასახ. ნაშრომი, 67

### 1.2. *ქართველ და კავკასიელ მთიელთა ყოფა და კულტურა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში*

1. *გ.რობაქიძე*, აკაკი, მოგონებები აკაკიზე, თბ., 1990, 374
2. *ჯ.ლომაშვილი*, ვაჟა-ფშაველას საისტორიო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები, თბ., 1986, 3
3. *ჯ.ლომაშვილი*, დასახ. ნაშრომი, 7
4. *იქვე*, 41
5. *ვაჟა-ფშაველა*, წერილი რედაქციის მიმართ, თხზ.სრული კრებული ათ ტომად, IX., თბ., 1964, 112
6. *ვაჟა-ფშაველა*, „ვეფხის-ტყაოსნის" შესახებ, თხზ., IX, 114
7. *იქვე*, 114
8. *ვაჟა-ფშაველა*, გიკვირთ?, თხზ., IX, 281
9. *ვაჟა-ფშაველა*, ფიქრები, თხზ., IX, 156
10. *ჯ.ლომაშვილი*, დასახ. ნაშრომი, 63
11. *ვაჟა-ფშაველა*, ფიქრები, თხზ., IX, თბ., 1964, 194
12. დასახ. ნაშრომი, 212
13. *იქვე*, 214

14. *ვაჟა-ფშაველა,* მცირე შენიშვნა, თხზ., IX, თბ., 1964, 301
15. *ვაჟა-ფშაველა,* ზოგი რამ ფიქრებიდან, თხზ., IX, 381
16. *ჯ.ლომაშვილი,* დასახ. ნაშრომი, 66
17. *ვაჟა-ფშაველა,* ყოველდღიური ფიქრები, თხზ., IX, 189
18. *ვ.ითონიშვილი,* ვაჟას ეთნოგრაფიული მოღვაწეობიდან, ჟურნ. ცისკარი, 1961, 7
19. *ჯ.ლომაშვილი,* დასახ. ნაშრომი, 102
20. *ვაჟა-ფშაველა,* „ვეფხის-ტყაოსნის" შესახებ, თხზ., .IX, 114; ჯ.ლომაშვილი, დასახ. ნაშრომი, 103
21. *ვაჟა-ფშაველა,* „ვეფხის-ტყაოსნის" შესახებ, თხზ., IX, 305
22. *ვაჟა-ფშაველა,* ფშაველები, თხზ., IX, 8
23. *ვაჟა-ფშაველა,* დასახ. ნაშრომი, 7
24. *იქვე,* 8-9
25. *ვაჟა-ფშაველა,* ფშაველები, თხზ., IX, 28
26. *იქვე,* 29
27. *ვაჟა-ფშაველა,* გმირის იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით, თხზ., IX, 82-87
28. *გ.მელიქიშვილი,* ქართველ მთიელთა სოციალურ-ეკონომიკური წყობილების დახასიათებისათვის, მაცნე ისტორიის... სერია, 1979, 1, 24, 26
29. *ბ.გამყრელიძე,* ხევსურეთის სოფელი და მისი სამეურნეო ტრადიციები, თბ., 1989, 12
30. *ვაჟა-ფშაველა,* ფშაველების ამაოდ-მორწმუნეობანი, თხზ., IX, 66. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, თუშ-ფშავ-ხევსურეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები და მათთან დაკავშირებული რიტუალები დეტალურად აქვს აღწერილი *ევრა ბარდააელიძეს,* ამიტომაც აქ მათზე აღარ შევჩერდებით.
31. *ვაჟა-ფშაველა,* ლაშარის ჯვარის დღეობა ანუ ლაშარობა, თხზ., IX, 234-240
32. *ვაჟა-ფშაველა,* დასახ. მაშრომი, 245
33. *ვაჟა-ფშაველა,* ლაშარობა, თხზ., IX, 55
34. *ნ.ხიზანაშვილი,* ეთნოგრაფიული ნაწერები. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, II, თბ., 1940, 10
35. *ბატონიშვილი ვახუშტი,* აღწერა სამეფოისა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, 573
36. *ბ.გამყრელიძე,* ცენტრალური კავკასიის მთიელთა ალპური მესაქონლეობა, თბ., 1982, 93
37. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XX საუკუნეებში მონოგრაფიულად აქვს შესწავლილი პროფ. *რ.თოფჩიშვილს.* იხ. *მისი,* აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XX სს., თბ., 1984
38. *ქართლის ცხოვრება,* I, თბ., 1955, 126
39. *ივ.ჯავახიშვილი,* ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1951, 233
40. *ე.ბარდაველიძე,* ივრის ფშაველებში, ენიმკის მოამბე, XI, თბ., 1941, 102
41. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973, 728
42. *რ.თოფჩიშვილი,* აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XX სს., 82
43. *ვაჟა-ფშაველა,* ლაშარობა, 57
44. *იქვე,* 56
45. *ი.სურგულაძე,* ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბ., 1986, 148
46. *ვ.ბარდაველიძე,* აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, I, ფშავი, თბ., 1974, 193
47. *ბ.გამყრელიძე,* ხევსურეთის სოფელი და მისი სამეურნეო ტრადიციები, 21
48. *ვაჟა-ფშაველა,* ფშაველები, 334
49. *ვაჟა-ფშაველა,* ლაშარის ჯვარის დღეობა ანუ ლაშარობა, თხზ., IX, 234-240
50. *ვაჟა-ფშაველა,* თამარის ცხვარი ფშავში, თხზ. IX, 224
51. *იქვე,* 224-225
52. *ვაჟა-ფშაველა,* ხარალჯობა და რიგები, თხზ., IX, 93
53. *ვაჟა-ფშაველა,* წერილი ხევსურეთიდგან, თხზ., X, თბ., 1964, 13
54. *ვაჟა-ფშაველა,* ერთი კვირა ხევსურეთში, თხზ., X, 67
55. *ვაჟა-ფშაველა,* შენიშვნები კოვალევსკის წიგნზე, თხზ., X, 131
56. ვაჟა-ფშაველა, ალუდა ქეთელაური, თხზ., III, თბ., 1964, 58

57. რ.ხარაძე, ხევსურული ანდრეზი – ხალხური სამართლის წყარო, „მიმომხილველი", II, თბ., 1951, 387
58. *ვაჟა-ფშაველა,* სტუმარ-მასპინძელი, თხზ., III, 207
59. *ვაჟა-ფშაველა,* ალუდა ქეთელაური, 63
60. *ვაჟა-ფშაველა,* სტუმარ-მასპინძელი, 211
61. *იქვე,* 216, 220
62. *ვაჟა-ფშაველა,* ხევსურები, თხზ., IX, 50
63. *ვაჟა-ფშაველა,* ხმა მთიდამ, თხზ., X, თბ., 1964, 45
64. *ვაჟა-ფშაველა,* ხევსურები, 48
65. *ვაჟა-ფშაველა,* ფშავლები, 8
66. *ვაჟა-ფშაველა,* სტუმარ-მასპინძელი, თხზ., III, 215-217
67. *იქვე,* 223
68. *ვაჟა-ფშაველა,* გოგოთურ და აფშინა, თხზ., III, 40
69. *ვაჟა-ფშაველა,* ხევსურები, თხზ., IX, 45, 121
70. *ვაჟა-ფშაველა,* ფშავლები, თხზ., IX, 8
71. *ვაჟა-ფშაველა,* ძველი და ახალი ფშავლების პოეზია, თხზ., IX, 163
72. *ვაჟა-ფშაველა,* დასახ. ნაშრომი, 228-230
73. *გ.მელიქიშვილი,* ქართველ მთიელთა სოციალურ-ეკონომიკური წყობილების დახასიათებისათვის, მაცნე, ისტორიის... სერია, 1, 1979, 26
74. *ზ.ანჩაბაძე, ალ.რობაქიძე,* კავკასიის მთური ფეოდალიზმის ბუნებისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XVIII, თბ., 1973, 115-120
75. გ.მელიქიშვილი, მახლობელი აღმოსავლეთისა და კავკასიის უძველესი კლასობრივი საზოგადოებების ბუნების საკითხისათვის, ივ.ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976, 165
76. *გ.მელიქიშვლი,* ქართველ მთიელთა სოციალურ-ეკონომიკური წყობილების დახასიათებისათვის, 28; *ზ.ანჩაბაძე, ალ.რობაქიძე,* კავკასიის მთური ფეოდალიზმის ბუნებისათვის, 119; *Р.Харадзе, А.Робакидзе,* Характер сословных отношсний в горіюй Ингушетии, Кавказский этнографический сборник», II , Тб., 1968, 69
77. *ვაჟა-ფშაველა,* ფშავლები, თხზ., .IX, 7, 11
78. *ვაჟა-ფშაველა,* ფშაველი დედაკაცის მდგომარეობა და იდეალი ფშაურის პოეზიის გამოხატულებით, თხზ., IX, 99
79. *ვაჟა-ფშაველა,* ფშავლები, თხზ., IX, 349-351
80. *ვაჟა-ფშაველა,* 351
81. *იქვე,* 11
82. *ვაჟა-ფშაველა,* ფშავლები, 3, 10, 14-30 და შმდ.
83. *იქვე,* 11
84. *ვაჟა-ფშაველა,* ცოტა რამ გლეხთა ყოფა-ცხოვრებაზე ფშაეში, თხზ., IX, 231
85. *ვაჟა-ფშაველა,* დასახ. ნაშრომი, 230
86. *ვაჟა-ფშაველა,* ხევსურები, 46, 48-51, 88 და შმდ.

### *1.3. აკაკი წერეთელი და საქართველოს ეთნოლოგია*

1. *დ.გამეზარდაშვილი,* ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, II, თბ., 1957, 245
2. *მ.ზანდუკელი,* ახალი ქართული ლიტერატურა, II, თბ., 1964, 366
3. *გ.აბზიანიძე,* აკაკი წერეთელი, ბიოგრაფიული ნარკვევი, თხზ., I, თბ., 1950, 23
4. *ა. მახარაძე,* ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1957, 287
5. *გ.აბზიანიძე,* აკაკი წერეთელი, ბიოგრაფიული ნარკვევი, 25
6. *ლ.ასათიანი,* რჩეული ნაწერები, თბ., 1958, 283
7. *ა.წერეთელი,* სათეატრო შენიშვნები, თხზ., XIV, თბ., 1958, 184
8. *ა.მახარაძე,* ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 246-248
9. *ა.წერეთელი,* მცირე რამ შენიშვნები, თხზ., XI, თბ., 1960, 439
10. *ა.წერეთელი,* ქვა-გუნდის ამბავი (წერილი რედაქტორთან), თხზ., XI, თბ., 1960, 475-276

11. *ა.წერეთელი* აქ გულისხმობს ცნობილ გერმანელ გეოლოგს, კავკასიის მკვლევარს *გილჰელმ აბიხს* (1806-1886 წწ.), რომლის გამოკვლევებმა (*იხ. მისი* Geologische Beobachtungen auf reisen in den Gebirgslandern zwischen Kur und Araxes, Tiflis, 1867) დიდად შეუწყო ხელი სამთო საქმის განვითარებას კავკასიაში
12. *ა.წერეთელი*, შავი-ქვის ამბავი, 83
13. *გ.აბზიანიძე*, აკაკი წერეთელი, ბიოგრაფიული ნარკვევი, 40
14. *ა.წერეთელი*, ზეპირსიტყვიერობის გამო, თხზ., XIII, თბ., 1961, 254
15. *ა.წერეთელი*, დასახ. ნაშრომი, 255
16. *ა.წერეთელი*, ქვა-გუნდის ამბავი, 22
17. *ა.წერეთელი*, აკაკის ანდერძი 1912 წლის 7 ნოემბერს, თხზ., XIV, თბ., 1961, 589
18. *მ.ჩიქოვანი*, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, I, 234; *ა.მახარაძე*, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 261; *გ.აბზიანიძე*, აკაკი წერეთელი, ბიოგრაფიული ნარკვევი, 41, 47
19. *ა.წერეთელი*, სახალხო ლექსებისა და ამბების შემკრებლებს, თხზ., XII, თბ., 1960, 207; *მისივე*, როგორ უნდა შევკრიბოთ ზეპირგადმოცემები, თხზ., XIII, 177
20. *ა.წერეთელი*, როგორ უნდა შევკრიბოთ ზეპირგადმოცემები, 178
21. *მ.ჩიქოვანი*, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, I. 234
22. *ე.თაყაიშვილი*, მოგონება აკაკი წერეთელზე, წიგნში – მოგონებები აკაკიზე, თბ., 1990, 204
23. *ე.თაყაიშვილი*, დასახ. ნაშრომი, 205-206
24. *დ.თომაშვილი*, აკაკის შესახებ, წიგნში – მოგონებები აკაკიზე, 216
25. *ა.მახარაძე*, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 281
26. *გ.აბზიანიძე*, აკაკი წერეთელი, ბიოგრაფიული ნარკვევი, 2
27. *ა.წერეთელი*, ჩემი თავგადასავალი, თხზ., VII, თბ., 1958, 10
28. *ა.მახარაძე*, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 245; *გ.აბზიანიძე*, ბიოგრაფიული ნარკვევები, იხ. *ა.წერეთელი*, თხზ., I, თბ., 1950, 13
29. *ა.წერეთელი*, ჩემი თავგადასავალი, 10
30. *ა.წერეთელი*, ნადუღი, თხზ., XIV, 564
31. *მ.ჩიქოვანი*, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, I, 236
32. *ა.აბაშელი*, აკაკის შარავანდედი, წიგნში – მოგონებები აკაკიზე, თბ., 1990, 15
33. *რ.ხარაძე*, ხევსურული რჯული, ანალები, I, თბ., 1947, 169; მისივე, ხევსურული ანდერძი – ხალხური სამართლის წყარო, მიმომხილველი, II, თბ., 1951, 387
34. *ა.აბაშელი*, აკაკის შარავანდედი, 15
35. *ა.წერეთელი*, შენიშვნები, თხზ., XIII, 287
36. *მ.ჩიქოვანი*, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 242-244
37. *შ.დადიანი*, ჩემი წარმოდგენით, წიგნში – მოგონებები აკაკიზე, 101
38. *ა.წერეთელი*, აკაკის სიტყვა წარმოთქმული საღამოს დღესასწაულის დასრულებისას, თხზ., XIV, 340; *ა.მახარაძე*, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 265
39. *ა.მახარაძე*, დასახ. ნაშრომი, 281
40. *გ.აბზიანიძე*, აკაკი წერეთელი, ბიოგრაფიული ნარკვევი, 491
41. *ა.წერეთელი*, სამგზავრო წერილებიდგან, თხზ., XII, 240
42. *ა.სადუნიშვილი*, მოგონებები აკაკიზე, 383
43. *ა.წერეთელი*, ჩემი თავგადასავალი, 16
44. *ა.ლაისტი*, აკაკი წერეთელი, საქართველოს გული, 64
45. *ი.ზაუტაშვილი*, მოგონება აკაკის შესახებ, წიგნში – მოგონებები აკაკიზე, 463
46. სხვიტორელი გლეხების, *სპირიდონ ზაბახიძის* და *საჩინო კირვალიძის* მოგონებებიდან, წიგნში – მოგონებები აკაკიზე, 154 და შმდ.
47. სოფელ ჩიხაში მცხოვრები *ზაქარია იაკობაშვილის* მოგონებიდან, წიგნში – მოგონებები აკაკიზე, 222
48. *ე.რუხაძე*, მოგონება აკაკიზე, წიგნში – მოგონებები აკაკიზე, 379
49. *ა.წერეთელი*, სიტყვა წარმოთქმული წინანდალში გლეხობის წინაშე, თხზ., XIV, 449
50. *ა.წერეთელი*, ნადუღარი, თხზ., XIV, 395
51. *ა.წერეთელი*, სიტყვა წარმოთქმული წინანდალში გლეხობის წინაშე, 450; მისივე, ნადუღარი, 395 და შმდ.

52. *ა.მაჭარაშვილის* მოგონებიდან, წიგნში – მოგონებები აკაკიზე, 293
53. *ა.ლაისტი,* საქართველოს გული, თბ., 1963, 64
54. *ა.ლაისტი,* დასახ. ნაშრომი, 66-67
55. *ა.წერეთელი,* სამგზავრო წერილებიდან, თხზ., XII, 220
56. *ა.წერეთელი,* რამდენიმე სიტყვა ქართული გალობის აღდგენის გამო, თხზ., XII, 242
57. *მ.ლალიძე,* შეხვედრები დიდ პოეტთან, წიგნში – მოგონებები აკაკიზე, 282
58. *ა.წერეთელი,* შენიშვნები, თხზ., XI, 213, 240, 331
59. *ა.წერეთელი,* როგორ უნდა შევკრიბოთ ზეპირგადმოცემები, რჩეული ნაწერები ხუთ ტომად, V, თბ., 1990, 113
60. *ა.წერეთელი,* დასახ. ნაშრომი, 116-117
61. *იქვე,* 113
62. *ა. წერეთელი,* დასახ. ნაშრომი, 333-334
63. *იქვე,* 122-123
64. *ა.წერეთელი,* რაჭა-ლეჩხუმი, თხზ., V, თბ., 1956, 284-285
65. *ა.წერეთელი,* მცირე რამ, თხზ., XIV, 31
66. *ა. წერეთელი,* შენიშვნები, თხზ., XIII, 202-203
67. *ა.წერეთელი,* ოცდა ორი თებერვალი, თხზ., XIII, 361
68. *ა.წერეთელი,* პასუხი გომართელს, თხზ., XIV, 324
69. *იქვე,* 324
70. *ა.წერეთელი,* ჩემი თავგადასავალი, თხზ., VII, თბ., 1958, 8.
71. *ა.წერეთელი,* დასახ. ნაშრომი, 10
72. *ს.კლდიაშვილი,* ორფეოსი, წიგნში – მოგონებები აკაკიზე, 270
73. *ა.წერეთელი,* ჩემი თავგადასავალი, 10
74. *ა.წერეთელი,* გამზრდელი, თხზ., V, 233
75. *ა.წერეთელი,* გიორგი შარვაშიძეს, თხზ., III, თბ., 1954, 388
76. *იქვე,* 389
77. *ა.წერეთელი,* ს.სხვიტორი, თხზ., XIII, 250
78. *იქვე,* 250 და შმდ.
79. *იქვე,* 251-252.
80. *ა.წერეთელი,* დასახ. ნაშრომი, 252
81. *იქვე,* 253-254
82. *იქვე,* 254
83. *იქვე,* 254
84. *ა.წერეთელი,* სიტყვა იმერლებზე, თხზ., XII, თბ., 1960, 365
85. *იქვე,* 366
86. *იქვე,* 366
87. *ა.წერეთელი,* ჭრელი ფიქრები, თხზ., XIII, 105
88. *იქვე,* 104-105
89. *იქვე,* 105
90. *ა.წერეთელი,* დასახ. ნაშრომი, 106
91. *ა.წერეთელი,* მცირე რამ, თხზ., XIII, 182
92. *იქვე,* 183
93. *იქვე,* 182
94. *მ. ლალიძე,* შეხვედრები დიდ პოეტთან, წიგნში-მოგონებები აკაკიზე, 284
95. *ს. მგალობლიშვილი,* აკაკი, წიგნში – მოგონებები აკაკიზე, 294-300
96. *ქართული მწერლობა,* ტომი მეორე, თბ., 1987, 236
97. *ა.წერეთელი,* კახეთში მოგზაურობა, თხზ., XIII, თბ., 1961, 305
98. *იქვე,* 305-306
99. *კ. აბაშიძე,* აკაკი წერეთელი, წიგნში – მოგონებები აკაკიზე
100. *ა.წერეთელი,* სამგზავრო წერილებიდან, თხზ., XII, 238
101. *ზ.ფორაქიშვილი,* აკაკი ქართული ლექსიკონის შესახებ, წიგნში – მოგონებები აკაკიზე, 448
102. *ა.წერეთელი,* სიტყვა წარმოთქმული 1878 წლის 22 ნოემბერს თბილისში, ივანე მუხრანბატონის სასახლეში, თხზ., IX, თბ., 1957, 315

103. *თ.სახოკია*, მოგზაურობანი, თბ., 1985, 198
104. *იქვე*, 199; შ.ვაშაყმაძე, რაფიელ ერისთავი, თბ., 1962, 72
105. *ჰ.აბაშიძე*, მოგონება, წიგნში – მოგონებები აკაკიზე, 44
106. *ა.წერეთელი*, აკაკის ანდერძი 1912 წლის 7 ნოემბერს, 475
107. *ა.წერეთელი*, დასახ. ნაშრომი, 476

### *1.4. ალ. ყაზბეგის მხატვრულ-პუბლიცისტური შემოქმედების ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული პარალელები*

1. *ვ.ითონიშვილი*, ალექსანდრე ყაზბეგის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა, ქართული ეთნოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1989
2. *ი.ჭავჭავაძე*, ერი და ისტორია, თხზ., IV, თბ., 1955, 612
3. *გ.ნატროშვილი*, ალექსანდრე ყაზბეგი, წინასიტყვაობა წიგნზე – *ალ.ყაზბეგი*, თხზულებანი ორ ტომად, I, თბ., 1968, 34
4. *ალ.ყაზბეგი*, ხევისბერი გოჩა, ქართული მწერლობა, XVI, თბ., 1998, 377-378
5. *ალ.ყაზბეგი*, ნამწყემსარის მოგონებანი, რჩეული თხზ., II, თბ., 1947, 429-430
6. *ალ.ყაზბეგი*, კერძო მიმოწერა, თხზ., V, თბ., 1950, 212-213
7. *შალვა რადიანი*, ალექსანდრე ყაზბეგი, ახალი ქართული ლიტერატურა, თბ., 1954, 498
8. *შ.რადიანი*, დასახ. ნაშრომი, 493
9. *ი.ჭავჭავაძე*, ერი და ისტორია, 608-612
10. *თამილა კენკებაშვილი*, ალექსანდრე ყაზბეგის საისტორიო შეხედულებანი, თბ., 1999, 5
11. *ალ.ყაზბეგი*, თხზ., V, 153
12. *იქვე*, 62.
13. *ალ.ყაზბეგი*, თხზულებანი, ორ ტომად, II, თბ., 1985, 293
14. *ვ.ითონიშვილი*, ალექსანდრე ყაზბეგის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა, 104-105 და შმდ.
15. *თ.კენკებაშვილი*, დასახ. ნაშრომი, 22-23
16. *იონა მეუნარგია*, ალექსანდრე ყაზბეგი, ქართველი მწერლები, თბ., 1957, 78-79
17. *გ.ნატროშვილი*, ალექსანდრე ყაზბეგი, წინასიტყვაობა წიგნზე – *ალ.ყაზბეგი*, თხზულებანი ორ ტომად, 1, თბ., 1974, 20
18. *ალ.ყაზბეგი*, ნამწყემსარის მოგონებანი, რჩეული თხზულებანი, 2, 430
19. *ვ.ითონიშვილი*, დასახ. ნაშრომი, 107-108
20. *ალ.ყაზბეგი*, ავტობიოგრაფიული ცნობები, თხზ., V, 187
21. *ვ.ითონიშვილი*, დასახ. ნაშრომი, 116
22. *ალ.ყაზბეგი*, გადაკარგული მხარე, თხზ., V, 54
23. დასახ. ნაშრომი, 54-55
24. *ვ.ითონიშვილი*, დასახ. ნაშრომი, 122
25. *ალ.ყაზბეგი*, გადაკარგული მხარე, 72
26. *იქვე*, 71-73
27. *ალ.ყაზბეგი*, გადაკარგული მხარე, 55; *ვ.ითონიშვილი*, დასახ. ნაშრომი, 126
28. *А.А. Зисерман.* Двадцать пять лет на Кавказе (1842-1867). I-II СПб., 1879, 207-208
29. *ალ.ყაზბეგი*, გადაკარგული მხარე, 56
30. *ვ.ითონიშვილი*, დასახ. ნაშრომი, 134
31. *ალ.ყაზბეგი*, დასახ. ნაშრომი, 57; *ვ.ითონიშვილი*, დასახ. ნაშრომი, 135
32. *ალ.ყაზბეგი*, გადაკარგული მხარე, 57
33. *იქვე*, 58
34. *ვ.ითონიშვილი*, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960
35. *ალ.ყაზბეგი*, დასახ. ნაშრომი, 59
36. *იქვე*, 60
37. *ვ. ითონიშვილი*, დასახ, ნაშრომი, 143-144
38. *ალ.ყაზბეგი*, გადაკარგული მხარე, 70
39. *იქვე*, 70-71

40. *ალ.ყაზბეგი,* დასახ. ნაშრომი, 61-63
41. *დ.გიორგაძე,* დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში (თუშ-ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), თბ., 1987
42. *ალ.ყაზბეგი,* გადაკარგული მხარე, 63
43. *ვ. ითონაშვილი,* ალექსანდრე ყაზბეგის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა, 150-152
44. *ალ.ყაზბეგი,* მოხევეები და იმათი ცხოვრება, თხზ., V, თბ., 1950. აღნიშნულ კუთხეში ეს პრობლემა მონოგრაფიულად შეისწავლა *ვ.ითონიშვილმა* (იხ. *მისი,* მოხევეების საოჯახო ყოფა, თბ., 1970), რომელმაც სათანადო პატივი მიაგო ალ.ყაზბეგის დამსახურებას ამ საკითხში
45. *ალ.ყაზბეგი,* მოხევეები და იმათი ცხოვრება, 33
46. *ალ.ყაზბეგი* აღნიშნულ საკითხზე ალ.ხახანაშვილს წერდა: „საძოვარი მთა და ბარი ეკუთვნოდა საერთოდ ერობას და ვისაც რამდენი საქონელი ეყოლებოდა, შეეძლო თავისუფლად ეძოვებინა (ეხლა ესეც შეიცვალა და ამგვარი საძოვრები დაუსაკუთრა ახალმა დებულებამ ან თვითოეულს პირს, ან თვითეულს სოფელს და ან თეითოეულს გვარს). საკუთრებად უძრავ მამულში მხოლოდ სახნავები ჰქონდათ, რადგანაც ქვიანი ადგილის მოკეთება და სახნავად გამოყენება დიდ შრომასა და მოვლას ითხოვდა" (*ალ.ყაზბეგი,* კერძო მიმოწერა. თხზ., V, 224-225)
47. *ალ.ყაზბეგი,* კერძო მიმოწერა, 225-226
48. *ალ.ყაზბეგი,* მოხევეები და იმათი ცხოვრება, 29-30
49. *ალ.ყაზბეგი,* დასახ. ნაშრომი, 32-33
50. *იქვე,* 33-34
51. *ალ.ყაზბეგი,* რჩეული თხზულებანი, II, 288-289
52. *ვ.ითონიშვილი,* ქართული ეთნოგრაფიის ნარკვევები, 178
53. *ვ. ითონიშვილი,* დასახ. ნაშრომი, 220-222
54. *ალ.ყაზბეგი,* ციცია, თხზულებანი ორ ტომად, II, თბ., 1993, 77
55. *იქვე,* 48-49
56. *ვ.ითონიშვილი,* დასახ. ნაშრომი, 228
57. *იქვე,* 236
58. საყურადღებო და მანიშნებელია, რომ კავკასიის მთიელთა ტრადიციულ საზოაგდოებაში ეს წეს-ჩვეულებები თითქმის უცვლელად შემორჩა ბოლო დრომდე. ამ მხრივ არსებული მრავალფეროვანი ლიტერატურიდან დავასახელებთ მხოლოდ *ხვთისო მამისიმედიშვილის* ნაშრომს (იხ. *მისი,* ვაინახები და ქართველი მთიელები, თბ., 1997, 36 და შმდ.), რომელშიც პანკისელი ქისტების ტრადიციების, განსაკუთრებით კი ქცევის ნორმების შესახებ საინტერესო მონაცემებია მოტანილი
59. *ალ.ყაზბეგი,* ციცია, 47
60. *ნ.აზიკური,* ყონაღობა კავკასიაში, ქუთაისური საუბრები – IV, 1997, 25
61. *ალ.ყაზბეგი,* ციცია, 82-83
62. *ალ.ყაზბეგი,* მამის მკვლელი, რჩეული. თბ., 1974, 332-333
63. *ალ.ყაზბეგი,* ციცია, 71
64. *ალ.ყაზბეგი,* ელბერდ, თხზ., I, თბ., 1958, 429
65. *ალ.ყაზბეგი,* ელისო, რჩეული, თბ., 1974, 182
66. *ალ.ყაზბეგი,* ციცია, თხზულებანი ორ ტომად, II, 86
67. *იქვე,* 81
68. *იქვე,* 78
69. *თ.ოჩიაური,* მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967, 74; *Л. Маргошвили.* Культурно-этнические взаимоотношения между Грузией и Чечено-Ингушетией в XIX – начала XX века, Кисты Панкиси. Тб., 1991. 225
70. *ალ.ყაზბეგი,* მამის მკვლელი, 367
71. *იქვე,* 366-368
72. *ალ.ყაზბეგი,* ციცია, 78

73. ხატობის ცერემონიალის ეს მხარე სრულყოფილადაა შემონახული მთიელთა თანამედროვე ყოფაშიც. ტ.მახაურის ჩანაწერების მიხედვით ხატობამდე რამდენიმე კვირით ადრე ხევისბერი განმარტოვდებოდა თავისი ოჯახის წევრებისგან და ცალკე ცხოვრობდა მისთვის საგანგებოდ გამოყოფილ სამყოფში – სახლის ჭერხოში, ანდა ხატ-სალოცავის ტერიტორიაზე მდებარე ე.წ. *საბერში.* ზოგიერთი ხევისბერი მთელი სიცოცხლის მანძილზე განდეგილად ცხოვრობდა. კულტმსახური არ უნდა გაპკარებოდა ქალს, არ უნდა ეჭამა ღორის ან ქათმის ხორცი და კვერცხი. მას ისეთ გზაზე გავლაც კი ეკრძალებოდა, სადაც „ნალახი", „*მირეული*" ადგილი იყო, სადაც მექოხ-მებოსლე, მესამრელოე ქალ-დიაცნი დადიოდნენ. ბევრ სალოცავში ყოველწლიურად, ათენგენობის დანყების წინ, ხევისბერი საკლავს დაკლავდა და ხელ-მხარს ინათლავდა. მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლო მას სანთლის ანთება და დროშის გამობრძანება (*ჯვარ-ხატის სადიდებლები,* ტექსტები შეკრიბეს, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს *ზ.კიკნაძემ, ხ.მამისიმედიშვილმა და ტ.მახაურმა,* თბ., 1998, 11)

74. *ალ.ყაზბეგი,* მამის მკვლელი, 367

## 2. *ახალი ქართული ლიტერატურა და საქართველოს ეთნოლოგია*

### *2.1. დავით კლდიაშვილის მხატვრული შემოქმედების ეთნოგრაფიული სიუჟეტები*

1. *ჯ.ბარდაველიძე,* დავით კლდიაშვილი, თბ., 1986, 207
2. *ქართული ლიტერატურის მუზეუმი,* დ.კლდიაშვილის ფონდი, №147-47
3. *გ.წერეთელი,* პირველი ნაბიჯი, ქართული მწერლობა, თბ., 1996, 363
4. *გ.ნატროშვილი,* დავით კლდიაშვილის შემოქმედება, თბ., 1935, გვ.5
5. იქვე, 5
6. *დ.კლდიაშვილი,* ჩემი ცხოვრების გზაზე, თხზულებანი ორ ტომად, .II, მემუარები, პიესები, თბ., 1995, 111
7. *გ.ნატროშვილი,* დასახელებული ნაშრომი, 28
8. *ჯ.ბარდაველიძე,* დავით კლდიაშვილი, თბ., 1986, 2
9. *ალ.ხახანაშვილი,* ქართული სიტყვიერების ისტორია, თბ., 1917, 266
10. *გერონტი ქიქოძე,* დავით კლდიაშვილი, ეტიუდები და პორტრეტები, თბ., 1958, 255
11. *დ.კლდიაშვილი,* ჩემი ცხოვრების გზაზე, 7
12. *დ.კლდიაშვილი,* დასახ. ნაშრომი, 8
13. იქვე, 9-10
14. დ.კლდიაშვილი, დასახ. ნაშრომი, 9
15. *დ.კლდიაშვილი,* ჩემი ცხოვრების გზაზე, 8-10
16. *დ.კლდიაშვილი,* დასახ. ნაშრომი, 65
17. იქვე, 65-67

### *2.2. ვასილ ბარნოვის ფოლკლორულ-ეთნოლოგიური ძიებანი*

1. ა. ნიკოლაიშვილი, ქართული ლიტერატურა, ქუთაისი, 1999, 38
2. *თ.ჯაგოდნიშვილი,* ქართული ფოლკლორისტიკის სათავეებთან, თბ., 1986, 194-197
3. *გ.ჭელიძე,* ვასილ ბარნოვი ფოლკლორის სპეციფიკის შესახებ, კრებ: ფოლკლორი და ლიტერატურა, თბ., 1980, 134
4. *ვ.ბარნოვი,* ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები, ტფ., 1919, 65
5. *ვ.ბარნოვი,* თხზულებათა კრებული ათ ტომად, X, თბ., 1964, 134
6. *თ.ჯაგოდნიშვილი,* ქართული ფოლკლორისტიკის სათავეებთან, თბ., 1986, 196-197
7. *თ.ჯაგოდნიშვილი,* დასახ. ნაშრომი, 197
8. *იქვე,* 202

9. *ვ.ბარნოვი,* ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები, 6
10. იქვე, 6
11. ვ. ბარნოვი, დასახ. ნაშრომი, 6-7
12. *თ.ჯაგოდნიშვილი,* დასახ. ნაშრომი, 198-200
13. *ვ.ბარნოვი,* ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილი, 9
14. *თ.ჯაგოდნიშვილი,* დასახ. ნაშრომი, 200
15. *ვ.ბარნოვი,* დასახ. ნაშრომი, 9-13
16. *Ф.Буслаев,* Исторические очерки русской народной словесности, 1, СПб., 1891, 1-88
17. *ვ.ბარნოვი,* ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილი, 9
18. *ვ.ბარნოვი,* დასახ. ნაშრომი, 10-11
19. *იქვე,* 14-15
20. *იქვე,* 15-17
21. *ვ.ბარნოვი,* დასახ. ნაშრომი, 12
22. *ვ.ბარნოვი,* ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილი, 12-13
23. *თ.ჯაგოდნიშვილი,* ქართული ფოლკლორისტიკის სათავეებთან, 207
24. *ვ.ბარნოვი,* ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები, 13
25. *ვ.ბარნოვი,* დასახ. ნაშრომი, 62-63; *თ.ჯაგოდნიშვილი,* დასახ. ნაშრომი, 210-211
26. ვ.ბარნოვი, დასახ. ნაშრომი, 64-66; 68-72 და შმდ.
27. *თ.ჯაგოდნიშვილი,* დასახ. ნაშრომი, 211
28. *ვ.ბარნოვის,* მხატვრული შემოქმედების ამ თავისებურებებზე არაერთხელ მიუთითებს პროფ. შ.რადიანი (იხ. *მისი,* ბარნოვის მსოფლმხედველობა, ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი მეორე, თბ., 1948, 231-238)
29. *გ.ქიქოძის* აზრით ბარნოვს „შეუსწავლია ჩვენი ქართული ნარმართობის ზნე-ჩვეულებები, რომელიც საბოლოოდ არასოდეს დაუჩრდილავს და მოუსპია ქრისტიანობას. ბოლოს, როგორც სჩანს, შეუსწავლია წარმართული აზროვნების ნარმომადგენელი ფილოსოფოსები: პლატონი, ფითაგორელები, ნეოპლატონიკოსები. მაგრამ მისი წარმართობა არაა პირველყოფილად უშუალო და გულუბრყვილო, მასში მძლავრი ებრაულ-ქრისტიანული ნაკადის გავლენაცა სჩანს" (*გ.ქიქოძე,* ნარკვევები, თბ., 1941, 102)

# თავი მეცხუთე

## *XX საუკუნის პირველი მეოთხედი და ქართული ეთნოლოგიური სკოლის ჩამოყალიბება*

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულმა მეცნიერებამ, პუბლიცისტიკამ და, საერთოდ, მწერლობამ მყარი საფუძველი შეუქმნეს საქართველოში ეთნოგრაფიული მეცნიერების ჩამოყალიბებას სამეცნიერო დიციპლინად. მომწიფდა საზოგადოებრივი აზრი ქართული ისტორიგრაფიის წიაღში ახალი სამეცნიერო დარგის ეთნოგრაფიის აღმოცენებისა, რომელიც თავისი მიზნებითა და ამოცანებით იმთავითვე შეესისხლხორცა საქართველოში აღნიშნულ პერიოდში გაშლილ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას. მართალია, ეთნოგრაფიული მეცნიერება პირდაპირ პასუხობდა აღნიშნულ პერიოდში ქართული საზოგადოებრივი აზრის დღის წესრიგში მდგარ საჭირბოროტო პრობლემებს, კერძოდ, ქართველი ხალხის ეთნოგენეზიისა და ეთნიკური ისტორიის, ეთნო-კულტურული ურთიერთობების, მატერიალური და სულიერი კულტურისა თუ სოციალური ურთიერთობის საკითხებს, მაგრამ ქართული ეთნოგრაფია მათი სათანადო თეორიულ და მეთოდოლოგიურ დონეზე კვლევისა და ანალიზისაგან მითუმეტეს მეცნიერული განზოგადოებისა და დასკვნებისაგან ჯერ კიდევ შორს იდგა. ეს მით უფრო, რომ მოწინავე ევროპულ და რუსულ ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ განსაზღვრული ეთნოგრაფიის საგნობრივი სფერო, თეორიული და მეთოდოლოგიური კვლევის პრინციპები, საველე კვლევა-ძიების მეთოდიკა და, საერთოდ, წყაროთმცოდნეობითი ბაზის ხასიათი და რაობა. ყველა ამ პრინციპების შემდგომ დახვეწასა და სრულყოფას ითვალისწინებდა XIX საუკუნის ბოლოს ევროპასა და რუსეთში განხორციელებული ფართომაშტაბიანი ექსპედიციები, შესაბამისი კვლევები და პუბლიკაციები, რომლებიც, როგორც ზემოთ დავინახეთ, კავკასიის რეგიონსაც შეეხო.

ქართული ეთნოგრაფიის წინაშე მდგარი ამ რთული ამოცანის დასაძლევად საჭირო იყო არა მარტო დარგის ზოგადთეორიული პრობლემების კვლევა და მეთოდოლოგიური პრინციპების შემუშავება, არამედ კონკრეტული ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება, რომელსაც საფუძვლად უნდა დადებოდა ფართომაშტაბიანი საველე-საექსპედიციო და სამუზეუმო საქმიანობა. ქართულმა ეთნოგრაფიამ სათანადოდ გამოიყენა ამ მხრივ XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში დაწყებული საველე-საექსპედიციო და კამერალური, აგრეთვე სამუზეუმო-შემკრებლობითი საქმიანობა და XX საუკუნის დასაწყისში ქართულ ისტორიოგრაფიაში საკუთრივ ეთნოგრაფიულ მეცნიერებას ახალი ამოცანები დაუსახა. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ამ საქმიანობის სათავეში აღმოჩნდნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები *ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო მარი, ივ. ჯავახიშვილი, თედო სახოკია,* ოდნავ მოგვიანებით კი, ახალი ქართული ეთნოგრაფიის ფუძემდებელი აკადემიკოსი *გიორგი ჩიტაია* და მისი უახლოესი თანამებრძოლები, რომლებმაც საბოლოოდ საფუძველი ჩაუყარეს შემდგომში მსოფლიოში ცნობილ ქართულ საბჭოთა ეთნოგრაფიულ სკოლას.

XX საუკუნის დასაწყისის ამ უაღრესად რთულ და მრავალფეროვან პროცესებში ჩვენ შევეცდებით ყურადღება გავამახვილოთ საქართველოს ეთ-

ნოგრაფიის ისტორიის ძირითად მომენტებზე, მოკლედ დავახასიათოდ ზემოთ აღნიშნული ავტორები და მათი დამსახურება ქართული ეთნოგრაფიის წინაშე. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ავტორთა საუკუნის პირველი მეოთხედის შემოქმედებიდან, წმინდა ეთნოგრაფიული ხასიათის გამოკვლევები მხოლოდ *თედო სახოკიას*, დასასრულს კი *გიორგი ჩიტაიას* გააჩნდათ. ქართული ისტორიოგრაფიის სხვა წარმომადგენელთა (*ე. თაყაიშვილი, ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი*) ფუძემდებლური ნაშრომები კი, ეთნოგრაფიის საჭირბოროტო საკითხებთან ერთად, საქართველოს, კავკასიისა და ზოგადად მსოფლიოს ისტორიოგრაფიისა და ლინგვისტიკის პრობლემებს ეხებოდა, თუმცა მათ გამოკვლევებში ქართული ეთნოგრაფიის არაერთი უმნიშვნელოვანესი თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხი იყო წამოჭრილი და გადაწყვეტილი.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობდა ქვეყნის მასშტაბით გაშლილი, წინასწარ დაგეგმილი კონკრეტული ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება, XIX საუკუნის მიწურულის ქართულ ეთნოლოგიას უკვე გააჩნდა ევროპულ ყაიდაზე განსწავლულ ეთნოგრაფთა მთელი თაობის, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა საველე და კამერალური მუშაობის საკმაოდ მდიდარი გამოცდილება. ეთნოლოგიისა და მომიჯნავე ისტორიული თუ ლინგვისტური დარგების ინტეგრაციის დონე და უკვე მიღწეული კვლევის შედეგები, საშუალებას იძლეოდა თანადროულ ისტორიოგრაფიის დონეზე დასმულიყო ქართველი და კავკასიელი ხალხების ეთნო-კულტურული და ეთნო-გენეტიკური ურთიერთობების, კულტურისა და ყოფის რიგი რეალიების ერთობლივი შემოქმედების, კავკასიური აგრალური ცივილიზაციისა და ერთიანი კავკასიური კულტურული სამყაროს განვითარება-გენეზისის თავისებურებათა თეორიული კვლევისა და განზოგადოების პრობლემები.

საველე და კამერალური კვლევა-ძიების ამ ეტაპზე მოჭარბებულად იხვეწებოდა ეთნოლოგიის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები და წყაროთმცოდნეობითი ბაზაც, რომელიც საუკუნეთა მიჯნაზე უკვე მოითვლიდა ახალი მეცნიერული დარგის – ქართული ეთნოლოგიის საბოლოო ფორმირებისათვის აუცილებელ მარაგს. ამასთან, კვლევა-ძიების გაშლა-გაფართოების პროცესში თანდათან იკვეთებოდა წმინდა ეთნოგრაფიული ხასიათის სხვა მიმართულებებიც, კერძოდ, ქართველი ხალხის უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობის – ტრადიციულ-ყოფითი კულტურის ის უმთავრესი პრობლემები, რომელთა კვლევისა და ანალიზის შედეგები ხელს უწყობდა ახალი პერიოდის ქართული ეთნოლოგიის განუხრელ აღმასვლას.

## 1. თედო სახოკია – პირველი ქართველი პროფესიონალი ეთნოგრაფი. ქართული ეთნოლოგიური ნაშრომები დასავლეთის სამეცნიერო პუბლიკაციებში

XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ენოგრაფიაში მეტად ნაყოფიერი და მრავალმხრივია ცნობილი ეთნოგრაფისა და ლექსიკოგრაფის *თედო სახოკიას* მოღვაწეობა. ჯერ ჟენევის, ხოლო შემდეგ სორბონის უნივერსიტეტის მსმენელი, იგი იყო ევროპის ეთნოლოგიის უახლესი მიღწევების უშუალო მინაწილე და ქართულ პრესაში აქტიურად ეხმაურებოდა აღნიშნულ დარგში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებსა და პროცესებს.

ეხებოდა რა თედო სახოკიას დამსახურებას ქართული ეთნოგრაფიის წინაშე, *გიორგი ჩიტაია* წერდა: „თ. სახოკია ქართველ ეთნოგრაფთა იმ წრის თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომელმაც მოღვაწეობა ილია ჭავჭავაძის თაოსნობით დაიწყო ჯერ კიდევ წარსული საუკუნის 80-90-იან წლებში და რომელმაც თავისი უანგარო და თავდადებული შრომით ქართულ ეთნოგრაფიას დიდი სამსახური გაუწია.

ეს ის დრო იყო, როდესაც საქართველოში ისპობოდა ფეოდალური გადმონაშთები, ყალიბდებოდა კაპიტალისტური ურთიერთობა, იქმნებოდა ეროვნული ბაზარი, ბურჟუაზია და საწარმოო პროლეტარიატი, მიმდინარეობდა მტრების მიერ მიტაცებული მიწაწყლის დედა-სამშობლოსთან შემოერთება. ამ დროს ქართველი ხალხის ნაციად ჩამოყალიბება ხდებოდა.

საქართველოს ისტორიის ამ პერიოდში ქართულ ეთნოგრაფიასაც შეჰქონდა თავისი წვლილი და შეძლებისდაგვარად ემსახურებოდა თავის დროის საჭიროებას“[1].

სამეცნიერო-პუბლიცისტური მოღვაწეობა სახოკიამ დაიწყო 1888 წელს ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“. 1900 წელს იგი შევიდა პარიზის უმაღლეს ანთროპოლოგიურ სასწავლებელში. 1901 წლიდან სახოკია თანაშრომლობს რომში მიხეილ თამარაშვილთან, 1902 წლიდან კი საფრანგეთში მყოფი ქართველების ახალგაზრდული გაზეთის – *საქართველოს* რედაქტორია. აქ მოღვაწეობისას იგი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის წერილებს ფრანგულ და ინგლისურ ენებზე აქვეყნებს.

*გ. ჩიტაია* თ. სახოკიას ეთნოგრაფიული შემოქმედების ზოგადი შეფასებისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მკვლევარის ფართო განსწავლულობას. ამასთან, იგი განსაკუთრებულად გამოჰყოფდა სახოკიას სამუზეუმო საქმიანობასაც, რაც ძირითად ეთნოგრაფიული კოლექციების შეგროვებაში აისახა. „თ. სახოკია თავისი დროისათვის კარგად მომზადებული, გამჭრიახი და გონებამახვილი მკვლევარი-ეთნოგრაფია, – წერდა გ. ჩიტაია. მას დაწერილი და დაბეჭდილი აქვს არა ერთი და ორი ეთნოგრაფიული ნარკვევი ქართულ, რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ და იტალიურ ენებზე. ამასთან ერთად, თ. სახოკია ეთნოგრაფიული კოლექციების შესანიშნავი შემგროვებელია. მის მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული საკოლექციო კომპლექსები სხვადასხვა მუზეუმებშია დაცული, სახელდობრ: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (თბილისი), რუსეთის ეთნოგრაფიულ მუზეუმში (ლენინგრადი), საფრანგეთის ანთროპოლო-

გიური საზოგადოების მუზეუმში (პარიზი) და სხვ. თ. სახოკიას არაერთგზის მიუღია მონაწილეობა საერთაშორისო ეთნოგრაფიულ ყრილობებში"[2].

*თედო სახოკია* ბევრს მოგზაურობდა ევროპისა და აზიის ქვეყნებში, განსაკუთრებით კი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, რომლის შედეგებსაც ეთნოგრაფიული წერილების სახით აქვეყნებდა გაზეთებში *დროება, სახალხო გაზეთი, მოამბე, ცნობის ფურცელი, ნოვოე ობოზრენიე, კავკაზი* და სხვ. თავის ეთნოგრაფიულ ნაწერებში თ. სახოკია მოვლენებს და ფაქტებს აღწერდა საკმაოდ სისრულით, თითქმის ყოველმხრივ და შედარებით ზუსტად. ეთნოგრაფიული სინამდვილე ავტორის მიერ ფიქსირებულია დროის გარკვეულ მონაკვეთზე, ამგვარად აღწერილ მასალას კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება წერილობით-ისტორიული კვლევის ყველა პროცესებში. მკვლევარს აქვს შესაძლებლობა გარკვეული დროისათვის ფიქსირებული მასალა შეადაროს შემდეგ ხანებში მოცემულ ფაქტებს, ისევე როგორც წინა პერიოდის მოვლენებს და ამ გზით მოვლენის არსი, მისი წარმოშობის პირობები, მისი განვითარება, მისი მოძრაობა" გაარკვიოს[3].

თ. სახოკიას საველე-ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდოლოგია იმდროინდელი მოწინავე ევროპული მეცნიერების მონაპოვრებთანაა შეჯერებული. მისი ნაშრომებიდან ნათლად ჩანს, რომ იგი კარგად იცნობდა იმროინდელი გერმანული (*ფ. გრებნერი)* და რუსული (*ნ. ნადეჟდინი, კ. კაველინი*) ეთნოლოგიის მიღწევებს ამ სფეროში. გ. ჩიტაიას შენიშვნით თ. სახოკიას მიერ შეგროვებული მასალა სავსებით აკმაყოფილებს თანამედროვე ეთნოგრაფიის მკაცრ მოთხოვნილებებს, სახელდობრ, ეთნოგრაფიული ფაქტის ცოცხალ სინამდვილეში დადგენის კომპლექსურ-ინტენსიურ მეთოდს. ამასთან, თ. სახოკიას ეთნოგრაფიულ ნაწერებში უხვადაა მოცემული საქართველოს ეთნოგრაფიული სინამდვილის ამსახველი მასალა, რომელზედაც დაყრდნობით რიგი მეცნიერული ღირებულების მქონე საკითხი სწორადაა დასმული და სათანადოდ გადაწყვეტილი[4]. სწორედ ამითაა განპირობებული, რომ კლასიკური ეთნოგრაფიული მეთოდოლოგიით შესრულებულ მის ნაშრომებს დღესაც უაღრესად დიდი წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა გააჩნიათ.

თედო სახოკიას პირველი ეთნოგრაფიული ნარკვევები პარიზის, პეტერბურგისა და თბილისის პრესაში გამოქვეყნდა. მკვლევარის მეცნიერული ინტერესები იმთავითვე ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის, სოციალური ურთიერთობის სფეროები გახლდათ და პრობლემათა ფართო სპექტრიც ამ ინტერესებით იყო განსაზღვრული[5]. ავტორმა სპეციალური წერილები მიუძღვნა სამეგრელოში მითოლოგიის საკითხებსა და წმინდა გიორგის კულტს, მონოგრაფიულად შეისწავლა და გამოაქვეყნა *„მიცვალებულის კულტი სამეგრელოში"*[6].

მეგრელთა მითოლოგიის სფეროდან სახოკია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა *მითებს ავი სულების* შესახებ, რომელთა შორისაც ყველაზე სრულად მას *ოჩოკოჩზე* და *დიხაშკოჩზე* არსებული რწმენა-წარმოდგენები აქვს აღწერილი[7]. ასევე დაწვრილებითაა მიმოხილული *ახალ წელთან ანუ კალანდასთან* დაკავშირებული რიტუალები, კერძოდ, აღწერილია მეგრული ოჯახის საკალანდო სამზადისი, მეკვლის ანუ *მაკუჩხოლეს* ინსტიტუტი და ა.შ.[8] ქორწინების ინსტიტუტზე მსჯელობისას სახოკია დაწვრილებით აღწერს მეგრელთა

ნათესაობის სისტემას, *გინოძირაფას* ანუ საცოლის გასინჯვის პროცედურას, *შანუას* ანუ დანიშვნას, *მოყონოფას* ანუ საცოლის მოყვანას საქმროს სახლში და *დიარას* ანუ საქორწილო ლხინს. ავტორს მხედველობიდან არ რჩება მზითვის პრობლემა, ნეფე-დედოფლის საქორწინო სამოსელი და თავსაბურავი და ა.შ.[9]

და მაინც, *თედო სახოკიას* ყველაზე მნიშვნელოვან ნაშრომად გაზეთ *ცნობის ფურცელის* სპეციალური დავალებით განხორციელებული ეთნოგრაფიული „*მოგზაურობანი*" უნდა ჩაითვალოს[10], რომლის მიზანიც გახლდათ ფართო მკითხველისათვის გაეცნო იმდროინდელი დასავლეთ საქართველოს მდგომარეობა. „მიუხედავად იმისა, რომ ფორმით ჩვენ საქმე გვაქვს მგზავრის წერილებთან – წერდა აკად. გ. ჩიტაია, ავტორი მგზავრის შთაბეჭდილებათა გადმოცემის გზით ცოცხალ ეთნოგრაფიულ სინამდვილეს ასახავს. თ. სახოკია ვრცლად გადმოგვცემს გურიის, აჭარის, სამურზაყანოსა და აფხაზეთის მოსახლეობის საწარმოო გამოცდილებას, შრომით ჩვევებს და კულტურულ ვითარებას. კერძოდ, მას აწერილი აქვს ამ ტომების მიწისმოქმედება, მესაქონლეობა, ხელოსნობა, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები. ჩაცმულობა, გადასაზიდი და გადასაყვანი საშუალებები, ყოფაქცევა, ზნე-ჩვეულება, ხალხური სიტყვიერება და სხვა, რომელშიც მოცემულია ბევრი ახალი, მანამდე ლიტერატურაში უცნობი ეთნოგრაფიული ფაქტი და თავისებურება. თ. სახოკიას მიერ აღწერილი ეთნოგრაფიული ფაქტები და მოვლენები მკვლევარს აძლევს საშუალებას ახლებურად გაარკვიოს დღემდე უმართებულოდ გადაწყვეტილი რიგი საკითხი"[11].

გურიაში მოგზაურობისას ავტორის ყურადღება მიუპყრია ისტორიული და ახლანდელი გურიის საზღვრებს, ისტორიულ და ზეპირსიტყვიერ ცნობებს ტერმინ „*გურიის*" შესახებ, მოსახლეობის საქმიანობას, კერძოდ ვაჭრობასა და აღებ-მიცემობას, რაც აქ, ისევე როგორც მთლიანად საქართველოში საუკუნის დასასრულის კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების შედეგად მოიჩნია. ავტორი მხედველობიდან არ უშვებს ვაჭრის ჩაცმულობასაც და ხაზს უსვამს, რომ ეკონომიკური პროგრესის მიუხედავად, ვაჭარი ჯერ კიდევ ქართულ სამოსელს ატარებს და იშვიათია ევროპულ ტანსაცმელში გამოწყობილი გურული[12].

ოზურგეთის საგანმათლებლო ცენტრების აღწერის გვერდით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გურიის სოფლის სურათები. ავტორი დეტალურად აღწერს გურულ კარ-მიდამოს, მეურნეობის დარგებს, ადგილობრივი გლეხობის რწმენა-წარმოდგენებსა და ა.შ. სახოკიამ ერთერთმა პირველმა ქართველ მეცნიერთაგან აღწერა *ქართული ჩამური* და მისი ვარიაციები, რომელმაც შემდგომში მკვლევარებს საშუალება მისცა გამოეთქვათ ვარაუდი ამ მეტად ფასეული კულტურული ელემენტის ადგილობრივი ქართული წარმოშობის შესახებ[13].

დაბოლოს, სახოკია აღფრთოვანებულია გურულების სილამაზითა და სიჩაუქით, რაც არაერთხელ აქვს აღნიშნული თავის ჩანაწერებში[14].

მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ სახოკიას მოგზაურობა აჭარაში, რომელიც ის-ის იყო განთავისუფლდა ოსმალეთის მრავალსაუკუნოვანი ბატონობისაგან. ავტორი ზემო აჭარაში გურია-აჭარის მთიდან გადასულა და მისი ყუ-

რადღება იმთავითვე მიუპყრია აჭარელთა ეროვნული ცნობიერების საკითხს. მანიშნებელია, რომ აჭარელი გლეხისა თუ წარჩინებული ფენის ყოფა-ცხოვრების ყველა დეტალის აღწერისას, სახოკია მრავალგზის უსვამს ხაზს მათ ტრადიციულ ქართულ ხასიათს. აჭარელის კარ-მიდამო, სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობანი, მეურნეობის დარგები და მათი გაძღოლის ხერხები, სტუმარმასპინძლობის ტრადიციები, სისხლის აღების წეს-ჩვეულება, რწმენა-წარმოდგენები, მშობლიური ენის შემონახულობა და დაცვა, სამშობლო მიწის ერთგულება და სიყვარული, აგრეთვე ყოფის სხვა მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო კომპონენტები სახოკიას უცილობლივ მიაჩნია იმის დასტურად, რომ აჭარის მოსახლეობამ უცხოელ დამპყრობთა მძიმე უღელის პირობებშიც კი შემოინახა ცხოვრების ქართული წესი – ქართველობა[15]. ავტორის ამ მონაცემებსა და დასკვნებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აჭარის, საქართველოს ამ ძირძველი კუთხის ადგილისა და როლის განზოგადოებული შეფასებისას სამხრეთ-დასავლეთ და, საერთოდ, საქართველოს უახლეს ისტორიაში.

მრავალმხრივ საყურადღებო და მნიშვნელოვანია თედო სახოკიას ეთნოგრაფიული ჩანაწერები სამურზაყანოსა და აფხაზეთის შესახებაც.

სამურზაყანოში ავტორი დიდ ყურადღებას აქცევს მეგრული სოფლის დასახლების ფორმას და სამართლიანად განასხვავებს აქაურ გაფანტულ დასახლებას აღმოსავლეთ საქართველოს შეჯგუფული სამოსახლოებისაგან. ქართულ ეთნოგრაფიაში ერთერთი პირველი და სრულყოფილია მეგრული კარმიდამოს, სახლისა და კერის სახოკიასეული აღწერა[16], რაც შემდგომ და დღესაც სამეგრელოს ისტორიითა და ეთნოგრაფიით დაინტერესებულ მკვლევართა სანდო და პირველხარისხოვან წყაროთმცოდნეობით მასალას წარმოადგენს.

სამეურნეო ყოფის სფეროდან ასევე ფასეულია ავტორის ჩანაწერები მეგრული მეჯოგეობის შესახებ, განსაკუთრებით კი მეგრული სულგუნის დამზადების შესახებ[17], რამაც შემდგომ ტექნოლოგიური პროცესების შედარებისა და ანალიზის საფუძველზე, ქართველ მეცნიერებს საშუალება მისცა დაეყენებინათ იგი სახელგანთქმული *იტალიური კაჩკავალიოს* გვერდით[18].

მეტად საყურადღებოა მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული მონაცემები მესაქონლეობის მფარველი ღვთაების *მიქელ-გაბრიელის (მიქამ-გარიოს)* შესახებაც[19].

თედო სახოკიას *მოგ ზაურობის* ციკლს აგვირგვინებს აფხაზეთი, რომლის შესახებაც ავტორმა ასევე მნიშვნელოვანი წყაროთმცოდნეობითი მასალები დაგვიტოვა. ზემოთ აღნიშნული ეთნოგრაფიული სიუჟეტის გვერდით სახოკია აფხაზეთში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სულიერი კულტურის სფეროს. იგი დიდი მეცნიერული გულისყურითა და სიზუსტით აღწერს ნმინდა ხისა და ხეივნების კულტს აფხაზეთში[20], რაც კავკასიის ხალხებში არაერთხელ აღუნიშნავთ ზემოთ დასახელებულ ევროპელ მკვლევარებს.

თედო სახოკია საყურადღებო მონაცემებს იძლევა აფხაზთა მიცვალებულის კულტის შესახებ. აღწერს რა გლოვა-დასაფლავების წესსა და მიცვალებულის სულის მოსახსენებელ სხვა რიტუალებს, ავტორი აფიქსირებს აღნიშნული კულტის რადიკალური ტრანსფორმაციის ფაქტს აფხაზეთში, მაშინ როდესაც XVI საუკუნის ცნობილი იტალიელი მისიონერის *არქანჯელო ლამბერტის*

ცნობით აფხაზები მიცვალებულს არა მიწაში მარხავდნენ, არამედ ხეებზე ჰკიდებდნენ.

ასეთი მრავალმხრივი და მრავალფეროვანია თედო სახოკიას ეთნოგრაფიული შემოქმედების ძირითადი მიმართულებები და შედეგები, რომლითაც ავტორმა საუკუნის გასაყარის ქართული ეთნოგრაფიის საბოლოო ჩამოყალიბებისა და ფორმირების საქმეში ღრმა კვალი გაავლო. როგორც ზემოთ დავინახეთ, გ. ჩიტაიამ სათანადოდ შეაფასა მხცოვანი მკვლევარის ეს დამსახურება ქართული ეთნოგრაფიის წინაშე და მისი ნაშრომების მნიშვნელობასა და ღირებულებას ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადო ადგილი მიუჩინა. თედო სახოკიას ამ დამსახურების შესახებ იგი კონკრეტული მაგალითებით მსჯელობს და წერს: ავტორს საკმაო სიზუსტით აქვს აღწერილი გურული *ჩამური*, მისი მუშაობის პროცესი და დამზადების ტექნიკა. ეს აღწერილობა მდიდარ მასალას შეიცავს ამ კომპლექსური იარაღის წარმოშობის საკითხის გადასაჭრელად.

დასავლეთის სამეცნიერო ლიტერატურაში თავისი წარმოშობით ეს იარაღი ევროპის კულტურულ წრეს განეკუთვნება და ინდო-ევროპული ჩამომავლობის ხალხთა მონაპოვრადაა მიჩნეული. ამავე თეორიის თანახმად, ჩამური დასავლეთ ევროპიდან, კავკასიაზე გავლით, შორეულ აღმოსავლეთში გავრცელდა; საქართველოსა და კავკასიაში იგი გარედან შემოტანილი, სესხების გზით მიღებული იარაღია *(E. Meynen)*. ამჟამად, როდესაც ქართული და კავკასიური ჩამურები შესწავლილია, ირკვევა, რომ საქართველო და კავკასია ჩამურის წარმოშობის საკითხში გვევლინებიან არა როგორც გადამცემი რგოლი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, არამედ როგორც დამოუკიდებელი კულტურის კერა, სადაც ეს კომპლექსური იარაღი წარმოიშვა და აქედან სხვა ქვეყნებში გავრცელდა[21].

თედო სახოკიას ნაშრომთა ზოგადთეორიული მნიშვნელობის ხაზგასასმელად გ. ჩიტაიას მეორე მაგალითიც მოჰყავს. „ასევე დეტალურად და სისრულით თ. სახოკიას აღწერილი აქვს დასავლეთ საქართველოს შუაცეცხლიან სახლთან დაკავშირებული კერა და მისი შემადგენელი ნანილები – წერს იგი. კერძოდ, აღწერილია *ასაყრები, ოჯინჯალი, სხვენი, თავანი* და მათი ნაირსახეობანი. ამ მეტად მდიდარი მასალის გვერდით ღარიბად გამოიცქირება თურქული სახლის *თავანების* აღწერილობა. ამისდა მიუხედავად ბურჟუაზიული მეცნიერები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ თავანის კონსტრუქციის შემქმნელები თურქები არიან (*Fr. Nopcsa*). ეს მკვლევარები ანგარიშს არ უწევენ იმ უდავო ვითარებას, რომ ტერმინი თავანი თურქული ტომებიდან მხოლოდ ანატოლიელ თურქებს აქვთ, რომ შუა აზიის თურქული მოსახლეობა ამ ტერმინს არ იცნობს და რომ თურქული ენის მონაცემების საფუძველზე შეუძლებელია ამ ტერმინის ძირის ახსნა. სულ სხვა ვითარებაა ამ ტერმინთან დაკავშირებით ქართულში, სადაც, ერთის მხრივ, თავანის კონტრუქცია ნაირსახითაა მოცემული, დანყებული სადა აღნაგობიდან, რთული კონსტრუქციით დამთავრებული (ზემო სვანეთის მასალა). მეორე მხრივ, თავანს ქართული ეტიმოლოგია აქვს და ქართული ენის მონაცემების საფუძველზე სავსებით დამაკმაყოფილებლად ირკვევა მისი აზრობრივი შინაარსი. ამის მიხედვით აშკარაა, რომ თავანი ანატოლიის თურქულში ქართულიდანაა შესული და არა პირუკუ, როგორც ამას ბურჟუაზიული მეცნიერები ცდილობენ დაამტკიცონ“[22].

გ. ჩიტაიას ამ შეფასებიდან ჩანს, რომ თედო სახოკიას ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა საუკეთესო მაგალითია ჭეშმარიტი მკვლევარი-მამულიშვილისა, რომელიც კარგად იცნობს, ობიექტურად აფასებს და სათანადოდ იყენებს თანადროული მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენელთა ეთნოგრაფიულ მონაცემებს კავკასიის ხალხების შესახებ და ახალი მასალებით ამდიდრებს მას.

ახალი ქართული ეთნოგრაფიის სათავეებთან თედო სახოკიას წილად ხვდა ევროპული ყაიდის სამეცნიერო ტრადიციებზე აღზრდილი პირველი ქართული პროფესიონალი – ეთნოგრაფის საპატიო სახელი, რომელიც ევროპელ მოგზაურ-მკვლევართა შემთხვევითი ეთნოგრაფიული ჩანაწერებისაგან გასხვავებით, საველე – საექსპედიციო მუშაობას ადგილზე სპეციალურად შერჩეული ინტევიუერის მეშვეობით ახორციელებდა. ასეთი მიდგომა შესაბამისად ზრდიდა ჩაწერილი მასალის სანდოობისა და მეცნიერული ღირებულების ხარისხს. თ. სახოკიამ ამ მეთოდზე დაყრდნობით ჩაიწერა თავისი გამოკვლევების, წერილებისა და სტატიების, აგრეთვე *მოგზაურობანის* ცნობილი დღიურები, რომელშიც ზედმიწევნითი სიზუსტითაა აღნუსხული *ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, საოჯახო ყოფის თავისებურებანი, ქორწინებისა და ნათესაობის ინსტიტუტები, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებები, ხალხურ დღესასწაულებთან დაკავშირებული რიტუალები და ცერემონიალები* და ა.შ.

თ. სახოკიას მნიშვნელოვან დამსახურებად უნდა ჩაითვალოს აღნიშნულ სიუჟეტებზე შესრულებული *სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება საზღვარგარეთ ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე,* რომელთა მეშვეობითაც ევროპელი მკითხველი პირველად გაეცნო ობიექტურად გააზრებულ ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეს. ბუნებრივია, ქართველი მკვლევარის ამ მონაპოვარს მხოლოდ ინფორმაციული მნიშვნელობა როდი გააჩნდა. *თედო სახოკიამ პრაქტიკულად პირველმა ჩაუყარა საფუძვლი ქართული ეთნოგრაფიული სინამდვილის მეცნიერული კვლევის შედეგების რეალურ ინტეგრაციას ევროპულ მეცნიერებაში,* რაც სცილდებოდა უბრალო ინფორმაციულობის ზღვარს და ხელს უწყობდა ქართული ეთნოლოგიის შემდგომ წინსვლასა და განვითარებას.

## 2. ნიკო მარი და ქართულ-კავკასიური ეთნოლოგიის პროგლემები

XX საუკუნის დასაწყისის კავკასიათმცოდნეობის, კერძოდ საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიისა და ენათმეცნიერების მნიშვნელოვანი პრობლემების კვლევა-ძიებაში დიდი წვლილი მიუძღვის გამოჩენილ მეცნიერს *ნიკო მარს*. მის ფუნდამენტალურ ნაშრომებს საქართველოსა და კავკასიის უძველესი და ძველი ისტორიის, კერძოდ, ქართველი და კავკასიელი ხალხების ეთნოგენეზის, ეთნიკური ისტორიის, ეთნო-გენეტიკური და ეთნო-კულტურული ურთიერთობების შესახებ ფუძემდებლური მნიშვნელობა გააჩნიათ ქართველი ხალხის განვითარება-ჩამოყალიბების ისტორიული კანონზომიერების კვლევისა და ანალიზის პროცესში. XX საუკუნის დასაწყისის კავკასიათმცოდნეობაში არ არსებულა არც ერთი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი დარგი, რომელთა საპრობლემო საკითხის დასმისა და გადაწყვეტის საქმეში ნიკო მარს თავისი წვლილი არ შეეტანოს.

დიდია *ნიკო მარის* დამსახურება ქართველი და კავკასიელი ხალხების სულიერი და მატერიალური კულტურის, კერძოდ, ქართული დამწერლობისა და ნივთიერი კულტურის ძეგლების, საერო და სასულიერო ლიტერატურის, ეროვნული ცნობიერებისა და ეთნიკური ფსიქოლოგიისა თუ ეთნოგრაფიული მეცნიერებისათვის სხვა უმნიშვნელოვანესი პრობლემებისა და მიმართულებების თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპების შემუშავებაში[1].

ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ (1884წ.), ნიკო მარმა კლასიკური განათლება მიიღო პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლური ენების სპეციალობით, სადაც იგი შემდგომში იყო აღნიშნული ფაკულტეტის დეკანი (1913 წლიდან), ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი (1924-1930 წწ.), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1930 წლიდან) და ამავე აკადემიის ნამდვილი წევრი (1932 წლიდან)[2].

მეცნიერული წრთობა ნიკო მარმა გაიარა სტრასბურგის, ვატიკანისა და რომის ბიბლიოთეკებში, სადაც იგი პირველად გაეცნო ქართულ ხელნაწერებს. 1898 წელს მარი მონაწილეობდა ნ. კონდაკოვის ექსპედიციაში ათონის მთაზე, ხოლო 1902 წ. სინას მთაზე ივ. ჯავახიშვილთან ერთად[3].

სომხური და ქართული ენებისა და მათი სხვა ენებთან ნათესაობის კვლევასთან ერთად (1888-1916 წწ.) ნიკო მარმა წამოყენა ჰიპოთეზა ქართული ენის სემიტურთან ნათესაობის შესახებ. ამასთან, მან ქართველურ ენებს ბიბლიური ნოეს შვილის იაფეტის მიხედვით – იაფეტური ენები უწოდა და სემიტური და იაფეტური ენები ერთი – ნოეტური ოჯახის ორ შტოდ გამოაცხადა[4].

მთის კავკასიურ ენათა შესწავლის შედეგად, ნ. მარმა იფეტურ ენათა წრეში შეიყვანა აფხაზურ-ადიღეური და ჩაჩნურ-დაღესტნური ენები (1916-1920 წწ.) და იაფეტური დამოუკიდებელ ენათა ოჯახად მიიჩნია. მოგვიანებით ამ ენათა ოჯახს მიაკუთვნა ბასკური, აგრეთვე წინა აზიისა და ხმელთაშუაზღვის მთავარი ენები – პელაზგური და ეტრუსკული (1920-1923 წწ.)[5]. ნაშრომში „*იაფეტური კავკასია და მესამე ეთნიკური ელემენტი ხმელთაშუაზღვის კულტურის შექმნაში*“, მარმა იაფეტური ეთნიკური ელემენტი ქრონოლოგიურად უფრო ადრეულად ცნო ვიდრე სემიტური და ინდოევროპული, ხოლო იაფეტიდები ხმელთაშუაზღვის აუზის უძველეს მოსახლეობად გამოაცხადა[6].

შემდგომი კვლევის პროცესში მარი იაფეტიზმებს მსოფლიოს ყველა ენაში ეძებდა. მან იაფეტური ენები აღიარა მეტყველების უძველეს სტადიად და ენათა ოჯახის ცნება საერთოდ უარყო[7].

*ნიკო მარი* უაღრესად თვითკრიტიკული იყო თავის საენათმეცნიერო თეორიის მიმართ და კვლევის პროცესში ხშირად იცვლიდა თავის შეხედულებებს. ნაშრომში „*ხმელთაშუაზღვის ინდევროპული ენები*“ (1923 წ.) მარმა გაწყვიტა კავშირი ადრინდელ ენათმეცნიერებასთან, იგი ბურჟუაზიულ იდეოლოგიაზე დამყარებულ მეცნიერებად გამოაცხადა და შექმნა ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება, რომელიც თითქოსდა მარქსისტულ ლინგვისტურ თეორიას ეყრდნობოდა. ამ თეორიაში ენა მიჩნეული იყო ზედნაშენ კატეგორიად და კლასობრივ მოვლენად. მარმა უარყო ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ენათა ოჯახების არსებობა და წამოაყენა სტადიალური განვითარების პრინციპი, სადაც ენები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ არა წარმოშობის, არამედ განვითარების სტადიების მიხედვით[8].

საბჭოთა მეცნიერებაში 1950 წელს მიმდინარე დისკუსიამ უარყო ნიკო მარის თეორიის ძირითადი დებულებები და არამარქსისტულად და გაუმართლებლად გამოაცხადა იგი.

მიუხედავად ასეთი ზიგზაგებისა ნიკო მარს დიდი დამსახურება მიუძღვის კონკრეტულ ისტორიულ-ფილოლოგიურ კვლევებში. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მან ქართველურ ენათა შესწავლის საქმეში. ფაქტობრივად ნიკო მარი ერთ-ერთი პირველი ქართველი მეცნიერი იყო, რომელმაც თავისი ფართოპლანიანი, ევროპული სტანდარტების დონეზე შესრულებული ნაშრომებით საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ენათმეცნიერების საკითხები ფართო ევროპულ ასპარეზზე გაიტანა. ჯერ კიდევ 1902 წელს ივ. ჯავახიშვილთან ერთად სინას მთაზე და იერუსალიმში ექსპედიციების შედეგების ზემოთხსენებული ანგარიშების გამოქვეყნებამ ევროპული მასშტაბის სენსაცია გამოიწვია. ამ თაობაზე გერმანელი მეცნიერი *ადოლფ ჰარნაკი* წერდა: „უძველეს ხალხთა უდიდეს ბრძნულ ქრისტიანულ ოჯახს ეკუთვნიან ქართველებიც. გამოჩნდებიან განა ჩვენში, გერმანიაში, ახალგაზრდა მეცნიერები, რომელნიც შეძლებენ შეისწავლონ ენა, მწერლობა და ისტორია იმ ხალხისა, რომელსაც თავისი ძველი კულტურით ძმური ნათესაობა ჰქონია ჩვენთან და გაგვაცნონ ახლოს მისი საუნჯე?“[9].

ნ. მარმა გააგრძელა, გააფართოვა და გააღრმავა ის სამეცნიერო მუშაობა, რასაც საფუძველი ჩაუყარეს პეტერბურგში *თეიმურაზ ბაგრატიონმა, მარი ბროსემ, დავით ჩუბინაშვილმა და ალექსანდრე ცაგარელმა*. მარის სახელს უკავშირდება ორი ფილოლოგიური სკოლის – ქართველოლოგიისა (*ივ. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე*) და არმენოლოგიის (*ნ. ადონცი, ი. ორბელიანი, გ. ლაფანციანი*) ჩამოყალიბება. მანვე დაუდო სათავე სპეციალურ სამეცნიერო დისციპლინას - ქართულ-სომხურ ფილოლოგიას[10].

შემოქმედებითი მოღვაწეობის ადრეულ პერიოდში ნიკო მარი ზოგჯერ აზვიადებდა უცხოური კულტურის გავლენებს ქართული ხალხის სულიერ კულტურაზე, მაგრამ შემდგომში სპარსული, არაბული თუ სომხური ლიტერატურის გავლენები ქართულ საერო და სასულიერო მწერლობაზე მან არსებითად უარყო და ძირითადი აქცენტი ქართული, ეროვნული კულტურის გენეტი-

კურ საწყისებზე გადაიტანა[11]. იგი თვლიდა, რომ ლიტერატურული გავლენების მისეული თეორია ჯერ მოძველდა, შემდეგ გადაყირავდა და ბოლოს მთლიანად ჩავარდა. „ჩვენ ძლიერ ვგრძნობთ უცხოურ სამყაროთა ცივილიზაციის უწვლილეს მოძრაობას, ქართულ კულტურაზე, რომ გავლენა მოუხდენია. ჩვენ აღვრიცხავთ ხოლმე მათი ენების ყველა შემონატანს, მაგრამ ჩვენ არ ვიცით ის ძალები, რომლებიც თვითონ ქართული ნიადაგიდან მოდის. ჩვენ არ ვიცნობთ ცოდნის უმთავრეს წყაროს ყველა გენეტიკური საკითხის თაობაზე სოციალური მოვლენების გარშემო. ჩვენ არ ვიცით ქართული ენა თავისი დამოუკიდებელი ფორმირებით. ეს ცოდნა ჩვენ გვაიძულებდა გადაგვესინჯა სესხების საკითხი" – წერდა ამის თაობაზე ნიკო მარი[12].

ნიკო მარი, ისე როგორც *„ქართული ენის ქებაში"* ავტორი, კარგად ხედავდა ქართულის არასახარბიელო მდგომარეობას დიდ საქვეყნო ენებთან შედარებით, მაგრამ ორივეს, *იოანე ზოსიმესა და ნ. მარს*, ურყევად სწამდათ ამ მშვენიერი ენის დიდებული მერმისი. „ქართულს და მის მონათესავე ენებს, ჩემთვის ყოველ ეჭვის გარეშეა, – აცხადებდა მარი – ფრიადი პატივისცემა და ჩვენთვის ახლა წარმოუდგენელი დიდება მოელის მეცნიერებაში"[13].

ცალკე აღნიშვნის ღირსია ნიკო მარის დამსახურება ქართული საერო და სასულიერო ლიტერატურისა და კულტურის შესწავლაში. 1902 წელს გამოვიდა მისი შესანიშნავი მონოგრაფია *„ძველი ქართული მეხოტბენი"*[14], რომელშიც თვალნათლივ გამოჩნდა ავტორის განსწავლულობის სიღრმე, ფართო ერუდიცია, ძეგლების იდეურ-მხატვრული ანალიზის სინატიფე, მწერალის ალღო და ინტუიცია, მეცნირულ-კრიტიკული ნიჭი, რომელიც ყველაზე უფრო ნათლად სწორედ ამ ნაშრომში გამოვლინდა. ნ. მარი ჭეშმარიტად ჩასწვდა მეხოტბეთა შემოქმედებით სულს, უაღრესად ენაწყლიან-რიტორიკული და ბუნდოვან სახოტბო სიტყვათა გროვაში მან ამოიკითხა მაღალი პოეტური აზრი, XII საუკუნის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებისა და ტრადიციულ-ყოფითი კულტურის არაერთი ნიუანსი. მარმა მნიშვნელოვანწილად განმინდა მეხოტბეთა წარყვნილი ტექსტი, თითქმის ოდინდელი მხატვრულ-ესთეტიკური სიცოცხლე და ჟღერადობა დაუბრუნა უკიდურესობამდე დახლართულ სახოტბო ლექსებს. მან უცილობლად დაასაბუთა, რომ მეხოტბეთა დახვეწილი, რაფინირებული ლექსი როდია მაჩვენებელი მარტოოდენ პოეტური ტექნიკის სრულყოფისა. მეხოტბეებს, კერძოდ, თამარიანის ავტორს, *ჩახრუხაძეს*, მარის გამოკვლევის თანახმად, მკაფიო მამულიშვილურ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია ასულდგმულებს. იგი გამოხატულია XII საუკუნის განათლებული ქართველი საზოგადოების მაღალმხატვრულ გემოვნებასა და სავსებით გათვითცნობიერებულ ეროვნულ-სარწმუნოებრივ და სახელმწიფოებრივ მესიანისტურ მსოფლმხედველო-ბაში[15].

ნ. მარმა ქართულ კულტურას შესძინა X საუკუნის ბრწყინვალე ძეგლი *„ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა"*. იგი ნაპოვნია 1902 წლის შემოდგომაზე იერუსალიმში. 1904 წლის ზაფხულში ნ. მარმა იმოგზაურა შავშეთ-კლარჯეთში, რათა საფუძვლიანად შეესწავლა გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების სამოღვაწეო ასპარეზის – *„ქართული სინის"* აწინდელი მდგომარეობა, შეემოწმებინა მერჩულეს მიერ საუცხოოდ მონათხრობი ძველი ქართული კულტურის ამ დიდებული კერის შესახებ. მხოლოდ 1911 წელს გამოვიდა მერჩულეს თხზუ-

ლების ტექსტი რუსული თარგმანით, გამოკვლევით, ლექსიკონით და შავშეთ-კლარჯეთში მოგზაურობის დღიურებით[16].

მოკლე შესავალ წერილში მარს მკაფიოდ აქვს გარკვეული *„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“* მნიშვნელობა ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. თავის გამოკვლევაში მარი ხაზს უსვამს იმას, რომ მერჩულეს თხზულება თავის რეალისტურობით იშვიათი მოვლენაა, საზოგადოდ, ჰაგიოგრაფიული ჟანრის მწერლობაში[17]. განსაკუთრებით ისაა საყურადღებო, რომ მერჩულე „ხშირად გვაყენებს მე-8-9 საუკუნეების საქართველოს ცხოვრების ინტიმური მხარის პირისპირ“. მარი საგანგებოდ ეხება ძეგლში აღბეჭდილ „ქართული ფეოდალური ცხოვრების რომანულ ელემენტს“, ჩერდება სიყვარულის იმ ორ ფორმაზე – დროებითზე და ხანიერზე, რასაც გვიხატავს მერჩულე. მარის სიტყვით, ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი *გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებით* ღებულობს ახალ მასალას ქალის კულტის იდეის შემუშავების თაობაზე ქართულ ისტორიულ სინამდვილეში, რაც შემდგომში მან ბრწყინვალედ დააგვირგვინა *„ვეფხისტყაოსნის“* სიუჟეტის კვლევისა და ანალიზის პროცესში[18].

ნიკო მარის შემოქმედების ეთნოგრაფიულ მხარეებზე მსჯელობისას განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მკვლევარის მოგზაურობა შავშეთ-კლარჯეთში. მარის მიერ აქ შედგენილი მოგზაურობის დღიურები პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული შესანიშნავი მეცნიერული დოკუმენტია. იგი შეიცავს უამრავ მასალას ამ მხარის ხუროთმოძღვრებიდან, ეთნოგრაფიიდან, ხალხური სიტყვიერებიდან, დიალექტოლოგიიდან და ა.შ. ნ. მარს წრფელი სიყვარულითა და გულისხმიერებით აქვს აღწერილი ოდესღაც აყვავებული და ან გაჩანაგებული ძველი ქართული კულტურის სამაგალითო კერები – ბერ-მონაზონთა სადგომები და დარბაზები, ხიდები, სამეურნეო დანიშნულების სხვადასხვა სათავსოები – საწნახლები, სარდაფები, სასიმინდეები და ა.შ., რომლებიც ნათლად ღაღადებენ ქართველი ხალხის სამეურნეო-კულტურული მოღვაწეობის საარაკო ღვაწლზე[19]. სამწუხაროდ, დამპყრობლებს ცდა არ დაუკლიათ, რათა ჩვენი ქვეყნის ეს დიდებული მხარე, პირველყოფილ ველურ მდგომარეობამდე მიეყვანათ. ქართული ხელოვნებისა და ყოფის უმნიშვნელოვანესი ძეგლებისადმი ასეთ დამოკიდებულებას ნ. მარის კანონიერი აღშფოთება გამოუწვევია, რაც სათანადოდ აისახა კიდეც მის დღიურებში და, რამაც მძაფრი პუბლიცისტური ჟღერადობა მიანიჭა მის ჩანაწერებს[20].

*ნიკო მარი* კანონზომიერად ითვლება მეცნიერული რუსთველოლოგიის ფუძემდებლადაც. მან დიდი ღვაწლი დადო „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებს, რუსთაველის იდეოლოგიასა და მისი ეპოქის შესწავლას[21]. მართალია, ადრეულ რუსთველოლოგიურ ნაშრომებში იგი ამაოდ დაშვრა ვეფხისტყაოსნის წყაროების უცხოური, კერძოდ სპარსული წარმომავლობის ძიებაში[22], მაგრამ ილია ჭავჭავაძისა და ქართველი მეცნიერების სამართლიანი კრიტიკის საფუძველზე, ნიკო მარმა საფუძვლიანად გადასინჯა თავისი რუსთველოლოგიური შეხედულებანი. ჯერ იყო და აღიარა რუსთაველის მხატვრული ენის, კერძოდ, რუსთველური ლექსის „მომაჯადოვებელი“ ხასიათი და ამით ხაზი გაუსვა პოემის ეროვნულ მნიშვნელობას. ამავე დროს, მარმა გაიზიარა ვეფხისტყაოსნის შინაარსის ეროვნულ-ისტორიული ინტერპრეტაციის თვალსაზრისი[23].

ნაშრომში – *„ვეფხისტყაოსნის შესწავლა და დამაბოლავებელი სიტყვები“*, ვეფხისტყაოსნის იდეური შინაარსის გულდასმით ანალიზის კვალობაზე ნ. მარი ასკვნიდა, რომ პოემის ავტორს ასულდგმულებდა ორი ძირითადი იდეა – *ქალის კულტი* (ქალის თაყვანისცემა) და *ძმადნაფიცობა*. ორივეს, ქალის კულტისა და ძმადნაფიცობის ძირებს იგი პოულობდა ქართულ ეროვნულ-სოციალურ სინამდვილეში[24].

მარის აზრით *ძმადნაფიცობა ქართული ეროვნული მოვლენაა*, ადგილობრივი ცხოვრების პროდუქტია, ღვიძლი ქართული ინსტიტუტია და არა გარედან შემოტანილი კულტურულ-სოციალური ცნება.

ამიტომაც, მკვლევარის აზრით, შოთა რუსთაველმა თავის პოემაში ძმობის წყაროდ ისლამი და ზოგადად რელიგია კი არ გამოაცხადა, არამედ ამ საერთოკავკასიურ ფენომენს ქართული ხალხური ინსტიტუტი – ძმადნაფიცობა დაუდო საფუძვლად.

ქართულ ეროვნულ ფესვებს უკავშირებდა მარი ვეფხისტყაოსნის უმთავრეს იდეურ-თემატიკურ მოტივს – ქალის თაყვანისცემასა და სიყვარულსაც. ნიკო მარი ბეჯითად ასაბუთებდა, რომ ვეფხისტყაოსნის მასულდგმულებელი იდეები, ვეფხისტყაოსნის უძირითადესი იდეურ-თემატიკური მოტივები (ძმადნაფიცობა და სიყვარული), ვეფხისტყაოსნის სალექსო საზომი ემყარება ქართველობის ეროვნულ-სოციალური სიმადვილის საძირკველს[25].

ნიკო მარის შეხედულება ქალის კულტისა და ძმადნაფიცობის ინსტიტუტის ქართული ეროვნულ-სოციალური სიმადვილისადმი კუთვნილების შესახებ თვალნათლივ დაადასტურა ქართველ ეთნოგრაფთა შემდგომდროინდელმა გამოკვლევებმა. ამ სოციალური ინსტიტუტების კვლევას, როგორც ქართული ეროვნული ფსიქიკისა და საბოლოო ჯამში ეროვნული ხასიათის ფენომენს, პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ეთნოლოგიურ კვლევაშიც, რომელთა მიხედვითაც დადასტურდა აგრეთვე ნიკო მარის ასევე მნიშვნელოვანი შეხედულება მათი საერთოკავკასიურ არეალში ქართული ეთნოგრაფიული სინამდვილიდან გავრცელების შესახებაც.

ქართველი ხალხის ეთნოგრაფიის, კერძოდ, ეთნოგენეზის, ეთნიკური ისტორიისა და შესაბამისი მეცნიერული ნომენკლატურის, მათი დეფინიციის მეტად საყურადღებო საკითხია განხილული ნიკო მარის გახმაურებულ ნაშრომში *„ქართველთა ეროვნება“*[26], რომელიც მან წერილის სახით გამოაქვეყნა დეკანოზ *ი. ვოსტორგოვის* მიერ უწმინდესის სინოდის წევრთა და სხვა წარმოჩინებულ პირთა კრების წინაშე ქართველი ხალხის მიმართ გამოთქმული არაკორექტიული, შეურაცხმყოფელი სიტყვის გამო. ნიკო მარი სრულ თანაგრძნობას უცხადებს განმათავისუფლებელ მოძრაობას, დაუნდობლად ამხილებს თვითმყრობელობის შავრაზმულ-შოვინისტურ პოლიტიკას. ნ. მარმა აქტიურად დაუჭირა მხარი ქართველი მშრომელი ხალხის ბრძოლას სოციალური თავისუფლების მოსაპოვებლად, კმაყოფილებით შეხვდა ქართველობის გამოღვიძებას. ნ. მარი ამ წიგნში მოკლედ, თვალის ერთი გადავლებით, იხილავს ქართული კულტურის განვითარების გზებს უძველესი დროიდან XIX ს. დამდეგამდის და აჩვენებს ქართველების გასაოცარ შემოქმედებით პოტენციას.

ჩვენ არ შევუდგებით საკითხთა იმ დიდი წრის მიმოხილვას, რომელთა შესახებაც ნიკო მარს არაერთი მნიშვნელოვანი დებულება აქვს გამოთქმული ამ

წერილში. ჩვენ შევეცდებით განვმარტოთ მარის დამოკიდებულება ქართველი ხალხის თვითსახელის – *საქართველოს* დეფინიციის, ქართული ეთნოსის კონსოლიდაციის საფუძვლების, ეროვნული თვითშეგნებისა და ცნობიერების ზოგიერთ საკითხებზე, რომელთა შესახებაც მარს XX საუკუნის დასაწყისში ეპოქალური მეცნიერული ცოდნის დონესთან შესაბამისი უაღრესად ორიგინალური მოსაზრებები აქვს გამოთქმული. შეიძლება ითქვას, რომ მარის შეხედულებებს ზემოთაღნიშნულ საკითხებზე აქტუალობა არც თანამედროვე ეთნოლოგიურ მეცნიერებაში დაუკარგავთ.

ეხებოდა რა ვოსტორგოვის შეხედულებას ტერმინ *საქართველოს* ვიწრო ეთნგრაფიული ინტერპრეტაციის შესახებ, ნიკო მარი აღნიშნულ ტერმინს ფართო ნაციონალურ-კულტურული, რელიგიური, პოლიტიკური თუ ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით განმარტავდა. „საქართველო არის ტერმინი უპირველესად ნაციონალურ-კულტურული. საქართველო ლინგვისტურად დანაწილებული ყოფილა ძველის-ძველადაც (როდესაც ეს ნაწილები უფრო დაშორებულიც ყოფილან ერთმანეთისაგან) სხვადასხვა ძმურად მონათესავე ენებად, დიალექტებად და უბნობებად. იგი ჩვეულებრივ განიყოფებოდა სხვადასხვა სახელმწიფოებად, მაგრამ ამასთანავე საქართველო ყოფილა მრთელი, როგორც ნაციონალურ-კულტურული ერთეული. მისი შემაერთებელი იყო, ქრისტიანობის მიღებიდგან, სხვათა შორის ეკლესია და საზოგადო სალიტერატურო ენა. შემდეგ ლიტერატურა შემუშავდა (განვითარდა საერო ლიტერატურაცა, ხელოვნური, ძველათე) და კიდევ უფრო მჭიდროთ და ძლიერად შეაკავშირა საქართველოს ტომები. განმტკიცდა და დამყარდა ადგილობრივი ნაციონალური კულტურა ერთის სალიტერატურო ენითურთ და ეს სალიტერატურო ენა ცნობილ იქმნა ქართულად“ – წერდა ნიკო მარი[27].

*ნიკო მარს* სწორი შეხედულება გააჩნდა სხვადასხვა დიალექტებით შემდგარ ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის შესახებ. ამასთანავე იგი კარგად არჩევდა ქართველ ტომთა კონსოლიდაციის ადრინდელ ეტაპს, ანუ ქართლის ტომთა გაერთიანებას შემდგომდროინდელ პროცესებისაგან, მაშინ როდესაც ქართული სალიტერატურო ენისა და შესაბამისად ქართველობის ფორმირების საქმეში გადამწყვეტი როლი სხვა ქართველმა ტომებმაც შეასრულეს. ამ უაღრესად რთულ და მნიშვნელოვან ისტორიულ პროცესებს ნიკო მარი თუმცა ენის მაგალითზე, მაგრამ არსებითად სწორად განმარტავდა. „ეს სახელი სწორია და მეცნიერულად კანონიერი მხოლოდ იმ შეხედულების გამო, თუ ჩვენ ლინგვისტურად განვმარტავთ მისს დიალექტურ საფუძველს. შეიძლება ვსთქვათ, რომ ეს სახელი სწორია ისტორიულის შეხედულებით, რადგანაც ამ საქმის მოთავეობა ეკუთვნოდათ ეთნოგრაფიულად და დიალექტოლოგიურად ქართველებად ცნობილს ტომებს. მაგრამ ეს იყო მეხუთე საუკუნეში ქრისტეს აქეთ. მერმე მეექვსე და მეშვიდე საუკუნიდან ამ სალიტერატურო ენის განვითარებაში მიიღებენ მონაწილეობას ქართლელ-ქართველების გარდა სხვა ქართველთა ტომებიც: იმერლები, მეგრელები, სვანები, ჭანები და სხვანი და ამათ საზოგადო ქართულ ლიტერატურაში ერთობით შეაქვსთ, რასაკვირველია, უფრო დიდი განძი, ვინემ თვით ქართლელებს. და ამგვარად ტომებრივი ლიტერატურა მათი გარდაიქმნა ნაციონალურად და სალიტერატურო ენა ქართულ დიალექტურისაგან ზოგად – ქართველთა ენად“ – წერდა იგი[28].

ერთიანი, ზოგადქართული ბუნებისა და რაობის მატარებელი ქართული ეთნოსის ჩამოყალიბების ამ რთულ პროცესში ნ. მარი არსებითად სწორად განმარტავდა ქართული სალიტერატურო ენის ღირებულებას კულტურულ-ისტორიული თვალთახედვით. ამასთან იგი ამ პროცესის სათავეს საუკუნეთა სიღრმეში ჭვრეტდა. „კულტურულ-ისტორიულის შეხედულებით ქართული სალიტერატურო ენა იმდენადვე სვანურია და მეგრული, იმდენადვე გურულია და იმერული, რამდენადაც ქართული. ის არის ღვიძლი სამწერლო ენა ყველა საქართველოს ტომებისათვის, სულ ერთია, რა კილოზედ, რა დიალექტზე, ან რა ენაზედაც უნდა საუბრობდეს იგი სახლში, თავის კერასთან და ეს ამნაირი მდგომარეობა მათი გუშინდლიდგან კი არ იწყება, მას აქეთ ათს საუკუნეზედ მეტს გაუვლია“ – წერდა იგი[29].

ნაციონალურ-კულტურული შეფერილობის ტერმინი *საქართველო*, რომლის ერთ-ერთ უმთავრეს საფუძვლად აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიის უმდიდრესი საუნჯე ქართული ლიტერატურა და სალიტერატურო ენაა მიჩნეული, ნიკო მარის აზრით თანდათან ფართოვდება „საპოლიტიკო მომენტისა“ და რელიგიის, კერძოდ ქრისტიანობის ნიადაგზე. იგი ერთ-ერთი პირველი მკვლევარი იყო, რომელმაც ქართველი ხალხის ეროვნული ცნობიერება ქრისტიანობას დაუკავშირა. „ქართველებს დიდი ხნიდან დაუმყარებიათ ნაციონალური თვითცნობიერება ქრისტიანობრივს საფუძველზედ. ამ თვითცნობიერებას, იმ დროებში ჩვეულებრივის ლეგენდარულის ფორმით გამოხატულს, ჰქონია რეალური სარჩული“. – წერდა ნიკო მარი[30].

ეს ურთულესი ფენომენი ნ. მარის შენიშვნით სულაც არ გახლდათ მარტივი პროცესების შედეგი. მკვლევარის აზრით განვითარებული ეკლესიურ-ნაციონალური ცხოვრება საქართველოში გახლდათ არა მხოლოდ მართლმადიდებლური, არამედ ადგილობრივი, ნაციონალური, რომელსაც გააჩნდა წინაპართაგან ნაანდერძევი საუკუნეებით ნაკურთხი და განწმენდილი ენა, წინაპართაგანვე გადმოცემული საკუთარი თქმულებანი, თავისი ადგილობრივი ეროვნული მოწამენი, თავისი ნაციონალურ-ეკლესიური იდეის მიმდევარი მოღვაწეები და ა.შ. სწორედ ამ იდეის რეალურმა განხორციელებამ შეაერთა ნაციონალურად და კულტურულად ქართველი ტომები სულით და ხორცით მონათესავე ერთ სხეულად[31].

ქართულ ისტორიოგრაფიაში ნ. მარმა ერთადერთმა პირველმა დასვა საკითხი ქართველი ხალხის ეროვნული ფსიქოლოგიის შესახებ, რომელსაც, მისივე აზრით ეროვნული კონსოლიდაციის განვითარება-განმტკიცებისათვის აუცილებელი ზემოთაღნიშნული კომპონენტების ერთიანობის იდეა ედო საფუძველად. „ამ იდეის რეალურმა განხორციელებამ დიდი ხანია შეაერთა ნაციონალურად და კულტურულად ყველა საქართველოს ტომები ერთს სულითა და ხორცით მონათესავე სხეულად. ამ ცხოველსმყოფელმა, ქართველთა ტომების ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებით შექმნილმა იდეამ განადიდა შემოქმედებითი ძალა საქართველოს ეკლესიისა და მისცა მას არა ჩვეულებრივი სიმტკიცე და ღრმად შთანარგა იგი ყველა მონათესავე საქართველოს ტომთა შორის, თითქმის სხვა ტომთა შორისაც, რომელნიც იყვნენ ფსიხოლოგიურად ქართველთა მონათესავე და ერთსული მათი“ – წერდა ამის თაობაზე ნიკო მარი[32].

ნიკო მარის შემოქმედების თეორიულ და მეთოდოლოგიურ მხარეებზე გარკვეული გავლენა მოახდინა მარის სტუდენტობის წლებში რუსულ აკადემიურ ფილოლოგიასა და ისტორიოგრაფიაში უკვე აღიარებულმა *ალ. ვესელოვსკისა და ვს. მილერის* პოპულარულმა მეცნიერულმა კონცეფციებმა. ეს კონცეფციები ძირითადად ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ნაწარმოებისა და სიუჟეტების სპარსულიდან მომდინარეობას ასაბუთებდა, რომლის მიხედვითაც ეს ნაწარმოებები, ამბები, ფაბულები თუ სიუჟეტები რუსეთსა და, შემდგომ კი ევროპაში სპარსულიდან კავკასია-საქართველოზე გავლით ვრცელდებოდა. ეს კონცეფცია მარის ახალგაზრდობის წლებში იმდენად პოპულარული გახლდათ, რომ რუსული ფოლკლორის ისეთი ძეგლებიც კი, როგორიც იყო *ბილინები ილია მურომეც ზე, სპარსული როსტომიანიდან* ნასესხებად მიაჩნდათ. იმდენად, რამდენადაც სპარსულ-რუსულ-ევროპულ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ დასესხებათა შუამავლად კავკასია-საქართველო მიაჩნდათ, იმხანად ქართულ მეცნიერებაშიც ფართო კვლევა-ძიება გაიშალა სპარსული სამყაროს შესასწავლად.

არ არის გასაკვირი, რომ ასეთ ვითარებაში ახალგაზრდა ნიკო მარის მეცნიერული ინტერესებიც ამ კონცეფციის გავლენებით განისაზღვრა. სპარსული გავლენების ქართულ გარემოში ძიების პრობლემას მიუძღვნა ნ. მარმა ადრინდელი ნაშრომები *„ვარდანის იგავების კრებული“* და *„ქართული რედაქცია ზღაპრისა სამი გონებამახვილი ძმის შესახებ „რუსუდანიანიდან“*. ამ კონცეფციის აშკარა გავლენითაა შესრულებული ნ. მარის შრომა *„წარმართული საქართველოს ღმერთები ძველი ქართული წყაროების მიხედვით“* და ა.შ.

მკვლევარის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ ადრეულ ნაშრომებში გამოიკვეთა ნ. მარის აღიარებულ კონცეფციასთან დაშორების კონტურებიც, მაშინ როდესაც მარმა აქცენტი სესხებიდან მოარული ამბის *„გაეროვნულობის“* შინაგანი მექანიზმების ძიებაზე გადაიტანა[33]. მეცნიერული კვლევის მიმართულების ამ შემობრუნებით ნიკო მარმა ეპოქალური ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევის პრობლემა ეროვნულ გარემოში გადმოიტანა და ამით ქართველი და კავკასიელი ხალხების ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევა-ძიება მყარ ეროვნულ ნიადაგზე დააყენა.

ნ. მარის მოღვაწეობას ქართულ ფოლკლორისტიკისა და ეთნოგრაფიის სფეროში ის საზოგადო ღირებულებაც გააჩნდა, რომ მან ყურადღების ცენტრში მოაქცია ჩვენი ეროვნული ზეპირსიტყვიერი ძეგლები და ნათელყო მათი ძირძველობა. ამასთანავე, ნ. მარმა ამ თვალსაზრისით კონკრეტულ მასალაზე მინიშნებით სამერმისო კვლევა-ძიების ფართო პერსპექტივებიც შექმნა.

ამრიგად, ნ. მარმა კავკასიურ, კერძოდ კი ქართულ, ფოლკლორსა და ეთნოგრაფიას დაუბრუნა თავისთავადობის სტატუსი და მისი არსებობის ფასი მხოლოდ კულტურულ ურთიერთობათა პროცესში თუნდაც აქტიური შუამავლის როლით არ შემოფარგლა, როგორც ამას *ვს. მილერი* ამტკიცებდა თავისი კონცეფციის ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზე. მაგალითად, *ამირანის* შესახებ არსებული ზეპირსიტყვიერი მასალა ნ. მარს *კავკასიურ ლეგენდად მიაჩნდა, რომელმაც „საბერძნეთს მიაღწია“ და „იქ პრომეთეს თქმულებად იქცა“, „მშობლიურ გარემოში კი... ამირანის, აბრსკილის და მჰერის* თქმულებებად გაფორმდა[34]“.

ნ. მარმა ქართული ზეპირსიტყვიერების ჩრდილო კავკასიურ, რუსულ, ჩუვაშურ და სხვა ჩრდილოელ და დასავლეთელ ხალხთა ფოლკლორთან კავშირის საკითხიც დააყენა. ამის კლასიკურ მაგალითად ესახებოდა მას ღვთაება *იშთარი* და მისგან უსასრულო ტრანსფორმაციათა გზით წარმოშობილი *ტრისტან და იზოლდას* მოარული ამბავი. ამ უსასრულო ტრანსფომაციათა წრეში იგი აქცევდა *აბესალომისა და ეთერის* თქმულებასაც. ნ. მარმა სხვა ამგვარი ფაქტიც მოიძია და აქცია სპეციალური კვლევის საგნად[35].

ნიკო მარის ადრინდელ შემოქმედებაში ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ ინტერესებზე მსჯელობისას პირველ რიგში საველე-შემკრებლობით საქმიანობაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. XIX საუკუნის მიწურულის ფოლკლორსა და ეთნოგრაფიაში პრაქტიკულ-შემკრებლობითი საქმიანობის მოყვარულ-ენთუზიასტური დონე ნიკო მარმა პირველად დააყენა მეცნიერული ფიქსაციის პრინციპებზე. მან შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობისას ზუსტი მეცნიერული მეთოდიკით ჩაიწერა ტექსტები, *„ენობრივი გაშალაშინების“* გარეშე და მოგვიანებით 1911 წელს გამოაქვეყნა *„შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურში“*, გამოკვლევითა და ლექსიკონით. ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ტექსტების დიალექტოლოგიური სიზუსტით ჩანაწერთან ერთად ნ. მარი ცალკეული ზეპირსიტყვიერი ნაწარმოების წარმომავლობისა და შექმნის სავარაუდო მითითებებსაც იძლეოდა. ნ. მარმა პირველმა ქართულ მეცნიერებაში ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ მთქმელი ერთისა და იმავე ზეპირსიტყვიერი ტექსტის თხრობის დროსაც კი ერთისა და იმევე სიტყვის სხვადასხვა ფორმას იყენებდა. მან დააფიქსირა მთქმელთა მიერ ხმარებული ბევრი სხვადასხვა პარალელური ფორმა. ეს კი ნათელყოფს, რომ ნ. მარი ქართულ ფოლკლორისტიკასა და ეთნოგრაფიაში ზეპირსიტყვიერი ტექსტების წმინდა მეცნიერული ჩაწერის დამწყებად უნდა ჩაითვალოს.

ზემოთ განხილული მონაცემები მოწმობენ, რომ ნიკო მარის მეცნიერულმა მოღვაწეობამ, რომელიც XIX-XX სს. მიჯნაზე ქართული ეთნოგრაფიის საბოლოო ფორმირების უმნიშვნელოვანეს ეტაპს დაემთხვა, მნიშვნელოვანწილად განაპირობა და ხელი შეუწყო საქართველოში ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების შემდგომ განვითარებას, მისი ძირითადი მიმართულების თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული მხარეების დახვეწასა და დაზუსტებას. თავისთავად ცხადია მარის გამოკვლევების მნიშვნელობა ქართველი და კავკასიელი ხალხების კულტურის, დამწერლობის, ენისა თუ ლიტერატურის შესახებ, სადაც იგი მრავალი ორიგინალური აღმოჩენის და თეორიული ანალიზისა და განზოგადოების ავტორია. კიდევ უფრო ფასეული და ღირებულია მკვლევარის ნაშრომები ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის პირობლემებზე, რაც საქართველოსა და კავკასიის აბორიგენული მოსახლეობის უძველესი ხანის ისტორიის ერთ მთლიანობაში გადაწყვეტას გულისხმობს. მანიშნებელია, რომ ნ. მარი კავკასიის ხალხთა უძველესი პერიოდის ეთნო-კულტურული და ეთნო-გენეტიკური კვლევების შედეგად ასაბუთებს *„ერთიანი კავკასიური კულტურული სამყაროს“* რეალური არსებობის იდეას, რომელსაც მან ივ. ჯავახიშვილთან ერთად ხანგრძლივი შრომა და დიდი ენერგია შეალია. ქართული ეთნოგრაფიისათვის უაღრესად საინტერესოა მარის გამოკვლევები და შესაბამისი მოსაზრებები ქართულ-კავკასიელ ტომთა მიგრაციის შესახებ მცირე აზიიდან, ჰიპითეზები

ქართულ-ურარტულ ტომთა ნათესაობის, ქართულ-ბასკურ პარალელებისა და სხვ. შესახებ, რომლებიც შემდგომში ამ პრობლემით დაინტერესებული ქართველი ეთნოგრაფების სახელმძღვანელო დებულებებად იქცნენ.

საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის მოგვიანო პერიოდიდან პრაქტიკულ-შემკრებლობითი თვალთახედვით, ასევე მეტად ღირებულია მარის მოგზაურობა და შესაბამისი დღიურები შავშეთ-კლარჯეთიდან, სადაც იგი საველე-ეთნოგრაფიული მასალების ჩაწერისა და ფიქსაციის ნოვატორად გვევლინება.

## 3. ექვთიმე თაყაიშვილი და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების როლი ქართული ეთნოლოგიის ჩამოყალიბებაში

XIX-XX საუკუნეების მიჯნა ქართული ეთნოლოგიის ისტორიაში ახალი მოვლენებით აღინიშნა. ეს ის დროა, როდესაც ევროპისა და ამერიკის მოწინავე ქვეყნებში ჩამოყალიბებულია ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების ცენტრები, არსდება ეთნოგრაფიული საზოგადოებანი, ეთნოგრაფიის კათედრები მსოფლიოს ცნობილ უნივერსიტეტებში. ეწყობა ეთნოგრაფიული მუზეუმები, გამოფენები, კონგრესები, იბეჭდება დიდძალი ეთნოგრაფიული ლიტერატურა მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების ყოფისა და კულტურის შესახებ. ეს ის დროა, როდესაც ეთნოგრაფია გამოდის ვიწრო სპეციალობის ჩარჩოდან და ფართო საზოგადოებრივ რეზონანს იღებს. ამ მასშტაბის ეთნოგრაფიული კველევა-ძიება შეუძლებელი ხდება ცალკეული, თუნდაც მაღალი პროფესიული ეთნოგრაფი-სპეციალისტების ენთუზიაზმით და იგი კარგად ორგანიზებული და გამოცდილი კოლექტივის ძალისხმევას თხოულობს. ეს ეხება არა მარტო საველე-შემკრებლობით მუშაობის, არამედ სათანადო დონეზე დაყენებულ კამერალურ კვლევა-ძიებასაც.

ეთნოგრაფიის შემდგომი წინსვლა და განვითარება, როგორც საზღვარგარეთის ქვეყნებში, ასევე საქართველოშიც, ამიერიდან სათანადო თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპებით აღჭურვილი, კარგად ორგანიზებული მეცნიერული კოლექტივის მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო. ბუნებრივია, ასეთი მეცნიერული კოლექტივის ჩამოყალიბებასა და მის გაძღოლას სათანადო მეცნიერულ დონეზე მომზადებული მეცნიერ-ორგანიზატორი ჭირდებოდა. საბედნიეროდ, სწორედ ამ პერიოდში გამოდის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოჩენილი ქართველი მეცნიერი საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი *ექვთიმე თაყაიშვილი,* რომელმაც ღრმა კვალი გაავლო საუკუნის გასაყარსა და შემდგომი პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ისეთ მნიშვნელოვან დარგებში, როგორიცაა ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, ფოლკლორი თუ მათი მომიჯნავე დამხმარე დარგები (ნუმიზმატიკა, ეპიგრაფიკა, წყაროთმცოდნეობა და სხვ.).

ექვთიმე თაყაიშვილის მრავალმხრივი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა თვალსაჩინოდ ჩანს მისი ბიოგრაფიული ნარკვევიდან რომელიც ი. მეგრელიძეს ეკუთვნის[1]. აქ მოტანილი მონაცემების მიხედვით, ე. თაყაიშვილი, სწავლა-განათლების მიღების შემდეგ სამშობლოში დაბრუნების დროიდან ენეოდა ფართო მასშტაბის საზოგადოებრივ მოღვაწეობას. 1889 წლის დასაწყისშივე იგი აირჩიეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საქართველოს მუზეუმის კომიტეტისა და ქართული დრამატიული საზოგადოების წევრად. 1892 წლიდან იგი ქართული წიგნების გამომცემელი ამხანაგობის სარევიზიო კომისიის წევრია. 1894 წლიდან ე. თაყაიშვილი გახლდათ რუსული არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრი, ხოლო 1905 წლის 10 აპრილიდან კი ამავე საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრი და მდივანიც.

ექვთიმე თაყაიშვილი ადრევე მონაწილეობდა რუსული გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუშაობაში, რომლის წევრად 1901

წელს აურჩევიათ. 1908 წლიდან იგი იყო რუსეთის აღმოსავლეთმცოდნეთა საზოგადოების თბილისის განყოფილების წევრი, ხოლო 1913 წლის აპრილიდან ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების საპატიო წევრი.

1922 წლის 4 თებერვალს ე. თაყაიშვილს ირჩევენ ფრანგ ნუმიზმატთა საზოგადოების, ხოლო 1925 წლის 13 ნოემბრიდან კი სააზიო საზოგადოების ნამდვილ წევრად. შემდგომ, უკვე ევროპაში, ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში, მას კიდევ რიგი უმაღლესი რანგის სამეცნიერო და კულტურული საზოგადოების წევრადაც ირჩევენ[2].

ექვთიმე თაყაიშვილის ფართო სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობა მხოლოდდამხოლოდ ამ საზოგადოების წევრობით როდი ამოიწურებოდა. მისი, როგორც ქართული მეცნიერებისა და კულტურის უანგარო მოამაგის მთავარი დამსახურება ის იყო, რომ იგი თავად გახლდათ მთელი რიგი სამეცნიერო-ლიტერატურული და კულტურული საზოგადოებების დამაარსებელი და ორგანიზატორი, რომელთა საქმიანობის გარეშეც XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს სამეცნიერო-კულტურული და ლიტერატურული ცხოვრება ძალზე უფერული და უღიმღამო იქნებოდა. საკმარისი იქნება დავასახელოთ *„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ (1879 წ. 31 მარტი), „საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის მოყვარულთა წრე“ (1900 წელს).* და ბოლოს, *„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“ (1907 წელს),* რომელთა წვლილი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში მართლაც რომ განუზომელია.

ე. თაყაიშვილი ისტორიკოსის, არქეოლოგისა და ეთნოგრაფის კარიერისათვის იმთავითვე ზრუნავდა და ემზადებოდა. „იმხანად უკვე გარკვეული მქონდა მუშაობის მთავარი მიზანი: რამდენადაც შეიძლებოდა და გარემოება ნებას მაძლევდა, შემეკრიბა მასალა საქართველოს ისტორია-არქეოლოგიისათვის; ყოველი ძალღონე მეხმარა ძეგლთა დაღუპვისა და დაკარგვისაგან გადასარჩენად; რაც შეიძლებოდა მეტი გამომემზეურებინა და მისაწვდომი გამეხადა მკვლევარისათვის. ეს მიმაჩნდა ჩვენი კულტურის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს საქმედ მაშინ, იმ რწმენით, რომ, როდესაც ასეთი მასალა საკმაოდ დაგროვდებოდა, გამოჩნდებოდნენ ჩვენში მეცნიერები, რომლებიც ჯეროვნად შეგვიდგენდნენ საქართველოს ისტორიას, გაგვიშუქებდნენ იმ, მართლაცდა, გადაუჭარბებლივ, დიად კულტურას, რომელსაც ქართველმა ერმა მიაღწია ჯერ კიდევ შორეულ წარსულში“ – წერდა უნივერსიტეტის ახლადკურსდამთავრებული ე. თაყაიშვილი[3].

*ე. თაყაიშვილის* უდიდესი ზრუნვა ისტორიული სიძველეების, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალებისა და სამუზეუმო კოლექციებისადმი კიდევ უფრო ნათლად ჩანს მის შემდგომ პასაჟებში: „ამ მუშაობაში რომ შევედი, საქართველო დავიარე და დავინახე, თუ რა უზარმაზარი მასალაა განწირული დავიწყებისა და ხშირად დაღუპვისათვისაც, პირდაპირ ამიტანა ფანატიკურმა მისწრაფებამ, რომ რაც შეიძლება მეტი მომესწრო, მით უმეტეს, რომ ჩემ თანამედროვეთაგან მაინცდამაინც აღარავინ მისდევდა ამ საქმეს ან ჯეროვნად ვერ აკეთებდა.

...სულ იმას ვშიშობდი ყოველ ნაბიჯზე, აი, ეს არ დაიკარგოს, აი, ის არ წახდეს-მეთქი! ვცდილობდი, ყველაფერი ამეწერა, გადმომეღო, ჩამეხატა; რაც შეიძლებოდა მეტი გამომეცა, შემეძინა, შემომეწირვებინა და საბოლოოდ, მუზეუმი შემექმნა, რომ ეს ყოველივე საიმედოდ ყოფილიყო შიგ შენახული" – წერდა იგი[4].

მკვლევარი ასევე საგულდაგულო ყურადღებას იჩენდა და დიდ იმედებს ამყარებდა სამუზეუმო კოლექციებზე. მისი აზრით, როდესაც „მასალები საიმედოდ თავმოყრილი, დაცული და პირველადი ინტერპრეტაციით გამოცემული იქნებოდა, მერე გამოგვიჩნდებოდნენ მკვლევარები, რომლებიც დარგობრივ, გულდაგულ დაადგებოდნენ მათ და გამართული, შეესებული ისტორიისა და მონოგრაფიის შესაქმნელად გამოიყენებდნენ[5]."

ექვთიმე თაყაიშვილს, როგორც ისტორიკოსსა და ეთნოგრაფს თავისი მეთოდოლოგიური მიდგომა გააჩნდა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალების შეგროვება-დაუნჯების, კვლევა-ძიებისა და ანალიზის მიმართ. ქართველი ხალხის სულიერი კულტურის, კერძოდ რწმენა-წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების შესწავლის პროცესში იგი ნინა პლანზე აყენებდა ისტორიზმის პრინციპების გათვალისწინებას, რაც შემდგომ, ბუნებრივია, ყოფისა და კულტურის სხვა სფეროებზე უნდა გავრცელებულიყო. იგივე ისტორიზმის პრინციპებია ნაგულისხმევი ქართული მწერლობისა და ისტორიოგრაფიის ძეგლთა შესწავლის პროცესში. ეთნოგრაფიული მასალა ე. თაყაიშვილის შენიშვნით, გვხვდება ქართლის ცხოვრებასა და წმინდათა ცხოვრებაშიც, აქტებსა და მხატვრულ ლიტერატურაშიც, *„ხელმწიფის კარის გარიგებასა", XVII საუკუნის „არჩილიანში", თეიმურაზ პირველის ნაწერებში, XVIII საუკუნის ვახტანგ VI-ის „დასტურლამაში", თეიმურაზ მეორის თხზულებებში, ვახუშტის ისტორიასა და გეოგრაფიაში* და სხვაგანაც. მკვლევარი კარგად არჩევს, იზიარებსა და აუცილებლად მიიჩნევს *ვახუშტი ბაგრატიონის* ევოლუციურ მეთოდს ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის შესწავლის საქმეში. მისი აზრით, ვახუშტი ჩინებულად ერკვევა და გადმოცემს არა მარტო იარაღ-აღჭურვილობის, დგამ-ჭურჭლის, ჩაცმულობისა თუ საცხოვრებელი და თავდაცვითი ნაგებობების, საერთოდ ხალხის ზნე-ჩვეულების დღევანდელ მდგომარეობას, არამედ იძლევა ევოლუციისა და განვითარების სურათსაც[6].

თავის მეთოდოლოგიურ შეხედულებებში ე. თაყაიშვილი ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მოპოვებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალის კრიტიკულ შეფასებასაც. შეიძლება ითქვას, რომ ე. თაყაიშვილი ახალ ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ისტორიულ-ეთნოგრაფიულ წყაროთა, ნივთიერ ძეგლთა თუ მოვლენათა კრიტიკული შესწავლა და შეფასება ქართული ისტორიოგრაფიის უპირველეს ამოცანად დაისახა და იგი თავისი შემოქმედებით რეალობადაც აქცია[7].

ე. თაყაიშვილის მეთოდოლოგიურ შეხედულებაში ყურადღებას იქცევს მისი პრინციპული დამოკიდებულება შედარებით კვლევის პრინციპისადმიც. უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი, როგორც ეპოქის შესაბამისი მეცნიერული ცოდნით აღჭურვილი მკვლევარი, გვერდს ვერ აუვლიდა იმ პერიოდში უკვე კარგად ცნობილ *შედარებით – ისტორიულ მეთოდს.* მართლაც თავისი ცნობილი ნაშრომის „*სამი ქრონიკის*" გამოქვეყნებისათვის ე. თაყაიშვილს საჭიროდ მიაჩნდა

„მათი შედარება სხვა ქრონიკებთან და ისტორიულ ცნობებთან, სხვადასხვა მანუსკრიპტების ცნობაში მოყვანა, მათს ისტორიულის ცნობების განმარტება, სიგელ-გურჯების შეგროვება, გამოქვეყნება და იმის ჩვენება, თუ რა მნიშვნელობა აქვს და რა ახალ მასალას გვაძლევს თითოეული ამგვარი წყარო და საზოგადოდ ასეთი მასალების შეძლებისამებრ კრიტიკულად შესწავლა"[8].

ასეთი თეორიული და მეთოდოლოგიური მომზადების შემდეგ შეუდგა ე. თაყაიშვილი საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ფართომასშტაბიანი კვლევის სამეცნიერო-ორგანიზაციული მხარეების მოგვარებას, რაც თავის თანამოაზრეებთან ერთად კიდევაც დააგვირგვინა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოების შექმნით და ჩამოყალიბებით.

შევეხებით რამდენიმე შტრიხს საზოგადოების დაფუძნების ისტორიიდან, რომელშიც კვლავ და კვლავ ნათლად ჩანს ე. თაყაიშვილის, როგორც გამოჩენილი მეცნიერისა და ორგანიზატორის ადგილი და როლი ამ დიდ ეროვნულ საქმეში. 1907 წლის 20 სექტემბერს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაფუძნების ისტორიულ კრებას ესწრებოდნენ საზოგადოების შექმნის მოთხოვნის განცხადებაზე ხელის მომწერნი: *ე. თაყაიშვილი* (თბილისის ქალთა II გიმნაზიის მასწავლებელი), თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წიანმძღოლი, თავადი *ა. ბაგრატიონ-დავითაშვილი, ექიმი გ. გაბაშვილი, თავადი ვ. მიქელაძე, ბ. ესაძე* და მათ მიერ შერჩეული ცნობილი პიროვნებები: *პ. თუმანიშვილი, ი. აფხაზი, მ. მაჩაბელი, ი. ფერაძე, გ. დიასამიძე, კ. მაყაშვილი, კალისტრატე ცინცაძე, კ. კეკელიძე, ს. გორგაძე, ს. იაშვილი* და სხვა, სულ 19 წევრი[9].

თავმჯდომარის – ე. თაყაიშვილის – წინადადებით ისენი აღიარეს საზოგადოების ნამდვილ და დამფუძნებელ წევრებად. ასეთებადვე დაუსწრებლივ აირჩიეს: *ა. ცაგარელი, მ. ჯანაშვილი, პოლიევკტოს და ვასილ კარბელაშვილები, დ. სარაჯიშვილი, ი. აბულაძე, ა. ყიფშიძე, ი. ზურაშვილი, ი. გოგებაშვილი* და სხვ. სულ 33 წევრი[10].

დამტკიცდა საზოგადოების 9 წევრისაგან შემდგარი *სამეცნიერო საბჭო*. წესდებით მისი თავმჯდომარე გახდა *ექვთიმე თაყაიშვილი;* თავმჯდომარის ამხანაგად აირჩიეს *დ. კარიჭაშვილი,* ხაზინადრად – *ალ. სარაჯიშვილი,* მუზეუმისა და ბიბლიოთეკის მცველად – *ი. ფერაძე,* მდივნად – *ს. გორგაძე,* წევრებად – *ა. ყიფიანი, პ. კარბელაშვილი, მ. ჯანაშვილი, იუსტ. აბულაძე; წევრობის კანდიდატებად – კ. ცინცაძე, კ. მაყაშვილი*[11].

საპატიო წევრად არჩეულ იქნა აკაკი წერეთელი. საგულისხმოა, რომ საზოგადოების არსებობის 10 წლისთავზე ნამდვილ წევრთა რაოდენობამ მიაღწია 468 კაცს, რომელთა შორის იყო სამი საპატიო წევრი – *კათალიკოს პატრიარქი კირიონ II, ალექსანდრე ცაგარელი და ნიკო მარი*[12].

„*წესდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა*", რომელიც ქართულ და რუსულ ენებზე 1907 წელსავე გამოიცა, შეიძლება ქართული ისტორიოგრაფიის, განსაკუთრებით კი ეთნოგრაფიის განვითარების საეტაპო მოვლენად ჩაითვალოს. „ამ საზოგადოების საგანია შეგროვება, შენახვა და მეცნიერული შესწავლა საისტორიო, საარქეოლოგიო, საანთროპოლოგიო, სალიტერატურო და საეთნოგრაფიო ნაშრომების, როგორც უმთავრე-

სად უწინდელის საქართველოსი, ისე მთელის კავკასიისა და მის მოსაზღვრე ქვეყნებისა"– გაცხადებულია წესდების პირველსავე მუხლში[13].

ამ უაღრესად საპატიო და საპასუხისმგებლო მისიის განსახორციელებლად წესდებით გათვალისწინებული იყო მთელი რიგი ღონისძიებებისა, კერძოდ, ქალაქ თბილისში *ქართული მუზეუმისა და ბიბლიოთეკის* დაარსება, რომელიც თავს მოუყრის და დაიცავს ნივთიერს და ნაწერს ნაშთებს, რომელნიც ეხებიან როგორც უმთავრესად უწინდელ საქართველოს და ახლანდელ ქართველი ტომების, ისე მთელის კავკასიისა და მის მოსაზღვრე ქვეყნების ისტორიას, ანთროპოლოგიას, ეთნოგრაფიას და კულტურას, და აგრეთვე დაბეჭდილს წიგნს უმთავრესად კავკასიის ცოდნის შესახებ"[14].

წესდება ითვალისწინებდა პერიოდული ჟურნალების, კრებულების, წიგნების, ატლასების, ლექსიკონების, რუკების, ნოტებისა და სხვა საილუსტრაციო მასალების პუბლიკაციას ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე, კომპლექსური არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ექსპედიციების გამართვას კავკასიისა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების შესწავლის მიზნით.

წესდება უდიდეს ყურადღებას უთმობდა საისტორიო და საეთნოგრაფიო ცოდნის გავრცელებას ქართველთა შორის. ამ მიზნით განსაზღვრული იყო სპეციალური კურსების გამართვა, ლექციებისა და საჯარო კითხვების ჩატარება საქართველოსა და, საზოგადოდ, კავკასიის, აგრეთვე სხვა მომიჯნავე ქვეყნების ისტორიის, არქეოლოგიის, ლიტერატურის, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის საჭირბოროტო პრობლემებზე. ყურადღების გარეშე არ იყო დატოვებული სიძველეთა და ხუროთმოძღვრების ძეგლების დაცვა, ეთნოგრაფიული კოლექციებისა და სიძველეთა ნაშრომების დროებითი გამოფენების მოწყობა, საეთნოგრაფიო და ეთნომუსიკალური საღამოების ჩატარება და ა.შ.

დაბოლოს, წესდებით გათვალისწინებული იყო საზოგადოების წევრთა პერიოდული კრებები, სადაც წაკითხული იქნებოდა მოხსენებები საქართველოსა და კავკასიის, მისი მოსაზღვრე ქვეყნებისა და ხალხების ისტორიის, არქეოლოგიის, ლიტერატურის, ანთროპოლოგიის, ენათმეცნიერებისა და ბუნებრივია, ეთნოგრაფიის შესახებ[15].

ზემოთ მოტანილი მონაცემები გვიჩვენებენ თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წესდებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს იმხანად ახლადჩამოყალიბებული ქართული ეთნოგრაფიის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის. ეს გახლდათა არა ცალკეული პიროვნებების, არამედ საერთო ეროვნული ძალისხმევა ქართული ისტორიოგრაფიისა და, მათ შორის ეთნოგრაფიის ახალ, ეპოქის შესაბამის რელსებზე გადასაყვანად, რაც შესანიშნავად გამოიყენა ამ დიდი ეროვნული საქმის მოთავემ ექვთიმე თაყაიშვილმა.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წესდებაში წარმოდგენილი მოთხოვნების ერთ-ერთი ძირითადი ავტორი რომ ექვთიმე თაყაიშვილია, ეს ამავე საზოგადოების ფუნდემენტური გამოცემის - „*ძველი საქართველოს*" პირველი ტომის შესავალი წერილიდანაც ჩანს. „ჩვენი საზოგადოების მიზანი ძლიერ ფართოა. მას საგნად აქვს შესწავლა საქართველოს წარსულისა და აწმყოსი, მაგრამ საქართველოს ყოველგვარი შესწავლისათვის მასალაა საჭირო და მასალის შეკრება ამჟამად უმთავრესს მიზანს შეადგენს ჩვე-

ნი საზოგადოებისათვის"[16] – წერდა ე. თაყაიშვილი. სხვათა შორის ამ წერილსა და პუბლიკაციებში ნათლად გამოჩნდა მკვლევარის დამოკიდებულება ეთნოგრაფიის ადგილისა და როლის, მისი მიზნებისა და ამოცანების შესახებ. ეთნოგრაფია ე. თაყაიშვილს მიაჩნდა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ. მკვლევარის აზრით საჭიროა აღიწეროს ეთნოგრაფიული მონაცემები: დაბადებასთან, გარდაცვალება-დატირებასთან თუ ადამიანის ცხოვრების სხვა მხარეებთან დაკავშირებული რიტუალები და ქცევის წესები, დღეობა-დღესასწაულები, საადათო სამართლის ნორმები და ა.შ.[17]

ამ ეროვნული დარგის განვითარება-განმტკიცებაში მკვლევარს საჭიროდ მიაჩნდა ჩაება ფართო საზოგადოებრივი ძალები. „ჩვენი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ჯერ ნორჩი საზოგადოება არის, ხოლო ყოველი საზოგადოების წარმატება ერის თანაგრძნობაზეა დამყარებული. ნურვინ იფიქრებს, რომ სპეციალურ საზოგადოებას მარტო სპეციალისტების დახმარება ეჭირებოდეს...

... ყოველს შეგნებულს ქართველს შეუძლია დიდი დახმარება ამოუჩინოს ჩვენ საზოგადოებას. ვის არ შეუძლია, მაგალითად, შეკრიბოს და მოგვაწოდოს ძველი ხელნაწერები, სიგელ-გურჯები, ძველი იარაღები, ძველი სამკაულები, ძველი ტანისამოსები, ძველი ნაქსოვები, ძველი ფულები და სხვა მრავალი არქეოლოგიური ნივთები? ვის არ შეუძლია შეკრიბოს ცნობები ძველ ეკლესიებზე, მონასტრებზე, ციხეებზე, კოშკებზე, დარბაზებზე და სხვა ჩვენს ძველ ნაშთებზე? ვის არ შეუძლია მოგვაწოდოს სხვადასხვა ნივთები, რომელსაც ათასობით პოულობენ ყოველ წელს მიწის თხრის დროს საქართველოს ყოველს კუთხეში? ვის არ შეუძლია ჩაწეროს და მოგვაწოდოს ხალხური ზღაპრები, სიმღერები, გადმოცემანი, არაკები, თქმულებანი შელოცვები და გამოცანები? ვის არ შეუძლია აღწეროს და მოგვაწოდოს ყველა ქართველ მოდგმის ხალხის ზნე-ჩვეულება დაბადებიდან დაწყებული სიკვდილამდე, ქორწილი, ტირილი, დღეობა, ხატობა, სხვადახსვა გართობა, მგლოვიარობა, მიცვალებულთა სამსახური და სხვა? რომელ განათლებულ ქართველს არ შეუძლია შეკრიბოს სიტყვები, რომელნიც ამა თუ იმ კუთხეში საქართველოსა იხმარებიან და ცნობილ ლექსიკონებში არ მოიპოვებიან"? – კითხულობდა ექვთიმე თაყაიშვილი და იქვე განმარტავდა ამ მასალების უდიდეს მნიშვნელობას ქართველი ხალხის უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობის შესასწავლად. „ყველა ეს მასალა აუცილებელს საჭიროებას შეადგენს ჩვენი ერის, მისი ენის, ზნე-ჩვეულების და კულტურის შესასწავლად, დიახ, ყველა შეგნებულ ქართველს შეუძლია თვალსაჩინო დახმარება გაუწიოს ჩვენს საზოგადოებას, როგორც თავის წვლილის მოწოდებით საზოგადოების ღონისძიების გასაძლიერებლად, ისე საისტორიო და საეთნოგრაფიო მასალის შეგროვებით და ნივთების მოწოდებით"[18] – წერდა იგი საზოგადოების სამოქმედო პროგრამის შეჯამების სახით.

მკვლევარის ასეთმა დამოკიდებულებამ ეთნოგრაფიული მასალებისა და ექსპონატებისადმი დიდი გამოხმაურება გამოიწვია. ამ დიდ და ტოტალურ შემგროვებლურ სამუშაოებში ხალხის ფართო მასები აღმოჩნდნენ ჩაბმულნი. საზოგადოების არსებობის პირველი ხუთი წლის მანძილზე შემოწირულების გზით საზოგადოების მუზეუმში დიდად მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული კოლექცია შეგროვდა. ამის საბუთი დაბეჭდილია *ძველი საქართველოს* მესამე

ტომში: გამოქვეყნებულია შემომწირველთა და შემოწირულებათა სიები, რომელთა ანაწყობს 22 გვერდი უჭირავთ: ცხადია, ხალხმა ეს საქმე ეროვნულ საქმედ ჩათვალა და თავის წვლილის გაღება სავალდებულოდ მიიჩნია. ნივთებს შორის აღსანიშნავია: ოქრომკედით ნაკერი თავსაკრავები, ხმლები, თოფები, დამბაჩები, საპირისწამლე, საწაფები, ქათიბები და მრავალი სხვა[19].

*ექვთიმე თაყაიშვილმა* დიდი როლი შეასრულა საზოგადოების ქართული მუზეუმისა და ბიბლიოთეკის ჩამოყალიბების საქმეშიც. და ეს იმ დროს, როდესაც კავკასიის მუზეუმში იქ მომუშავე ცარიზმის კოლონიური რეჟიმის ერთგული მოხელეები სერიოზულ დაბრკოლებებს უქმნიდნენ ქართული ეროვნული საქმის კეთებას. ასეთ ვითარებაში ადგილობრივ ძალებზე დაყრდნობით მუზეუმის შექმნა დიდ ენერგიასა და ორგანიზატორულ მუშაობას მოითხოვდა. ამ საქმეში ე. თაყაიშვილს გვერდში ედგა *ალექსანდრე სარაჯიშვილი*, მკვლევარი და მეცნიერი, რომლის ინტერესები უკავშირდებოდა ხალხის ყოფის და კულტურის შესწავლის საკითხებს, რომელსაც მოვლილი ჰქონდა დაღესტანი და აზერბაიჯანი. როგორც გამგე საზოგადოების მუზეუმისა, ის დიდად ზრუნავდა მუზეუმის გასამდიდრებლად. მისი თანამედროვენი აღნიშნავენ, რომ ალ. სარაჯიშვილი მუზეუმში შემოსულ ყოველ ნივთს აღტაცებაში მოყავდა და თავისი თავდადებული საქმიანობით სხვასაც ხიბლავდა, ამხნევებდა, ახალისებდა და საქმის სიყვარულს უნერგავდა გულში[20].

გიორგი ჩიატაიას შეფასებით ტიტანურმა შრომამ, უდიდესმა მონდომებამ და სიყვარულმა ექვთიმე თაყაიშვილის მეთაურობით, მოკლე ხნის მანძილზე შექმნა ქართული მუზეუმი, სადაც ეთნოგრაფიული განყოფილება ფართოდ იყო წარმოდგენილი. უკვე 1913 წელს ექვთიმე თაყაიშვილს თავის მოხსენებაში, რომელიც მან წარუდგინა ბუნებისმეტყველთა კონგრესის ეთნოგრაფიისა და ლინგვისტიკის ქვე-სექციასა და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების და სომხური ეთნოგრაფიული საზოგადოების გაერთიანებულ სხდომას (22 ივნისი 1913წ.) იგი აღნიშავდა: *«Специальное этнографическое общество – «Грузинское общество истории и этнографии» основано недавно, а именно в сентябре 1907 г. Стало быть оно функционирует без малого шесть лет. Деятельность общества за это время выразилась в двух направлениях: во-первых, в подготовке материалов для грузинского музея и библиотеки и, во-вторых, в издательской деятельности. Для своей библиотеки общество собрало уже более 4000 томов печатных книг по грузинологии и вообще по кавказоведению; более 1000 рукописей, в числе которых много пергаментных и свыше 7000 рукописных актов, сигелей и гуджаров. Некоторые пергаментные акты восходят к XI и XII векам. Для музея общество имеет более 1200 предметов историко-этнографического характера... свыше 400 вышивок и рукодельных работ, более ста альбомов видов и типов Грузии и Кавказа, свыше 350 картин, типов и рисунков. В числе картин имеется редкое собрание типов всех кавказких народностей конца XVIII по началу XIX века, не мало портретов исторических деятелей и др.»*[21].

ექვთიმე თაყაიშვილმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული ეთნოგრაფიის მეცნიერულ-ორგანიზაციული საქმიანობის განსამტკიცებლადაც. მკვლევარმა შემოიკრიბა ეთნოგრაფიაში ცალკე, დაქსაქსულად მომუშავე ძა-

ლები, როგორც ძველი თაობისა, ისევე ახალგაზრდები და საქმე წინ წასწია. ამ მუშაობაში ჩაბმული იყვნენ: მ. ჯანაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ა. იაშვილი, ს. გორგაძე, ირ. სონღულაშვილი, აკ. შანიძე, ალ. სვანიძე და სხვ. საზოგადოების გამოცემებში დაიბეჭდა დიდად საყურადღებო ეთნოგრაფიული ხასიათის წერილები, მაგალითად, მ. ჯანაშვილის – *„საინგილო და ინგილოები“*, ვაჟა-ფშაველას – *„ფშაველის წუთისოფელი“*, დადეშქელიანის – *„ნასტაგისი“*, იაშვილის – *„ქართული კარაბადინი“*, ჩიმაკაძის – *„სვანეთი“* და სხვა. საზოგადოებას ჰქონდა გეგმა წლების მანძილზე ნავარაუდევი ექსპედიციებისა, რომელთაც იმ დროს ეძახდნენ *„მოგზაურობას“*. გეგმის შემდგენელნი განმარტავდნენ, რომ საზოგადოების მიერ მოწყობილი მოგზაურობა წარმოადგენდა არა როგორც სრულსა და დამთავრებულ სამეცნიერო მოგზაურობას, არამედ როგორც წინასწარს, დაზვერვითს მუშაობას სრულისა და დამთავრებულის სამეცნიერო მოგზაურობისათვის. ამ სამუშაოს უნდა შეემზადებინა საიმედო მარშრუტი შემდგომი მოგზაურობისათვის, აღენიშნა ადგილები, რომლებიც ღირსნი იყვნენ მეცნიერული შესწავლისათვის, ამავე დაზვერვითი ხასიათის საექსპედიციო საქმიანობას უნდა ეხსნა და გადაერჩინა სამუდამო დაკარგვისა და განადგურებისაგან ის სამეცნიერო თვალსაზრისით ღირებული ნივთები, რომლებიც ჯერ კიდევ ინახებოდა კერძო ოჯახებსა და სალოცავებში[22].

პირველი ასეთი დიდი კომპლექსური ექსპედიცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა *ექვთიმე თაყაიშვილი* 1910 წელს ლეჩხუმ-სვანეთსა და ყვირილას ხეობაში გაიმართა. მკვლევარის მინიშნებით ექსპედიციის მიზანი იყო მოენახულებინათ ლეჩხუმისა და სვანეთის ეკლესიები, შეეკრიბათ მათ შესახებ ცნობები და ფოტოგრაფულად გადაეღოთ მათში დაცული ნივთები საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმისათვის[23]. უამრავი მიწისზედა არქეოლოგიური ძეგლებისა და სხვა მასალების აღწერა-შეკრებასთან ერთად ექვთიმე თაყაიშვილმა დიდი ყურადღება მიაქცია ეთნოგრაფიულ სიძველეებს. ექსპედიციამ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის შეაგროვა და მუზეუმისათვის შეიძინა სასანიდების ეპოქის მინანქარით შემკული სპილენძის სამფეხა ფრთოსანი ლომების გამოსახულებით; *„ბედნიერი სვანეთის“*-ერთობლივი ხევის *დროშა-ლემი* (ლომის თავის გამოსახულებით). ე. თაყაიშვილმა წაიკითხა დროშის თავზე ამოტვიფრული წარწერა და საველე ჩანაწერების საფუძველზე დაადგინა დროშის გამოყენების წესი, ჩვეულებანი და რიტუალები. ამავე ექსპედიციის მსვლელობისას შეკრებილ იქნა მასალები მატერიალური და სულიერი კულტურის უმნიშვნელოვანეს რეალიებზე, ყოფისა და კულტურის ტრადიციულ ნიმუშებსა და მათ თავისებურებებზე[24].

საველე კვლევა-ძიების პროცესში *ე. თაყაიშვილი* არ კმაყოფილდებოდა მატერიალური ძეგლების ვიზუალური შესწავლით. იგი დიდ ყურადღებას აქცევდა ძეგლებთან დაკავშირებულ მასალებს, კერძოდ გადმოცემებს, თქმულებებს, ლეგენდებსა და ა.შ. ამ თვალსაზრისით მკვლევარს საინტერესო ლეგენდა აქვს ჩაწერილი *ჩხიკვთის სამების* გალავნის შესახებ, რომლის ანალიზის შედეგად გამოაქვს მეტად საყურადღებო დასკვნები. ე. თაყაიშვილის აზრით ქრისტიანობის გავრცელებამდე სამების მთა *ზოროასტრიზმის* საკულტო ადგილი უნდა ყოფილიყო. ამას მოწმობს სამების მოედნის შუაში ამოზიდული ბუნებრივი ბრტყელი ქვა, რომელიც *ბომონი* უნდა ყოფილიყო და, სადაც *ორ-*

*მუზდს* მსხვერპლს სწირავდნენ. თაყაიშვილი დასძენს, რომ ლეგენდას ემჩნევა აშკარა დუალიზმი: მასში შერეულია *ზოროასტრიზმის ელემენტები ქრისტიანულ ცნებებთან. აჰურამაზდის* როლი *სამებაზეა* გადატანილი. ლეგენდაში მოხსენებული მამალი – *ზოროასტრიზმის წმინდა ფრინველია.* ის წარმოშობილია აჰურამაზდის მიერ და მისი მსახურია. ის ღამით ადამიანებს ყარაულობს და თავისი ყივილით ავ სულებს და მოჩვენებებს, დევებსა და *არიმანის* მსახურებს აფრთხობს ხოლმე[25].

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და პირადად ე. თაყაიშვილის უდიდესი გულისყური საველე შემკრებლობითი საქმიანობისადმი კარგად ჩანს აკად. გ. ჩიტაიას მოგონებებში. „მე დავესწარი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს სხდომას 1914 წელს, როდესაც საზოგადოება მისი უცვლელი პრეზიდენტის ე. თაყაიშვილის ხელმძღვანელობით სახავდა ღონისძიებებს საზაფხულო მივლინებების შესახებ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეთნოგრაფიული მასალების შესაგროვებლად. იმ სხდომაზე გადაწყდა მივლინება ეთნოგრაფიული მასალების შესაგროვებლად ზემო იმერეთში, ხოლო მისი შესრულება დაევალა სერგი გორგაძეს. სხდომაზე დავრწმუნდი თუ რა დიდ ყურადღებას აქცევდა და როგორ აფასებდა ეთნოგრაფიული მასალის შეგროვებას ე. თაყაიშვილი“ – წერდა გიორგი ჩიტაია[26].

გამოჩენილი მკვლევარის ეს უანგარო დამოკიდებულება და ღვაწლი ეთნოგრაფიული მეცნიერებისადმი დასტურდება თუნდაც იმ მაგალითით, რომ იგი ყოველმხრივ უწყობდა ხელს ექსპედიციის მონაწილეებს განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ ეთნოგრაფიული ექსპონატების მიმართ და შეძლებისდაგვარად შეეძინათ ისინი საზოგადოების მუზეუმისათვის. სანიმუშოდ შეიძლება მოვიტანოთ 1913-1914 წწ. ახალგაზრდა მეცნიერის ა. შანიძის მოღვაწეობა საზოგადოების მივლინებებსა და ექსპედიციებში, მაშინ როდესაც მან საზოგადოების მუზეუმში შემოიტანა პირიქითა ხევსურეთში – ანატორში მიკვლეული მიცვალებულის ტანისამოსი, ხოლო 1916 წელს მთა რაჭაში მოგზაურობისას სოფელ ღებში შეიძინა და საზოგადოებას გადასცა ეთნოგრაფიული თვალსაზრისით მეტად საინტერესო საქორწინო ტანსაცმელი, თავსაბურავი და წინსაფარი, რომელიც დღესაც საქართველოს სახელმწიფო მუშეუმში უნიკალურ ექსპონატს წარმოადგენს[27].

*ე. თაყაიშვილს* ბადალი არ ჰყავდა ეთნოგრაფიული სიუჟეტების ფიქსაციასა და ჩაწერაშიც. ე. თაყაიშვილის ეთნოგრაფიული დაკვირვებისა და აღწერისა სანიმუშო მაგალითადაა მიჩნეული *პარხალის* ქართველთა ყოფა-ცხოვრებისა და რელიგიური რწმენა-წარმოდგენების აღწერა. „პარხალის მცხოვრებნი მისდევენ მებაღეობასა და მესაქონლეობას. წინათ პარახალი ცნობილი იყო შალეულის წარმოებით. ახლაც ყოველ პარასკევს მეჩეთის ეზოში იმართება ბაზრობა, რომელზედაც უღელტეხილის გადმოვლით მრავლად მოდიან ლაზები, რომლებიც ვაჭრობენ ხის ნაკეთობით და კონსტანტინეპოლის იაფფასიანი მანუფაქტურით. აქვე მუშაობენ თერძები, დებენ საქმიან გარიგებებს, ყიდიან სიმინდს, არჩევენ საჩივრებსა და ა.შ. მუსლიმანობამდელი კულტურის გადმონაშთებს წარმოადგენს ყურძნის აღების დღესასწაული: გაშიშვლებული ახალგაზრდები იკიდებენ ყურძნის მტევნებს, აწყობენ ფერხულს და ცეკვავენ. ეს დღესასწაული შემორჩენილია პარხალის ქვემო სოფლებში. თვით პარხალში

კი მოლები ნებას არ რთავენ ახალგაზრდებს გაშიშვლდნენ, რომლებიც გვაგონებენ კლასიკური ბახუსისი (ვაკხის) თანამგზავრებს"[28].

გიორგი ჩიტაიას შენიშვნით მანამდე „არა ერთი მოგზაური მკვლევარი ყოფილა ტაო-კლარჯეთში, მაგრამ არც ერთს არ მიუქცევია ყურადღება ზემოაღნიშნულ მოვლენისათვის და არ აღუწერია იგი.

ამ მოვლენის ფიქსაციას კი დიდი, შორს მწვდომი მნიშვნელობა აქვს. ბოლო ხანების სპეციალურ ლიტერატურაში დადგენილია, რომ ვაზი და ღვინო საკულტო მცენარე და წმინდა სასმელი იყო, რომელთაც დიდი ადგილი ეჭირა ქართველების წარმართულ რელიგიაში. ამას კარგად ეხმაურება თაყაიშვილის მიერ დამოწმებული შიშველი ვაჟების მიერ ფერხულში ჩაბმა და ცეკვები. როგორც ცნობილია, საბერძნეთში ღმერთ *დიონისეს* ატრიბუტები იყო ვაზი და მტევნები: მის დღეობაზე იმართებოდა ორგიები ცეკვის თანხლებით"[29].

ე. თაყაიშვილს ეკუთვნის აგრეთვე მრავალი ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული სიუჟეტის, ფაქტისა და მოვლენის ფიქსაცია, აღწერა და კრიტიკული შეფასებაც. ეხება რა *კ. კალანდაძის* მიერ გურიაში ჩაწერილი ზღაპრის სიუჟეტს, მკვლევარი ახლებურ ინტერპრეტაციას გვაწვდის ე.წ. *„ცხემლისჭრის საღამოს"* შესრულებულ *„აგუნას გადაძახების"* რიტუალის შესახებ. აგუნას გადაძახება გურიაში ახალწლის წინა ღამეს კი არა, ახალიწლის საღამოს იციან. წავლენ მარანზე, ღორის თავს წაიღებენ, საწნახელზე ნაჯახის ყუით (პატარა ცულით) არაკუნებენ და შემდეგ სიტყვებს ყვირილით ამბობენ:

„აგუნა, აგუნა! გადმოიარე, ბახვი და ასკანა ჩამოიარე!... ჩვენს მამულში ყურძენი, სხვის მამულში ფურცელი, ჩვენს ქალებს ყაჭი და აბრეშუმი, სხვის ქალებს ტარი და კვირისთავი!"..."[30]

მკვლევარის შენიშვნით „სხვადასხვა სოფლებში სხვადასხვანაირათ იციან გადაძახება და სიტყვებიც სხვადასხვანაირია. მაგალითად, სიტყვების მაგიერ „ბახვი და ასკანა ჩამოიარე" იტყვიან: „ბახუას კარი ჩამეიარე" და სხვა. აგუნა არის ყურძნის ღმერთი, რომაელების „ბახუსი", ბერძნების „დიონისი"[31].

ი. მეგრელიძეს დაწვრილებით, ზუსტად აქვს გამოკვლეული ე. თაყაიშვილის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული შემოქმედების ძირითადი სიუჟეტები. „გაოცებას იწვევს ე. თაყაიშვილის მეხსიერება... მან 1875-1876 სასწავლო წელი გურიაში გაატარა. მაშინდელსა და ადრინდელის ნახულისა და გაგონილის მიხედვით, უკვე ხანდაზმულმა, დაწვრილებით აღწერა *ჩიტბაძობა* და თევზაობა გურიაში" – წერდა იგი[32].

იმის დასტურად თუ როგორი თანმიმდევრობითა და სიზუსტით აღწერდა ე. თაყაიშვილი ეთნოგრაფიულ მასალას, მოვიყვანთ მიმინოთი ნადირობისა და თევზაობის ზოგიერთ დეტალს, რომელშიც ნათლად ჩანს მკვლევარის დამოკიდებულება საველე მასალის ფიქსაციისადმი.

თაყაიშვილისეული აღწერით, *მიმინოთი ნადირობის* სამზადისი ღაჟოს მახით ან ბადით დაჭერით იწყებოდა. შემდეგ ეს ფრინველი შერჩეულ კვებას საჭიროებდა. საამისო კალია სამგვარი იყო: „შავი (ჭრიჭინას ჰგავს), „თეთრი" – ე.წ. გაიძვერა კალია, და „მწვანე" – ე.წ. ირემა კალია (ყანებს რომ ანადგურებს). შეპყრობილ ჩიტს ფეხზე კედის ძაფს აბამდნენ, მთელი კვირის განამვლობაში მართავდნენ (წვრთნიდნენ) – ჯოხზე ჯდომას, ფეთქვას (შეფრთხიალებას) და შემდეგ ხორცის ყლაპვასაც აჩვევდნენ. ბოლოს ასეთ ღაჟოს სვამდნენ სპეცია-

ლურ სამ ჯოხზე გამართულ ჩიტბადეზე. მიმინო რომ მას დაინახავდა, დააფრინდებოდა ზემოდან, ჯოხები ჩაიკეცებოდა და ფრინველი ბადეში ეხვეოდა"[33].

ეს უმთავრესად ხდებოდა *„ქორმარიობის"* დაწყებისას (ზოგჯერ უფრო ადრეც), როცა ქორები გუნდ-გუნდად დაფრინავდნენ თბილ ქვეყნებში გადაფრენის წინ, მარიობისთვის (აგვისტო) ბოლოს. მთის მწვერვალზე ან ტიტველ ქვაზე, რომელსაც ზემოდან ქორ-მიმინოები დატრიალებდნენ, როგორც იტყვიან – *„ირაობდნენ"*, მონადირე ჩაჯდებოდა ბუჩქებში ფოთლებიანი ჩქოლათი ან ტოტებით გამართულ კარავში და ღაჟოს აფეთქებდა; ამ ჩიტს მტაცებელი ფრინველი მოჰკრავდა თვალს, მას დაეცემოდა, მონადირე კი მტაცებელს ჩიტბადეში ახვევდა. დამჭერი სცნობდა, რომელი იყო *მიმინო, ჯაჯა, ქორი, ცუდქორა, შავარდენი, თვალშავი, მარჯანი, ფორლული* და სხვა. მიმინოს იტოვებდა, სხვას კლავდა ან სამადლოდ (ბავშვების აღზრდისა და მიცვალებულის ცხონების ჩათქმით) გაუშვებდა ხოლმე. მიმინოშიც იყო არჩევანი. „გასამართავად ვარგოდა მხოლოდ დაჭერის წელს გამოჩეკილი და ამასთან კარგად დასრულებული" ე.წ. *„ნამდვილი მიმინო"*, რომელიც ფერად მოშავო, ფღალა (ღია ნაცრისფერი) ან მოწითალო იყო; თანაც *„სამწყერაო მიმინო"* დედალი უნდა ყოფილიყო და ისიც თუ დასრულებული (ტანად მსხვილი) არ იყო, ასეთს *„მთავარნაკს"* უწოდებენ და არ იტოვებდნენ. მამალი მიმინო ე.წ. *„გეზადა"*, დედალთან შედარებით, ტანად პატარა იყო; მას ამით გამოიცნობდნენ და არც იტოვებდნენ. აგრეთვე მეორე წლიდან მიმინო არ შინაურდებოდა და ასეთებს არც იჩერებდნენ.

მიმინოს მოშინაურება მისი ფრთებისა და ფეხების შეკვრით იწყებოდა. პირველ დღეებში მას ღამით არ აძინებდნენ, იჩვევდნენ და ძაღლთანაც აჩვევდნენ; შემდეგ ეჟვანებს აბამდნენ ფეხებზე; ჯერ ძაფმიბმული მოფართხალე მწყერზე მიუშვებდნენ, მას აჭერინებდნენ და ამგვარად გაწაფული მიმინოთი გადიოდნენ სამწყეროდ. კარგ მიმინოს გააზამთრებდნენ კიდეც; მას უკვე *„კაპუეტი"* ეწოდებოდა და ამისთანა მიმინოში კარგი ბედაური ცხენიც კი მიუციათ – შენიშნავდა ე. თაყაიშვილი[34].

ე. თაყაიშვილს ფიქსირებული აქვს აგრეთვე ფრინველზე *„სასირე ბადით", „ოკიდოშით"* და სხვა საშუალებებით ნადირობაც. მათ შორის ჩიტსაჭერად გურიაში გამოყენებული ყოფილა *„რაგვი"*, *„ირენჭკა"*, *„ძუის მახე"* და სხვ.

უაღრესად საინტერესოა ე. თაყაიშვილის მიერ ფიქსირებული ეთნოგრაფიული მასალა თევზჭერის შესახებაც. ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში, ალბათ ერთ-ერთი პირველია, მკვლევარის მიერ ფიქსირებული *„ანკესითა"* და *„ჭვილთით"* თევზაობა, *„წყლის გადაწურვა"*, *„დანაჭვა"*, *„ბადის ჩადგმა"* და სხვ.[35]

ე. თაყაიშვილის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დამსახურებად უნდა ჩავთვალოთ ქალის როლის შეფასება ქართველი ხალხის ისტორიაში. მკვლევარის შენიშვნით, ქალი იყო ქართული ოჯახის ბურჯი, სიმტკიცე და საფუძველი სახელმწიფოსი. ქართველი ქალის ხელთ იყო არა მარტო სამეურნეო ნაწილი ოჯახისა, არამედ უმთავრესად შვილების აღზრდა, წერა-კითხვის სწავლება, ქართულ ზნეთა და რწმენათა ჩანერგვა. ქართველი ქალი უზრდიდა საქართველოს ღირსეულ შვილებს. არა ნაკლები იყო ქართველი ქალის როლი პოლიტიკაში, სახელმწიფოს მართვა-გამგეო-

ბაში. ნათქვამის დასადასტურებლად ავტორს მოჰყავს ის ფაქტი, რომ საქართველოს აყვავების ხანა, მისი პოლიტიკური და კულტურული ზენიტი ქალის მეფობას ხვდა წილად[36].

ე. თაყაიშვილის შენიშვნით, ქართველი საზოგადოების გამაერთიანებელი „ყოველთვის ქალი იყო... მის ირგვლივ იკრიბებოდნენ საუკეთესო მამულიშვილები. სამწუხაროდ, – შენიშნავს ავტორი, – XIX საუკუნის მოწინავე საზოგადოების ქალებმა ევროპული განათლებისა და გადაგვარებისაკენ მიდრეკილება უფრო ადრე გამოავლინეს, ვიდრე დაბალი წრის მშრომელმა ქალებმა, თუმცა მაშინაც გვყვანან საზოგადო ასპარეზზე მომუშავე ქალები, რომლებმაც თავი იჩინეს მწერლობაში, ქველმოქმედებაში, ხელოვნებაში, განსაკუთრებულ არტისტულ მოღვაწეობაში, აღმზრდელობაში და სხვა დარგებში"[37].

ი. მეგრელიძის სამართლიანი შენიშვნით „ექვთიმე თაყაიშვილი საქართველოს ისტორიის მოქმედ ძალებს, – სახელმწიფო ცხოვრებაში მეფეებსა და მშრომელ ხალხს, ომებში მხედართმთავრებსა და მეომრებს, თავადაზნაურობასა და გლეხებს, საზოგადოების ასპარეზზე მწერლებსა და მეცნიერებს, ქველმოქმედ კაცებსა და ქალებს, ოჯახში ქალსა და კაცს – ერთიან ძალად წარმოადგენს. ამ მთლიანობასა და ისტორიულ კულტურაში ხედავს იგი იმ უტეხ ძალებს, რომლებმაც ქართველი ერი გადაგვარებასა და დაღუპვას გადაარჩინა"[38].

*ე. თაყაიშვილს* საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ საზრუნავად მოპოვებული საველე მასალების პუბლიკაცია მიაჩნდა. საზოგადოების მიერ 1907 წელს დაარსებულ კრებულში *ძველი საქართველო* სისტემატურად იბეჭდებოდა ეთნოგრაფიული ხასიათის წერილები და ნაშრომები. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია *ნ. ხიზანაშვილის* წერილები *ძველი საქართველოს* პირველ ტომში (1909 წელი), რომელშიც ფშავ-ხევსურეთის *ადათობრივი სამართალის ნორმებზე* იყო საუბარი.

ეთნოგრაფიული სიუჟეტების სიუხვით გამოირჩეოდა ამავე გამოცემის მეორე ტომში (1911-1913 წლები) დაბეჭდილი ნ. ჩიმაკაძის *„თავისუფალი სვანეთი"*, რომელშიც ფართოდ იყო გაშუქებული სვანური საცხოვრებელი, აივჯი და ჯგამ-ჭურჭელი, ტანსაცმელი, ზნე-ჩვეულებები და ა.შ. ამავე ტომში გამოქვეყნდა *მ. ჯანაშვილის* ვრცელი ეთნოგრაფიული ნარკვევი – *„საინგილო"*, რომელიც მიეძღვნა ინგილოთა ყოფა-ცხოვრების ფართო სპექტრს (გეოგრაფიული გარემო, სამეურნეო საქმიანობა, ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულებანი და ა.შ.)

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ამავე ტომში დაბეჭდილი *ვაჟა ფშაველას* შესანიშნავი ეთნოგრაფიული ნაშრომი – *„ფშავი და მისი წუთისოფელი"*, რომელშიც აღწერილია სამეურნეო ყოფის (მეურნეობის დარგები, ნადირობის ფორმები), სოციალური ურთიერთობისა (ნიშნობა, ქალის გატაცება, გატაცებულის დაბრუნება, საქორწილო რიტუალი, ავადმყოფობანი, მიცვალებულთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები და ა.შ.) თუ სულიერი კულტურის (ხალხური სიმღერები, ანდაზები და გამოცანები და ა.შ.) საინტერესო საკითხები.

საზოგადოება ე. თაყაიშვილის თაოსნობით დიდ ყურადღებას აქცევს მთარგმნელობით საქმესაც. *საქართველოს მოამბის* სხვადასხვა ტომებში და-

ბეჭდილია საქართველოს შესახებ უცხოელი მოგზაურ-მკვლევართა ნაშრომები, კერძოდ *არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა“*, რომლის თარგმანი ეკუთვნოდა *ალ. ჭყონიას; პიეტრო დელლა ვალეს* მოხსენება საქართველოს შესახებ და ა.შ.

ზემოთ განხილული მონაცემები გვიჩვენებენ, რომ აკად. ექვთიმე თაყაიშვილს უდიდესი დამსახურება მიუძღვის ახალი პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, კერძოდ, ეთნოგრაფიის შემდგომ განვითარება-ჩამოყალიბებაში. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ახლადჩამოყალიბებული ქართული ეთნოგრაფიის შემდგომი განვითარების აუცილებლობა ცალკეულ ქართველ მეცნიერთა და მოგზაურ-მკვლევართა ენთუზიაზმის ფარგლებს სცილდებოდა და საველე-შემგროვებლობითი, სამუზეუმო და კამერალური კვლევა-ძიების სათანდო პროგრამით აღჭურვილი, კარგად ორგანიზებული მეცნიერული კოლექტივის ძალისხმევას მოითხოვდა. სწორედ ამ პერიოდში გამოდის სამეცნიერო მოღვაწეობის ფართო ასპარეზზე ე. თაყაიშვილი, რომლის მაღალმა პროფესიულმა მომზადებამ და მეცნიერულ-ორგანიზატორულმა ნიჭმა განსაკუთრებული როლი შეასრულა საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის შემდგომ წინსვლასა და წარმატებაში.

ქართული ისტორიოგრაფიის საეტაპო მოვლენას წარმოადგენდა ექვთიმე თაყაიშვილისა და მისი თანამოაზრეების მიერ 1907 წლის 20 ოქტომბერს დაარსებული *საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება*, რომლის წესდებასა და პროგრამაში უდიდესი ადგილი დაეთმო ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის, ნივთიერი და სიტყვიერი მასალის ფართო საველე-შემკრებლობით საქმიანობას, ახალ წყაროებზე დამყარებულ სტაციონარულ კვლავა-ძიებას.

ე. თაყაიშვილი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალების, წყაროებისა და ნივთიერი ძეგლების, ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების შეგროვებასა და დაცვას, მათ კრიტიკულ შესწავლასა და გააზრებას კვლევაში *ისტორიზმის პრინციპების* გათვალისწინებით, *შედარებით-ისტორიული მეთოდის* ფართო გამოყენებით.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ე. თაყაიშვილი ნიკო მართან და ივ. ჯავახიშვილთან ერთად ახალი ქართული ეთნოგრაფიის პირდაპირ წინამორბედად და ფუძემდებლად გვეელინება.

## 4. ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს ეთნოლოგია ახალი პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში

XX საუკუნის დასაწყისში სამეცნიერო ასპარეზზე გამოდის გამოჩენილი ქართველი მეცნიერი *ივანე ჯავახიშვილი*, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ახალი ქართული ისტორიოგრაფიის, პირველ რიგში კი ისტორიისა და მისი მომიჯნავე დარგების ფუნდამენტალურ მიმართულებათა განვითარება-განმტკიცებისა და ჩამოყალიბების საქმეში. ამ დიდ მამულიშვილურ თაოსნობას ივანე ჯავახიშვილი ჯერ კიდევ პეტერბურგის ქართველთმცოდნეობით სამეცნიერო ცენტრში იწყებს, რომლის ერთ-ერთი ინიციატორი, დამაარსებელი და ხელმძღვანელი თვითონ გახლდათ.

*ივანე ჯავახიშვილმა* ღრმა კვალი გაავლო მეცნიერულ ქართველოლოგიაში. არ დარჩენილა ისტორიულ-ფილოლოგიური მეცნიერების არცერთი დარგი, რომლებშიაც მას ფუძემდებლური ნაშრომები არ დაეტოვებია.

პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართველი სტუდენტების წამოწყებული ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ივ. ჯავახიშვილმა ფართოდ გაშალა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ. იგი სათავეში ჩაუდგა ქართულ მეცნიერებას და თავის ახალგაზრდა კოლეგებთან ერთად ინტენსიური სამუშაოები წამოიწყო. ივანე ჯავახიშვილმა იმთავითვე დიდი ყურადღება მიაქცია ისტორიის მომიჯნავე დისციპლინებს, მათ შორის ეთნოგრაფიას და ჩვენში მეცნიერების ეს დარგი სათანადო ყურადღებისა და მზრუნველობის საგნად აქცია.

საქართველოსა და კავკასიის ეთნოლოგიის პრობლემებით ივ. ჯავახიშვილი ადრიდანვე იყო დაინტერესებული[1]. იგი როგორც პეტერბურგის უნივერსიტეტის მაგისტრანტი ჯერ კიდევ 1904 წელს მონაწილეობას იღებდა *კ. ინოსტრანცევის* მიერ მოწყობილი რუსეთის ეთნოგრაფიული მუზეუმის დაღესტნის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში, რომელმაც მოიარა დიდოეთი, ხუნძახი და სხვა აულები და მდიდარი ეთნოგრაფიული კოლექციები შეაგროვა[2].

საყოველთაოდ ცნობილია *ივ. ჯავახიშვილის* დამსახურება ქართული ისტორიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი და მეთოდოლოგიური პრინციპების შემუშავების საქმეში. აღნიშნულ პრობლემაზე მკვლევარმა შექმნა ქართული წყაროთმცოდნეობის ფუძემდებლური ნაშრომები – *„ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“* ოთხ წიგნად[3], რომელშიც წამოყენებულია არაერთი მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური დებულება საქართველოს ისტორიის, მათ შორის ეთნოგრაფიის წყაროებისა და მეთოდების საკითხებზე. მკვლევარმა მკაცრად გააკრიტიკა ანტიმეცნიერული *„ადვოკატურ-გამოსარჩლებითი“* შეხედულებანი საქართველოს ისტორიაზე და იმ მეცნიერულ მეთოდებს დაუჭირა მხარი, რომელიც, მისივე დასაბუთებით, მეცნიერული წყაროების კრიტიკულ შესწავლაზე იყო დამყარებული და ობიექტური გამოკვლევების შექმნას ითვალისწინებდა. „ისტორიკოსი მოვალეა მხოლოდ მეცნიერულად შეისწავლოს და გამოიკვლიოს ამა თუ იმ ერის წარსული, რომელიც მეცნიერების წინაშე თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებს... უეჭველია, იმავე დროს, ქართულ საზოგადოებასაც სარგებლობას მოუტანს, იმიტომ, რომ ყოველი განათლებული ეროვნებისათვის, რომელსაც თვითშეგნება მოეპოვება, აუცილებლად საჭიროა იცოდეს თავისი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ის-

ტორია; უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი"[4], – წერდა ივ. ჯავახიშვილი.

ჭეშმარიტი მამულიშვილი და მეცნიერი ასეთ მკაცრ მოთხოვნებს, პირველ რიგში, თავის თავს უყენებდა და საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის წყაროებს კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა. „ადვილად წასაკითხი და ღამაზი დაუსაბუთებელი თეორიებისა და დებულებების წამოყენებას ყოველმხრივ დასაბუთებული წერა სჯობია. მეცნიერ-ისტორიკოსს უნდა ახსოვდეს ის ზნეობრივი პასუხისმგებლობა, რომელიც მას აწევს და რომელიც მას ავალებს, თავისი დაუსაბუთებელი ჰიპოთეზები ისტორიის სინამდვილედ არ წარმოადგინოს"[5] – წერდა იგი.

მეცნიერული კვლევა-ძიებისადმი ასეთი დამოკიდებულებით, ივ. ჯავახიშვილმა ახალ საფეხურზე აიყვანა თავისი უფროსი კოლეგისა და თანამოკალმის ექვთიმე თაყაიშვილის უაღრესად მკაცრი და კრიტიკული შეხედულებანი საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის წყაროებზე[6].

*ივ. ჯავახიშვილი* ქართველი ხალხის ეთნოგენეზის, სოციალური ურთიერთობის, ნივთიერი და სულიერი კულტურის ძველი ფორმების კვლევისას, წერილობით წყაროებთან ერთად, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ეთნოგრაფიულ მასალას, რომელსაც იგი ასევე დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა და რიგ მოთხოვნებს უყენებდა. ივ. ჯავახიშვილის ეს წყაროთმცოდნეობითი კონცეფცია ეთნოგრაფიულ მასალაზე, როგორც პოტენციურ ისტორიულ წყაროზე, საველე მასალის მოპოვების მეთოდოლოგიაზე და ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების შედეგების ისტორიული თვალსაზრისით განზოგადოების აუცილებლობაზე, ცალკეული შენიშვნების, ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიების სახით გაბნეულია თითქმის ყველა მის ძირითად გამოკვლევაში, საიდანაც კარგად ჩანს თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იგი ეთნოგრაფიას ისტორიულ მეცნიერებათა სისტემაში[7].

ივანე ჯავახიშვილი ისტორიულ კვლევებში ეთნოგრაფიული მასალების გამოყენების სამაგალითო ნიმუშად *ვახუშტი ბაგრატიონის* ნაშრომებს თვლიდა. „ამ ხნის ქართული საისტორიო მწერლობის საუკეთესო სამკაულად ბატონიშვილი ვახუშტის განთქმული საისტორიო და საგეოგრაფიო თხზულებები უნდა ჩაითვალოს. პირველი – წყაროების შესანიშნავი განხილვით, ხოლო მეორე – საქართველოს სახელმწიფო წყობილების, ზნე-ჩვეულებებისა და ტანისამოს-თავსაბურავის მოკლე, მაგრამ საუცხოო, მკაფიო ისტორიული მიმოხილვით არის შემკული" – წერდა იგი[8].

გ. ჩიტაიას მართებული შენიშვნით, ადრე ქართულ საისტორიო მწერლობაში ვახუშტის მიერ დანერგილი ამ ტრადიციის საუკეთესო გამგრძელებელი თვითონ ივანე ჯავახიშვილი იყო. „კულტურის ისტორიის რიგი პრობლემების კვლევისას, იქნებოდა ეს ქართველი ხალხის მსოფლმხედველობის, სამეურნეო ყოფის, ნივთიერი კულტურის ისტორიის თუ სხვა საკითხები, ივ. ჯავახიშვილი, წერილობით წყაროებთან ერთად, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ხალხური მონაცემების კრიტიკულ შესწავლას. ასეთი მიდგომით ის არა მარტო ფართოდ იყენებდა ეთნოგრაფთა მიერ მოპოვებულ მასალასა და კვლევა-ძიების შედეგებს, არამედ თვითონაც აგროვებდა ხოლმე ასეთ მასალას, როგორც სპეციალურ ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში, ისე კორესპოდენტების საშუალე-

ბით. ამიტომ ივ. ჯავახიშვილის წყაროთმცოდნეობით თვალსაზრისს იმაზე, თუ რა მოთხოვნილებებს უნდა პასუხობდეს ეთნოგრაფიული მასალა, რომ იგი ისტორიული წყაროს დონეზე იქნეს აყვანილი, დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი შენიშვნები ყოფაში შემონახული ეთნოგრაფიული მონაცემების კრიტიკული შესწავლის შესახებ." – წერდა იგი[9].

ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ ქართველი და სხვა კავკასიელი ხალხების ყოფაში უხვად იძებნებოდა მრავალი საუკუნის გადანაცხოვრები, დიდი მეცნიერული ღირებულების მქონე ნაშთები; მისი აზრით ხალხში წარსულის კულტურის მრავალი მარგალიტი იყო გაბნეული, რომელთა გამომზეურებითა და სათანადო კვლევით არაერთი მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული პრობლემების გადაჭრა იყო შესაძლებელი. ამასთან, მკვლევარს მიაჩნდა, რომ ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ახსნის პროცესში ეთნოგრაფიულ მასალებს თავისებური მიდგომა სჭირდებოდა. „ასეთ ცნობებსა და ტექსტებს ჩვეულებრივი ეთნოგრაფები ჰკრებენ ხოლმე, რომელთაც რასაკვირველია თავიანთი მიზანი აქვთ, რომლებიც ისტორიკოსის მიზნებისაგან განსხვავდება. მაგრამ, თუ ეთნოგრაფიული ცნობები და ტექსტები სათანადოდ არის შეგროვებული და შესაფერისი სისწორით არის ჩაწერილი, მაშინ ასეთი მასალების გამოყენება თავისი ამოცანებისათვის ისტორიკოსსაც შეუძლია, რა თქმა უნდა ჯეროვანი მეთოდების მოშველებით. ცნობების და ჩაწერილი ტექსტების ღირებულება იმაზეა მთლიანად დამოკიდებული, როგორ არის ასეთი მასალა შეგროვებული და წერილობით აღბეჭდილი." – წერდა ივ. ჯავახიშვილი[10].

აფასებდა რა ეთნოგრაფიული მასალის წყაროთმცოდნეობით მნიშვნელობას ივ. ჯავახიშვილი მკაცრად მოითხოვდა იმ ელემენტარულ მეცნიერული ნორმების დაცვას, რომლის მეშვეობითაც ასეთ მასალას ისტორიული პირველწყაროს მნიშვნელობა უნდა შეეძინა. და თუმცა, მკვლევარს ეთნოგრაფიული მასალის ჩაწერა-ფიქსაციის მიმართ თავისი შეხედულება არაერთ ადრინდელ ნაშრომებშიც გამოუთქვამს, ამ მხრივ საფუძვლიანი და შემაჯამებელი მეთოდოლოგიური მიდგომები მოგვიანებით შედგენილ *„შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის მასალების შეგროვების წესშია"* ასახული[11].

შევეცდებით რამდენიმე ვრცელი ამონარიდის მოტანას ამ *„წესებიდან"*, რომელშიც მკაფიოდ ჩანს მკვლევარის უაღრესად დახვეწილი, საგულდაგულო მიდგომა ეთნოგრაფიული ფაქტებისა და მოვლენების გამომზიურებისა და ჩაწერა-ფიქსაციისადმი, როგორც სიტყვიერი მასალის, ასევე ფოტო და არქიტექტურული სქემებისა და ჩანახატების მიმართ. „თვითეულმა შემგროვებელმა თავის სამოქმედო ასპარეზში მცოდნე პირებისაგან უნდა გაიგოს, სად არის ამჟამად შინამრეწველობა დაცული, ან სად არიან მოხუცებულნი, რომელთაც წინანდელი შინამრეწველობა იციან და, ან ახლაც მუშაობენ, ან წინათ უკეთებიათ, და ახსოვთ, და ეგების ნივთები და იარაღებიც მოეპოვებოდათ. ასეთ სოფელში მისვლის შემდგომ უნდა გამოარკვიონ, რომელ ოჯახშია უფრო უკეთესად დაცული ცნობები და ნივთები. როდესაც შემკრებელი ამ ოჯახებსა და მცოდნე პირებს გაიცნობს, უნდა ჯერ მათი ცნობების შედარებითი ღირსება

ზეპირი საუბარით გამოარკვიოს და მხოლოდ ამის მერე შეუდგეს თვით ცნობების ჩაწერასაც.“

მკვლევარი ითვალისწინებდა ინტერვიუერის ინტერესებსაც. „შემკრებელმა მოსაუბრე უნდა დაარწმუნოს, რომ ამ ცნობების შეგროვება მხოლოდ იმისათვის გვინდა, რომ ვიცოდეთ, თუ წინათ როგორ მუშაობდნენ და რასა და რას აკეთებდნენ, უნდა აუხსნას, რომ საუბარი დაიბეჭდება და თვითეული მოამბის გვარი და სახელიც აღნიშნული იქნება. როდესაც შემგროვებელი ჩაწერას შეუდგება, უნდა ქვემომოყვანილი პროგრამის მიხედვით მოსაუბრეს გამოჰკითხოს. რაკი მომთხრობელი მოთხრობას დაიწყებს, სანამ ლაპარაკს არ დაამთავრებს, შემგროვებელმა არავითარი შეკითხვით მოთხრობა არ უნდა შეაწყვეტინოს, რომ მოთხრობის მიმდინარეობა არ დაირღვეს, არ დაიბნეს და არ დაავიწყდეს ის, რასაც იტყოდა, საუბრის ბუნებრივი მიმდინარეობა რომ არ შეწყვეტილიყო.“ – შენიშნავდა ივ. ჯავახიშვილი[12].

მკვლევარს მიაჩნდა, რომ ამგვარად ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალა ველზევე უნდა გადაკითხულიყო და შემოწმებულიყო, რომლის შედეგადაც თუ საჭირო დარჩებოდა უნდა ჩასწორებულიყო მომთხრობელისვე მიერ. „მხოლოდ მას შემდგომ, როდესაც გარკვეულ საგანზე მონათხრობი დამთავრდება, შემგროვებელმა უნდა თავისი ჩანაწერი გადაიკითხოს და, თუ იქ რაიმე გაუგებარი აღმოჩნდა, ან ისეთი სიტყვა თუ ტერმინი იყო ნახმარი, რომლის მნიშვნელობა გამოსარკვევია, მაშინ შემგროვებელმა ამ გაუგებარი, ან განუმარტავი სიტყვებისა და ტერმინების მნიშვნელობა უნდა ჰკითხოს და ეს განმარტება-მოთხრობაც უნდა ჩაწეროს“.

მკვლევარს გათვალისწინებული ჰქონდა ეთნოგრაფიული მასალის აღნუსხვის ტექნიკური მხარეც, კერძოდ სიტყვიერად ჩაწერილი ნივთებისა და იარაღების ფოტოსურათების გადაღება თუ არქიტექტურული ჩანახატებისა და ჩანახაზების ფიქსაცია, აგრეთვე იმის ჩაწერა და მონახულება, თუ ვისთან ინახება „ძველი ტანისამოს-თავსაბურავი ფეხსაცმელი ან ქსოვილები, ხალიჩა-ფარდები და საფენები, ანდა ავეჯი, მეტადრე ხისა დაჭრელებული იარაღი, ადამიანისა და ცხენის ჯავშანი, ჭურჭელი და სხვა დაცული ნივთები“, მათი მუზეუმისათვის შეძენის შესაძლებლობა. და ბოლოს, დიდი გულისყური იყო საჭირო ჩაწერილი მასალის ტექნიკური პასპორტიზაციის მიმართაც, კერძოდ, მომთხრობელის გვარის, სახელის, წლოვანების, საცხოვრებელი ადგილის ზუსტი ჩვენაბა და ა.შ.[13]

იმის საჩვენებლად თუ როგორი თანმიმდევრობითა და სიზუსტით თხოულობდა *ივ. ჯავახიშვილი* ეთნოგრაფიული მასალის ჩაწერა-ფიქსაციის პროცესს, მოვიყვანთ რამოდენიმე მაგალითს, რომელიც აღმშენებლობის, კერძოდ საცხოვრებელი, სამეურნეო და თადაცვითი ნაგებობების, აგრეთვე ავეჯისა და ტანსაცმლის კითხვარს შეეხება: „უნდა შეკრებილი იყოს ცნობები ყოველნაირი საცხოვრებელი სახლის აგების შესახებ (სახლი, დარბაზი, ოდა, ფაცხა და სხვა); რა მასალისაგან აშენებდენ (ქვისა, რიყის ქვისა, ალიზისა, აგურისა, ტალახით თუ უტალახოთ, ქვითკირით, მთლიანი ხეებისაგან ან ორად დახერხილი ქვისაგან, ფიცრებისაგან, წკნელისაგან და სხვა). რა ეწოდებოდა თვითეულ მათგანს, საიდან და როგორ მოჰქონდათ მასალა, როგორ იყო დამზადებული აგებამდის, ვინ ააშენა (ხელოსანი თუ თვითონ პატრონი) და ვინ ეხმარებოდა,

რა და რა იარაღს ხმარობდნენ და როგორ აშენებდნენ? შენობის ნაწილის დანიშნულება და სახელები, დარბაზიანი და პალატიანი სახლის ნიშანდობლივი თვისება, შენობის ხის ნაწილების დამზადების ტექნიკა (ბოძები, დედაბოძები და სხვა.), მათი დაჭრელება და სახე-ჩუქურთმების ამოჭრა, რა ეწოდებოდა ამ სამუშაოს და თვითოეულ სახეთაგანს, ვინ აკეთებდა მას და რა იარაღით?" – წერდა იგი[14].

მასალის ფიქსაციის პროცესში მკვლევარი ყურადღებას აქცევდა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებისათვის დამახასიათებელი თავისებურებების აღნუსხვასაც. „აღმოსავლეთ საქართველოში უნდა ხისაგან აგებული ძელური სახლებისა და დარბაზების აშენების ტექნიკა და ნაწილების სახელები იქნეს ჩაწერილი, დაჭრელებული იყო თუ არა? დასავლეთ საქართველოში კი უნდა განსაკუთრებული ყურადღება ხის ძველ სახლებს მიექცეს, რომელთა სვეტები, ჭერ-ფანჯარა და რიკულები ჩუქურთმებით იყო შემკული, ვინ და რა იარაღით აკეთებდა მას, რა სახელი ეწოდებოდა თვითეულ ნაწილს და სახეთაგანს? უნდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ჩაწერილი იყოს, სადაც საყურადღებო ჩუქურთმიანი დარბაზები, ოდები და სახლებია დაცული, სოფლისა და პატრონის სახელ-გვარის ზედმიწევნით აღნიშვნით. უნდა გამოჰკითხოთ იციან, ან გაუგონიათ თუ არა, *შრამელი, ჩოდოლო, ფარლია, ჯარგუალი, ქორი, ქორედი, ქავი, ფაცხა* და სხვ. და რანაირი იყო თითოეული მათგანი." სამეურნეო ნაგებობებიდან *წესებში* მიცემულია კითხვარი *ბოსლის, თავლის, ფარეხის, საღორეს, საქათმეს, ბეღელის, საბძელის, სათივეს, სასიმინდეს* ანუ *ზარის* შესახებ, ხოლო თავდაცვითიდან – *ციხის, კოშკის, გოდოლისა და ქავის*, მისი აგების ტექნიკის, მასალის, იარაღისა და ტერმინოლოგიის შესახებ[15].

*ივ. ჯავახიშვილი*, რომ დიდ ყურადღებას აქცევდა ჩამწერ-ინტერვიუერის მომზადების დონეს ეს მის მიერ შედგენილი კითხვარის მრავალფეროვანი ტერმინოლოგიიდანაც ჩანს. მარტო ხალხური ავეჯიდან იგი ასახელებს *სკამს, სკამლოგინს, სავარძელს, საკურცხალს, მერხს, სარეცელს, კიდობანს, კარადას, მოთხეს, ბოყვს, ჯღრეს, ზანდუკს, ხონჩას, ტაბლებსა* და ა.შ. ტანსაცმელიდან წესებში დასახელებულია *კვართი, პერანგი, პალეკარტი, ნიფხავი, საწვივე, საბარკული, როპანაგი, მუქასარი, საბეჭური, სამკერდე, კაბა, არდაგი, საგულე, ფარაგი, ფესტემალი, ყაბაჩა, კურტაკი, ჩოხა, საწვიმარი, სამზეური, მაზარა, ჯუბა, ჯუბაჩა, ქულაჯა, ქათიბი, ნაბადი, ღართი, ტყავი, ტყაპუჭი, ტყავ-კაბა, ქურქი, ქუქუნაკი, ლაფაჩა,ტოლომა, ხირლა* და სხვ. მრავალფეროვანია წესების კითხვარში დასახელებული ტერმინოლოგია *თავსახურავის (ქუდი, ჩაბალახი, ფაფანაკი, მანდილი, მერდინი, ლეჩაქი* და ა.შ.), *ფეხსამოსისა და ფეხსაცმლის (წინდა, პაიჭი, კარაჭინი, ჯორაბი, ფეთმაქი, ხამლი, ქალამანი, ჯღანი, წესი, ჯადაგი, სანდალი, მოგვი, წალა, საცვეთი, ჩექმა, ჩაფულა, ჩუსტი, მესტი, მაშია*, და სხვ.), აგრეთვე *ხისა და თიხის ჭურჭლის (ფუკა, ტაბაკი, გობი, ხონჩა, რონა, როგო, კუტალი, კოდი, კათხა, სირჩა, ჩარა* და სხვ. *ხის ჭურჭელი; ჭური, ქვევრი,ლაგვანი, ყვიბარი, ჩაფი, ქოცო, კოჭობი, ხალანი, დერგი, ქოთანი, ქვაბ-ქოთანი, ქილა, სურა, დოქი, გოზაური, კოკა, ჯამი, კუტალი, წურწუმა, პინა* და *სხვა თიხის ჭურჭელი)* შესახებ და ა.შ.[16]

უაღრესად დანაწევრებული და დახვეწილია ივ. ჯავახიშვილისეული კითხვარი ქართველი ხალხის სხვა ნივთიერი ძეგლების (*სასმისები და სითხის*

*ჭურჭელი, დაწნული ჭურჭელი, შარაგული, ქსოვის, ხელსაქმის, ღებვის, ქარგვის, ოქრონემსეულის, ხალხური კულინარიის, სამეურნეო იარაღ-ინვენტარის, მჭედლობის, კირისა და გაჯის გამოწვის* და ა.შ.), სამურნეო ყოფისა (*მიწათმოქმედება-მემინდვრეობა, მევენახეობა-მეღვინეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, მეთევზეობა, მონადირეობა* და ა.შ.) და ტრადიციულ-ყოფითი კულტურის სხვა უმნიშვნელოვანესი სფეროების შესახებ[17].

ბუნებრივია, ყველა ამ ნივთიერ ძეგლზე, მოვლენასა და ფაქტზე ინტერვიუერს მკაფიოდ გამოკვეთილი ცოდნა და ამ ეთნოგრაფიული მასალის მოძიებისა და ჩაწერა-ფიქსაციის სათანადო მეცნიერული გამოცდილება მოეთხოვებოდა.

*ივ. ჯავახიშვილის* ჩანაფიქრით საქართველოში შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის ასეთი ფართომასშტაბიანი საველე-ეთნოგრაფიული მასალების შეკრებას საქართველოში სამუზეუმო საქმიანობის შემდგომი გაშლა-გაფართოებისათვისაც უნდა შეეწყო ხელი. ამ მხრივ მკვლევარი აგრძელებდა იმ საუკეთესო ტრადიციებს, რომელიც ჯერ კიდევ თბილისში კავკასიის მუზეუმის დაარსებით დაიწყო და შემდგომ ახალ საფეხურზე იქნა აყვანილი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში ექვთიმე თაყაიშვილისა და თვით ივ. ჯავახიშვილის მიერ[18].

ივ. ჯავახიშვილმა სამუზეუმო საქმის განვითარებას ჯერ კიდევ აღნიშნულ საზოგადოებაში მოღვაწეობის ადრეული წლებიდანვე მიაქცია ყურადღება, მაგრამ ამჯერად შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის საველე-საექსპედიციო საქმიანობა პირდაპირ დაუკავშირა ახალი სამუზეუმო ექსპონანტების შეგროვებას. ეს, ცხადია, შემთხვევითი არ იყო. ივანე ჯავახიშვილი, როგორც კულტურის ისტორიკოსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართული მეცნიერების განვითარებასა და მისი მონაპოვრების პოპულარიზაციაში სამუზეუმო საქმიანობას[19], როგორც კოლექციების შეგროვებისა და დაცვის, ისე მათი მეცნიერული შესწავლისა და ექსპოზიციის დარგში. განსაკუთრებით დიდი ღვაწლი დადო მან საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, სადაც იგი 1931 წლიდან სიცოცხლის უკანსკნელ დღემდე მუშაობდა, ჯერ მეცნიერ კონსულტანტად, შემდეგ კი ისტორიის განყოფილების გამგედ.

ივ. ჯავახიშვილის სამუზეუმო საქმიანობაში მნიშვნელოვანი გახლდათ მისი საერთო ხელმძღვანელობით მოწყობილი გამოფენა-ექსპოზიცია, რომელიც 1937 წელს გაიმართა შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილესთან დაკავშირებით[20]. ამ გამოფენისადმი მიძღვნილ სპეციალურ სტატიაში – „*შოთა რუსთაველი და მისი ეპოქის გამოფენა*“ ივ. ჯავახიშვილს ჩამოყალიბებული აქვს ყოფა-ცხოვრებისა და მეურნეობის დარგთა ექსპოზიციის ძირითადი პრინციპები. პირველ რიგში განსაზღვრულია გამოფენის მთავარი თემა, (შოთა რუსთაველი და მისი ეპოქა), ქრონოლოგია XI-XIII სს. და სტრუქტურა (ლიტერატურა, ხელოვნება, ყოფა-ცხოვრება და მეურნეობა). გამოფენის ეს ბოლო ნაწილი არსებითად მიზნად ისახავდა შოთა რუსთაველის ეპოქის ეთნოგრაფიული სინამდვილის ჩვენებას, უმთავრესად მატერიალური კულტურის დარგში. „ყოფა-ცხოვრებისა და მეურნეობის სექტორის გამოფენა, წერდა ივ. ჯავახიშვილი, მთელი მაშინდელი მატერიალური კულტურის ამსახველი უნდა იყოს“. გამოფენამ უნდა უჩვენოს მნახველს თუ როგორ ცხოვრობდნენ საქართველოში XI-XIII

სს., როგორი იყო მისი წესწყობილება... რას იცვამდნენ და იხურავდნენ მაშინ, რანაირი ავეჯი და ჭურჭელი ჰქონდათ, რა სამეურნეო და საბრძოლო იარაღი იყო გავრცელებული, რა დონე ჰქონდა მაშინდელ სასოფლო მეურნეობას, მეთხილეობას, მევენახეობას, მესაქონლეობას, რა და რა ხელობა არსებობდა მაშინ, როგორ იყო მოწყობილი საქალაქო ყოფა-ცხოვრება და ვაჭრობა-მრეწველობა[21].

სამუზეუმო კოლექციების შეგროვებასთან ერთად ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებულად ზრუნავდა მათ დაცვაზე. თითოეულ სამუზეუმო საგანს იგი განსაკუთრებული მოკრძალებითა და სიყვარულით ეპყრობოდა. მისთვის მუზეუმი ისეთ სამეცნიერო ლაბორატორიას წარმოადგენდა, რომელიც მოწოდებული იყო ზუსტი მეცნიერული კვლევის შედეგები გამოფენის მეშვეობით ხალხში, ფართო მასებში გაევრცელებინა. მკვლევარის შეხედულებით, საქართველოს მუზეუმი უნდა გადაქცეულიყო ისეთ დაწესებულებად, სადაც საქართველოს მრავალსაუკუნოვანი კულტურის ისტორია იქნებოდა ასახული. ამ ამოცანის განხორციელება ივ. ჯავახიშვილს სავსებით ორიგინალურ ფორმებში ჰქონდა წარმოდგენილი. იგი თვლიდა, რომ კულტურის ისტორიის ექსპოზიცია საქართველოს მუზეუმს ყოველგვარი შაბლონის გარეშე უნდა განეხორციელებინა. აქ შრომისა და კულტურის ისტორია ერთად უნდა ასახულიყო, რაც მნახველს საშუალებას მისცემდა სრული წარმოდგენა მიეღო საქართველოს კულტურის იშვიათ და თვალწარმტაც ისტორიაზე. მკვლევარი პრინციპულად მოითხოვდა და ახორციელებდა მუზეუმის მთლიანი, კომპლექსური სახით შენარჩუნებას. მისი აზრით, მუზეუმის სტრუქტურაში ნავარაუდევი უნდა ყოფილიყო პალეობიოლოგიური და შინაური ცხოველების ქვეგანყოფილებები, იშვიათი, განსაკუთრებით კი აბორიგენული ფლორის ნიმუშები, რომლებიც ორიგინალურად ეწერებოდნენ ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ერთიან კონტექსტში. სწორედ ამიტომ იყო, რომ იგი საქართველოს მუზეუმში დაუნდობელ ბრძოლას უცხადებდა სამუზეუმო საქმის პროფანატორებსა და გამყალბებლებს.

იმის გათვალისწინებით, რომ ეთნოგრაფიული მასალებისა და ქართული შინამრეწველობის ნიმუშების შეგროვება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვან პრობლემად ითვლებოდა, ივანე ჯავახისვილს მიაჩნდა, რომ მას ქართველ ხელოვანთა საზოგადოებასთან შეთანხმებულად უნდა ემოქმედა, რათა ორივე საზოგადოება ერთიდაიგივე საქმეს არ შეჭიდებოდა. შინამრეწველობის სხვადასხვა დარგის შესწავლა-აღდგენის საქმეს იმ პერიოდში ქართული სამეურნეო საზოგადოებაც ეწეოდა, რომელიც 1915წ. შეიქმნა და 1921 წლამდე იარსებდა. ბუნებრივია, კვლევის კოორდინირება ამ მხრივაც უნდა წარმართულიყო[22].

ამგვარად, *ივანე ჯავახისვილის* აზრით, ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება ფართო მასშტაბით დასახელებულ სამ საზოგადოებას შორის უნდა განაწილებულიყო. ამ დიდი ეროვნული საქმის სამოქმედო ასპარეზს იგი შემდეგნაირად განსაზღვრავდა. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება საქართველოს ყველა კუთხეში საეთნოგრაფიო მასალებს და შინამრეწველობის ნიმუშებს შეაგროვებდა და თავის მუზეუმში მოუყრიდა თავს. ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას თავის მხრივ ეს მასალები უნდა შეესწავლა და დაემუშავებინა, რაც

არანაკლებ მნიშვნელოვანი გახლდათ, ქართული მხატვრული შინამრეწველობის განსხვავებისათვის საჭირო სახეების ნიმუშები და სამაგალითო ესკიზები შეედგინა. ქართულ სამეურნეო საზოგადოებას ეთნოგრაფიული მასალები და შინამრეწველობის ნიმუშები ტექნიკურად უნდა შეესწავლა, გაერკვია და გაეთვალისწინებინა შინამრეწველობის განახლებისათვის საჭირო ტექნიკური საკითხები[23]. აქვე გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ ისიც, რომ ივანე ჯავახიშვილი ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი შეხედულებისა და უდიდესი ძალისა და ენერგიის წყალობით შეძლო მრავალრიცხოვანი კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიციების ორგანიზება, რომელთა მონაწილეებმა ფეხდაფეხ შემოიარეს საქართველოს ყოველი კუთხე და კუნჭული და მრავალფეროვან ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად მოახერხეს ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ამსახველი უნიკალური რეალიების ფოტო და არქიტექტურული ფიქსაცია. ქართულ საზოგადოებას დღეს უკვე ხელთ აქვს საქართველოს შინამრეწველობისა და შინახელოსნობის შესახებ შეკრებილი ამ უნიკალური მასალების ხუთტომეული, რომლის პუბლიკაცია გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში დასრულდა[24] და ივანე ჯავახიშვილთან ერთად ავტორთა და რედაქტორ-გამომცემელთა დიდი ჯგუფი საქართველოს სახელმწიფო პრემიით დაჯილდოვდა.

ივ. ჯავახიშვილის ზრუნვა და უდიდესი ყურადღება საქართველოში ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარებისადმი მარტოოდენ საველე მასალებისა და სამუზეუმო ნივთიერი ძეგლების შეგროვებით როდი ამოინურებოდა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში ხშირად ეწყობოდა მოპოვებული მასალის, ფაქტებისა და მოვლენების განხილვა-განზოგადოება, რომელშიც მონაწილეობდნენ საზოგადოების ნამდვილი წევრები – გამოჩენილი მეცნიერები. ამ მხრივ საყურადღებოა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების 1926 წლის 3 აპრილის სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა ივანე ჯავახიშვილი. აღნიშნულ სხდომაზე მოისმინეს *თედო სახოკიას* მოხსენება – *„მეგრული ქორწილი“* (სამეგრელოს ეთნოგრაფიიდან), რომლის განხილვაში მონაწილეობდნენ *კონდრატე თათარაშვილი, სერგი მაკალათია, არნოლდ ჩიქობავა, შალვა ჩხეტია, სიმონ ჯანაშია* და სხვ. აღნიშნულ პირთა გარდა საზოგადოების ნამდვილ წევრთაგან სხდომას ესწრებოდნენ *ნ. ბერძენიშვილი, ვ. თოფურია, ვ. ბარდაველიძე, დ. გამრეკელი, გ. ბოჭორიძე, მ. ხუბუა, გ. ჩიტაია, დ. კარიჭაშვილი, ალ. ბარამიძე, გ. ნიორაძე, ვ. ბერიძე, ს. გორგაძე,* აგრეთვე დაინტერესებული მოწვეული პირები გარე საზოგადოებიდან. განხილვაში მონაწილე მეცნიერებმა, საბოლოოდ კი სხდომის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა ობიექტურად შეაფასა ქორწინების რიტუალის უმთავრესი თვისებურებანი სამეგრელოში, ამასთან მიუთითეს კვლევისა და ანალიზის იმ სუსტ მხარეებზე, რომელიც შეიმჩნეოდა მოხსენებაში.

ივ. ჯავახიშვილის ანალიტიკური მიდგომა ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებისადმი მარტო აღნიშნული მოხსენების განხილვით არ ამოწურულა. რამდენადმე ადრე 1926 წლის იანვარში ანალოგიური ხასიათის პრინციპულ მსჯელობასა და კამათს ჰქონდა ადგილი *გიორგი ჩიტაიას* მოხსენების – *„გლეხის სახლი ქვაბლიანის ხეობაში“* – განხილვის დროსაც. საზოგადოება ივ. ჯავახიშვილის

თაოსნობით აწყობდა სხვა ეთნოგრაფიული ნაშრომების მოსმენა-განხილვასაც[25].

საქართველოში ეთნოგრაფიული მეცნიერების საბოლოო ჩამოყალიბების საქმეში *ივ. ჯავახიშვილი* საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებდა ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების შემდგომ გაშლა-გაფართოებასა და მასში ახალგაზრდა კადრების ჩაბმის საკითხს. 1926 წლის 27 ივნისს საზოგადოების საგანგებო კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში იგი დიდი სინანულით უსვამდა ხაზს საქართველოში ეთნოგრაფიული კვლევის ჩამორჩენილ მდგომარეობას და აუცილებლად მიიჩნევდა საზოგადოების მუშაობაში ამ ნაკლის სასწრაფო აღმოფხვრას. მეცნიერის აზრით, საქართველოს ისტორიის ფუნდამენტური პრობლემების შესასწავლად აუცილებელი იყო ეთნოგრაფიული კვლევის გაშლა-გაფართოება. ამ საქმიანობის ცენტრად კი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება უნდა ქცეულიყო. რიგი სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებების არსებობის მიუხედავად, ივ. ჯავახიშვილის აზრით, აუცილებელი იყო ეთნოგრაფიულ კვლევაში რაც შეიძლება მეტი ხალხის ჩაბმა, განსაკუთრებით კი მასწავლებლებისა და მოსწავლეების საკორესპონდენტო ქსელის შექმნა, რომლებიც ადგილებზე მხარეთმცოდნეობით საზოგადოებებთან კავშირურთიერთობების დამყარებასა და საველე სამუშაობის გაშლა-გაფართოებას შეუწყობდნენ ხელს. ივ. ჯავახიშვილმა საზოგადოებას მიზნად დაუსახა გაეფართოებინა ნივთიერი კულტურის ნაშთების შესწავლა, აუცილებლად მიიჩნია კვლევის არეალის გაფართოება. იგი თვლიდა, რომ ქართველ მეცნიერთა კვლევის თვალსაწიერში საქართველოს გარდა, მთელი კავკასია და მახლობელი აღმოსავლეთიც უნდა შემოსულიყო[26].

ივ. ჯავახიშვილის აღნიშნული თვალსაზრისი ეთნოგრაფიული მეცნიერების პრაქტიკულ-მეთოდოლოგიურ საკითხებზე საველე და კამერალური კვლევა-ძიების ძირითად მიმართულებად იქცა და სათავე დაუდო ამ დარგის აღმავლობის ახალ ეტაპს.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების პროცესში *ივ. ჯავახიშვილის* პრაქტიკულ-მეთოდოლოგიურ და თეორიულ შეხედულებებში საგანგებო მნიშვნელობა ენიჭებოდა *შედარებით-ისტორიულ* მეთოდს, რომლის შესახებაც ჩვენ ზემოთ, *ვახუშტი ბაგრატიონის* ნაშრომების მიმოხილვიდან მოკიდებული, სხვადასხვა ავტორებთან მიმართებაში არაერთგზის გვქონდა საუბარი. ივ. ჯავახიშვილთან არსებითი განსხვავება ის გახლდათ, რომ *იგი შედარებით-ისტორიულ მეთოდს არა მარტო ცალკეული ფაქტებისა და მოვლენების კვლევისას, არამედ მთლიანად ისტორიული პროცესის ანალიზისა და განზოგადოების საფუძვლად იყენებს.* ჯერ კიდევ 1908 წელს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წინაშე წაკითხულ მოხსენებაში თემაზე: *„ისტორიის ფილოსოფია და შედარებითი მეთოდი“*, იგი ვრცლად ეხება შედარებითი მეთოდის მნიშვნელობას წყაროთა კრიტიკის პრინციპის განსახორციელებლად. იგი არა მარტო იმას აანალიზებს, თუ რომელმა ქართველმა ისტორიკოსმა გამოიყენა პირველად შედარებით-ისტორიული მეთოდი და რომელ ისტორიკოსთან მიაღწია ამ მეთოდმა სრულყოფას, არამედ იმასაც აჩვენებს, თუ რა უპირატესობას ანიჭებს ისტორიულ კვლევას ამ მეთოდით ხელმძღვანელობა. ივანე ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ისტორიულ კვლევაში

სხვადასხვა მეთოდის გამოყენების შესაძლებლობას. მიაჩნია, რომ ვახუშტი ბატონიშვილმა ამ საკითხშიც, მის წინამორბედებთან შედარებით, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ, რადგან ისეთი მეთოდები შემოიღო, რომლებიც საზოგადოებათმცოდნეობით კვლევებში მანამდე არ ფიგურირებდნენ[27].

ივანე ჯავახიშვილს გაცნობიერებული ჰქონდა მეთოდოლოგიური წინამძღვრების დადგენის აუცილებლობაც. წყაროთა გარეშე ისტორიის მეცნიერება არ აიგება, მაგრამ ის მხოლოდ წყაროებითაც არ აიგება. აუცილებელია ამ წყაროებისადმი დამოკიდებულების განმსაზღვრელ მეთოდთა ფართო არსენალი. იმ მეთოდთაგან, რომლებიც შესაძლებელს ხდიან ისტორიისადმი კრიტიკულ მიდგომას, განსაზღვრული როლი *შედარებით, ანუ კომპარატიული მეთოდს* ეკუთვნის, რადგან წყაროთა კრიტიკა მხოლოდ წყაროთა შედარების საფუძველზეა შესაძლებელი. ამდენად ეს მეთოდი განმსაზღვრელია არა მხოლოდ ისტორიის არამედ ყველა სოციალური მეცნიერების კვლევაში[28].

ივ. ჯავახიშვილი შედარებით-ისტორიულ მეთოდს წარმატებით იყენებდა არაერთი კონკრეტული ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრობლემის კვლევის პროცესში. როგორც ცნობილია, ისტორიული, ეთნოგრაფიული და სხვა მონაცემების შედარებითი შესწავლის შედეგად ივ. ჯავახისვილმა წამოაყენა კონცეფცია *ქართული წარმართობისა და ძველქართულ ღვთაებათა პანთეონის* შესახებ. თავისი უტყუარი ალღოთი და გამჭრიახობით, მან შესანიშნავად აღადგინა ქართული წარმართული პანთეონი. ეს მეტად ძნელი და მძიმე საქმე იყო. იმჟამად ძველქართულ რწმენა-წარმოდგენებს ყველას და ყველაფერს ირანიზმებისა და არაბიზმების საფუძველზე ხსნიდნენ, ხოლო ადგილობრივი არ ჩანდა. ასე იყო გაშუქებული ეს საკითხი *მ. კოვალევსკის, კ. ინოსტრანცევისა და ნ. მარის ნაშრომებში.* საჭირო იყო ეროვნული ნიადაგის დაძებნა და მასზე დაყრდნობით წარმართული პანთეონის აღდგენა[29]. ამ მიზნით წერილობითი წყაროების პარალელურად მკვლევარმა უხვად გამოიყენა უძველესი მითოლოგიური თქმულებანი და წარმოდგენები, აღბეჭდილი ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. ქართველთა წარმართობის სრული სურათის აღდგენისას მეცნიერმა წერილობითი წყაროების დონეზე დააყენა ზეპირსიტყვიერების მონაცემები, ხალხში დაცული ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალები, რომლებიც გაანალიზა უცხოური და ქართული წყაროების შუქზე. კვლევის ეს შედეგები შეაჯერა ქართველურ ენათა და ზეპირსიტყვიერების მრავალფეროვან ლექსიკურ მასალებთან და მათ საფუძველზე მოახდინა ქართული წარმართული სარწმუნოების აღდგენა[30].

*გ. ჩიტაიას* მართებული შენიშვნით, ივ. ჯავახიშვილის მიდგომა ქართველთა წარმართული პანთეონის შესწავლის პროცესში ისტორიულ ეთნოგრაფიული კვლევის სანიმუშო მაგალითს წარმოადგენს. „ივ. ჯავახიშვილი მიმართავს ხალხურ მასალას, მითებს, გადმოცემებს, ხალხურ დღესასწაულებს, აგრეთვე წერილობით წყაროებს. იმ დროისათვის დაგროვილი უამრავი, ზღვა მასალიდან იგი ერთ გამოცემას აქცევს ყურადღებას. ივ. ჯავახიშვილი წერდა, რომ გამოსაკვლევი საგანი უფრო გაადვილებული და მარტივი რომ გამხდარიყო, თავდაპირველად უნდა გამორკვეულიყო, თუ როგორ ეხატება ჩვენს ხალხს უზენაესი ღვთაება. ამ საკითხის შესწავლა, რასაკვირველია, ზღაპრებისა და სხვადასხვა თქმულებების განხილვის საშუალებით შეიძლებო-

და. ზღვა მასალიდან იგი შეჩერდა ს. ბარალეთის მასწავლებლის მიერ ჩაწერილ თქმულებაზე „*იესო ქრისტე, ელია წინასწარმეტყველი და წმინდა გიორგი*". ამგვარად მიგნებული იქნა ის მასალები, რომლის წყალობითაც ამოიშიფრა არა მარტო წარმართული მთავარი ღვთაება, არამედ მთელი პანთეონი. შეიქმნა ერთიანი კონცეფცია ქართული წარმართობის შესახებ..." წერდა იგი[31].

გ. ჩიტაიას მხედველობიდან არ გამორჩენია ივ. ჯავახიშვილის დამსახურება წარმართული პანთეონის რიგითობის დადგენის საქმეშიც. იგი აღნიშნავდა, რომ ხალხური თქმულებების, დღეობებისა და ხატობის ცერემონიებზე დაკვირვებით, ივ. ჯავახიშვილმა განსაზღვრა, რომ ქართველი ერის სარწმუნოებრივ წარმოდგენებში უფროსობითა და ძლიერებით პირველი ადგილი წმინდა გიორგის ეჭირა, მეორე–ღმერთს–შემოქმედს, ხოლო მესამე–ელიას. აქვე ხაზგასმულია მკვლევარის კიდევ ერთი დამსახურების შესახებაც, რომლის მიხედვითაც მასვე ეკუთვნის ხალხურ რწმენა-წარმოდგენებში ქრისტიანული წმინდა გიორგის ადგილის განსაზღვრაც. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, წმინდა გიორგის კულტს წარმართობის დროინდელი მთავარი ღვთაების, მამაკაცად მიჩნეული მთვარის ღვთაების ადგილი დაუჭერია. „ქართული სამეცნიერო საზოგადოებრიობისათვის კარგად არის ცნობილი, თუ როგორი ოსტატობით გამოიყენა ივ. ჯავახიშვილმა ხალხში შემონახული *თეთრი გიორგის კულტი* ქართველთა ძველი რელიგიური მსოფლმხედველობის, მნათობთა თაყვანისცემის დასადგენად" – წერდა გ. ჩიტაია საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის კვლევაში ივ. ჯავახიშვილის ღვაწლის შეჯამებისას[32].

ეპოქის შესაბამისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევის ორიგინალური მიდგომით გამოირჩევა *ივ. ჯავახიშვილის* მონოგრაფიები ქართველი ხალხის მატერიალური კულტურისა და სამეურნეო ყოფის არაერთ მნიშვნელოვან პრობლემებზე. შესაბამისი წერილობით წყაროების სიმცირის პირობებში, ძირითადად ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე იკვლევდა იგი ქართული ხალხური კოსტიუმის ისტორიას. მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა ხალხური ჩაცმულობის რეგიონალურ ეთნოგრაფიულ თავისებურებებზე და საქართველოს ცალკეულ კუთხეებში შემორჩენილი ტანსაცმლის არქაული ნიმუშები შორეულ წარსულში ზოგადად ქართული ჩაცმულობის სიმდიდრისა და მრავალფეროვნების უტყუარ საბუთად მიაჩნდა. ამ თვალსაზრისით აქვს ივ. ჯავახიშვილს განხილული თუშეთში შემორჩენილი ქალის თავსაბურავი, რომლის შორეულ ანალოგებს ისტორიული საქართველოს, კერძოდ IX საუკუნის კედლის მხატვრობაში ხედავს. იქვე რესტროსპექტრული კვლევის ჭრილში აქვს წარმოჩენილი მკვლევარს ხევსურული ჩაცმულობაც, რომლის თაობაზეც იგი კრიტიკულად მიმოიხილავს გრაფინია *პ. უვაროვას* შეხედულებას ხევსურული კოსტიუმის *სარმატული*, აქედან კი, თითქოსდა *რუსული წარმოშობის* შესახებ. იგი საფუძველშივე უარყოფს უვაროვას შეხედულებას სკვითებისა და სარმატების რუსული წარმომავლობის შესახებ,სარმატების ეთნოგენეზს კავკასიაში მობინადრე აბორიგენულ, მათ შორის ქართველ ტომებს უკავშირებს და ამით ხევსურულ კოსტიუმს ქართველ-კავკასიურ ეთნო-კულტურულ წრეში წარმოშობილად მიიჩნევს[33].

ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის კვლევის პროცესში ივ. ჯავახიშვილმა საგანგებო ყურადღება დაუთმო *სამიწათმოქმოქმედო იარაღ-ინვენტარის (თოხი, ბარი, წერაქვი, ცული, წალდი, ნამგალი და სხვ.)*, მათ შორის *სახვნელი იარაღების შესწავლას*. სახვნელი იარაღების ტიპოლოგიური კლასიფიკაციის პროცესში მკვლევარი წერილობითი წყაროების გვერდით განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ეთნოგრაფიულ მასალებს და საჭიროდ მიიჩნევდა საქართველოს სხვადასხვა თემში დღემდე შემორჩენილი სახვნელების სხვადასხვა სახეობათა ფიქსაციას, მათი კონსტრუქციული აგებულების ნიშანდობლივ თვისებათა აღწერას, ტემინოლოგიურ ძიებებსა და ა.შ.[34]

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში შემორჩენილი სამიწათმოქმედო იარაღ-ინვენტარის ტრადიციულ ფორმათა კონსტრუქციული მრავალფეროვნების გამო, ივ. ჯავახიშვილი *საქართველოს სახვნელი იარაღების ცოცხალ მუზეუმს უწოდებდა*. მკვლევარის საგანგებო ყურადღება მიუპყრია სახვნელის ტრადიციულ და თანამედროვე ფორმათა თანაარსებობის ფაქტსაც, რასაც იგი ქვეყნის მთისა და ბარის ნიადაგების მრავალფეროვნებითა და ზონალური თავისებურებებით ხსნიდა. „ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, თუ საქართველოს ნიადაგის გასაოცარ სხვადასხვაობასა და ბუნებისა და თვისებათა მრავალფეროვნებას გავიხსენებთ, მაშინ ადამიანს არ გაუძნელდება იმის გაგება თუ სახვნელი იარაღების ისტორიული განვითარების პროცესში ახალმა სახეებმა რატომ ვერ გამოდევნა მათი წინამორბედი ფორმები. ივ. ჯავახიშვილი სამართლიანად მიუთითებს, რომ ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფაში, ერთსა და იმავე დროს მარტივი და რთული კონსტრუქციის სახვნელი იარაღების გამოყენება, საქართველოს ცალკეულ რეგიონში სამინათმოქმედებო კულტურის განვითარების სხვადასხვა დონეზე კი არ მიუთითებს, არამედ მიწათმოქმედების რაციონალურ ხასიათზე, როცა სხვადასხვა ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში სხვადასხვა თვისების მქონე ნიადაგების დასამუშაველად სახვნელი იარაღების შესაბამისი ფორმები იყო ხალხის მიერ საუკუნეთა განმავლობაში გამომუშავებული და ამიტომაც ხშირად მარტივი და რთული კონსტრუქციის სახვნელები ერთმანეთის გვერდით თანაარსებობდა“ – წერდა გ. ჩიტაია[35].

გ. ჩიტაიას მართებული შენიშვნით, ამ დებულებას ივ. ჯავახიშვილი საქართველოს სხვადასხვა ბუნებრივ გარემოში (მთა, ბარი, მაღლობი, ზეგანი, დაბლობი, ფერდობი, ვაკე, და ა.შ.) სხვადასხვა ნიადაგების არსებობით ასაბუთებდა. აღნიშნულ ზონალურ თავისებურებათა შესაბამისად ყანა ზოგან ღრმად მოხვნას მოითხოვდა, ზოგან კი მსუბუქ ზედაპირულ დამუშავებას, რომლის მიხედვითაც ზოგან მძიმე და ღონიერი სახვნელი იყო საჭირო, ზოგან კი მსუბუქი და მარტივი აგებულებისა. „სასოფლო მეურნეობის თვალსაზრისით არამც თუ მიზანშეწონილი არ იქნებოდა, შესაძლებელია საზიანოც კი გამხდარიყო ფხვიერი და ადვილი მოსახნავი მიწა, რომ მიწათმოქმედს მძიმე გუთნით მოჭარბებულ სიღრმეზე მოეხნა, ისევე როგორც ეკონომიური თვალსაზრისით საზარალო იქნებოდა, რომ სოფლის მეურნეს ნახნავზე ტყუილუბრალოდ მეტი შრომა და ენერგია დაეხარჯა“[36].

ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ ნიადაგების მრავალგვარობისა და ბუნების მრავალფეროვნების შესაბამისი სხვადასხვა კონსტრუქციის სახვნელები, მას შემდეგ რაც ყოფაში ახალი, გაუმჯობესებული სახეები შემოვიდა,

არა თუ ზედმეტად იქცა, არამედ სათანადო პირობებში აუცილებელიც კი გახადა. სწორედ ამით ყოფილა გამოწვეული, რომ ერთსადაიმავე თემში, ზოგჯერ ერთიდაიმავე მეურნეს ორი და მეტი განსხვავებული სახვნელი ესაჭიროებოდა. ამ გარემოებამ საქართველო სახნავების თავისებურ საისტორიო მუზეუმად აქცია და სასოფლო მეურნეობის კულტურის მკვლევარს დაკვირვებისა და კვლევის საუცხოო ასპარეზი შეუქმნა[37].

ანალოგიური მეთოდოლოგიური მიდგომით ხელმძღვანელობდა ივ. ჯავახიშვილი ქართველი ხალხის სოფლის მეურნეობის სხვა დარგების, კერძოდ მესაქონლეობის, მებაღეობა-მებახჩეობის, მეაბრეშუმეობისა თუ მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის პროცესშიც. ბუნებრივია, ყველა მათგანის შესახებ მსჯელობა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ შევეცდებით რამდენიმე მაგალითი მოვიყვანოთ მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის თავისებურებათა შესახებ, რომელთა შესწავლა-განზოგადებას ივ. ჯავახიშვილმა უდიდესი შრომა და ენერგია შეალია.

ვახუშტი ბაგრატიონის შემდეგ ივ. ჯავახიშვილი ერთ-ერთი პირველთაგანი გახლდათ, რომელმაც სათანადო გეოკლიმატური და ეკოლოგიური მონაცემების მიმოხილვითა და ანალიზით თანმიმდევრულად გამოიკვლია მეურნეობის უმთავრესი დარგების, კერძოდ მევენახეობა-მეღვინეობის ზონალური ხასიათი და მისი ეთნოგრაფიული თავისებურებები ბარისა და მთის ვერტიკალურ-ზონალურ ჭრილში წარმოაჩინა[38]. კვლევის ასეთი მიმართულებისას მკვლევარი წერილობით ძეგლებთან ერთად პირველხარისხოვან წყაროდ სავეღე-ეთნოგრაფიულ მონაცემებს მიიჩნევდა, რომელთა საფუძველზეც დაწვრილებით მიმოიხილავდა ვაზისა და ვენახის ჯიშების სხვადასხვა სახეობებს, მათ მოვლა-მოშენების, მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული იარაღ-ინვენტარის გამოყენების, ღვინის დაყენებისა და მოხმარების მრავალფეროვან პროცესებს, ღვინის ადგილსა და როლს ცხოვრების ქართული წესის ჩამოყალიბების საქმეში[39].

*ივ. ჯავახიშვილს* ქართული მევენახეობა-მეღვინეობა ერის სოციალურ-ეკონომიკური წყაროების ბურჯად მიაჩნდა. იგი მიუთითებდა, რომ ქართული ღვინო არა მარტო ერთ-ერთი ძირითადი საკვები, სალხინო და სარიტუალო საშუალება იყო, არამედ საექსპორტო საგანიც და ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის მნიშვნელოვანი წყარო. ეს გარემოება კარგად იცოდნენ ჩვენმა მტრებმა და საქართველოს წელში გატეხვას ვენახების ბარბაროსული განადგურებითაც ლამობდნენ[40].

ივ. ჯავახიშვილმა იმთავითვე ნათელყო, რომ მევენახეობა-მეღვინეობაში კვლევა-ძიების წარმატებით დაგვირგვინებისათვის აუცილებელია რეგიონალური პრონციპი, რადგან საქართველოს ვაზის კულტურით ცნობილი ყველა კუთხე, მძლავრ საერთო ფაქტორებთან ერთად სპეციფიკურ თავისებურებებსაც ავლენს, სახელდობრ, ვაზის ჯიშების ასორტიმენტში, ვენახის გაშენების, ფორმირებისა და მოვლის მეთოდებში, ღვინის დაყენების წესებში და სხვ.

აქედან გამომდინარე ვაზის ჯიშების შესწავლა-აღწერა ივ. ჯავახიშვილმა რეგიონალურ პრინციპზე ააგო დაწყებული აღმოსავლეთ საქართველოს უკიდურესი თემიდან – ჰერეთიდან, ვიდრე დასავლეთით–ჭანეთამდე და თითოეული კუთხის დამახასიათებელი ვაზის ჯიშთა სრულქმნილი სურათი მოგ-

ვცა. ეს იყო უზარმაზარი შრომის ნაყოფი, რომლის შედეგადაც საქართველოს ამპელოგრაფია მყარ ისტორიულ საფუძველზე დადგა.

ივ. ჯავახიშვილმა საქართველოს თითოეული თემისათვის დაადგინა ყურძნის ჯიშთა რაოდენობა, წერილობითი წყაროების, მოპოვებული ეთნოგრაფიული და ლინგვისტური მასალის ზუსტი ანალიზით განსაზღვრა ვაზის კონკრეტული ჯიშების გავრცელების არე, ისტორიული წარსული და ეკონომიკური მნიშვნელობა, თვალნათლივ წარმოაჩინა ძველ საქართველოში სელექციური მუშაობის მაღალი დონე და შემოქმედებითი მევენახეობის დიდად განვითარებული ადგილობრივი კერები[41].

საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის რეგიონალურ თავისებურებათა ფუნდამენტალური კვლევა-ძიების შედეგად, ივ. ჯავახიშვილმა თვალნათლივ უჩვენა ქართული ფეოდალური მეურნეობის სიმტკიცე და მდგრადობა, რაც თავის მხრივ, გარეშე მტრების გამუდმებული შემოსევების პირობებში უზრუნველყოფდა ქვეყნის ეკონიმიკურ და პოლიტიკურ ძლიერებას.

ივ. ჯავახიშვილი ქართული მევენახეობისა და მეღვინეობის ზემოთ აღნიშნულ ასპექტებთან ერთად მეურნეობის ამ დარგის საგანგებო როლის შესწავლის საქმეში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მისი გენეზისისა და განვითარების ისტორიული პროცესების ჩვენებას. აქედან გამომდინარე, მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესწავლა ივ. ჯავახიშვილმა უძველესი წერილობითი წყაროების მიმოხილვით დაიწყო. მეურნეობის ამ დარგის მაღალგანვითარებულ ხასიათს მკვლევარი ჯერ კიდევ ჩვ. წ-დე XI-VIIსს. ასურულ ლურსმულ წარწერებსა და წყაროებზე დაყრდნობით ადგენს[42].

ასევე საგულდაგულოდ არის გამოელენილი და გაანალიზებული მომდევნო პერიოდების, კერძოდ ანტიკური და ელინისტური ხანის წერილობითი წყაროები და ნივთიერი ძეგლები, რომლებშიც ნათლადაა ასახული საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის განვითრების უწყვეტი ისტორიული პროცესი. აღნიშნული ისტორიული წყაროებისა და ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე, ივ. ჯავახიშვილი საგანგებო ყურადღებას უთმობდა ვენახის ჯიშებს და საქართველოს ამპელოგრაფიაში 400-ზე მეტი ვაზისა და ვენახის სახეობას აფიქსირებდა. მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდა ვაზის ველური ჯიშების გავრცელებას საქართველოში, რაც მათ აბორიგენულ წარმომავლობაზე უნდა მიუთითებდეს[43].

მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის პრობლემებზე მსჯელობისას ივ. ჯავახიშვილი საგანგებო ყურადრებას უთმობდა მეურნეობის ამ დარგის გენეზისისა და განვითარების თავდაპირველი ცენტრის საკითხს. „ცნობილია, რომ კაცობრიობის კულტურის ერთი საყურადღებო საკითხთაგანი მევენახეობა-მეღვინეობის თავდაპირველი სამშობლოს საკითხია, რომელზედაც ბევრი რამეა დაწერილი. დაბადებაში აღბეჭდილს ძველ ებრაულ გადმოცემას, როგორც ვიცით, მეურნეობის ამ დარგის სამშობლოდ ამიერკავკასია მიაჩნია. ამ პრობლემის გამოსაკვლევად მკვლევარმა შესაძლოა ღვინის აღნიშნული სიტყვის სადაურობის გარემოც გამოიყენოს საფუძვლად... მაგრამ თუ კაცობრიობის კულტურის ამ დარგის თავდაპირველ სამშობლოზე ჯერ მოსაზრების გამოთქმა არ შეიძლება, ყველაფერი, რაც ამ წიგნში უკვე გა-

მოირკვა ცხადყოფს, რომ მევენახეობის ერთი მთავარი ცენტრთაგანი უცილობლად საქართველოც უნდა იქნეს მიჩნეული"[44] - წერდა ივ. ჯავახიშვილი.

*ივ. ჯავახიშვილს* მხედველობიდან არ გამორჩენია ქართული ვაზის კულტურის არც ერთი საგულისხმო თავისებურება. სამწუხაროდ, მან ვერ მოასწრო ამ დიდი ეროვნული საქმის ბოლომდე მიყვანა, მაგრამ მკვლევარის მიერ ქართული მევენახეობისა და მეღვინეობის შესახებ ჩატარებული კვლევა-ძიება – მრავალფეროვანი და მრავალმხრივი საველე ეთნოგრაფიული მასალის, ლიტერატურისა და წყაროების შეკრება და მოძიება, მათი სათანადო ანალიზი და განზოგადოება, საფუძვლად დაედო ზემოთ დასახელებულ *„საქართველოს ეკონომიკური ისტორიის"* მეორე ტომს, რომელიც სახელმძღვანელო მონოგრაფიად იქცა მეურნეობის ამ ტრადიციული დარგის ისტორიითა და ეთნოგრაფიით დაინტერესებულ მომდევნო თაობების ეთნოგრაფებისათვის.

ამრიგად, ზემოთ განხილული მონაცემები გვიჩვენებენ, რომ ახალი ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ ფუძემდებელს, *ივ. ჯავახიშვილს XX საუკუნის დასაწყისიდანვე საგანგებო ღვაწლი მიუძღვის, იმ დროს ჯერ კიდევ რთული სამეცნიერო-ორგანიზაციული პრობლემების წინაშე მდგომი ქართული ეთნოგრაფიის თეორიული და მეთოდოლოგიურ-პრაქტიკული მხარეების შემდგომი ფორმირება-ჩამოყალიბების საქმეში.* პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლიდან ქართულ საისტორიო მეცნიერებაში მოსული ახალგაზრდა მკვლევარი, საქართველოს ისტორიის ფართომასშტაბიან კვლევას საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში იწყებს, სადაც მას ამ მხრივ ფრიად ნაყოფიერი ნიადაგი დახვდა ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით. შეიძლება ითქვას, რომ არსებითად აქ და ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ივ. ჯავახიშვილის ფუნდამენტური შეხედულებანი საისტორიო მეცნიერებაზე, განისაზღვრა მისი, როგორც ისტორიკოსის მაღალი, ჰუმანისტური კრედო და უაღრესად მკაცრი, კრიტიკული შეხედულებანი საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის წყაროებზე.

სამეცნიერო წყაროებისა და მეცნიერული კვლევა-ძიებისადმი ასეთი კრიტიკული დამოკიდებულებით ივ. ჯავახიშვილმა ახალ საფეხურზე აიყვანა თავისი უფროსი კოლეგისა და თანამოკალმის აკად. ექვთიმე თაყაიშვილის ასევე უაღრესად მკაცრი და კრიტიკული შეხედულებანი საისტორიო მეცნიერებათა წყაროებსა და კვლევის შესაბამის შედეგებზე.

ივ. ჯავახიშვილს განსაკუთრებული შეხედულება გააჩნდა ეთნოგრაფიულ მასალაზე, როგორც პოტენციალურ ისტორიულ წყაროზე, საველე მასალების მოპოვების მეთოდოლოგიაზე და ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების თეორიულ და ანალიტიკურ მხარეებზე. მკვლევარის კრიტიკულ-ანალიტიკური შეხედულებანი საველე-შემკრებლობითი საქმიანობისადმი, სხვა ადრეულ ნაშრომებთან ერთად, საბოლოოდ შეჯამებულია *„საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის მასალების შეგროვების წესში"*, რომელშიც ჩამოყალიბებულია მისი უაღრესად დახვეწილი, საგულდაგულო მიდგომა ეთნოგრაფიული ფაქტებისა და მოვლენების გამომზეურებისა და ჩაწერა-ფიქსაციისადმი, აგრეთვე სიტყვიერი მასალის დამადასტურებელი დოკუმენტების – ფოტო და არქიტექტურული სქემებისა და ჩანახატების მიმართ.

დიდია ივანე ჯავახიშვილის დამსახურება *ეთნოგრაფიული მასალის ჩაწერის მთავარი მომენტის – რესპოდენტთან ინტერვიუს ანუ ეთნოგრაფიული მასალის უშუალო მოძიებისა და ჩაწერა-ფიქსაციის მეთოდის მიმართ.* მკვლევარი დიდ ყურადღებასა და გამოცდილებას მოითხოვდა რესპოდენტისა და ჩაწერილი მასალის, მოპოვებული სამუზეუმო კოლექციების პასპორტიზაციისა და სათადო კატალოგიზაციის პროცესების მიმართ, რაც თავად ჩამწერ-ინტერვიურერის მაღალ თეორიულ და მეთოდოლოგიურ მომზადებას ითვალისწინებდა.

*ივ. ჯავახიშვილმა* ამ მოთხოვნების მკაცრი სიზუსტითა და დაცვით განახორციელა *საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიის მასალების ფართომასშტაბიანი შეგროვება და ქართულ ისტორიოგრაფიას ქართველი ხალხის ტრადიციული ყოფისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი სფეროების ამსახველი უნიკალური ხასითის ეთნოგრაფიული მასალები და სამუზეუმო კოლექციები დაუტოვა.*

ამ მასალებსა და კოლექციებზე დაყრდნობით დაიწერა ივ. ჯავახიშვილის არაერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა, რომელთაც თავის დროზე უაღრესად დიდი როლი შეასრულეს ახალგაზრდა *ქართული ეთნოგრაფიის პრობლემურ მიმართულებათა განსაზღვრის საქმეში.* მათ შორის, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ფუნდამენტური ხასიათის ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევები *ქართველი ხალხის ეთნოგენეზისა და ეთნო-კულტურული ურთიერთობების, ქართულ-კავკასიურ-წინააზიური პარალელების, ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის, მატერიალური და სულიერი კულტურისა თუ სოციალური ურთიერთობების ფორმათა შესახებ.* აღსანიშნავია, რომ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ამ პრობლემებსა და მიმართულებებს მკვლევარი ისტორიულ-ეთნოგრაფიულ გამოკვლევებში უკვე დამკვიდრებული *შედარებით-ისტორიული მეთოდის* გამოყენებით ახორციელებდა და ეპოქის შესადარ თეორიულ და მეთოდოლოგიურ განზოგადოებებს იძლეოდა.

კვლევის *შედარებით-ისტორიული და რეტროსპექტრული რეკონსტრუქციის მეთოდოლოგიური პრინციპითაა გამოკვლეული ქართველი ხალხის წარმოშობის, წარმართულ ღვთაებათა პანთეონის, სახვნელი და სხვა სამიწათმოქმედო იარაღ-ინვენტარის, ტანსაცმელისა და ჩაცმულობის, სოფლის მეურნეობის დარგების, კერძოდ, მემინდვრეობის, მესაქონლეობის, მებაღეობა-მებოსტნეობის, მევენახეობა-მელვინეობისა თუ მეაბრეშუმეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული თავისებურებები, რომელთა შედეგებს დღესაც არ დაუკარგავთ მაღალი მეცნიერული ღირებულება.*

ცალკე აღნიშვნის ღირსია *ივ. ჯავახიშვილის* საგანგებო ყურადღება და ზრუნვა ეთნოგრაფიული მეცნიერებისათვის *ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადების, საველე-საექსპედიციო და შემკრებლობითი მუშაობის, სამუზეუმო გამოფენა-ექსპოზიციების გამართვისა და სხვა ორგანიზაციულ-პრაქტიკული მხარეების მოგვარების საქმეში,* რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს თავდადებული მამულიშვილის განსაკუთრებულ ღვაწლს ქართული ეთნოგრაფიის წინაშე.

## 5. გიორგი ჩიტაია თანამედროვე ქართული ეთნოლოგიის სათავეებთან

*გიორგი ჩიტაია* XX საუკუნის დასაწყისის იმ თვალსაჩინო მეცნიერთა წარმომადგენელია, რომელთაც მოღვაწეობა აკად. *ივ. ჯავახიშვილის* თაოსნობით დაიწყო და უანგარო, თავდადებული შრომით უდიდესი ღვაწლი დასდო ქართველოლოგიის, კერძოდ, ახალი ქართული ეთნოლოგიის საგნობრივი სფეროს, მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა-განვითარებასა და შემდგომ განმტკიცებას. გ. ჩიტაიას სახელთანაა დაკავშირებული *თანამედროვე ქართული ეთნოლოგიური სკოლის შექმნა და ჩამოყალიბება, მისი თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპების შემუშავება. იგი გახლდათ საქართველოს ეთნოგრაფიის ძირითადი მეცნიერული პრობლემებისა და მიმართულებების განმსაზღვრელი, მათი ერთერთი პირველი მკვლევარი, რომელზედაც შემდგომ მთელი თაობები აღიზარდნენ და ქართული ეთნოგრაფია თავისი მიღწევებითა და წარმატებებით მსოფლიო ასპარეზზე გაიტანეს.*

გიორგი სპირიდონის ძე ჩიტაია დაიბადა 1890 წელს ქალაქ ფოთში. მშობლები სოფ. ორპირში ცხოვრობდნენ და მიწათმოქმედებას მისდევდნენ, მაგრამ მოგვიანებით ისინი საცხოვრებლად ფოთში გადასახლებულან. მამას გადაწყვეტილი ჰქონდა გიორგის რაიმე ხელობა შეესწავლა და ამ მიზნით შვილს ჯერ ფოთის პორტში მტვირთავად დააწყებინა მუშაობა, შემდეგ კი სხვადასხვა ხელობის დასაუფლებლად სტამბაში გადაიყვანა სამუშაოდ.

ფოთში მუშაობის დროს გიორგიმ პარალელურად სწავლას მიჰყო ხელი და კერძო მეცადინეობა დაიწყო. მასთან ერთად მეცადინეობდნენ ფიზიკურ შრომაში ჩაბმული სხვა ახალგაზრდებიც: *პავლე ინგოროყვა, სანდრო ეულიქურიძე* და სხვ.[1]

შვიდწლედის ცოდნა რომ მიიღო, ოჯახში დაიწყეს ზრუნვა გიმნაზიაში შესაყვანად. უფროსმა ძმამ გიორგი ჯერ ქუთაისში წაიყვანა, შემდეგ განჯაში, მაგრამ ამაოდ. საბოლოოდ მისი ბედი გადაწყვიტა სასწავლო ოლქის მზრუნველმა *ლ. ლოპატინსკიმ,* რომელიც კავკასიური ენებით იყო დაინტერესებული. მან იმთავითვე შენიშნა ახალგაზრდა გიორგის ლტოლვა სწავლისადმი და იგი სასწავლებლად თბილისის მეორე გიმნაზიაში ჩარიცხა. აქ გიორგი ბეჯითად სწავლობდა და წარმატებებიც ჰქონდა. მან განსაკუთრებით მიიპყრო *სერგი გორგაძის* ყურადღება, რომელიც იმ ხანად გიმნაზიაში ქართული ენის შესწავლას ხელმძღვანელობდა. ს. გორგაძემ ურჩია გიორგის სწავლის გასაგრძელებლად პეტერბურგში წასვლა და მანვე უშუამდგომლა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში ექვთიმე თაყაიშვილთან სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე, რაც საბედნიეროდ დადებითად გადაწყდა[2].

1911 წელს გიორგი ჩიტაია ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სომხურ-ქართულ სექციაში. ამ სპეციალობაში მაშინ კათედრის გამგედ *ნ. მარი* მუშაობდა, რომელიც ერთდროულად აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანიც გახლდათ. ამ ფაკულტეტზე მახლობელი აღმოსავლეთის სპეციალობაში კათედრას ხელმძღვანელობდა *ვ. ბარტოლდი.* გიორგი ჩიტაია თბილად იგონებს ნ. მარს როგორც მეცნიერსა და პედაგოგს, ღრმა ერუდიციისა და ფართო ინტერესების მქონე მკვლევარს, რომელიც მუდმივ ძიებაში იყო. *ნ. მარს, გ. ჩიტაიასა და ე. მიქელა-*

*ძესთან* პირველი შეხვედრისთანავე დაწვრილებით შეუმოწმებია მათი ცოდნა ენებში. ის საჭიროდ მიიჩნევდა არჩეულ სპეციალობაში მეცნიერული მუშაობისათვის მოსამზადებლად ორი გარეშე – არაევროპული ენების ცოდნას, სამი და მეტი ენისას კი სასურველად. ამ რჩევის საფუძველზე გ. ჩიტაიას მაშინვე დაუწყია ირანული ენის შესწავლა ცნობილ სპეციალისტთან *ვ. ჟუკოვსკისთან.* ნ. მარს მეცნიერული მუშაობის პირადი მკაცრი რეჟიმი ჰქონია გამომუშავებული, როგორც წესი, ლექციებს ადრე დილის საათებში კითხულობდა, დღის დანარჩენ დროს კი მეცნიერულ-ორგანიზაციულ საქმეებს უთმობდა აკადემიაში და სხვა დაწესებულებებში. სათანადო მოთხოვნებს უყენებდა იგი თავის მოწაფეებსაც[3].

ნ. მარი 1894 წლიდან ხელმძღვანელობდა ანისის ნაქალაქარის გათხრებს, სადაც ხშირად იწვევდა პეტერბურგის უნივერსიტეტის მოწინავე სტუდენტებს. ნ. მარის რეკომენდაციით ანისის ექსპედიციაში სტუდენტი *გიორგი ჩიტაიაც* მიიწვიეს, სადაც ამ დროს ამიერკავკასიის კერამიკული წარმოების ისტორიის საკითხებს სწავლობდა ახალგაზრდა მეცნიერი *გ. ჩუბანიშვილიც.*

ანისის ექსპედიციაში *გ. ჩიტაია* არქეოლოგიური გათხრების ტექნიკის გასაცნობად და შესასწავლად ჩავიდა. მოგვიანებით, საქართველოში დაბრუნების პირველ წლებშივე, გ. ჩიტაიამ არქეოლოგიური კვლევის განსაკუთრებული ინტერესიც გამოიჩინა და რამდენადმე გათხრასაც კი უხელმძღვანელა. ანისის ექსპედიციის იმ წლის კამპანიის შემდეგ *ი. ორბელს* ჰქონდა ცალკე ექსპედიცია შირაქში ეპიგრაფიკული ძეგლების შესასწავლად. გ. ჩიტაიამ მიწვევით აქაც მიიღო მონაწილეობა, მაგრამ მისი აქ მუშაობის ძირითადი მიზანი იყო სომხეთის ეთნოგრაფიული ყოფის გაცნობა. მდ. ახურიანის აუზის ამ მაკრორეგიონში (მარმაშენი, ახურიანი, მარალიკი და სხვ.) იგი ძალზე ახლო გაეცნო და შეისწავლა მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ძეგლები, პირველ რიგში კი *დარბაზული* ტიპის სომხური საცხოვრებელი. საყურადღებოა, რომ საქართველოში დაბრუნებული გ. ჩიტაიას ეთნოგრაფიული კვლევის ერთ-ერთი პირველი სერიოზული შედეგი გახლდათ მისი ნაშრომი *„გლეხის სახლი ქვაბლიანის ხეობაში“*, რომელიც მესხური დარბაზული საცხოვრებლის ეთნოგრაფიულ-არქიტექტურულ შესწავლას მიეძღვნა. ეს ნაშრომი სამეცნიერო ლიტერატურაში დღესაც სანიმუშო მაგალითია საცხოვრებლის ეთნოგრაფიული შესწავლის თვალსაზრისით[4].

პეტერბურგში სწავლის პერიოდში გიორგი ჩიტაიასათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა *ივანე ჯავახიშვილთან* სიახლოვეს და ურთიერთობას. იგი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობაში ყოფნისას უნარიანად უხამებდა სასწავლო-პედაგოგიურ პროცესს სამეცნიერო-აღმზრდელობით მუშაობას, ხოლო ეს მუშაობა კი, როგორც ცნობილია, ძირითადად დაკავშირებული იყო ქართველოლოგიისა და კავკასიისმცოდნეობის პრობლემებთან და ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადებასთან. ცნობილია ისიც, რომ ი. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ნაყოფიერად მუშაობდა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე, რომელიც მეტად სერიოზულ პრობლემებს ამუშავებდა. წრეს ჰყავდა გამგეობა, რომლის თავმჯდომარედ ყოფნა 1914-16 წლებში გიორგი ჩიტაიასაც ხვდა წილად. მან შეცვალა ამ პოსტზე აკ.

შანიძე, ხოლო თავის მხრივ გ. ჩიტაიას ადგილზე *დავით ყიფშიძემ* გააგრძელა მუშაობა[5].

სტუდენტთა სამეცნიერო წრეს დიდი სამუშაო ჰქონდა დაწყებული, რაც ქართული პერიოდული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული კატალოგის შედგენას ითვალისწინებდა. მზადდებოდა და განიხილებოდა სამეცნიერო მოხსენებებიც, რომელთაც, როგორც წესი, საფუძვლად ედოთ სპეციალური გამოკვლევები. წრე კოორდინაციას უწევდა რუსეთსა და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით მუშაობასაც. სტუდენტებს დავალებული ჰქონდათ ქართული ხელნაწერებისა და სიძველეების აღრიცხვა-შესწავლა, სხვადასხვა დანიშნულების ლექსიკონების შედგენა და ა.შ. სწორედ აქ გამოიკვეთა გ. ჩიტაიას მომავალი სამეცნიერო მუშაობის მიზნები და ამოცანები[6].

პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ივ. ჯავახიშვილის ინიციატივითა და მოწადინებით დამკვიდრებული იყო გერმანიაში ახალგაზრდების გაგზავნის ტრადიცია გერმანული ენის ასათვისებლად. ადრე თითონ ივ. ჯავახიშვილი იყო ხანგრძლივად გერმანიაში, სადაც *ა. ჰარნაკთან* მუშაობის დროს მნიშვნელოვანი გამოკვლევებიც შეასრულა. რადგან სტუდენტების გაგზავნა ბერლინში გარკვეულ სიძნელეებს უკავშირდებოდა, პირველ რიგში – ფინანსიურს, შედარებით ხელსაყრელი გამოდგა ზაფხულ-შემოდგომის თვეებში ახალგაზრდების გაგზავნა კენისბერგში. ასე იყვნენ სხვადასხვა დროს იქ მივლინებული *ი. ყიფშიძე, ა.შანიძე* და სხვ. ამავე წესით გაემგზავრა კენისბერგში *გ. ჩიტაიაც* თვალსაჩინო სპეციალისტის, აღმოსავლურ-ქრისტიანული ლიტერატურის მცოდნის *კ. ბროკელმანის* ლექციების მოსასმენად და კონსულტაციებისათვის[7].

1917 წელს საქართველოში დაბრუნების შემდეგ *გ. ჩიტაია* მუშაობს ფოთის ქალთა და ვაჟთა გიმნაზიებში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1922 წელს ივ. ჯავახიშვილის რჩევითა და რეკომენდაციით იგი იწყებს მუშაობას საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში მეცნიერ მუშაკად, შემდეგ კი უფროს მეცნიერ მუშაკად (1925 წ.), სწავლულ მდივნად (1926 წ.), ეთნოგრაფიის განყოფილების უფროს სპეციალისტად და ამავე განყოფილების გამგედ (1931-1936 წწ.). მეცნიერული მოღვაწეობის ადრეული პერიოდიდანვეა დაკავშირებული გ. ჩიტაია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრასთან (1929 წ.) და მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებებთან, სადაც იგი ხანგრძლივი წლების (1933-1986 წწ.) განმავლობაში მუშაობდა უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრის (1938 წ.), აგრეთვე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის ჯერ განყოფილების, ხოლო შემდეგ სექტორის გამგედ[8].

გ. ჩიტაიას სამეცნიერო საქმიანობის დაწყება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შემთხვევითი მოვლენა არ გახლდათ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამუზეუმო ეთნოგრაფიული საქმიანობისადმი სპეციალური სამეცნიერო ინტერესები დამახასიათებელი იყო ეთნოგრაფიის განვითარების ადრეული საფეხურებისათვის სხვა ქვეყნებშიც და, მათ შორის რუსეთშიც, რაც სათანადოდ აისახა კიდეც საუკუნის დასაწყისში პეტერბურგის ქართველოლო-

გიურ ცენტრში მოღვაწე და აღზრდილ ქართველ მეცნიერთა შემოქმედებაშიც. უდავოდ ამ გავლენებით უნდა აიხსნას ადრე *რაფიელ ერისთავის,* ხოლო შემდეგ *ნიკო მარის, ექვთიმე თაყაიშვილისა* და, რაც მთავარია, *ივ. ჯავახიშვილის* მეტად ნაყოფიერი მოღვაწეობა ჯერ კავკასიის, ხოლო შემდეგ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, რამაც საფუძველი მოუმზადა ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების მძლავრი კერის შექმნასა და ჩამოყალიბებას საქართველოში მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების სახით. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან გიორგი ჩიტაიამ სწორედ ამ განყოფილებაში დაიწყო მოღვაწეობა საქართველოს ეთნოგრაფიის ფართომასშტაბიანი საველე და კამერალური კვლევა-ძიების პროგრამის შესამუშავებლად და განსახორციელებლად, რამაც საფუძველი ჩაუყარა ქართული ეთნოგრაფიული სკოლის წარმატებებს საქვეყნო და საერთაშორისო ასპარეზზე.

*გ. ჩიტაიამ* ღირსეულად გააგრძელა თავისი დიდი წინაპრებისა და უშუალო მასწავლებლების *ნიკო მარის, ექვთიმე თაყაიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის* ფუძემდებლური მოღვაწეობა საქართველოს ეთნოგრაფიის ასპარეზზე და იმთავითვე საგანგებო ყურადღება დაუთმო ამ მეტად მნიშვნელოვანი სამეცნიერო დარგის წყაროთმცოდნეობითსა და თეორიულ-მეთოდოლოგიურ პრობლემებს.

გიორგი ჩიტაიას მოღვაწეობა თავიდანვე ორი მიმართულებით წარიმართა: პირველი, დარგის დაფუძნება-განვითარება, საორგანიზაციო და თეორიულ საფუძვლების შემუშავება, სამუზეუმო, საველე და სასწავლო პროცესების ორგანიზება; მეორე, ზოგაეთნოგრაფიული, საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიის საკვანძო სამეცნიერო პრობლემათა დასმა და კვლევა-ძიება[9]. ამ დიდ სამეცნიერო ორგანიზაციულ პროგრამაში მკვლევარი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს ეთნოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნას, როგორც ეთნოგრაფიული მეცნიერების სხვადასხვა მიმარ-თულებათა განვითარების ფუნდამენტურ საყრდენს.

ქართული ეთნოგრაფიის გარიჟრაზე ამ მნიშვნელოვანი და საჭირბოროტო პრობლემის მოგვარებაც *გიორგი ჩიტაიამ* ორი მიმართულებით წარმართა: სამუზეუმო კოლექციების შეგროვება და საველე შემკრებლობითი საქმიანობა. ახალგაზრდა მკვლევარი სამუზეუმო საქმის საუკეთესო სპეციალისტად ჯერ კიდევ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კედლებში ჩამოყალიბდა, სადაც ამ საქმეს როგორც ზემოთ დავინახეთ, კვლავდაკვლავ ახალი ქართული ისტორიოგრაფიის ფუძემდებლები ექვთიმე თაყაიშვილი და ივანე ჯავახიშვილი კურატორობდნენ[10]. მათ გვერდით და მათთან თანამშრომლობით გ. ჩიტაიამ სახელმწიფო მუზეუმში თავი მოუყარა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებების, აგრეთვე ხელოვნების მუზეუმისა და სხვა სამუზეუმო დაწესებულებების კოლექციებსა და ექსპონანტებს, დიდი მუშაობა გააჩაღა მათი სისტემაში მოყვანისა და კატალოგიზაციის მიმართულებით. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ რაფიელ ერისთავის სამუზეუმო მოღვაწეობის შემდგომ *გ. ჩიტაიამ* სამუზეუმო-შემკრებლობითი, საარქივო და საექსპოზიციო საქმიანობა პირველად დააყენა მყარ მეცნიერულ ნიადაგზე[11].

ქართული ეთნოგრაფიული სკოლის განვითარება-განმტკიცების ადრეული წლებიდანვე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდები, გიორგი ჩიტაიას უშუალო მცდელობითა და მოღვაწეობით საქართველოსა და კავკასიის, მეზობელი აღმოსავლეთის ქვეყნების კოლექციებით გამდიდრდა. მისი ხელმძღვანელობით მოეწყო ხევსურეთისა და სვანეთის პრობლემურ-თემატური გამოფენები, სხვადასხვა რეგიონალური გამოფენები, რომლებიც შემდგომ საფუძვლად დაედო ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ერთიან სანიმუშო ეთნოგრაფიულ გამოფენას. იგი კონსულტაციებით ეხმარებოდა საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დაარსებას თბილისში, მეაბრეშუმეობის მუზეუმის მოწყობას. მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოაწყო ეთნოგრაფიული კაბინეტ-მუზეუმი და საქართველოს 10 სამხარეთმცოდნეო მუზეუმს ხელი შეუწყო ექსპოზიციის მოწყობაში. სამუზეუმო საქმიანობის გვირგვინი გახლდათ ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი, რომელსაც მკვლევარმა მრავალი ათეული წლის მუხლჩაუხრელი შრომა და ენერგია შეალია[12].

ეთნოგრაფიული მეცნიერების წყაროთმცოდნეობით არსენალში სამუზეუმო კოლექციებისა და ექსპონატების ასეთი პირველხარისხოვანი მნიშვნელობის გაცნობიერებამ, XX საუკუნის დასაწყისის საზოგადოებათმცოდნეობითი მეცნიერების მიღწევების სათანადო გათვალისწინებამ, მკვლევარს საშუალება მისცა, ადვილად აეღო ალღო იმ ჭეშმარიტებსათვის, რომ ფართომასშტაბიანი ეთნოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში საკუთარი მეცნიერული მეთოდებით გამართული და სათანადოდ ორგანიზებული საველე-შემკრებლობითი საქმიანობის გარეშე შეუძლებელი იყო. ამ აუცილებლობიდან გამომდინარე ახალი ქართული ეთნოლოგიის მიზნებსა და ამოცანებს, მის თეორიულ და მეთოდოლოგიურ წინამძღვრებს გიორგი ჩიტაიამ ისეთი ფუძემდებლური ნაშრომები მიუძღვნა, როგორიცაა *„სვანური საკურცხილი“ (1925 წ.) და „ქართული ეთნოლოგია“ (1926 წ.)*[13]. ამ ნაშრომებით ჩაეყარა საფუძველი საქართველოს და საერთოდ კავკასიის მოსახლეობის, როგორც უძველესი ცივილიზაციის მქონე ხალხების ეთნოგრაფიული კვლევის თავისებურ მიდგომას, რაც არსებითად განსხვავდებოდა საზღვარგარეთულ მეცნიერებაში იმხანად გავრცელებული ჩამორჩენილი ხალხების კვლევის მეთოდებისაგან. „ჩვენი ამოცანა იყო შეგვექმნა ეთნოგრაფიისათვის თეორიული საფუძველი და დაგვეძლია ფორმალისტური ტრადიციები, გადაგველახა პირველყოფილი საზოგადოების შესწავლის ზღუდეები, თავი დაგვეღწია პრიმიტიულობისაგან. ეთნოგრაფია რომ არ ქცეულიყო მხოლოდ ფაქტების აღმნუსხველ მეცნიერებად... საჭირო იყო ეთნოგრაფიის საგნისა და ობიექტის გაფართოება, როგორც ისტორიულ, ასევე გეოგრაფიულ და სოციალურ ასპექტში“[14], – წერდა გიორგი ჩიტაია მოგვიანებით ახალი ქართული ეთნოგრაფიის წინაშე XX საუკუნის 20-იან წლებში მდგარი ამოცანების შესახებ.

ქართული ეთნოლოგიის ბოლო ათწლეულის (1917-1926 წწ.) შედეგების ანალიზისა და მომავლის პერსპექტივებისადმი მიძღვნილ ზემოთაღნიშნულ ნაშრომებში მკვლევარმა იმთავითვე ახალი მეცნიერული დებულებებით განსაზღვრა და ჩამოაყალიბა ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე წამოჭრილი უმნიშვნელოვანესი ამოცანა – ეთნოგრაფიული მეცნიერების კვლევა-ძიებისათ-

ვის მტკიცე წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნის თვალსაზრისით მოეძია და შეეკრიბა ქართველი და მეზობელი კავკასიელი ხალხების ყოფასა და კულტურაში საუკუნეების განმავლობაში დაუნჯებული მდიდარი ფაქტოლოგიური მასალა, რომელთა შესახებაც ადრე არაერთგზის მიუთითებდნენ *ილია ჭავჭავაძე* და *ივანე ჯავახიშვილი*.

გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან, *გ. ჩიტაიას* მიაჩნდა, რომ „ჩვენი ეთნოლოგიური მეცნიერება, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ასეთ ეთნოგრაფიულ აღწერილობებს საჭიროებს. მისი მოთხოვნილებაა უტყუარი, ურყევი და დადგენილი ეთნოგრაფიული ფაქტები ეთნოლოგიის ყველა დარგიდან“[15].

აფასებდა რა მსოფლიოს ამა თუ იმ ხალხის წარსულის, მისი ტრადიციულ-ყოფითი კულტურის ღირებულებასა და მნიშვნელობას ისტორიული და ეთნოგრაფიული მეცნიერებისათვის, გ. ჩიტაია იმთავითვე მიუთითებდა, რომ „დედამიწის ზურგზე არ არსებობს ხალხი, რომელსაც ამა თუ იმ სახის წარსული არ ჰქონდეს, – განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ზოგი მათგანის წარსული დამძიმებულია ერის მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების მძიმე ტვირთით, ხოლო ზოგის საგზალი ისე მსუბუქია, რომ კურდღელს აეკიდება. კაცობრიობის ნარსული ცხოვრების მრავალმხრივობიდან ეთნოგრაფიულ თავისებურებებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და ეს თავისებურებები მეცნიერებისათვის დიდი მნიშვნელობის მქონეა“[16].

მკვლევარი ხაზგასმით მიუთითებდა ეთნოგრაფიულ თავისებურებათა შეგროვების მაღალ კულტურაზე ევროპის განვითარებულ ქვეყნებში და აღნიშნავდა, რომ დასავლეთში „დიდი ხანია შეგნებული აქვთ ეთნოგრაფიულ თავისებურებათა შეგროვების დიდი კულტურული მნიშვნელობა და ვალდებულება მეცნიერების წინაშე. ამიტომ დიდი სიყვარულითა და მზრუნველობით ეკიდებიან ამ საქმეს. ამის გარშემო ამოქმედებულია საზოგადოების ფართო ფენები, შექმნილია დიდი მოძრაობა (გერმანიაში, საფრანგეთში), არსებობენ განსაკუთრებული საზოგადოებები, სამეცნიერო და პოპულარული გამოცემები და სხვ. პირველ რიგში ყველგან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეთნოგრაფიული მასალის შეგროვებას, ვიანიდან კარგად აქვთ შეთვისებული ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ შეგროვილი მასალის შესწავლის და შეფასების დრო არ დაყოვნდება, ხოლო თავის დროზე დაუფიქსირებელი, შეუგროვებელი მასალა სამუდამოდ იკარგება მეცნიერებისათვის“[17].

გ. ჩიტაია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ქართულ-კავკასიურ ეთნოგრაფიულ სიძველეებს ისტორიული და ეთნოგრაფიული მეცნიერების წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტაში. „ხშირად ეთნოგრაფიულ წვრილმანს, შემთხვევის გამო გადარჩენილს, რელიქტურს, ისეთივე მნიშვნელობა აქვს ეთნოლოგიისათვის, როგორც ანთროპოლოგიისათვის, მაგალითად, ადამიანის ჩონჩხიდან შენახულ ყბას, რომლის მიხედვით ის ადამიანის ჩონჩხის სრულ რეკონსტრუქციას ახდენს. ასევე იქცევა ეთნოლოგიც. ეთნოგრაფიული ფრაგმენტი, ეთნოგრაფიული ხაზი და შტრიხიც კი, ხშირად აძლევს მას საშუალებას ჩაწვდეს ეთნოლოგიური მოვლენის სულსა და გულში და შესასწავლად მოცემული ხალხის შინაგანი ბუნება წარმოადგინოს“. მკვლევარმა კარგად იცის, რომ კავკასიათმცოდნეობის არაერთი პრობლემური ამოცანის გადაწყვეტა თვით კავკასიურ სინამდვილეშია საძიებელი და, რომ შესაბამისი პასუხის-

მგებლობაც ქართულ-კავკასიურ ისტორიოგრაფიას აკისრია. „უნდა ითქვას, რომ 30-40 წელიწადია უკვე მას აქეთ გავლილი, რაც კავკასიური გასაღების საკითხი გადმოისროლა ჩვენკენ ევროპის მეცნიერებამ და მას აქეთია იგი დგას გარკვეული პასუხის მოლოდინში ქართველოლოგიის წინაშე. მეცნიერები უცდიან ამ პასუხს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერხნობით საკითხი სათანადო გამოხმაურებას და გარკვეულ გადაწყვეტილებას ვერ პოულობს, ყოველ შემთხვევაში ეთნოლოგიურ-არქეოლოგიური მასალების მიმართებით და ამათი ხაზით“[18], – წერდა გ. ჩიტაია.

სამწუხაროდ, გ. ჩიტაიას ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი ჩვენში ამ მხრივ არსებული ვითარება, რაც მკვლევარს არც თუ ისე ოპტიმისტურ განწყობას უქმნიდა. „ჩვენი ძველებური ზნე-ჩვეულებები და მატერიალური კულტურის ობიექტები, მათ მატარებელ ცოცხალ სუბიექტებთან ერთად, დღემუდამ ხელიდან გვეცლება, სამუდამოდ ქრება და ჩვენ ვერ მოგვიხერხებია და ვერ გვითავებია, რომ მათი ათვლა-აღრიცხვა მაინც მოგვესწრო... ამგვარი ეთნოგრაფიული დეტალები კი, ჯერჯერობით, ბედად გადარჩენილი, ჩვენში მრავლად მოიპოვება და ჩვენი გარდაუვალი მოვალეობაა სასწრაფოდ შევაგროვოთ ეს წვრილმანი მაინც, რომ მეცნიერებას მათი შესწავლისა და გამოკვლევის საშუალება მიეცეს...

დრო საშურია, დაყოვნება – დანაშაული. მეცნიერებისა და სისწორით გაგებული ეროვნული თავმოყვარეობის სახელით ეს საქმე უნდა გაკეთდეს, თუ არ გვსურს მომავლმა შეგნებულმა თაობამ ქვა და გუნდა მოგვაყაროს“[19] - წერდა იგი.

ქართულ-კავკასიური ისტორიული და ეთნოგრაფიული მეცნიერების წინაშე მდგარი ამ მეტად რთული და საპასუხისმგებლო ამოცანის გადასაწყვეტად გ. ჩიტაიამ საკუთარი თეორიულ-მეთოდოლოგიური პრინციპები შეიმუშავა. „არ არსებობს მეცნიერება ფაქტების გარეშე. ფაქტი კი სინამდვილის, არსებული ობიექტური სინამდვილის, ასახვაა. და რამდენადაც ზედმიწევნით სწორადაა სინამდვილე აღქმნილი ფაქტების რგოლში, – იმდენად მასზე დაყრდნობილი მეცნიერება სწორია და მისი პოსტულატები – სახესრული ჭეშმარიტება. მართალია თვით ობიექტური სინამდვილე არ არის მუდმივი და უცვლელი რამ, მაგრამ როგორც ვიცით არა მარტო შესაცნობი სინამდვილე, არამედ ადამიანის შემეცნებაც თავისთავად მუდმივ ცვალებაშია“[20] – წერდა გ. ჩიტაია ეთნოგრაფიული ფაქტებისა და მოვლენების ჩაწერა-ფიქსაციის წინაპირობების განსაზღვრისას. „ეთნოლოგიური მეცნიერებაც პირველყოვლისა ფაქტების მეცნიერებაა – განმარტავდა შემდგომ გ. ჩიტაია. უწინარეს ყოვლისა მასაც სჭირია უტყუარი, შედარებით ურყევი და დადგენილი ფაქტები. თუ თანამედროვე ეთნოლოგია, რომელმაც ესე მძლავრად გაშალა ფრთები, ნახევარი საუკუნის მანძილზე გასაოცრად დაწინაურდა, რომელმაც მრავალი მიმართულება და სკოლა შექმნა, ავიდა გონების სპეკულაციის უმაღლეს საფეხურზე, ჩაუღრმავდა პირველყოფილი ადამიანის ალოლიკურ აზროვნებას, რომელიც კომპლექსური მეთოდით კულტურის კომპლექსებს არკვევს და თვით სახელგანთქმული აინშტაინის რელატივობის თეორიასაც იშველიებს, – ყოველივე ეს იმ გარემოების შედეგია, რომ მის განკარგულებაშია საუცხოო ეთნოგრაფიული აღწერილობები, ნაყოფი მრავალ ეთნოგრაფთა ხანგრძლივი, თავგამოდე-

ბული შრომისა და ბევრ შემთხვევაში უტყუარი და მყარი ეთნოგრაფიული ფაქტები". მკვლევარს მიაჩნდა, რომ ახალი სამეცნიერო თეორიები მხოლოდ ასეთ ფაქტებზე დაყრდნობით შენდებოდა. ამიტომაც მას ბუნებრივად და გასაგებად მიაჩნდა, რომ ეთნოგრაფიული ფაქტები უდიდესი გულმოდგინებითა და ყურადღებით უნდა შეკრებილიყო. იგი თვლიდა, რომ ყოველივე აღწერა გარკვეული მეთოდოლოგიური მიდგომით და განსაზღვრული ამოცანების მიხედვით უნდა განხორციელებულიყო და, რომ მხოლოდ ასეთ აღწერილობებს ეძლეოდა მნიშვნელობა და გამოსადეგი იყო სამეცნიერო თეორიების ჩამოსაყალიბებლად და დასადგენად[21].

